

უ ა კ - ნ ა მ ე ს
ანუ
მეფეთა წიგნის
ქართული ვერსიები
III

ტექსტი გამოცდა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო

დავით კობიძე

„შაჰ-ნამე“ ანუ „მეფეთა წიგნი“ დიდი ირანელი პოეტის ფირდოუსის (X—XI სს.) გენიალური თხზულებაა. აღმოსავლურ ენებზე, მათ შორის ქართულზეც, არსებობს მისი თარგმანის პოეტური და პროზაული ვერსიები, რომლებიც შესრულებულია სხვადასხვა დროს (XV—XVIII სს.).

1916 წელს გამოიცა „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების პირველი ტომი, 1934 წელს კი — მეორე; მესამე ტომი შეიცავს „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში შემავალ შემდეგ თხზულებებს: „უთრუთიან-საამიანს“ (პოეტური და პროზაული რედაქციები), „წიგნს საამ-ფალავნისა“ და „ბაამიანს“. ისინი გვიანი ეპოქის (XVI—XVIII სს.) თარგმანებს წარმოადგენენ და დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ აღმოსავლეთის ლიტერატურასა და ფოლკლორზე ირანული ეპოსის გავლენის შესწავლისათვის.

«Шах-наме», или «Книга царей», — гениальное произведение великого персидского поэта Фирдоуси (X—XI вв.). На восточных языках, в том числе и на грузинском, имеются его поэтические и прозаические версии. Грузинские переводы данного произведения выполнены в разное время (XV—XVIII вв.).

В 1916 году был опубликован I том грузинских версий «Шах-наме», II том выпущен в свет в 1934 году.

В настоящем III томе объединены поэтическая и прозаическая редакции «Утрутнан-Саамнани» («Книга об Утруте и Саме»), «Саамнани» («Книга о Саме») и «Баамнани» («Книга о Бахмане»). Они являются переводами более поздней эпохи (XVI—XVIII вв.) и представляют большой интерес для изучения влияния иранского эпоса на литературу и фольклор народов Востока.

რედაქტორი ალ. ბ ა რ ა შ ი ძ ე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1974

შენსავალი

„შპ-ნამეს“ ანუ „მეფეთა წიგნის“ ქართული ვერსიების პირველი ტომი 1916 წელს დაიბეჭდა. იგი იუსტიინე აბულაძემ გამოსცა.¹ მასში სამი თხზულებაა გაერთიანებული: ა) „ზაქიანი“ მამუქა თავაქალაშვილისა (XVII საუკ.), ბ) „საამიანი“ ბარძიმ ვაჩნაძისა (XVII საუკ.) და გ) „როსტომიანი“ სერაპიონ საბაშვილისა (XV—XVI საუკ.) და ხოსრო თურმანიძისა (XVI—XVII საუკ.).

გამოცემაში სულ 2941 სტროფია დაბეჭდილი: ტექსტს წამძღვარებული აქვს გამოცემლის წინასიტყვაობა, დართული აქვს მის მიერვე შედგენილი ლექსიკონი და საძიებლები.

„შპ-ნამეს“ ვერსიების მეორე ტომი კი 1934 წელს დაიბეჭდა იუსტიინე აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროუყვას, კ. ქეკელიძის და აკ. შანიძის რედაქციით. იგი ფირდოუსის დაბადების ათასი წლისთავთან დაკავშირებით თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა.

აღნიშნულ გამოცემაში დაბეჭდილია „როსტომიანის“ მეორე ნახევარი (სტროფები 2942—5663) და „შპ-ნამეს“ პროზაული თარგმანის ფრაგმენტი. „როსტომიანის“ ამ ნაწილში გაერთიანებულია „ბარზუს წიგნის“ ქართული ვერსია, რომლის თარგმანი ხოსრო თურმანიძეს ეკუთვნის.

გამოცემას დართული აქვს სარედაქციო კოლეგიის წინასიტყვაობა, იუსტიინე აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი და სტ. ჩხეიკელიძის მიერ დამუშავებული საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები. მხატვრული გაფორმება ს. გაბაშვილს ეკუთვნის.

ტექსტის გამოცემა ასეა განაწილებული: პავლე ინგოროუყვას მიერ დამუშავებული და დასაბეჭდად დამზადებულია სტროფები 2942—3601, კორნელი ქეკელიძის მიერ — 3602—4257, აკაკი შანიძის მიერ — 4258—4900, იუსტიინე აბულაძის მიერ — 4901—5663, ხოლო პროზა — ალექსანდრე ბარამიძის მიერ (გვ. 369 — 445).

„შპ-ნამეს“ ქართული ვერსიების მესამე ტომი, რომელიც ჩვენი რედაქციით, შესავალი წერილით, ლექსიკონითა და საძიებლებით გამოდის, ოთხ თხზულებას აერთიანებს. ესენია: ა) „უთრუთიან-საამიანი“ (პოეტური რედაქცია), რომელიც ვერსიების პირველ ტომში დაბეჭდილი „საამიანის“ წინა ნაწილს წარმოადგენს; ბ) „უთრუთიან-საამიანი“ (პროზაული რედაქცია), გ) „წიგნი საამ ფალავნისა“ და დ) „ბაამიანი“. ამით, ძირითადად, მთავრდება „შპ-ნამესა“ და მისი ციკლის თხზულებათა ქართული ვერსიების გამოცემა.

¹ შპ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, თბილისი, 1916.

ფირდოუსი, რომლის შემოქმედების შარავანდედით გაბრწყინებულია სპარსული პოეზიის ცა, 932—936 წლებს შორის, ტუსის ოლქში, ქალაქ თაბერანის მახლობლად მდებარე სოფელ ბაჟში დაბადებულა. გარდაცვლილა 1020—1027 წლებს შორის. დასაფლავებულია ქ. ტუსში.

პოეტის ნამდვილი სახელი დღემდე უცნობია. წყაროებში იგი აბუ-ლ-ყასემად იხსენიება, მაგრამ აბუ-ლ-ყასემ მეტსახელად გაიგება; ფირდოუსი კი ლიტერატურული ფსევდონიშა და „სამოთხელს“ ნიშნავს.

„შაჰ-ნამეს“ ავტორის შემოქმედება, ძირითადად, სამანიანთა ღინასტიის ბატონობის ხანას (875—999) ეუთენის. „მეფეთა წიგნის“ წერა მას 964—969 წლებში დაუწყია და 999 წელს დაუმთავრებია. პოემა დაახლოებით 60 000 ბეითისაგან შედგება.

ფირდოუსის მიეწერება პოემის „იოსებზილიხანისა“, სულთან მაჰმუდზე დაწერილი სატირისა და რამდენიმე ლირიკული ზასიათის ლექსის ავტორობა.

„შაჰ-ნამე“ რომელშიც არა მხოლოდ მეფეთა, არამედ უხსოვარი დროიდან დაწყებული ახალ ეპოქამდე ირანელ ხალხთა ისტორიაა გადმოცემული, აღმოსავლური პოეზიის მშვენივალ წარმოდგენს. მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად თუ დაიძებნება თხზულება, რომელიც ისე იპყრობდეს მკითხველს, იყოს ისე ვრცელი. შინაარსით მდიდარი და მრავალფეროვანი, მუდამ უჭკნობი, პოეტური თვალსაზრისით უდიდესი ძალით დამუშავებული, როგორც ფირდოუსის „შაჰ-ნამეა“. იგი ნაციონალური ეპოსის უდიდესი ქმნილებაა. „მეფეთა წიგნი“ შემდეგი თაობების ყველა ჟანრის წარმომადგენელ პოეტებისათვის დაუშრეტელ წყაროდ იქცა.¹

სპარსულ ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, „შაჰ-ნამეს“ ლექსითი და პროზითი ვერსიები არსებობს. XI საუკუნიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე გრძელდება „შაჰ-ნამეს“ მიმბავით პოეტური თხზულებების წერა და მისი ამა თუ იმ ეპიზოდის გადაკეთება-გადამუშავება. პროზაული ვერსიები კი შედარებით გვიან (XVI საუკუნიდან) წარმოიშვა.

ასეთი სახის თხზულებებში „მეფეთა წიგნის“ ძირითადი ეპიზოდების გვერდით მთელი რიგი საგმირო-საფალავნო ეპიზოდები ჩნდება. გამრაველა ჩანარებებიანი, ინტერპოლირებულნი ტექსტები, რამაც გზა ქართული ლიტერატურისაკენაც გაიკაფა.

„შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ძირითადი თავისებურება ის არის, რომ „მეფეთა წიგნის“ მიმბაძველ-გამგრძელებელთა ზოგიერთი თხზულება და აგრეთვე ცალკეული ადგილები მიმბაძველთა ნაწარმოებებიდან მის (ვერსიების) ორგანულ ნაწილებს წარმოადგენს; ამიტომ მხოლოდ „როსტომიანი“ კი არ ჩაი-

¹ ვრცელი ცნობები ფირდოუსისა და მისი „შაჰ-ნამეს“ შესახებ იხილეთ შემდეგ წყაროებში: 1) ალ. ბარამიძე, ფირდოუსი და მისი შაჰ-ნამე, თბილისი, 1934; 2) დავით კობიძე, სპარსული ლიტერატურა, II, თბილისი, 1946; 3) ა. გეახარია, ფირდოუსი, თბილისი, 1963; 4) М. Дьяконов, Фердоуси, жизнь и творчество, Москва — Ленинград, 1940; 5) А. А. Стариков, Фердоуси и его поэма «Шахнаме» (Фердоуси, Шахнаме, том первый, Москва, 1957, стр. 459—592); 6) Е. Э. Бертельс, История персидско-таджикской литературы, Москва, 1960, стр. 169 — 238; 7) Th. Nöldeke, Das iranische Nationalepos (Grundriss der iranischen Philologie, II, Strassburg, 1896—1904, S. 130—231).

თვლება „შაპ-ნამეს“ ქართულ ვერსიად, არამედ მასთან ერთად ყველა ის თხზულება, რომელიც „მეფეთა წიგნის“ ძირითადი ტექსტის კვალობაზე სხვადასხვა დროს ლიტერატურული თუ ხალხური ვერსიების სახით შემუშავებულა და რომელთა თარგმანებიც ქართულ ლიტერატურაში გაჩენილა.

„შაპ-ნამეს“ ვერსიების შესწავლა მუდამ წარმოადგენდა ქართველი მეცნიერების საკვლევადიებო საგანს. პირველი მკვლევარი, რომელიც ქართული ვერსიების სპარსულთან დამოკიდებულების საკითხებს შეეხო, ნ ი კ ო მ ა რ ი გახლავთ. მისმა წერილებმა¹ მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა საკითხის შემდგომ ძიებას.

ამ ხანიდან მოყოლებული „მეფეთა წიგნის“ ვერსიებისადმი ქართველ მეცნიერთა ინტერესი დღემდე არ შენელებულა საქმე ის არის, რომ „შაპ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში გაერთიანებული თხზულებანი, როგორცაა, მაგალითად, „ზააქიანი“, „როსტომიანი“ და მისგან გამოყოფილი „ზურაბიანი“, „ბეჟანიანი“ და სხვ. საუკუნეთა განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა, დიდი ხანია ჩვენს საზოგადოებრიობას შეუსისხლხორცდა და ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის საკუთრებად იქცა. ძნელია მათ გარეშე ქართულ საგმირო ეპოსზე ნათელი და გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ.

მეორე მკვლევარი, რომელმაც „შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიების შესწავლა დიდი ამაგი დასდო, ი უ ს ტ ი ნ ე ა ბ უ ლ ა ძ ე გახლავთ; მას, როგორც შემოთავ აღინიშნა, ეკუთვნის საკმაოდ დიდი მოცულობის ტექსტის გამოცემა, ორივე ტომის ლექსიკონი და საყურადღებო მონაწერებანი, რომელთაც დღემდე მნიშვნელობა არ დაუკარგავთ.

„შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიების საკითხებზე დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ ა რ ა მ ი ძ ე ს. მას ეკუთვნის ზოგიერთი თხზულების, როგორცაა, მაგალითად, „ბარზუს-წიგნი“, „ფრიდონიანი“, „წიგნი საამ ფაღავნისა“, აღმოჩენა და ქართული ვერსიების კვლევის არეში მათი შემოტანა.

„შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიების ზოგიერთ საკითხს ი ე. ჭ ა ე ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ც ე შეეხო. როგორც მისი ნაწერებიდან ჩანს², მკვლევარს შესწავლილი აქვს „როსტომიანი“, „ზააქიანი“. „ფრიდონიანის“ პროზაული ვერსია, რომელსაც ის „ზააქიანს“ უწოდებს და ფირდოუსის „შაპ-ნამეს“ სპარსული ტექსტიც (უღერას ის გამოცემის მიხედვით). დანარჩენ მასალებს ის არ ეხება³.

„შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიები, რომლებიც მთელ რიგ თხზულებებს აერთიანებს, აღმოსავლურ ლიტერატურაში არსებულ ვერსიებს შორის ყველაზე მდიდარია და მრავალფეროვანი. იგი სპარსულ წყაროებზეა დამოკიდებული და, მსგავსად მათი დედნებისა, სხვადასხვა დროსაა წარმოშობილი. ქართული ვერსიების შემუშავების ხანად XV—XVIII საუკუნეები უნდა მივიჩნიოთ. უფრო ადრინდელი დროის ვერსიები, რომლებიც შესაძლებელია არსებობდა, ჩვენამდე მოღწეული არ ჩანს.

¹ დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ (1891 წ. №№ 132, 133, 135): „როსტომიანი“ (ორიოდე სიტყვა „შაპ-ნამეს“-ს ქართულ თარგმნის შესახებ).

² ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1956.

³ ამ მკვლევართა შეხედულებანი და „შაპ-ნამეს“ ვერსიებთან დაკავშირებული სხვა საკითხები ვრცლად განხილული გვაქვს შრომაში: შაპ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსულ წყაროები (თბილისი, 1959).

I. ცნობები ხელნაწერთა შესახებ.

„შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების III ტომში გაერთიანებულ თხზულებათა: „უთრუთიან-საამიანის“ ლექსითი და პროზითი ვერსიები, „წიგნი საამ ფალაგ-ნისა“ და „ბაამიანი“ ხელნაწერები ძალიან მცირე რაოდენობითაა შემონახული. ეს გარემოება, თავისთავად ცხადია, ართულებს ტექსტების გამოცემის საქმეს. ზოგჯერ შეუძლებელი ხდება ამა თუ იმ დაღუპული ადგილის აღდგენა, წარუყენილი სიტყვების თავდაპირველ სახით წარმოდგენა და ტექსტის სათანადოდ გამართვა.

ძნელია ერთადერთ ხელნაწერზე დაყრდნობით, თუ იგი კარგად შემონახული არ არის; ტექსტის გამოცემა, მაგრამ რა გაეწყობა თუ სხვა გამოსავალი არ დაიძებნება: რაც დრო გადის, აღნიშნულ თხზულებათა ხელნაწერები უფრო და უფრო ზიანდება. იღუპება სიტყვები და ადგილები და, ცხადია, საბოლოოდ შეუძლებელი გახდება ტექსტების სათანადოდ გამართვა.

სიძნელეს ისიც ქმნის, რომ აღნიშნულ თხზულებათა ტექსტები არასდროს არ ყოფილა გამოცემული მიუხედავად იმისა, რომ მათ. როგორც მკითხველი დარწმუნდება, დიდა მნიშვნელობა აქვთ XVI—XVIII საუკუნეთა ქართული ენის ლექსიკის, სტრუქტურისა და ისტორიის შესწავლისათვის; ამავე დროს აღნიშნული ნაწარმოებები, როგორც სპარსული ლიტერატურის გენიალური ქმნულების ფირდოუსის (X—XI საუკ.) „შაჰ-ნამეს“ ციკლის თხზულებების ქართული ვერსიები, ირანსა და საქართველოს შორის არსებული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის იმ გრძელი ჯაჭვის საყურადღებო რგოლებს წარმოადგენს, რომლის სათავეებს ძალიან შორეულ წარსულში მივყავართ.

1) „უთრუთიან-საამიანის“ ლექსითი ვერსიის ხელნაწერები

პირველი თხზულება, რომლითაც „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების შესამეტი ტომი იწყება, „უთრუთიან-საამიანი“ (ლექსითი ვერსია) გახლავთ; აღნიშნული თხზულება სულ ორი დეფექტური ხელნაწერთაა შემონახული. ისინი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული:

ა) H—61 ხელნაწერი. ყდა (26,5×18) მუყაოსი, ტილოგადაკრული. ხელნაწერი ხელახლა შეუმოსავთ. ჯაღალდი (25,5×17,8), ტექსტი (21×13,7) მხედრული, წითელ ჩარჩოებშია მოთავსებული. თავში აკლია რამდენიმე ფურცელი, ბოლოში კი — მთელი მეორე ნახევარი. ეს მეორე ნახევარი დაბეჭდილია „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების I ტომში (გვ. 37—297), რომელიც პროფ. იუ ს—

ტინე აბულაძემ 1916 წელს გამოსცა: მაშინ მეცნიერებისათვის არ იყო გარკვეული, რომ ამ ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი „საამიანად“ დასათურებული თხზულების წინა ნაწილია.

პროფ. იუსტინე აბულაძისათვის ცნობილი ყოფილა ეს ხელნაწერი; მის შესახებ ის ცნობებსაც გვაწვდის (გვ. XI—XII) და ტექსტის დასაწყისის რამდენიმე სტროფსაც ბეჭდავს. მკვლევარი, როგორც ჩანს, გაჰყვა ტრადიციულად შემუშავებულ „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების კრებულს და ეს ტექსტი „ვერსიებში“ აღარ მოათავსა.

აღნიშნული ხელნაწერი 117 ფურცელს (234 გვერდს) შეიცავს; იგი ლამაზი მხედრული ხელით არის გადაწერილი; სათაურები — სინგურით, ყოველი სტროფის პირველი სიტყვა — სინგურით.

დასაწყისი:

არ მოურჩები ჩემს კანგსა :მა მაღალსა მქნესაო.
სულთაგან დაგულო, გიჯობდა, არამც ეშობე ღედასა!
მიწა შეუღებო სისხლთა, დაუამზობ შენსა ბედასა;
ვატირებ შენსა შობებლსა, ტანი მამსა და ღედასა,
აღრე მიგწიო მამსა, ლახტით დაგიმსხვრეუ ქედასა!

ეს სიტყვები თუნდი დეეს ეკუთვნის, ვალაყან უთრუთის მიმართაა თქმული. პირველი სტრიქონი, ჩანს, დაკარგული სტროფის უკანასკნელ სტრიქონს წარმოადგენს. თხზულებას. ცხადია, აკლია მთელი რიგი ეპიზოდები ქაიომარსისა (ქართ. ქაიომარ, ქოიამარ), სხვა მეფეებისა და ფალაენებისა — უთრუთის დაბადებამდე და მის დაუაყვაცებამდე.

დასასრული:

ერთი დიდი რუმბი ღვინო მას მიართვეს, პილო[ს] ჰქიდავს,
პირს მოიხტნო, ვრავინვა გახდა, ვით ჰურშიგა ხმასა [ქიდავს]:
სრულად შესვა ეროპირობით, მუეუროსა ხელოთ [ქირავს].
ღვემატა ქნა ამ წესითა, ყოვლი კაცი ამას კვირავს.

ეს სტროფი აქ წარმოდგენილი ტექსტის უკანასკნელი თავის (აქა ნარიმანი-სა და არმან დეუის ომი) ნაწილია.

ხელნაწერის მთელ რიგ გვერდებზე მოიპოვება მინაწერები. მათ შორის ლიტერატურული თვალსაზრისით საყურადღებოა 65-ე გვერდზე არსებული მინაწერი:

„აქა, ღედა, ასრე იყო, რომ თეიმურაზ ჰელმწიფის არც სიკვდილი ეწერა და არც როგორცაღა მოხდა მისი საქმე, ანბავად არავის დაუწერია. მე, რაც ანბავად იყო, გავლექსე, რომ არა დამიკლია რა; ჯერეთ ამის მეტად არ მენახა „უთრუთიანი“.

66-ე გვერდზე ხელნაწერის ხელით დაწერილი შემდეგი ადგილი იკითხება:

ეს ამბავად იყო ნათქვამი, რაც ლექსად დამიწერია,
რა იქნა აწ თქაიმურაზ, ტახტისა შესაფერია;
მოკუდა თუ დარჩა, რა უყო, ვის ამბავად დაუწერია.
და ამისთვის დიად მიგმია, მართლად შევიქენ მტერია.
ჯიშედ თქუა, მაგრამ რა უყო, ეს თაიმურაზ მქლომელა,
ვინც ნახავს კაცი, რას იტყუის, ნეტარ შემედარა რომელი?

მე უბრალო ვარ, იუვენით ამბვის შწერლისა მგომბელი,
და რაც ამბვად იყო. გაულქესე. მიფიცავს ყოელის მყრობელა.
ღედამ ეს მითხრა, რაცა ეთქუი, ზემოდაც დამიწერია,
წაუღევ მათსა შარასა, ტყუილი ვით გამერია!

აქ მელექსე უჩივის ამბის მთქმელს (პროზაული ვერსიის ავტორს) იმის შე-
სახებზე, რომ მას სრული სახით არ გადმოუცია თეიმურაზის თავგადასავალი მე-
ლექსეს შინაარსის მიმდინარეობის თვალსაზრისით უხერხულობა უგარძენია და
ზედა მინაწერშიც ამაზეა საუბარი.

საინტერესო ისაა, რომ ხელნაწერის ცნობების მიხედვით თხზულებას
„უთრუთიანი“ ეწოდება და ჩვენში, როგორც ჩანს, ის ამ სათაურითვე ყოფილა
ცნობილი.

ქართული და სპარსული ლიტერატურის ისტორიამ არა ერთი და ორი შემ-
თხვევა იცის, როცა „შაჰ-ნამეს“ ცალკე ნაწილად გამოყოფია ამა თუ იმ გმირის
თავგადასავალი და ხალხში მისი შესაფერარ სათაურით გავრცელებულა. ასე,
მაგალითად, გვაქვს „ერაჩიანი“, „ზურაბიანი“, „ბეჟანიანი“ და სხვა მისთანანი.¹
ასეთივე შემთხვევა გვაქვს აქაც. „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთ ლექსით ვერსიის ცალკე
გამოყოფია უთრუთისა და მისი ეპოქის გმირთა ამბები და იგი ხალხში „უთრუ-
თიანის“ სახელით გასულა.

ზოგი მინაწერი ხელნაწერის ნაკლებობაზე მიგვითითებს. ასე, მაგალითად,
233-ე გვერდზე იკითხება: „37 ლხ. ფურცელი აკლია თავიდან ბოლომდინ და
ბოლოს ქვევით, ვინ იცის, რამდენი აკლია“.

ხელნაწერი საკმაოდ დაზიანებულია; ფურცელთა თანმიმდევრობაც არეუ-
ლია. ზოგ ფურცელს ნაწილი აკლია, ზოგს კიდურები აქვს შემოფლული, რის
გამოც ცალკეული სიტყვებისა და ადგილების ამოკითხვა ძნელდება.

H-6; ხელნაწერი XVII საუკუნეზე გვიანდელი ხანისა არ უნდა იყოს,
გადაწერას ვინაობა და თარიღი უცნობია; მისი აღწერილობა მოცემულია აგ-
რეთვე წიგნში: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა
აღწერალობა (H კოლექცია), ტომი I, დასაბეჭდოდ მომზადებულია ხელნაწერთა
განყოფილების თანამშრომლების ლ. ქუთათელაძის და ნ. კასრაძის
მერე, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი,
1946, გვ. 50.

ბ) მოიპოვება ჩვენს დროში შავი მელნით, წერილი მხედრული ასოებით
გადაწერილი აჰ თხზულების მეორე ხელნაწერი S—4000. უდა უბრალო, ტექს-
ტის ზომისა (22×17,5); გადაწერილია ის პროზის სახით და, ცხადია, სტროფები
და ტაეპები გამოყოფილი არ არის; მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე მოთავსებუ-
ლი ტექსტია ლექსის ფორმით გადაწერილი.

ხელნაწერი სულ 18 ფურცელს (36 გვერდს) შეიცავს; მთელი რიგი ფურც-
ლების კიდურები დაზიანებულია და სიტყვები სრული სახით აღარ იკითხება.

დასაწყისი:

შესძახა დეუსა, — მაღალი კლდენი გაიპობს ლამისა, —
სხვას ნურას ნაღვლობ, თუ არ შენ. მიგწოი აპას წამისა;
შენცა ამათთან მიგიყუნ, არს შემოკლება ჟამისა,
ადრე ვასწორდე მიწათა, ეიუო მოამბე ამისა!

¹ იხ. ჩვენი წერილი: შენიშვნა „შაჰ-ნამეს“ გამარჯვებულთა ნაწარმოებების ქართული
ვერსიების შესახებ (საქ. მეც. აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 7, 1946, გვ. 475—479).

წარმოდგენილი სტროფი H-61 ხელნაწერის 54-ე გვერდზე იკითხება, რაც ამას ნიშნავს, რომ S-4000 ხელნაწერს H-61 ხელნაწერთან შედარებით ბევრი აკლია. თავდება ის იმავე სტროფით, რითაც H-61 ხელნაწერია დამთავრებული.

S-4000 ხელნაწერს მოეპოვება გადაწერის ხელით შესრულებული მინაწერები; საინტერესოა მეორე ფურცლის მარცხენა მხარეზე არსებული მინაწერი, რაც ტექსტის არასისრულს გვაუწყებს:

„აქ 8 რვეული დასრულდა ნამდვილ, ხოლო 7 და 8 რვეულს ნამდვილ 4 ფურცელი აკლდა; 6 რვეულს ორი ფურცელი აკლია, 5 რვეული სრულია, არ აკლია; 4 რვეული სრულია და ერთი ფურცელიც მტია; 3 რვეულს 4 ფურცელი აკლია, 1 და 2 რვეული სრულებით არ არის. აქ 9 რვეული დაიწყო; ამ რვეულს სრულებით არ აკლია.“

ამ ხელნაწერის ღირებულება იმით განისაზღვრება, რომ მას შეუძლია მკითხველს დაეხმაროს H-61 ხელნაწერის ამა თუ იმ შესადარი ადგილისა და ზოგიერთი სიტყვის სწორად ამოკითხვაში.

გ) ეს წიგნი სტამბას ჰქონდა გადაცემული, როცა გამოქვეყნდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლის მეცნიერებათა კანდიდატის მ. მამაცაშვილის მოხსენების („შპ-ნამეს“ ქართული ვერსიების ახალი ხელნაწერი) თეზისები.¹ იგი იუწყებოდა ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ „შპ-ნამეს“ ქართული ვერსიების XVII საუკუნის საინტერესო ხელნაწერის Q-1440 შექმნის შესახებ.

ირანისტ მ. მამაცაშვილის ცნობების მიხედვით, აღნიშნული ხელნაწერი „გარდა შპ-ნამეს ლექსითი ვერსიებისა, ქართული პროზაული „ფრიდონიანის“ დასაწყის ნაწილს შეიცავს“. აგრეთვე, „დადასტურებულია ქართული „უთრუთიანის“ პირველი ნაწილის აქამდე უცნობი ახალი ლექსითი ვერსია, რომელიც ანონიმ ავტორს ეკუთვნის“.

მკვლევრის აზრით, ანონიმის ლიტერატურული წყარო არაა „უთრუთიან-საამიანის“ ცნობილი ქართული პროზაული ვერსია, წარმოდგენილი H-921 და S-1594 ხელნაწერებით.

ჩვენი აღნიშნულ ხელნაწერს გავეცანით. იგი ახლად რესტავირებულია; ყდა მუყაოსი, ტყავგადაკრული (30X22); ქაღალდი (28X19) ალაგ-ალაგ გაკვეთილია და დაზიანებული. ტექსტი (23X16) შავ ჩარჩოშია ჩასმული, მას წინა და ბოლო ნაწილები აკლია; შიგნითაც გვერდები დაკლებია, რაც პროზით შესულიათ.

ხელნაწერი 205 ფურცელს შეიცავს; გადაწერილი უნდა იყოს XVII საუკუნეში. სათაურები სინგურით, სტროფის დასაწყისის პირველი სიტყვაც სინგურით. პროზაულ ნაწილშიც სათაურები სინგურით და ტექსტის დასაწყისის პირველი სიტყვაც სინგურით.

I. ტექსტის დასაწყისი (ფ. 1^r—23^v) წარმოდგენს „უთრუთიან-საამიანის“ ლექსითი ვერსიის პირველ ნაწილს, რაც „უთრუთიანის“ სახელითაც არის ცნობილი. იგი, ჩვენი აზრით, ერთგვარი ვარიანტია (თუ პერიფრაზი) H-61 ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტისა, რაც ამ წიგნში იბეჭდება. შინაარსობრივად ის

¹ იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და თეზისები. თბილისი. 1972, გვ. 5.

H-921 და S-1594 ხელნაწერებში მოთხრობილ ამბავს ემთხვევა, მაგრამ, როგორც ჩანს, Q-1440 ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტის გამლექსავს ხელთდღემდე ჩვენთვის ცნობილ პროზაულ ტექსტებთან შედარებით რამდენადმე განსხვავებული ნუსხა ჰქონია და წყაროდ ის გამოუყენებია (ის გაულექსავს) ავტორისათვის, ეტყობა, უცნობი ყოფილა H-61 ხელნაწერში მოთავსებული ტექსტი (პოეტური რედაქცია), თორემ საეჭვოა, რომ მას ხელშეიკრედ მისი გალექსავის ძურვილი აღძვროდა.

ვინაა გამლექსავი არ ვიცი. ამ მხრივ საინტერესოა ბოლო გვერდზე (ფ. 23^ა) მოთავსებული შემდეგი ორი სტროფი:

თავს ჭიომარ ვასხენე მისისა ფალაუნებით.
უთრუთ, გოსტამ და გორჯასპი, მათის ლახტით და ხლმებითა,
თემურაზ, ჭიმშედ, აშქაში და მურად მულამ ქებითა,
და ზაქამდისინ გაულექსე, მე, ღვთისა დამონებითა.
ისპაანს ვიყავ, გაულექსე სისმენელად წიგნი ტბილი;
ღმერთი მამეკეს წყალობასა, მამადგების მისი ჩრდილი,
იმედო მაქუს მე ლეთისაგან, არ შევიქნა ამით წბილი
და ვინც შენდობით მოვიხსენოთ, ღმერთთან მოგცეს ორი წილი.

ეს იმას ნიშნავს, რომ ავტორის ხელიდან გამოსული ტექსტი (ლექსითი-ვარიანტი) ქ ა ი ო მ ა რ ი ს ა და მისი ფალაუნების ამბებით იწყებოდა, სწორედ ისევე, როგორც ეს H-61 ხელნაწერისა და მის საბადლო პროზაულ ტექსტებშია: წარმოდგენილი (H-921 და S-1594 ხელნაწერები).

ავტორის ცნობითვე, მას ტექსტი ისპაანში ყოფნის დროს ზააქის ამბამდე გაულექსავს და შენდობით მოხსენიებდა ითხოვს. პროზაულ ტექსტებში, როგორც ცნობილია, ქაიომარიდან ზააქამდისინ უთრუთისა და სხვა ფალაგანთა სადევგმირო ამბებია გადმოცემული. სწორედ ამ ნაწილს უწოდებენ „უთრუთიანს“, რაც ისპაანში მყოფ ქართველ პოეტს გაულექსავს. ისპაანში კი ლიტერატურულ საქმიანობას არა ერთი და ორი ქართველი ეწეოდა. ამთგან ვინ იყო „უთრუთიანის“, როგორც მ. მამაცაშვილი ამბობს, „აქამდე უცნობი ახალი-ლექსითი ვერისის“ ავტორი, ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება. ამბავი მიტანილია ჭიმშედის მიერ ქარიზმანის გაფალაუნებამდე (გორჯასპი მკვდარია).

Q-1440 ხელნაწერში წარმოდგენილ ტექსტს („უთრუთიანს“), გარდა წინა ნაწილისა, შიგნითაც (მე-8, მე-16, მე-17 და მე-18) ფურცლები დაკლებია; იგი H-921-სა და S-1594 ხელნაწერებში წარმოდგენილი პროზაული ტექსტის ტიპის ხელნაწერიდან ამოღებული ადგილებით შეუესიათ.

დასაწყისი:

უთრუთ ასრე დამერია, ვითა თხასა შრ... 0
იმან მკრები უკუმიკრა, გამაძვლინვა, ვითა... 0
ქეშწიფეთსან მიმართივა, აღარ ჰქონდა გული მთელი
და მე არა ვარ მისი დარი, გამომჟვრით, გინდთ, ყული.

იმავე გვერდზე უფრო სრულად შემონახული სტროფი ასეთია:

რა შეეძლო შენზედ უთრუთს, რომ დაეკრა ტყინის კერტი,
ერთსა შენსა მონაქნევსა იყო ეერად შენამჟურტი,
მეტრნავად ემას გასულხარ, თავს ვასხია ბრუ და რტი,
და მოგვაყიენე, წაგვაქდინე, რალა გვიყო მავის მტი.

აქვე ამოწვევრეთ იმ ამბავთა დასათაურებანი, რაც „უთრუთიანის“ ამ ვარი-
ანტშია წარმოდგენილი (პირველი თავის დასათაურება დაკარგულა):

1. აქა ფიცხელი ომი უთრუთ ფალაენისა და რადი დევისა,
2. აქა დიდი ომი უთრუთ ფალაენისა და ბარჯიყან დევისა,
3. აქა მეორე ომი უთრუთისა და ბარჯიყანისა,
4. აქა გორასპ უთრუთის შვილის მოსულა თეიმურაზის წინაშე,
5. აქა უთრუთ ფალაენის სიკუდილი მუხთლად ხარფის დევისაგან მძინარე.
6. აქა ტირილი თეიმურაზ კელმწიფისა და დიდი სინანული უთრუთისათ-
ვის.
7. აქა გორასპ ფალაენისა და ფალანგ დევის ომი,
8. აქა თეიმურაზის სიკუდილი და მისის შვილის ჭიმშედის გაკელმწიფება,
9. აქა ფალანგ დევისაგან ჭინბაჯინის გაგზავნა ელჩად ჭიმშედის წინაშე,
10. აქა ჭიმშედ კელმწიფისაგან დევთ ნახვა და ლხინი,
11. აქა საადი ასმან და მილად მგლის თავნი ქაიომარის ნათესაობას ჩემუ-
ლობდენ.
12. აქა ჭიმშედ კელმწიფისა და საადი მგლის თავის პირდაპირ ომი,
13. აქა ამბავი ჭიმშედ კელმწიფისა, რომე სამასი წელიწადი იპატრონა,
14. აქა ამბავი ჭიმშედ კელმწიფისა. ნახეთ, თუ რა დაემართების.

ეს დასათაურებანი იმას მიგვანიშნებს, რომ ლექსში გადმოცემული ამბები, მათი თანმიმდევრობა და ფალაენთა მოქმედებანი იგივეა, რასაც H-61, H-921 და S-1594 ხელნაწერებში ვხვდებით.

მოვიყვანოთ სათანადო ადგილები „უთრუთიანის“ „ძველი“ და „ახალი“ პოეტური რედაქციებიდან. H-61 ხელნაწერში (ფ.26 ო—27) იკითხება:

აქა უთრუთისა და რადი დევის ომი

რა რადი დევმან სჯადი მაიდანს ნახა წინარე,
მან მძიმე ლახტი აიღო, ვეთა დოლაბი რკინარე,
შესძახა: ბარჯი, ძმა ჩემი, მომიკალ მოსაწყინარე,
და მე არ შეგარჩენ, შეუიქენ შენი სისხლისა მდინარე!

ფალაენმან დაუძახა: რა კუეხნისა ეამი არი,
აპას აგერ გვახლები, თუ ხარ ჩემი მეომარი,
ცოტა წინარ წამოდექი, სხვა არ უნდა საუბარი,
და მე გასწავლო მეომრობა, რომ გიქერეტდეს ორიე ვარი.

რა გაიგონა, — დეუს ქონდა დოლაბთ ოდენე ქუანია, —
უთრუთს შესტყორცა უკუხლტა, იგი საომრად მზანია;
მით დაიციდნა ამაყმა, სიფიცხე ამაღ კმანია
და აღრე მისწია ბარჯისა, ვით იყუენ ტუბილი ძმანია.

მერმე გახლტა ფალაენი, ორსაე ფეხსა კელი სტაცა,
აიუუნა თაეის სწორად, მოიქნია, მიწას დასცა,
გაეს აღრიდგან მონაკუდაესა, ფალაენი იქიე დგასცა,
და მიწად სული აღარ დაჰყუა, გლახ, ანდერბი ველარ ვასცა.

რა ბარჯიყან სცნა, წაეიდა საომრად, პილოს მჭლოშია;
მოვიდა შუას მოიდანს, იყო ბრძოლისა მდომია.
უთრუთ ილოცა, ახსენა მაღლა მყოფი და მდგომია,
და დევმან შესძახა მაღალი, გაეს გასკდა ცისა ხომია.

და სხვ.

იგივე ამბავი Q-1440 ხელნაწერში (ფ.31-35) ანაე გაღმოსცემული:

აჟა ფიცხელი ომი უთრუთ ფაღანისა და რადი დევისა

რა რადი დევმან შეიგნა, მოედანში შემოვიდა,
დაუძახა: ვით შეგრჩების, შენი წერა დღეს მოვიდა;
შენ მაშკალ შვილი — საღზად, დამწვი, სული წამოვიდა.
და აწ მაყალე, მე რა გიყო! — თვალთა ცრემლი მოუვიდა.

ფაღანმა ეს შეკვილა: რას თავი გინაზებია,
ახლოს წამოდგე, გაჩვენო, შენზედ რა ცეცხლი მგზებია;
შენ არ იცი და მე ვიცი, რაც ომი გიპაზებია,
და ჩემის ლახტითა დაგნაყო, მკლავი მაქუს მე მაგრებია.

რა ეს დევმა გაიგონა, კელთ აიღო დიდი ლოდი,
შემოსტყორცა, დააცდინა, უთრუთ უთხრა: ეგ იყოღო,
ზედ შეახლტა, დაიჭირა: მითხარ, აჟა რას იქმოდი,
და მაგრა მიწას დააწყვიტა: ბილწო დეეო, რას კიოდი!

რა ბარჩიყან დევმან ნახა რადინ ომისა მზარავი,
ეწყინა, სპილოს გარდაჯდა, წავიდა ქურდი, მპარავი,
მოედანშიგან შევიდა, თავს ბრუ ესხმოდა მთარავი
და რა უთრუთ თვალი შეასწრო, თქუა: რად ვარ გაუმწარავი.

უთრუთ ახსენა სახელი: მოწყალეს შევეწყნარები,
შენ გამარჯვება მიბომე, დევთა დავასხა ზარები,
მამეე ძალი და გულის კმა, მათ გაუწყვიტო ჭარები.
და სხე.

წარმოდგენილი ადგილები ფრაზეოლოგიური თვალსაზრისითაც ერთმანეთ-თან ახლოს დგას. ასე, მაგალითად, H-61 ხელნაწერში იკითხება: ცოტა წინარ წამოდექი.

Q-1440-ში ამის საბადლოდ გვხვდება: ახლოს წამოდეგ.

H-61 ხელნაწერით: რა გაიგონა, — დეუს ქონდა დოლაბთ ოდენი ქვა-ნია, — უთრუთ შესტყორცა, უკუხლტა, იგი საომრად მზანია, მით დაიცდინა ამაყმა...

Q-1440-ში გვაქვს: რა ეს დევმა გაიგონა, კელთ აიღო დიდი ლოდი, შემოსტყორცა, დააცდინა...

H-61-ში იკითხება: მოიქნია, მიწას დასცა.

Q-1440-ში ამის ნაცვლად გვაქვს: მაგრა მიწას დააწყვიტა.

H-61-ში გვხვდება: ბარჩიყან ...სპილოს მკლამია.

Q-1440-ში ამის საბადლოდ წერია: ეწყინა, სპილოს გარდაჯდა.

H-61 ხელნაწერით: უთრუთ ილოცა, ახსენა მალლა მყოფი და მდგომია.

Q-1440-ით: უთრუთ ახსენა სახელი: მოწყალეს შევეწყნალები.

და სხე.

შეინიშნება განსხვავებაც. H-61 ხელნაწერის მიხედვით რადი დევი უთრუთს მისი ძმის ბარჩი დევის მოკვლისთვის ეოგება, ხოლო Q-1440 ნუსხაში წარმოდგენილი ტექსტის მიხედვით რადი ანუ რადინ დევი მისი შვილის—სად-

ზადის სისხლისათვის იბრძვის. ასეთი მცირე გადახვევები სხვა ხელნაწერებშიც შეინიშნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქმე სხვადასხვა თხზულებასთან გვაქვს. თხზულება ერთია, მაგრამ სხვადასხვა ხელნაწერში შეიძლება შინაარსობრივი ელემენტები იყოს შეცვლილი, რაც მის საერთო ხასიათსა და ბუნებას ვერ შეცვლის.

ამრიგად, ეს ორი ვერსია სხვადასხვა პოეტის მიერ ერთი და იგივე ამბის გალექსავს წარმოადგენს. ისინი, როგორც ითქვა, ერთმანეთთან ახლოს დგანან: ეს სიახლოვე კი მათი წყაროებითაა განსაზღვრული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისაბანში მყოფ ქართველ პოეტს იმავე ტიპის ხელნაწერის წინა ნაწილი გაუღეკსავს, როგორც H-921 და S-1594 ნუსხებითაა შემონახული. მკითხველი შეინიშნავდა, რომ H-61 ხელნაწერში წარმოდგენილი ორთაჯრაფთა უფრო ძველია, ვიდრე Q-1440 ხელნაწერში მოთავსებული ტექსტისა.

II. „უთრუთიანის“ შემდეგ ხელნაწერში წარმოდგენილია პროზა, რასაც ჩვენ „ფრიდონიანს“ ვუწოდებთ. იგი (24^რ—49^რ) ფურცელს შეიცავს. პროზა შემდეგი სიტყვებით თავდება:

ქვეყანა ისრე მოკაზმა და სამოთხე ვითა ასურნელა; ბაღისა მაგიერად ვარდი დათესა. რა თემი შემოიარა, მოვიდა, აქულა დაქდა. და აქულო თაჲს ტახტად მოკაზმა. და ორმოცდათსა წელწოდსა უკან შეწინიანი შეიღნი მიეტნეს.

ალ. ბარამიძის მიერ გამოცემული ტექსტის მიხედვით (შაპ-ნამე. ქართული ვერსიები, II, თბილისი, 1934) აღნიშნული ადგილი 396-ე გვერდზე იკითხება.

იქვე გადაწერის ხელით მიწერილია შემდეგი სიტყვები: ღმერთო, აცხოვნე მწერალს ამისი და პატრონს ქ ა ე ქ ა ვ ა ძ ე ქ ა ი ხ ო ს რ ო ს მოახმარე კეთილად.

III. ამას მოსდევს მამუქა თავაქალაშვილის „ზააქიანის“. ეს ცხადი ხდება ტექსტის გასინჯვით და 51^რ ფურცელზე მინაწერით: აქა კარი პირველი ზააქ ქემწიფისა, ნათქვამი თავაქარაშვილ) მამუქასაგან. ნახეთ, ზააქს რა უყო ეშმაქმა.

დასაწყისში ასეთი დასათაურებაა: აქა ამბავი პირველი დასაწყისი ზააქისა და ფრიდონ კელმწიფისა. ნახეთ, თუ ზააქს კემწიფეს რა დაემართება ეშმაქის შეწყობითა და ან ნარიმან ფალაქანის შეიღმან საამ რა ქნა ზაალის პოვნამდის. ამაჲსა უკმობენ საამიანობით.

შემდეგ მოდის ტექსტი. პირველი ტაეპი ასეთია:

გებეწები გონიერთა, ვინც არა ხართ ღვთისა მკუთვლელ და სხე.

IV. „ზააქიანის“ შემდეგ წარმოდგენილია „უთრუთიან-საამიანის“ მეორე ნაწილი, რასაც ჩვენი ძველები „საამიანობით“ უხმობდნენ (ფ. 62^რ—150^რ).

V. „საამიანს“ მოსდევს „როსტომიანი“ (ფ. 150^რ—205^რ), მაგრამ იგი იწყება არა ზაალის შობით, არამედ თავით: აქა საამ ფალავნის სიზმრის ზმანება. პირველი ტაეპია: ერანით კაცი მოვიდა, მაშვრალი ცხენთა რბევითა. იუსტინე აბულაძის მიერ გამოცემული ტექსტის მიხედვით (შაპ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, თბილისი, 1916) იგი 1126-ე სტროფში იკითხება.

დასასრული:

მოქალაქეთა სახლშია ოქრო და მუშკი დაყარეს,
მენ ზაალისთვის სავერეტლად დარიჩაგები აყარეს;
მალა ზღედეს წამოადგეს, ფლური ტაბაკსა დაყარეს,
და ეის ახლოს წაუარიან, მათ თავსა გარდაყარეს.

მერაბის სრას ოქროს ტახტი თვალ-მარგალიტინია,
სამისთვის, ერთი ზაალს—ოქროს სავერეტლიანია;
მაზედ დასხდეს, მესტუმრეობს მერაბ ბრძენი, კეკიანია,
და მწეარ-ხარშულსა მოიღებდეს ოქროს ტაბაკიანია.

იმასაც აღვნიშნავთ, რომ ბოლო ფურცლის წინ რამდენიმე ფურცელი აქ-
ლია. ვადმოცემულია ზაალის გამოცდის ამბავი და შემდეგ მოულოდნე-
ლად მოდის ზაალის ქობულისტანში (მერაბის სასახლეში) წვევა, მერაბის მე-
უღლის სინდუხტის წინ გამოგებება და სვ.გ.

ხელნაწერი Q-1440, რომელიც პირველად ირანისტმა მ. მამაცაშვილმა შე-
ისწავლა, უდავოდ საინტერესო და მნიშვნელოვანია არა მარტო იმით, რომ იგი
„შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების თავისებურ კრებულს წარმოადგენს, არამედ
იმითაც, რომ ის ზოგიერთი გამოცემული ტექსტის საბოლოოდ გამართვის
თვალსაზრისით მკვლევართ დახმარებას გაუწევს. რა სახისა და შესაძლებლობის
იქნება ეს დახმარება, ამას მომავალი კვლევა-ძიება გვიჩვენებს.

2) „უთრუთიან-სამიანის“ პროზაული ვერსიის ხელნაწერები

აღნიშნული თხზულება სულ ორი (H-921 და S-1594) ხელნაწერთაა
ცნობილი.

ა) H-921 ხელნაწერი 163 ფურცელს შეიცავს, აქედან 26 ფურცელი დაუ-
წერელია. ხელნაწერში, აქაც და სხვაგანაც, დაუწერელი ფურცლების არსებობა
იმას ნიშნავს, რომ გადამწერმა ან სხვამ უფრო სრული ხელნაწერის მოპოვების
შემთხვევაში ტექსტი შეაესოს.

ყდა მუყაოსი (30×20,8), დაზიანებული; ქაღალდი (30×20,8), ტექსტი
(22×14,3) მხედრული; სათაურები სინგურით, თავის დასაწყისის სიტყვის
პირველი ასოც სინგურით.

ხელნაწერი ნაკლულია, აკლია დასაწყისი, შიგა ნაწილები და დასასრული.
იგი XVII საუკუნეში უნდა იყოს გადაწერილი. გადამწერის ვინაობა და თარიღი
უცნობია.

დასაწყისი:

...და მინდორსა შიგან გზანი გაიარნეს. მერმე თქვეს, თუ ღმის წყალობა არისო, თვარა
ეს უმისოდ არ იქნებო, აქ ქორციელი კაცი არ ნახულო, არც ხსენებულო, ვერვინ შეს-
ეცლის ბრძანებასა ღმისასა.

დასასრული:

შენითა შიშითა მალაღი ეტლი თავმოხდით ფიქალთა შიგან ვერა ბრუნავს და ნიანგთა
ზღუასა შიგან შენი სახელი კრმალსა და ლახტსა ზედა უწერიათ. რა კრპალი გამოიწუადო, შე-
ნითა შიშითა ღრუბელი სისხლსა..

ამ ხელნაწერისათვის პირველად ყურადღება იუ ს ტ ი ნ ე ა ბ უ ლ ა ძ ე - მ იუ ქ ც ე ვ ი ა (შაპ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, თბილისი, 1916. გვ. 10); მკვლევარი გულის ტყვილით აღნიშნავს, რომ ეს ხელნაწერი „აღმოჩნდა ჩვენ მიერ ტექსტის სტამბების დაწყებიდან ერთის წლის შემდეგ“. იგი იქვე შენიშნავს: „ჩვენ მიერ წარმოდგენილი გალექსილი საამიანი სიტყვა-სიტყვით მისდევს ამ პროზით ნათარგმნს და, რომ გვიან არ ჩავკარდნოდა ხელში, ჩვენ უცილობლად ვარჩევდით უფრო ადრე ამ უკანასკნელის გამოქვეყნებას, რადგან იგი, თავისი სიძველით, წარმოადგენს ფრიალ საინტერესო ძეგლს, რომელსაც „შაპ-ნამეს“ არსებულ ვერსიათა საკითხის გადაწყვეტისათვის ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს“.

ხელნაწერის აღწერილობა მოცემულია აგრეთვე წიგნში: საქართველოს სა-ხელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტომი II, შედგენილია და დასაბუქდალ დამზადებული ლ ი ლ ი ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ი ს მ ი ე რ, ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ი ს რ ედაქციით. თბილისი, 1951, გვ. 292.

ბ) S-1594 ხელნაწერი კი ძალიან დაზიანებულია. მიუხედავად იმისა, რომ ის ახლად აუკინძავთ, ფურცლები მაინც არეულ-დარეულია; H-921 ხელნაწერის დაზიანებით ზოგჯერ ხერხდება იმის გამოჩვენება, თუ S-1594 ხელნაწერში რომელი ფურცელი რომელს უნდა მოსდევდეს, მაგრამ თვით H-921 ხელნაწერის დაზიანების გამო, ეს ყოველთვის შესაძლებელი არ არის.

აღნიშნული ხელნაწერის აღწერილობა მოცემული აქვს ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს წიგნში: Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», том II, Тифлис, 1906—1912, стр. 609—610.

საინტერესოა, რომ ის ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს „ყარამანიანი“ ჰგონებია, როგორც ეს შენიშნული აქვს ალ. ბ ა რ ა შ ი ძ ე ს (შენიშვნები შაპ-ნამეს ქართული ვერსიების შესახებ, საქ. არქივი, წიგნი III, თბილისი, 1927), და ამავე სათაურითვე შეუტანია „აღწერილობაში“. მას ხელნაწერის ხელი XVIII საუკუნის მეორე ნახევრისად ჩაუთვლია. ხელნაწერი მაშინაც დეფექტური ყოფილა, ფურცლები დაქსაქსული და არეულ-დარეული.

როგორც ჩანს, პირველ ფურცლად მაშინ ხელნაწერში წარმოდგენილი ყოფილა სწორედ ის ფურცელი, რომელიც ახლა 54-ე ფურცლად ითვლება. ამ ფურცლის შუა ადგილზეა მოთავსებული ის დასათაურება (აქა ემშაქისაგან ჭიმ-შედის მოტუნება), რომელიც ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს მაშინ პირველი ფურცლის შუა ნაწილზედ ამოუკითხავს.

აღნიშნული ხელნაწერის აღწერილობა წარმოდგენილია აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კ ე ქ ე ლ ი ძ ი ს სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის III ტომში (გვ. 51); იგი შედგენილია და დასაბუქდალ დამზადებული თ. ე ნ უ ქ ი ძ ი ს, ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს, მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა ს, ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ი ს, მ. შ ა ნ ი ძ ი ს და ქ რ. შ ა რ ა შ ი ძ ი ს მიერ, ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს რ ედაქციით, თბილისი, 1963.

დღეს ხელნაწერი ასე გამოიყურება: ყდა მუყაოსი, განახლებული, კოლენკორგადაკრული (31,5×22); ქაღალდი (30,5×21), ტექსტი (27×15) მხედრული; სათაურები სინგურით, სინგურითვეა თავის დასაწყისის პირველი სიტყვა, ზოგჯერ სიტყვის პირველი ან ორი ასო, იშვიათად უსინგუროდ.

ხელნაწერი ილუსტრირებულია. სურათებს. მათი შინაარსის მიხედვით მინაწერები აქვს გაყვთებული; ასე, მაგალითად, გვაქვს დასურათებული ზავ ფალავნის ომი დევებთან (ფ. 6^რ), რომელსაც ახლავს წარწერა: აქა ზავ ფალავნისა [და] დევთა ომი და ასე შემდეგ.

ხელნაწერში სულ 16 სურათია მოთავსებული აქედან ორი უკანასკნელი ილუსტრაცია: ა) აქა ფრიდონს ფურისა ძუძუსა აწოებენ და ბ) აქა ფრიდონ ჭიმშედისა დათანა შარნავაზ [და] არნავაზთანა ზის, როგორც ეს ალ. ბარამიძემ გამოარკვია (ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1940, გვ. 46—47), არ უნდა ეკუთვნოდეს იმ მხატვარს, რომლის მიერ ხელნაწერია დასურათებული. მკვლევრის აზრითვე ტექსტისათვისაც აღნიშნული სურათების შინაარსიც უცხოა. ისინი „შპ-ნამეს“ სხვა ქართული ვერსიიდან უნდა იყოს ამოღებული და აქ უადგილოდ ჩაყვრებული.

დასაწყისი:

... ართნეს ღთისა სახელსა ზედა ვითა... მისი შვილი-სიამუქი; ფალავანი თურანგი, ლაშქარი... ნი გამოუგზავნია. მერმე ხვარაზან [დ]ემან შეიყარა მისი ორასი [ათასი დევი და გაემართა. საომრად.

დასასრული:

... მანუჩარ მოეხვია საამს... ამიდა მრავალი საჩუქარი მისაცემელი... ასრე გამარჯვებული ამულს წავიდა შაჰა მანუჩარ.

უკანასკნელი თავია: აქა ნარიმანის სიკვდილი, ოცდაათი ომი და ფალავნობა გარდაიხადა (ფ. 145^შ).

ხელნაწერში სულ 148 ფურცელია. უკანასკნელ გვერდზე შემდეგი იკითხება:

აქა გათავდა ეს წიგნი ბრძანებითა ხელმწიფის დადიანის ბატონის ლევანისათა და ხელითა მამუკა თავაქალაშვილისათა, და ზალ ფასკუნჯმა რომ წაიუყანა, გაზარდა მთაშიგან, ვირემდის. პოებდეს ზალს, შინა მოიყუანდეს, განგებითა პოვნამდის ეს ყუელა იქნა.

დაიწერა კვ-სა სამას ოცდა თხუთმეტისა, თვესა ივლისა ოცდამეიღსა. გათავდა.

ხელნაწერის ზემოწარმოდგენილი ანდერძი გვაუწყებს, რომ იგი XVII საუკუნეში, სახელდობრ 1647 წელსაა გადაწერილი ცნობილი პოეტის („ზაქიანის“ ავტორის), მხატვრისა და კალიგრაფის შაჰ მუსტაფა ალ-აშვილის მიერ.

3) საამ ფალავნის წიგნის ხელნაწერები

„წიგნი საამ ფალავნისა“ სამი ხელნაწერთაა წარმოდგენილი. ესენია: H-900, S-2393 და H-605-606 ხელნაწერები.

ა) H-900 ხელნაწერი უყდოა. ქაღალდი (30,5×2,05) ლურჯი; ტექსტი (25,6×17) მხედრული ხელითაა გადაწერილი; სათაურები სინგურით, თავის დასაწყისის პირველი ასოც სინგურით.

ხელნაწერში სულ 92 ფურცელია. ტექსტი თავდება 87^ე ფურცელზე, დანარჩენი ფურცლები დაუწერელია.

დასაწყისი:

აქა დაიწყების ჟიმშიდ ქემშიფის ვრანის მპყრობელის ანბავი, თათრულიდამ ქართულს ენაზედ გარდმოღებული, რომელიცა ეწოდების როსტომიანა.

იყო დიდი ქელშიფე, შერანის მპყრობელი, ჟიმშიტ-ჟამ, რომელსა შვიდი იყალიმი დაემორჩილებინა და იმასა მსახურებდენ; თავსა შვიდი უთარე თაჟი ეხურა; თაჟსა თითოს კუთხესა თითოს იყალიმ[ი]სა სახელი ეწერა; ოთხასნი ვეზირნი პარჯენას მხარეს; დაუსხდებოდნენ, ოთხასნი პარცხენს მხარეს დაუსხდებოდნენ, ოთხასნი შირანი ოქროს საწერელის მკონებელნი ხანგაწეით თავს ადგენენ; ოთხასნი მონაჯიბნი და ეარსკვლავთ¹ შრიცხველნი ესხდიან...

დასასრული:

შერაბ-შაჟ ზაალთან მივიდა. ზაალმა რა დინახა, ადგა, მაშინვე უთაუბა და თავისთან დასო და იმ დღეს უმფრო პატევი მისცა და თავებით ექცეოდა.

იმ დღეს უცხო ლხინი გარდაიხადეს. რა საღამოს ეამი მოახლოვდა, ადგა შერაბ-შა, ზაალს გამოეხოცა, წამოვიდა და თავისა არამხანასა შებძანდა და კიდევ ზაალს მრავალი ქება წარმოსთქუა რუდაბასთანა. რუდაბამ პასუხი არა მოახსენა რა. აქეთსა მხარეს ზაალმა თავის ფალანგებთან შუალამემდინ შეეჭკა.

რა მექლიში დაიშალა და ფალანგები თავ-თავის სადგომსა წაეიდნენ, ზაალ წამოდგა და რუდაბისაკენ გაემართა, რუდაბას სასახლესა ავიდა და გათუნებამდინ რუდაბასთან შეეჭკა.

ანდერძი:

აღიწერა ქელითა ჩემ ცოდვილისათა როსტომიანი ესე. აღმოკითხულენო, თუ რამეჲ შეტომილი ასო პოვით, ჭარ გამოუცდელი ვიყავ წერაში და რომელიც დედანში ეწერა, ისე დაუწერე და რომლითაც შეიძლებოდა, ემართე, ერთიც, რომ ფ-დ ვეჩქარებოდი, ამსათვის ვითხოვე მოშიტეით ცლომილება.

აღესრულა იენისის იე, წელსა ჩეიშ-სა ფ-დ ცოდვილი დიაკენი ანდრია აბულაზოვი.

ამ ანდერძით ვტყობილობთ, რომ ხელნაწერი XIX საუკუნის გარიგრაჲზეა გადაწერილი, სახელდობრ 1818 წელს, ვინმე ანდრია აბულაზოვისა მიერ.

ხელნაწერის აღწერილობა მოცემულია აგრეთვე წიგნში: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H-კოლექცია), ტომი II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ლილი ქუთათელაძის მიერ, ილია აბულაძის რედაქციით. თბილისი, 1951, გვ. 270.

თხზულებას ამ აღწერილობის მიხედვით, თანახმად ხელნაწერის ჩვენებისა, როსტომიანი ეწოდება.

ბ) S-2393 ხელნაწერი მუყაოს ყდითაა შემოსილი (21×17); ქალაღიცი ამავე ზომისაა; ტექსტი (19×13,5) მხედრული ხელითაა გადაწერილი; სათაურები და თავის დასაწყისის პირველი სიტყვა ზოგჯერ სინგურით, ზოგჯერ კი — ტექსტის მეღნი.

ხელნაწერში სულ 195 ფურცელია, 158^o—159^o ფურცლები დაუწერელია. დასაწყისი ნაკლულია. ბოლოში კი მხოლოდ რამდენიმე წინადადება აკლია.

¹ ხელნაწერში იკითხება: დაუსრულავათ.

² ხელნაწერით: რამაგე.

დასაწყისი:

... და თავის არამხანაში შებძანდა. რა დაღამდა, თავისი ვეზირნი და მოხელენი შეჰყარა და გამოუცხადა: ამას წინათაო რამდენჯერ რამღს ეჰყარეო, მაშინვე ესცან, რომ შე ის ხელმწიფობასაც წამართმევდა და ყათლანს დამმართებდა.

ესენი ასე გამოუცხადა, თითონ სახელმწიფო ტანისამოსი გაიხადა, ძველ-ძველი ტანისამოსი ჩაიყო; რადგან ქაბილოს ქვეყანა მაგრი იყო, იქით წავიდა.

ჩემშიტ ხელმწიფე ამ მიმავლობაში დაუტეოთ და რამდენიმე სიტყვა ამ წყევლი ეშმაკისა წარმოვთქვათ

იმ დღეს, ვინცა ვინ ჩემშიტ ხელმწიფის მოხელენი იყვნენ, თავიანთ სადგომს წავიდნენ. ხელმწიფის სასახლე კარიელი დარჩა. სამ დღეს კარხელ არაეინ მოვიდა; მეოთხე დღეს ვეზირნი და მოხელენი ერთობით შეიყარნენ ხელმწიფის სასახლეში და ის მოხუცებული კაცი იქ მოიყვანეს. ერთობილთ ჰკითხეს: ეს საქმე როგორ იყო, გეითხარო.

დასასრული:

მერაბ-შაჰ ზალთან მივიდა: ზალმა რა დანიხა, ადგა, მაშინვე უთავაზა და თავისთან დასვა და იმ დღეს უფრო ჰატვიე¹ მისცა და თავაზით ექცეოდა.

იმ დღეს უცხო ლხინი გარდაიხადეს. რა საღამო ეამე მოახლოვდა, ადგა მერაბ-შა, ზალს გამოეთხოვა, წამოვიდა და თავისა არამხანაში შევიდა და კიდევ ზალის მრაველი ჭება წარმოსთქვა რუღაბასთანა. რუღაბამ პასუხი არა მოახსენა რა. აქეთსა მხარეს ზალმა.

თუ ამ ტექსტს დავაკვირდებით, გასაგები გახდება, რომ H-900 ხელნაწერთან შედარებით S-2393 ხელნაწერს ბოლოში შემდეგი ადგილი აკლია:

თავის ფალანგებთან შუალამემდინ შეეცა. რა მექოში დიშალა და ფალანგები თავთავის სადგომსა წავიდნენ. ზაალ წამოდგა და რუღაბასკენ გაემართა; რუღაბას სასახლესა ავიდა და გათენებამდინ რუღაბასთან შეეცა.

რაც შეეხება დასაწყის ნაწილს, H-900 ხელნაწერის მიხედვით იგი მეორე ფურცლის დასასრულიდან იწყება, ე. ი. ამ ხელნაწერის მიხედვით S-2393 ხელნაწერს აკლია ის, რაც H-900 ხელნაწერის პირველ სამ გვერდზეა გადმოცემული: ჩემშიტის მეფობის აღწერა, ეშმაკის გამოცხადება ზოპაქთან და სხვ.

ანდერძი:

წელსა ჩელმ სეკდენბრის პირველსა გადაეწერე ესე წიგნი საამ ფალანგისა მე დავით ივანეს ძემ ამირამემ.

მკითხველნო, უკეთუ შეცდომა ჰყოლო, გთხოვთ ნუ დამგობობ, შენდობა ბძანეთ, იყოს მოსახსენებლად და სახსოვრად დამწერისა ამის.

აქედან ჩანს, რომ ხელნაწერი გადაწერილია 1838 წელს ეინმე დავით ივანეს ძემ ამირამის მიერ.

S-2393 ხელნაწერის აღწერილობა მოცემულია აგრეთვე წიგნში: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტომი III, შედგენილია და დასაბეჭდად დაშუალებული თ. ენუქიძის, ე. მებრეველის, მ. ქავთარიას, ლ. ქუთათელაძის, მ. შანიძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ე. მებრეველის რედაქციით, თბილისი, 1963, გვ. 237.

¹ ხელნაწერთ: ფატვიე.

ამ აღწერილობის მიხედვით თხზულებას, გადამწერის ანდერძში წარმოდგენილი დასათურების თანახმად, „წიგნი საამ ფალავნისა“ ეწოდება, რასაც სპარსული წყაროებიც მხარს უჭერს.

გ) გარდა ამ ორი ხელნაწერისა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, არსებობს კიდევ ერთი ხელნაწერი H-605—606. ამ ხელნაწერს ორი ნომერი იმიტომ აქვს, რომ თხზულების დასაწყისი წარმოდგენილია H-605 ხელნაწერის ბოლოს (76-ე ფურცლიდან); მას აქ სულ 11 ფურცელი უჭირავს, ხოლო მის გაგრძელებას კი — მთელი H-606 ხელნაწერი.

დასაწყისი:

[მოხელეთა ყველამ იყაბულეს. ზექქ აიყვანეს და ტახტზე დასვეს და ხელმწიფობა მიულოცეს. ზექქმაღ თავისი მოხელენი თავ-თავის განაწესებაზე დააყენა, შვიდს იყაბულსა ფსკრუნიბი მისწერა, თავის გახელმწიფება გამოუცხადა.

შვიდი იყაბუმი დაიპყრო!; ესრეთ უხვი და მოსამართლე კელმწიფე შეიქმნა, რომ ჩამოიტ ქელმწიფე დააიწყუა ხალხსა. თავის სახელმწიფოები რომ განაგო სრულბით, რაოდენსამე ხანსა ჩომოიტ კემწიფეს ძებნა დაუწყო.

H-900 ხელნაწერით ამას უდრის მეორე ფურცელის მარცხენა მხარეზე წარმოდგენილი ადგილი:

ტექსტი წყდება H-606 ხელნაწერის 133¹ ფურცელზე:

ერთი ხმა შემოგნმა: ში ფალავნო, შენ შადიდისაგან ხელი აიღე, რომ ეს თილისმის დარღვევა შენგან არ იქნებაო და არც შადიდის სიკვდილი შენგან არ იქნება. ეს თილისმა, შენი ერთი შვილის შვილი ფალავანი გამოვაო, იმის სახელზე არა გაკეთებულია, ამ თილისმას ის დაარღვევს და შადიდსაც ის მოკლავსო.

რა ესე შევიტყუე, ხელი ავიღე და აქ გაახლო; ის ღამე...

ეს ადგილი გვხვდება თავში: ეს ამბავი აქა დაუტოოთ და მცირე რამ ამბავი შადიდის ქალის თუთის წარმოვსთქვათ. ამას უდრის H-900 ხელნაწერის 71² - ე და 71³ ფურცელზე წარმოდგენილი ტექსტი. ჩანს, H-606 ხელნაწერს საკმაო ნაწილი აკლია.

ხელნაწერები (H-605-606) მუყაოს ყდაშია ჩასმული (35,5×22); ქალაღი (34,6×22), ტექსტი (31×18,5) მხედრული.

H-605 ხელნაწერი კრებულს წარმოადგენს. მასში მოთავსებულია ისტორიული ხასიათის ცნობები და მოთხრობები, რომელთა შორის საკმაო ადგილი უჭირავს ნადირ შაჰის ისტორიას. H-606 ხელნაწერი კი, როგორც აღინიშნა, H-605 ხელნაწერის ბოლოს დაწყებული თხზულების (წიგნი საამ ფალავნისა) გაგრძელებას შეიცავს. მასში სულ 188 ფურცელია მოთავსებული. დაუწერელია პირველი ორი და უკანასკნელი (133¹—188³) ფურცლები.

აღნიშნული ხელნაწერები ქ. პეტერბურგში 1909 — 1910 წლებში გადაუწერიათ ქართველ სტუდენტებს.

მოთხრობას (წიგნი საამ ფალავნისა) წინ უსწრებს შემდეგი საყურადღებო განმარტება:

ქართული თარგმანი სპარსულ მოთხრობის ფერადუნ¹ და ზოაქის შესახებ.

¹ ხელნაწერი: დაიპყარ.

² დაიწხა.

³ ფერმიღუნა.

ხელნაწერი ეკუთვნის მე-XVIII—საუკ. დასასრულს და დაწერილია მხედრული ასოებით. ხელნაწერში 128 თაბახია; დასაწყისი ფოთლები დაკარგულია. შინაარსით ეს ხელნაწერი დიდად მოგვაგონებს ფირდუსის „შაჰ-ნამეს“¹. გადათარგმნილ იქნა ხელნაწერი ქართულად სწორად მე-XVII -ს. დასასრულს. ხელნაწერში ხშირად გვხვდებით ხოლმე სპარსული და თათრული სიტყვები.

აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ თხზულება სპარსული მოთხრობის (ე. ი. სპარსული პროზაული თხზულების) ქართულ თარგმანადაა მიჩნეული. ამ ცნობის თანახმად მას „ფერიდუნ და ზოჰაქის მოთხრობა“ ეწოდება.

აქედან ცხადია, რომ H-900 ხელნაწერის ცნობა, თითქოს აღნიშნული თხზულება, რომელსაც იგი „როსტომიანად“ ასათურებს, თართულიდანაა ქართულს ენაზედ გარდმოღებული, არ არის ურყევი, რადგანაც H-605 ხელნაწერის და მისი დედნის მიხედვით იგი სპარსული მოთხრობის ქართულ თარგმანს წარმოადგენს.

ხელნაწერების აღწერილობა მოცემულია აგრეთვე წიგნში: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტ. II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ლილი ქუთათელაძის მიერ, ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1951, გვ. 64—65.

4) „ბაამიანის“ ხელნაწერი

„ბაამიანი“ მხოლოდ ერთადერთი ხელნაწერთაა შემონახული (A—999). იგი სხვა თხზულებებთან ერთად მოთავსებულია დიდ კრებულში, რომელსაც „შეხვეტილიანის“ სახელით იცნობენ.

მთელი კრებული 736 ფურცელს შეიცავს; ყდა მუყაოსი (31,8×21), კოლენკორგადაკრული. ქაღალდი (31×21); ტექსტი (24,5×15,5) მხედრული. სათაურები სინგურით; თავის დასაწყისის პირველი სიტყვის პირველი ასოც სინგურით.

კრებულში „ბაამიანთან“ ერთად სხვა თხზულებებიცაა გაერთიანებული; აქვეა „ყარამიანის“ ზოგიერთი თავი, ნაწილები „ამირან-დარეჯანიანისა“, „წიგნი მცირე ბარამ-ჰაბუსისა“, „წიგნი ჩინელთა ჰაბუსისა მირისა“ (იგივე „მირიანი“), „წიგნი ჩარადერიანიანისა“, „წიგნი თიმსარი“ („თიმსარიანი“), „წიგნი სიბრძნე-სიცრულისა“, „დღისა და ღამის გაბაასება“, „ანბანთქება“, „წიგნი კრებისა“, „ბაასი შემოდგომა-ვაზაფხულისა“, „ბაასი ხილთა“, „ბაასი ვარდ-ბულბულისა“, „მაჰამა“, „წამება ქეთევან დედოფლისა“, „ქრისტიანისა და თათართ ბაასი“.

როგორც კრებულის ზანდუკიდან (სარჩევიდან) ჩანს, პირველ ადგილზე მოთავსებული ყოფილა „როსტომიანი“, შემდეგ კი „ბაამიანი“. ასე უწოდებს მას ზანდუკის გადამწერი, რაც სწორია, მაგრამ თვით ტექსტში თხზულებას „ბაამიანი“ ეწოდება და ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაშიც მისი სახელი ასე დამკვიდრებულია.

კრებული გადაწერილია ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ XVIII საუკუნის 1774—1779 წლებში.

¹ შაჰ-ნამეს.

ანდერძი:

ჩემთვის შენდობა ბრძანეთ, რამეთუ ნაშრომი ესე დარჩებოს და ჩვენ წარვალთ... ზოგ ანბავს აკლია, ამათ რომე, რომელიც დედანი ვიშოვე, ნაკლები იყო და შერამე ცდით ბევრსა ვეცადე და შესათვეებელი დედანი ველახისადა ვიშოვე, თორემ მსურდა ამითა შესრულებით იყო-ფილიყო (ფ. 736^რ).

„შეხვეტილიანში“ მოთავსებული „ბაამიანის“ დასაწყისია:

... გარდმოვღია. აწ გულმოვა ჩემი თქვენ დაგემონება და აგრევე სკვათა მისცეს და არაივნ დაუღონდა. ერთი ფალეანი ტუსის

აქა ლულისაგან ფეროზ ტუსის შვილისა შეპყრობა

შვილი ფეროზ იყო. მის მეტი ვერაივნ მოვქმარ...

ტექსტი წყდება 78^რ ფურცელზე:

სფაღარი ბარზინ და როსტომ-თურ უკანა მისდევდეს ქმალმოწვდინი; ეზომი ერთი დაჟოეს ბაამიანის ლაშქართაგან, რომე დაჟოილთა ანგარიში და დაჟულა არ ეგებოდა. ეზომი გულოვანი შემოარო დაჟოცა და დაჟატუვევეს, რომ კაცთა გონება და ქვეა ვერ მოიგონებს, რომ აღეროცხოთ. ექესასი ასი ათასი მოკედა და დატუვევედა ამ ორს შებმაში. დააქლა ბაამიანს; შერამე ბაამან...

ამ ამონაწერიდან ცხადია, რომ „ბაამ კელმწიფის წიგნს“, ანუ „ბაამიანს“ თავი და ბოლო აკლია. დასაბანი ისიცი, რომ ხელნაწერს, როგორც ამას ვადამწერიც აღნიშნავს, შიგა და შიგ ამბები აკლია. ასე, მაგალითად, ნაწილები აკლია შემდეგ თავებს: 1) აქა ფარემუზის შვილის საამისა და სალამანის ომი (ფ. 25^რ), 2) აქა სალამანის სიყვილი. დასტანის კელითა (26^რ), 3) აქა ფარემუზისაგან ქოთალის მოკვლა და სკვათა ფალეანთა (ფ. 31^რ), 4) აქა ბაამან კელმწიფისაგან საურ მეფისათვის ნიშოდორის შესმა, წამლის განქარეება და ქიშპარ ქალაქსა შესვლა ბაამიანისაგან (ფ. 49^რ—50^რ), 5) აქა ბარზინ, როსტომ-თურ და ბანგიჯასპი და მისი დების ერთად სკლომა და ლაპარაყი (ფ. 70^რ — 70^რ), 6) აქა ბარზინისაგან წიგნისა და პასუკის მიწერა ფარსის წინაშე და სხვა ანბავი (ფ. 72^რ), 7) აქა ბარზინისა და მისთა დათა ბორსაპისას მისვლა (ფ. 73^რ—74^რ), 8) აქა ფალეაუნი ბარზინისაგან დიდის ვეშაპის შებმა და მოკვლა (74^რ—75^რ), 9) აქა ბარზინისა და ბორასპის ასულის შებმა (ფ. 75^რ — 75^რ), 10) აქა ბარზინისაგან როსტომ-თურისა და ბანგიჯასპის თავის ანბის შეტყობა (ფ. 76^რ), 11) აქა ბაამიანისა და მისთა ლაშქართა გატენა ბარზინისაგან და ბაამიანის გარდაქვეწვა.

აღნიშნული ხელნაწერის აღწერილობა მოცემული აქვს თ. ეორდანიას წიგნში: *Описание рукописей и старопечатных книг Церковного Музея духовенства Грузинской епархии*, გვ. 253 — 255.

მ. თამარაშვილის ცნობით (ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბილისი, 1902, გვ. 682) კაფუციანების ძველი მონასტრის არქივში Torre del Greco-ში პატრი ბერნარდეს წიგნებს შორის მოიპოვება ზღაპარი „ბაამა“, ერანის დიდი მეფის თავგადასავალი, რომელიც 113 ფურცელს შეიცავს.

აღნიშნულ ხელნაწერს ჭერაჭერობით ჩვენამდე არ მოუღწევია. შესაძლებელია, ის იყოს უფრო სრული ტექსტი „ბაამან-ნამეს“ ქართული ვერსიისა.

II. ზამოცემისათვის

ჩვენ მიერ გამოცემულ თხზულებათა ხელნაწერებში, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირთა მიერაა გადაწერილი, ცხადია, ორთოგრაფიის მხრივ ერთნაირი სურათი არ გვექნება. დარღვეულია წესი, როგორც ამას სხვა ნაწარმოებთა უფრო ადრინდელი საუკუნეების ხელნაწერებშიც აქვს ადგილი, უმარცვლო უ-ნისა და ქ-არის ხმარებისა. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს გადაწერის მიერ აღნიშნულ ასოთა ხმარება ნებისმიერია. ასე, მაგალითად, „ქელმწიფის“ გვერდით გვხვდება „ხელმწიფე“, „თქუა“ სიტყვის პარალელურად იხმარება „თქვა“ და სხვა მისთანანი. ამ მხრივ ხელნაწერებში ჰრელი სურათია. ჰრელი სურათია აგრეთვე ზოგ სიტყვათა ფორმების ხმარებისა და სახელთა გადმოცემის თვალსაზრისითაც; ასე, მაგალითად, სპარსული სიტყვის ბნბზნ-ის (სსს), რაც უდაბნოს (სიტყვესიტყვით უწყლონს) ნიშნავს, გადმოცემისათვის შემდეგი ფორმებია გამოყენებული, გვხვდება: ბ ა ე ბ ა ნ ი, ბ ე ბ ა ნ ი, იშვიათ ბ ე ა ბ ო ნ ი და სხვ.

ასეთსავე ნაირობას იჩენს ხელნაწერები სახელების გადმოცემის მხრივაც- გვხვდება, მაგალითად, ჯ ი მ შ ე დ, ჯ ი მ შ ი დ, ჯ ი მ შ ი ტ და სხვ.

ჩვენ ვეცადეთ ცალკეული სიტყვებისა და სახელთა ფორმების გადმოცემის თვალსაზრისით ხელნაწერებში არსებული ჰრელი სურათი უცვლელად დაგვეტოვებინა. ვიცოდით, რომ გამომცემელს, უეჭველად, არავითარი უფლება არა აქვს მისი ნება-სურვილის მიხედვით ასწოროს წინაპრების მიერ ნაანდერძევი ტექსტი, თუ ამჟამად შეცდომასთან არა გვაქვს საქმე, მისი ორთოგრაფია, ცალკეულ სიტყვათა და სახელთა ფორმები; ხელნაწერებში არსებული სურათის უცვლელად წარმოდგენა მკვლევარს მეტ მასალასა და შესაძლებლობას მისცემს. საკითხის ძიებისათვის, იქნება ის ენათმეცნიერული თუ ლიტერატურული ხასიათისა. სახელდახელოდ ავიღოთ, მაგალითად, სახელი რაქიად („უთრუთიან-საამიანის“ პროზაული ვერსია); აქა-იქ მის საბადლოდ გვხვდება რაქიუდ. ძნელი წარმოსადგენია ვიფიქროთ, რომ აღნიშნული სახელის თავდაპირველი ფორმაა რაქი ჰინდო. აღნიშნული სახელის ისტორია ხელნაწერთა მონაცემების მიხედვით ასეთია: რაქი ჰინდო—რაქი ჰინდ—რაქა იჰლი—რაქი აჰლ—რაქიად.

ხელნაწერებში წარმოდგენილი ეს სურათი და სხვა მისთანანი უცვლელად უნდა დარჩეს; იგი მკვლევართ, ჩანს, დაეხმარება. მსგავს შემთხვევაში სწორი ეტიმოლოგიური ძიებანი აწარმოონ.

„უთრუთიან-საამიანის“ ლექსითი ვერსიის ნაწილი, რომელიც, როგორც აღინიშნა, ორ ხელნაწერს (H-61, S-4000) დაუცავს, H-61 ხელნაწერის მიხედ-

ვით იბეჭდება, რადგან მეორე (S-4000) ხელნაწერში, როგორც ეს ზეითაც აღვნიშნეთ, ტექსტის მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი.

მკითხველს თვალში ეცემა ის გარემოება, რომ თხზულება ლაშქარ სიტყვის ნაცვლად დაინებით ლაშქარ ფორმას იცავს. მიუხედავად იმისა, რომ მის წყაროში — პროზაულ ვერსიაში, საიდანაც იგი გაიღექსა, ყველგან ლაშქარი იკითხება. ქართული მწერლობის აღრიხდელი ხანის ძეგლებშიც ლაშქარი გვხვდება და არა ლაშქარი.

სიტყვა ლაშქარი ქართულში სპარსულიდან შეთვისებული ჩანს (كش); მზია ანდრონიკაშვილისა და სხვა მკვლევართა აზრით იგი არაბული ასქარიდან კი არაა შეთვისებული, არამედ პირიქით, არაბული ფორმა სპარსულიდან შეთვისებულად ითვლება¹. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ მ. ა. ლაფაროვს, სპარსულ-რუსული ლექსიკონის ავტორს, ლაშქარი არაბულ სიტყვად არა აქვს მიჩნეული.

მკვლევრის მზია ანდრონიკაშვილის აზრით ახალი სპარსული ლაშქარ (كش) წარმოდება ძველი ირანული კომპოზიტისაგან — raša — kara — საშ. სპარს. raškār აბ. სპ. — laškar.

პირველი კომპონენტი აღნიშნავს ვნებას, ზიანის მიყენებას და სხვ., ხოლო მეორე ელემენტის ასახსნელად მ. ანდრონიკაშვილს ორი შესაძლებლობა აქვს გათვალისწინებული: 1. kara შეიძლება იყოსო, ამბობს ის, სახელთა მწარმოებელი სუფიქსი kara > kar, gar||kara > —kār—gār 'მოქმედი, მკეთებელი'. მაშინ ლაშქარ სიტყვის შინაარსი იქნებოდა 'მზგრეველი, თავდამსხმელი, გამანადგურებელი'.

2.-kar მომდინარეობს ძველი სპარსული სიტყვიდან kārā, რომელიც აღნიშნავს ჭარსა და ხალხს ქართული ერის მსგავსად. მაშინ ლაშქარის მნიშვნელობა იქნება 'გამანადგურებელი, თავდამსხმელი ჭარი, ხალხი'².

ერთი სიტყვით მზია ანდრონიკაშვილის მსჯელობის მიხედვით ძვ. ირანული raša—kara საშ. სპარსულში გვაძლევს raškār-ს და აქედან წარმოდგება ახალი სპარსული ლაშქარ.

მკვლევრის მსჯელობასთან დაკავშირებით სადავო არაფერი ჩანს, თუმცა მე ახსნის მეორე ვარიანტს უფრო დაეუჭერდი მხარს.

ახლა საკითხი იმას ეხება, თუ საიდან გაჩნდა XVII საუკუნის ძეგლში („უთრუთიან-საამიანის“ ლექსით ვერსიაში) ლაშქარი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლექსითი რედაქციის ავტორს, თუ გადაწყვერს, როცა მას ლაშქარ სიტყვის ნაცვლად ლაშქარ აურჩევია, რამდენადმე გამართლება კქონდა. სპარსულ ენას, როგორც ვიცით, მკვეთრები არ გააჩნია სპარსულიდან შემოსულ სიტყვებში, როგორიცაა, მაგალითად, კოშკი³. (كوشك, كش),

¹ მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი, 1966, გვ. 337—338.

² მზია ანდრონიკაშვილი, იქვე.

³ ახალი სპარსული ქოშქ თავისთავად უკავშირდება საშ. სპარსულ kōšak-ს (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები..., გვ. 333—334), მაგრამ ის ქართულში ახალი სპარსულიდან უნდა იყოს შეთვისებული, როგორც ამას დ. ჩუბინაშვილი (ქართულ-რუსულ-ფრანგულ ლექსიკონი, СПБ, 1840), იუსტ. აბულაძე (ვერსიები, I, გვ. 810) და ა. შანიძე (სინური მრავალთავი 864 წლისა, თბილისი, 1959, გვ. 326—327) ფიქრობენ.

ციხე-სიმაგრე, სასახლე და სხვ., მუშკი (مَشْك) 'მუშკი', აშკარა (اشكارا) იგივე მნიშვნელობით და სხვ. მისთანანი, სადაც ჩვენ სპარსულში შქ კომპლექსი გვაქვს, ქართულში გადმოსვლისას, თუ ისინი ჩვენში სხვა გზით არ არიან შემოქრილინი, ქ გამკვეთრებული და ქოშქ-ის ნაცვლად გვაქვს ქოშქ-ი, სადაც კ-ს გავლენით თავიკლურის ქ-ც გამკვეთრებულია. მუშქ-ის ნაცვლად — მუშკი, აშქარა-ს ნაცვლად აშქარა და სხვა მისთანანი.

ასეთ ვითარებაში შეუძლებელი არ არის სპარსულ ლაშქარ-ს ქართულში ლაშქარ-ი მოეცა; ყოველ შემთხვევაში ასეთი წაკითხვა მთლად უსაფუძვლო არ არის და მას ზოგიერთი პირი, ჩანს, ასევე წარმოთქვამდა და წერდა კიდევ.

„უთრუთიან-საამიანის“ პროზაული ვერსიის ტექსტი დაბეჭდილია ჩვენამდე მოღწეული ორივე (H-921 და S-1594) ხელნაწერის საფუძველზე. ტექსტში ნახვენებია. თუ რომელი ხელნაწერის მიხედვით რომელი ნაწილია დაბეჭდილი. წარმოდგენილი გვაქვს ვარიანტებიც.

ტექსტი თხზულებისა „წიგნი საამ ფალანისა“ H-900 და S-2393 ხელნაწერების მიხედვით იბეჭდება; ვარიანტებიც, ძირითადად, აღნიშნული ხელნაწერებიდან გვაქვს ამოწერილი. მესამე ხელნაწერი (H-605-606) და აგრეთვე ფრაგმენტების სახით სხვადასხვა წყაროებში შემორჩენილი ამ თხზულების ნაწილები, ძნელად გამოსაყენებელი აღმოჩნდა. ისინი სავსეა შეცდომებით; მათ შორის ყველაზე სრული H-605-606 ხელნაწერიც კი ამ მხრივ ნდობას ვერ იმსახურებს. ასე, მაგალითად, ერთგან იკითხება: „რა სწორად მაშინლა იცნო“ (ფ. 76^ა). უნდა იყოს: „რა სწორად გაშინჯა, იცნო“. „გაშინჯა“ სიტყვის ნაცვლად გადაშწერს „მაშინლა“ დაუწერია, რის გამოც აზრი გაბუნდოვანებულია.

აგრეთვე, იკითხება: „შაპრ ზინიწის ქალაქი“ (ფ. 47^რ). სიტყვა „შაპრ“ ქალაქს ნიშნავს, მაგრამ გაუგებარია, თუ რას ნიშნავს სიტყვა „ზინიწი“. S-2393 ხელნაწერის წაკითხვაც (ფ. 29^ა): შარ ზინის ქალაქი-ც არ არის გასაგები. H-900 ხელნაწერის წაკითხვა კი ნათელს ჰყენს საქმის ვითარებას. აქ (ფ. 53^ა) კვითხულობთ: შაპარი ზარინის ქალაქი, რაც ოქროს ქალაქს ნიშნავს.

მცდარი წაკითხვების შემთხვევები ბევრია. ასეთ ვითარებაში, ვფიქრობთ, რომ საკითხის ძიებისათვის ვერაფერს შეგვმატებდა ისეთი მეტისმეტად წარყვნილი ხელნაწერების ვარიანტების ჩვენება, როგორც H-605-606 და სხვა ფრაგმენტული სახით შემორჩენილი ხელნაწერებია.

მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა, შეიძლება აღინიშნოს, რომ H-605—606 ხელნაწერებში მოთავსებული ტექსტი ზოგჯერ გამოსადეგი ხდება. მაგალითად, H-900 ხელნაწერში (ფ. 43^რ) იკითხება:

„ერანელნი ერთსა მთასა ზედან ასულან და ხანდაგი შემოუვლიათ; დევნიც ნიხლომიან იმა თხრილისა პირსა და მიუწერიათ; ერანელნი დიდსა შეპირებასა არიან“.

აქ გაუგებრობას იწვევს სიტყვა „მიუწერიათ“, რადგან ტექსტში, არც ზემოთ და არც ქვემოთ, არსად მიწერაზე საუბარი არ არის. S-2393 ხელნაწერს აღნიშნული სიტყვა სულ გამოუტოვებია და ტექსტი ასე გაუმართავს:

„... დევნიც ნიხლომიან იმა თხრილისა პირსა და ერანელნი დიდ შეპირებაში არიან“ (ფ. 79^ა).

აქ აზრი გასაგებია, მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, თუ H-900 ხელნაწერში საიდან გაჩნდა სიტყვა „მიუწერიათ“, ან ის რომელი სიტყვის ნაცვალს წარმოადგენს. ამის პასუხს H-605-606 ხელნაწერთა ტექსტი იძლევა. აქ იკითხება: „დევნიც მიხლომან იმა თხრილის პირსა და მიუწერათ: ვრანელნი დიდ შეპირებებაში არიან“ (ფ. 73^რ). აზრი გასაგებია; არა „მიუწერიათ“, არამედ „მიუწერათ“, ე. ი. დევებს ვრანელნი შეუვიწროებიათ. ასეთ შემთხვევებში ჩვენ აღნიშნულ ხელნაწერშიც ვიხედებით და მით ესარგებლობთ კიდევ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერებში ძველი ასოები მ და უფრო იშვიათად ჯ გვხვდება. ამასთან, ჯ-ს ბუნება უფრო გარკვეულია, ვიდრე მ-სი.

საქმე ისაა, რომ იგი ზოგ შემთხვევაში ასო ე-ს ნაცვალადაა გამოყენებული. მაგალითად, თქვენ სიტყვის საბადლოდ თქვენ გვხვდება, ქუეყანას გვერდით იკითხება ქუეყანა და ა. შ. ვინ იცის, იქნებ მ ამ დროისათვისაც მონოფთონგი იყო და ზოგიერთ წარმოთქმაში ე-ს უდრიდა, მაგრამ არ არის მთლად ნათელი, თუ რომელ ბგერას უნდა გადმოსცემდეს აღნიშნული ასო ისეთ სიტყვაში, როგორიცაა, მაგალითად, სიტყვა მქრანნი. ტექსტში, რა თქმა უნდა, ქრანნი (მ-ს დაბოლოება გარეშე) გვხვდება, და სხვა მისთანანი. ვარიანტებში ყოველთვის არაა აღნიშნული ხელნაწერთა ორთოგრაფია.

ამ თხზულების (წიგნი საამ ფალაენისა) ტექსტის დაბეჭდვისას ჩვენ, მართალია, სხვა ხელნაწერებსაც ვიყენებთ, მაგრამ ძირითადად მაინც H-900 ხელნაწერის მონაცემებს ვემყარებით. საქმე ის კი არ არის, რომ აღნიშნული ხელნაწერი ყველაზე უძველესია (გადაწერილია ის, როგორც ითქვა, 1818 წელს და, მაშასადამე-20 წლით უფროსია S-2393 ხელნაწერზე, რომელიც 1838 წელსაა გადაღებული), არამედ ის საყურადღებო გარემოება, რომ მისი ენა ხალხური, დაახლოებით ისეთივე, როგორიც არის ხალხის წიაღში, ყოველგვარი გაშლაშინების გარეშე, ჩაწერილი ქართული ზღაპრებისა და თქმულებების ენა. ამ თხზულების შემდგომი დროის ხელნაწერები ნაკეთები ჩანს. გადამწერლები. ეტყობა, ცდილობდნენ ისინი იმ დროს არსებული ლიტერატურული ენისათვის დაეახლოებინათ და ამ მიზნით შეეცვალათ ცალკეულ სიტყვათა დაწერილობა, მათი ფორმები და წინადადებათა აგებულებანიც კი.

ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევაში უპირატესობა, წინააღმდეგ ზოგიერთი შეკლევრისა და ლიტერატორისა, იმ ხელნაწერს უნდა მიეცეს, რომელშიც ხალხის ხალასი მეტყველებაა წარმოდგენილი. ძველი ხალხური მეტყველების თავისებურებათა შესასწავლად ასეთ ძეგლებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. ამავე დროს ისინი საყურადღებო მასალებს იძლევიან, მთელ რიგ შემთხვევებში ნათელს ჰყენენ ქართული ლექსიკის, ენის სტრუქტურისა და ისტორიის განვითარების გზებს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხასიათის ნათარგმნი ძეგლების ენის ხალხურობა, მათი თავისებურებანი მხოლოდ ქართველი მთარგმნელების ნება-სურვილზე როდია დამოკიდებული. საქმე ის არის, რომ ასეთ თხზულებათა ორიგინალებიც მდაბიო, ხალხური ენითაა დაწერილი და მათი ქართულად გადმოტანისას, ცხადია, მთარგმნელებს, რაც არ უნდა დიდი მცოდნე ყოფილიყვნენ ისინი ქართული ლიტერატურული ენისა, ფრთხილად უნდა შეეცვათ კონდა.

ირანში ამჟამად დიდი მუშაობაა გაჩაღებული ხალხური ენის შესწავლისათვის. ფოლკლორული ნიმუშების გვერდით დიდი ყურადღება ექცევა ხალხური მეტყველების საფუძველზე შემუშავებულ წერილობით როგორც ლექსით, ისე პროზაულ თხზულებებს. „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებს შორის ამ თვალსაზრისით ყურადღებას სწორედ „წიგნი საამ ფალანისა“ იპყრობს; ის, შეიძლება ითქვას, ერთადერთი თხზულებაა, რომელიც ძირითადად ხალხური მეტყველების ნორმებს, მის თავისებურებებს იცავს.

თხზულება „ბაშაიანი“ ერთადერთი ხელნაწერის (A-999) მიხედვითაა დაბეჭდილი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ხელნაწერებში დიდ უმრავლეს შემთხვევაში ხმოვანთა ნაკლულობაც შეინიშნება. მაგალითად, უნდა იყოს „დაახეთქა“; იკითხება „დახეთქა“ და სხვა მისთანანი. აგრეთვე, მოსალოდნელი ორი ერთნაირი თანხმოვნის ნაცვლად ერთია წარმოდგენილი. მაგალითად, უნდა იყოს „თავისა“, იკითხება კი „თავისა“ და სხვა მისთანანი.

ჩვენ შევეცადეთ ასეთი შემთხვევებისათვის აღვედგინა ჩავარდნილი ხმოვნები და თანხმოვნებიც. გავასწორეთ აგრეთვე კალმის შეცდომებიც, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხან ერთი და იგივე სიტყვა ორჯერაა დაწერილი, როცა ამის საჭიროება არ არსებობს, ზოგჯერაც კი სიტყვაში ასობემა განშეორებული; მაგალითად, „მოვიდოდა“-ს ნაცვლად წერია „მოვიდოდოდა“ და სხვა მისთანანი.

შემოკლებულ სიტყვათა გახსნისათვის თვით ტექსტის მონაცემები გამოიყენეთ, სადაც ესა თუ ის შემოკლებული სიტყვა ზოგჯერ გახსნილი სახითაცაა წარმოდგენილი.

ტექსტის ლექსიკონი დაუურათ. იგი მომზადებულ მკითხველს გულისხმობს და, ცხადა, მასში არ წარმოგიდგენია ისეთი სიტყვების განმარტებანი, როგორცაა მაგალითად, დარბაზი, კოშკი, ნადიმი, ტაოკი, ტახტი და სხვა მისთანანი, რომელთა მნიშვნელობანი თანაბერდროვე მკითხველისათვის გასაგებია. ლექსიკონში საჭიროდ მიიჩნინეთ ზოგიერთი სახელის შეტანა და განმარტებაც: ზოგიერთი სიტყვის შესახებ აქვე მინდა ვიმსჯელო.

დ ა შ უ შ ი

აღორძინების პერიოდის ზოგ ძეგლში ჯაშუშის ნაცვლად დ ა შ უ შ ი გვხვდება; სიტყვა ჯ ა შ უ შ ი კი, როგორც ვიცით, წარმოშობით არაბულია (جاسوس — ჯასუს) და ნიშნავს ჯაშუშს, მხვერავს, მსტოვარს, მზირს და სხვა მისთანებს. იგი იმავე მნიშვნელობით სხვა აღმოსავლურ ენებშიცაა გავრცელებული, გვხვდება სპარსულსა, თურქულში და სხვაგანაც.

ძნელად დასადგენია, თუ ქართულში რა დროიდანაა იგი გავრცელებული; ყოველ შემთხვევაში ქართული ლიტერატურის კლასიკური ხანის ძეგლები, როგორცაა „ვისრამიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“, მას არ იცნობენ; „ამირანდარეჯანიანში“¹ კი გვხვდება:

„ისმენდი მეფეთ მეფეო, წავედით და ვიარეთ მრავალი დღე. მოვიდეს კაცნი ჯ ა შ უ შ ი ნი დორათ დილამისანი, გუითხრეს ამბავი ღაზნელთა“ (625,4), თუ იგი ტექსტში გვიანდელი ხანის გადაწერლების მიერ არაა შეტანილი.

¹ ესარგებლობთ ლილი ათანელაშვილის გამოცემით, თბილისი, 1967.

ქართული ლიტერატურის ხელახალი აღორძინების ხანის (XVI—XVIII საუკ.) განსაკუთრებით სპარსული ენიდან გადმოთარგმნილ ძეგლებში სიტყვა **ქ ა შ უ შ ი** ხშირად გვხვდება. ასე, მაგალითად, „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში¹ კითხულობთ:

ქიშვილიდამან **ქ ა შ უ შ ი** გაძერეს, მართ ვითა მელა,
ზადაჩამს ჰქადრეს: მოდიან, უამბეს მათ ყოველა (445, 1—4).

ერანელთზედ გაგზავნილო მოუვიდა **ქ ა შ უ შ ი** ა,
მოაკსენა: არის ყველა ქელიერთად მძინარია (4836, 1—2).

მეორე ტომში ალ. ბარამიძის მიერ გამოქვეყნებულ პროზაში, რომელსაც შეიძლება „ფრიდონიანი“ ვუწოდოთ, იკითხება:
ქელმწიფემან **ქ ა შ უ შ ი** გაგზავნა თურის ლაშქრის სანახავად და თვითონ მოისვენა (422, 8).

აღნიშნული სიტყვა გვხვდება „რუსულანიანშიც“²:

ჩემთა **ქ ა შ უ შ ი** ა დევთა ყრილობა ენახა (122, 6).

საინტერესოა, რომ „ბარამგურიანში“³ (იგივე „შვიდი მთიები“) სიტყვა **ქ ა შ უ შ ი** იმავე ფორმითაა წარმოდგენილი, როგორც ეს არაბულ-სპარსულ ენებში გვხვდება (ჟანსუს):

ერანს გაგზავნა **ქ ა ს უ ს ნ ი** ცნობად ამბისა მათსად,
იქმნა მან სახანი ჩინელთა ნუზლისა წლისა ათისად (1766, 1—2);
სცენს მათი საქმე **ქ ა ს უ ს თ ა**, ურბილად ყოფნა ჩარისა,
არც სიმაგრენი ციხისა, არ დაქმნა ღამე კარისა (1792, 1—2).

ეს მაგალიტები იმას ადასტურებს, რომ სიტყვა **ქ ა შ უ შ ი** ჩვენში საკმაოდ გავრცელებულია და ქართულ ლექსიკაში მტკიცედ დამკვიდრებული. იგი, როგორც ამას ზემოწარმოდგენილი მაგალიტები მოწმობს, ქართულში როგორც **ქ ა ს უ ს -ის**, ისე **ქ ა შ უ შ -ის** ფორმით გვხვდება.

სიტყვა **ქ ა შ უ შ ს** იცნობს ს. ორბელიანიც: იგი მას ასე განმარტავს: **სხვათა ენაა, ქართულად მსტოვარი და აეშავი ჰქვიან**⁴. შეიძლება ამ „სხვათა ენის“ გამო არ შეიტანა ის „ქილილა და დამანას“ ტექსტში⁵. აქ იკითხება:

ქაბუკი იგი ნუთუ მსტოვარი იყოსო? (II, 299, 2).

საინტერესოა, რომ ავტოგრაფზე, როგორც ამას „ქილილა და დამანას“ ლექსიკონის ავტორი ე. მებერეველი აღნიშნავს (გვ. 319), საბას „მსტოვარის“ განმარტებისათვის მისივე ხელით მიუწერია „ქაშუში“, რაც შეიძლება

¹ პირველი ტომი გამოსცა იუსტიანე აბულაძემ 1916 წელს; მეორე დაბეჭდა იუსტიანე აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის, აკ. შანიძის რედაქციით, კომენტარებითა და ლექსიკონით 1934 წელს.

² რუსულანიანი, ილია აბულაძის და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957.

³ ნოდარ ციციშვილი, შვიდი მთიები, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით, გამოკლევით და ლექსიკონით, თბილისი, 1930.

⁴ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტომი IV, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თბილისი, 1966.

⁵ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტომი II, ალ. ბარამიძისა და ე. მებერეველის რედაქციით, თბილისი, 1962.

იმას მოწმობდეს, რომ XVII—XVIII საუკუნეებში „სხვათა ენა“ ჯაშუში საკმაოდ ავიწროებს ქართულ მსტოვარს.

ყურადღებას ის გარემოება იპყრობს, რომ „შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიების III ტომში გაერთიანებულ ტექსტებში, განსაკუთრებით „უთრუთიან-საამინის“ პოეტურ და პროზაულ ვერსიებში, ჯაშუშ-ის პარალელურად დაშუშ-ი გვხვდება: ასე, მაგალითად, S-1594 ხელნაწერში იკითხება:

ერთი და შუში მოვიდა (ფ. 1067);

რა ესე და შუშის საგან გაიგონეს (ფ. 1067);

მოვიდეს და შუშენი და მოახსენეს ყუელი, ჩაცა თვალითა ენას (ფ.97).

ასევე იკითხება H-921 ხელნაწერშიც:

რა ესე საუბარი გაიგონა და შუშის საგან, დია ეწყინა (ფ. 97);

ფიცხლავ გაგზავნილნი და შუშენი წავიდეს (ფ.97) და სხვ.

ტექსტში აქა-იქ ჯაშუშიც იკითხება:

ახლა ქმალი უნდა, შევიტერება არას გვარგებს, ჯაშუშენი კიდევ გაეგზავნოთ და შევიგნათ, თუ როგორ მოლიან (H-921,97);

გაძერა ჯაშუში, თამურაზს ასრე ჰკადრეს და უთრუთს (H-921, ფ. 110).

„უთრუთიან-საამინის“ პოეტურ რედაქციაშიც ორივე ფორმაა წარმოდგენილი. გვხვდება და შუში და ჯაშუშიც:

თამურაზ ღეუთა ზედა და შუშე ბი წაუყენა,

მობრუნდეს და მოახსენეს ღეუებზედა დიღო წყენა (გვ. 157).

გამომართენ საომრად, ცხენებთა ეღვათ რახტია,

ეს თამურაზს უამბო, აღრე ჯაშუში გახლტა (გვ. 257).

ვფიქრობთ, ინტერესს არ იქნება მოკლებული, თუ იმასაც აღვნიშნავთ, რომ სიტყვა ჯაშუში და შუშ-ის ფორმით „როსტომიანშიც“ გვხვდება:

ომან, ფირან დიდებულნი უაბჯრომან შეაშინა,

ენახოთ, ფარღარ მოგვივიდა, გყუა და შუშა დ როსტომს წინა
(ტომი 11, 3743).

ამ მაგალითებით ცხადია, რომ საქმე კალმის შეცდომასთან კი არა გვაქვს, არც მომდევნო შ-ს გავლენით დ-ს ნაწილობრივ დისიმილაციასთან, როგორც ეს პირველი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, არამედ ჯ და დ ბგერების გარკვეულ მონაცვლეობასთან. ამასთან, გასათვალისწინებელია ის საგულისხმო გარემოება, რომ და შუში და შუშ-ი და შეროეულია და არა პირველადი.

არ არის საფიქრებელი, რომ სპარსულ-არაბული ენებისად სიტყვა ჯაშუშ-ი ჩვენში და შუშ-ის ფორმით შემოკრილოყოს და შემდეგ დ-ს ამ კერძო მაგალითში ჯ ბგერა მოეცა მსგავსად ჯოჯოხეთისა, რომელიც აკ. შანბეის ფალაურიდან მომდინარე მიაჩნია და მისი ისტორიაც ასე აქვს წარმოდგენილი: დოქახეთი—დოქახეთი—ქოქახეთი—ქოქახეთი, ე. ი. აქ გვაქვს, როგორც ხმოვნების ასიმილაცია, ისე თანხმოვნებისა. თავკიდური დ თუ ჯ-დ იქცა,

შენიშნავს ა. შ ა ნ ი ძ ე, ამის მიზეზია მომდევნო ჯ, რომელიც თავის მხრით შ-საგან ჩანს განვითარებული ქართულ ნიადაგზე¹.

შეიძლება აღინიშნოს ისიც, რომ ქართულში გვაქვს აგრეთვე ჯოჯობეთის აღმნიშვნელი სიტყვა დოზანა, რაც ფალაურ-სპარსულ დოზახს-ენათესავება.

სპარსული ენის მკვლევართათვის ცნობილია ის გარემოება, რომ შ ბგერა ჯ-დ შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, შალე (شال) შეიძლება წარმოიქმნას, როგორც ჯალე (عجالي), აგრეთვე სიტყვა შალარ (شالار) — როგორც ჯალარ (جالب — ჩინჩახვი) და სხვ.

ჯ ბგერა სპარსულში შეიძლება გ ბგერითაც შეიცვალოს. მაგალითად, ჯომბად (جند) შეიძლება წარმოიქმნას როგორც გომბად² (گند — გუმბათი). ასეთივე მდგომარეობა გვაქვს დიალექტებშიც ქოჯა جاج სიტყვის ნაცვლად შეიძლება გაიგონოს ქოქი (სად) და ქოვალ-ის ნაცვლად გევოლ (ტომარა)³ და სხვ..

ბგერათა ამ მონაცვლეობას არაბული წარმოთქმების გავლენით ხსნიან. როგორაც არ უნდა ვიფიქროთ, არსადაა დადასტურებული, რომ ჯ ბგერას არაბულ-სპარსულ ენებში დ ენაცვლებოდეს ან პირიქით, ამიტომ, ვფიქრობთ, არა გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ქართულში სიტყვა ჯაშუენი და შუე-ში ის სახით შემოსულიყო და შემდეგ, ქართულის ნიადაგზე, დ ჯ-დ გადაკეთებულყოფს. აქ პირიქით მოვლენასთან გვაქვს საქმე. რა უნდა იყოს ამის მიზეზი?

ა. შ ა ნ ი ძ ე ეხება ჯ ბგერის წარმოშობის წყაროებს ქართველურ ენებში. ის ამბობს, რომ „მრავალი სიტყვა, რომლებშიც იგი გვხვდება, ნასესხებია სხვა ენებიდან (არაბულიდან, სპარსულიდან, თურქულიდან, სომხურიდან და სხვათაგან) და ჯ ბგერა ამ ნასესხებ სიტყვებთანაა არის მოყოლილი“ (გვ. 225). მაგალითებს შორის მკვლევარს სიტყვა ჯაშუე-შიც აქვს შეტანილი. ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ აღნიშნულია ისიც, რომ ჯ ბგერა ხშირია ქართველურ ენათა საკუთარი ფონდის სიტყვებშიც, მაგრამ მკვლევარი ძირითადად კოლხურ (ჭანურ-მეგრულ) მასალებზე შეჩერებულა. აუთმცა მაგალითები სხვა ენებიდანაც აქვს მოშველიებული. ჯ ბგერის წარმოშობის ერთ-ერთ წყაროთაგანად ა. შ ა ნ ი ძ ე ს მიაჩნია დი კოპლექსი, თუ მას ხმოვანი მოსდევს (დი+V). მომდევნო ხმოვნის გავლენით o-დ ქცეულა, მას წინამაყალი დ გაუპალატალებია და ორივეს ერთად ჯ მოუცია.

მკვლევარს ამ ნიადაგზე განხილული აქვს მეგრული სიტყვების ჯაკელი (ქართ. დიაკელი), ჯაკონიას (ქართ. დიაკონია) და სხვათა წარმომავლობა.

ს. ჯ ი ქ ი ა⁴ განიხილავს ა. შ ა ნ ი ძ ი ს ამ დაკვირვებას. ის წერს:

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნ. განყოფილების მოამბე, 1960, № 2, გვ. 233. ჯოჯობეთი შ. ანდრონიკაშვილისა და ფალაურიდან შემოსულ სიტყვად მიაჩნია: ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი, 1966, გვ. 414—415.

² ესარგებლობთ შ. ა. დ ა ფ ა რ ო ვ ი ს რუსულ-სპარსულ ლექსიკონში წარმოდგენილ მაგალითებით.

³ ლ. თ უ შ ი შ ე ო ლ ი, სემანის დიალექტების ძირითადი ფონეტიკური თავისებურებანი, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 108, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, IV, 1964, გვ. 101.

⁴ აკაკი შანიძის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 118, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, VI, 1967.

ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ მიკვლეული მაგალითის საფუძველზე ნათლად გაირკვა, რომ ქართველური ენების ბგერათა კომპლექსი დ ი ა გარკვეული დროიდან კოლხურში. ანუ ზანურში (ე. ი. მეგრულ-ლაზურში) გვაძლევს ჭა ფონეტიკურ შესატყვისობას (გვ. 17) და აღნიშნავს, რომ „ეს ფონეტიკური კანონი ექვემდებარება“. ამ კანონით მომავალშიც შეიძლება ბევრი რამ იქნეს ახსნილი. ამდენად, მისი მნიშვნელობა შორს მიმავალია. ამ ფონეტიკურ კანონს, ვფიქრობ, შეიძლება ეწოდოს ა. შ ა ნ ი ძ ი ს კანონი“ (გვ. 13).

თვითონ ს. ჯ ი ქ ი ა დააკვირდა საქართველოში არსებულ ერთ-ერთი სოფლის სახელწოდებას—ო ხ ო რ დ ი ა ს. იგი მას სამართლიანად მიაჩნია ა. შ ა ნ ი ძ ი ს ნავარაუდები ო ხ ო რ ჯ ა სიტყვის პროტოტიპად. ლაზური ოხორჯა, რომელიც ქალს, ცოლს ნიშნავს, განაგრძობს ს. ჯ ი ქ ი ა, ა. შ ა ნ ი ძ ი ს ფონეტიკური კანონის მიხედვით, ოხორჯისაგანაა წარმომდგარი: ოხორ სახლია, ხოლო დია — დიდა—'დედა', ოხორ (იშ) დიდა—ოხორდია (შდრ. ქართ. დიასახლისი).

ოხორდიაო, მართებულად შენიშნავს ს. ჯ ი ქ ი ა, როგორც სოფლის საკუთარი სახელი, შეიძლებადა შემონახულიყო პირველადი ფორმით, ხოლო ო ხ ო რ დ ი ა, როგორც ზოგადი სახელი, ო ხ ო რ ჯ ა-ში გადავიდა (გვ. 19).

ა ლ. ც ა გ ა რ ე ლ ს¹ უზრუნველყოფს მიუტკევი იმ გარემოებისათვის, რომ მეგრულში ხ ი დ ი ს საბადლოდ ხ ი (ბ) ჭ ი ხ მარება. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა შენიშნავს, რომ ეს მაგალითი შესატყვისობის დასადგენად გამოუსადეგარიყო. ხინჯ-ის ჭ მეორეულია, იგი დ-საგანაა მიღებულიო².

მკვლევარი იმსაც დასძენს, რომ „ალ. ცაგარელთან გარჩეული არაა ნამდვილი შესატყვისობის შემთხვევები მოჩვენებითი შესატყვისობის შემთხვევათაგან; ეს სხვა შემთხვევები შერჩეულია იმის მიხედვით, შეიცავს თუ არა ესა თუ ის სიტყვა ჭ-ს მეგრულში და რა ბგერაა ამავე მნიშვნელობის მქონე ქართულ სიტყვაში“ (გვ. 218).

ამ სხვა შემთხვევათაგანად ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა ს სხვა მაგალითებთან ერთად, რაც ა ლ. ც ა გ ა რ ე ლ ს აქვს წარმოდგენილი (ჩიხა—ციხე. ჭა—ხე და სხვ.), ეს მაგალითიც მიაჩნია.

ა. შ ა ნ ი ძ ე ხ ი (ბ) ჭსა და მსგავს შემთხვევებისათვის სახელობითის იმის გავლენას ვარაუდობს (გვ. 232).

ისევ ჩვენს და შ უ შ ს მიუვებრუნდეთ. „უთრუთიან-სამიანის“ პროზაული ვერსიის ერთ-ერთი ხელნაწერი (სახელდობრ S-1594), როგორც მისი მინაწერი მოწმობს, გადაწერილია სამეგრელოში XVII საუკუნეში (1647 წელს) ლ ე ვ ა ნ II და დ ი ა ნ ი ს კარზე, იმ დროის კვალობაზე განათლებული პირის პოეტისა („ზაქიანის“ ავტორის) და მხატვრის შ ა შ უ ჯ ა თ ა ვ ა ქ ა ლ ა შ ე ი ლ ი ს მიერ. მეორე ხელნაწერიც (H-921) XVII საუკუნისაა, ოღონდ უცნობია მისი გადაწერის თარიღი და გადაწერის ვინაობა. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ეს ხელნაწერიც სამეგრელოში, ლევან II დადიანის კარზე იყოს დამზადებული.

ლექსითი რედაქციის ხელნაწერის გადაწერი და თარიღიც უცნობია, ხო-

¹ Мингрельские этюды, вып. II, Опыт фонет. мингр. языка. СПб, 1880, гв. 64.

² არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები, თბილისი, 1945, გვ. 217—218.

ლო მის გამლექსავედ კი ბარძიმ ეაჩნაძეა მიჩნეული. ბარძიმ ეაჩნაძე და მამუკა თავაქალაშვილი ორივე, როგორც ეს დღეს ცნობილია ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის¹, სამეგრელოს მთავრის ლევან II და დიანის (გარდ. 1657) ტყვეები ყოფილან. ლევანის კარზე, როგორც ჩანს, დიდი ლიტერატურული მუშაობა ყოფილა გაჩაღებული. კერძოდ, აქ ყოფილა ვალექსილი „უთრუთიან-საამიანი“ (ეაჩნაძის მიერ), ხოლო „ზაქიანი“ (თავაქალაშვილის მიერ); ამ ორ პოეტთაგან ერთი (ეაჩნაძე) კახეთიდან იყო, ხოლო მეორე (თავაქალაშვილი)—იმერეთიდან. საუფიქრებელია, რომ აღნიშნულ ხელნაწერთა დედნებში იყო დაცული ჭსა და დ ბგერების მონაცვლეობა; გადამწერები და გამლექსავეები ძირითადად იტყვენ მასალის თავისებურებას, მაგრამ საკითხავე სწორედ ის არის, თუ საიდან გაჩნდა დედნებში აღნიშნულ ბგერათა მონაცვლეობა.

ქართული ენის მონაცემებიდან თუ გამოვალთ და გავითვალისწინებთ სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილ მასალებს, შეუძლებელი ხდება ჭს და მოეცა კანურ-მეგრულში. პირიქით კი შეიძლება მომხდარიყო, ქართული დამუშავი კოლხურში ჭაშუშად გაფორმებულიყო და არა ჭაშუშის დამუშავად.

ასეთ ვითარებაში შეიძლება დაისვას საკითხი: ა) ხომ არა გვიქვს აქ მეგრულის გავლენა? მეგრულში დღესაც ხომ მოიპოვება ბევრი ისეთი მაგალითი, სადაც აშკარად ჩანს ჭსა და დ-ს მონაცვლეობა. ასე, მაგალითად, ჭვარის თემის მცხოვრებლები თავს ჭუჭი სიტყვით აღნიშნავენ იმ შემთხვევაში, როცა ზუგდიდელების წარმოთქმაში იგი დედით გამოიხატება. ასევე ზუგდიდელების რაგადი (ლაპარაკი) ჭვარელების მეტყველებაში რაგაჯად წარმოითქმის და სხვა მისთანანი².

ბ) ან ამ რამდენიმე საუკუნის წინ ხომ არ არსებობდა ქართული ენის რომელიმე დიალექტში ჭსა და დ ბგერების მონაცვლეობა და ჩვენს სამწერლობო ძეგლებში იგი გადანაშთის სახით იყოს წარმოდგენილი?

ზაბილი, ზაბილური, ზაბულური

„შაპ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში გვხვდება სიტყვები **ზაბილი**, **ზაბილური**, **ზაბულური**. სიტყვა ზაბილური აღორძინების პერიოდის ძეგლში—„რუსულანიაშიც“³ იკითხება: უკრავდეს სპილენძ-ჭურსა **ზაბილურსა** და სინჯსა (გვ. 362,20).

საკითხი ეხება იმას, თუ რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა **ზაბილური**? ტექსტზე დართულ ლექსიკონში იგი ასეა ახსნილი: ზაულისტანური (ზაულისტანი—ირანის პროვინცია).

გამოდის, რომ სიტყვა ზაბილური სპილენძ-ჭურის ამხსნელია, მისი მსაზღვრელია (ზედსართავადაა გამოყენებული), თითქოს ზაულისტანურ სპილენძ-ჭურს (დიდ ნალარას) „უკრავდეს“.

¹ კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1958, გვ. 341—345.

² ესარგებლობთ არნ. ჩიქობავას მიერ წარმოდგენილი მაგალითებით, ზოგადი ნათმეცნიერება, II, თბილისი, 1945, გვ. 171.

³ ტექსტი გამოცემულია ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957.

ზაული (ზაბული), ზაულისტანი (ზაბულისტანი) ქართულ საგმირო ხასიათის ლიტერატურულ ძეგლებში („შაჰ-ნამეს“ ვერსიები და სხვ.) საკმაო სიხშირით გვხვდება. ასე, მაგალითად, „როსტომიანში“¹ ფალავანი საამის (ზაალის მამის) შესახებ იკითხება:

„ბერი შილა მისცემია“, ნუ დააგებთ ზაულს ქმას,
თავარ აწვე დაეიარვეი, გაეუღრდები შრგან ზღვასა (1100,1-2)

აგრეთვე, სიათონის მოკვლის ამბავი რომ გაიგეს ირანელმა გმირებმა — როსტომმა, ზაალმა, გურგენმა და სხვ. ნათქვამია²:

პირსა იხოქდა კელითა, თმა-წერი მოპარსულია,
ერთ კვირას მითან ტიროდეს ზაულისტანი სრულია (3142,3-4).

ჩანს, რომ ჩვენს ვერსიებში სიტყვა ორი ფორმით (ზაული, ზაულისტანი) დამკვიდრებულა. იგი სპარსულ ტექსტებშიც ამავე ფორმებით გვხვდება. შეიძლება იყოს ზაულ (ژاو) ან ზაულისთან (ژაულსან), აგრეთვე ზაბულ (ჯაბ) ან ზაბულისთან.

ვულერსის ცნობილი ლექსიკონი³ იცხობს აგრეთვე ფორმას ზაბილ (ჯაბ); აქვე შეენიშნავთ, რომ ზაულისტან ფალავანი ფორმაა და წარმოშობა ადრინდელი ზაულ სიტყვისაგან.

სპარსულ-ქართულ ვერსიებში აღნიშნული სიტყვა (ზაული, იგივე ზაულისტანი) ადგილის, მხარის აღნიშვნელად გამოდის. იუსტიცე აბულაძეს (შაჰ-ნამეს ვერსიები) იგი ახსნილი აქვს, როგორც „როსტომის წინაპართა სამშობლო მხარე“, მაგრამ როგორ გაეიგოთ მისი მნიშვნელობა ისეთ შემთხვევებში, როცა იგი მუსიკალურ საკრავთა შორის გვხვდება, როგორც ამას „რუსუდანიანის“ ზემოთყვანილ წინადადებაში აქვს ადგილი, აღნიშნავს ის ასეთ ეთარებაში ზაულურს, ზაულისტანურს თუ სხვა რამეს?

საინტერესოა, რომ „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში სიტყვა ზაბილური თუ ზაბულური მთელ რიგ შემთხვევებში ნალარას მოსდევს, მის გვერდითაა წარმოდგენილი, მსგავსად „რუსუდანიანის“ ტექსტისა; ასე, მაგალითად, „უთრუთიან-სააჰიანში“ იკითხება:

ჰკრეს ორსავე რაზმშიგან კმა საომარი ჟოსისა კუნესა სტვირთა სარაზმოთა გამოაბეს მძივი ნაფირთა ზროხაყულთა ნალარა ზაბილური სპილენ-ჰურთა სინჯთა (ფ. 29^ა).

ჰკრეს კმა საომარი ჟოსისა კუნესა სტვირთა სარაზმოთა თეთრი მძივი გამოაბეს ნაფირთა ზროხაყულთა ნალარა ზაბილური სპილენ-ჰურთა და სინჯთა (ფ. 33^ა).

ჰკრეს კმა საომარი ჟოსისა კუნესა სტვირთა სარაზმოთა და შებერეს ზროხაყულთა ნალარა ზაბულური სპილენ-ჰური და სინჯთა (ფ. 44^ა).

წარმოდგენილ მაგალითებში⁴ სიტყვა ზაბილური თუ ზაბულური ნალა-

¹ იუსტიცე აბულაძის გამოცემა: შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, თბილისი, 1916.

² შაჰ-ნამე, ქართულ ვერსიებო, II, თბილისი, 1934.

³ Vullers, Lexicon persico-latīnum, Bonnæ, 1855.

⁴ ჩვენ სასვენი ნიშნები განზრახ არ ვიხმარეთ.

რას მოსდევს, ამავე დროს ის სპილენძ-ჭურის (იგივე სპილენძ-ჭური) წინ დგას—გარემოება, რაც კაცს აფიქრებინებს: ნალარა ან სპილენძ-ჭური ზაბულურია, ე. ი. ზაულისტანურიაო. მაგრამ გვხვდება მაგალითები, როცა ნალარა ნახ-მარია სიტყვის ზაბილურის (თუ ზაბულურის) ფარეშეც:

ჭკრეს ორგნითეე ქოსსა და ნალარასა და აწყვეს რაზმი იქითა და აქითა (ფ. 75').

ჭკრეს კმა საომარი ქოსსა და ნალარასა, შეიქნა ორსავე რაზმშიგან შემოკივილი (ფ. 152').

ჭკრეს ორსავე ქიშუარსა შიგან კმა საომარი ქოსისა, კუნესა სტვირთა სარაზმოთა, — ნალარასა და პირველად საომარსა ალაგსა ფირან შოვიდა (ფ. 154'—5').

მაგრამ ეს კიდევ არაფერს ნიშნავს. მწერალს, რა თქმა უნდა, შეეძლო ნალარა ეხმარა მისი გაკეთების ადგილის (თუ ასე გავივებით ზაბილურს) მოხსენიების გარეშეც.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ „შაპ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში („უთრუთიან-საამიანის“ პროზაული და ლექსითი ვერსიები) გვხვდება ისეთი ადგილებიც, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ ზაბილური, ზაბულური (გვხვდება ზამბულურიც), ზაბილი ომის დროს სახმარი რომელიღაც მუსიკალური ინსტრუმენტის სახელწოდებაა და ნალარის ზაულისტანურობა აქ არაფერ შუაშია.

„უთრუთიან-საამიანის“ ლექსით ვერსიაში იკითხება:

მძივი ნათის გამობავს, ზამბულური დიდად ყვირსა (355,3);
ნალარასა და ზამბულური კმა ისმის გასაჭირისა (322,4);
ნალარა და ზამბულური, ვით შავი ზღვა მოგრავინვიდა (475,3).

პროზაში ვკითხულობთ:

ჭკრეს ორგნითეე კმა ქოსისა, პიბი, ნალიანი, დამბაი, ზაბილი; აგრე აწყვეს რაზმი (ფ. 156').

წარმოდგენილი მაგალითებიდან აშკარაა, რომ ზაბილი, ზაბილური, ზაბულური, ზამბულური მუსიკალური ინსტრუმენტია და მას ომის დროს დასაყრავ საყრავთა შორის გარკვეული ადგილი უჭირავს. მაშასადამე, სიტყვა ზაბილური (თუ ზაბულური და სხვ.) სხვა სახელწოდებთაგან მძიმით უნდა გამოიყოს: უკრავდეს სპილენძ-ჭურსა, ზაბილურსა და სინჯსა („რუსულდანიანი“) და სხვ.

სულე სანსაბა ორბელიანის ლექსიკონში ზაბილური ასეა განმარტებული: „დაფდაფი, გინა ეგევითარი ტყაოსანი“. სიტყვა წარმოდგენილია B რედაქციის მიხედვით, რომელიც, როგორც ეს აღნიშნულია გამოცემაში (Addenda et corrigenda), საბას აეტოგრავს წარმოდგენის, გადაწერილს 1715-16 წლებში. საინტერესოა, რომ საბას აქ „რუსულდანიანი“ აქვს დამოწმებული.

ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებით ზაბილური ესაა „დაფი

1 ესარგებლობთ ა. ქ. შანიძისა და ი. აბულაძის რედაქციით გამოცემულ ტექსტით, თბილისი, 1965 (1), 1966 (11).

2 ესარგებლობთ ა. ლ. დლონტის გამოცემით, თბილისი, 1961.

ანუ ეგვეთარი რამე“. და ეთო ჩუბინაშვილის¹ იგი ესმის, როგორც „დაფი, დაირა, ტამბური“.

სპარსულ ლექსიკონებში ნაჩვენებია, რომ ზაბილ, ზაბულ, ზაულ როსტომისა და მისი წინაპრების სამშობლოს გარდა მუსიკის სახეობას, განყოფილებას, დარგს აღნიშნავს.

ჩვენთვის ჭერ კიდევ მთლად ნათელი არ არის, თუ ზაბილ (ზაბილურ, ზაბულურ, ზამბულურ) სიტყვაში სახელობრ რომელი მუსიკალური საკრავი იგულისხმება. იგი არ შეიძლება იყოს სპილენძ-ჭური, არც ნალარა, არც ქოსი და არც სინჯი (საკრავი თეფშები), რადგანაც ტექსტებში, როგორც ვნახეთ, იგი ხშირად მათთან ერთადაა წარმოდგენილი.

ქართული მასალების შესწავლა უფრო ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებას უკერს მხარს: „დაფი ანუ ეგვეთარი რამე“.

ნ ი ა ტ ა კ ი

ქართველი ლექსიკოგრაფოსებისათვის დღემდე უცნობია ქართულში ასეთი სიტყვის არსებობა; ნამდვილად კი იგი არსებულა; რამდენჭერმე გვხვდება „უთრუთიან-საამიანის“ პროზაულ რედაქციაში:

რა გათენდა და ლაქუარდის ფერსა ცასა სინათლე მიეცა, და საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო და ვარდისა წყლთა მიჩი დიობანა, კირჩხიბისა ქანჯისაგან დაეხსნა და გუმბაღსა ზედა ამაღლდა, შავსა ზანჯსა ყირმიზი პერანგი ჩააქუთა და ნი ა ტ ა კ ი ს ა წითელს ვარდს და იაგუნდი მოჰფინა, აგრე ჰკრეს ორგანითვე ხმა საომარი (H-921, ფ. 527).

მათ სახლთა სიტურფის ანგარიში არ ითქმის, კედელნი ჩინურისა ქვისანი იყუნეს, ნი ა ტ ა კ ი ოქროს წყლთა მორწყული იყო და მალღად ყუალანი პერნი ოქროსა იყუნეს (ფ. 958).

ვფიქრობთ, დავა არ უნდა გამოიწვიოს იმ გარემოებამ, რომ პირველ მაგალითში ნი ა ტ ა კ ი ზმელეთის, მიწის ზედაპირის, ნიადაგის მნიშვნელობითაა ნახმარები; მეორე მაგალითში კი იგი ჰერის საპირისპიროდაა გამოყენებული; ცხადია, ი ა ტ ა კ ი ს საბადლოდაა მომარჩევებული, მით უმეტეს, რომ საკმე სახლის აღწერას ეხება, რომლის „სიტურფისა ანგარიში არ ითქმის“.

საინტერესოა, რომ სიტყვა ი ა ტ ა კ ი ჩვენ გვხვდება „ბაამიანში“, XVI საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლში, მაგრამ არა იატაკის (დღევანდელი მნიშვნელობით), არამედ ხმელეთის, მისი ზედაპირის, ნი ა ტ ა კ ი ს მნიშვნელობით:

ერთობილი მინდორი ფეჟი, კელი და თავი იყო და კაცისა ტანითა საესე იყო და გულთანთა სისხლთა შიწა და ქვეყანისა იატაკი ჩამქვრალ იყო, დაქოცილთა კაცთაგან ქვეყანა აღარა ჩნდა (ფ. 329).

ქვეყანისა ი ა ტ ა კ ი აქ ნიშნავს მიწის ზედაპირს, მიწას, ნიადაგს. აეტორის ამ კონტექსტში სრულიად უმტკივნეულოდ შეეძლო გამოყენებინა სიტყვა ნი ა ტ ა კ ი, მსგავსად „უთრუთიან-საამიანში“ წარმოდგენილი მაგალითისა (ნიატაკსა წითელი ვარდი და იაგუნდი მოჰფინა).

აქვე აღვნიშნავთ, რომ „ბაამიანშივე“ ი ა ტ ა კ ი იატაკის, სახლის ფსკერის (საბა) მნიშვნელობითაც გვხვდება:

¹ ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, СПБ, 1840.

ეგვირმან ბაამან კელმწიფე ქალაქად შეიყვანა და საურ კელმწიფისა დარბაზოვანად ჩამოს-
ვა, ესეთსა რომე სიტუარფითა სამოთხესა გვახდა. იატაკი, ყორენი, ედა და კერნი ყველანი
ოქროთა და ლაყვარლითა დახატული და ნაქრელები იყო (ფ. 50^ა).

იატაკი აქაც კერის საპირისპიროდაა გამოყენებული, მსგავსად „უთრუ-
თიან-საამიანის“ მეორე მაგალითისა, სადაც ჩვენ ნიატაკი გვხვდება, და იატაკს
ნიშნავს ჩვეულებრივი გაგებით¹.

თხზულებაში „წიგნი საამ ფალაენისა“, რომლის აღრიხდელი H-900 ხელ-
ნაწერი XIX საუკუნის გაირიერაუზეა (1818 წელს) გადაწერილი, სიტყვა გვხვდებ-
და ლიატაკის ფორმით:

ამ ბალის სილიღე და სიყეთე ესრეთ მოგხსენდესთ, რომ ოთხი აღაქის სიმკრევე კჳონდა
და იმა სამოთხისა ბალისა გალაენის ოქროსა აგურითა იყო ნაგები... იმა ბალისა ლიატაკი
საუხოსა და ძვირფასისა ქაიართა იყო მოიარყულუ (ფ. 62^ბ).

უფრო მოგვიანო დროის S-2393 ხელნაწერში ამ ადგილას იატაკი იკით-
ხება. ლიატაკი ნიატაკის ვარიანტია (შდრ. ნემსი და ლემსი და სხვ.).

წარმოდგენილი მაგალითებით, ვფიქრობთ, ცხადია, რომ სიტყვების ნიატაკის,
ნიადაგისა და იატაკის მნიშვნელობანი, მიწა, მარადის მყოფი, მყარი, მუდ-
მივი, სამარადისო, საფუძველი, ფუძე, ფსკერი და სხვ. ერთი და იგივეა; საესე-
ბით სამართლიანი ჩანს ნ. მარაი, რომელიც ნიადაგს (მიწას) იატაკს უკავში-
რებს. ასეთ შემთხვევაში ცა ჳერადაა წარმოდგენილი და მიწა, როგორც მარა-
დის მყოფი, მყარი არსება ქვეყნის შენობის საფუძველი, ნიატაკი ანუ იატაკია.

სულხან-საბა ორბელიანი² ნიადაგი განმარტებული აქვს, რო-
გორც მარადის მყოფი, ნ. ჩუბინაშვილსკი — სამარადისოდ³.

ასეთივე მნიშვნელობით გვხვდება ეს სიტყვა „ვისრამიანსა“, „ვეფხისტყაო-
სანსა“ და „ამირანდარეჯანიანშიც“.

მზიანდრონიკაშვილი საყურადღებო ნაშრომში, როგორცაა
„ნარკვევები ირანულ-ქარაუღო ენობრივი ურთიერთობიდან“ (გვ. 348—349)
ცალ-ცალკე განიხილავს იატაკსა და ნიადაგს. იატაკს იგი უკავშირებს ახალ
სპარსულ სიტყვას *dimak*-ს (دِمَک), რომელიც ბორჰანე ყათების გან-
მარტებით, როგორც თვითონ ამბობს, ნიშნავს ხმელეთს და კუნძულს ზღვაზე.
ქალაქს.

მკვლევარი სპარსული *di*-ს ნაცულად თავიკიდურ *di*-ს დაუფიქრებია და იგი
იალბუზის, იავარიის და სხვა მისთანა სიტყვებში არსებულ *di*-ს მსგავ-
სად გაჩენილად მიუჩნევია.

ნიადაგის ახსნისას მ. ანდრონიკაშვილს შესანიშნავად აქვს მიკვლევული სამ.
სპარსული სიტყვა *nihatak*, რომელიც ნამყოს მიმღობის ფორმაა (*nihat*),
გავრცობილი სუფიქსით — *ak* (გვ. 349). მკვლევარი იქვე შენიშნავს. რომ სა-
შუალო სპარსულის მნიშვნელობა არისო დადებული, საფუძველი (შდრ. ახ.
ქართ. ნიადავი, მყარი, მუდმივი /ნიადავ, მარად, მუდამ/).

ჩანს, XVI—XVIII საუკუნეების ქართულ სალიტერატურო ძეგლებს შე-

¹ საბა ამ სიტყვის მეორე ფორმასაც იცნობს: ევატაკი.

² ესარტებლობთ ილია აბულაძის გამოცემით.

³ ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, აღ. ლლინტის რედაქციითა და
გამოკვლევით, თბილისი, 1961.

მოუნახავთ ქვეშაირთი ფალაური ფორმა ნი(პ)ატაკ იგივე ნიადაგ. აშკარაა ფალაურ ნადაქაქსნიადაგ უკავშირდება იატაკი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ფალაური nihilak-დანაა მიღებული და არა სპარსული ადაქ-იდან. სიტყვა ნიატაკს ქართულ ნადაგზე ჩამოშორებია თავიიდური ნ (მდრ. ნიდაყვი — იდაყვი) და მისი მნიშვნელობაც რამდენადმე დაეწირობებულა 'სახლთა და შენობათა ფსკერი.'

თურქულში გვაქვს სიტყვა იათაკ (اتاق), რაც ლოგინს, ქვეშაგებს, სარეცელს აღნიშნავს, მაგრამ მას ფალაურ-ქართულ ნიატაკ — იატაკ — თან კავშირი არა აქვს; იგი თურქული იათაკი (اتاق) 'დაწოლა' ზმნიდანაა ნაწარმოები.

ჩვენ ვიცით, რომ სიტყვა იატაკი ძველ ქართულ ტექსტებშიც (მამათა სწავლანი, ისტორიანი და აზმანი შარაჲანდეთანი და სხვ.) გვხვდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართულში იგი პირველადვე ამ სახით დამკვიდრდა, შემდეგ გაუჩნდა მას თავიიდური ნ და ამიტომ გვიანდელ ტექსტებში იატაკის ნაცვლად ნიატაკი გვქონდეს.

ჩვენი აზრით, ფალაურიდან შემოსულ ნიატაკ სიტყვაში ხმოვნის წინ ნ-ს ჩაყარვის პროცესი აღრევე უნდა განხორციელებულიყო; გვიანდელმა ტექსტებმა კი შემთხვევით შემოგვინახეს ქართულში ძველიდანვე შემოსული სიტყვის სწორი ფორმა (ნიატაკი).

რაც შეეხება სომხურში არსებულ მატაკ (matak) სიტყვას, შესაძლებელია იგი ქართულიდანაც იყოს შეთვისებული.

ს ა თ უ ლ ი

აჰავე თხზულებაში რამდენჯერმე გვხვდება სიტყვა სათული:

ნაანგ-ღ დევს ხმლოს შავიერთ სამოცი ლიტრიანი სათული წელთ ერთვა (ფ. 35).

... ნაანგალ დევი განრისხდა, გურზი შორს გასტყორცნა და თავისსა სათულსა ხელი მოიღო, ფალანსა დასაკრავთ მოუტანა: ფალანმა თავისი ფარი ბეჭსა გარდაიგლო, ერთი საშინელი წარა გასწიუა, მოქნელსა სათულს ხელი მიამველა, მაქანა ხელი სტაცა; რა სათული ხელთაგან წართი და შორს გასტყორცა, სარტყელსა ხელი ჩაუვლო და ერთმანეთს ეტკინებოდნენ (ფ. 36).

ამოწერილი ადგილებიდან ჩანს, რომ სათული რომელიდაც საბრძოლო იარაღა. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ის არაა შეტანილი. დავით ჩუბინაშვილი (ქართულ-რუსული ლექსიკონი, СПб, 1887) მას განმარტავს როგორც სათულსა-ს. სათულსა-ს (მეკობრეთა) სადგურია. დ. ჩუბინაშვილის ახსნა ტექსტს არ უდგება.

ჩვენი ყურადღება მიიყრო ილია ჭყონიას სიტყვის კონაში (СПБ, 1910) მოცემულმა ამ სიტყვის განმარტებამ. ამის მიხედვით სათული არის „ხორცის საჭრელი დიდი დანა“.

ჩანს, აღნიშნული სიტყვა იგნევა, რაც არაბული اساطير — სატირ — სათულ. იგი სპარსულში დიდი ხნიდანაა დამკვიდრებული და, როგორც არაბულში, ასევე სპარსულშიც ყასაბთა დიდ, ბრტყელ დანას აღნიშნავს.

სიტყვა სათურ სპარსულში შეიძლება წაითხულ იქნეს როგორც სათეჲარ. აქედანაა წარმომდგარი ქართულში ხმარებული სატეჲარი.

სატევარი რომ არაბულია, ამის შესახებ ჩვენ საუბარი გვექონდა გამოცე-
ვაში „ვისრამიანის საკითხები“¹. სა ტ ე ვ ა რ ი შეტევასთან არ არის დაკავშირე-
ბული . აქ ს ა თავსართი არ არის.

შეიძლება აღინიშნოს, რომ სიტყვა სა ტ ე ვ ა რ ი უცნობია როგორც „ვის-
რამიანის“ მთარგმნელის, ისე „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისათვის. იგი არ
გვხვდება კლასიკური ხანის სხვა ძეგლებშიც. სატევარი ქართულში კლასიკური
ხანის შემდეგ უნდა იყოს შემოსული და დამკვიდრებული.

საინტერესოა, რომ სიტყვა სატურ ორი ფორმით შემოსულა ჩვენში:
გვხვდება როგორც სა თ უ ლ ი (ხორცის საჭრელი დიდი დანა), ასევე სა ტ ე ვ ა -
რ ი (ხანჭალი).

ქ უ ლ უ ნ ბ ი

თხზულებაში „წიგნი საამ ფალანისა“ მკედელ ქაეასა და ზოპაქის ეპი-
ზოდში გვხვდება სიტყვა ქ უ ლ უ ნ გ ი:

[გოვი ახანგარს] ერთი ქ უ ლ უ ნ გ ი ჰქონდა, აილო რს და, ვინც რომ შეიღებს სთხოვდა,
იმას ერთი ისეთი დაქრა, რომ თავი მუაზუნდა გუხუნა და ქოჭოხეთს გაამზავრა იმისი სული;
სამკედლოს ტყავი იქ დაავლო, ქ უ ლ უ ნ გ ი ხელში აილო, და გარეთ გამოვიდა და ხმაალღალ
დაიძახა: ჩვენ შეილი აღარ დაგვრჩა და ჩემგან ზოპაქის სამსახურიც აღარ იქნებაო (ფ. 6^რ).

„შაპ-ნამეს“ სპარსული ძირითადი ვერსიის მიხედვით ქაევამ სამკედლო ტყავი
შ უ ბ ი ს ა წ ე ვ ე რ ს ა ააბა, რომელსაც ქაიანური დროშა უწოდეს².

ქართულ პროზაულ და ლექსით ვერსიებში შემდეგი სურათი გვაქვს: „ფრი-
დონიანით“³ ქაევამ „ტყავი ძ ე ლ ი ს თ ა ე ს [ა] დაქვიდა“:

გავას მკედლისა წინა საყრავი ძროხისა იყო; იგი ტყავი ძ ე ლ ი ს თ ა ე ს [ა] დაქვიდა და
დროშა დაარქვა, და მკარსა შეიღდა, და ვრანისა ქალაქსა შიგა გაიარა (გვ. 387).

„უთრუთიან-საამიანის“ მიხედვით „ქაევამ ტყავი შე შ ი ს ა წ ე ვ ე რ ს ა
ააბა“:

წინა მოსაბურავი ტყავი რომე არის მკედლთა, რომე უეუიკრენ, ისი ვერა ქავს მკედელ-
სა, და შემოიხსნა და შე შ ი ს ა წ ე ვ ე რ ს ა ააბა; ქაიანური დროშა მისგან გამოვიდა (ფ. 36^რ).

ამავე თხზულების ლექსითი ვერსიაც, რომელიც პროზაზეა დაქვემდებარე-
ბული. „შეშის წვერს“ კითხულობს:

ქავ მკედელსა წინა ჰქონდა ტყავი, კალთას უეუსაყრი,
ცეცხლისათვის მოსათენი ბჰედა ზედა. წესი არი:
შემოიხსნა. შე შ ი ს ა წ ე ვ ე რ ს ა გამოაბა, უვერეტს ჭარი (443).

„ზააქიანის“ ავტორ-გამლექსავეს მამ თ ე კ ა თ ა ე აქ ა ლ ა შე ვ ი ლ ს ქაეა
მკედლის ეპიზოდი, როგორც ეს აღნიშნულია მეცნიერებაში, სულ გამოუტო-
ვებია.

¹ თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 116, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, V. 1965, გვ. 68—69.

² Vullers. გვ. 47.

³ ა ლ . ბ ა რ ა შ ი ძ ი ს გამოცემა (შაპ-ნამე, ქართული ვერსიები, II, თბილისი, 1934, გვ. 369 — 445).

წარმოდგენილი მასალებით ჩანს, რომ ქაევას „საამ ფალავნის წიგნის“ მიხედვით ხელთ ან შუბი ან ძელი (იგივე შეშა, ხე მოკვეთილი) უპყრია, და სიტყვა ქულუნგიც ერთ-ერთ მათგანს (შუბს ან ძელს) უნდა ნიშნავდეს, თუმცა აღნიშნულ თხზულებაში დროშის ეპიზოდი გამოტოვებულია. ქაევას „სამქედლო ტყავი“ ქულუნგის წვერზე კი არ დაუქილია, არამედ იქ დაადლო, ქულუნგი ხელში აიღო და გარეთ გამოვიდა¹.

სიტყვა ქულუნგი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში არ არის წარმოდგენილი. იგი გვხვდება მხოლოდ დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგულ ლექსიკონში (СРН, 1840) და კითხვის ნიშნის ქვეშ ხმალა და ა განმარტებული.

„საამ-ნამეს“ სპარსულ პროზაულ ვერსიაში¹, რომელზედაც ქართულია დამოკიდებული, ქულუნგის საბადლოდ (ფ. 11¹) იკითხება جوب آتش كشی (ჩუბე ათეშქაში, ე. ი. ცეცხლის ასალები ხე, ძელი, ჯოხი, რომელსაც წვერზე რკინა აქვს გაკეთებული).

მკედლები მას ნაკვერჩხლის, ცეცხლის ასალებად, აგრეთვე გასაღვივებლადაც ხმარობენ. ქართულად საჩხრეკი ეწოდება.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის² მიხედვით საჩხრეკი ესაა „ბრტყელთავიანი, თავმოკაცული ან ორთითი გრძელი რკინა თონიდან პურის ამოსაღებად, ქურაში ცეცხლის გასაღვივებლად“. როგორც ჩანს, იგი შეიძლება ხისაც იყოს, თუ მას თავზე ბრტყელი ან ორთითი რკინა ექნება გაკეთებული.

ზემოაღნიშნული „ჩუბე ათეშ ქაში“ დაჰკრა მკედელმა ქაევამ ზაქის მიერ შეიღების წასახამად მოგზავნილთაგანს, რომელსაც თავი შუაზედ გაუხეჩა (ფ. 11¹). جوب آتش كشی که در دست سارورا آهن گرفته بود یکی از ایشان را بر فرقیش زده که در هم شکافت

ცეცხლის ასალები ჯოხი (ძელი), რომელიც ხელში ეპყრა, მისი წვერი რკინა-შემოვლებული იყო, აიღო და ერთ მათგანს თხემზე (კეფაზე) დაჰკრა და ორად გაუბო (გაუჩეხა).

ყველგან, სადაც კი ქართულში სიტყვა ქულუნგია გამოყენებული, სპარსულში მას „ჩუბე ათეშ ქაში“ (საჩხრეკი) შეესატყვისება.

იმასაც აღვნიშნავთ, რომ ერთგან მას ჩუბე აჰენინი (جوب آهین) რკინის კეტრი ენაცვლება, თუ აქ სიტყვა აჰენინი (რკინისა) მეტაფორად (მაგარი, გამძლე) არ არის გამოყენებული: کاه آهنگر قدم پیش گذاشت وجوب آهین هم در دست داشت

ქაეა მკედლო წინ წამოდა და რკინის კეტრიც ხელთ ეპყრა (ფ. 11¹).

კონტექსტი ჩუბე აჰენინი იმ შემთხვევაში შეიძლება „რკინის კეტად“ თუ „რკინის ჯოხად“ გავიგოთ, თუ, როგორც ითქვა, სიტყვა აჰენინი აქ მეტაფორად არ წარმოგვიდგება.

ზოგჯერ, ჩუბე ათეშ ქაშისა და ჩუბე აჰენინის. ნაცვლად მხოლოდ ჩუბე

¹ ქ. ქეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მუს. ფონდის სპარსული ხელნაწერი, № 462.

² თბილისი, 1950—1964.

(بجو — ძელი, ჭოხი, შუა) გვხვდება. მაგალითად, ტექსტში (ფ.12^ა) ნათქვამია: რომ ტყევი ამ ძელის (თუ შუის) წვერს მიამაგრაო, გარემოება, რაც უფრო იმას უჭერს მხარს, რომ ქაეას ხელთ ხის მაგარი, რკინისთვინიანი ჭოხი ეპყრა.

სპარსულში გვაქვს სიტყვა ქო ლ ა ნ გ (کنگ), რომელიც შეიძლება წარმოითქვას როგორც ქ უ ლ უ ნ გ და ნიშნავს წერაქვს, თოხს. თურქულში გვხვდება ქულუნქ ბარისა და მესანგრის უროს მნიშვნელობით¹.

სპარსული ტექსტის სათანადო ადგილების შესწავლა ცხადყოფს, რომ სიტყვა ქულუნგს, როგორც სპეციალურ ტერმინს, სამქედლოში სახმარი იარაღის „ჩუბე ათუშ ქაშის“ მნიშვნელობაც კქონია.

ქულუნგი არ არის ხმალი; იგი საჩხრეკია. მისი ტარი (ძელი, შუა) გამოუყენებია ქართულსა და მის შესატყვის სპარსულ ვერსიებს ქაიანური დროშის ტარად. ამით ისინი (შაჰ-ნამეს ხალხური ვერსიები) დიდად არ დაშორებულან ძირითად ვერსიას, რომლის მიხედვით ქაეამ დროშა შუ ბ ი ს ა წვე რ ს ა აბა. შუბი ხომ გრძელტარიანი საომარი იარაღია ლითონის წვეტიანი პირით. საინტერესო ის არის, რომ ხალხმა მქედელს ხელთ მაინც სამქედლოს იარაღი საჩხრეკე (იგივე ქულუნგი) დააქვრინა და არა შუბი.

ყული, ყულუხჩი

ამავე თხზულებაშივე გვხვდება სიტყვა ყული და ყულუხჩი. დავით ჩუბინაშვილს ყული ასე აქვს განმარტებული: ახალგაზრდა მსახური მეფისა; მეფის მხმლაი². „მხმილაი“ აქ გუშავის (დარაქას) მნიშვნელობითაა ნახმარი.

აღნიშნული სიტყვა არც სულხან-საბა ორბელიანისა და არც ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში არ გვხვდება. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში იგი ასეა ახსნილი: ყული (ყულისა) ინდ. koli. 1. ბარგის შვიდავი, მტვირთავი მუშა, აგრეთვე საერთოდ მუშა აზიის ზოგ ქვეყანაში. 2. ძე. „ახალგაზრდა მსახური მეფისა; მეფის დარაქა“ (დ. ჩუბინ.) გადატ. მონა, ყმა.

თურქულში გვხვდება სიტყვა ყულ (قۇل). მას ასეთი მნიშვნელობანი აქვს: მონა; ტყვე; გლეხი; მსახური³. თურქული ყულ სპარსულშიც იხმარება (მონის მნიშვნელობით).

საინტერესო ის არის, რომ სპარსულ ტექსტში⁴ ქართულში გამოყენებული ყულის საბადლოდ გვხვდება არაბული სიტყვა ყულამ (قلم), რომელიც სპარსულში დიდი ხნიდან დამკვიდრებულა და შემდეგ მნიშვნელობებს შეიცავს: ბიჭი, კაბუჯი, ახალგაზრდა, ყმაწვილი, მსახური (ყოველგვარი ასაკისა); მონა; ტყვე; ყმა; დამტარებელი და სხვ.

¹ Л. З. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, СПб. 1869 (I), 1871 (II).

² ქართულ-რუსული ლექსიკონი, СПб, 1887.

³ Л. З. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, СПб. 1869 (I), 1871 (II).

⁴ ქვეყლის მსახულობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მუს. ფონდის სპარსული ხელნაწერი, № 462.

ეულამი ეწოდება აგრეთვე მონებისაგან შემდგარი რაზმის ჭარისკაცს. იგი შედგებოდა განსაკუთრებული თანრიგის კარის ახალგაზრდა მსახურთაგან, რომლის მოვალეობას მეფის დაცვა წარმოადგენდა.

სპარსული და ქართული ტექსტების მიხედვით გზად მიმავალ ვაჟარ სეიდსა (სპარ. სეიდან) და ფალავან საამს წინ დაუხვდება საშინელი დევი — ზინდა ჭადო და გზად გასატარებელ ხარაქას სთხოვს. სეიდი საამ ფალავანს ეუბნება: მე იმისთვის ბევრჯერ ხარაქა მიმიცია, თუ ძალით ვერა მოვრჩეთ, რამდენსამე ყ უ ლ ს მესსემ და ჩვენ მშვიდობით გავიართო (H-900, ფ. 19').

მოახლოვდა „ზინდა ჭადოც“. სპარსულში ვკითხულობთ:

[زندۀ جادو] نمره بر آوردہ و گفت کہ ای سمدان سوقات از جهت من آوردہ و سمدان از خیمہ خود بیرون آمد و گفت ای پادشاه دیوان چند غلام و کنیزک از برای تو آوردہ ام جادو گفت کہ بیاورید سمدان فرمودہ کہ غلامان و کنیزان را آوردند

ზინდა ჭადომ დაიბრიალა (ნარა გასწივა) და ჰკითხა: სეიდანო, ჩემთვის საჩუქარი მოიტანე? სეიდანს თავის კარგიდან გამოვიდა და უთხრა: დევთა ფადიშაჰო, რამდენიმე ყ უ ლ ა მ ი (მონა-ვაჟი) და მონა-ქალი შენთვის მოვიყვანეთო. ჭადომ უთხრა: მოიყვანეთო. სეიდანმა ბრძანა. რომ ყ უ ლ ა მ ე ბ ი და მ ხ ე ე ლ ე ბ ი მოიყვანონ (ფ. 338).

ეს ადგილი ქართულში ასეა გადმოცემული:

მოვიდა ის ზინდა ჭადო და შემოსძახა მალის ხმითა: შეი, ხოჯა სშეილო, ჩემთვის რამდენი კარგი ყ უ ლ ი მოვისხამო! ხოჯა სშეილმა უპასუხა: თქვენთვის ბევრი კარგი მსუქანი ყ უ ლ ე ბ ი მოვისხამსო.

ამ ხოჯასა და ამთ მოჭარავენესა ეწადათ, რომ ოცდაათი კარგი ყ უ ლ ე ბ ი მიეცათ და თუიონ მშვიდობით გაეელოთ (ფ. 19').

ჭადოს ყული შესაქმელად უნდა. იქვე ნათქვამია: ამ ყ უ ლ ს მწეადლად გავაკეთებ და შეეკაზო (مخاورہ کرہہ کباب را کباب غلام).

წარმოდგენილი ადგილებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართულში გამოყენებულ სიტყვა ყ უ ლ ს არაბულ-სპარსული ყულამმ|ყოლამ შეესატყვისება.

სპარსულში ყულამთან ერთად (მრავლობითი რიცხვი ყულამან) იკითხება აგრეთვე ქანიზ (მრავლობითი რიცხვი ქანიზან), რაც მონა ქალს (მხეველს) ნიშნავს. ქართულში ორივენი — ვაყები და ქალები ერთი სიტყვითაა გადმოცემული: ყულეები.

მოცემული მაგალითის მიხედვით ყულეები ახალგაზრდა მონა ტყვეები არიან (ბებრების მიცემას შესაქმელად დეეს ვერ შეჰკადრებდნენ).

როგორც ვხედავთ, ყული არაა აღმნიშვნელი მხოლოდ „მეფის ახალგაზრდა მსახურისა“. იგი შეიძლება აღნიშნავდეს სხვადასხვა პირთა (მათ შორის მეფის. ბატონის, ფალავანის, ვაჟრის და სხვ.) სხვადასხვა ასაკის მსახურს, მონას და სხვ.

„რუსულდანიანში“¹, მაგალითად, დედოფალი ეუბნება სიძეს (ყაისს): მე მხევალი ვიყო მშობლისა თქვენისა და სიმამრი თქვენი ყული — მაშინა თქვენისაო (გვ. 394,34—35). ცხადია, სიმამრი ახალგაზრდა მსახურობას ვერ შეიძლებს.

¹ ესარგებლობთ ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით გამოცემულ ტექსტით, თბილისი, 1957.

იმევე თხზულებაში ვკითხულობთ: მე არცა ვარ ამ ქვეყნისა და არცა ხელმწიფეთა ნათესავი... ხელმწიფე სახელად არ მერქვა, იქვამ ღმთისაგან არა მაკლდა რა ... გავღარიბდი დიად. მერმე უარესი ეს დამემართა, რომ არც ყმა შემრჩა, არც ყ უ ლ ი და ყ ა რ ა ე ა შ ი (გვ. 505).

ამ სიტყვების მთქმელი, ჩანს, მეფე არა ყოფილა, მაგრამ ყულები და მხეველები (ყარავეაშები) მაინც ჰყოლია.

საქმის ვითარებას უფრო უდგება არაბულ-სპარსული ყ უ ლ ა მ და მისი მნიშვნელობანი, ვიდრე თურქული ყ უ ლ ი, რომელიც ახალგაზრდას, ქაბუქს და სხვა მისთანებს საერთოდ არ აღნიშნავს.

ნათქვამით, ვფიქრობთ, ირკვევა, რომ ქართულ ტექსტებში ყ უ ლ ი, ზოგჯერ, არაბულ-სპარსულ ყ უ ლ ა მ სიტყვას უკავშირდება, მის თარგმანს წარმოადგენს.

საინტერესოა ყ უ ლ უ ხ ჩ ი ს საკითხიც. წარმოშობით იგი თურქულია. ლექსიკონების ავტორები (ბუდაგოვი და სხვ.) მას განმარტავენ როგორც მსახურს. ლაქიას.

საანალიზო თხზულებაში (წიგნი საამ ფალავნისა) აღნიშნული სიტყვა ლაქიის მნიშვნელობითაც გვხვდება. ყულუხჩები ხან „ქემწიფის ქარხანაში (სამზარეულოში) სანოვავეს ეზიდებიან“ (ფ. 1r). ხან სუფრის გამწყობად გვევლინებიან („ყულუხჩთა სუფრა მოიღეს, შარბათი და შაქალამა მოართევს“, ფ. 52 ო), ხან კი საქმლისა და ღვინის მიმწოდებლად („ყულუხჩთა მსწრაფლად რამდენიმე ჯამი ღვინო მოუტანეს საყუათოთ“, ფ. 47r) და სხვ.

ყულუხჩი საერთოდ მსახურის როლში გამოდის და იგი სხვადასხვა სახის დავალებებს ასრულებს. ზოგჯერ მას, როგორც ნიეთს, გააჩუქებენ კიდევ:

საამ ფალავანს მოართო რამდენიმე უცხო(ღ) მორთულნი ყ უ ლ უ ხ ჩ ი ს და რამდენიმე უცხო(ღ) მორთულნი მოახლენი და ურიცხვი თვალ-მარგალტნი (ფ. 50უ).

ყულუხჩი ვეჯია (მამაკაცია) და იმევე მღვთმარეობის ქალი — მოახლე (მხეველი). მაშასადამე, ყ უ ლ უ ხ ჩ ი მართო მსახურისა ან ლაქიის აღმნიშვნელი სიტყვა კი არ არის, არამედ მონისაც. თვით ამ ტექსტშიც დაიძებნება ამის დამადასტურებელი მაგალითები:

ყაყანის ხმა შეესმა იმა ყმაწვილსა. ერთსა მონათაგანსა აკითხა: ეს რა ხმანობა არისო. ყ უ ლ უ ხ ჩ ი მ ა მოახსენა: მამა თქვენმა ასაფ ევზირმა თაჲს მოსამსახურენი სრულეებით დაითხოვა და სხვ. (ფ. 53უ).

აქ სიტყვა მონათაგანს ყ უ ლ უ ხ ჩ ი შეენაცვლა. მწერალი, ჩანს, თანაბარი მნიშვნელობით ხან ერთ სიტყვას ხმარობს, ხან მეორეს. ახლა შევჩერდეთ საინტერესო მაგალითზე. ტექსტში იკითხება:

ზაალმა თაჲს(ს)ა ერთსა მონათაგანსა უბრძანა: წადი და შეიტყვე, ის ბანოვანი ვინ არიან? მივიდა ყ უ ლ უ ხ ჩ ი და კითხა: თქვენ ვინა ხართ ან რომლისა მზრის ვარსკვლავნი ხართ? ბანოვანთა უმასუხეს: ჩვენ სანადიროთა ჯართ მოსულნი. ყ მ ა წ ვ ი ლ მ ა მიუგო: ამა ბაღსა შინა ნადირო რათ იქნება და ან რას ინადირებთ! იმათ უმასუხეს: აქ საამ ფალავანის ძე ზაალ რომ არის, ის უნდა ვინადიროთ. ყმაწვილმა რა ეს იმათგან მოისმინა, მაშინვე გამობრუნდა და ზაალს იმათგან თქმული მოახსენა (ფ. 86r).

ამ ამონაწერში მართო ის კი არ არის საინტერესო, რომ სიტყვა მონათაგანს, მსგავსად პირველი მაგალითისა, აქაც ყ უ ლ უ ხ ჩ ი შეენაცვლა, არამედ

ის, რომ მონათაგანსა და ყულუხჩის შემდეგ ყ მ ა წ ვ ი ლ ი ენაცვლება, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ მთარგმნელის ტექსტში ისეთი სიტყვაა, რომლის თარგმნა-შეიძლება მონად, მსახურად, ყმაწვილად. ასეთი სიტყვა კი განსაკუთრებით არა თურქული ყული ან ყულუხჩი, არამედ არაბულ-სპარსული ყულამ, რომელსაც ყ მ ა წ ვ ი ლ ი ს მნიშვნელობაც აქვს, თუმცა ქართულ ტექსტში ის მონის მნიშვნელობით უნდა გავიგოთ.

„შაჰ-ნამეს“ ძირითად ტექსტში¹ ამ ადგილას გამოყენებულია „ბენდე“ (მონა) და ყულამ (ავრეთვე მონა). ჩანს, ეს უკანასკნელი პროზაშიც გადასულა და აქედან მისი სხვა მნიშვნელობა (ყმაწვილი) ქართულშიც გაჩენილა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთარგმნელის ტექსტში სიტყვა ყულამია; რომელსაც ის მონად, ყულუხჩად და ყმაწვილად თარგმნის. ყულუხჩიც ყულის მსგავსად არაბულ-სპარსულ ყულამ-ს უკავშირდება.

ჩვენ ვიკისრეთ ზოგიერთი სიტყვის შესახებ გვემსჯელა მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ მით სხვათა ინტერესი გამოგვეწვია „შაჰ-ნამეს“ მესამე ტომში გაერთიანებულ თხზულებათა ენობრივი მოვლენებისა და მისი ლექსიკის შესწავლისათვის, რაც მომავლის საქმეა.

III. მესამე ტომში გაერთიანებულ თხზულებათა ლიტერატურული რაობა

1) უთრუთიან-საამიანი (ლექსითი ვერსია). „უთრუთიან-საამიანს“ ლექსითი ვერსიის დასაწყისი ნაწილი, რომელიც ამ ტომში პირველად ქვეყნდება, ამავე სათაურის შემდეგ პროზაული ვერსიის გალექსებას წარმოადგენს; იგი (პროზაული რედაქცია) ჩვენამდე მოღწეული, როგორც ეს ზემოთაც, ხელნაწერების აღწერილობისას, გვაქვს აღნიშნული.

XVII საუკუნის პოეტს ბარძიმ ვაჩნაძეს პროზა მთლიანად გაულექსავს, მისი პოეტური რედაქციის შემდეგი ნაწილი (თუ მეორე ნახევარი) „საამიანის“ სათაურით „შაპ-ნაშეს“ ვერსიების პირველ ტომშია დაბეჭდილი (გვ. 37—297).

ლექსითი რედაქცია იწყება უთრუთისა (ეს სახელი თხზულებაში იკითხება აგრეთვე ფორმით „ფათრათ“) და თუნდის (ღვეის სახელია) ომით. პროზაული კი—ჭაიომარის ამბებით. თავდება ის (პოეტური ვერსია) ნარიმანისა და არმან ღვეის ომით. ეს თავი დასრულებული არაა. ლექსი წყდება არმან ღვეისა და ნარიმანის შესვენებით.

პროზა, რა თქმა უნდა, ამბავს აგრძელებს. შემდეგ გადმოცემულია ნარიმანისაგან არმან ღვეის სიკვდილი, დიდი ომი ღვეთა და ფრიდონის ლაშქარსა, ნარიმანისა და მაზანდარელი თეთრი ღვეის რკენა, ომი ფრიდონსა და ღვეთა შორის.

ამის შემდეგ მოთხრობილია ფრიდონის წინაშე მოჩივართა მოსვლა იმის თაობაზე, რომ ზაქის ძმა თამაზ ალა-ყალას „უუღღგომილა და იქიდაღმა ამოუწყვეტია თებში და ქვეყანა, კაცსა მოაწყვედეს თუ ღიაცსა, არა რომელსა გაუშვებს ცოცხალს ზაქის სისხლისათვის“ (H -921, ფ. 379’).

აქედან უკვე ლექსია შემონახული (იხ. ვერსიები, I, გვ. 114).

ლექსით ვერსიას ისევე, როგორც მის პროზაულ წყაროს, პირობით „უთრუთიან-საამიანს“ ეუწოდებთ. ლექსითი ვერსიის წინა ნაწილს კი, თუ ის მართლაც ცალკე ყოფილა გავრცელებული, როგორც ჩანს, „უთრუთიანი“ უნდა რქმეოდა.

ჩვენთვის ისაა საყურადღებო, რომ, როგორც ამას H-61 ხელნაწერის მიწვევრიც მოწმობს, ლექსითი ვერსიის დედანს „უთრუთიანი“ ეწოდებოდა; მაგრამ ის პროზა, რომელსაც ლექსად ვაძიებთ, ხომ მხოლოდ გმობი უთრუთის ამბების შემდეგ არ იქნებოდა? მაშინ ტექსტი ნაკლები უნდა ყოფილიყო და, მაშასადამე, თხრობა დაუმთავრებელი. ასეთ შემთხვევაში გამლექსავი, უკვე-

ლია, სადმე აღნიშნავდა ამის შესახებაც, თუ კი მან პროზის ავტორს თაიმურაზის ამბის დაუსრულებლობაზე მიუთითა.

შეუძლებელი არც ის არის, რომ „უთრუთიან-საამიანის“ მთელ პროზაულ ვერსიას „უთრუთიანი“ წოდებოდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართულად „შაპ-ნამეს“ ამა თუ იმ ვერსიას, ამა თუ იმ გმირის შესახები ეპიზოდები ეყოფოდნენ, მათთვის შესაფერ დასათურებებს ღებულობდნენ და ხელნაწერის სახით ვრცელდებოდნენ.

ჩვენს მუზეუმებსა და წიგნთსაცავებში ხშირია შემთხვევა „შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიებისაგან გამოყოფილი ასეთი ნაწილების ხელნაწერების სახით არსებობისა. თვით ამ თხზულების ლექსით ვერსიას, რომელსაც „უთრუთიან-საამიანს“ ვუწოდებთ, ცალკე გამოყოფია ერაჯის შესახები ამბავი, რომელიც ჩვენში „ერაჯიანის“ სახელით ყოფილა თურმე ცნობილი¹. შეუძლებელი, ცხადია, არც ის იქნებოდა, რომ „უთრუთიან-საამიანის“ ლექსით ვერსიას ცალკე გამოყოფოდა უთრუთის ამბავი და ის „უთრუთიანის“ სახელწოდებით ყოფილიყო გავრცელებული.

ლექსის პროზასთან შედარება გვარწმუნებს იმაში, რომ მელექსე მთელი თავისი შესაძლებლობით ცდილობს პროზაში მოთხრობილ ამბავს გაჰყუეს, დაიცვას, სადაც ეს მოსახერხებელია, წერილმანებიც კი. ნათქვამის ცხადსაყოფად ერთმანეთს შევადაროთ პროზაული და ლექსითი ვერსიის ადგილები პროზაში (ხელნაწერი S-1594) იკითხება:

ჩემსა ჰანგსა და გურმსა ვერა დაურჩები და სულთაგან დაიცილები, შავი მიწა წითლისა ვარდისა ფერად შევლებო!

ღვეისაგან რა ესე საუბარი გაიგონა, უთრუთ სახელი ღთისა ახსენა; შეუზახნა, ვითა: ავისა თესლისა ნერგო!

ამაშიდგან მოუხდა თუნდი დევი, შეიმაღლა მძიმე გურძი, და უთრუთ ფარი თავსა დაიდგა, და დაჰკრა თუნდი დევმან და ფარი თავსა დაალეწა. მერმე წელთა შეუქარადა; შეიპრანეს არც ერთს უნდა გაშველებდა. დიდხანს ირკინეს, მისციოლათ მათ სარტყლებს თხრეშა-ფრეწა, მიწა თრთოდა ძვერისაგან.

ამის შესადარ ადგილას ლექსით ვერსიაში შემდეგს ვკითხულობთ:

სულთაგან დაგული, გიჯობდა, არამც ეშობე დედასა,
მიწა შეულებო სისხლითა, დაუამზობ შენსა ბედასა;
ვატირებ შენსა მშობელსა, ტანი ძმასა და დედასა,
ადრე მივიწიო მამასა, ლახტით დაგიმხვრეუ ქედასა!

უთრუთ ესე გაიგონა გრძნეულისა დღვისაგან,
შეუზახნა: მერალო დეუო. რას კარგს ელი ბედისაგან?
დევმან ლახტი შეუმაღლა, შორე იყო თნევისაგან,
ფათრათ ფარი თავს დაიქო, წაიქცევის მხნე რისაგან!

ლახტი დაქრა ფალანსა, ფარი თავსა დაალეწა,
მერმე ქელად შეიჭიდნეს, არც ერთს უნდა გარდახვეწა;
გაილაყნეს, მისციოლათ მათ სარტყლებსა თხრეშა, ფრეწა,
მიწა თრთოდა ძვერისაგან, ყოლთა ჰონდა ღთისა ხეწა.

(სტროფები 1 — 3).

როგორც ხედავთ, ლექსში უკლებლადაა გადმოცემული პროზით მოთხრობილი ამბავი. შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ ლექსითი ვერსიის აქ წარმოდგე-

¹ მაგალითად, სპართველოს ცენტრ. არქივში (ფონდი: 233(8), № 464) დაცულია „ერაჯიანის“ ხელნაწერი.

ნილი ნაწყვეტი ზოგ შემთხვევაში პროზაული ვერსიის H-921 ხელნაწერში და-
ცულ წაითხვებს უფრო მიჰყვება, ვიდრე S-1594 ხელნაწერიდან ზემოწარმოდ-
გენილ სათანადო ადგილებს. ასე, მაგალითად, H-921 ხელნაწერში დაცული წი-
ნადადებანი: „სულთაგან დაგული, გიჯობდა, დედას არამც ეშობე! ამა წამსა
შავი მიწა შენითა სისხლითა შევლებო...“

რა ესე საუბარი გაიგონა უთრუთ გრძნეულისა დევისაგან, შეუზახნა:
მყარლო დეეო, რას კარგს ელი ბედისაგან? დევმან ლახტი შეიმალა“ (ფ. 11⁹)
და სხვ. უცვლელადაა ლექსში განმეორებული.

აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ პოეტს ხელთა აქვს აღნიშნული
თხზულების ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთაგან რამდენადმე განსხვავებული
ტექსტი, რომელსაც ის ზედმიწევნითი სიახლოვით იმეორებს: სიტყუასიტყუით
მისდევს პროზაულ თხრობას და ზოგჯერ სრულიად უცვლელად იცავს მთელ
წინადადებებს¹. ამასთან პოეტი, სადაც კი მისთვის მოსახერხებელია, პროზაუ-
ლი ვერსიის ლექსიკურ მარაგსაც ინარჩუნებს, თუმცა შეინიშნება შემთხვევები
ლექსში პროზაული ტექსტისათვის სრულიად უცნობი სიტყვების შემოტანისა.
მაგალითად, პროზაში ვკითხულობთ: ფოლად დევსა ყველა მოახსენა, უამბო:
უთრუთ ფალაენი ვნახე გამწყყალი, ვით ლომი კანჯრის ჯოგზედა (ფ. 12⁹).

ლექსში ამის სანაცვლოდ გვხვდება:

ფოლად დევს ყველა უამბო. მათი ზავთი და ძალია (28,2).

ზ ა ვ თ ი სხვათა ენაა, ბაქი ჰქვიანო—გვა:წავლის დიდი ქართველი ლექსი-
კოგრაფი ს უ ლ ხ ა ნ -ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. აღნიშნული სიტყვა უცნობია არა
მარტო „უთრუთიან-საამიანის“ პროზაული ვერსიისათვის, არამედ „შაპ-ნამეს“
ქართულ ვერსიებში შემავალ იმ თხზულებებისათვისაც, რომლებიც უკვე გა-
მოქვეყნებულია.

საბას არა აქვს აღნიშნული, თუ რომელია ის სხვათა ენა, საიდანაც ეს სიტ-
ყვა ჩვენს ძეგლებში დაჰკვიდრებულა. სიტყვა „ზავთ“ (ავ) ანუ „ვაჰთ“
(ავ) გვხვდება სპარსულში და ნიშნავს სავსეს, სრულს, მსხვილს, სქელს,
მაგარს, მყარს, ურყევს, უდრეკს, ღონიერს, გამძლეს და სხვ.

ჩვენს ტექსტში ის უფრო ამ უკანასკნელი მნიშვნელობებით იხმარება, ვიდ-
რე ს ა ბ ა ს განმარტებით. მაგალითად: ტაეპში — „ფოლად დევს ყველა უამბო.
მათი ზავთი და ძალია“ — საეპეოა, რომ „ზავთი“ ბაქს ნიშნავდეს და არა გამძ-
ლეობას, ღონეს და სხვ. ამის მსგავსი მაგალითები (პოეტის მიერ ლექსში სხვა,
პროზაულ რედაქციაში არარსებული იშვიათი სიტყვების შემოტანისა) კიდევ
დაიძებნება.

მელექსეს ომონიმების შემცველი სტროფებიც (ზოგჯერ იტყვიან მაჰამუ-
რიო) შეუთხზავს. მათში რითმებად ასეთი სიტყვებია გამოყენებული: ემართა,
საღარე, შენითა, დაეცადა, მართია, გააგორა და სხვა მისთანანი.

მოგვაქვს ომონიმური რითმების შემცველი სტროფის ნიმუში:

¹ ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი,
1940, გვ. 82.

² ა. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1952, გვ. 240.

აწე წაიღეთ, მოკუდების, ვიცი, კელითა შენითა,
მას კელმწიფობა წაუღოთ, შენგან იგ არის შენითა!
დიდი ქალაქი, მდიდარი, ყოვლითურთ არის შენითა.
მიუხდეთ რაზმდაწყობილი რხმლისა და ლახტის შენითა (453).

ამ სტროფში სარიტმო სიტყვა „შენითა“ ოთხივეჯერ სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. პირველ სტრიქონში „ხელითა შენითა“ ნიშნავს — შენი ხელით; მეორე სტრიქონში „შენგან ის არის შენითა“ ნიშნავს — შენგან ის არის შეშინებულნი; მესამე სტრიქონში „ყოვლითურთ არის შენითა“ ნიშნავს — ყველაფრით არის აშენებული, შემკობილი, დამშვენებული; მეოთხე სტრიქონში „რხმლისა და ლახტის შენითა“ ნიშნავს — რხმლისა და ლახტის დაშენით. არის ომონიმების რთიმებად გამოყენების რთული შემთხვევებიც.

თხზულება რუსთველური ლექსის ზომითაა დაწერილი. პოეტი ხშირად დაბალი შაირიდან მაღალზე გადადის და პირიქით. ამ ცვალებადობაში არაერთი კანონზომიერება არ შეინიშნება. ამ შემთხვევაში მას ამბის შინაარსი, მასალა კი არ განსაზღვრავს, არამედ საკუთარი ნება-სურვილი. ამ მხრივ ის კარგად ჰბაძავს „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებზე მომუშავე მის წინამორბედ პოეტებს (საბა-შვილსა და სხვებს). მის მიერ გალექსილ თხზულებაშიც უცვლელად შესულა რუსთველის ცალკეული გამოთქმები:

რუსთველი:

კვლა აჰაეა ვამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგო.

ვაჩნაძე:

უიმისოდ არ ვარგაუოს, ვინცა იყოს კაცი ვარგი.

რუსთველი:

შავი ცხენი სადაეთო ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა.

ვაჩნაძე:

გამოგზავნა, შევებიო მას ლომსა და ვითა გმირსა.

რუსთველი:

კაცი კაცსა შემოსტყორცა, როსტან ავად ივაგლანსა.

ვაჩნაძე:

კაცი კაცსა შემოსტყორცა, ფალავანი ზოცდა შითა.

მელექსე, როგორც ჩანს, უცვლელად იმეორებს რუსთველის გამოთქმებს „კაცი ვარგი“, „ლომსა და ვითა გმირსა“, „კაცი კაცსა შემოსტყორცა“ და სხვ. საერთოდ მისი ლექსები აღორძინების პერიოდში მომუშავე პოეტების შემოქმედებითი წონით განისაზღვრება. საშუალო პოეტური ძალით დამუშავებულნი სტროფების გვერდით გაუმართავი, რიტმდარღვეული და ოღრო-ჩოღრო ადგილებიც მოიპოვება.

„უთრუთიან-საამიანის“ ლექსითი ვერსია მნიშვნელოვან ადგილს იჭერს „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში; კერძოდ, მისი წინა ნაწილი წარმოადგენს ზაჰის ამბის თავისებურ ვერსიას. წარმოშობის თვალსაზრისით ის შეიძლება ყველა იმ ამბავზე ძველი იყოს, რომელნიც ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ მოთხრობილი.

„შპ-ნამეს“ ქართულ ეერსიებზე მომუშავე მეცნიერთათვის გარკვეული იყო ის გარემოება, რომ პირველ ტომში დაბეჭდილი ტექსტი, რომელიც „საამიანადაა“ დასათურებული, ბარძიმ ვაჩნაძის მიერაა გალექსილი. ძიება წარმოებდა პირველი ნაწილის გამლექსავის ვინაობის გამოსარკვევად. დღეს ეს საკითხი შესწავლილია და არავის მიაჩნია სადავოდ, რომ აღნიშნული პირველი ნაწილიც, რომელიც ყოველმხრივ შემდეგ ნაწილებს უკავშირდება, XVII საუკუნის მოღვაწეს ბარძიმ ვაჩნაძეს ეკუთვნის. იგი უშუალოდ სპარსული წყაროებით არ სარგებლობდა. მას პროზაული ტექსტი გაულექსავს.

2) უთ რ უ თ ი ა ნ - ს ა ა მ ი ა ნ ი (პროზაული რედაქცია). ნაწარმოები, რომელსაც ჩვენ „შპ-ნამეს“ ერთ-ერთ ეერსიათაგანად ვთვლით, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა სათაურით არის ცნობილი; იუსტიცე აბულაძე მას „საამიანს“ უწოდებს¹, ალ. ბარძიმე — „უთრუთიან-საამიანს“², ხოლო კ. ქეკელიძე — „ფრიდონიან-საამიანს“³.

თვითეული ამ სათაურთაგანის გამართლება შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, რომ ამ ნაწარმოების საერთო სახე აქ გამოყვანილი რომელიმე ერთი ან ორი გმირის სახელით მისი სახელწოდების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლეოდეს, როგორც ეს ხშირად შესაძლებელი ხდება დამთავრებული სახის ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოებისათვის, რომლის შემადგენელი ნაწილები მისი მთავარი გმირის (ან გმირების) ირგვლივ ტრიალებენ.

ამ თხზულებაში შეგვეალი ეპიზოდები კი არ იყრიან თავს გარშემო ერთი ან ორი გმირისა, რომლის სახელით (ან რომელთა სახელებითაც) შესაძლებელი იყოს ამ ნაწარმოების დასათურება. არამედ ისინი (ცალკეული ეპიზოდები) გადმოგვცემენ აზებებს სხვადასხვა მეფეთა და ფალავანთა, რომელთაგან ერთი ან ორის მთავარ გმირად თუ გმირებად გამოყოფა შეუძლებელი ხდება.

აქ უთრუთის ცვლის გვარჯასში, გვარჯასს — ქარიშანი, ქარიშანს — ნარიშანი, ნარიშანს — საამი და ყველა ესენი, ცალ-ცალკე, ირანის მეფეთა (თაიმურაზის. ჭიმუდის, ფრიდონისა და მანუჩარის) ფალავნებად გამოდიან. ამავე დროს აღნიშნული ეერსია ჩვენს მწერლობაში დამთავრებული სახით არ არის წარმოდგენილი.

„შპ-ნამეს“ ძირითადი ტექსტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქ ამბავი ქაიუმარსის (ქართ. ქოიამარ) ეპიზოდით იწყება და სიმურდის (ქართ. ფსკუნჯის) მიერ ზაალის პოვნამდეა მიტანილი. თხზულებაში მოთხრობილი ამბების საერთო შინაარსი „შპ-ნამეს“ ძირითად ხაზს მისდევს. ეს გარემოება იმას გვაფიქრებინებს, რომ მისი ორიგინალის შემდეგ ნაწილში გადმოცემული უნდა ყოფილიყო ყოველივე ის, რაც მოთხრობილია ჩვენს „როსტომიანში“, რომელიც, უპიკველია, ამ დროისათვის ლექსად თუ პროზად შემუშაებული იქნებოდა.

საკითხის სირთულე იმაში მდგომარეობს, თუ „შპ-ნამეს“ სპარსული ეერსიის ის წინა ნაწილი (ქაიუმარსის მეფობიდან ზაალის გარდაცემამდე), რომელიც ქართულად უთარგმნიათ, რა წყაროების საფუძველზე უნდა შემუშაებულიყო, რას უნდა გამოეწვია მასში ფრიდონის პოემისათვის სრულიად უცნობი ეპიზოდების გაჩენა და საერთოდ ის საგრძნობი ცვლილებები, რომლითაც ტექს-

1 შპ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ეერსიები, I, თბილისი, 1916, გვ. XII.

2 ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1940, გვ. 81.

3 ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1941, გვ. 293.

ტი ხასიათდება. იქნებ ის „შაპ-ნამეს“ რომელიმე მიმბაძველ-გამგრძელებლის თხზულებაა, ან მისი ნაწილი, რომელიც, საფიქრებელია, მსგავსად მიმბაძველ-გამგრძელებელთა სხვა ნაწარმოებებისა „შაპ-ნამეს“ რომელიმე ტექსტს შეუერთდა, განდევნა მისი წინა ნაწილი და, ამრიგად, გაიკაფა გზა ქართული ლიტერატურისაკენ?

„შაპ-ნამეს“ ძირითად ვერსიაში წარმოდგენილი ამბებიდან ამ თხზულებაში იკითხება ქაიუმარსის, უშენგის, თაიმურაზის, ჯიმშედის, ზააქის, ფრიდონისა და მანუჩარის შესახები ამბები, მაგრამ არა იმავე სახითა და მოცულობით, როგორც ეს ფირდოუსის ნაწარმოებში გვაქვს. აქ შემოკლებული სახითაა წარმოდგენილი „შაპ-ნამედან“ მომდინარე ის ეპიზოდები, რომლებიც ამა თუ იმ გმირის საფალავნო საქმეს არ ასახავენ, ხოლო სამაგოუროდ „შაპ-ნამესათვის“ სრულიად უცნობი (უთრუთის, გვარჯასპის, ქარიმანის, ნარიმანისა და სხვათა) საგმირო ეპიზოდების შეტანის ნიადაგზე, გაფართოებულ-გაძლიერებულაირანული ეპოსის გმირთა საფალავნო ამბები.

შინაარსობრივი თვალსაზრისით ჩვენი ძეგლის შედარება ფირდოუსის თხზულების შესაფერ ნაწილთან შემდეგ მთავარ განსხვავებებს გვიჩვენებს:

ა) „შაპ-ნამეთი“, ქაიუმარსის¹ ჰყავს ერთი შვილი სიამეჟი, რომელიც დევთან ბრძოლაში იღუპება. დამწუხრებული მეფე დევთან საომრად მოიხმობს სიამეჟის შვილს უშანგის. უშანგი კლავს დევს. ქაიუმარსი გარდაიცვლება და ტახტზე უშანგი აღის.

ამ ვერსიით, ქოიამარს ჰყავს ორი შვილი. სიამუქ და თურენგი. ქოიამარს დიდად შეწუხებულია დევებით, რომლებსაც ხელმძღვანელობს ხაზარან დევი. იგი კლავს თურენგსა და სიამუქს. ქოიამარს კლავს ხაზარან დევს (უშანგი ამ ბრძოლაში არ მონაწილეობს). გარდაცვალების წინ ქოიამარს სიამუქის შვილს უშანგის დასავს ხელმწიფედ, სპასალარობასა და ფალავნობას თურენგის შვილს სოილს აძლევს, ხოლო თავადობას სიამუქის შვილს — ზავ ფალავანს.

ბ) „შაპ-ნამეთი“, უშანგის დროს მოიგონეს რკინის იარაღის კეთება, შემოიღეს თესვა, პურის მოყვანა, ცეცხლის ხმარება, გაიჩინეს შინაური ცხოველები და სხვა.

ამ ვერსიით, უშანგის მეფობის ხანაში სოილი და ზავი ებრძვიან დევებს. მათთან ომში ორივე ფალავანი იღუპება.

გ) „შაპ-ნამეთი“, უშანგის შემდეგ ტახტზე აღის. მისი შვილი თაჰმურას დევთა შემკვრელი (დივ ბანდ), რომელიც ამარცხებს დევთა ლაშქარს.

ამ ვერსიით, თაიმურაზის მეფობის დროს მოღვაწეობს ფალავანი უთრუთი² და სოილის შვილი გოსტასამ. უთრუთი კლავს დევთა ცნობილ ფალავნებს: ქაჯეჯანსა და რობინს, თაიმურაზი და უთრუთი იბრძვიან დევების წინააღმდეგ. იანინი ამარცხებენ დევებს: ბარყიჯანს, არჯანგსა და ფალანგს.

დ) „შაპ-ნამეთი“, ჯიმშედის მეფობის დროს მოიგონეს ტანისამოსის ქსოვა, ჯავშნის გაკეთება, გაუმჯობესდა საყოფაცხოვრებო პირობები და ქვეყანა სამოთხეს დაემსგავსა. ჯიმშედ-მეფემ საკუთარი თავი გამოაცხადა. ღმერთად და-

¹ „შაპ-ნამეს“ სპარსული ვერსიები სხვადასხვაგვარად კითხულობენ ამ სახელს; გვხვდება: „გაიომართ“, „ქაიომარს“ და სხვ. ქართულ მას წარმოგიდგენს ფორმით: „ქოიამარ“, „ქაიომარ“.

² ეს სახელი ვხვდებით ფორმითაც „ფათრათ“.

ყოვლის შემქმნელ-შემოქმედად. ამის გამო მას ჩამოშორდა ხალხი, განშორდა მეფური ბრწყინვალეობაც.

ამ ევრსიით, ჭიმშედის ღროს მოღვაწეობენ ფალავენი უთრუთი და მისი შვილი გვარქასპი. უთრუთს კლავს ხარიფ დევი. გორქასპი (იგივე გვარქასპი). ეოპება დევებს, კლავს არქანგს, ხარიფს (უარუთის მკვლელს) და ქაჭვაიჩინ დევს. ჭიმშედის საწინააღმდეგოდ გამოემართება საადი მგლისთავა; იმართება ომი; მარცხდება საადი მგლისთავა. ჭიმშედის წინაშე ცხადდება ეშმაკი, რომელიც მას მიპართავს: აგრე დიდი კელმწიფე შეიქენ, ღმერთი შენ ხარო, აღარავინ არის სხუა ღმერთოო.

ჭიმშედს დასტურად ეგონა და ღმერთსა ცილობა დაუწყო; დავარდა თემსა და ქვეყანასა შიგან ხმა, ვითა: ჭიმშედ ღმერთსა ღმერთობას ეცილებისო. ამ ღროს გვარქასპ ფალავენი კვდება. ჭიმშედი ფალავენობას გორქასპის შვილს ქარიმანს უბოძებს.

ე) „შაპ-ნამეთი“, ზააქის მამას ეწოდება „მარდას“; იგი არაბთა თავადია. ეშმაკი ცხადდება ზააქის წინაშე და ურჩევს მამის სიკვდილს: შენ შეგფერის ქვეყნად მისი ადგილი და ქონებაც შენ დაგრჩებოა¹.

მარდასის სიკვდილის შემდეგ ზააქი დაეპატრონა მამის ტახტსა და გვირგვინს. ახლა ეშმაკი მზარეულად გარდაიქმნება. იგი კიდევ მოატუუნებს ზააქს, რომელსაც მხრებზე (ეშმაკის ამბორის შემდეგ) გველები გამოვბმება.

ჭიმშედს ჩამოშორებული ლაშქარი ნაწილ-ნაწილ ირანიდან არაბეთისაკენ გაემართება, რადგან გაიგონებენ იქ გაბატონებული ზააქის ამბავს და მას ირანის ქვეყნის შაჰადაც აღიარებენ.

ზააქი შეკრებს დიდძალ ლაშქარს და დაიძვრება ჭიმშედის ტახტის ასაბრებლად. ჭიმშედი უბრძოლველად უტოვებს ზააქს ტახტსა და გვირგვინს; ასი წლის შემდეგ ჩინეთის ზღვაში გამოჩნდება იგი. ზააქი მას შეიპყრობს და შუაზე განებრხავს.

ამ ევრსიით, ზააქის მამას „მურდავ“ ეწოდება. იგი ფალავენია ჭიმშედისა². ეშმაკი მამის სიკვდილს ზააქს შემდეგი მოტივით ურჩევს: მრავალი საქონელი აქვს და შენცა ბევრი გაქვს; მერმე გავსცეთ ლაშქარზედა და შევიყაროთ მრავალი ლაშქარი და ჭიმშედს კელმწიფობა წაეართვათ³.

ზააქი მამის სიკვდილის შემდეგ მართავს ვეზირობას და გადაწყვეტს ღმერთად ამლიარებლის ჭიმშედის წინააღმდეგ ბრძოლას, რაზედაც „თავადთაცა დართვს ნება“⁴. იგი მოიხმობს ლაშქარს ალაბით, შამითა და დიმიზხით და წამოვა ჭიმშედის ტახტის დასაპყრობად.

იმართება ომი ჭიმშედსა და ზააქის ლაშქართა შორის. ჭიმშედის ლაშქარი დამარცხდება. ჭიმშედი გარბის ინდოეთს. ინდოეთის მეფე ჯოგრატი და მისი ძმა ბალრატი ეხმარებიან ჭიმშედს, მაგრამ ზააქი მათაც ამარცხებს. ზააქის მუქარით შეშინებული მცხოვრებლები დულა ქალაქს შემწყვედიელ ჭიმშედს შეიპყრობენ და ხელშეკრულს მოიყვანენ ვეშაპებიანი მეფის წინაშე, მერმე მოიტანენ ხერხს, დაადგამენ თავსა და შუა გახერხავენ ჭიმშედ ხელმწიფეს.

¹ Vullers, 29.

² დევებზე გამარჯვების შემდეგ ჭიმშედი მას მისრეთს უბოძებს: იწოდება მურდავ მისრელად.

³ ხელნაწერი H—921, ფ. 33r.

ვ) „შაპ-ნამეთი“, ფერიდუნს ჰყავს ლაშქარი და საჭირო შემთხვევაში ბრძოლა ემართება მის ლაშქარსა და ზააქის მომხრეებს შორის; მაგრამ ზააქ-ფერიდონის ეპიზოდში „შაპ-ნამეთი“ არ იცის ცალკეულ ფალაენათა ბრძოლები, არც მათი სახელებია ჩამოთვლილი. აქ „შაპ-ნამეთი“ იცნობს მხოლოდ ჭავე მკედლისა და ფერიდუნის ძმების — ქაიანუშისა და ფორმაიეს სახელებს.

ამ ვერსიით, ზააქ-ფერიდონის ომი გაფართოებულია. ფერიდონის მხარეზე იბრძვიან ფალაენები: ქარიმანი, ჰშაქ, ჭავე მკედელი და მისი შვილები: ყარან და ყუბად. ზააქის მხარეზე კი — ყათმაზ მისი ძმებითურთ—ყორხმაზითა და ასლამაზით, ფალაენები: ყათილი, მუყათილ, ყარამან, აბულყარ ზანგი, ისპან ფანდაველი, თაბალი ჰინდო და სხვ. გამარჯვება, ისევე როგორც „შაპ-ნამეთი“, ფერიდონს რჩება, რომელიც „ზააქის ანსადგომეზედა დგება“.

ფერიდონის მიერ ზააქის დატყვევებითა და დეშავენდის მთაში ჩაკიდებით თავდება ზააქის ამბავი „შაპ-ნამეთი“ და იწყება ფერიდონის მეფობის ეპიზოდი, მისი შვილების სალიმის, თურისა და ვერაქის ამბავი და სხვ.

ეს ვერსია კი ისევ აგრძელებს ამბავს ზააქის შვილისა და ძმისას, რომელთა განადგურებაც აუცილებელი ხდება ფერიდონის ტახტის განმტკიცებისათვის.

აღა-ყალას გამაგრებული ზააქის ძმის — თაზაზის საწინააღმდეგოდ მიემართება ფალაენი ქარიმან — შვილი; გორჯასისა, მაგრამ იგი მალე ავად გახდება და გარდაიცვლება.

ფერიდონი ლაშქრითურთ მიემართება მისრეთში გარდახვეწილი ზააქის შვილის ფარუხის საწინააღმდეგოდ. ომში მონაწილეობისათვის გამოიწვევენ ქარიმანის შვილს ნარიმანს. ფალაენებს შორის იმართება ფცხელი ომი. ნარიმანი კლავს თულა ზანგს, იამუთი ზანგს და ხულაფი ზანგს. მარცხდება ფარუხის ლაშქარი. ფარუხს შეიპყრობენ და თავს მოჰკვეთენ.

ფერიდონის ქვეყნის ასაოხრებლად მოდის ფოლად დევის შვილი ყამურ დევი. იმართება ომი. ნარიმანი კლავს ჭანი დევს, ჭანსუზ დევს და თვით დევთა უფროს ყამურ დევსაც.

ფერიდონი და ნარიმანი გამარჯვებულნი ბრუნდებიან სარა ქალაქსა. ფარუხ-ზააქის განადგურების შემდეგ დგება საკითხი აღა-ყალას შესული თამაზის განადგურებისა. მის საწინააღმდეგოდ მიემართება ფალაენი ნარიმანი, რომელიც ბრძოლაში იღუპება.

ზ) „შაპ-ნამეთი“, ფერიდონი იამანის ხელმწიფესთან მისი ვაჟებისათვის ასულთა გამოსათხოვად გზავნის ჭუნდალს. იგი ცხადდება იამანის მეფესთან და მოახსენებს საქმის ვითარებას. იამანის მეფე თანხმობას უცხადებს. ჭუნდალი ბრუნდება ფერიდონთან. ფერიდონი რჩევა-დარიგებას აძლევს შვილებს და მათ გზავნის იამანს, ისინი ცხადდებიან იამანის მეფესთან. იმართება ლხინი; მათ მოჰყავთ ქალები.

ამ ვერსიით, ფერიდონი იამანის ხელმწიფესთან გზავნის საამ ფალაენს. სარუშა (იამანის მეფე) ჭამუშთა საშუალებით გაიგებს საამის წამოსვლის მიზანს და, თავის მხრივ, გაუგზავნის წერილებს ქოიალს, მუთარიდს და ყიილუშადს. ამ ფალაენებთან იგი მართავს თათბირს. გარდაწყვეტენ, რომ ასულნი საამს ნებით მისცენ.

მეფე შეეგება საამს. იმართება ლხინი. საამი სარუშანს მიართმევს ფერიდონის წიგნს. სარუშანი თანხმობას ასულნი მისცეს ფერიდონის ვაჟებს. საამი აც-

ნობებს ფირდონს საქმის ვითარებას. ფირდონის შვილები ცხადდებიან სარუმა-
ნის წინაშე. იმართება ქორწილი.

საერთოდ მთელი ეს ეპიზოდი „შაპ-ნამესთან“ შედარებით გაპიანურებუ-
ლია. გაფართოებულია აგრეთვე ძმის მკვლელების — თურისა და სალამის წი-
ნალმდეგ მანუჩარის ლაშქრობის ეპიზოდები. ამ ნაწილშიაც წარმოდგენილია
მთელი რიგი „შაპ-ნამესათვის“ უცნობი ეპიზოდებისა, როგორცაა, მაგალი-
თად, თურის შვილის ზადაჩამის ეპიზოდი და სხვ.

„შაპ-ნამესათვის“ სრულიად უცნობია აგრეთვე აქ წარმოდგენილი ბოლო
ეპიზოდები — საამის ბრძოლები დეულსა და შიშავათის წინალმდეგ, თუნდისა
და რობინის ირანსა ზედა გალაშქრებისა და მათი დამარცხების ამბები და სხვ.

მოკლედ წარმოდგენილი შედარებითაც კი, ვფიქრობთ, ნათელი ხდება შემ-
დეგი გარემოება: ა) ჩვენს ძეგლში, „შაპ-ნამეს“ სპარსული ძირითადი ვერსიის
წინა ნაწილთან შედარებით, თავიდან ბოლომდე შენარჩუნებულია საგმირო-სა-
ფალანგო ამბების გაფართოების მძლავრი ტენდენცია; ბ) ჩვენი ძეგლის ძირითად-
ი ეპიზოდები, რომელთა ირავლივ თავს იყრის სხვა, ფირდოუსის თხზულები-
ნათვის უცნობი ამბები, შაპნამესეულია; მაგრამ ყოველივე ეს, რა თქმა უნდა,
იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ძეგლის წყარო უშუალოდ ფირდოუსის „შაპ-ნამეს“
და ქართველი მთარგმნელი, მისი ნება-სურვილის მიხედვით ასხვადფერებს სპარ-
სული ტექსტის ამა თუ იმ ადგილს, ან საგმირო ამბების გაძლიერების მიზნით
თვით ქმნის ახალ-ახალ ეპიზოდებს და, ამრიგად, ცელის „შაპ-ნამეში“ მოთა-
ვებული ამბების ზაერთო სახეს.

მაზევები ჩვენი ტექსტის თავისებურებებისა, მასში „შაპ-ნამესათვის“
უცნობი ეპიზოდების მოხვედრისა თუ შაპნამესეული ეპიზოდების შეცვლილი
სახით წარმოდგენისა, მრავალნაირია. ჩვენთვის ხელმისაწვდომი „შაპ-ნამეს“
ცვლილებაგანაცადი, ინტერპოლირებული ლექსითი და პროზითი ვერსიებისა
და აგრეთვე ფირდოუსის მიმზამველ-გამგრძელებელთა ნაწარმოებების ამ ვერსი-
ებთან დამოკიდებულების შესწავლის ნიადაგზე, შესაძლებელი ხდება რამდენი-
მედ მაინც გავითვალისწინოთ ის რთული პროცესი, რამაც „შაპ-ნამეს“ წინა
ნაწილში გადმოცემული ამბების ამ სახით შემუშავება გამოიწვია.

ამ თხზულების სპარსული წყაროების ძიების შედეგად, „შაპ-ნამეს“ ცვლი-
ლებაგანაცად ვერსიებში ჩვენ მოვიპოვეთ ქართულ ტექსტში წარმოდგენილი,
ფირდოუსის პომესათვის უცხო ზოგიერთი ეპიზოდი. მასში საკმაო ადგილს
იჭერს XI საუკუნის პოეტის ასადი ტუსელის ცნობილი პომეს „გერშასფ-ნამეს“
(1066) ნაწილები, რომელთაც, თავის მხრივ, სხვადასხვა გადამწერთა მეოხებით
საკმაო ცვლილებები განუტლია. გარდა ამისა, „უთრუთიან-საამიანის“ დედანში
„შაპ-ნამეს“ მიმზამველ-გამგრძელებელთა და გადამწეებელთა ცალკეული ეპი-
ზოდებიც შეჭრილა.

ჩვენს ძეგლში წარმოდგენილ იმ ეპიზოდებს შორის, რომელთაც სათავეები
„გერშასფ-ნამეში“ გააჩნია, ასე თუ ისე, მხოლოდ ნარიმანის ბრძოლისა და სი-
კვდილის ეპიზოდს შერჩენია პირვანდელი სახე; „გერშასფ-ნამეს“ გმირთა
(უთრუთის, გერშასფისა და ნარიმანის) შესახები დანარჩენი ეპიზოდები კი, აქ
მეტად შეცვლილი სახითაა წარმოდგენილი. ეს ცვლილებანი კი სხვადასხვა
დროს თანდათანობით უნდა მოეხდინათ „შაპ-ნამეს“ ტექსტის გადამწერ-შემკე-
თებლებს, რომელთა მეოხებითაც ჩვენს ვერსიაში შემავალ როგორც „შაპ-ნა-

მეს“. ისე სხვა ნაწარმოებების ეპიზოდების დიდ ნაწილს საგრძნობი ცვლილებები განუცლია¹.

ჩვენი მიმოხილვით გამოირკვა, რომ: ა) „უთოუთიან-საამიანში“ „შაპ-ნამედან“ მომდინარე ცვლილებათაგანაცად ეპიზოდებთან ერთად ჩვენ გვაქვს „შაპ-ნამეს“ წარყენილ, ინტერპოლირებულ ვერსიებში შემავალი მიმბაძველ-გამგრძელბელთა სხვადასხვა ნაწარმოებების ეპიზოდები და ცალკეული ჩანართები, რომლებსაც ცვლილებების თვალსაზრისით ძლიერი გავლენა მოუხდენიათ „შაპ-ნამეს“ ეპიზოდებზე და თვით ამ ეპიზოდების ორგანულ ნაწილებად ქცეულან.

ბ) როგორც ჩანს, იმ ვერსიაში, რომლის წინა ნაწილის ქართულ თარგმანს ეს ძეგლი წარმოადგენს, საფალაუნო ამბების გაძლიერების მიზნით სხვადასხვა მიმბაძველ-გამგრძელბელთა ნაწარმოებებიდან შეჭრილა ეპიზოდები, რომელთა შინაარსი გამოუყენებიათ ტექსტის გადამწერ-შემკეთებლებს, ზოგი ძირითადი ეპიზოდის შესაკუმშავად (შეკუმშულია ზაქთან ეშმაკის გამოცხადების ეპიზოდი და სხვ.), ზოგის გასაფართოებლად (გაფართოებულია ფრიდონის ეპიზოდი და სხვ.) და ზოგის განსაღვენდაც კი (განღვენილია არმელ-ქარმელის ეპიზოდი და სხვ.). მასში აგრეთვე სხვადასხვა დროს ცალკეული ეპიზოდების შეკუმშვა-გავარძელების მიზნით გაჩენილა ჩანართები (ზადაჩამის ეპიზოდი და სხვ.), შემუშავებული „შაპ-ნამეში“ და აგრეთვე მიმბაძველთა თხზულებებში მოცემული ამბების საფუძველზე.

ჩვენი ძეგლის ორიგინალს, როგორც ჩანს, ცვლილებების თვალსაზრისით საკმაოდ რთული გზა გაუვლია. ამაში უნდა ვეძიოთ მიზეზები „შაპ-ნამეს“ წინა ნაწილში მოცემული ამბის ამ სახით შემუშავებისა, მასში ფირდოუსის პოემისათვის სრულიად უცნობი ეპიზოდების გაჩენისა და იმ საგრძნობი ცვლილებებისა, რომლებითაც ჩვენი ტექსტი ხასიათდება.

გ) „შაპ-ნამეს“ მიმბაძველ-გამგრძელბელთა ნაწარმოებების შესწავლა გვარწმუნებს იმაში, რომ ერთი წყება მიმბაძველებისა ამუშავებს საგმირო ეპიზოდებს „შაპ-ნამეში“ მოთხრობილი ამა თუ იმ ამბის გავრძელების მიზნით. ისინი შინაარსობრივი თვალსაზრისით კი არ იმეორებენ იმას, რაც ფირდოუსისაა წიგნშია მოთხრობილი, არამედ ხელმძღვანელობენ „შაპ-ნამეში“ მოცემულით და ქმნიან ისეთი ხასიათის ნაწარმოებებს, რომლებიც „შაპ-ნამეში“ ამა თუ იმ ეპიზოდის ბუნებრივ (შესაძლებელ) გავრძელებებს წარმოადგენენ. ამიტომ მათ მიერ შემუშავებული ნაწარმოებების (თუ ცალკეული ეპიზოდების) შეჭრა „შაპ-ნამეს“ ტექსტში შინაარსობრივი მსგელობის თვალსაზრისით არ იწვევს საგრძნობ ცვლილებებს.

მიმბაძველების მეორე ჯგუფი ემყარება ფირდოუსის მიერ გამოუყენებელ წყაროებს, ზეპირ გადმოცემებს და აგრეთვე საკუთარ ფანტაზიასაც. ისინი ირანული ეპოსის გმირთა შესახებ ქმნიან ფირდოუსისაგან დამოუკიდებელ თხზულებებს, რომლებშიც მოთხრობილი ამბები აგრეთვე არ წარმოადგენს განმეორებას „შაპ-ნამეში“ მოთხრობილისას. ასეთი სახის მიბაძვით შექმნილი ნაწარმოებები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავისთავად არ წარმოადგენენ „შაპ-

¹ დაწერილობით მსჯელობას დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა ჩვენს წიგნში: შაპ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები. თბილისი, 1959, გვ. 162—197.

ნამეში“ მოთხრობილის გაგრძელებას, მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ, სადაც ეს მოსახერხებელი ხდება, მაინც უერთდებიან „შაპ-ნამეს“ ტექსტს.

არიან კიდევ და ეს უკანასკნელნი, ვიტყვით, ყველაზე უფრო საშიშნი „შაპ-ნამეს“ ტექსტებზე მოუარჩიე მიმბაძველ-გადაამკეთებლები, რომლებიც ტექსტის გადაწერის ან მისი პროზად გადაკეთების შემთხვევაში საკუთარი გამოცნების მიხედვით ცვლიან ამა თუ იმ ადგილს, ამოკლებენ ან აფართოებენ ტექსტს. ისინი უფრო ფრთხილად მიიჩნევიან არიან პროზაული ვერსიების მიმართ, რადგან „შაპ-ნამეს“ პროზაული ვერსიები, წარმოადგენენ რა სპარსული ლიტერატურის კლასიკურ პერიოდის პროზაულ ნიმუშებთან შედარებით დაბალ დონეზე მდგომ, მდაბიო ხალხისათვის გასაგები, მარტივი ენით დაწერილ ძეგლებს, ბუნებრივია, ცვლილებების შეტანის უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევიან, ვიდრე ლექსითი ვერსიები, სადაც ამა თუ იმ ადგილის შეცვლა-გადაკეთებას, ასე თუ ისე, პოეტური ნიჭი სჭირდება.

ჩვენი ძეგლის საერთო სახე და ის საყურადღებო გარემოება, რომ აქ „შაპ-ნამეს“ ეპიზოდების გვერდით სხვადასხვა მიმბაძველთა თხზულებების ნაწილები აღმოჩნდნენ, იმის მაჩვენებელია, რომ მისი სპარსული წყარო ერთი ავტორია მიერ შემუშავებულ ნაწარმოებად ვერ ჩაათვლება.

ჩვენს ძეგლში თუმცა ცვლილებებით, მაგრამ ძირითადად მაინც „შაპ-ნამეში“ მოთხრობილი ამბებია გადმოცემული, გარემოება, რისთვისაც იგი არ შეიძლება ფირდოუსის რომელიმე სახის მიმბაძველის ნაწარმოებად წარმოგვიდგეს.

დ) ქართულ შთარგმნელს ხელთა აქვს საკმაოდ შეცვლილი, ჩანართებით გაჭედული (უფრო საფიქრებელია პროზაული) „შაპ-ნამეს“ სპარსული ვერსია. საიდანაც შას მხოლოდ მისი წინა ნაწილი გადმოუღვია (ისევე, როგორც „შაპ-ნამეს“ სხვა ქართული პროზაული ვერსიების გადმომღებლები იქცევიან). შესაძლებელია იმ მოსაზრებით, რომ მისი წყაროს შემდეგ ნაწილში გადმოცემულ ამბებზე იმ დროისათვის ჩვენში უკვე იქნებოდა ცნობილი ლექსითი თუ პროზითი „როსტომიანის“ სახით.

3) წიგნი საამ ფალავნისა. „შაპ-ნამეს“ ქართულ პროზაულ ვერსიებს შორის თვალსაჩინო ადგილს იკავებს „წიგნი საამ ფალავნისა“. ამ ვერსიის ძირითადი ნაწილი „საამ-ნამეს“ (საამის წიგნის) ქართულ ვერსიას წარმოადგენს. აქ უმთავრესად საამის საგმირო-სამიჯნურო ამბებია გადმოცემული.

„საამ-ნამე“ უნდა მივაკუთვნოთ „შაპ-ნამეს“ მიმბაძველ-გამგრძელებელთა ნაწარმოებთა რიცხვს, თუმცა მის ლიტერატურულ წარმოშობას უფრო სხვაგვარი ისტორია აქვს, ვიდრე „შაპ-ნამეს“ მიმბაძველ-გამგრძელებელთა სხვა თხზულებებს.

„საამ-ნამეში“ გადმოცემული საამის სამიჯნურო ურთიერთობის ისტორია ჩინეთის მეფის ასულთან—ფერიდუხტთან შინაარსობრივად არ გამოდინარეობს „შაპ-ნამეს“ ეპიზოდებიდან, არც რომელიმე მათგანის გადასხვაფერებას შეიცავს იმ შემთხვევაში, როცა „შაპ-ნამეს“ მიმბაძველ-გამგრძელებლის ესა თუ ის ნაწარმოები (ბარზუ-ნამე, ბაჰმან-ნამე და სხვ.) ფირდოუსის თხზულებაში წარმოდგენილი ამა თუ იმ ეპიზოდის გაგრძელებას ან მის გადაკეთებას წარმოადგენს.

„საამ-ნამე“, როგორც ეს უკვე აღნიშნულია მეცნიერებაში. წარმოადგენს გადაკეთებას ჩაყო ქირმანელის საგმირო-სამიჯნურო პოემის „ჰუმამა ო ჰუმ“.

მაჟუნისა¹, რომელშიც მოთხრობილია ხაერის ქვეყნის მეფის უშანგის შეი-
ლის — ჰუმამასა და ჩინეთის მეფის ასულის — ჰუმამაუნის სიყვარულის ამბავი².
ამ ორ პოემას შორის სიუჟეტურ-ფაბულური ხასიათის განსხვავება არ არსე-
ბობს. ქირმანელის თხზულების „საამ-ნამედ“ გადმომკეთებელს შეუუცლია „ჰუ-
მამა-ჰუმამაუნის“ გმირთა სახელები შაჰნამესეული სახელები, და ზოგი ეპიზო-
დიც გადაუსხვაფერებია, რამდენადაც ეს საჭირო იყო ქირმანელის ნაწარმოების
საერთო ელფერის შესაცვლელად. მასში გადმოცემულ ამბების „შაჰ-ნამეს-
თან“ მისაახლოებლად.

ხაჯო ქირმანელის ხუთეულის (ხამსეს) ზოგ ხელნაწერში „ჰუმამა-ჰუმამაუნის“
ნაცვლად „საამ-ნამეა“ წარმოდგენილი და აგრეთვე არის შემთხვევები, რო-
ცა „შაჰ-ნამეს“ ზოგ ხელნაწერში შესული „საამ-ნამეს“ ავტორად ხაჯო ქირმან-
ელი იხსენიება, მაგრამ დანამდვილებით არ ვიცით, თუ ვინაა ხაჯოს პოემის
„ჰუმამა-ჰუმამაუნის“ „საამ-ნამედ“ გადმომკეთებელი.

ხაჯო ქირმანელის (1290—1353) პოემა „ჰუმამა-ჰუმამაუნ“ დაწერილია 1332
წელს. მისი „საამ-ნამედ“ გადმოკეთება, ჩვენი აზრით, უნდა მომხდარიყო XIV
საუკუნის მიწურულში, ან XV საუკუნის გარეყრამდე, სწორედ იმ დროს, როცა
სპარსულ ლიტერატურაში გაშორდა შემთხვევები „შაჰ-ნამეს“ ტექსტის შერყ-
ვნისა, მასში მიმბაძველ-გამგარქელბებულთა ნაწარმოებების შერთვით, გაშორდა
პოემის მთელი რიგი ადგილების შეცვლა-გადასხვაფერება, რაც გამოწვეული
იყო ამა თუ იმ პოეტის, ან ტექსტის გადაწერის სურვილით — გაეგრძელებინა-
ან შეეცვალა ფირდოუსის თხზულების ესა თუ ის ეპიზოდი.

„საამ-ნამეს“, როგორც ეს მისი ვერსიების შესწავლით ირკვევა, თანდათან,
სხვადასხვა დროის პოეტებისა თუ გადაწერლების მიერ შემატეხია მთელი რი-
გი საგმირო-ეპიკური ხასიათის ეპიზოდები — გარემოება, რაც შენიშნული
გვაქვს ფირდოუსის თხზულების სხვა მიმბაძველ-გამგარქელბებულთა ნაწარმოებ-
თა მიმართაც, გამდიდრებულა მისი შინაარსი და, ამდენად, იგი უფრო მეტად
შეკავშირებია — შესისხლბორცებია „შაჰ-ნამეში“ გადმოცემულ ამბებს და, თავის
მხრივ, „შაჰ-ნამეს“ ისეთი ვერსიების ეპიზოდებზედაც მძლავრი გავლენა მოუხ-
დენია, რომელთაც იგი მთლიანად ან ნაწილობრივი სახით შეერთვის.

„საამ-ნამეში“ გადმოცემულ ამბავს არავითარი საერთო არა აქვს ძველ
ირანულ წყაროებში გადმოცემულ საამის შესახებ ამბებთან, არც ხალხურ თქმუ-
ლებებთან. იგი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ამ პოემის ავტორის ფანტა-
ზიის ნაყოფს³.

როგორც ვიცით, ფირდოუსის უკვდავ თხზულებაში საგმირო ამბების გვერ-
დით წარმოდგენილია რომანტიკული ეპიზოდები ზაალისა და როდაბენის, როს-
ტემისა და თაჰმინის, ბეჟანისა და მანიყის, გოშთასფისა და ქეთეონისა, ხოს-
როვისა და შირინისა, მაგრამ მასში არაფერია ნათქვამი საამის სამიჯნურო თავ-
გადასავლის შესახებ.

¹ H. Ethe, Neupersische Literatur, Grundriss, II, 284; A. Крымский, Ис-
тория Персии, ее литературы и дервишеской теософии, т. III, № 1, Москва, 102—104

² იგი 1970 წელს თერანში გამოცა ქ. აინი: Homay and Homayun of Khadju (1290—
1353), Persian critical text, by Kamal Aini.

³ Spiegel, Die Sage von Sâm und das Sâm-name, Zeitschrift der Deutschen
Morgenlän. Ges., III, 252.

ქირმანელის პოემის გადმოკეთებელს — „საამ-ნამეს“ ავტორს აქ გამოუნახავს საფუძველი მისი ნაწარმოებისათვის¹. მას, როგორც ჩანს, ნაკლებად მიუჩნევია „შაჰ-ნამეს“ ტექსტი და განუზრახავს მისი „შევეცხა“ საამის საგმირო-სამიჯნურო ამბების გადმოცემით, რაც პოეტს, უდავოდ, კარგად მოუხერხებია.

სპარსულ ლიტერატურაში „საამ-ნამეს“ ორი, პოეტური და პროზაული ვერსია არსებობს. ლექსითი რედაქცია მხატვრული ღირებულებით არ ჩამოუვარდება სპარსული ლიტერატურის კლასიკური პერიოდის მიწურულში, ან სეფიანთა ეპოქაში შექმნილ რომელიმე საგმირო-სამიჯნურო ხასიათის ლიტერატურულ ძეგლს. იგი პოეტური სახეებით, ფერებითა და შედარებებით მდიდარი ნაწარმოებებია.

საამი ამ თხზულებაში გამოყვანილია, როგორც გმირი მიჯნური, რომელმაც არ იცის სიძნელეთა წინაშე ქედის მოხრა; იგი იბრძვის, სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას და ამ გზით აღწევს გამარჯვებას. ამავე დროს მას, როგორც სიყვარულით გატაცებულ მიჯნურს, ხშირად ახასიათებს ველად გაჭრა, ნადირთა შორის ხეტიალი და სისხლის ცრემლების ფრქვევა, როგორც ნიზამის გმირებს — მაჯუნსა და ფარზადს. პოემის ამ ნაწილში, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება გმირის სამიჯნურო-სატრფილო განცდების გადმოცემას, ავტორი ნიზამის პოეტური ფერებისა და ხერხების მძლავრ გავლენაში იმყოფება.

„საამ-ნამეს“ სპარსული პროზაული ვერსია წარმოადგენს ლექსით რედაქციაში მოთხრობილი ამბების მარტივი, მდაბიო სასაუბრო ენით გადმოცემას. მხატვრულობის თვალსაზრისით იგი, მოკლებულია რა პოეტურ სახეებსა და შედარებებს, ლექსით ვერსიას დიდად ჩამორჩება.

პროზაული ვერსია არბილებს. ხშირად ამოკლებს კიდევ საამის ფერადუბტთან სამიჯნურო ურთიერთობის ეპიზოდებს, სამაგიეროდ იგი უფრო აძლიერებს ზღაპრულ ამბების გადმოცემას, უფრო ამახვილებს რელიგიურ მომენტებს და, თავის მხრივ, შეიცავს მთელ რიგ საგმირო-საფალავნო ისეთი ხასიათის ეპიზოდებს, რომელთაც „შაჰ-ნამეს“ ხელნაწერებში ჩართულ „საამის წიგნის“ ლექსით ვერსიებში ვერ ვხვდებით.

ქართულ ლიტერატურაში მოიპოვება „საამ-ნამეს“ პროზაული ვერსია, რომელსაც „წიგნი საამ ფალავნისა“ ეწოდება. იგი ჩართულია „შაჰ-ნამეს“ ეპიზოდებს შორის, სწორედ ისევე, როგორც ამას ადგილი აქვს სპარსული „მეფეთა წიგნის“ ზოგ პროზაულ ვერსიაში.

ამ თხზულებას, პირველად ა. ლ. ბარამიძემ მოაქცია ყურადღება და მისი გამოკვლევის² უკანასკნელი გვერდები (87—96) დაუთმო. მკვლევარმა შე-

¹ ლიტერატურა „საამ-ნამეს“ სპარსული ვერსიების შესახებ: ა) Spiegel, Die Sage von Sâm und das Sâm-name, ZDMG, III, 245—261; ბ) Spiegel, Eran, I, 559; გ) Ethe, Neupersische Literatur, Grundriss, II, 234; დ) Mohl, Le livre de rois I, 59; ე) Хрымский, История Персии, ее литературы и древнейшей теософии, т. III, № 1, Москва, 102—104; ვ) Sprenger, A Catalogue of the Arabic, Persian and Hindustani Manuscripts, of the libraries of the king of Oudh... I, Calcutta, 1854, 594; ზ) Aumer, Die persischen Handschriften der K. Hof- und Staatsbibliothek in München, München, 1866, 7; თ) Rieu, Persian Catalogue, II, 643, 544; Supplement..., 120, 130.

² შენიშვნები „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების შესახებ, საქართველოს არქივი, III, 1927..

ისწავლა თხზულების შემკველი ხელნაწერები, დეტალურად გადმოსცა მისი შინაარსი, შეუღარა იგი „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებს და შეეხო მის ლექსიკას.

სათანადო სპარსული წყაროების შესწავლის საფუძველზე ნათელი ხდება ის გარემოება, რომ ქართული ვერსია სპარსულის მსგავსად მარტივად გადმოსცემს ამბის ძირითად შინაარსს და ისევეა მოკლებული ლექსითი ვერსიისათვის დამახასიათებელ პოეტურ მეტყველებასა და მხატვრულ ფერებს, როგორც სპარსული პროზაული ვერსია. აშკარაა, რომ ქართული ვერსია საერთო ხასიათით სპარსულ პროზაულ ვერსიასთან უფრო ახლოა, ვინემ ლექსით რედაქციასთან.

ამ სიახლოვეში უფრო გვარწმუნებს ის გარემოება, რომ „საამ-ნამეს“ ქართული ვერსია შეიცავს მთელ რიგ ისეთი სახის ეპიზოდებს, რომელთაც ლექსით ვერსიაში ვერ ვხედავთ. მაგალითად, ეპიზოდები: ა) თეზურთამისა და საამის, ბ) რიზვან ფერისა, გ) დასავლეთის ხელმწიფის შადიდისა და მისი ასულის თუთისა, დ) აბრაჰი დევის მიერ ფერიდუხტის გატაცებისა და სხვ. სრულიად უცნობია სპარსული პოეტური რედაქციისათვის. ამავე დროს ყველა ეს ეპიზოდი იმავე სახით და იმავე თანმიმდევრობით, როგორც ქართულში, გადმოცემულია „საამ-ნამეს“ სპარსულ პროზაულ ვერსიაში, რომელიც ისე განსხვავდება ლექსითი ვერსიისაგან, როგორც ქართული.

სპარსული პროზაული ვერსია, როგორც ეს ყოველმხრივ დასტურდება, წარმოადგენს გვიანდელ ხანაში წარმოშობილ „საამ-ნამეს“ ლექსითი ვერსიის მდებრივ ენაზე გადაკეთებას. ქართული ვერსიის გადმომღებსაც რომ უშუალოდ იმ ლექსითი ვერსიით ესარგებლა, რომლითაც სპარსული პროზაული ვერსიის ავტორი სარგებლობდა, მაშინ, ცხადია, ქართულისა და სპარსული პროზაული ვერსიის ერთფეროვნება, როგორცაა, მაგალითად, თხზულების ერთნაირად დაყოფა ცალკეულ თავებად, თვითეული თავისთვის ერთნაირი სათაურის გამოწახვა და, რაც მთავარია, მთელი რიგი ადგილების სიტყვასიტყვითი შეხვედრები, ყოველად შეუძლებელი იქნებოდა. აშკარაა, რომ „საამ-ნამეს“ ქართულ ვერსიას საფუძვლად ამ ნაწარმოების სპარსული პროზაული ვერსია უდევს¹.

მთარგმნელი, როგორც ჩანს, გაუწაფავია მთარგმნელობაში. იგი სპარსული ტექსტის სიტყვასიტყვით გადმოცემას ცდილობს. სპარსული სიტყვების სანაცვლო ქართულ სიტყვებს ხშირად ადგილს არ უცვლის, არ გადასვამს, ტოვებს მათ სპარსულ წინადადებებში წარმოდგენილი სპარსული სიტყვების ადგილებზე და სწორედ ამიტომ ზოგჯერ სპარსული ენის წყობის მიხედვით აგებული უხეირო ქართული გამოუდის.

მთარგმნელს, რომლის ვინაობა ჭერჭერობით გამოურკვეველი რჩება, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა იმის შესახებ, რომ მის მიერ გადმოღებული თხზულების ძირითად ნაწილს „საამ-ნამეს“ წარმოადგენდა, ისე, როგორც „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებზე მომუშავე პოეტ ზო ს რ ო თ უ რ მ ა ნ ი ძ ე ს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა იმის შესახებ, რომ მის მიერ გადმოთარგმნილი ბარზუს ამბავი „შაჰ-ნამეს“ გამგრძელების თხზულების „ბარზუ-ნამეს“ ეპიზოდებს შეიცავდა და არა „შაჰ-ნამეს“ ნაწილს.

¹ ვრცელი მსჯელობა ამის შესახებ წარმოდგენილია წიგნში: შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბილისი, 1959, გვ. 197—223.

ჩვენი თხზულების მთარგმნელი ფიქრობდა, რომ იგი „შაჰ-ნამეს“ თარგმნა-
და და ახლა, ეფიქრობთ, გასაგებია, თუ რატომ არ შეიძლება შემთხვევით მოკ-
ლენად ჩაითვალოს ის გარემოება, რომ H-900 ხელნაწერით ამ ნაწარმოებს
„როსტომიანი“ ეწოდება. „შაჰ-ნამეს“ ვერსიების ქართულ ენაზე გადმომღებლე-
ბი ამ სახელწოდებაში (როსტომიანიში) „შაჰ-ნამეს“ გულისხმობდნენ. ისინი, რო-
გორც ამაში ჩვენი ვერსიების საერთო ხასიათის შესწავლა გვარწმუნებს, თარგმ-
ნიდნენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ „შაჰ-ნამეს“ ტექსტებს იმის გამო, რომ
ისინი („შაჰ-ნამეს“ ვერსიები) ერთმანეთისაგან განსხვავებულ ამბებს შეიცავდ-
ნენ.

როგორც ვიცი, „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზაული ვერსიები ამავეს „როს-
ტომიანის“ დასაწყისში წარმოდგენილ ამბებამდე გადმოსცემენ. საყურადღებოა,
რომ გვიანდელ ხანაში (XV—XVIII საუკუნეებში) წარმოშობილი „შაჰ-ნამეს“
სპარსული ვერსიები სწორედ ამ ნაწილში (ზაალის დაბადებამდე გადმოცემულ
ამბებში) არ ეთანხმებიან ერთმანეთს, რაც „მეფეთა წიგნის“ ტექსტში სხვადა-
სხვა საგმირო-ეპიკური ხასიათის ნაწარმოებების შერთვით არის გამოწვეული.
ჩვენი აზრით, „შაჰ-ნამეს“ სპარსული ვერსიების ნაირსახეობა იქცა მიზეზად
როგორც სხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზა-
ული ვერსიების, ისე ამ ვერსიის ქართულად გადმოთარგმნისა.

4) ბ ა ა მ ი ა ნ ი. „ბაჰმანი-ნამე“ ფირდოუსის სიუჟეტის „შაჰ-ნამეს“ გამგრძე-
ლებლის ნაწარმოებია. ამ თხზულებაში გადმოცემულია ისფენდიარის შვილის
ბაჰმანის ბრძოლა სისტანელი გმირების — როსტომის გვარის წარმომადგენლე-
ბის — ზაალის, ფარემორზის, ბანუგიშასფის, ზარბანუს, ბარზინისა და სხვა
ფალავნების წინააღმდეგ, რაც საბოლოოდ მინც ბაჰმანის დამარცხებით თაე-
დება.

ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ ბაჰმანის მეფობის ეპიზოდი შემდეგნაირადაა
წარმოდგენილი: გოშთასფის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ადის ბაჰმანი —
შვილი ისფენდიარისა. იგი შეკრებს ღიღებულებს, რომელთაც აცნობებს საკუ-
თარი გულის განზრახვას — მისი მამის (ისფენდიარის) მკვლელის — როსტომის
გვარის წარმომადგენლებზე შურისძიების შესახებ.

ღიღებულები მეფეს უტყბალებენ თანხმობას, რის შემდეგაც ბაჰმანი ღიღ-
ძალი ლაშქრით დაიძვრის სისტანისაკენ, სადაც როსტომის შთამომავალი
ცხოვრობენ. ბაჰმანი დატყვევებს ზაალს და მთელ კუთხეს ააოხრებს. ბაჰმანის
წინააღმდეგ საბრძოლველად მიემართება ფარემორზი, შვილი როსტომისა. სამი
ღლის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ მარცხდება ფარემორზის ლაშქარი, თვით
ფარემორზი კი ტყვედ ჩაუყარდება ბაჰმანს, რომელიც ბრძანებს მის ჩამოკიდე-
ბასა და ისრით დახვერტას, რაც სისრულეში იქნება მოყვანილი. შემდეგ ამისა,
ბაჰმანი, მისი გულის მესაიდუმლისა და დამრიგებლის ფაშოთანის რჩევით,
ათავისუფლებს ზაალს ტყვეობიდან, გაიყვანს ლაშქარს სისტანიდან, მიღის
ირანში და შეუდგება ქვეყნის მართვა-გამგეობას და მოწყალების გაცემას. სი-
ცოცხლის უკანასკნელ დღეებში ბაჰმანი შეყრის ღიღებულებს და მათი თან-
დასწრებით სამეფო ტახტს ჩააბარებს მის ქალს ჰუმაის¹.

„შაჰ-ნამეში“ გადმოცემულ ამ ეპიზოდის გამგრძელებელს, უკეთ რომ

¹ Vullers - Landauer, Firdussii, Liber regum, tom. III, Lugduni, 1884, d. 1748—1758.

ვთქვათ, მის გადამკეთებელს — „ბაჰმან-ნამეს“ ავტორს ფირდოუსის პოემაში მოკლედ წარმოდგენილი ბაჰმანის შესახები ამბავი უფრო გაუფართოვებია, მის თხზულებაში გააოუყვანია როსტომის ასულები ბანუგერშასფი და ზარბანუ, ფარემორზის შვილები საამი და ბარზინი, „შაჰ-ნამესათვის“ სრულიად უცნობი გმირებიც და შეუმუშავებია სისტანელ ფალანგების წინააღმდეგ ბაჰმანისა და მისი მომხრეების ბრძოლის მთელი რიგი ახალი ეპიზოდებისა და, ამრიგად, საგმირო-ეპიკური ხასიათის მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოები შეუთხზავს.

„ბაჰმან-ნამეს“ ენა ნათელია, მისი ავტორი, ისე, როგორც ფირდოუსი, გაურბის არაბული სიტყვების გამოყენებას. აქ მხატვრული შედარებები, მეტაფორები და საერთოდ პოეტური ფერები უმთავრესად შაჰნამესებურია. ავტორს ემარჯვება ბრძოლის სურათების დახატვა, ამბის ცოცხლად გადმოცემა, რის გამოც პოემა შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

დანამდვილებით არ ვიცი, თუ ვინაა „ბაჰმან-ნამეს“ ავტორი. საინტერესოა, რომ ლენინგრადის ხელნაწერი¹ ამ პოემის ავტორად იხსენიებს ვინმე პოეტ ჭელალის. ჭელალის ვინაობის გამორკვევა კი ჭერჯერობით არ ხერხდება. ზოგი ხელნაწერი „ბაჰმან-ნამეს“ ავტორად ასახელებს მე-15 საუკუნის პოეტს შეიხ აზარის, „საიდუმლოებათა მარგალიტისა“ და სხვა ნაწარმოებების ავტორს, რომელსაც ინდოეთში ყოფნისას აჰმედ შაჰ ბაჰმანის (1422—1435) სამეფო კარზე, ამ მეფის პატივისცემის ნიშნად, შეუთხზავს ისტორიული პოემა „ბაჰმან-ნამეს“ სახელწოდებით.

შეიხ აზარის პოემას ფაბულურ-სიუჟეტური თვალსაზრისით არაერთი საერთო არა აქვს ფირდოუსის მიმბამველის ნაწარმოებთან — „ბაჰმან-ნამესთან“. როგორც ჩანს, პოემის ზოგ გადამწერს, ალბათ, ერთგვარი სათაურის გამო, ერთმანეთში არევია ორი სხვადასხვა ნაწარმოები და დაცილებით აღრინდელ ხანაში შეთხზული „ბაჰმან-ნამე“ შეიხ აზარისათვის მიუყუთნებია².

„ბაჰმან-ნამე“ გამოცემული არ არის. Rieu-ს ჩვენებით ამ პოემის ერთი ხელნაწერის პროლოგში აღნიშნულია ათი წლის გასელა მელიქშაჰის (1072—1092) გარდაცვალებიდან³. ზოგი ხელნაწერი იწყება მუჰამედ შაჰის (1105—1118) ქება-დიდებათ⁴. მასასაღამე. თუ ხელნაწერებში წარმოდგენილი ცნობების მიხედვით ვიმსჯელებთ, „ბაჰმან-ნამე“ შეთხზულია 1102—1118 წლებ შორის, მე-12 საუკუნის გარიერაზე და მას, როგორც აღრინდელ ძეგლთაგანს, ფირდოუსის შიბამეით შეთხზულ ნაწარმოებების საერთო ხასიათის შესწავლისათვისა და სპარსულ ლიტერატურაში საგმირო-ეპიკური ენარის განვითარების

¹ დაეულია მკისმ გორკის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. მისი აღწერა მოცემულია წიგნში: Л. Т. Гюзальян и М. М. Дьяконов, Рукописи Шах-наме в Ленинградских собраниях, Ленинград, 1934, стр. 97 — 99.

² შეიხ აზარის შესახებ იხ. Rieu, Supplement, 135—136; Persian Catalogue, I, 43. II, 643; Tadhkiratu Sh-Shu'ara დოელათშაჰისისა, გამოცემა ბრაუნისა, ლონდონი, 1901, 398—412; Hammer, Geschichte der schönen Redokünste Persiens, Wien, 1818, 300—301; H. Etho, Neupersische Literatur, Grundriss..., II, 304.

³ Ch. Rieu, Supplement to the Catalogue of the Persian Msa. in the British Museum, London, 1895, 131—132.

⁴ Mohl, Le livre des rois, I, Paris, 1876, LXXIX—LXXXI.

სხვადასხვა საფეხურის გათვალისწინებისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

„ბაჰმან-ნამე“ მთლიანად ან ნაწილობრივ, ისე როგორც „შაჰ-ნამეს“ მიმბაძველ-გამგრძელბელთა სხვა ნაწარმოებები, ხშირად შეერთვის „შაჰ-ნამეს“ ზელნაწერ ტექსტებს და, მაშასადამე, ცელის ფირდოუსის მიერ შეთხზულ ბაჰმანის ეპიზოდს. „შაჰ-ნამეს“ ტექსტში შეტანისას, გადამწერლები ხშირად, აცილებენ ეპიზოდების მთელ რიგს, ცვლიან კიდევ ამა თუ იმ ნაწილში გადმოცემულ ამბავს და, რაც მთავარია, შეაქვთ იმასში მთელი რიგი ადგილებისა და თავებისა ისეთი პოემებიდან, რომლებიც ლიტერატურული ხასიათითა და ერთნაირი სახელების შემკველ გმირების წარმოდგენის თვალსაზრისით უახლოვდებიან „ბაჰმან-ნამეს“, როგორიცაა, მაგალითად, „აზარბარზინ-ნამე“ (რომელშიც აღწერილია ზაალისა და ქაშპირის შაჰის საურის ასულის შვილის აზარბარზინის თავგადასავალი), ან „ბანუგიშასფ-ნამე“ (რომელშიაც მოთხრობილია როსტომის ასულის ბანუგიშასფის საგმირო საქმეები) და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც, თავის მხრივ, „შაჰ-ნამეს“ ზოგ ზელნაწერ ტექსტებს შეერთიან ხოლმე.

ამრიგად წარმოდგარია „ბაჰმან-ნამეს“ სხვადასხვა, ლექსითი და პროზითი ვერსიები, რომლებიც, მიუხედავად მათი სხვადასხვა მოცულობისა და ალაგ-ალაგ შინაარსობრივი ხასიათის გადახვევებისა, ძირითადად მაინც გადმოსცემენ ბაჰმანის ბრძოლებს როსტომის გვარის წარმომადგეველთა წინააღმდეგ, რაც ამ ნაწარმოების ძირითად მოტივს შეიცავს.

„ბაჰმან-ნამეს“ ქართული ვერსია, ანუ როგორც მას ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უწოდებენ, „ბაჰმანი“¹ სპარსულ პროზაულ ვერსიაზე არ არის დამოკიდებული. მას საფუძვლად სპარსული „ბაჰმან-ნამეს“ ლექსითი ვერსია უდევს. ქართული ვერსია, ჩანს, მომდინარეობს „ბაჰმან-ნამეს“ სრული და უფრო სანდო რედაქციიდან, იგი იწყება ბაჰმანის წინააღმდეგ მონა ლულეს მიერ მოწყობილი შეთქმულების მოთხრობით და თავდება ბარზინისა და როსტომ-თურის მიერ ბაჰმანის ლაშქრის დამარცხების გადმოცემით.

მაშასადამე, ქართულ ვერსიას, თუ „ბაჰმან-ნამეს“ სრული ვერსიების მიხედვით ეიმსჯელებთ, აკლია წინა ეპიზოდები, რომლებშიც გადმოცემული უნდა ყოფილიყო ტახტზე ასვლა ბაჰმანისა და მისი ურთიერთობანი ქაშპირის მეფის ასულთან ქეთონთან, რომელიც შემდეგ მისი მეუღლე ხდება, და აგრეთვე ბოლო ნაწილი, რომელშიც მოთხრობილი უნდა ყოფილიყო ბაჰმანის მიერ ჰუმაისათვის ტახტის ჩაბარება, მისი გარდახვეწა და სიყვდილი ნადირობის დროს.

გარდა ამისა, ქართულ ტექსტს შიგაც აკლია ზოგი ადგილი, რაც, როგორც ეს აღნიშნული აქვს ე. კ ე ე ლ ი ძ ე ს², გამოწვეულია იმით, რომ გადამწერს დედანი დაზიანებული ჰქონია. ყოველივე ამის მიუხედავად, ქართული ვერსია (აქვე აღვნიშნავთ, რომ ტექსტში ჩაუარდნილი ადგილები, როგორც ეს სპარსული ვერსიის შესწავლით გამოიჩეკვა, არც ისეთი დიდი მოცულობისა და შინაარსის შემცველია, რომ ამბის მსვლელობის გაგებას მაინცდამაინც აფერხებდეს) გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს „ბაჰმან-ნამეს“ შინაარსზე და მის ლიტერატურულ რაობაზე. იგი „შაჰ-ნამეს“ მიმბაძველ-გამგრძელბელთა ნაწარ-

¹ ლიტერატურა მის შესახებ: ე. კ ე ე ლ ი ძ ე ს, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1941, 304—305. აღ. ბ ა რ ა შ ი ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1940, 84—85.

² იქვე, გვ. 304.

მოებების ქართულ ვერსიათა შორის თვალსაჩინო ადგილს იკავებს, როგორც შეიძლება, მათ შორის ყველაზე ადრინდელი და ამავე დროს მხატვრული თვალსაზრისითაც უდავოდ არადაბალი საფეხურის ლიტერატურული ძეგლი.

ქართული ვერსია, როგორც ამაში ტექსტების შედარება გვარწმუნებს. გადმოღებულია ქართულისა და სპარსული ენების კარგი მკოდნის მიერ და წარმოადგენს, თუ შეიძლება ასე ითქვას, სანიმუშოდ შესრულებულ თარგმანს.

„ბაჰმან-ნამეს“ ქართული ვერსია არ შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული ლიტერატურულ წყაროდ „როსტომიანის“ ბოლო ნაწილის გამლექსავის ხოსროს თურქმანის მიერ, რადგანაც „როსტომიანი“ თავდება გომთასფის გარდაცვალებითა და ბაჰმანის გამეფებით, რის შემდეგაც სპარსულ „შაჰ-ნამეს“ ძირითად ვერსიაში გადმოცემულია ბაჰმანის შესახები სწორედ ის ეპიზოდი, რომლის გადაკეთებას ფირდოუსის მიმბაძველის თხზულება — „ბაჰმან-ნამე“ წარმოადგენს. „ბაჰმანის“ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერში (A—999) პირველ თავს ეწოდება: „აქედან დაიწყება ბაჰმან კელმწიფისა ანბაი“. საფიქრებელია, რომ წინა ფურცლებზე, რომელნიც, უეჭველია, აქლია ტექსტს, ხელნაწერის ან იმისი დედნის დაზიანების გამო, გარდა ბაჰმანის ამბის დასაწყისისა, გადმოცემული ყოფილიყო აგრეთვე „შაჰ-ნამეში“ წარმოდგენილი ამბები, რომლებიც ბაჰმანის გამეფების ეპიზოდს წინ უსწრებენ. იქნებ „ბაჰმან-ნამეს“ ქართული ვერსიაც, ისევე როგორც „შაჰ-ნამეს“ მიმბაძველ-გამგარძელებელთა ზოგი ნაწარმოების ქართული ვერსია, „შაჰ-ნამეს“ ინტერპოლირებულ ტექსტიდან იყოს გადმოღებული და, შესაძლებელია, იგი „შაჰ-ნამეს“ რომელიმე ქართული პროზითი ვერსიის ბოლო ნაწილსაც წარმოადგენდეს. ყოველ შემთხვევაში, მისი გადმოთარგმნა, როგორც ამაზე თვით ძეგლის ენობრივი მონაცემებიც მიგვიტოთებს, გარემოება, რაც მართებულადაა შენიშნული კ. კეკელიძის მიერ¹, მე-16 საუკუნის გვიანდელი დროისათვის არაა საფიქრებელი. მართალია, „ბაჰმანის“ ენა, როგორც ეს აღნიშნული აქვთ კ. კეკელიძეს² და ალ. ბარამიძეს³, „უთრუთიან-საამიანის“ პროზაული ვერსიის ენას უახლოვდება, მაგრამ მთარგმნელი ამ ორი ნაწარმოებისა ერთი და იგივე პირი არ უნდა იყოს. „ბაჰმანი“, როგორც აღნიშნული გვაქვს, კვალდაკვალ მისდევს მის ორიგინალს. აქ, სპარსულ ტექსტში გადმოცემული ამბის შემოკლებას ან გაფართოებას ადგილი არა აქვს. ყოველივე ამას კი ვერ ვიტყვით „უთრუთიან-საამიანის“ პროზითი ვერსიის შესახებ, რომლის მთარგმნელი თუ გადმომღები სხვა ხერხს მიმართავს.

დასკვნა: ა) სპარსულ ლიტერატურაში „ბაჰმან-ნამეს“ სხვადასხვა ვერსია არსებობს: ეს სხვადასხვაობა გამოწვეულია „ბაჰმან-ნამეს“ ძირითადი ტექსტის შემოკლებით, ან ამ თხზულებაში ფირდოუსის მიმბაძველ-გამგარძელებელთა პოემებიდან („აზარბარზინ-ნამე“ და სხვ.) ცალკეული ეპიზოდების შერთვით.

ბ) ქართულის საფუძველი, — „ბაჰმან-ნამეს“ ლექსითი ვერსიის სპარსული ტექსტი, — არ წარმოადგენდა სხვა პოემათა ეპიზოდების შემცველ, ნარევი ტექსტს;

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1941, 304.

² იქვე, 304.

³ ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1940, 84.

გ) ქართული ვერსია კვალდაკვალ მისდევს მის სპარსულ ორიგინალს; მთარგმნელი სპარსული ენის ღრმა მცოდნეა. მას უმეტესადაა გადმოაქვს ტექსტი, ცდილობს მასში გამოყენებული პოეტური ფერების, ეპითეტებისა და შედარებების დაცვას.

• •

„შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების მნიშვნელობა ჩვენი ლიტერატურისა და კულტურის ისტორიისათვის დიდი კავასიის ხალხებს შორის მხოლოდ ქართველ ხალხს გააჩნია „შაჰ-ნამეში“ მოქცეული ირანული და აღმოსავლური ძველისძველი თქმულებების ლიტერატურული დამუშავებანი. ჩანს, ჩვენი წინაპრები ცხოველ ინტერესს იჩენდნენ ყოველივე საუკეთესოსადმი და მშობლიურ ენაზე მათ ამეტყველებას ცდილობდნენ.

რუსთველის დიდი პოეზიის მზითაა გამთბარი „შაჰ-ნამეს“ ქართული ლექსითი ვერსიების მთელი პოეტური შემოქმედება, იგი ჭეშმარიტად გაქართულებულია და ჩვენს ეროვნულ სინამდვილესთან საუკუნოდ შესისხლბორცებული.

განსაკუთრებულ ყურადღებას პროზაული ვერსიები იპყრობს. „ფრიდონიანის“, „უთრუთიან-საამიანისა“ და „ბაამიანის“ ენა იმ დროის ქართულისათვის (XVI—XVII საუკუნეები) შეიძლება სანიმუშოდ ჩაითვალოს.

მთარგმნელები ჰბაძავენ კლასიკურ პროზას („ვისრამიანი“, „ამირანდარეჯანიანი“) და, როგორც ჩანს, ეს მიბაძვა უშედეგო არა ყოფილა. ვინც გულდასმით გაეცნობა, მაგალითად, „ბაამიანის“ ენას, ის ნათლად დაინახავს, თუ რა მდლა დგას XVI საუკუნის ქართული პროზა და მას რა დიდი ლექსიკური და სინტაქსური შესაძლებლობანი გააჩნია. ორიგინალური ძეგლების ენასა და მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად ძველი თარგმანების მონაცემებიც დაედო საფუძვლად ახალი ქართული პროზის განვითარებას.

დავით კობახიძე

თბილისი
1968 წ.

შთარბთიან-სააზიანო

[აქა უთრუთისა და თუნდი დეუისა ომი]

- 1 სულთაგან დაგული, გიჯობდა, — არამც ეშობე დედასა;¹
მიწა შეუღებო სისხლითა, დაუამხობ შენსა ბედასა!
ვატირებ შენსა მშობელსა, ტანი ძმასა და დედასა,
და აღრე მიგწიო მამასა, ლახტით დაგიმსხვერუე ქედასა!
- 2 უთრუთ ესე გაიგონა გრძნეულისა დეუისაგან,
შეუზახა: მყრალო დეუო, რას კარგს ელი ბედისაგან?
დეუმან ლახტი შეუმაღლა, შორე იყო თნეუისაგან,
და ფათრათ ფარი თავს დაირქო, წაიქცეუის მკნე რისაგან?
- 3 ლახტი დაძკრა ფალაენსა, ფარი თავსა დააღწეა,
მერბე კელად შეიჭინდეს, არც ერთს უნდა გარდახეცეა;
გაილაჩენეს, მისცვიოდა მათ სარტყლებსა თხრეშა, ფრეწა,
და მიწა თრთოდა ძგარისაგან, ყოვლთა ქონდა ღმრთისა ხეცეა.
- 4 დაღამებამდის იომეს. ვით მესისხლეთა წესია;
ვერა რომელმან აჯობა, იგ გაიყარენ დღესია;
ფოლადს წინაშე მივიდა თუნდი უებრო ესია,
და ადგა ფოლადან აკოცა, თვით დეუთა უზეშთესია.
- 5 დალოცა და ქება უთხრა თუნდის მისი შესაფერი,
მოახსენა: მისი მბრძოლი მიწის ზურგზედ არსად არი;
მე, რომ მისი ძალი ენახე: არ გამიდრკა, ვით ჰანდარი,
და ველარ წავალ მისად ომად, ვინცა მივა, იგ მზად არი.
- 6 აგრე უთრუთს თაიმურაზ, ადგა, წინა მოეგება,
მივიდა და კელს აკოცა, სხვა მართებდა, არ ეგება.
უბრძანა, თუ: ჩემიმც სახლი სულამც შენთვი წაეგება,
და სულ ლაშკარი ლოცვიდიან, ყოვლი კართა გაეგება.
- 7 მეფემ უბრძანა: უშენოდ ნუმც არის ტახტი ჩემია,
თუ დევთა შენ არ შე[ე]ბმი, აოხრდეს ჩენი თემია.
უთრუთ შეჰკადრა: მიწა ვარ, პასუხი—დანა ჩემია,
და მე ჩემი თავი არა მშურს, გოსტამს ვტირ თავნაცემია.

¹ ხელნაწერში ამ სტროფს წინ უსწრებს სტროქონი: არ მოურჩებო ჩემს ჰანგსა, ამა მადლსა, მკნესაო.

- 8 ანუ მოკვლევ მინდორშიგა. ანუ გოსტამ არ დაევაგლო¹.

- 9 რობინს რა ესმა, გაუშვა სისხლის ცრემლისა ღვარია,
 იგ ადგილზედა და[ა]სკდა, მძა იყო მკლავმაგარია,
 [ემწვევა მისი სიკუდილი, მიწაში ცრემლი გარია,
 და საყელო გარდაიხნია, ისმის ზათქი და ზარია.
- 10 მერმე გაჯავრდა ქაჩვაჯან, მისთა მებრძოლთა შზარავე:
 რა ტირილისა ეამია, და[ა]ცემინა კარავე.
 დაბრუნდეს, თაიმურაზზედ მივლენ, არ ცუდი მპარავე.
 და წაივლენ, გაძვრა ჯაშუში. სად თაიმურაზ — არ ავი.
- 11 ჰქადრეს² მეფეს და უთრუთის, რაც დაუშთა შეუტყვი:
 ფალაგ დეუსა ქაჩვაჯან და რობინ მძიმედ შეუყრია;
 ორმოცდათი ათასია, დეუთა თავი მოუყრია,
 და ესე ყველა თქუენად მტერად გამოგზავნეს, აუყრია!
- 12 ქაჩვაჯან ნახო, მას ბრძანებ: ნეტარ ნაქნარი რისია?
 ას ოთხმოცი წყრთა სიმალლე არის ნაგები მისია;
 თავი დიდს მთასა მოუგავს, გვინახავს, არა ჩხვისია,
 და შუბლსა რქა ასხენ, მით იბრძვის, უმალლე დიდი ხისია.
- 13 ოცი წყრთა[ა]³ რქისა სიგრძე, საკუირველი, [ვითა] ძელი,
 კბილები აქუს, ვითა ტახი, დახატული, მეტად გრძელი,
 პირსა ცეცხლი მოეყრებრს, ვინ მორჩებრს იმას მრთელი,
 და თვალთ⁴ ანათებს, ვითა ბაზმა, არის უცხო, საკუირველი,
- 14 სამი გურზი ჰანდრებზედა ერთმანერთზე უკუეცვა,
 მხრებზედ შეუც მეტად დიდი, დაიმსხვრევის, რასცა ეცა.
 რობინ არის ას ოცი წყრთა, თქუენზედ მოვა ისცა, ესცა,
 და თქუენ რას ბრძანებ, ბატონი ხარ, მოგახსენე მრთელი მეცა.
- 15 უთრუთ გაჯავრდა: ვინ არის, მყრალი და მყრალის თემისა,
 ქაჩვაჯან ქვიან თუ რალაც, კლდე იყოს გინდა მყარისა,
 ღმრთითა უთაოთ გავხადო, დღე ქონდეს ჩემგან მწარისა,
 და მძიმის⁵ ლახტითა დავენაყო, თუცა დიდი მთა არისა!
- 16 ესე სიტყვა დაასრულა, მზესა ბნელი მოეფარა.
 რა გათენდა, სრულად დეუნი მოეხეინეს დროშას ვარა;
 ფოლაღან და ქაჩვაჯანი, რობინ ერთგან შეიყარა,
 და მიწას ფარვენ სიმრავლითა, მათი ნახვა მტერთა ზარა.

¹ ამ სტროფის მხოლოდ პირველ სტროქონია გადარჩენილი; დანარჩენი დაღუპულია.
² ჰკადრეს. ³ მწყრთა. ⁴ თვალთა. ⁵ მძიმისა.

- 17 ფოლად არჩია პასუხი, იმათგან გასახარია:
უთრუთს ვერავინ შეუებმით, არ ჟამი საეუენხარია;
შეუეწყოთ, თუ სჯობს, გასინჯეთ, მამოწმეთ საუბარია!
და მათ მოუწონეს ყოველთა, იგ მისგან ნაუბარია.
- 18 ჰკადრეს, თუ: დაედგეთ ამაზედ, თვარამ დაეიწყებთ ნანასა,
რობინი ელჩად გავგზავნოთ, რას ვაქნევთ სისხლთა ბანასა!
ორმოცი დეუი [ა]ახლეს, წავლეს სიგრძეს და განასა,
და ზოგი ას ოცი წყრთა იყო და ზოგი ასიანა[სა].
- 19 შესთვალეს, თუ: ჟამად კმარის, რაცა სისხლი დაიღვარა,
შევიწყოთ და ზავი დავდოთ, გავიყაროთ ჭავრი გარა,
ეს თემი და ეს ქუეყანა, შუა გავყოთ, დია კმარა,
და ნახევარი თქუენ გეყოფის, ნახეურისა ჩვენ გვაქვს ჭერა.
- 20 ამაზედ ასრე შეეეწყოთ, ნუა ჩვენ შუა მტერობა,
ორთავ გვეყოფის ქეეყანა და დიდი შარიერობა;
ჩვენ ქელი ვხადოთ სოფე[ლ]სა, გვაქვს დიდი ბედნიერობა,
და ყოველთვინ სისხლში ბანასა, ერთხელ სჯობს ნებიერობა.
- 21 წაეიდა ელჩი, მიეიდა, სად თეიმურაზ მეფეა;
ქელმწიფემ იხმნა თავადნი, შეყარა იგი სეფია,
როგორც მართებდა, მოიხვნა, თავადნი არა ეფია;
და ოქროსა სელი დაუდგეს, უთრუთ ზის სისხლთა მჩქეფია.
- 22 თელ-მარგა[ლო]ტიუ შემკული, ქელმწიფის ტახტი ემართა,
თავადთა შესაპოსელი ემოსა, ვის რა ემართა:
ზოგს ლომისა და ვეფხისა ტყავი ეცვა და ემართა,
და მგლის ტყავი ეცვათ, დათვისა, ვითა ბეგარა ემართა.
- 23 ქელმწიფე შესამოსლითა ტახტსა ზის, ვითა მზე არი,
ახლდა უთრუთ და თავადნი, არვისგან ჰყუანა ზიარი;
ორმოცი დეუნი შეასხეს, რობინ მაღალი ქე არი,
და სალაში მისცეს მეფესა, ვითა მებრძოლთა მძლე არი.
- 24 აღგა რობინ და ქელმწიფე დალოცა ზენთა ზენითა,
უამბო დავედრებული, უკლებლად ჰკადრა ენითა.
მეფე გაწყრა და უბრძანა: როგორ წაეხდები თქუენითა,
და ტახტ-გვირგვინი და კრმალ-ლახტი არ მომცემია თმენითა!
- 25 პაპა ჩემსა ქოიშარს ღმრთის განგებით უპოენია,
ეს თემი და ეს ქუეყანა ყუელა მისგან უშოვნია;
მე პაპისა ჩემისაგან მაქუს და კიდეც მიშოვნია,
და რასაც იტყვით თქუენ მართალსა, მაშინც; ყუელა ცრუ მგონია!
- 26 აწ თქუენ ვინ მოგცათ, მიამბე[თ], რით ავიგდიათ თავია?
ყაფის მთა გაქუს-ყე მაშულად, თქუენთვის ისიცა შავია,
ავგვარნო, მასცა წავგართვამ, თქუენთვის არ დავდვა ზავია,
და წადით, იქითგან მეუბნეთ, აქ ლაპარაკი ავია!

- 27 შენ მისთვის გითხარ ამღონი, მათში ხარ დიდ[ი] ვაცია,
სხვა მოსრულიყო, მოვკლევდი, აწემცა ქრმალსა აცვია,
თავს გავაქლიდი ტანისგან, ვითა შემწვარი ვაცია;
და წადი, მოვიდენ, შეგეებან, გეკონდეს ლაწა და ტყაცია!
- 28 ადგა რობინ და წავიდა, ცქვიტად და მცტად მალია,
ფოლად დეუს ყუელა უამბო, მათი ზავთი და ძალია:
ჟურთუტყა ენახე აღმასი, მტერი სჩანს, ვითა მხალია,
და კილამ შემჭამა ამყმან, რადგან მომკიდა თელია.
- 29 მათ ომის მეტი არ უნდა, თქუენი წყობა და რიგება,
ან მათი თავი წავილოთ, აგრეა გარდაკიდება,
ან ჩეენი აქა დავყაროთ: თავი, მორკმა და დიდება!
და ის მზას არიან, რას ბრძანებ, არ გემართებს თავის მიდება!
- 30 რა მოსმინა ქაჯვაჯან, წამოჯდა გაშმაგებული,
ბრდღენივიდა, ვითა ღრუბელი, ქარისგან აგრგვინებული;
კისრისა ქედი ამოსვა, ნიადაგ ომსა ჩვეული:
და ვის ქვიან აღამიანი, — ენთების გამმაგებულნი;
- 31 ან თაიმურაზს ვინ მისცა თემი, ქუეყანა, ტახტია,
ხვალ აღრე ჟურთუტს ვაჩუქო ორ ათას ლიტრა ლახტია,
ტახტიდან ჩამოათრიო, თაიმურაზზედ გავხტია,
და ფალაგს წინაშე მივილო ტახტი, გვირგვინი, რახტია.

აქა ფოლად დეუსისა და თაიმურაზ
ქელმწიფის ომი

- 32 ეს გაიგონეს, დალამდა, სადგომს წავიდენ ყუელანი,
კირჩხიბის ჭანგსა დაეხსნა, მზეს მოეფარა ბნელანი;
სულად მიფინა ბნელეთმა, გახდა მართ, ვითა მელანი,
და მას დამე გამოისვენეს, იყუიან სისხლთა მსმელანი.
- 33 გათენდა, სხეანი მნათობნი მზემან ტანითურთ ასერა,
ვარსკლავი სრულ წა[ა]ხდინა, მთეარეს უპირებს ასერა:
დასთა წაულო სინათლე, არა თუ ოც[და]ასერა,
და თვით გაანათლა საყყარო, ან და[ა]შვენა ასე რა.
- 34 ორგნითვე რაზმი და[ა]წყუეს, ნალარას გახდა დგარია,
მოიღეს ტახტი მეფისა, შუას მინდორად მდგარია;
მაზედა დაჯდა ქელმწიფე, ჯარი უდგანან გარია,
და ჟურთუტ მხარს ლახტი შეიღვა, ორ ათას ლიტრა არია.
- 35 ქელმწიფეს წინა მივიდა, ახსენა შემოკმეღია,
მან პირი დასდვა მიწასა, თვით იყო მალა მხეღია;
ქელაპყრობ ლოცავს ქელმწიფე: ნუმც მოგემლების ბეღია,
და შენით იხარებს ტახტი და ზურგი ხარ ჩეენი, ქეღია!

¹ დოღება.

- 36 ლომ-კაცო და ჭავჭავი-სრულო, პილოტანო, ფალავანო, მბრუნავიშვილი ეტლი გიძღვის, ჩემთა ჭართა გალავანო, ბექ-ფართო და მკლავ-ქედ-სხვილო, მტერთა ქირო, ძალოვანო, და მშვიდობისამ გზა მოგივა, შენ ჭენდარო, არავანო!
- 37 მადლი ჰკადრა ფალავანმა, მოედანსა ჩამოვიდა, დაიძახა, ვითა ცაში, დიდი გრგუვინვა გამოვიდა; ვინა იგი მოწიფული, ფოლადს წინა რომ მოვიდა, და გუშინ დია უკუეხნია, იქ ამბავი მოგვივიდა:
- 38 უთქვამს, თუ: ტახტსა დაუქცეუ, ჩემის ქელმწიფის ბაქია, გვირგვინსაც ფალანგს მივართვამ, ყაფის მთა რომე არქუია, ჟორუთს ლახტითა დაენაყო, იმას სახელი რა ქუია, და ას ოთხმოცი წყრთა სიმაღლე, მიაშბეს, იმას აქუია.
- 39 ორი ათასის ლიტრისა ლახტისა მქონებელია, ოცი წყრთა რქა აქუს შუბლზედა, ომისა მდომებელია; მოვიდეს, მნახოს მინდორად, თუ ჩემი მზომებელია, და თავი მაცნობოს, შეუიტყო, როგორი მომპყრობელია.
- 40 რა გაიგონა ქაჭვაჯან უთრუთისაგან თქმულია, ფოლადს შეკადრა: არ ეიცი, როგორი მემომარია, ჭერ ერთი დეუი შეაბი, გავსინჯო ნამომარია, და მას უკან აღრე გიჩვენო ჩემის კელისგან მკუდარია!
- 41 ორმოცდათი წყრთისა სიგრძე, ერთი დეუი გაუძახა, დიდსა ლოდსა კელი მიჰყო, უთრუთს დეუი შეუძახა; შემოსტყორცა, და [ა] ცლინა, არას დია შეურაცხა, და უთრუთ ლახტი მოუქნია, დეუი მიწად დაენარცხა.
- 42 თავს ლახტი დაჰკრა, მას დეუსა იმავ წამს სულთა კლებოდა, ორმოცდაათი სხვა დეუი კულავ უთრუთს მოუხდებოდა, ყუელი მოკლა, დახოცა, იგინი აოხრდებოდა; და რადგან ისინი გასწყუიდა, მემ რობინ აღმა დგებოდა.
- 43 რობინ თქუა: წავალ, შეეებში, ვითარცა ჩემი წესია! ქუაჭვაჯან უთხრა: მუქარა ჩემი ითხოვა დღესია, მე წავალ, ენახო ძალგული, თუ ჩემგან უკეთესია! და არ დაიყოვნა, წავიდა, ენახოთო უზეშეთსია.
- 44 ჰკრეს ორგნითვე ნალარასა, მაიდანსა ქაჭვან მოდგა, ას ოთხმოცი წყრთა სიმაღლე მოაყენ[ა], ზედ წამოდგა, სამი მისი დიდი გურზი ერთმანერთზედ შემოედგა, და მხარსა ედვა დოლაბები!. მუნ ჰანდრები ზედა ედგა.
- 45 იგინებოდა გამწყრალი, შუბლ-რქოსან, თავი მთოსანი; კბილები ტახსავით ასხენ, არ იყუის მომტრო ზროსანი,

თვალთა ანთებდა, პირს ცეცხლი სდიოდა მუნა ხროსანი,
და თავს გუშბადსავით ირყევდა, ყვიროდა დიდი ქმოსანი.

- 46 უთრუთ დიდ[ი] დაუზახა: თუცა ხარო დეუთ ნაგორი,
ჩემი საქმე არად იცი, მე და "ნეს ვართ შორი-შორი;
შვილასია წელიწადი, არ მინახავს ჩემი სწორი,
და მე ამ ღრომდი და[მი]ყრია რ[ი]ყე ვითა მტერთა მძორი...
- 47 ამდონს ხ[ა]ნსა არ გამოჩნდა ხმელზედ ჩემი მეომარი,
აწ ამდონი კარგი დეუი აწუუელილო შენგან მკულადარი;
ეს ყუელია დამითმია, თუ მისმინო საუბარი:
და ნუ მსახურებ თაიმურაზს, შემინდვია სისხლთა ღვარი!
- 48 მირი და ქელსა მაკოცე, ფოლადს წ[ი]ნამშე მიდია,
მას გათაყუანებ, შეგინდოს, რაცა აწყინე შენ დია;
დავათმობინებ ყუელასა, იქნების შენი ბედია,
და მოგცეს ერანის მეფობა, იგ დამიყვრებს მე დია!
- 49 უთრუთ ესე საუბარი გაიგონა დეუისაგან,
შეგანა: შენ ავგვარო, ქაჯო, ქაჯის გვარისაგან;
მხიფლავი და ეშმაკთ თესლო, არ დასც[ხ]რებთი გრძნებისაგან,
და ნუმც შენ ხარა, ნუმცა ფოლად, თქუენ მომრჩებით მე რისაგან?
- 50 ნუმც ფალანგ დეუი იქნების, მისსა წადილსა, ნებასა,
აღრე წაგიღდენ ყუელასა, თქუენს ზიფელას¹ და გრძნებასა:
ლახტითა დაგნაყ უთუოთ, არვი[ს]გან ვიღებ თნებასა,
და შენზედა ეამი შეუიწრადა, სხვა მოაქუს ღმრთის ბრძანებასა!
- 51 თუ ამას იტყუი: ზმელზედა არ არის ჩემი სწორია,
არც ფალავანი ჩემ[ე]ზრი, არც ახლო, არცა შორია,
არეინ გინახავს ჩემებრი, ერთი და არცა ორია,
და მე ვერვინ შემძრავს სულღმეული, მთა იყოს, თუნდა გორია!
- 52 აწ შენთვის ეამი შემოკლდა, არ ვარგა ცუდი ქადილი,
ღმერთი აღიდა ლომგულმა, მისი ნება და წადილი;
უთხრა, თუ: შენზედ ვაქ[ა]სო დათეთა და მგელთა ქადილი
და მე თაიმურაზს მივართვა, თქუენი მორქუმა და ბადილი!
- 53 ვითა ლომ[შ]ა მრისხანემა, გმირმა ჭანგი გაიმახვა;
კალთა სარტყელს ჩაიმწყუდია, ქაჯვაჯანცა მოიმახვა;
დეუმან გურზი ამოიღო, ფალავანსა შეუზახა,
და უთრუთ ფარი თავს დაიმხვა, ქუე შევიარდა, შე[ე]ჯახა.

აქა პირველი ომი უთრუთისა და ქაჯვაჯან დეუისა

- 54 ფარი გურზით დაუმხვარია, ფალავანი გა[ა]გორა,
ვითა ვეფხი წამოიჭრა, მათი ომი გა[ა]სწორა;

¹ ხიფელასა.

მანცა დაპყრა მძივე ლახტი, ერთმანერთსა სცემდა გორა,
და ორთავ ეცა ოთხმეოცი, უტყუარად, მართლად, სწორა.

- 55 ერთმანმცა ვერა აჯობა, არის ბინდ-ბანდი ღამისა;
ორივე სილამემ გაპყარა, არს მოშორებდა ამისა;
უთრუთ მივიდა მეფესთან, ჯარი მილოცვას ღამისა,
და მოულოცეს და იკითხეს, არის მოამბე ჯარისა.
- 56 თქუა: არ მინახავს მისებრი, ძალი და ხლართიანობა,
ღმრთითა ვეცადო, გავსწყუდილო ქაჭვაჯახს, მათიანობა;
ადრე გაჩნდების ყუელაი, ძალი და ზავთიანობა,
და არ იგინების ისიცა, გავსინჯე ძალიანობა!
- 57 მერმე ქაჭვაჯან ფოლადთან მივა პირითა მქისითა;
თავს ოქრო გარდა[ა]ყარა ფოლად ქელითა მისითა,
ქაჭვა [ჯან] უთრუთს აქებდა: ნეტარ მოსრულა ის სითა?
და მისთანა არეინ მანახავს, არც ღამით, არცა ღღისითა.
- 58 რაც მის პირშიდ ჩაეარდების, ფათერაკსა რით მორჩების,
მისი მბრძოლი კმელთა ზედა კაცი როგორ გამოჩნდების!
ყოელი ასო მისგან მტკივის, მისი ომი ვით იქნების;
და თუ რას ღონით ის მოკულებოს, ჩვენი საქმე გაკეთლების!
- 59 ძლიერი მეომარია, კისკასი, ვითა ღომია,
ღონე არ არის მის მეტი, ხვალ არ დავეილო ოჩია;
ფალავს წინ როგორ მივიდე, გაქცეული დანაშრომია,
და მაშინცა კიდეუ გამოვსცდი, დამეკტეს ცისა ხომია!
- 60 მძიმის ლახტით მოედანსა ადრე გავალ საომარად,
ან დაევაგდებ ჩემსა თავსა შესაკმეელად მხეტთა გარად,
ან წავიღებ მისსა თავსა, სიხხლსა ვადენ დია ღვარად.
და ამას არჩ[ე]ვს ფოლადს წინა, ეკვი ქონდა მრავალგვარად.
- 61 რა გა[ა]თავეს ნათქუამი და მათი საუბარია,
მას ღამე სადგომს წავიდენ, თავის-თავისად ჯარია;
ორგნითვე აბჯარს კაზმიდენ სუსტი და მკლავმეგარია;
და—ინ იცის, რა იქნებისო,—იტყვიან ვინცა არია.
- 62 რა მზემან თავი ამოყო, სამყარო და[ა]შვენა მან,
დახია შარი შავისა, ყირმიზად მისმან ფენამან;
მალლა გუმბადსა ავიდა, სინათლე [ა]აშენა მან,
და იკრეს ქოსსა და დაბდაბსა, ქუემოდა ანუ ზენამან.
- 63 ორგნითვე რაზმი ფასწორდა, ნალარას მიაქუს დგარია;
შუას მოიდანსა მოვიდა უთრუთი სფაადარია,
ფალავანთ თავი, ვითამცა იალბუზის მთა არია;
და მას დღესა დეუთა თავები ბევრი მიწათა გარია.

- 64 მძიმე ლახტი კელთა ქონდა, მითა მტერთა ამატირსა,
სამასი წყრთა საგდებელი, თვითან აქუს და კელთა სპირსა,
რკინის კოშკი რაზმთა შუა, დაწეი ვარდათ გამოსკვირსა,
და მუნ გაფიცლდა, საომარად ქოს[ს]ა სცემენ, ყუირო-სტეირსა.
- 65 ფალავანმა დაიძახა, გვანდა, იყო ცათა ფრეწა:
მყრალო დეო, რა იქენი, მძიმე ლახტსა დაგალეწა;
ძლოე მოურჩი ჩემსა ქანგსა, გუშინ წადი ჩემგან შენ წა,
და დღეს გამოჩნდეს ვინცა ესჯობვართ, დიად გიჯობს გარდა [ხეწა]!

აქა მეორე ომი უთრუთისა და ქაჯვან დეუისა

- 66 რა დეუმან ნახა, შეშეება, გავს თუ კლდე გასკდა მყარია,
უთრუთს მოუხდა ლახტითა, გაშალა მყრალმა მხარია;
თავს დაჰკრა, ზედა და[ა]ფშვნა მისი მაგარი ფარია,
და მერმე მან დაჰკრა, ისმოდა დიდი ცემა და ძგარია.
- 67 შეიდ-შეიდი ჰყრეს ერთმანერთსა, დეუი პირით ცეცხლსა ჰყ[არიდა],
გაგულისდა პილოტანი, იმან იმას არ დარიდა;
ერთი კელი რქასა სტაცა, სხვა მეზრძოლი არა ჰკვირდა;
და გულმგისხლედ შეიჰიღნეს, ორივე სისხლის [ღვარსა ღვრიდა].
- 68 მიწა თრთოდა და იძროდა, უმზერდა სულა ყ[ველანი],
უთრუთ აზიდა, იზრდღვინა, გავს თუ დამსხ[ვრა ზეცანი],
მხარს აიცილა ქაჯვაჯან, იგი სისხლ[ისა მსმელანი],
და კისრი[თა]მიწად [დააგლო], დასცა და გახდა ძგერანი.
- 69 მას მავრად მკარი შეუკრა, დეუს გარდუბრუნდა ბედია,
კელმწიფეს წინა მოილო, ახსენა შემომქმედია;
მიწას ემთხვია, მეფემან მდაბლად დახარა ქედ[ა],
და თავს ოქრო გარდააყარა, დალოცა ზედა-ზედია.
- 70 ერთობილთა თავ[ა]დებთა ყველამ ღმერთსა მადლი მისცა,
აყრიდიან თვალ-გუარსა, პილოტანი იქივ დგისცა;
წაიყუანეს პატიმარად, ქაჯვაჯანი ჯალადს მისცა,
და მერმე რობინ გამოვარდა: აწ მოხვალო, ჩემზედ ვინცა!

აქა ურთურთისა და რობინ დეუის ომი

- 71 შეუტრევეს ერთმანერთსა, უთრუთ რობინ იძაბუნა,
დაუძახა: პილწო დეუო, დამაშვრალი მნახე მუნა.
რა გულოვანთ კელი იყო, მოღალუ[ლ]ზედ მოსვლა უნა,
და მაშინ კიდევ ამოგივალ, დაცემული ვიყო თუნა!
- 72 [შეეჰიღნეს] ერთმანერთსა, ფალავანნი გამოთქმული.
[ქაჯვან დეუთან] ნაომარი უთრუთ იყო მოღალული:
მით გაუძლო რობინ დეუმან, არ გაუდრკა ამაღ გული,
და თვარამ კავი შეხლომოდა, არ ედგმოდა მყრალსა სული.

- 73 მას დღე ომეს, სანამდის არ იქნა ბინდი ღამისა,
ღამემ გაჰყარა ორნივე, რობინ გაპარვას ღამისა;
მივიდა ფოლადს წინაშე, უთრუთ მეფესთან არისა;
და ჰკითხეულა, რობინ უამბობს, სმენა აქუს საუბარისა.
- 74 რობინ იტყუის: მისი ომი ეტლსა არა შეუძლია,
მე ქაჯაჯან დი[ა]დ მჯობდა, ის გამოჩნდა მისი მძლია,
მისგან შემხდა მოღალღული, ამაღ შემრჩა სული მია,¹
და თვარამ იმას ვერ შეუები, არც შეხედვა შემიძლია.
- 75 ყაფის მთაშიდა არ იყო ქაჯვანის უკეთესია,
ის დაიჭირა, შეიპყრა თვით ჩემი უზუშეთისია,
თქუენის ბედითა შემომხდა, მე მოღალღული დღესია,
და აწ გავიპარვი, ამაღამ ფალანგს წინ, მიჯობს ესია!
- 76 თქუენ, რას[ა]ც იქთ, პატრონი ქართ, მე დავდგები ვერათ ვერა,
თვალს მომკიდებს, მომაშოროს მთვარისა და მზისა მზერა;
ფოლად უთხრა: თუ შენ წახვალ, ფიცით ასრე და[ა]ჯერა,
და შეგაბეზ[ლ]ებ ფალაგ დეუსა, გაუგზავნო კაცი ჯერა;
- 77 შეუთვლი: მარტო დამაგდო, რობინ თქუენს გვერდით მელელია,
თვარამ რა არის პასუხი, რა გულოვანთა კელია;
ერთსა მე ვეტყვი, ესე სჯობს, რაც შენ სთქვი, რა საქნელია,
და ხეალ მაიდანსა გამოეა უთრუთი, სისხლთა მღვრელია.
- 78 ჩვენ დავეკახმით ერთპირად, მიუხდეთ, უყოთ რიალი,
მჯარი მჯარს მიესცეთ ყუელამა, მინდორს გაუშვათ გრიალი;
ან მოვკლათ, ან დავიხოცოთ, ერთისა ვიყოთ ზიარი,
და ხეალე სისხლითა ავაესოთ იგი მინდორი ტრიალი!
- 79 თვარამ თუ წაეალთ, წამოვლენ, დაგვდეან ხარაჯა, მალია.
გაქვეულს კაცსა აღარ აქუს, ჯანი და არცა ძალია;
ფალაგს წინ კაცი გავგზავნოთ, ცქვიტად და მეტად მალია.
და რობინ თქუა: არცა მე წაეალ, თქუენ ვით გავყარო თვეალია.
- 80 მისწერეს: უთრუთ შეიპყრა, ქაჯვანს მიყო კელია.
ცოცხალი ქელთ ჰყავს კიდევე პატომრად, სისხლთა მღვრელია,
ბევრი მოკლეს და დახოცეს, თქუა, წასვლას ნურვინ ელია,
და გვიშეღე ამა კაცზედა, არის სისხლისა მსმელია!
- 81 მივიდა იგი ფაიქი, ფალაგს წაუდგა წინარე,
იკითხა, თუ: თაიმურაზ შეიპყრეს, დახედა მცინარე, —
ფაიქმან ჰკადრა: რას ბრძანებ, მისი შემყრობი ვინ არე. —
და თვითან და[ი]მყრეს ქუეყანა, თქუენ თავი მოიმძინარე!
- 82 მას ერთი ფალავანი ჰყავს, მისი მებრძოლი საღ არე?
სრულ გავვიწყვიდა ლაშკარი, სისხლით შეღება საღ არე,

ათი ათასი ღუეუები, დახოცა, ვინ ჰყუა, სადარე,
და ნახოთ, მთვარეს ვაჲ ვავსილი, იგ მოწმენდილსა სადარე!

- 83 ქაჭვაჯან კელად შეიპყრა, კელთა ჰყავს პატიმარია,
ადარეინ მორჩა მებრძოლი, ვინც იყო მკლავმავარია,
იციშემის და იომის, იამის ზათქი და ზარია;
და აწ თქუენ რას ბრძანებთ, არ ვიცი, დიად შელონდა ჭარია-
- 84 რა ფალ[ა]ნგმა გაიგონა, წყენისავან ზე ავარდა,
საყელონი დაიხია, ტახტიდაღმა ჩამოვარდა,
ყოვლთა ღუეთა აცნობეთო, და[ი]ძახა, ზმა დავარდა,
და ფაქები და[ა]ფრინა, იქით-აქით გამოვარდა.
- 85 იხმნა ღუეები, მისწერა პასუხი სა[ა]ზრონია,
ადამიანი გამოჩნდა, უებრო, დიდი ზრონია,
ქაჭვაჯან ტყუელ ჰყავს შეკრული, დახოცა ღუეთა ზრონია-
და ყოვლთა გვიშველეთ, წამოღით, მოხმარებისა დრონია.
- 86 ბარყიჯან ღუეი, ჭინბიჯან, მოიხმო დიდის რაზმითა,
ორთავე ტახტი დაუდგა, მაზედა დასნა კაზმითა,
მაშინვე ვეზ[ი]რობა ქნეს, ხანსა არ დია დაზმითა.
და უთრუთის საქმეს ჩიოდენ, ცუცხლი არისა ბაზმითა.
- 87 უამბო: დაუხოცია ათი ათასი ღუეი და,
თუნდიც მოუკლავს, სხვაზედა მეტად არისო ზეეითა,
ქაჭვაჯან ჰყავსო შეკრული, იგი ეუბრო მხნე ვითა,
და კაცი არ სჩანსო, იტყუიან: იგი საროსა ზე ვითა.
- 88 ფოლადს და რობინს ებრძანა პასუხი მოსაწყინარე!
თუ არ გვიშველით, ჩვენც დაგვხოცს, წამოღექითო წინარე!
აწე წავიღეთ საშველად, აქ ვიყოთ ვინცა ვინ არე!
და დაემზადენ და წავიდენ, არ[ა]ვინ იყო მკინარე.
- 89 ბარყიჯან და რადი ღუეი, ვითა ლომი, მობრლენივიდა,
იტყუიან, თუ: მეომარი ვერ დაგვიდგეს ვერეინ ვინ და,
ორმოცდათი ათასია, იმათ ახლდა ღუენი წინ და,
და სულად ღუენი წამოვიდა, თქუეს: მეშველი არეინ გვინდა!

აქა დიდი ომი. უთრუთ ქუით დაფარეს ღუეეებმა.

- 90 სანაძის მიესწრებოდენ, იმათ შექონდა ომია:
იყო ზრიალი, ზრიალი, ვავს ვასკდა ცისა ზომია;
შუას მოიდანს იომის, უთრუთ მებრძოლთა ლომია,
და ორამან ათასმან ღუეუმან მიმართა თუ რა ზომია.
- 91 წამოიღეს დოლაბები, ყუელამ კელით აიღო და,
შუაზედა შეიმწყუდ[ი]ეს, უთრუთ თავი დაიღო და,

თავსა ფარი დაიხურა¹. კარი არსით გაიღოდა,
და დაუშინეს დეუთა ქუანი, ფალავანი დაილოდა.

92 გვანდა, დევთა ყუირილითა ცა დაიმსხვრა, მიწა თრთისა,
მათ ეგონა, კმელიც ჩაძვრა, ყუელა უთრუთს ქუას აყრი[სა],
ვითა სეტყუა დაუშინეს, ცას უშძიმს და ეტლი ტარსა,
და ქუით დაფარეს ფალავანი. ხვა ისმოდა ნეტარ რისა?

93 სრულ აღარა ჩანს სფადი, იგ[სრულ] დაიფარა ქუისაგან,
მათ თაიმურაზ მოუხდა, ელვა შეიქნა რკმლისაგან,
ლაშქარი წინ მოიძღვანა, თვით უმრავლესა ზღვისაგან,
და უკუაყენეს დეუები, რკმლისა და ლახტის კურისაგან.

94 უთრუთხედ ლოდი აშენდა, ღიღი, მაღალი მთა ვითა,
იქით და აქით² იწეუდა, შიგან მისისა თავითა;
უკუიყარა ლოდები, მოვა ტანითა ზევეითა,
და ქუით გამოვიდა ამაყი, მერმე არ იყო ზავითა.

95 დეუთა რა ნახეს, გაიქცენ, დაჰყარეს მათი ბარგია,
მათ ფოლად წინ მო[ე]გება, იტყუიან: მეტად მარგია.
და[ა]ბრუნვა და შეიბნეს, ვინც იყო მათში ვარგია,
და ვინ იცის, ვინ გარდაარჩების, ავი და ანუ კარგია!

96 შეიქნა გრგვინვა, ქუხილი, კაცთაგან საზარონია;
უცხო კმა სხვადასხვაფერი, კიოდა დეუთა ქრონია,
ისმენდეს კაცი, შესცდების, ვინ იცის, ეს რა დრონია!
და ომი არ გაწყდა, მორჩენა არას კაცს არა გონია!

97 ჯერეთ მათს უამში ცხენები, არ იყო, არვის ჰყოლოდა,
ქუეითად იბრძვის ყუელანი, ჯერ არც ერთს დარჩა ბოლო და,
იგ თაიმურაზ ილოცავს: მაღალო, ყოველის მყრობლო და:
და ჩვენ მოგვეც ძლეუა დეუზედა, თქუენი ვართ თანამყოლო და.

აქა დიდი ომი უთრუთისა და დეუთა

98 ერთობილთა ფალავანთა ყოვლთა კრმლები დაიწვადეს,
შეუტოვეს ერთმანერთსა, ომი დია მოიწადეს;
უთრუთ ქანგი გაიმახვია, მძიმე ლახტი წაიწვადეს,
და ზედ მიეარდა დეუთა ზედა, აწ მოდიო, ვისცა გწადეს!

99 ბეური დანაყა ლახტითა, ზოგნიმე რკმლისა აცეია,
რიყე ვით დეუი დაჰყარა, ისმის ლაწი და ტყაცია;
არის ქება და ღმრთის რისხვა, უფრო დეუს კოცენ კაცია,
და იქითაუ ბეური დაქოცეს კარგი და კარგ-მამაცია.

100 მკუდრისაგან გზანი შეიკრა, სისხლის[ა] აღტყდა დვარია,
ცოცხალი ველარ მიუდგენ, მძორთა უვლიდენ გარია;

¹ დაიხურა. ² აქათ.

სალამობამდის არ გასწყუდა, ომი, ზათქი და ზარია,
და ოცდათი ათასი დეუი დახოცეს, იყო მკუდარია;

101 სისხლის ღუარს ვერვინ გავიდა, ტალახის დადგა ტბანთა;
მერმე სილამემ გაპყარა, დღეს ომი თუცა კმანია;
ფოლად აპყარა დეუები, არ დაიღონა ხანია,
და მთის ძირს მივიდენ, მიანდვენს მას ზურგი, მოსტყუათ ჭანია.

102 თაიმურაზ დეუთა ზედა დაშუშები წაუყენა,
მობრუნდეს და მოახსენეს, დეუებზედა დიდი წყენა,
მთისა ძირსა მიდგომილან, კელმწიფესა ჰოასენა.
და მეფემ ბრძანა წაუდგეთო, უკან ესლიოთ იმათ ჩვენა!

103 ბრძანა: ჰყარითო ნალარას, გახდეს, გაუშვას დგერანი,
სრულ აიყარენ, წაუდგენ თურანი ანუ ერანი.
ის დღე იარეს ლამემდის, ვირ მზესა ქონდა მზერანი,
და ახლოს მივიდენ დაბ[ა]რადენ, არ უნდათ ომთა ჭერანი.

104 დეუთ მოუვიდათ ამბავი, იმ[ა]თი გასახარია,
ფოლად დეუს გამოეგზავნა ბარყიჯან მკლავმაგარია,
რადი დეუიცა მოვაო, თქუენდა საშეველად კმარია,
და ორმოცდა ათი ათასი მათ მოსდეუს მეომარია.

105 ასერ მოვლენო, ფოლადანს უამბეს, მტერთა მზარავსა;
ჰკრეს ნალარასა, წავიდენ, მიგება არა ზარავსა,
მათ უსალამეს ერთმანერთს, ამბავს ისმენენ არ ავსა;
და მერმე დაბარგდენ მოიდანს, იგ დაიციმდენ კარავსა.

106 ფოლად შესტირა მათ დეუთა, მწუხარმან, თვალცრემლიანმან;
მაშამან ჩემან ქუეყანა მიბოძა დავლათიანმან,
სრულ პატრონობა ლაშქრისა, მომცა მას ანჯარ-რხმლიანმან,
და ადამიანთა მიბრიყუეს, რაღა ვქნა გულნადღლიანმან.

107 ბრძოლა დამიწყეს, გასწყვიდეს ლაშქარი, ჩემი სპანია,
თემი, ქუეყანა წამართვეს, მომიკლეს რაცა ყმანია;
აგერ მომდღუენ უკანა, იგი საომრად მზანია;
და ბიძაჩემს ჩემი არ ჰგამა, სიკუდილი, არცა რჯანია!

108 ბარყი დეუმა საუბარი მოისმინა ამისანი:
ბიძაშენმა შენსა ზედა და[ა]შავა რაისანი,
გამოგზავნა შენდა შეველად ძმისწული და ყმა მისანი,
და დაგვაედრა: მეც მოვალო, ჰყუენ სიმრავლე ჭარისანი.

აქა თაიმურაზისაგან დეუთა მოსვლის ცნობა და დიდი წყენა

109 ამაშიგან ერთმან ვინმე თა[ი]მურაზს მოახსენა:
ბარყიჯან და რადი დეუი მო[უ]ვიდათ, ვნახეთ ჩვენა;
მათ ლაშქარი დიდი ახლავს, ფოლადანს[ა] არ აქუს წყენა.
და რა ისმინა კელმწიფემან, სადგომთავე შექმნა დენა.

- 110 მაშინდა ბრძანა: ქაჭვაჯ[ა]ნ იხმეთ მოკუეთა[ლ] თავისა!
იგ მოიყუანეს შეკრული, მაზედ არ ყოფა ზავისა,
დეუმა შეიგნა: მომკულენო, დღე დაბიბნელდ[ე]ს შავისა,
და თქუა: ნუ მომკლავთო, სახსარი მოგგვარო ჩემის თავისა.
- 111 თუ არ მომკლავთ, უცხო რამე მოგგვარო შენ მეტად კარგი;
შენს უამშიდა არ გენახოს მოსახმარი დია მარგი;
მას შე[ე]ძლოს სამსახური, შენ გზიდოს და შენი ბარგი,
და უიმისოდ არ ვარგიყოს, ვინცა იყოს კაცი ვარგი!
- 112 [მ]ათ ჰკითხეს: უცხო რა არის, ანუ თუ რისი გვარისა?
დეუმა თქუა: ყაფის მთაშიდ მყავს, სახელად ცხენი არისა,
მაზედა შეჭდეს მებრძოლი, იმედი არის ჭარისა,
და ყოველგან გარგებს სახედნად, თუ არ კლდე არის მყარისა..
- 113 კელმწიფემ უთხრა: რით გენდო, გაგიშვა, რა საქნელია:
ყაფის მთაშიდა წახვიდე, რითლა მოგიდო კელია.
არც ცხენი მყუანდეს, აღარც შენ, როგორ ვქნა, რა სათქმელია,
და დეუისგან როგორ მოვსტყუედე¹, ან ჩემი სით სახელია!
- 114 ქაჭაჯან თქუა: ორი დეუი მე მახლავან, ჩემი ზრდილი,
ერთს გავგზავნი, მოიყუანო, საქმე არის [ე]ს ადვილი;
აღარ მოკლეს, დაუჭერეს, სიტყუა უთხრეს დია ტუბილი,
და ერთი დეუი გა[ა]გზავნეს, რა გათენდა ღამე, დილი.
- 115 დეუი წავიდა, მიმართა, გავლო იმათი მზღვარია,
ყაფის მთაშიდა მივიდა, დეუთა სამყოფი არია;
მოგვარა ცხენი უებრო, ბედაურისა გვარია,
და დიდად მოსწონდა მეფესა, გაჰკვირდა სრულად ჭარია.
- 116 ქაჭვანს ჰკითხა კელმწიფემა: ცხენს შეკდომა როგორ უნდა,
დეუმან შეკრა უნაგირი, ლომის ტყავით შექნა მუნ და,
მეუქაზმა, მეფე შესევა, მტერი მისი შეძაბუნდა,
და დიად მეტად მოეწონა, სახელმწიფო იყო თუნდა.
- 117 კელმწიფე ბრძანებს: რა არის ამისგან უეეთესია.
მერმე ელჩები მოვიდა ფოლადის, იმაჲ დღესია;
შეასხეს კელმწიფეს წინა, ტახტსა ზის ზესთა ზესია,
და უთრუთ სელითა წინ უზის, ყოველთა უდიდესია.
- 118 ალყად გარე თავადები შემოისხეს გარის-გარა,
ელჩმან ყუელა დავედრული მოახ[ს]ენა, რაცა არა:
ქაჭვაჯანს თხოვს, თუ უბოძებ, იგ წყალობად დია კმარა;
და უთრუთს უპვერტს რა არისო, მისი ნახვა მეტად ზარა.
- 119 მეფემ ისმინა პასუხი იმათგან დავედრულია,
თქუა: დახსნა უნდა ამისი, ისმინე ჩემგან თქმულია:.

¹ მოვსტყუედე.

მან მომცეს ათი ათასი ცხენები დაკაზმულია,
და მერმე გაუშვა ქაჯვაჟან, ვქნა თქუენი გაზრახულია;

120 თვარამ ტყუელ მყუანდეს, არ მოვკლა, ცხენი მომართვა ერთია,
სიკუდილის ქრთამი ის იყო, მაშინ უხსუნე ღმერთთა.
წავიდა იგი ელჩები, ქარისა შენაერთთა,
და ფოლადს წინაშე მივიდენ ცქვიტად, მართ ვითა შეთაა.

121 ელჩმან ჟამბო, ითხოვეს ათი ათასი ცხენია,
[მას]უკან გამოუშვებთო, ბრძანებდა ალვის ხენია;
ფოლადან მოაყუანინა, ვინც არის დეუი მკნენია,
და გაგზ[ა]ნეს ბელაურები, ეტყობის სიფიცხენია.

აქა ქაჯვაჟან დეუმან ათი ათ[ა]სი ცხენი მოასხა თავის სახსრად,
ჯერ ცხენი ადამიანს არვის ენახა ამის მეტად,
მას უკან შეიქნა ცხენობა

122 რა მიართვეს თა[ი]მურაზს ცხენი ყუელა ბელაური,
მოეხვიენეს სანახავად ქ[უ]ემო ანუ ზელაური;
ყუელა უთრუთს გაუგზავნა: ირჩიეო, შენაური.
და იგ¹ მიგვარეს ყუელაქანი ფალავანსა ქუელაური.

123 შეგდის, ჩაუდრკის მუცელი ცხენს, მიწად მიითრეოდა,
ვერც ერთმან ვერათ ვერ დაძრა, იგი ალვისა ქეო და,
არ იქნა, ცხენმა ვერ ზიდა, უთრუთი იყო მკნეო და,
და ისევ კელმწიფეს მიართვა, ვით იყო ზემთა ჴეო და.

124 მეფემა ჯართა დუყო ცხენები სრულა ყუელანი,
მადლი შეჰკადრეს ყოველთა, მაშინ აუპყრეს კელანი,
მაშინ შეიქნა ცხენობა, იყუიან მადლთა მკდელანი,
და წითელი, სისვი, ზერდაგი, ამლაკი, შავი, მელანი.

125 გაცხენიანდა ყუელანი, არ ყოფილიყო ცხენობა,
მერმე გაუშვეს ქაჯვაჟან, სად იყო მისი შენობა;
უთრუთისათვის პილო თქუა დეუმან, იგია თქუენობა,
და ის თუ ზიდავსო, სამსოდ კარგათ ეტყობის მხნეობა.

126 ქაჯვან მივიდა ფოლადს წინ, ბარყიჯან მოეგებოდა,
ყელს მოეხვია ფოლადან, არა თუ გარე დგებოდა.
დასხდეს, ამბავსა ჰკითხვედენ, სად ნოხი, ნატა გებოდა,
და უთრუთის საქმეს ჩიოდა, გულს შიში დია სდებოდა.

127 ქაჯვაჟან თქუა: რასა მკითხავთ, მისი ომი რით იქნების,
ისა ჩენი ახსარული, კაცი მისგან არ იხსნების,
მისი ძალი რას ვამგზავსო, პირისაგან არ ითქმების,
და იმან მიყო, მოგახსენო, გაკვირება შეიქმნების.

1 იგო.

- 126 ერთი კელი რქასა¹ მტაცა, პირა მტვერსა გამიჩია,
შემეკეცა და მქარშეკრული თაიმურაზს მიმითრია;
მისი ტოლი კმელთა ზედა კაცი არეინ მიმიღრია,
და მე იმასა აღარ ვებრძვი, ყური დია დამიყრია!
- 129 არა ვარ მისი არიფი, არც მისი მეომარია,
თქუენ ბატონი ხართ, რასაც იქთ, ვინცა ხართ დასადარია.
ბარყიჯან გამოენახა, უთხრა რა საუბარია, —
და სიბერით ჰქუა წაგსელია, ძალი გეპარვის გარია;
- 130 მით ამბობ წალმა-უკულმა, რა შენი საკადრონია,
ვინ იყო შენი მებრძოლი, ვისგან რა საჯრონია;
როს იყავ ეყად და გქონდა სიეაყკაცისა დრონია,
და ერთს შენს კურას ვერ დაუღგემდა, თუმცა აქუს დიდი ზრონია!
- 131 სიბერით ჰქუა აღარ გაქუს და არცა ზავთიანობა.
ქაჯეაჯან უთხრა: გავსინჯე იმისი ძალიანობა;
მე ვერა ვებრძვი, იცოდე, შევიტყუე მათიანობა,
და თქუენც აღრე გამოგიჩინოს ძალი და ხლართიანობა!
- 132 აღარ ვარ მისი არიფი, არც მისი მეომარია,
აპას თქუენც შეგატყობინოს, როგორი საომარია;
მე აქ აღარა დავდგები, არც არა საუბარია;
და მივალ ფალაგის წინაშე, ანუ სად მისი მზღვარია.
- 133 ველარ მოვიციდი, იმისგან ძლივას დაეიხსენ თავია,
ავდგები, წავალ, თქუენც ნახეთ მისი ძალი [და] ზავია!
მან და[ა] თავა ამბავი, წავიდა არა ავია,
და მას ახლდა ორმოცდა[ა]თი ათასი დეუი ზავია.
- 134 თან გაპყუნეს, ფალაგს წინაშე მივიდენ დეუნი კრონია,
ფოლად დადგა და ბარყიჯან, რადი მალალი ზრონია;
მას ღამე ემზადებოდენ, ძილი რა სააზრონია.
და ომს აპირებენ ზვალისათ, თქუეს, თუ: ბრძოლასა დრონია!
- 135 გათენდა, მზემან სამყარო ყირმიზად და[ა] შეენა მან,
ვარდის წყლით პირსა იბანდა, შეგვაპყო მისმან ფენამან;
იკრეს ბუქსა და ტაბლასა, ქუემო და ანუ ზენამან,
და ორთავე რაზმი გასწორდა, ვითა თქუას კაცთა ენამან!
- 136 შაიქნა ათი ათასი კაცები ცხენოსანია;
უთრული იყუის ქუეითათ, ომისა კელოსანია;
გაფიცებულნი საომრად, კურდღელზედ მწვევროსანია,
და გასწყვიდა მისი მებრძოლი ვაჟი და წვეროსანია.
- 137 მძიმე ლახტი მქარს შეიდვა, შემოქმედსა თაყვანი სცა,
საგდებელი მქარსა ეცვა, ლომის ტყაუის იყო ისცა;

¹ რაქასა.

მოიდანსა საომარად მთერალი პილო იქიე დგისცა,
და ომი ასრე უხაროდა, ქორწილობა ქონდეს ეისცა.

- 138 ვით ლომი გაცოფებული, იქით და აქათ დგებოდა,
გრგვინვიდა, ვითა ღრუბელი, გულს შიში არა სდებოდა,
პერტულსა ყრიდა პირიდგან, წალმა-უკულმა ხლტებოდა,
და ვინ ჩამოხვეალო საომარად, იძახდა, დაგიხვედო და:
- 139 დეუთა რა ესმა ამბავი და მისი საუბარია,
მოკაზმეს პილო ტახტითა, დიად მურასად მყარია,
კიბე მიადგეს ძირიდგან, თუეს მეტი ბიჭი არია!
და ზედა გავიდა ბარყიჯან, მებრძოლთა უზამბარია.
- 140 ას ორმოცი წყრთა სიმალლე იმას ქონდა მისსა ტანსა;
ერთსა ისე ფოლად დაჭდა, პილოზედა ამისთანსა;
მიდგენ ყოვლნი საომარად, ზედა მისდგენ თანის-თანსა,
და რა შეხედეს ფალავანსა, დეუნი მიდგენ განის-განსა.
- 141 ბარყიჯან ნახა, გაპკვირდა, სფაადი, უთრუთ გმირია,
ეუცხოვა და ასე თქვა: ამას ვინც ებრძვის, ვარია;
ზუჩი გუმბაღსა უგუანდა, იმისი ომი ჰირია!
და ჰკუა წაუ[ვ]იდა ბარყიჯანს, რა ნახა მისი პირია.
- 142 ცნობა წასელოდა, აღარ აქეს, უკვირდა მისი მხნეობა,
ფოლადს უამბო: ქაჩეჯან მართლად მეუბნა მეო და,
თურმე ეს დევი ყოფილა, იგი ალვისა ჰეო და,
და რაცა თქუა, ორი ზომა[ა], იგი ყოველთა ზეა და.
- 143 ვინც მის პირში ჩაეარდების, მას ცოცხალი ვინ მორჩების,
თუ ცოცხალი მას წაუვალ, მის დღეშიგა რა შეენების;
ვეცადოთ, — რას, ნუთუ ვითა მისგან მოვრჩე, ეს მერგების,
და ნეტამც თვალით არ მენახა, ჩემი ღონე რით იქნების?!
- 144 ფოლად თქუა: მეც ამას ვტირი, უკულმა მექცა ბელია,
მან გამიწყუიდა ლაშკარი, დეუები ზედა-ზელია;
დამაგდებინა ქუეყანა, მთა, ბარი, რაცა ქელია,
და ვჩივი და ბედდაქარგული სიცოცხლე არ მაქუს მე დია!
- 145 ბარყიჯან თქუა: რა მოვედით, ომი გემართებს. მეტად დიდი
წამოვიდენ ამაზედა, რა გათენდა ლამე, დილი;
ფარვენ მიწას სიმრავლითა, მოვიდოდენ, ვითა ჭინი,
და მტკერი ცამდის ავიდოდა, იყვის მეტად გასადილი.
- 146 მტკერი ამაღლა ცათამდი, ფრინველი დაღმა ცვიოდა,
ცა და ქუეყანა იძროდა, ეშმაკთა დასი ყიოდა;
ჰგავს ჩაძრვა ცა და ქუეყანა, ყველანი თავსა ჩიოდა,
და მტრისა სიმრავლისაგან სისხლი და ოფლი დიოდა.

- 147 ორგნით გახშირდა ნაღარა, ხმა ისმის ზანგა-ზუნგისა¹;
უთრუთ მოვიდა შოიდანს, უმაღლე ცისა ზურგისა,
ისმოდის კუნესა სპილენძთა, დაელისა ანუ გურგისა;
და ვინც ნახის უთრუთ მებრძოლთა, იმისგან ძვალი უთრთისა.
- 148 უთრუთ რა ნახა ბარყიჯან, პილოსა ზედა მჭდომია,
ერთი ასეთი შესჭეხა, გავს, გასკდა ცისა ხომია;
უთხრა, თუ: პილწო ავეგვარო, თუ გინდა ჩემი ომია,
და ვინ მოგცა თემი, ქუეყანა კელმწიფის შესაზომია?
- 149 არ არის შენი საფერი, კელმწიფის საკადრონია,
იგ თაიმურაზს მიართვი, შენ აღარა გაქუს დრონია:
მოდო და კელსა მაკოცე, ეს შენგან სა[ა]ზრონია,
და მიგიუყუნ კელმწიფეს წინა, ახლავს ლაშკართა ხრონია.
- 150 ტახტი და პილო მიართვი, იმის წინაშე მიდია;
მან მოგცეს ყაფის მეფობა, გიყოს წყალობა დიდია!
მოვაცემინებ, რაც გინდა, იყავი, ჩვენთან ზმინდია,
და თუ არ იქ, დაგნაყ ლახტითა, შენი მომინდა ჟინდია!

ა ქ ა ო მ ი უ თ რ უ თ ი ს ა და დ ე უ თ ა

- 151 რა გაიგონა ბარყიჯან უთრუთისაგან თქმულია,
მან გაუძახა ოცდათი დეუეები გამოთქმულია;
შემოუზახეს, მოუხდენ ეშმაკისაგან ქმნულია,
და პირველად ერთი მოვიდა, არ ვეკობ, შერჩეს სულია.
- 152 დიდი ლოდი შემოსტყორცნა, დეუმა საქმე გაიჭირა,
უთრუთ კელი მიუშვირა, ლოდი წამზედ დაიქაზა;
შემოსტყორცნა, მისი ლოდით ისივ მოკლა, მისცა ჭირა;
და მერმე სხვათა შეუტოვა, დეუთა საქმე გაუჭირა.
- 153 გაფიცხდა, ვითა ლომი და აწი მებრძოლთა მძლე არი,
გავარდა, ერთს კელი სტაცა, იგი ალვისა კე არი,
მის დღეში სული არ სდგმოდა, დევს დაუბნელდა მზე არი,
და აიღო სხვას დეუს შესტყორცა, ორივ სიკუდილის ზიარი.
- 154 ვერ გაესწრა, ორივ მოკლა, მისი მტერი შეძაბუნდა;
ერთმანერთსა შეაწყუიდა, დაჯაახა: ასრე უნდა!
მერმე კელი შეიფშენიტა, სხვა დეუთაკენ გამობრუნდა,
და ვინცა მორჩა, გარდიხვეწა, ფალავანი მისდეუს მუნ და.
- 155 ერთს მიეწია, შე[ი]პყრა, ლომ[მ]ან — ალვისა ხემანო,
ერთი ერთს ფეხსა მოჰკიდა, მან კელი ამა მკნემანო;
გასწია, შუა გახლიჩა ის დეუი თქუენმა მზემანო,
და ისიც ლაშკართა შესტყორცა, მისმან ტორმან [და] კელმანო.

¹ ზანგა ზუნგისა.

156 რა გაქცეული დეუები ბარყიჯან ნახა რებული:
ბარყიმან უთხრა ბარყიჯანს, ვით იყო სახელდებული:
წაიღეთ, ან ჩვენ შეეებათ, თუცა ეართ ომსა ჩვეული.
და საომრად გამოემართენ, არ ცუდი ანაზღეული.

აქა ბარყიმან დეუისა და უთრუთის ომი

- 157 ას ორმოცია წყრთა²—სიგრძე, იმა დევისა ტანია,
ოთხის დოლაბის ოდენი ლაბტი აქუს, იგი ქანია;
მოიდანშიგან მოვიდა, იყო საომრად მზანია,
და რა თაიმურაზ იხილა, მისკენ წამოვლო გზანია.
- 1 58 ილოცავს, იტყუის, კელმწიფე: ღმერთო, კმელთა და ცათაო,
უთრუთ დაიციე ამისგან, საომრად არის მზათაო;
ამას უბოძე მორეუნა, უფალო, ღმერთო, ძალთაო,
და ნუ ააოხრებ დეუთაგან აღამიანთა ქართაო!
- 159 მერმე მოუხდა უთრუთის, დეუმან გაშალა მზარია,
გულსამეს[ი]სხლოდ შეიბნეს, ისმის ძგურა და ძგარია.
დეუმან ლაბტი ჰკრა მას ლომსა, უმზერდა სრულად ჭარია,
და მას უკან დაჰკრა სფადმა და იძროდის, მიწა მყარია.
- 180 ხუთ-ხუთი ჰკრეს ერთმანერთსა გულმესისხლეთ, არ დარიდეს,
მერმე კელად შეივიდნეს, იგი ლომი სისხლსა ღვრიდეს;
მიწა თრთოდა სიმძიმითა, იგი ორნი ვარდსა ზერიდეს,
და ლომმან უთრუთ დაიყვირა, მას მებრძოლი არა ჰკვირდეს.
- 181 ერთი კელი ბარკალს მოსდვა, ერთი კელი ჰელსა სტაცა,
აიყუნა თავის სწორად, ფალავანმა დეუი დასცა:
მას კელ-ფეხი დაეღწა, ჰული თვისი ადრე გასცა,
და მუხლით შესდვა გულსა ზელა, წაფრინდა იმას თავცა.
- 182 თავს წაეჭედა, მოსწყვიდა, იყო მოქმედი ამისა,
გულ-ღვიძლი ყელსა ამოჰყუა, არს შემოკლება ეამისა;
შორს უკუაგლო იგ თავი, კიდევე ომსა ლამისა³,
და მოიდანს დადგა საჩქენლად, დღე იყო ერთის წამისა.

აქა დიდი ომი დეუთა და თაიმურაზისა,
დიდი ავნეს დეუთა

- 188 იქივე დადგა უძრავად უთრუთ მებრძოლთა მზარავი,
რა მოინახა ბარყიჯან ეს საქმე შესაზარავი,
კიეინა დასცეს დეუებმა, არ იყუნენ ცუდი მპარავი,
და მუნ დაიწვადეს ლაბტები, გურზები არ სამალავი.
- 184 დეუთ შეუტოვს ერთიხრად, შეიქნა მოსაწყურარი,
მოვლენ ყუელი დაწვდილი, კურდღელზე ვითა მწვევარი;

¹ წაიღედეთ. ² წყარათა. ³ ლამისისა.

იკრეს ქოსსა და დაბდაბსა, იყუიან სისხლთა მზლ[ვე]ვარი,
და იყო კრიალი, გრიალი, კმა—ცამლი შესაწვევარი.

- 165 მტვერი ასტყდა საკურეველი, მზესა ფერი წაუვიდა,
მძიმი ლახტის ცემისაგან ზუჩთა ცეცხლი გაუვიდა;
კრმალი ელავს, მტვერისა შიგა მკულართა, ვერვინ შეუვიდა,
და სითაც¹ უთრუთ იომოდა, ახლოს ვერვინ მიუვიდა.
- 166 ლამკართა ფრეწლის სფადი [და] გასწვევიდა დეუთა ქარია,
ქეულის და ხლეჩდის, ისროდის, მიწა იძროდა მყარია;
ზოგთა ბარკალი მოაძრო, ზოგთა თავი და მხარია,
და სხვას დეუს ესროლის, მოცაკლის, გა[ა]ყრევიანის ძგარია.
- 167 უპატიოდ დეუთა თავი ადგილზედა დაიყარა,
ათ ათასი დეუი მოკვდა, ბეური სისხლი დაიღვარა;
დაიღალნეს ომისაგან, სიღამითა გაიყარა,
და იქით დეუნე, აქით კაცნი, გაიყარნეს გარის-გარა.
- 168 მათ-მათს ალაგსა დაბარგდენ, დაიცუა მწვეანე კარავი,
ქაჭვაჭან დეუი ფალაგთან მივიდა, მტერთა მზარავი;
ყაფის მთაშიგან იახლა, მათი სამყოფი — არ ავი,
და ამბავსა მბობა დაიწყო, თქუა საქმე შესაზარავი.
- 169 ფალაგ ჰკითხა: რით გავიშვეს, აწ ამბავი თქუენი თქუენით!
მან თქუა: თავი დაეხსენი, ამისთჳა კარ არ მოწყენით.
ათ ათასი ცხენი მივეც, გამომიშვეს ტბილის ენით.
და ფალაგს თავესა ბრუ დაესხა, რად მიეცო, მეტის წყენი:
- 170 რად მიეც ჩვენად საპტეროთ, რა შენი საკადრონია.
ცხენზედ შესხდების, გაგვწყვედენ ადამიანთ[ა] ზრონია.
ქაჭვან თქუა, თუ: არ მიმეც[ა], აღარა მქონდა ღრონია,
და თავესა მომკუეთდენ მაშინვე, იცი, ეს სა[ა]ზრონია.
- 171 რა გა[ა]თავეს ამბავი, ამისი საუბარია,
ფალაგ მოიხმო დეუეები, რაცა ვინ სადა არია;
არქანგ იხმო და ხარიფი, ყოველი მათი კარია,
და ფიცხლა მოვიდენ, ლამკართა დაფარეს მიწა მყარია.
- 172 ნაღარასა ჰკრეს, ფალანგმა გარდადგა მისი ტახტია,
ასი ათასი მეგრძოლი იახლა, ქელთ აქუს ლახტია;
გამოემართენ საომრად, ცხენებთა ეღვათ რახტია,
და თაიმურაზს[ა] უამბო, ადრე ჭაშუში გახლტია.

აქა თაიმურაზისაგან ფალაგის მისვლის ცნობა

- 173 რა გაიგონეს ამბავი, დაშუშთა ჰკადრეს ყოველი,
უთრუთ იხმო და თავადნი — მტერისა შეუპოველი;

¹ სითაცა.

დასხდენ და ვეზირობა ქნეს, იყუენ პასუხთა მფრქვეველი,
და თქუეს: დიდის ლაშ[კ]რით მოსრულა, ფალანგი დეუი მოველი.

- 174 უთრუთ ჰკადრა კელმწიფესა ენა ტკბილად¹ მოუბარი:
თქუენი შვილი ჭიმშედ იხმე, აწ იქნების მეომარი,
მეცა ეიხმო ჩემი ვაჟი, გვარჯასპია მკლავმაგარი,
და აწ შესძლებენ ორნივ ომსა, იქნებიან საომარი.
- 175 გოსტამის შვილი აშაქი, მოიხმე ლაშკრით ყუელანო.
ახალი ყმაწვილებია, ლახტსა მიაყრონ კელანი,
მოვიდენ, მერმე შევებათ, სისხლოს ვადინოთ ლელანი,
და დმრთითა და თქუენის ბედითა, დეუთა დღე მივსცე ბნელანი!
- 176 და[ა]სკუნეს ესე პასუხი, წიგნსა დაუწყეს წერანი:
მისწერეს, ჭიმშედ მოიხმეს, მივა ფაიქი—მერანი;
მიართვეს წიგნი ჭიმშედოს, ეარაყ ნაწერი მელანი,
და გვაჯასპირ, აშაქ, ვინცა ვინ ემზადებოდეს ყუელანი.
- 177 ამულის, სარის, გილინის, იხმეს ლაშკარი დიდია;
სტარისა მოდის ყუელანი, ცქვიტი, მართ ვითა ჭინდია.
შეჯდეს აშაქ[და]ჯვაჯასპი, ჭიმშედს წინ, ჭერ არ ბინდია,
და სალაში მისცეს ორთავე, პასუხი უთხრეს მშვიდია.
- 178 ჭიმშედ მადლი გარდინადა, ორთავ მიდგა, პირს აკოცა,
მერმე დასხდეს ვეზირობად, თქუა, თუ: ჭირი ამეზოცა.
ჭიმშედ თქუა, თუ: უხმივართო, ცხადი არი, არ მეოცა,
და თქუენ რას იტყუით, როგორა ექნათ, მათი მბრძოლი დაიხოცა.
- 179 მათ ჰკადრეს: ლეკუი ლომისა ნადირობისა მდომია.
ჩვენ ვართ დაზრდილი ყმარწილი, ახლა ჩვენ გეპარჯებს ომია,
ვიყოთ ბრძანების მორჩილი, წავიდეთ უსაზომია,
და დილასა აღრე წავიდეთ, ყოველი აქა მდგომია.
- 180 შეჰყარეს ორმოც ათასი მებრძოლი მეომარია;
ჰკრეს ნალარასა, სპილენძ-ჭურთ, ისმის ზათქი და ზარია;
იარეს, გამოუმართენ, სად თამიურაზ მდგარია
და სანამდის მიესწრებოდენ, იმათ შექნოდათ ძვარია.
- 181 მათად მისვლამდი შე[ე]ქნათ ომისა სიფიცხენია,
იკრეს ქოსსა და დაბდაბსა, იყუიან, ვითა მკენენია;
უთრუთ მოვიდა მოიდანს, ლომგული, საროს კენია
და საომრად დადგა მოწვილი, არ დია მოუწყენია.

აქა უთრუთისა და რადი დეუის ომი

- 182 რა რადი დეუმან სფაადი მაიდანს ნახა წინარე.
მან მძიმე ლახტი აიღო, ვითა დოლაბი რკინარე.

¹ ტკბილიად.

შესძახა: ბარყი, ძმა ჩემი, მომიკალ მოსაწყინარე,
და მე არ შეგარჩენ, შეუიქენ შენი სისხლისა მდინარე!

183

ფალავანმა დაუძახა: რა კუეხნისა ეამი არი,
აპას აგერ გიახლები, თუ ხარ ჩემი მეომარი,
კოტა წინარ წამოდექი, სხვა არ უნდა საუბარი,
და მე ვასწავლო მეომრობა, რომ გიქვერტდეს ორივ ჭარი!

184

რა გაიგონა, — დეუს ქონდა დოლაბთ ოდენი ქვანია, —
უთრუთს შესტყორცა, უკუხლტა, იგი საომრად მზანია,
მით დაიკდინა ამ[ა]ყმა, სიფიცხე ამაღ კმანია.
და აღრე მისწია ბარყისა, ვით იყუენ ტკბილი ძმანია.

185

მერმე ვახლტა ფალავანი, ორსავ ფეხსა კელი სტაცა,
აიყუანა თავის სწორად, მოიქნია, მიწას დასცა;
გავს ადრიდგან მონაკუდავსა, ფალავანი იქივ დგასცა,
და მიწად სული აღარ დაჰყვა, გლახ, ანდერძი ველარ გასცა.

186

რა ბარყიჯან სცნა, წავიდა საომრად პილოს მჯდომია:
მოვიდა შუას მოიდანს, იყო ბრძოლისა მდომია.
უთრუთ ილოცა, ახსენა მალლა მყოფი და მდგომია,
და დეუმან შესძახა მალალი, გავს, გასკდა ცისა ხომია.

187

აგინა: ავო, ავგ[ვ]არო, ავის ბედისა მნედაო,
შენ, რაცა დეუნი ვასწყუიდე, შენი ვატირო დედაო;
ერთს იმათს ბეწვის მოსწყუედას არ ღირსდა შენი ბედაო,
და აღრე შეუღებო შენზედა დედა შენი და შე დაო!

188

ვერ მომრჩები მე ცოცხალი ეტლისა და ბედისაგან,
შენ ვით შეგარჩეს ჩვენი სისხლი, მოკუდე ჩემის კელისაგან,
ვერ გასძეხი აქანამდის დეუთა სისხლოს დენისაგან?
და უთრუთ ლამის გახეთქას[ა] ნამეტანის წყენისაგან.

189

შესძახა დეუსა, მალალი კლდენი გაპობას ლამისა:
სხვა ნურას ნაღვლობ, თუ არ შენ, მიგწიო აპას წამისა,
შენცა იმათთან მიგიყუან, არს შემოკლება ეამისა,
და აღრე გასწორდე მიწათა, ვიყო მოამბე ამისა.

აქა ომი უთრუთისა და ბარყიჯან დეუისა

190

მოიქნ[ი]ა მძიმე ლახტი, დეუმან უთრუთს თავსა ფრიწა,
სხვა ვერ ავნო ლომთა ლომსა, ფარი თავსა და[ა]ფრიწა;
მერმე უთრუთ მოუქნია, ფავს, თუ იძრა ცა და მიწა,
და მას ბარკალი სრულ დაღეწა, წაუვიდა იგი ვით წა.

191

პილოდალმა ჩამოაგდო, ვითა კოშკი წამოიქცა,
წაეხვიენ დეუთა ჭარი, ყუელა მისკე გამოიქცა
და ძლივ დაძვრეს ვეშპის პირსა, მზე გუმბაღსა რა მოიქცა,
და პილოზედა უთრუთ შექდა, მათგან ნებით არ მოი[ქ]ცა.

- 192 ბარყიჯან ფოლადს მიგვ:რეს, იგ ბარკალოტეხილია,
უაშბო: სული თუ შემრჩა. მე გკადრო გატეხილია;
ამალამ წავალ, გამგზავნე ფალაგთან მე ამქელია
და იმის პირს ველარ ეიხილავ, არც ამბეად გასამხელია.
- 193 ფოლად თქუა: წახვალ, მეც წავალ, ჩემი რა ღკომის დრონია,
ორნივე სწორად წავიდეთ, სრულად დეუებთა ბრონია;
წასვლას ლამოდენ, არჩიეს საქმენი სა[ა]ზრონია,
და ფალანგ აღარა გვიშველა, რა მისი საკადრონია.
- 194 ვერ მოურჩებით მას კაცს[ა] მოამბე, ვერცა ორია,
ხმელზედ არ გამოჩენილა კაცი ამისი სწორია;
მხრები ჭანდარსა მიუგავს, გაშალოს დიდი ტორია,
და იმას! აღარა დაუდგამს?, არცა მთა, არცა გორია.
- აქა ფალაგი დეუი მოესწრო ფოლადს, ასი ათასი დეუი-
თან მოჰყუა
- 195 წასვლად იყუნეს, მოვიდა ან[ა]ზღი მახარობელი:
ფალაგ მოვით ლაშქრითა, ამას სხვა გვიჭობს რომელი,
ასი ათასი დეუები მოუძღვის, იგა მფლობელი.
და მახარობელი შემოსეს, კაის აშვიისა მთხრობელი.
- 196 წავიდენ მისაგებავად, იკრეს ბუქსა და ნობასა,
აზლოს მივიდენ, გარდახდენ, ვინ იტყვის მათსა გმობასა;
მას მდაბლად ეთაყუანიან, იქმოდენ მისსა თმობასა,
და სეუმენ ბუქსა და ტაბლაქსა, ქოსი იქს მალა ხმობასა.
- 197 ფალაგ თქუა: სხვანი დეუები რა იქნენ, სად არიანო!
ფოლად თქუა: უთრუთ გასწყვიდა, რიყე ვით მისგან ჰყრიანო.
შესტირეს ფალანგს, უჩიელეს, ყოველი ცრემლსა დვრიანო:
და არიან გაუშეა ცოცხალი, ვითარცა მხალსა სკრიანო.
- 198 ქაჭვაჯან ჰკადრა: ტყუილი გეგონა ჩემგან თქმულია,
ვის ძალუც იმ[ი]სი ომი, ბრძენთაგან გამოთქმულია..
ფალაგს უკვირდა იმისი ძალი, ზავთი და გულია,
და თქუა: ვინ გამოჩნდა მისებრი, ამაყი, ჯავშანსრულია..
- 199 მერმე გაუძვრა დაშუში, კელმწიფეს ჰკადრა ენითა,
ნადიმად ისხდა კელმწიფე, იგ იყო არ მოწყენითა:
შეჰკადრა: რას უსხედართო, საომად გაეწყვენითა,
და მოვიდა ფალანგი დეუი, ზღვისა სიმრავლე დენითა!

¹ იმისა ? დაუდგამს.

აქა თამურაზ[ის] [შ]ვილი ჯიმშედ და უთრუთის შვილი
გვარჯასპი, გოსტამის შვილი აშაქ მოვიდენ
ორმოცდაათი ათასის კაცითა

- 200 ასი ათასი მებრძოლი. მათ ახლდა დეუთა ჭარია,
არჯანგ ახლავს და ხარიფი, ფალაგის, მკლავმაგარია,
კიდევ სხვა კაცმა მოიღო ამბავი გასახარია:
და მოვალ ჭიმშედ, გვარჯასპი, აშაქი — უზამბარია.
- 201 ორმოცდაათი ათასი მათ ახლავს მარჯვე კაცია,
მათ გაიწყუდიონ მებრძოლი, იყოს ლაწი და ტკაცია!
მახარობელი შემოსეს, მას სტავრა, ნახლი აცვია,
და მისაგებავად წავიდენ, კარგი და კარგ-მამაცია.
- 202 უთრუთ შეხედა გვარჯასპირს,¹ გაჰკვირდა მეტისმეტადო,
თავი ღრუბელშიდ მოქონდა, მკვრეტნი გახადა რეტადო,
ვითა კანდარი შომცროს ქეს. უშა[ლ]ლე იყო სვეტადო,
და აგრე ყოველს კაცს უშალლე ეს იყო, მიღგენ კვრეტადო.
- 203 რკინისა ზუშპი მქარს ეღვა, დიდის კანდართა ოდენა,
რასაცა დაჰკრავს. და[ა]მსხერევეს. მთა იყოს, გინდა კმოდენა!
შეფრინვიდენ და შესკვრეტ[დ]ენ, სიკეთეს მოიტყოდენა,
და კელშვიფეს ქელსა აყოცა. ჭარმან დაიწყო მოდენა.
- 204 მეფემან პირსა აყოცა, მას ლოშსა, პირად მზიანსა,
მამამან უთრუთ მოეკლო, პირად ბროლ-ბალახჩიანსა,
ყოველნი მოესალამნეს. ტანსარო. ალვის ხიანსა,
და ვინ არის მისი მებრძოლი, მტერი ჩ[ა]ვადოს ზიანსა.
- 205 ათასმან კაცმან ვერ დაჰძრა, იმისი რკინა-ეცტია,
მერმელა სადგომს წავიდენ. ყოველი მისი მკვრეტია;
ისმოდის ცემა ქოსისა, სამო[ცი]ლია მეტია.
და აწ ბოლოს ნახეთ სოფელი. თუ როგორ სისხლთა მხერეტია-

აქა ხარიფ დეუისაგან უთრუთის მიკულა ღალატად

- 206 ნახეთ უხანო სოფელი. ესე ერთისა წამისა,
უდროოდ ეამთა მოშლასა, უთრუთის სიკუდილს ღამისა;
ბრძანა. თუ: ნაომარი ვარ, მოლაღვით მრავალ ეამისა,
და წავიდა მარტო საბანად, აღარ მომლოდე ხანისა.
- 207 მონახა წყალი მდინარი, ვითა ზღვა, შესაფერია,
ებანა, ზედ ამოვიდა, თურემ უკვრეტდა მტერია;
შეხედა, ერთი კე ჰპოვა, ტურთა და შეენიერია.
და მისს ძირსა დაწვა საძილად, უებრო სფადარია.

¹ გვარჯასპირის.

- 208 რა კარიფ დეუმან იხილა მძინარე ლომი ქუელია,
 დარაჯად იყო მოსრული დეუი ამისთვის, მელელია;
 დოლაბთ ოდენი ქუა ჰპოვა, იმას მიაწყრო ქელია,
 და თავს¹ დასცა, მოკლა მძინარი, იყო სისხლისა მღვრელია.
- 209 რალას ვაგრძელებ, მოცაკლა უთრუთი დეუმან წყეულმან;
 დარბა[ხ]სა აღარ მოვიდა ნიადაგ ომსა ჩეეულმან,
 უმუხან[ა]თა სოფელმან და ჟამმან ანახდელუმან,
 და გარდახდა, იგავლო ქუეყანა, ტანსარო, ალისქეულმან.
- 210 ნახეთ, რა ქნა უხანომან სოფელმან და ჟამმან, დრომან,
 ძებნა შექნეს, არ მოვიდა, კელმწიფემან, ჯარმან, გრომან;
 წყლისა პირსა მკუდარი აბოვეს, კეთა ძირსა ამა ზრომან,
 და ყოველივე და[ა]შტერა ამ ამბაემან საზ[ა]რომან.
- 211 ტახტიდალა ჩამოვარდა, კელმწიფესა მიაქუს კმანი,
 თავსა მიწა გარდიყარა, მოთქმილიან მისი ყმანი,
 საყელონი გარდიხია, აღარ უნდა ტკბილად ზმანი,
 და გრგვინეა შექნეს ლაშქარშიგან, დაიგლიჯეს ყოვლთა თმანი.
- 212 გვაჯასპის უთხრეს, და[ა]სკდა დიდი, უებრო მთა ვითა,
 ვერ დაიმაგრეს, ეხვევის იგი ლაშქარი ზღვა ვითა;
 იტყოდის: მამავ, ვით მოჰყუე. რასთვის გამხადე შავითა,
 და რად ჩემი მოსელა გეწყინა, მტერს რასთვის დაეზავითა!
- 213 მამავ, ბნელ შექმენ ქუეყანა, შენთვის უღრუბლო, სადარე,
 მამავ, გასწყუიდე მებრძოლი, სისხლით შედეგე სად არე;
 მამავ, სად მიხვალ, სოფლითურთ თავი უებრო სად არე,
 და მამავ, აღარეინ გამოჩნდეს კმელზედა შენი სადარე!
- 214 იტყოდა, მოსთქუა, ტიროდის, პასუხნი საკვირუელია,
 ყოველთა გლოვა დაიდევს, სრულ ჯარი ცრემლთა მღვრელია;
 იხოვენ, იგლიჯებიან, ყოველთა მი[ი]რტყეს ქელია,
 და ვაგზავენს მისსა სამარხსა უთრუთ ლომგული, ქუელია.
- 215 მერმე აღარა აცალეს, დეუნი საომრად მზანია,
 რა მზემან თავი ამ[ო]ყო, იგ გა[ა]ნათლა ცანია,
 გურგთა და ქოსთა დაუკრეს, ისმოდის დიდი ხმანია,
 და ორგნითვე რაზმი გასწორდა, თან ახლდა მათი ყმანია.
- 216 გვაჯასპირ მეფე დალოცა, ახსენა მაღლა მხედლა;
 წავიდე, მამა ვისისხლო, დეუს გარდუბრუნო ბედია,
 იმისი მკულელი მოვსწყუილო, ამოსვა კისრის ქედია.
 და იგი დალოცა მეფემან, ახს[ე]ნა შემოქმედია.
- 217 უბრძანა: გიძღვის მაღალი, არ გინდა ჩემი რიგება,
 მამის შეილი ხარ ასეთი, იცი პასუხის მიგება,

¹ თავსა.

იცი მისებრად ყოველი, მტერისა გარდაცილება.
და წადი, შესწირე მაღალსა ღმერთსა მადლი და დიდება!

218 ისმცა წინამძღვარია შენი, ლომო და მხნეო და,
ფალავანთ თავო, ლომკაცო, ტანო-ალვისა ქეო და,
შენითამც ნათლობს სამეფო, მაღალო ყოელთა ზეო და;
და მუნ გავმართა საომრად, ყმაწვილი პირად მზეო და.

219 ას ორმოცდაათი ადლი იყო მისი ნაზარდობა,
ორი პილოს ბეჭის სიბრტყე ქონდა ტანი, ჯომარდობა;
ორ ათასს ლიტრის რკინა კეტად ერქო, ზომადობა,
და მისი ომი არვის ძალუც, არვის უნდა ანახლობა.

220 კელთა ქონდა საგდებელი მისსა მტერთა ამბატისა,
მოდგა მინდორს საომარად, მტერი მისცეს უნდა ჭირსა,
ფალანგ დეუმან არჯანს უთხრა: მოუდექი პირისპირსა!
და გამოგზანა, შეეზიო, მას ლომსა და ვითა გმირსა.

აქა პირველი ომი გვაჯასპის, არჯანგ მოკლა პირველად

221 დეუსა რქა ესხა შუბლზედა, დიდი, ქანდართა ოდენა,
იმით იბრძოდენ წყეული, როდისცა შეიბმოდენა;
იგ დაექანა საომრად, ყოელთა დაიწყეს მოდენა,
და რქას კელი სტაცა გვაჯასპირ, ქებასა მოიტყოდენა.

222 მერმე თავსა აიცილა, მოიქნია, მიწას დასცა,
სულისაგან დაიკალა, ფალავანი იქიგ დგასცა;
ყოელიფერი დაელეწა, ქელი, ფეხი, ესხა რაცა,
და მერე დადგა საომარად, მას პასუხი ვერვინ ვასცა.

აქა ხარიფ უთრუთის მკულელისა და გვაჯასპის ომი

223 რა ფალანგ დეუმან შეიგნა სიკუდილი არჯანგ ზევისა,
გაჯავრდა, ხარიფს უბრძანა: ღონე ნუ გინდა ზევისა,
წადი, შე[ე]ბი მას ლომსა, სიკუდილი უთხარ თავისა.
და წავიდა ფიცხლა საომრად, მაზედ მოქმედი ავიდა.

224 მძიმე გურზი კელთ აიღო, საომარად წამოვიდა,
გვაჯასპირ თქუა: მამა ჩემი ამან მოკლა, აქ მოვიდა;
ღმერთითა ადრე შევეანანო! — კბილ-დახრქენით ჩამოვიდა;
და დეუმან ლახტი შეიმადლა, ვით ღრუბელი ამოვიდა.

225 თავსა დაჰკრა ფალავანსა, მაგრამ ავნო დიდი ვერა,
ლომმან ღლიას შემოიგდო, შორს ისმოდა მათი ძვერა;
ლახტი კელთა დაუჭირა, დეუი მისგან მოიბტვერა,
და თავსა დაჰკრა იგ დაჯანა, აღარ უნდა მზისა მზერა.

226 სრულად დალეწა ხარიფი ერთისა მანაქნევეითა,
უთხრა, თუ: კვლავცა მომიკალ მამა, იგ საროს ქე ვითა,

იქივე დადგა საომრად, ვერვისგან შენარხვევითა.
და მუქარას ითხოვს ამაყი, იგი ბელენივიდა მზე ვითა.

227 ფალ[ა]ნგ თქუა: ხარით მოგვიკლა, მისებრი მეომარია,
წავალ და აწ მე შეუებში, თუ როგორ მკლავმავარია.
ფოლად უთხრა და ქაჭვაჯან: რა თქუენი საუბარია,
და თქუენ კელმწიფე ქარ, ნუ გაგრჯით, ჩვენა ვართ საომარია.

228 ფალაგ თქუა: ნაომარი ქართ და გატეხილი ზარისა,
მე მმართებს მისი გამოცდა ,ჩემგან საქნელი არისა!
არ დაიშალა, წავიდა, გავლო სიმრავლე ჭარისა,
და გვაქასპი ნახა, ილოცა, თქუა: შემწე ღმერთი კმარისა.

აქა ფალაგი დეუისა და გვაჯასპის ომი

229 გვაჯასპირ მიწას ემთხვია, აღიდა შემოქმედია,
დეუი მოუხდა, სფაადმა ამოსეა კისრის ქედია;
აგინა დეუმან გვაჯასპი, თქუა: უკულმა გაქუს ბედია,
და გაგიწყუედია მებრძოლი, აღრე ვისისხლო მე ღია.

230 ას ოთხმოცი წყრთა სიმაღლე დეუსა ქონდა განაზარდი,
თავი უგავს დიდსა მთასა, სალი კლდეა ანაზარდი;
ხიმშიმითა მიწა უდრკის, გულს არ ქონდა არა ზადი,
და ცეცხლსა ჰყრიდა პირიდალმა, დეე-გრძნეულა დანაბადო.

231 დეუმან ლახტი მოუქნია, ლომი მიხლტა, დაიკდინა,
მერმე კელად შეიჭედენ, დაუდგების იპათ ვინა?
ფალანგ დიდი დაიყვირა, ფრჩხილთა სისხლი წაიღინა,
და იომოდენ ღამემდისი, დაილაუნეს ორნიც წინა.

232 დასაცემლად აიზიდა, დეუს გვაჯასპი აემართა,
დეუი ზურგსა მოიკიდა, კელმწიფესკე გაემართა,
გრძნება ქნა და მით მოეხსნა, შორს დაუდგა, წაემართა;
და მოჩრა ამა ილათითა, პირი ამად ეწაღმართა.

233 გაიყარნეს, ამ წესითა ფალანგ სული შეირჩინა;
ფოლადს დეუი ვერ ედრების, მასთან თავი გაიმიჩინა,
დაილაუნეს, აღარ ერჩდეს მას ღამესა აღარეინა;
და მოისვენეს ნაომართა, მათ-მათს სადგომს, თავის წინა.

234 ეს ამბვად იყო ნათქვამი, რაც ლექსად დამიწერია,
რა იქნა აწ თ[ა]იმურაზ, ტახტისა შესაფერია?
მოკულდა, თუ დარჩა? რა უყო, ვის ამბვად დაუწერია,
და ამისთვის დიად მიგმია, მართლად შევიქენ მტერია.

235 ჭიმშედ თქუა, მაგრამ რა უყო, იგ თაიმურაზ მჯღომელი,
ვინც ნახავს კაცი, რას იტყვის, ნეტარ, შემედარა რომელი?
მე უბრალო ვარ, იყუენით ამბვის მწერლისა მგმობელი,
და რაც ამბვად იყო, გავლექსე, მიფიცავს ყოვლის მყრობელი.

- 236 დედამ ეს შიობრა, რაცა ვთქვი, ზემოდაც დამიწერია,
წაუდევ მათსა შარასა, ტყუილი ვით გამერია?!
ჩიმშედ ემზადვის საომრად, მისნი თავადნი ბევრია;
და გათენდა, ნალარასა ჰკრეს, მოეცა კმელთა ფერია.
- 237 დაპირისპირდენ, ისმოდა ხრიალი საზარონია,
შეიქნა ომი ფიცხელი, კბილთა ხრჭენისა დრონია;
კუპრად გარდიქვა საწუთრო, იყო მრავალი კრონია,
და მკვლარი ერთმანეთს შესტყორცონ, კაცთაგან საკადრონია.
- 238 ადგა ქაჯვაჯან, ფალანგს წინ ახსენა მისი ბედია,
დასტური სთხოვა: შეუებში, გვაჯასპი მოველა მე ღია.
დალოცა ფალაგ გრძნეულმა და ფოლად ზედა-ზედია:
და წადი, შე[ე]ბი ლომგულო, ამოსვი კისრის ქედია.
- 239 ფიცხლა წავიდა ქაჯვაჯან, თავი ღრუბელთა სცედებოდა,
პირით ცეცხლსა ჰყრის საზარო, წინეთ რქა მოუძღვებოდა,
კბილები გარეთ გა[ე]შვა, მნახავნი სულ შესტდებოდა;
და მქარს ლახტი ედგა, სიმძიმით მიწანი ჩაუდრეკებოდა.
- 240 დაიძახა: ვინ ჩამოეა კაცი ჩემი გამოძღველი,
მე ვასწავლო მეომრობა, დაეიბანო სისხლით ქელი!
რა გოჯასპი გვიგონა, სიტყუა ესე მისგან ძნელი,
და სთხოეს ფარვანსა ქელმწიფესა, მან აღიდა ღმერთი მხსნელა.
- 241 ჩიმშედ ქუდი მოიხადა, დალოცა და უქნა ზენი:
მშვიდობითამც გაგიმარჩეებს სახიერი მხსნელი ჩვენი,
ვინცა შექმნა მზე და მთვარე, ეარსკვლეოცა რაცა ზენი,
და ისიმც არის წინამძღვარი და მეშველი, შემწე უენი.
- 242 მბრუნავმან ეტლმა დაგბადა მტერთა სისხლისა სადენლად,
პილოტანო და ლომგულო, მ[ო]კაზმული ხარ სარკენლად;
შენით იხარებს ეს ტახტი, მტერს აუჩნდები რა დენად,
და წადი, მშვიდობით მენახო, საგდებელი გაქუს ბადენად.
- 243 წავიდა, მხარსა შეიღვა მძიმე, იგ რკინა-კეტია,
ქაჯვაჯან ნახა, გაჰკვირდა, თქუა: მამისაგან მეტია!
ეწუინა, ომსა შელონდა, გახდა, მართ ვითა რეტია,
და თქუა: რის ღონითა მოვრჩეო, იგონებს მისი მკვრეტია.

აქა გვაჯასპისა და ქაჯვაჯანის ომი და გვაჯასპისაგან
ქაჯვაჯანის მოკულა

- 244 შეუტოვეს ერთმანერთსა გულმესისხლედ, არ დარიდეს,
დეუმა დაჰკრა მძიმე ლახტი, ფალავანსა არას ჰკვირდეს;
შეუძახა ფალავანმა, გავს ღრუბელი მესხა წვიმდეს:
და მე გასწავლო მეომრობა, სამარესა შენთვის სთხარიდეს!

- 245 მამათა ჩემთა სარკენლად გამზარდეს, ჩეენი წესია,
მიწა შეეღებო აპასა, შენის სისხლითა ღლესია,
ჩემსა მებრძოლსა ყუელასა ლახვარი გულსა სთესია,
და ვატროო შენი მშობელი, იგ იყოს ანაკუნესია.
- 246 შეიჭიდნეს გულმესისხლედ, ფალავან[ნი] ლომთა ლომი,
ქაჯანს ბელი გარდუბრუნდა, აღარ უნდა მისი ომი,
ერთი კელი ჩქასა სტაცა და მეორე, — სად საჭდომი,
და აიყუნა, დიდი დასცა, გავს დაიქცა ცისა ზომი.
- 247 აღმასისფერი კანჯარი მო[ი]ძრო, სისხლთა მღვრელია,
თავი მოპკუეთა ქაჯავაჯანს, მისთვის დღე გახდა ბნელია;
რა მოინახეს დეუებმა, კრმლებსა მიაპყრეს კელია,
და მძიმე გურზები აიღეს, იღვა გვაჯასპი ქუელია.
- 248 წამოიღეს დოლაბები, ყურით არა გაისმოდა,
ვითა ცეცხლი მოენთიან, გავს საწუთრო დაიესოდა;
მოვლენ, მოიგინებოდენ, პირი დორბლით აიესოდა,
და მტვერი ასტყდა საყუირველი, მზესა ფერი დაიესოდა.
- 249 მზეს აღარ ქონდა სინათლე, გახდა, მართ ვითა ზანგია,
ქარი და ნისლი მოვიდა, ზედ წვიმა, ვითა მანგია,
მუნ დაეჩარენ ერთმანერთს, ჰყროა, მართ ვითამც ბანგია;
და გავს, თუ ცა დასცეს კმელზედა, დღე იყო არა კარგია.
- 250 ცა და ქუეყანა იძროდა, ზრთალთ გული გაუსკდებოდა,
პაართ ფრინველი ცვიოდა, მკედართ ვინდა გაუხდებოდა;
სითცა პირი ქნის გვაჯასპი, წინ ვერვინ დაუდგებოდა,
და ჭიმშედ ქულ-მოხდით ილოცავს, ცრემლთა ტბა აუდგებოდა.
- 251 ქულ-გვირგვინი მოიხადა, პირი მიწად განაერთი,
შე[ე]ვედრა მოწყალესა და აღიდა დია ღმერთი:
შენ დაიცევე ეს ლაშკარი, აღამისა შენაერთი,
და დეუთა მიეც შენი რისხვა, არ არიან თქუენი ერთი!
- 252 ნალარას ჰკრეს და ნაფერთა, ზროხის კულთ ისმის ზმანია,
სპილენძ-ქურთა და დუმბულთა კმანი საომრად მზანია;
ჭიმშედის ტახტი მოგლიჯეს, შეუხსდეს ქუეშე ყმანია,
და ორმოცმან კაცმან მოიღანს მოილო, იყო კმანია.
- 253 შუას მოიღანს მოიღეს და აგრე დადგეს ნებასა,
გვაჯასპი გაფიცებული არა იქს დეუთა თნებასა;
მისი დაგანა მკარსა უც, დეუნი მიეცა ვნებასა,
და არ მოახმარდა არც ერთსა ზიფევლსა, არცა გრძნებასა.
- 254 იგ გაფიცხლდა, ვითა ლომი, გავს მთა იყო, ანუ გორი,
გმირმა ჭანგი გაიმახვა, რიყე ვითა ყრია მძორი,
იქით-აქით იარებნის, ცისა ზომთა შესასწორი,
და შიშით დასკდა მისი მუკრეტი, ახლოს იყო, თუნდა შორი.

- 255 ბრდღენვიდა, პირით პერსა ჰყრის, ვითა შმაგი და კელია;
კისრისა ქელი ამოსვა, მაიდანს პირად მვლელია,
თვალუბი წამოსხდომოდა, დეუთა სისხლისა მღვრელია,
და გავს ათასს დეუსა ჩანთქამსო, ვერ გამოუჩნდა მკულელია..
- 256 დარჩელნი ჯირასელნი დეუნი ომად გამოვიდეს,
შეუძახა ფალაენმა, ველნი წითლად მოვლებნეს;
მოიქნია იგ დაგანა, ორმოცთ ტვინი მოეტკეპნეს,
და ერთით მოკლა ორმოცნივე, სისხლი მიწას მოეთქეფნეს¹.
- 257 დაერივნეს ერთმანერთსა, არის ლახტის ჰახა-ჰუხი,
გურზითა და კრმლითა სცემენ, ღრ[უ]ბელია დანაქუხი;
მეხი ცვივის ზეციდაღმა, გვანდა იყუენ განახუხი,
და მუნ გვაქასპი შუა კლეჩდის, სხვამ ვინა ქნა ეს პასუხი.
- 258 ნამუსრს ადენდის, მოჰგლიჯის ზოგს ბარკალი და მქარია.
იმიით იცემებოდა, მიწა იძროდა მყარია.
ადგილი მძორით ა[ი]ვსო, ისმის ძგური და ძგარია,
და სამსა დღესა და ღამესა არ გასწყდა ზათქი, ზარია.
- 259 მკულრისაგან გზანი შეიკრნეს, სისხლმან დაიწყო დივილი,
კაცის თაე-ფეხი მოქონდა ისმის ზახილი, კივილი;
ათი ათასი დეუები მოკლეს, დაიწყო ცვივილი,
და ასწყდა თავადნი მრავალი, ყოველთა ქონდა ჩივილი.
- აქა გვაჯასპისა და ფოლადის ომი და გვაჯასპისაგან
ფოლადის შეპყრობა
- 260 მესამეს შუალამესა ფოლადან ნახა მვლელია.
შეიჭიდნეს და შეიბნეს, ორნ[ი]ვე სისხლთა მღვრელია;
დიდს ხანად ირკინებოდეს, იგ ერთმანერთის მკულელია,
და ყელს რგოლი ეცვა ოქროსა, გვაქასპ ჩაპკიდა კელია.
- 261 რგოლსა დიდი გამოსწია, გმირმა დეუი იძაბუნა,
დიდი დასცა, ძგარი ვახდა, დაუძახა: ასრე უნა!²
ქაძარ-სინჯი გარდა[ა]ცვა, თრევით მოაქუს დეუი მუნა,
და მიუთრია კელმწიფესა, დაუმადლა მეტად თუნა.
- 262 დეუთ ასი პილო შეჰკვეთეს, ოქროთა კიდებულთა,
წელიწადში და ხარაქა, ეს მოგვეცენ დადებულთა:
თუ ამას გვიზამთ, ჩვენცა ვქნათ, რაც თქუენგან ვაგებულთა.
და თვარამ ყაფის მთას წაგართვამ, გექნების წაღებულთა.
- 263 არა იქთ, სრულად ამოგწყუედ, თქუენზედ ვათავებ ქადილსა,
რაცა ვაქუს, ყულელას წაგართვამ, ღმრთისაგან დანაბადილსა,
დათვთა და მგელთა, ლომ-ვეფხთა თქუენზედა ვაქმო ხადილსა.
და ჭუნდი-შას ელჩი [ა]ახლეს, მიესწართოთ სადილსა.

¹ მიწა მოთქეფნეს. ² უნდა.

- 264 მივიდენ ყაფის მთაშიდა. სადა ფალავი ქუელია,
ფალავს, ჭინბიჯანს უამბო, იქიდგან რაცა მთქმელია:
დამორჩილდენ და ასრე თქუეს: არა ვქნათ. ჩვენთვის ძნელია.
და და[ა]სკუნეს საქმე შესაწყუო, მათი დაიდვეს კელია.
- 265 ჭინბიჯან უთხრა ფალანგის სიტყუანი ტკბილად ენითა:
ჩუენ ერთმანერთი ვაწვიოთ, რადგან კი შეუიწყუენითა:
ელჩი შემოსეს, ესე თქუეს: საწვე[ვ]რად ემზადენითა!
და ჭიმშედს ა[ა]ხლეს მწვევარი, არ დია იყუნენ წყენითა.
- 268 რა მოვიდა მაწ[ვე]ვარი. მათ სალამი მეფემ მოსცა,
ესალამნეს თავადები, მართებლიან ვისი ვისცა:
ბრძანა მეფემ შერიგება, გვირგვინითა ტახტსა ზისცა;
და ეიახლებით, ვეწვევითო, მათი სიტყუა და[ა]მტკიცა.
- 267 წამოვიდა მაწვევარი ჭინბიჯანს და ფალანგს წინა,
ჰკადრა: მეფე გეწვევისო, თავადები ვინცა ვინა.
მერვე იხმეს ყაფის მთაში საჭურჭლე და რაც რამ მინა.
და პილოებით მოილიან იარაღი, რაცა გინა.
- 268 კარვები, ნოხი, ნატები, მძიმე ჰტავრისა სევანი,
ნახლისა მძიმე, ძვირფასი, აღარსად იყო ტევანი,
ატლასის, ანუ ქამხისა მოილეს. ქონდათ ძლევეანი,
და იმათ ოთაღნი მოადგეს, იაგუნდ-ლალით ფრქვევეანი.
- 269 მათ გარეშემო მოავლეს ფარდანი უცხო ფერი,
შუახედ ტახტი დაუდგეს, სინათლით ცთაა ერია,
თვალ-მარგალიტით შემკული, ვერა სჯობს მას ეთერი;
და მისთანა კაცსა ენახოს, არვისგან დასაჯერი.
- 270 მზე[ვ]ბრ ანათლობს აღმასი, იაგუნდი და დალალა,
მარგალიტმა და ზურმუხტმა ზაბარჯა სრულად დალალა;
ჰად არის დამფასებელი, ვით მიაყენონ დალალა,
და მმართვეს მაშიგან მსხდომელსა, ლხინი მორთონ და დალალა.
- 271 ანათლებს, ვითა ვარსკულავეი, ლაქვარდსა ცსა ირია,
მზესა წაულო შეენება, მოაკლო ფერი, ერია.
ხშირად სხდის უცხო თვალეები. ვითა სეტყუა და ერია,
და არ მოსრულ[ი]ყო კელმწიფე ჯერ, არცა მისი ერია.
- 272 ოთხასის კაცის სასხდომი რეჟის ტახტისა განია,
ოცი ნაბიჯი ჰიმაღლე, იმისი კიბე მზანია;
დაფინეს ქუეშე საფენი, ზალსა ზაკერი კმანია,
და მარგალიტითა ფრქვეული ტყუბ-ტყუბი, ვითა კმანია.
- 273 ცხრა ათასი ოქროს კოკა სამასპინძლო მოსატანად,
ცხრა ათასი ვერცხლის კოკა ჩასანთქმელად, მოსატანად;
ცხრა ათასი ბროლის ჳიჭა ეშმაკთ მოაქუთ მო სატანად,
და ცხრა ათასი ჩინურები, მომღებელი მოსა ტანად.

- 274 ცხრა ათასი ოქროს ჯამი დიდროვანი მოიღესა,
 ცხრა ათასი კიდეც ოქროს ბალქაშები წამოდგესა,
 ცხრა ათასი ოქროს ჩარა, მათ[ი] სასმო იმავე დღესა,
 და ცხრა ათასი ქაშანური, რას ნახვიდი უამესსა.
- 275 ვერცხლის ჯამთა და ბალქაშთა, სად არის ანგარიშია,
 ბროლის ჭიქა და მინანი, სიმრავლით ზღვისა ქვიშია;
 გორად და გორად შეიქნა, ყოველთა თქუეს ვიში-ვიშია,
 და ვინც ნახა, დიდი ქება თქუა, ვერვიენ მოუგო იშია.
- 276 რიყევით ეწყო მრავალი, რაც გინდა, ყველისფერია,
 ოქროს ჭურჭელსა ყუელასა თვალ-მარგალიტი ვრია;
 დაუხვდეს დამზადებული ტურფა და შევნიერია,
 და მობრძანდა ჯიმშედ კელმწიფე, ტახტისა შესაფერია.
- 277 სალხინო ქოსთა დაუკრეს, დავლი სცემს მისი მქმობარი,
 მას სპილენძ-ჭურბ ამოწმეს, ვინ იყო მათი მგმობარი!
 რაზმად და რაზმად წამოდგეს კელმწიფის გვერდით მდგომარი,
 და მი[ე]გებოდენ დეუები, არავინ დახვდა მჯდომარი.

აქა ჯიმშედ კელმწიფე დეუთა ეწვია და
 შეიყარნეს საყუარლად

- 278 ჭინბინჯან დეუი, ფალანგი, ჯუნდა-შა მოეგებიან,
 მათ ტახტი ედგათ პილოზედ, თვითო თვითოზედ სხდებიან;
 კელმწიფე მოჰყავთ ტახტითა, თავადნი თან მოყვებიან,
 და ფალანთ თაგი გვაქასაბი, აშაქ წინ მოუძღვებიან.
- 279 წინ მოუძღვიან ესები, კელმწიფე ტახტსა მართია,
 რა მიეწურნეს, ჩამოხდენ ტახტიტურთ, ასრე მართია,
 სალამი მისც[ე]ს, ყვაოდენ, ვითა ვარდი და მართ ია,
 და ყოველნი[ი] უთაყუანიან, მრუდი და ანუ მართია.
- 280 ტახტსა აუძღვენ მეფესა, იმა შალალსა ზეთასა,
 შაზედა დასვეს, ბრწყინვიდა, იგ უნათლესი მზეთასა.
 ფალანგი დეუი, ჭინბიჯან, ჯუნდი-შა ახლდენ დღეთასა,
 და გვაქასაბი დასვეს და აშაქ, მათ-მათსა სიახლეთასა.
- 281 ოთხასი დასხეს თავადნი, მალ[ალ]სა ტახტსა ეტია,
 ოქროსა სუფრა მოიღეს, რა ვითბრა ამის მეტია;
 გახშირდა სმა და ნადიში, ღვინისგან დახდენ რეტია,
 და სამსა დღესა და ღამესა გარმოსდგომოდათ მჭკრეტია.

აქა უანგარიშო არუქეს დეუთა ჯიმშედს და
 მისთა თავადთა

- 282 სუფრა აიღეს, მისჭირდათ მეტრე ღვინისა სმანია,
 დილა გათენდა, ემზადის პატრონი ანუ ყმანია.

იგ შეიყარენ საყუარლად, ვითამცა ღვიძლის ძმანია,
და ორმოცდაათი ათასი პილო კიდებით მზანია.

- 283 ჯინბიჯან მეფეს მთართვა ოქროთა კიდებულთა,
ყველას აჩუქა, რაც იყო მცირე და დიდებულთა.
ორმოცდაათი ათასი სხვა პილო ზიდებულთა,
და ოქრო აპკიდა ფალანგი, ყუელასა ღირებულთა.
- 284 მეფეს მთართვა ყუელთა, წინ დეუნი მიუძღოდენა,
რაც იღვის იქი კარვები, საჭურჭლე ზღვათა ოდენა,
იქი რაც იყო, ყუელასა საჩუქრად მოიტყოდენა,
და დეუთა არც ერთი¹ წაიღეს, მის მეტსა რას იქმოდენა?
- 285 სრა-ფარდა, ანუ ოთაღნი, ტახტი და ყოვლისფერია:
რაც იყო, მეფეს მთართვა სხვა საქონელი ბეურია,
ყოვლნი [ა]აქსეს ვინც იყო, მოყმე და ანუ ბურია,
და წაიღდა ჯიმშედ მორქმული, ყოველი მისი ერია.
- 286 საჩაე ქალაქსა მოვიდა კელმწიფე დავლ[ა]თიანი,
დავარდა მოხვლა მეფისა, შეიქნა მრავალ ყმიანი.
გამარჯვება სცნეს ყოველთა, არ მიიჩნივეს ზიანი,
და მიულოცვიდეს ყოველი, აღიდეს პირად მზიანი.
- 287 მას უკან გლოვა დაიდვა კელმწიფემ მისის მამისა,
ფათრათ იგლოვა კიდევე, საგლოვი მრავალ ეამისა:
ცხვარი და ხარი მრავალი დახოცეს, მათთვის ლამისა,
და ორმოც დღეს უყუეს უწყუედლად, იყუენ მოქმედი ამისა.
- 288 გლოვა გაიხსნა, მეფემა იხმნა თავადნი ყოველი,
ყოვლთა უბოძა მრავალი, ჰგავს თუ ცა იყო მთოველი,
თვალ-მარგალიტი და ოქრო ვერცხლიცა დია მოველი,
და სტავრის, ნახლის და ქამხისა არის ჯარზედა მკულეველი.
- 289 რაცა მისცა სრულად ჯართა, იმღონერთი გვაჯაას მისცა,
ცოტად უმცრო აშაქს მისცა, კელმწიფესა თაყვანი-სცა,
ვინ იქმოდა ანგარიშსა, მან უბოძა, რაცა ვისცა,
და ლარსა ხვეტდენ ყოველნივე, ფალავანი იქიე ღვისცა.
- 290 გვაჯასპის მისცა ყოველი იმისი შესაფერია,
ქვაბულისტანი, ქიშმირი და ყანდაარი ეროა,
ინდოს კარამდის უბოძა იმთი ყოვლისფერია,
და იგ გმირსა მისცა ყოველი, ტურფა და შეენიერია.
- 291 ხვარასანი აშაქს მისცა და იმისი მოსახმარია.
მურდავს მისცა ფალავანსა ალაბი და მისი მზღვარი,
სულად შამის ქუეყანანი, რაცა იყო მთა და ბარი,
და ყუელა ასრე გა[ა]ჩინა, მადლს იხდიდა. სრულად ჯარი..

¹ აღკერთა.

292 მას უკან შინ დაეთხოვენ ყოველნი სპანი მათია.
თავ-თავის ალაგს წავიდენ ლხინისა მოკამათია;
ქელმწიფე სუფეს, იხარებს, ბროლ-ლალი, მინა, სათიჯ,
და ამ წესით იყუს, იშვებდის, გარდახდა ღღენი ათია.

აქა პირველი დასაწყისი. ნოეს შვილი ქოიამარ იყო და
სემც ნოეს შვილი იყო, და სემისა ნათესაენი ესნი არიან,
სხვის თემისანი სადი მგლისთავი, ამან მგლისთავი, მესამე,
შილად მგლისთავი სხვა თემს დაიზარდნეს, სემისა
ნათესაენი ესენი იყუნეს

293 თვით ქოიამარ ნოეს ძე გიამბე ამას წინარე,
კიდელუ სხვა შვილი ნოესი¹ სემ იყო მოუწყინარე;
ახლად აწ ამას გიამბობ, მას სჯობდა ვერვინ ვინ არე,
და იმისი ნათესაეები მგლისთავნი, სისხლთა მდინარე.

294 სხვას თემს იყუნეს ნათესაენი მისი ესე ჩამოდიან,
სადი ერქო მგლისა თავსა, ზოგთა მისგან სისხლი სდიან;
იგ მეორე მგლისა თავსა, მას სახელად ამან ქუიან,
და მესამესა შილად ქუიან, სამესისხლოდ ჩამოდიან.

295 სემისა ნათესაეები, ესენი გამოჩენილა,
მათ ესმა ღეუთა აწყუედა: იმათი სისხლი ღენილა,
ჯიმშედისაგან მრავალი მომკუდარა, არ მორჩენილა;
და ღიად ეწყინათ, დაჯავრდენ, არ გულსა ვარდი ფენილა.

296 ესმათ, თუ: ღეუნი გასწყუიდა, ქუეყანა დაუქერია,
სრულ ქუეყანაში წაუხმან, რაც არის ყოვლისფერია.
კმელს იპირავსო ჯიმშედი, იცი, ეს დაიჭერია!
და მათ შეუთვალეს ამბავი, პასუხნი მეტად ბევრია.

297 შესთვალეს: ღეუნი დახოცე, გინდა დაქერ[ა] კმელისა,
ჩვენცა ნოვესა შვილი ვართ, წახდენას ნურკინ ელისა;
ვითა² შენ გინდა ქუეყანა, ჩვენგანც სადები კელისა,
და რადგან უჩვენოთ შე[ე]ბით, ორთავე ომი გველისა.

298 რად ინდომე სრულ ქუეყანა, შენ უჩვენოდ რასთვის ქენო,
მესისხლობის კრმალი გინდა, ჩვენთვის შენ და თქვენთვის ჩვენო,
ორთავ ომით გარდაეწყვიტოთ, ანუ ჩვენ და ანუ თქვენო!
და მოციქული გა[ა]ფრინეს, თქუეს, თუ: მიდი წამსა შენო!

299 რკმლით გარდავსწყვიდოთ, ესე სჯობს, არ ვარგა ცუდი ხლათია!
სარავ ქალაქსა მივიდა იგ მოციქული მათია;
ჯიმშედს უამბეს, მოკაზმა დარბაზი საკამათია,
და ტახტი დაუღვეს მურასა, მოაღლეს ფარდა, სათია.

¹ ნოეოვისი. ² რეითა.

- 300 ხშირად ისხდა მარგალიტი და აღმასი მისსა ტახტსა,
სახელმწიფო სამოსელი მეფისა გავს დანახატსა;
ტანს ჩაიცვა, მაზედ დაჭდა, თვალ-მარგალიტს დანამატსა,
და თავსა ქული დაიხურა და გვირგვინი ზედან მატსა.
- 301 თავადნი გარე მოისხნა, რომელიც უკეთესია,
სადი მგლმს თავის ელჩები შე[ა]სხეს იმავ დღესია;
მეფის წინ მიწას ემთხვია, ვითარცა იყო წესია,
და სალაში მისცა მეფემან, ვით იყო ყოვლთა ზესია.
- 302 უამბეს, რაცა ესმინა, იმათგან დავედრებული:
სადი გურგ მეფემ გკადრაო, ვითა ხარ სახელდებული,
ჩვენცა ნოესა შეილი ვართ, იმისგან გარიგებული.
და თქუენცა აგრევე მისი ხართ, მის მიერ გადიდებული!
- 303 თემსა, ქუეყანას იქ[ი]რავ, რა მართო თქუენი წესია,
რასთვის ჩვენ არა გვახსენეთ, ვისნი ხართ უკეთესია.
ან თქუენ არ იყოთ, ანუ ჩვენ, არ იქნა, ვიცო, ესია,
და შემოგირტყამს-ყე თქუენ კრმალი მესისხლობ[ი]სა დღესია!
- 304 ჩვენც შემოვირტყამთ, იცოდი, არ გვინდა თქუენი რიგება,
რკმლით გარდავსწყუილოთ ესე სჯობს, ვიცით პასუხის მიგება,
ალარ იქნების, იცოდი, ჩვენი ზავი და მშვიდობა,
და თქუენცა გასინჯეთ, თუ გიჯობს, ასეთი გარდაცილება.
- 305 ჯიმშედ ისმინა, გაჭავრდა, თუ იტყუი, ცეცხლი სდიანო,
ქული მიწასა და[ა]რტყა, არა თუ იქივ გდიანო;
წიგნი შუაზედ გახია, თქუა: ნეტარ, ვისა ქუიანო,
და მოციქულებსა ითხოვდა, ისინი ცრემლსა ღვრიანო.
- 306 შესთვალა, თუ: მაჰან ჩემმა მოგცა მგლისთავთა ქუეყანა,
მან დავასახლა, გიბოძა, თვარა ვინ არის თქუენთანა;
შენ ვინ გაღირსა მამული, ანუ რა გინდა ჩვენთანა,
და ბუქარასა მთხოვ რაითი,—ბევრი კაცი მყავს შეხთანა!
- 307 სადაცა გინდა მოგართვა, მე ჩემი თავი იმადო,
ან ჩემი თავი დავაგდო, ან თქუენი აქა გდომადო.
ივ მოციქულნი წაეიღენ, აღარა ზცაღდათ ჯდომადო,
და სადი მგლის-თავსა იახლეს, უამბეს უსახომადო.
- 308 უამბეს სადი კელმწიფეს ამბავი დავედრებული;
მერმელა იხმო ლაშკარი, უბნობდა შეჭირვებული,
ორასი ათასი კაცი შეჰყარა სახელდებული,
და მუნ ჯამართა ჯიმშედზედ, ვით ლომი გაჭავრებული.
- 309 აგრევე ჯიმშედ მოიხმო ყოველი სპათა ქარია,
გვაქასპის წიგნი მოსწერა მოიხმო მკლავმაგარია,
აშაქცა იხმო, სტადი, მებრძოლი მეომარია,
და მურდაესაც წიგნი მოსწერა, თვით იყო უზამბარია.

- 310 გვაქასპის წიგნი მიართვეს, პასუხი ჰკადრეს ენითა,
წაიკითხა და ემთხვია, იგ იყო არ მოწყენითა;
კაცი გავზავნა, ლაშქარი მოიხმო ყოვლად ენითა,
და ორმოცი ათასი კაცი, წამს შეიყარა ცხენითა!
- 311 ზაულელნი, ქუაბულელნი, ინდოს კარნი მოვიდნა,
აგრე ამაჲ წამოვიდა, ხვარასანით წამოდგენა;
მძიმის ლა[შ]ქრით იქით მურდავ, კელეერთად გამოდგენა,
და წამოვიდენ, ყუელგან სარი ქალაქს შექენს დიდი დენ..
- 312 ქალაქსა გარე დაიცეს კარავი ფერად იანი,
კელმწიფემ იხმო გვაქასპი, თავადნი შრავალ ყმიანი;
შევიდეს, სალამი მისცეს, ზის მეფე დავლათიანი.
და ადგა კელმწიფე, მადლს იხდის, ტანსარო, პირად მზიანი.
- 313 ოქროსა ზელი დაუდგეს, გვაქასპ მახედა მქდომია,
სხვა ფალავანი წეს-წესად აწვიეს, იქი მდგომია,
მის რიგათ დასვეს ყუელაი, სიკეთე მიუტომია,
და ხილი მოიღეს, შარბათი, იამეს, ვინცა მდომია.
- 314 მერმე შექენს ვეზირობა, იგი ახლდა ვინცა ვინა,
მეფე ბრძანებს: სადი მგლის-თავს სულდგმულობა მოეწყინა;
ქმალი მოაქუს სამეისისლო, წამოსულა ჩვენსა წინა,
და ქუეყანასა გვეცილების, ჩამოდგომას ლამის წინა.
- 315 აწ რასა ბრძანებთ, აქა ხართ, ერთპირად შეიყარენით.
ერთობილთ პირი მიწად ქნეს, კელმწიფე იყო წყნარენით;
გვაქასპი ადგა და ჰკადრა თვითონ პასუხი თქმად ენით:
და ვითა ცისა და მიწისა, მზისა, მთეარისა მზადენით.
- 316 ესეგი ვინ ქმნა, ვარსკვლავი, საწუთროს დამბადებელმან,
გიბოდოს მისი შეწვენა, მოსავთა მამტ[ა]ცებელმან,
მე თქუენმა ბედმა შემწიოს, მაჭობოს ვერა რომელმან,
და მიბოდოს მტერთა მოარეუნა, აჰისა ზედა მფლობელმან.
- 317 მტერი თქუენი ფებთა ქუეშე, ღმრთითა ადრე დაგამონო,
მათი ეტლი ავატირო, ჩემი თავი მოვაწონო;
სანამდისაც ცოცხალ ვიყო, არასფერით შეგალონო,
და თქუენ არ გაგრჯით იმათ ზედა, მათი საქმე გაგ[ა]გონო!
- 318 არა მართებს კელმწიფესა ტახტ-გვირგვინის მოშორება,
ჩვენ გაკვიშვით იმათ ზედა, ვინცა ვიყოთ თქუენი კრება!
კელმწიფემა მოისმინა გვაქასპისგან ესე მცენება,
და მან დალოცა თავადები, დაიჭერა მისი მცენება:
- 319 მბრუნავმან ეტლმან და ბედმან დამბაღა მათდა ქირადო!
გამოემართენ საომრად, ყოშუმ-ყოშუმად, ხშირადო,
სახელსა ზედა ღმრთისასა, არეინ მიაჩნდა ჩირადო,
და უთრუთის შეილი გვაქასპი იმათ მოუძღვის წინადო.

- 320 აშაქ თუო და მურდავი — მებრძოლი მკლავმაგარია.
 ორმოცდაათი ათასი თან ახლავს სპათა ჯარია,
 იქით მილად და ამანი, მგლისთავნი მეომარია,
 და მოვდნიან იგ ფალავანნი, ისმის ზათქი და ზარია.
- 321 ორასი ათასი კაცი მოვლიან, მოაქუთ ზრიალი,
 ცოტაი წავლეს, გამოჩნდა დიდი მინდორი ტრიალი;
 მათ ერთმანერთი აუჩნდა, ოდენ აქუს მზესა ჭრტიალი,
 და იქით ის დადგენ, აქით ეს, ისმისო დიდი კრიალი.

აქა პირველი ომი სადი მგლისთავისა და ჯიმშედ
 ქელმწიფისა

- 322 დადგეს კარავი, ოთაღნი, მინდორთა შუაგულოსა,
 დაღამდა, ყოელი დაბარჯდენ, სადგომად მიეგულოსა;
 იგ საომარსა ლესდიან, ძნელსა არ სა[ა]ღვილოსა.
 და ცისკარმან თავი ამოყო, კმელსა ამჩვენსა, ლილოსა.
- 323 რა გათენდა, მზემ საწუთრო და[ა]შვენა, ყოელი არი,
 კირჩხიბისა ჭანგს დაუხსნა და დახია შავი შარი;
 ზედ ამაღლდა გუმბაღზედა, გა[ა]ნათლა ყოელი არი,
 და შავსა კუპრსა ყირმიზითა გარდა[ა]ცვა, დასცა დარი.
- 324 ჰკრეს ორთავ რაზმთა, გასწორდა ხმა საომარი სტვირისა,
 სარაზმოს კმასა სცემდიან, ცას ღმბიძის, ეტლი ტირისა;
 მათ გაჰოაბეს ნაფირსა შმივი მათისა პირისა,
 და ნალარსა და ზამბულურთ კმა ისმის გასაჭირისა.
- 325 შეუბერეს ზროზის კუღთა, კმა ისმოლა საზაროსა,
 მაიდანსა აშაქ მოდგა, არ უყურა მათსა ხროსა,
 ქეუქავე ქნა, შუბსა ივლებს, ექვს არ იგდებს სა[ა]ზროსა
 და მუქარასა ითხოვბთ: არვის მივსცემ ჩემზე ღროსა!
- 326 სადი მგლისთავმა მეფემა ნახა მუქარის მძახელი,
 გამოუძახა მებრძოლი, ახსენა ღმრთისა სახელი;
 ერთმანერთს უყუეს ნავარდი, იყუ[ი]ან მათი მნახველი,
 და აშაქ შუბი ჰკრა, მოცაქლა იგი თვალდაუფახველი.
- 327 მერმე სხვა გამო[ი]ძახა, მასცა წაუდგა წინარე,
 იგიცა მოკლა ამაყმა, სისხლით შეღება მუნ არე;
 მერმე გაჯავრდა¹ ქელმწიფე, იკითხა: ნეტარ ვინ არე?
 და თქუა, თუ: რა დგომის ჟამია, რად დაჩერდითო მძინარე!
- 328 თუ გასწყუიდა მეომარი, რად დაჩერდით დაფლად თქუენა?!
 ამან იყო მგლისთავის ძმა, მას ეტყობის დიდად წყენა,
 პირი დასდვა მიწაზედა და აღიდა მალდა ზეხა;
 და შეუძახეს ერთმანერთსა, მოინდომეს სისხლთა დენა.

¹ გამჯავრდა

აქა ამან მგლისთავისა და აშაქის ომი

- .329 ამან დაჰკრა მძიმე ლახტი, ფარი თავსა და[ა]ლეწა,
აშაქ თავი მოარიდა, არ ინება გარდახვეწა;
თავსა დასცა, ცხენი მოკლა, გავს წაიქც[ა] დიდი ზე წა,
და რა აშაქი ჩამოვარდ[ა], გვაჯასპ შექნა ღმრთისა ზეეწა.
- .330 ფალავანმა დაიძახა, სრულ შეიძრა არე-მარე:
მომიბრუნდი, თუ კაცი ხარ, შენ სიციოცხლე გქონდეს მწარე!
პილოსა მის ლომთა ლომი იყო მისი მოსახმარე,
და ამანს გზანი დაუჭირა, ტახტად მისცა, გლახ, სამარე.

აქა გვაჯასპისა და ამან მგლისთავის ომი

- .331 ამან ცხენი მოიბრუნა, აშაქ დასძვრა ვეშპის პირსა,
ლაშქარშიდა გამოიქცა, რა გ[ა]რდარჩა ძნელსა ჳირსა.
გვაჯასპ ამანს ზედ მიუხდა, ფალავანი, — ვითა ვირსა,
და უმალ ამან ლახტი დაჰკრა მას ლომსა და ამა გმირსა.
- .332 მერმე დაჰკრა ფალავანმა, მძიმეს ლახტსა მიყო ტორი,
ოც-ოცი ჰკრეს ერთმანერთსა, გავს, თუ იყუნ მართლად სწორი.
ამან დაჰკრა კბილ-მოხრქენით, ზედ მიადგა, ვითა გორი,
და ფარი თავსა და[ა]მსხვრია და დაფანტა შორი-შორი.
- .333 ფარს ქუეშ თავი მოარიდა ფალავანმა, თავსცა, გზასცა,
პილოს მოხვდა დანაცდენი, გა[ა]გორვა, იქივ დასცა;
პილო მოკლა, ჩამოაგდო, სხვა პასუხი არა გასცა,
და ვითა ვეფხი წამოიჭრა, აიშართა, იქივ დგასცა.
- .334 რა თავი ნახა გასული, გვაჯასპი მისგან ისე რა,
რკინა-კეტს ქელი მოივლო სრულ[ად] უმზერდა ისერა,
ამანს დაჰკრა და დალეწა, მისსა მებრძოლსა ისერა;
და სუადმა დაგანით დანაყა, არა თუ დანით ისერა.
- .335 ასრე დაიმსხვრა ცხენ-კაცი, არ ყოფილიყო ამანო,
ვით ერბო-კვერცხი გახადა, რკინა-კეტმა და ძალმანო,
სულ და[ა]შტერა ყოველი, შიშმან და მისმან ზარმანო,
და ამანს ვერ არგო სულისდგმა, ძმამან და ვერცა დამანო.
- .336 რა სადი ნახა სიკუდილი ამანი, ძმისა მისისა,
საყელო გარდაიხია, პირი შე[ე]ქნა მქისისა;
მას დაუბნელდა ჰაერი, სინათლე ამა ღღისისა,
და ყოვლთა საყელო დახიეს, მათ-მათი, არა სხვისისა.
- .337 დანადღვიანდა ყოველი, სადი და მისი ჯარია,
ბუკთა და სტვირთა დაუკრეს, ნაღარას მიაქუს დგარია;
ორასი ათასი კაცი წამოდგა მკლავმადგარია,
და მათ დაიწვეადეს ლახტები და კრმლები მოსახმარია.

- 338 აერივნეს ერთმანერთსა, აპირებენ არა ზავსა,
მუნ შეიქნა ზახილი და სისხლის ღვარი ზღვასა გავსა.
სადი უთხრა შეიდასს კაცსა: მიუხედით იმა ზეავსა.
და ეცადეთ,—რას: ეგებ ღმერთმა მე მომრიოს მისსა იავსა!
- 339 შეიდასი გამოუძახა მფრეწელი მეომარია;
შემოუძახეს, მოუხდენ, გვაჯასა[ი] ოქვე მდგარია,
შუაზედ შემოიწყდ[ი]ეს, ლომგული სფაადარია,
და მას დღესა მათი მეზრძოლი მისმანვე კრმალმან დარია.
- 340 შეიქნა ცხენთა ძვერება და კრხმლითა სისხლსა ღვრიდიან,
სცემდიან, ჩამოყრიდიან, ბერტყდიან, გარდაპყრიდიან;
სოფელსა გამოსალმის და ზოგთა თავსა სჭირიდიან,
და ჰება იყო და ჭუხილი, ჟეონად სისხლი მიდიან.
- 341 მოუხდა შეიდასი კაცი ლომსა, გვაჯასპირ მხნესაო,
ისრით და კრმლითა სცემდიან, მას ვინ დაუდგამს დღესაო.
ერთპირად შემოეჰედენ ალვისა ნორჩსა კესაო,
და რა რკინა-კეტი აიღო, ლომს შესტაცებდენ ჰელსაო.
- 342 კელიერთად შე[ი]ქიდნეს, ფალავანი შეძებუნდა,
თავს შეატყო უღონობა, დაუძახა: ეს არ უნდა!
მან აღიდა შემოქმედი, იმათ პირი გაუმრუნდა,
და მუხლთა ზედა აიწია, წამოდგომას ლამის მუნდა.
- 343 რაც ეკიდა, თან წამოაყევა, დაძახა, განდა ლეწა;
გაირეკა, ჩამოცენდენ, ზოგთ კელ-ფეხი დაეღეწა;
ზოგნი გასკდა შუაზედა, დაიხრა, მიაჭუს ფრეწა,
და რაც გარდარჩა, გარდინვეწა, წაუვიდათ იგი ვერ წა.
- 344 ფალავანმა მოიცალა, ლაშკართაქენ წამოვიდა,
გაიყარა ნაომარი, მოსასუენოდ შემოვიდა;
ოც ათასი მომკულდარიყო ორთავ, ესე გამოვიდა,
და მერმე შექნეს ვეზირობა, ამაჲ მასთან კულავ მოვიდა.
- 345 თქულეს: უხელმწიფო ლაშკრობა არ ვარგა, არ იქნებისა;
ჩვენ მარტო ვერ ამოულათ, ღონე ვით დიდიებისა,
პატრონს თუ კაცი უჭვრეტდეს, ათასად შ[ე]იქნებისა,
და თვარამ არა ვიქთ, იქნების დღე ჩვენი გაჰ[ი]რებისა.
- 346 ერთმან უნდა შეუინახოთ მძივ-ნაფირი, ნალაარო,
მეორემან დროშას უნდა გვერცა მოდგეს სადღა არო;
მესამემა მოედანსა საომარად დგეს-ღა არო,
და ეს სად არის, აწ მიზრძანე, არც ერთია, აღა[ა]რო.
- 347 კელმწიფე ვიხმოთ, ესე სჯობს, და[ა]სკუნეს ეს[ე] პირია.
წიგნი მისწერეს მეფესა, შესთვალეს სიტყუა ხშირია,
თქულეს: მიწა, მტვერი, ვიკადრებთ, ჩვენ გვემონდეს თქუენი ჰირია,
და თავ-მოხდით, წარწოლით მოსურნე, ქლუბისა დანაჰირია.

- 348 თქუენის სურვილის მონატრე, ბადეს დაბმული ესია,
სახელოვანო მეფეო, მაღალო ზესთა ზესია!
პილოტნისა და ჭავარის ტანის თქუენისა დღესია.
და ელვარისა და ლაწვ-ვარდის, უებრო ჩვენი წესია.
- 349 გვაჯ[ა]სპი, აშაქ ვიკადრებთ, დიდსა კელმწიფეს წინარე,
ნუმე არის ტახტი უთქუენოდ, ლხინისა მოუწყინარე,
საწუთროს დამბადებელი არისმცა თქუენზედ მცინარე,
და მბრუნავიმე ეტლა წინ გიძღვის, თქუენი მებრძოლი ვინ არე!
- 350 ჩვენ გამოგვგზავნეთ, გვიბრძანეთ. თუ: ერთკელ შეიბენითა,
მეც მაცნობეთო, მას უკან კაცი მიფრინეთ რბენითა!
დაგმორჩილდით და შევიბით, ქუეთი ანუ ცხენითა,
და ამან მოვკალ და სადიდი მისთვის გაუხადე წყენითა.
- 351 გაგვიმარჯვა მოწყალემან და მბრუნავმან ეტლმან თქუენმან,
სრულ მრავალი ამოესწყვილეთ. კელმწიფეო, შენმა მზემან,
აწ გაცნობეთ, რაცა მოხდა, ან მიილო ეამმან, დღემას.
და ესე წიგნი გაუგზავნეს ფალავანმა ამა მხნემან.
- 352 წამოსრულიყო კელმწიფე, ეულო პაშტა[ი] ბანია,
მძიმე ლაშკარი მოსდევდა, იახლა არაჯანია,
წიგნი მიართვა მონამან. იგი ს[ა]ამბოდ მზანია,
და წაიკითხა და იამა მეფე და ეინცა ყმანია.
- 353 გამარჯვებისთვის შესწირეს ლმერთსა მაღლი და დიდება,
წამოვიდეს და მოვიდეს, არეის უნდებ დამშვიდება.
გვაჯასპირ, აშაქ, ორთავე. წავილეს კიდით-კიდება,
და მისაგებავად იახლენ, არა თუ ცრემლი მილდება.
- 354 კელმწიფესა ჯიმშედს წინა მიეგებნეს, გარდახდესა,
გარდახდეს და პირ-დამხობით კელმწიფესა თაყუან-სცესა;
მეფემ მაღლი გარდიხადა, მოეხვია იმა მკნესა,
და მერმე დადგეს ოთაღნი და შიგან ტახტი ამართესა.
- 355 მუნთ დაიცეს კარეები მრავალი, ფერადიანი,
აყუავედა იგი მინდორი, ვითა ვარდი და იანი;
წითლად და ყუითლად ყუაოდა, ფერად-ფერადად დგინი,
და სრა ფარდა შემოვლებული, კრტილობს დარი მზიანი.

აქა ორთ[ა]ვე კელმწიფეთა დიდი ომი—სადი
მგლისთავისა და ჯიმშედის

- 356 რა გათენდა, შეუბერეს ზროხის კულთა, ყუიროსტვირსა,
საომარი ქოსი კუნესის, აყუირებენ, ვითა ვირსა,
მძივი ნაფირს გამობეს, ზამბულური დიდად ყუირსა,
და სინჯთა ჰკრიან საზაროსა, მიუღვიან პირის-პირსა.

- 357 კაცი კაცსა შემოსტყორცა, ფალაენი ზოცდა მითა,
ერთმანერთსა შეაწყუიდა, იყო ამა ქცეუა-ზნითა.
ღამესა და ერთსა დღესა იომოდენ ანაგზითა,
და ვით ფურცელი, კაცის თავი, მოცვიოდა ბასრის კრმლითა.
- 358 ორმოცდაათი ათასი მოკულა მეზრძოლი კაცია,
სცემდენ და იომოლიან, არის ლაწი და ტყაცია,
თავადნი გვანდენ რკინასა¹, ზოგნიმე რქმალსა აცვია,
და ანაზღად შეხვდა გვაქასპირს სადიდი კარგ-მამაცია.

აქა გვაჯასპისაგან სადი ჯელმწიფის შეპყრობა

- 359 ომსა შიგან გვაქასპი და სადი ერთგან შეიყარნეს,
დაუშინეს ერთმანერთსა გულმეისხლედ, ოფლი ღვარეს;
მრავალი სტეს მძიმე ლახტი, თავი ლომსა და[ა]დარეს,
და სისხლის პერი მოსდიოდათ, მათი საქმე გ[ა]ამწარეს.
- 360 საგდებელი შემოსტყორცა, ომშიდ ბეურჯელ დაეცადა.
სადის თავსა გარდა[ა]ცვა, უპატიოდ დაეცა და,
მერმე შეკრა საგდებლთა, ძმაც უტრია, დაეცადა,
და თრევით ჭიმშედს მოუტანა, იგ ძალითა დაეცადა.
- 361 ქალადს უზრძანა მეფემა მისი მოკუეთა თავისა,
მილადისადა უზრძანა, იყუენ მოქმედი ავრსა;
ორთ[ა]ვე თავი დაკუეთეს, დღე დაუბნელდეს შავისა,
და საღისა შეილი ფეშანგი წავიდა, ზავსა ლამისა.
- 362 ფეშანგ რა სენა, გამოიქცა, ლამის უნდა გარდაბვეწა,
მიეწიენეს, დაიჭირეს, წაუვიდათ იგი ვერ წა.
ჭიმშედს წინა მოიყუანეს, იგი ალვის მორჩი ბე წა,
და მეფე სიკუდილს ულაშობდა, თავადები შე[ე]ხვეწა.
- 363 მოახსენეს: ჯელმწიფეო, ბეური სისხლი დაგიღვრია,
ეს გეყოფის, რაცა ქენით, ყოვლთა მუხლი დაგვიყრია;
შენი იყუნენ ნათესავენი, მათთვის ფერი არ გიყრია,
და ეს გაუშვი ზღღარ მოკლავ, ნათესავენი შკუღარო ჰყრია.
- 364 ხარაჭა, მალი დასდეთი, იყოს მოსავი თქუენია.
ეს კიდევ მოკლა, ბატონად ვის დასვამ იჭი შენია,
ძნელი თეშია, იტყუიან, ვინც არის კაცი ბრძენია,
და მათ დაუმადლა, არ მოკლა, უზრძანა: რა საწყენია.
- 365 მალი შეპყუეთეს, არ მოკლეს, აღარა ცრემლი სდიანო,
ლაშკარი მისცეს, გაუშვეს, წავიდენ, შინ მიდიანო;
ჭიმშედ ქელმწიფე მოზრძანდა, საღ სარი ქალაქ დვიანო,
და შეიქნა სმა და ნადიში, ბრძანებლი, ამას ქუიანო.

¹ რკინა.

- 366 დაეხოვეს ყუელ[ა]კანი მათსა თემსა წამოსაეღლად,
 კელმწიფემა საბოძეარი მათ უბოძა დია მრავლად,
 ზაულისტანს გაემართა გვაჯასპია მუნა მგზავერად,
 და აშაქ მივა ხვარასნისკე, მოპყუებოლენ ყმანი ჯარად;
- 367 მურდაე წაეიდა მისრისკე, იმა ადგილსა მდიდარსა,
 ყოვლინი მისს თემსა წაეიდენ, მეფესთან აღარეინ არსა.
 მეფე შე[ე]ქცა შევებასა მეტადრე მოუწყინარსა,
 და ბრძანა, თუ: ცას ქვეშ, ჩემს იქით, ვინ არის ჩემსა წინარსა!

აქა ეშმაკისაგან ჯიმშედ ქელმწიფის მოცდუნება

- 368 მოვიდა ერთი ეშმაკი, ჯიმშედს წაუღვა წინარე,
 ჰკადრა, თუ: შენს მეტი ღმერთი ნეტარ სად არის, ვინ არე!
 არ არის შ[ე]ნს გარეთ ღმერთი, ამაღ შეიქენ მცხარე,
 და შენ ხარ, შენ გმართებს ღმერთობა, რად თავი მოიძინარე?!
- 369 ჯიმშედ აცდინა ეშმაკმა, აპყუა ნებასა მისასა,
 დასტურ ეგონა, მოსტყუვდა, პირს აღარ ესავს ღმრთისასა,
 ღმერთსა დაუწყო ცილობა, საქმეს შერებოდა რისასა?
 და აღარა შერების პასუხსა, არც თემის, აღარც სხვისასა!.
- 370 რა მოუღინდა, რა იქნა საქმენი საძაგელია,
 თურემ ეშმაკი მძლავრია, ეს რა ქნა, მეტად ძნელია,
 თემშედ დავარდა პასუხი, ჯიმშედ შეიქნა ქელია,
 და თქუეს: ღმერთსა ეცილებისო, მას აღარა ჰყავს მთქმელია.
- 371 გვაჯასპირს ესმა, დაღონდა, თუ სთქუა, მოედვა ალია,
 თქუა: რისგან იქნა, ვაგლახ მე, ეშმაკმან უყო ძალია.
 წავიდე, ვსწვართო, ნუთუ რა მოვკიდო ჩემი თვალისა,
 და წასვლას ლამოდა, მოვიდა, მისი განთელის დღე მალია.

აქა ავად შეიქნა ესე უსწორო ფალავანი გვაჯასპირ
 და მოკულდა

- 372 ავად შეიქნა გვაჯასპირ, წასვლას ლამოდა ქუელია,
 ნახეთ, უხანო სოფელსა ვერეინ მოჰკიდა ქელია!
 რა ვინდა ხანგრძლად ვიცოცხლოთ, ბოლოს ისევე ბნელია,
 და არამი, ცრუ და მტყუნ[ია], ესე დღე ასრე ძნელია.
- 373 სოფელსა გამოესალმა. გავლო გზა ვიწრო, ბნელანი,
 ლომისა მგზავისი კელ-მელაეი, გლახ. მიდრკა [ასრე]ყუელანი,
 მოუღალს გზასა წავიდა, მოსთქვიდა სულად მთქმელანი.
 და ყოველთა დაგვემართების ესე დღე, მეტად ძნელანი.

1 არც სხვისას, აღარც თემისა.

- 374 წესი არის საწუთროსა, ხანგრძლივად არეინ გათავდების,
ხილი ესე განსავალი და ბეგარა გარდაგე[კ]ლების;
ვერ დაუდგამს სურ[ი]ელი, არაფერსა არ ასცდების,
და მიუჯირს, ვინცა ასრე იცის, საქმეს რისთვის გარდასცდების.
- 375 ჭიშხელს ესმა ესე საქმე, ჭავრისაგან ბრუ დაესხა,
საყელონი გარდიხია, დაწვთა სისხლი გარდაესხა:
ტახტიდალმა ჩამოეარდა, მოიგლიჯა, რაცა ესხა,
და მას მართებდა გეაქასპისთვის გულს ლახეარი გამოესხა.
- 376 მერმე-ლა იხმო ძე მისი, ქარიმან მტერთა მახია,
თვითან გაეს მამას გეაქასპირს, იგი პილოსა სახია.
ას[ა]კიანი, ბექეართო, ბრძანებ, შმაგი და წშახი,
და მისი მეტროლი მრავალ[ი] გავლიჯა, შუა გახია.
- 377 კელმწიფის წინა მოვიდა, ბრძანება ესმა მისია,
წამსა დალოცა ფალავნად, მას მართებს, არა სხვისია,
მამული მასვე უბოძა, მამისა გეაქასპისია,
და ზაულსტანსა წავიდა, უმალღე დიდის ხისია.
- 378 ხვარასანსა ხმა დავარდა, ჭიშხელ ღმერთსა ეცილების,
აშაქს ესმა, ანუ მურდავს, დია მეტად ეწყინების;
ალარც ერთმან აღარ ნახა, თქუა, თუ: რისგან ელხ[ი]ნების,
და ჩვენად ნაცელად ეშმაკი ჰყავს, მას სხვა რალა ეჭირების?!

აქა [ამბავი] პირველი დასაწყისი ზა[ა]ქისი

- 379 მურდავს ერთი შვილი დარჩა, მას სახელად ზააქ ქუიან,
ეშმაკისა მანქანებით მხართა გველი და[ა]სხლიან;
მას ეჩვენა ამხანაგათ, ბელზებელი მოუდგინა,
და იგ შეადგა საცდუნებლად, მისთვის ეტლი ავად რბიან.
- 380 უთხრა ეშმაკმან: ისმინე, პასუხი ჩემგან თქმულია,
ხარ მოწიფული, ახალი, შენებრი არ შექმნულია.
შენ დაგარჩეს სრული მეფება, საშენოდ შეკრებულია!
და აღრე აცდინა, დაკეარვა სამუნოდ მისი სულია.
- 381 ეშმაკმან ზააქ აცდინა, უთხრა სიკუდილი მამისა:
თქუა: აქუსო ბეური ქონება, მამა თქუნეს მრავალ ჟამისა;
შენცა ბეური გაქუს, შეუყაროთ, იყავ მოქმედი ამოსა,
და ლაშქარზედ გავსცეთ ყოველი, იგი ერთისა წამისა.
- 382 ჭიშხელს წაულოთ მეფობა და მისი შარიერობა,
მას აღარეინ ჰყავ მეშველი, შეგვარების ნებიერობა,
გეაქასპი მოკუდა და ჭიშხელს აღარ აქუს მეცნიერობა;
და აშაქ აღარას უშველის, არ დია უნდა ფერობა!
- 383 ჩვენ წავართვამთ მეტად აღრე, ადვილ[ი], აარა ძნელი
ზააქ უთხრა: ვის მოუკლავს, მამა მოკველა, მიეყო კელი,

მერმე რისგან დავიხსნები, საუკუნო მქონდეს ბნელი.
და კიდევ უთხრა მას ეშმაკმან სიტყუა ძნელად გასამხელი:

384 მე მოვეკლავ, შენ არ გაცნობებ. თუ მაქუს იმელი თქუენია,
თუ მერტუი, არას მესარჩლო, არამცა არ მოგწყენია!
ზააქ თქუა: მე ნურას გამრეუ, ჩემგან ნურასა გრცხვენია!
და ეშმაკსა მიხვდა სიამე, იხმარა სიფიცხენია.

385 მურდაეს ერთი ზეუი ედგა, სალოცავად მისად თქუიან,
ყოვლს ლოცვაზედ მოვიდოდა, ბერი კაცი იყო დიან;
თავისათვის ილო[ც]ვიდა, გლახ, ორმოსა მას უთხრიან,
და მას ეშმაკი შემოუჩნდა, არ მოეშვა, რასა ქუიან!

აქა ზა[ა]ქ ეშმაკმა აცდინა და მამა მოკლა დაწყევლილმა

386 ეშმაკმან ორმო გასთხარა, მაღალი, მეტად ბნელია,
ზედ წა[ა]ფარა, ჩავარდა მურდაე იქითით მვლელია;
მაშინვე მოკედა, დაიმტერა, საბრალო, სულთა მხდელია.
და ზააქს დაუგდრო ეშმაკმან საქმენი საძაგელია.

387 რა ზა[ა]ქს ესმა, იტირა, თავს მიწა გარდაიყარა,
გლოვა დაიდვა და კარი! გაიგდრო, სულ აიყარა.
რა გამოვიდა გლოვისგან, ლაშკარი შემოიყარა,
და მოვიდეს ზა[ა]ქს წინაშე, თავადნი სულ მოიყარა.

388 მათ მოუმტკივნეს თავ-მოხდით, ვითარცა მისი წესია,
ვაზირობა ქნეს მაშინვე მათ, ვით მართებდა დღესია.
ერთობილო ჰკითხა ზა[ა]ქმა: ვაგიგონიათ ესია,
და ჯიმშედ ღმრთობასა იქირავს, თქუა: მე ვარ უზეშთესია!

389 სხვას ვის უქნია ესეთი, თუც არ შეიქნა კელადო,
მიუხდეთ დიდის ლაშკრითა, მისად საომრად ძნელადო,
თემი, ქუეყანა წაუღოთ და ტახტ-გვირგვინი ყუელადო,
და იგ დაემოწმენ ყუელანი: ნუ არის ტახტის მკველადო!

აქა გაილაშკრა ჯიმშედ ჯელმწიფეზედ ზააქ

390 [რა გათენდა და საწუთროს მოეფინა შუქი მზისა,
ზააქ შესხდა ტახტზე როგორც შეშვენოდა მეფეს—გმირსა].
შესხდეს პილოს მემრებდი, მათ იარეს სიგრძე გზისა,
და ხუთას ათას კაცი ახლავს, წაიძღვანდენ წინათ გზირსა.

391 ზააქთან კაცი მივიდა, ამა ამბებისა მცნობელი:
ინდოთა მეფე მოვაო, დიდის ლაშ[ქ]რისა მპყრობელი,
ჯიმშედ ახლავსო, აქნამდის ვინ იყო მისი მგმობელი
და აქათით ზა[ა]ქ გამოდგა, მებრძოლთა ზედა მფლობელი.

- 392 შაჰამს მოვიდა, იქ დადგა, ზა[ა]ქ მებრძოლთა მზარავი,
თეთრსა მინდორსა დაიდგა მძიმე სტავრისა კარავი;
ერთ კერძოთ ჯოგრატი დადგა, ინდოთ ლაშქარი არ ავი,
და დადგეს ოთაღნი, კარეები მინდორთა დასაფარავი.
- 393 უცხო-უცხო ფერადები მათ კარეები დაიდგინან,
გარეშემო სრაფარდანი შემოაეღეს, მოადგინან;
შუაზედა ტახტი დადგეს, ინდოთ მეფე მახედ ჭლიან,
და მას ღლე დადგენ მოსასვენოდ, ერთმანერთსა არ ერჩდიან.

აქა ინდოთ ჯელმწიფის და მისი ძმის ბალრატის
და ზა[ა]ქის ომი

- 394 რა გათენდა, მზემ საწუთრო და[ა]შეენა,—არე-მარე,
ზედ ამდლდა გუმბაღზედა, თავი მისკე არე, მარე,
მან დაქარგა შავი კუპრი, ან რა იქნა არე-მარე;
და სულ სამყარო და[ა]შეენა, იგი მისი არე-მარე.
- 395 დაქერეს ქოსსა საომარსა, კმა ისმოდა საზ[ა]როსა,
სტვირთა სცემდენ სარაზმოთა, მისგან ძნელთა სააზროსა;
მძივი ნაფირს გამოაბეს, სხვა საკრავი გვანდა ხროსა,
და ზამბულური, სპილენძქური, ყოფალიყო რაცა როაა.
- 396 ბაგრატ წამოდგა, მეფის ძმა, ფალავნად იყო ქებული,
ინდოთა მეფე დალოცა, ვით იყო სახელდებული;
პირი მიწათა გაერთა, არის თავგარდადებული;
და უთხრა: საომრად წაე[ა]ლო, არ არის ზავდადებული.
- 397 მან მძიმე ლახტი აიღო: დაენაყო თქუენი მტერია,
მრავალთ ფალავანთ დაეღეწო, ზურგები იმათ ბევრია!
ძმამ კელმწიფემა დალოცა, უამბო შესაფერია:
და მზრუნავიმც ეტლი მიგიძღვის, გზამცა გაქუს ბედნიერია,
- 398 შენ ეცადე შენებურად, ფალაურად კარგად მიდი!
ბაგრატ მადლი გარდიხადა, წამოვიდა, ვითა ჭინდი;
ცხენსა შეჭდა შუბოსანი, ჯერ არ იყო ღამე, ბინდი,
და მაიდანსა ჩამოვიდა, გულს არ ქონდა დასაარიდი.
- 399 რა ზაქ ნახა მოსრული, ბაგრატ მაიდანს მეღელია,
უბრძანა ერთსა მებრძოლსა: შუბსა მიაყარ კელია,
მიდი და ბაგრატს შე[ე]ბი, არის ჰაბუჯი ქუელია!
და ის წამოვიდა საომრად აღარ სიტყუისა მთქმელია.
- 400 მათ ნავარდი შემოუღეს ერთმანერთსა, ტანსა მხნესა,
მერძე ბაგრატ შეუტოვა, წაუხარა, შუბი შესცა;
ამ წამს მოჰკლა, ფალავანმა გა[ა]რისხა მადლა ზეცა,
და მემ მეორე გაუძახა, იგიც მოკლა, გულსა ეცა.

აქა ზა[ა]ქისა და ბაგრატიის ომი, ზა[ა]ქისაგან ბაგრატიის მოკულა

თვით გაგულისდა კელმწიფე, ზააქ მებრძოლთა მზარავი;
მან მძიმე ლახტი აიღო, არ იყო, მისი მპარაუი;
მაიდანშიგა მოვიდა, ქნა საქმე შესაზარავი,
და შემოუზახა, ავინა, არ უთხრა დასაფარავი.

ბაგრატს თავსა ლახტი დაჰკრა, ცხვირთა ტვინი წამოსდინან,
გლახ, უსულოდ ჩამოვარდა, დაეცა და სისხლი სდიან.
ჯოგრატ, რა სცნა ძმისა მოკულა, ტირიდა და ცრემლსა ღვრიან,
და საყულონი გა[რ]ღიხია, საომარად მოვიდიან.

გაგულისდა: ინდოველო, წამოდექით, — დაუძახა,
წამოვიდა, ჭაერიანმა ისულთქმა და იჯაგლახა.
ხუთას ათას კაცი ახლდა, ერთ-პირობით, როგორც ნახა,
და ყოველთა ერთად წამოდიოთ, ბაგრატიისთვის თვითან ასხა.

ვით ღრუბელი შავი, კუპრი, ჯოგრატ ჯელთად შეიყარა,
მტვერი ასტყდა საკუირველი, კმა ცათამდის აიყარა,
ინდოური პილო[ე]ბი და აბტან: მოიყარა;
და ცა იქცეუსი, მიწა თრთისო, ბეური სისხლი დაიდვარა.

წინათ მოუხდენ მებრძოლი, იგი პილოსა მსხდომია,
მუნ კმლები გამოიწვადეს, გასწყ[უ]იდეს კაცთა ტომია;
არის ზახილი, კივილი, არსით გარდასწყდა ომია,
და გავს თუ აერი სისხლსა წვიმს, დაფარეს მთა და ბარი.

დაუშინეს შუბი, ქრმალი, აპირებენ არა ზავსა,
მძიმე ლახტსა ურტყამდიან და ხანჯრითა სკრიან თავსა,
ღია ბეური ჩამოყარეს და ქუეყანა კუპრსა გავსა,
და გზა აღარსად იპოვების, სისხლის ღვარი ზღვას [გავს] შავსა.

მძორით აივსო ქუეყანა, ცოცხალი მკუდართა ჩიოდა,
სისხლმან ხანდაკი გაჰკუეთა, ვითა ჭვინი დიოდა;
ცხენი და კაცი მოქონდა, თავადნი დაღმა ცვიოდა,
და ორასი ათასი კაცი მოკულა და სისხლი სდიოდა.

პილოზედა ტახტოსანი ზა[ა]ქ ჯოგრატ ნახა მჯდომი,
ლაშქართა შუაგულობასა საომარად იყო მდგომი;
ორ ათასის ლიტრის ლახტსა მაშინ ზა[ა]ქ მიჰყო ტორი,
და მოუქნია, ზურგსა დაჰკრა, გავს დაიმსხვრა მთა და გორი.

აქა ზა[ა]ქისაგან ჯოგრატი ინდო კელმწიფის ომი. და მოკულა

სოფელსა გამოასალმა, წავიდა ჩვენსა წინარე,
მოუალს გზასა გაგზანა, სისხლით შეღება წინ არე;
რა სცნეს ინდოთა სიკუდილო, ყოველი გაიქცა წინარე,
და ჯიმშედ გაიქცა და ზა[ა]ქს არ დაუცადა წინარე.

- 410 დეულ ქალაქსა მივიდა ჳიმშედ კელმწიფე რბენითა,
უკან გაულდგენ სადგურად ქუეითი, ანუ ცხენითა.
ინლოეთს, იმა ქალაქსა, შიდ შეამწყუდიეს ჳშენითა,
და მოიქულობა დაუწყეს მოქალაქეთა დენითა:
- 411 მოგვეცით ჳიმშედ საკუდავად, არ არის თქუენი დრონია,
თუ არა მოგვეცემთ, ამოგწყუედოთ, იცი, ეს სააზრონია.
არც ქალს მოვარჩენთ, არც კაცსა, თუ რამე სავარგონია,
და დაგწავთ, დაგაფავთ, ეგეთნი წავიდეთ ჩვენი ხრონია.
- 412 დეულელ მოქალაქეთა, რა გაიგონეს ესე რა,
ჳიმშედ კელმწიფე შეიპყრეს, გარ მოეხვია ესერა,
ქელი უკულმა შეუკრეს, ჳერ ლახერით არვის ესერა,
და ზა[ა]ქს მოგვარეს შეკრული, მისსა მებრძოლსა ესერა.

აქა სიკუდილი ჳიმშედ კელმწიფის ზა[ა]ქისაგან,
ვაი, შენ სოფელო

- 413 მაშინ განძარცვეს კელმწიფე და შეკრეს ქელით, ფეხითა,
ნახეთ, რა უყო სოფელმან, სიცრუით, ანუ გრეხითა;
არამი, დაუნდობელი, დასაქცეუარი მეხითა,
და თავით ფეხმდის სიგრძეზედ, შუა გაჳკუეთეს ჳერხითა.
- 414 იგი მოკლა დაწყევლილმა, ზა[ა]ქ სარაეს წამოვიდა,
მას ეშმაკი მოეჩვენა, ფიცხლა მასთან შემოვიდა;
ფიცხლა შეილად შეიწყნარა, მასთან გრძნებით რა მოვიდა,
და შექნა უცხო ერბო-კუერცხი, ზა[ა]ქ წინაშე მოვიდა.
- 415 ზააქს იამა, მიართვა და მო[ე]წონა მეტადო,
თქუა: ამისთანა საჳმელი არსად მინახავს ჳერეტადო;
არ მიჳამია ამსებრი, მისთვის გამხადა რეტადო,
და ასრე გარჩენო, ვითამცა დამადგე ნათლის სვეტადო!

აქა ზა[ა]ქ ეშმაკმან აცდინა და მხრებზედ
გველები ამოასხდა

- 416 ეშმაკმან უთხრა: წყალობა არ მინდა ამის მეტია,
შიშველი მხრები მიჩვენე, ვიყო იმისი მჳერეტია;
მაზედ გაკოცო, ვითამცა ვიყო შარბათის მხერეტია.
და გადილო, ფიცხლად აკოცა, დაჳკარგა ნათლის სვეტია.
- 417 ორთავე მხართა აკოცა, ეშმაკი გაუჩინარდა,
ვერვინ შეიტყო: რა იქნა, ანუ ვინ იყო, ვინ არ და.
ზა[ა]ქს დაუწყო ქავილი, მხრებ[მ]ა ორმავე წინარდა,
და იფხანდის, მეტად ქაოდა, არ წყნარა¹, არ დამინარდა.

¹ წეოლარდა.

- 416 ნაფხანშიდ გველის მართებმა, თავი ამოყო წინარე,
იგ დაიზარდენ დიდები, კაცისა მოსაწყინარე;
ცხვირთა და ყურთა სწოვდიან, მისგან არ იყო მძინარე,
და ყოვლგან მოიხმო აქიმი, სადაცა იყო ვინარე.
- 419 აქიმი ეოვლგნით მოვიდენ, ვერა შეიტყუეს ვერითა,
არა წამალი არ ერგო, არ ღონით არასფერიოთ.
ისივ ეშმაკი მოვიდა, სხვაფერად, სხვაებერ ერთა,
და თქუა, თუ: მე ვარო ოსტატი, თქუენცა ისწავლეთ მზერითა!
- 420 ეშმაკმან თქუა: აქიმობა ჩემგან უკეთ არ იქნების,
მზარაულიც კარგი ვარო, რაცა თქუენს წინ დაიდების,
ზააქ ჰკითხა გველთ ამბავი, ლამის მისგან დაინთქმების,
და მან ასწავლა ავი საქმე, უარესი რა ითქმების:
- 421 ორ-ოლს კაცს დღეშიდ მოჰკლევდი¹, ისმინე ჩემგან თქმულია,
მათს თავის ტვინსა ვაჰმეცდეთ შაჰრით, დაიღონ სულია.
ზააქს დაუგდო იბლისშია, ეს საქმე წარმართულია,
და ფიცხლა მოასხეს კაცები, გაგზავნეს მზარეულია.
- 422 ორი კაცი მოიყუანეს, დაკლეს, თავსა წაუჰკედნეს,
თავის ტვინი ამოართვეს, ღმერთი აღარ მოიხსენეს²,
გველს აჰამეს, დაიძინეს, ყურთა აღარ შე[ე]ჰედნეს,
და ამ წესითა იქცეოდა, იმას დღენი, რაცა ესხნეს.
- 423 ხუთასს წელიწადს ესე ქნა, დღე არ იცდინა ერთია,
ორ-ოლს კაცს დაჰკლავს დღიურად, არ მოიგონა ღმერთია;
ვეშხად შეიქნა გველები, ეშმაკის შენაერთია,
და ყოვლგან დავარდა ესე კმა, დახდენ, მართ ვითა შეთია.
- 424 ქალაქშიდა მკედელია, მას სახელად ქავა ქვიან,
მას ორმოცი შვილი ჰყვანდა, ზა[ა]ქისგან სისხლი სდიან;
ორის მეტი გველისათვის დახოცეს და თავსა სჭრიან.
და ორი შვილი შეერჩინა, ყარან, [ყ]უბად და[ა]რქუიან.

აქა ზა[ა]ქის სიზმრის ზმანება, საშიშარი სიზმარი ნახა

- 425 ზააქს ეჩვენა სიზმარი მეტადრე საზარონია:
დიდი რამ კაცი წამოდგა, სხვილი, უებრო, ხრონია;
რქიანსა ქარსა იჯდაო, ლახტი აქვს დიდი გრონია,
და კისერსა კელი მომეიდა, აღარა მჭონდა დრონია.
- 426 კისრიდანმა საჯღომამდი სრულ ამძრო ზურგსა ტყავი,
მე შემიკრა მაგრად მკარი, არ უნდოდა ჩემი ზავი;
ამონისა მთასა შიგა, ორმო არის მეტად შავი,
და შიგ ჩამეიდა სიზმარში და ეს მეჩვენა დიად ავი.

¹ მოკლებდი. ² მოხდნეს.

- 427 რა გ[ა]იღვიძა, შეშინდა, თქუა თუ, ლახვარი ეცა და,
ორთავე ცოლთა უამბო და მერაპლენი ცეცადა;
მისი ვერც ერთმან ვერა სცნა, ვერც ქუეყნად, ვერცა ე, ცადა,
და მერე ზირაქსა აკითხა, მას ეძმო, მასცა ეცადა.
- 428 რამლი გახსნა, მოციოთხა ზირაქ მისი საეტლონი,
ფრიდონის სცნა დაბადება, საქმე მიხვდა საეკონი:
ის გამოვა შენი მტერი, აღარ გექნას მისგან ღრონი,
და მიძმეს ლახტსა თავსა დაგკრავს, მოგანვიოს ჭართა ხრონი.
- 429 იმ მთაშიგან, დასტურია, ორმო არის მეტად ბნელი,
შიგ ჩაკვილებს ორმოშიდა, საქმე გიყოს მეტად ძნელი,
ზაქ უთხრა: რას მიმერჩის, მე ვარ მაზედ რასი მქნელი,
და რასთვის მომკლავს, რა ვაწყინე, ჩემგან რა სჭირს საძაგელი?
- 430 ზირაქ ყოველი უამბო, უკლებლად უთხრა ენითა,
თქუენ მამამისი აფთიონ მოკალით, ავად ქენითა!
ტვინი ავამეთ ვეშაპსა, მისთვის არიან წყენითა,
და იმისთვის მოკლავს, იცოდი, თავს ვერას არგებ შენითა!
- 431 ზაქ თქუა: ფრიდონ შობილა, მითხარი, ჭერე თუ არა?
ზირაქ ყოველი უამბო, არც ერთი მოუუარა,
ანუა დაბადებული, თქუენად საჭიროდ მოვა რა,
და თუარამ აპასა იშობის, ხანი არ გამოუა რა.

აქა ზაქ მარტვილნი ყოვლგან დახოცა და ამოსწყვიდა.

- 432 ზაქს რა ესმა, ეწყინა, დაკმუნდა, დანაღვლიანდა,
ყოვლგან გაგზავნა კაცები, იასაულნი ვლიანდა:
სად ნახოთ ვაჟი, დახოცეთ!—მარტვილთა სისხლთა ღერიანდა,
და წაიღენ, ყოვლგან დახოცეს, მათ აღრე, არა გვიანდა.
- 433 მალრიბისა მაშრიყამდის ყმარწყვილები ამოსწყუიდეს,
ერთი ფრიდონ იქნებისო, უბრალოთა სისხლსა რწყუიდეს,
ქალსა არას ერჩოდინ, ვაჟსა ყუელას ყელსა სჭრიდეს,
და გასწყუიდეს და გვავეს [ყოვლგან]უსუართა ასრე ჰკულიდეს.
- 434 ფრიდონის ღედა ორსულად ფრიდონზე იყო ორადო,
მესაქამადეთ ზაქს ჰყავს, ღარიბი არის შორადო;
როდის აფთიონ მოეკლა, იქ მოეყუანა სწორადო,
და ვერავის ეცნო, ძეობად დაწვა, დაიწყო გორეადო.
- 435 მას ტყუბი შეილი მიეცა, ფრიდონ და ერთი ქალია,
ვაჟი დამალა და ქალი ზაქს მიართვა მალია;
ისევე მისცა: რას ვერჩი! მას არ მიუგდო თვალია.
და მას არ ეგონა მის მეტი, ამაღ არ უყო ძალია.
- 436 რა ძეობა გარდიწყუიდა, გაიპარა, წამოვიდა,
ქო აღბუზის მთასა შიდა შენობა[ა], შემოვიდა.

იქ დაზარდა მარტვილები, დაბლა აღარ ჩამოვიდა.
და რა ათისა წლისა იქნა, ფრიდონ გარე გამოვიდა.

437 ნადირობდის ისპოურად, მინდორს მხეცთა სისხლსა ღვრიდა,
ლომი ნახის, დაიჭირა, ერთმანერთსა შეაწყუდიდა;
ტვინი მკლავთა გარდაისხა, სხვა მებრძოლი არა ჰკვირდა,
და ამ წესითა იქცეოდა, გავიდა თუ შემოვიდა.

438 ზააქის ვეშაპს მოშივდა, მას წა[ა]ფრინდა ყურთაო,
მას კაცის ტვინსა აკმევდის, არ ზოგვის, ვითა ვირთაო;
ვერსად მოესწრო და ქაეას მიადგენ უგეჰურთაო,
და ორნივე შვილნი წა[ა]რთვეს უღმრთოთა, უგეჰურთაო.

439 ყარან და ყუბად წ[ა]ართვეს, მკედელეღი მისდევს რბენითა,
მივიდა ზააქს წინაშე, პასუხი ჰკადრა ენითა:
ორმოცი შვილი მყეოლა, ეს მართლად შეიტ[ყ]ვენითა,
და ამ ორის მეტი აღარ მყავს, ყუელა თქუენ წამისხენითა;

440 ყუელა ვეშაპს შეაქამე, არ მალირსე მათი მზერა,
აწ ამათაც თუ წამართვამ, სხვა დამრჩების, იცი, მე რა?
ეს არა[ა] სამართალი, პასუხითა შეაჭერა,
და ღმერთი ზრულად ნუ დაჰკარგე, მოგიხდების კარგად ვერა!

441 ზააქ მისცა, ორივე შვილი წამოასხა, წამოვიდა.
უთხრეს ზააქს თავადებმა: რასთვის მიეც, რა მოვიდა,
რასთვის უსმენ ცუდსა კაცსა, რას ამბავში მოგივიდა?!
და ზააქ თქუა, თუ: ცეცხლი ვნახე, მეტად დიდი ამოვიდა.

442 ჩემს და მას შუა შეჩვენა ცეცხლი უშრეტი მღებარე,
რა არის ესე ნიშანი, ამას გავკვირდი მე ბარე,
ამისთვის მივეცი, შეიქნა სიტყუისა გამომგებარე.
და ყოვლნი დაშტერდენ, ზე აღგენ, აღარეინ იყო მღებარე.

443 ქაავ მკედელს წინა ქონდა ტყავი, კალოჰს უკუუსაყრი,
ცეცხლისათვის მოსაფენი ბჰედაზედა, წესი არი,
შემოიხსნა, შეშის წვერსა გამოაბა, უჭკერტს ჯარი,
და უკან მისდევს ყარან, ყუბად—შვილნი, ტკბილად მოუბარო.

444 აწ დროშა ქაიანური მისაგან გამოსულია,
შუას ქალაქში მივიდა, ამართა კარგუსულია;
იგ არის მისგან ნაქნარი, ომშიდა გამოთქმულია,
და კელთა თინთარიკა ეჭირა, დაუტკრა ამოსულია.

445 დაუზახა: რასა სდგახართ? — მოქალაქეთ შექნეს ღენა, —
ზააქს ორი ვეშაპი ჰყავს, მას დაგაჰმევეს ყუელას თქუნება,
თქუენ წამოდით ფრიდონთანა, არა გმართებს მოსაწყენა,
და მას მიხედების კელმწიფობა, მოუღდების მაღლა ზენა;

446 [ქო]ალბუზის მთაშიდ არის, იქ მივიდეთ, ვისცა გინდა!
წამოვიდენ ყუელაკანი, ვეშისაგან შე[ე]შინდა,

- მას გამოყუა ათასიოდ მოქალაქე ვინცა გინდა,
და წამოვიდენ ყუელაქანი, თქუეს: ფრიდონთან მისვლა გვინდა!
- 447 მთაშიდ მისვლამდი მათ აპყუა ათი ათასი კაცია,
შამთ წამოსული ლაშქარი, ფრიდონს იახლა რაცია,
იქი შემოსვლა უკუირდა; იყუიან კარგ-მამაცია,
და მათ მოუგება საღამით, სტავრისა კაბა აცვია.
- 448 ქაავ-ღროშა მისგან ქნილი თვითან ფრიდონს მიართოდა,
ფრიდონ მაღლი გარდხიხადა, სატრფიალოდ მოიროთოდა;
ჰკადრა ქაავ, რადგან ღმერთმან შექმნა, აჰას მოიტყუოდა:
და ხარ ახალი მოწიფული, თქუენი მტერა: მოიბხოდა.
- 449 სდგახარ აქა, რასლა ჰყოენი, ზააქს სისხლი დაუღერია;
მაჰაშენი იმან მოკლა, ყელში დანა გაუყრია,
ჩვენ წაუღოთ კელმწიფობა, მას ქუეყანა დაუყრია.
და შენ გიბოძა მოწყალეობა, იმას რასთეის დაუყრია!
- 450 მას რასთეისა აქუს ღმრთისაგან შენია შარიერობა,
გველები ასხენ მხარზედა, მისი აქუს ღიდი ფერობა;
კაცის ტვინს აქმევს ყოველთეინ, ასრე სჭირს ჩვენი მტერობა,
და ორპოცი შეილი მომიკლა, არა აქვს მეცნიერობა.
- 451 ორმოცისგან აღარა მყავს ამ ორთგან შეილი კიდენ,
თემსა სწყუელს და ქუეყანასა, ზღვის კიდემდის სისხსა ღვრიდენს
ჩიმშედ მოკლა დაწყველილმა, მისთვის ცრემლსა გამოვიდენს,
და შენს სიკუდილსაც აპირებდა, მთის, ბარაზდის შენთეის ვლიდენს!
- 452 მას უამბო მერამლემან: ფრიდონ იშო, მო[გ]კლავს შენა,
რა ეს უთხრა, კმელთა ზედა ყოვლგან კაცი გაადვენა;
მან გასწყუიდა ვაჟის თესლო, არ მოსწყინდა სისხლთა ღენა,
და ერთი ფრიდონ იქნებოსო, დაუღიო სულთა ქშენა.
- 453 აწე წავიდეთ, მოკულების, ეიცო, ჰელითა შენითა,
მას კელმწიფობა წაუღოთ, შენგან იგ არის შენითა!
ღიდი ქალაქი, მდიდარი, ყოვლითურთ არის შენითა,
და მიუხდეთ რაზმდაწყობილი რხმლისა და ლახტის შენითა.
- 454 პატრონობა შენი არის, რაც ზააქს აქუს, მისი მზღვარი,
ჩიმშედის ძმა ფოლად იყო, საყუარელი მოუბარი,
აფთიონ არს ფოლადის ძე, მამაშენსა ახლდა ჭარი,
და ჩიმშედლა და აფთიონცა მისგან არის ორივე მკუღარი.
- 455 ფრიდონ უთხრა: ვით შეუებათ, სულად კმელი მისად არი,
მე არა მყავს ფალავანი, არც ლაშქარი მისადარი;
თქუენ ცოტანი კაცნი მოღით, მისი მბრძოლი მი სად არი,
და მან დაფაროს სიმრავლითა კმელეთი და მი სადარი.
- 456 ეს მოქალაქე, გიამბო, როგორა მეომარია,
ზოგნი მკედელნი, ხარაზნი, ზოგნი მესაქმლე არია,

ქაავ თქუა: ეიხმთ ქარიმან, სფადი მკლავმაგარია,
და აშაქცა იხმე, შეპყარონ ორთავე დიდი ჭარია!

457 ერთი წიგნი მიუწერე ზაულისტანს ჟალავენსა,
ერთი ხვარასანისაჲე, მათ ორთავე არაყასა,
ქარიმან და აშაქთანა მოითხოვი [თქუენ] ფარენსა,
და წამოვიდენ სამესისხლოდ თქუენთვის, გვანან გალავანსა.

458 შეუიყაროთ და წავიდეთ, ნუ გვიდა მათი ზავია,
ან ჩვენი თავი მოვიკლათ, ან იმათ ვუყოთ ავია.
ჩვენს სისხლსა ნულარ შეუარჩენთ, იმათ დავეუეთოთ თავია,
და მზისა და მთვარის სინათლე მათთვის გავხადოთ შავია.

459 ფრიდონს დია მოეწონა ქავისაგან გამორჩევა,
თქუა: აგრე ექნათ განაღამცა, დია გემართებს მათი თნევა;
მოიყუანეს მწიგნობარი, მათ დაუწყეს ქართულს ფრქვევა,
და მეტად ადრე გა[ა]გზანეს, არ აცალეს სიტყუის თქმევა.

აქა პირველი გამოსვლა ფრიდონისა და ზა[ა]ქის ომი

460 ქაავის დროშა იმძღვანეს, ზააქს რისხვა აქუს ზეცითა,
აქით ქარიმან გამოდგა ზაულისტანის კაცითა;
მუნ წამოვიდენ ორგნითეე რაზმითა მრავაჴეცითა,
და ხვარასნით აშაქ გამოდგა: მებრძოლნო, გაიქეცითა!

461 ყარაბაღნი, თავრეჩენი, ყუელა ერთგან შეიყარენა,
ფრიდონ წინა მოეგება, მხიარულთა თავნი არნეს;
ჩამოხდენ და ფრიდონს წინა პირღამოხობით დაეყარნეს.
და ჩამოვიდა, პირს აკოცა, არცა ერთი გაეყარნეს.

462 გამოეპართენ, წავიდენ სახელსა ზელა ღმრთისასა;
ქაავის დროშა მოუძღვის, იგ უნათლეა მზისასა,
ზააქს მიესმა ამბავი, სიზმარს ახსნის მისასა,
და [იგონ[ე]ბს რამლით ნათქუამსა, პასუხსა ზირაქისასა.

463 ას ორმოცდათი ათასი ზააქს ყავს სპათა ჭარია,
წამოვიდენ და იარეს, ისმის ზააქი და ზარია;
ალაბის კარშიდ მოვიდენ, ფრიდონცა იქ დამდგარია.
და იქ შეიყარნეს ორნივე, ნალარას მიაქუს ღგარია.

464 პირისპირ დადგეს ორნივე, არს მრავალფერი კარავი;
სრულად აყუავდა კარვითა დიდი მინდორი არ ავი;
მძიმე სტაერისა სეუანი მინდორთა დასაფარავი,
და შუბის ჩხლდე წინათ დაისვეს, დაბარდენ მტერთა მზარავი.

465 დადგეს ზააქის ოთაღნი, სრა-ფარდა შემოვლებულ-
შუაზედ მძიმე ტახტი დგას მარგალიტითა კრებული;
მაზედა დაჯდა ქელმწიფე, ჩამოხდენ მათი ქლებული,
და მერმელა ვეზირობა ქნეს, შეიქნენ ამოდ შვებული.

- 466 შემოასხა ვეზირები, ფალანგები ვინცა ვინა,
თავადები შემოისხა, გულს არ სჭირდა მოსაწყინა;
შესაფერსა ადგილს დასვეს ყუელაკანი თავის წინა,
და თქუეს: რა გემართებს, ესე ფრიდონ ჩამოგვიდგა, რადგან შინა.
- 467 თემს გვეცილების, ქუეყანას, ესტუმრე ჩვენი მტრია,
გვაჭაპის შილი მოჰყავსო, — პილოსა შესაფერია;
მალაღა მოგახსენებენ, თავი ღრუბელთა ერია,
და ომის ეამს გაშმაგდებისო, იგი ცეცხლისა ფერია.
- 468 ზღვასა შიგა, ვით ნიანგი, საომარად გაშმაგდების,
რა გინდა რა გრძლად იომოს, ვით უზორცო, არ დაშვრების;
სხვა მებრძოლი ვერ გაუძლებს, არასფერით არ დასცხრების,
და ვერც სიგრძით და ვერც სიბრტყითა, მას ჭულდგმული ვერ გასცვდების.
- 469 ორი ათასის ლიტრისა ლახტი აქუს მისის¹ ნებისა,
საოპარს ადგილს რა მოვა, ვით ცეცხლი აენტებისა,
მებრძოლთა თავი დალუწოს, მას ვერეინ დაუდგებისა.
და მისი მებრძოლი არა მყავს, არც სიზმრად გვეზმანებისა.
- 470 ზაქს უთხრეს: რასა ბრძანებთ, — ფალანგთა მოახსენა, —
ბრძანებისა მორჩილი ვართ, მოგახსენეთ ესე ჩვენა;
თქუენის უკეთ ვერეინ იცის, რასაც ბრძანებთ ახლა თქუენა,
და თუ შეგვიწყოს, შეურიგდეთ, — ზააქ ბრძანა ტბილად ენა:
- 471 თემი, ქუეყანა შუაზედ გაუყუთ ნახევარაა.
ერთი მას მივსცეთ, ერთი ჩვენ, შუა ჩაუგდოთ მზღვარია:
ასრე გავრიგდეთ, დავჭრდეთ, ესე მთა, ანუ ბარია,
და ყოელთა იამა პასუხი, მათ დაემოწმა ქარია.

აქა ზააქისაგან აბულეარი ზანგის მოსელის ცნობა
და დიდად სიამე

- 472 ზაქს უამბეს ამაზედ ამბავი გასახარია:
აბულეარ ზანგი საშველად მოვარო მკლავმ[ა]გარია;
ასი ათასი ზანგნი და შამისა ახლავს ქარია,
და ამ ორს დღეს მოგესწრობისო უსწორო სფადარია.
- 473 ასრე იტყუიან, არ არის ხმელზედა მისი სწორია,
ფალანგნი და ძლიერი არა სჩანს დეუი ორია;
მალალი, დიდი, ბეჭფართო, მთა იყოს, გინდა გორია,
და იმას ვერავინ დაუდგამს ახლოს და ვერცა შორია.
- 474 ზაქს ესმა, სიამითა იგ აყვავდა ვარდი ვითა,
მოითხოვდა სანუკარსა, დოსტაქანსა დალუევს სმითა;
თავადები ნადიმობდენ, დაიბანგენ ღვინის ზმითა,
და ამ წესითა ლხინი ნახეს, თავითა [და] მათის ყმითა.

¹ მისისა.

აქა ომი ქარიმანისა და ყარმანისა

- 475 სანაშდის მოესწრებოდა მათ აბულვარი ზა[ნ]გია,
ამთოილ ომი შეიქნა ერთმანერთში და თანგია;
ფრილონ ზის თეთრსა პილოსა, ტავე-საყურითა¹ კარგია,
და თავსა ეხურა გვირგვინი, არა თუ ჰკიდაეს ჯანგია.
- 476 მერმე ზააქ პილოს შექდა ტავეითა² და გვირგვინითა,
ჰკრეს საომარს სპილენძ-ჰურთა, სინჯთა ხმაა გვირგვინითა;
ნაღარა და ზამბულური, ვით შავი ზღვა, მოგრგვინითა,
და ფალავანი იძახიან, იქით-აქით მობრღვენიითა.
- 477 არს კივილი მეტად დიდი, ჯერეთ არვინ გავარდისა,
ქეუქავის და რაზმთა წყობა, იქით-აქით ნავარდისა;
გავს თუ მოსკდა ალბუზის მთა, გილანს ზღვაში ჩავარდისა,
და მუნ აერი სისხლსა წვიმდეს, მტვერი ცამდის ავარდისა.
- 478 მზე დაბნელდა მტვერისაგან, კაცი კაცსა ვერ ხედვიდა,
რაზმი გარე ექანების, ვით შავი ზღვა, მოღელვიდა;
ჯაბანთა და ხრთალთა გული გასკდა, გარე გამოვიდა.
და ფრილონს უძღვის ქაინ დროშა, ბედნიერი წამოვიდა.
- 479 საომარს ადგილს ქარიმან მაიდანს ფალავანია,
ბეჭფართო, ქანგ-გამახული, არვისა აქუს ფარვანია.
მან მძიმე ლახტი აიღო, წამოდგა არავანია,
და გავს რკინის კოშქსა მაღალსა, გარ ევლოს გალავანია.
- 480 რა ნახა ლომან ქარიმან ყარმან მაიდანს რებული,
ეტლი მბრუნავი მოუხდა, ვით ვეფხი გამეხებული;
მას ლახტი დაჰკრა ამაყმა, თვით იყო სახელდებული,
და მანცა გარდმოჰკრა, იომის, იგი ორნივე ქებული.
- 481 მათ იომეს ბინდამდისი, დღე და ღამე არის სწორა,
ყარმან დაჰკრა მძიმე ლახტი, ფმირმა თავი მოაშორა,
თავსა დასცდა, მხარსა ეცა დანაცდენი, ვითა გორა,
და მას მოსტება მარცხნით მჟარი, ლამის საქმე გა[ა]სწორა.
- 482 ქარიმანს მხარი მოსტება, იყო ყარმანა ქუელია,
ღვლაქნა დაიწყო, ემწვავა. მძიმეს ლახტს მიჰყო კელია,
რადად უეუჰკრა, მოსტება თეზო, ველარსით მელელია;
და თეძო და ბაყვი დაღეწა, არც ერთი ქონდა მრთელია.
- 483 სრულ დაემსხვრა ორივე ასო, მძიმე ლახტი დაეცა და,
რაზმი რაზმსა შე[ე]ტაკის, ლომსა ომი დაეცადა;
გა[ა]რისხეს მოწყალემა, ვინცა სუფევეს დაე, ცადა,
და ერთმანერთსა ვერ ნახვიდა, ვერცა ძმა და დაეცადა.

¹ ტავე-საყურითა. ² ტავეითა.

- 484 შეიქნა კრძალთა ელვანი, აბჯართა ცემა არისა, კვილ-ზახილი, ხრიალი და შეტაკება ჭარისა, კრძლითა, ლახტითა, შუბითა გასწყუილეს, ჭარი მკულდარისა, და თავადნი დაღმა ცვიოდა, კმა ისმის ზათქი-ზარისა.
- 485 არსით არ ზოგეს, ცვიოდენ, სცემდენ, ლაწი და ტკაცია; ორთავე რაზმშიდ დახოცეს, ოცდათ ათასი კაცია, ზოგნი ძეს ჩამოგდებული, კუნენის და კრძალსა აცვია, და დაღამებამდის იომეს, გასწყუილეს კარგ-მამაცია.
- 486 რა დაღამდა, გაიყარნეს, მათ-მათს სადგომს თავის წინა, ექუსა თვესა არ ერჩოდენ, ორნივე იყუნეს თავითვინა. ქარიშან და ყარმან ვიჩე არ დამრთელდენ, იყუნეს შინა; და ამაზედა ზა[ა]ქს წინა მახარობელს მოერბინა:
- 487 აბულვარი მოვიდაო, ზანსა დია არ დაზმითა, ას ათასი ზაგუბრელი ზანგი ახლავს დარაზმითა; ზა[ა]ქ წინა მიეგება, ხანსა დია არ დაზმითა, და დაინახა აბულვარმა, ცხენს ჩამოხდა კაის ზნითა.
- 488 დალოცა და ზააქს წინა პირი მიწად გა[ა]ერთა, აქათ ზააქ გარდამოხდა, მოეხვია ტანსა მცნეთა. ჰკრეს ჭოსსა და ნალარასა, იქცეოდენ ამა ზნეთა, და ფრიდონს უთხრეს მისი მოსვლა, მოსიხსლეთა ამა მტერთა.
- 489 თქუეს: აბ[უ]ლვარსა ახლავსო ასი ათასი კაცია, ორმოცი პილო მოჰყავსო, მას ტანს ზეაფთანნი აცვია: შვიდი დოლაბი მოაქუსო, ვინ დასძრავს, იგ მამაცია, და პილოთა მოაქუს, მაგრამე წელთ მოაქუს ტყუა-ტყაცია.
- 490 ხუთ-ხუთი თითო დოლაბი ათასი ლიტრა არისა; მექუსე ექუსი ათასი, იგ სასროლია ჭარითა, მეშვიდე შვიდი ათასი, საზიდად დია კმარისა, და იგ დახვერტილი ყუელი და მოსადგამი ტარისა.
- 491 ფრიდონს რა ესმა, ეწყინა, მეტადრე დანაღვლიანდა; ქარიშან ჰკადრა: ნუ სკმუნავ, მას აღრე, არა გვიანდა, ღმრთითა უკეთ მაქუს ეს კელი, იმათსა სისხლსა ღვრიანდა, და ასრე დაეხადო¹ ისინი. ფეხთ ქუეშე მოგივლიანდა.
- 492 ცხენტა შეუსხდეთ, ვისეიროთ, ვეზირობით შეუქნათ ზმანი, მეფემ ჰრძანა: დაჰკახშეთო, მოიუბნეს, მოდგეს ყმანი. მოაყენეს ბედაურნი, არ გატულდა სიტყუის თქმანი, და ტახტიდაღმა ჩამოვიდა, ცხენტა შესხდენ, ვითა ძმანი.
- 493 მაღლა ავიდა², დახედეს, ნახეს ლაშქარი მდგომარე. მეტად ედიდათ, რა ნახეს ლაშქარი მოუზომარე,

¹ დაეხადო. ² ევიდა.

პილოთ ეკიდათ გურზები, არავინ იყო მსხდომარე.
და ჩამოხდესა და უპერეტლეს. სრულად დაფარეს რომ არე.

- 494 მათ დადგეს ფერად-ფერადი კარვები ფერადიანი,
აბულვარისა გიაშბო: მას ვინ შეკადროს ზიანი,
თითები ძელსა ნამორსა უგავს, ტანი აქუს მთიანი,
და ას ოცი წყრთა აქუს სიმაღლე, ტ[ა]ნსაო, ჭავთიანი.
- 495 თაგი გუმბადსა მიუგავს, ვითა მაღალი ქე არი;
ზა[ა]ქს წინ სელი ოქროსა დაუდგეს, დაჭდა, მკნე არი.
უჩივლა ზაქ აბულვარს: ქარიშხან, ვითა მზე არი,
და რაც ეყო მისსა ჭარზედა, სისხლისა ექნა რიარი.
- 496 ზანგმა ჰკადრა: კარგად ვეცი, მამა მისსა ვიცნობდიან,
კარგად შეშინაუროდა, მე გვაჭასპირ იყოლიან,
ეს არ ვიცი, როგორია, ქებას ყოველი იტყოდიან,
და აწ გამოვსკდი დოლაბითა. ვნახოთ. თუ რას იქმოდინ!
- 497 მათ მოციქული ფრიდონთან გაგზანეს, კარგათ ზრდილია,
შესთვალა: ეისით ომობდით, მანდ გყავს მხარმოტეხილი[ა].
საყურად გიცი. აღარას გარგებს. იცი, რა სარგებელია,
და ესე სჯობს, რომე შევიწყოთ. პასუხი მინდა მრთელა!
- 498 შუა გავიყოთ ქუეყანა. რაც იყოს ჩვენი მზღვარიო,
თქუენც ნახეუარა დააჭერდი, ისმინე საუბარიო!
ორთავ გვეყოფის, რაც არი, მთა იყოს, გინდა ბარი .
და ეს დაავედრეს, გაუშვეს, ისმენდა ორივე ჭარიო.
- 499 რა შივიდა მოციქული კელმწიფესა ფრადონს წინა,
წიგნი ნახა, შარიარმა ზაქისაგან მოისმინა;
მან დახია ფიცხლა წიგნი მოციქული აამჩივნა,
და მუქარობა შეუთვალა, გააფრინა, გა[ა]რბინა.
- 500 ზააქს მიართვეს აშბავი ფრიდონის დანაბარები,
ეწუინა, გულსა და[ე]სო ლახვარი გასამწარები;
ხელისა ომი და[ა]სკუნეს, არ მათგან გასახარები,
და გათენდა, კმელთა ეფინა ყირმიზად ვარდი, დარები.
- 501 ჰკრეს ქოსსა და ნადარასა, პირველ ყარან გამოვარდა,
ღარიბია ყარმანის ძმა, ისიც კარგა შემოვარდა;
ფიცხლა ცხენი გა[ა]ქენა, მოუხდა და ზედ მოვარდა,
და ერთმანერთსა შუბი შესცეს, არცა ერთი ჩამოვარდა.
- 502 ღარიბია ყარმანის ძმამ მათვე ცხენი გამოავდო,
ქავის შვილსა რუმაბი ჰკრა, ყარან, ცხენით ჩამოავდო;
კულავ მეორედ ულამოდა, თქუა თუ, სრ[უ]ლად ამოავდო,
და რა ქარიშხან ასრე ნახა, მძივე ლახტი წამოავდო.
- 503 დაიძახა ფალაენმა, გუანდა ვახდა ცათა ფრენა,
ყარმანის ძმას თვალი მისკე დარჩა, უქობს გარდახეწა,

თავსა დაპკრა შიშივე ლახტი, დიუძახა: წახვალ ვერ წა!
და თავი, ტანი, უნაგირი ცხენ-კაციუერთ დაილევწა.

- 504 რა ყარმან ნახა სიყუდილი ლარიზი ძმისა მისისა,
საყულო გარდაიხია, პირი შე [ე]ქნა მქისისა.
მისნი ლაშკარი იყემენ თავსა და პირსა ის-ისა,
და ასი ათასი კაცი ჰყუა ყარმანის, არა სხვისისა.
- 505 ყარმან ინება: შეუებში, ქარიმანს მიყო კელია:
აბულვარ უთხრა: მაკალე, მე ვიყო მასზედ მვლელია,
გეყოფის, რაცა ომი ქენ, ან იყავ რასი მქნელია,
და ახალი დაკოდელი ქარ, ფეხი არა გაქუს მრთელია.
- 506 მე შეუებში იმა კაცსა, ფალავანი როგორია,
ანუ თუა ჩემი სწორი იგი უსაზომარია;
ყარმან დია დაუჭერა, სიტყუა უთხრა, რომ ორია;
და იგი შეჭდა პილოზედა, დიდი მთისა ნაგორია.
- 507 აბულვარ მინდორს გამოდგა, პილოსა ზედა მჭდომია,
ას ოცი ადლი სიმალლე ქონდა, მაიდანს მდგომია.
სწორია ის და ქარიმან, მათ ვინ დაპკიდოს ომია,
და გავს მათთან ლახტმან დანაყოლ მაღალი ცისა ზომია.

აქა აბულვარი ზანგისა და ქარიმანის დოლაბებით გამოცდა

- 508 ქარიმან ნახა, უკუირდა მისი სიდიდე, ქუელობა,
აბულვარს მისი უკუირდა, ფალავნობა და ქუელობა;
სალამი მისცა ქარიმანს, გულამოდ უნდა ფერობა,
და თქუა: სალამ ალექ სფაადო, თუცა არ მინდა მტერობა.
- 509 ვითა ხარ და ვითა სუფევე, ფალავანო თქუენი თქვია!
ქარიმან თქუა: ომი გინდა, სალიმ ალექ რასა ქვია.
სად გცალიან სასალამოდ, თქუენი ვერა შემიტყუია.
და საომარად წამოესულვარ, თავი მისთვის მიმინდვია.
- 510 ჩემი ლხინი ომი არის და კანჯრისა ნადირობა;
თქუენ საომრად არც ერთი ხართ, მოგდომიათ ნადიმობა,
ანუ ლხინი, ნადიმობა, არ თუ ცუდი პატიმრობა.
და რა შიგან ქართ, არა ვიცი, მომწონს თქუენი გაზრდილობა!
- 511 მერმელა უთხრა აბულვარ ქარიმანს პირად მზინანსა:
კარგათ ვიცნობდი მამაშენს, გვაქასპირს დავლათიანსა,
ჩვენ ვეწყობოდით ერთმანერთს, ვითა ვარდსა და იანსა,
და მრავალსა შეუქექუოდით ლხინსა და თამაშინსა.
- 512 ფალავნობა და ომები ორთავ მრავალი ვქენითა;
ვართ მონახული მეტადრე, არ თუ ვიყუენით რკენითა,
ვიყუენით გულთ მოყუარე, არ ერთმანერთის წყენითა,
და აწ დამიჭერე, რაც გითხრა, ჩვენც აგრე შევიწყუენითა.

- 513 მისთვის მეწყალეი საკუდავად, არ მინდა სისხლთა დენანი,
წამოდი ზა[ა]ქს წინაშე, შენთვის ვაუბნო ენანი;
მოვაცემინო მამული, ოვ არის ყოვლთა ზენანი,
და ფალავანთ უხუცესობა, ლაშქართა, ესე ყუელანი.
- 514 მიგიყვან, კელსა აკოცე, მას კელმწიფესა მდიდარსა,
მოვაცემინებ მამულსა, ოქროსა განაზიდარსა;
თუ შესისხლობას იგონებ, მისი მებრძოლი ვინ არსა!
და შენ, რაცა გწად[დ]ეს, იგი ქენ, არა ვარ მოსაწყინარსა.
- 515 ომი გინდა, პატრონი ხარ, აქ გახლავარ პილოს მქდომი,
მე გიჩვენო გულოვანთა ფალავანთა ჩემი ომი,
პილო ანუ ნი[ა]ნგები ვერ მომრჩების ფეხზე მდგომი,
და ჩემი არათ არა მშურან, მითხარი, ხართ რისა მდომი?!
- 516 აწ ერთი სახერხიანო და საფალავანო ქუანია,
მაქუს დოლაბი და მოვილო, ივ სათამაშოდ კმანია,
ქულაღ იმითი შეუექცეთ, გვიპერეტდეს ორთავ ყმანია.
და ეს და[ა]თავა პასუხი, ქარიმან ისმენს ჯანია.
- 517 ქარიმან თქუა, თუ: მიბრძანებ ზაქისა შესაწყოსა,
სხვა გამოცდა რაცა გწადდეს, გაგიდრეკები არა როსა:
ამაღამე ლხინი ვნახოთ, ულოდინოთ რაღა დრო!..ა.
და ხვალ გიჩვენო, გულოვანო, ჩავარდები საზაროსა!
- 518 გიჩვენო ჩემი ძალგული და ჩემი ჰანგმანხვილობა,
გულოვანთ ფალავანობა, სიქუელე, არა რბილობა.
მოაღებინეთ დოლაბნი, არა ექნა ცუდად წბილობა,
და ამალამ აქა დაპყარეთ, ისმინე ჩემგან წვრთილობა!
- 519 გათენდეს, ბრჭლინავმან მზემან საწუთრო და[ა]შვენოსა,
აქა მოვიდეთ ორნივე, ადგილსა გასამჩვენოსა.
ბრძანა მოღება დოლაბთა, აბულვარ მას აჩვენოსა,
და პილოებთ მოაღებინა, ივ ვერვინ შეაჩვენოსა.
- 520 ოთხი თვითო ათასისა ლიტრის წონა თვითო იყო,
ერთი — ხუთი ათასისა, ერთი ექუსის — ჩამოილო:
ერთი შვიდი ათასისა, პილომ ძლივას წ[ა]მოილო,
და მაიდანსა ჩამოხადეს, მზემან თავი ძირს[ა] მიყო.
- 521 ღრიანკელს პირსა ჩავარდა, მზე კმელთა მიეფარაო,
შავის პერანგით სამყარო შემოსა გარის-გარაო,
მოჰფინა ფარდა შავერი, ქუეყანა შეაზარაო,
და ქარიმან მისის ლაშქრითა, წავიდა არ ეზარაო.
- 522 აბულვარი იქით მიეა, საღ ზა[ა]ქ და მისი ჯარი, —
მას ღამესა გაიყარნეს, იგი ლომნი გარის-გარი,
გათენდა და მზემ საწუთრო და[ა]შვენა ყოვლი არი,
და კირჩხიბისა ჰანგისაგან გამოვიდა, დასცა დარი.

- 523 მან მოაფინა კმელზედა ყირმიზი ვალა ფენადო,
დახია შავი ფარდაგი, გუმბადს აბაღლდა მშვენადო.
მერმე ჰკრეს ქოსთა, საჯრავთა, სტვირთა ხმა ისმის ძნელადო,
და ზროხის კულსაცა შებერეს, ნაღარას სცემენ სმენადო.
- 524 ზამბულურთა, სპილენძ-ქურთა, სინჯთა კმანჩი ისმოდისა,
ფრიდონისა მეფის ტახტი, იქ შოიდანს იღვმოღისა;
დადგეს შუას მინდორშიდა, დიდი ჯარი იქ მოდგოსა,
და მახედ დაჟდა ფრიდონ¹ მეფე, რაზმი რაზმზე მუნ მოღისა.
- 525 მარჯენით იღვა ქაინ ღროშა, ბედნიერი ამართიან,
მას წინ ზააქისა ტახტი, ცალკე იმათ გამართიან;
მაზედ დაჟდა ვეშპიანი, იგ წყუელი წარმართიან,
და თვალი ანუ მარგალიტი, მეტად ბუერი ტახტსა სხდიან,
- 526 მეღროშემ ღროშა აპართა ზა[ა]ქის გვერდსა წინარე,
მარჯენით გვერდსა უმართა, მოვიდა ვინცა ვინ არე;
ალყად მოადგენ მჭერეტელი, ვით არაუანი მდინარე,
და მუნ აბულვარი მოვიდა ომისა მოუწყინარე.
- 527 მოიღო ორი დოლაბი, ათას-ათასის — წონაო.
თვითო თვითოს კელთ ეჭირა, არ დია შე[ე]ლონაო,
მან აღმა გდება დაუწყო, ყოვლთ თავი მოაწონაო,
და ერთი ერთს კელსა გარღვიღო, ეს არვის მოეგონაო.
- 528 მარჯენათა განატყორცსა, მარცხენითა დაიჭერდა,
აგრე მარცხით გამოაგდის, მარჯენის კელით გაიჭერდა,
ყუელაქანი გააყურა, აქანამდის არეინ სჯერდა.
და ამ წესითა იქცეოდა, იცინობდა, ვინცა მხერდა.
- 529 ასი წყრთა აღმა ააგდის, მან არას გაიჭირისა,
კელს მიუშვერდეს ცალ-ცალსა, ბურთსავით² დაიჭირისა;
მას უკან განსა გასტყორცნის, სათურგნოს გაუჭირისა,
და მეორე უკან წასწვის³, მნახავნი გააკვირისა.
- 530 მერმე წავიდა, ორივე მოიღო იმაე არესა,
ქარიმან კელთა მიუხენა, არა გავს განამწარესა;
გდება დაუწყო ქარიმან, არ დია შეეზარესა,
და აღმაცა უფრო ა[ა]გდის, განსაცა უფრო შორესა.
- 531 ორი იმდონი გა[ა]გდის, ქარიმან ლოდი ორია,
მერმე ისევე მოიღო, აბულვარ მიძყო ტორია;
ერთით ერთს მკლაფსა მოიკვა, მეორეს ორივე სწორია,
და ორთავე მკრებზედა ზედ ეცვა დოლაბნი, ვითა გორია
- 532 მეორე ყელს ჩამოიკვა ლოდი უებრო მღებარე,
ერთს სათურგნოსა წაიღო, არიან მისი მქებარე,

¹ ფრიდონ. ² ბრთსავით. ³ წასწვის.

იქვე მოილო, სხვა მათთან თავს წამოიცივა კლდე ბარე,
და ოთხნივე იმდონს ალაგსა წაიღო მალლა ზე ბარე.

- 533 მობრუნდა, იქვე მოილო, ადვილად მისსა ნებასა,
ქარიმანს წინა დაუხენა, იქმოდა მისსა კლებასა;
მანცა ქნა ამა წესითა, ჭერ უფრო არ იქს კლებასა,
და მოილო, იქვე დაიწყო, ვერ ვიტყუი ძალთა მცრებასა.
- 534 კულავე მოილო დოლაბები, აბულვარი გაემართა,
ერთი ხუთი ათასისა, ერთი ექუსის მოემართა;
თვითო თვითო მხარსა ეცვა, ამაზედა წაემართა,
და მალლა მცრები აიშვირნა, ვით ქანდარი აემართა.
- 535 მას უკან მისცა ქარიმანს, უმზერდა ჭარი ყუელანი,
მანცა ქნა დაუღონებლად, ფიცხლა მიაპყრო¹ კელანი,
პირადმა დაწვა აბულვარ, არ ვისი უნდა შევლანი,
და შვიდი ათასის ლიტრისა. — დოლაბნი მეტად ძნელანი, —
- 536 გულზედა შემოიგორა ლოდი უებზო მდიდარი,
ასწიენა, მკარსა შეიღვა, არ ოქრო განაზიდარი;
აგრე ქარიმან აიღო, მაზედ არ იყო მშვიდარი,
და ყოვლით ამეტა ქარიმან იმისა განაკიდარი.
- 537 ყოვლნი დაკუიორდეს, რა ნახეს ქარიმანისგან ქმნულია,
აიყარნეს და წავიდეს სადგომად წამოსულია;
მას ღამე მეტი არა ქნეს, პირველად აქ მოსულია
და ვინცა დასძლევსო, იტყუიან, ბრძენთაგან გამოთქმულია.
- 538 გათენდა, ლაქვარდის ფერსა ცასა სინათლე ეცა და,
ეარსკულავსა მტერად შე[ე]ქნა, არც ეძმო, არცა ეცადა;
ღრიანკელს პირსა დაეხსნა, ადრე მოურჩა, ეცადა,
და მალლა გუმბადსა ამაღლდა, იგ რა ავიდა², ე, ცადა.
- 539 წითლად შეენოდა ყოველი, იხილა ახლა თვალმანო,
ქმელთა ყირმიზი პერანგი ჩააცვა მზემან ლალმანო;
დახია შავი ფარდაგი, აჯობა მისმან ძალმანო,
და სრულ დანთქა ცვარი კორდისა, ვითა ცეცხლისა აღმანო.
- 540 უკრეს ქოსს და ნაღარასა, სპილენძ-ქური მალლა ხმოპდა,
ორგნით რაზმი გა[ა]წყუიან, სიცოცხლესა ვინ აზრობდა;
თეთრი პილო მოიყუანეს, შუას რაზმში გააწყობდა,
და მაზედ დაჭდა ფრიდონ მეფე, მისსა მბრძოლსა და[ა]მხოზდა.
- 541 პილოზედა ტახტსა იჭდა ტაყ-საყურით³, გვირგვინითა,
რაზმი აწყო, აშაქ სარდლობს, მიწა თრთოდა ზიზინითა;
მარჯვნივ იდგის ქა[ა]ე, ყარან, ნაფირია ჭიკუინითა,
და მარცხნივ აშაქ, ყუზად იდგის, რაზმი მოღვა გვიგინითა.

¹ მიაპყრო. ² ევიდა. ³ ტყავ-საყურით.

- 542 შუაზედა პილო, ტახტი და კელმწიფე ფრილონ ზიან, ქავის დროშა მეფის წინა მოიღეს და ამართიან; რაზმთა წინა ქარიზან დგას, მისსა მბრძოლსა თავსა სჭირან; და აგრე ზააქ თეთრის პილოთ დაერაზმა, გამოდგინან.
- 543 მარჯვნივ უდგა აბულვარი, ზანგუბრელი მასთან დგისა, გვანდა კლდეა შეჭურვილი, უმაღლეა დიდის მთისა; მარცხნივ მხარსა ყარმან იდგა, რაზმი რაზმზედ წამოდგისა, და გვანდენ ზღვასა მღელვარესა, პირთა ქაფი გამოსდისა.
- 544 საომარს ადგილს მოვიდა ქარიზან ფალავანია, თავზედა შუბსა ივლებდა ამაყი, ძალოვანია, გამამაგებელი საომრად ქარი, ვით გალავანია, და გავს ცეცხლი სც[ვი]ვის პირთაგან, უებრო, არავანია.
- 545 აბულვარმა ზანგმა ნახა, ზააქისკე წამოვიდა, პირი მიწას გაუერთა, მას წინაშე რა მოვიდა; ლომმან ქანგი გაიმახვა, ფალაურად გამოვიდა, და შუბი, რკმალი მოიმაგრა, სამესისხლოთ ჩამოვიდა.
- 546 მძიმე ლახტი მქარსა ედგა, საგდებელი უკუეცვა; პილოს შეყდა ჭავშანსრული, ფალავანი არა მხნეცა, მან ქნა პირი მა[ი]დნისკე, დაუმარცხდა მისსა ბედსცა, და მუნ ქარიზან ფალავანმა მოიხსენა მა[ლ]ლა ზეცა.

აქა ქარიზან ფალავანისა და აბულვარი ზანგის ომი

- 547 მათ შესძახეს ერთმანერთსა, გვანდა იყო ცაჲ ფრეწა, ზუფი შესცეს, ორთავ ძალით შეამსხვრიეს, დაილეწა. ეერა აენეს მათ ლომ-კაცთა, არცა ხორცი აეხეწა, და იომოდენ გულ-უშიშრად, არც ერთს უნდა გარდახეწა.
- 548 აბულვარი პილოდამა გარდადმოხტა, რაზმი ფრიწა, ორთავ ლახტი დაიწვადეს, გავს თუ იძრა ცა და მიწა. დაუშინეს ერთმანერთსა, მათ აბჯარი დაეფრიწა. და ას ორმოცდაათი ლახტი, თვითოს ეცა არ თუ მიწვა.
- 549 მერმე ლახტები გაჰყარეს, კრმლებსა გაიკრეს კელია, იმითი იცემოდინან, ორივე სისხლთა მღვრელია; იგ კრმლები აღმასის ფერი დაღეწეს ორთავ მრთელია, და იარაღები აღარც ერთს არ ჰქონდა, რა სათქმელია.
- 550 ასრე დახდენ ცემისაგან, ორნივე ლილად გარდაიქცა, საგდებლები მოიმარჯვეს, არცა ერთი არ გაიქცა; მათ ზურგები შეაქციეს, თვალ-ფარულად შემოიქცა, და ვითა ეტლი შემობრუნდნენ, მათი პირი კულავ მოიქცა.
- 551 ლომმან ქარიზან შესტყორცა ლომის ტყავისა ღველია, თავს გარდა[ა]ცვა აბულვარს, ამოსვა კისრის ქელია;

ზანგმაც ესროლა, ქარიშხან ახსენა შემოქმედია,
და მანც გარდააცვა და მანცა, არც ერთს წაექცა ბედია.

552 ადგეს, სწეუენ ერთმანერთსა, მათი ოფლი ღვარად მივა,
იძახენ და იზევიან, ენთებიან, ვითა თივა.
მოეხვიენეს ორიე რაზმი, ვითა ჭელვა შემოსდივა.
და მათი ხენეშა ქუხილსა გავს, მათსა ომსა არეინ ჩივა.

553 შეიქნა შემოკვიელი, ხრიალი მოსაწევარი,
ვერც ერთმან ვერ მიითრია, იგ ერთმანერთის მზევარი;
ლაშქრის იზევებოდენ, დახდენ, მართ ვითა მწევარი,
და ეერა რომელმან აჯობა, იყუიან სისხლთა მზღვევარი.

554 ვითა ლომ[მ]ან ლეკუ-წაგვრილმა, იგ კორდებსა დაფრწდესა,
მულეზბაძის ესობოდენ, ვითა ღელე დაგლეჭდესა;
თავსა მიწა გარდიყარეს, ფორჩხინთ ფრჩხილი დაღეწდესა.
და სრულ დათხარეს იგ მინდორი, ვითა ლილა დალურჭდესა.

556 დაიძახა ფალავანმა, გავს გაიპო კლდენი მყარი,
გაუწყუიდა აბულვარსა ლომის ტყავი მოსახმარი;
მანც გაწყუიდა ქარიშხანის, და უმზერდა ორი ჭარი,
და ორნიე პირქუე წამოიქცა და გაუშვეს დიდი ძგარი.

558 გავს წამოიქცა დიდი მთა, ანუ კლდე, სალი მყარია,
ორივე რაზმი შეირყა, ასეთი გახდათ ძგარია;
დაუტრეს ქოსთა, დაბდაბთა, მოასკდა სულად ქარია,
და ქაისა დროშა ამართეს, ის ბედნიერი ტარია.

557 რაზმი რაზმზედა მოატყდა, შუბისა მოღვა ტვერია;
ახტათა ხვივილისაგან შეიქნა მოსაწევრია;
ხრთალი, ჭაბანი, ცუდმანდი, შიშმან დახეთქა ბეურია,
და საწუთრო კუპარად გარდიქცა, დაბნელდა ცის აერია.

558 ლაშკარისა სიმძიმითა სრულ იძროდა მთა და გორი,
მტვერი ასტყდა, ცათა ეცა, იგ ღრუბელთა შესასწორი;
მზეს აღარ აქუს ეღვარება, ახლოს იყოს, თუნდა შორი,
და შავსა ზანგსა დაემგზავსა, მას სინათლე არ აქუს სწორი.

559 თვალნი წაუხდათ, ფრინველი აერთა დაღმა ცვიოდა,
კაცთა თავ-პირი რიყე ვით დაუხდათ, ყოვლნი ჩიოდა;
ზღვის ნიანგსავით დაფიცდენ, ლაშკართა დასი ყიოდა,
და ომი შეიქნა ფიცხელი, სისხლ[ი]სა ღვარი დიოდა.

560 წინ მოვიდენ მეომარნი, ფალავანნი შუბებითა,
დაეჩარნეს ერთმანერთსა, ტკარციალა დიდის კმითა,
ლახტით, აფთით, ანუ ტუკით, იცემიან ბასრის კრმლითა,
და არის ქშენა, აპა, უპი, ყურთა სმენა აღარ-მითა.

561 შუბისა, კრმლისა ნალეწი აერთა დაღმა ჰყრიანო,
სისხლმან ხანდაკი გაჰქუეთა, თავადთა თავსა სჭრიანო;

ცხენთ ფერკთა ქუეშე ცვიოდენ, ერთმანერთს ჩამოყრიანო,
და თაი ტანს სალამს უგზავნის, ჩამოხსნა რასა ქუიანო!

- 562 მკუდრისაგან გზანი შეიკრა, პყრია, მართ ვითა ბანგია,
სისხლს ველარავინ გავიდის, მუნით იბრძოდა ზანგია;
კაცის თაე-ფეხი მოქონდა, ღლე იყო არა კარგია.
და მტვერმან აერი და[ა]ვსო. მზე გახდა, ვითა მანგია.
- 563 სილაპითა გაიყარენ, იქით-აქით დაბარგდენა,
ფრიდონ ლოც[ა]ეს ფალავანსა, მისსა კარსა დასჯარდენა;
გმირმა მადლი გარდიხადა. გვერდს იახლა მრავალ ღლენა,
და იგ შემოსა კელმწიფემა, სახელმწიფო მიართვენა.
- 564 ქარიზან მადლსა იხდიდა, თქუა ქება აბულგარისა,
იმისი ძალი ეყოფის, მეთმართ ღეუთა კმარისა,
ზააქ თქუა, მოსა აბულგარ, კელმწიფეთ წესი არისა,
და იმანცა მადლი შეჰკადრა, იღვა სიმრავლე ჯარისა.
- 565 ზანგმა თქუა: ომი რას ძალუც ქარიზან ლომთა ლომისა,
მბრუნავის ეტლის ომი სჯობს, იმას ვინ შე[ე]ზომისა;
გაფიცილდეს გაშმაგებული, იგი მოქმედი ომისა,
და ხვალ გამოვსცადო კიდევე, და[მ]მსხვრევი ცისა ხომისა.
- 566 თუ მოვერევი, დამრჩების მეფობა სრულად კმელისა,
ის მომერევის, ბრძანება მოწყალის ამას ელისა,
ჩემზედ საწუთრო შემოკლდეს, ღლე მიმეფაროს ბნელისა,
და რალასაცა იქთ უჩემოდ, ღონე მოგინდეს შველისა.
- 567 გათენდა და საწუთროსა მოაფინა მისი ერი,
ზედ ამაღლდა გუბადზედა, გამოუშვა სხივთა ფერი;
ჰკრეს ქოსსა და ნალარასა, გამოვიდა ღია მტვერი,
და გამოიღეს მძიმე ტახტი ფრიდონ მეფის შესაფერი.
- 568 დადგეს მაიდანს შუასა, მოდგა ლაშკართა ტყე ველად,
ზედ დაქდა ფრიდონ კელმწიფე, მამისა სისხლთა მზღვე[ვე]ლად;
აგრევე ზააქს დაუდგეს, სხლის მარგალიტი ფრქვეველად.
და ჭიმშედის იყო პირველად აღმასით დაულეველად.
- 569 ახლოს დადგეს იგი ტახტი, ფრიდონისა პირისპირსა,
ზააქ დაქდა მოკაზმული, უკვირიდინ ყვიროსტეირსა;
სრულ ლაშკარი ალუად მოდგა, მაშინ ომსა ვინცა ღირსა,
და დროშას გარე მოხევიენეს, ცას უმძიმდა, ეტლი ტირსა.
- 570 წინათ გამოდგა ქარიზან, იგი მებრძოლთა ბადენი,
იქი ფარულად და ცქვიტად ტანისამოსის მზადენი;
კალთანი მო[ი]კალთავა, მტერი მოშალა რა[მ]დენი!
და ჰანგამახული მოვიდა, მტერთა სისხლისა მადენი.
- 571 პირი უგავს ყირმიზ ვარდსა, ყოვლთა სურდა მათი მზერა,
ელვარება ვარსკულავემსა მის მეტსა იქს ანუ მზე რა;

შავნი თვალნი ანუ წარბნი არის მიღმა მტერზედ მზერა,
და ვერ დაუდგამს სულიერი დაიფიცოს მეფის მზე რა.

- 572 კისრისა ქენჩო ამოსეა, დაწვი — ლალი გამოსქვირდა,
ტანს ვარაზი წამოისხა, მას მეზრძოლი არა ჰკუირდა;
იგ სარკენლად რა მოვიდა, კელმწიფესა წინ წავიდა,
და მას წინ ღმერთი მოიხსენა, პირ-დამხოებით შემოვიდა.
- 573 მეფემ დალოცა: გადიდოს მაღალმან ყოვლის მპყრობელმან,
მზისა და მთვარის, ვარსკულაეთა, საწუთროს მამაგრებელმან,
მბრუნავიმე ეტლი მივიძღვის, გაჯობოს, ვერა რომელმან;
და გვარ-ბედნიერო, ნიადაგ დაგიცოს ზეშთა მფლობელმან!
- 574 ფალავანთ ზურგო, იხარებს შენგან სამეფო ესია,
ტახტი, გვირგვინი დამაგრდა, ყოველი შენგან დღესია!
ქარიმან მაღლი შეჰკადრა, ვით ყოვლთა უზეშთესია,
და შუაგულს მინდორს მოვიდა, ვერეისგან დანაკუნესია.
- 575 უძრავად იდგა საომრად, იგი ალვისა ქენია,
აგრე აბულვარ ზა[ა]ქს წინ მიღვა რაზომცა მკენია;
ამ წესით გამოესალმა, ვით იყო ზენთა ზენია,
და დალოცა მანცა აბულვარ, ეტყობის სიფიცხენია.

აქა მეორე ომი აბულვარი ზანგისა და ქარიმანისა

- 576 ზააქს ორი გველი ასხენ მქართა, ყელი მოედერა,
თვალნი გარე გამოენტო და ენები წაეყარა;
შეუზახეს ერთმანერთსა, არცა ერთი მოეფერა,
და შეუტოვეს ორთა გმირთა, ყოვლთა სურდა მათი მზერა.
- 577 ვითა მთა ეცეს მთაზედა, ეცენ, გაუშვეს ძგერანი,
მათსა ძგერაზედ შეირყა სრულ თურანი და ერანი;
იგ ერთმანერთი დაფრიწეს, სისხლისა მოდის დელანი,
და ხვნეშა ქუხი[ლ]სა უგვანდათ, უმზერდა სრულად ყუელანი.
- 578 სამსა დღესა და ღამესა იჭედენ, სისხლი მისდიან,
შემოსქვირეტს ორიე ლაშქარი, იგ ხანსა არა ზმიდიან;
ღამით და[ა]გზნეს ცეცხლი და ფარანსა მუნ კაზმიდიან,
და მაშხალა სრულ გ[ა]ახშირეს, დვარულად ოფლი მისდიან.
- 579 ორთავ ძალი წაუვიდა, ძვრისა ღონე ადარ იყო,
აბულვარი პირქუე დაწვა, მას ქარიმან კელი მიჰყო;
ვერას ღონით გარდმოიხვნა, დაგრიხა და ვერ გარდილო,
და წოლით ოღნად შეისვენა, ამად თავი არ დაილო.
- 580 წამოიჭრა აბულვარი, ერთი ფეხი დაუჭირა,
ვერა საქმით ვერ და[ა]ძრო, ვერცა საქმე გაუჭირა;
მერმე დაწვა ქარიმანცა, ზანგმა კელი ჩაუჭირა,
და მანცა ეგრე მოისვენა, დაწვი—გარდი გაიჭვირა.

581 კიღებაზედა ზეიდგან აბულეარ მიჰყო ტორია,
გარდმოაქცივა ქარიმან, ვითა მთა, ანუ გორია;
ზედ წამოვარდა, გაფიცხდა, ვითა მწყაზარი ქორია,
და შეიძვერნეს და იქახნეს, იგი ორნივე სწორია.

აქა ქარიმანისაგან აბულეარი ზანგის მოკულა

582 მუნ ქარიმან დაიუფირა, ზანგი არსით გაეყარა,
მარცხნით მქარი, მისი თავი ღლიას ქუეშე გაეყარა;
ასუ ღიღი მოუჭირა, ორივე თვალი წაეყარა,
და ზანგი კბილით წა[ა]ფრინდა, გვერდსა კბილი გაუყარა.

583 სამი წიბო გვერდი მოსჭრა, ზანგი კბილით წა[ა]ფრინდა,
მემ ქარიმან წა[ა]ფრინდა, ზანგსა [ღიღი] სისხლი სდინდა,
კბილი სტაცა, ვითა მგელმა, იმას ჰკვირდა არავინდა.
და სრულ მოსჭამა ყია, ყრონქი, მოკლა, სულთა ამოყრიდა.

584 პირ-სისხლიანი წამოდგა წყნარად და აუქმენადო,
თვალეზი დასწითლებოდა, ფრიდონს წინ ღაღგა შვენადო:
წინ მიეგება კელმწიფე, არა თუ იყო წყენადო,
და ფერხთ მოეხვია ქარიმან, შუქთა მოპფენდა ველადო.

585 პირსა აყოცა მეფემა მას ღომსა, პირად მზიანსა,
მას მიულოცა მშვიდობა, იმა ვარდსა და იანსა;
სრულ ერთობილი ღოცვიდა, ტანსარო, ალვის ხიანსა,
და ყველაკამ კელსა აყოცა, არეინ ეტყოდა ზიანსა.

586 თავსა აყრიდენ წითელსა, იმა მოყმესა მქნესაო.
რა ზა[ა]ქს უთხრეს სიკუდილი, თავსა იცემდა კელსაო;
საყელო გარდაიხ[ი]ეს, მოსთქმიდენ საროს კესაო,
და გლოვია დაიდვა და ყარმან ტიროდა მასთან დღესაო.

587 ზააქ ჰკითხავს ყარმანს: რა ექნათ, ჩვენი საქმე რით იხსნების?
მისი ომი სულდგმულისა კაცისაგან არ იქნების,
ანუ ვითა რასა ბრძანებ, ანუ ჩვენგან რა იაქმების?
და ყარმან უთხრა: მე შეუებში, თუ რამ ღონე დაიდების.

588 რა იცი, რა გაუგია მბრუნავსა ეტლსა რისია.
ან ჩემი თავი დავავდო, ან წამოვილო მისია!
ყარმანისაგან ისმინა, ზააქს ი[ა]მე ისია,
და მისაკემელი უბოძა, იმისი, არა სხვისია.

589 ზანგუბრელთ ასი ათასი მებრძოლი მართ მამაცია,
საყელო გარდაიხიეს, თავსა ლაწი და ტყაცია,
მქარ-ჩახდით, პირსისხლიანი იცემდა ყოველი კაცია;
და მათ დაიხიეს ზანგებთა, ვისცა რამ ტანსა აცვია.

590 თაბუთი შ[ე]კრეს მამიგა, შიგ ჩა[ა]სვენეს მკუდარია,
წაჰყუენ აბაშნი და ზანგნი, ვინცა იმათთან მდგარია-

წა[ა]სვენეს და წავიდენ, ისმის ზათქი და ზარია,
და ზანგნებნი ასი ათასი თან გაპყუა სპათა ქარია.

- 591 გათენდა, ლაქეარდისფერსა ცასა სინათლე მიეცა,
მუნ მზემან თავი ამოყო, კმელთა კრტიალი მიეცა;
შალა გუ[შ]ბაღსა ამალღდა, იგ ეორაა მზეცა,
და გახშირდა ცემა ქოსისა და ნალარათა მიეცა.
- 592 რაზმი აწყუეს, ორთაე ტახტი კელმწიფეთა გამოდგესა,
მათ პირისპირ მოუდგინან, ვითა ტვერი წაჰოდგესა;
ქაეის ღროშა ბედნიერი ფრიდონს გვერდსა მოუდგესა,
და სისხლის ღვარსა აპირებდა, ეტლი ტირდა იმა დღესა.
- 593 საომარს აღვილს ქარიმან მოვიდა ალვის კენია,
დადგა უძრავად ამაყი, ეტყობის სიფიცხენია.
არ ახსოვს რკენა ზანგისა, არ ღია მოუწყენია,
და მას არა შეეტყობოდა მოლაღვა, იყო მკენია.
- 594 თავზედა შუბსა ივლებდა, იგი მუქარის მძახელი.
რა ყარმან ნახა, ზაქს წინ ახსენა ღმრთისა სახელი;
იგიც საომრად მოვიდა ფიცხლა თვალ-დაუფახველი,
და შემოუძახეს ერთმანერთს პასუხი ღია მკახელი.

აქა მეორე ომი ქარიმანისა და ყარმანის

- 595 შეუტოვეს მათ ლომ-კაცთა გულმესისხლედ, უმზერს ყველა,
სრულ დაღეწეს საომარი, შეიჭიდნეს კელდაკელა.
მათ დახიეს ხეაფთანები, მოუნდების ერთსა შეველა,
და ვერცა ერთმან ვერა დასცა, იბრძოდიან ორივე მრთელა.
- 596 ორნივე ასრე დაილაღნეს, ძვრა აღარ აქუთ, ვითა ვირსა,
ქაქეის სარტყლებს ქელი სტაცეს, ვინ იტყოდა მათსა ძვირსა!
მუნ ქარიმან ფალავანმა დაიყვირა გასაჭირსა,
და თავის სწორად ა[ი]ყუანა, ყარმან მისცა ძნელსა ჭირსა.
- 597 მიწასა დასცა, დაემსხვრა მას მოტეხილი ფეხია,
თაფსა წა[ა]წვა ქარიმან, მას არ გაუწყო კერხია;
ყელს უქუსწივა და ყარმანს, გავს, თუ დაეცა მეხია,
და ზანჯრითა თავი მოჰკვეთა, ომშიდა განახლენია.
- 598 რა ნახა მისი სიკუდილი, ზაქ ტახტზედა მჭდარია,
ერთ პირად შემოუტოვეს, ქარიმან იქივე მდგარია;
შემოეხვიეს, მოურთეს, ისმის ზათქი და ზარია,
და ისრით, შუბით და ლახტითა სცემენ და მიაქუთ ძვარია.
- 599 ზოგნიმე ქუასა აყრიდა, შელონდა ფალავანია;
სცემენ და გარ ეხვევიან, ვით კოშკსა, გალავანია;
სათუოდ საქმე გამიხდა, — ბრძანებდა გულგვანია, —
და არას ვეცდები, არა სჯობს, არქარდა ძალოვანია.

- 600 მან დაიძახა ზალალი, იქუხნა მისებურია,
პირქვე დაიხზო ლაშქარი იქითურ-აქითურია:
ერთსაცა ველარ ნახვილი, არც ერთი თუხზე მდგურია,
და ზოგნიმე შიშმან დახეთქა, მგლები და[ა]ძლო, ტურია.
- 601 სულად მოვიდენ, გაიქცენ, რა აღგენ ერთობულია,
მერმე წამოდგა ქარიმან სისხლითა შეღებულია;
წაქტევას ლამის, მოესწრენ, შეუდგენ კარგუსულია,
და წყნარად[ა] წამოიყუანეს¹, ფრიდონსაც მისკე უქვია.
- 602 ფრიდონ წინა მიეგება, მოეხვია, პირს აკოცა;
მადლი მისცა შემოქმედსა და დარჩობა მიულოცა.
თვალს აყრიან, მარგალიტსა, თქუა: თუ ჰირი ამეხოცა.
და სუსტად იყო ფალაევანი, ბეური მტერი დაეხოცა.
- 603 მისს ოთალშიდ მოისვენა, დაწვა, ამოდ დაიძინა,
ზაქ შექნა ეაზირობა [და]ყარია ახმობინა:
როგორა ექნათ, აწ მითხარო, მას მოურჩით ეინცა ვინა,
და მას ყარიამ მოახსენა: სჯობს, წავიდეთ მრთელი შინა.
- 604 ჰკადრა ეეზირმან: ვიამბო, იცი, ეს დამიჭერია,
ყარმან მოკლა და აბულეარ, თავადნი მეტად ბეჭრია,
ქმელზედ არ იყო მათთანა, არცა გამოჩნდეს ჭერია,
და არვინ გყავს მისი მებრძოლი, არცა ვინ შესაფერია.
- 605 ავიყაროთ და წავიდეთ, სადა შამისა კარია;
იქ დაედგეთ, იქ დავებარგოთ, შეუყაროთ ჩვენი ჯარია.
აიყარეს და მივიდეს, გავლეს იმისი მზღვარია,
და დამით გაპარვით წავიდენ, არ მიაქუთ ზათქი, ზარია.
- 606 შამისა კარსა დაიკეს კარავი ფერადიანი,
გათენდა, ფრიდონს ეგონა, ზააქ იქივე დგინანი;
ჰკრეს ნალარასა, გახედეს, ვერ ნახეს ზააქიანი,
და ვერ პპოვეს ვერცა კარავი, ვერც პილო საგდებლიანი.
- 607 მერმე დამუშნი მოვიდენ, ფრიდონს უამბო ენითა:
წუხელის შაამს მივიდა ზააქ, ვერ შეიტყუენითა?
ფრიდონ აჩქარდა სადეურად, თქუა: რაზმი და[ა]წყენითა
და აიყარნეს და წავიდენ ქუეითნი, ანუ ცხენითა.
- 608 იქ დაებარგა კელმწიფე, სად იყო ზააქიანი,
თეთრსა მინდორსა დაიკეს კარავი ფერადიანი;
გალმით ის, გამოდმით ესე, ლაშქარი ტეურად დგინანი,
და ზააქს უამბეს: მოვლენო, ვინც იხმე მრავალყმიანი.
- 609 ცოტაი დაყუეს, მოვიდა ისპანით ფანდელ ყმ[ი]ანად,
ორმოცდათი წყრთა სიმალლე აქუს, მოვა დავლ[ა]თიანად;

¹ წამოიყუანეს.

ძმა მისი გურდამარდიად თან მოჰყუა ჭავჭავიანად
და ას ორმოცდამათი ათასი ყმანი ახლავან სეიანად.

- 610 ინდო თაბლი, ინდო საბი, ინდო ფეროზ, ინდო მაქი,
ეს ყუელაი მძიმის ლაშქრით მოვიდიან ყოვლთა ნაქი,
ზოგთ ოთხმოცი წყრთა სიმალლე ქონდა, თქვიან დიდი ბაქი,
და ზოგნი არის სამეოცი, არაეისგან დასაკარქი.
- 611 ზოგნიმე სამოცდამათია, მაღალი, ჭავარიანი,
მოვიდენ რაზმად და რაზმად, სად ზააქ მეფე დგიანი;
ორას ათასნი მოვიდენ მოყმენი დაელათიანი,
და შეიქნა შეიდას ათასი ლაშქარი ზააქიანი.
- 612 ზააქ ნახეს მოკაზმული, იგ მურასა ტახტსა მჯდომი,
ქუდითა და გვირგვინითა, მათის ნახვის იყო მდგომი;
ათეადუბი ესალამნეს, მისთვის ქირთა შენასწრომი,
და ალყად დასხდენ გარეშემო, არეინ იყო ფეხზე მდგომი.
- 613 ზააქ შესჩვილა თავადთა, ვინცა მათ გვერდით მდგომია:
ნიანგთა ბრძოლა იქნების და დეუთა უსაზომია;
ქარიმანს ვერვინ შე[ე]ბმის, პილო და ვერცა ლომია,
და მან დამიხოცა ლაშქარი, ვისცა დაჰკიდა ომია.
- 614 სრულ გასწყუიდა მეომარი, ფალავანი არ თუ ჭანი,
აბულუარი ზანგი მოკლა და ყარმანი, ბეურის სხვანი,
ყათილი და მუყათილი, მან დახოცა სხვაცა ყმანი,
და მეც მომკლებდა, არ მარგებდა მე უთქუენოთ ყმა და ძმანი.
- 615 ფანდეველმა ფალავანმა მოახსენა კელმწიფესა:
ფარვით კაცი გაუგზავნოთ ჩუენ ქარიმანს, იმა მქნესა,
თემი მიეც და ქუეყანა, შენ მრავალი რბას დღესა!
და ასრე ფრიდონ არ შეიტყოს, და[ა]მტყიცეს, რაცა თქუესა.
- 616 თუ ამას იქ, ვერ დადგების, ფრიდონ მეფე დაღონდების,
სრულ წახდების მისი საქმე, უიმისოდ ვერ დადგების;
ფათრათისა ნათესავესა წინ ვერავინ დაუდგების,
და მათსა გვარსა ოპის ეამსა, არცა კაცი მოურჩების.
- 617 ჯიმშედისობას გასწყუიდა გვაქასი დეუთა ტომია,
თემი, ქუეყანა წაულო, ქონება უსაზომია.
ეს მისი შეილი თუ არის, მას ვინ შეჰკადროს ომია?
და იტყუიან: სრულად მას გავსო, მჯდომი და ფეხზედ მდგომია.
- 618 ზააქ თქუა: შერიგება სჯობს, იცი, ეს სა[ა]ზრონია,
მათ ერთი კაცი მოიხმეს, შესთვალეს შესაწყონია;
რად მსახურებო ფრიდონსა, რა თქუენი საკადრონია,
და სად ლირსა შენსა ყმობასა, ვით წაიხდინე დრონია!
- 619 დიდის გვაქასპის შეილი ხარ, უზაბრის ჭრმლისა მკურელია,
პურ ფაიქარ მყავს ასული, ძე ჩემი, საყარელია;

მოლი, მას შეგრთავ პირ-მზესა, რა ნახო, სასურველია,
და სხვა, რაცა გწად[დ]ეს ყო[ვე]ლი, იგ თქუენთვის უმურველია.

- 620 შენ მოგცე თემი, ქუეყანა და სრულად ჩემი სპანია,
შამი მაქუს, მკვიდრი მამული, ადგილი ანუ ყმანია,
მე ის შეყოფის, დამარჩენს, ჩემკე გამოვლე გზანა!
და ფიცხლა გაგზანეს ფიქი, ცქვიტი და არაჯანია.
- 621 სანამდის მოესწრებოდა ქარიმანს სიტყუა მისია,
მათ ვეზირობა შექნოდათ, პასუხი შესატყისია;
დაშუშნი თურმე მოვიდენ, ჰკადრა ამბავი მქისია:
და მოვიდენ დადი ლაშკარი, მეშველი ზაქისია.
- 622 ფანდაული მალეიდა, ხანსა დია არ დაზმითა,
მშაცა მოყუა გურდმარდიარდ, კანს ჯარის დაკაზმითა;
ორმოცდათი ათასისა ცხენოსნისა დარაზმითა,
და სხვა მრავალი ინოველი შეკაზმული კარკაფა ზნითა.
- 623 ფეროზ ინდო, ჯამი ინდო, მაქე ინდო მოვიდენა.
თაბილ ინდო, საბი ინდო, ზაქე შექნა არ მოწყენა;
სრულ ა[ა]ესეს დიდი ველი, მას წინაშე შექნეს დენა,
და კარავი და ანუ ბარგი, მინდორშიგა არ გასწდენა.
- 624 ინდოთა ახლდის ლაშკარი, ორას ათასი კაცია,
პილონი ახვლან მრავალი, მოვიდენ კარგ-მამაცია,
ვაჟკაცთა, მოხუცებულთა, ყოვლთა ხვაფთან აცვია;
და ყუელი ფრიდონს უამბო, მას კაცს ენახა რაცია.
- 625 ფრიდონ თქუა: იმათი მოსვლა არ ჩეენი გასახარია,
მათ ემატების, ჩვენ არა, იცი ეს საუბარია!?
გამოვირჩიოთ, როგორ ვქნათ. ახლავან დიდი ჯარია,
და ფერად-ფერადმან კარავმან დაფარა ესე მზღვარია.
- 626 ქარიმან თქუა: ნურა გაგვა, ღმრთითა, არა დაგაღონო,
ვინცა იყოს თქუენი მტერი, ფერკთა ქუეშე დაგამონო!
მძიმის ლახტით ზურგებს დაველწ, თავი ჩემი მოვაწონო,
და მიწა სისხლით ავადულო, მათი საქმე გაგავგონო!
- 627 სისხლითა მიწა შეუღებო, მიწა [ვაქციო] ტალახად,
ვისცა ვკრა, შუა გავჰკვეთო, ქრმალი დავაელო ბალახად,
ცხენი კაცსა ვკრა, კაცი ცხენს, გავხადო ალახ-მალახად.
და სრ[უ]ლად გავსწყუილო მებრძოლი, ფეხ ქუეშე იყოს სალახად!
- 628 რა ისმინა ფრიდონ მისგან საუბარი საკამათი,
თვით დალოცა კელმწიფემა თავადები ვინცა მათი,
ქება უთხრეს შესაფერი: ბროლ-ლალია, მინა-სათი,
და თავის სადგომს წამოვიდა, ფალ[ა]ვანსა დახვდა ხლათი.
- 629 ზა[ა]ქის კაცი დაუხვდა, უამბო კლათიანობა,
ზედ წამოიჭრა ქარიმან, ეტყობის ზეთიანობა:

ვის უნდა ზა[ა]ქის გველი, ანუ სხვა მათიანობა,
და ვინც მის პირშიდა ჩაეარდეს, ექნების ქარან[ა]ობა.

- 630 საწუთროს დამბადებელმან, ვიყო ეისიცა მჭვრეტია,
ნუ მომცეს ჩემად პატრონად, ფრიდონ კელმწიფის მეტია;
ასრე ეწყინა, ვითამცა თავსა დაეკრა კეტია,
და უამბო მისი პასუხი, გულშიგა აღარ ეტია:
- 631 არ ვარგა მუხანათობა, არც ორპირობა კაცისა,
რა გულოვანთა კელია სიცრუეე მართ მამაცისა,
ორის დღის სიცოცხლისათვის გატეხა ანუ ფიცისა,
და თქუენ ქართ და ჩუენიც გგონია უსრუე დედაკაციან!
- 632 მოლორობულსა სოფელსა, თუ კაცი გარდაუყუებიან,
ეშმაკის გუნებაზედა მი[ი]ქცეუს, არ მორჩებიან!
მისი მიმდევი სულდგმული კაცი ვით გამოდგებიან,
და რაც ზა[ა]ქსა სჭირს, მას უზამს, ვინც აჰას გაულდგებიან.
- 633 კაცისათვის მახე, ბადე ეშმაკსა აქუს ყოვლის გზითა,
არის ჩვენად საცდუნებლად, მას ირჯების ყოვლის ზნითა,
არ ერიდვის, ჩაეარდების ცეცხლსა ცხელსა ანაგზითა,
და ვერას საქმით დაიხსნების, [თუ]დაების ნანა გზითა.
- 634 ყალბო კაცო, ნუშეა შენ ქარ, ანუ ზა[ა]ქ ეისსა ჰქუიან,
ეშმაკისა მანქანებით მას გველები და[ა]სხდიან,
საუკუნოს იტანჯოდეს, რად ცრემლები არა სდიან,
და ფრიდონ არის ჩემი მეფე, სრულ ქუეყანა მას ჰუმობდიან!
- 635 მას ფალავნები მოსვლია და გამაძლარა კუეხნითა,
ჩვენც ვნახავთ მათსა ძალ-გულსა, რასაც იქმონან კერკითა,
ყათილს და მუყათილს მივსწეუ, ცხენმან დალაბოს ფერკითა,
და მძიმის ლახტითა დავენაყდ, ვითა კაჰაქი მე კითა.
- 636 ადგე, კარი გაიარე, ნულარა ხარ, წადი, გვალე!
თუმც ვარგიყოს ელჩის მოკულა, თავსა მოგწყუედ, კინწსა, მალე!
მოციქული გა[ა]რბინა: ანამც ზააქს დაუშალე,
და ყუელა უთხარ ჩემ [მ]აგიერ აღრე მიდი მასთან ქულაე!
- 637 მოციქულმა დავედრული ყუელა ზააქს მოახსენა,
ქარიმანის გაჯავრება, საუბრისთვის არ მოლკენა;
თქუა: ჩანთქმასა მილაპოდა, მას შევატყუე დიდი წყენა,
და არარატის მთასა გავსო, რით შეუებშით იმას ჩყენა?
- 638 ზააქს უამბო, ეწყინა, თუ სთქუა, მოედვა ალია.
თავადთა უთხარა: გაეგზაენოთ, გურდამარდიად ზვალთა.
მას და[ა]ვედრეს, ფრიდონთან გაგზაენეს ცქვიტად, მალთა.
და მას [შეუთვალეს] შესაწყო თქუეს, თუ: დაგვდგიოთ ვალთა.
- 639 ნოესი ვართ ნათესავი, მანდით თქუენდა, აქით მეო,
შუა გავყოთ ეს ქუეყანა, ერთი მე და ერთი თქუენო,

შენც დაგარჩენს, მეც დამარჩენს. ღია თქუენტვის დამიც მეო,
და თუცა მოვკალ მამა თქუენი, არ მეგონა, დამითმო.

640 ორნივე ერთგვარი კაცი ვართ, არ ვარგა ცული ქადილი,
თუ მამა თქუენი მოვკალი, არ იყავ დანაბადილი,
მკოდნოდა, არა მოვკლევდი, იგ იყო ჩემგან აღვილი,
და მას შევიწახდი შევილურად, არ მშურდა მისთვის კადილი!

641 გაისტუმრეს და ორმოცი კაცი თანა წ[ა]ტანეს,
მივიდეს და მოციქულთა ფრიდონს წინა თავნი არნეს:
ტახტი დადგეს კელმწიფისა, თავადები შეიყარნეს,
და ზედა დაჭდა ფრიდონ მეფე, მკიარულთა გაიხარნეს.

642 მათ მოციქულნი შეასხეს, კელმწიფე მო[ე]სალამა.
წიგნი ნახა და მეფემა მისი წაკითხვა დალამა;
უამბო გურდამარდიად, არც ერთი სიტყვა დამალა,
და რა მოისმინა ქარიმან, ა[ე]ნთო ცეცხლის აღამა.

643 ზედ წამოჭდა მუხლთა ზედა. ფალაევანი გმირთა თავი,
წიგნი შექნა ფარა-ფარა, სიტყუა ბრძანა მათთვის ავი,
თავს ლამოდა მოწყუედასა, არ უნდოდა მისი ზავი,
და თქუა: რა მაქუსო გასაყოფი, დღე გავხადო მათზედ შავი..

644 ზააქ რა მყავს გასაყოფი, არეინ არის მისი მქსნელი
კელმწიფეთა სისხლისაგან გამაძლარა, ვითა მგელი!
სისხლის ღვარი ავადინო, დავიბანო იმით კელი,
და ვეკობ, მასცა შეევანანო, არ გაუშვა ერთი მრთელი!

645 მოციქული გაისტუმრა, ცრემლიანი სულთქმით ახავს,
ზააქს უთხრა, რაც ესმინა, ფალაევანსა არა ზრახავს.
უსაცილოდ საომარად აქა მოვლენ, აღრე გნახავს,
და ნილოსისა ზღვასა ვიქო, თქუენტვის ჭანგი მოუმხახავს.

აქა ომი ზააქისა და ფრიდონისა და მათთა ფალაევანთა.

646 გათენდა, ლაქევარდის ფერსა ცასა სინათლე ეცა და,
მუ[ნ] გამობრწყინდა სინათლე, მზე ამოვიდა, ე; ცადა;
გუმბაღსა ზედა ამალდა, მთვარის მტერობას ეცადა,
და სხვანი მნათობიც დასჩაგრა, არ ეძმო, არცა ეცადა.

647 ჰკრეს ქოსსა და ნაღარასა, ზროხის კუდთა სარაზმონი,
თეთრი მძივი გამოაბეს [მათ] პილოთა საზარონი;
ქანი დროშა ამართიან ბედნიერი, სახასონი,
და აღმით მომარგალიტული, დიად ძვირად საფასონი.

648 ვეშისა სახე დასწერეს, შუაზედ ამართულია.
იქითაც რაზმი და[ა]წყუეს, აქითაც გამართულია;
კელმწიფეს წინა მოვიდა ქარიმან ჭავშან-სრულია,
და მეფემან ტკბილად დალოცა, არ იყო წარმართულია..

- 649 მიოდანსა ჩამოვიდა ფალავანი მტერთა მძლია,
იგ ვაფიცხდა პილოტანი, მუქარობდა მეტად დია;
იქით-აქით იარების, სხვა შებრძოლი ვისა ქვია,
და იზახოდა: ვინ ჩამოხვალ, ვინ შემებში, მართლად თქვია!
- 650 რა ზააქს ესმა, თავადთა უბრძანა სიტყვა ენითა:
მუქარას რომ ითხოვების ქარიმან, შეიტყუენითა,
ის ჩემად სიძედ მინდოდა, მაგრამ ვერ შევიწყუენითა,
და აწ, რადგან აღარ შეირთო, მას ვინმე შე[ე]ბენითა.
- 651 იმას მიესცემ ჩემსა ქალსა, ვინცა იმას გამოსცდიან!
ისპანელი ფანდელავმა გაიგონა, გამოდგინა,
ზააქის წინ პირი მიწას გა[ა]ერთა, ესე თქუიან:
და მე შეევებში, კელმწიფეო, ვეკობ, სისხლი მათუა სდიან.
- 652 მძიმე ლახტი კელთ აიღო, მოედანსა ჩამოვიდა,
რა ქარიმან დაინახა, გავს, თუ მეხი ჩამოვიდა.
შეუძახა: ბედმლაშეო, — ჯავრიან[ად] წამოვიდა, —
და ვინ გაღირსა ჩემი ომი, ან მე ვინ და ან შენ ვინ და!
- 653 მე ვასწავლი ლომთა ომსა, სამარესა შენთვის თხრიან,
ნურც სახელსა დამიძალავ, მე მიამბე, რაცა გქვიან,
ჩემს სახელსა თუ იკითხავ, მე სიკუდილი შენი მქვიან,
და სჯობს, მოყუასთა მოგიგლო[ონ], იტრონ და ცრემლთა ღვრიან!

აქა ომი ქარიმანისი და ფანდელელის და ქარიმანისაგან
ფანდელელის მოკულა

- 654 რა ფანდელელ გაიგონა, გაგულისდა, გამოვარდა,
ლახტი დაჰკრა ფალავანსა, შე[ე]ჯახა, ზედ მოვარდა.
ფარი ძლიევას გაუტეხა, მისგან არა ჩამოვარდა.
და მერმე ლახტსა კელი მიპყო, ფალავანი წამოვარდა.
- 655 მიუხდა და მძიმე ლახტი მას ქარიმან თავსა ფრიწა,
ცხენ-კაცი და უნაგირი დანაყა და მან დაფრიწა,
გავს მის დღეშიდ არსად იყო, მისთვის იძრა ცა და მიწა,
და ვით კაქარა და[ა]მსხვრია, წაუვიდა იგი ვით წა.
- 656 რა ნახეს მისთა ლაშქართა, იცემენ, თავსა ტყაცია,
მათ დაიხიეს საცვამი, ვისცა რამ ტანსა აცვია;
გურდამარდიად ძმა მისი, ვითა მამაცი კაცია,
და ზუდა მოუხდა ქარიმანს, დაუხვდა კარგ-მამაცია.

აქა ომი ქარიმანისა და გურდამარდიადისა

- 657 შეუტოვა ქარიმანს და ისიც იქით შემოვარდა,
მან ფალავანს ლახტი დაჰკრა, არ თუ ცუდად გამოვარდა;
კელი სტაცა ფალავანმან, მისი ლახტი გამოართვა,
და ის გაუგდო, მისი დაჰკრა, ფიცხლავ სული ამოართვა.

658 თავი, ტვინი დაუმთხვლია, ერთმანერტში აწ ურია.
იგ სოფელსა გამოსთხოვა, აღარ აურზაურია.
რა თაბილი ინდო ნახა, თვალთა ცრემლი ჩაურია,
და ზაქს წინა ფარეანს ითხოვს, არას დანაშაურია.

აქა ომი ქარიმანისა და თაბილი ინდოსი

659 მოიდანშიდა მოვიდა თაბილი სახელდებული,
შუბი შემოსცა ქარიმანს, მოუხდა გაშმაგებული:
კელი ჰკრა, შუბი მოსტეხა, ქარიმან დახვდა ქებული,
და მძიმე ლახტი ჰკრა, მოცაკლა, არ იყო ზაე-დადებული.

660 ლახტი დაჰკრა, თავი, ტანი ერთმანერთსა გაეყარა,
მუნ ქარიმან ფალავენი დადგა, იქივ დაემყარა,
[კიდევ მოკლა მეომრები, მათი სისხლი არ ეკმარა],
და [ა] მოსწყუიდა ინდოველი, მათი სისხლი დაეღვარა.

661 საბი ინდო, ჯამი ინდო, ფეროზ ზააქს იახლესა,
ერთბირობით შეუტროვეს, ფალავეანსა მიადგესა;
დანიხა ფალავეანმა რაზმ-წყობილი იმა დღესა,
და ვითა ცამან დაიქუხნა, ვინ მორჩების იმას დღესა.

662 პირველ საბი მას მიუხდა, შეუტროვა მართლა, სწორა,
ფალავეანმა ლახტი დაჰკრა, საბი იქვე[ე] გა[ა]გორა.
სხვა მოუხდა, მას უკუჰკრა, ახლოს იყო, არ თუ შორა,
და მას უკუჰკრა ფალავეანმა, სული ხორცსა მოაშორა.

663 ლახტი წა[ა]რთვა ქარიმან, იყო სისხლისა მღვრელია,
უკულმა უკუ[ი]ქნია, იმისი სულთა მკდელია;
უკანით გა[ა]ყრევიან კბილ-ტვინი, მიჰყო კელია,
და მას არეინ დარჩა მოსურნე და არცა მის[ი] მხსნელია.

664 ქავის დროშა წამოიღეს, ბუკ-ტაბლაკი კმასა ჰყრიან,
ნაღარა სცემს დამბი-დუმბსა, შემცოდეთა თავსა სჭრიან;
შეუტროვეს ერთმანერთსა, და[უ]შინეს სისხლთ[ა] ღვრიან,
და დახოცეს და ამოსწყუიდეს, იგ ჯეონად გარმოდიან.

665 ლახტისა, კრმლისა ნალეწი აერით დაღმა ცვიოდა,
თავი და ტანი ცალ-ცალკე ეყარა, ყოვლი ჩიოდა;
აბჯართა ცემით ცეცხლი დის, ფრანგული კმალი კიოდა.
და სისხლ[ლ]მან გაჰკეთა ხანდაკი, ვითა ჯეონი დიოდა.

666 სისტყა პირი ქნის ქარიმან ამაყად შეუპოველი,
კაცი ვაცსა ჰყრის, ესროლის ხშირად, მართ ვითა მთოველი,
თავსა და მკარსა მოგლეჯდა, მოურჩის ვერა რომელი,
და კანჯრის ჯოგსავეთ მოყუანდა, ვითა პირუტყუი მძოველი.

667 მკუდრითა აივსო მინდორი, იგ შეაყენა ე. გორად,
კრმლითა იომის სფაადი, ზოგნი გაჰკ[ე]ვითა ეგ ორად.

თავადთა თაეი სისხლშიდა, იგ უპატიოდ ეგორად,
და დანიოვარა მებრძოლი, გულსა ლახვარი ეგორად

- 668 გაიქცენ ზააქიან[ნი], მისდევენ, ჩამოჰყრიანო.
დაიფორაქეს ყუელამა და ზოგთა შუა სჭრიანო;
სამს დღესა იყო ეს ომი მრავალსა სისხლსა ღვრიანო,
და ზააქ და ფახურ, ძე მისი, წაეიდენ, ცრემლსა ჰყრიანო.
- 669 ფრიღონ მეფემ გაიმარჯვა, მას დაუღვა ვერეინ ვინდა,
დაღვა სანადგომეუზედა, გაიშალა სუფრა წინა.
შეიწვიენა თავადები, იქ იახლა ვინცა ვინა,
და ჭიმშედისა მეფის ტახტი, ზააქს რომე წაერთმეინა.
- 670 დევთაცა ბეური წა[ა]რთვა ჭიმშედ კელმწიფემ რაც არა,
ის ზააქ იმას წა[ა]რთვა, სული და კორცი გაჰყარა.
მემ ფრიღონ ზააქს წაულო, ბარგი, კარაეიცი დაჰყარა,
და ბეური ქონება მოიღეს, დიდი მინდორი დაფარა.
- 671 ერთმანერთზედა და[ა]წყვეს კარეები მრავალფერია;
გვირგვინი ანუ საყური, რაც არა იყო, ბეურია,
სრა-ფარდა ანუ ოთან[ი]ყუმამთ ტენილი ერია,
და ზანდუეები [და] მათრა[შა] დაყარეს, ვითა მტეერაა.
- 672 ამღონერთი დაიყარა, ანგარიში იყო არა,
იგ მინდორი დაიფარა, მოადგიან გარის-გარა;
მათ გაავდეს ოთხის ისრით, მაგრამ ვერსად გადიარა,
და ამ ღრიცხვსა საქონელსა მოადგიან, შექნეს მზერა.
- 673 ოთხად გაჰყო კელმწიფემა საქონელი, რაცა არი,
ორი წილი ლომსა მისცა, სხვით დამოსა მისი ჯარი.
ერთი წილი სალაროსა გამოგზავნა, დანცა დარი,
და მადლი ჰკადრეს კელმწიფესა, იყუნეს მისგან ვანახარი.
- 674 მერმელა გასცა ქარიმან მეფისა ნაბოძვარია,
ასი ცხენი და ჯორები ორასი¹ მასთან მდგარია.
კულავ ათი პილო კიდუეე კიდებით ოქროთ არია,
და აშ[ა]ქს მიართვა ყუელი, უმზერდა სულად ჯარია.
- 675 ასი ცხენი და ჯორები საქონლით დატვირთულა,
ათს პილოს ოქრო აჰკიდეს, იმისგან ასრე თქმულა:
ეს ყუელა ყარანს მიართვით, — გაგზავნა კარგუსულია;
და წაიღეს, ყუელა მიართვეს, არ შურდა ამო სულია.
- 676 ას ცხენ-ჯორსა ყუელაკასა, საქონელი აკიდესა,
ათი პილო ოქროთ სტვირთავს, ყუზადს მისცა, ვაზიდესა,
სხვა ჯართაცა წესად, რივად მიართვიან, ვინცა ღვესა;
და მადლი ჰკადრეს ფალავანსა, სამღურაეი ვერეინ თქვესა.

¹ ორასი.

- 677 მას ლაშე ნადიმად იყუნეს, გულამოდ მოისვენესა,
გათენდა, ქოსთა დაუკრეს, მინდორი და[ა]შვენესა,
ქაეისა დროშა ამართეს, მათ წინა [ა]აყენესა,
და იარეს, მაგრამ არ იქნა, ზაქს ვერ შე[ე]უარნესა.
- 678 ზაქს ველარ მოეწიენეს, შამის ქალაქს შევიდესა,
ფიცხლა ციხე აცაართვეს, მხიარული მოვიდესა;
ფრიდონ მიდგა მისსა კარსა, საღ ზაქის სრანი დგესა,
და ჭიმშედისა ორივ დანი, მოეგებენ იმა მკნესა.
- 679 ზაქ მოკლა როდის ჭიმშედ, იმას დარჩა კელთა ქალნი,
მან შეირთო ორნივ დანი, ბროლ-მინა და ვითა ლალნი;
ფრიდონ დია მოეწონათ, ქალთა დარჩათ მათზე თვალნი,
და ფიცხლა ყელსა მოეხვინეს, იგი მზენი, ორნივ დანი.
- 680 ყელსა ეხვიან ორნივე, პირითა მზე[ე]ბრ მშვენითა,
საწოლისაკენ წავიდენ, სიცილით არ მოწყენითა;
იქით და აქათ მოუწვენ, ელვიდენ შუქთ[ა] ფენითა,
და მათი ციმციმი აშვენებს მას მკნესა არე, ფერითა.
- 681 ორმოცის კაცით დაბრუნდა, ზაქ მიეცა წუხილსა,
შვილი ფახური გაგზანა მისრეთს ადგილსა უხვილსა;
ლაშქარი მას გა[ა]ტანა, ჯავრით ჰგავს განახუხვილსა,
და ის შამს მოვიდა ფარულად, არ თუ დასცემდა ქუხილსა.
- 682 ზაქ მოვიდა შამს ციხეს, არ დახვდა კარი ღიანი,
მან საგლებელი შეიხსნა, შესტყორცა სულ ძალიანი,
მალა თავზედა მოაბა, ავიდა ჯავარიანი,
და ორმოცი კაცი ძირს დარჩა, იქ იყუნენ, ფეხზედ დგანი.
- 683 რა ავიდა ციხეში და საწოლისკე გზანი ლახა,
ერდოშიდა ჩაიხედა, ისულთქმა და ივაგლახა;
ცოლნი ნახა ფრიდონს უწვა, მჯილი იყრა, ბრძანა: ახა,
და ფიცხლა კრმალი ამოიღო, შემოხედა, ცოლმა ნახა, —
- 684 ფრიდონს უთხრა: ღმრთისა მტერი, ზაქ ერდოს იყურების,
შეხე, კრმალი მოუწვდია, მოსაკლავად გელირების!
ადგა, ფიცხლა წამოიჭრა, ძალი ახლა ეკირების,
და კართა გარე გამოეარდა, არ თუ ცუდად ეძინების.
- 685 მძიმე [ლახტი] ამოიღო, ამას წინათ ბედნიერი,
ზაქ კრმალი მოუქნია, მიეგება ნებიერი;
ფრიდონ თავი მოარიდა, ამად იყო შეცნიერი,
და ქალნი უკერეტს, ეშინოდათ, ორნივ დანი შეენიერი.
- 686 ფრიდონ თავსა ლახტი დაქრა, ზა[ა]ქ იქივ გაავორა,
თავს ლამოდა მოყუეთასა, ნახეთ, ღმერთმან გაავო რა!
ანგელოზმან დაუძახა, თავსა აწვა, გაავორა,
და ზაქს ორნი შვილნი დარჩა: ფახური და გაავო რა.

- 687 თქუა ანგელოზმა: ნუ მოჰკლავ, — ფრიდონს უბრძანა ენითა, —
 ჭერე არ გათავებულა დღე მისი, შეიტყუენითა!
 ამოვანისა მთაშიდა ორმოა მეტად ბნელითა,
 და მაშიგ ჩაჰკიდე თავდაღმა, იგ იყოს არ მოლხენითა!
- 688 ერთი შოლტი ტყავი მაგას შენ ა[ა]ძვრე, მეტად გრძელი,
 მერმე კოჭნი გაუხერხიტენ, არის ქვეყნის საძაგელი,
 შიგ ჩაჰკიდე გველიანი, მას მი[ა]ჰყარ ავად კელი,
 და მაშიგ იყოს [მის] დღეშიგა, ამ[ო]სვლასა ნულარ ელი!
- 689 აღარა მოკლა, აუშვა, უყო ბრძანება მისია,
 ვაგზავნეს იმა მთაშიდა, შეკრული იყო ისია,
 ტყავი [ა]ძვრეს ზუ[რ]გზედა, პირი შე[ე]ქნა მქისია,
 და კოჭნ-გახერხტილი თავდაღმა ჩაჰკიდეს ზაჰქ ძირისია.
- 690 მ[ე]ორედ მოსვლა რა მოვა, საქმე ჩანს გასაჰირია,
 ზაჰქ იქ არის, მანამდის მისი გამოხსნა ძვირია.
 მანამდის ვერვინ იხილოს იმ წყეულისა პირია,
 და ამ ჭოფელს ასრე ისაჯოს, მრავალი სქამოს ჰირია.
- 691 ფრიდონ შექნა ვეზირობა, თავადები ახმობინა,
 ჰარიმან და ყარან, აშაქ, ჰაჰე, ყუბად შეიწვიენა.
 მერმე ბრძანა კელმწიფემა, თავადებსა მათსა წინა,
 და შეუბნეს ყოვლთა ხმანი, პასუხები მოად[ინა]:
- 692 როგორა ვქნათ, რასა ბრძანებ, ზაჰქს შვილ[ნი დარჩენიან].
 მისრეთს არის, ვერას ვაწყენთ, მათცა შინა ჩაუ[ვლიან]:
 თამაზ ქვია, ზაჰქის ძმა [მალატხანთ გამოჩნდიან],
 და ის შესულა ციხეშიდა, აღა-ყალა¹ დაუთქუ[იან].
- 693 ცის ქუეშ არ არის მისთანა ციხე და გალავანია.
 მის ბრძანებასა ისშე[ნ]და ჰარიმან ფალავანია;
 მისრეთს წავიდეთ, გამოვა თამაზა ძალოვანია,
 და სრულ დაიჭირავს ქუეყნებსა, მოხდებოს იგ ავანია.
- 694 თუც აღა-ყალას მივიდეთ, მისრეთით ფახურ გამოვა,
 ის დაიჭირავს ქუეყნებსა და საქმე კარგა არ მოვა;
 ჩვენ ავად დაგვემართების ორში და ერ[თ]ი წამოვა,
 და ორგნით გავიყოთ, ესე სჯობს, ვერც ერთი ველარ შემოვა!
- 695 დის შვილია ზაჰქისა, ფახრუთული ზანგი ქვიან,
 მოუდგების, უსაცილოდ მისთვის ცრემლი თვალთა სდიან.
 რასა ბრძანებთ, თავადებო, მათ პასუხი მერმე თქვიან.
 და [არ იქნება] არ მოვიდეს, მათ ლაშკარი შეუყრიან!
- 696 [მოახსენეს] თავადებმა, მისთვის დაძრეს ტკბილად ენა:
 [რაცა გნება]ვთ, პატრონი ხართ, [და] მორჩილი ყმანი ჩვენა.

¹ აღა-ლაყა.

[ორგნით, ბრ]ძანა, გავიყოთო, თავადებსა მოეწონა, —
[ალა-ყალისკე] წავიდეთ, ნახეუარი — მისრისკენა!

- 697 მო[ე]წონათ გამორჩევა, კელმწიფისა ნაუბარი,
ალა-ყალას [გა]ამგზავრეს ქარიმან და მისი ჭარი;
ორმოცდათი ათასია კაცნი ახლდა მკლავმაგარი,
და ფრიდონ მისრეთს გაემართა, სადა იყო მისრის მზღვარი.

აქა ალა-ყალას მიადგა უსწორო ფალავანი ქარიმან
და მოკუდა

- 698 ამა უხნოსა სოფლისა სიცრუე ყოვლთა ნახეა,
ლაშკრით წავიდა ალა-ყალს ქარიმან მტერთა მახია;
ველარა მოვა ცოცხალი, ეცვლების ზაფრად სახია,
და ყოვლთა ეს დაგვემართების, მოვსთქათ სულთქმა და ახია.

- 699 ერთს თვესა აღვა ლაშკრითა, იგ მტერთა შემაზარავი,
ავად შეიქნა, მო[ა]დგა კართა სკუდილი მპარავი;
მუნ მიყავს გზასა ვიწროსა, მ[ა]ზედ დაიცა კარავი,
და შეატყო თავსა სიკუდილი, თავისა გასამწარავი.

- 700 კაცი გაგზანა შეილთანა, იყუიან ცრემლთა მთოველი,
თქვა, თუ: მომესწრას ცოცხალსა, მტერისა შე[უ]პოველი,
ველარა ვნახე დღესიდგან, უამბო ჩემი ყოველი,
და გამომეთხო[ო]ს მამასა, მოსელასა აღარ მოველი!

- 701 ველარ მოესწრო ნარიმან, დარჩა კარისკე თვალია,
თქუა, თუ: იარე შეილოო, სიკუდილმან მ[ი]ყო ძალია,
ველარა გნახე ცოცხალი, დალქეს ზორცნი და ძალია!
და ესე თქუა, კარსა მოადგა ბეგარა გარდუვალა.

- 702 რა მი[ი]ცვალა, შეიქნა თავსა ლაწი და ტკაცია,
ამათ დახიეს ყოველთა, ვისცა რამ ტანსა აცვია;
ველარ მოესწრო ნარიმან ქარიმანს კარგ-მამაცია,
და გარდახდა, გავლო ქუეყანა, ასრე ყოველი კაცია.

- 703 თაბუთი შეკრეს, იმაშიდ, წავიდენ, წა[ა]სვენესა,
ციხესა გამოეყარნეს, ცხედარი გააყენესა,
თავსა და პირსა იცემდენ, თავი არ და[ა]შვენესა,
და წავიდენ, ზაულისაკე თაბუთი წა[ი]ყუანესა.

აქა მამა წინ შე[ე]ყარა მკუდარი ნარიმანსა

- 704 შეილი მამისგან ნახმოზი, ნარიმან მკლავმაგარია,
რა წამოვიდა ზაულით, წინ შე[ე]ყარა მკუდარია.
გრკვინვიდა, თავსა იცემდა, ისმის ზათქი და ზარია,
და იგ ადგილზედა და[ა]სკდა, დიდი გაუშვა ძგარია.

- 705 თავსა მიწა გარდიყარა, ზაულისტანს გაემართა,
მუნ დამარბა ფალავანი, დიდი გლოვა დაემართა.
ფრიდონს ესმა, წამოვარდა, ვით კანდარი აემართა,
და გარდინია ყოვლისფერი, მისი გლოვა მას ემართა.
- 706 იგლოვდიან თავადები, ვისცა ესმა სხვაგნით სხვანი,
აშაქ, ქა[ა]ვ, ყარან, ყუბადი, ვინცა იყუნეს იგი სპანი.
მოსთქუამს მეფე, თავადები, გა[ა]მრავლეს ყოვლთა ქვანი,
და ორმოც დღესა ასრე იყუნეს ბატონი და ანუ ყმანი.
- 707 თავადთა ჰკადრეს მეფესა პასუხი ე'ე მთელია:
ამდენი გლოვა გეყოფის, რა კელმწიფეთა კელია,
არ იცი, უთრუთ, გვაჯანსპირ, იგი მოყმენი ქუელია,
და არც ის ითავსა სოფელმან, ნურცა ვინ სხვანი ელია.
- 708 შესთვალეთ, იხმე ნარიმან, მიჰყარე მისსა ნებასა,
მოვიდეს დიდის ლაშქრითა, იქმოდეს თქუენსა ქლებასა,
გლოვისგან გამოიყუანე, ნუ უზამ მათსა თნებასა,
და გასცეს თქუენს ურჩთა პასუხი, იგ მოსულია მცნებასა!
- 709 გაგზავნა ერთი თავადი ნარიმან გმირსა წინარე,
ცხრაჯერ ცხრა ტანისამოსი, კაცთათვის მოუწყინარე,
შესთვალეს ტყბილი პასუხი: ნუ ხარო ცრემლთა მდინარე,
და ჩვენგან ვერ უკეთ გიყვარდა ქარიმან, პირად მცინარე.
- 710 მაგრამ წესია სოფლის[ა], თავს ესე გვაძეს ბეგარა,
ცოცხალსა არვის გა[უ]შვებს, გაგყერის, გვაძევებს! ე, გარა;
წამოდი დიდის ლაშქრითა, შეჰომეხვიე მე გარა,
და მოდი მტერისა საჩვენლად, გა[ა]ყრევინე ხრე გარა!
- 711 სანამდის მტერი ჩვენზედა იქმოდეს ძალით ხადილსა,
მიუხდეთ მბრძოლთა მანამდის, ნულარ შევარგებთ სადილსა,
ნულარ შევარჩენთ სულდგმულსა ღმრთისაგან დანაზადილსა,
და მამის კელობა შენ გმართებს, მათზედ იქმოლი ქადილსა!
- 712 რა მოვიდა მოციქული, მოეგება ფალავანი;
მათ სალამი მოახსენეს, პასუხები არ ავანი.
შინ შეუძღვეს, მერმე დასხდენ იგი, ვითა გალავანი,
და თვით ნარიმან მეფე ჰკითხა, მოითხოვა ფარავანი.
- 713 მერმე იკითხა ამბავი თავადთა თავის თავისა,
აშაქისა და ყარანის, ყუბადის ანუ ქავისა;
ვით არის, ვითა სუფევენ მტერთ არ მიმცემი ზავისა?
და მათ ჰკადრეს ყოვლი ნახული, პასუხი არა ავისა.
- 714 მათ უამბეს დავედრული თავადთა და კელმწიფისა,
მას მიართვა ყოვლმფერი, ნაბოძვარი მუნ მეფისა.

¹ ვაგვაძებებს.

ზედ წამოდგა ფალავანი, ზოილიან არ ეფისა,
და მდაბლად მაღლი გარდიხადა, იყო ზოგი სტავრეფისა.

715 ზაულისტანს, ქუაბულისტანს ყოვლგან კაცო გააბრინა,
ინდოველიც ახშობინა: იარეთო, სადაც ვინა!
მოვიდეს და ყუ[ე]ლაკანი შეიყარხეს მათსა წინა,
და ორმოცდათი ათასია მეომარი მოედინა.

აქა ფრიდონისგან მისრეთს წასვლა ლაშკრით

716 სანაძლის მიესწრებოდა ნარიმან მკლავმაგარიო,
მანაძლის მისრეთს წავიდა ფრიდონ და მისი ჭარია.
იხმო ლაშკარი ყოველგან, სადაც ვინ, ოაცა არიო,
და ქალაქსა გარეთ დაბ[ა]რგდენ მეფე და ან სარდარია.

717 კშირად დაიცეს კარვები, ფერად-ფერადი სევანი,
დადგეს ლაშკარი ურიცხვი, აღარსად იყო ტევანი;
მათთა მებრძოლთა მზარაენი, მიწათა ქონდა ძლეუანი,
და გამოდგეს მეფის ოთაღნი, სალა-ფარღანი მზევანი.

718 გამოიღეს ამიჲმ ტახტი კელმწიფისა არ თუ უქი,
მას თვალი და მარგალიტი ხშირად უსხდა, ვითა ბუქი.
გამოვიდა ფრიდონ მეფე, მზე[ე]ბრ კრთების მისი შუქი,
და მოეგებნეს კელმწიფესა თავადები მონაბუქი.

719 მეფე დალოცეს თავადთა, ქება შეასხეს არ ავი,
პირი და[ა]დგეს მიწასა, იყუიან მტერთა მზარავი.
კელმწიფემ მაღლი უბრძანა, დგას რაზმი დაუფარავი,
და ასაყრელს ქოსთა დაუკრეს, კმა ისმის შესაზარავი.

720 ქაინაური დროშანი მათ წაიყენეს წინარე,
სამასი ათასი კაცი ი[ა]ხლა, ვინცა ვინ არე,
სახელსა ზედა ღმრთისასა, მისრეთს მიდიან მცინარე,
და ეს ფახურ-ზააქს უამბეს, შეიქნა მოსაწყინარე.

721 უთხრეს: აიგსო ქუეყანა, მოდის ლაშკარი ბეურია,
მიწა იძერისო, მოვიდა მუნ საშინელი მტვერია,
ფრიდონ მოვაო შენზედა, ახლავს მრავალი ერია.
და ფახურს რა ესმა, ეწყინა, თქუა, წაუვიდა ფერია.

722 ქუა წაუვიდა შიშითა, არ თუ იმღერდა მგოსანი,
მას ფალავანი ყაბან ჰყუა, დიდი, სქელი და კროსანი:
სამოცი ადლი სიმადლე ქონდა, მაღალი ზროსანი,
და იმას უამბო ყოველი, იგ იყო კარგი ყმოსანი.

723 უამბო: იხმე ლაშკარი, მოვიდენ თქუენად შველადო,
იხმეს, მოვიდენ ყუეულანი, იგ მოეფინენ ველადო;
ზოგნიმე დადგენ ქალაქად, ზოგნიმე გარეთ მცველადო,
და მერქმე დავარდა ამბავი, კაცი მორბოდა ქელადო.

724 მათ უთხრეს: ფრიდონ მოვაო, ამაყი, შეუპოველი,
მოყავს ურიცხვი ლაშკარი, ვითა ცა ფიფქთა მთოველი.
წინ გამოვასწარ ცოტაი, აგერა მოვა, მოველი,
და აჩქარდა ფახურ-ზააქი, თავადნი მისნი ყოველი.

725 მუნით შეხედეს, გამოჩნდა ცამდის მალალი მტვერია,
შუაგულს რაზმში ბრწყინვალე ქაენის ღროშა ერია;
მოვიდა ფრიდონ ქელმწიფე ტურთა და შეენიერია,
და პირისპირ დადგა, დაიცეს კარაგი მრავალფერია.

726 გარეთ დაბარგდენ, ლაშკარი გავიდენ ქალაქისაგან,
ამ წესით ფახურ ირჯების, პირისპირ ერთის მხრისაგან.
რკინად ჩანს ცისა აერი ლაშკართა სიმრავლის[ა]გან,
და დგანან ლაშკარი ორგნითვე, იგ[ი] უმრავლე ზღვისაგან.

აქა ფრიდონისა და ფახურ-ზააქის ომი

727 გათენდა, ლაქვარდისფერმა ცამა სინათლე იჩინა,
ვარსკულ[ა]ვთა ფერი წაუღო, მზე ამოვიდა, იდინა.
კირჩხიბის ქანგსა დაეხსნა, მთვარემა ნახვა იწყინა,
და მადლა გუშბადსა ამაღლდა, კმელთ სხენი გამოიფინა.

728 შავსა უკუნსა ჩა[ა]ცვა ყირმიზი ვარდის პერანგი,
პკრეს ორგნით კმას საომარსა, ნალარას მოაქუს ძვერანგი,
რაზმი და[ა]წყვეს ორგნითვე, ცამდის ამაღლდა მტვერანგი,
და ვით ზღვა მღელვარე ტრიალებს¹, ვითამცა ესეთა ერანგი.

729 მარჯვნივ უდგა ფრიდონს რაზმსა, ამაქ, ყარან, მტერთა მახე,
მარცხნივ მხარსა ქა[ა]ვ, ყუბად იდგა მტერთა მოვავლახე.
შუაზედა ფრიდონ მეფე მოვა, მზესა დაეასახე,
და ტახტსა იჟდა მოკაზმული, თეთრს პილოსა მზისა სახე.

730 ქაიანური ღროშანი მოყუების, მას უხდებოდა,
ხუთასი ათასი კაცი მოყუების, მოუძღვებოდა;
მარჯვენას მხარსა ყბანი, ფახურის იახლებოდა,
და ხმელზედა იმას სიმალით კაცი ვერ შეუწვდებოდა,

731 მარცხნივ მხარსა თულა ზანგი მოყუებოდა ფახურს თანა,
ორგნით იყო კმა, კვილი, ვის უნახავს ამისთანა;
ყარან მოდგა რაზმთა წინა, თავი მათთანისთანა,
და პირი დასდგა მიწასზედა, ევედრების მალლისთანა.

732 მეფე დალოცა, საომრად პირი ქნა მაიღნისაკე,
ცხენითა შუბსა ივლებდა, ვინცა წამოვა მისაკე;
მას ზანგი გამოუძახა, ფახურ უბრძანა სრისაკე,
და მას ყარან შემოუძახა, მობრუნდა არა სხვისაკე.

¹ ტრიალობს.

733 ფიცხლა ცხენი შეუტოვა, შუბი შესცა, ჩამოაგდო,
მოკლა, ყარან ქაეის შვილმა, მისი თესლო ამოაგდო.
ფახურ ნახა, მას ეწყინა, სიტყუა ქციტად წამოაგდო,
და მას სხვა ზანგი გაუძახა, მისკე ცხენი გამოაგდო.

734 ყარანს დაჰკრა თავსა ლახტი, ფარი ვერა მოუშალა,
მერმე ყარან კმალი¹ დაჰკრა, ფირმა მხარი გაიშალა,
სულ გააპო მკერდამდისი, თავი შუა გაუშალა,
და ამ სოფელსა მოასალმა, მას ღიციოცხლე დაუშალა.

735 სხვა ზანგი გამოუძახ[ა] ფახურმა მეტად მალია,
აგინა, ყარანს მოუხდა, ვითა ცეცხლისა ალია;
შუბი ჰკრა, მაგრამ ვერ ავნო, მაზუდა ქონდა თვალისა:
და მოსტეხა, შორეს გაუგდო, ყარან იხმარა ძალია.

736 მას უკან ყარან მოიძრო აღმასის ფერი კრმალია,
თავს დაჰკრა, შუა გ[ა]პო, ვით ჩადებული მხალია.
ცხენზედა ტახტას და[ა]სო, ზანგს დაუბნელდა თვალისა,
და რა ნახეს, მეტად გაჰკვირდენ, იგ მონაქნეუი ძალია.

737 სხვა ზანგი გამოუძახა, ფახურს ეწყინა მეტადო,
ისიცა მოკლა მაშინვე, მკერეტნი გახადა რეტადო.
ეწყინა ფახურს, ვითამცა გულსა დაესო სვეტადო,
და აღარენი გამოუძახა, ყოველნი მოდგენ ჰკერეტადო.

738 ყარან დადგა მაიდანსა, ნომარი არ წაეიდა,
მემუქარეს მოელოდა, იგი არსად არ გაეიდა;
ფალავანი თულა ზანგი მაიდანსა ჩამოვიდა,
და ფახურს წინა ილოცების, პირ-დამხობით შემოვიდა.

[აქა] ყა[რა]ნისა და თულა ზანგისა ომი

739 ყარან ცხენი მოიბრუნა, თულასაკე წამოვიდა,
თავსა შუბი შემოვიგლო, თულა ფიცხლა გამოვიდა;
თულამ ყარან შეაგინა, ჯავრიანი ზედ მოვიდა,
და ერთმანერთსა შუბი შესცეს, არცა ერთი ჩამოვიდა.

740 ორთვე შუბი დაეღეწა, მერმე კრმლ[ი]თა მუნა სცემდა,
მათ დალეწეს პირველ კმრლები, სრულად ჩარი მათა მზერდა,
ზანგმა ლახტი მო[ი]ქნია, ყარან დასცდა თავსა ჯერ და
და კმა შეიქნა საკურველი, სამის დღისა საველს ვარდა.

741 წამოიღეს მძიმე ტახტი ფრიდონისა იმა დღესა,
ქაეის დროშა გაიძღვანეს, ბედნიერი ამართესა;
იმათ ყარან წამოგვარეს, ძლივას ქირში წა[ა]რთვესა,
და მუნ მივიდენ, ჯირისელნი ფალავანი წამოდგესა.

¹ კმალი.

- 742 შეუტოვეს ერთმანერთსა, იმათ ბევრი ჩამოყრიან,
მუნ ჰოვიდენ მერაზმენი, იგი მეტად სისხლთა ღვრიან.
მზე არა ჩანს ისროსაგან, ვით სეტყუასა შოაყრიან,
და გვანდის წვიმის შიშინია, თავადებსა შუა სჭრიან.
- 743 ზანგს დამგზავესა ქუ[ე]ყანა, გახდა, მართ ვითა ქანგია,
მკუდრისაგან არ იელეზოდა, ეყარა, ვითა ბანგია.
სისხლი ტალახად გარდიქცა, დღე ძნელო, არა კარგია,
და ერთმანერთშიდა დასცივინდეს, დაპყარეს მათი ბარგია.
- 744 ფალავანთა სისხლი ჩასდის, ჯაჭვ-ჯავშანსა უღებვიდა,
დაილაღნეს, აღარ ეძლოთ, მუნ ღამეცა შემოვიდა.
გაიყარნეს სიბნელითა, მათ-მათ სადგომს წამოვიდა;
და ფრიდონს ბეური ამოუწყდა, ვინც მოურჩა, გამოვიდა.
- 745 აშაქ, ქაავ, ყარან, ყუბად, ფრიდონს წინა შეიყარნეს;
მერმე შექნეს ვეზირობა, თვალთა ცრემლი ჩამოპყარნეს,
მეფე ბრძანებს: ამოგვწყუიდეს, ჩვენი სისხლი მათცა ღვარნეს,
და თუ ნარიმან არ მოგვეწერა, ანუ არა შეგვეყარნეს.
- 746 მას ერთი ფალავანი პყავს მაღალი, ვითა გორია,
ამ ლაშქარშიდა არა ჩანს იმისი მეომარია,
წიგნი მისწერე, მოვიდეს ნარიმან სფაადარია.
და დასწერეს წიგნი, მას ლომსა, — ფაიქი იქვე მდგარია;
- 747 მიუწერეს: ფალავანო, მტერთა ჰირად დაიბადე,
ჩემთა ჯართა გალავანო, მე შენითა დაეიქადე!
ზურგო, ჩემო პირის წყალო, მოდი, ესე გამოსცადე,
და პილოტანო ჯავარსრულო, არამც შინა დაიცადე;
- 748 ფალავანთა დიღო რქაო, მტერთ მოუგე რკმლითა მახე,
ბასრის კრმლისა ქარქაში ხარ, ჭანგმახვილი პილო-სახე,
ნიანგთა და დევთ შემკურელო, მტერი გყუანდეს მოვალახე,
და მომისწრაფეთ თქუენი ნახვა, ტახტ-გვირგვინი შემინახე!
- 749 რა მოლაფლებიხს უამია, რა თქუენი საკადრონია,
მამას და პაპას რაც ექნას, თქუენც ქენი სააზრონია.
გვიშველე, ზედა გვადგია ფახურ და მისი ხრონია,
და უთქუენობითა მიეცეს ამ მუხანათთა დრონია!
- 750 წიგნი ნახოთ, მოისწრაფეთ, შეიყარეთ წამსა შინა,
თუ ბინდის დროს მოგივიდეს, არამც ვითა დაგვიძინა;
შუალამე ანუ დილა, ნუ იყონი ნურასთენია,
და იარეთო დაუდგომლად, მოიყენე ცხენი წინა!
- 751 დღეს ჩვენი საქმე ავად ჩანს, თუ თქუენ არ მოგვესწრებოა;
ჩვენ ბადეშიდა ჩავარდი და ლომის ჭანგსა ვეზოა;
გვიშველე, ადრე მოგვესწარ, სოფელი გამარმებოა,
და მოსწრაფებითა იარე, კმლვებზედა გედვას ნებოა!

- 752 შავარდენივით გაფრინდა ფაიქი, ვინცა ვინ არე,
წამოსულიყო ნარიმან [შამს] შე[ე]ყარა წინარე;
იქ დამდგარიყო ლაშქარ[ი]თა, მტერთა სისხლისა მდინარე,
და ფერად-ფერად[ი] კარები დაეცა, იღვა მცინარე.
- 753 სრა-ფარდა შემოვლებული ოთაღნი იღვა ნებასა,
წინათ უთქს სტავრის სეუანი, იქმოდა მოსვენებასა.
შუადღის ეამსა მივიდა ფაიქი, იქმან ზღებასა,
და დიდსა მთასავით გორვიდა, კაცი გარდახდა ცნებასა.
- 754 ას ოცი ადლი სიმაღლე ქონდა მას გმირსა პილოსა,
ქანდართა უგრძე მხრები აქუს, მოსებრი ვინ იხილოსა,
თითები ძელსა მიუგავს, თავი გუმბადსა ჩრდილოსა.
და ჩამომხდარიყუენ სვენებად, შამისა კარსა ლილოსა.
- 755 ფაიქმან ჩოქით მიართვა წიგნი მას მტერთა მზარავსა,
თვალთა და პირთა დაიდვა, იკითხავს არ თუ მალავსა.
რა წაიკითხა, იგი სცნობს ამბავსა შესაზარავსა,
და თვალთ ცრემლს აღენდა ხოშორსა, ფიცხლო დასცემდა კარავსა.
- 756 თქუა: დიად მისქირებია, ვაი, ჩემს ბედსა, წერასა,
თავს ბრუ დაესხა ჭავერითა, აჩქარდა ლომი მწე რასა,
მან შეუზახა ლაშქართა, იქმოდა ჩქარად მზერასა,
და არის კივილი, მოცხენი ვერვინ მოასწრებს ვერასა.
- 757 მოცხენი და მოაბჯარი აპი, უპი კმასა პყრიან,
უკრუს კმასა ასაყრელსა, ქოსთა კმანი ტყბილად დიან;
როგორაცა მჩქები წვიმა, შესხდენ, აგრე წამოდიან,
და მტვერი ასტყდა საყუირველი, ათის დღეცა სავალს ჩნდიან.
- 758 ნარიმანისა სიმძიმით ცხენტ ნალი წინწკალს პყრიანო,
სადაცა ნახის ქანდარი, მოგლიჯის, გარდაყრიანო;
ასეთი მოვა გულისით, თვალთ ცრემლი გარმოსდიანო,
და ქარიმანისასეული¹ მას ლახტი დაუპყრიანო.
- 759 ორი ათასი ლიტრია, ლახტი მხარსა უც მდიდარი,
ქანგგამახული მოცორავს, იმათზედ გარდამკილდარი;
არეინ მორჩების ცოცხალი იმისი წანაკილდარი,
და მას ტანსა ჭაპვი ემოსა, რეინა[ა] განაზიდარი.
- 760 სანამდის მოესწრებოდა ნარიმან ფერიღონ მეფესა,
ფახურთან გაძერა ჭაშუში, უამბო სისხლთა მჩქეფესა.
უთხრა: მოვალ ნარიმან, მას შუქთა მოეფინესა.
და რა გაიგონა, დაჰმუნდა, არ გვანდა ვარდის მკრეფესა.
- 761 ორმოცდაათი ათასი მას ახლავს ზაულელია,
მისი სიდიდე გაამბო, უცხო და საყუირველია.

¹ სველო.

ას ოცი ადლი სიმაღლე არისო, ასრე მელელია,
და ორათას ლიტრა ლახტი აქუს, ვინ მოურჩების მრთელია.

762 ქაფრიანი, მთერალი პილო მოვა თქუენდა ასაწყუედად!
რა ისმინა დამუშთაგან, დამუშმძმა დია მეტად.
ფახურ¹ ჰკითხა: სად დასტოვე, ან სად იყავ მისად მჰვერეტად?
და მან ჰკადრა, თუ: შამის კარსა მოლიოდენ სვეტ და სვეტად,

763 ანუ ზვალ ლამ, ანუ ზეგე, ვიცი, ადრე მოგესწრების,
უსაცილოდ მოსრულია, აჰას ფრიდონს შე[ე]ყრების.
ფახურ შექნა ვეზირობა, არას დია ელზინების,
და ყარიად და თულა ეტყუს: მოხპარება გვეჭირების!

764 აქუეს, თუ: სანამდის მოვიდეს ნარიმან შეუპოველი,
მანამდის ფრიდონს შეეებათ, გამარჯვებასა მოველი;
ის ავაოხროთ, დავხოცოთ თავადი მისი ყოველი,
და ნარიმან ველარას შესძლებს, მას უკან ცუდი მძოველი!

[აქა] ფრიდონისა და ფარუს-ზააქის ომი

765 ზვალისა ომი და[ა]სკუნეს, არ ჩეენი გასაქიროსა;
გათენდა, ნაღარასა ჰკრეს, ომისა გასაპიროსა;
მარჯენით უთქს ფრიდონს აშაქ და ყუბად, გავს მთერალსა პილოსა,
და მარცხნით ქაავ და ყარან დგეს, ძნელსა, არ სა[ა]დვილოსა.

766 ფახურ-ზააქს მარჯენით უდგა ყარაიად მტერთა მახე,
მარცხნით მზარსა თულა ზანგი იყო მტერთა მოვაგლახე.
შეჰკივლეს და შეუტ[ო]ვეს დაუშინეს შუბი ახე;
და ქაინ დროშა ფრიდონს უძღვის ბედნიერი, დავინახე.

767 ყარიად ზანგი გამოდგა, უმალ მუქარის მძახელი;
თავზედა შუბსა ივლებდა, ეს იყო მათში სახელი.
ფრიდონ რა ნახა ყარიად, ახსენა ღმრთისა სახელი,
და მან ერთსა კაცსა უბრძანა: შეები მისი მნახელი!

768 ის ადრე მოკლა ყარიად, კმა ისმის მოსაწყევარი,
გავს, თუ ცა დასცეს კმელზედა, მიწათა დაუტევეარი,
აფთითა, კრპლითა, ლახტითა, ხანჯრითა დანახევეარი,
და ვით ხშირი წვიმა ცვიოდა, მკუდარ[ი] ვერ დანახევეარი.

769 შუა დაქრილი თავადნი ცხენთა ეკიდა, ცვიოდა,
მტვერი ამალლდა ცათამდი, ზოგნიმე თავსა სჭიროდა,
მზე სრულად გაუჩინარდა, დავსილა აერიო და,
და კუპრად წვიმა და ქუეყანა, ცოცხალი მკუდართა ჩიოდა.

770 ქარი და ნისლი მოვიდა, დიდი ნისლი და მტვერია,
ერთმანერთს ვერვინ იცნობდა, სილამეც შემოერია;

¹ ფახურ.

მკვლარი ეყარა გორ-გორად, სისხლსა და მტვერსა ვრია,
და თავი ტანს სალაშს უგზავნის, ყმა იყო, თუნდა ბერია.

- 771 დაეჩარენ ერთმანერთსა, უპატიოდ სჭირან თავსა,
შუბი, კმალი დანალეწი, სეტყუასა და კოხსა ვავსა;
კარკლიანად შექმნილია, არ მისცემდენ ერთი ზავსა,
და სისხლის ღვარსა კაცი მოაქუს, მზე გარდახდა მზესა შავსა.
- 772 სისხლმან გაჰკუეთა ხანდაკი, ვერვინ გავიდოს ცხენითა,
ერთსა დღესა და ღამესა იომეს სიმარჯხენითა.
გათენდა, ფრიდონს შეხედეს, იგ ეყო მუნ მოწყენითა,
და მას შემტრობოდა ლაშქარი, იყუიან ცრემლთა დენითა.
- 773 ფრიდონისა ლაშქართაგან დაფანტული უგზოდ ვლიან,
ზოგნი აღმა, ზოგნი ჩაღმა წასულან და იმაღვიან;
დარჩეულნი ფრიდონისნი ქაინ დროშას გარ უვლიან.
და ომი არსით არ გარდასწყდა, მკუდართა ვერვინ ვერ დათვლიან.
- 774 ტახტითა იჭდა პილოსა, ფრიდონ ღმრთივ საფარველიანი,
ყარიად ნახა, მიუხდა, ვით იყო დავლ[ა]თიანი.
ყუბად ენაცელა პატრონსა, ვით ხამდა ჯაემანიანი,
და წინდავე დარჩა, მან იყრა მისი საყრავი რკიანი.
- 775 ყუბადს თავსა ლახტი დაჰკრა, ფარი თავსა და[ა]ლეწა,
თავსა დასცდა, კელი, ფეხი, ცალგნით ორივ დაელეწა,
ცხენიც მოკლა და ორნივე, გავს წაიქ[ა] დიდი ხე წა,
და მერმე მიდგა ფრიდონზედა დაუძახ[ა]: წახვალ, ვერ წა!
- 776 მეფეს ლახტი შეუმაღლა, მას ყარიად შემოვარდა,
რა ლამოდა თავს დაკურასა, მეფე ცხენით ჩამოვარდა,
ცოტა მოხვდა, მან ჩასტეხა, თავში სისხლი ამოვარდა,
და პილოს მოხვდა დანაცდენი, მოკულა, ველარ წამოვარდა.
- 777 თავსისხლიანი კელმწიფე იქით-აქ იარებოდა,
ყარიად დროშას მომართა, წინ ვერვინ დაუდგებოდა.
მან დაუშინა თავ[ა]ლთა, დახოცა, აზარდებოდა;
და სრულ ფალავანი მრავალი, მიწასთან გასწორდებოდა.
- 778 მედროშესა დაუშინა, მისი საქმე გა[ა]ჩინა,
იმისი მკლავი სრულ დაჰკრა, დროშას ვერა და[ა]ჩინა .
ღია ქრმლითა ტარსა სცემდა, მედროშენი ა[ა]მჩინა,
და ერთობ მისვე წამოსწია, ჯავრით პირი და[ა]ფჩინა.
- 779 დროშის ტარსა კელი სტაცა, ქავე დიდი გამოსწია,
მერმე სხვანი მოეშველნეს, ერთმანერთსა წამოსწია;
იქით-აქით იზეუდიან, ხმა ცათამდის ამოსდივა,
და დაიღალნეს ქიდებითა, ოფლი კოჰთა ჩამოსდივა.

აქა მოესწრო ნარიმან ფალავანი ფრიდონს

- 780 შორს დაინანეს მინდორად ღიდი მაღალი მტვერია,
მაშიდ ჩანს შუბის ელვანი, ვითა ვარსკულაუი ვერია.
შუა გაიყო იგ მტვერი, დახდენ, მართ ვითა შტერია,
და გამოჩნდა კოშკი რკინისა, მაშინ მოშალა მტერია.
- 781 მტვერსა შიგან გამოიციენს ფალავანი ლომთა ლომი,
გვანდა მთასა შეჭურვილსა, მოცოროვიდა ცხენსა მჭდომი;
პირისა პერი მოსდიოდა, ოფლისაგან შენასწრომი;
და მათ გაუშვეს დროშის ქე და აღარ უნდა ერთსა ომი.
- 782 ყუელაკანი მოეშალენ, აპირებენ ყუელა ზავსა,
მუნ მობრდღვინავს მთვრალი პილო, აერშიდა უწეუს [ქრმალსა],
კანჭრის ჯოგსა, ვითა ვეფხი, შემოიჭრა, ავლებს თვალსა.
და სისხლის ღვრასა აპირებდა, ცოფიანსა ლომსა გაესა.
- 783 ლომსავით გაცოფებული დაბრის, არა გავს ცნებასა,
იქით და აქით იმზერდა, მტერი მიეცა ვნებასა.
ვით თეთრმან ქორმან დურეჯი დანაბოს, იყო თნებასა,
და აგრე დაბნიდა მებრძოლი, შიშით ვერვინ იქს ხლებასა.
- 784 იგი ჰვრეტდა, ვით ხობობსა, სსახელო თეთრი ქორი,
ქარიმანის ლახტი ჰქონდა, მან მიაპყრო იმას ტორი;
იგ შეენოდა ჯავშნოსანი, თვით დაყაროს ბევრი მძორი,
და ფრიდონ ნახა სისხლიანი, დაინახა არ თუ შორი.
- 785 ჰანგ-გამახელი ბრდღვინვიდა, ძალისა იმედოული,
გავს, თუ სინა მთა მოსკდაო, ლახტი აქეს მამისოული.
თავრალეწილი ქელმწიფე, მას ფრიდონ ომსა ჩვეული,
და წინ მიეგება ნარიმან, ვითამცა იყო წვეული.
- 786 არ უყურა მას ნარიმან, იქით-აქით თვალს ატებდა,
ვინცა ნახა, მისის შიშით, ვითა ვერხვა წარწარებდა,
ყარიადი დაინახა, ფიცხლა მისკე გზას წარებდა,
და ზედ მიუხდა მთვრალი პილო, ავს ნიშანსა ახარებდა.
- აქა ნარიმანისა და ყარაიადის პირველი შეყრა
- 787 ფახურ ნახა მიმაველი ყარაიაზედ ლომთა ლომი,
შეკრთა, დიდი დაიძახა: ვინ გაბედოს მისი ომი!
თქუა, თუ: დეუი ეს ყოფილა, თვარ არ არის კაცთა ტომი,
და ზედ მივიდა ყარაიაღზედ, გავს დაიქცა ცისა ხომი.
- 788 ყარაიადსა ნაომარი, იარალი აღარ ქონდა,
შუბი, ხრმალი, ლახტი, რაცა ომისაგან დალევოდა,
ფარი კიდევ მორჩომოდა, მიაგება, მით დაღონდა.
და რა ნარიმან დაინახა, მაზედ თავი არ მოსწონდა.

1 შიამყრო.

- 789 თქუა: არ ვარგა, ღროს შოენითა, კაცი კაცსა მოერიოს!
მანს გაჰყარა იარაღი, ლახტი შოროს გა[ა]სრიოს;
მას მჭილითა ზედ მიუხდა, მკვერეტთა თვალი აერიოს,
და ცხვირს უქუჰკრა, სისხლი წასკდა, მიწა-მტვერთა გაერიოს..
- 790 მეორე სტიკა ლოყასა, მოაძრო პირის ტყავია,
პირი და ყური წასტყავა, სისხლი სდიოდა შავია;
მას გაუმრულ[დ]ა თვალები და და[ა]რიდა თავია.
და გაუშვა, ასე უამბო: დღეს დამიე შენთვი ზავია!
- 791 თქუა: გამიშვიხარ ყარიად, დღესა ხარ ნაომარია,
ხვალ მოიტანე მიიდანს, რაცა გაჰუს, საომარია,
დასცადე ჩემი ძალ-გული, გვიკვერეტღეს ორიე ქარია,
და გიჩვენო ჭანგმახვილობა, მეტადრე ნაომარია.
- 792 მე ვასწავლო მეომრობა, ანუ ხერხი როგორ უნდა,
აწ სტუმარი შენი მოველ და არიფი ვითა ვინა,
ჭერე ომი არ მინახუს, მე ვყოფილვარ თავისთვინა,
და ღმრთითა აღრე შეგანანო, მოგიჯრიო ჩემსა წინა.
- 793 ვითა ბერი გამოცდილი, ომის საქმეს გა[ა]გებდა,
ყარიადი ლაშქართაყე მოვა, წყნარად მას აქებდა.
ომი კიდეე გაიყარა, მას არაეინ აძაგებდა.
და ნარიმანცა წამოვიდა, არ თუ თავსა წა[ა]გებდა.
- 794 ფრიდონს წინა მ[ო]ეგება, მას ლომსა და ვითა გმირსა;
გმირმა მადლი გარდინადა, არ იტყოდა მისთვის ძვირსა.
[ა]ყენა¹ ფალაქანი და აყოცა მეფემ პირსა.
და შეკვერეტდენ და შეფრინვიდენ, ლამის მისცეს მტერი ჳირსა..
- 795 ფალაქანმა თავადებსა მოიკითხა, დაძძრა ენა,
ხელს აყოცა ყუელაკამა და სალამი მოახსენა.
ამაჲ, ყარან, ჳაე, ყუბად, არ ეტყობის მათ მოწყენა,
და უთხრა: რასთვის დაიხოცეთ აჲ უჩემოთ, მარტო თქუნენა?
- 796 მოიკითხა თავ-თავისათ, მათ დარჩომა მიულოცა,
ვინცა მორჩა მისთვის კარგათ, ანუ ვინცა დაიხოცა..
ნახა მეფე მხიარული, თქვა, თუ: ჳირი ამეხოცა,
და ხვალე ომსა აპრობენ, მისი მტერი დაიხოცა.
- 797 ვინცა გაიქცა, ერანელთ ამბავი ესმათ არ ავი.
მოვიდა გმირი ნარიმან, მეგრძოლთა შემაზარავი;
ზაულელთ დამრავლებულა ფერად-ფერადი კარავი,
და ხატურისა ქამხისა, მინდორთა დასათარავი.
- 798 დადგეს კარეები, სენები, სრა-ფარდა შემოვლულია,
ჳკრეს ნაღარასა, გამოძერენ გაქცეულ-დამალულია.

¹ აყენა.

კიდევ დაგროვდა ლაშქარი იმათგან დაფანტულია,
და მათ ლმერთსა მადლი შესწირეს, ვინც იყო გაქცეულია.

799 სიმზიარულე შეიქნა, ჯარმა დაიწყო მოღენა,
ფრიდონს უხარის, ვითამცა არ აკლდეს ბ[ე]წვის ოდენა;
ვინც დამალული მოძვრების, მინდორად გამორბოდენა,
და თქუეს, თუ: მოგვესწრა დამხსნელი, სიკეთეს მოიტყოდენა.

800 ფახურ ჰკითხებდა ყარიადს და თულა იქა დგანანო,
გუზინვე უწინ შევებოდით, დღესამცა ქელთა გყუანანო,
ნარიმან ახლავთ და ქაავ, აშაქ, ყუზად და ყარანო,
და აწ, რასაც მირჩეუთ, თქუენ იცით, ჩვენთვის სიცოცხლე კმარანო.

801 თულა ჰკადრა: ნუ იჭირვი, მე ვარ მათი საკამით,
მათ გამოვსციდი მძიმის ლახტით, ოცი იყოს, ვინდა ათი;
ჯერ ნარიმანს ვინადირებ, გარდავისხა სისხლი მათი,
და კუენნით გაძლა მას დამესა და გაუშვა დიდი ზავთი:

802 ერთსა ჩემს ლახტსა ვერ უდგამს, ნარიმანს დავჰკრა ქედასა,
სისხლის ცრემლითა უტრებ, ტანი ძმასა და დედასა!
რა გაიგონა ფახური, აქებდა მისსა ბედასა,
და თულას ხალათი მიართვა, აძლეუდა ზედა-ზედასა.

803 ყარიადს მისცა კიდუე, რაც მისი შესაფერია,
იამუთის და ზულაფის თავადნი ვინცა ერია,
სრულად ლაშქარი დამოსა, ყმა იყო, თუნდა ბერიო,
და მუნ დაემზადენ საოჰრად, მზეს წაუვიდა ფერია.

804 ფრიდონს უამბეს, ნარიმანს ჯამუშთა ნაეზირებო;
რაც ეთქუა ფახურს, ყარიადს და თულას დანაპირებო,
ყუელაკა წერილად უამბო იმ[ა]თგან განაპირებო,
და არ გაიკუთრევეს იმათი ავ-კარგი განარიგებო.

805 გაიგონა, ნარიმან თქუა: მათ ვახსენებ მე რაშიგა,
სად მოჰკიდებს ლომი კელსა მელსა, ბლარჯის ძებნაშიგა!
რაცა ლმერთსა გაუგია, იგ მოკლების ამაშიგა,
და ამაზ დამე ლქინი ვნახოთ, მოვისვენოთ ჰამაშიგა.

აქა ომი ფრიდონ ქელმწიფისა და ფახურ ზა[ა]ქისა

806 გათენდა, მზემან ზეწარი ყირმიზად მოათინარა,
დახია შავი ფარდაგი, ბნელი დაუხვდა წინ არა:
უკრეს ქოსსა და დაბდაბსა, რაზმმან, ვითა ზღამ, იარა,
და ვინ იცის, ვინ ამალღების, ვინ დამდაბღების, ვინ არა!

807 თეთრი პილო მოიყუანეს, ფრიდონ ტახტით მაზედ ზისა,
იქით ფახურ-ზა[ა]ქ მეფე, ტახტსა მჭდომი ამა გზისა,
მარჯვნივ უდგა ყარიადი, უმალღესი დიდად სხვისა,
და შუბის ტევრი მოელევიდა უნათლესი, მსგავსი შვისა.

- 808 თულა ზანგი ფახურს წინა მოითხოვდა ფარავანსა, მან ახსენა მოწყალება, პირს აღიღებს არ აევანსა; ტანს ჩაიცვა ჭაჭვე-ჭავშანი, იმა ტანსა ფალავანსა, და აშენებდა მათსა ჭარსა, ვითა კოშკი გალავანსა.
- 809 პილოსა შექდა, შეენოდა შუბოსან-ჭავშანოსანი, ოთხმოცი ადლი სიმაღლე ქონდა, დგას უბილოსანი. ქელთ მძიმე ლახტი ეჭირა, დიდ-ტარიანი, ჭროსანი, და მედანშიდა მოვიდა, ყუიროდა დიდი კმოსანი:
- 810 მე გიჩვენო ვისცა გინდა, მეომართა ქცევა, ზმანი, ანუ ჰანგთა მახვილობა ან სიფიცქე, კერკის ქნანი იესე ყუბად გაიგონა, პერს დაუწყო პირით ყრანი, და ქელმწიფესა მოახსენა: ნურვინ მივა მაზედ სხევანი.
- 811 მე შეეებმი დეუის გვარსა, მძიმის ლახტით გამოვსცდია! ქელმწიფემა დაუშალა: დღესე ომი დაგიცდია, ვერ[ა] შეძლებ მისსა ომსა, ნუცა მისთვის დაციდია, და მას არიფი ჩარიმან ჰყავს, მისგან კიდე ნურვინ სცდია!
- 812 იმაზედ ადგა ჩარიმან, ქელსა და პირსა იბანდა, ილოცა დამბადებელი, არა თუ ომსა ინანდა. ტანსა ჩაიცვა ქუაფთანი, მას ვინ შე[ე]ბმის, ვინ არდა! და იმაზედა ჭაჭვე-ჭავშანი ლახტი ჩაიპყრა, წინ არდა.
- 813 მან ბერძელი მუზარადი თავსა—მთასა დაირქო და, ორ ათასი ლიტრა ლახტი მძიმე ქელთა აიღო და, ქელმწიფეს წინა მოვიდა, ჭართა კარი ფაილო და, და იგ ფარვანსა მოითხოვდა, პირი მიწად დაიღო და.
- 814 მან დალოცა ფრილო[ნ]მეფე, სიტყუა ჰკადრა ერთი, ორი, ას ოც ადლი სიმაღლე აქუს, მაღლის მთისა შენასწორი. მუზარადი გუმბადს უგავს, თუ სთქო, ათქსო დიდი გორი. და იგ მაღალი რკინის კოშკი, ძელეებს უგავს ორი ტორი.
- 815 მან ჰკადრა: ღმრთითა გაჩვენო იმათი ძალიანობა, უჩვენო ჩემი ძალ-გული, გავსწყვიდო მათიანობა: მე დავამდაბლო სილაღე, იმათი ზეთიანობა, და ცულად გაუხდეს მათ ყუელა კერკი და კლათიანობა!
- 816 პირი ვარდსავით უყუავის, ბროლ-ლალი გამჟვირვალა, თვალნი მოციანარს ვარსკულავსა უგავს, მას სხივნი, ალია; ორის პილოს სიბრტყე ბეჭი, კლდე ვერ დაუდგამს სალია, და მკლავნი ჩ[ი]ნარსა ქესავით, რა გითხრა მისი ძალია!
- 817 თითები ბროლის ნათალსა, მტერისა შემაზარავსა, ომშილ: შესვლა უხარის, კარგს დღეს მოელის, არ ავსა. ასრე მიაჩანს თამაშად, ნადიმად იგდეს კარავსა, და ათასი გმარი მას წინა გევანან თიენისა მპარავსა;

- 818 უკერძო ყოველთა იმისი სიმაღლე, ნაკეთიანობა,
შეკრდი, მკლავი და კისერი, ძალი და ზავთიანობა!
ქულ-მოხდით ლოცავს ქელმწიფე სვე, სრულყოფ მათიანობა,
და დაიტევ ჩემი ნარიმან, არ მომხვდეს ჭავრიანობა:
- 819 მე, არსისა შემოქმედო, უღონოთა მისცემ გზასა,
გულთ, გუნებათ გამკითხველო, ვინ საწუთრო შექმენ წამსა!
სული ხორცსა შეაერთე, ვით ხომანდი შიგან ზღვასა,
და მოწყალეუ და მოსამართლეუ, შეიცვლები არას ეამსა!
- 820 მუნ უწინამძღვრე ნარიმანს, ნუ მისცემ შექირებებასა,
მიეც მშვიდობა, გზა მრთელი, თულა ზანგს რა შეებასა!
ნარიმანს უთხრა: წადიო, ღმრთით ველი გამარჯვებასა,
და არ ველი განგებვისაგან, მას შენსა დამაგრებასა.
- 821 რაც ექნას მამა-პაპათა, იცი, ესენი ქუელია,
უთრულთს, გვაქასპირს, ქარიმანს, შენ დავრჩა მათი კელია!
შვილიშვილი კარ იმათი, ვერც ერთი გჯობდა ძველია,
და დაღწე მტერი ლახტითა, წითლად შეღებე ველია!
- 822 მიდი კარგათ, შენებურად ტვინი თმასა გაურიე,
თავ-ტანი და ძვალ-ძარღვ-რბილი ერთმანერთში წაურიე!
გულ-ქვიტიკო, ფალავანო, გულსა ჭავრი ჩაურიე,
და იგ დანაყე მძიმის ლახტით, ვითა ქუითა დაურიე.
- 823 ჭავარსრულო, ახოვანო, ახალ-ნორჩო ალეის ქეო,
ნიანგთა და უზაბართა ამომწყუედო, მძლუთა-მძლეო,
დეუ-ვეშაბთა დამანთქმელო, შენგან ძრწიან მათი ძეო,
და ხალხთა ჩემთა საძირკუელო, ზე ამგებო ზესთა-ზეო!
- 824 რა ყმაწვილმან ფალავანმან ესე სიტყუა ყურად ილო,
წამოვიდა საომარად, არ თუ თავი ჩამოილო;
თულა ზანგი დაინახა, კაბის კალთა ამოილო,
და ვითა ლომი გაიბერა, მძიმე ლახტი წამოილო.

აქა თულა ზანგისა და ნარიმანის ომი

- 825 თულამ მხარსა ლახტი დაჰკრა ფალავანსა ლომთა ლომსა,
არა დია არ ეტყინა, არ გავს მისსა შენაზომსა.
მას უამბო ფალავანმა: საით ღირსხარ ჩემსა ომსა,
და შენს ბატონს წინ გიყვეხნია, დავამსხვრეო ცისა ხომსა!
- 826 გითქუამს: ნარიმან მოვკლაო, მაზედ არ ვარო ზავითა,
თავს დაუმსხვრეო ლახტითა, იყოს ბედითა ავითა.
სრულ ზაულელთა დავხოცო, სისხლი ვადინო ზღვა ვითა,
და არვის გაუშვებ ცოცხალსა მართო ჩემისა თავითა.
- 827 შენ ფახურს შეუმოსიხარ შესამოსითა ბეურითა,
ჟერ მისი ცოლიც გიბომოს, შენგან დავიმსხრა თუ ვითა,

გვაქასპის შვილიშვილი ვარ, ჯაბანი ვიქნე მე ვითა,
და ვით გამიტეხდი შენ თავსა შენისა მონაქნევითა!

826 კელი მიპყო ფალანმა, წასაველად აღარ გზა სცა,
ერთი კელი ხვაფთანისა საყელოსა მიპყო, სტაცა,
და—მეორე — მოსართავსა პილოსასა, კიდევ მასცა.
და თავის სწორად აიუყანა, პილოვანად მიწის დასცა.

829 ორთავ კირწები დაღეწა, პილოტ მოკელდა და კაცია,
ველარცა ერთი წამოდგა, სხვათ ეშინოდა რაცია;
ნარიმან ღმერთი ილოცა, წამო[დ]გა მართ მამაცია,
და რა მამა ნახა მოკლული, იამუთ შექნა ტყაცია.

აქა იამუთისა და ნარიმანის ომი

830 იამუთ შემოუტოვა, აგ[ი]ნა ლომი ქუელია,
წინ მიეგება ნარიმან, იმას მიიპყრა კელია,
კისერსა ბლიკი შემოპყრა, არ რკმალი სისხლთა მღერელია,
და წამს ჩამოაგდო, კენესოდა, გორვიდა, ვითა მელია.

831 მიწასა ზედა დაეცა, იგი ამბობდა ვერასა,
იგ გარდიგამო იქცევის, ველარ იქს მზრსა მზერასა,
ნარიმან იქივ მობრუნდა, ახსენებს მათსა წერასა.
და ომს აპირებდა კიდევ, არ უზამს გული ჭერასა.

832 ხულაფ ნახა: მამა და ძმა, უპატიოდ მკუდარი ჰყრიან,
ერთობილნი ზანგნი სტირან, მათი ლაწენი სისხლთა ღვრიან;
მათ დაიდევს დიდი გლოვა, საყელონი გარდისიან,
და სასისხარად ნარიმანზედ [წამოვიდენ], ცრემლი სდიან.

აქა ხულაფის ზანგისა და ნარიმანის ომი

833 თავსა შუბი შემოვივლო, ხულაფ მისეკ მალედ ვლიდა,
გმირსა ლახტი მოუქნია, ბროლ-მინასა ვერა ზვრიდა;
გამოართვა მისი ლახტი, შორს გაუგდო, არა ჰკუთირდა,
და კელი სტაცა, მი[ა]თრია, იგი ლომი სისხლსა ღვრიდა.

834 ცხენიდგან ჩამოთრია, ხულაფის ცრემლი სდიანო,
ქუეშე ჩაიდვა, ასწივა, არ მახვილითა სჭრიანო;
შუა გახლიჩა უწყალოდ, ღვარულებ სისხლში გდიანო,
და შორს ნახეუარი გასტყორცა, კაცობა ამას ქუიანო.

835 რა ეს ნახეს, მოღეღვიდენ, რაზმი ზღვა ვით წამოვიდა,
ჰკრეს ქოსსა და ნალარასა, ვით მდლდარე გარმოვიდა.
[მოემზადა ნარიმანი, ვით ღრუბელი აგვიგვიდა,
და ლახტი ხელთა მოიმარჯვა, თავი მისი არ დარიდა].

836 ქვეითად ზედა მიუხდა, ნარიმან ლომი ქუ[ე]ლია,
თავს მძიმე ლახტი გარდაჰკრა, თქუა: წასვლას ნულარ ელია!

ძვალ-რბილ[ი]ანად დალეწა, ვინ დაუტრიფა კელია,
და მიწა შეღება სისხლითა, მოკლა, ველარსად მველეია.

- 837 რა ფარუხ-ზა[ა]ქ შეიგნა სიკუდილი ორთა მისისა,
უტრეს ქოსისა და დაბდაბსა, ისმის ხმა ზათქი, ზარისა,
იქითით დროშა ქავისა მოიღეს ამა ჭარისა,
და წამოდგენ მეპილოვენი, ჭართა სიმრავლე კმარისა.
- 838 დაუშინეს შუბებითა, ერთმანერთსა ჩამოყრიან,
ლახტსა, კრმალსა, აფთ-ხანჭარსა, ვით სეტყუასა მიაყრიან,
დაეჩარნეს, აერივნეს, ზოგი ზოგთა თავსა სჭრიან,
და დახოცეს და ამოსწყუდიდეს, იგ ჭეონად სისხლთა ღვრიან.
- 839 შუბისა ხრმლისა ნალეწი აერთა შიგა ფრინავსა,
აბჭართ[ა], ზუჩთა ელევანი სამის დღის საველს ბეღვინავსა,
მკუდრისა ჭარისა სიმრავლით საწუთრო ზანგსა მიგავსა,
და ვინ იცის, ვინ ამაღლების, ვინ კარგს მოელის, ვინ ავსა.
- 840 მრავალი თავი თავადთა სისხლსა და მტვერში ჰყრიანო,
სისხლმან ხანდაკი გაჰყუეთა და ზოგთა შუა სჭრიანო;
კაცის თავ-ფეხი მოჰქონდა, ვითა ჭეონი დიანო,
და თავი ტანს სალამს უგზავნის, მოშვება რასა ქუიანო!
- 841 სითაც პირი ქნის, ნარიმანს კარი უყუიან გზიანი,
ჯარს ფრეწღს, ვითა ზეწარსა, მოყმე გულმარიხიანი;
ვერვიან დაუდგის ამაყსა, რა ტანი დამქრის ხიანი,
და უქუიქნივის, ოც-ოცი მოკლის, მით უყო ზიანი.
- 842 კაცს გულზედ შესდ[გ]ის, და[ა]დგის მუტელსა ზედა ფეხია,
თავსა და მკარსა წაფრინდა, არა თუ უყო კერბია,
მოგრიხის, შუა გასწყუიდა, გავს თუ სცემოდა მეხია,
და იმით სხვა მოკელის, მესტყორცის თავადი, გინდა გლეხია.
- 843 ცხენთა ძუა შეუტაცა, მიეწია უკან რასცა.
მოიქნია კაციანად, უპატიოდ მიწას დასცა;
კაცი, ცხენი შუა დასცდა, სხვა პასუხი ვერვიან გასცა,
და იომის და იცემების, სითცა უნდის თავსა, გზასცა.
- აქა ნარიმანისა და ყარიადის მეორედ შეყრა და ომი
- 844 ერთსა დღესა და დამესა არსით არ გასწყუდა ომია,
შუალამ ნახა ნარიმან ყარიად ლომთა ლომია;
შეიყარნეს და შეიბნეს, არეინ სჭობს კაცთა ტომია,
და გათენებამდის იომეს, ორნივე ბრძოლის მდომია.
- 845 რა გათენდა, შეიჭიდნეს გულმესისხლედ, არ დარიდეს,
მათ გაჰყარეს იარაღი, ნაბრჭყალზედა სისხლა სდინდეს,
იგ ლაბები ზუჩის შესწყუდათ, ერთმანერთსა ჯაჭვსა ზიდეს,
და მუნ ხეაფთანსა აფრეწდიან, ღვარის[ა]ქებრ ოფლი სდინდეს.

- 846 პირსა პერი მოსდიოდა, არც ერთს უნდა ერთის ზავი, ჭაჭვეს სარტყლებს ქელი სტაცეს, იბრძოლიან ვმირთა თავი, ფალანგმა დაიყვირა: გლახ, ყარიადს დღე აქუს შავი და აიყუანა თავის სწორად, გაიშავრა გმირმა მკლავი.
- 847 მიწასა დასცა, შეიძრა მუნ სრულად არე-მარია, მერმე ზედ შესდგა გულზედა, მისთვის დაბნელა მთვარია; ხანჭრითა თავი მოჰკუეთა, ქუესკენელთ მიწათა ვარია, და მისთვის მზად იქნა საშარე, ანუ სათხარი ბარია.
- 848 რა მოიცალა, მიმართა ლომან ფახურის არესა, იგ მძიმე ლახტი ხელთა აქუს, მას მზისა შესადარესა, პილოზედ იჭდა ფახური, დღე გვანდა მისი მწარესა, და მკულრისაგან საკმლოდ ნარიმან ვერ მიდგა შე[სა]ზარესა.

აქა ნარიმანისაგან ფახურ-ზა[ა]ქის შეპყრობა და ომი

- 849 რქმალი ჩივიგო, შესტყორცა ნარიმან საგდებელია, თავს გარდა[ა]ცვა მოსთვრანდა, თქუა: წასვლას ნულარ ელია! თრევეთ კელმწიფეს მოჰგვარა, მაგრად შეუქრა ქელია, და ფახურის ჭართა რა ნახეს ესე დღე მეტად ძნელია,
- 850 გაიქცენ, უკან მისდევდენ ფრდონ და მისი ჭარია, ზანგნი ზანგუბრით წავიდენ, გარდავლეს მთა და ბარია; ისპანელი ისპანს [მიეა], მათ-მათ თემისკე მგზავრია, და ფრიდონს წინ იღვა შეკრული, ფახურ პატიმრად არია.
- 851 მეფემა ჯალადს უბრძანა, მაშინ მოკუეთა თავისა, წაიყუანეს და მოკუეთეს, არად მოქმედი კაისა; თავი დაქონდათ ჭარშიდა, დღე დაუბნელეს შავისა, და მემ ში[ი]თვალეს საჭურჭლე, იგ უმრავლესი ზღვისისა.
- 852 იყო ქონება ურიცხვი, ანგარიშ-მოუხლომელი, იგ შუა გაყო მეფემა, რაცა რომ იყო ყოველი; მას ნახეუარი უბოძა, ნარიმან იყო რომელი, და მემ ნახეუარი კიდევე, გაყო ვინ იყო მგმობელი.
- 853 ერთი წილი ჭართა მისცა, ერთი მისად შეინახა, ნარიმანცა ლაშკართ მისცა, სიძუნწესა ვინ უძრახა; იგ აავსეს¹ პირამდისი², არვინ სულთქმა, არცა ახა, და ქავის დროშა წა[ი]მძღვანეს, სპილენძქურმა დაიძახა.
- 854 მცილე კაცი აღარ ჰყუანდა, ხმელი ასე გაიჭირეს, სარავ ქალაქს შემოვიდენ, სულ ქუეყანა დაიჭირეს; მისრეთსა და სარი ქალაქს მუნით დიდი გზანი ელიდეს, და მათი წასვლა დეუთა ეცნო, სხვა ამბავი მოუვიდეს.

¹ ფსესეს. ² პირამდისი.

აქა ყამურ დევი გამოილაშქრა ფრიდონზე

- 855 დეუთა ცნესა: ფრიდონ მეფე ლაშქარს არის, იქით ჩარჩა,
ჯიმშედ დეუნი ამოსწყუიდა, მაშინ ფოლადს შვილი დარჩა.
ფალანგს გვერდით იზრდებოდა, გონებდასა მაშინ გარჩა,
და გაიზარდა, ომი შესძლო, სადაც მიდგა შეიჩარჩა.
- 856 ფალაგს ჰქადრა: სულ ქუეყანა მ[ა]მა ჩემსა ჰქონებია,
ადამიანთ წაუღია, ჩვენთვის ძალი სდომებია.
აწე შინა [ა]რ არიან ჯარი, არცა მონებია,
და წავალ, ჩემსა მე დაეიქერ, ვეკობ, ჩემი მგონებია.
- 857 ყაფის [მ]თაშიდა არ მომცემ შენ, ვეკობ, არცა დრამასა,
მე უმამულოდ არ ვარგვარ, არცა ერთისა წამასა;
ჩემსა მამულსა ვერ უზამ ადამიანთა ჰამასა,
და არ მივსცემ ჩემსა იმათა, მოუკლავ ძმას და [მ]ამასა!
- 858 ფალაგ ქეე გაიგონა ყამურისა დევისაგან,
უთხრა: გახსოვს, მამა შენმა მოიჭირვა მეტისაგან,
ვერც[ა] იმან ამოყარა ადამიანთ გვარისაგან,
და მათ დახოცეს ჩენი გვარი უფრო ორი ზომისაგან:
- 859 ჩამოეხსენ, დამიჭერე, მათი ბრძოლა ჰირად მჩანსა,
მოწყალეება მათ უბოძა, სულ ქუეყანა მათა ჰყმობსა,
კიდევ არის მათი გვარი, კიდევ ადრე დაგვაშობსა!
და არ უყურა ყამურ დეუმე, დიად მეტად ამაყობსა.
- 860 არ დაიჭერა, წავალო, ვეკობ, არ იყოს ცნობასა,
თქუა: ისი აღარ ცოცხ[ა]ლა, ვინდა იქს მისოდნობასა.
ჰქადრა: მიბოძე ლაშქარი, ვიყრა ბუქსა და ნობასა,
და სულ დავიჭირო ქუეყანა, არ ველი თქუენგან გმობასა!
- 861 ვერ მოუშალა ფალაგი, ვერ ღონით ვერაფერიოთა,
მერმელა იხმო ლაშქარი, ყოველი მის მიერიოთა;
სამასი ათასი დეუი, მოვიდენ მეტად ბეურითა,
და გამოემართა ყამური სიჩქარით, არ სიწყნარცა.
- 862 მას ფალაგ გამოატანა ჯან დეუი, არა ავია,
ჯანსუზი დეუი და არმან, არც ერთს არ უნდა ზავია;
სხვა თეთარი დეუი კიდევე, იგ დიდი გმირთა თავია,
და მახანდარელი არვანგი, ქარგი, მა[თ]თავით შავია.
- 863 იარეს და წამოვიდეს, სარავ ჰალაქს მოვიდესა,
დაესხეს და ამოსწყუიდეს, აბნელებდა მეტვერი მზესა,
ქუა ქუაზედა და[ა]დუდეს, მათ ქუეყანა იმა დღესა,
და წამოვიდენ ფრიდონზედა, აიყარნეს, აღარ დგესა.
- 864 ფრიდონს უამბეს: აოხრდა სარავ ჰალაქი თქუენია,
აწ თქუენზედ მოვლენ ასერა, მათ დაიკაზმეს ცხენია!

- დანადვლიანდა კელმწიფე, ნარიმან იქ დგა მხნენია.
და ჰკადრა: ნუ სქმუნავ მეფეო, ნურცა რ[ა]ს მოგიწყენია,
- 565 მე შეუიწიო მოწყალე, ვახსენო დამბადებელი,
ვით პაპა ჩემმა გვაჯასპირ, მათ გაუთენა დღე ბნელი,
რაც ფოლადს უყო, სხვას დეუთა, იცია, ჩემგან მას ელი,
და ღმრთითა, მათზედა გაეხადო საწუთრო მათათვეც მე ძნელი!
- 566 მერმე ჰკითხეს მოაბადთა: აწე დეუთი სად არიან?
მოახსენეს: წამოვიდენ, ვიცი, ახლოს მოგწურვიან,
იარეს და იქით იმათ, ორივე მხარეს შეიყრიან,
და იქით დეუნი დაეზარგენს, აქეთ კაცნი ბარგთა ჰყრიან.
- 567 მწვანეს მინდორსა დაიცეს კარეები, რაც რა სევანი,
სრა-ფარდა შემოვლებული, იყო მინდორი, ხევანი.
დაფარეს ფერად-ფერადათ, აღარსად იყო ტევანი,
და დგას თვალთუწლომი ლაშკარი, ვისცა დარჩების ძლევანი,
- 568 მათ ბარყი დეუი გაგზავნეს ფრიდონის მოციქულადო,
სხვაც ბეური დეუი ა[ვ]ხლო: წადითო, იქ მისულადო.
მოვიდეს ფრიდონს წინაშე იმა ამ[ბ]კასა თქმულადო.
და იხმნა თავადნი მეფემა, იგ შეიყარენ სულადო.
- 569 ტახტზედა დაჯდა კელმწიფე ბატონურისა წესითა,
ოქროს სელზედა ნარიმან იჯდა არ თურე კენესითა.
ამაქ, ქა[ვ]ე და ყარანი, ყუბადი დია ზესითა,
და მემ შეიყუანეს ბარყი დეუ, ამოსაწყუელი ფესვითა.
- 570 მივიდა და ფრიდონ მეფეს თვით სალამი მოახსენა,
დაუჩოქა ყამურ დეუმა, დავედრული მოგახსენა:
ჩვენ გვქონია ქუეყანანი, წაგილიათ ძალით თქუენა,
მამის ჩემის ნაქონია, პაპა თქუენსა წაერთმევენა,
და აწე აღარ დავანებებ, შემძლია არ შეწყენა!

აქა ნარიმან ბარყი დეუს კინწი მოსწყუიდა

- 871 რა ნარიმან დეუისაგან ეს[ე]სიტყუა მოსმინა,
წამოიჭრა, ვითა ქაჭი, დეუსა კინწსა წამოსწივნა,
მოუგრიხა, სრულ მოსწყუიდა, დაუდგმიდა იმას ვინა,
და სხვას დეუს მისცა წაიღეო, დაუდეუი ყამურს წინა!
- 872 რა მიართვეს ყამურ დეუსა ბარყის თავი სისხლიანი,
პირი დია გაუყუითლდა, არ შე[ე]ქნა ვარდიანი;
ქუა ჭავრით დაეკარგა, სიტყუა ბრძანა ბაქიასო,
და სრულად დეუთა უბრძანებდა: დაეკაზმეთ ჭავშიანი.
- 873 სრულად დეუნი წამოვიდენ, ყუელამ გურზი აიღო და,
აქ ნარიმან შე[ე]კაზმა, ჭაქე-ჭაქეშანი ჩაიციო და;

მძიმე ლახტი მკარს შეიღვა, თავსა ზუჩი დაირქო და.
და მამის მისის ლომის ტყავის საგდებელი წაიღო და.

874 მეფე დალოცა, ახსენა, მოწყალე შემოქმედია,
კელმწიფემ მაღლი უბრძანა: კარგათამც თქუენი ბედია!
ნარიმან მაღლსა იხდიდა, წამოდგა, ვითა ქედია,
და თქუა: თქუენი მტერი დავამხო, არ მინდა ცუდი ყბედია!

აქა ფრიდონ კელმწიფისა და დეუთა ომი

875 მოედანშიდა მოვიდა ნარიმან სახელდებული,
უკრეს ორნივე საომარს, არავინ იყო კლებული;
შეიქნა დეუთა ყუირილი, მოდგა ნარიმან ქებული,
და მაიდანშიდა ბრდღვინვიდა, ვით ლომი გაცოფებული.

876 იგ შექურვილი მოვიდა, ვითა მთა, დიდი რკინითა,
მაღალი კოშკი რკინისა, იქეხა, იყო რკვინვითა;
ცა და ქუეყანა შეიძრა მისის ძახილით, ბრდღვინვითა,
და ლომსავით გაცოფებულა, იგი ზარხოში ღვინვითა.

აქა ჯანი დეუისა და ნარიმანის ომი

877 რა ჯანი დეუმან ნარიმან მაიდანს ანახა მოსული,
ყამურ დეუს სთხოვა ფარვანი, წავიდა იგ წამოსული;
ას ოცდათი წყრთა სიმაღლე, დეუს ქონდა ზე ამოსული,
და იგ ნარიმანის საომრად, წავიდა გარ-გამოსული.

878 დაიმკლავა ფალავანმა, უკოისვა მკლავსა ტორო,
კისრის ქეჩო ამოისვა, გავს, თუ აღდა დიდი გორი;
მერმე ხელი შეიფშენიტა, თვალს ანთებდა, ვითა ქორი,
და ლომმან ვითა დაიბრღვინა, იგ ქუხილთა შენასწორი.

879 მძიმე ლახტი მხარსა ეღვა, საკურველი მეტად ღია,
კბილუბი აქუს, ვითა ტახი, არის ომში ნ[ა]ზარღია.
პირთა დორბლი მოსდიოდა, იგი დიდი აზადია,
და დიად მოიგინებოდა, ლახტი არ აქუს განარღია.

880 — დეუთ სალავათი მოიღე, — ნარიმანს უთხრა ენითა.
მეტად ეწყინა ნარიმანს, პასუხი მისგან სმენითა;
მას შეუძახა ამაყმა, მაზედ არ იყო თმენითა,
და ნუმცა ხარ, ნურც ერთი დეუი, როგორ წავებდები თქუენითა.

881 ეშმაკო და ეშმაკთ თესლო, ქაქო, ქაქის გვარისაო,
შე გასწავლო მეომრობა, ანუ როგორ არისაო!
მერმე ღმერთი მოიხსენა, შემოქმედი მაღლისაო,
და ჯანი დეუმა ლახტი დაჰკრა, რა ვთქუა მისი ძალისაო!

882 გმირმა მხარი მიუშვირა, ლახტი ზედა დაიღეწა,
მერმე ქუეშე შეუარდა, იგ ალვისა მორჩნი ხე წა,

შეიქიბნენ გულმეხისხლედ, არც ერთს უნდა გარდახვეწა.
და დიდსა ხანსა ირკინოდეს, დეუს მართებდა მისი ხეწვა.

- 883 მერმე გმირმა დაიყვია, გავს ქუხილსა მისი ხმა[ნი],
აყუანა თავის სწორად, გაუცუდა სიტყუის თქმა[ნი],
მიწას ზედა და[ა]ნარცხა, აღარ უნდა მისი ზმა[ნი],
და მას მოსტეხა ცალი კელი, ოგ უკვრეტდენ მისი ყმა[ნი].
- 884 მას შეკურასა ულამოდა, ს[არ]ულად დეუთა მომართესა,
მისთვის აღარ მოაცალეს, ფალავანსა იმა მკენსა,
წამს მოჰკუთთა ჭანის თავი, არ დასცალდა შეკურა დღესა:
და მერმე დეუთა შეუტია, რაზმ-დაწყობით რომე დგესა.
- 885 ერთპირად შემოუტევეს, იყო ყურილი, ხრიალი,
შიგ დაეჩარნეს ერთმანერთს, გაუშვეს დიდი გრილი;
პილოსა ხსდენ და მარტორქას, არის ზათქი და ზრიალი,
და მკუდრითა დეუთა აივსო იგი მინდორი ტრიალი.
- 886 ვერ დაუდგის დეუნი წინა ფალავანსა ლომთა ლომსა;
ამაზედა იცნობდიან, სითცა იყუის. მისსა ომსა,
[დ]ესა აღმა შეაგდებდის, შეუწუედის ცისა ხომსა,
და მით იცნობდენ მისსა ძალსა, ის ისროდის თუ რა ზომსა.
- 887 [პა]ერთა შიგან უწუედის, დაეცის, დასკდის მიწასა,
[ე]რთს აღმა, ერთსა ჩამოღმა, თვალს ვერვინ ასწრებს იმ წამსა,
იციდის და სწყუედის ამითა დეუებსა ამა პიწასა,
და არსად გაუშვა, დახოცა, ვინ გვიან შეხვდა, ვინ წამსა.

აქა ნარიმანისა და ჯანსუზი დეუის ომი

- 888 ამაზედა ნარიმან და ჭანზი დეუი შეიყარა,
იბრძოდნიან დიდსა ბანსა, არცა ერთი გაიყარა;
მას ნარიმან ლახტი დაჰკრა, ჭანსუზს სული ვაეყარა,
და სხვა მრავალი დეუთა თავი მიწაზედა დაიყარა.
- 889 სისხლითა და ტალახითა კაცი კაცსა ვერ იცნობდა,
სიღამითა გაიყარნეს, ფალავანსა ვერვინ გმობდა;
თავ-თავისსა სადგომს დადგეს სპილენძ-ჭური მალლად კმობდა,
და ორმოცდათი ათას[ი]ოდ დეუთა ქარი დახოცოდა.

აქა კიდეუ ომი ფრიდონ ჭელმწიფის და დეუთა

- 890 გათენდა, სცემენ ტაბლასა, ქოსთა კმა გახშირდებიან,
ამაქი რაზმსა აწყობდა, იქით და აქით დგებიან;
მარჯვენით ამაქ და ყუბად რაზმს ავრე თანა ჰყუებიან,
და მარცხნით ქაავ და ყარან წინ, ვერავინ დაუდგებიან.

- 891 მო-ყუნანეს თეთრი პილო, მადრიბული ტახტი ღვიან,
მაზედ ფრიდონ ხვაფთანითა ოქროს სარტყლით ზედან ზიან;
მძიმე თვალ-მარგალიტითა ქულ-გვირგვინი თავსა სდვიან,
და მან საყურნი მურასანნი საკლემწიფო ყურთა ჰყრიან.
- 892 ქავის ღროშა წინათა უდგს, მასთან ჯარი მოვილიან,
მთერალი პილო, რკინის კოშკი, მას ნარიმან გვერდს უდვიან.
ღეუნი სამას ათასია, გარიგებით მასთან ღვიან,
მარჯვნით არმან ღეუი იღვა, თეთრი ღეუი მასთან თქუიან.
და მარცხნით არვანგ და ქარანგი, ჯაბანთ გული გასკდებიან.
- 893 თეთრს პილოსა მძიმე ტახტი, მოიღეს და დაადგესა,
მან ჩაიკვა სამოსელი ყაშურ მაზედა დასვესა,
ოქროს სარტყლით, გვირგვინითა, ყურსაყური და[ა]სხესა
და ტანს ხვაფთანი შეიმოსა, ომის საქმე გა[ა]გესა.
- 894 წინათ ღროშა აშართა, წამოვიდა, გაემართა,
არვანგ ღეუი ფარვანა სთხოვს, პირ-დამხოებით წაემართა;
მაიდანსა ჩამოვიდა, საომარად აემართა,
და ას ოც ადლი სიმაღლე აქუს, მას ღლე ომი დაემართა.
- 895 მძიმე ლახტი ქელთა ჰქონდა, შემოჰკივლა, დაიძახა:
ვინ გამოხვალ მადანსა, შენთვის ბედმან ივავლახა
ესე ყარან გაიგონა, საომარად მოემახვა,
და თავსა შუბი შემოივლო, არცა სუ[ლ]თქმა, არცა ახა.

აქ ყარანისა და არვანგ ღეუის ომი

- 896 კელმწიფემ უთხრა: ნუ წახვალ, არა ხარ მისი დარია,
არ დაიშალა, წავიდა, ენიშნა საუბარია;
ღეუი მოუხდა რა ნაბა უებრო მკლავ-მაგარია,
და ფარს ლახტი დაჰკრა ყარანსა, დიდი გაუხდა ძვარია.
- 897 ფარი თავსა და[ა]ფრიწა, ყარან ცხენით ჩამოავდო,
ქელის შეკურას ულაშობდა, თქუა, თუ: სულად ამოვავდო!
მას ნარიმან შემოესწრა, მისკე ცხენი გამოავდო,
და შეუძახა: სადლა წახვალ, ჩემი სული მანდ მოვავდო!

აქა ნარიმანისა და არვანგის ღეუის ომი

- 898 შეიკედნეს გულმესისხლედ, მთა შეასკდა ანუ გორი,
ერთი ქელი ჰაჰას სტაცა და მეორე ყბასა—ტორი;
თავი ტანსა ზედ მოსწყუიდა, გა[ა]ცალა შორი-შორი,
და თავი ჯართა შემოსტყორცნა, იქ და[ა]გდო მისი მძორი.

აქა ქანგი დეუსა და ნარიმანის ომი

- 889 რა ქანგი დეუმან შეიგნა არეანგ დეუსა სიკუდილი.
ისიც საომრად მოვიდა, რას უშველიდა ტირილი!
იგი რა ნახა ნარიმან, ცა ვით გაუშვა ყვირილი,
და ახსენა დამბაღებელი, მისკე დაიწყო დივილი.
- 900 დეუმან აგინა, ლახტი ჰკრა, არ შედრკა ფალაჯანა;
მხარს დაილენა, ჩამოკრა ყბა-ყურსა ფარფლოვანია,
ცოტა დაკოდა, სისხლი ძღვის, გაჯავრდა არავანია,
და ვით მთერალი პილო მიუხდა, ნარიმა გულოვანია.
- 901 ყერიმალსა მჭილი შემოკრა, კინწი მოსტეხა მალია,
ლაჯშიდა კელი ამოსდა, დასცა, დაემსხვრა ძვალია,
გავს თუ მის დღეში არ სდგმოდა, დეუსს სული გარდაელოა,
და მას დაუკარგა სიცოცხლე, თქუა: მოსვლას ნულარ ელია!
- 902 რა შეიგნა, ყამურ დეუსა ღია მეტად დაუმიძიდა,
არმან დეუსა უბრძანებდა: ვიცი, დღენი დაგვიძვირდა!
მან თაემოხდით დაუჩოქა, ყამურს ღია გაუპირდა:
და მე შეუები ნარიმანსო, ომი არას გამიჭირდა!

აქა ნარიმანისა და არმან დეუსის ომი

- 903 ას ორმოცი წყრთა სიმაღლე დეუსა ქონდა ტანი გრძელი,
ნარიმანის ესე გვადრო, იქ დაუხვდა, ვითა ძელი;
ასრე არად მაშვრალ იყო, დღე ეძინა სამი მრთელი,
და გავს მჭდარიყო ნადიმშიდა, მუტრიბითა ღვინის მსმელი.
- 904 დმერთი აღიდა, მან ლახტი აიღო მამისეული,
ქენჩო ამოსვა, თვალს ანთებს, ნიადაგ ომსა ჩეუელი;
უძრავად დახვდა ამაყი, მას დეუსა გაცოფებული,
და გვანდა სინა მთა ემართა, ძალისა იმედუელი.
- 905 რა დეუმან ნახა იმისი ჭიფიცხე, ჰანგმახვილობა,
თქუა: ფალაჯანო, ნუ სჩქარობ, გინახო მოწიფულობა!
ვით ქარი მოტ[ა]ცებული, ცუღია აგრე ცდილობა,
და თუ ცუღნი დეუნი დაბოცე, ჩემთან გექნების წბილობა!
- 908 არ გმართებს აზანქარება ცუღ დეუთა დაბოცისათვის,
მე ფალაჯანობა გიჩვენო მათისა სისხლის ღვრისათვის,
ჰანგმახვილობა და გული ნეტარ მორჩები რისათვის?
და ყურიოდის, კმელი იძროდის არმან დეუსისა კმისათვის.
- 907 პირით ცეცხლი გამოუშვა, გმირსა თავსა გარდაჰყარა,
მას ნარიმან შეუძახა, შეიჭიდნეს მხარდამხარა,
გვანდა ორი მთა შეასკდა, შორს ისმოდა მათი ძვარა,
და შესძახოდენ ერთმანერთსა, ჭერეთ დაშვრა ერთი არა.

- 908 მათის ძახილის შიშითა ლომს გული გაუსკდებოდა,
სრულად ლაშქართა ფეკთ ქუეშე მიწანი ექანებოდა,
სითაჲ პირი ქნა, ნარიმანს წინ ვერვინ დაუდგებოდა,
და შამოეხვიენ ლაშქარი, კიოდენ, დასნი ჰყუებოდა.
- 909 სად ირკინოდეს, მოიღეს ტახტი ფრიდონის მეფისა,
ქაეთსა დროშა ტახტის ძირს ამართეს არა ეფისა,
აგრე წესითა ყამურის დადგიან სისხლთ[ა] მჩქეფისა,
და ორნივე ქელმწიფე პირ[ისპ]ირ სკვრეტლიან ვარდთა მკრეფისა.
- 910 ფრიდონ ნახა გასწორება, მოიხსენა მალა მხედი,
თავსა ქული მოიხადა და აღიდა შემოქმედი:
შენ დაიციე ეს ნარიმან, ღუეს დაუმხვე მისი ბედი,
და მოერიოს ქაჩის გვარსა და[ა]მდაბლოს მისი ქედი!
- 911 ყუელამ დალოცა, ზარს დასცეს, არის ხენეშა და ძგარია,
გავარდათ მუზარადები, მიწა თრთის მათგან მყარია;
ჯაქვის ლაბები დაფრიწეს, იბერვის მკლავ-მაგარია,
და სრულ ხვაფთანები დახიეს, ორთა ლომთაგან კმარია.
- 912 დაიღალნეს ომისაგან ორთავ, ოფლი ღვარად სდიან,
დაიყუურა არმან დეუმან, წამოზიდა გმირსა დიან,
ოფლი[თ] მიწა ტალახსა გავს, საკუირველსა კმასა ჰყრიან,
და მათ კიჳინა დაუციან, ვინა სჯობსო, ესე თქუიან.
- 913 ორნივე მუხლნი დაუცნა, ნარიმანს ჟუო ძალია,
ვითა ნიანგი აუღგა, დეუსა კიდღეუ მალია,
გავარდათ მუზარადები, იბრძოდენ კლდე და სალია,
და მიაქ[ვ]თ გლეჯა და ხეთქება, მიწა თრთის მათგან მყარია.
- 914 მაგრად წელთ შემოუქირნა, ისმის ხენეშა და ძგერანი,
ქუხილსავეითა ფშინეიდენ, უმზერდა სულად ყუელანი,
პერკულსა ჰყრიდენ პირიდგან, ჩიოდენ მათი მზერანი,
და მიაქუთ გლეჯა და ხეთქება, გავს თუ დაიმსხერა ერანი.
- 915 თვალნი ცეცხლად გარდაიქცა, მუხლამდისი მიწა სკდების,
შიმშილითა დაიღალნეს, ორნივე დია დაღონდების;
გაიყარნეს, არმან დეუი ფრიდონისა ტახტს წინ ჯდების,
და მოახსენა, თუ: მშიაო, საჰამადი მექირევის,
- 916 — მე მიმაჭირვა შიმშილმა—დეუმან უამბო ენითა, —
ფრიდონ უბრძანა მზარეულს: წა, ზროხა მომიდენითა!
ორი ცხვარი და მათ ზროხა ფიცხლა მოიღეს რბენითა.
და ამ წამს შესჳამა სამივე, თუ სთქუა, ვერ შევიტყუენითა.

- 917 აგრე ყამურს წინ ნარიმან იჯდა, იგ ლომთა ლომია,
ორი ცხვარი და მათ ზროხა შემწვარი მოაქვთ რომია,
ნარიმანს წინა მოიღეს, იყო ჭამისა მდომია,
და სამივე ფიცხლა შესჭამა, არეინ სჯობს კაცთა ტომია.
- 918 ერთი დიდი რუმბი ღვინო მას მიართევს; პილო[ს] ჰკიდავს,
პირს მოიხტნო, გრგვინვა გახდა, ვით ჭურშივა ხმასა [კიდავს],
სრულად შესვა ერთპირობით, მუყუროსა ხელით [ჭირავს],
და დევმაცა ჭნა ამ წესითა, ყოვლი კაცი ამას კვირავს.

შტრუქტურა-სააზიანი

[აქა დევთა ომის დასაწყისი]

...მინდორსა შიგან გზანი გაიარნეს. მერმე თქვეს, თუ ღმრთის ბრძანებით არისო, თვარა ეს უმისოდ არ იქნებაო, აქ ხორციელი კაცი არ ნახულაო, არც ხსენებულაო. ვერვინ შესცვლის ბრძანებასა ღმრთისასა... ტახტი რად არის გაშლილი და ვითა საქმე ესე შეიცვლების. ესე არცა ქმნილა, არც გაცილილა. შეილთა უბრძანა აღება. თქვა: ღმრთის წყალობა არისო. სიამუქ ლახტი ირჩია და აიღო, უხუცესი იყო მის ძმებსა. თურენგმან კრმალი აიღო, და ტახტი და გვირგვინი დაჩა. ვითა მართებდა და მისი წესი იყო, დაბრუნდეს და წამოვიდეს, სარა ქალაქში მოვიდეს და შექნეს დიდი ვაზირობა, შეიხმეს თავადები. მეფემან ბრძანა: მინდორშიგან ღმერთმან მოგუცა ესე დღესა, და ესე კრმალი და ესე ლახტი, ტახტი და გვირგვინი მეფობისა და პატრონობისა ნიშანი არის. აწუ სრულად კმელეთი დევებს აქესთ და მათ დაუჭირავსთ, ქვეყანა ჩვენი ყოფილა, წიგნშიაც აგრე სწერიან და ახლა ხაზარან პატრონობს და დევთა სიმრავლე თან ახლავს. და შეწევნითა ღმრთისათა მიუხდეთ ჩვენცა მრავლითა ლაშქრითა და რაზმითა, ამოვწყვიტოთ და დაეამკვათ, და ქვეყანა ჩვენივე დავიკვიროთ. ღმერთს ქვეყანა კაცისათვის გაუქეთებია და ახლა პილწნი დევნი დაპატრონებთან.

გაგზაუნეს წიგნი სალაშქრო. იწყო ყოლგნით ლაშქარმან მოღვნა. ასი ათასი ნეომარი გულოვანი, მებრძოლი კაცი მოვიდა და დადგეს რაზმ-რაზმად. წამოდგენ და მუქარასა მოიტყოდენ. დაჰკრეს ბუქსა და ტაბლაქსა და საომრად ემზადებოდეს. კელმწიფემან საქურტლენი გაახსნეინა და ლაშქართა ზედა უხვად ვასცა მრავალნი საბოძვარნი. აავსნა თვისნი ლაშქარნი სიამუქ და ასეთი გაემგზავრნენ მასვე დღესა მძიმითა ლაშქრითა. და ბარგი... სიმრავლე. გაიღეს ჩადრნი, ოთალნი სალაშქრო სხტადასხტა ფერნი. აივსო ტყე და ხეენარი, და გზანი აღარა იშოვებოდეს საელელად... და მრავლითა დევთა მიმართეს სამტეროდ და დაიწყეს საომრად მზადება.

რა გათენდა, საწყთროსა მამუენებელმან მზემან თავი ამოყო და გუმბაღ-ზედა ამაღლდა, და შავსა მიწასა ყირმიზი პერანგი ჩააცვა, აგრე ჰკრეს ქოსსა და ნაღარასა, სპილენ-ჭურთა და სინჯთა. აგრე სიამუქ ფალავანი და თურენგი გამოდგეს, და გახშირდა კმა საომარი, კუნესა სტვირთა სარაზმოთა. იქიდგან ხაზარან დევი მოვიდა მრავლითა დევებითა. სრულად დევნი რაზმ-დაწყობით წამოდგეს; ორასი ათასი დევი შეიქნა, ყველაი მეომარი. გამოემართნეს და წამოვიდნენ. მოაქვსთ ზათქი და ზარი, მათი ფეხის კმა და ბგერა მიღმა დიდს-ალაგს ისმის.

რა მოვიდეს და ერთმანერთი აფინდა, პირველად თურენგ მოვიდა საომარსა აღვიღსა და მუქარასა ითხოვდა, და საომრად გაფიცებულყო. აგრე ხა-

ზარან ერთსა დევსა უბრძანა: წადი და იმ კაცს შეეხიო. თურენგ სახელი ღმრთისა ახსენა. მიუხდა და თავსა ლახტი დაჰკრა, მასვე წამსა საწუთროსა გამოასალმა.

აქა თურენგი[საგან] დევის მოკვლა და ხაზარან სხვა დევი გამოაგზავნა საომრად

რა იგი მკუდარი ნახეს, სხუა დევი გამოაგზავნეს, ვითა: „წადი და შეეხი!“ რა თურენგ სხვა დევისა მოსულა შეიგნა, ჰკრა მასცა ლახტი და მსწრაფლ სულსაგან დასცალა ამ საქმით ასათ გაქადა, რაც დევნი დაკოცნა. იქით და აქეთ იარებოდა, და ხლტებოდა და მუქარასა ითხოვდა.

რა ხაზარან შეიგნა დევებისაგან აგრე უბადოთ ყოფნა და ამოწყვეტა, აგრე თქვა, ვითა: ჩვენი საქმე ათო ქლების, აწ მე წავიდე და შევება თურენგის. აგრე წავიდა და მისი მძიმე ლახტი მკარსა შეიღვა. აქეთ თურენგი გამოუარდა. შეუტევენს ერთმანეთსა. ორნივე კარგნი ფალავანნი იყვნეს. უმაღლ თურენგმან კრძალი დაჰკრა, ვერა აენო რა და მერმე დევმან მოუქნივა თურენგს და საწუთროსა გამოასალმა, და სულისაგან დასცალა ერთისა ლახტისა დაკრევითა. მერმე რაზმსა მიუხდა და, ვითა მარჯანმან ტროსა, ეგრე დაფანტა და გააქციოვა. მერმე სიამუქს წარმოეწივა, იქეხნა ცამან ვითა და მძიმე ლახტი ჰკრა, მოცაკლა, დანაყა კაჰკვიითა. მერმე ჯარსა შეუტევა, ყველანი გარდაეხვეწნეს და ვერვინ დაუდგა; გაექცნეს, იმალოდეს, ვითა მელნი.

რა ესე საუბარი გაიგონა ქაიომარ კელმწიფემან, შეიღებისა ამოწყვეტა, მასვე წამსა ტახტისაგან გადმოუარდა, საყელონი გარდხივნა და თავსა მიწა ვარდიყარა, ვითა ეფუხი წამოიჭრა და ლაწვი-ბროლი გაიხეთქა, თავს ნაცარი ვარდიყარა, საკელმწიფო ტანსაცემელი ყველა აიქადა, ჯუბითა შეიხვივა და გლოვა დაიდვა. წლამდის ამ საქმით იყო მათი გლოვა და ტირილი. მას უკან ყველა სულის საქმე გარდაჰადეს. და რა ამისაგან მოიცალეს,¹ ქოსთა და სპილენძ-ქურთა აკრევირა და ლაშქარნი ახმობინა. შეიყარა ორმოცდაათი ათასი კაცი. გაემართა ღმრთისა სახელსა ზედა ხაზარან დეუისა საომრად.

მოესმა ხაზარან დეუსა, ვითა: ქაიომარს შეუყრია ლაშქარი და შენზედა საომრად წამოსულაო. მერმე მან შეიყარა მრავალი დეუი და გამოემართა. შეებნეს ერთმანეთსა წინა და, რა ლაშქარი გამოუჩნდა, დაუდგეს ერთმანეთსა პირისპირ და ჰკრეს დუმბულსა, ქოსსა, და შეიქნა ზახილი და კივილი, რომე ცამდის გაიწეოდა. და მოვიდა ხაზარ დეუი მოედანშიგან, საომარსა ადგილსა დადგა და იზახოდა: ეინ არის ფალავანი და ფალავანთა ზურგი, ჩამოვიდეს და მძიმითა ლახტითა გამოვიცადნეთო. როგორაცა ქაიომარ დეუისა ნაუბარი გაიგონა, პირი მიწასა გააერთა და საწუთროსა დამბადებელისა სახელი ახსენა, და პირი მოედნისაკენ ქნა, და მოედანშიგან მივიდა.

აქა ქაიომარის და ხაზარეუან დევისა ომი

რა ნახეს ერთმანერთი, შეუზახნეს და შეიბნეს. დევმან ლახტი შეუმაღლა და. როგორაცა თავსა დაკურასა ულაშობდა, აგრე მოიქნივა აღმასფერი კრძალი, დამბადებელისა სახელი ახსენა, შემოჰკრა ხელსა და ხელი და ლახტი შორს

¹ აქედან ესარგებლობთ S—1594 ხელნაწერით (ფ. 28).

გააღებინა. მეორე სხვა შემოკრა, შუა გაკეთა და მოკლა ხაზარან დეუი. მაშინ მიუხდა დეუებსა ქაიომარ ხელმწიფე, დაუშინა, დახოცა, ამოსწყუიდა. გააქცივნა, რომე რისხვა ღმრთისა დასცა მათ ზედა და, რაცა დარჩა, გაიქცნეს და წაიღინეს. მერმე დაბრუნდა ქაიომარ ხელმწიფე გამარჯვებული და თავისა ტახტსა ზედან დაქდა სარის ქალაქსა-

ამაზედან კელმწიფე ქაიომარ ავად გახდა. აგრე თავის შვილის სიამუქის შვილი მოაყუანინა და პატრონად დალოცა, სახელად უშენგ ერქვა, და ფალავნობა და სპასარლობა თურანგის შვილსა სოპილად მისცა. მერმე ხელმწიფე ზედა საწუთრო შემოკლდა და საწუთროსა ფარმანი მოსთხოვა. აგრე ერთობილთა დიდებულებმან უშენგ დალოცეს და ტახტედან დასვეს, და გვირგვინი დაადგეს, ხრმალი შემოარტყეს; ფალავნობა და ლაშქართა თავადობა სიამუქის შვილს ზავ ფალავანს მისცეს, და ამი[რ]სპასარლობა თურანგის შვილს სოილს მისცეს.

მერმე კელმწიფემან ვეზირობა შექნა. ასრე უბრძანა თავადებთა, ვითა: წაიღეთ ფოლდეუან დეუის საომრად და ჩუენსა სისხლსა ნუ შევარჩენთ, თემსა და ქუეყანასა ნუ დავანებთ! აღვა ფალავანი ზავ და სოილ სპასარალმან კელმწიფესა მოახსენეს: სრულად საწუთრო თქუენის ბრძანების შორჩილნი არიან; განალამცა აგრე ვქნათ და თქუენი მტერი ფერტთ ქვეშე მოვაქციოთ!

რა დალამდა, გაიყარნეს, თავის-თავის სადგომს მიმართეს. რა საწუთროს მაშვენებელმან მზემან თავი ამოყო, კელმწიფის კარსა თავადები წამოვიდეს, ლაშქართა ზედა წიგნები გასწერეს: რა ახალი მთეარე გამოჩნდეს, კელმწიფისა კარსა მოდექით თქუენის იარალითა!

აქა პირველი ლაშქრობა უშენგ კელმწიფისა, ზავ ფალავანისა და სოილისა, ფოლდეუან დეუისა და თუნდი დეუისა

მოვიდეს ყოვლგან ლაშქარი სარა ქალაქსა, მინდორად დადგეს, და იანგარიჴეს. ას ორმოცდაათი ათასი კაცი შეიქნა. კელმწიფემან ყუელაზედა საბომცარი გასცა: აბჯარი, საქონელი და ცხენი. და იმ ლამესა კელმწიფემან ნაღიმი დაიღვა და გაიყარნეს, და თავის-თავის სადგომსა დადგეს.

დილასა, რა საწუთროსა მაშვენებელმან მზემან თავი ამოყო, და კირხიბისა ქანგსა დაეხსნა და გუმბათსა ზედან ამაღლდა, ჰკრეს ქოსსა და ნალარას, და გაემართნენ ფოლდეუან დეუის საომრად. ესმა ფოლდეუან დეუსა, მეტად აჩქარდა და ყვალგნით დევთა ლაშქარი იქმო. სწრაფით მოვიდნეს დევთა ლაშქარნი. როგორათაც დიდსა, შიშველს მთაშიგან ზევი მოსქედეს და იღგრიალოს, აგეთი კმა მოჰქონდით, არ დაეყოვნათ პატრონის სამსახურად და მათცა საომრად მზადება დაიწყეს¹. სარახისა მინდორსა შეიყარეს, დააცვეს მრავალფერნი კარავნი ოქრო-ქსოვილისა ქამხისა და ნახლისა.

მეორესა დღესა, რა მზემან საწუთრო დაამვენა, ჰკრეს ორგნითვე ლაშქართა ქოსსა, ნალარასა და აწყვეს რაზმი ორგნითვე. მოიყვანეს თეთრი პილო, დაუდგეს ტახტი, და მოვიდა უშენგ ხელმწიფურად მოკაზმული, პილოსა ზედა გაეიდა და დაქდა. მარჯვენას მხარს ზავ ფალავანი დადგა, მისი ორი ათასი ლიტრა ლახტი ხელთა ჰქონდა. მარცხენასა მხარსა სოილ დადგა. აგრე დეუთა

¹ აქედან ვსარგებლობთ S—1594 ხელნაწერით (გ. 57).

ქნეს. მიღვა, ხელმწიფე დალოცა და პირი მიწას გააერთა, დამბადებელის სახელი ახსენა, მოედნსა, საომარსა ადგილსა წამოვიდა, საომრად გაფიცებული იყო და მუქარა ითხოვა და ამას¹ იძახდა: ვინც ჩამოხვალთ საომრად, მე გიჩუენო ფალავნობა და თქვენთა მეომართა ომი, მძიმისა ლახტითა დაგნაყო და ტანი უთავოდ... და მაღალი ეტლი თქვენზედა ვატირო!²

რა ფოლად დეუმან გაიგონა, ერთი დეუი გაგზავნა მისად საომრად და, როგორაცა დაინახა სოილა, შეუტეუნა, დაჰკრა, მძიმე ლახტითა დეუი მოკლა. ამა წესითა ასი დეუი მოკლა. მაშინ ფოლდეუნის ძმა გაგულისდა, და რობინ დეუი მასვე წამსა მოედანშიგან მოვიდა, და შეუძახნეს ერთმანეთსა და შეიბნეს. და დაჰკრა მძიმე გურძი და მოკლა სოილ დეუმან. როგორაცა ლაშქართა სოილის სიკუდილი შეიტყო, ერთობილი დაიგლიჯენ და საყულონი გარდხიბენეს. მერმე ფალავანმან ზავ მისი ორი ათასის ლიტრისა მძიმე გურძი ხელთა აიღო და საწუთროს დამბადებელი ახსენა, პირი მიწისა გააერთა, ადვა და მეედანშიგან მოვიდა. რა დეუმან დაინახა, შეუტეუნა და ლახტი³ დაჰკრა. ზაავ მკარი მიუშვირა. ასრე არათ შეიჩინა დევისაგან ლახტის დაკრვა, ვითამცა არა სცემოდა რა. და მერმე ფალავანმან ზაავ რობინს დაჰკრა თავისი ორი ათასისა ლიტრისა მძიმე ლახტი და მიწათა ზედან გააგორვა და მოკლა. და მის დევისა დაცემსა ზედა სულა მიწა შეიძრა და ფალავანი ზაავ ისევე მოედანსა შინა იარებოდა.

რა ფოლად დეუმან რობინის მოკვლა შეიგნა, დიდად იგლოვა და ასეთნი დაიზახნა, მთა გორი გაასწორა და მისის კმისა და ზახილისაგან მიწა ზღვა ეტანებოდა. ამაზედა შეუტოვეს ორთავე ლაშქართა. ჰაი და უჰი, მოსაწევარი მათი ზახილი ცათამდის გაიწეოდა. ისეთი მტეერი ვიდა, რომე მანათობელი მზე კუპრისფერად გახდა; საწუთრო შავსა [ზანგსა] დაემსგავსა, სისხლისა ღვარმან ხანდაკი გაკუეთა; კივილისა და ზახილისაგან ჯაბანთა გული გასკდებოდა ბარგისტანელთა ახოთა ხუვილისაგან, ცისა ჰეხასა ჰგუანდა. ისრისა სიმრავლე ფუტრისა რემისა სიმრავლესა ჰგუანდა. შეიქნა ცემა კრმლითა, ლახტითა, ხანჭრითა და გასწორდა კმა ყულანით, და შეიქნა ზახილი მოსაწევარი: ჰკარ, მოკალ, შეიპყარ, ჩამოაკვა, ნუ გაუშვებ! მრავალგან შუა განსკუთილი კაცი ცხენსა მოსტრანდის და უპატიოდ თავადთა თავი მიწათა ზედა ცვიოდის, და თავი ტანსა სალაშსა გაუგზავნიდის, მკუდრისა ჯარისაგან გზანი შეიკრნეს. და მძორისაგან საწუთრო შავსა ზანგსა დაემსგავსა, სისხლისა ღვარი აღინდა და კაცის თავი და ფერკი მოჰქონდის და დეეების ყვირილი და ზახილი ცისა გვრგვინვასა ჰგუანდა.

სამსა დღესა და ღამესა ომი იყო. მესამესა დღესა შუალამისა ეამსა ფოლდევეან და ზაავ შეიყარნეს და მედგრად შეიბნეს. მათითა კვენშითა და ძვარებითა ფერქთა [ქვეშე] მიწა ექანებოდა. ზაავს პირი ფოლადისაკენ ჰქონდა, არსით ხედვიდა. იქით თუნდი მოეპარა, თავსა დაჰკრა ზაავს ლახტი, და სულისაგან დაიკალა და სოფელი მახედა შემოკლდა. რა კელმწიფემან შეიგნა სიკუდილი ზაავ ფალავნისა, გაიქცა, ჯარი თან გაყვა. მოვიდენ სარას ქალაქსა, შექნეს გლოვა და ტირილი ზაავ ფალავნისათვის და, რაც სულის საქმე იყო, გარდასადეს და გლოვა დაიდევს.

¹ აქედან ვსარგებლობთ H-921 ხელნაწერით (ფ. 60).

² აქედან ვსარგებლობთ S-1594 ხელნაწერით (ფ. 50).

³ აქედან ვსარგებლობთ H-921 ხელნაწერით (ფ. 71).

აქა ამბავი დასაწყისი უთრუთ ფალავნისა

ზაეს ფალავანსა ერთი შვილი დარჩა, ათის წლის, უთრუთ ჰქვიან... არის უებრო და მნახელთა გულის მლხენი. ძალითა მსგავსი ლომისა და კმითა მსგავსი ცის ჰეხისა, დეე-ვეშაბთა ამომწყვეტი, ყოვლის მტერის მოვალახე. რა მამის სიკუდილი შეიგნა, აყვირდა დიდსა მთა ვითა, საყვლონი გარდნიხენა და მიწათა გარდნისმბიდა, მაგრამ დევთათვის გული ჰქონდა გამწარებული. რა-ცა მართებდა, მამაზედ აგრე გლოვა გარდიკადა წლამდის ამ საქმით იყო. რა წელიწადი გამოვიდა, მაშინვე კელმწიფესა თამურაზს იახლა, ლაშქრითა დიდითა. თამურას გამოეგება, მოიტირეს ზაეის საუკუნოდ განშორებებისათვის. გოსტასამ, სოილის შვილი, მაშინ უთრუთს თან მოყვა. მეფეს ტყბილად უსალამეს და. ვითა მათი რიგი იყო, აგრე ეთაყვანნეს. კელმწიფემან მადლი უბრძანა და მხიარულთა ნადიმი გარდაიკადეს.

უთრუთ და გოსტამ მეფეს ტყბილად საუბარი დაუწყეს და ასრე მოახსენეს, ვითა: გაგვიშეით დევთა საომრადო, ამოვწყვიტოთ და დაეაქვათ თქვენნი წინა აღმდგომნი, რაც ვინ მტერნი გამოჩენილან, შევიწიოთ ყოველთა შემოქმედი ღმერთი და მის მიერ თქვენდა მოცემული ტახტ-გვირგვინი ბელსვიანად ეაყოფოთ, და თქვენნი მტერნი თქვენთა ფერკთა ქვეშე მტვერად გაეხადოთ; ვინც თქვენს ამაღლებულს კელმწიფობას შემოეხევეწოს, დაგამორჩილოთ და უარისყოფელნი სრულად დაეაქვათ! მეფემან მადლი გარდაიკადა და ასრე უბრძანა: ფალავანო, ვითა მტერთათვის კირად დაბადებული ხარ, აწე ღმერთმან შენ მოგცეს მათზედა ძალია და იგი გყავდეს წინამძღუარად და გფარავდეს, მისითა უძლევეთა მკლავითა ამოსწყვიტენ მოსისხლენი... დაამტკრივენ მძიმითა ლახტითა, ვითა ფერობს... ეგეთი დაუბადებხიხარ, არა მშურს შენთვის სულიცა, თარა სახელმწიფო და ქვეყანა შენთვის მინდა, და შენ ხარ ზურგი და წამალი... მებრძოლთა მტერთა ჯარისა.

მაშინ კელმწიფემან ბრძანა ყოველგნით შეურა ჯარისა. და მოვიდა ყოველგნით ურიცხენი, თვალუწომელნი მებრძოლნი, ყველაი გმირთა სახეები. იქმნა ოთხმოცი ათასი და დევთათვის საომრად მზადება დაიწყეს. შეიქნა ცემა ბუკისა და ტაბლაკისა და დგრიალი სპილენძ-ქურთა.

რა გათენდა და მზე ვარდისფერად ქვეყანასა მოეფინა, და მასკვლავთა ბრწყინვალეობა წარულო, და გუმბადსა ზედან ამაღლდა, აგრე კელმწიფე სარა ქალაქსა გარეთ გამოვიდა და ტახტი დადგეს. კელმწიფე თამურაზ მას ზედან დაწვეს. შეიყარნენ თავადები და შეიქნა ვაზირობა. ახლოს უჭდა ფალავანი უთრუთ, წინა, სელნისა სკამითა. მეფემან მოაღებინა მრავალი და ურიცხვი სალარო, მრავალი ვასცა. უთრუთს და გოსტასამს თავისი ნაცეამი ტანისამოსი უბოძა, მერმე კელმწიფემან შეაქნეინა ლომის ტყავისა საგდებელი, ას ოთხმოცი წყრთა სიგრძე ჰქონდა, და ისიცა უთრუთს ფალავანსა უბოძა. უთრუთ მადლი მოახსენა და ამაზედ დევებზედან სამტეროთ გაემზადნენ.

ფოლად დევის დაშუშნი იყვნეს. რა შეიგნეს, მაშინვე წავიდნეს და მოახსენეს, ვითა: მოვა შენზედან სამტეროთ თემურაზ და თანა ახლავს ფალავანი უთრუთ, ზავის შვილი და ფალავანი გოსტამ, სოილის შვილი, და ოთხმოცი ათასნი მებრძოლნი, ყველა ესენი არიან, თან მოყვებიან და თქვენ, რასაცა ბრძანებთ, პატრონნი ხართ!

რა ესე საუბარი გაიგონა დაშუშისაგან, დია ეწყიხა და გაჯაერდა, ყოველგან

ლაშქარნი იქმო. მასვე წამსა ფაიქი მოვიდა და სწრაფით დევთა ლაშქარნი შეი-
ყარა ფოლად დევსა გუერდის. ფოლად მადლი უბრძანა. მერმე ვაზირობა შექ-
ნეს, ვითა: ჩვენზედა სამესისხლოდ თამურაზ და ზაეის შვილი უთრუთ და სო-
ილის შვილი გოსტამ მოყავსო, ჩვენზედ მოვლიან, აწ, ვით რა გამოვარჩიო.
თუნდი დეუმან და ზარბად დევმან ასრე მოახსენეს, ვითა: ხაზარან დევი და
მამა შენი ჩემს უციოხაეს არას იქმოდენ, და თქვენ არ გვიყვებთ. მაშინვე მო-
გახსენეთ, ფიცხლავ უჯანა წაუდგეთ, თამურაზ მოვეკლათ და სრულ ამოვსწყვიტ-
ტოთ, ასრე ვითა საუკლადით აღარ მოგვერჩოდნენ და ისრე გავარიგოთ, და
ახლა ქვალი უნდა, შექირვება არას გვარგებს, ქაშუშნი კიდევ გავგზავნოთ და
წვევიანათ, თუ როგორ მოლიან, ანუ რა კერქიანობა უნდა, ფალავანი რამდენი
არიან, ან რას საქმის მდომნი არიან: შევიტყოთ ყველა და ავკილოთ ომი.

ფიცხლავ გაგზავნილნი დაშუშნი წავიდეს, ნახეს ლაშქართა სიმრავლე, თუ
როგორ საომრად ემზადებოდეს. მოვიდეს, ფოლადს მოახსენეს, როგორაც ენა-
ხათ, ვითა: შეუყრია თამურაზს ასი ათასი კაცი მეომარი და მოვა თქვენდა სა-
ომრად; მაგრამ უთრუთ ფალავანი ვნახეთ, მისი უფროსი კაცი არა მინახავს, ას
ოცი წყრთა სიმალე აქვს და თავი დიდი ქვაბის ოდენი აქვს, თვითო კელ-
დიდროვნისა ჰანდარსა უფავს და ორი ათასისა ლიტრისა ლახტი კელთა უქი-
რავს; რომ იარებოდეს, მისის სიმძიმით მიწა თოთის და იძვრის. როგორაცა ესე
საუბარი გაიგონა თუნდმან დევმან, ასრე მოახსენა ფოლად დევსა, ვითა:
ოდეს ამოვსწყვიტებით, მაშინვე ასრე უნდოდა, უჯანა წავსდგომოდით
და ცოცხალი არც ერთი არ გავვეშვა, აწ ვინ შეებმის მას და ან იმის-
თანას ვეშვის პირს ვინ ჩავარდების. მაშინ რომ ჩვენი ომი ნახეს, თუ უჯანვე
წავსდგომოდით, მათს ქვეყანას წასულვიყავით, ერთობ მეომარი დაგვხედებო-
დენ და კრმლით ლაშქარს ამოგვიწყვეტდნენ, გზასაც აღარ დაგვანებებდნენ,
ჩვენ მახესა შემწყვედეულნი შევიქნებოდით. აწ დაბარების დრო აღარ არის,
რაც სჯობდეს, ის ვარჩიოთ. ერთი წიგნი ბიძა ჩემს მივსწეროთ, ფალანგის,
მტერთათვის გულის მკვეთელსა.

მოიყვანეს მწერალი და წიგნი დასწერეს, შესთუალეს, თუ: თამურაზ მოვა
ჩვენდა საომრად და ლაშქარნი ახლავან ურიცხვნი; ჩვენდა სამესისხლოდ შეყ-
რილან. სისხლისა ზღვევად მოვა, უთრუთ ფალავან და გოსტამ თანა ახლავან
და აგრე მოვლიან. სამასი წყრთა ლომისა ტყავისა საგდებელი თამურაზს უთ-
რუთისათვის შეუქნევიანობა და მძიმე, ორი ათასისა ლიტრისა ლახტი წელთა
ჩაუყრიან. თქვენ, რასაც გამოარჩევთ, პატრონნი ხართ.

რა ფალანგი დევმან ესე საუბარი გაიგონა, ნამეტნავათ დაუმიძიდა. ფიცხ-
ლათ შეყარა დევები, რანიცა კარგნი მეომარნი იყენეს: ბარყი და ქვეჩინ, რინა-
ში დევი და რობინ და სხვანი სახელდებული დევები; და თორმეტი ათასი —
მთაშიგან დევთა სამყოფი არის — მოვიდეს ფალანგს წინაშე, სალამი ჰკადრეს
ფალანგის. მერმე დასხდეს და საუბარი დაიწყეს და რჩევა ომისა. ფალანგი
თქვა: როდეს მამამან ჩვენმან გავყვენა ორნი ძმანი, მე მომცა ესე ყუფის მთა
და ხაზარანსა თემი და ქვეყანა უბოძა. და მას ქოიამარ დაუწყო მტერობა,
ჩემსა ძმასა ხაზარანს, გაუძახა სიამუქ და თურენგი და შემოებნენ ჩემსა ძმასა.
სიამუქ მოკლა¹ მერმე თამურაზ მოუხდა და ფოლადს გაემარჯვა. და ფალავანი
ზავ მოკლა. აწე შეუყრია მრავალი ლაშქარი და კიდევუა ფოლადისა საომრად

¹ აქედან H-921 ხელნაწერს აკლია. ვსარგებლობთ S-1594 ხელნაწერით (ფ. 108).

მოვა. და ზავის შეილი ახლავსო, სახელად უთრუთ ქუიან, მაგრა საკუირველსა . შექნილობასა იტყუიან მისსა, მაგრა ვინ წავა აწე მისად საომრად. მოხმარე- ბისა დაქირეებზისა ეამი ეს არის.

ამაზედა ქაჭვაჭინ და როზინ დეუი ადგეს, მოახსენეს: ჩვენ წავალთ მისდა საომრად. ერთსა ას ოცმოცდათი წყრთა სიმაღლე ჰქონდა და მეორეს ას ოცი. ადგეს და წამოვიდეს. ორმოცდაათი ათასი დეუი თან წამოიტანეს და ვირემ- დის ესენი მოვიდოდეს, ამაშიგან თაიმურაზ მოუხდა ფოლადა დეუსა, აკურეუ- ინა გურგსა და ნალარასა, და დაეპირისპირნეს ერთმანეთსა. და იქით ფოლად დეუი მოვიდა ორასი ათასითა დეუითა, და შეიბნეს და შეიქნა ომი. და პირვე- ლად უთრუთ მოვიდა მოედანშიგან და მისი მძიმე ლახტი, ორი ათასის ლიტ- რისა, და დაიწვადეს მძიმე ლახტი. და შეიქნა მოსადევარი და ასეთი ზახილი, რომე ამას ჰკვანდა, თუ ცა დაიქცევისო. და შემოუტეუნა ორასი ათასმან დე- უმან. აქეთ ამათ ჰკრეს ღუმბულსა, კუროსტიერსა და შებერეს ზროხაქედსა და წამოვიდა თამურაზ და ზავ.

აქა დიდი ომი თამურაზისი[და] ფოლდეუან დეუისა

დაეპირისპირეს და შეიბნეს, და ზრიალისა და ზახილისაგან აღარა ისმოდა რა. ამას ჰკვანდა, თუ თქუა, ცასა მიწასა ზედა დასცემენო. სამსა დღესა და ღამესა ომი იყო; დღისით და ღამით მრავალთა თავადთა თავი უპატიოდ მიწასა თანა გასწორდა და მრავალი დეუი მოკუდა და დიდი სისხლისა ღვარი აღინდეს, რომე მკუდრისა კაცისა თავი და ხელი სისხლსა მიჰქონდის. მაშინდა მესამესა ღამესა, შუა ღამისა ეამსა ზავ [და] ფოლდეუან დეუი ერთგან შეიყარნეს. დაუ- შინეს ერთმანეთსა მძიმითა ლახტითა და ... საქმესა დაეზა ზავ და პირი ფოლდეუანისაკენ ჰქნა... აგრე უკანდაღმან თუნდი დეუმან... და მოე- დანს შუაგულობს დაეცა. მაშინ, როგორაცა დევი მოკლული ნახა, ფოლდეუან გაგულისდა, მოვიდა და, როგორაცა სოილის შეიღმან გოსტამ შეიგნა, აქედალ- მან ესე გაემართა მისდა საომრად. მაშინდა თავადებმან მოახსენეს, ვითა: ნუ წა- ხვალ მისად საომრად, მისი საომარი არა ხარ, მას ას ორმოცდაათი წყრთა ტანი აბიან და შენ არცა ორმოცდაათი სიგრძე გაქუს, ნუ წახვალ! და აღარა გაიგო- ნა რა.

გოსტამ წაივდა მისდა საომრად და, როგორაცა მოედანშიგან მივიდა გოს- ტამ, შემოუტეუნა დევმან, მოუქნივა მძიმე ლახტი, გოსტამ დევსა თავსა დაჰ- კრა, და დეუმან ფარი თავსა დაიდვა, და ფარი თავსა დააფრიწა და დეუსა ვერა ავნო. მაშინ მოიქნივა დეუმან მძიმე გურძი, გოსტამს თავსა დაჰკრა და საწუთროსა გამოასაღმა და მოკლა. და როგორაცა ხელმწიფემან გოსტამის სიკუდილი შეიგნა, გვირგვინი მოიხადა, საყელონი გარღიხივნა და სრულად ლაშქართ გარღიხივნეს საყელონი.

მერმე უთრუთ, ფალავანთა თავი, გაგულისდა, მისი ორი ათასისა ლიტრისა მძიმე გურძი ხელთა აიღო და პირი მიწას გააერთა, დამბადებლისა სახელი ახ- სენა და მოედანშიგან მოვიდა, და მისი ლომის... და ერთი ვეფხის ტყავის ფარი ჰქონდა უთრუთს, თაიმურაზს მისთვის შეაქნევინა. ამაშიგან ორგვინთვე ჰკრეს დაულსა და ნალარასა, და იზახოდა უთრუთ. და მოვიდა თუნდი დეუი მოედანშიგან, შეუზახნეს ერთმანეთსა და ავინა თუნდი დეუმან, ვითა: ავგვარო- და ავისა თესლო, ვინ მოგავონა მეომართა დეუთა ომი, შენ, თუ ფალავანთა თავადობა გქონდეს, და დიდი ტანი და მძიმე ლახტი გქონდეს, ჩემსა ჰანგსა და-

გურძსა ვერა დაურჩები და სულთაგან დაიცილები, შავი მიწა წითლისა ვარდისა [ფერად] შეულებო!

დეუისაგან რა ესე საუბარი გაიგონა, უთრუთ სახელი ღმრთისა ახსენა, შეუხანა, ვითა: ავისა თესლისა ნერგო! ამაშიგან მოუხდა თუნდი დეუი, შეიმაღლა მძიბე გურძი, და უთრუთ ფარი თავსა დაიდვა, და დაჰკრა თუნდი დეუმაჲ, და ფარი თავსა დააღწა, მერმე წელთა შეუვარდა და შეიკიდნეს¹. არც ერთს უნდა გაშველება. დიდს ხანს ირკინეს, ფაილაჯნეს. მისცათ მათ სარტყლებს თხრეშა, ფრეწა. მიწა თრთოდა ძგერისაგან. მათ მიჰ... კეყეშა, ჰქმენა. დაღამე-ზამდის იომეს, ვითა მართებს მესისხლეთა. ვერა რომელმან აჯობა და გაიყარნენ.

თუნდი დევი ფოლადს წინაშე მივიდა. ადგა ფოლად და წინა მოეგება, დალოცა და ქება უთხრა. თუნდომ ასრე მოახსენა: მისი მებრძოლი ქვეყნის ზურგზედ არ არის, მე რომე მისი ძალი ვნახე, მე მისი ომი აღარ შემძლია და, უინცალა წაეა მისად საომრად, ისიც მზად დახედების.

აგრე თამურაზ უთრუთს წინა მოეგება, კელსა აკოცა და თავსა მრავალი გოვარი და მარგალიტი გარდააყარა. და სულემ ლაშქარნი ლოცვიდნენ. მეფემ უბრძანა: ღმერთმან უშენოდ ჩემი ტახტი და გვირგვინოსნობა ნუ ქნას! თუ დეუთათვის შემბმელად და ამომწყვეტად შენ არ გამოჩენილიყავ, ჩვენი საქმე ავგვარად იქნებოდა. უთრუთ ფალავანმან მადლი მოახსენა: მე თქვენი მიწა და მონა ვარო, მე ჩემი თავი არა მშურს, გოსტამს ეტირი თავს-პირსა ცემით, ანუ პეც მოვკვდე მსავეით, ანუ გოსტამის სისხლი არ მოვიკითხო.

რობინს რა ესმა, გაუშვა ცრემლის [ღვარი], ადგილზედ დაასკდა და ძმასა იგლოვდა, საყულონი გარდიხივნა და გლოვა დაიდვა. მერმე ქაჭვაჯინ ასრე უთხრა, ვითა: რა ტირილისა ეამი არის, დაბრუნდ... ურახედ წავიდნენ. გაძვრა აამუში. თამურაზს ასრე ჰქადრეს და უთრუთს. დაშუშთა შეეტყო, ფალანგი დევსა ქაჭვაჯინ და რობინ მოყავან მძიმითა ლაშქრითა... ლიან, ორმოცდაათი ათასი დევი შეყრილან და ესე ყველა თქვენდა სამტეროთ გაგზავნეს. ქაჭვაჯინ ნახოთ, მას ბრძანებთ: რა არის, ან რაგვარათ ნაქმარია. ას ორმოცი წყურთა სიმაღლე აქეს, თავი დიდსა მთასა უგავს, სხვა მისებრიე არ ნახულა, და მუზლასა რქა აბია, მითი იბრძვის, უმაღლესი დიდის ხისა; ოცი წყურთა აქეს რქისა სიგრძე, ვითა ძელი ამართული. კბილები აქეს, ვითა ტახტი, პირსა ცეცხლი ამოსციკვის. ვინ მორჩების იმას მრთელად, და თვალთ ანთებს, ვითა ბაზმა, ესრეთ არის საკვირველი. სამი გურძი ქანდრებზედა ერთმანეთზედ უკუეცვა. მხარზედ შეუეც, ისრე მოვა, მსწრაფლ დაამსხვრეეს, რასაც ეცემა და თქვენ, რასაცა ბრძანებთ, პატრონნი ხართ.

რა უთრუთს ესე სიტყვა ესმა, მეტად გაჭავრდა, თქვა: ვინ არის მყრალი და მყრალის თემისა, ქაჭვაჯინ ჰქვიან რაცალა, თუნდა კლდე იყოს სალისა, ღმრთით უთავოდ გავხადო, დღე გაუწწარო ეამისა, და მძიმისა ლახტითა თაეი დავნაყო და სულისაგან უსულოდ გავხადო, და შავი მიწა მისითა სისხლითა წითლად შეველებო! ამაზედა თავ-თავის სადგომს წავიდენ და კიდეცა დაღამდა.

რა გათენდა და ცასა სინათლე მიეცა, და მასკვლავთა ბრწყინვალეობა წაუღრო. და ქვეყნისა მანათობელმან მზემან თავი ამოყო და გუმბათსა ზედან ამაღლდა, აგრე ფოლად და ქაჭვაჯინ და რობინ ერთად შეიყარნენ, და ასრე ივაზი-

¹ იქედან ვსარგებლობთ H—921 ხელნაწერთ (ფ. 117), S—1594 ხელნაწერს აკლია.

რეს. ფოლად არჩივა: უთრუთს ვერვინ შევებმით... ამისი დამჩემებელი შე-
ვეწყოთ, თუ სჯობს, გასინჯეთ საუბარზედა... და მათ მოუწონეს თათბირი და
ასრე მოახსენეს, თუ: დავდგეთ ამაზედა, აღარა დავიწყებთ მერმე ნანვასა. რო-
ბინ ელჩად გავგზავნოთ, რას ვაქნეთ... ბანსა ორმოცი დეენი აახლეს, ზოგი
ას ოცი მწყურთა იყო და ზოგნი ასი მწყურთა იყო. შესთვალეს, თუ: ეამად კმა
არის, რაც ჩვენში სისხლი დადენილა, შევეწყოთ და ზავი დავდვათ, ჯარი გაე-
ყაროთ, დაესწყნარდეთ და ესე ქვეყანა შუა გავიყოთ, ნახევარი თქვენ გეყოფის.
ნახევარსა ჩვენცა ვსჯერვართ. ამაზედ ასრე შევიწყოთ, ჩვენში ნულარ არის
სტერობა. ორთავე გეყოფის ქვეყანა და დიდი შარიერობა. ჩვენ კელი ვხადოთ
სტველსა და ყოველთვინ სისხლში ბანვასა, ერთხელ სჯობს ნებიერად მყო-
ფობა!

წავიდა ელჩი, მივიდა თამურაზისა წინაშე. კელმწიფემან თავადები იქმო.
როგორცა მართებდა, აგრე დასხნეს. უთრუთს ფალავანს ოქროსა სელნი დაუდ-
გეს და მაზედა დაქდა. კელმწიფისა წინაშე ელჩნი შემოახსნეს, ორმოცი დეე-
ნი და რობინ მალალი, დიდი ქანდრის უმალღე არის, და სალაში მისცეს მეფესა,
ეთა სამართალი არის, და დასხნეს... ადგა რობინ და კელმწიფე დალოცა, და-
ვედრებული ყველა მოახსენა. ამაზედან მეფე მეტად გაწყრა: მე თქვენით რო-
გორ წაქედები, ტახტ-გვირგვინი და კრმალი, ლახტი, არ მიშოვნია თქვენიით. ჰაჰა
ჩემსა ქოიამარს ღმრთის განგებით უშოვნია. ესე თემი და ქვეყანა ყველა მი-
სით დაუქირაეს, მე ბაპისა ჩემისაგან მაქეს და თქვენ, რასაც ამბობთ, მართალი
არც ერთი არ მგონია, აწე თქვენ ვინ მოგცათ! მიაგებეთ, რათ ავიგდიათ თავები,
უფის მთა გაქეს სამყოფად. აქ რას დასცრუობთ, რა საქმის მოქმედობა გიცთ.
ავგვარნო, მასაც წავართვამ, თვარა აქიდგან შოვნის იმედს ნუ ელით! წადით, იქ-
იდგან მუღბნეთ, აქ ლაპარაკი არათ სარგებლათ გექნებისთ! შენ მისთვის გითხარ
ამდენი, მათში დიდი კაცი ხარ, სხვა მოსულიყო მოეკლევდი, თავს გავაცლიდი
ტანისაგან, როგორც შემწყვარ ვაცს, თხას გააცალონ, იმგვარად, და წადი,
მოვიდენ, შეგვებნენ, რაღა ყოვნის ეამი არის!

ადგა რობინ და წავიდა ცქვიტად და მალედ. ფოლად დევსა ყველა მოახ-
სენა, უამბო: უთრუთ ფალავანი ვნახე, გამწყრალი, ვით ლომი კანჯრის ქოგ-
ზედ და კილამ შემეჭამა, კბილითა, როგორცა მომკიდა თვალები. ან მათი თავი
წავილოთ, ან ჩვენი აქა დავყაროთ, და იგინი მზა არიან საომრად. რას ბრძა-
ნებთ, არა სჯობს თავის დადება?

რა ესე საუბარი გაიგონა, ქაქვაჯინ წამოქდა გაშმაგებულსაეით, ღრუბელსა
ეთა აგრვიდნდა, ბრდღონივლა გაჯარებულთი, კისრისა ქენჩო ამოისევა, ვით
ნიადაგ ომს ჩვეულ იყო: ვის ჰქვიანო ადამიანი! ამას იზახის გაშმაგებულთ: ან
თამურაზს ვინ მისცა თემი, ქვეყანა და ტახტი! უთრუთს ხვალ აღრე ვაჩუქო
ორი ათასის ლიტრის ლახტი. დიდსა თავში უჩაჩქუნო, დაუბნიო სრულად
ტვინი, ტახტითგან თამურაზ ჩამოვითრიო, ვით ამაყი არის. ტახტ-გვირგვინი.
ქმალი და ლახტი ფოლადს წინაშე მივილო, თამურაზს წავართვა ქვეყნის მეპატ-
რონობა, კრმალი და თემი და ქვეყანა ჩვენ დაგვარჩეს, რომ მებრძოლნი
აღარავინ [იყოს]. რა კვეხ[ნ]ით გაძღა, კიდევა დაღამდა და თავეთს სადგომსა
წავიდნენ.

აქა ფოლად დევისა და თამურას კელმწიფისა ომი

რა გათენდა, ლაქვარდის ფერსა ცასა სინათლე მიეცა, საწუთროს მამუენე-
ბელმან მზემან თავი ამოყო და გუმბაღსა ზედან ამაღლდა, და შავსა მიწისა

წითელი ზეწარი მოფინა, ყ[ი]რმიზი ვარდი და იაგუნდი წააყარა; აგრე ჰკრეს კმა საომარი, ქოსისა კენესა, სტვირთა სარაზმოთა. აგრე აწყევს რაზმი. თამურაზ კელმწიფე ტახტზედა დაჯდა სახელმწიფოთა შესამოსლითა. უთრუთ ფალავანმან სახელი ღმრთისა ახსენა, მისი მძიმე ლახტი მკარსა შეიღვა, ორი ათასისა ლიტრისა, კელმწიფე დალოცა, პირი მიწასა გააერთა. მისი სიმაღლე ასოცი წყრთა იყო, მუზარადი გუმბაღსა უგვანდა, პირი და ღაწვისა ელვარება ყირმიზსა ვარდასა უგვანდა, თვალნი მკირესა ხესა ნარავისა. მისისა მკერდისა სიბრტყე ორისა პილოს ოდენი იყო, მკლავები ჩინარსა ხესა უგვანდა, თითები ბროლისა დათლილსა ქვასა უგვანდა. საომარსა ადგილსა მისცლდა ასრე უხაროდა. ვითამც ნაღიმად და საღბინოდ მივიდოდეს, ასრე არა სჩანდა იმ დევების ომი, ვითამც ისი დევნი კანჯრის ჯოგი ყოფილიყვნენ და უთრუთ ფალავანი ლომი ყოფილიყო.

კელმწიფემან თამურაზ ესეთი სიკეთე და შშვენეირება მოინახა, მერმე საკელმწიფო ქული მოიხადა, დალოცა: შენ არაარსთა არსისა მომცემელო და საწუთროსა დამბადებელო, გულთა და გონებათა გამეითხველო, სულისა და ქორცისა შემაერთებელო და მომცემელო, მოწყალეო და მოსამართლეო, შენ დაიციე და უწინამძღვრე ჩემთა ლაშქართა და ფალავანთა თავი ფათრათ, აწ წადი და მალაღიმცა ეტლი არის შენი წინამძღვარი, იმა ბილწთა დაღეწე თავები შენითა ლახტითა.

რა კელმწიფისაგან ესე მოისმინა ფათრათ ფალავანმან, აგრე მობრუნდა და მოედნისაკენ წამოვიდა. რა ქაჯმაჯინს თვალი მოჰკიდა, აგრე ლომითა გამოემართა, მკლავნი უკუიკენა, კელნი შეიფშვიტნა, ქენჩო ამოისო, თვალნი შამაზათნა და მოუხდა, და ასრე თქვა: ქაჯვაჯინს დაუკევიხი და უთქვამს, ვითა: თამურაზს ტახტს დაუკეცეო, კრმალსა და გვირგვინსაც ფალავანის მოვართვამო, უთრუთს ლახტითა დაენაყო. ას ოთხმოცი წყრთა სიმაღლე მოამბეს მისი რომ აქესო, ორი ათასისა ლიტრისა ლახტი კელთ უჭირავსო, ოცი წყრთა რქა შუბლზედან აბიან, მოვიდეს, მნახოს და თავი მაცნობოსა, შევიტყო, როგორი მეომარია!

რა გაიგონა ქაჯმაჯინ უთრუთისაგან თქმული, ფოლადს მოახსენა: არ ვიცი, როგორი მეომარი არის. ჯერ ერთი დევი სხვა შეაბით, რომ მისი მეომრობა გავსინჯოთ და მას უკან აღრე ნახოთ ჩემგან ის მკედარი! ორმოცდაათი წყრთა სიგრძე ერთი დევი გაუზახა. დიდსა ლოდსა კელი მიჰყო. უთრუთს დევმან შეუზახა, შემოსტყორცნა, დაადღუნვა, არას დია შეაჭირვა. ფალავანმან ლახტი დაჰკრა და დევი მიწად მიაქცია. მერმე ორმოცდაათი დევი სხვა გამოუძახა, კველაი მოკლა, დაქოცა და რადგან ისინი გასწყვიტნა მერმე რომინ გამეზადა საომრად. ქაჯვაჯინ უთხრა: მე მაკალე, დღეს ჩემი გამომთხოვია, წავალ, მე ვნახავ, თუ ძალ-გული ჩემგან უკეთესი აქვს. და არ დაიყოვნა, ქაჯვაჯინ წავიდა. ნახეთ მისი გაბედვისა, უთრუთს შეებმის, ამბავის საქმენი!

ჰკრეს ორგნითვე ნალარასა და გაბშირდა კენესა სტვირთა სარაზმოთა. გამოდგა ქაჯვაჯინ, ას ოთხმოცი წყრთა სიმაღლე ჰქონდა და სამი დოღაბის ოდენი გურძი კელთა ჰქონდა მსხვილი ქანდარი[ვითა],¹ და სამივე ერთმანერთზედა უკუეცეა. . . და აგეთი მოვიდოდა, და შუბლსა რქა ება, ოცი წყრთა სიგრძე ჰქონდა და იქით-აქათ იქნეულა. თავი დიდსა მთასა უგვანდა, თვალი ცეცხლსა

¹ აქედან ვსარგებლობთ S-1594 ხელნაწერით (ფ. 20წ), H-921 ხელნაწერს აკლია.

ვითა ენთებოდეს დ ტახივითა კბილები გამოეშვირა და პირსა ცეცხლი მოსცვი-
ოდა. აგეთი მოვიდოდა მოედანშიგან და შემოუზახნა უთრუთს, ვითა: შეიდასი
წელიწადი არის, ჩემი მეომარი არ გამოჩენილა ქვეყანაზედა, და ყათისა მათსა
ზედა ჩემი მებრძოლი დეუი არ გამოჩენილა! აწე შენითა ხელითა ამდონი ერ-
თი დეუი ამოწყვეტოლა, აწე ყუელა შემინდვია, რაცა სისხლი დაგიღვრია! თა-
მურაზს რატომ მსახურებ? წამოდი, ხელსა და ფერხსა მაყოცე, და ფოლადა
დეუსა წინაშე მიგიყუან, ხელსა აყოცე, რაც შეგიტოდებია, ყუელასა შეუანდო-
ბინებ და... წინაშე მიგიყუან და...

აქა დიდი ომი თამურაზ ხელმწიფისა და ფოლად დევისა

წამოვიდა ფოლად დეუი ორასი ათასითა დეუითა და დაიწვადეს მძიმე ლახ-
ტები. შეიქნა ზახილი და მოსაწეუარი, რომე მიწა თრთოდა და იძროდა, დრგია-
ლისაგან აღარა შეიგნებოდა რა. ხრდალთა გულა გასკდებოდა. და ფალავანი
უთრუთ მოედნის შუაგულობასა იდგა და მძიმით ლახტითა ეცემოდა. და ერთსა
დღესა და ღამესა ომი იყო. მრავალი დეუი დაიხოცა და მრავალთა თავადთა
თავი უპატიოდ მიწასა ზედა დაცვიდა, და სისხლისა და მკუდრისა კაცისაგან
აღარა ივლებოდა. მაშინ ერთმანერთს უყუყუარენეს, თავისთავის სადგომსა უყუ-
დგეს და სამსა დღესა და ღამესა მოისვენეს და აღარას ერჩოდენ ერთმანერთსა.
და მეოთხესა დღესა აკურევიან გურგსა და ყვროსტირთა თამურაზ ხელმწი-
ფემან. და როგორაცა დეუთა გაიგონეს ნალარას ხმა, აგრე იქით ივინიცა დაე-
კაზმნეს და ჰკრეს მათც ნალარას და... მოედანშიგან თუნდი დეუი [გამოვიდა,
მძიმე ლახტი] კელთა ჰქონდა და მოიქნივა, და ორმოცდაათი დევი მოკლა და
შოშითა დაიხოცა. მერმე გაგულისდა... ანის ხელმწიფობას... ესე საუბარი
გ... უთრუთ შეუზანა და... [ქა]ქო და ქაქისა გვარისაო, ნუმცა... ნუმცა
ფალავ დეუი თუ ამას იტყუი, ვითა: ქვეყანასა ზედა ჩემი მეომარი არ გა-
მოჩენილაო, ჩემებრძოლი ფალავანი არა სადა გინახავს, აწე მე გაჩვენო მეომრო-
ბა და ფალავანთა კერხი, რომე საწუთრო შენზედა შევამოკლო!

აგრე სახელი ღმრთისა ახსენა და პირი მიწასა გააერთა, და თავი საწუთ-
როსა დამბადებელსა შეეედრა, და მკლავნი უკუიკეცა და ქანგნი გაიმაბნენ.
შემოუზახნა და მოუხდა დეუი, მოუქნივა მძიმე გურძი და უთრუთს თავსა
დაჰკრა. და უთრუთ ფარი დაიფარა თავსა. დაღეწეს. უთრუთ გააგორევა და აგრე
ეუფხვიითა წამოიჭრა. და მერმე მან დაჰკრა, ერთმანეთსა დაუშინეს და სალა-
მოზამდის ოთხმოც-ოთხმოცი ლახტი ჰკრეს და ვერა რო... და სილამემან გაყა-
რა... წინაშე მოვიდა და ზე.. [ერ] თობილთა მიულოცე[ს], ჰკითხეს დეუ-
ისა მეომრობა. და უთრუთ ფალავანმან მოახსენა, ვითა: შეუიწიო ღმერთი ჩემი
და თავისაგანცა უიმედოდ გავხალო ქაჭუაჟინ დეუი.

იქით ფოლად დეუს გვერდის მივიდა ქაჭუაჟინ დეუი. აღგა, თავსა გვირგვი-
ნი დასდგა და ოქრო ვარდააყარა, და ასრე უბრძანა, ვითა: მის უსაკუთირველესი
კაცი არა მინახავს. რაცა მისა პირშიგან ჩავარდების, უფათურაკოდ არ მორჩე-
ვის და, თუ ვინ ამას მოკლავს, ქუეყანაზედან ჩვენი მეომარი კაცი არ გამოჩნ-
დების. ძლიერად მეომარი არის, წელნი და მკლავნი, და ხელნი და, რაცა ასო
არის, ყუელაი მტკივის მისითა ბრძოლითა, მაგრა შებმის მეტი ღონე არა მაქვს;
შეიდასი წელიწადი არის, ფალავნობა მიქნია. აწე, მისგან გაქცეული, ფალავი
დეუს გვერდის როგორ მივიდე? აწე, ხეალე აღრე მოედანშიგან მივალ საომარ-

სა ადგოლსა და ჩემითა მძიმითა ლახტითა კიდევე გამოვსციდი, და ჩემსა თავსა მოედანშიგა დაეაგლებ, ანუ მისსა წამოვიღებ! როგორაცა ესე საუბარი დაათავა, თავისსა სადგომისაკე წავიდა და იმ ღამეს გათენებამდი ორგნითვე აბჯარსა ჰკაზმიდეს საომრად.

რა გათენდა. საწუთროს მაშეებელმან შხემან თავი ამოყო, და საწუთრო დააშენა და გუმბაღსა ზედა ამაღლდა, ჰკრეს ორსავე რაზმშიგან გურგსა, ჰქან[ს]ა, ჰქარანანი და ნაღარასა, და წამოვიდა პილოტანი ჰანგ-მახვილი, ფალანთა თავი, გულოვანი უთრუთ, მოედნის შუაგულობასა დადგა, თუ სთქუა. დიდსა მთასა ჰკვანდა, მისი მძიმე, ორი ათასისა ლიტრისა ლახტი კელთა ჰქონდა და სამასი წყრთა საგდებელი, საომრად გაფიცებულყო, როგორაცა კანჯარზედა ლომი. შეუზახნა: რა იქენ ეშმაყო დეუო, გუშინ ძლივ წაუხველ ჩემსა ჰანგსა და მძიმესა ლახტსა, აწე გამოჩნდების ფალანობა და მეომრობა, თუ რომელი ვჯობვართ, პირის წყალსა კარი გაუღოთ!

აქა მეორე ომი უთრუთისა და ქაჯვაჯინ დევისა

რა დევი დაინახა, სახელი ღმრთისა ახსენა უთრუთ და შემოუტეუნა. დეემან მოიქნია მძიმე ლახტი და უთრუთს თავსა დაჰკრა, და უთრუთ ფარი თავსა დაიდვა. და ფარი თავსა დააღეწა, მერმე მიბრუნდა ფალანანი და თავსა ლახტი დაჰკრა. შეიდი მან ჰკრა, შეიდი მან. გაჯულისდა პილოტანი, ხვადი ლომივითა მიპყო ხელი, რქასა სტაცა და შეიქედნეს. დიდსა ხანსა ირკინეს. მერმე დაიყუირნა მთვრალმან პილომან ვითა, დასცა და ადგილი შეიძრა, მაგრად ხელნი შეუქრნა, და საგდებელი მოაბა და თამურაზ ხელმწიფესა წინაშე მიიყუნა, შეკრული წინ დაუდვა. და ხელმწიფემან პირი [მიწასა] გააერთა და საწუთროსა დამბაღებელსა მაღლი მისცა. ერთობილთა თავადთა უთურთ დალოცეს.

აქა რობინ დეუსისა და უთრუთისა ომი

უთრუთ სპადარი მუნვე მოვიდა მოედანშიგან და მისი მძიმე ლახტი ხელთა ჰქონდა. აქეთ რობინ დეუი მიუხდა, შეუზახნეს და შეიბნეს და საღამობამდის იბრძოლეს. ვერა რომელმან აჯობა. იმ დღესა უთრუთ მაშვრალი იყო, ქაჯვაჯინ დეუი შეიბყრა და მკლავთა ძალი მოკლებოდა. მას ღიმესა გაეყარნეს და მის სადგომსა წავიდა. უთრუთ ხელმწიფესა წინა მივიდა და აგრე რობინ დეუმან ფოლად დეუსსა მოახსენა, ვითა: მე იმ ფალანის მეომარი არა ვარ, ქაჯვაჯინ დეუსისა უკეთესი ყაფის მთაშიგან არ იყო, ნახეთ, თუ იმას რა უყო! მე იმის მეომარი არა ვარ, არცა ვებრძვი! თქუენგან ბედმან შემიწყალა, რომე მაღალი იყო, თვარემ ტანისაგან უთაოდ გამხდიდა, აწ მე ამას ღამე გაეიპარვი და წავლ დე თქუენ, რასაცა იქთ, პატრონნი ხართ!

რა ესე საუბარი გაიგონა, ფოლად დეუმან ასრე უბრძანა რობინ დეუსსა: ეგ რა საუბარი იყო, რომე შენ სთქუი! თუ მაგას იქ, ფალაგ დეუსსა გვერდის კაცსა გავგზავნი და ამას შეესთელი, ვითა: რობინ დეუი წამოვიდა და მე მარტო დამაგდო. ასრე ვქნათ, როგორაცა უთრუთ მოედანშიგან მოვიდეს, ჩვენ უწელანნი დაქეკაზმნეთ და ერთპირად შეუტეუნეთ. ანუ მოვკლათ და ანუ დავიბოცნეთ. და თუ წავლთ, უქანა წამოგვიდგების და ხარაქასა და მალსა დაგვიწყებს

თხვნასა, და ერთი დეუი გავგზავნით ფალაგა დევსა წინაშე და წიგნი მიუწე-
როთ, ვითა: ქაჩვაჯინ დეუი შეიპყრა უთრუთ და ცოცხალი ხელთა ყავს.

რა ესე საუბარი გაიგონა რობინ დეუმან, მაშინლა ა[ს]რე მოახსენა, ვითა:
არცა მე წავალ და აგრე ექნათო! აგრე დაწერეს წიგნი და ერთის დეუის ხელით
გავგზავნეს ფალაგა დევსა წინაშე.

როგორცა გავგზავნილი კაცი მივიდა ფალანგი დეუს წინაშე, მივიდა და
წიგნი მიართვა, ამბავი ჰკითხეს: თამურაზ შეუიპყარო. მან მოახსენა, ვითა:
რასა ბრძანებო, თამურაზს ვინ შეიპყრობსო, თემი და ქუეყანა მან დაიპყრა:
და ერთი ფალავანი ახლავს, რომე მთერალსა პილოსა ჰგავს, აგვიწყუდილა ლაშ-
ქარი, ათი ათასი დეუი მოკლა და ქაჩვაჯინ დეუი შეიპყრა და ხელთა ჰყავს.

რა ესე საუბარი გაიგონა ფალანგ დევმან, წყენისაგან ტახტისაგან ჩამო-
ვარდა, შესცდა და არა ზე აღდა და დაიზახნა: აცნობეთ ყოველგნით დევებსა.
რომე შემომეყარნენ! იმისთანა ადამიანი გამოჩენილა და დევნი ამოუწყუდილა,
და თემი და ქუეყანა დაუქირავს. და გაუფრინვა ყოველგნით კაცი, და ერთი
დეუი ბარჯიყანს წინაშე, ერთიჲ ჭიბიჯის გაუგზავნა და შეიყარა მრავალი დეუი,
და წამოვიდეს, ფალაგა დეუსა გვერდის მოვიდეს და სალამი მოახსენეს. და
ერთი ტახტი ბარჯიყინსა დაუდგეს და ერთი ჭინიბიჯანს, და მას ზედა დასხდეს.
ივაზირეს, ვითა: ამოვანი კაცი გამოჩენილა, მრავალი დეუი მოუკლავს და თუნ-
დი დევიცა მოუკლავს, და ქაჩვიჯინ დეუი ხელთა ჰყავს. და ფოლადს და რო-
ბინს შემოუთვლია: თუ არას გვიშველით, ჩვენცა დაგვხოცს. აწ ვინ წაიღეთ
ძათად შველად? ბარჯიჯინ და რადი დეუი წამოვიდეს ორმოცდაათი ათასითა
დარჩეულითა დევითა და ვირემდის ისინი მოესწრებოდეს, ამათ შუა ომი შეიქნა
და ჰკრეს ორგნითვე ქოსსა და ნალარასა და შეიბნეს, და შეიქნა ზახილი, ასეთი
რომე აღარა შეიგნებოდა რა.

პილოტანი უთრუთ ფალავანი ხვადი ლომივითა კულავე მოვიდა და მოე-
დანშიგან და საომარსა ადგილსა დადგა, და პირი მიწასა გააერთა და დამბადებ-
ლისა სახელი ახსენა, და იქით ორი ათასი დეუი წამოვიდა და წამოიღეს მძიმე
ლახტები. აიღეს დიდროანი ლოდები ხელთა, მოეხვივნეს, უთრუთ შუა შეიგ-
დეს. ამას გვანდა მათი ხმა, თუ ცა დაიქცა და ქვეყანა ჩაძვრო. დაუშინა ყუ-
ლამან ქვითა, და უთრუთ ფაერი თავსა დაიდვა. აზრონი ერთი ქვა მიყარეს,
რომე მისი ტანის სიმაღლე დაფარეს. და ფალავანი უთრუთ აღარა ჩნდა, მაშინ-
ლა თამურაზ კელმწიფე მოუხდა ლაშქრითა და უკუყარა. მერმე დაიწყო იქით-
აქეთ წეუნა და უკუყარეინა, ლოდისაგან გამოვიდა ფალავანი უთრუთ. და,
როგორცა ნახეს გამოსული, გაიქცეს დეუები. აგრე ფოლად დეუი მოეგება და
კიდვეა დააბრუნეს, შემოუზახნეს და შეიქნა კვილი დეუებისაგან, გვრგვინვა
და ქუხილი. მრავალი ხმა გამოუშვეს, რომე კაცი შესცდებოდა მათის ზახილი-
საგან. ჰკრეს რაზმი და მოვიდეს. ამათ ჟამსა შიგან ჯერე ცხენი არ იყო. ყუე-
ლანი ქვეითად იბრძოდენ.

აქა სხვა დიდი ომი და დიდი ავნეს დევებსა და მრავალი მოკლეს

თეიმურაზ ხელმწიფემან და სრულად ლაშქართა პირი მიწასა გააერთეს,
და საწუთროსა დამბადებლისა სახელი ახსენეს და შეუტეუნეს ერთობილთა
ფალავანთა და პილოტანი უთრუთ ხვადი ლომივითა საომარად გათიცხდა,

კანგნი გაიმხვნა და მათისა მძიმით ლახტითა მრავალთა დეუთა თავი ტრინსა თანა გაურია და მიწათა თანა გაასწორა. და შეიქნა ტკაცა-ტკუცი, ხრმალთა ელვა-ქეხანი. იყო ორგნითვე ზარი და კივილი. აქათცა მრავალი დაიხოცა და იქითცა. ასრე რომე მკედარისაგან გზა შეიკრნეს, ერთმანეთსა ახლოს ველარა მიუდგებოდეს. საღამობამდისი იბრძოდეს და ომი იყო. სისხლისა ტალახისაგან ველარა გამოვიდოდეს, და ოცდაათი ათასი დეუი მოკლეს. აქეთაცა მრავალი თავადი და ლაშქარი დაიხოცა. და სიღამემან გაჰყარანა, უკუდგეს. და იმ ლამეს აიყარა ფოლად დეუი, უკუდგა. დიდი მაღალი მთა იყო, მის ძირსა დადგეს და ზურგი მთასა მიაყუდეს.

თამურაზ დაშუშნი წაუყენა უკანა, თუ: სადაცა წაივინენ, უკანა წაუდგეთ! წაივინეს დაშუშნი, ნახეს და მოვიდეს, და ამბავი მოართვეს, ვითა: მთის ძირსა დადგომილანო, და აქეთ ესენი აიყარნენ და იარეს ისი დღე სამხრობამდის. და ახლოსა მიუდგეს და დადგეს აქეთ ესენი. მერმე ფოლად დეუსა მოუვიდა მახარობელი, ვითა: ფალავი დეუსა ბარყი და რადი, ორმოცდაათი ათასი დეუი სხვა გამოუგზავნია და მოვიდეს ასერა.

რა ესე გაიგონა ფოლად დეუმან, ჰკრეს ნალარასა და წინა მისაგებავად წავიდა. როგორაცა მივიდა, მიეგებნეს, ერთმანეთსა უსალამეს. მერმე ფოლად დეუმან შესტირნა ერთობილთა დეუთა, ვითა: მამამან ჩემმან თემისა და ქუეყნისა ბატონობა მომცა, აწე აღამიანნი რომე გამოჩნდეს და დამიწყეს ბრძოლა, ლაშქარნი ამომიწყვიდნეს და თემი და ქუეყანა სრულად წამართვეს და დამადგებიდნეს, და ბიძა ჩემსა არა ჰგავა რა ჩემი! რა ესე საუბარი გაიგონა, ბარყი დეუმან ასრე მოახსენა, თუ: ბიძა ჩემსა არა დაუშავებია რა შენზედა, გამომგზავნა მრავალი ლაშქარით და, აწ მოვსულვარ, და მაშინ ასრე დაგვედრა, თუ: მეცა წარმოვიდგებოი უკანაო.

ესე საუბარი დაათავეს და წამოვიდეს, ლაშქართაყენ მოვიდეს, დადგეს. აგრე დაშუშნი მოვიდეს თამურაზს წინაშე და მოახსენეს: ბარყი და რადი დეუი მოიგნეს. მაშინლა ქაჯვაჯინ დევისა მოყუანება ბრძანა კელმწიფემან. წაივინეს და მოიყვანეს, ხელი უკნით შეკრული იყო. და ქალადი მოიხმო, უბრძანა, ვითა: ტანისაგან თავი გაშორეთ!

რა ქაჯვაჯინ თავისა სიკუდილი შეიგნა, ასრე მოახსენა, თუ: ნუ მომკლავ. ასეთი რამე მოგვეკარო, შენთა დღეთა შიგან არ გენახოს! კვიახვის, თუ რა არისო? მან მოახსენა: ყაფის მთაშიგან არის, ცხენი ქვიან და პილო, რომე ომისა ეამსა მეომარი იბრძვიან. მერმე ხელმწიფემან უბრძანა, თუ: ყაფის მთაშიგან გაგიშვა, შენს თავსა ხელსა ვინლა მომიკიდებს. მან ასრე მოახსენა, თუ: ორნი დეენი მახლავს, ერთს გავგზავნი და მოვაყუანინებ.

ამაზედა აღარა მოკლეს ქაჯვაჯინ დეუი. გავგზავნეს მისი მოსამსახურე დეუი, და წაივინა და მოიყუანა საპატიო ცხენი. შეხედნა თამურაზ ხელმწიფემან და მოეწონა. მასვე კვითხა, თუ: როგორ უნდა შეჭდომარო. მერმე ასწავლა უნაგარი-სა სახელი და შექნა. და შეაქნევინა ლომის ტყავისა უნაგარი. შეკაშმეს და შეჯდა ხელმწიფე და მოეწონა, ასრე რომე მას უკეთ აღარ იქნებოდა.

მათ აგრე ელჩი მოუვიდა ფოლად დეუისაგან. მოახსენეს თამურაზს და შეასხეს ელჩნი. ხელმწიფე მოთვალმომარგალიტულსა ტახტსა ზედა დაქდა, და უთრუთეს სპადარს ფალავნისა ოქროს სელი დაუდგეს და მაზედა დაქდა. ერთობლნი ფალავანი იხმო. . . და დასხდეს, და ელჩმან მოახსენეს დავედრებულნი ფოლადისაგან. და ქაჯვაჯინ დეუი ეთხოვნა. მერმე ხელმწიფემან ასრე შეს-

თვალა: თუ ქაჭვავჩინის ღუეს დახსნა გინდა, ათი ათასი ამისთანა დაკაზმული ცხენი გამომიგზავნე, თვარა ტანისაგან თავს გავეშორებო. მერმე წავიდნეს ელჩნი და მოახსენეს ფოლადას, ვითა: ათი ათასი ცხენი ითხოვეს ქაჭვავჩინისათვის, მაშინლა გამოუშვებენ.

რა ეს საუბარი გაიგონა ფოლად ღუემან, აგრე ფიცხლა გაგზავნა ღუეები, და ათი ათასი ცხენი მოახსეს და თაიმურაზს გაუგზავნეს. მივილა. ათი ათასი ცხენოსანი შეიქნა. მერმე ქაჭვავჩინ ღუეი გაუშვეს. და ცხენები ყუელი თამურაზ უთრუთს ფალავანსა გაუგზავნა, ვითა: საშენო ცხენი გამოარჩიეო. უთრუთ დაუწყო რჩევა და, როგორაცა შექდა, ჩადრიკის და მუცელი ალაგზადა გაათრიკის, ვერამ ცხენმან დაუდგნის. მერმე ხელმწიფემან ლაშქართა გაუყო.

ამის მეტად ცხენი არ ყოფილიყო. და თაიმურაზ კელმწიფის ეამშიგან შეიქნა ცხენი. და აგრე უნაგრებსა დაუწყეს ქნა და გაცხენიანდეს. მერმე ხელმწიფემან ასრე ბრძანა: ის, რომე პილო თქუა, დასტურად იკო იქნების საშენო!

აგრე გაშუებული ქაჭვავჩინ ღუეი მოვიდა ფოლად ღუესა გვერდის და მოეგებნეს. ფოლად და ბარჩიყან ღუენი წინა მოეგებნეს, მოეხვიენეს, მიულოცეს და აკოცეს, და დასხდეს და ამბავსა ჰკითხვა დაუწყეს თამურაზის და უთრუთისა. მერმე ქაჭვავჩინ ღუემან ასრე მოახსენა, ვითა: რასა მკითხავთ, ჩენი აღსასრული მოსულა. ესე მიყო, რომე მტაცა რქასა, ქვეშე დამიდვა, მხარნი შემიკრან და თაიმურაზს წინაშე თრეით მიმეყუნან. აწე მისი შემუქარე და მეომარი მე აღარა ვარ, მე, რომე მისი ძალი და ფალავნობა გავსინჯე. და თქუენ, რასაცა ბრძანებთ, ბატონი ხართ! რა ესე საუბარი გაიგონა ქაჭვავჩინისაგან, ბარჩიყინ გამოენახა, ასრე უთხრა, თუ: სიბერითა ჰქუა წავსვლიოო და ძალი მოგყლებია. მისთვის უბნობ წალმა-უკულმა, შენი მეომარი ქვეყანაზედა არავინ გამოჩენილა და შენსა ეკობის ეამსა ყოფილიყო, ერთსა შენსა ნაკრავსა ვერა დაუდგმონდა, მაგრა ნამეტნავთა ეამთა გარდასრულხარ და სიბერისაგან აღარა შევიძლიან!

რა ესე საუბარი და პაჟუხი გაიგონა ბარჩიყანისაგან, ასრე უთხრა, ვითა: მე, რომე მისი მეომრობა და ძალი ვნახე, მიწი არიფი არა ვარ და არცა ვერძიქი, და შენდა აპას გამოსკლი, თუ როგორი მეომარი არის. მე აქა აღარ დაუდგები. ერთხელ თავი ძლიე დამიხსნანა. ავდგები, ფალანგი ღუეს გვერდის წავალ! რა ესე საუბარი დაათავა, წამოვიდა მისითა ორმოკლდაათი ათასითა ღუეითა და ფალავს წინაშე მოვიდა. და ფოლად, ბარჩიყინი და რადი ღუეი იქივე დადგეს, და იმ ღამესა საომრად ეკაზმებოდეს.

რა გათენდა, საწუთროსა მაშენებელმან მზემან თავი ამოყო და ვარდის წყლითა პირი დაიბანა, შავსა გიშერსა წითელი ვარდი მოჰფინა, აგრე ორთავე ლაშქართა აწყუეს რაზმი და ჰკრეს გურგსა, ქოსსა და დაბდაბსა, ნალარასა და შეუბერეს ზროხაკულთა, ბუქმან ხმა გაიზიარა და მოახსეს ცხენები, დაეკაზმნეს. ათი ათასი ცხენოსანი იყო. და უთრუთ ფალავანი ქუეთთად იყო, საომრად გაფიცებულყო, როგორაცა ვეფხი კანჯრისა ჯოგზედა, და ხელმწიფესა წინაშე საწუთროსა დამბადებელისა სახენი ახსენა და პირი მიწასა გააერთა. ადგა და მისი მძიმე ლახტი მხარსა შეიღვა და მისი ლომისა საგდებელი თანა ჰქონდა. და საომარსა ადგილსა მისელა ასრე მიუხაროდა, თუ სთქუა, ნადიმად მივაო. რა ესე მოედანშიგან მივიდა, სფაადარი, პილოტანი, ფალავანი უთრუთ გაშმაგებული ლომივითა იქით და აქათ იარებოდა, და ბრდღეინვიდა, და პირთა პერულსა ჰყრიდა და ამას იზახდა: ვინ მოსულა ახალი ფალავანი ფოლად ღუესა

წინაშე, ჩამოვიდეს და მძიმითა ლახტითა გამომეცადოს, მე უჩვენო მეომრობა და გულოვანთა ფალავანთა ომი!

რა ესე საუბარი გაიგონეს, დეუთა მოახსენეს მეომარნი პილონი და ერთს პილოზება მოთვალმარგალიტული ტახტი დადგეს და კიბენი მიუდგეს. ძირი-დაღმან თექვსმეტი ნაბიჯი სიმაღლე გავიდოდა და ზედა გავიდა ბარყიჯინი დეუი, დაჯდა. ასორმოცი წყრთა სიმაღლე ჰქონდა მის ტანსა, და ერთი მისთანავე ტახტი ფოლადსა დაუდგეს პილოზება; გავიდა და დაჯდა. და შემოუზახნეს დევებსა და წამოვიდეს. როგორაცა საომარსა ადგილსა მივიდა, შეხედნეს უთრუთს ახალმან მოსრულმან დეუებმან, და ბარყიჯინი დეუმან, როგორაცა დაინახა, ეუპირულა მისი ზახილი. სიდიდე, მძიმე ლახტი და მუზარადი მაღალსა გუმბადასა უგვანდა. რა ესე ფალავანი ნახა, ბარყიჯინი დეუსა ჰქუა წაუვიდა. და უცნობოდ გახდა და ასრე მოახსენა ფოლად დეუსა, ვითა: დეუი ოღონ ისი ყოფილათ და, რასაცა ქაქვაჯინ იტყოდა, ყუელასა უმართლე იყო, ერთისათვის ათი ზომა სვირს, რაცა იმისა პირშიგან ჩავარდების, მშვიდობით აღარა მორჩების და, თუ ამას ცოცხალი მოურჩები, მგონიან, მის დღეთა შიგან არა მეუწნოს, რა ბარყიჯინისაგან ესე საუბარი გაიგონა, ფოლად აგრე მოახსენა: მეცა მას ვჩივი და ვტირი, ამომიწყუიდა ლაშქარი და თემი, ქუეყანა დამავდებიანა და მეომარნი დეუნი დამიხოცნა. მერმე ასრე მოახსენა ბირყიჯინი დეუმან: მოესულევართ და უღმრობა აღარ იქნება, ანუ ჩვენი თავი მოედანშიგან დავეყართ და ანუ მათი ჩვენ წამოვიდოთ!

ამაზედან შეუზახნეს და წავიდეს. მათითა სიდიდითა მიწა თრთოდა და ასეთი მტრუერი ავიდა, რომე ჰაერთა შიგან მფრინველთა თვალები დაუდგა. ამასა ჰგვანდა, მთა იქცევის და ცა მიწაზედ ენარცხებისო. გახშირდა ორგნითვე ნაღარისა ხმა, და ფალავანთა თავი უთრუთ მოედნისა შუაგულობასა დგას. რა ბარყი დეუი პილოზება ტახტითა მჯდომი დაინახა, ასეთნი დაიზახნა, ჰაუ გაუშვა, რომე სრულად დეუნი ცეცხლივითა აენტეს. და შეუზახნა ბარყიჯინ დეუსა: ბილწო ქაქო, ქაქის გვარისათ, შენ ვინ და სახელმწიფო პილო, ტახტი. გვირგვინი და ქული ვინ მოგცა, ყუელაი თამურაზ ხელმწიფის შესათფერი არის! ჩამოხე, მორი, ხელსა მაკოცე, თამურაზ კელმწიფისა წინაშე მიგიყვან, ხელსა და უარხსა აკოცე! პილო, ტახტი და გვირგვინი მთართვი, სრულად ყათისა მთისა ბატონობასა მოვაცემინებ, თუ არა იქ, მძიმითა ლახტითა თავსა დავიმსხვრევე, ნათელსა დღესა შენზედა შავად გავხდი!

აქა ომი უთრუთისა და დეუთა

რა ესე გაიგონა ბარყიჯინი დეუმან, ოცი დარჩეული დეუი შეუზახნა, შემოუზახნეს და მოუხდეს. პირველად ერთი დეუი მოვიდა და დიდი ლოდი შემოსტყორცნა. და უთრუთ ხელი მიუშვირა და ლოდი ხელითა დაიჭირა და დააბრუნევა. მასვე შესტყორცნა, ჰკრა და მოკლა.

მერმე ლომივითა გაფიცხდა, გავარდა, სხვასა დეუსა სტაცა ხელი, რომე მისთა დღეთა შიგან სული არა სდგომოდა, მოიქნივა, დაანარცხა. აგრე სხვასა მოჰკრა ხელი, აიღო, შეიმაღლა, შესტყორცნა სხვასა დეუსა, ველარა გაესწრა, ჰკრა ერთმანეთსა და ორნივე დახოცნა; რალაცა დარჩეს: გაიქცეს, და მიეწია; ერთი სხვა დაიჭირა და აიყუნა, ერთი ფერხი ერთითა ხელითა დაიჭირა და შეორეთა გასწიენა, შუაზედა გაგლიჯნა და გამოავლო.

აქა უთრუთ ფალაენისა და ბარყი დევის ომი

რა გაქცეულნი დეუნი მივიდეს, აგრე ბარყი დეუმან ბარყიჯან დეუსა თავი ჩამოულო, საომრად გამოემართა. ას ორმოცდაათი წურთა სიმალე ჰქონდა, დამისი ლახტი ოთხის დოლაბის ოდენი იყო, და წამოვიდა მოედნისაკენ. როგორცა თამურაზ ხელმწიფემან მომავალი ნახა, ხელმწიფემან ქული მოიხადა, პირი მიწასა გააერთა და საწუთროსა დამბადებელსა შეხვეწა უთრუთის გამარჯვებისათვის.

აგრე მოუხდა დეუი და შეუხანეს, გულმესისხლედ შეიბნეს, მოიქნივა დეუმან და დაჰკრა. მერმე უთრუთ დაჰკრა. ოთხი, ხუთი ჰკრეს. შეიქედნეს, უთრუთ ფალაენმან დაიყუირონა ხეადმან ლომიეთა, ერთი ქელი სტაცა, მოსდვა და მეორე ქელსა სტაცა, აილო თავის სწორად, მოიქნივა, დასცა, ერთი ხელი, ფერხი მოსტენა. მერმე დასცა მუხლი და თავსა მოეკიდა, ასწინა, ხელი მოსწუილდა და გულ-ღვიძლი თან ამოატანა. თავი შორს გაავლო. და ფალაენი უთრუთ იქვე მოედანშიგან იდგა პილო ვითა უძრავად.

აქა დიდი ომი დეუთა და თაიმურაზ ხელმწიფისა და დიდი აენეს დევთა

რა ესე საქმე მოინახა ბარყიჯინი დეუმან, დასცეს ზარსა და ყიყინასა, შეუტევენეს ერთმანერთსა, და წამოიღეს დეუ[ებ]მან მძიმე ლახტი, გურძები და დაიწვადეს ხრმლები, ჰკრეს ქოსსა და ნალარასა და დრგიალი. ცაათმდის გაიწეოდა. ასეთი მტვერი მოვიდა, რომე ლაშქარი ერთმანერთსა ვერას ხელვიდეს. ზრიალისაგან კაცი გამტერდებოდა, შეიქნა ხრმალთა ელვარება, მძიმითა ლახტითა ცემა და, სითაცა უთრუთ ფალაენმან მიმართის, როგორცა ლომი კანჯრისა ჯოგსა ფრეწდეს და ხე[ვ]დეს, აგრე დეუებსა ხლეჩნიდა. ბარკალა, მხარსა ამოაძრობდინ და თავსა მოსწყვედდის და მეორესა შესტყორცის. და მრავალი თავადი უპატიოდ მიწახედა დაცივედა, საწუთროს გამოესალმა. ათი ათასი დეუი მოკლეს. დაიღალნეს, სიღამემან გაყარნა. იქით ისინი უკუდგეს, აქეთ ესენი იყუნეს. ამ წესითა აღარას ერჩოდეს ერთმანერთსა.

აგრე, აქადალმენ წასული ქაჯიჯინი დეუი ფალანგი დეუის გვერდის მივიდა, ყაფის მთაშიგან, და მოახსენა ყოველი ყოფილი და ნახული. აგრე ფალაგი დეუმან ჰკითხა, თუ: რატომ გამოგიშვესო. მან ასრე მოახსენა, თუ: თავი ვიყიდე და მისთვის გამომიშვეს, ასი ათასი ცხენი მივეც. და ცხენებისა მიცემა ფალაგის ერთობ ეწყინა და გაუწყრა. მერმე ასრე უთხრა, ვითა: არ მიმეცა, თავსა ტანისაგან იგამაშორებდა!

რა ესე საუბარი გაიგონა, გაგზავნა ყოველგნით წიგნი და დეუები იხმო, რაცა სადა დეუები იყო. და ერთი დეუი არჩანგის დეუსა გაუგზავნა, ერთი—ხაფი დეუსა. და რა ფალაგი დეუსა ამბავი მოუვიდა, ფიცხლა წამოვიდეს, ფალაგი დეუს წინაშე მოვიდეს. რა ესენი მოსულნი ნახნა, ჰკრეს ნალარასა და ფალაგი დეუის ტახტი გარეთ გამოიღეს, და შეიყარა ასი ათასი დეუი და წამოვიდეს. აგრე თაიმურაზს წინაშე დაშუშნი მოვიდეს, მოახსენეს, ვითა: წამოვიდა ფალანგი დეუი ყაფის მთიდალმა და ფოლადს გვერდის მოვა, საშველად ასი ათასი დეუი ახლავსო.

რა ესე დამუშისაგან გაიგონეს, თამურაზ უთრუთ ფალაენი და სხვანი

თვალნი ახმობინა და ვაზირობა შექნეს. უთრუთ ასრე მოახსენა, ვითა: ჩვენცა გავგზავნოთ კაცი, აწე თქუენი ჯიმშედ მოწიფული იქნების, და ჩემი შვილი გარაშიჰსპი და გოსტამის შვილი აშქამ, ესენი და ლაშქარნი ვიხმოთ, და რაღა ღმერთმან გამოარჩიოს.

დაჰპირეს ესე პირი, და წიგნი დაწერეს და გაგზავნეს. იარა და მივიდა ჯიმშედს წინაშე, სალამი მოახსენა, წიგნი მიართვა. წიგნი წაიკითხა და მწიგნობარი იხმო, და უთრუთის შვილს გარაშქასის და გოსტამის შვილსა აშქამს წიგნი მიუწერა და მის გვერდის იხმო: და სხვანი ყოვლგნით ლაშქართათვის სახმობელი წიგნი და კაცი გაგზავნა ამელის, საჩის, გილანს, სტარვას და მოვიდა ყოვლგნით ლაშქარი, და მოვიდეს გარაშქასს, აშქამ. შეუიღეს, სალამი მოახსენეს ჯიმშედს. და ადგა, მადლი გარდინადა. დასხდომა უბრძანა. დასხდეს. ზერმე მოახსენა, ვითა: ხელმწიფესა ლაშქარს უხმვიართ, რასა ბრძანებთ? მათ მოახსენეს, თუ: ლომისა ლეკუი ნადირობაშიგან უნდა, აწ ჩვენი ხელი ომი და ფალავნობა არის, მიწანი და მოსამსახურენი ვართ თქუენი, განალამცა წავიდეთ და ფიცხლა ვიართო! შეიყარენ ორმოცდაათი ათასი კაცი. ჰკრეს ნალარასა და სპილენძ-ქურსა და გამოემართნეს. წამოვიდეს და იარეს. ამათ მოსკლამდის ომი შეიქნა.

რა გათენდა და მზემან თავი ამოყო და საწუთროსა მან წითელი პერანგი ჩააცვა. ჰკრეს ორგნითვე გურგსა და ნალარასა, აგრე ფალავანი უთრუთ მოვლანშიგან მოვიდა და საომარსა ადგილსა დადგა. რა ესე რადი დეუმან შეიგნა, პირი მოვლანისაკენ ქნა და, მისი მძიმე ლახტი ხელთა ჰქონდა, როგორაცა მოვიდა. დაუზახნა, თუ: ჩემი ძმა ბარყი მოკალ, აწე ისი დღე შენზედა მოსულა და ჩემის ძმის სისხლსა არ შეგარჩენ! რა ესე საუბარი გაიგონა ფალავანმან, ასრე დაუზახნა, ვითა: მეომარი რა სახელსა იქს, მაშინღა იყუეხის, აწე შენ რასა ეშურები, წინა წამოდევ და გიამბობ, თუ როგორ უნდა მეომრობა!

რა დეუმან ესე გაიგონა, ხელთა დიდის დოლაბის ოდენი ლოდი ჰქონდა და შესტყორცა. უთრუთ მიხლტა და დაიკლუნვა. მერმე გახლტა ლომივითა, შეუვარდა ქუეშე, ორნივე ფერხნი დაუჭირნა, აიყვანა თავის სწორად, მოიქნივა, დასცა და მოკლა, ვითამცა მის დღესა შინა სული არა სდგომოდა. რა რადის სიკუდილი შეიგნა ბარყიჯინ დეუმან, შეჯდა პილოზედა და წამოვიდა მოვლანისაკენ, და მოვიდა საომარსა ადგილსა. რა უთრუთ ფალავანმან დაინახა, დამბადებლის სახელი ახსენა და პირი მიწას გააერთა და აგრე შემოუზახნა. დეუმან აგინა, ასრე უთხრა, ვითა: ავის ეტლისაო, შენ რომე სახელოვანი დეუი დახოცენ, მათსა ერთსა ბეწვისა მოგლეჯასაცა არა ღირს იყავ! აწე საღ წახელა! აქეთ უთრუთ ფალავანმან შეუზახნა და ასრე უთხრა: იმათსას ნუ შეიჭირებებ, იმათაცა შენცა აღრე მიგწეე უკანა!

აქა პილოთა ომი ბარყიჯინი დეუისაგან და უთრუთისა

მოიქნივა დეუმან მძიმე ლახტი, უთრუთს თაეცა დაჰკრა!... დამბადებელი-სა სახელი ახსენა და პირი მიწასა გააერთა, და ხელმწიფემან ჯიმშედ ქუდი მოიკადა, დალოცა, თუ: მზისა და მთვარისა, ცისა და მარსკულაეისა დამბადე-

¹ აქედან ესარგებლობთ H—921 ხელნაწერთ (ფ. 23'), S—1594 ხელნაწერს აკლია.

ბელი მბრუნავი ეტლიმცა არის შენი წინამძღვარი ფალავანო, ფალავანთა თავო, პილოტანო, ახოვანო, ჩავარ-სრულო, შენითამცა იხარებს ტახტი და გვირგვინი დევთა შემეკრელო! რა ესე მოისმინა, კელმწიფემან დალოცა, გარასჰჰა ფალავანმან მისი მძიმე დაგანა შვარსა შეიღვა, საგდებელი კელთა დაიჭირა და პირი მოედნისაკენ ქნა, და საომარსა ადგილსა მოვიდა.

რა ქაჭვავჩინ დევმან დაინახა, გაუკვირდა სიმაღლე მისი. ასრე ეგონა მამისაგან უარესი არისო. აღარა ღონე ჰქონდა შებმის მეტი. შეუზახნა და მოუხნდა, მოიქნინა მისი მძიმე ლახტი, დაჰკრა გარაშჰჰას, ასრე არას შეიღვა, ვითამც არა სცემოდა რა. მერმე შეუზახნა გარასჰ ფალავანმან, ვითა: მე გასწავლო გულოვანთა ფალავანთა მამათა ომი, და ამასვე წამსა საწუთრო, შენი შევამოკლო, შავი მიწა წითლისა ვარდისა ფერად შევღებო! გაფიცლან ლომივითა, შეუზახნა, სტაცა ერთი კელი რქასა, მერე ღლიას ამოსდვა, აიყვანა თავის სწორად, მოიქნინა და დაახეთქა, და ამოიღო აღმასფერი ხანჯარი და თავი მოკუთა, ქაჭვავჩინ სოფელსა გამაძაალმა.

რა ესე ნახეს, დევებმა დასცეს ზარსა, ჰკრეს ნალარასა და გაახშირეს კნა, დაიწვადეს კრმალები და აიღეს მძიმე გურძები, წამოასხნეს პილონი და წამოიღინეს. მოედნისაკენ ეტეხლივით მოეგზნებოდეს, მოიგინებოდეს და პირსა დორბლი მოსცივოდა. მათი მტვერი ცათამდის გაიწეოდა. მტუერისა სიბნელემან საწუთროსა მამუენებელი იავუნდი ასრე დამალა, რომე სოფელი შავსა ზანგსა დაემსგავსა, ღრუბელს მიწაზედ დასცემდეს და ერთმანერთსა აურევდეს. ასეთი ქარი მოვიდა და ნისლი, წვიმა მოვიდა, რომე აღარა შეიგნებოდა რა. ზარისა და ზახილისაგან ცა და ქვეყანა იძროდა და თრთოდა, ჭაბანთა ფული გასკდებოდა, ჰაერთა მფრინველი სცივოდა.

რა ესეთი გაფიცება ნახა ჯიმშედ კელმწიფემან დევთა, საკელმწიფო ქული და გვირგვინი მოიკადა, ატრდა, პირი მიწასა გააერთა, თავი და ლაშქარნი საწუთროსა დამბადებელსა და მბრუნავსა ეტლსა შევედრა, აგრე გაახშირეს ნალარისა კნა, ჰკრეს გურგსა, ქოსსა სპილენძ-ქურსა, ღუმბულსა, მერმე მოვლიჩეს ჯიმშედის ტახტი, ორმოცი კაცი შეუსხდა ქვეშე და მოიღეს, მოედნის შუაგულობასა დადგეს. და ფალავანთა თავი გარაშჰჰასა საომარსა ადგილსა იდგა, მისი მძიმე, ორი ათასისა ლიტრისა დაგანა კელთა ჰქონდა და საომრად გაფიცებულნი იყო, როგორაც ლომი კანჯრის ჯოგსა ზედა. მკლავნი უკუ ეკეცნა, ჰანგნი გაემახუნა, იქით-აქით იარებოდა, ბრღლივნივინა, პირთა პერულთა ყრიდა. და გაშმაგებულს პილოს ჰგუანდა, კისრისა ძარღვი ამოესევა და თვალნი წამოხსდომოდეს. ამას ჰგევანდა, თუ ათასსა დევს ერთკელას ჩანთქამს. ამაზედა მოვიდა წინათ დარჩეული ჭირასუნი დევები და შემოუზახნეს, მოუხდეს. მოიქნინა მისი მძიმე დაგანა გარასჰჰა ფალავანმან და ორმოცი დევი მოკლა.

მერმე დაუშინეს ერთმანერთსა მძიმე გურძითა, კრმლითა, ლახტითა. შეიქნა კრმალთა ელვარება, ჰეკა და ტკრციალი. ამას ჰგუანდა, ზეცისაღმან მეხი ცვივისო. საითაც გარასჰჰ ფალავანი იყვის, ნამუსრი შეადინის, ზოგსა მქარი მოვლიჩის, ზოგსა თავი მოსწყვიტის და სხუასა შესტყორცის, ზოგსა ბარაკლი ამოაძურის და მითი იცემებოდის. და ყოველი ადგილი აივსო მძორითა დაქოცილისა დევითა და კაცითა. მიწა შავსა კუპრსა დაემსგავსა. გაიქცინა და კიდევ დაბრუნდიან და შემოუტევიან. საშსა დღესა და ღამესა განუწყუეტლად¹ ომი

¹ აქამდე S-1594 ხელნაწერს აკლია.

იყო, მკუდრისა ქარისაგან გზანი შეიკრნეს, ასეთი სისხლი ასდინდა, რომე კაცისა თავი და ფერკი მოჰქონდა და ტალახისაგან აღარა ივლებოდა რა. და ორმოცდაათი ათასი დევი მოკლეს და მრავალთა თავადთა თავი უპატროდ მიწათა თანა გასწორდა. და მესამესა დამესა, შუალამის ქაშსა გარაშქს ფალავანი და ფოლად დევი ერთად შეიყარნენ და შეიკედნეს, დიდხანს ირკინეს, და დიდი მსხვილი ოქროს გრგოლი ეცვა კელსა ფოლადა დევსა, როგორაც გარაშქსა ფალავანმან დინახა, წაპყო კელი, ჩასტაცა და აზიდნა და დასცა, თავსა ქამარ-ზინჯი გარდაცვა, მაგრად შეკრა და თრევითა ჩიმუდ კელმწიფესა წინაშე მოიყვანა. რა ჩიმუდ კელმწიფემან ფოლად დევი ნახა, ასრე ბრძანა, ვითა: ესე არის, რომე თემსა და ქუეყანასა მოგუერჩის. ქალადი უქმო და უბრძანა, ვითა: [თავი] ტანისაგან გააშორეო. თუ არა მოვეკლავთ, ასას დამე დევნი მოველენ, გრძნებითა მოიპარვენო და კიდევე საჭიროდ გაგვიკდების საქმე, აგრე წაიყვანე! ქალადმან წაიყვანა, თავი მოკუეთა. კელმწიფე და ფალავნები ნადიმად დასდეს.

მერმე ფოლადევეან დევის სიკუდილი უამბეს ფალანგი დევსა. რა სიკუდილი შეიგნა, თავსა მოიკადა, საყელონი გარდინივნა და გლოვა დაიდვა.

რა გათენდა, მახარობელი მოვიდა, ვითა: ჭინიბიჯან მოვა და ჭუნეთი-შა ახლავს. როგორათაც ენე სუბხარი და ამბავი მოუვიდა, ნალარა აკვრევიანა და წინა მისაგებავად წავიდა. და როგორაცა მივიდა, ერთმანერტის სალამი მოახსენეს და ფოლად დევისა სიკუდილი და სხვათა დევთა ამოწყუეტა უამბეს. ტირილი დაიწყო და საყელონი გარდინივნა, ადგა, სადგომისაკენ წამოვიდეს. ვაზირობა შექნეს, ვითა: შეეებევენთ! ჭინიბიჯან მოახსენა ფალანგი დევსა: ვისთვისცა ვირჩებოდით, ისი აღარა ცოცხალა. მოკლეს და მრავალი ფალავანი დევი მოგვიკლეს, საწუთრო და თემი ღმერთსა მათთვის მიუტევიან, დავანებოთ. გუეუოფის, რომე აქამდის სისხლი დაღვრილა ფოლადის თავზედა. შვილი აღარა დამრჩა და ვისთვის ვებრძოდით. შენი მამული ყათის მთა არის. იქ წადი, მას არ მოგერჩის და მე ბნელეთის თემი მაქვს და იქ წავალ, მათი ომი არ შეგვიძლია, ჩვენცა დაგვკოცენ. ნახეთ, თუ რაზომი მეომარი დევები მოკლეს. რა ესე საუბარი გაიგონა, ფალანგი დევმან ასრე მოახსენა ჭინიბიჯანს, ვითა: ნეტამცა შემეწყობოდესო და მე იგი მიჩრევიან! მერმე ჭინიბიჯან მოახსენა: მე შეგაწყობ, ჭუნეთი-შაჰა გაეავზავნოთ ელჩად ჩიმუდ კელმწიფეს წინაშე! დავედრეს ნავაზირები ყველაი. მივიდეს ელჩნი, ჩიმუდ კელმწიფესა მოახსენეს: ელჩნი გამოუგზავნიან ფალანგი დევსა და ჭინიბიჯანს, ჭუნეთი-შაჰა არის.

მერმე კელმწიფემან ჩიმუდ ოთალი დაადგმევინა. მის მეტად ოთალი არავის მოეგონა, და ოთალშიგან კშირად მომარგალიტულსა ტახტი დადგეს და კელმწიფე ჩიმუდ მაზედა დაქდა, საკელმწიფო ტანისამოსი ჩაიკცა, საყურნი ვაიყარნა, მძიმე ქული თავსა ზედა დაირქუა, მაზედა გვირგვინი დაიდგა, აგრე თავადები იკმო: გვარჯასპ, ფალავანდთა თავადი, და გოსტამის შვილი აშაქ შემოვიდესო! ოქროსა სელნი დაუდგეს და მაზედა დასდეს. სხვა თავადები, როგორცა წესად მართებდა, აგრე დასდეს. აგრე ჭუნეთი-შა ელჩი შემოიყვანეს ხელმწიფეს წინაშე, პირი მიწასა დასდეს და სალამი მოახსენა. კელმწიფე ზე აღდგა და მადლი გარდიკადა. მერმე დავედრებულნი ყუელაი მოახსენა, ვითა: ფალანგი დევმან და ჭინიბიჯან გამომაგზავნეს თქვენს წინაშე და ესე პირი შემოგითვალეს, თუ: გუეუოფის, რომე ჩვენ შუა სისხლი დაღვრილა, აქამდის ფოლად დევი ცოცხალი იყო და თემსა და ქუეყანასა ისი გეცილებოდა და მისთ-

ვის გებრძოდით. აწ ის მოკალით და ღმერთმან სრულიად საწუთრო თქვენ მოკ-
ცათ, მკილე აღარავინ არის. ჩვენი მამული ყაფის მთა არის და იქ წავალთ.

რა კელმწიფემან ესე მოციქულობა გაიგონა თავადებთა მოახსენა, თუ:
მალი შეგვიკუთნონ და შევიწყუნეთ! რა თავადებმა კელმწიფისა ჩიმშედისაგან
ესე გაიგონეს, ერთობილთა დალოცეს და ასრე მოახსენეს, ვითა: თქვენგან
უკეთ ჩვენ ველარა გამოვარჩევთ და, რითაცა სკობდეს, ამა წესითა შევეწყუნეთ!
დაამტყიცეს შესაწყუო პირი, შესთვალეს შეკუთილი: წელიწადშიგან ასსა პი-
ლოსა კიდებულსა ოქროსა გამომიგზავნიდით გაურჩელად და შეგეწყობი და,
თუ ამას არა იქთ, მოგიტლები და ყაფის მთასა წაგართვამ და ამოგწყუებტ! რა
ესე საუბარი დაათავეს, აგრე ყველაი ჭუნეთი-შაჰს ესე დავედრეს, ელჩნი წა-
ატანეს და წავიდეს. როგორაცა მივიდეს და შესხნეს, ელჩნი შევიდეს და სალა-
მი მოახსენეს, ჭირბიჯანს და ფალანგი დევსა მაშინა დავედრებული ყველაი
მოახსენა, რა გაიგონეს, მათცა იპირნეს და შეიწყუნეს. მერმე ჭინბიჯან დევ-
მან ფალანგი დევსა მოახსენა, ვითა: ვაწყიოთ, ერთმანერთი ენახოთ და აგრე
შევიწყუნეთ! დააპირეს ესე რჩევა და ელჩი ტანსა შემოსეს და მაწვევარი დევი
წატანეს თანა, როგორაც მოვიდეს, ელჩნი შევიდეს კელმწიფეს წინაშე მაწვე-
ვარი შეიყვანეს; კელმწიფესა სალაში ჰკადრა. და მერმე კელმწიფე და ერთო-
ბილი თავადნი აწვიენა. ჭიმშედ კელმწიფემანც იპირინა და დამორჩილდეს
წევანსა. აგრე ფიცხლად წამოვიდა მაწვევარი და მოვიდა, ჭინბიჯანს და ფა-
ლანგი დევსა მოახსენეს გუერდის, თუ: დაგეწვივნეს და, რასაც დაემზადებით,
პატრონნი ხართ!

მერმე გაგზავნეს და მოაღებინეს პილოგბითა საქურქლე და კარეები, უცხო
ფერი ქამბა, ნახლი და სტაერა ერივა. ყულასა მოუდგნეს ოთაღნი, გარე შემო-
აღლეს და მას გარეშემო შორს მრავალკეცი სარა-ფარდანი შოაღლეს და შუაგუ-
ლობის ტახტი დადგეს, და თვალისა და მარგალიტისაგან აღარა შეიგებოდა რა,
ასრე ესხა და ნათობდა, როგორაცა ხშირად მარსკელავი ესხას და ასეთი სიფ-
ართე ჰქონდა ტახტისა თავსა, რომე ოთხაი კაცი ზედა ნაღიმად დასხდებოდა;
და მისი სიმაღლე ოცი ნაბიჯი კიბე გავიდოდა. დაჰფინეს ქუეშაფენი, ნატანი
კერულნი ხალასითა და ხშირად მოთვალმარგალიტული. და მას გარეშემო მრავ-
ალი ქუეხაფენი მოჰფინეს და მოიღეს ცხრა ათასი ოქროს დიდროვანი ბარქა-
ში, ცხრა ათასი ოქროს ჯამი, ცხრა ათასი ვერცხლისა, ცხრა ათასი ჩინური, ცხრა
ათასი ქაშანური, ცხრა ათასი კოკა ოქროსა, ცხრა ათასი ბროლის ქურქელი
მოთვალმარგალიტული, სხუა ვერცხლისა ჯამისა და ქიქათაგან აღარა შეიგებო-
და რა, გორად იდგის, ასეთი დამზადებული დახუდეს. და მოვიდეს. ჰკრეს სალ-
ხინოსა ნაღარასა, ქოსისა, დულსა და სპილენძ-ქურსა. მოვიდეს რაზმ-რაზმად.
აქეთ ესენი მიეგებნეს.

აქა ჯიმშედ კელმწიფისა და დევთა ნახვა

ჭინბიჯანი დევი და ფალანგი დევი, და ჭუნეთი-შა დევი, ტახტები დაედგა
პილოზედა და მას ზედა ისხდეს. კელმწიფე ჭიმშედ მოყვანდა ტახტითა და ფა-
ლანგითა თავი გურჯასა და აშაქ მოუძღვებოდეს. და როგორაც მოეწურნეს,
გარდმოხდეს ტახტიდაღმან და ერთმანერთსა სალაში მოახსენეს. მერმე წამოვი-
დეს და მოიყვანეს ჭიმშედ კელმწიფე, და გაიყვანეს მალლა ტახტზედა, დასვეს.
და ჭინბიჯან დევი და ფალანგი დევი, ჭუნეთი-შა და ფალანგი გურჯასა, და

აშაქ და სხვანი ოთხასნი თავადნი ტახტზედა გააბდეს. და დასხდეს. მერმე მოი-
ლეს ოქროს სუფრა, შექნეს ნაღიმობა. სამსა ღღესა და ღამესა წართეს. მერმე
ორმოცდაათი კიდებული ჭინიბიჭან მოახსენა და მოართვა, ორმოცდაათი კიდე-
ბული ოქრო — ფალანგი ღვემან. აგრე, რაცა კარეები ეღვა, ანუ, რაცა საჭურ-
ველი ოთალი სარა-ფარდანი ერთობილი უჟალაი მისცა.

აგრე ერთმანერთს გამოესალმნეს და წამოვიდა ჭიმშედ კელმწიფე, და
მდიდრად, გამარჯვებით წამოვიდეს და სარი ქალაქსა მოვიდეს. როგორაცა
მოქალაქეთა ესმა, თემშიგან კმა გაისმა, ვითა: კელმწიფე მოვიდა გამარჯვებუ-
ლიო, შეიყარა უჟალაი, მოვიდეს, ნახეს და დალოცეს. მერმე თამურისთვის და
ფათრათისთვის გლოვა დაიდგეს. მრავალი ზროხა და ცხვარი დახოცეს და ორ-
მოცსა მღღელსა გაუყვეს და სულის საქმე ქნეს. რა ორმოცი ღღე გათავდა,
გლოვისაგან გამოვიდეს და უხშნა თავადნი, დიდებულნი, ფალანგნი და უჟელა-
ზედ საქონელი გასცა: ოქრო თვალი, მარგალიტი, ვერცხლი, სტაერა, ნახლი და
ქამბა, მერმე, რაცა სრულად ლაშქართაგან მიეცა იზღომი ერთი მარტოსა ფა-
ლანგის შვილსა ფალანგს გურჯასს მისცა და ცოტა უმცროსსა გოსტამის
შვილსა აშაქს მისცა.

მერმე გაუყო ფალანგსა გურჯასპის ზაულისტანი, ქუაბულისტანი, ქიშმი-
რად, ყანდაარი. ესე უჟალაი მისცა ინდოეთის კარამდის. მერმე გუასტამის
შვილსა მისცა ხუარასანი აშაქს, მურადს ფალანგსა მისრეთი, ალაბი, სრულიად
შამის ქვეყანა მისცა. მერმე შემოვიდეს ერთობილი, კელმწიფე დალოცეს და
მადლი გარდიქადეს, აგრე დაეთხოვნეს და თავეთსა მამულშიგან წავიდეს. აქა
დათავდა ღვეთა ამბავი და მათი ბრძოლა.

აქა ახალი დასაწყისი. ესე ნოეს შვილი ქაიორამ იყო, რომე
ესენი ჩამოდიან და სემის ნათესავი ესენი იყუნეს, სსუისა
თემისა სად მგლისა თავი, მეორისა ჰამნი მგლისთავი, მესამესა
მილად მგლისთავი და ესე მგლისთავნი სსუისა თემისა იყუნეს
და სემის ნათესავნი იყუნეს

...და რა ესმა, ესე გაიგონეს, თუ: ჭიმშედს ღვენი ამოუწყუეტიან და
მრავალი საქონელი წაურთმევიო, თემისა და ქვეყანისა პატრონობასა იჭირავს.
რა ესე გაიგონეს, და გაგულისდეს და მოციქულნი გამოუგზავნეს და ესე შემო-
უთვალეს: თემსა და ქვეყანასა იჭირავ და ღვენი დაგიოციარ, მრავალი საქონელი
წაგირთმევიან, აწე ჩვენცა ნოეს შვილნი და ნათესავნი ვართ. როგორაცა შენ
გმართებს თემისა პატრონობა, აგრე ჩვენ გუმართებს. აწე, რადგან უჩუქოდ
დაიწყე პატრონობა, ვიცით, მოსისხლობისა კრმალი შემოგვირტყამს და ჩვენცა
შემოვირტყამთ, და კრმლითა გარდავიწყვიტოთ ჩვენი საქმე! ესე შემოსოვა-
ლეს და გამოგზავნეს მოციქულნი: იარეს და მოვიდეს სარის ქალაქად ჭიმშედ
კელმწიფესა წინაშე.

რა ჭიმშედ მოციქულთა მოსვლა შეიგნა, ფარდაგითა და ქუეშაფენითა
დარბაზნი მოაკაზმინა. მძიმე ტახტი დაუდგეს, ხშირად მოთვალმარგალიტული.
და კელმწიფემან საქელმწიფო ტანისამოსი ჩაიცვა, მძიმე ქული თავსა დაიხურა,
ტახტზედა დაჯდა და გვირგვინი თავსა დაირქუა, თავადები იკმო. შემოვიდეს და
აღყად გარშემო დასხდეს. აგრე სადი მგლისა კელმწიფისა ელჩნი შემოასხნეს,
და კელმწიფესა პირი მიწასა დადებით სალაში მოახსენეს, და ხელმწიფემან

მადლი უბრძანა. დასხდეს და ერთი ზე აღდგეს, დავედრებული მოახსენეს, ვითა: სადი გურგუჲ ქელმწიფე მოგახსენებს, თუ: ჩვენცა ნოეს შეიღნი ვართ და თქვენცა. აწე თეშა და ქვეყანასა ასრე იჭირაო, რომე ჩვენ არად გუახსენებ. იცოდი, რომე მესისხლობისა კრმალი შემოვირტყამსა და ჩვენცა შემოვირტყამთო, და ჩვენს საქმესა ნურას ვაგრძელებთ, კრმლითა გარდასწყედს!

რა ესე საუბარი გაიგონა ჯიმშედ ქელმწიფემან, გაგულისდა და საქელმწიფო ქული მოიქადა, ალაგზედა დააბეთქა და წიგნი შუა გახია, მოციქულნი დათხოვნა და ესე შესთვალა, ვითა: მამამან ჩემმან მოგცა მგლისთავთა ქვეყანა და მან დაგასახლა, თუარამ ვინ გაღირსებდა! აწე, რადგან ვითხოვნია მუქარა, და მართალი არის, მე აღარას ვიყოვნი, სადაცა გეპრიანების, იქ მოვართვამ. ჩემსა თავსა, ან დაეაგდებ, და ან შენსა მე წამოვიღებ! ამაზედა დათხოვნელნი მოციქულნი წავიდეს, და მივიდეს სადი მგლისა თავშიგან და მოახსენეს, რაცა მოგნახა ყველაი, სადი მგლისთავსა კელმწიფესა. მერმე უხმო ყუელგნით ლაშქარი და შეიყარა ორასი ათასი კაცი და წამოვიდა.

აგრე ქელმწიფემან გაგზავნა ყოვლგნით წიგნი და კაცი, იხმო ლაშქარი. და ერთი წიგნი გურჯასის ფალავანსა გაუგზავნა ზაულისტანსა, ერთი წიგნი გოსტამის შვილსა აშაქს გაუგზავნა ხეარასანს. ერთი წიგნი მურადავს გაუგზავნა მისრეთს და შამს. როგორცა მოუვიდა ამბავი გურჯასს ფალავანსა, აგრე წაიკითხა წიგნი, პირსა დაიდვა, ქელმწიფე დალოცა. აგრე ყოვლგნით კაცი გაგზავნა ლაშქრისათვის. შეიყარა ოცი ათასი კაცი, გაგზავნა ზაულისტანით და ქუბულისტანით და ინდოეთის კარელით, და წამოვიდა. აგრე აშაქ წამოვიდა ბჷარასანით მძიმითა ლაშქრითა, იქით მურადავ წამოვიდა მრავლითა ლაშქრითა. იარეს, სარას ქალაქსა მოვიდეს. და კელმწიფეს გაეხარნეს ლაშქართა მოსვლა და ქალაქსა გარშემო კარეები დაიდგეს.

მერმე ქელმწიფემან გურჯასს ფალავანი და სხვანი თავადნი უხმნა, და ნაღმი დაიდვა. მერმე შევიდნეს, ქელმწიფესა სალამი მოახსენეს და პირი მიწასა გააერთეს. ქელმწიფე ზე აღგა და მადლი გარდაიქადა. ოქროსა სელნი დაუდგეს, გარასს ფალავანი, ფალავანი მასზედა დასკეს და სხვანნი ფალავანნი, როგორცა ვის წესად მართებდა, აგრე დასხდეს. მერმე ხილი და შარბათი მოიღეს. რა მისგან მოიცალეს, ერთობლითა მოახსენეს, ვითა: სადი მგლის თავსა ჩვენზედა მესისხლობისა კრმალი შემოვირტყამს, აწე როგორ გეპრიანების, რასა ბრძანებთ? ერთობლითა თავადებმან ასრე პირი მიწასა გაასწორეს, და ფალავანთა უხუცესი გურჯასს ზე აღგა და ასრე მოახსენა, ვითა: ცისა, მიწისა დამბადებელი, მზისა და მთუარისა, მასკულავისა, საწუთროსა დამბადებელი და ბედი შენი შემეწიოს, და მტერნი შენნი ფერკთა ქუეშე მოვაქციო და მალალი ეტლი მათ ზედა ვატრო! თქვენ ნუ გაირჩებთ, ქელმწიფე ტახტისა და გვირგვინისა განუშორებელი უნდა! აწე ჩვენ წავიდეთ, რაცა სამსახური გეპრიანებოდნეს, გმსახუროთ! რა ესე საუბარი გაიგონა ჯიმშედ ქელმწიფემან, მადლი გარდაიქადა, თავადნი და ლაშქარნი დალოცნა, ვითა: საწუთროსა დამბადებელი და მბრუნავიცა ეტლი არის თქვენი წინამძღუარი!

აღგეს და გაემართნეს სახელსა ზედა ღმრთისასა, ფალავანთა უხუცესი ფალავანი უთრუთის შვილი გურჯასს, სპასარაღნი — გოსტამის შვილი პშაქ და მისრელი მურადავა. წაყვა ას ორმოცდაათი ათასი კაცი თანა. იქიდაღმან მგლისთავთა ქელმწიფე მილად და ჰამან, მგლისთავსანნი ფალავანნი, გუერღსა იახლ-

ნეს და მოვიდოდეს ორასი ათასითა კაცითა. და რა ერთმანერთსა აუჩნდა, იქით
ოსინი დადგეს და აქათ ესენი. დადგეს ოთახნი და დასცნეს კარავნი.

პირველი ომი საადი მგლისთაოსანთა კელმწიფისა და ჯიმშედ კელმწიფისა ლაშქართა და ფალავანთა

რა გათენდა და საწუთროაა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო, და კირ-
ჩხიბისა ჰანგისაგან დაეხსნა გუმბადსა ზედა აძაღლდა და შავსა კუპრსა ზედა
წითელი ვარდი მოჰფინა, ჰკრეს ორსავე რაზმშიგან კმა საომარი ქოსისა, კუნე-
სა სტვირთა სარაზმოთა, გამოაბეს მძივი ნაფირთა, ზროზაკუღთა, ნალარა, ზა-
ბილური, სპილენ-ჰურთა, სინჯთა. აგრე პირველად მოედნის შუაგულობასა გოს-
ტამის შვილი ფალავანი აშაქ მოვიდა, საომარსა ადგილსა დადგა, ქვექვესა დაი-
წყო ქნა და შუხსა თავსა ივლებდა, მუქარასა ითხოვდა. მერმე სადი მგლის-
თათა კელმწიფემან ერთი მეომარი გამოუზახნა. რა მოვიდა მოედანშიგან, შე-
მოუვლეს ერთმანერთსა გარე და შეუტევენა აშაქ. შესცა შუბი და მოკლა. მერმე
სხვა გამოუზახსა და იგიცა მოკლა. და ამა წესითა ოცი კაცი მოკლა. მერმე გაგუ-
ლისდა სადი კელმწიფე. ასე უბრძანა: ფალავნებო, რა დგომისა ეამი არის, ამოს-
წვიტნა აგრე ფალავანი. ჰამან, სადის კელმწიფის ძმა, წამოდგა, პირი მოწასა
გააერთა და მოედნისაკენ წამოვიდა. რა მოედანშიგან მოვიდა, შემოუზახნეს
ერთმანერთსა. მოიქნივა მძიმე ლახტი ჰამან, აშაქსა თავსა დაჰკრა. აშაქ ფარი
თავსა დაიდვა და ფარი თავსა დააღწა. თავი მოარბიდა, დაიკლუნვა. ცხენსა
თავსა უკრა, ცხენი მოუკლა და აშაქ ჩამოაგდო.

მერმე გურჯასს ფალავანმან შეუზახნა, ასეთი რომე ადგილი შეიძრა, და პი-
ლოთა წამოვიდა და გზა დაუქირა. აგრე ჰამან პირი გურჯასისაკენ ქნა და აშაქ
ძლიე პირისაგან დასძვრა და ლაშქართაკენ გამოუქცა. მერმე მოუქცა პილოთა
გურჯასპი და იქითა ჰამან წამოვიდა. და მოუქნივა ჰამან მძიმე ლახტი, თავსა
დაჰკრა გურჯასს. მერმე გურჯასს ფარი თავსა დაიდვა და ფარი დაღწა. თავი
მისი დააცლუნვა, თავსა პილოსა დაჰკრა, პილო გააგორდა, გურჯასს ჩამოაგდო
და პილო მოკლა. რა გურჯასს ფალავანმან თავისა თავი ასე გასული მოინახა,
გაგულისდა და წამოვარდა გაშმაგებული, ლომივითა გაფიცხდა, დიდნი შეუზახ-
ნა, აიღო მისი ორი ათასისა ლიტრისა რკინა-კეტი, მოიქნივა გაგულისებულმან,
დაჰკრა და ისრე დაამსხვრივა კაცი და ცხენი ყუალაი, რომე მის დღეთა შიგან
არაოდეს ყოფილიყო.

რა სადი კელმწიფემან ჰამანისა სიკუდილი მოინახა, აგრე თავსა მოიკადა,
საყელონი გარდხივნა. და სრულად ლაშქართა საყელონი გარდხივნეს და
ერთობ დანადგლიანდეს ჰამანისა სიკუდილისათვის. მერმე ჰკრეს ნალარასა და
განშირდა კმა ბუკთა, კუნესა სტვირთა სარაზმოთა. და წამოვიდა ორასი ათასი
კაცი, დაიწვადეს სამეისიხლო კრმლები და მძიმე ლახტები და შეუტევენს
ერთმანერთსა, და იყო ზახილი და გამოუზახა შეიდასი ლომგული. მფრეწელი
მეომარი. და მოუხდეს გურჯასის, შუაზედა შეიგდეს და სხვაგნით შეიქნა
ცხენთა ძვერება, შუბთა, კრმალთა ელვარება და ქება. სცემდიან, ჩამოყრიდიან,
ბერტყდიან, გარდაყრიდიან და აგრე ერთმანერთსა საწუთროსაგან გამოასალ-
მებდიან.

აგრე ისი შვიდასი კაცი მიუქცა გურჯასს. დაუშინეს ისრითა, კრმლითა,
შუბითა, ლახტითა, ხანჯრითა და შეიქედნეს, დაეხვივნეს. როგორცა მისი მძიმე

რკინა-კეტი შეიმალა, აგრე შესტაცეს კელი და დაუქირეს. რა გაუღონობა შეიგნა ფალავანმან გურჯასპ, აგრე საწუთროსა დამბადებელისა სახელი ახსენა და მუქლთა ზედა იქდა, დიდნი შეუზახნა, აიწივნა და აუღდა. მერმე მიიბერტყა-მიიბერტყა და, რაცა ეკიდა, ზოგი ჩამოცივდა და გასქდა, ზოგმან კელ-ფეკი დაილუნა და, რაცა მორჩა, წავიდეს. აგრე გურჯასპ ფალავანი აქეთ წამოვიდა თავის ლაშქართავენ და გაიყარნეს. და იქით და აქათ ოცი ათასი კაცი მომკულარ იყო. მერმე გურჯასპ ფალავანმან და აშაქ, გოსტამის შვილმან, ასრე ივა-ზირეს: ლაშქარი უქელმწიფოდ არ ვარგა, ჩვენ ორნი ვართ, ვერა ამოუვალა. ასრე, უნდა ერთმან დროშა შევიინახოთ და მეორემან — ნალარა, და მესამემან ასრე უნდა მოედანშიგან საომარი ალაგი შეინახოს და არ დააგდოს. აწ კელმწიფეს წინაშე წიგნი და კაცი გაევაზავნოთ და აქა მოვახსენოთ!

დაპირეს ეს პირი, ესე შესთვალეს კელმწიფეს ჯიმშედს წინაშე. გაგზავნეს კაცი და მოუწერეს წიგნი, ვითა: მიწაობს შენისა პირ-მიწა-გაერთებით და თავ-მოკლით, ძრწოლით შემოქადრებულნი თქვენითა სურვილითა ბადეშიგან დამ-მულნი და თქვენისა სახელოვნისა პილოტანისა, ჯავარ-სრულისა, ტანისა მზე-სებრ ელვარისა, ლაწუ-ვარდისა, პირისა მდომნი და მონატრენი ფალავანი გურ-ჯასპ და აშაქ ვიკადრებთ კელმწიფესა ჯიმშედს წინაშე, ნუმეა ტახტი და გვირ-გვინი უთქვენოდ, — და საწუთროსა დამბადებელი და მბრუნავიშეცა ეტლი არის თქვენი წინამძღვარი, — აქეთ რომ გამოგუგზავნეთ, ასრე გვიბძანეთ, თუ: ერთ-ხელ რომე შეებნეთ, აგრე მე მაყნობეთ! აწე არა დაქირებებისა მაყნობებელი ვართ, მაგრა მონა და მოსამსახურე კელმწიფისა მორჩილნი უნდა იყოს, სრუ-ლად საწუთროსა დამბადებელმან და მბრუნავმან ეტლმან მოიხედნა ჩვენზედა, გაგვიმარჯუა, მრავალი კაცი მოეკალით და ჰამან მგლისთაოსანი სოფელსა გამო-ვასალმეთ.

დაწერეს ესე წიგნი და გაგზავნეს. აგრე, იქით ჯიმშედ კელმწიფე წამო-სულიყო მძიმითა იარაღითა. ოცი ათასი დარჩეული კაცი წინა შემოეყარა. წიგნი მიართვა, წაიკითხა და გამარჯვებისათვის დმერტსა მადლი მისცა. და აგრე წამოვიდეს და მოვიდეს. რა ფალავანთა მოსვლა ცნეს, აგრე ფალავანნი და თავადები კელმწიფესა ჯიმშედს წინა მიეგებნეს, გარდაქდეს, კელმწიფე დალოცეს, პირი მიწასა გააერთეს. მერმე კელმწიფემან მადლი გარდისხადა, გურჯასპს პირსა აკოცა. მერმე დადგეს ოთაღნი, დაუდგეს ტახტი, დაჯდა კელ-მწიფე. და დააცუევიენეს მრავალფერნი კარავნი და შემოავლეს სარა-ფარდანი.

აქა ჯიმშედ კელმწიფისა და სადი მგლისთავთა [ომი]

ჰკრეს ხმა საომარი ქოსსა, კენესა სტეირთა სარაზმთა, გამოაბეს მძივი ნა-ფირთა, ზროხაკულთა, ზაბულური, სპილენ-ქურთა და სინჯთა, და შეიქნა ორსა-ეე რაზმშიგან ზახილი და კივილი. რომე ცათამლი გაიწყოდა. ცა და ქუეყანა იძროდა მათისა ზახილისაგან. მერმე გურჯასპ ფალავანმან კელმწიფესა ჯიმშედს წინაშე პირი მიწასა გააერთა და საწუთროსა დამბადებელი ახსენა. მისი მძიმე ლახტი მქარსა შეიღდა და საომარსა ადგილსა მოვიდა. რა მილად მგლისთავმან ნახა, კელმწიფესა გამოესალმა, მოედანშიგან მოვიდა. რა გურჯასპ ფალავანმან დანახა. შეუზახნეს ერთმანერთსა და შეიბნეს. დილით. ვერემ საღამომდის, ომი იყო. ოცდაათ-ოცდაათი ლახტი ჰკრეს ერთმანერთსა. მერმე გაგულისდა გორჯასპ ფალავანი, დიზახნა მთერალმან პილომან ვითა. დაჰკრა მძიმე ლახტი ცხენისა

თავსა და ცხენი მოუკლა. მერმე შეიკედნეს კელდაკელ, ირკინეს. მერმე ჩაუგლო გურჯას ჭაჭვის სარტყელსა ხელი, აიყვანა, დასცა და საგდებლითა კელსა შეუკრნა, და აგეთი თრევით კელმწიფესა წინაშე მოიყვანა.

რა ესე ნაქმარი ნახა სადი მგლის თავმან, აგრე გააზშირნეს კმა სარაზმო ქოსთა, და სრულად ხუფთანის საყელო გარდაიხვია წყენითა და ქაერითა. წამოვიდეს, შემოუტევეს, შინა ორასი ათასი კაცი იყო. შეიქნა ცემა, კრმლითა, ლახტითა, შუბითა, დაერივნეს ერთმანერთსა და, სითაცა გურჯასი ფალავანი იყვის, ლომი ვითა კაცი ერთმანერთსა შემოაწყვიდის და დახოცდის.

ერთსა დღესა და ღამესა გაუწყვეტლად ომი იყო. მრავალთა თავადთათვი უპატიოდ მიწათა ზედა დაცვივდა. ორმოცდაათი ათასი კაცი მოკლეს. მერმე სადი მგლისთავმან კელმწიფემან და ფალავანი გურჯასი ერთგან შეიყარნეს. დაუშინნეს, ერთმანერთს მრავალ სცეს აგრე ფალავანმან გურჯას გარდააცვა საგდებელი თავსა, დასცა, შეკრა და თრევით კელმწიფესა წინაშე მოიყუანა. მერმე კელმწიფემან ჭალადსა უბრძანა, სადი მგლისთავი და მილად მგლისთავი ორნივე დაქოცე!

აგრე სადი მგლისთავის შვილი ფარემუზ გაიქცა. მიეწივნეს უკანა, დაიჭირეს, კელმწიფეს ჭიმშედს წინაშე მოიყუანნეს. კელმწიფე მოკვლასა ულაშობდა. მერმე თავადებმა ასრე მოახსენა, ვითა: გეყოფის, რომე სისხლი დაგიღვრია. ესეცა შენი მოსამართლე გვარი არის, გაუშვიო, წელიწადში მალი და ხარაჯა შეგიკუეთოს. თქვენ რომე დაიჭიროთ, პატრონად ვის დასვათ? ძნელი თემი არის, მგლისთავი ფიცხლა მოკლავენ. რა ესე საუბარი გაიგონა კელმწიფემან თავადებისაგან, იმართლა და აღარა მოკლა. მაშინდა შეუკუეთეს მალი და ხარაჯა, და გაუშვეს სადი კელმწიფისა შვილი ფარემუზ, და მისცა მისი ლაშქარი ყულაი.

მერმე წამოვიდა ჭიმშედ კელმწიფე და სარი ქალაქსა მოვიდა, და გაუშვა ლაშქარი ყულაი სადაურიც იახლა, გურჯას ფალავანი ზაულისტანს წავიდა. აშაქ, გოსტამის შვილი, ხურასანს წავიდა და მურადავა მისრეთს წავიდა.

აქა ეშმაკისაგან ჯიმშედის მოცთუნება

მერმე მოვიდა ეშმაკი კელმწიფესა ჭიმშედს წინაშე, და შეუდგა მანქანებითა და კაცად ეჩუნეს. ასრე მოახსენა ეშმაკმა, თუ: აგრე დიდი კელმწიფე შეიქნენ, ღმერთი შენ ხარო, აღარავინ არის სხუა ღმერთიო. რა ასეთი საუბარი გაიგონა ჭიმშედ ეშმაკისაგან, დასტურად ეგონა. ღმერთსა ცილობა დაუწყუო. რა ესე მოვლენილად შეიქნა, დაეარდა თემსა და ქვეყანასა კმა, ვითა: ჭიმშედ ღმერთსა ღმერთობას ეცილებისო. აგრე მოისმა ამბავი კელმწიფის შეტომისა და, როგორაცა წარმოემართა, — ვითა: წარვიდე და ესწუართო, — აგრე ავათ ვახდა გურჯას ფალავანი, საწუთროსა გამოესალმა იგი უსწურო ფალავანი. ესე არის წესი ამა მალორებელისა ეამისა, რომე დარბაზსა არავის გაუთავდების.

რა ჭიმშედს ესმა, გორჯასპის სიკედილი, ღია ეწყინა და გლოვა დაიდვა: მერმე ფალავნის გორჯასპის შვილი ქარიმან იხმო და მას წინაშე მიიყვანა და ფალავანად დალოცა, მისი მამული ყულაი მისცა და ზაულისტანსავე წავიდა. და რა ხურასანს ესე ამბავი მივიდა, არცა აშაქ წამოვიდა კელმწიფესა სანახავად და არცა მურადავა წამოვიდა.

მერმე მურადავას ერთი შვილი ედგა, სახელი ზაქე ერქვა, რომელსა ეშმაკისა მანქანებითა მკართა გუელი ამოუვიდა. აგრე მოვიდა ეშმაკი და ზაქის ამხანაგად შეეწყნარა და ასრე უვაზირა, ვითა: კარგი ახალი მოწიფული ხარ და, რაცა მე გითხრა, დამიკერე და პატრონობა შენ დაგრჩების. ჭიმშედს შენ რატომ მსახურებ, ღმერთსა ეცილების. პირველად ასრე ხოლემ ქენ, მამა შენი მოკალ და მრავალი საქონელი აქუს და შენცა ბევრი გაქეს. მერმე გავსცეთ ლაშქარზედა, და შევიყაროთ მრავალი ლაშქარი და ჭიმშედს კელმწიფობა წავართვათ. მისი მეშუელი არავინ არის. გორჯასპ მოუკუდა და აშაქ აღარს უშუელის. ადვილად წაუღებთ! რა ასეთი საუბარი გაიგონა ზააქე, ასრე უთხრა ეშმაკსა, ვითა: მამა ვის მოუკლავსო, რომე აწე მე მოკვლა! მერმე ასრე უთხრა, ვითა: შენ ნურას გამომენახვი და მე მოკვლავ.

რა ესე საუბარი გაიგონა ზააქე, მაშინლა დამორჩილდა. და ასრე უთხრა: რაცა გწადდესო, ეგრე ქენო, და დააპირა ეშმაკმან მურადავას სიკუდილი. და მურადავს ერთი ზევი ედგა, თავისთვის სალოცავად, და ყოველსა ლოცვის ჟამსა მივიდის სალოცავად. ბერი კაცი იყო და თავისთვის ილოცევდის. წავიდა ეშმაკი, გზაზედა ორმო ამოთხარა შიგან ლახვარი დაასო და ზედა წახურა. რა ლოცვის ჟამსა მოვიდა მურადავ, სალოცავად წავიდა, როგორ წაიარა, ჩავარდა ორმოშიგან და მოკუდა.

რა ზააქე მამის სიკუდილი შეიგნა, საყელონი გარდხივნა, თავსა გარდიქადა და გლოვა დადვა. რა გლოვისაგან გამოვიდა, ერთობილნი თავადნი და ლაშქარნი იხმო. რა მოვიდეს ერთობილნი თავადნი, შემოვიდეს ზააქეს წინაშე, თავმოსხდით მოუმტკივნეს. ისი დღე იგლოვეს და მეორესა დღესა ვაზირობა შექნეს. ერთობილთა თავადთა და ვაზირთა კითხა ზააქე, ვითა: ჭიმშეთის ღმერთობა დაუქირავს, ისი სხვასა ვის უქნია?! აწე წავიდე მძიმითა ლაშქრითა და მიუქდეთ, თემი და ქვეყანა, ტახტი და გვირგვინი წავართვათ.

რა ესე ვაზირობა დაათავეს, თავადთადაცა დართეს ნება და გამოვიდეს ქალაქსა გარე. და იხმო ყოვლგნით ლაშქარი — ალაბით, შამითა, დიმიშხით და გამოიღეს ბარგი და კარგები. შეიყარა ას ორმოცდაათი ათასი კაცი და წამოვიდა. ესე ამბავი მოუვიდა ჭიმშედს, ვითა: მურადავ მომკუდარა, მისა შვილსა ზააქეს შეუყრიან მრავალი ლაშქარი და შენზედა გამომართულა სამეისისხლოდ. რა ესე ესმა ჭიმშედს კელმწიფესა, ყულგნით კაცი გაგზავნა ლაშქრისათვის, და ჰშაქს გაუგზავნა საკმობარი წიგნი და კაცი. ჰშაქ ავად გამქდარიყო და სხვა ლაშქარი ყოვლგნით შემოეყარა. მერმეთ ქალაქსა გარეთ გამოვიდა და სამძიმარი კარგები, ოთალი, ტახტი და სხუა, რაცა ბარგი იყო, ყულაღი გამოიღეს, და გამოვიდა ჭიმშედ კელმწიფე. აგრე ჰკრეს ქოსსა, ნალარასა და წამოვიდეს და იარეს. მოვიდეს. ზააქე მოვიდა, შეიყარნეს. ისინი იქით დადგეს და ესენი აქეთ.

აქა ჯიმშედისა და ზააქის პირველი ომი

დაპირისპირდეს ერთმანერთსა. რა გათენდა და საწუთრო[სა] მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო, და ვარდისა წყლითა პირი დაიბანა და კირჩხიბისა ქანგისაგან დაეხსნა, და გუმბაღსა ზედა ამაღლდა და შავსა გესლსა მიწასა ზედა წითელი იაგუნდი მოჰვინა, აგრე ჰკრეს კმა საომარი ქოსისა, კუნესა სტივრთა სარაზმითა, თეთრი მძივი გამოაბეს ნაფირთა, ზროხაკუდთა, ნალარა, ზაბილური, სპილენ-ჭურთა და სინჯთა. ჰკრეს რაზმსა და წამოვიდეს ორგნივე და წა-

მოიღეს დროშანი. შეიქნა ქვექვევი. ქეჯიმისა ზარებისა ზრიალი. მოვიდეს წინათ გულოვანნი შუბოსანნი მეომარნი, დაუშინეს ერთმანერთსა. დილით, ვირემ სალამობამდის, ხოცეს, დაქრეს ერთმანერთი, ასრე რომე ამოსწყვიტეს და გააქცივეს ჭიმშედ კელმწიფე. ფალავანი აღარა ყვა რა. წაეწივნეს და დაუშინეს, რისხვა ღმრთიანა უყვეს და დასცეს.¹ ამოსწყუიდეს, წაართვეს ქალაქი, წაუღეს ციხენი.

აგრე გაქცეული ჭიმშედ ინდოეთს მივიდა. მერმე ზაქ დაიჭირა ერანი და თურანი ყუელაი, აღარავინ ეცილებოდა, დაქდა ტახტზედა და გვირგვინი თავსა დაიდგა. და ერთობილთა თავადთა და ლაშქართა დალოცეს ხელმწიფედ. აგრე ორნი ქალნი დარჩეს ჭიმშედს და ორნივე ცოლად დაირთნა ზაქ კელმწიფემან.

რა ჭიმშედ ინდოეთს მივიდა გაქცეული, იქ ინდოეთ ხელმწიფის ქალი შეირთო, ჭოგრატის. აგრე ჭოგრატ გაგზავნა ყოვლგნით ლაშქრისათვის წიგნები და მოვიდა ინდაური მრავალფერად დაკაზმული ლაშქარი, ინდაურად ფერად-ფერადითა ტანისამოსითა და მოახსენეს მრავალი პილონი, და დადგეს ფერად-ფერადი კარავნი. და მოვიდეს თავადნი, ხელმწიფესა ჭოგრატს სალამი მოახსენეს. იმ ღამესა ნადიმად გამოისვენეს.

რა გათენდა, საწუთროსა მაშეენებელმან მზემან თავი ამოყო და საწუთროს დააშვენა, ჰკრეს ასაყრელსა ხმასა და გამოვიდეს ინდონი და ხელმწიფე ჭოგრატ, და გამოიტანეს ინდაური ტახტი და სხვანი მრავალი კარავნი და მოწყობილობანი. დაუდგეს პილოზედა ტახტი, დაქდა მანება და წამოვიდეს მეომრები პილოებიტა ხუთასი ათასითა კაციტა. იარეს. და რა ზაქს ხელმწიფეს წინაშე დაწუშნი მივიდეს, მოახსენეს, ვითა: წამოვიდა ინდოთ ხელმწიფე ჭოგრატ, და ჭიმშედ თანა ახლავს და მოვა შენდა სამტეროდ, რასაცა იქო, პატრონი ხართ! რა ესე ამბავი მოუვიდა, ესეცა შეყრილიყო. შამის ქუეყანასა მოვიდა, დადგა. აგრე ინდოთ ხელმწიფე ჭოგრატ მოვიდა. ერთენით ისინი დადგეს და დაუდგეს ოთადნი, და დადგეს მას გარშემო მრავალნი ფერნი კარავნი, შორს, გარშემო სალათარდანი შემოავლეს, და მერმე შუაზედა მოთვალმარგალიტული ტახტი დადგეს, და ინდოთა ხელმწიფე ჭოგრატ მაშვიან დასვეს. და იდგეს ერთსა ღღესა, და მეორესა — შეიქნა ომი.

აქა ინდოთ ხელმწიფისა ჯოგრატის და მისისა ძმისა მოსვლა,
ბაყრტანის, გაქცეულის ჯიმშედის და ზაქის ომი. ნახე,
თუ ღმრთის წყენით რა პატივი განეშორა

რა გათენდა, საწუთროსა მაშეენებელმან მზემან თავი ამოყო, გუმბადსა ზედა ამაღლდა, ვარდის წყლითა პირი დაიბანა, შავსა ზანგსა ყირმიზი პერანგი ჩააცვა. აგრე ორგნითვე ჰკრეს ხმა საომარი ქოსისა, კენესა სტეირთა სარაზმოთა, გამოაბეს მძივი ნაფირთა, ზროხაკუდთა, ნაღარა, ზაბულური, სპილენძ-ქურთა და სინჯთა. მერმე ჭოგრატის ძმა ბაყრატ ფალავანი კელმწიფე დალოცა და პირი მიწასა გააერკა ვითა: საომარსა ადგილსა მისვალ, მოედანშიგან ჩემი მძიმითა ლახტითა მრავალთა გულოვანთა ფალავანთა ზურგებსა დაეღეწე! რა ესე საუბარი გაიგონა ჭოგრატ, — ინდოთ ხელმწიფემან მისისა ძმისა ბალრატ ფა-

¹ აქედან ესარგებლობთ S-1594 ხელნაწერით (ფ. 57r), რადგან, ჩანს, H-921 ხელნაწერის გად-მწერი სხვა ადგილზე გადამხტარა.

ლავენისა, — ასრე უბრძანა, ვითა: წადი, მბრუნავიმცა ეტლი არის შენი წინამძღვარი, კარგად და ფალავნურად ეცადე! რა ესე საუბარი მოისმინა ბალრატ ხელმწიფისაგან, აგრე მადლი გარდიხადა და ცხენსა შეჭდა, ხელთა შუბნი აიხენა, მოედანშიგან მივიდა, საომარსა ადგილსა დადგა.

რა ზააქ ხელმწიფემან ბალრატ მოედანშიგან ნახა, მასვე წამსა ერთი მეომარი გამოგზავნა მისად საომრად, მოვიდა და ერთმანერთსა შემოუარეს, მერმე შეუტეუნა ბალრატ ფალავანმან, შესცა შუბი, მოკლა. მაშინდა გაგულისდა ზააქ ხელმწიფე, აილო მისი მძიმე ლახტი და ფიცხლა მოედანშიგან მოვიდა. შემოუზახნა და აგინა. მოიქნია მისი მძიმე ლახტი და ბალრატს თავსა დაჰკრა, საწუთროსა გამოასალმა.

რა ჯოგრატ მისისა ძმისა ფალავენისა ბალრატის სიკუდილი მოინახა, ხვაფთანისა საყულო გარდაიხვია, გაგულისდა და ლაშქართა შეუზახნა, წამოვიდა ხუთასი ათასი კაცი და, როგორცა შავი ღრუბელი წვიმი. . . და ნისლი წამოვიდეს, აგრე ჭელთად მოვიდოდეს. მოვიდა მტვერი და ნისლი. ასეთი ხმა, დრგიალი მოვიდა ინდაურთა პილოთა და ფალავანთა ზახილი, რომე ცა და ქუეყანა ყუელი იძროდა, გახშირდა ნაღარათა ხმა, მოვიდეს წინანი მეომარნი პილოთა და დაიწვადეს ხრმლები, შეიქნა ზახილი, კივილი და ჰუი! და ჰაი, რომე ამას ჰკუანდა, თუ ჰაერი და მიწა ყუელი იავისო დევითაო. დაუშინეს ერთმანერთსა შებითა, კრმლითა ლახტითა, ხანჭრითა. დაკოცეს ერთმანერთი და ჩამოყარეს, რომე მრავლისა მკუდრისა დაკოცლის კაცისაგან მიწა შავსა ზანგსა და დემსავსა, მკუდრისა სიმრავლისაგან გზანი შეიკრნეს, სიახლისა ღუარმან ხანდაკი გაცუეთა, რომე კაცი ველარა გავიდოდა, და მკუდარი ცხენი და კაცი მოჰქონდა, მრავალთა თეადთა თევი უჰატიოდ მიწათა თანა გასწორდა, და ორასი ათასი კაცი მოკუდა. ამოსწყდა ლაშქარი. მერმე პილოზედა ჯოგრატს ტახტი ედგა და მაზედა იჯდა. აგეთი ლაშქართა შეაგულ ომსა იდგა.

რა ზააქ კელმწიფემან თვალი მოჰკიდა, მიუხდა, მისი ორი ათასისა ლიტრისა მძიმე ლახტი მოუქნია, დაჰკრა, ჯოგრატ ჩამოადლო, საწუთროსა გამოასალმა. რა ლაშქართა შეიგნეს ჯოგრატ კელმწიფისა სიკუდილი, აგრე გაიქცეს ერთობილნი. გაიქცა ჭიმშედ, წავიდა ინდოეთს, დულა ქალაქსა მივიდა. და სხუა ყუელი კელთა დარჩა: საქონელი, კარები, ოთაღნი. და ესენი უკანა წაუდგეს ჭიმშედს. იარეს და მივიდეს ინდოეთს და დულა ქალაქსა შეაწყუდიეს ჭიმშედ. მერმე გარე მოადგეს, დაუწყეს მოციქულობა მოქალაქეთა, ვითა: მოგუეციო. მოვკლათ ჭიმშედ, თუ არ მოგუეცებო, ამოგწყუეებ, დაგწყუეებ დედაკაცსა და კაცსა ყუელასა და აგეთი წავალ! რა ესე საუბარი გაიგონეს მოქალაქეთა, მაშინდა შეუკრნეს კელნი უკანით ჭიმშედ კელმწიფესა და ზააქსა კელთა შეკრული მისცეს. რა ზააქ ჭიმშედ კელი მოჰკიდა, მაშინდა უკუმოუყარა და მოიყვანეს ზააქს წინაშე კელთა შეკრული. მერმე მოიტანეს ხერხი, დაადგეს თავსა და შუა გახერხეს ჭიმშედ ხელმწიფე.

აქა ჯიმშედის სიკუდილი, შვიდასსა წელიწადს ქნა პატრონობა

რა ამის სიკუდელისაგან მოიცალა ზააქ, მერმე დაბრუნდა და წამოვიდა. თავის ტახტიგან დაჰჯდა. მერმე მოვიდა ეშმაკი, მანქანებითა გამგიშველად შე-

1 აქედან ესარგებლობო H 921 ხელნაწერით (ფ. 34r).

ეწეწარა. აგრე ერთსა დღესა ერბო-კვერცხი შეუქნა და მოართვა. რა ნახა, მოეწონა ზააქს კელმწიფესა საჭამადი და ასრე უთხრა, ვითა: ამის უკეთესი საჭამადი არასოდეს მინახავს, ასრე მინდა, რომე კარგად გარჩინო! მერმე ასრე უთხრა ეშმაქმან, ვითა: შენი წყალობა არა მაკლიან რა; ამის მეტი არა მინდა რა, რომე ორთავე მკრის თავთა მაკოცინენ!

[აქა] ზააქს ეშმაკისა მანქანებითა მქარსა გუელნი ამოუვიდეს

აგრე ამოუყარნა მხარნი, მივიდა, მკრის თავსა აკოცა, მერმე განქარდა ეშმაკი. აგრე ორნივე მკრის თაენი აქავდეს და შოიფხანა. ფხანაშიგან ორთა გუელთა თაენი ამოყვეს, ამოეზარდნეს. ორთავე ყურთა წოენა დოუწყეს. მერმე აქიმი მოიკითხეს. ვერა შეიტყუეს რა. აგრე მოვიდა ისევე ეშმაკი კაცისა სახითა, თაენი მოემისქინდა. ასრე თქვა, ვითა: ჩემს უკეთესი აქიმი არსადა იქნების. მერმე ჰკითხა ზააქ გუელთა ამბავი და ასრე ასწავლა, ვითა: ყოველთა დღეთა ორ-ორსა კაცსა მოკლევდი, თაენისა ტეინსა ამოართმევდი, შაქარსა დააყრიდი და აქმევდი, და აღარასა გაწყენენ!

რა ესე საუბარი გაიგონა ეშმაკისაგან ზააქ კელმწიფემან, აგრე მოახსმევინა ორნი კაცი, დაკოცეს და თაენი ტეინი ამოართვეს, აქამეს და რა დამდეს, სული დაიდეს ყოველთა დღეთა.

გაისმა ამბავი ყოველსა ქვეყანასა. ხუთასსა წელიწადსა ამ ყოფითა იყო: დაურიგებდიან ყოველთა ალაგთა, თემთა და ქალაქთადაღმან მოიყვანდის კაცი, დააქმევდინან: დიდროვანი ვეშაქები შეიქნა.

მერმე იმა ქალაქშიგან ერთი მქედელი იყო, სახელად ქავ ერქვა. მას ორმოცი შვილი ედგა, ოცდათერამეტი წაუსხეს და ვეშაქსა აქამეს და ორნი შერჩეს.

მერმე ზააქ სიზმარი ნახა, ასრე ეზმანა: ერთი სხვილი კაცი მოვიდა, რქიანსა კარსა ზედა იქდა, ხელთა დიდი ლახტი ჰქონდა, იმ კარისა თაენი ოდენი. მოვიდა და ზააქსა თავსა დაჰკრა, და ყიასა სტაცა და ქვედამდის ტყავი ააძრო, ქელნი შეუტრნა, დამოუყანდის მთაშიგან ბნელი საკანი იყო, და იმაშიგან თავდაღმა ჩაკიდა.

რა გაიღვიძა, მოახსმევინა აქიმნი და მერამლენი, და მისნი ორნი ცოლნი, და ესე სიზმარი უამბო. მათ ვერა შეიგნეს რა. მერმე ზირაქ რამლსა ჰკრა და გაახუნა საეტლონი და ესრე მოახსენა, ვითა: ფრილონ დაიბადების, ისი მოვა და მის მძიმესა ლახტსა დაგკრავს. აგრე ქელთა შეგიკრავს, წაგიყვანს დამაყანდისა მთაშიგან ბნელი ორმო არის და მაშიგან თავდაღმა ჩაგკიდებს.

რა ზააქ ზირაქისაგან ესე გაიგონა, ასრე უბრძანა, ვითა: რა მიწყენია, რატომ მომკლავს? მან ასრე მოახსენა, ვითა: მამა მისი რომე მოკალით, ჰაფთონ და ვეშაქსა შეაქამეთ, მისთვის მოკლავს. მერმე ასრე უბრძანა, ვითა: ჯერეთ არა დაბადებულაო? აგრე მოახსენა ზირაქ, ვითა: ან დაბადებული იქნების, ან აწე დაიბადების.

რა ზირაქისაგან ესე საუბარი გაიგონა, მასევე წაჰსა ყოველსა ქვეყანასა ისაულები გაგზავნა, თუ: სადაცა მარტვილი დაიბადოს, თუ ვაჟი იყოს, მოკალით, თუ ქალი იყოს, ნუ მოკლავთ!

ამაზედა წავიდეს, აზღომი ერთი მარტვილი დაკოცეს მალრიფით მაშრიყამდის, რომე ამოსწყვიდეს და გარდაგავეს.

ფრიდონით ორსული მისი ღედა ზააქს გვერდის იყო, მესაკმდე იყო. როდეს მისი მამა მოეკლა, მაშინ მოსულიყო და მას აქეთ იქ იყო, ორსულად ღარჩობილი იყო. რა შობისა უამი მოვიდა, შობა ერთი ქალი და ერთი ვაჟი. მერმე ვაჟი დამალა დედამან და ქალი ზააქს წინაშე გაგზავნა. ზააქს ასრე ეგონა, ამის მეტი არ უშობიაო, ვერა შეიგნა რა. ზააქ ფრიდონის დაბადება ვერა ცნა. მაშინდა ადგა მისი ღედა და ქოილბუზისა მთაშიგან წაიყუანა; და იმა მთაშიგა ცოტა რამე შენობა იყო, იქ გაზარდა დედამან.

რა ათისა წლისა შეიქნა, ნადირობასა სიარული დაიწყო და, სადაცა ლომსა უვალი მოჰკიდის, დაიპიროს და ერთმანერთს თავი უჯაქის და ტვინი მკლავთა გარდისხის. იყო ამ წესითა.

მერმე ზააქის ვეშაპთა მოემშვივა და სხვაენით კაცი ველარ მოესწრნეს. იმავე მკედელსა ქავს წაუსხეს შეილნი. ორმოცი ედგა და ორმოცისაგანა იმ ორის მეტი აღარა შეარჩინა, და ისიცა წაუსხეს ვეშაპისა საკმელად. ერთს ყარან ერქუა და მეორესა ყუბად. რა შეილნი წაგვარნეს ქავს მკედელსა, მერმე უკანა წაუდგა ტირილითა და კელმწიფესა ზააქს წინაშე მივიდა და ასრე მოახსენა, ვითა: ოცდაათვრამეტი ჩემი შეილი შეგიქამია და ორმოცისა შეილისაგან ამა ორთა შეილთა მეტი არა დამრჩომიან. ეგე რა სამართალი არის, რომე მაგათაჲ დამიქამ!

რა ზააქ ესე გაიგონა, შეილნი [მისცნა. ქავ] ადგა და წამოვიდა. მერმე თავადებმა მოახსენა, ვითა: მისთანასა ცუდსა კაცსა რასა გაუგონებთ, რატომ მიუცით?! მერმე ზააქ ასრე უბრძანა, ვითა: ჩემსა და იმას შუათ ცეცხლი და კუამლი ვნახე აგზნებული და მისთვის მივეც.

რა ქალაქისა შუაგულობასა მოვიდა ქავ და შეილნი უკანა მოსდევდეს ყარან და ყუბად, მერმე წინა მოსაბურავი ტყავის რომე არის მკედელთა, რომე უკუ იკრვენ, ისი ეკრა ქავს მკედელსა და შემოიხსნა და შეშისა წვერსა ააბა, ქაიანური ღროშა მისგან გამოვიდა, და კელთა თინდრიგა ჰქონდა, მას უკრა, დაიზახნა, თუ: რასა სხედხართ მოქალაქენო, ზააქს ორნი ვეშაპნი ამოსულიან, ყუელასა იმას დაგაკმევს, იარეთ, ფრიდონს გვერდის წავიდეთ, იალბუზის მთაშიგან არის და იქი მივიდეთ! და წავიდა კიდეცა. რა მოქალაქეთა გაიგონეს, აგრე გაყვა ათასი კაცი, თანა იარეს. ფრიდონს შეეყარნეს. ორმოცდაათი ათასი კაცი შეიქნა.

რა ფრიდონს წინაშე მოვიდეს შამით წამოსული ლაშქარი ქოილბუზისა მთაშიგან, გაუკვირდა, და ფრიდონს სალამი მოახსენა ქავ და ქაიანური ღროშა შესძლუნა, მისგან გამოსული და შექნილი. მერმე ასრე მოახსენა ქავ, ვითა: რათგან ღმერთმან მაგისთანა ახალმოწიფული დაგბადა, რასა სდგახარ, შევიყარნეთ და ზააქს მიუქდეთ და პატრონობა და კელმწიფობა წაეართვათ! თემი და ქვეყანა საწუთროსა დამბადებელსა თქვენთვის მოუცემია, მას რატომ ჰქონდეს? ორნი ვეშაპნი ამოუვიდეს მტარსა და ორ-ორსა კაცსა თავსა მოკუეთენ ყოველთა დღეთა და მის ტვინსა აქმევენ, ამოსწყვიტა თემი და ქვეყანა! ორმოცი შეილი მედგა და ორმოცისაგან ამ ორის მეტი—ყარან და ყუბად არა შემარჩინა. ჩიმ-შედ კელმწიფე მოკლა, მამა შენი აფთია, და შენს მოკლვისაჲ აპირობდა. მერამლემან უამბო, თუ: ფრიდონ გამოვა და შენ მისითა კელთა მოკუდებით. რა მერამლისაგან ესე გაიგონა, აგრე ყოველს ქვეყანასა კაცი გაგზავნა, რაცა ვაჟი შობილიყო, ყულა დააკოცინა და შენ ვეღარა მოგიკიდა კელი. აწე წავიდეთ, ისი მოეკლათ და პატრონობა და კელმწიფობა შენ ქენ!

ესე ფრიდონ ჭიმშედის ძმის შვილის შვილი იყო. ჭიმშედის ძმას ფოლად ერქვა. ფოლადის შვილი აეთი იყო. აეთის შვილი ფრიდონ იყო. რა ესე საუბარი გაიგონა ფრიდონ ქავისაგან, მერმე ასრე უბრძანა, ვითა: როგორ შეეებნეთ, ისი სრულად კმელეთისა პატრონი არის და მე არცა ფალაეანი და არცა ლაშქარი არა მახლავს. ცოტანი კაცნი მოსულხართ, მოქალაქენი: ზოგი მკედელი, ზოგი მესაკამადე, ზოგი ხარაზი, ამითი სადა წავიდე?! მერმე ქვე ასრე მოახსენა, თუ: ერთი წიგნი გურჯასპის შვილსა ქარიმანს მიუწეროთ ზაულისტანსა და ვიკმოთ, ერთი წიგნი ჰმაქს მიუწეროთ ხუარასანს და ესენი ეიხმნეთ, შევიყარნეთ და წავიდეთ, ჩვენთა სისხლთა ნუ შევარჩინეთ ზააქს!

რა ფრიდონ ესე გაიგონა ქავისაგან, მოეწონა და ასრე უბრძანა, ვითა: აგრე ვქნათო. მერმე დაწერეს წიგნი, ერთი ქარიმანს მიუწერეს და ერთი ამაქსა და გაგზავნეს ფიცხლად. აგრე აქედამან ესენი გაემართნეს და წავიდეს.

[აქა] პირველი გამოსულა ფრიდონისაგან და ზააქის ომი

იარეს და გაიძღვენეს ქაიანური დროშა წინა. და იქით მძიმითა ზაულისტანელითა, ქუაბულისტანელითა და ინდოეთის კარელითა ლაშქრითა ქარიმან გურჯასპის შვილი, წამოვიდა და ხუარასანიოთ ამაქ. იარეს და ყარაბაღს. თავრეჯს იქით შეიყარნეს და დადგეს.

აგრე ფალაეანი ქარიმან, ამაქ და სხუანი თავადნი ფრიდონის სანახავად მოვიდეს. აქეთ ფრიდონ მიეგება წინა და ერთობილთა საწუთროსა დამბადებისა სახელი ახსენეს, პირი მიწასა გააერთეს და ფრიდონ კელმწიფედ დალოცეს. მერმე აგეთი გაემართნეს დამბადებლისა სახელზედა და ქაიანური დროშა წინა გამოიძღუანეს.

აგრე ზააქს მოესმინა ესე ამბავი და შეიყარა, ხუთასი ათასი კაცი იყო და ალაბის კარშიგან შეიყარნეს ერთად, და დაუდგეს ერთმანერთსა პირდაპირ. მოიღეს ზააქის მრავალფერნი კარავნი, დაიდგეს აგრე ოთალნი და სარაფარდანი შორს შემოავლეს, და შუაზე მძიმე ტახტი დადგეს ხშირად მოთვალმარგალიტული და მახედა დაქდა ზააქ კელმწიფე.

ზააქის და ფრიდონის ომი

მერმე უკმო ყაირა ვაზირი, და მოვიდა ზააქ კელმწიფესა წინაშე საუბრად და გამორჩევად, დასუა და მერმე ასრე უბრძანა, ვითა: მოუმართებია ჩვენზედა ფრიდონს და შემოურტყამს მესისხლობისა კრძალი და [არ]ადვილია ჩემი და მისი საქმე. აწე მიუწერე წიგნები — ერთი ისპანს, ოთხთავე ყურეთა ცისათა გაგზავნე იასაულები, ბოქაულები. წიგნები დაუწერე, — ერთი ასპანს ფანდელსა, გურადამარდიადს — თანა გაგზავნე, ერთი აბულვარი ზანგსა ზანგუბარსა და ორთა ძმათა საილია აბაშსა, ერთი წიგნი თულა ზანგსა, იამუთი ზანგის ხულაფი ზანგსა, ერთი წიგნი ინდოეთს გაგზავნე, თაბალი ინდოსთანა, საბაი ჰინდო, ფეროზი ინდო, ჯამი ჰინდო, მაჰქე ჰინდო. ვირემდის ესენი მოვიდოდეს, ამათ შუა ომი შეიქნა.

რა გათენდა და ლაყვარდის ფერსა ცასა სინათლე მიეცა, საწუთროსა მშენებელმან მზემან თავი ამოყო და კირჩხიბისა ჯანგისაგან დაეხსნა, გუმბარსა ზედა ამაღლდა და შავსა კუპრსა ყირმიზი იავუნდი და ვარდი მოთენინა.

ვარდისა წყლითა პირი დაიბანა და წითელი პერანგი ჩაიცვა. ჰკრეს ორსავე რაზ-
მშიგან კმა საომარი ქოსისა, შეიქნა კუნენსა სტივრთა სარაზმოთა, თეთრი მძივი
ღვევისა ყურთა გამოაბეს პილოსა, ნაფირთ: ზროხაკუდთა, ჰკრეს ნალარათა.
ზაბულურთა, სპილენ-ქურთა და სინჯთა.

აქ პირველი ომი ზააქისა და ფრიდონისა, ფალაენისა გურჯასპის შეილის ქარიმან ფალაენისა

აგრე აწყვეს რაზმი ზააქისი: ყათილ იყო მერაზმე და მოიყვანეს თეთრი
პილო, მასზედა ტახტი დადგეს, და აგრე მას ზედა ზააქ კელმწიფე გავიდა,
დაჭდა, ჯიმშედისეული მძიმე გვირგვინი, სახელმწიფო ქუდი, ღვეთაგან რომე
წაედო, თავსა დაიბურა და გვირგვინი მანზედა დაიდგა და საყურენი გაიყარნა,
ტაყუი შეიბა, ბეჰედი შეიცვა, ოქროსა მოთვალმარგალიტული მძიმე სარტყელი
შემოირტყა, აგრე ხელმწიფურად ტახტზედა დაჭდა. და ორსავე ვეშაბთა ყე-
ლები მოედერა, იქით და აქეთ თვალეზი გამოენთო და ენები წამოეყარა.

მერმე ფრიდონის რაზმი აწყუო ფალაენმან აშაქ, და ამართეს ქაიანური
ღროშა, მოკაზმეს ალაში თვალთა და მარგალიტთა და შუაზედ ვეშაპის სახე
ქნეს. და ფრიდონ კელმწიფისათვის მოიყვანეს თეთრი პილო, მანზედა მოთვალ-
მარგალიტული მძიმე ტახტი დადგეს: გავიდა მაშიგან ტანსარო, ახალმოწიფუ-
ლი ახოვანი, დაწე-ვარდი ფრიდონ კელმწიფე და დაირქუა სახელმწიფო ქუდი.
დაიდგა მძიმე გვირგვინი, საყურენი გაიყარნა და ბეჰედი შეიცვა, ტაყუი შეიბა.
მძიმე, ოქროსა მოთვალმარგალიტული სარტყელი წელთა შემოირტყა, ტახტზე-
და დაჭდა მორკმული.

მერმე აშაქ ფალაენი კელმწიფესა წინაშე მივიდა, კელმწიფე ფრიდონ და-
ლოცა, დამბადებელისა სახელი ახსენა, პირი მიწასა გააერთა და კელითა შუბი
აიხუნა, ცხენსა შეჭდა და მოედანშიგან მოვიდა, საომარსა ადგილსა შუბსა
თავსა ივლებდა, მუქარასა ითხოვდა. აგრე ყათიმაზ მოვიდა ზააქს კელმწიფესა
წინაშე, საწუთროსა დამბადებელი ახსენა, პირი მიწასა გააერთა. მერმე ადგა.
მოედანშიგან მოვიდა საომარსა ადგილსა. რა აშაქ ფალაენმან დაინახა, კე-
შეუტევა, ერთმანერთს შუბები აიგერეს. აშაქ ყათიმაზის შუბი აიკლუნა. მერმე
აშაქ ფალაენმან შესცა შუაზედა შუბი და აგეთი გასჩარა. საწუთროსა გამოა-
სალმა ყათიმაზ ფალაენი. აშაქ იქვე ნაომარზედა ბრდღვინვიდა.

რა ყათიმაზის სიკუდილი შეიგნა ძმამან ყორხმაზ, აგრე კელმწიფესა წინაშე
პირი მიწასა გააერთა, კელმწიფე ზააქ დალოცა, აგრე მოედანშიგან მივიდა. რა
აშაქ ფალაენმან დაინახა, შუბი თავსა შემოიღო, და შეუზახნა, და ცხენი
გააფიცხა და ვეფხვიედა ზედა მიუხდა. ერთმანერთსა შუბი შესცეს და იბრძო-
ლეს. მერმე აქაშ შესცა შუბი ღლიასა და ყორხმაზ უპატრიოდ ცხენზედა თავდალ-
მა დაეყიდა და მიწათა ზედა დაეცა და მოკულა. აშაქს არა შეეტყობოდა რა.
იქავე მოედანშიგან იარებოდა, მუქარასა ითხოვდა და ვეფხვიეთა ბრდღვინ-
ვიდა.

რა ასლამაზ ძმათა დაკოცა მოინახა, აგრე შეეკაზმა, ცხენსა შეჭდა, ზააქს
წინაშე ფარავანი მოითხოვა, და ძმათა სისხლთა ასაზღავად აშაქისკენ ცხენი
გააქენა და მოედანშიგან მივიდა, რა აშაქ ასლამაზ დაინახა, შემოუტეკნა: პირ-
ველსავე მოსვლასა შესცა შუბი აშაქ და მასვე წამსა ჩამოაგდო ასლამაზ და
ისიცა მოკლა.

აგრე გაგულისდა ზააქ კელმწიფე და ყათილ გამოუზახა. რა ყათილ მოედანშიგან მოვიდა, აშაქ ცხენი შემოუტევა, და [ყათილ] შუბი შესცა, აშაქ ჩამოაგლო. მერმე მაგრად კელნი შეუქრნა და ზააქს გაუგზავნა. ყათილ იქვე მოედანშიგან ბრღლინვიდა.

მერმე კელმწიფემან ფრიდონ ქაეის შეილი ყარან გამოგზავნა. რა ყარან მოედანშიგან მოვიდა, ყათილ ცხენი შეუტევა, შუბი შესცა და ყათილ ყარან ჩამოაგლო და მასცა მქარნი შეუქრნა და ზააქს წინაშე გაგზავნა.

რა ყუბად ძმისა კელთა დარჩომა შეიგნა, კელმწიფესა ფრიდონს წინაშე მივიდა, დამბადებელისა სახელი ახსენა, პირი მიწასა გააერთა, აგრე მოედნისაკენ წამოვიდა და მოედანშიგან მოვიდა ყუბად. რა ყათილ ყუბად მოედანშიგან მოსული ნახა, აგრე ცხენი შეუტევა, ერთმანერთსა შუბები შესცეს, დიდხანობამდის იბრძოლეს. მერმე ყათილ ზურგი შემოაქცია. აგრე ფიცხლა შემოუტევა და შესცა შუბი ყათილ ყუბადს. ჩამოაგლო. მერმე მაგრად კელნი შეუქრნა და ზააქს გაუგზავნა ივიცა.

რა ქაე შეილთა იგი მოინახა, ხუფთანი დაიხივა და კელმწიფეს ფრიდონს წინაშე მივიდა და შესჩივლა: რა კელმწიფემან ფრიდონ ესე მოინახა, ასრე ბრძანა, ვითა: აწ მე წავალ მოედანშიგან. აგრე გურჯასპის შეილმან — ქარიმან ფალავანი — მოვიდა კელმწიფესა წინაშე საომრად მოკაზმული, კელმწიფე ფრიდონ დალოცა, საწუთროსა დამბადებელისა სახელი ახსენა, პირი მიწასა გააერთა. მერმე კელმწიფემან საკელმწიფო ქუდი მოიქადა, დალოცა, ვითა: მზისა და მთუარისა, ცისა და მასკულავისა და მიწისა დამბადებელიმცა არის შენი წინამძღუარი და მბრუნავი ეტლი, შენითამცა იხარებს ტახტი და გვირგვინი, დევთა შემეკრელო, ბედნიერო და ბედნიერისა ეტლისაო, პილოტანო, ფალავანო ჭავარ-სრულო და ფალავანთა ზურგო და პირის წყალო! მე შენითა ამედითა წამოვე, თვარემ აქა რა მომიყვანდა. სხუად შენსა გვარსა, პაპასა და მამასა უმსახურებთა კელმწიფისათვის და იგინი ყოფილან ტახტისა და გვირგვინისა მამაგრებელნი. აწე შენზედ მოვარდნილა ფალავნობა და ასრე უნდა შენ გაამაგრო საკელმწიფო ტახტი.

რა კელმწიფისაგან ესრე საუბარი მოისმინა, აგრე მთვრალი პილოვიითა გაგულისდა, პირი მოედნისაკენ ქნა, ას ოცი ადლი სიმაღლე ჰქონდა და ორი ათასისა ლიტრისა ლახტი ჰქონდა, დიდისა დოლაბისა უფრო იყო და ტარად დიდის სხვილისა კანდრისა ოდენი კელი გაეცლო, ლომისა ტყავისა საგდებელი ერთსა მქარსა უკუეცვა და მეორესა მქარსა ისი ლახტი შეიღვა, და შუბნი აიხუნა და ქუეითად მოედანშიგან მივიდა საომარსა ადვილსა. ამის მეტად ჭერე არავისი შებოდა. რა მოედანშიგან მივიდა, ამას ჰგუანდა თუ ქოილ[ბ]ოზის მთა მოგლეჯილა და ისი მოვაო. მისითა სიმძიმითა მიწა თრთოდა.

რა ყათილს შეხედა, ლომივითა გაიბერა, ქენჩო წამოიღო, მკლავნი უკუიკეცნა, კინგნი გაიმახუნა და მთვრალმან პილომან ვითა პერიულსა დაუწყყო ყრა, და ასეთნი დაოზახნა, თუ სთქუა, იკებნა და მეხი ჩამოვარდაო. და ორსავე რაზმშიგან პილოები და ჯოგი შემოფრთხა. ყათილ ერთობ შეუზარდა პის ომსა, აღარა ღონე ჰქონდა; რა მოუქდა ყათილ და შუბი შემოსცა, წაპყო ხელი, შუბისა შუაგულობასა სტაცა, ასეთი გამოსწიენა, რომე კელის ტყავი თან გამოატანა. მერმე ქარიმან ფალავანმან შესცა შუაზედა შუბი, და ნახევრობამდის შესწარა და აღარა დააძრო, აილო შუბითურთ და ზააქისაკენ წაიღო. რა ზააქს მიუახლოვდა, და შემოხედნა და შეკრთა, ასრე თქვა, ვითა: ესე ოღონ დევი

არისო. მერმე მოიქნევა ქარიზან ფალავანმან და ზააქს წინა დაუხეთქა, კაკაქი-
ვითა დაღეწა და დაამსხვრევა.

რა ყათილის სიკუდილი მოინახა მისმან ძმამან მუყათილ, აგრე გაგულის-
და, მოუხდა ქარიზანს აქეთ, შეიმაღლა მისი მძიმე, ორი ათასისა ლიტრისა ლახ-
ტი, დაჰკრა, რომე თავი, ტვინი ერთმანერთსა გაურთივა და ივიცა მოკლა.

მერმე გახშირდა ორსავე რაზმსა შიგან ნალარისა კმა და დრგიალი, და
წამოიღეს ქაიანური ღროშა და შეიქნა ასეთი ზახილი, ყვილი მოსაწევიარი,
ახთათა კუივილი, პილოსა ხრტიალი და ქეჯიმისა ზარისა ზრიალი, რომე ამას
პგუანდა, თუ მოვიდა ზღუა და მოვლიჯა თემი და ქვეყანაო. და მოეზვიეა
სრულად ლაშქარი ფალავანსა ქარიზანს მგურგულივ, და შეიგდეს შუაზედა,
დაუშინეს ისრითა. აზღომი ერთი ჰკრეს, რომე, სადაცა ისრის პირი შესრული
იყვის, მერმე იმა ისრის პირშიგან სხუა შესრულიყო. და სამოცი ათასი ისარი
ჰკრეს, ამას პგუანდა, თუ ღიდი ხენი არიანო და ხეთა ასხიან ის ყუალა ისარიო.
და მოეხევიენეს, ზოგი ფერქსა მოეკიდნეს, თუ ვითა წამოეაქციოთო, ზოგნი
ჭელსა მოეკიდნეს; რა ასრე შეიგდეს შუაზედა, მერმე გაიქნევა ერთი ჯელი,
გაყარა ისი, რაცა იმას ერთს ჯელსა ეკილა, ორმოცდაათი კაცი მოეკილა. მერმე
შეორე ჯელი გაიქნევა, ორმოცდაათი კაცი იმითი დაქოცა, მერმე ერთი ფერხი
გაიქნევა და ორმოცი კაცი ერთმანერთსა უკანით თავ-კუიროსტავ უქულმა
მოვიდოდა, რომელიც ერთმანერთსა შეახეთქის. მასვე წამსა სულნი გასციე-
დიან. მერმე ჩაიკრნა კელნი, რაცა ისარი ესხა ყუელა ჩაიყრევიანა, აგრე მიიბერ-
ტყა-მოიბერტყა ყუალაი. აილო მისი მძიმე ლახტი, მოუხდა ზააქს, მოუქნევა და
ზააქ ტახტიღღამა გარდაეარდა, დაჰკრა ტახტსა და პილო, რაცა იყო ყუალაი,
გარდამუსრად გაყარა. მერმე აშაქ, ყარან და ყუბად კელდაკრულნი იყო, წამო-
ასხნა და გზა-გზა კელეები დაუხსნა და აგეთი ფრიდონს წინაშე მოასხნა. მაშინ-
და კელმწიფემან და ერთობლითა ლაშქართა ქება შეასხეს, დალოცეს და
ოქრო გარდაეყარეს, ყუალაი პირსა და ჯელსა აყოცებდეს ქარიზან ფალავანსა,
და აზღონი ერთი კაცი და ცხენი დაიქოცა, რომე მინდორი აივსო და ანგარი-
ში აღარ შეიგებოდა, ერთსა თევსა დათენი და მველნი ჰამდეს.

მერმე ზააქ, რაცა თავადები მისი იყო, ყუალაი ერთად შეიყარან და ვაზი-
რობა შექნეს. თავადებმა ასრე მოახსენა, ვითა: შენსა ლაშქარშიგან მისი მეს-
წორე კაცი არ არის. რომე ქარიზან არა:ს. ჩვენშიგან ყათილ და მუყათილის
უკეთესნი ფალავანნი არა იყუნეს. ნახეთ, თუ იმათ რა უყო, აწე ჩვენ ვერცა
ერთი ვერა შევებმით და თქვენ, რასაც ბრძანებთ, პატრონი ზარო! რა ზააქ
თავადებისაგან ესე საუბარი გაიგონა, მერმე ასრე ბრძანა, ვითა: ნულარა ედგა-
ვართ, ავიყარნეთ და შამის კარს მივიდეთ, და იქი დავდგეთ! ამაზედა თავადებ-
მანცა დართეს ნება და ქარიზანის საქმესა იკუირეებდეს და ამას ინალუღიღეს,
ვითა: ყარამან არა მოგვესწრებდის, ჩვენი საქმე ერთობ ავად ჩანს. და აგრე
ზააქს წინაშე მახარობელი კაცი მოვიდა და [მოახსენა], თუ: ასერა ყარამან მოვა.
თქვენი ბიძასწული, ასი ათასითა კაციითა. რა ზააქს ყარამანის მოსულა ესმა,
ასრე გაეხარნეს, რომე წითელი ვარდივითა აყუავედა და მახარობელი ტანსა
შემოსეს.

აგრე ზააქის ლაშქარშიგან ფრიდონის დაშუშნი იყუნეს. რა ყარამანის მო-
სულა ცნეს, აგრე ფიცხლა წამოვიდეს და ფრიდონს მოახსენეს. ფრიდონ ფიცხ-
ლა ფალავანსა ქარიზანს ჰკითხა, ვითა: ვინ არის ზააქის ძმისწული ყარამანო
და რა ფალავანმან ყარამანის ამბავი გაიგონა, ეწუინა, ამად რომე ღიდი ფალა-

ვანი იყო და საძალიანოდ შექმნილი. მერმე მოახსენა კელმწიფესა, ვითა: ერთობ მეომარი და გულოვანი ფალავანი არის, ზააქის ბიძისმსული არის, ყაიღუშის შვილი, სახელად ყარამან ჰქვიან.

აგრე მოვიდა დიდი მტუერი და. როგორაცა შუა გაიყო მტუერი, აგრე ზააქ კელმწიფის ლაშქარშიგან შეიქნა ნალარისა ჯმა და სიხარული. მერმე აღდა ზააქ და წინ მისაგებუად წავიდა ყარამანისა. რა ყარამან კელმწიფე მისკენ მიმავალი დაინახა, აგრე პილოდალმან ჩამოქდა და აგრე ზააქ გარდახდა. ერთმანერთი მკარმოქდომით, კოცნით ნახეს. მერმე შესხდეს და წავიდეს სადგომისაკენ. და ზააქ კელმწიფემან ყარამანს შესჩივლით დაუწყო უქუქევა, თქუმა, რაცა ქნილიყო და მერმე დაღამდა კიდეცა. და ამაზედან გაიყარნეს და თავ-თავისა სადგომს წავიდეს. იმ ღამესა მოისუენეს.

აქა სსუა ომი ქარიმანისა და ყარამანისა

რა გათენდა, საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო და კუპრსა ზედა იაგუნდი მოფინა, დიადი ვარდი მოაყარა, აგრე ჰკრეს ორგნითვე ჯმა საომარი ქოსისა, კუნესა სტვირთა სარაზმოთა და ზროხაყუდთა, ნალარათა, სპილენჭურთა და სინჯთა. აგრე აწყუეს რაზმი იქითცა და აქეთცა და წამოიღეს კელმწიფეთა ტახტი. და აგრე წამოვიდა ფრიდონ კელმწიფე ტახტოსან-გვირგვინოსანი და გამოიძღუნა ქაიანური დროშა წინა. პირველად საომარსა აღგილსა, მოედნის შუაგულობასა, პილოტანი და სასელოვანი ფალავანი, ფალავანთა ზურგი, მკერდ-ფართო და კანგმახვილი ქარიმან მოვიდა. მძიმე ლახტი კელთა ჰქონდა და მთურალი პილოვითა საომრად გაფიცებულყო. აგრე ყარამან აიღო მისი მძიმე ლახტი და მოედანშიგა მოვიდა, საომარსა აღგილსა.

რა ფალავანმან ქარიმან ყარამან მოედანშიგან მოსული ნახა, აგრე ფიცხლა ზედა მიუქდა ეტლივითა და ლახტი დაჰკრა. აგრე იმან ამას გარდმოჰკრა, და იმა წესითა გაიციმეს და საღამობამდის ებრძოლეს ერთმანერთსა. მერმე მოიქნივა ყარამან მისი მძიმე ლახტი და ქარიმანს გარდმოჰკრა, და თავი მოარიდა და მარცხენასა მკარსა დაჰკრა და მკარი მოატეხა. მერმე გაულისდა პილოტანი ქარიმან, და უკუიქნივა რაღად ლახტი და შემოკრა თეძოსა, და ერთი ზაყვი და თეძო დაუმსხურივა, სრულად დააგორვა ყარამან.

მერმე მოვიდა რაზმი და ერთმანერთსა შეეძგერნეს. შეიქნა ცემა და ელვარება კრმალთა და აბჯართა. სცემდეს ზარსა და კივილსა. დაუშინეს ერთმანერთსა კრმლითა და ლახტითა, შუბითა და ხანჯრითა. მრავალთა თავდთა თავი უპატრიოდ მიწათა თანა ვასწორდა და დაიჭოცა. ორგნითვე ოცდაათი ათასი კაცი მოკულდა. მერმე სიღამემან გაყარნა. ისინი მათს სასადგომეზეზედა დადგეს და ესენი მისსა. და შუაზედა ექუსი თვე გამოვიდა, რომე არა რომელი არას ელაპარაკნეს ერთმანერთსა, და იყუნეს ვიღრემდის ორნივე დამრთელდებოდეს.

მერმე ზააქს მახარობელი მოუვიდა, ვითა: მოვიდა აბულვარა ზანგი დილითა ლაშქრითა, ასი ათასი ზანგუბრელი ზანგი ახლავს. რა ესე პირი მოუვიდა ზააქს, აგრე წინა მისაგებუად წავიდა და გაიხარნეს, დაჰკრეს ქოსსა და ნალარასა. რა აბულვარი ზანგმან ზააქ დაინახა, აგრე ჩამოხდა, კელმწიფე დალოცა, პირი მიწასა გააერთა; და აქეთ ზააქ ჩამოქდა, მკარმოქდომით ნახა. მერმე ფრიდონს წინაშე დაშუშნი მოვიდეს. ყუულაი მოახსენეს, ვითა: მოვიდა აბულვარი ზანგი ასი ათასითა ზანგუბრელისა ზანგითა და ორმოცი პილო მოყავს.

და შეიღი მძიმე დოლაბისაგან უდიდროვნესი დახრუეტილი გურზები მოაქუს. ოთხნი ასეთნი არიან, რომე თვითო ათას-ათასი ლიტრა არის, მეხუთე-ხუთი ათასი, მეექვსე—ექუსი ათასი, მეშვიდე—შვიდი ათასი ლიტრა არის. ფრიდონ და-შუშისაგან რა ესე საუბარი გაიგონა, ნაღულიანად შეიქზა. მერმე ფალავანმან ქარიმან ასრე მოახსენა, ვითა: კელმწიფეო, ნუ შეიჭირვებთ, ხელი ერთობ კარ-გად მაქვს და ღმრთისა შეწვენითა და თქვენითა ბედნიერობითა ასრე დავხად-ნე მტერნი თქვენნი, რომე ფერკთა ქუეშე მოვიქცო, მაგრა ცხენთა შევსხლეთ და საირანსა გავიღეთ! და ესე ეაზირობა ფრიდონცა იპირანა.

აგრე ცხენთა დაკაზმა უბრძანა მეჭინიბეთ უხუცესსა. წავიდა, დაკაზმა და მოახსნა. აგრე ფრიდონ ტახტიდალმან ჩამოვიდა და ცაენთა შესხდეს და საირანსა წავიდეს. და მაღალი გორი იყო, მაზედა გავიდეს. რა იქიდალმან დახედნეს, ლაშქარი ედიდა და, რაცა დაშუშს ეამბა, ასეთი გურზები ეციდა პილოებსა და აგრე მოვიდოდეს. რა მოვიდეს, ჩამოხდეს, დადგეს მრავალფერნი კარავნი.

მაგრა ზანგუბრელისა ამბავი ესე მოგახსენო. ას ოცი წურთა სიმაღლე აქუს, თავი დიღსა გუმბაღსა უგავს, თითები ძელის ნამორსა უგავს და რა კელმწიფეს წინაშე მოვიდა სადარბაზობელად, აგრე ოქროს სელნი მოიხუნეს და აბულეარი ზანგი იმაზედა დაქდა. აგრე ზააქ კელმწიფემან აბულეარი ზანგსა თანა ქარიმანისაგან ჩივილი დაიწყო და, რაცა ზააქის ლაშქართაგან ეყო, ყულაი ჩამოჩივრნა. რა აბულეარი ზანგმან გაიგონა, ასრე მოახსენა, ვითა: კარ-გათ ვიცილობ ქარიმანს, უთრუთის შვილის შვილი არის, გურჯასპი—შამა მისი და მე შინაურად ვიყვებით და ამისი არა ვიცი, თუ რა ფალავანი არის. ესეცა გამოვსცადო ჩემითა დოლაბებითა.

ამაზედა მოციქული გაუგზავნა ზააქ ფრიდონს და ასე შესთვალა, ვითა: რომელსაცა საომარსა იბრძოლი, იგი მანდა საპყრად გიცი, აწე ვისითა ზურგითა იბრძვი! ასრე ჰქენ, რომ თემი და ქვეყანა შუა გავიყოთ, ნახევარი—მე. ამაზედან შევიწყუნეთ! რა დავედრეს, აგრე წავიდეს მოციქულნი, ფრიდონს წინაშე მოვიდეს და შეასხეს მოციქულნი. აგრე ეთაყვანნეს ფრიდონს და წიგნი მიართვეს. რა წაიკითხა წიგნი, შუა გახივა და შექარობა შესთვალა. აგრე წავიდეს მოციქულნი და მონახული ყულა მოახსენეს. იქით ისინი გაგულისდეს და ხუალისა ომი დაასკუნეს.

რა გათენდა, საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო, შავსა მიწასა ყირმიზი ვარდი მოაყარა, აგრე ჰკრეს ქოსსა და ნალარასა. აგრე პირველად მოედანშიგან ყარან მოვიდა საომარსა ადგილსა და თავსა შუბნი შემოივლნა,¹ და რა ღარიბი ყარამან დაინახა, აგრე მოედნისაკენ ცხენი გამოაქენა და ყარანს მოუხბდა. ერთმანერთსა შესცეს, ღარიბი ყარამან — ყარამანის ძმამან, ქაჯის შვილსა ყარანს შემოსცა რუმბზნი და ყარან ჩამოაგდო. როგორაცა მეორედ კულავე ულაშობდა ჩაცემასა, აგრე ქარიმან გამოიქცა საშუელად, შემოუზახნა და თვალნი ქარიმანისაკენ დაურჩეს. აგრე მოუქნდა ქარიმან გასაჩუენოდ, ასეთი ლახტი დაჰქარა ღარიბი ყარამანს თავსა, თავი, ტვინი, უნაგირი და ცხენი ალაგ-ზედა ჩანაყა. და რა ყარამან ძმისა სიკუდილი მოინახა, აგრე საყულონი გარდინიხნა და სრულად აჰი ათასმან კაცმან მისმან ლაშქარმან გარდინიხნა საყულონი. აგრე ყარამან გაგულისდა და მისდა საომრად გამოემართა. მერმე ზანგუ-

¹ აქედან S—1594 ხელნაწერს აკლავ.

ბრელი აბულვარაი ზანგი წამოენაცლა და ასრე უთხრა, თუ: შენ გეყოფის ომი, რომე გარდაგიხლია, დაკოდლილია ხარ! აწე მე წავალ და გამოვსლი იმა ფალაენსა, თუ როგორი მეომარი და სახელოვანი არის! ამაზედა აღარა წამოვიდა ყარამან, ჯერ ფერკი არა გამრთელებოდა.

აქა ფრიდონისა და მისის ფალაენისა ქარიმანისა, ზააქისა და მისის ფალაენისა ზანგუბრელისა ზანგისა ომი

აგრე შეჯდა პილოზედა აბულვარი ზანგი და მოედნისკენ წამოვიდა. ას ოცი ადლი სიმალეუ ჰქონდა. ქარიმან და ისი ტანად სწორნი იყუნეს. და რა მოედანშიგან მოვიდა საომარსა ალაგსა, აგრე ქარიმან შეხედნა და გაუკვირდა ეზომი მისი ტანი და ფალაენობა. აგრევე აბულვარაი ზანგსა გაუკვირდა ქარიმანის სიკეთე და ფალაენობა.

მერმე წამოიარა აბულვარაი ზანგმან და სალამი მისცა ქარიმანს, ვითა: ფალაენო, სალამ ალექ, ვით ხარ, ანუ როგორ ყოფილხარო. მერმე ქარიმან ასრე უპასუხა, თუ: მეომარე [ხარ], სასალამოდ სადა გცალიან. მე ომისა და ფალაენობისა მდომი ვარ, ჩემი კანჯრის ნადირობა ის არის, თქვენ საომრად ერთიცა არა მოხუალთ!

რა აბულვარაი ზანგმან ესე საუბარი გაიგონა ქარიმანისაგან, მერმე ასრე უთხრა, ვითა: მამასა შენსა კარგად ვიცნობდი გურჯასპის. მრავალნი შექცევინი და ფალაენობანი გარდაუხლდიან ერთგან, ერთობ მონახული და ნაომარი კაცი ვარ, აწე შენ მისდა გამოლმა მებრალეუბი სასიკუდილოდ. აწე ასრე ჰქენ, რომე წადი, ზააქს კელსა აკოცე და დიდსა მამულსა და ფალაენთა თავადობასა მოვაცემინებ და, თუ ამას არა იქ, და კიდევე მესისხლობასა იგონებ, მაშინდა მე გიჩუენებ გულოვანთა და ფალაენთა ხუადთა პილოთა და ნიანგთა ომსა. აწე სახეჩხიანო და საფალაენო შესაქცევარი დოლაბეუბი მომილია და ხუალე მითა შევექცეთ და გამოვსცადოთ!

რა ქარიმან ფალაენმან აბულვარაი ზანგისაგან ესე საუბარი მოისმინა, მერმე ასრე უპასუხა, ვითა: ზააქის წინაშე მოსვლასა და შესაწყოსა ნურას მოიგონებ, და: სახუასა მას აქეთ საომარსა და ფალაენობასა რასაცა მოიგონებ, ამაზედა ომი და ხოშგუარისა დღინო წინაო, და გიჩვენო ჩემი სიქუელე, ჰანგ-მახვილობა და გულოვანთა და ფალაენთა ომი, და მოალეზინეთ დოლაბეუბი, ენახოთ და ამას ლამე აქა მოედანშიგან დაეყაროთ და ხუალე, რა გათენდეს და საწუთრო მბრჯღვინავის ეტლისაგან თავმოკლდით შეიქენეს, და პირი ვარდის ფერად გაუქდეს, აგრე აქა მოვიდეთ მოედანშიგან, დევთა საომარსა ადგოლსა.

აშაზედა შეუზახნა აბულვარაი ზანგმან და მოალეზინა პილოებთა შვიდნი გულზი, ოთხნი ათას-ათასისა ლიტრისა იყუნეს. ერთი—ხუთი ათასისა, ერთი—ექუსი ათასისა, ერთი—შვიდი ათასისა. აგრე მოიტანეს და მოედნის შუაგულობასა ჩამოხადეს და დააწყუეს. აგრე, რა დაღამდა და მანათობელი სამკაული მზე ღრიანკალისა პირსა შიგან ჩავარდა და საწუთროსა შავი ვიშრისა ფარდავი მოჰფინა, აგრე ქარიმან მათ ლაშქართაყენ წავიდა და აბულვარაი ზანგი მისთა ლაშქართაყენ. და იმ ღამესა ასრე გაიყარნეს.

რა გათენდა, ლაქუარდის ფერსა ცასა სინათლე მიეცა და საწუთროსა

მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო, კირჩხიბისა ქანგისაგან დაეხსნა და გუმბადსა ზედა ამაღლდა, და შავსა კუპრსა ზედა ყირმიში ვალა მოჰფინა, აგრე ჰკრეს კმა საომარი ქოსისა, კუნესა სტვირთა სარაზმოთა და მებერეს ზროხაკულდა, ნაღარა, ზაბულური, სპილენ-ჭური და სინჯთა. აგრე წამოიღეს ფრიღონ კელმწიფის ტახტი და მოედნის შუაგულობას დადგეს, მძიმე გუარითა და ფეროზითა მოკაზმული. მოვიდა ფრიღონ კელმწიფე, ტახტზედა დაჯდა და მარჯუენით ქაიანური დროშა ამართეს. აგრე ზააქის ტახტი მოიღეს და ფრიღონის ტახტსა წინა დადგეს პირდაპირ, მრავლოთა გუარითა და თვალ-მარგალიტითა მოკაზმული. და აგრე მოვიდა ზააქ და ტახტსა ზედა დაჯდა ქუდოსან-გვირგვინოსანი, საყუროსან-ტყუოსანი, და მისთა მედროშეთა მოიღეს მისი დროშა და მარჯუენასა მკარსა დაუყენეს. და მოვიდა სრულად ორისაუე რაზმისა ლაშქარი და ალყად გარშემო დადგეს საჭურეტად. აგრე მოვიდა აბულვარაი ზანგი და აიღო ორი ათასისა ლიტრისა დოლაბები, და ერთი ერთითა კელითა და მეორე მეორისა კელითა და ორსაუე აღმა დაუწყო გდება. ერთი ერთისა კელშიგან გარდიგდო და მეორე მეორეშიგან გარდმოვიდის. მერმე შეავდის აღმა ერთმანერთსა უკანა და ასი წყრთა სიმაღლე შეარონინის და მიუშვირის კელი და კიდეე დაიჭირის. მერმე შესტყორცნა ერთმანერთსა უკანა და ერთი სათურგნო წაარონივა. აგრე წავიდა, კიდეე მოიხუნა და ქარიმანს კელთა მისცა. აგრევე ქარიმან დაუწყო გდება და მოღება და უფრო მაღლად აავდოს და, რა გასტყორცნა, ორი იზომი ერთი წაარონინა, მერმე მოვიდა აბულვარაი ზანგი და მოიხუნა ისივე ორნი, და ერთი მკლავი ერთშიგან გაყო და მეორე მეორეშიგან. ერთი ყელსა უკუიკვა ისე ერთმანერთი, სათურგნო წაიარა და იქავე მოიხუნა, და ერთი სხუავე უკუიკვა ყელსა იმაზედან და ოთხნივე წაიხუნა, იზდომი ერთი ალაგივე წაიარა და მობრუნდა, და იქვე მოიხუნა და აგრე ქარიმანს წინა დაუსხნა, და იმავე წესითა ქარიმან ქნა. ჯერ უფროსი წაარონინა, აგრე მოიტანა და ერთმანერთზედ დააწყო. აგრე მძიმეთა დოლაბთა ზედა მივიდა აბულვარაი ზანგი, ხუთი ათასისა, ექუსი ათასისა ლიტრისა რომე იყო, ერთი ერთსა მკარსა უკუიკვა და მეორე — მეორესა. აგრე აემართა და აიშვირის და ჩამოიღის. მერმე ქარიმანს მისცეს და ისრევე დაულონებლად მან ქნა. მერმე პირადმა დაწუა აბულვარი ზანგი, და მოიღო შვიდი ათასისა ლიტრისა დოლაბი და შეიგორვა გულზედან, ასწივნა, აიღო. მერმე ქარიმან აიღო და ყოვლითა გამოიციდნეს. დააჯერა ქარიმან და მეტად გაუკვირდა ყუალასა ქარიმანისაგან მისი ქნა. მერმე აიყარნეს, თავის სადგომსა. წავიდეს. იმ ღამესა იმის მეტი არა ქნეს.

რა გათენდა, ლაუუარდის ფერისა ცასა სინათლე მიეცა და მშუენიერსა მასკულავთა ფერი წაულო, აგრე საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო და კირჩხიბისა ქანგისაგან დაეხსნა, გუმბადსა ზედა ამაღლდა და შავსა გიშერსა ყირმიში პერანგი ჩააცვა, წითელი ვარდი მოჰფინა, აგრე ჰკრეს კმა საომარი ქოსისა, კუნესა სტვირთა სარაზმოთა, გამოაბეს თეთრი მძივი პილოსა, მებერეს ნაფირთა, ზროხაკულდა, ნაღარა, ზაბულური, სპილენ-ჭურთა და სინჯთა. აგრე ჰკრეს რაზმისა ორგნითვე, და მოიყუანეს რაზმის შუაგულობასა თეთრი პილო და მოიღეს მძიმე ტახტი, მანზედა დადგეს. აგრე მოვიდა ფრიღონ კელმწიფე და

ტახტზედა დაქდა ქუდოსან-გვირგვინოსან, ხალხნიან-საყუროსან, ტყოსან-ბეჭდოსანი. და რაზმი აშაქ აწყო. მარჯუნასა ქვე და ყარან დადგეს და მარცხენასა მხარესა აქაშ და ყუბად, და შუაზედ პილო და ტახტსა წინათ ქაიანური დროშა, და დროშასა წინათ პილოტანი ქარიშხან.

აგრევე ზაქის ლაშქარშიგან მოიყვანეს თეთრი პილო, და მოიღეს მძიმე ტახტი და მაზედა დადგეს. მერმე მოვიდა ზაქ და მაზედა დაქდა ქუდოსან-გვირგვინოსან, საყუროსან-ბეჭდოსან-ტყავაყოსანი. და მარჯუნასა რაზმსა აბულვარაი ზანგი იდგა. მარცხენასა მქარასა ყარამან იდგა. აგრე, პირველად მოედნის შუაგულბოძასა საომარსა ადგილსა ფალავანი პილოტანი ქარიშხან მოვიდა და თავსა შუბითა ივლებდა. საომრად გაფიცებულყო. რა ზანგებრემან აბულვარაი ზანგმან დაინახა, აგრე კელმწიფესა ზაქს წინაშე პირი მიწასა გააერთა. მერმე ადგა, მკლავნი უკუიკეცა. ჰანგნი გაიმახუნა, ფალავნურად მოეკაზმა, შუბი აიხუნა, კრმალი შემოირტყა, მისი მძიმე ლახტი მქარსა შეიდგა, საგდებელი მქარსა უკუიკეცა. აგრე პილოსა ზედა შექდა და პირი მოედნისაკენ ქნა.

რა მოედანშიგან მოვიდა, აგრე შემოუღღეს ერთმანერთსა და შემოუზახნეს. და პირველად ზუფინები შესცეს ერთმანერთსა, შეაღწეეს, ვერა რომელმან აწყინა ერთმანერთსა. აგრე აბულვარაი ზანგი პილოდადმან ჩამოხლტა, და მძიმე ლახტები დაიწუადეს, დაუშინეს ერთმანერთსა, ას ორმოცდაათი ლახტი ეცა თითოს და თუითოსა. მერმე ლახტები გაყარეს და კრმალეები დაიწუადეს, დაუშინეს კრმლითა ერთმანერთსა; აზღონი ერთი სცეს, რომე აღმასფერი კრმალეები დაღეწეს და აღარა ჰქონდა რა საომარია და ასრე დაქდეს ორნივე ცემითა. რომე ლურჯსა ლილასა დაემსგავსნეს. მერმე ერთმანერთსა ზურგები შემოაქცივეს, საგდებლები მოიმარჯუეს, აქა ერთმანერთსა თვალფარულად, მართ აგრე ეტლივითა უემობრუნდა ქარიშხან და გამოუშვა ლომისა ტყავისა საგდებელი, აგრე აბულვარაი ზანგმან გამოუშვა და ერთმანერთსა თავსა გარდაცუვის, გასწვივნეს და მოუქვირნეს ერთმანერთსა, და შეუზახნეს ერთმანერთსა, წევნა და ზიდვა, და ვერა რომელმან წაიყუანა.

სწივეს ერთმანერთსა საღამობამდის და, როგორაცა ლეკუ-წაგვირილმან ლომმან დათხარეს და დაფრიწნეს კორდნი და ლელენი, აგრე დათხარეს და დაფრიწნეს მინდორი და ნიატანი, თავსა მიწანი გარდაიყარნეს და დაშავდეს რომე ნახშირსა ჰკვანდეს და ფორჩხნითა ფრჩხილები დაეღეწა. აგრე, მთვრალმან პილომან ვითა დაიყუირნა ქარიშხან, გასწვივნა, და აბულვარაი ზანგისა საგდებელი გასწვივითა და პირდაღმა დაეცა. აგრე აქეთ აბულვარაი ზანგმან გასწვივა კბილ-მორტკენით და მანაცა გასწვივითა ლომისა ტყავისა საგდებელი და პირდაღმა დაეცა. და მათი გაზიდვა და დაცემა დიდროენათა მათათა გაზიდვასა და დაცემასა ჰკუანდა. და მათსა დაცემაზედა სრულად ლაშქარნი შეიძრნეს, აგრე გააბშირეს კმა ნაღრისა და ქოსისა. წამოვიდა რაზმი, წამოიღეს ქაიანური დროშა და მოვიდა რაზმი რაზმზედა. ზახილისა და კივილისაგან, ახთათა ხევილისაგან და პილოთა ხრტილისაგან ჯაბანსა გული გასქდებოდა, ზარისაგან საწუთრო შავსა ზანგსა ჰკუანდა და ლაშქართა სიმძიმისაგან მთა და გორი იძროდა. ასეთი მტერი ავიდა, რომე ცათამდის შესწულდა და საწუთროსა მაშუენებელი პირი და მოქმანათობელი მზე შავისა ღამისა ფერად შეიქნა და ჰაერ-

თა მფორნველნი ალაგზედა ცვიოდა. და მეომართა ფალავანთა მტუერმან თვალნი და პირი რიყენი ვითა შექნა. და მათი სიფიცხე ამას ჰკუანდა. თუ ზღვიდამან ნიანგნი გამოსცივიდესო და მათ დაიწყეს ბრძოლაო.

აგრე, მოვიდეს წინათ ფალავანნი, მეომარნი შუბებითა, შეიქნა ცემა და ტყრციალი შუბითა, კრპლითა, ლახტითა და აფთითა, ხანჯრითა, ტუკითა, რომე საჭურველისა ნალეწი ჰაერშიგან მივიდოდა და აგრე ალაგზედა ცვიოდა. მრავალი თავადი უპატიოდ ცხენისა ფერკითა მიწათა ზედა იზერგნებოდა და თავი ტანსა სალამსა გუუგზაენიდა, და იყო ზახილი და ომი სალამობამდის, და მკულრისა ჭარისაგან აღარა ივლებოდა რა. ტალახისაგან ასეთი სისხლისა ღუარნი შეიქნა, რომე კაცი ველარა გავიდოდა და კაცისა თავი და ფერკი მოქონდა, და ამოსწყდა ორგნითვე ლაშქარი. მერმე სილამემან გაყარანა, და იმ ლამესა მრავალი დაკოდლილი კაცი და ცხენი დაიკოცა. და კელმწიფემან ფრიდონ ჰარიმან ფალავანსა მრავალი ქება შეასხა და საკელმწიფო ტანისამოსი ჩააცვა, და ჰარიმან მადლი გარდიკადა და ამას იტყოდა, თუ: მეომართა დევთა ეყოფის ისი ფალავნობა და ძალი, რომე აბულავარაი ზანგსა აქუს. აგრე ზააქ აბულავარაი ზანგი შემოსა ტანსა, და ზააქს წინაშე მადლი გარდიკადა და ასრე მოახსენა ფრიდონისი, ვითა: მბელუინავისა ეტლისა ომი იქნების, მთერალისა პილოსა და ნიანგთა, და ჰარიმანისა — არა იქნების! აწე ხელე რყენითა გამოვსციდი და თუ მოვერევი, იცოდით, რომ კელმწიფობა თქვენ დაგრჩების, თუ ისი მომერევის, მაშინ რასაცა იქთ, პატრონნი ხართ! ამაზედა დაასკუნეს ხუალისად ომი.

აქა აბულვარი ზანგისა და ჰარიმანისა ომი ჴელდაჴელ

რა გათენდა, საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო და გუმბაღსა ზედა ამაღლდა, და შავსა მიწასა ყირმიზი პერანგი ჩააცვა, აგრე ჰკრეს ორგნითვე ქოსსა, ნადარასა და მოიღეს ფრიდონის ტახტი და მოედნისა შუაგულობასა დადგეს. და მოვიდა ფრიდონ კელმწიფე, ტახტზედა დაჯდა ჴუდოსან-გუირგვინოსან, ხალახნიან-საყუროსან, ტაყოსან-ბეჴდოსანი, აგრევე ზააქის ტახტი მოიღეს და ფრიდონის ტახტსა პირდაპირ დადგეს, მძიმეთ გუარითა, ფეროზ-მარგალიტითა შეკაზმული. ჴიმშედ კელმწიფისეული იყო ისი ტახტი, მოვიდა ზააქ, მას ზედა დაჯდა ჴუდოსანი, ხალახნიანი, ტაყაყოსანი, საყუროსან-ბეჴდოსანი. და მოვიდეს სრულად ლაშქარნი, ასრე რომე არცა ახოსალარი დაჩრა და არცა მეაქლემე. და შორს ალყად, გარშემო რაზმად დადგეს, დაუწყეს ჴურეტა.

აგრე მოვიდა ჰარიმან ფალავანი, ცქვიტად, ფალავნურათ ტანისამოსითა მოკაზმული. კალთა ამოეკალთავა, მკლავნი უყუეეკენა, ჴანგნი გაემახუნეს, პირი წითლისა ვარდისფერად უელივიდა, შავნი თვალნი და წარბნი შიგან გამოსჴვირდა, ჴენჩო ამოესო, ვარაზი წამოესხა და ლომივითა საკენელად გაფიცხებულიყო. აგრე მოვიდა ფრიდონს წინაშე, საწუთროსა მაშუენებელისა, დამბადებელისა სახელი ახსენა, კელმწიფემან დალოცა, ვითა: ცისა და მთუარისა, მზისა და მასკვლავისა დამბადებელიმცა არის და მბრუნავიმცა ეტლი არის შენიმცა წინამძღუარი კუალ-ბედნიერო და ბედნიერისა გუარისაო, ფალავანო და ფალავანთა ზურგო, შენითამცა იხარებს ტახტი და გვირგვინი!

რა ესე დაათავა, აგრე ფალავანმან ჰარიმან პირი მოედანისა შუაგულობისა-

დევთა სარკენელისა ალაგისაკენ ქნა. აგრე წამოიკორვა და სარკენელსა ალაგსა-
პილოვითა უძრავად დადგა. და აგრევე ზააქის წინაშე მივიდა აბულვარაი ზანგი
და იმავე წესითა ისი გამოესალმა, და აგრევე ზააქ დალოცა აბულვარაი ზანგი.
და ზააქის ვეშაბთა მისსა მკრისა თავზედა მოედარა ყელზე, და თვალები გამო-
ნთო და ენები წამოეყარა.

აგრე წამოვიდა აბულვარაი ზანგი და შემოუზახნეს ერთმანერთსა, შეიძ-
გვრნეს დიდროვანი მთავითა და შეიქვედნეს. დაიწყეს ბრძოლა და რკენა, და
ასრე დაახივეს ერთმანერთსა, რომე ლუარულუმ სისხლი ჩამოსდიოდა ნაპანგ-
ზედან. ვერა რომელმან დასცა. და სამსა დღესა ირკინეს და ღამესა უქურერტ-
დეს ორნივე ლაშქარნი, და ღამით დაავზნეს დიდროვანი ცეცხლი, დაანთეს ფა-
ნარი და მაშხალეები, და შემოკიოდეს ერთმანერთსა: და ასრე დაილაღნეს, რ-
მე ძალი ყულაი წაუვიდა. და აბულვარაი ზანგი პირდაღმა დაუწუა და დიდ-
ხანობამდის ისაჯა, დაგრიხა ქარიმან და ვერ გარდაქცეოა. ამაზედა აბულვარაი
ზანგმან მოისუენა, და ანაზდეულად წამოვარდა და ქარიმანს ერთი ფერკი
დაუქირა და ვერა დააძრო, და აგრე პირდაღმა დაეცა ქარიმან. მერმე ზედაღ-
მან დაუწყო კედება აბულვარაი ზანგმან და მოისუენა ქარიმან ცოტა. აგრე დაუ-
დარა და გარდმოქცეოა, მარცხენა მკარი და თავი ღლიასა ქუეშე შემოიგდო
და ასეთი შემოუქირნა ქარიმან, რომე ორნივე თვალნი წინათ წააყრევირა. მერ-
მე აბულვარაი ზანგმან გუერდთა ებილთა მოეკიდა და სამი წიბო ჩასქრა. აგრე
გარდმოყო პირი ქარიმან და სტაცა ყროქსა ებლითა და გამოსწიოა, და სრუ-
ლად ყია და ყროქი ყულაი გამოსქამა და მოკლა. მერმე ზედა წამოქდა პირ-
სისხლიანი ლომიეთა ქარიმან ფალავანი. თვალი გაწითლებოდეს და წყნარად
ადგა, ფრიღონისაკენ წავიდა. აგრე ფრიღონ წინა მოეგება და ქარიმანს ფერკთა
მოხვევასა უღამოდა და აგრე კოცნასა. ქარიმან აღარა ჰკადრა და მერმე პირსა
აყოცა და მშვიდობით მოსვლა მიულოცა. აგრე ერთობილთა ფერკთა და
ქელსა აყოცეს და თავსა ფლურსა აყრიდეს.

რა ზააქ აბულვარაი ზანგი მოკლული ნახა, აგრე საყელონი გარდინივნა, და
გვირგვინი მოიჭადა და გლოვა დაიდვა. აგრევე ყარამან ქნა. მერმე ზააქ ასრე
მოახსენა ყარამანს ვითა. როგორა ვქნათ, მისი დადგომა არას სულიერისა არ
იქნების, რასა ბრძანებთ? მერმე ასრე მოახსენა ყარამან, ვითა: ხუალე კიდევ
შევებმი. რა იციო, თუ მბრუნავსა ეტლსა რა გაუგია, მოედანშიგან აწე ანუ არა
დავავდო ჩემი თავი, და ანუ მისი მე არა წამოვიდო, არა დავიდგამ!

რა ზააქ ყარამანისაგან ესე გაიგონა და მოისმინა, დია იამა და გამხიარულ-
და. მერმე მისაცემელი მისცა. აგრე ზანგუბერელთა ასი ათასმან კაცმან საყე-
ლონი გარდინივნეს, მკარ-ჩაქდილთა, თავს სისხლიანმან აბულვარაი ზანგისათ-
ვის შექნეს თაბუთი და ზანგუბარის გბაშის წაიყუანეს, და წაყუა თანა ასი ათა-
სი ზანგი და აბაში.

აქა მეორე ომი ყარამანისა და ქარიმანისი

რა გათენდა, საწუთროსა მიშუენებელმან მზემან თავი ამოყო, გუმბაღსა ზე-
და ამდლდა და ბნელი მიწა ნათლად გარდიქცა, აგრე ყირმიზი ვარდი მოპფინა,
ჰკრეს ორგნითვე ქოსსა და ნალარასა, და აწყუეს რაზმი. და შეიქნა კივილი და
მოიღეს ტახტები ორთავე კელმწიფეთა და ერთმანერთსა პირდაპირ დაუდგეს.

და მოიღეს ქაიანური დროშა და ფრიდონს წინა ამართეს. აგრე პირველად მოედანშიგან საომარსა ადგილსა ფალავანი ქარიმან მოვიდა და საომარსა ადგილსა დადგა, და გუშინდელი რკენა ასრე არა შეეცუბოდა რა, ვითამცა ნადიმად ჯდომილიყო, და თავსა შუბთა ივლებდა და მუქარასა ითხოვდა.

რა ყარამან შეიგნა, აგრე მივიდა ზააქს წინაშე და პირი მიწასა გააერთა, მერმე ადგა და პირი მოედნისაკენ ქნა, და რა მოედანშიგან მოვიდა საომარსა ადგილსა, აგრე შეუზახნეს ერთმანერთსა და, რაცა საომარი იყო, ყულა დაღუწეს. მერმე ხელდახელ შეიკიდნეს, ერთმანერთსა დაახივეს ხუფთნები და ერთსა დღესა და ღამესა ირკინეს. და ვერა რომელმან დასცა და ასრე დაიღალნეს ორნივე, რომე არცა ერთსა აღარა შეეძლო რა. მერმე ჩაუგდეს ერთმანერთსა ჭაპვისა სარტყელსა შიგან კელები, დაუწვეს ზიდვა, აგრე შემოკრფეს გარშემო ლაშქარნი და უქურტდეს. აგრე დაიყვირნა ფალავანმან ქარიმან მთვრალმან პილომან ვითა, ასწიგნა, აიყუანა თავის სწორად მერმე მოიქნივა, დესცა და იგივე მოტეხილი თეძო დაუმსხურია და დააწვა ზედა. აგრე უყუწივნა ყელსა, და აღმოიღო აღმსაფერი ხანჯარი და ქარიმან ყარამანს თავი მოკუეთა.

რა ზააქ ყარამანის სიკუდილი მოინახა, სრულად ლაშქარნი შეუზახნა. მერმე მიეზვივნეს ლაშქარნი, დაუშინეს ქარიმანს ფალავანსა ისრითა, შუბითა, კრმლითა, ლახტითა და ქვითა. ასრე გაქადეს ფალავანი ქარიმან, რომე სრულად შეაქაბნეს. მშონდა ასრე ბრძანა ფალავანმან ქარიმან, ვითა: თუ არას ვეცდები, ჩემი [ყოფა] ერთობ სათუოდ გახდა. ამაზედა დიზახნა, ასეთი რომე სრულად მეტბროლნი ლაშქარნი პირდაღმა დაეცნეს და, რა სულად მოვიდეს, აგრე წამოსხდეს და გაიქცეს ერთობილნი. მერმე სისხლიანი ქარიმან წამოქდა ზედა და აემართა ძლივათდა. მერმე მოესწრნეს, წაქცევასა რომე ლამოდა, და სტაცეს და წამოიყუანეს. აგრე წინა ფრიდონ მოეგება, და შვიდობით მორჩიობა მიულოცა და თავსა თვალ-მარგალიტი გარდააყარა. მერმე თავისა ოთაღშიგან წავიდა ქარიმან ფალავანი და მუნ მოსასუენად დაწუა.

ზააქ ვაზირობა შექნა და ყარია ვეზირსა ჰკითხა. ვითა: ჩვენ როგორა ექნათ? მერმე ყარია ვაზირმან მოახსენა, ვითა: მათ უყეთესი ფალავანნი ქუეყანაზედა არ იქნებოდის, ყარამან და აბულგარაი ზანგი იყუნეს. აწე იმა კაცისა მეტბროლი და მშომარი ჩვენშიგან არავინ არის. აწე ავიყარნეთ და შამის კარსა მივიდეთ და იქი დავდგეთ! ამაზედა იმა ღამესა აიყარნეს, იარეს და შამის კარსა მივიდეს. იქი დადგეს. და ფრიდონ ვერა შეიგნა.

რა გათენდა, აგრე ჰკრეს ნალარასა და ქოსსა ფრიდონ კელმწიფისა კარსა. რა ზააქის სადგომისაკენ გაიხედნეს, ელარა დაინახეს რა. არცა კაცი, და ვერცა პილო და ცხენი. აგრე დაშუშნი მოვიდეს და მოახსენეს, თუ: რასა სდგახართ, წუხელის, შუალამის ეამსა გაიპარა ზააქ და შამის კარისაკენ წავიდა. რა ესე ესმა ფრიდონს, აგრე შეუზახნა ლაშქართა, აიყარნეს და უკანა წაუდგეს. იარეს და, სადაცა დადგომილ იყუნეს, იქი მივიდეს. ესენიცა დადგეს.

აგრე ზააქს კაცი მოუვიდა, თუ: რაცა თავადები იხმეთ, ყულაი მოდიან მძიმე ლაშქართა! აგრე მოვიდა წინათ ისპანდლამან თანდევლი, ოთხმოცდაათი წყრთა სიმაღლე ჰქონდა, და მისი ძმა გურდამარდიად, ოთხმოცი წყრთა სიმაღლე ჰქონდა, და ას ორმოცდაათი ათასი კაცი იახლა. მერმე ამათის უკანას მოვიდეს თაბალი ჰინდუ, საპბი ჰინდუ, ფეროზ ჰინდუ, ჭამი ჰინდუ, მაქიაი ჰინდუ. და ზოგსა ოთხმოცი წყრთა სიმაღლე ჰქონდა, ზოგსა — სამოცდაათი, ზოგსა — სამოცი, და ორასი ათასი კაცი თანა. მოიტანეს, და შეიქნა შვი-

დასი ათასი კაცი. აგრე ზაჟის სანახავად წამოვიდეს. აგრე ზაჟ კელმწიფე მძ-
მე[დ] მოთვალმარგალიტულსა ტახტზედა დაქდა, საქელმწიფო ქულა თავს:
დარჩქუა და მასზედა გიერგვინი დაიდგა. აგრე თავადები დ ფალავანები სანა-
ხავად მოვიდეს. ერთობილთა პირი მიწასა გააერთეს და აგრე ყულაი ალყად
გარეშემო დასხდეს. მერმე ზაჟ თავადებსა შესჩივლა, თუ: დევთა და ნიანგთა
პროლა იქნების და მთვრალისა ქარიმანისა ბრძოლა არა იქნების! იმისთანანი
ფალავანნი დაკოცნა: ყარამან, აბულვარაი ზანგი, ყათილ და მუყათილ, და მე
მოშკიდა და, თუ არ გარდმოვარდნილ ვიყავ, არცა მე გამიშუებდა ცოცხალსა.
მერმე ფანდაველმან ფალავანმან მოახსენა, ვითა: შევიწყოთ ქარიმან და თქვე-
ნი ქალი ცოლად შერთე, და მრავალი თემი და ქვეყანა მიეც! ქუე-ქუე კაცი
გაუგზავნოთ, რომე ფრიდონ ვერა შეიგნას. რა ისე ჩვენკენ იქნების, ფრი-
დონს ჩვენზედა აღარა შეეძლების რა, და თუ ამას [არა] იქს, მისი დადგომა
არ იქნების და, რასაცა გამოარჩევთ, პატრონნი ხართ!

ფათრათ ფალავანის შვილის შვილი არის გურჯასპისი, რომე ჭიმშედის ეამ-
სა შიგან სრულად დევნი ამოსწყვიტნა, და თემი და ქვეყანა წაულო და მრ-
ვალი საქონელი. აწე მისი თუ გუარი არის, მისი მეომარი არავინ გამოჩნდების!

რა ზაჟ ესე საუბარი გაიგონა ფანდველისაგან, მანცა იპრიანა, და მოი-
ხუანეს ერთი კაცი და ქარიმანს ფალავანსა წინაშე გაგზავნეს. და ასრე შესთვა-
ლა ზაჟ, ვითა: ფრიდონს რატომ მსახურეპ, შენსა პატრონობასა სადა ღიკსა.
შენ ღილისა ფალავანისა გურჯასპის შვილი ხარ, მოდი და ჩემსა ქალსა პურა
ფაიქარს შევრთავ და სრულად თემისა და ქუეყანისა პატრონობასა მოგცემ და
მე შამისა ქუეყანასა ვიქნები, ჩემი მკვიდრი მამული ისი არის, და საქონელი
და ლაშქარი ყულაი შენი იქნების!

შესთვალა ესე პირი და გაგზავნა მოციქული. და ვირემდის მოციქული მო-
ვიდოდა, აქეთ ფრიდონსა ვაზირობა ჰქონდა. დაშუშნი მივიდეს და მოახსენეს,
თუ: მოვიდა ას ორმოცდაათი ათასითა კაცითა ფანდვეელი, და მისი ძმა გურდ-
მარდიად, და სხუანი ინდოელი ლაშქარნი, ორასი ათასითა კაცითა და მრავ-
ლითა პილოებითა: თაბალი ჰინდუ, საბაი ჰინდუ, ფეროზ ჰინდუ, ჭამი ჰინდუ,
მაქე ჰინდუ, მძიმითა ბარგ-კარეებითა დადგეს. მერმე თავადებსა მოახსენა,
ვითა: მრავალი ლაშქარი მოვიდა, ჩვენ აღარა გუემტერების. აწ როგორ გამო-
ვარჩიოთ, რას ბრძანებთ? აგრე ქარიმან ფალავანმა მოახსენა: თქვენ ნუ შეი-
ქირებთ, საწუთროსა დამბადებელისა შეწყენითა ფალავანთა თავებსა ფერკთა
ქუეშე მოვიტყევ, და ჩემითა მძიმითა ლახტითა ზურგებსა დაუღეწ, და შეესა
მიწასა წითლისა ვარდისფერად შევღებავ და მბრუნავსა ეტლსა მათ ზედა ვა-
ტირებ! რა ესეთი საუბარი გაიგონა ქარიმან ფალავანისაგან, მერმე კელმწიფე-
მან და ერთობილთა თავადებმან დალოცეს და ქება შეასხეს.

აგრე ფალავანი ქარიმან თავისა სადგომსა მოვიდა და ზაჟისა გამოგზავნი-
ლი კაცი დახუდა და, რაცა დავედრა. ყულაი მოახსენა უკლებლად ქარიმანს.
რა ქარიმან გაიგონა, ვეფხივითა გაგულსიდა და ასრე ბრძანა, ვითა: ზაჟ ვე-
შაჰად შექნილა, მისს პირშიგან ვინ ჩაეარდების! საწუთროსა დამბადებელმან
ეჟ ფრიდონის უკეთესი პატრონი ნუ მომცეს! მუხთლობა და სიცრუე და ტყუ-
ვილი, ორპირობა, რა გულოვანთა, ფალავანთა და მამაკთა ხელია. ამა მალორე-
ბელსა სოფელსა თუ კაცი გაყვების და ეშმაკისა გუნებაზედა მოიქცევის, ისე-
ვე წაევიდების, რაცა ზაჟს სჭირს. და კაცისათვის ბაღისა მახე ყოველსა გზა-
ზედა აბია. თუ არა დანახავეს, თავდალმან შიგან ჩავარდების და აღარაოდეს

გამოერლუევის. აწე ყალბო კაცო, ნუმეა შენ და ნუმეა ზააქ, ვის ქვიანო. სრულად კმელეთისა ხელმწიფე ფრიდონ არის და მას მართებს პატრონობა. თუ მრავალნი ფალაევანნი მოსულან და მისთვის გალაღებულხართ, აპას მონინახეთ თქვენთა ფალაევანთა ნაქმარსა, ყათილის და მუყათილის დღეთა დავადგამ, გაიარენ კარნი! თუ მოციქულისა მოკლვა ვარგივოს, თავსა ტანისაგან გაგაშორებ!

რა ესეთი საუბარი გაიგონა მოციქულმან ქარიმანისაგან, აგრე აღარას იყოენიდა, ფიცხლა დაბრუნდა და წამოვიდა, რა ზააქს წინა შემოვიდა, ნაუბარი ყუალაი მოახსენა და მისი გაგულისება: ჩანთქმასა მილამოდა და ძლიე დავებსენ მის პირსა! დიდსა, მაღალსა მთასა ჰგუანდა. ზაეს არას გიპირებს და, რასაც გამოარჩევთ, პატრონი ხართ!

რა ზააქ და თავადებმან ესე საუბარი გაიგონეს, ასრე ბრძანა, თუ: გურდამარდიად გავაგზავნოთ მოციქულად. აგრე დავედრეს მოციქულობა გურდამარდიადს. შესთვალეს, ვითა: ჩვენცა ნოეს შევილი და ნათესავნი ვართ და თქვენცა. აწე თემი და ქუეყანა შუა გავყოთ, ნახევარი შენ და ნახევარი მე! ერთი გუარნი კაცნი ვართ, შენც დარჩი და მეცა! თუ ამას ბრძანებთ, ვითა: მამა ჩემი მოვიკლავს და მისთა სისხლთა არა შეგარჩენო, მე ესე არ ვიკოდი, თუ თქვენ მისი შევილი იყავით, თუარამ არა მოკლევდი, კარგად შეეინახევდი და პატივითა მივეპყრობოდი.

ამაზედა გაგზავნეს გურდამარდიად და ორმოცი კაცი თანა წაატანეს. იარეს და გამოვიდეს ფრიდონს წინაშე. ფრიდონ ტახტი მოაკაზმინა. საკელმწიფო ტანისამოსი ჩაიკუთა, მძიმე ქული თავსა დაიხურა. საყურნი გაიყარა, ტავაყი შეიბა, მძიმე, ოქროსა მოთვალმარგალიტული [სარტყელი] წელთა შემოირტყა, გვირგვინი თავსა დაიდგა და ტახტზედა დაჯდა. აგრე ქარიმან ფალაევანთა თავი აშაქ, ყარან და ყუბად იქმნა, სხუანი თავადნი, და შემოვიდეს და, როვორ ვის წესად მართებდა დასხდომბა, აგრე ოქროსა სელნი მოიხუნეს, და ქარიმან ფალაევანსა დაუდგეს და მაზედა დაჯდა. ასრე ყუალასა უფრო იყო. რომე ქუე მჯდომსა ტახტსა გუმბადისაგან მის თავსა შეველო და, როგორაცა დასხდეს, აგრე მოციქულნი შესხნეს და შეიყუანეს გურდამარდიად, და პირმიწადლებით ხელმწიფესა ფრიდონს სალამი მოახსენა. აგრე წიგნი მოართვა. დავედრებული მოახსენა.

რა ფრიდონ კელმწიფემან და ფალაევანმან ქარიმან გაიგონა, აგრე ქარიმან გაბრაზებული ლომივითა მუქლთა ზედა წამოქდა, წიგნი შუა განიფა, გურდამარდიადს თავსა მოწყუეტასა ულაბოდა. და ხელმწიფესა ფრიდონს აღარა ჰკადრა, ამის მეტსა აღარას იუბნა. აქა აღდგეს მოციქულნი და ფიცხლა კართა გამოვიდეს, და მასვე წამსა წამოვიდეს, და ყოველი ყოფილი [ზააქს] მოახსენეს. აგრე დაიწყეს კაზმა საომრად აქეთცა და იქითცა.

აქა ომი ფრიდონისი და მისისა ფალაევანისა ქარიმანისა და ზააქისა და მისთა ფალაევანთა

რა გათენდა და ლაჟუარდისა ფერსა ცასა სინათლე მიეცა, და საწუთროსა მასუენებელმან მზემან თავი ამოყო, ვარდისა წყლითა პირი დაიბანა, კირჩხიბისა ჰანგისაგან დაეხსნა და გუმბადსა ზედა ამაღლდა, შავსა ზანგსა ყირმიზი პერანგი ჩააკუთა და ნიატაქსა წითელი ვარდი და იავუნდი მოჰფინა, აგრე ჰკრეს ორგნითვე კმა საომარი ქოსისა, კუნესა სტვირთა სარაზმითა, ნეთრი მძივი გა-

მოაბეს პილოსა, ნაფირთა, ზროხაკუდთა, ნალარა, ზაბულური, სპილენ-ჭურთა და სინჯთა. აგრე ამართეს დროშა ქაიანური, ალაში მოთვალმარგალიტული და შუაზედა ვეშაპის სახე იყო, და აწყუეს იქითცა და აქეთცა რაზმი.

აგრე მოვიდა ქარიმან ფალავანი, კელმწიფე დალოცა, საწუთროსა დამბადებელი ახსენა და პირი მიწასა გააერთა. კელმწიფემან დალოცა, ვითა: პილოტანო ფალავანო და ფალავანთა ზურგთა შემნახაო, მბრუნავიმცა ეტლი არის შენი წინამძღუარი! აგრე ფიცხლა მობრუნდა და მოედინსაკენ წამოვიდა. მისი მძიმე ლახტი მქარსა შეიღდა და მოედინსა შუაგულობასა საომარსა ადგილსა მოვიდა და ლომივითა საომრად გაფიცებულ იყო. იქით და აქეთ იარებოდა, და მუქარასა ითხოვდა და ამას იზახდა: ვინ ჩამოხუალთ მოედანშიგან ახალ მოსული ფალავანი, მე გიჩუენო გულოვანთა, ფალავანთა ომი, მამაცობა და ხელოვნება!

რა ზააქ გაიგონა, ასრე უბრძანა თავადებსა, თუ: ისი კაცი რომე მუქარასა ითხოვს, ჩემად სიძედ მინდოდა და ჩემს ქალს შევრთავდი. აჲ, რადგან აღარა შეირთო, ვინცა მისი მემუქარე გამოჩნდების, მას მიცემე ქალსა.

რა ისპან ფალავანმან ფანდველ გაიგონა, წამოვიდა და კელმწიფესა წინაშე პირი მიწასა გააერთა, ადგა, ლახტი კელთა აიღო და მოედანშიგან მოვიდა.

რა ფალავანმან ქარიმან შეხედნა, ასრე შეუზახნა, თუ: შენ ვინ, ბედისა უნაწილოთ, და სახელოვანთა ფალავანთა და გულოვანთა ომი! აჲ მე გასწავლო აწინდელთა პილოთა და ლომთა მეომრობა, ნეტამცა არა ეშობე დედასა! ამა წამსა შავი მიწა წითლისა ვარდისა ფერად შევლებო და მბრუნავი ეტლი შენზედა ვატარო.

რა ისპან ფანდველ ესე საუბარი გაიგონა ქარიმან ფალავანისაგან, აგინა, შეუზახნა, და ზედა მიუხდა. მოიქნივა ლახტი, ფარსა დაუკრა ქარიმანს და ფარი ძლიე გაუტეხა. მერმე ფალავანმან ქარიმან დაჰკრა მისი მძიმე ლახტი თავსა, და კაცი და ცხენი ერთმანერთსა ჩაანაყა და მიწასა შიგან ჩაატანა, მითამცა არაოდეს ყოფილ იყო.

რა მისთა ლაშქართა შეიგნეს, ერთობილთა თავსა მოიხადეს და სრულად საყელონი გარდისხივნეს. მერმე ფანდველის ძმა გურდამარდიად მოვიდა. რა ფალავანმან ქარიმან დაინახა, ვეფხივითა მიუხდა, იქით იმან შემოუტევენა და ლახტი დაჰკრა ქარიმანს. სტაცა, მისი ლახტი წაართვა და შორს გაუგდო. აგრე მოიქნივა და ქარიმან დაჰკრა, თავი და ტვინი ერთმანერთსა აურივა, სოფელსა გამოასალმა.

რა თაბალი ჰინდი შეიგნა გურდამარდის სიკუდილი, აგრე ხელმწიფესა ფარმანი მოსთხოვა და მოედანშიგან მოვიდა, და ფიცხლა ქარიმანს შეუტევენა. შუბი შემოსცა, მერმე სტაცა შუბსა, მოსტეხა. დაჰკრა მისი მძიმე ლახტი, მიწაზედა დაანარცხა, თავი, ტანი ერთმანერთსა გაეყარა და ფალავანი ქარიმან იქვე მოედანშიგან იღდა.

რა ლაშქართა თაბალი ჰინდის სიკუდილი შეიგნეს, ერთობილთა თავსა მოკაღეს და საყელონი გარდისხივნეს. მერმე ზააქ საბი ჰინდო, ფეროზ ჰინდო, ჯამი ჰინდო, მაქი ჰინდო შემოუზახნა. წამოვიდეს და შემოუტევენს.

რა ქარიმან ფალავანმან დაინახა, ლომივითა შეყვირნა და თვალნი გამოანათა. წინა პირველი საბი მოვიდა, დაჰკრა და გააგორვა. სხვა მოუხდა, ლახტი გადმოჰკრა. მიჰყო კელი, წაართვა. ლახტი უკუჰკრა პირსა უკულმა. პირისა ტვინი და კბილები უკანით გააყრევინა.

აგრე წამოიღეს ქაიანური დროშა. ჰკრეს ბუქსა და ტაბლასა და გახშორა-
და ნალარისა კმა. შემოუტყვენეს ერთმანერთსა და შეიქნა ზახილი და დაუშინეს
შუბითა, კრმლითა, ლახტითა და ხანჯრითა. ხრმლისა და ლახტისა ნალეწი ას-
რე ცვიოდა და ამას ჰგუნდა, თუ ზეცისდაღმან მენი ცუივისო. შეიქნა აბჯართა
ელვარება და კრმალთა ტარციალი. სითაცა ფალავანი ქარიმან მიუხდის, კაცი
ერთმანერთსა შემოაწყვიდის და თავსა მოსწყუეტდის და სხუასა კაცსა ესრო-
დის და, სითაცა მოვიდოდის, როგორაცა ლომსა დამფრთხალი კანჯრისა ჯოგი
მოყავდეს, აგრე მოყუანდის. აღარა შეიგნებოდის რა. მკუდრისა ჯარისაგან
გზანი შეიკრნეს და სისხლმან ხანდაცი გაეყუყა.

სამსა დღესა და ღამესა ომი იყო და ველარა დადგეს. გააქციეს ზააქის
ლაშქარნი და ზააქ. მიეწოდოიან, ჩამოყრიდოიან, დაიფორიაქეს და ამოსწყვიტეს,
რომე რისხუა ღმრთისა დასცეს. ზააქ და მისი შვილი ფარუხ წავიდეს და ფრ-
დონ გამარჯვებული მათსა ნასადგომეზედა დადგეს. მერმე მოითულა ფრ-
დონ ზააქის ტახტი, ჯიმშედს რომე წაერთმევიანა დევთაგან, გუირგუინი, საკელ-
მწიფო ქუდი, ტავაყი, სარტყელი, საქონელი, რაცა სახელმწიფო იყო, ფერად-
ფერადი. მერმე, რაცა ლაშქართა დარჩომოდა, ისი მოიღეს და ყუალაი ერთ-
მანერთზედა დაყარეს: კარვები, სალაფარდანი, ოთაღნი, ორხაო, საგებელი.
სხუა მრავალთა ფერად-ფერადთა ყუმაშთა დატენილი ზანდუეები და მათრამა-
ნი, ოქრო, თვალი, მარგალიტი, აქლემები კიდებული, აბჯარი, ქეჯიმი და სხუა
მრავალი საქონელი, ანგარიშ-მიუმხუდარი, დაყარეს. ასდონი ერთისა ადგილი-
სა, რომე ოთხი ისარი გააგდეს და ძლიე თავსა ვაღაიყვანეს.

მერმე ოთხად გაყო კელმწიფემან ფრიდონ: ორი წილი ქარიმანს ფალავან-
სა მისცა, ერთი ლაშქართა მისცა, გაუყო, ერთი სალაროსა შეაღებინა. მერმე.
რაცა კელმწიფესა ებოძა ქარიმანისათვის, მან ვასცა ლაშქარზედა. ასრე რომე
ასი ცხენი, ასი ჯორი და ათი პილო ოქროთა კიდებული ჰქაქს გაუგზავნა,
ასი ცხენი, ასი ჯორი საქონლითა კიდებული და ათი პილო ოქროთა ქაქს გაუგ-
ზავნა, ასი ცხენი, ასი ჯორი საქონლითა კიდებული და ათი პილო ოქროთა ყა-
რანს გაუგზავნა, ასი ცხენი, ასი ჯორი კიდებული საქონლითა და ათი პილო
ოქროთა ყუბადს გაუგზავნა და სხუათა, როგორაცა ვის მართებდა, აგრე გას-
ცეს და იმ ღამესა იქ დადგეს, ნადიმი გარდაიკადეს.

რა გათენდა, საწუთრო დააშუენა მაშუენებელმან ეტლმან, აგრე ჰკრეს
ბუქსა და ტაბლასა, დაეკაზმეს და წამოვიდეს და გამოიძლუნეს წინა ქაიანური
დროშა. იარეს და ზააქს ველარა მოესწრნეს და შამის ქალაქად შევიდეს. ციხე
წაულეს.

კელმწიფე ფრიდონ და სხუანი თავადნი დარბაზს კარსა მივიდეს, სადაცა
ზააქის დარბაზი იდგა. მერმე ორნივე ზააქის ცოლნი წინა გამოეგებნეს, ჯიმშე-
დის ქალნი. როდეს ჯიმშედ მოკლა, ქალნი კელთ დარჩეს, ორნივე ცოლად
დაიკრთა.

რა ფრიდონ ნახეს, ზააქის ცოლთა მოეწონა და ორნივე წინა მოეგებნეს.
ფრიდონ აქეთ მიეგებნა და ორნივე კელსა შემოეხვიენეს, აგრე საწოლსა შევი-
დეს, ერთი ერთკენ მოიწიენა, მეორე — მეორეგნით.

მერმე გაქცეული ზააქ ორმოცითა კაცითა დაბრუნდა და შამის ქალაქისა-
კენ წამოვიდა, და მისი შვილი ფარუხა-ზააქ მისრეთს გაგზავნა, რაცა ლაშქარი
შერჩომოდა, თანა წაატანა.

ზააქ დაბრუნდა ორმოცითა კაცითა, შამს მოვიდა ღამითა, და ციხის კარი

დაყრილი იყო. აგრე მოიტანეს საგდებელი და შესტყორცა ზააქ და კარისა თავ-
სა გარდააცუა, მოეკიდა. მასვე წამსა აეხვივა, ავიდა. ისი ორმოცი კაცი იქი-
ციხის ძირსა დაადგო.

რა ციხეშიდან შევიდა, წაიარა და საწოლისა ერდოსა მივიდა, ჩაიხედნა,
ორნივე ცოლნი ფრიდონს გუერცა უწვეს და, რა ნახა, ფიცხლა კრმალი გა-
მოიწუადა. აგრე შემოხედნა ქუეშედალმან ერთმან ცოლმან, დაინახა, ფიცხლა
იცნა და მასვე წამსა ფრიდონს მოახსენა, ვითა: ზააქ მოსულა ციხესა, აგერა
ერდოსა იყურებს, მოწუდილი კრმალი ჭელთა აქუს.

როგორცა ფრიდონ შეხედნა, დაინახა, აგრე ფიცხლა წამოიჭრა და აიტა-
ცა მისი მძივე ლახტი და კართა გამოეარდა. რა შეხედნა, დაინახა: მოწუდილი
კრმალი ხელთა ჰქონდა, როგორცა შესახედსა შეხვდებოდა, ფრიდონ აგრე
მოუხდა, ზააქ კრმალი მოუქნივა თავსა ფრიდონს. თავი მოარიდა, დაიკლუნვა.
მერმე ფრიდონ ლახტი დაჰკრა თავსა, დააგორვა. მეორესა სხუასა რომე ულა-
მორდა დაკრესა, და აგრე ანგელოზმან დაუხახნა, თუ: სუ მოკლაო, ჭერეთ მა-
გისი დღე არ გათავებულაო, დამოვანდისა მთაშიგან ერთი ბნელი ორმო არის,
და ზურგსა ერთი შოლტი ტყავი ააძრევე, და კოჭნი გაუხუტრეტენ და იმაშიგან
თავდალმა ჩაიკიდე!

რა ესე საუბარი გაიგონა ფრიდონ, აღარა მოკლა, აუშუა და მაგრად
მკარნი უტყარნა. მერმე გაგზავნა ამოვანისა მთაშიგან. როგორცა მიიყუანეს,
აგრე ზურგსა ერთი შოლტი ტყავი ააძრევეს და კოჭნი გაუხუტრეტენს, თავდალმა
ჩაიკიდეს იმა ბნელსა ორმოშიგან. მეორედ მოსულამდი იქი არის.

აქა ზააქ ათასსა წელიწადსა იპატრონა, რომელსა ეშმაკისა მანქანებითა მჯარსა გუელნი ამოუვიდეს

მერმე ფრიდონ ფალავანთა თავი ქარიმან, ჰშაქ, ქავე, ყარან და ყუბად და
სხუანი თავდანი იხმნა. ეაზირობა შექნეს. ასრე მოახსენა ჯელმწიფემან ფრი-
დონ ფალავანთა და თავადებსა, ვითა: აწ როგორა ექნათ, ზააქის შვილი ფარუტ
მისრეთს წასულა და კიდევე ზააქის ძმა თამაზ ალა-ყალას შესულა, რომე მას
უმარგესი ციხე ცათა ქუეშე არ არის. აწე, თუ მისრეთს წავიდეთ, მერმე თამაზ
გამოვა ციხისდალმან, ყულასა კიდევე დაიჭირავს, თემსა და ქუეყანასა ამოსწ-
უუეტს და, თუ ალა-ყალას უწინ წავიდეთ, მერმე ფარუხთული ზააქის დისწუ-
ლი არის, ისიცა მოესწრების და ავად დაგუემართების!

რა თავადებმან ჯელმწიფისაგან ესე გაიგონეს, ასრე მოახსენეს, თუ:
როგორცა გამოარჩევთ, პატრონნი ხართ! ასრე ბრძანა ფრიდონ, თუ: შუა გავი-
ყუნეთ, ნახევარი მისრეთს წავიდეთ და ნახევარი ალა-ყალას მივადგეთ! რა ესე
ბრძანება მოისმინეს, ყულამან ნება დართეს და ესე რჩევა დაამტკიცეს.

აგრე ქარიმან ფალავანი ალა-ყალას გაგზავნა ორმოცდაათითა ათასითა კა-
ციითა. ფრიდონ მისრეთს გაეკაზმა. რა მივიდეს, ალა-ყალას შოადღეს და ერთსა
თვესა ადგეს. აგრე ქარიმან ავად გახდა და შვილსა ნარიმანს კაცი გაუგზავნა,
იქი იხმო. ვირემდის მოესწრებოდა, იგი სწორუპოვარი, ვალავანთა თავი, ლომ-
კაცი ქარიმან მიიტყალა: ამა სოფელსა გამოვსალმა.

წესია ამა მალორებელისა დარბაზისა, არავის გაუთავდების. სრულად
ლაშქართა თავს მოიხადეს, საყელონი გარდინიენეს, მჯართა ჩაიქადნეს, თაბუთი
შეუქნეს, ციხესა უკმოეყარნეს და ზაულისტანსა წაასუნეს.

ქარიმანის სიკუდილი, ფალაენობა ოცდაათსა წელიწადსა ქნა

რა მისაგან ნახმობი შეილი მისი ნარიმან მომავალი მოვიდოდა მამისა სანახავად, გზაზედა მკუდარი წინა შემოეყარა. წინა კაცი მოეგება და მამისა სიკუდილი უამბო. რა მამისა სიკუდილი შეიგნა ნარიმან, ცამან ვითა დაიყვირა და ალაგზედა დაეცა, მღელვარე ზღუა ვითა იქეთ და აქეთ ეხეთქებოდა. ვეფხმან ვითა გული დაიხივა, საყელონი გარდისიენა, თავსა მიწა გარდიყარა და აგვითი ზაულისტანს წავიდეს შექნეს.

მერმე სიკუდილი ფრიდონს მიესმა. რა ფრიდონ ქარიმანის სიკუდილი გაიგონა, საჭელმწიფო ქული მოიხადა, ხეფთანისა საყელონი გარდისიენა და გლოვა დაიდვა, აგრევე თავადებმან შექნეს გლოვა. აშაქ, ქავ, ყარან და ყუზად, ორმოცსა დღეს იგლოვენს. მერმე თავადებმან მოახსენხა ქელმწიფესა ფრიდონს, ვითა: გეყოფის, გლოვა ქელმწიფეთა არა ხელია! სად არიან ზავ, ფათრათი, გურჯასპი? ეს არის ამა მალორებელისა სოფლისა წესი. აწე ერთი ხელი საბოძვარი და შესამოსელი გაუგზავნე ნარიმანს და აქა იხმეთ მძიმე გუარითა, ლაშქრითა და გლოვისაგან გამოიყუანეთ, მისისა მამისა ქელი ყუალაი მიეცი და დალოცეთ!

რა ფრიდონ ქელმწიფემან თავადებისაგან ესე მოისმინა, აგრე ერთი თავადი გაუგზავნა, ერთი ქელი ტანისამოსი მისი ნაცვამი, საკელმწიფო და ცხრა-ჩერ ცხრა და ესე დავედრა, თუ: ჩემგან უფრო შენ არ გიყუარდა ქარიმან ფალაენი, მაგრა სოფელი მისს ბეგარასა არა დაიკლებს. აწე, ვირემდის ჩვენნი მტერნი დაგვითამაძდებოდეს, უწინ ჩვენ მიუხდეთ ზედა, ამოვსწყვიტოთ. შენთა პაპათა და მამისა ქელი შენ გმართებს და შენვე ქმენ, ფალაენობა და მეორობა შენსა მეტსა არავის შეფერობს!

შესთვალეს ესე პირი და გაგზავნეს ნარიმანს წინაშე. წავიდეს, იარეს, მივიდეს ნარიმანს წინაშე. რა მივიდეს ზაულისტანს, მერმე ნარიმანს წინაშე კაცი გაგზავნეს წინათ და ესენიკა მივიდეს. რა ნარიმან მოციქულთა მოსულა შეიგნა, ფიცხლა შესხნა, ადგა: წინა მოეგება და სალაში მოახსენეს ერთმანერათსა. მერმე დასხდნეს.

ნარიმან ქელმწიფისა ფრიდონისი და სხუათა თავადთა ამბავი კვითხა: კშაქისა, ქავისა, ყარანისა და ყუზადისი, თუ: ვითა არიან ფალაენი და სხუანი თავადნი? მერმე მოციქულთა ყოველი ნანახი და ყოფილი, ქელმწიფისა ნაუბარი და თავადთა ნათქუამი უკლებლად მოახსენეს, აგრე ქელმწიფისაგან გამოგზავნილი საჩუქარი და შესამოსელი მოართვეს. აგრე ნარიმან ფალაენი ზე ადგა და მადლი გარდიკადა. მერმე წიგნი მოართვეს, პირსა დაიდვა, წაიკითხა და ქელმწიფე დალოცა. აგრე შარბათი და ხილი მოადგიზინეს. მერმე კაცი და წიგნი გაგზავნა, ლაშქრისათვის სახმობარი, ზაულისტანს, ქუაბულისტანს, ინდოეთის კართა. მერმე მოვიდა ყუალაგნით ლაშქარი, დაჰკრეს ტაბულაკსა და გამოემართნეს ორმოცდაათითა ათასითა კაცითა და წამოვიდეს. ვირემდის ესენი მოვიდოდეს, ფრიდონ ქელმწიფე გაეკაზმა მისრეთს და წაივინა.

[აქა] ფრიდონისაგან მისრეთს წასულა

მწიგნობარი იკმო და ლაშქრისა საკმობარი წიგნები გაწერა. და მოვიდა მრავალი ლაშქარი, დადგეს ქალაქისა გარეთ, დაიდგნეს მრავალფერნი კარაენი. აგრე გამოიღეს ქელმწიფისა სარაფარანი, ოთაღნი, კარაენი და ნოხნი, საგე-

ბელნი მრავალფერნი, საკურკლენი და გამოიტანეს მძიმე[დ] მოთვალმარგალი-
ტული ტახტი, დადგეს. გამოვიდა კელმწიფე ფრიდონ და მაზედა დაქდა.

მერმე სრულად თავადნი და ლაშქარნი მიეგებნეს წინა, და ერთობილთა
კელმწიფე დალოცეს და პირი მიწასა გააერთნეს. მერმე კელმწიფემან მაღლი
მოახსენა. აგრე ჰკრეს ასაყრელსა კმასა, ქოსსა და ნალარასა, და შებერეს
ზროხაკულსა და გამოიძლუნეს ქაიანური ღროშა წინა, და ვაემართნეს სამასი-
თა ათასითა კაცითა მისრეთს, სახელსა ზედა ღმრთისასა.

დამწესნი მოვიდეს მისრეთს და ზააქის შვილსა ფარუხ-ზააქს წინაშე და
მოახსენეს, ვითა: აივსო ყოველი ალაგი ლაშქრითა და მოვა მტუყერი საშინელი,
მოუმართებია ფრიდონს თქვენდა სამტეროდ. მამა თქვენი ზააქ კელთა შეუხუ-
რია, დამოვანის მთასა გაუგზავნია სამტუყუოდ და თქვენ, რასაცა გამოარჩევთ,
პატრონნი ხართ! რა ესე ამბავი ესმა ფარუხ-ზააქს, ჰკუა წაუვიდა და ტახტ-
დაღმან ჩამოვარდა. მერმე იდგა. და ერთი ფალავანი იყო, სახელად ყაბან ერქუა.
სამოცი აღლი სიმაღლე ჰქონდა, ისი იკმო და ესე ამბავი უამბო. ამანედან
ფიცხლა ყოვლგნით ლაშქრისათვის წიგნები და კაცი გაგზავნეს. და მოვიდა
ფიცხლა ლაშქარი, შემოვიდეს და ქალაქად დადგეს და ზოგი ქალაქსა გარეთ
დადგეს.

მერმე მოვიდა დიდი მტუყერი, ლაშქარი, და წინათ ქაიანური ღროშა მოუქ-
ლუებოდა ფრიდონ კელმწიფესა და ეგეთი, მოვიდეს და პირდაპირ დადგეს, და
დაიკენეს მრავალფერნი კარავნი და ოთაღნი, და შემოავლეს მის გარშემო
სარაფარდანი. აგრე მოიტანეს ფრიდონ კელმწიფისა ტახტი და შუაგულობასა
დადგეს, მძიმედ მოთვალმარგალიტული. და მოვიდა ფრიდონ კელმწიფე, სა-
კელმწიფო მძიმე ქული თავსა დაირქუა, მაზედა გვირგვინი დაიდგა, აგეთი ტახ-
ტზედა დაქდა.

აგრე ფარუხ-ზააქისა გამოიღეს სამძიმარი ბარგი და კარავნი, და გამოვიდა
ლაშქარი ქალაქს გარეთ, დადგეს ერთკინთა ისინი. დადგეს კარავნი და შემოავ-
ლეს აგრე სარაფარდანი, და შუაზედა მძიმე ტახტი დადგეს. მაზედა გავიდა
ფარუხ-ზააქ, დაქდა საკელმწიფურითა შესამოსლითა.

აქა ფრიდონ კელმწიფისა და ფარუხ-ზააქისა ომი და მათთა ფალავანთა

რა გათენდა, ლაქვარდისა ფერსა ცასა სინათლე მიეცა, მასკულავთა წაუ-
ლო ელვარება და საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო, და კირჩხი-
ბისა ქანგისაგან დაეხსნა, და გუმბაღსა ზედა ამაღლდა, შავსა გიშერსა ყირმიზი
იაგუნდი ვარდი მოჰფინა, აგრე ჰკრეს ორგნითეე კმა საომარი ქოსისა, კუნესა
სტვირთა სარაზმოთა, გამოაბეს თეთრი მძივი პილოსა, ნაფირთა, ზროხაკულთა,
ნადარა, ზაბულური, სპილენ-ჰურთა და სინჯთა. აგრე აწყუეს ორგნითეე რაზ-
მი. ფრიდონის კელმწიფისა რაზმშიგან მარჯუენესა მქარსა ჰმაქ იყო, გოსტასა-
მის შვილი, და ქავის შვილი ყარან, მარცხენასა მქარსა ქავ და ყუბად იყუნეს,
შუაზედა ხელმწიფე ფრიდონ იდგა, თეთრს პილოზედა ტახტი დაუდგეს და
მაზედა დაქდა, წინათ ქაიანური ღროშა აემართა.

აგრე იქით აწყუეს რაზმი. ხუთასი ათასი კაცი იყო, მარჯუენასა მქარსა
ყარამა იდგა, რომე მისი უმაღლესი ფალავანი არ იყო იმა ლაშქარშიგან. მარცხე-
ნესა მქარსა თუალი ზანგი იდგა.

შეიქნა ორსავე რაზმშიგან კივილი და მოსაწყევარი, დრგიალი და კუნენსა. აგრე ქავისა შვილი ფალავანი ყარან მოვიდა, საწუთროსა დამბადებელი ახსენა, პირი მიწასა გააერთა და კელმწიფე დალოცა, და აგრე პირი მოედნისაკენ ქნა. რა მოედანშიგან მოვიდა, ცხენი შემოიბრუნა და თავსა შუბი შემოივინა.

აგრე ფარუხ-ზააქ¹ ერთი ზანგი გამოუგზავნა. რა მოედანშიგან მოვიდა, აგრე ყარან ფიცხლა ცხენი შეუტრევა და პირველსავე მისვლასა შესცა შუბი და მოკლა. რა ზანგისა სიცილილი მოინახეს, ფარუხ-ზააქ ერთი ზანგი სხუა გამოგზავნა. რა მოედანშიგან მოვიდა, ფიცხლა შემოუტრევა, ლახტი დაუკრა და ფარი ვერა მოუშალა. მერმე ყარან დაკრა აღმასფერი კრმალი, და მკერდამდის ჩაკუეთა და საწუთროსა გამოასალმა. აგრე ფიცხლა სხუა ზანგი გამოგზავნა, და ფიცხლა მოედანშიგან მოვიდა, შემოუტრევა, ავინა და შემოუზახნა. აგრე ყარან მიეგება წინა, შუბი შესცა, გარდასვა, კელი მოსტეხა და შორს გაავდო. მერმე გაგულისებულმან მოიქნია მისი აღმასფერი კრმალი, დაკრა თავსა და წინას ტახტსა დაასო. რა ასეთი მოქნევა ნახეს, მერმე სხუა ზანგი გამოგზავნა და, როგორაცა მივიდა, მასვე წამსა მოკლა. მერმე აღარა გამოგზავნეს.

რა ყარან ფალავანი იქივე მოედანშიგან იდგა, მემუქარესა მოელოდა. აგრე გაგულისდა ფალავანი თული ზანგი და მოვიდა კელმწიფესა ფარუხ-ზააქს წინაშე, თავსა მოიკადა და პირი მიწასა გააერთა, ადგა და მოედნისაკენ წამოვიდა. რა ყარან თული ზანგი დაინახა, აგრე ცხენი მოიბრუნეა და შუბი თავსა შემოივინა. აგრე თული ზანგმან შემოუზახნა და მოუხდა ყარანს. აქეთ ყარან მოუხდა და ერთმანერთსა შუბები შესცეს და არა რომელმან ჩამოავდო, ორთავე შუბები გაუტყდა, მერმე კრმლითა გაიციემნეს, კრმლები დალევნეს, მერმე მოიქნია მძიმე ლახტი თული ზანგი და ყარანს დაკრა, ყარან თავსა ფარი დაიდგა, ფარი თავსა დაალეწა, თავი მოარიდა, დაუკრა ცხენსა თავსა, ცხენი მოუკლა ყარან და ჩამოავდო, და ერთი კელი მოსტეხა.

მერმე ჰკრეს ბუკსა და ტაბლაკსა. გახშირდა ნაღარათა კმა და შეჰკივლეს ერთმანერთსა. ასეთი ზახილისა კმა წაეიდა, რომე სამისა დღისა სავალსა ისმოდა. და წამოიღეს ფრიდონის ტახტი და გამოიძღუანეს ქაიანური დროშა, მოესწრნეს ყარანს, კიდევვე წაგვარეს. მერმე მოვიდეს წინათ დარჩეული ფალავანი ჭირასულნი მეომარნი, შუბებითა მრავალი თავადნი ჩამოყარეს. აქეთ შიგან გამოსცივდეს. აგრე მოვიდეს მერაზმენი და ასეთი ისრისა სიმრავლე მოვიდა. რომე მზე დააბნელა ისრისა სიმრავლემან და წვიმისა შიშინისა კმასა ჰვუნდა. სიმრავლისაგან აერიენეს ერთმანერთსა, მრავალთა თავადთა თავი უპატიოდ ცვიოდა და მიწათა თანა გასწორდა. შუბისა, ლახტისა და კრმლისა ნალეწი ლურჯსა რიყესა დაემსგავსა. დილით საღამომამდის ომი იყო. მკუდრისა სიმრავლისაგან საწუთრო შავსა ხანგსა ჰვუნდა და აღარა ივლებოდა რა სისხლისა ტალახისაგან. ფალავანთა სისხლი ლუარულებ ჩასდიოდა. ჭაქუსა, ჭავშანსა, ხუფთანსა წითლისა ვარდისფერად ღებვიდა, და დაილაუნეს, აღარა რომელს შეეძლო; და სიღამემან გაყარნა და თავის სადგომზედა დადგეს.

ფრიდონის ლაშქარი ერთობ ამოსწყდა. მერმე უხმო ფრიდონ ჰშაქს, ქავს, ყარანს და ყუბადს და სხუანი ვაზირნი და ვაზირობა შექნა. ასრე ბრძანა კელმწიფემან: თუ ნარიმან არ მოგუესწრების, ჩვენი ყოფა ერთობ ავათ და სათუოდ არის, ლაშქარნი შეგვიემციოდეს და იმა ერთისა კაცისა მეომარი არა

¹ აქედან S—1594 ხელნაწერს აკლავ.

გუყავს. აწე ამას ღამე ფიცხლათ წიგნი და კაცი გავგზავნოთ ნარიმანს წინა-
შე, რომე აღრე აქა მოგუესწრას. ბინდის ხანს მივიდეს, შუალამე წამოვიდეს,
თუ შუალამე მივიდეს, გათენებამდის წამოვიდეს, ნულარას დაიყოვნის!

აგრე ერთსა ფაიქსა უბრძანა და მიუწერა წიგნი, ვითა: ფალავანო და ფა-
ლავანთა ზურგო, სფადარო, ლაშქართა პირის წყალო, პილოტანო, ახოვანო,
ჩაევარსრულო, ახალმოწიფულთა ფალავანთა და გულოვანთა რქაო, ბასრისა
კრმლისა ქარქაშო, კანგმანვილო, ნიანგთა, ღვეთა შემკურელო, ტახტისა და
გვირგვინისა მამაგრებელო! რა მოღალფებისა ეამი არის, რაცა ფალავანთა და
გულოვანთა, პაპათა და მამათა შენთა უქნია, იგივე შენ გმართებს. აწე რა ესე
წიგნი და კაცი მოგივიდეს, ნულარას დაიყოვნი. ბინდზედ მოგივიდეს, შუალამის-
ეამსა წამოღით, შუალამის ეამს მოგივიდეს, ვათენებამდის წამოღი. მესისხლო-
ბისა კრმალი გამოიწუადე და ქარიმან ფალავანისა, მამისა შენისასეული, მძიმე
ლახტი მქარსა შეიდექ! ნულა დღისით და ნულა ღამით ნულარა ყოვნი და, თუ
აღრე არ მოგუესწრები, ჩვენი საქმე ერთობ აუად ჩანს, ბადეშიგან ვაბიჯართ,
ლომისა კანგსა შიგან ჩაუცივნილი ვართ!

ღასწერეს ესე წიგნი და მისცეს ფაიქსა. წავიდა შავარდენივითა, იარა და
შამის კარსა შეეყარა. იქი მოსულ იყუნეს და დადგომილ იყუნეს. რა ფაიქი მი-
ვიდა, შეადლობისა ეამი იყო, და მრავლად კარვები დაედგა და დაბარჯულ
იყუნეს. ნარიმანს სარაფარდა შიგნით ოთალი ედგა და ოთალი კარსა საივანე
ედგა და მაშიგან იქდა. დიდსა მთასა ჰკუანდა, ასოცი ადლი სიმაღლე ჰქონდა.
თითო მქარი თითოსა კანდრისა სიგრძე ება. თითები ძელისა ნამორსა უგუანდა.
თავი დიდისა გუმბადისა ოდენი ება და ოდენ ჩამომხდარ იყუნეს, დასუენებად
სხდეს.

აგრე ფაიქი წადგა, ჩოქი დაიგდო, წიგნი მიართვა. ნარიმან ფალავანმან
წიგნი გამოუღო, თულთა და პირსა დაიდვა, საწუთროსა დამბადებელი ახსე-
ნა და კელმწიფე დალოცა. მერმე წაიკითხა. და რა წიგნისა პასუხი გაიგონა, ას-
რე ბრძანა, თუ: დიდი რამე მისჭირებიაო. ჩაევრისაგან თულთა ცრემლი გარდ-
მოვიარდა. აგრე გამშაგებული ვეფხივითა წამოვარდა და შეუზახნა ლაშქართა.
შეიქნა ყულაგნით კივილი, ჰაი და ჰუი, მოცხენი და მოაბაჯარი, ჰკრეს კმასა-
ასაყრელსა ქოსსა და ტაბლასა. შესხდეს და მასვე წამსა წამოვიდეს, როგორა-
ცა მჩქეფრი წვიმა. ასეთი მტუერი ავიდა, რომე ათისა დღისა საეაღსა გამოჩნდე-
ბოდა, და ცხენთა ნალსა წინწკალი სციოდა, ნარიმანის სიმძიმისაგან მიწა იძ-
როდა და თრთოდა, და გაგულსებული ლომივითა მობრდღვინვიდა და მოვი-
დოდა. სადაცა გზაზედან კანდარნი დახუდიან, მოჰკრის კელი, დაღეწის და
დაფშენიტის და გაყარის, ასეთი გაგულსებული მოვიდოდა. მისისა მამისეული
მძიმე ლახტი, ორი ათასისა ლიტრისა მქარსა შეიდედა, მკლავნი უკუეკენეს,
კანგნი გაემახუნეს და აგეთი მოცორვიდა, და ვირგმდის ესე ფალავანი ნარიმან
მოესწრებოდა, ფრიდონსა და ფარუბ-ზააქს შუა ომი შეიქნა.

ერთი ჭაშუში მოუვიდა ფარუბ-ზააქს და მისთა ფალავანთა ყარიპაძეს,
თულა ზანგს ასრე მოახსენა, ვითა: მი:ვა ორმოცდაათი ათასითა დარჩეულითა
ზაულისტანელითა ლაშქრითა ნარიმან ფალავანი, ქარიმანის შვილი, მაგრა მი-
სის სიმაღლისა ამბავი არა ითქმის. ას ოცი ადლი სიმაღლე აქუს და მისისა მამისეული,
ორი ათასისა ლიტრისა ლახტი მქარსა შეუტ. აგრე გაგულსებული
ღვეივითა და მთვრალი პილო ვითა თქვენდა საომრად მოვა.

რა დაშუშისაგან ესე ამბავი გაიგონეს, ასრე ჰკითხეს, ვითა: სადა გამოე-

ყარე? მან ასრე მოახსენა, თუ: შამს იქით მოვიდა, რომე მე გამოვეყარე, ანუ ხუალე სალამოს უამსა მოვა, ანუ ზეგე აღრე შემოეყარების. მერმე ვაზირობა შექნეს და ასრე მოახსენა ყარაპდი და თულა ზანგი ფარუბ-ზააქს, ვითა: ვირემდის ისინი მოვიდოდეს, მანამდის ამათ შევებნეთ და, თუ ამათ მოვერევიეთ, მერმე იმათა აღარა შეეძლებს რა. გამოარჩიევეს შებმა და დაასყუნეს ხუალისად ომი.

ფრიდონისა და ფარუბ-ზააქისა ომი

რა გათენდა, ლაყვარდის ფერსა ცასა სინათლე მიეცა, ყირმიზი ფარდაგი მოეფინა და საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო, და კუპრზედა წითელი ვარდი და იაგუნდი მოჰფინა, აგრე ჰკრეს კმა საომარი ქოსისა, კუნესა სტეირთა სარაზმოთა, გამოაბეს თეთრი მძივი ჰილოსა, შებერეს ნაფირთა, ზროხაყუდთა, ნალარა, ზაბულური, სპილენ-ჰურთა და სინჯთა, აგრე ჰკრეს რაზმსა. ფრიდონის რაზმშიგან მარჯუენესა მკარსა კშაქ და ყუბად იღგეს, მარცხენესა მკარსა ქავ და ყარან იღგეს. ფარუბ-ზააქის რაზმშიგან მარჯუენასა მკარსა ყარაპადი იღგა, მარცხენასა მკარსა თულა ზანგი.

აგრე შეიკლეს ერთმანერთსა, აგრევე ამართეს დროშანი, მერმე მოედანშიგან ყარიბდ მოვიდა, საომარსა ადგილსა დადგა, შუბსა თავსა ივლებდა, მუქარასა ითხოვდა. ჰელმწიფემან ფრიდონ რა ყარიად მოედანშიგან მოსული დაინახა, ასრე მისთა ლაშქრიდელმან ერთი მეომარი გაგზავნა.

რა ფრიდონის ფალავნისაგან გუვიანად მოსულა შეიგნეს, აგრე შეიქნა ომი ფიცხელი, თუ სთქუა, ცასა მიწასა თანა სცემნო. შეიქნა ცემა კრმლითა, აფთითა, ლახტითა, ხანჯრითა. ასრე ცვიოდა კაცი და ცხენი ალაგზუდა. როგორაცა ხშირად ჰაერთა წვიმა ცვიოდეს. მრავალი შუა გაყუეთილი კაცი ცხენსა ზედა ეციდის. ასეთი მტუერი ავიდა, რომე მზე გაუჩინარდა და საწუთრო შავსა კუპრსა დაემსგავსა, და დაღამდა კიდეცა.

ასეთი ქარი და წვიმა და ნისლი შეიქნა, რომე აღარა შეიგნებოდა რა. და ერთმანერთსა ველარა სცნობდეს, რომელი რომლისა იყო, მკუდრისა გორა თაყარად იღგის, თავი ტანსა სალაშსა გაუგზავნიდის, საჭურველისა ნალეწითა მინდორი კარკლიანად შეიქნა. ასეთი სისხლისა ლუარი ჩამოვარდა, რომე ხანდაკი გაყუეთა, მკუდარი მოჰქონდის და კაცი ველარა გავიდოდის. ერთსა დღესა და ღამესა ომი იყო.

რა გათენდა, შეხედნეს: ფრიდონის ლაშქარი შემკრობოდა, ზოგი დაქოცილი იყო და ზოგი გაქცეულიყო. ზოგი აღმა წასულიყო, ზოგი ჩაღმა დაღმალულ იყუნეს და, რაცა უკეთესი დარჩეულნი მეომარნი ფალავანი იყუნეს, ჭიანურსა დროშასა გარე შემოხვოდეს და ომი იყო. ხელმწიფე ფრიდონ—პილოზუდა ტახტი იღგა — მახედა იჭდა.

რა ყარიად ჰელმწიფე დაინახა, მას მიმართა. რა ქაეის შვილმან ყუბად დაინახა ხელმწიფესაკენ მიმავალი ყარიად, აგრე ფიცხლად წაცორდა და წინა გარდეჯარა და ფრიდონისათვის გამომზადებული მან იყრა, და დაჰკრა ყარიად ყუბადს, ფარი თავსა დაიდგა და თავი მოარიდა, ფარი დაუმსხურივა, ჩაჰკრა, ერთი ხელი და ერთი ფერჯი მოსტეხა, ცხენი მოუკლა და ჩამოაგდო. მერმე ჰელმწიფესა ფრიდონს ზედა მიდგა და მოუქნივა ლახტი და, როგორაცა თავსა დაჰკვრასა ულაშოდა, აგრე ტახტიდელმან გარდავარდა და თავსა მოახუდრა,

ცოტა თავი გაუტეხა და დაჰკრა ტახტსა და პილოსა. ტახტი და პილო ყუალა დაამსხურია. თავისისლიანი ფრიდონ ქუეითი იქით და აქეთ იარებოდა. აგრე ყარიაპლი ქაიანურსა დროშასა მიმართა და დაუშინა. ფალავანთა მრავალი თავი მიწათა თანა გასწორდა. და დაუშინა მედროშესა და მკლავნი ზედ დააპრნა და ვერ მოკუეთა დროშისა ტარი. დაუწყო დროშისა ტარსა კრმლითა ცემა და წამოდრიკა, აგრე მიეშუელა ქავ და სტაცა დროშისა ტარსა. აქეთ ესენი მოკიდებოდეს, სწევდეს ერთმანერთსა.

აგრე შეხედნეს და მოვიდა მტუერი და ალაბური საშინელი. და შუა გაიყო მტუერი და კარნივითა გამოჩნდეს, და შეხედნეს, ლაშქარნი დაინახეს. და ლაშქართა შუაზედა ნარიმან ფალავანი მოვიდოდა. ამას ჰკუანდა, მოგლეჩილა მთა და ისნი მოვიაო. მთვარლსა პილოვივითა პირსა პერული მოსცივოდა, მოკორეედა და მოვიდოდა. და როგორაცა შეხედნეს, აგრე გაუშუეს დროშისა ბრძოლა ფიცხლა და უკუდგეს.

წამოისწრაფნა ნარიმან ფალავანმან. როგორაცა ლაშქარშიგან შემოეარდა, კანჯრისა ჯოგსა ზედა რომე ლომი გაფიცებულ იყოს, გავეფხებული იქით-აქეთ იქურტდა და თვალთა ავლებდა. და, როგორაცა მწყახარი ქორი დურაჯსა დასთამამდეს და დაშუენდეს, აგრე დასთამამდა და საომრად დაშუენდა, მკლავნი უკუიყენა, ჰანგნი გაიმახუნა და მისისა მამისასეული მძიმე ლახტი ხელთა ჰქონდა. ფრიდონ თავჩალეწილი ნარიმანს წინა მოეგება. ნარიმან აღარა უყურა რა და ფიცხლად ვეფხივითა ყარიაპლს გაუხდა. და რა ფარუხ-ზააქ ყარიაპლისკენ მიმავალი დაინახა, შეჰკრთა და ასრე თქუა: ისი ოღონ დევი ყოფილია. აგრე ყარიაპლ ფარი მოაგება. მიუხდა, ფარი შორს გაუგდო ნარიმან, და იმანაცა გააგდო მისი ლახტი. ასრე თქუა, ვითა: ესე მოლაღული არის და მე მოსუენებული. არა ფალავანთა კელია, რომე ეამპოვნილობით კაცი კაცსა მოერიოს. ამაზედა საომარი აღარა შეირჩინა რა. მიჰყო კელი და მჭილითა დაუშინა ყარიადს. დაჰკრა ცხვირთა. ჩაალეწა ცხვირი და წაუეიდა სისხლი. ბლიკვი პირსა ჩაჰკრა, წახივა პირის ტყავი, წაგლიჯა ყური; დაჰკრა პირსა და გარდალიტა პირსა ტყავი, ჩამოადინა სისხლი და გაუმრუდა თვალი. მერმე ასე უთხრა, ვითა: წადი და აგდონი ერთი შექცევა დღეს გეყოფის ჩემგან და ზოგსა ხუალ მოგანახუებ ჩემსა ჰანგსა, ფალავნობისა, გულოვანთა ომსა გირუენებ და გასწავლი ხერხიანობასა. მე ვარ შენი სტუმარი და არიფი! ამის მეტად ჯერეთ ომი არა ენახა და ბერი და გამოცდილი ეტლივითა ომისა საქმესა შეაგნებდა.

რა ყარიად ესე ნაუბარი და თავისა თავი ისრე გასული მოინახა, მერმე ადგა და წყნარად ლაშქართაკენ წამოვიდა. და ომი კიდეცა გაიყარა. მერმე ფრიდონს მოეგება წინა, საწუთროსა დამბადებელი ახსენა, კელმწიფე დალოცა და პირი მიწასა გააერთა. აგრე კელმწიფე მოვიდა, პირსა აკოცა ნარიმანს. სხუა თავადები მოვიდეს, სალამი მოახსენეს, და მოვიდოდან და ხელსა აკოცებდეს.

მერმე თავადნი ფალავანნი მოვიდეს სანახავად: ჰშაქ, ქავ, ყარან და ყუბად. სალამი მოახსენეს ნარიმანს. და მერმე დარჩომა მიულოცა ფალავანმან ნარიმან. აგრე მოვიდა ზაულისტანელი ლაშქარი. დადგეს და დასცეს მრავალფერნი სტავრისა, ქამხისანი კარვები, დადგეს ოთაღნი და შემოავლეს სარაფარდანი. მერმე ჰკრეს ქოსსა და ტაბლაცსა და შეიქნა სიმხიარულე ნარიმანის მოსულისათვის. ასრე აღარა გავიდოდა ფრიდონს, ვითამცა აღარცა ერთი კა-

ცი დაკლებოდა. აგრეცა, სად გაქცეული კაცი იყო დამალული, ყუალაი მოგო-
და და ღიადივე ლაშქარი შეიყარა.

მერმე ფარუხ-ზაქი, ყარიადი და თულ ზანგის მოახსენა, თუ ერთი დღით
უწინ შეებმოდით, აწემცა კელთა გუყუანან, აწე როგორ გამოვარჩიოთ, რას
ბრძანებთ. მერმე თულა ზანგი ასრე მოახსენა ფარუხ-ზაქს, ვითა: შენ ნუ შეი-
კირვებ, ხულა მე ჩავალ მოედანშიგან მისდა საომრად და ჩემითა მძიმითა
ლახტითა გამოვსდდი, თუ ახალი ყმწვილი ფალავანი როგორი მეომარი არის,
მგონია რა ჩემსაცა ერთსა ნაკრავესა ვერა დაუღვენეს, და მაღალი ეტლი მასზე-
და ვატვირო!

რა კელმწიფემან ესე საუბარი გაიგონა თულა ზანგისავან, აგრე მოალე-
ბინა ერთი კელი მისი ტანისამოსი, თულა ზანგი ტანსა შემოსა და მისაცემელი
მისცა. აგრე ყარიადს მისცა, იამუთის ზანგსა და ხულაფი ზანგის. აგრე სრუ-
ლად ლაშქართა ზედა გასცა. და დაიწყეს მას ლამესა საომრად კაზმა. მერმე და-
შუშნი მოვიდეს. ფარუხ-ზაქის, ყარადის, და თულა ზანგის ნაუბარი და ნაუა-
ზირები მოახსენეს ფრიდონს და ნარიმანს. რა ნარიმან გაიგონა, ასრე ბრძანა,
თუ: სადა მოკიდებს ლომი კელსა მელსა ბლარჯის ძებნაშიგან. რაცა მაღლსა,
საწუთროსა დამბადებელსა და მბრუნავსა ეტლსა ეპრიანებოდეს, აგრე იქნა!
მერმე იმ ლამესა ნაღმი ყულავან შეიქნა.

აქა სხუა ომი ფრიდონისი და მისის ფალავნისა ნარიმანისა.
და ფარუხ-ზაქისა და მისის ფალავნისა ომი

რა გათენდა, საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო და გუმბადასა.
ზედა ამალდა, და შავსა გიშერსა წითელი ზეწარი მოჰფინა, ყირმიზი ვარდი
და იაგუნდი წაყარა, აგრე ჰკრეს კმა საომარი ქოსისა, კუნესა სტვირთა სარაზ-
მითა და სინჯთა, გამობავს თეთრი მძივი პილოსა, შებერეს ზროხაკულთა, ნა-
ღარა, ზაბილური, სპილენ-ქურთა.

აგრე აწყუეს რაზმი ფრიდონის ლაშქართა. და მოიყუანეს რაზმის შუაგულ-
ლობასა თეთრი პილო. მასზედა ტახტი დაუღვენეს და იმაზედა დაჯდა ფრიდონ
კელმწიფე. აგრე ფარუხ-ზაქ დაჯდა ტახტზედან ქულოსან-გვირგვინოსანი, სა-
ყუროსან—ტაყოსანი. მარჯუენესა მქარსა ყარიადი და იამუთი ზანგი დადგეს.
აგრე მოვიდა თულა ზანგი ფარუხ-ზაქს წინაშე, დამბადებელისა სახელი ახსე-
ნა და პირი მიწასა დასდვა და ხელმწიფე დალოცა. მერმე შეეკაზმა აბჯართა,
ჯაქვი-მუზარადითა და პილოზედა შეჯდა; ოთხმოცი ადლი სიმაღლე ჰქონდა და
მძიმე ლახტი კელთა ჰქონდა. აგრე მოდანშიგან მოვიდა საომარსა ადგილსა და
დაიზახნა, თუ: ვინ ჩამოხვალთ საომარსა ადგილსა! მე გიჩუენო ფალავნობა,
მეომართა პილოთა ბრძოლა და ჯერტი და ჰანგმახვილობა!

რა ქაეის შეილმან ყუბად გაიგონა, აგრე მოახსენა კელმწიფესა: მე წაეალ
და იმა დევისა გუარისა მე შევებმეი კელმწიფემან აღარა გაუშუა, ვითა: გეყო-
ფის, აქამდის გიბრძოლია, აწე შენ მისი მეომარი არა ხარ და არცა გაბრძოლებ.
მისი შემბმელი სხუა გამოჩნდების!

ამაზედა პილოტანი ფალავანი ნარიმან საომრად გაფიცებულყო, ხელი
და პირი დაიბანა, ილოცა. აგრე ტანსა ხუფთანი ჩაიკუა და მაზედა — ჯაქვი და
ჯაქვანი; თავსა ბერძული მუზარადი დაიხურა და მისი ორი ათასისა ლიტრისა.
ლახტი მქარსა შეიღვა, და აგეთი კელმწიფესა წინაშე მოვიდა, საწუთროსა დამ-

ბადებელი ახსენა, პირი მიწასა გააერთა და ჯელმწიფე დალოცა. და მისი სი-
მალე ას ოცი ადლი იყო. მუზარადი მალალსა გუმბადასა უგუჟანდა. ტანი მალალ-
სა საროსა ხესა უგუჟანდა, პირი და ლაწვისა ელვარება ჯირმიზა ვარდასა უგუ-
ჟანდა. თუალნი მოცინარესა ხესა ნარგისსა უგუჟანდა. მისისა მკერდისა სიბრტ-
ყე ორისა პილოსა ოდენი იყო. მკლავები ჩინარსა ხესა უგუჟანდა. თითები ბრო-
ლისა დათილისა ქუსასა უგუჟანდა. და ყმაწვილსა, გამოუცდელსა ფალავანსა სა-
ომარსა ადგილსა მისულა ასრე მიუხაროდა, ვითამცა ნადიმად და სალხინოდ
მივიდოდეს. ასრე არად სჩანდა ისი ხუთასი ათასი კაცი, ვითამცა ისი კანჭრი-
სა ჟოჯი ყოფილიყო და ნარიმან — ლომი.

ერთობილთა ლაშქართა დაუყვირდა ნარიმანის ესეთი ასაკიანობა და შექმ-
ნილობა. რა ჯელმწიფემან ფრიდონ ასეთი სიკეთე, სამშუენიერე და ფალავა-
ნობა მოინახა, მერმე საქელმწიფო ქული მოიხადა, დალოცა: შენ არა არსთა არ-
სისა მომცემლო და საწუთროსა დამბადებლო, გულთა და გონებათა გამკით-
ხულო, სულისა და ჯორცისა შემაერთებლო და მომცემლო, მოწყალო და
მოსამართლო, შენ დაიცე და უწინამძღურე ჩემთა ლაშქართა და ფალავანთა
თავი ნარიმან: აჲ წალი, რაც პაპათა, მამათა შენთა უქნია ფალავანობა, გულოვ-
ნობა და მეომრობა, აჲ შენზედა პოდგომილა, შენ ქენ! და დალეწე ზურგები
მძიმითა ლახტითა, და თავი და თმა ტანითურთ ერთმანერთსა აურციე! ფა-
ლავანთა ფალავანო, სადაარო, პილოტანო, გულოვანო, ჭაყარ-სრულო, ახოვანო.
დეეთა და ნიანგთა შემკურელო! მბრუნავიმცა ეტლი არის შენი წინამძღუარი.

რა ჯელმწიფისაგან ესე მოისმინა ყმაწვილმან ფალავანმან, აგრე მობრუნ-
და, მოედნისაკენ წამოვიდა. რა თულა ზანგისა თული მოჰკიდა ნარიმან ფა-
ლავანმან, აგრე ლომივითა გაიბერა, მკლავნი უკუიკეცნა, ხელნი შეიფშენიტა,
ქენხო ამოისო, თუალნი გამოანათნა, კანგნი გაიმახუნა და შემოყვირნა ლომმან
ვითა, და მოუხდა თულა ზანგი. ლახტი მიავება, მოუქნივა ნარიმანს ფალავანსა
და ნარიმან მჭარი მიუშვირა; დაჰკრა მჭარსა. არად შეიღვა მისი ლატიისა კრეა.
მერმე ნარიმან ასრე უთხრა, ვითა: პატრონსა შენსა წინაშე გიკვენინია, თუ ახალ-
მწიფელთა ფალავანი მოსულა ზაულისტანით, ხუალე ადრე მოედანშიგან
მივალ, ჩემითა მძიმითა ლახტითა თავსა დავმუსრაო. და ფარუხ-ზაჰს საბოძეა-
რი მოუცემია და ტანსა შეუშოსიხარ. თუ დამიმსხუროო, ჟერ მისი ცოლიცა მოგ-
ცეს, — გურჯასპის შვილის შვილი ჭაბანი როგორ გამოვიდოდა, რომე შენ თა-
ვი გაგვტეხა?!

რა ესე საუბარი დაათვა, მიჰყო ჯელი, ერთი ჯელი ხვაფთნისა საყელოსა
სტაცა და მეორე ჯელი პილოსა მოსართავსა შეუვდო, ასწივნა, თავის სწორად
აიყვნა, პილო და კაცი მოიქნივა და დასცა, ორთავე კიწები დალეწა და ვერცა
ერთი ვერა ადგა.

რა იამუთი ზანგმან მამისა ისი მოინახა, აგრე ფიცხლა მოედანშიგან მოვი-
და, ავინა, მერმე ფიცხლად შემოუტევა. აგრე მიეგება წინა ნარიმან ფალავანი,
და დაჰკრა ბლოკვი კისერსა და მასვე წამსა ჩამოავდო. და დაეცა და ისიც კუნე-
სოდა; გარდი-გარდმო იქცეოდა ფალავანი ნარიმან, საირანსა იარებოდა მოედან-
შიგან და მუქარასა ითხოვდა.

რა ხულაფი ზანგმან ძმისა და მამისა სიკუდილი მოინახა, აგრე ერთობილ-
მან ზანგმან ხვაფთნები დაიხივეს, თავსა მოიხადეს და გლოვა დაიდევს. მერმე
მამისა და ძმისა სისხლისა ასაზღავად წამოვიდეს ხულაფი ზანგი.

რა მოედანშიგან მოვიდა, თავსა შუბნი შემოვიღნა, ხულაფი ზანგმან შე-

მოუტევენა ნარიმანს, ლახტი მოუქნივა, ლახტი გამოუღო და შორს გაუგდო, მერ-
მე ჩამოითრია ცხენიდან, დაიდვა ქუეშე, ერთი ფერწი ერთსა ფერქსა და-
ადგა და მეორესა ფერქსა ასწინა, შუა გაგლიჯა. ნახეუარი კერძი ერთენით გა-
აგდო, ნახეუარი ალაგზედა დარჩა. მერმე ჰკრეს ქოსსა, ტაბლაქსა და გახშირდა
ნაღარათა კმა. და წამოვიდა რაზმი და შეიქნა [ზახილი]: დაუშინე, ჰკარ, მოკალ,
შეკარ, ჩამოაგდე, ხელთა შეიძყარ, ნუ გაუშუებ! აერივნეს ერთმანერთსა, რო-
გორაცა ნისლი და ღრუბელი, ქარი და სეტყუა, წუთმა. ისარი ხორშაკალივითა
მოვიდოდა, როგორაცა ქარი, სეტყვისა მსგავსად ისრის სიმრავლე მოვიდოდა.
წამოიღეს ქაიანური ღროშა. დაკოცეს, ჩამოყარეს, რომე აღარა შეიგებოდა რა
შეუღრისა ჭარისაგან. მრავალთა თავადთა თავი გორვიდა. ალაგსა, საცა ფალა-
ვანი ნარიმან მიხუდის, კაჟაქივითა ლეწლის და ამსხურევის კაცსა. დახოცეს.
ამოსწყვიტეს, რომე რისხუა ღმრთისა დასცეს. მერმე სილაშემან გაყარნა. თავის-
თავს სადგომსა წავიდეს და დადგეს.

აგრე ერთობილნი თავადნი მოვიდეს, ნარიმანს ქება შესხეს, ზოგი ჴელსა
აყოცებდეს, ზოგი ფერქსა ეთხოუოდეს. კელმწიფემან ფრიდონ მისი ნაცუამი
საქელმწიფო ტანისამოსი უბოძა, ყუალაი ჩააცუა და თავსა ოქრო გარდაყარა
და ერთობილთა გარდაყარეს. მერმე კელმწიფემან ფრიდონ ნადიმი დაიდვა.

სხუაჲე ომი ფრიდონ ხელმწიფისა და მისის ჴანგმახვილისა ნარიმანისა და ფარუხ-ზააქისა და მისთა ფალავანთა

რა გათენდა, ლაქუარდის ფერსა ცასა სინათლე მიეცა, ყირმიზი მალრიბუ-
ლისა იაგუნდისა სინათლე მიეცა და შევარდა¹, მასკულათა სიმშუენიერე და
ელვარება წაუვიდა, საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო, კირჩხი-
ბისა ქანგსა დაეხსნა და გუმბაღსა ზედა ამაღლდა და შავსა, ცივსა მიწასა წითელი
ვარდი მოაყარა, აგრე ჰკრეს ორგნითვე კმა საომარი ქოსისა, კუნესა სტეირთა სა-
რაზმითა, გამოაბეს თეთრი მძივი პილოსა, შებერეს ზროხაყუდთა, ნაღარა, ზა-
ბულური, სპილენ-ჴურთა და სინჯთა.

აგრე მოიღეს ტახტი, პილოზედა მოკაზმული დაუდგეს ფრიდონს. გავი-
და ხელმწიფურითა ტანისამოსთა, თავსა მძიმე გვირგვინი დაიდვა. აქეთ ჴკრეს
რაზმსა და გააჩინეს მარჯუნა და მარცხენა. პილოს წინათ ქაიანური. ღროშა
ამართეს და მას გუერდის ბეჴბრტყელი, მკერდფართო ნარიმან, დევთა შემკუ-
რელი იდგა. დიდსა მთასა ჴგუანდიყო.

მერმე მოიღეს ფარუხ-ზააქის ტახტი, პილოზედა მოწყობილი. აგრე ფა-
რუხ-ზააქ მოკაზმულიყო სახელმწიფოთა ტანისამოსითა და გავიდა, ტახტზედა
დაჯდა და მის გუერდის ღროშა ამართეს. აგრე მარჯუნა და მარცხენა გააჩი-
ნეს. გახშირდა კმა ბუკთა და ტაბლაქთა. იყო ერთმანერთშია შეკვიცილი და
ზარი. მათი კმა მთამდის გაიწეოდა. ბარგისტანელთა ახთათა ხუელისაგან, ჴაჴ-
ვისა და ჴავშნისა ჩხრაილისაგან ჴაბანთა გული გასკდებოდა, მიწა თრთოდა და
იძროდა, ჴერეთ მოედანშიგან ფალავანი არავინ მოსულიყო. აგრე გაიხუდეს,
იძლი მტურერი დინახეს, გაჴვირდეს, თუ რა არისო. და ასი ათასითა კაციოთა
რაქი ინდო, რაქაი ჴინდ მოდიან ფარუხ-ზააქის საშუელად. როგორაცა ლაშქარ-
თა მოეწურა, რაქი ჴინდ ფარუხ-ზააქის სანახავად აღარა მივიდა, წამოიბრუნა

¹ შევარდა აქ ნიშნავს: ვარდისა ფერი მიეცა (მისცა).

და მოედანშიგან მივიდა. ცხენი შემოიბრუნვა, თავსა შუბნი შემოივლნა და მუ-
ქარასა ითხოვდა.

რა ნარიმან დაინახა, მისი მძიმე ლახტი აიღო; მჯარსა შეიღვა, მისისა პა-
პისეული ლომისა ტყაეისა საგდებელი, სამასი მჯარი სიგრძეჲ ჰქონდა, ჯიმშედ
ფათრათისთვის შეაქნენინა, და ისი მჯარსა უკუიციუა და მოედანისაკენ წამო-
ვიდა. რა რაჲ იპლი ნარიმან ფალავანი ნახა, ასრე გაუკვირდა, რომე უფროსობა-
არა იქნებოდა და ასრე თქუა: ჩემგან უფროსი ფალავანი სხუაცა ყო-
ფილა აქოა, ნეტამცა, არა მოვსულიყავ! რაქიადის სიმაღლე ოთხმოცი აღლი
ეყო. რა ნარიმან ფალავანი მოედანშეგან მოვიდა, ნიანგივითა შემოუსახნა და
რაქიადლ სახელი ჰკითხა. ნარიმან ფალავანმან ამის მეტი არა უთხრა, ვითა: რა-
დემამან მშობა, შენი სიკუდილი დამარქუა. აწე შავი მიწა, ცივი და კმელი
ამა წამსა თბილითა სისხლითა წითლისა ვარდის ფერად შევღებო. სალხინოდ
მოსულისათვის შავი ზეწარი მოგცე საბნად და მაღალი ეტლი შენზედა ვატრო!

რა რაქიადი ყმაწვილისა ფალავანისა ნარიმანისაგან ესე ნაუბარი მოისმინა,
ავინა და ზედა მოუხდა, შუბი წამოაქანა, ნარიმან სტაცა, გამოსწივნა, წაულო,
გარდაჰკრა, თავსა გარდააღწეა, მერმე მოუქნივა მისი მძიმე ლახტი, დაჰკრა
თავსა, კაცი, უნაგირი, ცხენი ყულაი ასრე დაამსხურებია, როგორაცა ნიგუზი-
სა ხეჭეზი, და უპატიოდ მიწათა ზედა დაეცა თავდაღმა და საწუთრო მასზედა
შემოკლდა. ფალავანთა თავი ნარიმან ხვადი პილოვითა ნომარზედა ბრუნვიდ-
რა ახალმოსულთა ლაშქართა რაქიადლის სიკუდილი შეიგნეს, მისმან ძმამან.
რაქიულდ, საყულონი გარდხივნეს და თავსა მიწანი გარდიყარნეს. მერმე რაქი-
ულ ძმისა სისხლთა ასაზღავად წამოვიდა მოედანშიგან. რა სარიმან დაინახა,
შემოუტრენა ქუეითად და მოუხდა, დაჰკრა მისი მძიმე ლახტი თავსა, თავი და-
ტყინი ყულაი დაუმსლურივა და მოკლა.

რა ფარუხ-ზაჲ ორთა მისთა ფალავანთა დახოცა მოინახა, აგრე გაახში-
რეს ორგნივე ქოსისა და ნალარის კმა, და წამოიღეს ქაიანური ღროშა და წა-
მრვიდეს მესპილოენი, მოვიდეს მერაზმენი და შეიქნა ცემა შუბითა, ჯრმლითა,
ლახტითა, აფთითა, ხანჯრითა, ავირენეს ერთმანერთსა, დახოცეს. შეიქნა მკულ-
დისა ჯარი გორად და საჭურველისა ნალეწი ჰაერთა შინა ფრინვიდეს. აბჯართა-
და ჯრმალთა ელვარება სამისა დღისა სავალსა გამოჩნდის, მკულდისა ჯარისა-
გან საწუთრო შავსა ზანგსა დაემსავესა, მრავალთა თავადთა თავი უპატიოდ მი-
წათა თანა გასწორდა, და ტანი თავსა სალაშსა გაუგზავნიდა, მკულდისა თავი-
და ფერკი სისხლსა მოჰქონდა და, სითაცა ნარიმან ფალავანმან მიმართის, რო-
გორაცა გაშმაგებული ხუადი ლომი კანჯრისა ჯოგსა სდევდეს უკანა, აგრე ნა-
რიმან ფალავანი სდევდა და, სითაცა მიმართეს, გაექციან, ვერა დაუღვიან, უკუ-
ქნივის თვითო ხელი და ოცი კაცი ერთმანერთზედ მიგორვიდეს და დაიჭოცის,
და დაიჭირის კაცი ფერქთა ქუეშე და დაიღვის, და მუკელზედა ფერკი და-
ავირის, ერთი ეტლი თავსა და მჯარსა სტაცის და მეორე — ფერქთა, მოგრიბის.
და შუაზედა გასწვევითსა და სხუასა კაცსა შემოსტუორცის. ჰკრის და მოკლის,
ცხენისა ძუათა მოეკიდის და მოქნივის, აიყუანის, დაახუტქის, კაცი და ცხე-
ნი ორნივე დახოცნის.

ერთსა დღესა და დამესა ომი იყო. მერმე შუალამისა ეამსა ნარიმან და ყა-
რიად ერთგან შეიყარნეს. დაუშინეს ერთმანერთსა, ვირემ გათენებამდის სცეს,
ერთმანერთსა. რა გათეხდა, შეივიდნეს და იბრძოლეს დიდხანობამდის. გაყა-
რეს, რაცა საომარი იყო მუშარადები, შეასწვევიდეს ერთმანერთსა ჯაჭვისა ლამ-

ბები, დააფრინეს ხუფთანისა საყელოები ერთმანერთსა. ოფლი ღუპარულზე ჩასდიოდა, მთურალნი პილოვიითა პირთა პერულთა ყრიდეს, გერმე ერთმანერთსა ჯაჭვისა სარტყელებშიგან კელები ჩაუგდეს, დაიყუირნა ხუღმან ლომმან ვითა, ნარიმან ფალავანმან, აზიდნა, აიყუანა თავისა სწორად და მოიქნივა, დასცა, მერმე ზედ შეჯდა და ამოიღო აღმასფერი ხანჯარი და ყარიადს თავი მოკუთა და პირი ფარუბ-ზააქისკენ ქნა. ფარუბ-ზააქი — ძალდად პილოზედა ტახტი უთქს — და მაზედა იჯდა. ნარიმან ფალავანმან მკუდრისაგან სარკლმოდ ველარა მიუღდა. მერმე ვრმალი ჩაიგდო და საგდებელი მოუმარჯუა. შესტყორცნა, თავსა გარდააუტა, ჩამოზიდნა და ჩამოავდო, და თრევით ფრიდონს წინაშე მოიყუანა.

რა ლაშქართა კელმწიფისა ესე მოინახეს, აგრე რაუცა დარჩეს, გაიქტეს და გარდხუეწნეს. ზანგნი ზანგუბრით წავიდეს, ისპანელი ისპანს წავიდეს, ფარუბ-ზააქი შეკრული ქუე იღვა. აგრე ფრიდონ კელმწიფემან ჯალადსა უბრძანა, ვითა: ტანისაგან თავი გააშორეო. აგრე წაიყუანა. რა ჯალადმა თავი მოკუთა და წამოიღო და ლაშქარი დაარონინა სრულად, მერმე მოითუღლა საქონელი, ყოველიფერი, საქურკლებნი მრავალფერნი, ანჯარიშმოუმხუდარნი, ორად გაყო. ნახევარი ნარიმანს მისცა, ნახევარი კიდევე შუა გაყო. ნახევარი სალაროს შეაღებინა, და სხუა ლაშქართა გაუყო.

მერმე ნარიმან გაუგზავნა სრულად ლაშქართა მისაცემელი, როგორაცა მართებდა, მისი წესითა აავსნეს პირთამდის. მერმე გამოიღუანეს ქიანური დროშა წინა და წამოვიდეს სარა ქალაქსა. და დავიკინა ფრიდონ თემი და ქუეყანა, ყოველი თემი, აღარავინ იყო მისი მუენებლე. და მისრეთით სარა ქალაქსა დიდი გზა მოვა. ამათ მოსულამდის დიდი ხანი გამოვიდა.

ყამურ დევისა წამოსულა ფრიდონ ზედა

რა დევთა ცნეს ფრიდონს შინა უმყოფლობა, — აგრე ფოლად დევისა შვილი დარჩომილი იყო, — ჯიმედ რომ ამოყარნა, — და სახელად ყამური ერქუა, ფალანგი დევს გუერდის იზრდებოდა. რა გაიზარდა, ასრე რომე ომი შეეძლო, აგრე ფალანგი დევს მოახსენა, თუ: ესე თემი და ქუეყანა მამა ჩემს ჰქონებია და აღამის ნათესავსა წაურთმევი. აწე აღარსად არიან, წავალ და მამის ჩემის ნაქონებსა მე დავიჭირავ. ყაფის მთიდალმან შენ არას მომცემ და მე უმამულოდ ვერა დავჩები!

რა ფალანგი დევმან ესე გაიგონა ყამური დევისაგან, მერმე ასრე უთხრა, ვითა: დიდი მოიჭირვა მამა შენმან, მაგრა ვერა ამოყარნა, მრავალი სახელდებული მეომარი დევი მოკლეს, აწე ჩამოვეხსნათ, ღმერთსა მათთვის მიუცემია! აღარა დაუჭერა, ასრე უთხრა, ვითა: ესენი აღარ ცოცხალან, სხუათა აღარა შეუძლია რა. აწე ლაშქარი წამომატანე თანა. წავალ, თემსა და ქუეყანასა დავიჭირავ!

რა ველარა დაუშალა, მერმე [დევი] გაგზავნა, ყულანით ლაშქარი იკმო. და მოვიდა სამასი ათასი დევი. აგრე ჰკრეს და წამოვიდა ყამური დევი, ფოლადის შვილი, და წამოატანა ფალანგი დევმან თანა ჯანი დევი, ჯანსუზი დევი, არმან დევი და თეთრი დევი მაზანდრელი, ავრაგი დევი, ჯანარანგი დევი. ესენი თანა წამოატანა და წამოვიდეს.

იარეს, სარას ქალაქსა მოვიდეს. დაესხნეს და ამოსწყვიტეს ქალაქი, თემი

და ქუეყანა. რომე ქუა ქუას ზედა დასცეს, მერმე აიყარნეს, სითცა ფრიდონ კელმწიფე მოვიდოდა, მუნით წამოვიდეს. აგრე ამბავი მოეგება ფრიდონ კელმწიფესა. რა ამბავი ესმა, ნაღვლიანად შეიქნა. მერმე ნარიმან მოახსენა, ვითა: ნუ შეიჭირვებ, მაგისტვის შევიწიო საწუთროსა დამბადებელი და მბრუნაუ ეტლი და, რაცა პაპათა და მამათა ჩემთა უყოფია დევთათვის, იგივე მე მოუვლინო მათზედა. ჰკითხეს მოამბეთა, თუ რა იქნეს? მერმე მოახსენეს, ვითა: იქით. თქვენეენ წამოვიდეს.

რა კელმწიფემან დევთა მომართება შეიგნა, ყულაგნით ლაშქრისათვის მოსამატებელი კაცი გაგზავნა. და ამით ჰკრეს ასაყრღლსა ჯმასა და წამოვიდეს მათკენ. იარეს აქათ ამით და იქით იმათ. და რა ესე ერთგან შეიყარნეს, იქით ისინი დადგეს და აქეთ ესენი. და დასციენეს მრავალფერნი კარავნი და შემოავლეს სარაფარდანი. მერმე ბარყი დევი მოციქულად გამოგზავნეს, სხუა დევები თანა წამოატანეს, და მივიდეს ფრიდონს წინაშე.

ფრიდონ თავადები ერთობილნი იხმო, და კელმწიფესა ტახტი დაუდგეს, მის ზედა დაჰდა კელმწიფურითა ტანისამოსითა, და ოქროსა სელნი მოიხუნეს, ნარიმანს დაუდგეს. მაზედა დაჰდა. აგრევე სხუანი თავადნი შემოვიდეს: ჰჰაქ, ჰჰე, ყარან და ყუბად, დასხდეს. მერმე მოციქულნი შემოასხნეს, და წინათ, ბარყი დევი, და ხელმწიფეს ფრიდონს სალაში მოახსენა, მერმე დავედრებულთ ყულაი უკლებლად მოახსენა, ვითა: თემი და ქუეყანა პირველად ჩემი იყო და მამის ჩემის ნაქონები არის, და თქვენთა პაპათა და მამათა კელის ძალითა წაერთმევია მამის ჩემისთვის, აწუ არა დაგახებებ!

რა ნარიმან ფალავანმან დევისაგან ესე გაიგონა ნაუბარი, გაგულისდა და გაშმაგებული ნიანგივითა წამოვარდა, დასტაცა ბარყი დევსა თავსა, მოუკრიბა, კინწი მოსწივნა და მოსწყვიტა, სხუასა დევსა კელთა მისცა და ყამური დევსა გაუგზავნა. რა ყამური დევსა წინაშე ბარყი დევისა თავი მოიღეს, ასრე გაგულისდა, რომ ჰკუა წაუვიდა. მერმე უბრძანა ერთობილსა დევებსა დაეკაზმენითო და შეუტყვევითო. რა ყამურა დევისაგან ესე გაიგონეს დევთა, აგრე წამოვიდეს საომრათ.

აქეთ ფალავანი ნარიმან შეეკაზმა. ჰაქვი, ჰავშანი ტანსა ჩაიციუა, მუზარად: თავსა დაიბურა, მისი მძიმე ლახტი მკარსა შეიღუა, საწუთროსა დამბადებლისა სახელი ახსენა, პირი მიწასა გააერთა, კელმწიფე დალოცა. და კელმწიფემან მადლი უბრძანა, ვითა: მბრუნაუიმცა ეტლი არის შენი წინამძღუარი კულა-ბედნიერო ფალავანო და ფალავანთა ზურგო, დევთა და ნიანგთა შემკურელო! რა ფალავანმან ნარიმან ესე მოისმინა, აგრე მადალი მთავი ვითა მოედნისაკენ წამოვიდა.

ფრიდონ კელმწიფისა და მისის ფალავანის ნარიმანისა და ყამურ დევისა და სხუათა დევთა ომი

ჰკრეს ორგნითვე ქოსსა, ნაღარასა და შეიქნა შემოკივილი დევთაგან. პირველად მოედნის შუაგულობასა ფალავანი ნარიმან მოვიდა და შემოკივლა და ასეთი კმა გაუშუა, თუ სიქუა, ცა და ქვეყანა ყულა შეიძრაო. და რა ჯანი დევმან ნარიმან მოედანშიგან მოსული ნახა, აგრე ყამურ დევსა თავი ჩამოუღო და მოედნისაკენ წამოვიდა საომრად. მისი სიმაღლე ოცდაათი წურთა იყო, და მძი-

მე ლახტი მკარსა შეედეა და მოიგინებოდა. და დიდროვანი კბილები გამოე-
შხლიკა, პირსა დორბლი მოსცივოდა და ავთი მოვილოდა.

რა საომარსა ადგილსა მოვიდა, აგრე შემოუზახნა ნარიმან ფალავანსა, ვი-
თა: დევთა სალაეთი მოილეო. აქეთ ნარიმან ფალავანმან შეუზახნა და ავინა,
თუ: ნუცა შენ და ნუცა სხუანი დევნი, ქაჯო, ეშმაკო, ეშმაკისა თესლისაო, მე
გიჩუენო გულოვანთა ფალავანთა ომი! საწუთროსა დამბადებლისა სახელი ახ-
სენა და მიუხდა. იქით ჟანი დევი მოუხდა, რომე ათითა წყრთითა იარიმანს
უმადლე იყო, ლახტი გარდამოჰკრა, ნარიმან მკარი მიუშვირა და ზედა გარდ-
მოილეწა, აგრე ნარიმან ქუეშე შეუარდა და შეიქვიდნეს, და დიდს ხანობამდის
ირკინეს. მერმე დაიუღირნა ზუამდან ლომივითა ნარიმან ფალავანმან და აზიდ-
ნა, აიყუნა თავის სწორედ და მოიქნივა, დასცა და ერთი ჰელი მოსტეხა, მერ-
მე შეკრვასა ულაშობდა და აღარა მოაცალეს, სხუა დევები მოესწრეს, მაშინდა
ფიცხლად თავი მოკუეთა და გაუხდა სხუათა. მერმე გაგულისდეს და წამოვი-
დეს, შეიქნა ცემა და ყრაილი, აერიენეს ერთმანერთსა თანა. ყულაი პილოსა
და მარტორქასა ზედა ისხდეს, დაუწყეს ცემა ერთმანერთსა და მრავალი დევი
მოკლეს, სითაცა ნარიმან ფალავანი იყვის, ვერა დაუდგიან და, სითაცა იყვის,
ამას ზედან იცნობდიან, რომე მოჰკრის დევსა ჰელი და აღმა შესტყორცის,
ასრე რომე ჰაერშიგან გაეარდის, მერმე გარდმობრუნდის მალაყსა, დაეხეთქის
და გასკდის.

მერმე ჟანსუზი დევი და ნარიმან ერთგან შეიყარნეს და შეიბნეს. დიდხა-
ნობამდის იბრძოლეს, მერმე მოიქნივა ნარიმან ლახტი, თავსა დაჰკრა ჟანსუზი
დევსა და მოკლა. მრავალი თავადი მოკუდა და მრავალი დევი დაიჭოცა. სისბ-
ლისა და ტალახისაგან აღარა იელუბოდა რა. მერმე სილამემან გაყარნა. და თა-
ვის-თავის სადგომზედა უქუდგეს და ორმოცდაათი ათასი დევი მოკლეს.

აქა სხუავე ომი დევთა და ნარიმან ფალავანისა

რა გათენდა, ლაქუარდის ფერსა ცასა სინათლე მიეცა და საწუთროსა მაშუე-
ნებელმან მზემან თავი ამოყო, კირჩხიბისა ქანცა დაეხსნა და გუმბადსა ზედა
ამაღლდა, შავსა გიშერსა ყირმიზი ფარდავი მოჰფინა და ვარდისა წყლითა პი-
რი დაიბანა, აგრე ჰკრეს ორგნითვე კმა საომარი ქოსისა, კუნესა სტვირთა სა-
რაზმოთა, გამოაბეს თეთრი მძივი პილოსა, ნაფირთა, ზროხაკუდთა, ნალარა,
ზაბილური, სპილენ-ჰურთა და სინჯთა.

აგრე ჰკრეს რაზმსა, გოსტამის შვილმან ჰშაქ აწყო, მერმე მარჯუენასა მჟარ-
სა ჰშაქ და ჰაეის შვილი ყუბად დადგეს, და მარცხენესა ჰაე და ყარან დადგეს.
მერმე მოიყუნანეს თეთრი პილო, მასზედა მძიმე მალრბული მოთელმარგალი-
ტული ტახტი დადგეს. და მოვიდა ფრიდონ ჰელმწიფე, ჩაიკუა მძიმე ხვაფთა-
ნი, ტავაყი, აგრევე ოქროს სარტყელი შემოირტყა, ზშირად მოთულმარგალი-
ტული საკელმწიფო ჰქუდ თავსა დაირქუა, მასზედა გვირგვინი დაიდგა, ხალაზ-
ნი [შეიბა], საყურანი შეიყარა და ეგეთი ტახტზედ დადგა, წინა ქაიანური ღრო-
შა აჰართა და ნარიმან ფალავანი ღროშის ძირსა დადგა. აგრევე სამასი ათასი
დევი იყო და იქით ამათ აწყუეს რაზმი: მარჯუენესა მჟარსა აჰრამან დევი და
თეთრი დევი იდგეს, მარცხენესა მჟარსა ავრანგი დევი დადგეს და ჰანარგი დე-
ვი შუაზედა. მოიყუნანეს თეთრი პილო და მძიმე ტახტი დაადგეს. აგრე ყაპურ
დევი მოვიდა და მოილეს შესამოსელი, ჩაიკუა საკელმწიფო ხუფთანი და შე-

მოიბრუნა ოქროსა სარტყელი, დაიბრუნა საველმწიფო ქუდი, მაზედა გვირგვინა, ხალხნი შეიბა, საყურნი გაიყარა, ტახტსა ზედა დაჯდა, წინათ ღროშა აიბართა. მერმე მოვიდა ავრანგი დევი და ყამური დევსა თავი ჩამოუღო. აგრე პირველად მოედანისა შუაგულობასა საომარსა ადგილსა მოვიდა, ას ოცი ადლი იყო მისი სიმაღლე, და მძიმე ლახტი ჯელთა ჰქონდა და შემოკივლნა, და ასრე დაიზახნა. ვითა: ვინ ჩამოხუალთ მოედანშიგან, რომე მძიმითა ლახტითა გამოვიცადნეთ!

რა ქაიის შეიღმან გაიგონა ყარან, მასევე წამსა შუბნი შემოივლნა თავსა და წავიდა, მერმე ჯელმწიფემან უბრძანა, ვითა: ნუ წახუალ, შენ მისი საომარი არა ხარ, დაბრუნდიო. რა აღარა გაიგონა რა, წავიდა, საომარსა ადგილსა მივიდა. რა ავრანგი დევმან დაინახა, შემოუტევენა, მოუხდა, ლახტი მოუქნივა, ყარან ფარი იფარა, დაჰკრა, ფარი დაუძახებრევა და ყარან ჩამოავდო, ჯელთა ულაშოდა შეკურასა. აგრე ნარიმან ფალავანი მიესწრა და შეუზახნა. მიუხდა და შეიჭედნეს. ირკინეს დიდხანობამდის. მერმე ერთი ჯელი ზედათ, ჰამასა სტაცა და მეორე ყბასა გარდაუღურეჰა და კინწი მოსწყვიტა, და თავი ლაშქართა შესტყორცა.

რა ქანარგი დევმან შეიგნა ავრანგი დევისა სიკუდილი, აგრე ფიცხლა მოედანშიგან მივიდა, საომარსა ადგილსა. რა ნარიმან თუალი მოჰკიდა, სახელი ღმრთისა ახსენა და მიუხდა, შეუზახნა, იქით იმან შემოუზახნა და ავინა, ლახტი მოუქნივა, ნარიმანს გარდმოჰკრა, ნარიმან ფალავანმან მჰარი მიუშვირა, ყური და ყბისა ტყავი ჩამოატანა, დაკოდა, სისხლი ჩამოადინა, მერმე დაიყვირნა მთურალმან პილომან ვითა, წააფრინდა და წაჰკრა ყურიშალსა მჭილი და კიწი მოსტეხა. მერმე ერთი ჯელი ლაჭშიგან შეუღდო, მეორე წელთა სტაცა, ასწივნა და თავის სწორად აიყუნა. მერმე მოიქნივა, დასცა და ასრე დაიცილა სულისაგან, თუ სთქუა, მისთა დღეთა შიგან სული არა სდგომოდა. და რა ყამური დევმან შეიგნა, გაგულისდა და ერთობ ეწყინა. მერმე აპრმან დევსა უბრძანა. არმან ფიცხლა თავსა მოიხდა და მუხლი დაიგდო, და ჯელმწიფესა ყამურ დევსა წინაშე პირი მიწასა გააერთა. აგრე ადგა და მოედნისაკენ წამოვიდა. მისი სიმაღლე ას ორმოცი წყრთა იყო.

აქა ნარიმანისა და აპრმან დევისა ომი

რა ნარიმან ფალავანმან აპრმან დევი მისკენ მიმავალი ნახა, პილოივითა უძრავად დახუდა, და ასრე არა მოლაღულიყო, ვითამცა ნადიმად ჯდომილიყო. რა დევსა შეხედნა, საწუთროსა დამბადებელი ახსენა, პირი მიწასა გააერთა, მკლავნი უკუ იყეცნა, ჰანგნი გაიმახუნა, ქენჩო ამოისო და თუალნი გამოანათა, და ხუადი ლომივითა, საომრად გაფიცხდა;

რა აპრმან დევმან ეგვითა გაფიცხება ნახა ნარიმანისაგან, ავინა და ასრე უთხრა, ვითა: ფალავანო, ცუდათ აჩქარებულხარ! თუ უბედურნი დევნი დაგვტოცენ, მისთვის შენგან რა ზნე-ქება უნდა. აწე მე გიჩუენო ფალავნობა და ფალავანთა გულის სიფიცხლე, მეომრობა, ჰანგმახვილობა! შემოყუირონა და მოუხდა, პირთა და თავსა ცეცხლი გარდმოაყარა. აქეთ ფალავანმან ნარიმან შემოუზახნა და შეიჭედნეს. ასრე ძლიერად ირკინებოდეს, რომე მათი ჰახება მათთა ხეთქებასა ჰგუნდა. შესძახდეს ერთმანერთსა, რომე მათი ზახილი ცაჰდის გაიწეოდა და მათითა ხეთქებითა სრულად ლაშქართა ფერჯთა ქუეშე მიწა ექანებოდა. მერმე სრულად ლაშქარნი ალყად მგურავსლიე შემოერტყნეს და

უქურეტიდეს და შემოკიოდეს ერთმანერთსა. მერმე წამოიღეს ფრიდონ ჯელმწიფისა ტახტი და ქაიანური დროშა და, სადა ირკინებოდეს, იქი დადგეს. აგრევე ყამურ დევისა ტახტი მოიტანეს და ფრიდონის ტახტსა პირდაპირ დადგეს.

რა ფრიდონ ჯელმწიფემან დევისა ისრე ძლიერი ფალავნობა და ძალი მოინახა, მერმე საჯელმწიფო ქული მოინახა და საწუთროსა დამბადებელი ახსენა: არაარსთა არსისა მომცემელო, ცხადისა და იღუმალისა მცოდნელო, სულისა და ჯორცისა შემეაერთებელო, წყლისა და მიწისა შემოქმელო, გულთა და გონებათა გამკითხუელო, შენ დაიციე, დაიხსენ ამ ეშმაკისა და ვეშპისა ჯელმწიფისაგან! მერმე დასცა ყულამან ზარსა და შესძახნიან ერთმანერთსა. და გავარდა ორთავე მუზარადები დ შესწყვიდეს ერთმანერთსა ჯაქვისა ლამბები, დაფარონეს ხუფთანისა საეელოები და ასრე დაიღალნეს, რომე აღარა რამელსა შეეძლო. ოფლი ღუარულეზ ჩამოსდიოდა და მიწა ტალახად შეიქნა. მერმე დაიყურინა აპრმან დევმან და წამოზიდნა ნარიმან ფალავანსა, მუხლნი დაუცნა და დასცეს კიეინასა, და მერმე ნიანგიეთა აქქანა და კიდევე აუღდა. და გარდასდეს ერთმანერთსა კელი კელსა, ამოისუეს კისრისა ძარღვები და გაილაქნეს მაგრად. ერთმანერთსა წელთა შემოუქირნეს და დაიწყეს ქშენა და ხუნება, რომე გერგვიენასა ჰჯუნდა მათი ჯმა. მთურალნი პილონი ვითა პერტულსა და დორბლსა ჰყრიდეს. ნამეტანად ძლიერად რკენისაგან თუალები ცეცხლსა ვითა დაუწითლდა და მუხლამდის ტალახშიგან ეფლნეს და შიმშილისაგან უჟრო დაუღონოვდეს.

მერმე გაიყარნეს, აპრმან დევი ფრიდონ ჯელმწიფისა ტახტთანა დაჯდა. ასრე მოახსენა, ვითა: ჯელმწიფეო, საქამანდი მოაღებინეთ, შიმშილმა ერთობ მიმაქირვა!

მერმე მოაღებინა ფრიდონ ერთი შემწუარი ძროხა და ორი ცხუარი. აგრევე ყამურ დევმან მოაღებინა ნარიმანისთვის. მოიღეს ტიკებითა ღვინო, და აიღო ნარიმან ფალავანმან ერთი დიდი რუმბი, და მოხსნა პირსა და პირშიგან ჩაისხა. მერმე ასწიენა ბოლოსა და სრულად პირშიგან ჩაისხა, რომე ჭურშიგან ჩაისხა, ისეთი თქაფი გაუხდა და ღერღული ჩასციოდა. აგრე დევმან ქნა.

მერმე წამოსცივდეს და შეიქედნეს გულმეისისხლედ და იბრძოდეს დიდხანსა. მერმე ფალავანმან ნარიმან საწუთროსა დამბადებელი ახსენა და იღვრიალა ცამან ვითა, მორკა და თავი ლაქშიგან გაუყო, ასწიენა და თავის სწორად აიყუნა, მერმე მოქნივა, დასცა და წელი მოსწყვიტა. და რა სხუათა დევთა აპრმან დევისა ისი მოინახეს, აგრე ერთობილთა დასცეს კიეინასა და ზარსა და შემოუტევენეს, დაუშინეს ქვითა და ლოდითა. შეიქნა მოსაწევაი და აზღონი ერთი ლოდი მოაყარეს ნარიმანს, რომე მისი ას ოცი აღლი სიმაღლე აღარა ჩანდა, დაფარეს და მათი წელმოწყუედილი დევი მათე მოკლეს.

ასეთი ყვირილი და ზახილი შეიქნა, რომე ახსასრულსა დაემსგავსა და ამას იტყოდა: დაიქცა ცა და ქუეყანაო. ზოგი ვეშაპსა ისხდა და ზოგი მარტოქასა და ზოგი პილოსა. შეიქნა ცემა და სრულად ქვითა, ლოდითა, კეტითა, გურძითა, ლახტითა, ხრმოთა, შუბითა, ხანჯრითა დაეკრინეს ერთმანერთსა. სამსა დღესა და ღამესა ომი იყო, დამით დაანთეს მრავალგან ცეცხლი, დაანთეს მაშხალები და იბრძოდეს, დაქრეს ერთმანერთი, ზარისა და ზახილისაგან კლდე და ქუა და მინდორი, წყალი, ხენარი და, რაცა ნაყოფი, სულიერი და უსულო იყო, ყულაი თრთოდა და ექანებოდა, ცასა მიწასა ზედა დასცემდეს გრძნება-

თა, და შეიქნა ჭეხა-ქუხილი, ცუვიოდა მეხი და ასეთი მყარალი სული მოვიდა, რომე უფროსიცა კაცი სულმან დახეთქა. და შეიქნა წუიმა და სეტყუა. მოვიდა და ნისლი, დაკრა ქარმან და ბუქმან. ასეთი მიწა და მტუერი მოვიდა, რომე თუალი და პირი ყუალაი აგუიესო. დაბნელდა, ასრე რომე აღარა ჩანდა რა. არცა დაბადებული, თუ სთქუა, საწუთრო ჯოჯოხეთსა ჰგუანდა. აღარა ივლებოდა მყუდრისა ჟარისაგან, ტაახისა და სისხლისაგან. ასეთი ლუარი ჩამოვარდა წვიმისა და სისხლისა, რომე ჟიონსა ჰგუანდა. და მოეწურნეს ქაიანურსა. დრომასა, და შეიქნა მას ზედა ბრძოლა, და მრავალი ფალავანნი და თავადნი გამოესალმა საწუთროსა და შავთა მიწათა თანა უბატოდ გასწორდა. და დევთა ასრე ეგონა. თუ: ნარიმან ქეთა დავქოლეთო და მოვკალითო.

ნარიმან ერთობ მოლალული იყო და, როვორაცა მოისუენა, აგრე ნარიმან მიბერტყა და მობერტყა და კარკალი უკუიყრევირა, და ხუადი ლომივითა გამოვარდა და შემოყვირა. რა დევთა ნარიმანი გაცოცხლებული ნახეს, აგრე დაფრინდეს და გაიქცეს.

აგრე გათენდა და ლაუუარდის ფერსა ცანა სინათლე მიეცა, და საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო და კირჩხიბისა ჰანგსა დაეხსნა, და გუმბადას ზედა ამალდა, და ვარდისა წყლითა პირი დაიბანა, აგრე ნაწვიმარსა, მინდორსა ყირმიზი ფარდაგი მოჰფინა და დააშუენა.

აგრე ჰკრეს ქოსსა და ტაბლაქსა, და მყუდრისა გორი იღვის და თაჯარა მინდორი მძორითა აესილ იყო, და დაკოდილი კუნესოდის და იღვის, სხუა რაცალა დარჩომილ იყო, ერთმანერთსა მშვიდობა მიულოცეს. მერმე ჯელმწიფემან ფრიდონ თავსა მალრიბული თვალი და მარგალიტი გარდააყარა ნარიმანს. და რა მზე მოხურდა, დიდნი ჰანდარივითა დაეცა პირალმა და. გაიწუადა, დანაყილი და მტკიენეული იყო და შებნდა. მერმე ჯელმწიფემან ფრიდონ საკელმწიფო ქული მოიხადა და ალაგზედა დაახეთქა, და ცოტასა ხანსა დაბნედილი იყო. მერმე სულად მოვიდა და გამხიარულდა ფრიდონ, და ნარიმან ზე წამოჭდა და ნადიმი დაიდევს, სამსა დღესა მოისუენეს და აღარა ერჩოდეს ერთმანერთსა.

ნარიმანისა და მაზანდრელისა: თეთრის დევისა რკენა

რა გათენდა და საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო, და კუპრზედა იაგუნდი მოჰფინა, აგრე ჰკრეს ორგინთვე ქოსსა და ნალარასა და აწყუეს რაზმი იქითცა და აქეთცა. მერმე ნარიმან ფალავანი მოედნის შუაგულობასა მოვიდა, საომარსა აღვილსა დადგა. რა თეთრმან დევმან ნარიმან ფალავანისა მოედანშიგან მოსულა ცნა, აგრე მოვიდა ჯელმწიფესა ყამურის თანა და პირი მიწასა გააერთა და ასრე უბრძანა: კარგათ და შენებურათ ეცადე! მერმე თეთრმან დევმან მოახსენა, ვითა; ერთი ხერხი ვიცი და აწე მას ვიქ. ვიცი, რომე მახვილითა არა ევენების, ებრძოლების რა. წავალ და ვერკინებო. თუ ქუეშე დამიღებ, უცილოდ მომკლავს და, თუ მე დავიღებ, მაშინ თავსა გარდაუკუეთ და მე მოგართუამ!

რა თეთრი დევისაგან ესე გაიგონა ყამური, მერმე აგრე უბრძანა, ვითა: წადი, კარგათ და შენებურათ ეცადე! აგრე პირი მოედნისაკენ ქნა. რა მოედანშიგან მოვიდა, ნარიმანს დაუზახნა, ვითა: ერთი საქმე მიც შენს გუერდის და ჩვენსა საქმესა ნუ ვაგრძელებთ, აბჯარი ქუე დადევ და ვირკინნეთ, ფალავანთა ჯელი-

რქენა არის! მომერიო, მომკალი და. თუ მოგერევი, მოკლავ! რა ნარიმან დე-ვისაგან ესე ნუბარი გაიგონა, ფიცხლა საომარი ყულაი დაღვა და ხუფთინისა კალთა ამოიკალთა. და მოუხდა დევი, აქეთ ნარიმან მიუხდა და ვერძნივითა შეი-ჯახნეს, და ორივე მწარედ თავები ეტყვიენს. მერმე გარსდადევს ერთმანერთს ქელეზი, დაუქუდევს ხელეზი და შემოეხვიენს ერთობილნი ლაშქარნი ალყად გარშემო და უტყურეტდეს. და დაახიევს ერთმანერთსა ხუფთენები და პერანგე-ბი. ნაბრკალევეზედა ლუარულეზ სისხლი ჩამოსდიოდა ორთავე და საღამობა-დის ირკინეს. ასრე ძლიერად ირკინებოდეს, რომე მუხლამდის ესობოდეს.

მერმე ფალავანმან ნარიმან საწუთროსა დამბადებელი ახსენა და დაიყვირა-ნა, დაუბირნა ორნივე ბარძაყნი, ასწივნა და აიყუნა, ასრე რომე წელშიგან ტუ-ცი-ტყუცი სციოდა, მერმე მოიქნია, დასცა და ერთი ჭელი მოსტეხა და ასრე ეგონა ნარიმანს, თუ სულნი ვასცივიდესო, დევმან თავი მოიხადლურა. აგრე ნარიმან ფალავანი ფრიდონ ქელმწიფისაყენ გამოიქცა. ვითა: თეთრსა დევსა მოვერივე და წავალ ქელმწიფესა ქელსა ვაკოცებ. როგორცა გამოშორდა, აგ-რე დევმან წყნარ-წყნარად თუალი გამოაჭყირა, მერმე წამოიჭრა და გაიქცა. რა ყამური დევის გუერდის მივიდა, ასრე უთხრა: ნუმცა შენ ხარ და ნუმცა ისი! ჩვენ თავი დევად გვიქნია, ოღონ ისი ყოფილა. მისი მომრევი ვინ გამოჩნდე-ბის? აწე მე აქა აღარა დაედგები, შენ, რასაცა იქ. პატრონნი ხართ! ამაზედა აღ-გა და მისითა ორნიცდაათი ათასითა დევითა მაზანდარას წავიდა.

რა ყამური დევმან თეთრი დევი მაზანდარას წასული ნახა. მერმე შეყარა, რაცა დევები იყო ყულაი და ვაზირობა ჰკითხა, ასრე უბრძანა ერთობილსა დე-ვეებსა, თუ: რას მივაზირებთ, როგორ გამომირჩევთ, რა გვიჯობს, თქვით თქუენ-ცა! მერმე ასრე მოახსენეს დევებმა, ვითა: ჩვენ ამას მოგახსენებთ, რომე დავი-რუნდეთ და ყაფისა მთაშიგან წავიდეთ. ბიძა შენს გუერდის. ფალანგი დევსა თანა. აქა რომე ვიყუნეთ, რა ვქნათ? იმა ერთისა კაცისა მეომარი აღარა გუყავს. ნახეთ, რასდონი ფალავანი დევი, აპრმან დევი, რომე მისი უკეთესი მეომარი დევი არცა ყაფის მთაშიგან ფალანგი დევსა ჰყავს და არცა ბნელეთის ქვეყა-ნასა ჩინიბიჩინს დევსა ჰყავს, მგონიან ნახეთ: სამსა დღესა და დამესა იბრძო-ლეს და ვერა დაუდგა რა. და მერმე ისი ყულაა ლოლი მივაყარეთ, რომე აღ-რა ჩნდა რა. ვერცაღა მაშინ მოკვალით. ბარყი დევი იყო. მოციქულობაშიგან თავი მოსწყვიდა. მერმე თეთრისა დევისა საომარსა მივსცივიდით და მისიყა ვნახეთ, თუ რა უყო, არა ფერად არა ახსენა, შორს გააგდო და ჭელი მოსტეხა და ასრე ეგონა, თუ სულისაგან დაიცალაო, თუარამ არცა იმას გამოუშუებდა ცოცხალსა. უკანას ეამსა გამოუპარა, დაადგა და მაზანდარას წავიდა. აწე ჩვენ უფრო ვერა შევებმით. მართალი ვთქვათ, მათთანანი ჩვენ ვერა ვართ და თქვენ, რასაცა ბრძანებთ, პატრონნი ხართ!

რა ყამური დევმან ესე საუბარი გაიგონა დევთაგან, მერმე ასრე უბრძა-ნა, ვითა: როდეს აქათ გამოვეყახებ, მაშინ ბიძა ჩემსა, ფალანგი დევსა, ასრე მოვახსენებ, თუ: ფრიდონის საომრად წავალ და ლაშქარი წამატანეთ, მამისა ჩე-მისა სისხლსა ვიკითხაო. ანუ ჩემი თავი იქი არა დავაგდო, ანუ მისი არა წა-მოვიღო, არასათვის არ დავიშლი! აწე იქი მას შეპირებებივარ, ჩემგან ტყუილ-არა იქნების! თუ ამთგან გაქუეული წავალ, თავი აღარ გამომეყოფის, თუ ჭამა იქნების, ანუ დარბაზობა, ყულაი ყუედრებებს დამიწყებს და სახელოვნად სი-კუდილი მიჩრევიანად აუფიანსა სიცოცხლესა, აწე მე თუ მარტოცა შევებმი და, თქუენ, რასაცა იქთ, პატრონნი ხართ!

რა ყამური ღვემან ესე საომარი პირი დააპირა, მერმე ერთობილთა ღვე-
თა მოახსენეს, თუ: რადგან თქვენ გეპირიანების, ჩვენცა თქვენს წინაშე დაეი-
ჯროცნეთ! რა ყამური ღვეთაგან ესე გაიგონა, მერმე ერთობილთა მადლი უბრძა-
ნა. დააპირეს სახუალიოდ [ომი]. იმა ღამესა საომრად ეკაზმებოდეს.

სხუავე ომი ფრიდონისა და ყამურ ღვეისა

რა გათენდა, ლაჟუარდის ფერსა ცასა სინათლე მიეცა, საწუთროსა მაშუე-
ნებელმან მზემან თავი ამოყო და კირჩხიბისა ჰანგსა დაეხსნა. გუმბადსა ზედა
ამაღლდა და შავსა კუბრსა ყირმიზი ჭოწყული და იაგუნდი მოაყარა, აგრე ჰკრეს
ორგნითვე ჰმა საომარი ჰოსისა, კუნესა სტვირთა სარაზმოთა, გამოაბეს თეთრია
მძივი პილოსა და შებერეს ნაფირთა, ზროხაკულდა, ნადარა, ზაბულური, სპი-
ლენ-ჰურთა და სინჯთა. აგრე ჰკრეს ორგნითვე რაზმი და გამოიღეს ფრიდონის
ტახტი, დადგეს პილოზედა. მერმე მოვიდა ჰელმწიფე ფრიდონ და გაეიდა კი-
ბითა, დაჯდა ტახტზედა.

მერმე ყამურ ღვეისა ტახტი გამოიტანეს, დადგეს პილოზედა. გაეიდა ყა-
მური და მაზედა დაჯდა. მერმე შეკვივლეს ერთმანერთსა და წამოიღეს ქაიანუ-
რი დროშა. წამოვიდეს ამდიდრებულნი ზღუავითა. დროშისა ძირსა ჰშაქ იდგა
და ნარიმან აღარ იყო რაზმშიგან, ამაღ რომე პირველად ერთობ ნაომარი იყო
ღვეთაგან და მრავალი სახელოვანი ღვეი მოეკლა, და ისიც ერთობ ნაცემი და-
ნაყილიყო, მისთვის რაზმშიგან ველარ მოვიდა, ოთაღშიგან სუენებად იწუა.

აგრე დაერივნეს ერთმანერთსა და შეიქნა ელვარება ჰრმალთა და აბჯართა
ტკროცალი. მერმე დაუშინეს ერთმანერთსა ისრითა, ჰრმლითა, ლახტითა, შუ-
ბითა, ხანჯრითა, კეითა, ტუკითა. ასეთი ომი შეაქნა, რომე პირველისაგან უფი-
ცხესი. დაუშინეს ერთმანერთსა. მრავალთა თავადთა თავი უპატიოდ მიწათა თა-
ნა გასწორდა. თავი ტანს სალაშსა გაუგზავნიდა. მერმე წამოვიდა ყამურ ღვეი,
ღვეთა თავადი. წამოიღო მისი მძიმე ლახტი, ათას ხუთასისა ლიტრისა, და მი-
სი სიმაღლე ასი ადლი იყო, და მიმართა ჰელმწიფესა და ქაიანურსა დროშასა.
და ოცი ათასი კაცი ჩამოყარეს, დახოცეს.

რა ყამური ფრიდონს მოეწურა, წინათ ფალავანი ჰშაქ მიეგება. და ყამუ-
რი ღვემან მოუქნივა მისი მძიმე ლახტი, ჰშაქს თავსა დაჰკრა. ჰშაქ და ცხენი
ორთავე მიწათა თანა გასწორდა და სოფელსა გამოესალმა. რა ჰშაქის შვილმან
ჰიშუად მამისა სიკუდილი შეიგნა, ფიცხლა საყელონი გარდხივნა, თავსა მიწა-
ნი გარდიყარნა. მერმე აგრე ყამური მოუხდა ხელმწიფესა ფრიდონს და მიჰყო
ხელი, ჩამოითრივა ტახტიდალმან და ღლიასა შემოიჩარა, და ერთი ჰელითა
ლახტი მოიქნივა და დაჰკრა ტახტსა, ტახტი და პილო გარდამუსრად გაყარა.
ფრიდონ ღლიასა სჩირან და აგეთით იცემების. და შეიქნა ყუელინით ზახილო
და მოსაწევარი. და გაიქცა ნარიმანისკენ კაცი, ვითა: რას სწევხარ ფალავანო,
რა მოღალფებისა ეამი არის. აწ უნდა ფალავნობა! გრძნეულმან ღვეებმან ჰშაქ
ფალავანი მოკლა და ჰელმწიფე ტახტიდალმან ჩამოითრივა და ღლიასა სჩირიან
და ისეთი მივა.

რა ნარიმან ესე გაიგონა, წამოვარდა წარბ-შერკმით და მოეწივა ყამური
ღვესა და დაუზახნა, ვითა: სად წახუალ, რა ფალავანთა და გულოვანთა მამა-
თა ჰელი არის გადრეკა და ზურგისა შემოქცენა! რა ყამური ღვემან ნარიმანი-
საგან ესე გაიგონა, აგრე ფიცხლა მობრუნდა და ფრიდონ გამოიძრო ღლიას-

დალმან, დაუქირნა ხუფთონისა საყელო, და მოიქნივა და პირმოღმა ნარიმანს შემოსტყორცა. ნარიმან ფალავანმან ფიცხლა კელი მიუშვირა და დაიქირა, ალაგზედა აღარა დაუშუა, მერმე წყნარად ალაგზედან დასუა. ფრიღონ შიშითა გაშეთებული იყო, იქით და აქეთ წაირბინა და წამოირბინა, მერმე ცხენი მოგუარეს და მასზედა შეჭდა. აგრე ნარიმან გაუხდა ყამური ღეესა და, როგორაცა მიეწივა, აგრე ფიცხლა დაუბრუნდა და ლახტი მოუქნივა. ნარიმან ფალავანმან ხელი მიაგება და ლახტი დაუქირა. მერმე გამოსწივნა და წაულო, მოიქნივა და შორს გააგლო, აგრე შეიქედნეს, დიდხანობამდე იქედნეს, დააღრინის ღეემან პირი და აქითა თვისა ექედებოდის და ჰკებნდის. ნარიმან ფალავანი თავს იქით და აქით არიდებს. მერმე წააფრინდა ნარიმან და ყორჯი დაუქირა, მოიქნივა, დასცა. მერმე მუხლი და ტანი და გუერდი ჩაალეწა. ამოილო აღმასფერი ხანჯარი და თავი გარდაკუეთა.

რა ღევთა ყამური ღევი მოკლული ნახეს, აგრე გაიქცეს. მერმე წაუღგეს უკანა, დაჯოცეს, გარდავლინეს და ამოსწვიტეს. მერმე დარჩა აუამრავი საქონელი. აგრე ხელმწიფემან თავსა თული და მარგალიტი გარდააყარა, და მისცა მრავალი საქონელი. მერმე ლაშქართა გაუყო. აგრე გამარჯვებულნი, საესენი სარი ქალაქსა წავიდა, და ქიშვად მამასა მისსა ჰმამეს თაბუთშიგან ჩააწეინა და ხუარასანს წაიყუანა.

რა ჯელმწიფე სარა ქალაქსა მოვიდა, აგრე გამხიარულდეს ერთობილნი, თემი და მოქალაქენი, ყულაი თავსა წითელსა აყრიდეს ფრიღონს და ნარიმანს. მერმე დარბაზუნ შიგან შევიდეს, და ჯელმწიფე ფრიღონ მძიმესა ტახტზედა დაჯდა, და საქელმწიფეო ტანისამოსი ტანსა ჩაიკუა და მძიმე ქული თავსა დაიბურა, და მას ზედა გვირგვინი დაიდგა, საყურნი გაიყარნა და ტუაყი შეიბა, და ხალხნი შეიყარნა და მძიმედ, კელმწიფურად მოეკაზმა. და აგრე ნარიმანს ოქროსა სელნი დაუღგეს და მახედა დაჯდა. მერმე პურობა შექნეს, და სამსა ღღესა და ღამესა ამოთა ჩანგის მკურელთა და მომღერალთა და მუტრიბთა თანა გამოისუენეს.

მერმე გარეგნით და თემიდალმან მოჩივარნი მოვიდეს, და შემოვიდეს კელმწიფესა წინაშე, კელმწიფე დალოცეს და პირი მიწასა გააერთეს, და ერთპირად ისრე მოახსენეს, თუ: ხელმწიფეო, ესე პირიანი, რომე თქვენ ყოვლითა თემისა ბეფე იყო, და ზაქის მმა თამაზ აღა-ყალას უკუდგომილა და იქიდალმა ამოუწყვეტია თემი და ქვეყანა. კაცსა მოაწყუდღეს თუ დიაცსა, არა რომელსა არ გაუშუებს ცოცხალსა ზაქის სისხლისათვის.

რა ხელმწიფემან ესე საჩივარი გაიგონა, დიდად ეწყინა და ასრე ბრძანა. თუ: ვინ წავა მისდა საომრად მისვე ჰანგმანხვილისა ნარიმანის მეტი! რა ფალავანმან ნარიმან ჯელმწიფისაგან ესე საუბარი და ბრძანება მოისმინა, აგრე ფიცხლა ზე აღგა, ქული მოიხნადა, საწუთროსა დამბადებელი ახსენა და პირი მიწასა გააერთა. მერმე ჯელმწიფემან მაღლი უბრძანა, დალოცა, თუ: შენითამცა იხარებს ტახტი და გვირგვინი ფალავანო და ფალავანთა ზურგო, სფაადარო, პილოტანო, ახოვანო, ჯავარსრულო. მკლავმაგარო, ღევთა ამომწყუტელო, ნიანგთა და პილოთა შემეკურელო, მბრუნავიმცა ეტლი არის შენი წინამძღუარი! რა ესე ბრძანება მოისმინა ნარიმან ფალავანმან, აგრე აღარა დაიყოვნა რა. ქალაქს გარეთ გამოვიდა და ბარჯ-კარეები გამოაღებინა.

ნარიმანისაგან ალა-ყალას წასულა

ჰკრეს ასაყრელსა ქოსსა და ტაბლასა. შესხდეს და გაემართნეს ალა-ყალას ოცდაათითა ათასითა ზაულისტანელითა კაცითა. იარეს და დაესხნეს ციხეს გარეთ ყუალაი და მორაბივეს, დაწუეს, დათხარეს, ამოსწყვიდეს, რომე რისხუა ღმრთისა დასცეს. და აგეთი ალა-ყალას მივიდეს, დადგეს და დასცუეს კარვები, დაუდგეს ნარიმანისთვის ოთალი და შემოაულეს სარაფარდანი გარე, და მოადგეს ციხესა. გარეთ არა გამოვიდა თამაზ და ყოველთა დღეთა ომი იყო, და იქოცებოდეს ლაშქარნი. დაყარიან ზეიდალმან ისარი, ქუა და ძელი, იყვის კივილი და ზახილი და არა ეგუარებოდა რა სიმაგრისაგან. მერმე გაუღლისდა ნარიმან ფალავანი, დააპირა სახუალიოდ ომი.

რა გათენდა, საწუთროსა მაშუებელმან მზემან თავი ამოყო და შავსა კუბრსა წითელი ფარდაგი მოჰფინა, აგრე ჰკრეს ჰმა საომარი ქოსისა, კუნესა სტვირთა სარაზმოთა, შებერეს ნაფირთა, ზროხაკულთა, ნალარა, ზაბულური და შეკაზმა ნარიმან ფალავანი და შეუტევენს. ციხესა კართა მივიდა ნარიმან ფალავანი, და დააყარეს ზეიდალმან მრავალი ქუა და ლოდი და ვერა მოაბრუნეს. მერმე ციხისა კართა მიუხდა¹. დასტაცა რკინისა კართა ხელი და გამოსწივნა. მასვე წამსა გამოაყრევიან და, როგორაცა თავი შეიქცია შესასვლელად, აგრე კარის თავშიგან სალოდე იყო თურმე მორთული, დოლაბისა ოდენი ქუა შიგან იდვა და გამოუშვეს, და ფალავანსა ნარიმანს თავსა დასცეს. მერმე ველარა შევიდა, და აგრე გამობრუნდა და წყნარად სადგომისაკენ წამოვიდა. იქით და აქეთ კაცნი შემოუდგეს და მოიყვანეს ოთალშიგან, დააწვივნეს. სამსა დღესა ცოცხალი იყო, მერმე მოკულდა.

აქა ნარიმანის სიკვდილი, ოცდაათი ომი და ფალავნობა გარდისხდა

აგრე უკუმოეყარნეს ციხესა. სრულად ლაშქართა მხარსა ჩაიხადეს და საყელონი გარდისივნეს, და თავსა მიწა გარდიყარეს, თაბუთი შექნეს, შიგან შეასუნეს და ზაულისტანსა წაიყუანეს. წესია ამა მუხთალისა და მალორებელინსა დარბაზისა, არავის გაუთაედების, არცა დიდთა და არცა მცირეთა, არცა ჯაბანთა, არცა გლახაკთა. ამა წესითა ბერდების.

მერმე წინ-წინ საამს კაცი გაუგზავნეს. თორმეტისა წლისა შექმნილიყო. რა ზაულისტანს კაცი მოვიდა და ამბავი, აგრე შეიყარა მამაცი და დიაცი და... თავსა მოიხადა, საყელონი გარდისივნა. ზაულელნი დედანი თავმოხდით მოსთქმიდის და ამას სტიროდეს, ვითა: გულოვანთა ფალავანთა მამათა პირის წყალო, ბედნიერისა გვარისაო, ლომგულო, ფალავანთა ზურგო, პილოტანო, სფადარო, ახოვანო, ჯავარსრულო, ბეკბრტყელო, მკლავგარძელო, დევთა, ნიანგთა, ამომწყვეტელო და შემკვრელო, აწ სად არის შენი გული, სად არის შენი ომი. სად არის შენი ნაქმარი, სად არის შენი მძიმე ლახტი, სად არის შენი საგდებელი, ხრმალი, შუბი და ხანჯარი! სად დაიშლები შენი საროსა მსგავსი ასაკი ტანი, სად დალბებიან შენნი თეთრი და გრძელნი მკლავნი, სად მოიშლები შენი დაწევი — ვარდი და პირის სახე, მალალო გუმბადო, ფალავნობისა ციხეო! შენითა შიშითა ლომნი შამბშიგან კაცნი ვითა იმაღვოდეს, და ღრუბელშიგან დე-

¹ აქედან ესარგებლობთ S—1594 ხელნაწერით (ყ. 145^ბ). ნარიმანის დაღუპვის სცენა მხოლოდ აქა შემონახული.

ნი იმალვოდეს, და ზღვათა შიგან — ნიანგნი. საღ არიან შენნი... და მამანი...
ფათრათ, გვარჯასპი და ქარიმან...¹.

აქა საამის ამბავი არის

...სახელად, აგრევე ფალავნობა, და თუ უმისოდ გამოარჩევთ, მერმე იჯავ-
რებს. აღარც აქა მოვა და აღარცა იქი წავა. რა ჯელმწიფემან ფრილონ ესე
ნათქუამი გაიგონა ქაივისაგან, ერთობ იამა და კიდევცა დაუმაღლა. მერმე ჰჰაქის
შვილსა ქიშვადს უბრძანა და ქაივის შვილსა ყარანს და ყუბადს, ვითა: ზაულის-
ტანს წადით საამს წინაშე და გლოვისაგან გამოიყუანეთ, და მერმე აქა მოახსე-
ნეთ, რომე ჩვენსა წინაშე დაისაჯნენ. ერთობ შიძიმე საჯაზირო საქმე გვიც!

რა ჯელმწიფისაგან ესე მოისმინეს, აგრე დაეკაზმნეს და წავიდეს. ჯელმწი-
ფემან წაატანა, რაცა საჩუქარი უნდოდა. იარეს, წინათ კაცი გაუგზავნეს, მაც-
ნეყარი. იარა და მოვიდა, მოახსენა, ვითა: ფრილონ გამოგვაგზავნა თქვენსა წი-
ნაშე ქიშვად, ყარან და ყუბად.

რა საამ მათი მოსულა შეიგნა, აგრე სამისა დღისა სავალსა თავადები მი-
ჯება წინა. და წამოუძლუეს წინა და მოვიდეს ზაულისტანს. აგრე წინა სხუანი
თავადნი გაეგებნეს და თვით იგი არა გამოვიდა. რა შეუძლუეს წინა და შევი-
დეს, აგრე ტახტიდალმან წამოხდა და წინა მოეგება და მჰარმოჭლობით, კაც-
ნით ნახა, აგრე დასხდეს სათავადოსა ადგილსა, მერმე ფრილონის დავედრე-
ბული ყულაი უკლებლად მოახსენეს. და პასუხი ასრე თქუა, ვითა: მას არ ეკად-
რებოდა, რომე მოსულიყო და წავეყუანე? აგრე მისთა თავადთა მოახსენეს,
ვითა: მაგას ნუ ბრძანებთ, პატრონი არის. მოუხსენებია განალამცა გამოხვიდეთ
გლოვიდალმან და წავიდეთ. რაცა ეპრიანებოდეს, აგრე გქნათ. რაცა ამ სახლსა
და შენსა გუარსა უქნია, იგივე შენ ქენ, და გმართებთ, რომე ჰქნათ!

აგრე მოამშვიდეს და დამორჩილდა, ტახტზედა ძლიე ეტეოდა. კაცისა
თვალნი მისს უკეთესსა ახალმოწიფულსა ვერა ნახვიდა. დაწვი წითელი, პირ-
ყარდი, თულ-შუენიერი, ტანი საროსა ხესა უგუანდა. აგრე, რაცა საჩუქუარი
და მოსაცემელი გამოეგზავნა ფრილონსა, ყულაი მორათუეს და ტანსა შემოსეს,
და გლოვიდალმან გამოიყუანეს. მერმე დაეკაზმნეს სარის წამოსაყალად. და
მოიყუანეს პილო, მაზედა ტახტი დაუდგეს და გავიდა, დაჯდა. მისი სამანდი
თანა წამოიტანა. და ჰყრეს ქოსსა და ნალარასა, და წამოვიდა ორმოცდაათი
ათასითა კაცითა. იარეს და წინათ [კაცი] გამოგზავნეს ჯელმწიფესა წინაშე,
ვითა: მოვიდით და თქუენცა წინა მოგუეგებენით და აგრე ნახეთ, ერთობ გაგუ-
ლისებული არის თქვენისა აქა მოუსულელობისათვის. და აწე წინა მოეგებე-
ნით და გული დაუოლკეთ. რა ნახეთ, თქუენცა მოგუწონების, ამისსა უშუენიე-
რესსა ნაყოფსა, მგონია, არა ქვეყანაზედა სხუა არა დაბადებულოყოს.

რა ესე გაგზავნილი კაცი მივიდა ფრილონს წინაშე, აგრე მოიყუანეს პილო
და გამოიღეს ტახტი, დადგეს. მერმე ჯელმწიფე ფრილონ გამოვიდა და აგრე
გავიდა პილოზედ, დაჯდა. მერმე მრაველითა თავადებითა საამს წინა მიეგება.
სამსა მილიონსა მოვიდოდეს მრავალფერად ტანისამოსითა დაკაზმულნი. და
საამ შუაზედა მოვიდოდა, დიდი მთავითა. შორედალმან შეეტყობოდა, რომე

¹ აქედან მხოლოდ H-921 ხელნაწერით ესარგებლობთ, რადგან S-1594 ხელნაწერს ეს
ნაწილები აღარ შემორჩენია.

ნარიმანის შვილი საამ იყო და ჯელთა მამისსეული ლახტი ჰქონდა. და მარჯუნ-
ნით ქიშუად მოსდგომოდა და მარცხენით ყარან და ყუბად. და ასრე მხიარუ-
ლად მოვიდოდა, ამას ჰკუანდა, თუ პრსა ვარდი მოსცივივისო, მხიარულსა,
მწუხნიანსა ყუაგილისა მინდორსა ჰგავს.

რა მოახლოედეს, მერმე ასრე მოახსენეს, ვითა: ხელმწიფე არის, ჩამოხე-
და აგრე სალაში მოახსენეთ, ზედაქლომით არ ეკადრების, თქვენცა უკაცრავად
მოგიხდების. აგრე ფიცხლა ჩამოხდა, დაუჯერა თავადებსა და, რა ჯელმწიფემან
საამ ჩამოხდომილი დაინახა, აგრე ესე აქეთ ჩამოხდა და ერთმანერთსა ქუე-
რთად მიეგებნეს წინა და მკარამოქლომით აკოცეს. მერმე ჯელმწიფესა ერთობ-
უკვირდა საამის სიმშუენიერე, სიკეთე, ტანისა ასაკობა. აგრე საჯელმწიფო
ქული მოიჯადა და საწუთროსა დამბადებულსა დიდი მადლი შესწირა საამის
ესრე სიკეთისა და ფალანგობისათვის. მერმე შექდა, მისი სამანდი მოგუარეს,
და შესხდეს სრულად ლაშქარნი და სარას წამოვიდეს.

რა ქალაქსა შიგან შემოვიდეს, აგრე მოქალაქენი თავსა წითელსა აყრიდეს.
და, როგორაცა ციხისა ძირსა მივიდეს, ჯელმწიფემან ასრე ბრძანა, ვითა: ჰაი,
ჰაი, წინანო ფალანგნო, რა იქენით, თქვენი ძალი და ფალანგობა! მერმე ამა
საუბარსა ყური მოსწივა საამ და მოახსენა, ვითა: რატომ ბრძანეთო!

მერმე დიდი ლოდი იჯდა კარმიგან და იგი უჩუნა, ვითა: პაპათა და მამათა-
შენათგან არის მოღებული და მათ უკანით სხუა კაცი არა გამოჩენილა, რომე
აილოს. რა ფრილონისაგან ესე გაიგონა, აგრე ფიცხლა ცხენისაგან გარდახდა, და
ასრე თქუა, თუ: მათ მე როდეს უარესი ვარო. ამოიკალათავნა და შეუყარნა
ქელნი, ასწივნა და აილო, და თავსა გარდივლო და გაუშუა, და იქით დაეცა
და ასეთი ძვარანი გაუხდეს, სრულად ქალაქნი შეიძრნეს. და გაუკვირდეს ერ-
თობილთა მისი ეგეთი ძალი.

მერმე დარბაზად შევიდეს. და ხელმწიფე ტახტსა ზედა დაჯდა, საამს ოქ-
როსა სელნი მობართუეს და მამისსეულს ალაგსა დასუეს, მერმე სხუანი თავ-
ადები შემოვიდეს: ქიშუად, ჰაე, ყარან და ყუბად და დასხდეს, როგორცა წე-
სად მართებდა, აგრე ვაზირობა შექნეს. და ასრე ბრძანა ჯელმწიფემან, ვითა:
შვილნი დამეწიფვიან — სალიმ, თური და ერაჟ. აწე ასრე მინდა რომე სამნი
ქალნი ვიშოვნენ და მათ ცოლად შევრთნენ. და მანვე ბრძანა: იამანთ, ჯელმწიფე-
სა სარუშაჰს უდგანან სამნი ასულნი და ჩემთა შვილთა საკადრისი ის არიან,
მაგრამ ვინ წავა მათ მოყუანებად, ერთობ სამე ამაყი კაცი არის, თუ ასეთი კა-
ცი წავა, რომე, თუ ნებითა არ მოსცნეს, მერმე წამოახსენეს, მაშინდა ჯელის
ძალითა წამოლახნეს, რას ბრძანებთ, ვინ არის ამისი მქნელი?

რა ნარიმანის შვილმან საამ ფალანგმან გაიგონა და შეიგნა, ყუალასა მას
ზედან უზნობდეს, მერმე ასრე მოახსენა საამ ჯელმწიფესა, ვითა: მე წავალ და
გმსახურებთ თავასა. და მამისსეულსა მძიმესა ლახტსა და ლაშქარსა თანა წავი-
ტან და, თუ ნებითა მომცემს, მაშინ კარგია და, თუ ნებითა აღარა მომცემს,
ჯელის ძალითა გამიღებვის, მერმე მიყურე, თუ რა უყო, ჩემითა მძიმითა ლა-
ბტითა, თუ როგორ გავხადო ჯელმწიფე, და თემი და ქუეყანა.

ამას ზედა აეკაზმა საამ ფალანგი იამანთ ჯელმწიფესა წინაშე წასაველად.
ადგა და გაემართა. გამოვიდა, მისი ცხენი მოგუარეს, სამანდი. შექდა და ქა-
ლაქსა გარეთ გამოვიდა და ქიშუად თანა გამოიყუანა. დაეკაზმნეს წასაველად.
და მოიყუანეს პილო და მაზედა ტახტი დადგეს, მძიმედ მოქედილი. წასაველად
გამართული საამ და ქიშუად დარბაზისაგან კიდევე მობრუნდეს, და საამ მძიმე

გვირგვინი დაიდგა. მის გუარსა მის მეტსა გვირგვინი არა რომელსა სდგმოდა:.. რა დარბაზისა კარზედა მოვიდა, ჩამოხდეს საამ, ქიშუად, მერმე აგრე დარბაზს. შევიდეს გამოსალმებად. როგორაცა ჯელმწიფემან შემოხენდა, გვირგვინი ედგა საამს, გაუკვირდა ჯელმწიფესა, ვითა: მისსა გუარსა არა სდგმოდა, იმან- რატომ დაიხურაო. მერმე ქავ ასრე მოახსენა, ვითა: სული დაიდუ, ნურას იტყ- ვი, თუარემ მისთა დღეთა შიგან ეელარა მოამშვილებ!

მერმე ჯელმწიფესა გამოესალმნეს და აგრე უკმობრუნდეს. გამოვიდეს, შე- სხდეს და წავიდეს. აგრე ჰკრეს ასაყრელსა ჯმასა ქოსსა და ტაბლაცსა, გაემართ- ნეს იამანეთით ორმოცდაათი ათასითა კაცითა საამ ფალავანი და წაიტანა თანა ჰშაქის შვილი ქიშუად, და წავიდა მოციქულად. აგრე დაშუშნი იყუნეს, წაივი- დეს წინათ და მოახსენეს იამანთ ჯელმწიფესა სარუშაჰს წინაშე, ვითა: რასა სხედხართ, ფრიდონ ნარიმანის შვილი საამ გამოგზავნა ორმოცდაათი ათასითა კაცითა მოციქულად და ქალთა გთხოვს მისთა შვილთათვის, თუ ნებით მისცემთ, კარგია, თუარემ ძალითა წაგისხამს.

საამის ამბავი ასრე მოგახსენოთ: მიხა გუარსა ყულასა უფროსი არის. დიდსა მალასა მთასა ჰგავს და მოვა. აწე თუ თქვენ, რასაცა ბრძანებთ, პატ- რონნი ხართ! რა იამანთა ჯელმწიფემან სარუშა ესე ამბავი გაიგონა, აგრე ყულ- გნით ლაშქრისათვის სავმობარი კაცები გაგზავნა. და ერთი წიგნი და კაცი ქო- იალს გაუგზავნა, ერთი წიგნი და კაცი მუთარიადს გაუგზავნა, ერთი წიგნი და კაცი ყაილუშიძლს გაუგზავნა და ფიცხელა მის წინაშე იხმნა. როდესაც წიგნე- ბი და ამბავი მიუვიდა, პირსა და თულთა დაიდუეს და მასვე წამსა წამოვიდეს.

იარეს, ჯელმწიფესა წინაშე მივიდეს, შევიდნეს, პირი მიწასა გააერთეს. მერმე დასდეს. აგრე ვაზირობა შეექნეს. ჯელმწიფემან მოახსენა, ვითა: ფრი- დონს საამ გამოგზავნია ორმოცდაათი ათასითა კაცითა ქალთათვის სათხოვ- რად და მოციქულად მოვა. აწე თქვენ რასა ბრძანებთ, როგორ გამოვარჩიოთ? მერმე ქოილად მოახსენა: ჯელმწიფეო, მოციქული მე ასი ცხენოსანი მასმინან, ორმოცდაათი ათასი არ გამოიგონია. აწე მე რომე გამისინჯავს, თუ ნებითა მის- ცემთ, კარგია, თუარემ ძალითა მოგვიხდების. აწე მე ასრე გამირჩევი, რომე შევიყაროთ ჩვენცა და მივეგებნეთ და შევებნეთ! თუ ისი ფალავანობით იყუე- ხის, ჩვენცა თუ ფალავანი არა ვართ, ამას, რომ ჩვენს უკანდელნი კაცნი გიზრა- ხეიდნენ, თუ: საამ ჩაუდგა შინა და ჯმა ვერავინ გამოსცა შიშითაო. მართ შევებ- ნეთ და დავიჯოკნეთ იგი სჯობს, აუგვიანად სიცოცხლესა სახელოვნად სიკუდი- ლი გავიჯობს და ქვეყანაზედა ჩვენი სახელი იადგანდ დაჩრეს!

მერმე ჯელმწიფემან სარუშაჰა ასრე უბრძანა, ვითა: რომე ჩვენცა დავი- ჯოკნეთ, თემი და ქუეყანა ამოსწყდეს და ქალნი ჯელის ძალითა წაახხნენ, მათ შევეწყობი და ნებითა მივსცემ, იგი მირჩევიან. დიდი ჯელმწიფე არის. ფრი- დონს ვერა წავეკიდები მე და ვერცა სამისურის მძიმესა, ფათათისსეულსა ლახტსა დაუდგამ. ნახეთ, ფათარათ რა ქნა. სრულად ჯმელეთი დევთა ჰქონდა და ყულაი მან ამოსწყვიტა და დაჯოცა. მისთანა ფალავანი არ დაბადებულა და აწე მისის ნათესავისა შვილი არის. ქარიმანის და ნარიმანის ამბავი თქვენცა იცით და გასმია, თუ რა ნაქმარი ქნა. და აწე საამისურისას ასრე იტყვიან, ვითა: ამის უკეთესი მათის გუარისა არ დაბადებულაო. აწ რადგან ისი მოვა ქალთა სათ- ხოვრად, მიეცემის, მეტი ღონე არა მაქუს და, თუ ისი არ ყოფილიყო, მაშინ- და ვის მივსცემდი! აწე წავიდეთ და წინა მივეგებნეთ, იგი სჯობს სხუასა რჩე-

კასა, და გზაშიგანცა გავსინჯოთ, თუ მისი ოძი და ბრძოლა შეგვეძლოს, ვითაძ არა გვითქუამს რა.

ამაზედა ვაზირნი და ფალავენიცა მოემოწმნეს, დაეკაზმნეს წინა მოსაგე-
ბავად. მერმე ქალაქს გარეთ მოედანშიგან მოიღეს ბარგი და კარეები და მძიძითა
იარალითა გაემართნეს. და მოიღეს მძიმედ მოთვალმარგალიტული ტახტი და
პილოზედა დადგეს. აგრე მოვიდა იამანთ ჯელმწიფე სარუშაპა და საჯელმწი-
ფო ტანისამოსი ჩაიცუა, და აგრე კიბითა პილოზედა გავიდა, დაჭდა. აგრე ჰკრეს
ნალარასა, შესხდეს და წავიდეს, იარეს, ათისა დღისა სავალსა, წინა მიეგებნეს.
წინათ კაცი გაგზავნა. აგრე აღჩნდა ერთმანერთი.

აქა საამ ფალავენისა და იამანთ ხელმწიფისა ნახუა

როგორაცა მოახლოედეს, აგრე შეხედნეს საამისურს და უზომოდ გაუ-
კვირდა ერთობილთა. აგრე ჯელმწიფემან უბრძანა: ის, რომე შებმასა მაწუეე-
დით, აჰა გინახავს და აწ ვინ გეცილების, რად არა შეებმით? მერმე მათ მოახ-
სენეს, ვითა: დევთა და ნიანგთა ბრძოლა იქმნების და მისი არა. ამაზედა მოვი-
და საამისურ და ჩამოხდა. იქით იამანთ ჯელმწიფე ჩამოხდა, და ერთმანერთსა
ქუეითად წინა მიეგებნეს და მქარმოქლომით ერთმანერთსა აკოცეს. მერმე
ერთობილთა თვადშიგან კოცნა და სალამი შეიქნა და, როგორაცა მისგან მოი-
ცალეს, აგრე შესხდეს ერთობილნი ლაშქარნი და საამისურს მოგუარეს მისი სა-
მანდი და შეჭდა, და ერთგან იარებოდეს იამანთ ჯელმწიფე და საამისურს ჰკი-
თხავდა იამანთ ჯელმწიფე ფრიდონ ჯელმწიფესა და მისთა შვილთა ამბავს, მაგ-
რამ ასრე საამ მოსწონდა ერთობილთა თვადთა და ჯელმწიფესაცა, რომე უფ-
როსობა არ ეგებოდა, და უკვირდა მისი სიმაღლე და ასაკიანობა. ყოველი სუ-
ლი გაკვირვებისათვის საწუთროსა დამბადებელსა ნადლსა შესწირვიდა.

მერმე იარეს, იამანეთსა ქალაქსა მოვიდეს. იამანთა ჯელმწიფე სარუშაპ
ქალაქად შევიდა და საამისურ გარეთ დადგა მოედანშიგან. მერმე მოვიდეს ლაშ-
ქარი და ბარგი და კარეები, პილო, აქლემი, ჟორი, საპალნები, მძიძითა იარალი-
თა წამოსულიყო საამ ფალავენისა გამოსაჩუენოდ. და მოხადეს, დადგეს მრავალ-
ფერნი ოქრო-ქსოვილნი, სტავრისა და ინდოურისა ქაშისა კარავნი. აგრევე
მოკიდებითა ოთადნი წითელნი და ლურჯნი და მწყანენი შიგნით კარავი და ჩიბი
ყუალაი ოქროთა მოჭედლიყო. აგრე ოქროსა ბუშტები და კანდლები მტევან-
მტევნად დაცმული ოქრო ვეიდა.

მერმე მოიღეს მრავალეციი სარაფარდანი მძიძისა ინდოურისა ნახლისანი.
ლომის ტყავითა და ვეფხის ტყავითა შეკერილნი და შემოავლეს. აგრე გარე-
ვე მოიღეს მძიმედ მოთვალმარგალიტული ტახტი და შუაზედა დადგეს. მერმე
მოვიდა საამისურ ფალავენი, მაზედა დაჭდა. მერმე სარუშაპ ციხე-დარბაზოვანი
ყუალაი მოაკაზმინა, აგრევე ორივე ტახტი მოიღეს; ერთი იამანთა ჯელმწიფი-
სათვის დადგეს და მეორე — საამისთვის. აგრევე მრავალფერნი ქუეისაფენი, ნა-
ტანი და ნოხნი. აგრევე მოასურნელეს მუშკითა და ალოთა. მერმე ქოიალ გა-
მოგზავნეს მაწვევრად, საამს მოვიდა და მოახსენა. საამ ფალავენი ადგა, ეარდი-
სა წყლითა პირი დაიბანა და ფრიდონ ჯელმწიფისა ნაბოძვარი საჯელმწიფო
ტანსა ჩაიცუა, მძიმე ქუდი დაირქუა, მაზედა გვირგვინი დაიდგა და მრავალი
თავს სარქუამი დაირქო, ტყავი და ხალახნი შეიბა, საყურნი გაიყარა, მძიმე
წამოსასხმელი წამოისხა, აგრე სამანდი მოგუარეს და მაზედა შეჭდა.

აგრე ქოილ წინა გაუძლუა. და იგი და ქიშუად წავიდეს. როგორაცა დარ-
ბაზისა კართა მივიდეს, აგრე ჩამობდა, კელმწიფე წინა გამოეგება და საამს
ველთა მოეკიდა და აგრე შეიყუანა, ერთსა ტახტზედა კელმწიფე დაჭდა და
მეორეზედა — საამ ფალაენი. მაგრა სხუასა ასრე უმაღლე იყო საამისურ კელ-
მწიფესა, როგორაცა მაღალნი ქანდარნი მომცროთა უმაღალე იყოს, აგრე მო-
დეს ყოელისფერი სანუეუარი ფერად-ფერადი. შეიქნა ნადიმი ყოველთა სტუ-
მარ-მასპინძლობისაგან უსაკვირველესი. და მეჩანგენი და მუტრობნი და მომ-
ლერალნი ალყა გარშემო სხდეს, ჰამოთა წმითა სიმღერასა იტყოდიან და ეს-
რე გამოისუენებდეს პირმთუარეთა ქალთა თააა, მერმე ქოილ მოახსენა ფა-
ლავენსა საამისურს, ვითა: ფალაენო, მოიღეთ წიგნი ფრიდონ კელმწიფისა:
აგრე ფიცხლა ზე აღდა საამ ფალაენი და წიგნი მიაართეა კელმწიფესა. აგრე
კელმწიფე აღდა, წიგნი გამოულო, თუალთა და პირსა დაიდვა და აგრე ეაზირსა
მისცა, ვითა წაიკითხეო!

რა ვაზირმან წაიკითხა, ესე ეწერა, ვითა: აღმოსავლეთისა და დასავლეთისა
ხელმწიფე ფრიდონ მოგახსენებ იამანთ კელმწიფესა სარუშაჰს, რომე სამნი
შენნი ქალნი მომეც, ჩემთა შვილთა საოლედ და, თუ ამას არა იქ, შეეიყრე-
ბი მძიმითა ლაშქრითა და მოგიხდები და ასრე ამოვსწყუეტ შესნა თემსა, რომე
მიწათა თანა გავასწორებ, მელთა და მაჩუთა სათხარად შევიქი! რა ესე ბრძანე-
ბა გაიგონა იამანთა კელმწიფემან, აგრე თავი ჩამოილო და ასრე ბრძანა, ვითა:
მისი ყმა ვარ, მოსამსახურე. ჩემი შვილი და თავი მისთვის უშუტრეულია, მაგ-
რა ამას მოგახსენებ, თუ ჩემი თავი სამზახოდ უნდა, ესე თუყოს: როგორაცა
ჩემნი შვილნი თქვენ გინახავან, აგრე ჩემნი სიძენი აქა გამოაგზავნენ და, რო-
გორაცა მმართვებს, აგრე მიესცემ ჩემთა შვილთა. მერმე ფალაენმან საამ ასრე
მოახსენა, თუ: კელმწიფე ჩემს უნებელს არას იქს. თუ გეპირიანების, წიგნსა და
კაცსა გავაგზავნი და სამთავე იქა მოვასხამ! მერმე კელმწიფემან მოახსენა: დაა
კარგსა იქ და შენებურსა, როგორაცა აქა მოვლენ, მერმე, რაცა შენ გეპირიანე-
ბის, ყუალასა აგრევე ვიქ!

ამაზედან საამ ფალაენმან წიგნი დაწერა. პირველ სახელი ღმრთისა ახსე-
ნა და მერმე კელმწიფე ფრიდონ დალოცა, ვითა: ნიადაგმა გულნათლად და
მზიარულად ხართ, ნუმცა ოღეს დაიღრეჟს თქვენი ვარდისფერი გული, სიტყუა-
ბედნიერო, გულმოწყალო, ჭკუიანო, გამომრჩეო, სიტყუა-ბრძენო, უხბო, მდა-
ბალო, მოწყალო და მოსამართლო, გუნება-ვრცელო, სევდისა გამაქარეებე-
ლო, საწუთრო ნუმცა უშენოდ, ტახტი და გვირგვინი, ელვარეო და განმა-
ნათლებლო, მე მიწა და მიწაობისა უღირსი, მონა და მოსამსახურე ფალაე-
ნი საამ ვიკადრებ აღმოსავლეთისა და დასავლეთისა კელმწიფისა ფრიდონს წი-
ნაშე, ბედნიერსა ეტლსა ზედა მჯდომო, ნუმცა ოღეს შეიჭირეებს თქვენი გული
მაღალო საროგო, მეფეთა მფლობელო, რაცა ბრძანეთ და სამსახური მიბრძა-
ნეთ, და ყუალია ასრე აღვასრულებ, დამემოწმა იამანთა კელმწიფე და ჩვენსა
ნებასა ზედა მოიქცა, პირი მთუარენი ქალნი, ბანუანთა თავნი, კოკობსა ვარდ-
სა და მოკინარესა ნარგიზასა ჰგუანან, სამოთხისა ყუაგილნი ვითა ყუავიან, ტა-
ნი წყლტიესა ჩინარსა ხესა უგავს, შუბლი გათლილსა ბრძოლისა თეთრსა მარ-
გალიტსა ვითა უელვენ, გაზაფხულისა ნამიანსა ყუაგილიან მწუანესა მინდორსა
კამკამი მზე მოეფინოს და პირნი შემოსცინოდეს, აგრე პირნი შემოსცინიან.
თითები ეკალმუხასა უგავს. და აწ ნურას დააყონებთ! რა ესე ამბავი მოგვხსე-
ნოს, თქვენნი ბედნიერნი შვილნი ფიცხლა აქა გამოგზავნეთ! აგრე შეეპირე-

ბივარ. იარაღსა, რასაცა წამოატანთ, პატრონნი ხართ! რა წიგნი გაათავა, აგრე მისცა ერთსა კაცსა და გაგზავნა ქელმწიფესა წინაშე.

მერმე სმისა და ლხინისა საქმესა მიყარნეს გონება. რა იამანთ ქელმწიფისა სარუშაპას ფალავანი დაიორო ქოილ, ასრე მოახსენა ფალავანსა საამს, ვითა: ფალავანო, მუღმად ნადიმი არ იქნების. ერთხელ მოედანშიგან გავიღეთ და რკენითა და ფალავანობითა შეევექცეთ! რა საამისურა ქოილისაგან ესე გაიგონა. დიდნი გაიკასკასნა და იამა. და იმა ღამესა გამოისუენა.

დილასა, რა გათენდა, საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო და შავსა გიშერსა წითელი ვარდი მოჰფინა, აგრე გააღებინა ქელმწიფემან მძიმე ტახტი და მოედანშიგან დაადგმევინა. მერმე იამანთ ქელმწიფე მივიდა, ქელმწიფურად მოკაზმული და ტახტზედა დაჯდა. და მოვიდეს სამნივე ფალავანნი ქოილაჰი და მუთარიჰი და ყაიდუშიად. მერმე მოიღეს ექუსი დიდროვანი ღოღობისა ოღენი ქვა და უწყვეს ორ-ოლსა აღმა-დაღმა გღებდა, თითო მან და თითო მან, დიდხანობადის ამა წესითა შეექცეოდეს და იმღერდეს ქელზედ. აგრე ერთობილნი ლაშქარნი და მოქალაქენი იყურებოდეს და წამოდგომილიყუნეს უბანსა და უბანსა, და ზემოთცა გარდადგომილ იყუნეს ბანუნათა თავნი.

აგრე მოვიდა ფალავანი საამ იამანთა ქელმწიფესა წინაშე, ფარაენი მოითხოვა. მერმე ამოიკალთა და ლომივითა გამქისეებული წამოვიდა. შემოუტეენა, ქოილ რომე ააგდო, ვირემდის ისი დაიჭირვიდა, მიუშვირნა საამ ქელი, სტაცა, მოიქნივა და ერთისა სათურგნოსა გააგდო. აგრე ერთობილთა გაუყვირდა. მერმე იამანთ მეფისაგან ქუეშ-ქუეშ ასრე იყო დავედრებული, ვითა: თქვენი ძალი და ფალავნობა ყულაი გამოიცადეთ და მოიჭირვეთ, რომე საამს მყოირნევითა და, თუ ამას მოვერევით, მაშინ ფრილონსა არცა რას შევეპოვები და არცა ვახსენებ.

აგრე საამ ფალავანი მთვრალი პილოვიითა მოედნისა შუაგულობასა ქუე იღვა. და მერმე მიუხდეს სამნივე ფალავანნი. სამთავე ერთხელას რკენა სთხოვა. აგრე აქედამან ამათ მიმართეს. ფიცხლა ორნი, წინათ რომე მოვიდეს, ერთი ერთსა კელსა შეეპედა და ერთი-ერთსა, ერთი უკანიდამან ფერკსა მოეკიდა და აღმა სწედა, და ვერა დაუძრა ფერხი. მერმე, ქელთა რომე ეპედებოდეს, მოიქნივა ერთითა ქელითა და მეორე ზედ დაატანა, და უკანით ეპედებოდა, დაჰკრა ნაწყლი და თავი ქუეშე მოიშყვედია და ველარა დააძრო. მერმე იამანთ ხელმწიფემან დაუზახნა, ვითა: ფალავანო, მაღალიმცა გტლი არის შენი დროშა და ნულარა დაჰკოც მგა კაცთა! აგრე ქელმწიფისა სიტყვაზედა აუშუა. საამისურა ოთაღშიგან წავიდა. მერმე ერთობილთა ქვა შეასხეს საამს.

აგრე სარი ქალაქსა მივიდა ესე გაგზავნილი წიგნი და კაცი. ქელმწიფე ფრილონს საეარდშიგან იჯდა და მრავალი მეჩანგენი უხსდეს და გამოისუენებდა. აგრე წიგნისა მიმღები კაცი წადგა და ჩოქითა წიგნი მიართუა. ქელმწიფემან წიგნი წაიკითხა, გაეხარნეს, ასრე რომე უფროსობა აღარა იქნებოდა, წიგნის მოსვლაზედა. მერმე მისნი შვილნი იხმნა სალიმ, თური და ერაჯ. აგრე თავადებსა გაუგზავნა კაცი, ყულაი მუნ იხმო და მოვიდეს ერთობილნი. ხელმწიფე საეარდშიგან ზის ტახტზედა. უწინ შევიდეს ქაე, ყარან და ყუბად. ქელმწიფესა სალაში მოახსენეს და დასხდეს მათსა ადგილსა, აგრე სხუანი თავადნი და ვაზირნი შემოვიდეს და თავ-თავად სალაში მოახსენეს. აგრე დასხდეს, როგორაცა მათ წესად მართებდა. და ქელმწიფესა ფრილონს შვილნი გუერცა

უსხდეს. მერმე ერთობილა ლაშქართა წიგნი უჩუენა, მწიგნობარსა უბრძანა წაკითხუა. და წაკითხა ერთობილსა ლაშქარზედა. ყულასა და გაეხარნეს.

მერმე დაუწყო შვილთა კაზმა გასაგზავნელად. უბრძანა სახლისა გამლვენთა ვაზირთა, სახელოებსა და დაუწყეს ბარგსა გაღმა ზილვა, მოედანშიგან ყრა, მერმე მოასხნეს პილოები, აქლემები და ქორები და ცხენები, დაუწყეს იარაღსა წყობა და ყულაი დაამზადეს.

ფრიდონისაგან შვილთა გაგზავნა საქორწილოდ იამანთა ხელმწიფესა წინაშე, სალიმ და თურისა და ერაჯისა

მერმე უხუცესად ყარან და ყუბად აჩინნა და სამყაული, სალარო და საქონელი ყულაი მათ მიათუალეს. დაიწყეს მიწერა და მითულა. სფადარმან ყარან და ყუბად აკიდეს ოცდაათ ათასსა პილოსა სამთა რძალთათვის სრულად მყარი ოქრო, თულა-მარგალიტი და თეთოსა პილოსა შეაბეს ათი ათას-ათი ათასი ოქროსა ზანზალაჲი, ათას-ათასი თული და მარგალიტი, მოასხეს მძიმედ ხალასითა შეკერული ჩარყაფისა მოთულმარგალიტული. სახურავეები ზედა გადახურეს და აგრე მოკაზმეს. მერმე მოასხეს ათას-ათასი აქლემი და აკიდეს ტანისამოსი ყულაი საკელმწიფო, კერული და უკერავნი, ხატაური, ინდოური და ჩინური ოქროქსოვილი, ქაშხა, ხაოედი, ნახლი, სტავრა, სინჯაბი, სიასამური, ყარყუმი, ჩილდაჲი, ყულაი ჩარყაფიან მოთულმარგალიტული და შეაბეს მრავალფერნი ზანზალაჲი. აგრე გარდახურეს უცხოფერად მოკაზმული სახურავეები, მადარბულად შეწყობილი ბეკედი, ზურმუხტი, აყიყი, ვარჯანი ზურმუხტითა ნაჭრელები. აგრევე მოასხეს ათი ათასი ქორები და აკიდეს საღეინე და საჭულაბე ოქროსა კოკები, ლორთომლები, აბრაიგი, მაშრაბები, საყარყები, თუნგები, კრიანტლები და ბროლის ქურკლები, ყულაი მოთულმარგალიტული, სხუა ჩარა, ნავი, ჩოდრათო თეშმი, ტაბაკი და თული, თანგა თეთრა, ასი ათასისა თუმნისა და შეაბეს ზანზალაჲეები. აგრევე მოასხნეს ათი ათასი ცხენი და აკიდეს ხატაურისა ოქრო-ქსოვილისა ქაშხისა კარავები, ოთაღნი, სარაფარღანი, ფარდავნი და ვეფხისა ტყაყითა ნაყერნი ნონნი, საგებელნი და ნატანი ჩარყაფად და ხალასითა ნაყერნი. აგრევე მოასხეს ოცდაათი ათასი ზროხა და აკიდეს პური და ჩამიჩი, შაქარი, ხუმრა, ერბო, თაფლი. აგრევე მოასხეს ას ოცი ათასი ცხუარი და გარდაყენეს ბარგი. მერმე მოასხეს სამნი პილონი თეთრნი და მოიღეს კიბე და მიუღდეს, თექსუმეტი ნაბიჯი გავიდა. მოიტანეს მძიმე ტანტი, გუარითა შეკაზმული, და გუმბადი ვარყითა ოქროთა მოკედილნი და მოთულმარგალიტულნი. სამსა პილოზედა ასეთი ტახტები დადგეს.

მერმე მოვიდეს სამნივე კელმწიფისა შვილნი სალიმ, თური და ერაჯ და მოიღეს საკელმწიფო შესამოსლები, ჩაიციუს და დაეკაზმნეს. მოიღეს საკელმწიფო ქულდები და გვირგვინი დაირქუეს, შეიბეს ხალახნი და ტვაყი, და გაიყარნეს საყურნი გრძლად დაკიდებითა. აგრე გავიდეს პილოზედა, დასხდეს ტახტზედა. აგრე სრულად ლაშქარნი დაეკაზმნეს, ყულასა ოქროთა მოკედილი უნაგირი ედგა და მოკედილი მძიმე ქრმლები ერტყა. აგრევე მოიტანეს ქაიანური დროშისა ალაში და ხშირად თული და მარგალიტი მოასხეს, და სამასი ადლი ტარი იყო. მოიღეს და ოქროთა მოკედეს და ალაში მაზედა ააბეს. მერმე მოასხეს ოთხასი დარჩეული ტაიკი, ოქროთა აკაზმულითა უნაგირთა და ჩარყაფისა ასლითა და აბაითა დაკაზმული, აგრევე ათასი ბედაური სხუავე ასრევე დაკაზ-

მული. და ესეცა თანა წაატანა და ერთი ოქროსა ლახტი საამისთვის, ოთხასი ლიტრა იყო, და ერთი ქიშუადისათვის, ასის ლიტრისა. აგრევე ოთხასი თავად. ყულაი დარჩეული ბეგლარ და ბეგები, და თავად ესენი წაატანნა: ყარან და ყუბად, მილად და ვაის.

მერმე ჰკრეს სამრიგად სამთა ჯელმწიფეთასა ნალარასა, ქოსსა, გურგსა, დუმბულსა, სპილენ-ჰურსა და სინჯთა. გაიძლუანეს ქაიანური დროშა წინა და გაემართნეს დიღითა ძალითა და იარაღითა. ფრიღონ ჯელმწიფე დიდსა ალაგსა თანა გაჰყუა და სამთავე შვილთა ასრე დავედრა, ვითა: იამანთა ჯელმწიფე გრძნული არის და გაფრთხილდით, რომე არა შეგზიფნეს. სამთა ქალთა ერთად დასხამს, ერთფერისა ტანისამოსისა ჩააცუამს. და უფეროსსა შვილსა ასრე დავედრა, თუ: ბოლოსა რომე ზის, ისი შენი ცოლი არის და მოეკიდე ჯელსა და წამოიყუანე! მერმე თურის უთხრა, ვითა: შუაზედა ზის, ისი შენი ცოლი არის, იმას შენ მოეკიდე ჯელსა და წამოიყუანე! აგრევე ერაჯს დავედრა: ზემოთ რომე ზის, ისი შენი არის. და გარეთ თუ დაგაყენოს, სავარდემიგან ზედა კარგათ დაიხურეთ. გრძნებითა თოვლსა მოიყუანს და სიცივემან არა გაწყინოს რა,

აგრე გამოესალმეს ერთმანერთსა და წამოვიდეს. ფრიღონ აქეთ უქმობრუნდა. აღარა დარჩეს რა, ერთი ქავის მეტი. და წაატანეს თანა ასი ათასი კაცი, იარებს და რა ზუთისა დღისა სავალსა მიეწურეს, წინათ კაცი გაგზავნეს მახარობლად საამს გუერდისს.

რა მახარობელი მოვიდა და ამბავი მიართუა, და გამხიარულდა, იამანთა ჯელმწიფესა გუერდის გაგზავნა, წინა კაცი გაუძლუანა და, როგორაცა იამანთა ჯელმწიფესა წინაშე შევიდა და ახარა, აგრე თავსა ოქრო გარდააყარა.

მერმე გამოვიდეს წინა მოსაგებავად. გამოიტანეს ტახტი, დადგეს ჰილოზედა. აგრე გვიდა იამანთა ჯელმწიფე მძიმითა საქელმწიფოთა შესამოსლითა საყუროსან—ტავაყოსან—გვირგვიხოსანი, ხალახნიანი და აგრე ტახტზედა დაჯდა. მერმე სრულად ლაშქართა უბრძანა, ვითა: დაეკაზმენითო, სრულად ერთობილნი ტანისამოსითა და ნულარავინ სწყალობთ! ამის უფრო აღარაოდეს დაგეჰირევის. აგრევე საამისურ ვასცა თავის ლაშქარზედა მრავალი ტანისამოსი. აგრევე ქიშუადს მისცა ერთი ხელი ტანისამოსი და, ვითა ყვავილნი, დაეკაზმნეს წითლითა, ლურჯითა და მწუანედ, შავად, თეთრად, ყუითლად. შესხდეს, წამოვიდეს ჯარად, ბოლუქ-ბოლუქად.

აქა ფრიღონის შვილთა და იამანთა ჯელმწიფისა ნახუა

ჰკრეს ქოსსა, ნალარასა, იქით იმით და აქით ამით. რა ერთმანერთსა მიახლოვდეს, მერმე ჰკრეს ორგნითვე ქოსსა და ნალარასა, შეიქნა ნაფირთა, სტეირთა ზრიალი, აგრე რომე ახლოს მიუდგეს ერთმანერთსა, მერმე წაიარეს. საამისურ ფალავანმან და ქიშუად ფიცხლა გარდახდეს ცხენისაგან. ქუეითად წინა მიეგებნეს.

რა ჯელმწიფისა შვილთა დაინახეს, აგრე ისინიცა ჩამოხდეს, მოეგებნეს და ჩოქითა ერთმანერთი ნახეს. მერმე იამანთ ჯელმწიფე ჩამოხდა და სამთავე ვაჟთა მოეკიდა, და წაუძლუა წინა და აგრე აჩუნა სალაჰად, მერმე ყარან და ყუბად, მილად, ვაის, სხუა ოთხასი თავადი მოვიდეს, იამანთა ჯელმწიფესა სალაჰი მოახსენეს, მერმე შესხდეს და მოგუარეს ფალავანსა საამს სამანდი, და შეჯდა. აგრევე ჯელმწიფესა ფრიღონს ოთხასისა ლიტრისა ლახტი ოქროსა რომე

გამოუგზავნა, იგი მოართუეს, და ასისა ლიტრისა ქიშუადს მოართუეს და იგი მას მისცეს.

მერმე დაიჭირა საამ ფალავანმან ლახტი ჯელთა და უკუყარნა ჯარი, და შორის დადგეს ალყად გარშემოდ. და მოვიდეს სიძენი, იამანთა ჯელმწიფესა თანა დადგეს. ერთობ მთეწონნეს სიძენი და უკუვირდა მათი შუენება.

მერმე გამოუძღლა საამისურა ფალავანი და ოცდაათი კიდებული პილო შე-
მოუძღუნა და გარდააყენეს. აგრევე ოთხასი ბედური დაჯაზმული, დარჩეული, აგრევე ათასი ტაიჭი ცხენი, სხუავე დაჯაზმული და გარდააყენეს. მერმე წამოისხნეს ათი ათასი აქლემი კიდებული და გარდააყენა ქოილად. აგრე წამოასხნეს ათი ათასი ზროხა, გარდააყენეს ისიცა. მერმე მოასხნეს ას ოცი ათასი ცხუარი და მიათუალეს ისიცა. მერმე იამანთ კელმწიფემან მაღლი გარდისადა.

აგრე მობრუნდეს და წამოვიდეს იამანთ ქალაქისაკენ და, როგორაცა ქალაქსა გარეთ მოვიდეს, აგრე ჩამოხდეს. და დაუდგეს სამთავე ცალკენ-ცალკენ კარაენი და ოთაღნი და შემოაეღეს სარაფარდანი. დაუდგეს მათი მძიმე ტახტები, აგრევე საივანები და შეიქნა თავედ-თავედისა საქელოებისა დგომა, მოკაზმნეს დარბაზნი და მოასურნელეს. აგრე ქალაქი მოკაზმნეს და დაეკაზმნეს მოქალაქენი.

მერმე მოვიდა იამანთ კელმწიფე და გაუძღლა წინა, და მას უკანით ფალავანი საამისურა მიყუა. ოქროსა ლახტი ჯელთა ჰქონდა, და მას უკანით კელმწიფისა შვილნი მივიდოდეს, საღიმ, თური და ერაჯ. აგრევე მას სფაადარი ქიშუად მიყუებოდა, მას უკანით ყარან, ყარახს უკანით ყუბად, ყუბადს უკანით ქოილ, ქოილს უკანით მილად, მილადს უკანით ვაის, ვაისას უკანით მუთარიად, მას უკანით ოთხასი თავადი. დარჩეული ბეგლარ-ბეგები მოვიდოდეს. როგორაცა ქალაქისა კარშიგან მივიდეს, აგრე პილოდაღმა ჩამოხდეს და ცხენებსა შესხდეს.

იმა კარზედა მაღალი კოშკი იყო. მაზედა დეფანი იდგეს და მაშიგან საყურებლად მოსრულ იყუნეს იამანთ კელმწიფისა ქალნი, იქიდაღმან იყურებოდეს. საამ ფალავანი იმა კოშკსა შეესწორებოდა სიმაღლითა. რა ქალაქისაკენ შეეყარენით, აგრე დაეწყო იქი ოქროქსოვილსა: ქამხისა, სტავრისა ეჭრა და ერთი თურგანი რომე გავიღოდა, ისღონი ერთსა ადვილსა ეფინა ციხისა კარამდის, და ცხენებითა ზედა წაიარეს და. როგორაცა დარბაზისა კარსა შიგან მივიდეს, ცხენისაგან ჩამოხდეს.

მერმე დარბაზისა კართა ფარდავი იყო ჩამობურელი, მოთუალმარგალიტული. ასწივნეს მას და შევიდეს, შეასხნეს სამთა ყურეთა; და სამთათვისვე სამი ტახტი იყო შექნილი, და სიმაღლე ოცი ნაბიჯი კიბე გავიღოდა თვითოსა საფერხულოზედა, ოცი-ოცი ოქროსა მოთუალმარგალიტული ზარები ეკიდა. ტახტი მძიმე გუარითა, ფეროზითა, იავუნდითა, ლალითა სავეს იყო. ზედა თავი ფელამბარად ჩარხად შეკერული იყო, ოქროსა ზიკებითა და ფიცრებითა. დეფანივითა შეწყობილი იყო. და მაზედა ომაინი მფრინველი იქდა, მქარგაშლით საშუქრედ მოკაზმული. ერთი ლალი პირშიგან ეჩარა და ორი თუალად ესხნეს. აქა სამივე ტახტი ასრე მოკაზმული იყო, ასრე მძიმე გუარითა, მარგალიტითა მოკაზმული და შეკერული ფარდავი იყო მობმული, რომე სისქისაგან ამართვით იდგა. აგრე ოქროსა სანდაღნი მოიხუნეს. ექუსასი ლიტრა ოქრო იყო. უფროსისა ტახტისა ძირსა დადგეს. აგრე შემოვიდეს იამანთა კელმწიფისა სიძენი, მძი-

მედ, კელმწიფურად მოკაზმულნი, ქუდოსან-გვირგვინოსან-ხალახნაან, ტყოსან-საყუროსანნი, და თავსა თულსა და მარგალიტსა აყრიდეს. მუშქსა და ლალასა აკმევდეს. მერმე გავიდეს, სამნივე თავ-თავედსა ტახტზედა დასხდეს.

აგრე მოვიდა საამისურა ფალავანი და სანდალზედა დაჯდა. მერმე ოთხასი ოქროსა სელები მოიღეს და გარეშემოდ დადგეს. მერმე ქიშვად შემოვიდა და საამს მარჯუენით დაუჭდა. აგრევეე ყარან შემოვიდა და მარცხენით იგი დაუჭდა. მერმე, როგორაცა მართებდა წესად, აგრე დასხდეს, ალყად გარეშემოდ. აგრე ერთი მომცრო ტახტი სხუა დადგეს და იამანთა კელმწიფე მაზედა დაჯდა. მერმე ოქროსა ბადია შემოიღეს. ოცსა კაცსა მოჰქონდა ძლიე და ექუსასი მუზარადი შაქარი იყო შიგან ჩალეწილი, და აგრევეე საქულაზე ბროლისა, მოთულ-მარგალიტული აბრაიგები შემოიღეს. მერმე სამწდენი წამოდგეს, და ადგა ქოიალ, აავსო ერთი უცხოფერი ბროლისა ლორთომელი და სამთავე სიძეთა თვითო-თვითო მიართუა. და ასრე მორთული იყო ტილისმითა: შიგან კაცი იჯდა და, რა კაცმან შესუეის, აგრე შიგან მობრუნდის ისი კაცი და ასრე უთხრის: გაამოს ღმერთმანო.

აგრე ჩაურეგეს და ყულასა მისთანათა ჰურკლითა და, ვინცა შესვის, იმან დაიჭიროს ისი სასმელი. აგრე სხუა ბადიანი შემოიხუნეს, შემწუარი ცხუარი და ბატკანი იღვა ზედა და საამისურს დაუდგეს. აგრე სხუა შემოიღეს და თავადებ-სა წინა დაუდგეს. მერმე მოიღეს ფლავი მრავალფერისა ჰურკლისა ოქროსა ტაბაკებითა და ჩინუებითა. აგრე დაუშინა საამ ფალავანმან და წინა ოქროსა ბადია რომე ედგა, რაცა მწუარი იღვა, ყულაი წვირლად დაჭრა და ძუალი გაყარა. აგრე მოიღო, წინა ფლავი ედგა და ერთმანერთსა აურიცა. აგრე შეხედნა იამანთა კელმწიფემან და ასრე ეგონა, ვითა: ყმასა გაუგზავნისო. აგრე წახვია ერთმანერთზედა, და ერთხელა პირსა ჩაიდვა, და ოქროსავითა მიიწვინა-მოიწვინა და ჩანთქა.

მერმე უჭურიტა იამანთა კელმწიფემან, და უზომოდ გაუკვირდა და ასრე ბრძანა, თუ: არა ვეშაბი იქს იმას, სხუასა სულიერსა არა შეუძლია. ესე ოლონდ დევი ყოვილა. აგრე მოიღეს სხუავე დიდი ბადიანი ღვინისა სასმელად და საამ ფალავანსა წინა დაუდგეს. აგრე სამასპინძლო ყულაი აიღეს. და იმღერდეს მურტიზნი და გამოსიუენიან, და უცხო ფერისა ჩანგისა ძალსა მოზიღნიან და შემოუხმობდიან ამოთა კმითა. აგრე საამისურა ფალავანი წამოჯდა მუხლთა ზედა და ბადიანი ღვინითა სავსენი დადგეს. შიგან ჩარა იდგა, მითი ურიგებდეს. მერმე წამოყო ფალავანმან საამისურ ერთი კელი, სტაცა და აილო. აგრე აავსებინა, და ორმოცი ლიტრა ღვინო ჩავიდა. აგრე იამანთ მეფესა დაულოვა.

მერმე იამანთა კელმწიფემან ასრე მოახსენა, ვითა: ფალავანო, შენის თავის მზესა ნუ დამილევე, მაგისი სმა არ შემიძლია! მერმე ქიშვად მოახსენა, ვითა: კელმწიფეს ნუ შეიჭირებებ. რაცა გუნებითა გინდოდეს და გეპრიანებოდეს, იზლონი ერთი სვით, სხუათა დაულოვეთ!

აგრე ასწვინა ფალავანმან საამ და მასვე წამსა პირშიგან ჩაისხა. მერმე მოიღეს, იამანთ მეფესა წინაუ დადგეს. აგრე ჩაასხეს და ისრევე აავსეს. მაშინდა ადგა იამანთა კელმწიფე და მადლი გარდიჯადა და საამს წინაშე დაუწყუო სმა. და ხუთი ლიტრა ვერ შესუა. მერმე მოირიგეს, რაცა თავადები იყო, ყულამან სუა და ძლიე დალიეს. აგრე ადგა იამანთა კელმწიფე და ფალავანთა უხუცესსა საამს მოახსენა, ვითა: ეამი არის ქალთა ნახვისა. შენოასხენ ჩემნი სიძენი. აგრე

ადგა საამისურ და ვაჟთა ჯელსა მოეკიდა და წაასხნა. ჯელმწიფე წინა წაუძღუა და სხუა არავინ შეიტანეს.

რა საწოლისა კარსა მივიდეს, აგრე უწინა იამანთა ჯელმწიფე შევიდა, მერმე საამისურა შეჰყუა და ბანუნთა თავი—იამანი ჯელმწიფისა ცოლსა სალამი მოახსენა. და აგრე ქალთა თავედ-თავედ, დედასა გუერცა უსხდეს, მალლად ტახტზედა. და მათ სახლთა სიტურფისა ანგარიში არ ითქმის: კედელნი ჩინურისა ქვისანი იყუნეს, ნიატაკი ოქროს წყლითა მორწყული იყო, და მალლად ყუალანი ჰერინი ოქროსა იყუნეს და, ნაქმარი კონაღ მარგალიტი ეკიდა. და დედოფალსა მძიმე გვირგვინი ედგა, აგრევე ქალთა. მერმე შემოასხნეს სიძენი და სიდედრსა სალამი მოახსენეს. ადგა, მალღი გარდიკადა. მერმე ჯელმოკდომით დადგეს. მაშინდა იამანთა ჯელმწიფემან მოახსენა, ვითა: წადევით, თქვენ თქვენი ცოლი იცანი, ჯელსა მოეკიდეთ და ასწიყხეთ! აგრე წადგა სალიმ. ქუეშეთ რომე იჯდა, მას მოეკიდა ჯელსა, ააყენა. მერმე თური წადგა. შუაზედა რომე იჯდა, ისი მან ააყენა. აგრევე ერაჯ წადგა და უმცროსი ქალი მან ააყენა. მერმე იამანთა ჯელმწიფემან ასრე ბრძანა, ვითა: ყუალაი ფრიდონისაგან არის, თუარა ესენი ვერას შეიგნებდეს. მერმე მამლანაები მოახსენეს და ქუფინი გაუუეთეს. ცოტასა ხანსა იყვნეს და მერმე გარეთ გამოვიდეს. და ქალნი იმა ლამესა დედასა გუერდისეუ დაყარნეს. და შესხდეს და გამოღმა მოედანშიგან გამოვიდეს. და იმა ლამესა თავის-თავის ოთალშიგან დადგეს.

რა გათენდა, საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო და კუპრასა ზედა იაგუნდი მოჰფინა, აგრე ჰკრეს ქოსსა და ნაღარასა. მერმე იამანთა მეფემან მაწვევარი გაუგზავნა თავის სიძეთა, ქოიალ, მუთაპრიად და ყაიდუშიჰდ. და მოდგეს ვაჟთა ოთახის კარზედა. რა ვაჟთა მათი მისულა შეიგნეს, ფიცხლა საამს კაცი მოახსენეს. რა საამს ჯელმწიფეთა ამბავი მოუვიდა, აგრე ფიცხლა მან სხუათა თავადთა გაუგზავნა კაცი, ქიშვადს, ყარანს და ყუბადს, მილადს და ვანისს. ფიცხლა ერთობილნი მის წინაშე მივიდეს. მერმე აგრე დარბაზს მოვიდეს ერთობილნი, დაეკაზმნეს ფერად-ფერადითა ტანისამოსითა და ჩაიციეს ჯელმწიფური ტანისამოსი. აგრევე ჯელმწიფის შვილნი დაეკაზმნეს მძიმითა ჩარყფისა მოთულმარგალიტულითა გვირგვინოსან-ქუდოსან-ხალახნიან, ტაყოსან-საყუროსანი. და შესხდეს და წავიდეს ქალაქისაკენ. ოთხასი ცხენოსანი თავადი თანა მიყუა ციხის კარამდის. მერმე ერთობილნი უკმობრუნდეს დასადგომისაკენ. და საამისურა თავის ოთალშიგან მივიდა. და რა ვაჟნი დარბაზის კარსა მივიდეს, აგრე იამანთა ჯელმწიფე წინა გამოეგება და ასრე მოახსენა, ვითა: გუშინ ავად გამოისუენეთ, აწ საეარღეშიგან ბრძანეთ და იქი სხუავე ნადიმი გარდავიკადოთ! აგრე ჩამოხდეს. დარბაზის კარსა ერთნი სალხინონი დეფანი იდგეს და ვაჟნი იმაშიგან გავიდეს.

მერმე იამანთა მეფე საეარღეშიგან წავიდა და მოაკაზმინა. შვიდი ტახტი დადგეს, სამი — ქალთათვის, ერთი — დედოფლისათვის და სამი — სიძეთათვის. როგორაცა მათ შეეფერებოდა, აგრე მოკაზმული იყო: მრავალგუარი იაგუნდრი, ლალი, ფეროზი და მარგალიტი ისხდა. ასრე ელუარებდა, როგორაც გარდაწმედლოსა ლამესა კშირად მარსკულაუი ესხას და ელუარებდეს. აგრევე ცუმბადი თავი ჩარხად და ფანჯარად ოქრო კიდებითა შეწყობილი იყო. და თავსა ჰატიოსანი თუალეები ისხდა. მაზედა ყუალასა ომანინი ფრინველუ ისხდა, მჭარგაშლილი და ორ-ოლი თუალი თუალად ეყარა და თითო თუალი პირშიგან ეჩარა. აგრევე შუაზედა დიდი აეთი იყო შექნილი, და ქუეშე ნიატაკი აგურის მა-

გიერად ოქროსა და ვერცხლისა ქეითა იყო შეწყობილი, და ვარდის წყლითა სავეს იყო ისი ავთი და გარშემოდ კიდურნი შემოღარული იყო. და შუაზედა ტილისმითა ცუდმაშურალი იყო მოკაზმული და მაზედა ათი ოქროსა მაშრაბა იყო ერთმანერთსა უქანა შორთული, აღმა-ჩაღმა ბრუნვიდა, ხუთი სავეს ამოღმა ამოვიდოდა და ხუთი ჩაღმა ჩავიდოდა ცარიელი, და წყალსა იმა მაშრაბასა ღრმაშიგან ასხმიდეს და აგრე გარშემო სდიოდა. შიგან კონა-კონა ეარდი იყო ჩაჩრილი. ვარდსა შუაზედა თვითო ოქროსა ჩარა ერთვის, ყირმიზი ლვინითა სავეს და ჟულაბითა. მერმე, როგორცა მის გარშემოდ ნაღმიად დასხდიან, აგრე ღვინო იმა წყალმან მიიღოს პატრონთა წინაშე, სსუა მწყდე არ იკადრებოდა. აგრე იმა ავთზედა მაღალი კამარანი და გუმბადი იყო, შეკერული ოქროსა, მუშაბახად და მულაბარად შეწყობილი იყო. შეკრული თუალითა და მარგალიტითა სავეს და თავსა ფასქუნჯი იჭდა, მქარგავლით საშუქრედ სიცხისათვის მოწყობილი, და ორნი დიდროვანნი თუალნი თუალად ეყარნეს და ერთი პირშიგან ეჩარა. აგრევე ბროლისა ზღუდე შემოაელოდეს, და მზისა აღმოსაელებით-სავეს ექუსი ბროლისა კოშკი იღვა. თითოს კოშკსა შიგან თვითო ფერი წამალი იღვა: ლაუარდი, წითელი, ყვითელი, მწუხანე, თეთრი და შავი. რა მზე შემოადგეს, ასეთი შუქი გამოეარდის, ამას ჰგუანდა, თუ სამოთხე შეიქნა, და აგრევე მრავალი ხილი იღვა: ნარინჯი, თურინჯი და ბროწყული, ვარდი ყირმიზი. ყვითელი, თეთრი. აგრევე ხევნარისა შტოები ყველა ოქროთა და ვერცხლითა მოქედლინი ესხნეს და აგრევე ბუმტად ქმნილი ოქრო ეკიდოს შტოებზედა, და ამაზედა ტევანდ და კონად დაკმული თუალი და მარგალიტი ეკიდოს. აგრევე ნიატაკი ზედა ნამისა ალაგსა მწუხანესა პირზედა მარგალიტი იღვის და სულსა სულნელსა აერი, მთა და ველი მოეცუა და ოთხთავე ზაფხულთა ყუაყულისა ჭარი იქი შეყრილ იყო, და ბულბულთა და იადონთა ყივილისაგან კაცისა გული გაყმდებოდა.

აგრე ბანონთა თავი—იამანთა კელმწიფისა ზათუნნი წამოუძღუა პირ-მთუარეთა, კამკამითა და ელვარებითა მოცინარესა ეტლზედა მქდომთა ცისკართა ჰგუანდეს, სანთელნივითა მოენათებოდეს და მოყუაოდეს. რა საყარდისა ბალი-სა მოვიდეს, აგრე მეფარდაგემან ფარდაგსა ასწივნა და შევიდეს ბალშიგან, მძი-მისა სამკაულითა დაკაზმულნი და თავეთსა ტახტსა ზედა დასხდეს.

მერმე იამანთა კელმწიფე სარუშაპ წავიდა, მისთა სიძეთა გამოუძღუა წინა და საყარდეშიგან შეასხნა, და ტახტზედა დასხნა სამნივე გვირგვინოსან-საყუროსან — ტაყოსანი. აგრევე მრავალი უცხოსა კმისა მკურელნი მეჩანგვნი დასხდეს და ჩანგისა კმასა შორთეს. მერმე მრავალნი მგოსანნი, მუტრიბნი და მომღერალნი იყუნეს. აგრევე იადონისა კმისა მოქმელნი ქალნი დასხდეს და ამოთა კმათა შეუხმობდეს.

აგრე მოიღეს მრავალფერნი სანუქუარი, რაცა ქუეყანაზედ მოიგონებინს ყოვლისფერისაგან, და მრავალფერი და მრავალგუარი ჭურჭელი მოიღეს. და შეიქნა ნაღიმი და დაუწყუეს ხომგუარსა ღვინოსა სმა, და მისცეს თავი ლხინ-სა და შექცევასა, სოღბათსა. ისი ღდე ასრე გამოისუენეს პირ-მთუარეთა ქალთათანა. და რა დაღამდა, ვაიყარა ნაღიმი. აგრევე ქალნი ღედოფალმანევე წაასხნა. და კელმწიფისა შვილნი იქივე საყარდეშიგან დაწვიეს მთურალნი. და როგორცა მაშისაგან დავედრებულყო, აგრე მრავალი ტყავი დაიხურეს.

აქა იამანთა ჯელმწიფისაგან გრძნებით თოვლისა მოსულა

აღგა იამანთა ჯელმწიფე და მალლა მთაშიგან გავიდა გრძნეულთანა. და შექნა გრგვინვა და მოიყუანა დიდი თოვლი და ქარი. რა ჩამოვიდა, ასრე ეგონა, თუ: დაიჭოვნესო სიცივითა, და, როგორაცა ნახნა, არცა ერთსა რა სჭირდა, მერმე ასრე თქუა თავის გულშიგან, ვითა: რადგან ველარა დაჯვოცენ, აწუ მოესცნე ქალნი, სხუა ღონე აღარა მკუქს რა!

მერმე შოალებინა მძიმე საჯელმწიფო ჩარყაფიანი მოთუალმარგალიტული ტანისამოსი და თვითო საჯელმწიფო ქუდი და გვირგვინი. აგრე შევიდა სავარდემიგან და სამნიეე ტანსა დამოსნა. მათ მადლი გარდიჯადეს და ქალაქსა გაღმა მოედანშიგან გავიდეს. აგრე ერთობილნი თავადნი და ფალავანნი და სფაბადნი მოვიდეს სანახავად და სადარბაზობელად. მერმე ალყად გარშემოდ დასხდეს, როგორაცა მართებდა. აგრე იამანთ მეფემან ყუალასა თავედ-თავედ მისაცემელი გაუგზავნა. პირველად სამ ფალავანსა მოუვიდა ერთი პილო, ოქროთა კიდებული; ორმოცდაათი ჯორი კიდებული, ორმოცდაათი აქლემი კიდებული, ორმოცდაათი ცხენი დაკაზმული, ოცდახუთი ოქროსა უნაგრითა და ოცდახუთი ვეცხლისა უნაგრითა, ორმოცდაათი ოქროთა მოჭედილი კრმალი, ორმოცდაათი ვეცხლით მოჭედილი კრმალი, ორმოცდაათი ქალი, ორმოცდაათი ვაჟი.

ამას უქანით ქიშუადს მოუვიდა ათი ჯორი კიდებული, ათი აქლემი კიდებული, ათი ცხენი ოქროთა მოჭედილი უნაგრითა, ათი კრმალი, ხუთი ოქროთ მოჭედილი, ხუთი — ვეცხლითა, ათი ქალი და ათი ვაჟი.

მას უქანით ყარანს მოუვიდა ყუალასაგან ხუთ-ხუთი, და მას უქანით დაუბრეგა ოთხასსა თავადსა, ამა წესითა მისცა და გაუგზავნა. მერმე ას ორმოცდაათი ათასი კაცი ტანსა დამოსა. მერმე დაეკაზმნეს წასავალად და შესხდეს ყუალაი. აგრე სამ წაივიდა ოთხასისა თავადითა და იამანთ ჯელმწიფესა კარსა მიუდგა და ასრე მოახსენა, ვითა: ეამი არს წასულისა და ქალნი მოგუცენ, რომე წაივიდეთ! მერმე იამანთ ჯელმწიფემან მოახსენა, ვითა: დიად, მართალი არის, თქვენ ნულარა ირჯებით, მეცა მაგას ესაქმობდი. ასერა იარალსა გამოვალებინებ და ვიაროთ!

აგრე დაუწყო იარალსა ზიდვა და კიდება, უწინა აკიდეს ორმოცდაათსა პილოსა ყუალაი სამკაული ოქრო, თუალი და მარგალიტი, ყუალასა ოქროსა ზანზალაკები შეაბეს, მოთუალმარგალიტული, და ზედა ჩარყაფიანი სახურავებუ წახურეს და გააყენეს. მერმე ასსა აქლემსა აკიდეს ყუალაი საგებელი და ტანისამოსი, კერული და უკერავი. აგრევე შეაბეს ოქროსა ზანზალიკები. წახურეს ჩარყაფისა სახურავები და გააყენეს. მერმე მოახსენს ასი ყანაჩარი ჯორი და ყუალასა საქონელი აპკიდეს გასაცემლად: ქამბა, ხატაური, სტაერა, ნახლი. აგრევე წახურეს სახურავები და გააყენეს. მერმე ხუთასი ვაჟი და ხუთასი ქალი, ყუალაი მძიმედ დაკაზმული. და ოქროთ აკაზმულსა ცხენებსა შესხდეს და გააყენეს. მერმე მოახსენს ათასი ბედაური ცხენი: ხუთასი ოქროსა უნაგრითა დაკაზმული და ხუთასი ვეცხლისა უნაგრითა დაკაზმული. მერმე გამოილეს სამი ოქროსა მოაბა და გამართეს. მერმე მოახსენს სამნი პილონი და მიუდგნეს კიბენი. აგრე გაილეს მძიმე ტახტები, დაუდგეს მასზედა. აგრევე ტახტისა თავსა ზმირად მოთუალმარგალიტული საშუქრედ ალამი აბეს.

მერმე გამოახსენს ქალნი, და დედა მათი — დედოფალი გამოუძღუა წინა.

და მოიყუანეს პილო ტახტითა მოკაზმული და დედოფალი მასზედა დასუენს. და აგრე მოასხნეს ქალნი და მოაბაშიგან ჩასხნეს. მერმე იამანთა მეფისათვის მოიყუანეს პილო და ტახტი. აგრევე გავიდა, დაჰდა.

მერმე ჰკრეს ქოსსა და ტაბლაცსა და წავიდეს საამ ფალავანი. და ფრიდონ ჰელმწიფისა შვილნი წინა გაუძღუეს მათითა ას ორმოცდაათი ათასითა კაციითა. და იამანთა ჰელმწიფე მისითა ხალხითა—ორმოცდაათი ათასითა კაციითა უქანა მოჰყუებოდა. აგრე საამ წიგნი და კაცი გავზავნა ფრიდონს წინაშე, ვითა: მოვედით დიდითა იარაღითა და, რასაცა დაემზადებით, პატრონნი ხართ! და მიწერა ყუალაი სახელდებით.

და წავიდა, იარა. და რა ფრიდონს წიგნი მოუვიდა, წაიკითხა და მწიგნობარი იხმო. გასწერა, საცა მისი საბრძანებელი იყო, და ყუალაი სარას იჴმო. და შეიყარა შვიდასი ათასი კაცი და სარას მოვიდეს. აგრე მოკაზმეს და დაგავეს ქალაქი. დაეკაზმნეს მოქალაქენი და აგრევე გამოფინეს უბანსა და უბანსა ქაძხა და ნახლი და სტავრა. სრულად ქალაქი აყუავდა.

ქორწილი ფრიდონის შვილთა სალიმ, თურისა და ერაჯისა

მერმე ფრიდონ ჰელმწიფე გამოვიდა ქალაქსა გარეთ. და მოიყუანეს მანგალოზი პილო და მოიღეს ჰიმშედისეული ტახტი და მაზედა დადგეს, თუალმარგალიტითა შემკობილი. მერმე კიბითა გავიდა ფრიდონ ჰელმწიფე და მაზედა დაჰდა ქედოსან-გვირგვინოსან, საყუროსან-ხალახნინანი, ტავაყოსან-ბეჰდოსანი. მერმე გაყო ლაშქარი და ოთხისა ღლისა სავალსა ნახევარი ერთენით დააყენა და ნახევარი — ერთენით. შუაზედა ფოლოცი ქნა. და დაეკაზმა ლაშქარი ფერად-ფერადითა ტანისამოსითა.

აგრე მოასხნეს ორასი ლომი და ორასი ვეფხი. ნახევარი ერთენით დააყენა და ნახევარი ერთენით დააყენა, ოქროს ჯაჭუებითა, აგრევე ასი პილო: ორმოცდაათი ერთენით დააყენეს და ორმოცდაათი — ერთენით. და მაზედა კოშკები, კაცები იყო მორთული. და თითოსა კოშკშიგან ათ-ათი კაცი იყო დაკაზმული. დადგეს იქით მრავლად, ხშირად ფერად-ფერადნი კარაენი და სარაფარდანი: აგრევე მოუდგნეს ოთაღნი და მას გარეშემო საივანები დადგეს; და მინდორი ფერად-ფერადი ყუაილნივითა აყუავდეს და ყყაჩო ვითა გაწითლდა. მერმე ფრიდონ ორმოცდაათი ათასითა კაციითა წინა მისაგებავად წავიდა. ქავთანა წაიტანა და თავისი ქაიანური დროშა ფრიდონს თანა იყო.

აგრე ჰკრეს ნალარასა და წავიდეს, და ქაიანური დროშა წინათ გაიძღუანეს. იქილდამან ისინი რომე მოვიდოდეს, წინათ, ოცი ათასნითა ცხენოსნითა, მილად მოვიდოდა, მას უქანით, ოცი ათასითა ცხენოსნითა, ყუბად მოვიდოდა, მას უქანით, ოცი ათასითა ცხენოსნითა, ყარან მოვიდოდა, მას უქანით, ოცი ათასითა კაცითა, ქიშვად მოვიდოდა, მას უქანით, ორმოცდაათი ათასითა ცხენოსნითა. ფალავანი, პილოტანი საამისურ მოვიდოდა, და აგრე ფრიდონ ჰელმწიფისა შვილნი მოჰყუებოდეს. და მათ უქანა იამანთა ჰელმწიფე და მისი ხალხი და ლაშქარი მოვიდოდა.

მერმე აქედამან მიმავალი ფრიდონ ჩამოხდა პილოსაგან, და ცხენსა შეჰდა და მარტო წავიდა. მაცნოვრობითა სავსე იყო და, რაცა წინამავალად კაცები მოვიდოდეს, ყუალასა გზა აუქცივის. და როგორაცა შვილნი დანახა, აგრე გამოსაცდელად ვეშვად შეიქნა და გზა დაიჭირა.

მერმე საღომ, თური საომრად მომართეს. მაშინლა ერაჲ მოეწა ძმათა და ასრე უთხრა, ვითა: ზენარ ნურას აწყენთ, მე ხოლემ მაკალეთ! ამაზედა იმა ორთა ძმათა უკმორიდეს, და ერაჲ წინა წადგა და ასრე დაუზახნა, ვითა: ვეშაპო, ვერ გვიცნობ? ჩვენ ფრიდონის შვილნი ვართ და, თუ ჩვენ კიდე რასეე გუაწყენ, მერმე ფრიდონ ცოცხალსა აღარ გაგიშუებს. ამაზედა გზა დაუგდო და იმავე გზით წავიდა, სითაცა მოსულიყო. მერმე მივიდა, თავის ტახტზედა დაჯდა.

და მართ აგრე მილად მოვიდა, მისითა ლაშქრითა და, როგორაცა ფრიდონ დანიხა, აგრე ჩამოხდა ცხენისაგან და ქუეითად წინა მოეგება, და კელმწიფესა წინაშე პირი მიწასა გააერთა, და ადგა და კელსა აკოცა. მერმე მას უკანით ვასი მოვიდა მისითა ლაშქრითა, და აგრევე მან მოახსენა სალაში და კელსა აკოცა. მერმე მას უკანით ყარან მოვიდა მისითა ლაშქრითა და, როგორაცა მოეწურა, აგრე ჩამოხდა, სალაში მოახსენა, კელმწიფესა კელსა აკოცა. მერმე ქიშუად მოვიდა და მან მოახსენა სალაში, კელსა აკოცა. კელმწიფემან მადლი გარდიტადა. მერმე მას უკანით ფალაენი საამ მოვიდა. სამანდსა იქდა და მას გუერდის ფრიდონის შვილნი. და როგორაცა მოახლოედეს, აგრე ჩამოხდეს, დაქუეითდეს. წამოვიდეს. რა კელმწიფემან ჩამომხდარნი ნახნა, აგრე პილოდალმან წამოვიდა. როგორაცა ძირსა ჩამოვიდა, აგრე აქედალმან საამ მივიდა და პირი მიწასა გააერთა, მერმე კელმწიფემან აღარა გაუშუა. მქარსა ასწივნა და შემოეხვიდა და აკოცა. დალოცა, ვითა: საწუთროსა დამბადებელი და მბრუნავიშვიტა ეტლი არის შენი წინამძღუარი ფალაენსა და ფალაენთა ზურგო, ესე ყუალაი შენ ჰქენ, თუარემ სხუასა არავის შეეძლო! მერმე შვილნი მოვიდეს და ყელმოქდობით, კოცნით ნახნა.

აგრე კელმწიფე პილოსაკე შექდა, საამ სამანდსა და პილოსა სადავეთა უტაცნა და წინა გაუძღუა იამანთა კელმწიფისაკენ. და რა შეხედნეს, იამანთა მეფე დაქუეითებულიყო. აგრე მისნი ლაშქარნი ჩამომხდარ იყუნეს. იამანთ კელმწიფე წინა მოუძღებოდა. აგრე კელმწიფისა სასალმოდ მოვიდოდეს. და რა ფრიდონ კელმწიფემან იამანთ კელმწიფე ქუეითად მიმავალი დაინახა, მაშინლა საამ ფალაენსა მოახსენა, ვითა: დადგე, უკაცრავათ ვართ. აწე ჩვენგანცა ჩამოხდომა უნდა.

აგრე კელმწიფის ბრძანებაზედა საამ ფალაენი უწინ გარდმოხდა ცხენისაგან და ქუეითად ათი ნაბიჯი წააროვინა პილოსა. მერმე დააყენა, პილოდალმან ჩამოვიდა და ერთმანერთსა წინა მიეგებნეს, და მქარმოქდობით, კოცნითა ნახეს. და სრულად ლაშქარნი დაქუეითდეს. მერმე შესხდეს ყუალაი კიდევე. წამოვიდეს ქალაქისაკენ და შეიდისა დღისა სავალსა ლაშქრისა ფოლოცსა უკანა იარეს. და სრულად მთა, კლდენი და ტყე, მინდორი და ველი აივსო და აღარა იტევოდა და, ასრე რომე წყალ-წყალცა მოვიდოდა, შავსა მტვერსა დაემსგავსა და აღარა იტევდა, მთა და ველი აივსო სრულად. რომე საწუთრო მღელვარე ზღუა ვითა ექანებოდა. და რა ასეთი მორკმულობა ნახა ფრიდონისი იამანთა მეფემან, მერმე ასრე უბრძანა ქოიალს. ვითა: შეგმასა რომე მანვევლი, ამათი ომი ვის შეუძლია, ანუ რა მოგონება იყო. აგრე ქოიალ მოახსენა: რა ვიცოდით, თუ იმისთანა მორკმულობა აქუსო და ასრე დიდი კელმწიფე არისო. აწე, რადგან ასრე მოხდა, მადლი საწუთროსა დამბადებელსა ღმერთსა, ჩვენცა გვიხაროდეს ამისი მზახობა.

მერმე იარეს და ქალაქისა კართა შევიდეს. აგრე მარჯუნესა მქარსა ფრიდონ კელმწიფე დადგა პილოთა, მერმე მას ქუეითე იამანთა კელმწიფე დადგა,

აგრე მას ქუეშეთ სალიმ, სალიმის ქუეშეთ თური და თურის ქუეშეთ ერაჟ, ერაჟს ქუეშეთ ფალავანი საამ.

მერმე ჳელმწიფემან ფრილონ მოახსენა ვითა: ფალავანო, ეგ რა შენი სადგომი არისო. ასერა ჩემზედათ გარდმომიარეთო. მერმე წამოვიდა და ჳელმწიფესა ზედასა შვარსა მოუდგა, და ცხენითა იყო, მაგრა ასე უმადლე იყო პილოსა, ტახტსა და ჳელმწიფესა, რომე მის ტანსა ოცდაათი წყრთა კიდევე შევლო. მერმე მის ალაგსა ქავ დადგა. მას ქუეშედ ქიშუად, ქიშუადს ქუეშედ ყარა, ყარანს ქუეშედ მილად, მილადს ქუეშედ ყუბად. ყუბადს ქუეშედ ქოიალ, ქოიალს ქუეშედ ვაის, ვაისს ქუეშედ მჰართარიად. მას ქუეშედ ყაიდლუმ, მერმე ჩაშარვით ყულაი ფალავნები დადგა.

აგრე წინა პირველად მოვიდა სამთა ქალთა სამი მოაბა და სამი ტახტი პილოზედო მოწყობილი, და ტახტზედათ შუქარი. და მას ორმოცდაათი ყვერული მოუძღვებოდა წინა და ყულასა ჳელთა ოქროსა ჩოგანი ჰქონდა. აგრევე მას უკანით ხუთასი პირ-მთუარე ქალები მოჰყუებოდა, მათ უკანით ხუთასი ვაჟი. და შეიარნეს კარნი და ქალაქად შევიდეს. მერმე მას უკანით ორმოცდაათი პილო ყულასა მყარი ოქრო, თუალი, მარგალიტი ეკიდა და შეარონიევს. მერმე მას უკანით ათასი ბედაური ოქროსა აკაზმულობიანი და შეარონიევს. მერმე მას ათასი აქლემი მოსდევდა, ყველაი საქონელითა კიდებული და შეარონიევს. მერმე მას ათასი ჳორი საქონლითა კიდებული და შეარონიევს ისიცა. მერმე შევიდეს იმავე წესითა, როგორაცა იდგეს. და რა ქალაქისა საშუალსა მივიდეს, ჰკრეს ქოსსა და ნადარასა. შეიქნა დარევეშთა ბრუნვა, და ნაფირისა და სტვირისა ჳმა. ყველგნით დაყრიდიან მოქალაქენი თავსა თუალსა და მარგალიტსა, ოქროსა და ვარდსა და იასა, ასრე რომე აივსნეს ფილოცნი. დააჰმევიდიან მუშქსა და ღალიასა. აგრევე ასეთი დარბაზნი იყო, რომე ორი ათასი კაცი დასხდებოდა. და მაშიგან ორმოცი ტახტი იდგა შეკრული. ყულასა თავი და ფერჯი მოქედილი, მოთუალმარგალიტული, ფეროზითა და ღალითა საესენი იყუნეს. დარბაზნი სრულად ბროლისა იყო. და ხშირად თუალი და მარგალიტი იყო მოსხმული. სხუა მის მეტი ფარდავი არ იყო კედელი ზედა. მერმე შევიდენ იმავე რიგითა როგორაცა იდგეს. და დასხდეს ოთხასი დიდებული. ყულა თავადი და დიდებული ფალავანი, ზოგი ოცი ათასისა პატრონი და ზოგი ათი ათასისა, და აგრევე მათი შეილები ათას შეიდასი. ესე ორი ათასი თავადი დასხდეს.

ფრილონ ჳელმწიფემან ჳიმშედისეული ტახტი დაიდგა. და საშჳელმწიფო ქუდი თავსა დაირქუა, და ჳიმშედისეული გვირგვინი თავსა დაიდგა, ხალახნი შეიბა, ტავაყი და საყურნი გაიყარანა და დაქდა. მერმე მოლეს მრავალფერი სანუქუარი, რაც დმერთსა დაუბადებია, ანუ მისთანასა ჳელმწიფესა ეკადრების. და ჳურჳელი ყოვლის ფერისაგან, ყულასი მოთულავა არ იქნების; მგონია რა, ასი ათასისა ღუმლისა იყო. და დაუწყუეს ხომგუარსა ღვინოსა სმა. მისციეს გუნება ღვინოსა და მრავალი უცხოფერისა და უცხოფერისა ჳმითა მკურველი და მთქმელნი, ყულაი მეჩანგენი და მგოსანი ისხდა. მორთეს ძალსა და ამოსა, იადონისა და ბუმბულისა ჳმასა შეუხმობდეს. და ამა წესითა ორმოცსა დღესა ქორწილი იყო. და მეორმოცსა დღესა გაახუნეს საეტლონი, კარგსა ბურჯზედა იყო ეტლი. აგრე ჳელმწიფემან ერთი ასეთი გვირგვინი, რომე ორმოცი ღიტრა იყო, და ერთი კაბა ასეთი, ას ორმოცი ღიტრა ოქრო იყო, ესე საამს გაუგზავნა და იქი იჳმო.

რა საამს ჳელმწიფისაგან ბრძანება და მისაცემი მოუვიდა, აგრე მისი ოთხა-

სისა ლიტრისა ლახტი ჯელთა აიღო, დარბაზს წამოვიდა. რა დარბაზისა კარსა მოვიდა, აგრე ვაჟნი გამოვიდეს, აბანოსა მივიდოდეს. მერმე გაუგზავნა ყუალასა კაცი. რასდონიცა თავადი და თავადის შვილი იყო, ყუალაი აბანოს იქმო. და მოვიდეს ერთობილნი სანთლებითა და კელაპტრებითა, ფანჩითა, მაშხალებითა. და მოვიდეს ყუალანი და მომღერალნი და, როგორაცა აბანოდამან გამოვიდეს, აგრე ქალაქსა გარეთ იამანთა ჯელმწიფე იღვა და მისკენ წაივდეს.

რა იამანთა ჯელმწიფემან მათი მისულა ცნა, აგრე ერთსა სათურგნოსა ნაქსოვი აფენინა. და როგორაცა მივიდეს, აგრე შედგეს ნაქსოვზედა, იამანთა ჯელმწიფისა ოთალსა მიმართეს. წინა ფალავანი საამ მიუძღუებოდა მისითა ოქროსა ლახტითა. და როგორაცა მოვიდეს, აგრე იამანთა ჯელმწიფე მოეგება წინა და თავსა თუალი და მარგალიტი გარდა: ყარა. მერმე მადლი გარდინადეს და უკმობრუნდეს. აგრე ყუალაი თავედ-თავედსა სადგომსა წაივდეს. მერმე ფალავანი საამ ვაჟებსა წინა გაუძღუა და საწოლსა მოასხნა. აგრე საამის დედამან ჭულაბი მიიღო და ფეროზისა თასი ასხა და საამს მიართვა. საამ სალიმს მიართვა. სალიმ გამოულო, ნახევარი შეინახა, ნახევარი თავის ცოლს მიართვა. მაშინლა სტაცა ჯელსა და ტახტზედა დასხდეს. მერმე აგრე თურის უსხა და მიართვა, ნახევარი შესუა.

აქა ფრიდონისაგან თავის შვილთა საქონელი და თემი და ქუეყანა გაუყო

ფრიდონ საამ ფალავანი იქმო, და რა საამ ფალავანი ჯელმწიფეს წინაშე მოვიდა მხიარულთა პირითა, აგრე ჯელმწიფემან ოქროსა სელნი მოახმევინა და ფალავანი საამ მასზედა დაქდა. მერმე ჯელმწიფემან საამს მოახსენა, ვითა: ფალავანო და ფალავანთა ზურგო, ბარგი, კარაჟნი და ოთალნი, სარაფარდანი და ნონნი, გაღმა გააღებინე მოედანშიგა და სამი ტახტი დაადგმევინე: ერთი იამანთა ჯელმწიფისათვის და ჩემთვის. ორნივე ერთად დაესხდებით. და რაცა საქონელი იყოს, შინაური თუ იამანთ ჯელმწიფისაგან მიღებული, ყუალა საამ წილად გაუყავ, იამანთ ჯელმწიფე დაიხუედრე და გააცალკერქეთ!

როგორაცა ესე მოისმინა ჯელმწიფისაგან, აგრე ადგა, მისი ოქროსა ლახტი ჯელთა ჰქონდა, და უბრძანა სახელოებსა, და დაუწყეს გაღმა ბარგსა ზიდვა და მოედანშიგან დადგმა. დადგეს ჩიმშედისეული კარაჟნი, ყუალაი ხატაურისა ჩონურისა ქამხისანი და ნახლისანი და ოქრო-ქსოვილისა ხავედისანი. აგრევე დადგეს მრავალფერნი სარაფარდანი ოთალნი და შემოავლეს სარაფარდანი, დადგეს საივანები. მოკაზმეს ასრე მინდორი ყუალაი, რომე სამოთხესა დაამსგავსეს. მერმე მოიღეს ოთხი ტახტი და შუაზედა დადგეს, მძიმითა გუარითა, ფეროზითა, ლალითა და მარგალიტითა მოკაზმული.

აგრე საამ იამანთა ჯელმწიფესა წინაშე მივიდა. რა იამანთა ჯელმწიფემან საამ ფალავანი მის წინაშე მისული ნახა, აგრე პატივითა წინა მიეგება, და ტახტზედა აღარა დაქდა. მერმე ოქროსა სელნი მოიღეს, მახედა დასხდეს. მერმე იამანთა ჯელმწიფესა ფრიდონის ნათქუამი და ნათუბარი ყუალაი უკლებლად მოახსენა და ესე, ვითა: საქონელი ყუალაი სამად გაუყოთო. აწე სხუანი ფალავანნი და თავადნიცა აქა თქუენს წინაშე იხმეთ!

მერმე იამანთა ჯელმწიფემან ქოილ ფალავანი გააგზავნა და ოთხასი თავადი მის წინაშე იხმო. რა თავადები იამანთა ჯელმწიფესა წინაშე მოვიდეს, აგრე იამანთა ჯელმწიფე წინა გამოეგება და თავადებმან მადლი გარდიქადეს.

და მერმე ალყად ყუალაი გარშემო დასხდეს. და აგრე საამ ფალავანმან, რაცა ფრიდონ კელმწიფისაგან იყოლა პასუხი, ყუალაი მოახსენა. მერმე იკმნეს კეუიანი, გონიერი მწიგნობარი და, რაცა საქონელი იყო, ძუელი და ახალი, ყუალაი საჰად გაყუეს. და შექნეს ცალკე-ცალკე ნუსხები. რა დაათავეს საქმობა, აგრე ჳელმწიფე ფრიდონ მისითა შვილებითა ქალაქს გარეთ გამოვიდა და, სადა ტახტი იდგა, იქი ჩამოხდეს. მერმე ყარან და ყუბად გაგზავნა, იამანთა მეფე და საამ ფალავანი, სრულად თავადნი იკმო.

რა ჳელმწიფისა მოსახსენებელი კაცი მოუვიდა, ერთობილნი ჳელმწიფესა წინაშე წავიდეს. იამანთა მეფემან საამ წინა გაიძლუნა და, როგორაცა იამანთა კელმწიფე შევიდა, აგრე ფრიდონ ჳე აღდგა ტახტიდამან, იამანთა კელმწიფე მის გუერდის იწუევივა ფრიდონ კელმწიფემან. მერმე გავიდა, ერთად დასხდეს ტახტზედა და სხუა ოთხასი თავადი და ფალავანი შორს მგურგულიე გარშემოდ დასხდა. და საამს ერთის ჳელითა ოქროსა ლახტი ჳქონდა და მეორესა ჳელმწიგან ნუსხები, და შუაგულობასა დიდი დევივითა იარების. აგრე მოოლეს ჳიმმედისეული, ძუელი სალაროს კლიტები, შვიდი ყათარი. მერმე წაიარა, სალიმს წინაშე ჩოქი დაიგდო, და მწიგნობარი წაყენა და ნუსხა წაიკითხა. პირველად სახელი ომრითსა ახსენა. და პირველად ფალავანი ქაიარშარ შესძლუნა. მერმე სრულად საბერძნეთი. აგრევე სრულად საფრანგეთი მზის დასვლამდის. მერმე, მაშინლა ადგა სალიმ და ეთაყუნა და მადლი გარდაიკადა. აგრე ოქროსა სელნი მოიხუნეს, ფალავანს ქაიარშარს დაუდგეს, სალიმის ტახტის ძირსა, და მაზედა დაჭდა. მერმე თუროს მიუჭდა ჩოქითა წინა და ვაისი შესძლუნა ფალავანად. მერმე დარუბანდი ჳონის წყლამდისი, ხატავეთი, ამბალილი და აღმოსაელეთისა ქეეყანა ბეშბალილი, სრულად საქონლისა მესამედი. მერმე თური ადგა, ჳელმწიფესა ეთაყენა, დაჭდა. მერმე ერაჳს წინაშე მივიდა და ჩოქი დაიგდო, და უწინ ფალავანთა თავი საამ შესძლუნა. მერმე, მას უკანეთ მისრეთი, შამის ქეუყანა, ერანი, ადრიბაჯის ტახტი, შარვანი, ერაყი, ხუარასანი, ინდოეთი, საქონლისა მესამედი. მერმე ადგა ერაჳ, კელმწიფესა ეთაყუნა და დაჭდა. აგრე იამანთა კელმწიფესა, მისი მამული და სრულა და ჳანგუბარის თემი მოუმატა. აგრევე გარდიკადა მადლი, მერმე — ტახტი და გვირგვინი.

ამაზედა ადგეს, დაეთხოვნეს წასავალად. ადგა იამანთა ჳელმწიფე და მისითა ლაშქრითა მათსა ქეუყანასა წავიდა. მერმე სალიმ დაეთხოვა და ჳელსა აყოცა ფრიდონს, ადგა მისითა ლაშქრითა და ცოლითა საბერძნეთსა წავიდა. მერმე თური დაეთხოვა და ფრიდონს ჳელსა აყოცა, და მისითა ლაშქრითა და ცოლითა თურანს წავიდა. მერმე პილოტანი ფალავანი საამ დაეთხოვა ჳელმწიფესა, აგრევე დაუმტკიცა ჳაულისტანი, ჳუაბულისტანი, ქიშმარი და ყანდარი. მერმე ჩოქი დაიგდო, ჳელმწიფესა ჳელსა აყოცა.

აგრე ადგა და წავიდა, ჳელმწიფისეული მძიმე კაბა ტანსა ჩაიკუა, ასორ-ზოცდათი ლიტრა ოქრო იყო, და ორმოცი ლიტრისა გვირგვინი ოქროსა თავსა დაირჳუა. რაცა ჳელმწიფისაგან ეშოვნა, ყუალა თანა წაიტანა. ხუთასი დაკაზმული ცხენი, ხუთასი კიდებული აქლემი, ხუთასი კიდებული ჳორი, ხუთასი ვაჟი, ხუთასი ქალი. ესე თანა წაიტანა და ჳაულისტანს წავიდა.

მერმე ქიშულად დაეთხოვა და ერაყი მისცა, ჳელმწიფესა ჳელსა აყოცა და წავიდა. მერმე მილად დაეთხოვა და ხუარასანი მისცა. ჳელმწიფესა ჳელსა აყოცა და წავიდეს. სხუა, ვინცა ვინ იყო, ყუალაი ყოვლგნით დაეთხოვნეს და ყუალაი გაუმუა. დარჩა ფრიდონ და ერაჳ მარტონი.

სალიმ თურისაგან ერაჯის მოკულა

რა სალიმ საბერძნეთს მივიდა, ეუცხოფერა თემი და ქუეყანა. ვერცა რა მათი მან გაიგონა, არცა რა სალიმისა მათ შეესმოდა. მერმე ასრე თქუა, თუ: ესე როგორი თემი მომცა მამა ჩემმან, მე აქა რა დამარჩენს? უკეთესი ყულაია ერაჯს მისცა. აწე მე აქა რა დამარჩენს და ვერ დაერჩენს, არცა ჩემგან ყოფა იქნების! აგრე რა თური თურანს მივიდა, ისრევე მას ეუყულმართა თემი და ქუეყანა. ისრევე სიტყუა მან თქუა, ვითა: ჩემგან ყოფა არ იქნებისო.

ამაზედა შეიყარა თური ორასი ათასითა კაცითა და სალიმისკენ წამოვიდა. იარა და რა სალიმს გუერდის მოვიდა, იმან ამას შესჩივლა და ამან იმასა, ვითა: რა გეყო მამამან ჩვენმანო, ჩვენ შეილად არ უნდოდით, ასრე რომე დაგვადარინბნა, და უკეთესი თემი და ქვეყანა და ფალაენები ერაჯს მისცა. აწე ესე როგორ დავითმობის კაცისაგან. მერმე ვახის ასრე მოახსენა. ვითა: რას ბრძანებთ. მამა არის თქვენი. აწე შუა გაუყოფია საქონელი და მამული. თქვენთვის ესე მოუცემია, რაცა გაქუს, და მისთვის — ისი. აწე რას ერჩით!

მათ აღარა დაუჯერეს რა, ჩაიგდეს სამესისხლო გული და მიწუეს ეშმაკისა გუნებასა. და შეიყარეს ოთხასი ათასი კაცი და წამოვიდეს ერანს მოსამტუერებლად, რომე მიწისა პირი ლილისფერად გაუქადრო. და ასეთი მტუერი აუშევს, რომე ცათამდის ავიდა. აგრე ამბავი ფრიდონს მიესმა, ვითა: სალიმი და თური შემოირტყეს სამესისხლო კრმალი ერანის მოსამტუერებლად და [მო]უმართებთან და, მჩქეტარი გაზაფხულისა წვიმანი ვითა, მოდიან.

რა ესე ამბავი ესმა ფრიდონ ჰელმწიფესა, მაშინდა ბედ-უყულმართი ეტლი დასწყევლა, ლაშქრისთვის წიგნები და კაცი გაგზავნა. ერთი წიგნი და კაცი ქიშვადს წინაშე გაგზავნა ერაჯს, ერთი წიგნი და კაცი ხუარასანს გააგზავნა მილადს წინაშე. ამაზედა ერაჯ ასრე თქუა: რადგან ჩემთა ძმათა ჩემდა სამტროდ მოუმართებია, აწე მე წავალ და წინა მივეგებვი და, რასაც მიზმენ, პატრონი არის.

აღგა, ასითა ცხენოსნითა წინა მისაგებავად წავიდა. მამამა დია დაუშალა, მაგრა მან აღარა დაიშალა. იარა და, რა ასითა ცხენოსნითა მიმავალი ნახეს ერაჯ, აგრე ორნივე ძმანი წინა მოეგებნეს და გარდახდეს. და ერთმანერთსა სალაში მოახსენეს. მერმე შესხდეს და ცოტა ხანი წამოიარეს. აგრე ჩამოხდეს, დაბარგდეს და დასცენეს კარავნი. აგრევე ერაჯს დაუდგეს ოთალი და მაშიგან ჩამოხდა. მერმე შევიდა, ოთალშიგან დაქდა.

აგრე სალიმ და თური მიყუეს ეშმაკისა კუალსა და ხუანჯსა, გაუდგეს ამა ცრუსა და მალორებელისა დარბაზისა საქმესა და საუკუნო კეთილი სამკაული აღარა მოიგონეს. ესე არის წესი ამა ცრუსა და მიუნდობელისა, მოლაღატისა და მუხთალისა სოფლისა — ტყუელი, დალორება. რომე ისი მისსა ბეგარასა არ დაიკლებს: აქა გაამაყებს და გააზუაყებს კაცსა, საიჭიოს მოშლის და აღარა ჩაიგდებს გულსა. მერმე აღრე ეამოდ უტრუეებს, საუკუნოდ დაჰკარგავს და მისდა სანაცვალოდ და ვიწროსა ტაგრუსსა მისცემს. ნახეთ, თუ სალიმს და თურის რა უყო, მათი მონდობილი უბრალო და შეუცოდარი ძმა მოაკულევიანა.

რა ესე მოკულეისა რჩევა და ვაზირობა დაამტკიცეს, აგრე ადგეს, ორნივე ოთალშიგან მას გუერდის მივიდეს. ერაჯ ყირმიზი ვარდივითა გაშლილიყო და ცისკარივითა ნათობდა, თეთრნი კბილნი ბროლივითა გამოსკვირდეს. მან

საყუარლად ძმანი დაიწვივნა და ოქროს სელზედა დასხდეს. მერმე პირმქისად თური ასე უთხრა, ვითა: შენ რა ყავ, რომე სრულად ერანი ასრე დაიჭირე, რომ ჩვენ არცა ერთი არათ გვახსენეო.

რა ერაჲ ძმისაგან ესე საუბარი გაიგონა, მერმე ასრე მოახსენა: ჩემნო ძმანო, მე უთქვენოდ არცა ერანი მინდა, არცა თურანი მინდა. თქვენის სიყუარულის გულისათვის სრულად ყუალაი დამინებებია. და მე წავალ და სადამდი ცოცხალუარ, მოწყალესა და მოსამართლესა, საწუთროსა შემოქმედსა, დამბადებელსა ღმერთსა ვმსახურებ. და თუ გულმართლად თქვენი შეწყობა და სიყუარული არა მდომოდა, მაშინ აჲა აღარა მოვიდოდი. ლაშქარსა შევიყრიდი და წინა მოგვებოდი!

რა ესე საუბარი დაათავა, მერმე თური სელნი გამოიძრო, ზედა რომ იჲდა, და ერაჲს თავსა გარდაჰკრა, და ლაწუ-ვარღზედა სისხლი ჩამოადინა. მერმე წააფრინდეს ორნივე და ქუეშე დაიდევს. და ფიცხლა ჩაფრიწეს ხუფთისისა საყულო და ბროლისა მსგავსი მკერდი და ყელი გამოუჩინეს, საყურნი ყურიდაღმა დახლიჩეს. აგრე თური ქაქულთა სტაცა და უქუზიდნა თავსა, და მოგვიდალმან დაშნა ამოილო და მას პირმოცინარესა, ძვალ-საყუარელსა თავი მოკეთთა, და მაღალი მბრუნავი ეტლი მაზედან ატირა. და ესე ცრუ და მადორებელი, ყალბი, მტყუანი, პირგუთთავებელი და სისხლთა მხურეტელი სოფელი, მუხთალი, გარდქეცევის მას ლომგულსა საყუარელსა, ცნობა გულმზიარულსა, ბრძენსა, მოცინარსა, მდაბალსა, მოწყალესა, კკუიანსა, ძვალ-საყუარელსა, ახოვანსა, პილოტანსა, ჯავარსრულსა, მკერდფართოსა, ტახტისა და გვირგვინისა სანაცუალოდ ვიწრო ტაგრუცი სამარე და შავი ზეწარი მისცა, თაბუთი—ტახტად, სამარე — საჯღომად, ხუფთისისა და გვირგვინისა სანაცულოდ — სუღარა. ნუ მიენდობით ცრუსა და მტყუანსა, გაღორებს. მერმე უქანის გიტყუევებს, დამპალსა, წუმპოსა, ჭაშიგან ჩაგყრის. ისი არის ხელი მისი და ბეგარა. ესე არის ბასანელთაგან ნათქუამი, და სოფელსა ღრამის წონად არა ახსენებენ. მერმე მოიღეს ოქროსა ტაშტი და ერაჲს თავი შიგან ჩადევს და რბილი საბურავი წაახურევს. და მისცეს კაცთა ქელთა და ფრიდონს გაუგზავნეს. მერმე უქუბრუნდეს და წავიდეს.

ვირემდის ესე თავის მიმღებნი კაცი მივიდოდეს, აგრე ასდომი ერთი ლაშქარი მოსულიყო სარი ქალაქს, მინდურად დადგომილ იყუეს. საამ ფალავანი ოღონ არ მოსულიყო, თურამ მას გარეთ ყუალაი მოსრულიყო: ქიშუად მილად, სხუანი თავადნი და დაედგნეს შრავალნი კარავნი. და იყო სიმზიარულე და ნაღარისა კრეა.

აგრე მოვიდა ისი კაცები, რომელსა ერაჲსა თავი მოჰქონდა ტაშტითა, შეიარეს ქალაქი უჩუმოდ, და რა მოქალაქეთა ისი დაბასრული კაცები ნახეს თავისისხლიანი, აგრე ფიცხლავ აზრსა მიხუდეს, რომე იგი უსწორო, ლომი ლომთა ცოცხალი აღარ იყო.

მერმე შეიქნა ქალაქშიგან იქით და აქეთ სირბილი და კივილი, ზახილი, აგრე თავის მიმღები კაცი დარბაზის კარშიგან შედგა, შეხედნა, ფრიდონ ტახტზედან იჲდა. ერთკენ ქაე უჲდა. აგრე დაიზახნეს თავისა მიმღებთა კაცთა და ერაჲს თავი ტაშტითა ფრიდონს წინა დაუდგეს. ფრიდონ გაშეთდა და ვერას მიხუდა. რა დახედნა, თავი იცნა, ამოილო და გულზედ დაიკონა, ცამა ვითა დაიქვენა და ტახტისაგან ჩამოვარდა, დაეცა, თავი გაიხეტქა, სისხლი

რევივითა გარდიდინა, გვირგვინი კაქაქივითა დალენა, ტახტი დააქცივა და დამუსრა, შეიქნა ზახილი და ზარი ვავლახი.

ფრიდონ მისნი თეთრნი, ბერნი წუერნი გარდიკუეთნა, სახელმწიფო ხუფთანი დაიხივა, სისხლისა ცრემლი ნაკადივითა ჩამოსლიოდა, გაშიშულდა, ტანი კეფხმან ვითა დაიხივა, თავსა ნაცართა იყრიდა, გამშაგებული პილოვივითა თავსა ასკმიდა და ესრე იზახდა, რომე ქალაქი მისისა ზარისაგან თრთოდა. აგრე მოგჯდა ლაშქარი ყულაი თავშიშველი, მჭარჩახილი მორბოდეს და მოკიოდეს. ქალაქი მათის ზახილისაგან ამას ჰგუანდა, თუ ჩაძურავო. ესეთი მტურერი აემართა და ავიდა, რომე მზე გაუჩინარდა და ყულაი დარბაზს შეეკვიოდა. შეიქნა ფალავანთა და სფადართა შიგან ღვრიალი და მეორედ მოსულა, აგრე მოიღეს ქაინური ღროშა, მასვე წამსა დაამსხურივეს ალამი, ზეწარივითა წმინდად დახივეს, ღუმბული დაამსხურივეს, ნაღარა დალენეს. ქოსი, სინჯი, ყუროსტიერი და ნაფირი დამუსრეს. მისი ჯავმანი, ჯაჭვი, მუზარადი, შუბი, კრმალი, ლახტი, ფარი, ქარქაში, მშუვილდი, ყულაი ერთად შეეყარეს; მერმე დაუშინეს და წმიდად დალენეს. მერმე ცხენებსა ყულასა კულები დასკრეს და უნაგირები დალენეს. აგრე, რაცა თავადი და ანუ ქუემო იყო, წუეროსანმან ყულამან წუერები გარდიკრა და გაიპარსნეს; უწუერულმან ულუაშები დაიგლიჯა და ასეთი სისხლი დადგა, რომე მკლავამდის შიგან იარებოდეს.

ფრიდონ სულობისაგან უცნობოდ იქმნა და, რა სულად მოვიდა, დაიწყო ორნითავე კელითა თავსა ცემა, ვითა: რა იქენ შვილო, შვილო საყუარელო. ორთავე თულათა სინათლეო, სულისაგანცა უტკბოსო და უსაყუარლესო. ჯერ ლხინ-უნახაო, ბედნიერო ყმაწვილო, მოწიფულო, მკლავ-ძლიერო, საროს მსგავსო, ჯერეთ მზისა გაუძღომელო, კოკობო ვარდო გაუშლელი, ჩუიჩქო მწუანეო, ეუაეილო აყუაეებულო, მოგჯლეს ძმათა მიღმა მისული, მუხთალთა და პირშავთა. აწე მე რა ვქნა, ღარიბმან ბერმან. ვის მივსცე თემი და ტახტი და გვირგვინი. ნახევე, ჩემთვის ახალ მორჩო, პირბასრო, მკლავ-ძლიერო. მერმე ასღონი ერთი იცა თავსა, რომე ორნივე თუალნი დაუდგეს ფრიდონ ჯელმწიფესა. აგრევე ერანელნი დედანი თავ-მოხდით და თავ-გაშლით მოსთქემდეს და შეამკობდეს ამოთა კმითა.

მერმე დასწყნარდეს და გაიყარნეს ერი, და წავიდეს ყულაი ყულაგნით. აგრე ესე ამბავი საამ ფალავანსა წინა შემოეყარა. რა ერაჯის სიკუდილი ცნა. ცამა ვითა დაიქვენა და ალაგზედა დაეხეთქა. კიოდა, მოსთქმიდა და იზახდა, და მისი ზახილი შვიდთავე ქიშეართა ესმოდა, წუერსა ქაფურივითა გაყრიდა, და სრულად ხუფთანი დაიხივა, და ზაულისტანიტეე დაბრუნდა, და წავიდა და გლოვა დაიღუა.

მერმე ერაჯის ცოლი ორსულად იყო. და რა შობისა ეამი მოვიდა, აგრე ტეხა დაუწყო და ქალი მიეცა. აგრე ფრიდონს მოახსენეს. ჯელმწიფემან ასრე ბრძანა, ვითა: იყოს, რაცა ღმერთმან გამოურჩიოს, აგრე იყოს. იზრდებოდა ერაჯის ქალი და რა თოთხმეტის წლისა და საქმოდ მოიწვია. აგრე ქმარსა დაუწყევს მისთვის ძებნა. და თხუთმეტს წლამდის გლოვა იყო. მერმე ასეთსა კაცსა ეძებდეს, რომე კიდევე ჯელმწიფეთა ნათესაეი და გუარი ყოფილიყო. აგრე თამურაზ ჯელმწიფისა ქალსა რაბი ერქუა და მისგან ორნი ვაჟნი გამოვიდეს: ერთსა ქაიარმა ერქუა და მეორესა — ქაიფაშინ, და ქაიფაშინისგან აფთი გამოვიდა. მერმე აფთის შერთეს ერაჯის ქალი ჰუარა ფაქარა და დოორსულდა.

რა შობისა ეპი მოვიდა, დაუწყო ტეხა და ვაჟი მიეცა მზის დარი. აგრე ფრიდონს მოახსენეს ფიცხლა ვაჟისა დაბადება, და უზომოდ გაეხარნეს, და საწუთროსა დაშბადებელსა უზომო მადლი შესწირა. მერმე მასთანა მიყუანება ბრძანა.

აგრე ფიცხლა წავიდეს, რბილსა სახვეველშიგან ფრიდონ ჰელმწიფესა წინაშე მიიყუანეს და კალთასა შიგან ჩაუგორვეს. რა ჰელი მიახუედრა, აგრე ეკეთა და ეშუენიერა, მაგრა თუალთა აღარა უჩაიდა და ვერა რას ხედვიდა. აგრე საწუთროსა შემოქმედსა, დაშბადებელსა შესტირნა და შეეხუენწა, ვითა: ცხადისა და იღმელისა მეცნიერო, მოწყალეო და მოსამართლეო, გულთა და გონებათა გამკითხუელო ღმერთო, რადგან ჩემი ბერი ეტლი კიდევე გაამხიარულეთ და თერიაყისა ალაგსა აღარა დამაბით, აწე აზღომი ერთი წყალობა მომივლინეთ, რომ ჩემითა თუალითა ვნახო და განგებისა საქმესა არა გაკვირვებულნდა. აგრე უკუიწივნა ორთავე თუალთა ქუთუთოსა და განგებითა ღმრთისათა უკუსკდეს ტყავნი და თუალნი აეხილნეს. რა დახედნა, ეშუენიერა და ეტურფა. დალოცა და ღმერთსა უზომო მადლი შესწირა. მერმე ერაჯ შაპა მანუჩარ დაარქუა. აგრე ფრიდონ ჰელმწიფემან ვიხარნა, ვითამცა ერაჯი გაცოცხლებიყო და იგი გაყმანწვლებულიყო. მერმე აკერვეინა ქოსსა, ნალარასა. აგრე ფრიდონ ჰელმწიფე ტახტზედა დაქდა ჰუდოსან-გვირგვინოსან, საყუროსან-ტავაყოსან.

მერმე ვაისმა ყოველთა ალაგთა მანუჩარის დაბადებისა კმა. და შეიყარა; რაცა სადა ფრიდონის საბრძანებელი იყო, ფალავანნი, დიდებულნი და თავადნი. აგრე მოვიდეს ერთგან შეყრილნი, და საამ ფალავანი დიდი მთა ვითა წინა მოუძღუებოდა. აგრევე მას გუერდის ქიშუადი და მისი ძმა ჰჰაქ, მამისა სახელი დაერქმევინა, და მისთანავე მილად, აგრე ფიცხლა დარბაზის კართა მოვიდეს, ჩამოხდეს ფიცხლად და შევიდეს, და ჰელმწიფესა წინაშე დაშბადებელისა სახელი ახსენეს და პირი მიწასა გააერთეს. მერმე ჰელმწიფე ზე ადგა და ფალავანი საამ მქარმოქდომით, კოცნით ნახნა. მერმე, როგორაცა ვის წესად მართებდა, იმავე წესითა დასხდეს. აგრე შეიქნა ყუალგნით სიმხიარულე და სიცილი.

აქა ფრიდონ ხელმწიფე მანუჩარ ტახტზედა დასვა და თავისა გვირგვინი დაარქუა სამისა წლისასა

მერმე ესე ამბავი თურსა მიესმა, ვითა: მანუჩარ დაბადებულაო, ფრიდონს ჰელმწიფედ დაულოცავსო. აგრევე საღიმს მიუვიდა ესე ამბავი. მერმე შეიყარნეს ერთად და გამოარჩიეს ზედა მოხლომა. და გამოგზავნეს წინათ მოციქული, და შემოსთვლეს ესე პირი და დავედრეს ფრიდონს წინაშე, ვითა: გურცხუენიან, რაცა დავაშავეთ ვაჟობით და სირეგუნით, აწე შეგვინდევ, მანუჩარ გამოგვიგზავნეთ, სულისაგანცა უსაყუარლესად ვიამებთ ძის ნახუასა.

ამაზედა მოციქული აქეთ გამოგზავნეს და ისინი უკანა წამოუდგეს, ექუსასი ათასითა კაცითა. იარა მოციქულმან და სარი ქალაქსა მივიდა. რა მოციქული ნახეს მოსრული, აგრე ჰელმწიფესა ფრიდონს მოახსენეს მოციქულთა [მოსულა]. აგრე ფრიდონ ფალავანი საამ და სხუანი თავადნი იჰმნა. და მოვიდეს ფალავანი საამ, ქიშვად, ქავ, ყარან, მილად და ყუბად. შემოვიდეს საამს ოქროს სელნი მორათვეს და მაზედა დასუეს. აგრე სხუათა თავადთა, როგორცა ვის წესად მართებდა, მით წესითა დასხდეს. და მანუჩარს მძიმე ტახტი დაუდ-

გეს და მახედა დასუეს, ფრიდონისა მარჯუენასა მკარსა, გვირგვინოსან-ქუდოსან-საყუროსან-ტავაყოსანი. აგრე მოციქულნი შემოასხნეს, კელმწიფესა წინაშე პირი მიწასა გააერთეს და წიგნი მორათვეს.

და რა წიგნი წაიკითხა ვაზირმან ქავ, მაწინდა კელმწიფემან ფრიდონ ასრე ბრძანა, თუ: სანახავად გამოგითხოვნია მანუჩარ, ღია მართალი არის, სადაცა გეპრიანების მუნ ვნახოს ლაშქრითა, აღარას ეიყვინი და აწევე გამოვგზავნი. ამაზედა მოციქულნი გაუშვა. და ფრიდონ კელმწიფემან საამ ფალავანსა უბრძანა და სხუათა ფალავანთა, ვითა: ნულარას ვიყვინით, ვერა ხედავთ, რომე სალიმს და თურის ერანის მოსამტურებლად მოუმართებია. აწ უნდა ფალავნობა და გულოვანთა მამათა ომი.

რა ფალავანდთა და თავადთა კელმწიფისაგან ესე გაიგონეს, აგრე ერთობრად ასრე მოახსენეს, ვითა: სრულად შენსა ბრძანებასა მორჩილნი ვართ, რაცა გეპრიანებოდეს, გვიბრძანეთ, ვანალამცა გმსახუროთ!

აგრე მწიგნობარი უხმო და გასწერნეს ყულაგნით, სადაცა მისი საბრძანებელი იყო, ლაშქრისა საწუვერად. და ფალავანსა საამს მოახსენა ფრიდონ, ვითა: ქალაქს გარეთ მოედანშივან გააღებინეთ ბარგი და კარეები! აგრე აღგა ფალავანი საამ და უბრძანა სახელოებსა ვალმა ვაღება. დაუწყეს ზიდვა, დაღვეს კარავნი და ოთაღნი და საჩაფარაღნი, საივანები. აგრე მოვიდა ლაშქარი ოთხასი ათასი კაცი, დაღვეს ქალაქს გარეთ.

აქა მანუჩარისაგან პირველი ლაშქრობა, შვიდის წლისა იყო

რა გათენდა, საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო და სევიდისა ფერად გასულსა მიწასა ყირმიზი ფარდავი მოჰფინა, აგრე ჰკრეს ქოსსა და ნალარასა. აგრე გამოიღეს მანუჩარის ტახტი, და მოიტანეს ფრიდონის ტახტი, და მოახსენს პილონი და მახედა დაღვეს ტახტი. აგრე მოიყუანეს შვიდის წლისა მანუჩარ და ტახტზედა დასუეს ქუდოსან-გვირგვინოსან-ხალახნიან-ტავაყოსან-საყუროსან-ბექდოსანი. და მგრევე ფრიდონ კელმწიფე გავიდა კიბითა პილოზედა და დაჟდა ტახტზედა. ორისა ღღისა სავალსა თანა გაყუა. აგრე ჰკრეს კმა ასაყრელი და, გაიძღუანეს ქაიანური ღროშა წინა და წავიღეს. სახელსა ზედა ღმრთისათა იარეს.

რა ორისა ღღისა სავალსა წაიარეს, აგრე ფრიდონ კელმწიფე დაბრუნდა, და მანუჩარ და ლაშქარნი დალოცნა, ვითა: არა არისია, ცისა და მიწისა, მზისა და მთუარისა, და მასკულავისა და საწუთროსა დამბადებელი და მბრუნავიშცა ეტლი არის თქვენი წინამძღუარი! აგრე ფრიდონ შინათ დაბრუნდა. მანუჩარ ლაშქრითა წავიდა და წინამავალად ქიშუად გავგზავნა ათი ათასითა კაცითა. იარეს და როს დაღვეს, აგრე მათი წინამავალი თიქითინ ბულადარელი იყო, ოცი ათასითა კაცითა მოვიდოდა. მერმე ქიშუად და ისინი ცისკრისა ჟამსა გარღვიდნეს ერთმანერთსა. და ესენიცა დაკაზმული იყუნეს, ისინიცა. აგრე შეუზახნეს ერთმანერთსა და შეიბნეს. დაუშინეს შუბითა, კრმლითა, ლახტითა, და მრავალი კაცი ჩამოყარეს და მოკლეს ერთმანერთსა. აგრე ქიშუად და თიქითინ ერთგან შეიყარნეს და ერთმანერთსა შუბები შესცეს. აგრე ქიშუად გარდაყარა თიქითინ, და ჩამოაგდო და მოკლა.

რა ლაშქართა თიქითინ ჩამოგდებული და მოკლული ნახეს, გაიქცეს, მიეწეოდინ, ჩამოყრიდინ, კოცდინ; ამოსწყვიტეს, ასრე რომე რისხუა ღმრთისა

დასცეს. აგრე ჭიშვად თიქითაჩინის თავი მანუჩარს გაუჯზანა. და აქეთ ესენი გაქეული ლაშქარი სალიმს და თურის პირს ეცეს, მათშიგან ხორხორტი შეიქნა და, როგორაცა ცნეს, რომე აღარა ამბავი იყო, აგრე სალიმს და თურის წინაშე კაცი მივიდა თავისისლიანი და თიქითაჩინის სიკუდილი უამბო. და მათ დია ეწყინა თიქითაჩინის სიკუდილი. მოამბესა კითხეს: ვინ იყო მათი წინა მავალი ვერა შეიგენითო? მათ ასრე მოახსენეს: ანასდელულად გარდვეკიდენით მომავალნი ცისკრისა ეამსა, ვერა შევიგენით რა, თუ ვინ იყო. აგრე იარეს და როს შეიყარნეს, რა ერთმანერთი აუჩნდა, აგრე იქით ისინი დადგეს და აქეთ ესენი.

მერმე მოილეს მრავალფერნი ჩინურისა ოქროქსოვილისა, ხატურისა, ქამხისა კარავნი დადგეს, აგრევე ოთაღნი და აშართეს ლომისა ტყავისა საივანები. მას გარე შემოავლეს მრავალკეცნი სარაფარდასი და სარაფარდათა კარები შეაბეს, და მაზედა მალლად გუმბადი მოაწყვეს, თვალითა და მარგალიტითა მოკაზმული. და შიგან ლომისახე იქდა.

აგრევე მოილეს მანუჩარის ტახტი და სარაფარდის შუაგულობასა დადგეს. მძიმედ გუართა, მარგალიტითა და ფეროზითა მოქედილი იყო. აგრევე თავი, ფერჯი მოქედილნი ესხნეს, მერმე მოიყუანეს მანუჩარ ჭელმწიფე და მძიმე საქელმწიფო ქუდი თავსა დაარქუეს, მაზედა გვირგვინი დაიდგა, საქელმწიფო, ჩარუაფიანი მოთულმარგალიტული კაბა ტანსა ჩაიცვა, ტავაყი შეიბა, საყურნი გაიყარნა, მერმე ტახტზედა დაჯდა. აგრე საამ ფალავანი მოვიდა და სხუანი თავადნი ჭიშვად, მისი ძმა ჰშაქ, მისისა მამისა სახელი ერქუა. მას უკანით ყარან და მილად და ყუბად. საამს ოქროსა სანდალნი მოართვეს და მაზედა დაჯდა. მერმე, როგორაცა წესად მართებდა, აგრე დასხდეს.

აგრევე სალიმის და თურის ლაშქარშიგან დადგეს მრავალფერნი კარავნი და ოთაღნი, საივანები, სარაფარდანი და მოილეს ორთავე ჭელმწიფეთა ტახტები. მძიმედ მოქედილი დადგეს. აგრე მოვიდეს ორნივე ძმანი. საქელმწიფო ტანისამოსი ჩაიცვეს, მძიმე ქუდები თავსა დაირქვეს და მაზედა გვირგვინი დაიდგეს, ტავაყი შეიბეს, საყური გაიყარეს. აგრე ტახტზედა დასხდეს. მერმე თავადები შემოვიდეს. და უწინ ვაის შემოვიდა, მერმე ფირან, ალაბელ შანში, თურქი თუზნ, ეთიგინ და შაიდლუშ. მერმე, როგორაცა მართებდა, აგრე დასხდეს. და აგრე იმ დამესა ორსავე ჭიშვარსა შიგან ნადიმობა შეიქნა.

რა დაღამდა, საწუთროსა მაშუენებელი მზე ღრიანკელის პირშიგან ჩავარდა. და მიწა შავსა ზანგსა დაემსგავსა და შავისა გიშრისა ფარდაგი მოჰფინა, აგრე იმ დამესა ორგნითვე საომრად ეკაზმებოდეს.

აქა პირველი ომი მანუჩარისა, მისის ფალავანის საამისა და სალიმ-თურისა და მისის ფალავანისა ვაისისი

რა გათენდა, ლავარდის ფერსა ცასა სინათლე მიეცა და საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო, კირჩხიბისა ჭანგსა დაეხსნა და გუმბადსა ზედა ამალდა, და შავსა მიწასა ყირმიზი ფარდაგი მოჰფინა, აგრე ჰკრეს ორგნითვე ჭმა საომარი ქოსისა, კუნესა სტვირთა სარაზმითა, გამობეს თეთრი მძივი პილოსა, შებერეს ზროხაკულდა, ნაღარა, ზაბულური, სპილენ-ჭური და სინჯთა. აგრე აწყვეს ორგნივე რაზმსა; და პირველად რაზმისა შუაგულობასა მოიყუანეს თეთრი პილო და მოილეს მძიმე ტახტი მანუჩარისა და მაზედა დადგეს.

მერმე მოვიდა მანუჩარ ჯელმწიფე ცხენითა და ჩამოხდა. აგრე ტახტზედა გა-
ვიდა კიბითა და მაზედა დაჯდა ქუდოსან-გვირგვინოსან, საყუროსან-ტავაყო-
სან-ბექდოსანი. მარჯუენესა მჯარსა ქიშვად და ყუბად დადგეს. მარცხენესა
მჯარსა ყარან და მილად დადგეს. პილოსა წინათ ქიანური დროშა ამართეს. და
კიდევე მარჯუენას მჯარისაყენ, ვითა დროშას წინათ ზედა თავით ფალავანი და
ფალავანთა ზურგი, მბრჭღვინავისა ეტლისა მსგავსი, დიდისა ფალავანისა სა-
ხელდებულისა ნარიმანის შვილი, გულოვანი სფაბალი, სახელგანთქმული, დევე-
თა და მრავალთა პილოთა და ნიანგთა შემეკრელი, ახოვანი, პილოტანი, მეკრ-
ბრტყელი საამ ფალავანი დადგა. სამანდსა იჯდა, ჯაჭვითა, ჯავშანითა შეკაზმუ-
ლი. მისისა პაპისეული მძიმე ლახტი ჯელთა ჰქონდა, და ლომისა ტყავისა საგ-
დებელი მჯარსა შეიღვა და უქუეცუვა, და როგორაცა ლომი კანჯრისა ჯოგსა,
სანადიროდ გამეხებული იყო, მკლავნი უქუეკეცნეს, ჯანგნი გაემახუნეს და
მეკრდნი გამოესუა, წინათ მისი დროშა აემართა, უკანით დარჩეული ფალავ-
ნები, გულოვანნი ზაულისტანელნი ლაშქარნი უდგეს. ყუალასა სისხლისა და-
ღურისათვის სწყუროდა და ტვერად სისხლიანისა შუბისა ჯარი იღვა, მრავალთა
სისხლთა დაქცევისაგან ყუალასა შეღებული ება. აგრევე მილად და ყარან მა-
თითა ლაშქრითა და დროშითა მარცხენესა მჯარსა იდგეს.

მერმე სალიმის და თურის რაზმი აწყუეს. ერთეენ სალიმ დადგა სამასი ათა-
სითა კაცითა, მანუჩარის რაზმს პირდაპირ. სალიმის რაზმშიგან მარჯუენესა
მჯარსა ვაის დადგა, მისითა ლაშქრითა, მარცხენასა მჯარსა შანშე დადგა, მისი-
თა ლაშქრითა და დროშითა. აგრევე რაზმის შუაგულობასა მოიყუანეს თეთრი
პილო, და მოიღეს მძიმე გუარითა და ფეროზითა შეკაზმული ტანტი, პილოზე-
და დადგეს. აგრე გავიდა სალიმ, მაზედა დაჯდა ქუდოსან-გვირგვინოსან, საყუ-
როსან-ტავაყოსანი. და წინათ მგლის სახე დროშა აემართა.

აგრევე სამასი ათასითა კაცითა თური დადგა, სამის რაზმსა პირდაპირ,
მარჯუენესა მჯარსა თურის რაზმშიგან ფირან დადგა მისისა ლაშქრითა და ნიან-
გისა სახითა დროშითა. მარცხენესა მჯარსა შაიდუმ დადგა, მისითა ლაშქრითა
და პილოს სახითა დროშითა. აგრევე მოიყუანეს თეთრი პილო და მოიღეს მძი-
მე ტანტი, პილოზედა დადგეს გუარითა შეკაზმული. მერმე მოვიდა თური
ჯელმწიფე ცხენითა. ლაშქართა შუაგულობასა ჩამოხდა ცხენისაგან და პი-
ლოზედა გავიდა და ტახტზედა დაჯდა ქუდოსან-გვირგვინოსან-საყუროსან-ტა-
ვაყოსანი-ბექდოსანი და პილოსა წინათ ვეფხის ტყავისა სახე დროშა აემარ-
თა.

მერმე ორგნითვე გახშირდა და ჰკრეს ხმა საომარი ქოსისა და ნალარისა.
კუნესა სტვირთა სარაზმოთა, გახშირდა ნაფირთა და ტაბლაცთა ცემა და ბუქ-
მან ჯმა გააზიარა. შეიქნა ყუალღვით შემოკივილი და ზახილი, აბჯართა ჩხრიალი-
საგან, ზარისა და ზახილისაგან, ახთათა და პილოთა ხრტილისაგან, ცხენთა ხუ-
ვილისაგან ცა და კლდე, მინდორი და ტყე, ყუალაი იძროდა და აღარა შეიგე-
ბოდა რა.

მერმე პირველად მოედანშიგან საომარსა ალაგსა ყარან მოვიდა, ქვექვე
ქნა და თავსა შუბნი შემოივლინა და მუქარასა ითხოვდა. აგრე თურის რაზმში-
გან ერთი სახელდებული მეომარი წამოვიდა, სახელად შაიდუმ ერქვა. რა
მოედნისა საშუალსა მოვიდა, მანცა შუბნი შემოივლინა თავსა და შეუტევა ყა-
რანს. აქეთ ყარან გაფიცხდა. ვეფხივითა მიუხდეს ერთმანერთსა. შუბები შეს-
ცეს, ყარან ფარი აუქრა და შაიდუმის შუბი აიცილუნვა, აგრე ყარან შესცა ღლი-

ასა და ჩამოავდო შაიდულში, და სოფელსა გამოასალმა. და ფალავანი ყარან იქვე მოედანშიგან იდგა. თურქითუზან წამოვიდა თურის ლაშქრისდაღმან და, როგორცა მოედანშიგან მოვიდა საომარესა ალავსა, აგრე მშვილდი ამოიღო, თურქითუზან ყარანს ისარი შემოსტყორცა, ცხენსა უკრა და ცხენი მოუკლა, აგრე ერთი სხუა შემოსტყორცა და ყარანს ჯელსა ჰკრა, დაკოდა. აგრე დაკოდანი წყნარად ქვევითი ლაშქრისაყენ წამოვიდა. აგრე ფიცხლა მისი ძმა ყუბად მიეშუელა, წაუფარა წინა.

როგორცა თურქითუზან ყუბად მისკენ მომავალი ნახა, აგ:ე ერთი ისარი ყუბადს შემოსტყორცა და ცხენი მოუკლა მასცა. და ერთი სხუა შემოსტყორცა, ჰკრა და დაკოდა. და აგრე ყუბად ლაშქართაყენ მიბრუნდა.

რა პილატონმან ფალავანმან საჰმ თურქითუზანისაგან ესე მოინახა, აგრე სახელი ღმრთისა ახსენა და სამანდი მოიბრუნეა მოედნისაყენ. რა მოედანშიგან მოვიდა საჰმ ფალავანი, აგრე თურქითუზან ისარი შემოსტყორცა და საჰმს ფარსა უკრა და შიგან გაავლო. მერმე მიუხდა ფალავანი საჰმ ვეფხივიჲა, დაჰკრა ლახტი თავსა, ფარი და კაცი, უნაგერი და ცხენი ყულაი დაამსხურია, ერთნანერთსა თანა აურიეა და სოფელსა გამოასალმა. ფალავანთა თავი საამისურ ივიე მოედანშიგან ბრდღენიედა. აგრე ერთი სახელდებული ფალავანი სხუა წამოვიდა თურანის ლაშქარიდაღმან.

რა მოედანშიგან მივიდა, ფიცხლა საჰმს შემოუტეეა. აქედღმან საჰმ მიუხდა და დაჰკრა ჯრმალი თავსა და შუა გაყუეთა, და ამა წესითა ორმოცი კაცი მოკლა. მერმე ვაის მოვიდა მოედანის შუაგულობასა, საომარსა ადგილსა; აგრე აქედღმან მიუხდა ფალავანი საჰმ და ვაის შუბი შემოსცა. საჰმ მიჰყო ჯელი, შუბი მოსტეხა, შორს გაავლო. აგრე ერთი ჯელი ჭაჭეის სარტყელსა ჩაუგდო, და ერთი ჯელი ცხენისა მეკრდსა ამოსდვა, აიწიენა და ცხენი და კაცი ორნიეე თავის სწორად აიყუანა და, როგორცა დახეტეებასა ლამოდა, აგრე გაუწყდა ჭაჭეის სარტყელი და ჩამოვარდა. და ვირემდის ჯრმალსა გამოიწუდიდა, მანამდის ვაის გარდხიეწა.

მერმე თური საჰმისი ათასითა კაცითა დაიძრა შავი ტვერიეთითა. შუბისა ჭარი წამოვიდა და გაიყო ორად. მგურგულიე გარე შემოევიენეს და საჰმ შუაზედა შეივდეს. საჰმ ფალავანმან მისი ორმოცდაათ: ათასი დარჩეული ზაულისტანელი ლაშქარი უკანა ამოიყენა, ასრე უთხრა, ვითა: თქვენ ზურგი შემინახეთ და უყურეთ, თუ მაღალი ეტლი ამათ ზედა როგორ ეატრო. აგრე საჰმ საომრად გაფიცხდა და ყირმიზი კოკობი ვარდიეთითა გაიშალა, და მყვირალმან და გაშმაგებულმან ლომმან ვითა შეყვირნა და თავს გესლი გარდაასხა. რომე ზოგნი შიშითა იქვე ცხენზედა დაბნდეს. ლახტი წელთა ჩაეყარა და გასაჩუენოდ დაჰყო ჯელი დიდსა ლოდსა და მოგლიჯა და ლაშქართაყენ გაავლო. აგრე შემოვიელებსა და მოეხვიენეს გარეშემო და მოვიდეს შუბოსანნი ყულაი დარჩეულნი ფალავნები საჰმს ზედა. აგრე ამოიწუადა საჰმ ფალავანმან ფათრათისეული მძივე ლახტი. და წინა პირველი მოვიდა, ფარუხი იყო და საჰმ შუბი შემოსცნა; აგრე საჰმ ჯელი გარდასდვა და შუბითა სტაცა, გამოსწიენა და წართუა, მერმე თავსა გარდაჰკრა და გარდალენწა. აგრე მოიქნიეა ლახტი, დაჰკრა თავსა და ტინი და კორცი, და ძუალი და სისხლი აურიეა, აგრე შეიქნა ცემა შუბითა, კრმლითა, ლახტითა, ისრითა, ხანჭრითა, რომე მაღალი ეტლი მათ ზედა ატირდა. შეიყარა მკუდრისა გორი და აგრე ერთობილინ ლაშქარნი საჰმს მოეხვიენეს. და საჰმ ფალავანმან საწუთროსა დამბადებული ახსენა და შეუზახნა, დაუშინნა და მრ-

უალთა თავადთა თავი უპატიოდ მიწათა ზედა დაჰყარა, და სამანდის ფერკითა გაზარგნა. მკუდრისა ჯარისაგან აღარა ივლებოდა რა, კაცისა და ცხენისაგან. და იყო ყუალგნით ცემა და ზახილი.

აგრე ქუეშეს მჯარსა მანუჩარის რაზმსა მოუხდა სალიმ, სამასი ათასი კაციითა. და შეიქნა ცემა და მოსაწყევარი, და დაკოცეს აზომი ერთი, რომე აღარა შეიგნებოდა რა, და მოეჯარნეს მანუჩარის ტახტსა, და ქაიანურსა დროშასა შემოეხვიენეს გარეშემო, აგრე ფიცხლა ტახტილადმან ჩამოსვეს მანუჩარ და ცხენსა შესვეს, და გამოაქცივეს და საამს უკანით ჯარშიგან მოიყუანეს. და დაჭრეს მედროშე და მოკუეთეს ქაიანური დროშა, დააქცივეს მანუჩარის ტახტი. დალუწეს, მოკლეს. პილო და ორმოცდაათი ათასი კაცი მოკლეს. და ასეთმან ქარმან მობტრა იმათილადმან მანუჩარის ლაშქართაყენ, რომე კაცსა მიწასა და მტურესა ყუალასა თულაშვიან აყრიდის. ამაზედა მოეჯარნეს მანუჩარს, სცემენ. და არის კიყინა და ზახილი და ზრიალი, ჰუი და ჰაი, რომე ზარისაგან აღმა-დაღმა ხლტოდის კაცი. და მიწა შავსა ზანგიეთა მიღმა და მოღმა ექანებოდა, საწყუთრო შეესკუპრსა დაემგავსა მკუდრისა სიმრავლისაგან. და სისხლისა ლუარსა კაცი და ცხენი მოჰქონდის. აგრე მოეხვიენეს მანუჩარ ველმწიფესა.

მერმე ყუბად საამისაკენ გაიქცა, ძლიე ჯარში შევიდა. აგრე საამს მიენურა, შეხედნა, თავსა და პირსა სისხლი გარდასლიოდა, სრულად ზედათ ქუედანდის გათხაპულიყო, ოთხმოცსა ალაგსა დაკოდლიყო, აღარა იცნობოდა, მარა ყუბად სიმაღლითა ზედა იცნა. შესძახნა, ვითა: დევთა შემკურველო, რა მოღალაფეებისა ეჰამი არის, მანუჩარ ლომისა ჯანგთა აბიან, ქაიანური დროშა. ტახტი წაიღეს.

რა საამ ყუბადისაგან ესე საუბარი გაიგონა, აგრე თავის ჰყუა აღმა წაუვიდა, დაიზახნა და, რაცა გარეშემო ლაშქარი მოხუეოდა, ყუალაი პირდაღმა დაეცა, შეჭლიხა სამანდი და დაბრუნდა, ჰკრა უკან, წამოღმა და თაკარა-თაკარა მკუდრის ჯარი გორად წინა დახედის საამს. აგრე პირი თურის ტახტსა და პილოსა მიაყარა, და მკუდრის ჯარისაგან ველარ მიუღდა ახლოს. მერმე ლახტი წელთა ჩაიყარა, და საგდებელი მოიმარჯუა და თურის თავსა გარდაცუა, გარდმოზიღნა და ჩამოთრიეა, ტახტილადმან ჩამოაგდო.

და რა ლაშქართა თურის ჩამოგდება ნახეს, აგრე გაიქცეს, დაუწყეს დევნა და ჯოცა, რომე რისხეა ღმრთისა დასცეს; აივსნეს ჰეენი და ლელენი დაჯოცილისა და დაკოდლისა კაცისაგან; არე და მარე მძორითა გატენილ იყო. აგრე თური შეკრული მანუჩარს წინაშე მოიყუანა საამ ფალავანმან. და საამ ოთხმოცსა ალაგსა დაკოდლ იყო. და თავისა ოთაღშვიან წავიდა, მოსასვენოდ წეა. აგრე მოიღეს სალიმის ტახტი და თურის, სალიმის ტახტზედა მანუჩარი დაქდა და თურისი საამს გაუგზავნა. მერმე მოიღეს მათი კარეები, საივანები, სარაფარდანი, ნოხნი, საგებელნი, პილოები, აქლემები, ჯორი, ცხენი, ყუალაი კიდეხლი და დაყარეს მინდორზედა. აგრე გამყოფელნი თავადნი და ბელოსანნი უჩრინნა, და გაყუეს სან წილად. ერთი წილი საამს გაუგზავნა, ერთი წილი ლაშქართა მისცა და გაუყო და ერთი სალაროსა შეუღებინა. აგრე მოასხეს, რაცა ღელთ დარჩომილნი თავადნი ჰყეა, ჯალაღსა უბრძანა, ვითა: წაასხი, ყუალასა თავები დასჭერ! აგრე ჯალადმან მანუჩარს კელსა აკოცა და წავიდა. ჩასხნა ჩოქსა და ყუალასა თავები დასჭრა.

მერმე ვაზირმან მანუჩარს ასრე მოახსენა, ვითა: ვირემდის საამ ფალავანი მოვიდოდეს თქვენდა საღარბაზობლად, მანამდის თური მოიყუანე და თქვენი-

თა ჯელითა მოკალით და, თუ საამ შეიგნებს, აღარ მოგაქულებინებსთ. აგრე მანუჩარ ვაზირის საუბარი დაიჭერა, და მარტო ოთაღშიგან შევიდა და ოქროს ტაშტი მოაღებინა. მერმე გაგზავნა კაცი და ჯელშეკრული თური მოიყუანა. და რა ოთაღშიგან შეიყუანეს, შეიგნა, რომე მისი კერძი საწუთრო მანუჩარ შემოქლებულიყო და მბრუნავი ეტლი უქუღმა გარდმოქცეოდა.

რა შეიყუანეს მანუჩარს წინაშე, აგრე გამაგებული ვეფხივითა ზედა წამოვარდა, ერაჯის სისხლისათვის ფიცხლა თავი მოკუეთა, ჩადვა ოქროსა ტაშტშიგან და აგრე ფიცხლა თურის თავი ტაშტითა ფრიდონს წინაშე გაგზავნა.

მერმე წასავალად აეკაზმნეს. და ავიდეს ბარგი პილოსა, აქლემსა, ჭროსა და ცხენსა. და აგრე მანუჩარ საამის საახავეად წავიდა. და რა საამ ჯელმწიფე მისკენ მიმავალი ნახა, აგრე აღგა და წინა მოეგება და მშვიდობა მიულოცა. მერმე მობრუნდა და წამოვიდა. აგრე საამ თური მოიკიობხა. და სიკუდილი უამბეს მანუჩარის ჯელითა. და საამს დია ეწყინა თურის სიკუდილი. თუცა ველარას იქმოდა. მერმე შეჭდა საამ და წავიდა ზაულისტანსა მისითა ლაშქრითა. და აქეთ მანუჩარ წამოვიდა მისითა თავადებითა და ლაშქრითა და სარის ქალაქსა მოვიდა. და ამის მოსულამდის ფრიდონ ჯელმწიფესა თურის თავი მოართვეს.

რა ფრიდონ შვილის თავი ნახა, ცამან ვითა დაიზახნა, და ტახტიდალმან ჩამოვარდა და დაბნდა. რა სულთანსა მოვიდა, აგრე დაიზახნა, თუ: ვაი შვილნი, ჩემითა ჯელითა დაჯკოცენ და ამოგყარენ. საყელონი გარდნიონა, თავსა მიწანი გარდიყარნა, თეთრსა წვეერსა ქაფურსავითა გაყარდა. და რა ტირილისაგან მოისუნენა, აგრე თური ერაჯის გუერდსა წაიყუანეს და მას გვერდის დამარხეს, და სულის საქმე უყვეს, გლახაკთა გაუყო და ზევითა შესწირა მრავალი საქონელი, და ორს წელიწადს იგლოვა.

მერმე ესე გაქცეული ლაშქარი თურანს მისულიყო. აგრე თურის შვილი ზადარამ თხუთმეტისა წლისა იყო. და აგრევე მან დაიდვა გლოვა მამისათვის ორს წელიწადსა. და რა ორი წელიწადი გამოვიდა, აგრე გლოვისაგან გამოვიდა, ნალარათა აყურევირა. მერმე ვაზირობა. შექნა და თავადნი იქმნა. აგრე ლაშქარისა საქმობარი წიგნები გასწერა, და ბარგი და კარებები ყუალაი მინდურად გააღებინა. აგრე გამოიღეს ტახტი და პილოზელა დადგეს, მოვიდა ზადარამ და ტახტზედა დაჯდა, აგრე მოვიდა ყუალგნით ლაშქარი, დათუალეს და სამასა ათასი კაცი იყო.

აქა პირველი ლაშქრობა ზადარამისა.

აგრე მოვიდეს უწინ ვაის და მისნი შვილნი. ფირან, ომან, ლაქ, ფარშევად, ნესტევან, ფლასონ და ზარავა. და რა ჯელმწიფესა წინაშე მოვიდეს, აგრე ერთობლინი გარდაჭდეს, და ჯელმწიფე ზადარამ დალოცეს და პირი მიწასა გააერთეს. მერმე ჯელმწიფემან მადლი უბრძანა და ცხენთა შესხლომა.

აგრე ცხენთა შესხდეს და ჰკრეს. ასაყრელსა ჯმასა და გაიძლუანეს წინათ ვეფხისა სახე დროშა. წავიდა ზადარამ სამასი ათასითა კაცითა საბერძნეთს, სალიმისაკენ. იარეს და წინათ კაცი გაგზავნა. მისი მისელა შესთულა. იარა წინათ გაგზავნილმან კაცმან და სალიმს წინაშე მივიდა; და ზადარამის მოსულა უამბო. აგრე სალიმ გამოვიდა და ცხენსა შეჭდა, და ასი ცხენოსანი კაცი თანა წაიტანა და წინ მისაგებავად წავიდა. მერმე იქიდალმან ისინი მოვიდეს, სრულად ლაშქარნი გარდაჭდეს და სალიმს პირ-მიწადადებითა. სალაში მოახსენეს.

აგრე ახლოს მიეწურა, ზაღაჩამ ცხენისაგან ჩამოქდა და ერთმანერთსა ქუე-
ითად მიეგებნეს წინა. სალიმს ზაღაჩამის სიმაღლე გაუკვირდა, ერთობ სამოცი
ადლი სიმაღლე ჰქონდა. აგრე მოვიდეს. ერთმანერთსა მკარმოკდობით მოეხვიე-
ნეს და აყოცეს. მერმე შესხდეს და წამოვიდეს და მინდორად დადგეს. აგრე და-
ბარგდეს, და დასცენეს კარაენი და ოთალნი და სარაფარდანი.

მერმე სალიმ ქაიაშარ იქმო. და ესე ქაიაშარ ჯიმშედის ნათესავი იყო. მერ-
მე ლაშქრისა საკმობარი წიგნები გასწერა და ფიცხლა ლაშქარი იქმო.

აგრე დაშუშნი მოვიდეს და ყულაი ფრიდონს მოახსენეს, ვითა: შეყრილი
ზაღაჩამ მოვიდა, თურის შეილი, თურანელისა სამასი ათასითა კაციითა და
სალიმს შემოეყარა და თქვენ, რასაცა ბრძანებთ, პატრონნი ხართ!

რა ფრიდონ ჯელმწიფემან დაშუშისაგან ესე საუბარი გაიგონა, აგრე ფიცხ-
ლა თავადთა და ვაზირთა კაცი გაუგზავნა, მის წინაშე იხმნა; და ადგეს, ფიცხლა
დარბაზს წავიდეს, კარზედა მივიდეს. აგრე შეიწვიენეს და უწინ ბერი ქვე შევი-
და, მას უკანით ქიშვად და ფირან და მილად, ჰშაქ და ყუბად და ზანგულ; მერმე
დასხდეს სავაზიროდ ყულაი, დაუწყეს რჩევა. მერმე ფრიდონ ასრე ბრძანა, ვი-
თა: ზაღაჩამ ერთობ დიდი, მაღალი ფალავანი სადმე არის და მეშინიან, რომე
დაგაზიანნეს. უსაამისოდ არ გივაზირებ წასელასა და თქვენ: რასაცა ბრძანებთ.
პატრონნი ხართ!

მერმე ყარან მოახსენა, ვითა: თუ საამ ქვეყანაზედა არ იყოს, ჩვენ პურსა
ნულარა ვსკამთ. აწუ ჩვენგან ასრე არ უნდა, რომე შევიყარნეთ და წინა მივე-
გებნეთ, და თუ ამას არა ვიქთ, რა ერთხელ შინა ჩამოგვიდგებიან, მამინ ველა-
რას მოვაწვეთ. რა ყარანისაგან ესე საუბარი გაიგონეს, მერმე ერთობილთა ას-
რე თქვენს, თუ: რადგან აგრე სჯობს, ნულარას ვიყოვნით. შევიყარნეთ და წინა
მივეგებოთ!

ამაზედა დააბირეს ესე პირი და გასწერეს ყულაღნით ლაშქრისა საკმობარი
წიგნები. დაუწყეს ბარგსა და ნოხთა. კარავთა და ოთალთა გარეთ ზიდვა. მერმე
გამოიღეს მანუჩარის ტახტი, და მოიყუანეს თეთრი პილო მანგალაოზი და მაზე-
და დადგეს. აგრე მოვიდეს მრავალი ლაშქარი. მერმე მოვიდა მანუჩარ და საა-
ვანებშიგან დაქდა. და აგრე მოვიდეს თავადები და ყულააკაი გარეშემოდ დასხ-
დეს. და მერმე გაყო ლაშქარი ყომუნად და ყომუნად. და წინა მავალად ქიშვად
გაგზავნა, ორმოცდაათი ათასითა კაციითა, მას უკანით ყუბად გაგზავნა, ორმოც-
დაათი ათასითა კაციითა, მას უკანით მილად გაგზავნა, ორმოცდაათი ათასითა
კაციითა, მას უკანით ქიშვადის ძმა ჰშაქ, მამისა სახელი ერქუა, ორმოცდაათი
ათასითა კაციითა გაგზავნა. მერმე მათ უკანით ჩახთაულად მანუჩარ ჯელმწიფე
წვიდა, ას ოცი ათასითა კაციითა. და ყარან მას გვერდის იყო.

აგრე ჰქრეს ასაყრელსა კმასა. სალიმის ლაშქართა დაღმან ზაღაჩამ წამო-
ვიდა წინა მავალად, ორასი ათასითა კაციითა. იარეს იქით იმათ, აქეთ ამათ.

აქა მანუჩარისა და ზაღაჩამისა ომი და მათთა ფალავანთა

ქიშვადის ლაშქართა დაღმან დაშუშნი მოვიდეს ზაღაჩამს წინაშე და ყულა-
ლაი ნახული მოახსენეს. და მერმე ფიცხლა აეკაზმა ზაღაჩამ და წამოვიდა, წა-
პირითო დღე და ღამე და იარა, აქედამან წინა მავალი რომე მივიდოდა. და რა-
დაღამდა, დადგეს, მრავალგან ცეცხლი დაანთეს და არე-მარე ყულაი გა-
ნათლდა

აგრე ზადამ მოვიდოდა. შორედალმან ცეცხლი გამოჩნდა. რა ცეცხლი დაინახეს, აგრე შემოურტვენეს და შუალამისა ეამსა ზედა დაესხნეს. ესენი ემინად იყუნეს. ვირემდის შიგან არა შემოსცივიდეს, მანამდის ვერა შეიგნეს რა, და დაუშინეს. შეიქნა მოსაწევიარი, დაჯოცეს, გათენებამდის ოცი ათასი კაცი მოკლეს. და რა გათენდა, ცისკრის ეამსა გაძოქცეს, ომითა და ბრძოლითა ქიშვად წინა გამოუძლუა, და ბარგი და კარაენი ყუალაი დაიფორიაქეს. ამა წესითა, ბრძოლითა, სირბილითა მოჰყუებოდეს და მრავალგან შუა გაყუეთილი კაცი ცხენსა მოსთრავანდის და გზა-გზა გაყუეთილი კაცი ალაგზელა ცვიოდეს, და მრავალგან ხელი, ფერკი და თავი უპატიოდ მიწათა ზედა გორვიდის. და ამა წესითა მოვიდოდეს.

აგრე ზადამ სალომს კაცი დაუბრუნვა, ვითა: რასა სდგახართ, იარეთ, ფიცხლა გავაქციენით, ამოვსწყვიდენით და ავიფორიაქენით, რომე რისხუა ღმრთისა დავეით. ნულარასა ყოენით, თქვენცა იარეთ ფიცხლა.

ამაზედა დიდი მტუერი მოვიდა. რა მტუერი ორად გაიყო, შეხედნეს, ორმოცდაათი ათასითა კაცითა მილად მოვიდოდა. ამაზედა შემოვიკვილნეს და შემოურტვენეს. შეიქნა ცემა და ზახილი, და დგრიალი ქოსისა და ნალარისა, და დიდხანამდის ომი იყო. და ვერაცა მაშინ დადგეს. გამოიძლუანეს წინა, დააყრევივნეს ბარგი და კარვები, აქლუმი, ჯორი, დაიფორიაქეს. აგრე მოეწივნეს, დროშა მოჰყუეთეს და წაიღეს. ჯოცდეს კაცსა, ალაგსა და ალაგსა შეიბნეს, მინდორნი სისხლითა აივსნეს, კევნი და ლელუნი — დეკოცილითა კაცითა და ცხენითა. და ასეთი მტუერი ავიდა, რომე მტუერისაგან ნათელი ღღისა გაუჩინარდა.

ამაზედა სხვავე დიდი მტუერი მოვიდა, და რა მტუერი ორად გაიყო, აგრე ლაშქარი გამოჩნდა, ორმოცდაათი ათასითა კაცითა ყუზად მოვიდოდა, მირბენითა კაცთა დაინახეს. აგრე დადგეს და მოვიდეს ისინიცა, დაჯარადეს, და შემოურტვენეს და შეიბნეს. და შეიქნა ცემა, და დაიჯოცა მრავალი კაცი მათიცა და მათიცა. დიდხანამდის ომი იყო. მერმე ზადამ და ქიშუად ერთად შეიყარნეს. ერთმანერთსა შუბები შესცეს და შეალეწეს. მერმე ჯრპლითა შეიბნეს. და ზადამ ჯრპალი მოიქნივა, ქიშუად თავი მოარიდა, და ჩამოაცდუნვა და ცხენის თავსა უკრა. ცხენი მოუკლა და ქიშუად ჩამოაგდო. მერმე ქიშუადს ამილახუარძან ცხენი მოგუარა. და როგორაცა ქიშუად ცხენსა შეჯდომასა ლამოდა, აგრე ზადამ ულამოდა დაეკურვასა. მერმე ამილახორი გარდელობა წინა, დაკრა ამილახორსა თავსა, და ცხენი და კაცი ორად გაყუეთა და სოფელსა გამოასალმა. მერმე მილად და ყუზად მოესწრნეს. და ქიშუად შესუსეს ცხენსა და წამოიყუანეს.

შეიქნა ომი ფიცხელი, დაუშინეს ერთმანერთსა ისრითა, შუბითა, ჯრპლითა, ლახტითა, ხანჯრითა, რომე აღარა შეიგებოდა რა. დაჯოცეს მრავალი. მკულარისაგან აღარა ივლებოდა რა. მერმე ვერცალა მაშინ დადგეს. გამოიძლუანეს წინა და წამოვიდეს მანუჩარისკენ. იარეს პირუკულმა. და მისდევდა ზადამ უკანა და ჯოცდეს, ჩამოყრიდეს, რომე ღმერთი შეარისხეს და მალალი მბრუნავი ეტლი მას ზედა ატირეს. და აივსნეს მინდორნი მძორითა და სისხლნი ველითა მოედინნეს. აგრე გამოჩნდა სხვავე დიდი მტუერი და, როგორაცა განათლდა, აგრე ჰშაქ მოვიდოდა, ქიშუადის ძმა, ორმოცდაათი ათასითა კაცითა. რა ომი [და] ჯრპალითა ელვა ნახეს, აგრე დასცეს კიეინასა, და ჰკრეს ქოსსა და ნალარასა, და შეურტვენეს და შეიქნა ომი. დაჯოცეს მრავალი კაცი და ცხენი. სითა-

ცა ზაღარამ იყვის, ვერა დაუდგნის წინა. ერთსა კვირასა ამა წესითა ომი იყო. მერმე ესენიცა დამრავლდეს, კიდეცა დაღამდა.

აგრე იქით ისინი დადგეს და აქეთ ესენი. იმ ღამესა დაბარგდეს და თავადები ერთად შეიყარნეს ქიშუად, მილად, ყუბად და ჭშაქ. მერმე ვაზირობა შექმნეს, თუ: ჯელმწიფემან ფრიდონ მაშინვე გვიბრძანა უსაამისოდ ნუ წახულთ, ზაღარამ ერთობ დიდი სახელოვანი ფალავანო აზისო, მაგრა ყარან აღარა გაიგონა რა. აწე ჯელმწიფესა ფრიდონს წინაშე კაცი და წიგნი გაუგზავნით, რომე ფიცხლა პილოტანსა საამს გაუგზავნოს, თუ ისი არა მოგუენსწრობის, ჩვენი საქმე ერთობ ავად არის. ერთი წიგნი და კაცი მანუჩარს და ყარანს გაუგზავნით.

ამაზედა მოაყუანეს გონიერი მწიგნობარი და ფრიდონს ჯელმწიფეს წინაშე წიგნი დასწერეს, და ქვე ვაზირსა მიუწერეს. პირველად სახელი ღმრთისა ახსენეს, მერმე ესე, ვითა: ჯელმწიფესა ასრე ჰკადრე, ფალავანთა მოახსენეთ. მაგირად ვითა: რაცა თქვენ ბრძანეთ, ყულაი აგრე მოხდა, ზაღარამ დაგუიფორიაქა და ამოგვწყუდიდა, მრავალი სახელდებული კაცი მოკლა ჩვენთა ლაშქართა დაღმან. თუ საამ ფალავანი არ მოგუენსწრობის, ჩვენი ყოფა ერთობ ავათ ჩანს, და ვერც დაუდგებით, რასაცა ბრძანებთ, პატრონნი ხართ! და აგრევე ერთი წიგნი და კაცი მანუჩარს გაუგზავნეს. ამაზედა მისცეს ერთსა ფაიქსა და წავიდა ფაიქი, ქარისაგან უმაღლედ იარეს. ერთი მანუჩარს წინაშე მივიდა და ერთი ფრიდონს წინაშე.

რა ფაიქი ფრიდონს წინაშე შევიდა, აგრე ფაიქმან ჩოქი დიგდო და წიგნი ამოილო და ხელმწიფესა მიართუა. ჯელმწიფემან ფრიდონ წაიკითხა და უზომოდ ეწყინა. ფიცხლა გონიერი მწიგნობარი იკმო და წიგნის დაწერა უბრძანა საამს წინაშე. პირველად სახელი ღმრთისა ახსენა და ესე, ვითა: ზედნიერო და ზედნიერისა გუარისაო, პილოტანო ფალავანო და ფალავანთა ზურგო, დევთა და ნიანგთა შემკურელო, ჭანგმახეილო და მკერდ-სრულო, მაღალო ფალავანო, და მბრძლინიყუსა ეტლსა არა შეუძლიან შენი ბრძოლა, და შენითამცა იხარებს ტახტი და გვირგვინი. და უშენოდ ერანი ცუდი არის, შენ ხარ ერანისა ეტლი და ზღუდე მაღალო ფალავანო, აღმასისა კრმლისა ქარქაშო, რაცა პაპათა და მამათა შენთა უქნია, აწე იგი შენ გმართებს, რომე ქმნა. მთურალთა პილოთა და ეეშაათა მებრძოლო, შენზედა მოდგომილა ფალავანთა მამათა ომი, აწე მოუმართებია ზაღარამს ერანისათვის და მესისხლობისა ქრმალი გამოუწულდა და ერანელთა სისხლი ველთა მოუდენია. თუ ადრე არ მოესწრები, წახდა ტახტი და ერანელთა საქმე, და რა ესე წიგნი და კაცი მოგივიდეს, ნულარასა ჰყოენით, თუ ნადიმად იხსდეთ, გაუშვით და ფიცხლა წამოდით, თუ აბანოსა იყოთ. აღევით, ფიცხლა წამოდით, თუ შუალამესა მოგივიდესთ, გათენებამდის წამოდით, თუ გათენების ეამსა მოგივიდესთ, აგრე შესხედით, ფიცხლა იარეთ, დაუდგომელად, მოუსუნენებლად, თუარემ ველარა მოესწრობი! რა გაათავა ესე წიგნი, აგრე მისცა ფაიქსა და ესე დავედრა. ვითა: ნუცა დღისით დასდგები და ნუცა ღამით.

ამაზედა ადგა ფაიქი და ქარივითა წავიდა. იარა, ზაულისტანს მივიდა ფაიქი. აგრე საამის ამბავი იკითხა. და სავარდენიგან ნადიმად ჯდომა უამბეს. მერმე წავიდა ფაიქი და სავარდენი კარსა მივიდა და მეფარდაგისაგან გზა ითხოვა. და მეფარდაგემან კარზედა დააყენა, შევიდა და საამს მოახსენა, ვითა: ფრიდონის მონა დგას კარზედანო. საამ ფიცხლა შემოყუანება უბრძანა. რა ფაიქი შე-

მოვიდა, წამოიარა, საამს წინაშე ჩოქი დაიდგო, წიგნი ამოიღო და საამს მიართუა. და ვარდობისა, ყუაილობისა ეამი იყო და აღარა შეიგებოდა რა სურნელისა სულისაგან. და მრავალი ვარდი გარე შემოეყარა და პირ-მთუარეთა თანა ნადიმად იჭდა. მრავალი უცხო ფერისა მეჩანგე და უცხო ფერისა ჳმისა მკურველნი და მთქმელნი მუტრიბნი და მომღერალნი წინა უსხდეს. და ასრე გამოიხუენებდა, ყირიზისა ხომგუარაინსა ღვინოსა სმიდეს.

რა საამ ფალაევანმან წიგნი გამოიღო, თუალთა და პირსა დაიდუა, და მერმე წაიკითხა და, რა კითხვა დაათავა, აგრე გაშმაგებული ლომივითა ზედა წამოვარდა და მეჭინიბეთ უხუცესსა უბრძანა, ვითა: სამანდი ზემიკაზე ფიცხლაო. და აფრინვა იქით-აქეთ ლაშქრისათვის ფიცხლა კაცები, გამოვიდა საეარდის-ღაღმან და შეჯდა ფიცხლა სამანდსა. ჳკრეს ქოსსა, ნალარასა და გამოძღუანეს წინათ ლომისა სახე ღროშა, და ჩქარად და სირბილითა წამოვიდეს, და ლაშქარ-სა ზოგნი მოეწოდეს და ზოგნი უკან მოსდევდეს. და ოცდაათი ათასი კაცი შეიქნა. და იარეს დღისით და ღამით სწორად და დაიღალნეს.

მერმე ცოტასავე ხანსა საამ მიიძინა და სიზმარი ნახა, რომე მანუჩარ ზღუაშიგან ჩაეარღნილიყო. ჳკრის ღაღმან, ხანდახან კიდურსა გამოიყუანის და ხანდახან შუაგულობასა მიიყუანის. მერმე კიდურისაყენ რომე მოყუანდა, აგრე ჳელი წაყო საამ, და კალთასა სტაცა და გამოიყუანა. მართ ამაზედა გველვიძინეს. და თავ-ნაკრავივითა წამოვარდა საამ, და შეჯდა ფიცხლა სამანდსა. და წამოვიდა ქარივითა და ვირემდის მოესწრებოდეს. მათ შუა ომი შეიქნა.

აქა სსუა ომი ძანუჩარისა და მათთა ფალაევანთა

რა გათენდა, საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო, კირჩხიბისა ქანგსა დაეხსნა და გუმბაღსა ზედა ამაღლდა, და შავსა გიშერსა წითელი ვარდი მოაყარა, აგრე ჳკრეს ორგნითვე ჳმა საომარი ქოსისა, კუნესა სტვირთა სარაზმოთა, გამოაბენს თეთრი მძივი პილოსა, ნაფირთა და ზროხაკულთა, ნალარა, ზაბულური, სპილენ-ქურთა და სინჯთა, აგრე აწყევს ორგნითვე რაზმი.

და პირველად მოედანშიგან საომარსა ალაგსა ზადანამ მოვიდა, და თავსა შუბთა ივლებდა, და მუქარასა ითხოვდა ერანელთა. და ერანელთა ლაშქართაგან ქავის შვილი ყუბად წაივდა ზადანამის საომრად. და რა მოედანშიგან მივიდა, საომარსა ადვილსა, აგრე შემოუძახხნა ზადანამ და ყუბადს მოუხდა, შუბი შემოსცა, ყუბად ფარი იფარა, ფარშიგან შუბი გაუჩარა. მერმე ზადანამ შუბი გაყარნა და ხელი მიყო ყუბადს, ჳაჳეის სარტყელშიგან ხელი ჩაუგდო, ასწივნა და ცხენისაგან აღმა აიყუანა და მოიქნივა და, როგორაცა დახეთქებასა უღამოდა, აგრე გაუწყდა ჳაჳეის სარტყელი და წყნარად ძირს ჩამოვარდა. აგრე აქედღამან სსუანი ფალაევანი მიეშუენეს და გააგდებინეს.

მერმე მოვიდა რაზმი და შეიქნა ცემა და კვილი, რომე რისხუა ღმრთისა დასცეს, დაიკოცა მრავალი. ორსავე რაზმშიგან იყო ცემა და კვილი, რომე აღარა შეიგნებოდა რა. და საღამომამდის ომი იყო და მრავალი სახელდებული კაცი მოკლეს. და შვიი მიწა წითელსა ყაყაჩოსა დაამსგავსეს, და ველარა დაიდგნეს ერანელთა, საღამოსა ეამსა გამოიქნეს და ბარგშიგან გამოიჩინეს.

აგრე დიდი მტუერი მოვიდა, შეხედნეს: ყარან მოვიდოდა ორმოცდაათი ათასითა კაცითა. როგორაცა თუჩანელთა დაინახეს, აგრე უქუშოეყარნეს და

კიდევ და დალულნი იყუენეს და თავეთსა ბარჯედა უკუდგეს. მერმე ყარან მოვიდა და ყუელასა თავედ-თავედ მიულოცა შვილობით მორჩობა.

მერმე თურანელთა ლაშქართაქენ დიდი მტუერი მოვიდა. და რა მტუერი ორად გაიყო, შეხედნეს: ოთხასი ათასი კაცი და მათ შუაზედა მგელის სახე დროშა მოვიდოდა. და მას უკანით სალიმ მოჰყუებოდა. ტახტზედა იჯდა ქუდოსან-გვირგვინოსან, საყუროსან-ტავაყოსან-ბეჰლოსანი. მარჯუენასა მკარსა ქაიარშა მოვიდოდა, ახლოს მოეწურნეს. ზადაჩამ წინა მიეგება ზიძასა. შეიქნა კმა ქოსისა და ნადარისა და, როგორაცა ახლოს მოეწურა ზადაჩამ, აგრე ასალჰოდ გარდახდა. აქეთ სალიმ ჩამოხდა და ერთმანერთსა მქარმოქლობით აკოცეს. მერმე შესახდეს და წამოვიდეს. აგრე ლაშქართა მოახსენეს სალიმს პირ-მიწა-დადებით სალაში. მერმე ჩამოხდეს, დადგეს კარავნი და ოთალნი და საიენები, და მას გარეშემო შემოავლეს სარაფარდანი.

რა ცოტახანი გამოვიდა, აგრე ერანელთა ლაშქართაქენ დიდი მტუერი მოვიდა და, როგორაცა მტუერი დასწყნარდა და გათხელდა, აგრე მანუჩარ ჯელმწიფე მოვიდოდა ან ოცი ათასითა კაცითა, და წინა ქაიანური დროშა მოუძლუებოდა. და რა თვადებმა მანუჩარის მოსულა შეიგნეს, აგრე ადგეს ერთობილი და ჩამოხდეს, და ჯელმწიფესა მანუჩარს პირ-მიწა-დადებით სალაში მოახსენეს.

მერმე ჯელმწიფემან მაღლი გარდაიჭადა. და შესხდეს და წამოვიდეს. მერმე, როგორაცა ლაშქარშიგან მოვიდეს, აგრე ჯელმწიფე მანუჩარ ჩამოხდა. და მოიღეს ბარგი და კარაეები, და ჩამოხდეს, დადგეს მრავალფერნი კარავნი და ოთალნი და საიენები, და შემოავლეს მრავალკეცნი სარაფარდანი, მოიღეს მანუჩარის ტახტი, შუაზედა დადგეს. გავიდა ტახტზედა ჯელმწიფე ქუდოსან-გვირგვინოსან-ტავაყოსანი, საყუროსან-ბეჰლოსანი; და იმ დამესა ორგინთუე საომრად ეკაზმებოდეს, მანუჩარ თხრილი შემოივლო გარე.

აქა ომი სალიმისა და ზადაჩამისა და მათის ფალავენისა

რა გათენდა და ლაქვარდისფერსა ცასა სინათლე მიეცა და საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო, კირჩხიბისა ჭანგსა დაეხსნა და გუმბადსა ზედა ამდლდა, შავსა მიწასა ყირმიზი ფარდაგი მოჰფინა, აგრე ჰყარეს ჯმა საომარი ქოსისა, კუნესა სტვიერთა სარაზმოთა, გამოაბეს მძივი თეთრი პილოსა, შებერეს ნაფირსა, ზროხაკუდსა, ნალარა, ზაბულური, სპილენ-ქურთა და სინქთა. აგრე აწყუეს რაზმი.

მანუჩარ თხრილს შიგნით დადგა ათი ათასითა კაცითა. ტახტზედა აღარა დაჯდა, ცხენზედა შეჯდა, დადგა. მერმე მას წინათ კიდევ, თხრილსა შიგნით, ქაიანური დროშა დააყენეს. აგრე მარჯუენესა მკარსა რაზმისასა ყარან და ჰშაქ დადგეს მათითა დროშითა, და მარცხენესა მკარსა მილად და ყუბად დადგეს მათითა დროშითა.

აგრევე თურანელთა რაზმშიგან შუაზედა თეთრი პილო მოიყუანეს. და მოიღეს მძიმე ტახტი გუარიითა, ფეროზითა, ლალითა და მარგალტითა შეკაზმული, გაიღეს, პილოზედა დადგეს. მერმე მოვიდა სალიმ ჯელმწიფე, გავიდა, ტახტზედა დაჯდა ქუდოსან-გვირგვინოსან, საყუროსან-ტავაყოსან-ბეჰლოსანი. აგრე მას წინათ მგლის სახე დროშა აიმაართა. მერმე მოვიდა ფალავანი ზადაჩამ, დროშისა ძირსა დადგა, სამოცი აღლი სიმაღლე ჰქონდა. მძიმე ლახტი წელთა ეყარა, ერთსა ჯელსა ზედა საგდებელი უკუეცუა და მთერუალსა პილოვიითა

ბრდღუნევიდა, და მყუიროლი ლომივითა საომრად გაფიცებულყო. და ერანელთა მუქარასა სთხოვდა. და მარჯუნესა მქარსა რაზმისასა ვაის, პოზნ, ლოაქ, ფარშევად, ნეტევან და ზარეი იდგეს.

გახშირდა ჯმა ქოსისა და ნალარისა, მოდგა ტვერი შუბისა, და მათითა სიმძიმითა მიწა ზღუავითა ექანებოდა, მათი ზახილი ცათამდის გაიწყოდა, ასეთი მტუერი და აღმური ავიდა, რომე მანათობელი მზე კუპრისა ფერად გახდა, საწუთრო შავსა ზანგსა დაემსგავსა; ჭაბანთა გული გასკდებოდა ბარგისტანელთა ახთათა ხუვილისაგან, ცისა ჭეხასა ჰგუანდა.

პირველად, მოედნის შუაგულობასა, საომარსა აღაგსა, ყარან მოვიდა და თავსა შუბთა ივლებდა. რა გულგანმან ზადაჩამ დაინახა, ჯელმწიფესა სალიმ წინაშე საწუთროსა დამბადებელისა სახელი ახსენა და პირი მიწასა გააერთა. მერმე ადგა და პირი მოედნისაკენ ქნა. რა მოედანსა მოვიდა, საომარსა ადგილსა, ყარანს შეხედნა და აგრე უთხრა, ვითა: მალალსა ეტლსა შენზედა ვატირებ, თავსა შუბნი შემოვიღნა და ყარანს მიუხდა. ყარან ფარი იფარა და შუბი ფარშევან გაუჩარა, ჭაქუსა ჭავშანსა გაავლო, ჯორკსა ველარა სწივა, და ყარან ჩამოადრო. რა მილად, ჰშაქ და ყუბად ყარან ჩამოგდებული დაინახეს, აგრე ფიცხლად ეტლისაგანცა უმაღლედ ზადაჩამს მიუხდეს, დაუშინეს ერთმანერთსა. სამნი ესენი იყუნეს და მარტო ზადაჩამ. მერმე ყარანს ამილახორმან ცხენი მოგუარა, ზედა შეჭდავე, მობრუნდა და მანცა იმათ უშველა.

აგრე დაიძრა დიდი ზღუა ვითა რაზმი და მოვიდა შუბისა ჯარი, — გულგანნი, ფალავანნი, მეომარნი, სფაბადნი. მათისა ისრისა სიმრავლე ფუტკრისა რემისა სიმრავლესა ჰგუანდა. შეიქნა ცემა შუბითა, ჯრმლითა, ლახტითა, ხანჯრითა და გახშირდა ჯმა ყუალგნით და შეიქნა ზახილი და მოსაწევარი: მოკალ, შეიპყარ. ჩამოაგდე, ნუ გაუშუებ! მრავალგან შუა გაკუეთილი კაცი ცხენსა მოსთრავნდის და უპატიოდ თავადთა თავი მიწათა ზედა ცვიოდის, და თავი ტანსა სალამსა გაუფხავნიდის, და მკუდრისა ჯარისაგან გზანი შეიკრნეს, და მძორისაგან საწუთრო შავსა ზანგსა დაემსგავსა, სისხლისა ღუარმან ხანდაკი გაკუეთა და კაცისა თავი და ფერხი მოჰქონდის, ასეთი ქარი და წვიმა მოვიდა თურანელთა ლაშქართა დაღმან, რომე ერანელთა ლაშქართა თულთა და პირშევან მიწასა აყრიდა.

რა ასეთმან ქარმან მობერნა, მოეჯარნეს მანუჩარის თხრილსა და გამოუვიდეს თხრილშიგან. ამაზედა გაიქცეს მანუჩარ და მისნი ლაშქარნი, და მოკლეს მედროშე და წაართვეს ქაიანური დროშა, დაიჭირეს მანუჩარის ტახტი, დაიფორიპქეს ბარგი და კარავნი, ოთადნი, ფარდაგნი, სარაფარდანნი, პილოები. აქლემნი, ჯორები. აივსნეს კევენი და ლელენი დაჯოცილითა კაცითა და მძორითა მისდევდიან ყოშუნსა და ყოშუნსა და ჯოცდიან ამ წესითა. სამსა დღესა და დამესა სდივეს და ჯოცდეს, რომე ამოსწყვიტეს თურის სისხლისათვის. და გაქეული მანუჩარ წავიდა და თანა წაყუეს თავადები, მალალი მთა იყო და მაზედა გავიდეს, კლდეწარიანი ადგილი იყო. მერმე წაუდგა ზადაჩამ უკანა და სალიმ, და შემოეგრტენეს გარშემო მთასა და აუიდეს; მანუჩარ, მალალი კლდე იყო და მაზედა იჯდა მისითა თავადებითა. და კელთა ლახტი ჰქონდა მანუჩარს. აგრე მიუხდა ზადაჩამ, და ჯელსა ულამოდა მოკიდებასა კალთასა ზადაჩამ მანუჩარს, და ჩამოგდებასა რომე ლამობდა, მანუჩარ ლახტი დაჰკრა ზადაჩამს ფარზედა, ზადაჩამ დააბანძალა, ვირემდის მეორედ კულა სტაცებდა ზადაჩამ, აგრე მანუჩარ სხუასა კლდეზედა გახლტა.

მერმე მოვიდა დიდი მტუერი საშინელი. და რა მტუერი ორად გაიყო, აგრე საამისურა ფალავანი მოესწრა, და ოცდაათითა ცხენოსნითა გამოჩნდა. ასრე მალედ ევლო, რომე ოცდაათი ათასისა კაცისაგან მის მეტი აღარა მოჰყუა. რა შეხედნა, მთასა გარეშემოდ ლაშქარი დაინახა, ასეთნი დაინახნა, რომე მინდორი, მთა, კლდე და ტყე ყუალი შეიძრა. რა ზადარამ ზახილისა ჳმა გაიგონა, რეტმან ვითა იქით-აქით მოიხედნა. აგრე სხუამან კაცმან დაუზახნა ზადარამს. ვითა: რას სდგებარ, მოვიდა მთურვალი პილო და მბრჭღენინავი ეტლივითა გაგულისებული, და პირსა პერული მოსცივის. რა ზადარამ საამის მოსულეა შეიგნა, აგრე უქმობრუნდა, თავისა ლაშქართაკენ წამოვიდა. და მოეწალა ყუალი ომსა და წავიდეს თავისსა სადგომისაკენ. აგრე ჩამოვიდა მანუჩარ, ქიშუად, ყარან, მილად, ყუბად და ჳშაქ. მოეგებნეს წინა ფალავანსა პილოტანსა საამისურას. რა საამ ფალავანმან მანუჩარ მიმავალი დაინახა, სამანდის დღამან გარდახდა. და მოვიდოდა მანუჩარ ქუეითად და ესეცა ქუეითად მიეგება წინა. წაისწრაფა საამ ფალავანმან, მანუჩარს ყელსა მოეხევიდა და აკოცა, და მშვიდობით დარჩომა მიულოცა. აგრე სხუანი თავადნი და ფალავანი მოვიდეს და საამს წინაშე, მჯარმოქლობით, კოცნით სალაში გარდინადეს. მერმე საამ ფალავანმან მანუჩარ ჳელმწიფესა სამღერავი მოახსენა, ვითა: უჩემოდ ლაშქარსა რად წამოხუელ, ერთი კაცი მე რატომ არ გამომიგზავნეთ და არა მაცნობეთ?!.. მათ ყარანს დაუწყეს ბრალობა. და ყარან დია ირცხოდა, ამად რომე მისითა ქნითა იყო ყუალი.

ამაზედა ჳკრეს ნაფირსა, სადაცა დამალული კაცი იყო, ყუალი მოვიდა და მოკრფა ერთგან. აგრე მოვიდა საამის უქანა მღევარი ლაშქარი ზაულელი, ოცდაათი ათასი კაცი. დადგეს აგრე მას გარეშემო ოთადნი და მოუდგნეს საივანები, და შორს მრავალკეცნი ფარდაგი, სარაფარდანი მოავლნეს. აგრე მოვიდეს მძიმე, ჩიმშედისყული ტახტი და შუაზედა დადგეს მძიმედ გუარითა, ფეროზითა და მარგალიტითა მოჯაზმული. თავი და ფერქნი ოქროთა მოჳედილი იყო. მერმე მოვიდა მანუჩარ ჳელმწიფე და საქელმწიფო ტანისამოსი ჩაიკუა. მძიმე ქული თავსა დაირქუა, მაზედა გვირგვინი დაიდგა, საყურნი გაიყარნა, ტავაყი შეიბა და ბეჳელი შეიკუა. აგრე ტახტზედა დაჯდა. მერმე საამს სანდლანი მოართუეს, მაზედა დაჯდა; აგრე მოვიდეს სხუანი ფალავანი და თავადნი — ქიშუად, ყარან, მილად, ყუბად, ჳშაქ და, როგორაცა ვის მართებდა, აგრე დასნდეს. და ათსა დღესა იდგეს და მოისუენეს. პილოტანი საამ უზომოდ გაგულისებულიყო თურანელთა, ხატაელთა, ჩინელთათა, ამბალიხელთა, ბებალიხელთათვის, რომე ჳავრითა ტინსა კლდესა ლეწდა და თუალთა სისხლისა ცრემლი მოსდიოდა ქვიანურისა დროშისათვის. ამას უმბობდა, თუ: ზადარამ ცაშიგან ავა, ანუ ზლუაშიგან ჩავა, არცა მაშინ გაუშუებ ცოცხალსა და აზომსა. სისხლსა და ჳავრსა მაზედა მოვიკითხავ, და მაღალსა მბრუნავსა ეტლსა მაზედა ვატარებ, და მათსა კერძსა სოფელსა შავსა ძოლასა ჩავაცუამ, და ტახტისა და გვირგვინისა სანაცუალოდ ცივსა და შავსა მცხასა და ტაგრუცსა მიცემ: სახლად და სამყოფლად, თურანელთა დედათა და ბანუანთა თათთა და პირმთუარეთა მათ ლაწუ—გარღზედა და თუალ—გიშერზედა ბროლია ფიქალსა. ეკალმუხისა მსგავსითა ჳელითა მოვაშლევ და ლალისა ფერსა სისხლსა მათ ჳედა ვაწვიმებ! უჯობდა ზადარამს, თუცა არა დაბადებულ იყო. დედამან ჩემმანროდეს მშობა, სახელად მისი სიკუდილი დამარქუა არა გასმია ბასანელთა მეცნიერთა ნათქუამი, თუ: რაცა ვინ რა დათესოს, მანვე მოიძქოს, და კანჯარი ლო—

მის ჰანგამიან ჩავარდეს, თავსა საცოცხლოდ ნულარა ზრუნავს! აწ ქაიანური ღროშა რას პირზედა აქუს, ასრე გონია, თუ ქაიანური ღროშა ვიშოვეო, სრულად ერანის ტახტი მე მაქუსო. ცაშიგან გასულა მოუნდომია ზადაჩამს, მაგრამ გზა არ უქითხავს, თუ სით არის. აწე მე ვუჩუენო ფალავნობა და ფალავანთა გული, და გულოვანთა მამათა ომი და ხერხიანობა, ისრე მომდომია ზადაჩამის ნახუა და სალიმისი, როგორცა პირ-მოუარეთა თანა ნალიმი, და ლხინი და განოსუენება.

რა ესე დაათავა საამ ფალავანმან, მერმე იასაულთა უხუცესი შემოვიდა ჯელმწიფესა მანუჩარს წინაშე და ასრე მოახსენა, ვითა: სალიმისა და ზადაჩამისა მოციქულნი მოვიდეს და სალაფარდათა კარზედა ჩამოქდეს, — ვაისი, ქაიარა და ფირან არიან. მერმე კელმწიფემან იასაულთა უხუცესსა უბრძანა. ვითა: გადი, მოახსენე, რომე შემოვიდენ-თქო. აგრე უქუბრუხდა იასაულთა უხუცესი, და გამოვიდა და მოახსენა, მერმე შეუძლუა და შეასხნეს.

რა შევიდეს ჯელმწიფესა წინაშე, პირი მიწასა გააერთეს და ჯელსა აკოცეს. მერმე კელმწიფემან მანუჩარ მადლი გარდიქადა, დასხდომა უბრძანა. აგრე ერთობილთა თავადთა სალაში მოახსენეს, დაიწვიენეს და დასხდეს. მაშინდა ადგეს და ჯელმწიფესა წიგნი მოართვეს და, რაცა ზედაპირად იცოდეს, ყულაი უკლებლად მოახსენეს ასრე, ვითა: გუეყოფი, რაცა ჩვენ შუა სისხლი დალურილა, ანუ ფალავანნი დაქოცილან. აწე ვიკმავეყოთ ერთმანერთის ბრძოლა და, რაცა ფრიდონს ჯელმწიფესა თქუენთეის მოუცემია, მას თქვენ დასჯერდით და, რაცა ჩვენთეის მოუცემია, მას ჩვენ დავსჯერდებით. ამაზედა შევიწყუნეთ! რა ჯელმწიფემან მანუჩარ და საამ ფალავანმან ესე მოციქულობა გაიგონა, აგრე საამ დიდნი გაიცინნა და ასრე უთხრა, ვითა: ბედ-უქულმართნო. აქამდის რატომ არ მოიგონეთ მაგაგუარი საუბარი. აწე სად წაუხვალთ ჩემსა მძიმესა უთრუთისსეულსა, დეეთა ამომწყუეტელსა ლახტსა, და სრულად თურანელნი, ჩინელნი ბეშბალისა, ამბალიხელნი ლაშქარნი ასრე დავხადნე, რომე სამანდისა ფერკითა წვრილად თავი დაუნაყო და მალალი, მბრუნავი ეტლი მათ ზედან ვატირო და, რაცა ერანელთა სისხლი დაულურია ველთა, ისდონი სისხლი მოვადინო თურანელთა ლაშქართა ნილოსის ზღუეავითა. არა გასმია ბასანელთა მეცნიერთა ნათქუამი, თუ: რა ლომისა პირშიგან კანჯარი ჩავარდეს, წასულასა რადლა იურგის, და კაკაბი ბადესა შიგან ებას, არწივი ჰანგსა რადლა იმახუავს. აწ ზადაჩამს სამოციქულოდ სად სცალიან, წადით, ესე საუბარი მას მოახსენეთ, ასრე მკუახედ და არა ნამწიფარად, იგი ერანელთა სისხლითა გამძღარა, და მე, ნარბენსა და მამურალსა ვითა თურანელთა სისხლისათეის, ყულაბივითა მწყურიან, ვირემდის შიგან არ გავეკურდები, მანამდის ვერა გავძლები! და რა ფალავანმან საამ ესე საუბარი დაათავა, აგრე მოციქულნი ზეადგეს და კართა გამოვიდეს. მერმე მანუჩარ ჯელმწიფემან თითო ჯელი შესამოსელი უბოძა, სამთავე მერმე შესხდეს და წავეიდეს.

რა მათნი მოციქულნი მივიდეს სალიმს და ზადაჩამს წინაშე, აგრე დაუწყეს მბობა და, რაცა საამისაგან გაეგონა, ყულაი უკლებლად მოახსენა. და აგრე ზადაჩამ გაგულისდა და დაიწყო რამე მიღმა-მოდმა კუეხა და საუბარი და, რა კუეხით გაძლა, მერმე დასწყნარდა და კიდეცა დაღამდა. რა საწყუთროსა მამუენებელი მზე ღრიანკალისა პირშიგან ჩავარდა და შავსა მიწასა გიშრისა ფერი ფარდაგი მოჰფინა, აგრე ორსავე რაზმშიგან იმ ღამესა საომრად მზადება დაიწყეს.

აქა დიდი ომი მანუჩარ ჯელმწიფისა და მათთა ფალავანთა, ომი პილოტანისა საამისი, ქიშუადისი, ყარანისი, მილადისი, კშაქისი და ყუბადისი და თურანელთა სალიმ და ზადაჩამ ჯელმწიფეთა, მისთა ფალავანთა ვაისისი, ქაიაშარისი, ფირანისი, კმან, ლოაქ, ფარშევადისი, ნესტევეან და ზარესი

რა გათენდა, ლაუუარდისფერსა ცასა სინათლე მიეცა და მასკულავთა ელვარება წაულო, აგრე საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყა და კირჩხიბისა ჯანგსა დაეხსნა, და გუმბადსა ზედა ამალდა. შავსა კუპრსა წითელი ვარდი მოაყარა, აგრე ჰკრეს ორსავე ქიშუარშიგან რაზმსა. და მანუჩარ ჯელმწიფისა რაზმშიგან რაზმის მწყობელი ფალავანი ქიშვად იყო, კშაქის შვილი. აგრე მოიღეს ჯიმშედისეული მძიმე ტახტი, ლაშქართა შუაზედა მოიყუანეს მანგალოზი პილო და მიუდგნეს კიბენი, ოცი ნაბიჯი გავიდოდა, და გაიღეს მასზედა მანუჩარ ჯელმწიფისა ტახტი, დევთა რომე წაულო ჯიმშედ, ისი ტახტი იყო, უკანის მოიტანეს და გავიდა მანუჩარ ჯელმწიფე და მანზედა დაქდა ქუდოსან-გვირგვინოსან, ხალახნიან-ტავაყოსან, საყუროსან-ბექდოსანი. მერამე მარჯუენასა მჟარსა რაზმისასა ყარან და კშაქ დადგეს, ნიანგისა სახითა დროშითა. მარცხენესა მჟარსა რაზმისასა მილად და ყუბად დადგეს, მთუარის სახითა დროშითა. რაზმსა წინათ ოცდაათი ათასი დარჩეულითა ზაულისტანელითა მეომრებითა და ფალავნებითა, დევთა და პილოთა შემკურველი, ხუადი ლომი, პილოტანი, ახოვანი, ჯავაქსრული, მკერდფართო, კანგმახვილი, ნარიმანის შვილი ფალავანი და ფალავანთა ზურგის შემნახავი საამისურ იდგა, სამანდა იჭდა ბარგისტანელთა შეკაზმულსა, თავი ღრუბელსა შესწდომოდა. ამას ჰკუანდა, თუ მთა მთასა ზედა შეჯდომილაო, მუზარად-ჯუქოსანი, ჯავშოსანი, წელთა მისისა პაპისეული, ქარიმანის მძიმე ლახტი ეყარა, და ერთსა ჯელსა შუბი ჰქონდა და მერორესა მჟარსა საგდებელი უქუეცუა, და ხუადი ლომივითა საომრად გაფიცებულყო. მელავნი უქუეეცენეს, კანგნი გაემახუნეს, კისრისა ძარღვი ამოესუა და ნიანგითა საომრად გაფიცებულ იყო, და მას წინათ მისი დროშა ლომისა სახე იდგა.

ეგრევე თურანელთა ლაშქარი ექუსასი ათასი კაცი იყო. დაუწყეს რაზმსა წყობა. მერამე მოიღეს სალიმის ტახტი და მოიყუანეს თეთრი პილო, დადგეს მას ზედა მძიმე ტახტი, და მოვიდა სალიმ, და გავიდა ტახტზედა, დაქდა ქუდოსანი, გვირგვინოსანი, ტავაყოსანი, ბექდოსანი. მერამე მარჯუენესა მჟარსა რაზმისასა ფირან დადგა, წითლითა დროშითა, მარცხენესა მჟარსა ქაიარშა დადგა, მისითა დროშითა. რაზმსა წინათ ზადაჩამ დადგა, ეფხის ტყავისა სახითა დროშითა. და აგრე ჰკრეს ორგნითვე კმა საომარი ქოსისა, კუნესა სტვირთა სარაზმითა, გამოაბეს მძიმე თეთრი პილოსა, შებერეს ნაფირთა, ზროხაყელთა, ნალარა, ზაბულური, სპილენ-ჭური და სინჯთა.

აგრე პირველად საომარსა ადგილსა, მოედნის შუაგულობასა, ფალავანი კშაქ მოვიდა, კშაქის შვილი, და თავსა შუბსა ივლებდა, და თურანელთა რაზმსა წინათ უვლიდა და მუქარასა ითხოვდა. მერამე თურანელთა რაზმშიგან ერთი გულოვანი მეომარი მოვიდა და, რა კშაქ ფალავანმან დაინახა, აგრე ფიცხლა ეტლივითა მიუხდა, შუბი შესცა ღლიასა და მოკლა. რა სალიმ თურანელთა ბუმბერაზი მკუდარი ნახა, აგრე ერთი სხუა გამოგზავნა და ასრე დაედრა, ვითა:

კარგა შეიბიო. რა მოედანშიგან მოვიდა, აგრე კშაქ ფალავანმან შეუტევენა და იგიცა მოკლა შუბითა. მერმე სალიმ სხუა მეომარი გამოგზავნა. და რა მოედან-შიგან მოვიდა, აგრე შემოუტევენა, კშაქ მოუხდა, თავსა ჯრმალი გარდაჰკრა, კშაქ თავსა ფარი დაიდუა, და ფარი შუა გაკუეთა და კშაქს ვერა ავნო, მერმე დაჰკრა თავსა კრმალი, თავი ორად გაუპო და მოკლა იგიცა. ამა წესითა თითო-თითოდ ოთხმოცი კაცი მოკლა. მერმე გაგულისდა ზადარამ ფალავანი და ას-რე თქუა ვითა: დაგუაუინენა ერთობილნი იმა კაცმანო. თავსა შუბი შემოივლო და პირი მოედნისაკენ ქნა. და რა მოედანშიგან მოვიდა საომარსა აღვილსა, აგრე დაუზახნა ზადარამ კშაქს, ვითა: ბედ-უქუდმართო, ევლარა წაუხუალ ჩემსა. ქანგსა მშვიდობით და ამა წამსა შავსა და ცივსა მიწასა წითლისა ვარდისფრად შეველებავ შენითა სისხლითა! აგრე მოუხდა ზადარამ გაშმაგებული ვეფხიეთა, კშაქს თავსა ალამსფერი კრმალი გარდაჰკრა. კშაქ ფარი თავსა დაიდუა, და ფარი თავსა დააჰკრა, და კშაქს თავი გაუპო; და ჩამოავდო და მოკლა, და საწუთ-როსა გამოასალმა.

რა ბილატონმან ფალავანმან საამ კშაქ მოკლული ნახა, ფიცხლა, ქუხილი-ვითა წამოვიდა და ლაშქართა ესე დავედრა, ვითა: ზურგი შემინახეთო. და ლაშქართა სიმრავლე ნურა გაგუან რა, სადაცა მკუდარი გორი და გორი იღვას, იქით მომართეთ! აგრე საწუთროსა დამბადებლისა სახელი ახსენა და ზადარამს. მოუხდა საამ ფალავანი, და ასეთნი შემოუზახნა ზადარამს, რომე თავშიგან ტვი-ნი დაუბრუვა და ტრინსა კლდესა გახეთქდა, სრულად ლაშქარნი შეიძრნეს და ას-რე შიშითა დაეცნეს, რომე უფროსიცა შიშითავე გული გაუსკდეს. აგრე ერთ-მანერთსა შუბები შესცეს და ვერა რომელმან გაუტეხა აბჯარი. აგრე საამ მი-აქირა შუბი და ზადარამ გარდაყარა, და მუზარადი გავარდა. აგრე ზადარამ გარ-დაყრილმან კრმალი ამოიღო და შუბის ტარი მოუკუეთა სააწს. და ვირემდის საამ კრმალსა ამოიღებდა, აასწრა ზადარამ, მარცხენესა მჯარსა შემოჰკრა და დიდი შეაკუეთა, და სისხლი ზე ამოიქრა და შორს კამარად ასხმიდა, ჯაჭვი, ჯავშანი ყუალაი გაუკუეთა. მერმე გაშმაგებული ბილოვითა გაგულისდა საამ ფალავანი და დევმან ვითა შეყვირნა, მოიქნივა მისი ალმასფერი კრმალი და დაჰკრა გულჯავრიანად ზადარამს თავსა, შუაზედ გააპო, უნაგირი გაკუეთა, და აგრევე ცხენი შუა გაკუეთა და მიწათა ზედა დაასო, ზადარამ ფალავანი უპა-ტიოდ მიწათა ზედა დაეცა, დიდი მთა ვითა დაეცა და მოკუდა. და მალალი ეტლი მაზედა ატირდა. მერმე საამ ფალავანმან შეუტევენა რაზმსა. დაუშინა ერთითა ჯელითა. შეიქნა ცემა და ზახილი, და კივილი და დგრიალი, და მო-საწევარი, ამას გუანდა, თუ ცასა მიწასა ზედა დასცემენო. და განშირდა ისრი-სა სიმრავლე, ხის ფურცელივითა და ქუიშისაგანცა უმრავლესი ისარი მოვიდა, ისრის სიმრავლემან მზე გააუჩინარა. აგრე შეიქნა ცემა შუბითა, კრმლითა, ლახტითა, ხანჯრითა. განშირდა ომი ყუალგნით და შეიქნა აბჯართა ზედა ტკრ-ცილი, და ჯაჭვ-მუზარადინი კაცი რიყივითა იღვის და შუბისა, კრმლისა ნა-ლეწი ჰაერთა დაღმან ცვიოლის მებრვითა, და შეიყარა მკუდრისა გორი და გო-რი, და საჭურველისა ნალეწი ქუთივითა სიმრავლესა ჰგუანდა, ფალავანთა დაწ-ვი ვარდისფერი შავისა რკინისა ფერად შექმნოდა, და ოფლი და სისხლი ღუა-რულეზ ხუფთანსა, ჯაჭუსა და ჯავშანსა ქუეშეთ ჩასდიოდა. და მთელსა კაცსა-სიკუდილსა ანატრებდა, და ამა წესითა სამსა დღესა და დამესა ომი იყო, მო-კუეთილი თავი ტრინსა ერთსა მილიონსა გამოშორდებოდის და მრავალგან ლო-მისა მსგავსი ფალავანი უპატიოდ მიწათა ზედა იღვის, ფორთხალეზდის და იქ-

ნედის თავსა და ფერქსა, და მკერდსა სისხლი გარდასდიოდიან და შუბი შიგან გაჩრილი იყვის, და ზედა მოტეხილი ესვის, და ბარგისტანელისა დაჯოცილისა ცხენითა, მკუდრისა სიმრავლისაგან ყულანით გზანი შეიკრნეს. და კაცი ცხენითა ყულაი მკუდარზედა იარებოდა და შუა გაკუეთილი ცხენი და კაცი ერთმანერთზედან იდვის, და ასეთი სისხლისა ღუარი აღინდეს, რომე ჭეონსა მკუანდა. რაცა ქუემოთ ბოლოსაგან მკუდარი ცხენი და კაცი იღვა, ყულაი წაიღო.

მერმე ერთკენ საამ ფალავანი შერჩა მისითა ზაულისტანელთა ლაშქართა და საომარი აღარა ჰქონდა რა, ყულაი დაელეწა. მაშინდა დაიჭირის ცხენი ძლითა და ქელი წაყვის, მოჰკრის კელი ფერქსა, დაუჭირის, გამოსწივის და გამოაძერის ბარკალი და მით იცემებოდის. აგრე მივიდა, სადაცა ქაიანური დროშა აემართა. დაუშინა კაცსა, ორნივე ფერქნი დაუჭირნის და მოიქნივის, სხუასა შემოსტყორცნის და შემოაწყვიტის ერთმანერთსა. მერმე მიუხდა მედროშესა... და ქაიანურისა დროშისა ტარსა შემოაწყვიტა დამ... აგრე ქაიანური დროშა საამ ფალავანმან მისსა მედროშესა მისცა. მერმე პირი სალიმის პილოსა და ტახტზედა დაჰყარა და მკუდრისა ჭარისაგან ველარა მიუღდა. მაშინდა საგდებელი მოიმარჯუა და შესტყორცა სალიმს, სალიმ თავი მოარიდა, დასცდა და პილოსა თავსა მოაბა. აგრე სალიმ ტახტიდალმან გარდაეარდა და ფიცხლა ცხენი მოგუარეს, შექდა და გაიქცა. აგრე გამოსწივნა საგდებელსა და წამოიყუანა პილო და ტახტი. და ორჯელ საგდებლითა მოქნივითა თავსა შემოივლო, პილო და ტახტი ორივე აგრე მოიქნივა, და დაჰყარა ალაგზედა, გარდამუსრალ დაყარა და დაამსხურივა პილო და ტახტი ორივე, აგრე გაუხდა თქარი და გაიქცა თურანელი ლაშქარი. დაუწყეს უკანა ღევნა და ჯოცნა, და ამოსწყვიდნეს, დაიფორიაქეს, რომე რისხუა ღმრთისა დასცეს მათზედა. ვისცა ძმა მოკდომოდა მათითა ჯელითა ანუ მამა, ანუ შვილი ერთისათვის ასი მოკლიან. სამსა ღღესა უკანა სდევდეს და ჯოცეს. ასრე ამოსწყვიტეს თურანელი ლაშქარი, რომე მაცნეგარი ძლივ დარჩა. და თურანის სახელი საუკაცუროდ გახდა. აივსნეს მთანი, კლდენი, წყალნი და ქვენი მკუდრითა და მძორითა, რომე მტ... თა და ყუავთა და ყორანთა მათ ზედა მაემანი უყო ჯ[იმშ]ედ ჯელმწიფემან ღვენი რომე ამოსწყვიტნა, მას აქეთ.. სისხლი არა დაღურილიყო ქუეყანაზედა, მერმე მოი... თუ... ბარგი, კარავები, აქლემი, ჯორი, ცხენი და საამ ფალავანი მწარსა დაკოლილიყო. ოთალშიგან სუენებად იწუა.

აგრე მანუჩარ ჯელმწიფე საამის სანახავად წამოვიდა და, რა ოთალის კარსა მოეწურა, საამ ფალავანი წინა მოეგება. მანუჩარ ყელსა მოეხვივა, ვითა: მოწყალემან და მოსამართლემან ღმერთმან შენითა შუენებითა და სიცოცხლითა ამყოფოს ჯელმწიფობა და ტახტი. უშენოდ ჩემთვის საწუთრო ცული არის. თუ შენ არა მოგუგესწრებოდი, ჩემი კერძი სოფელი შემოაკლებულ იყო ზადაჩამის ჯელითა. მერმე ფალავანმან საამისურა მადლი გარდაიჭადა და ჯელმწიფესა მანუჩარს ჯელსა აკოცა. და მოიღეს მძიმე საჯელმწიფო შესამოსელი და საამისურს ტანსა შემოსეს. მერმე ზადაჩამის თავი ფრიდოხს გაუგზაუნა. აგრე ქიშვად მისი მკუდარი მამა ჰმჟე ხუარასანს წაიყუანა. მერმე საამ ფალავანი დიდსა წყალზედა მივიდა სისხლიანი, მუნ ებანა, და აგრე ჯელმწიფესა მანუჩარს წინაშე შემოვიდა, და ოქროსა სელნი მოართევს და ამაზედა დაქდა.

აქა მანუჩარ ჯელმწიფისაგან სალიმისა უკან წადგომა და
სალიმ ციხეშიგან შეიხუეწა და ციხესა სალიმისა
ერქუა

ამაზედა მანუჩარის დაშუშნი მივიდეს, ვითა: სალიმ ციხეშიგან შევიდა და
მაშიგან დამაგრდაო. აგრე ყარანს და მილადს უბრძანა, თუ: თქვენ წადით წი-
ნათ და ციხესა გარე მოადგვით, ვირემდის ჩვენ მოვიდოდეთ, აღარცა რას ჩვენ
ვიყოვნით, ასე რა ჩვენცა წამოვიდგებით! ამაზედა გამოვიდეს ყარან და მი-
ლად, შესხდეს და გაემართნეს სახელსა ზედა ღმრთისასა, წაყუა ასი ათასი კა-
ცი თანა. იარეს, ამაზედა მანუჩარ ჯელმწიფე აიყარა, გაიძლუნა წინა ქაიანური
ღროშა, იარეს წინა მავალთა და დაეხხნეს, დააბივიეს თემი და ქუეყანა, ამოს-
წყვიტეს. მერმე მიუხდეს ციხესა და შეეზნეს. მრაველი კაცი დაიჭრა ორგნიო-
ვე. და უკუმოეყარნეს და ციხის გარშემოდ დადგეს. აგრე მოვიდა დიდი მტუე-
რი და მას უკანით ზღვის მსგავსი ლაშქარი. და როგორცა გამოჩნდეს, აგრე
ჰკრეს ქოსსა და ნაღარასა და გამოიძლუნან ქაიანური ღროშა, და მოეხვიენეს
ციხესა ფუტკარნი ვითა. და შეიქნა ომი და მოვიდა ისრისა სიმრავლე. და შეიქ-
ნა ქვისა, ძელისა სროლა, დია იყო კივილი და ზახილი, და დაიჭოცა ორგნითუე
მრავალი კაცი. მერმე დაღამდა. უკუმოეყარნეს. ამაზედა გააჩინეს გარეშემო
მტუელი კაცები, თუ: ციხისდაღმან არა გამოგუეპაროსო, და ექუსსა თუესა ამა
წესითა გარე ადგეს, ჭერსა და ჭერსა შეეზმოდინან. ამა წესითა ადგეს. მერმე გა-
გულისდა ფალავანი საამ და ასრე თქუა, ვითა: ეზომი დგომა ჩენი რა სასარ-
გებლო არის, ლხინთა და ნადირთა სროლასა მოშლილვართ და ესე ყუული
ხანი არის, რომე აქა ვდგავართ. აწე მე უჩუენო ხუალე გულოვანთა ფალა-
ვანთა მეომრობა და გაუკუდო მათი ხერხიანობა. ამაზედა რა საუბარი დაათავა.
იმ დამესა ნადიმსა და სოღბათსა შეექცეს.

რა გათენდა, საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო, გუმბადსა
ზედა ამაღლდა და შავსა მიწასა წითელი ფარდავი მოჰფინა, აგრე ჰკრეს ქოსსა
და ნაღარასა. და გამოვიდა საამ ფალავანი და შეეკაზმა საქუეითოთა აბჯრითა.
და წავიდა ტვერი რაზმისა და შემოეხვიენეს ციხესა. შეიქნა ომი ისრითა, ქვი-
თა, ძელითა და მრავალი კაცი მოკუდა, ასრე რომე მკუდრისა ჭარისაგან აღარა
მიიღგომეოდა. ამაზედა გაგულისდა პილოტანი ფალავანი და ფალავანთა ზურგი
საამისურა, და ხუალი ლომივითა საომრად გაფიცხდა, ნარიმანისეული მძიმე
ლახტი ჩაიჭყარა, შუბი დაიბრჩინა და ქუეითად, წყნარად, ციხის კარისაკენ წა-
ვიდა.

რა ციხისა კართა მივიდა, დაუშინეს ზეიდაღმან ქვითა, ლოდითა, ძელითა,
ქელი მიაგების, დაიჭირის და შორს გააგდის, ასდომი ერთი აყარეს, რომე დიდი
მთა ვითა რიყედ ქნეს. შეუხდა ციხისა კარსა, სტაცა რკინისა კეტართა, გამოს-
წივნა, გამოლუნა და, როგორცა კაჰაჰი, ისრე დაამსხურივა, დალეწა და გაყა-
რა. და გამოიწუადა მისი მძიმე ლახტი და შეუხდა, მრავალთა თავადთა თავე
ტვინთა თანა აურჩივა, მიწათა ზედა დაყარა და სოფელსა გამოასალმა. მიუხდა.
სითაცა უფროსი ჭარი იდგა, დაუშინა და ეზომი დახოცა, რომე სისხლი ციხის
კარშიგან აღარა ეტეოდა. და შეუხდა, სადაცა სალიმ იჯდა. ტახტიდაღმან ჩა-
მოაგდო, ქელნი შეუკრნა და აგეთი მანუჩარს წინაშე მოიყუანა. დაიფორია-
ქეს ციხე, ბარგი და საქონელი, და სალაროებისა კლიტე და ციხისა მანუჩარს
წინაშე მოიღეს. მერმე საამ ფალავანი თავის ოთაღშიგან მივიდა, მოსასუენოდ
დაწუა.

აგრე საამის უგრძნელოდ სალიმ ჯელშეკრული მანუჩარს წინაშე მოიყუანეს. მანუჩარ ოთაღშიგან იყო და ოქროს ტამტი გვერცა ეღდა. რა სალიმ შემოიყუანეს, შეიგნა, რომე მისი ეტლი უკულმა დაბრუნებულიყო. მერმე წამოვარდა გაშმაგებული ლომივითა და ამოიღო აღმასფერი ხანჯარი, სალიმს თავი მოჰკუთათ, და ტამტიშვიგან ჩადვა და ფრიღონს წინაშე გაგზავნა. ესე არის წესი ამა მადორებელისა დარბაზისა, რომე არავის გაუთავდებინ. მართალია ბასანელთა მეცნიერთა ნათქვამი: რა წმიდასა კმელსა ფურცელსა ქარი ჰკრავს. ფიცხლა და აღრე ჩამოცვივის ძირსა. აგრევე აღრე და წამსა შეამოკლებს კაცსა ზედა სოფელი. ნახეთ, სამთავე ძმათა რა დაემართათ ერთმანერთისა ხელითა. სალიმ და თური ერამ მოკლეს და ორნივე ძმის მკულეელი მანუჩარ დაკოცათავის ჯელითა, პაპისა სისხლისათვის.

მერმე სალიმის შვილი მოიყუანეს, სახელად თამურაზ ერქუა და, აგრე მანუჩარ ჯელმწიფემან საამ ფალავანი იკმო. რა მანუჩარის მაწუეევარი კაცი მივიდა საამს წინაშე, აგრე ფიცხლა სალიმის ამბავი ჰკითხა. მაწუეევარმან სიკუდილი უამბო. საამ ფალავანსა დია ეწყინა და თავი ჩამოავღო. მერმე მოახსენა: ფალავანო, ჯელმწიფე მოგახსენებს.

რა ჯელმწიფისა ბრძანება გაიგონა, აგრე აღდა, ფიცხლა დარბაზისაკენ წამოვიდა. რა დარბაზის კარსა მოვიდა, აგრე მანუჩარ ჯელმწიფე საამს წინა გამოეგება; მერმე შევიდეს ოთაღშიგან, მანუჩარ ტახტზედან დაქდა, საამისგურს ოქროს სელნი მოართევს, მაზედა დაქდა. აგრე მოახსენა მანუჩარ საამს ფალავანსა, ვითა: აქაღალმან ყარან და მიღად გავეგზავნოთ თურანს და ზადაჩამის შვილი ფეშანგი მოვყუანინოთ; და ჩვენ აქათგან შინა წაივით. და რა ჯელმწიფემან ესე საუბარი ბრძანა, მერმე საამ ესრე მოახსენა, ვითა: პატრონი ხართ, თქვენგან უკეთ ვერვინ გამოარჩევს. აგრე ყარანს და მიღადს უბრძანა თურანს წასულა და ფეშანგის მოყუანება.

მერმე აღდგეს ყარან და მიღად გამოვიდეს, წაივით თავედსა საღგომისაკენ, დაეკაზმნეს, შესხლეს დაჰკრეს ქოსსა და ნაღარასა და გაიძლუანეს მათი ღროშები წინა. წაივით ასი ათასითა კაცითა თურანისაკენ. აგრე მანუჩარ ჯელმწიფემან მოახსმევირა რაცა ტყვეები იყო და ყუღალი გაუშუა და გააზატა. მერმე შეიქნა კმა ქოსისა და ნაღარისა. და ავიდეს ბარგა, და გამოვიდა მანუჩარ ჯელმწიფე და შექდა, წამოვიდა მორკმული სარა ქალაქისაკენ. და გამოიძლუნა ქაიანური ღროშა წინა და სალიმის შვილი თამურაზ თანა წამოიტანა.

ვირემლის ესენი მოვიღოდეს, მანამდის სალიმის თავი ბერსა ფრიღონს წინაშე მოიღეს. რა შეიტანეს ტამტითა, წინა დაუდგეს. აგრე დახედნა, ორნივე ჯელი თავსა შემოიკრნა, დაიყურნა, საყელინი გარდიხივნა, საჯელმწიფო ჯელი აღგაზედა დაახეთქა, ტახტიღალმან ძირსა ჩამოვარდა და დაბნდა. რა სულობასა მოვიდა, აგრე დაიწყო წვერთა გლეჯა, რომე ქაფურსავითა გაჰყრიდა და ამას იზახდა: ვაი შვილნო, შვილნო, რა გიყავ, რომე ჩემითა ჯელითა დაჯროცენ და ნათელი საწუთრო თქვენზედა დავებნელე, ან რა მერგების ბერსა და საწყალსა. წახვედიო მის მიუღლსა გზასა, მალრიბისა მასკულავანი, და ტახტისა და გვირგვინისა ნაკულად ეიწრო ტაგრუცი მოგუხუდოა სახლად და საყოფლად. ამაზედა ბერმან ქავ დაადუმა, და თაბუთი შეუქნეს ერარქსა და თურის თანა გაავზავნეს, სამნივე ძმანი ერთად დამარბნეს. მერმე აგრე სულის საქმე უყო, მრავალი გასცა გლახაკთა ზედა. აგრე მიძგითათა შეწირნა, და მერმე გლოვა დაიდგა, და აგრე ჯელმწიფე მოვიდა, სარი ქალაქსა შემოვიდა და საამ ფა-

ლავანი თანა შემოყუა. და სალიმის შვილი თამურაზ თანა შეიტანეს. და კელმწიფე ფრიდონ აღდა და წინა მოეგება, მჭარმოქდობით აკოცა. აგრევე საამს აკოცა, მერმე სალიმის შვილი მოიკითხა ვისობით. მაშინლა საამ მოახსენა, ვითა: სალიმის შვილი არის, თამურაზ ჰქეიან.

რა ფრიდონ სალიმის შვილობა შეიგნა, აგრე მოეხვივა ყელსა და აკოცა და დიდი იტირა, მერმე ტახტზედა გაიყუანა და გუერცა მოისუა. აგრე საამს ოქროსა სელნი მობართუეს, მაზედა დაჯდა. აგრევე შემოვიდეს სხუანი თავადნი და, როგორცა ვის წესად მართებდა, აგრე თავედს ალაგსა დასხდეს. და ჭულაბი და ხილი მოიდეს, და წყალიანობა შექნეს და სიცილი. და ფრიდონს სევეა უკუყარეს.

ამაზედა რა ერთი წელიწადი გამოსდა. აგრე თურანს გაგზავნილნი ყარან და მილად მოვიდეს, და ზადაჩამის შვილი ფეშანგი თანა მოიტანეს, და აგრე კელმწიფეს წინაშე შევიდეს, პირი მიწასა გააერთეს და ფრიდონს და მანუჩარს კელსა აკოცეს. მერმე ზადაჩამის შვილი მოიყუანეს ფეშანგ. და კელმწიფემან ფრიდონ ნახა. აგრე მის წინაშე მიაყუანინა, აკოცა და ტახტზედა გუერდსა მოისუა. მერმე, რაცა სალიმის თემი და ქუეყანა ჰქონებოდა, ყულაი მისსა შვილსა თამურაზს მისცა და გაუშუა. აგრევე ზადაჩამის შვილსა ფეშანგს მისცა მისსა შამისა ნაქონებო თემი და ქუეყანა და გაუშუა. აგრე ცოტასა ზანსა იცოცხლა ფრიდონ კელმწიფემან.

აქა ფრიდონის სიკუდილი, სუთასსა წელიწადსა პატრონობა ქნა

აგრე სოფელმან მისი ბეგარა სთხოვა. რა ავად გახდა ფრიდონ კელმწიფე, აგრე მანუჩარ და საამ იჭო და სხუანი თავადნი, ვაზირნი და ფალავანნი: ქაე, ჭიშვად, ყარან, მილად და ყუბად.

რა შემოვიდეს და დასხდეს, კელმწიფეზედა საწუთრო შემოკლებულიყო. მერმე ფრიდონ მანუჩარს ჳელი დაუჭირა და დალოცა, ვითა: მე ამა მუხთილისა და მიუნდობელისა სოფლისაგან წავალ და ამას მოუალსა გზანს მივალ. სადა სხუანი პაპანი და მამანი წასულან, და აწ თქვენ, ცისა და მიწისა, მზისა და მთუარისა, და საწუთროსა დამბადებელი და მალალი, მბრუნავი ეტლიმცა არის თქვენი წინამძღუარი, და დროშა ბედნიერო და ბედნიერისა მთუარისაო, ნიადამცა კარგსა ნებასა და წადილზედამცა ხართ! და ნუმცა ოდეს შეიტირებეს მეფობა და პატრონობა თქვენი. და ნუმცა მიბრუნდების გონება თქვენი გესლისა უკულმართისა ეტლისაყენ!

ამაზედა. რა ესე საუბარი დაათავა, აგრე კელმწიფე ფრიდონ საწუთროსა მიეფარა და შეიქნა ტირილი და ზახილი. მანუჩარ კელმწიფემან საკელმწიფო ქული მოიჭადა, საყელონი გარდიხივა, და სრულად ლაშქართა გარდიხიენეს და ფრიდონის მორქმასა და პატრონობასა ტიროდეს და მოსთქმიდეს. აგრე თაბუთსა შიგან შეასუენეს და სასაფლაოსაყენ წიყუანეს, დაასაფლავეს. მერმე მოასხეს მრავალი ცხუარი და ზროხა. აგრე სრულად გლახებზედა გაუყუეს და ასდომი ერთი იტირა ბერმან ვაზირმან ქაე, რომე ივცია მოკულდა და მასვე თანა სოფლისაგან წავიდა, და საწუთრო მაზედა შემოკლდა.

ამაზედა ორს წელიწადს გლოვა იყო მისთა საბრძანისშიგან, და რა ორი წელიწადი გამოვიდა, აგრე მანუჩარ კელმწიფემან გლოვისაგან გამოვიდა, და გასწერა წიგნი ყულაგნით მისთა საბრძანებელშიგან და ყულაი სარი ქალაქსა

იქმო, და ვირემდის მოვიდოდეს, მაშინ ჯელმწიფემან მანუჩარ ქოსსა და ნალარასა აკურევიანა და სავარდემიგან ნალიმალ დაქდა. და საამ ფალავანი მუნ იქმო და სხუანი თავადნი, ქიშუად, ყარან და მილად, ყუბად შევიდეს სავარდემიგან. და სამოთხისა მსგავსად მოკაზმული იყო და მანუჩარ ტახტზედან იქდა მორკმული, გვირგვინოსანი და ჯელთა ფეროზისა თასი ჰქონდა, ზომგუარიანითა ყირმიზითა ღვინითა სავსე, და პირ-მთუარეთა თანა გამოისუენებდა და მრავალნი უცხოფერისა ჯმისა მკურველნი მეჩანგენი წინა უ[ს]ხდეს და მრავალი მუტრიბი და მომღერალი და უცხოფერისა ჯმისა მთქმელნი იტყოდინ და შეუხმობდიან წურვილისა კმითა, ბულბულისა და იადონისა კმისაგანცა უამედ იტყოდინ, და სავარდის ბალისა სულსა ასრე მიანდორი და ველი ყუალაი შეეკრა. ყვაილობისა ეამი იყო და ასრე გამოისუენებდეს.

მერმე მოვიდეს ყულაღნით ლაშქარი, რაცა სადა ნახმობი იყო, და ქალაქსა გარეთ დადგეს. და მერმე ჯელმწიფემან მანუჩარ გააღებინა ქალაქსა გარეთ, და აგრე ჯელმწიფემან ტახტი და სალარო ყუალაი გააღებინა; მანუჩარ გავიდა, ტახტზედა დაქდა ჯელმწიფურითა ტანისამოსითა, ქედოსან-გვირგვინოსან, ტავაყოსან-საყუროსანი და საამისურს ფალავანსა ოქროსა სანდალნი მოართევს და მაზედა დაქდა. აგრე სხუანი ფალავანნი, სფაბადნი დასხდეს, როგორაცა კულა სხდომილ იყუნეს, მითივე წესითა. აგრე მოვიდეს ახლად მოსულნი თავადნი და სფაბადნი და ჯელმწიფესა წინაშე საწუთროსა დამბადებლისა სახელი ახსენეს, და პირი მიწასა გააერთეს. მერმე ჯელმწიფემან მანუჩარ გახსნა სალარო და ერთობილთა ზედა მრავალი გასაცემელი გასცა და ერთობილნი ტანსა დამოსნა. და მაშინდა დიდი პურობა და შილანი შექნა. იყენეს ყოველთა დღეთა ლხინი, ნადიმი და გამოსუენებება.

აგრე დღესა ერთსა ქეშაფარულ მთისაძირელნი მოჩივარნი მოვიდეს და ჯელმწიფესა მანუჩარს კართა ზედა შორს დადგეს რაზმად, საწუთროსა დამბადებელი ახსენეს და მანუჩარ დალოცეს, პირი მიწასა გააერთეს. მერმე ერთობილთა ყულამან ასრე იზრიალა, ვითა: ჯელმწიფეო, ესე საქმე პირიანი იყოს, რომე აღმოსაეღეთითა დასავლამდის ყუალაი თქვენ გქონდეს და ჩვენ ამა მუხთლისაგან სოფლისა ასრე უნაწილოდ დარჩომილი ვიყუნეთ, რომე ქეშაფარულ მთაშიგან, მის მთისაგანცა უმაღლესი ვეშაბი გამოჩენილა, თმიანი და პირცეცხლიანი, ზარისა — გესლისა და ნაფასისა მთესვარი, დიდი, უმაგალითო. და თუალნი დიდროვანსა გელაზსა უგუანან და ცეცხლივითა უენთებთან. მუბლსა რქა აბიან, ოცი მვარი სიგრძე აქუს, და თვითო კბილები ექუს-ექუსი მჭარა სიგრძე აბიან. და ჩენი წყალი იმა მთიდაღმან მოღის, იქიდაღმან არის ჩენი სიციცხლე. აწე ეხე რა ვეშაბი გამოჩენილა, სრულად ამოუწყვედივართ. ჩაწყვების სათავეშიგან, სუამს და იბანებს; მერმე ასეთსა გესლსა ჩაახსნამს შიგან, რომე, რაცა ფერი სუამს, ყუალაი მასვე წამსა დაიჟოცების, აღარა შეგურჩომია რა, ჯოგეულად დაიჟოცის, და ზროხა ყუალაი ამოგვიწყვიდა. აღარა შეგურჩომია რა და აწ ჩენზედა მოდგომილა.

ამაზედან მანუჩარ, რა ესე საუბარი გაიგონა, ერთობ ეწყინა და თავი ჩამოიგდო. მერმე მოაღებინა შვიდი ჯამი თუალი და მარგალიტი, შვიდასი ლიტრა ოქრო და შვიდასი ლიტრა ვერცხლი, ასი ქალი და ასი ვაჟი და ყუალაი შორს დააყენებინა, და ასრე ბრძანა მანუჩარ ჯელმწიფემან, ვითა: გაიგონეთო ფალავანნო, სფაბადნო და თავადნო, ვისცა დევთა ამომწყუტელი, ნიანგთა, მთუ-

რვალთა პილოთა მეომარი კრმალი გარტყიან, მას გმართებს. ესე ძლუენი დავეშაპისა ომი!

მერმე ამა ჯელმწიფისა ბრძანებაზედა ერთობილთა სულთა დაიღეს და ერთმანერთსა პირსა შეხედნეს და პასუხი არავინ რა თქუა. ამაზედა იგივე ბერი მგელი ნარიმანის შვილი, მბრჯღვინავისა ეტლისა მსგავსი პილოტანი, ჭანგ-მახვილი, დევთა შემკურველი და მთურალთა პილოთა მეომარი ფალავანი და ფალავანთა ზურგი საამისურა წამოჭდა, საწუთროსა დაშბადებელი ახსენა, ხელმწიფე მანუჩარ დალოცა, პირი მიწასა გააერთა და მერმე ადგა, და ვეშაპის საომრად გაემართა.

აგრე მანუჩარ ჯელმწიფემან საქელმწიფო ქუდი მოიხადა და საწუთროსა შემოქმედსა უზომო მადლი შესწირა და საამ ფალავანი შევედრა, ვითა: მოწყალეო და მოსამართლეო, გულთა და გონებათა გამკითხველო, ცხადისა და იღუმალისა მტოდნელო, არა არსთა არსისა მომცემელო, ტკბილო და მრავალმოწყალეო, შენდა შემომივედრებია და შენ დაიკევი, დაიქსენ იმა პილწისა ეშმაკისა პირისაგან.

რა მანუჩარ ესე საუბარი დაათავა, მერმე საამ ფალავანი შეეკაზმა წასავალად, და საომარი ტანისამოსი და ხუფთანი ჩაიკცა, მისი მძიმე ნარიმანისეული ლახტი წელთა ჩაიყარა, აღმასფერი კრმალი წელთა შემოირტყა და მშვილდ-ისარი აიღო. სამანდსა შეჯდა და წავიდა.

აქა საამ ფალავანისა და ვეშაპისა ომი

რა საამ ფალავანი ვეშაპისა საომრად გაემართა, აგრე მის თემისა კაცი ყუბლაი წაქუჯა, და იარეს დიდი ხანი. და საამ ფალავანი გზა-გზა ომისა საქმესა არჩევდა, ჭერჯინობასა იგონებდა. რა მას ალაგსა მიეწურნეს, მერმე ასრე უთხრეს მის ქვეყნისა კაცთა საამს, ვითა: შეიწყალე თავი და ფალავნობა შენი, დანუ წახუალ მისდა საომრად, მისი ომი მოუალი არიან კორციელისა კაცისაგან.

რა საამ ფალავანმან ესე საუბარი გაიგონა, ყოლა არად გაიკვირვა ამისგან კიდე, ვითა: ისი ალაგი შემეჩინეთ, თუ რომელსა მჭარსა არის, სხუად ნურას ინალულით! ამაზედა მათ ასრე უთხრეს, ვითა: ამა ქედსა უკანა გარდავალთ, აგრე მადალი მინარა გამონდების, რომე სიმაღლითა თუალნი ძლიე შესწუდების, და მახუდა მადლა წუერსა კაცები სხედს და ნალარა აქუს; აგრევე მას წაღმა, შორს, მილიონს მერმე ერთი მინარა სხუა დგას და აგრევე სხედს კაცები და აქუს ნალარა. მერმე იმა მეორესა მინარასა წაღმა სხუა მერმე მინარა დგას, შორს მილიონსა იმა ჭევსა მიწურივით, რომელსაც შიგან არის, და ჭევისა სიღრმეშიგან ისი მინარა დაუჩინარდების. და აგრევე სხედს ყუბლაზედა კაცები და ნალარა გუერდს უთქს. და როგორაცა გამოვა, უწინ ისი წინა პირეული დაუკრავს ნალარასა და შუათ მენალარეთა აცნობებს, მერმე შუა დაუკრავს, ამა მოღმართსა მენალარესა აცნობებს, მერმე მოღმართი დაუკრავს და ჩვენ გვაცნობებს, და გავიქვევით და დავიმაღვით. მაგრა მის ვეშაპისა სიმაღლე ასოთხმოცი აღლი არის.

ამაზედა რა საუბარი გაათავა, აგრე ნალარის ჯმა შემოესმა და გაიქცა. ერთობილი ერი ასრე წავიდა, რომე საამს გუერდის არცა მოამბე არა დარჩა. და ეკვირებოდა საამს ეზომი შიში. მერმე იარა საამ და რა ქედს უკანა მოექცა, შეხედნა და უკაცურსა მინდორსა შიგან მადალი მინარა დაინახა, და ამაზედა.

ნღარასა უცემდეს. საამ ფალავანმან აქეთ-იქით მოავლინა და ვერასადა რა დაინახა; მაშინდა, მინარასა ქუეშე გაუარდა გზა, და იმა გზასა წავიდა. და რა მინარაზედა მსხდომთა კაცთა თუალი მოჰკიდეს საამს ფალავანსა, აგრე ჩამო-
ყივლეს, ვითა: რა ხარ, რა შევბედი, სით მოხუალ, რა კუალი დაგჯარგვია, ტრბუ ხარ, როგორ არის შენი საქმე, სით მოხუალ, სად წახუალ, სადაური ხარ, დევი ხარ თუ აღამიანი ხარ, გაიგონე აზლომი ერთი, ნუ წახუალ. მაგა გზასა ეშაპი გამოჩენილა ღიდი, უმავალითო და, როგორაცა თულსა მოგკიდებს, მას-
ვე წამსა სწრაფათ ჩაგნთქამს, დაბრუნდი, ასლონი ერთი დაგვიჩქრე, ნუ მოიკ-
ლავ ცუდათ თავსა!

საამ ფალავანმან არა ყური მიუპყრა, ყულასა საწუთროსა დამბადებელსა ევედრებოდა. ამაზედა რა იმა მინარასა წასცილდა. აგრე იმ კაცთა შვიბრალეს მოკვლისათვის, ვითა: ველარა გამოიარს ამა გზასაო, და ინალუდიდეს ესე კაცი. მერმე იარა საამ. როგორაცა შუასა მინარასა მოეწურა, აგრე იმა მინარაზედა მსხდომთა კაცთა შემოხედნეს. და რა კაცი ნახეს მიმავალი, აგრე გაუყვირდა: რომე ჰკუა წაუვიდა და ისრევე მათ შექნეს კივილი და ზანილი. და არც მათ გასცა პასუხი. და როგორაცა წასცილდა, მათცა მოიტირეს მისი კერძი სოფელი. მერმე იარა და, რა მესამესა მინარასა მიეწურა, მათ აღარა დაიზახეს შიშითა. წყალი თურემ ესუა ეშაპსა და პირ-შემოდმა მოვიდოდა ალოს, თურემ მოს-
წუროდა და წყნარად ჰელი აუქნიევს პირუელმა და, რა ჰვეშიგანეე ჩავიდა, მდამბლად ასრე ჩამოსძახნეს, ვითა: რა თავი მოკიკლავს, ვის მოუცლენებინარ, თუ აგრე თავის სიკუდილი გინდოდა და იქი ვერა მოკუდებოდი, აქა უკაცურსა ალაგსა არა მომკუდარიყავ? აწე წადი და გაიპარე, ვირემდის შეიგნებდეს და სცნობდეს შენსა აქა მოსულასა. გეხვეწებით, ვითა: გაიგონე, ნუ შემოგუა-
ლავ შენსა თავსა!

ამაზედა საამ ფალავანმან ასრე შესძახნა, ვითა: აგრეგუარსა ნურასა მწურ-
თით და ესრე ასრე დაისწავლე, ცხენსა აქა მინარაზედა დაევაბ, და მე ქუეი-
თად წავალ მისდა ბრძოლად და, რაცა საწუთროსა დამბადებელმან და მბრუ-
ნავმან ეტლმან მოავლინოს, ფალავანი და ხუადი ლომი მამაცობისა ეშამსა უნდა, აწე რომე გაპარვას მწურთიდი, ნარიმანის შვილისა საამისაგან აწე ღია
ჟეამო არის, აქა მოსულისა კაცისაგან გაპარვა ჩემი ჰელი არ არის. ხუადთა
ლომთა და მთერალთა პილოთა და ნიანგთა, დევთა და ეეშაპთა ომი მამამან
ჩემმან ნარიმან იადგარად დამიგლო მეომრობა. აწ შენ გუშაგო, ასრე იცოდე,
თუ სამეგრ გესმას ჩემი ჰმა, მაშინ იცოდი, რომე მე გამმარჩუებია, და ფიცხლა
მომმართეთ და ცხენიცა მომგუარეთ, და თუ ერთხელის მეტად არ გესმას ჩე-
მი ჰმა, მაშინ იცოდი, რომე მკუდარი ვიქნები და, რასაცა იქ, შენ იცი! ამაზე-
და საამ ფალავანმან.

უკვირდა და შიშითა ფერი წაუვიდა... დაღვა და გულსა შინა ამას იტყვის ესე... ანუ ნიანგი არის და ლახტი ნახა უფრო... ვებოდა და ამას იტყოდა, ვითა: შესცათა პატრონი ჩე... ამათდა საომრად წამოვიდეს. აგრე ბარამს დაქდომა... ანეს ქუე დასუეს და მოწერილი წიგნი მოიღეს და ახლ...
საამ ფალავანსა წინაშე წაიკითხეს, ვითა: პაპისა ჩვენისა სისხლთა არა შეგარ-
ჩენთ, ეამზედა მოკლება გმართებსთ და დავიწყებთ ზედა ნუ შეიჩრენთ. ასე
რა ჩვენცა მომავალნი ვართ და, რასაცა გამოარჩევთ, პატრონი ხართ!

რა წიგნისა პასუხი გაიგონა საამ ფალავანმან, აგრე მუხლზედა წამოქდა მბრჭღვინავი, გაშმაგებული ეტლივითა მწიგნობარსა უთხრა, ვითა: წიგნსა

ველი მომაკიდებო. აგრე მწიგნობარმან წიგნი საამს მორათუა, სტაცა და წიგნი შუაზედ გახივა და ბარამს შემოეზახნა, ვითა: ნიშვით და დევილ ვის ჰქვიან, მანუჩარ მორკმით ტახტზედა იჯდეს და მე დიდი, მაღალი ზაულელი ფალავანი მძიმითა ჩემითა ლახტითა, ერანს შუაზედა, დიდი, მაღალი მთა ვითა, ვე-მართო, ესე რა გაგება არის, სიჯაბნე სიავესა არა აყენებს და ვერცა ჩემსა მა-ღალსა ტანსა დაემალავ ვიწროსა ხინძავსა შიგან... მაჰამან ჩემმან დამნერგა და შემქმნა მალ... იმან ფალავანმან მაშინვე მტერთა ამოსაწყუეტლად დამნერგა და აწე ნიშვითის პაპა ჩემსა პაპასა მოუხედეს და მისი სისხლიცა მე მთხოვოს. სა-წუთროსა დამბაღებელმან და თავმან მაღლისა საროსა მანუჩარისამან, თუცა ელჩისა მოკულეა კარგი იყოს, აწვე ცოცხალსა გაგვლენთ და შეგვამ!

რა ბარამ საამს ფალავნისაგან მკუხახე საუბარი გაიგონა, აგრეზე ადგა და კარ-თა გამოვიდა, შიშითა შემცდარი რეტიეითა თუალთა მიღმა-მოღმა აყოლებდა, ეგეთი სადგომისაყენ წამოვიდა, და მანუჩარ საბოძეარა უბოძა და ბარამ გაუშ-უეს. წავიდა, იარა ბარამ. და ერანს გამოსულ იყუნეს, ზღვიდალმან დაბარგე-ბულ იყუნეს.

რა ბარამის მოსვლა სცნეს, აგრე ნიშვითს და დევილს კაცი მოუვიდა ჯელ-მწიფესა წინაშე მოიყუნანეს; ბარამ პირი მიწასა ვააერთა და ამბავსა დაუწყო მბოზა, ასრე, ვითა: რა ქენით, რომე მანუჩარს მიღმა წაეკიდენით, ასეთი ფალა-ვანი ჰყავს, დიდსა მთასა ჰგავს და თავი ღრუბელთა შესწულებდა. იგივე ცოც-ხალსა შექმნასა მილამოდა. როგორცა ნიშავით ბარამისაგან ესე საუბარი გაი-გონა, აგრე ეწყინა, გაგულისდა და ბარამს მჭარსა ატაცნივნა და კარნი გამოა-რონინეს, ვითა მისთვის არ ვარგა ავის კაცისა ელჩად

აგრე შეიქნა ზახილი და ჩათანი, მოცხენი, მოუნაგირი ზოგნი ცხენებსა პჯაზმიდა, ზოგი ქეჩიშსა აბმიდა, ზოგი აბჯარსა იცმიდა. აგრე დაეკაზმნეს, შესხ-დეს, ასი ათასი შავი ჭუფთი ერანელი თურანელთა მიეგებნეს. შეიქნა ომი, ცე-მა, შემოკივილი, გახშირდა ომი ყუალგნით, მრავალი დაიჭოცა ორგნითვე და ვერღარა დაუდგნეს ერანელთა. გამოიქცეს, დაუწყეს ჯოცა, ჩამოყრა, წაუ-ღეს სარი ქალაქი და დაიჭირეს თემი და ქუეყანა. დადგეს და აღარავინ იყო მა-თი მერაზმე. ყუბად ერთსა მაგარსა ციხესა შიგან შევიდა და მუნ დამაგრდეს.

ამაზედა ყუბად მანუჩარს და საამს წიგნი მიუწერა: შარიართ პირის. წყა-ლო, ფასკუნჯო მჭარგაშლილო, ზაულის ეტლისა ზედა მჯდომო, ანდამატისა კლდისა დამლენლო და მთისა მომგლეჯლო, დევთა და ნიანგთა ამომწყუე-ტელო, ჯმა საზარელო და ტან-მაღალო, დიდო ზაულელო ფალავანო, რა დაი-ზახნე შენითა შიშითა მთა გასკდეს და კლდენი ათროლოდეს. აწე ესე წიგნი წაიკითხე და მანუჩარს მოახსენე: ერანის ტახტი უთავადოდ გახდა. რა აქეთ თქვენ წახვედით, აგრე სცნეს თურანელთა თქვენი შინა არა ყოფნა. დაგუესხ-ნეს ზედა, სრულად ერანი მოამტუერეს და ქალაქი აიღეს, და ჩვენის ფალა-ვანობისაგან რაცაღა იქნებოდა, დია კარგათ ვეცადენით, ვეღარა დაუდგეთ, წა-მოვედით და ციხესა შიგან ვართ. მისცა ერთსა ფაიქს, ქარისგანცა უმაღედ წავიდა. იარა და მანუჩარს წინაშე მივიდა და მეფარდავისაგან გზა ითხოვა. მე-ფარდაგემან გზა მისცა, და წადგა ფაიქი მანუჩარს წინაშე, ჩოქი დაივლო და წიგნი მანუჩარს მიართუა. რა გამოულო და წაიკითხა, ეწყინა და თავი ჩამოაგ-დო, და საამ ფალავანი იქმო. რა საამ ფალავანი მანუჩარს წინაშე შემოვიდა, აგრე ქელმწიფემან წიგნი საამს მისცა. რა საამ წაიკითხა, ასრე მოახსენა: ნუ ვის გვაინდობთ და, თუ გვაეკლავნებთ, ლაშქარნი აგუეშლებიან, ყუალაა შეწ-

ენით შეიქნების, ზოგსა ცოლი დასტყუებობა და ზოგსა შეილი. ამ ამბავსა გამ-
ელაენება არ უნდა. აწე აქედამან ავიყარნეთ, სადაცა ზანგუბრელი ლაშქარი
იყოს, იქი მივიდეთ.

ამაზედა რა ესე რჩევა დაათავეს, აგრე გახდა ქმა ლაშქართა შიგან აყრი-
სა და შეუზახნეს, აიყარნეს, შესხდეს, იარეს; სამოცი მილიონი მივიდოდა. მათ-
და შეყრამდის იარეს და მიახლოვდეს, ერთმანერთი აღჩნდა. მათცა გაუქვირ-
და მათი უცებად მოსულვა და ამათცა უუქვირდა ასრე მაღელ სიარული, ვითა:
რა წაეკიდა ჯელმწიფესა. მერმე დადგეს. იმა ღამესა ორთავე ქიშვარშიგან გათე-
ნებამდის საომრად ეკაზმებოდეს.

აქა მანუჩარ ჯელმწიფისა და მისის: ფალაენისა საამისი და დევილისი და ნიშვითისი ომი

რა გათენდა და საწუთროსა მასუენებელმან მზემან თავი ამოყო და გუმ-
ბადსა ზედა ამალდა, და შავსა მიწასა წითელი ვარდი მოაყარა, აგრე ჰკრეს
ქმა საომარი ქოსსა და ნაღარასა, შეიქნა ორსავე რაზმშიგან შემოკივილი, რი-
მე მიწა იძვროდა. აგრე მოიყუანეს თეთრი პილო, მოიღეს მძიმედ მოთუალმარ-
გალიტული მანუჩარის ტახტი და პილოზედა დადგეს. აგრე მანუჩარ ჯელმწი-
ფე გავიდა პილოზედა, ტახტზედა დაჯდა ქუდოსან-გვირაგინოსან, ხალახნიან—
ტავაყოსანი. მოიღეს ქაიანური დროშა და მანუჩარის პილოს წინათ დააყენეს.
საამ ფალაენი მარჯუენესა მჭარსა დადგა, ორმოცი ათასითა დარჩეულითა
ჯაულისტანელითა ლაშქრითა. მისი დროშა წინათ აიშართა. მარცხენესა მჭარსა
ყარან და ქიშუად დადგეს.

აგრევე ზანგუბრელსა და ინდოველსა ლაშქარშიგან გააჩინეს მარჯუენა და
მარცხენა. და გახშირდა ორგნითვე ქმა ნაღარათა და სტვირთა, და მოვიდა სიმ-
რაელე ჯარი ერთმანერთზედა. პირველად საომარსა ალაგსა მოედანშიგან ნი-
შავით ჰინდი აპირობდა მოსულვასა, და დევილ ჰინდი წამოეწაცულა და ასრე
უთხრა ნიშავით ინდოსა, თუ: შენ უხუცესი კაცი ხარ და კელმწიფე, და ფალა-
ენი მე ვარ და მე მართებს მოედანშიგან მისულა. ამაზედა დევილი ჰინდი ნი-
შავით ჰინდის თავი მოუდრიკა და პილო მოედანში ჩამოიგდო, საომარსა, დევი-
თა სარკენელსა ალაგსა დადგა. ორჯელ, სამჯერ თავსა ლახტი შემოივლო და
ერანელთა მუქარასა სთხოვდა.

რა ყარან შეიგნა დევილის მოედანშიგან მოსულვა, აგრე ყარან მოვიდა
მისდა საომრად. და ყარან შუბი მოიბრუნევა და დევილს შემოსცა. და დევილი
წაყო კელი, სტაცა შუბსა, გამოსწიენა, წაუღო და გარდაჰკრა. ყარან ჩამოაგ-
დო და, როგორაცა მოკულუასა უღამოდა, აგრე საამ ფალაენი მოესწრა და.
როგორაცა მოუხდა, აგრე შეხედნა დევილი საამს და ყარან გაუშვა, და საამს
ლახტი მოუქნიევა. საამ ფარი მიუშვირა. დაჰკრა და ფარი დაუმსხერიევა. აგრე
საამ ფალაენმან სახელი ღმრთისა ახსენა და მოიქნიევა მისი მძიმე ლახტი, დაჰკ-
რა თავსა და დევილ და პილო ყუღაი დაამსხერიევა და ასრე გახადა, ვითამცა
სული არ სდგომოდეს.

აგრე შეუზახნეს ზანგუბრელთა და შემოეხვიენეს გარეშემო. და საამ ფა-
ლენი შუაზედა შეიგდეს, დაუშინეს. ამაზედა ლაშქართა უბრძანა, ვითა: ყო-
ელისა თემისა ლაშქარი მარტოსა საამს ებრძვის და მიესწრენით! და დასცეს
წარასა და მოეხვიენეს, დაუწყეს ერთმანერთსა ომი, აერიენეს თანა, დაუშინეს
ჯრმალითა, შუბითა, ლახტითა და ეზომი დაჰკოცეს, რომე უფროსობა აღარა

ტებტისა და გვირგვინისა მამაკრებელი, კელმწიფობისა შარიათა პირის წყა-
ლო, რა მანდეთ წამოვედით, გამარჯებისა ეტლი წინა გამოგვიძლუა და თურა-
ნელთაგან ასი ათასი კაცი ბუსუნად ჩაგულდგომოდეს, უგრძენით და დავესხე-
ნით, და წაწუროსა დამბადებელისა სახელითა და ჳელმწიფისა ბედნიერობითა
ამოვსწყვიტენით, დავიფორიატენით, რომე რისხუა ღმრთისა დავეცით, გაქ-
ცეულნი ფეშანგს რაზმშიგან შევეყარენით, და სამასი ათასითა კაცითა ფეშანგ
პირდაპირ დავეიდგა და ჩვენ შიგნით ათი ათასი დაიკოცა, ათი ათასი დაკოდილი
არის. ესე ოცი ათასი კაცი აღარას მოგუეკმარების და, რასაცა-ღა მოისწრაფებთ,
ჲამი ეს არის, თუარე ამოგუწყუეტენ.

რა ესე წიგნი გაათავეს, აგრე მისცეს ერთსა ფაიქსა და გაგზავნეს. და იარა
მაღედ ქარივითა და, სადაცა მანუჩარ და საამ ფალავანი დადგომილ იყუნეს მო-
ხეალნი, აგრე მათ წინაშე მოვიდა და წადგა ფაიქი წინა, ჩოქი დაიგლო და წიგ-
ნი შაჰ მანუჩარს მიართუა. რა წიგნი გამოულა და წაიკითხა და, როგორაცა
საამ ფალავანი მოვიდა, წიგნი მისცა, წაიკითხა და ასრე მოახსენა ვითა: ადრე
და ეახზუნდა არა მივესწრობით, მითი საქმე ავად არის. აგრე ჳელმწიფემან ბრძა-
ნა, ვითა: ვიაროთ და ჩვენცა მივეშუელოთ! საამ ასრე მოახსენა, ვითა: თქვენ
წყნარად წამოდიოთ და მე წინათ მაღედ ვიარები.

აგრე საამ ფალავანი მობრუნდა და შეუზახხნა ლაშქართა. და საამ ფალავანი
დიდი მაღალი მთა ვითა გაგულისებული იქით და აქეთ იარებოდა, ჭავარიანი
და გაშმაგებული ლომივითა ბრდღვინვიდა და მთურვალსა პილოსავითა პირსა
პერული წამოსდიოდა, და ჭავრითა შემცდარი ლაშქართა აგრე უვლიდა, შეპ-
კიოდა ცხენსა, კახმასა და სწრაფობასა. აგრე მოიღეს საამ ფალავნისა მტერ-
თა გულისა გამხეთქელი ჭაქვი, დიდისა ფალავანისა ქარიმანისეული ჭავშანი და
რანი მოახმევიანა. და მის მებრედ ქარიმანს აქათ ომისა ეამსა არა სცმოდეს. და
საამ ფალავანმან იმ დღესა პერუნავი ეტლივითა წამსავე მით შეიკახზმა, ოთხმოც-
სა ალაგსა დაკოდილი იყო. და რა ჭაქვემან და რანმან და ჭავშანმან დაამძიმა და
შემოუქირა, ყულაგნით სისხლი გამოადგა; ალაგსა და ალაგსა კუკურად გამოს-
დიოდა და პირნი წამოსწითლებოდეს, ვარდივითა გაშლილიყო. საომრად წასუ-
ლა ასრე მიუხაროდა, ვითამცა სავარდესიგან პირ-მთუარეთა თანა სალხინოდ
წასულიყო აგრე სამანდი მოგუარეს, ქეჭიმითა შემოსილი. და ისწრაფდა საამ
ფალავანი, ზოგი საბურკუტლსა აკრვიდეს, ზოგი ნავსა.

ამაზუნდა რა შეეკახზმა, ამას ჰგუნდა, თუ დიდი, მაღალი, შავი ღრუბელი
ემართათ. სამანდა ზედა შექდა დიდი, მაღალი მთა ვითა და მისი მძიმე ლახტი
წელითა დაიჭირა. და მისი ვეშაპის ტყავისა საგდებელი საღრტილსა გამოიბა და
წმიდისა და მოსამართლისა სახელი [ახსენა] და ხუთი ათასი დარჩეული ფა-
ლავნები დაარჩივა. და ეგეთი, მქეფარნი წვიმანი ვითა წამოვიდეს და მათს
მოსულამდის ომი შეიქნა. სამასი ათასი კაცი თურანელი ლაშქარი იყო და ასი
ათასი ერანელი. ჭერ საამ არ მოსულ იყო.

აგრე ფეშანგი ვაზირობა შექნა და ვაის ასრე მოახსენა ფეშანგს, ვითა:
ესე რა გაგებაა და არა შეცნიერთა ჳელი არის, რასაცა ჩვენ ვაპირებთ, ამათ
შევებნათ და ამოვსწყვიტენთ, ვირემდის საამ მოესწრებოდეს. და რა საამ ფა-
ლავანი მოვა, დევთა და ნიანგთა ვერა შეუძლიან მისსა უთრუთისეულისა მძი-
მისა ლახტისა დადგმა, ვირემდის ისი გამოჩნდებოდეს, ჩვენ, რაცა გულშიგან
გუედვას, ამათ იგი უყოთი და დაამტკიცეს ესე საქმე.

აქა ფეშანგისა და მანუჩარის ლაშქართა ომი

ჰკრეს ორსავე ქიშუარსა შიგან ვმა საომარი ქოსისა, კუნესა სტვირთა სა-
რაზმითა, ნალარსა. და პირველად საომარს ალაგსა ფირან მოვიდა, თავსა
შუბნი შემოვიღნა და მუქარასა ითხოვდა.

რა ყარან ფირანს თუალი მოჰკიდა. აგრე ცხენსა შეჯდა, ჴელთა შუბი აი-
ხუნა, და მანაცა შუბი თავსა შემოვიღნა და პირი მოედნისაჲცენ ქნა. მოედანში-
გან მივიდა, ფირან ყარანს თუალი მოჰკიდა, აგრე შემოუზახნა, აგინა. მოუხდა
ფირან, ჴრმალი მოუქნივა, ყარანს დააცდუნევა და ცხენისა თავსა ჰკრა, და
ცხენი მოუკლა. ყარან ზედა გარდმოვარდა, წამოხლტა, ჴრმალი წამოიძრო და
ფირანისა ცხენსა მოუქნივა, და ოთხნივე ფერჴნი მოსჴრნა და ფირან ზე გარდ-
მოვარდა. და ხელდახელ შეიქედნეს და დიდს ხანამდის ირჴინეს. და ყარან
დაუდარნა, მარჴუნა ფერჴი ამოართუა, შეუზახნა ყარან და ასწივნა, და თავის
სწორად აიყუნა, მოიქნივა და ფირან დასცა. როგორცა თავისა მოკუეთასა
ულამოდა, აგრე შემოუზახნეს და მოესწრნეს. ფირან გაავღებინეს, შემოხვით-
ნეს ყარანს გარეშემო ყოვლგნით, მგურგულიე შეიქნა ომი. გახშირდა ყუალგ-
ნით ზრმალთა ქნევა. მრავალი დაიკოცა ორგნითევე. არა მისწყდა ომი. დიდხა-
ნობამდის ბრძოლა იყო, ყოვლგნით ზახილი და კივილი. ასეთი მტუერი ავი-
და, რომე ცათა ფილქამდის შესწულებოდა. აღარა შეიგნებოდა რა მანათო-
ბელი მზე სანდაროზისა ფერად შეიქნა. და სისხლი კაცსა თულსა და პირსა
ულობევედის, და ერანელნი დამჴრდეს და აღარა მოესწრა, ზოგი დაიხოცა და
ზოგი დაიკოდენ. აივსნეს ჴუენი და ლელენი დაკოდისთა კაცითა და დაჴოცი-
ლითა. აგრე ქიშუად და ომან ერთად შეიყარნეს. ომან ქიშუადს ჴრმალი მოუქ-
ნივა და გარდაჴკრა და მჴარი მოჴკევთა. და სისხლი ზე ამოიჴირა, ჩამოვარდა ცხე-
ნიდალმან. მერმე უშუელეს და ცხენი მოგუარეს, და მაზედა შესუეს. და ერ-
ანელნი კიდევცა დაკოტავდეს და უკანით წამოვიდეს; გამოიძლუანეს წინა, იარეს.
და მაღალი მთა იყო, კლდეწარანი, და მას შიგან უყუმაგარდეს და შეამწყვიდ-
ვის, და ღამეცა ესწრა.

ამაზედა ფირან ასრე მოახსენა ფეშანგს, ვითა: ამას ღამე ნუ მოვასუენებთ
და ნუცა უკუეყარებთ, რომე არა გაგუეჴარნენ. გარე შემოეხვიენენ მგურგუ-
ლიე მთასა და გათენებამდის ომისაგან არა დასწყნარდეს. და ასრე დაჴდეს
ერანელნი, რომე რომელიც კოცხალი იყო, იგინცა სიკუდილის მონატრე იყო.
დაღონებული იყუნეს და მაღლად მთისა თავსა მოაჴრფეს შემჴირნე ქმნილნი,
და აღარა სიცოცხლისა მომდომელი. ამას იტყოდეს, თუ: აღარა მოგუესწარების
რა, წახდა ჩვენი საქმე, და რა გათენდეს, ერთის გზასაჲცენ დევდგეთ, ერთიარად
შეეებოცნეთ! გარდუწყდათ სიცოცხლისა იმედი და ერთმანეთსა ანდერძი გარ-
დასტეს, ყარან და ქიშუად და მრავალი თავჩენილი ჴირასუმი ფალავანი იღვის
პირალმა დაკოდელი, ფანცხალეზდის და სულთა ჴდებოდის.

ამაზედა რა გათენდა და შემან ზნელმან ზანგმან ჴელი მოიხადა და ყირ-
მიზი ვარდი მოაყარა, და საწუთროსა მაშუენებელმან მზემან თავი ამოყო, გუმ-
ბაღსა ზედა ამალდა, აგრე შემოუზახნეს და შემოეხვიენეს თურანელნი გარე-
შემო, და შეიქნა ზარი და კივილი ყოვლგნით, გახშირდა ომი ყოველთა ტომ-
თა უფიცხესი, ერანელნი დაშავებულნი და იმედგარდაწყვეტილნი თავეთს-
თავს ტიროდეს.

აგრე საგუშაგოთ გუშაგმან იყილა, თუ: ერანელთა ბელმან გაიღვიძნა ვე-

შპის პირისაგან და ლომის ჰანგისაგან დაიხსენით. მოვიდა დიდი ზაულელი ფალავანი. მოვა მტურერი საშინელი. ჯერ მაიისა ჯმისა ზახილი ყურთა ჩემთა არის. მოახლოვდა, მოვიდა საამ ფალავანი, კმა, როგორაცა გრგვინვა ცისა. და რა დიდისა მტურერისა, საამ ფალავანისა მოსულვა ესმა თურანელთა, აგრე ჟეჟუარენეს, თულაგაშეთებულნი უკუდგეს, დასწყენარდეს ყოვლგნით ომი და ერანელთა გაუყვითლებული პირი, სანდაროზისა ფერად გასული, ყირმიზი ვარდის კოკობივითა გაიშალა; საამ დიდი, მქარავილი ფასკუნჯი მფრინველეითა მოეხეთქებოდა, მყვირველი ლომივითა ბრდღენინვიდა, ჯავრითა შეშფოთებულთა მიღმა და მოღმა თულთა ავლებდა, მალედ სიარულისაგან ღუარულებ ოფლი ჩამოსდიოდეს. აგრე ყარან და ქიშუად და სხუანი ვინცა-ღა მორჩომოდეს ერანელნი, მორბოდა და საამს ქებასა შეასხმიდეს, ვითა: მქურვალი მზე გამოვარდა და ჩვენ თურანელნი თავსა ვეღარა წაგუიტუსავსო.

საამ ფალავანმან და სხუათა ფალავანთა მის თანამოსრულთა, მკუდართათვის დაკლებისა ტირილი და გლოვა შექნეს. ორმოცდაათი ათასი კაცი დაკლებულ იყო ერანელი. საამ ყარანს და ქიშუადს ნშვიდობით მორჩომა მიულოცა და მერმე დასწყენარდეს იქითაცა და აქეთაცა. იმ ღამესა საომრად ემზადებოდეს.

აქა ფეშანგ ქელმწიფისა და საამ ფალავანისა ომი

რა გათენდა, ლაჟუარდისფერსა ცასა სინათლე მიეცა და საწუთროსა მათუენებელმან მზემან თავი ამოყო, და გუმბაღსა ზედა ამალდა და ვარდისა წყლთა პირი დაიბანა, და შავსა მიწასა ზედა წითელი ვარდი მოაყარა, აგრე ჰკრეს ორგნითვე კმა ქოსისა, პრიბი, ნაღი-ნაი, დაბდაბი, ზაბილი, აგრე აწყვეს რაზმი და გააჩინეს მარჯუნა და მარცხენა.

აგრე შეეკაზმა საამ ფალავანი და ახსენა სახელი ღმრთისა, შექდა სამანდსა დიდი, მღალი მთა ვითა და პირი მოედნისაკენ ქნა და საომარსა ალაგსა მოვიდა. თავსა მისსა მძიმესა ლახტსა ივლებდა და თურანელთა მუქარას სთხოვდა. ერთი ასეთი კმა გაუშუა, რომე თურანელთა ლაშქართა ზარი დაეცა. მერმე ფეშანგ ორმოცდაათი თურანელი ფალავანი დაარჩია და გამოგზავნა საამის საომრად.

და რა მიუახლოვდეს, აგრე შემოუტევენეს და შუაზედა შეიგდეს საამ საომრად. და უშენდა, მკერდი გამოსიჟა, ჰანგი გაიმახუნა, ლომივითა გაიბერა, წააფრინდა, მოჰკრა-მოჰკრა კელი და ერთმანერთსა შემოაწყვიდა. და ორმოცდაათისაგან ოცდაათი მოკლა და სხუანი გარდაიხუეუნეს. მერმე ასი სხუა გამოგზავნა. მოუხდეს მღაღობელნი, მკდარნი ვითა, და გავარდა ნიანგივითა, ერთმანერთსა შემოაწყვიდინა და შემოახანა, და ორმოცდაათი მოკლა და ორმოცდაათი გარდაეხუეუნა. ამაზედა ველარავინ დაიმორჩილა. ფეშანგ, რომემცა საამის საომრად წამოსულიყო, და ერთპირად სამი ათასმან კაცმან შემოუტევენა და მოეხვივნეს, შეიქნა ასეთი ზახილი, ქეზა, გრგვინვა და ქუხილი, რომე აღარა გაიგნებოდა რა ზარისაგან. ფერკთა ქუეშე მიწა ექანებოდა და დაღალულნი, ნომარნი იყუნეს ორნივე ქიშუარნი, და უფროსსაცა კაცსა თავი და წელნი დაკოდილსა აეხუევიდა და ასეთი ძლიე ცხენზედა ემართის.

აგრე იგურგვინვა საამ და მისი ლახტი სამჯერ თავსა შემოივლო, და მერმე მოიქნევა და შორს, სადაცა დიდი ჯარი იდგა, იქი შესტყორცნა. და რა დე-

ცა, ტარი მოხუდა, ტარმან მოკლა და, რასაცა თავი ეცა, თავმან მოკლის. მერმე-
ქრმალი გამოიწუადა და მითი დაუწყო კოცა, სადაცა ლახტა იდვა, მუნით მას
მიმართა და კოცდა. და, რა ლახტისა თანა მივიდა, აგრე კელი მოკრა, ალ-
და სხუაგნით შემოსტყორცა და ისრევე დაქოცა ლახტითა, და გამოიწუადა
ქრმალი და, სითაცა ლახტი იდუა, მუნით წავიდა და სროლა დაუწყო და ასრე
დააფრთხუნა, როგორაცა კანჭრისა ჯოგი მყურიარსა ლომსა ფრთხებოდეს. და
რა ლახტსა თანა მივიდა, კარნი უყუეს. შეხედნა, საამ ფეშანგს თუალი მოკი-
და. ეტლისაგანცა უმაღელ ფათეცხდა, წაირბინა, მიეწიენა ფეშანგს და ქამარ-
წინნასა კელი ჩაუგდო და უკუმოწიენა; შიგან გაწყდა ქამარ-წინჩი, დასტურა-
ვეშაპისა პირსა ფეშანგი და ისრე გარდაიხუენა, წავიდა, რომე თუალი ვერა-
ვინ მოკიდა, და თურანის ზღუასაყენ დაჰყარა პირი.

რა თურანელთა ნიანგის წასულა შეიგნეს, აგრე გახდა თქარნი და გაიქცეს
სამასი ათასი კაცი, მიეწეოდინან და ჯოცდინან, ჩამოყრიდინან, ამოსწყვიტეს
და ასრე მინდორი მძორითა აიესო, დაიფორიაქეს ბარგი და კარეები, საივანე-
ბი, ოთადნი ყულაი შაჰა მანუჩარს წინაშე მოიღეს და თულუწდომსა მინ-
დორსა შიგან დაყარეს, რაცა უკეთესი იყო. მანუჩარ დაიჭირა, ნახევარი სამს
მისცა და ნახევარი ლაშქართა ზედა გაყო. დამდიდრდეს, ასრე რომე პირთამდის
აიგნეს. და საამს ფალავანსა მრავალი ქება შეასხეს და ყულაი მას ლოცვიდა.

აქა დეენი გამოვიდეს საომრად

აგრე მანუჩარ და საამ ფალავანი აეკაზმნეს გამარჯვებულნი, ნომარნი და
მხიარულნი შესხდეს, და ჰკრეს და წამოვიდეს: იარეს და ამულსა მოვიდეს და
შევიდეს ქალაქად და მოქალაქენი თავსა წითელსა და თულსა აყრიდეს. და რა
დარბაზს შევიდეს, აგრე მანუჩარ მძიმე ტახტზედა დაჯდა და დიდი პურობა და
ნადიმობა შეიქნა, და არცაღა საამ გაუშუა და ყოველთა დღეთა ამოთა მგოსან-
თა, მეჩანგეთა და მუტრიბთა თანა გამოისუენეს და წაჰხადეს კელი სოფელსა,
და მისცეს თავი ლხინსა და არავინ იყო მათი მეუნებლუ.

გამოჩნდეს დეენი. პირველად უთრუთ ამოწყვიტნა და ნარიმან. მათი ნა-
თესავი დარჩა ყათისა მთაშიგან ერთი, ქაჯვაჯინ დევისა ნათესავი. დარჩომილს
რობინ ერქუა. ერთი ჭინიბიჯის დევის ნათესავი დარჩომილიყო, თუნდი ერქუა,
და რა ესენი დაიზარდნეს, ასრე რომე ფალავნობა და ჰერჯი ყულაი შეეძლო,
აგრე დასხდეს, და ივაზირეს და ასრე გამოირჩიეს, ვითა: თემი და ქვეყანა ჩვე-
ნი იყო, პირველად პაპათა და მამათა ჩვენთა ჰქონებია და ადამის ნათესავი
ძობდომიან და ამოუწყურებრან, თემი და ქვეყანა ყულაი მათ დაუქირავს და
აქამდის მათ აქუს. აწე, თუ ჩვენ ახალმოწიფულნი ვართ, ამისთანა დიდროვანი
ტანები გუაქუს, აქა ყათისა მთაშიგან რასა ვიქთ, წავიდეთ, თემი და ქვეყანა
ჩვენავე დავიჭიროთ!

რა ესე რჩევე დაათავეს, აგრე დააპირეს თემისა და ქუეყნისა ამოწყურება
და დაჭირა. აგრე მოიყუანეს ერთი დევი, დაშუშად გაგზავნეს და ასრე დავედ-
რეს, ვითა: წადი და სრულად თემი და ქუეყანა ყულაი დაიარე და გასინჯე,
თუ როგორი არის, ანუ როგორი პატრონები არის და რა ფალავნობა გუმარ-
თებს. მათი ომი სასაქელია თუ არა.

ესე საუბარი დაამტკიცეს. აგრე წამოვიდა დაშუშად, იარა და თურანს მო-
ვიდა. ფეშანგ შინა არა დაუხუდა, და გამოიარა თურანი, და იარა და ერანს მო-

ქ-და. და გამოიარა ერანისა სახლი და. სადაცა ფეშანგი იყო, იქი მოვიდა. და შევიდა ლაშქარშიგან. დევი დაშუშად იარებოდა და ვერავინ შეიგნა. აგრე დიახრა თურანელთა ლაშქარი და ერანელთა, და ყუალაი დასინჯა და მათსა ომსაცა დახუდა.

რა სამ მოედანშიგან მოსული ნახა, დაეზარნა და გაკვირვებისა ვეღარა შეიგნა. რა მისი ლახტი დაინახა, ასრე თქუა: დევი ეს არის. ჩვენნი პატრონნი ცულად იზიდვენ. ამისი დარი ვერა არიან. და რა ომისა უამი მოვიდა, ომსაცა დახუდა დევი. ლახტი რომე გაავდის სამ ფალავანმან და კოცის, უფრო და უფრო უყვირდის. და მანამდის არა წავიდა დევი, ვირემდის გამარჯუება ერანელთა და გაქცევა თურანელთა არა მოინახა. და რა თურანელნი გაქცეულნი და აფორიაქებულნი მოინახა. აგრე ადგა დევი და წავიდა. იარა, ყაფისა მთაშიგან მივიდა. რა თუნდი დევსა წინაშე მივიდა, სალაში მოახსენა და ქუე დასუეს. თემისა და ქვეყნისა ამბავი ჰკითხეს. დევსა, რაცა მოენახა თუალითა, უამბა, ვითა: თემისა და ქვეყნისა ამბავი ესე მოგახსენო: თუალნი მისსა უკეთესსა ვერასა ნახავს, ამოსა სულისა და სულნელსა ველი და არე ყოველივე აუვისია და ყოველთა მოწყენილთა გუნება იქი გაიშლების. თურანს ერთი პატრონი ზის, ფეშანგ ჰქვიან, და ერანის პატრონსა მანუჩარ ჰქვიან. და მე, რომე აქედალმან გამგზავნეთ, აგრე თურანს მიველ და უწინ თურანიდალმენ შეყრილიყო ფეშანგ და ერანს მოხდომოდა, და ერანის ტახტი დაევირა.

მანუჩარ სხუაგან ლაშქარსა ყოფილიყო და მათდა მოსულამდის ერანი მას დაეჭირა. მე აქედალმენ მიველ; აგრე, ისინი იქიდალმან მოუხდეს და ომი შეიქნა. და მე ორთავე ყურება დაუწყვე და სინჯუა, მაგრა ერთი ასეთი კაცი ვნახე, რომე დიდსა მადალსა შავსა მათსა უმაღლე არის. და ასეთი ლახტი აქუს. რომე მისი უფროსი არ იქნების და ასეთი ვმა უც, რომე, რა დაიზახებს, ყუალაი ათროლდების, და თავი დიდსა გუმბადსა უგავს. და სრულად თურანელნი მარტომან ამოწყვიდა და გააქცივა. მერმე ვიკითხე, თუ: რომლისა გუარისა არის. ასრე მიამბეს, ვითა: უთრუთისა და ნარიმანისა გუარისა არის, დენი რომე ამოსწყვიტნეს. და მას სახელად საამ ჰქვიან და საკვირველი კაცი არის.

რა თუნდი დევმან და რობინ დევმან გაიგონეს ესე დევისაგან ნაუბარი, აგრე ლაშქრისათვის ყუალჯნით კაცი გაგზავნეს. მრავალი დევი მოვიდა, ექვსასი ათასი დევი გამოვიდა. აგრე გამოდგეს და ასრე თქვეს, ვითა: ამა ყუალასა დევებსა რას ვაქნეთ, ორასი ათასი მეომარი დევი დავარჩიოთ, ჩვენ წავიდეთ, წინა დამდგომი ვინა იქნების.

აგრე დაარჩიეს ორასი ათასი მეომარი დევი. აეკაზნეს და წავიდეს მძიბითა იარალითა. და თუნდი დევსა ას ოცი ადლი სიმაღლე ჰქონდა. და რობინს ასდაათი სიმაღლე ჰქონდა, დიდროვანნი, სხელი ქანდრები მოელო და თვითოსა ქანდარზედა შეიდ-შვიდი გულაზი წამოეცვა, ერთმანერთსა უკანა, და ისეთი მვარსა შეედვა და ეგეთნი წამოვიდნეს და, რომელიცა უმცროსი იყო, ოცდაათი სიმაღლე მათცა ჰქონდის. და ესეთნი პირცეცხლიანი წამოვიდეს. ზოგსა დიდროვანნი ლოდები აეკიდა, ისი მოჰქონდა; ზოგსა დევსა დათვისა ტყავი ეცუა, ზოგსა ლომისა, ზოგსა ვეფხისა ტყავი, ზოგსა მგლისა; ყუალასა დიდროვანი ზანზალაკები ეკიდა, და ქუეები დაუჭურეტია და შიგან ლომისა ტყავი გაეველო, და ერთმანერთზედა უკუეცუეს და ასეთი მოაქუს. და ასეთი მოცვი-

ვიან და მოდიან. და ყუალასა ზანგა-ზუნგი მოსცივივის. იარეს და თანჯი მღორიბს მოვიდეს და თუნდი ღვემან ასრე მოახსენა: ერთმან პატრონობა ექნათ და ერთმან ფალავნობა. მერმე რობინ ღვემან ასრე მოახსენა, ვითა: შენ პატრონისა შეილი ხარ, ჭინიბიჭინის და მე—ქაჭვაჭინისა, და პატრონობა ჰქენ!

ამაზედა თუნდი ღვეი პატრონად დაჯდა და რობინ ფალავანად. და ასრე ივაზირეს, თუ: თემსა, ქვეყანასა რბევა დაუწყეთ და თუ დავიჭირვიდეთ. მერმე რობინ ასრე მოახსენა, ვითა: ნუ ამოვსწყუეტო, ჩვენი არის და ჩვენთვის დავიჭიროთ და სადაცა მანუჩარ და საამ იყუნენ, იქი მივიდეთ და ისინი დავხოცეთ და პატრონად ჩვენ დავხსნდეთ.

რა ესე ჩჩევა დაათავეს და დაამტკიცეს, აგრე იქით თანჯი მღორიბსა რომე წასულ იყუნეს, და იქაური პატრონი ყათილ არაბი იყო, მანუჩარის ყმა იყო. ღვეთა მოციქული გაუგზავნეს, ვითა: შეგვეწყვე და აღარასა გაწყენთ და, თუ არა შეგუეწყობით, იცოდით, რომე სრულად ამოგუწყუეტო! ამაზედა ყათილ არაბი შეეწყო და მრავალი საჩუქარი, სასმელი და საკამანდი გაუგზავნა. აღარა აწყინეს რა. იმა ღამესა ყათილ არაბმან წიგნი დაწერა მანუჩარსა წინამე და საამსა წინაშე, და მისცა ერთსა კაცსა და გაგზავნა.

რა გათენდა, აიყარნეს მუნით და, სადაცა შენობა იყვის, გაიარინ და არა აწყინინა რა. და თავის-თავის იჭირვიდიან. ასანე იარეს. მისრეთის პატრონი ჯაითმაზ იყო, აფთინის შეილი. კიდე ფრიდონის ნათესავი იყო და, რა მიახლოვდეს, ერთი ღვეი გაუგზავნეს ყაითმაზს, ვითა: შეგუეწყუეთო, თუარე ამოგუწყვედ! ამაზედა ყაითმაზ შეეწყო და მრავალი საკამანდი, სასმელი და საჩუქარი გაუგზავნა. და ესრე შესთულა, ვითა: მანუჩარ მტერი არის და, რასაცა მიასახიებთ, მაზედან ღიდათ დაგიმადლებთ. ამაზედა ღვენიცა შეეწყუეს ყაითმაზს.

აგრე ყათილის გაგზავნილი კაცი მივიდა მანუჩარს და საამს წინაშე. ამულსა იყუნენ და საეარდემია ნადიმად სხდეს. სამსა დღესა და ღამესა ესუა. და საამ, ღიდი მღელვარე ზღუა ვითა გაშლილი იყო. და საეარდის ბაღრასა შიგან მიღმა და მოღმა იარებოდა, ღვინისაგან ალერსისა დაწუნი წითლისა მღორიბულისა ლალისა ფერად შეჰქროდა, ღვინითა გამძღარიყო და ბუხრითა გატენილი მღლად ამას იზახდა: ვაი, ჩემნი შკლავნი და ჩემი მძიმე ლახტი, დახამებულთა საეარდესა შინა ჰყრიან, და კრულიმცა უმოედანოდ ნადიმი, საეარდე, გულოვანთა ფალავანთათვის ღიდი მეჭლიში იყო და პურობა გამართული. და ისხდა ერანელნი თავადნი ალყად გარეშემო. და ყოველი მუტრიბი და მგოსანი ისხდა, და უცხო ფერისა ჩანგისა ძალსა ჳმასა მოზიდიან და ამოსა იადონსა ჳმასა შეუხმობდიან, და ყირმიზისა ლალისა ფერსა ხომგუარიანსა ღვინოსა სმიდეს და ისრე გამოისუენებდეს. და საამ ფალავანმან ღიდი [ღოს]ტაქანი აივსო და დალოა.

აგრე ყათილი არაბისა მონა მოდგა კართა ზედა, აქლემსა იჯდა და ორმოცისა დღისა გზა ევლო. მეფარდაგისაგან გზა ითხოვა. კარზედა დააყენა; შევიდა, ჳელმწიფისა მოახსენა მეფარდაგემან. შემოყუნება უბრძანა. შემოვიდა. მონამან ჩოქი დაივლო, წიგნი მიართუა. რა წაიკითხა, მეტის წყენისაგან ჳყუა წაუვიდა, პირი ზაფრანისა ფერად გაუხდა. საამ ფალავანმან შეხედა და გაუკვირდა და ასრე თქუა, თუ, რა წაეკიდაო ჳელმწიფესაო. მაშინცა ღოსტაქანი კიდევე შესუა, ადგა და ჩოქითა ჳელმწიფესა წინა მიუჯდა. და ამბავსა კითხვა დაუწყო. მანუჩარ ჳელმწიფემან საამს წიგნი მისცა და ამბავიცა უამბა. ჳკითხეს მოამბესა, ვითა: მოდიან, ვინ არის მათი პატრონი, რაოდენი ღვეი არის, რომე

გასმოლდეს, რომლისა გუარისა არიან მათი პატრონი. მოახსენა მოამბემან, ვითა: ორასი ათასი ღვეი არის, ჭინიბიჭინის ნათესავე თუნდი არის და ქაჭვავინის ნათესავე რობინ არის. საამ ჰკითხა: აწე რა იქნების? მონამან მოახსენა: აქეთ მოდიან. ჰკითხეს, თუ: ყათილ არაბმან რა ქნა? მან მოახსენა: ისი შეეწყო და მე აქეთ გამომაგზავნა თქვენს წინაშე, და ყათილ ღვეთა თანა წამოიტანეს. და მე თქვენს წინაშე ვარ და აღარა ვიცი რა, თუ რასა იქმონენ.

რა ესე ამბავი მოისმინა საამ ფალავანმან, საწუთროსა დამბადებელისა სა-
ტელი მრავალჭერ ახსენა ფალავნურითა ენითა და ასრე მოახსენა მანუჩარს, ვითა: ჰკლმწიფე ნებიერი უნდა და გუნება შეუწყინარი. და ნიადაგმცა მხიარულსა ეტლსა ზედა ზიხარათ. მაგისტვისს ნუ შეიჭირვებთ, თუ ღვეთა მოუმართე-
ბიათ. და მე ერანისათვის საწუთროსა დამბადებელსა მზლუარად და ზლუდელ გაუჩენივარ, დიდი, მჭარგაშლილი ფასკუნჯი ვითა სავარდემიგან მიღმა და მიღმა ვიარები და ყირმიზი, ხომგუარი ღვინო მისუამს და ამითა ლხინითა გამომისუვენებია და ყულათა მეჩანგეთა თანა ჩემი კერძი სოფლისათვის არა მიმინებებია რა. აწე უამი არის, რომე ჩემსა მძიმესა ლახტსა კელი მიპყყო და, რაცა პაპათა და მამათა ჩემთა უქნია ღვეთათვის და უყოფია, იგივე მე უყო. სავარდისა მოალერსენი იადონნი და ბულბულნი არიან, ვინ მე და ვინ ჩემი მძიმე ლახტი, რომე მე ესე ყულაი რანი არის და თავმოხდით ცულად მიღმა და მოღმა გორავს, და მისი შესახფერი და მოალერსე დიდი მაღალი მთა არის და კლდე, რომე ომისა უამისა ქუხილისაგან თრთოდეს და სიზმარადაცა ისრე მზმანებია, რომე მათი აღსასრული მე ვიყო. და რაცა უთრუთს ფალავანს უქმნია ღვეთა ზედა, იგივე მე მოვაწივო მათ ზედა საწუთროსა დამბადებელისა შეწევ-
ნითა, კელმწიფისა ბედნიერობითა.

რა მანუჩარ საამისაგან ესე იმედი გაიგონა, კოკობი, ყირმიზი ვარდივითა გაიშალა და საკელმწიფო ქუდი მოიხადა, და პირი მიწასა გააერთა, წმოდისა მოწყალისა მადლითა მრავალჭერ დალოცა და ქებასა შეასხმიდა, ვითა: ბასანელთა მეცნიერთაცა არა შეუძლია შენისა ქებისა სახისა გამოსახვა, გულოვანთა მამათა ფალავანთა პირისა იწყალსა ამავებელო, შენითა შიშითა მაღალი ეტლი თავმოხდით ფიქალთა შიგან ვერა ბრუნავს, და ნიანგთა ზლუასა შიგან შენი სახელი ჳრმალსა და ლახტსა ზედა უწერიან, რა ჳრმალი გამოიწუადი, შენითა შიშითა ღრუბელი სისხლსა¹ წვიმს. მაღალო ზაულელო ფალავანო, ხელმწიფეთა იადგარო, ტახტისა და გვირგვინისა დამნერგველო და ზლუდეო, ნუმცა დაიკარგვის სახელი შენი უყუნისამდის თავმოხდით სახელმაღალო, ღრუბელთა შესწორებულო! აგრე საამ ფალავანმან დაბლად მანუჩარს წინაშე ფარვანი მოიხადა და ლაშქრისა მოსასწრაფელად კაცები გაგზავნეს.

იარეს და ყოველგნით აცნობეს. შეიყარნეს, წამოვიდეს ამუ[ლსა] და მოვიდეს, შეიქნა ხმა ნალარისა და შტვირისა, და დადგეს მრავალფერნი კარავნი და სარა ფარდანი... [სა]ივანე ედგა. მაშიგან მძიმე ტახტი და მაზედა იქდა. მარჯვესა მხარსა საამ ფალავანი იქდა და ერთობილთა სპადართა პირ-მიწა-დადებით სალაში მოახსენეს. და მას ლამესა დადგეს მუნ.

რა გათენდა, აგრე შეიქნა ხმა ქოსისა და ნალარისა. და ყარან იანგარიზა და სამასი ათასი მეომარი კაცი გამოვიდა. და მანუჩარ მისი შვილი ნავზარ მოიყუნა, ვითა: შენ აქა იყავ და ტახტი გაამაგრე, და ამა ლაშქრისაგან ასი ათას

¹ აქედან ვსარგებლობთ S—1594 ხელნაწერით ფ. 139^რ. H—921 ხელნაწერს ეს ნაწილი აკლია.

კაცს შენ დაგიყრი. კარგად, ფრთხილად იყავით, თურანის ზვისაყენ გუშავსა ნუ მოიშლით, ნურცა დღისით და ნურცა ღამით. დაშუშებითა ამბავსა სცნობდეთ. და რა ესე გაათავეს, ისი ორასი ათასი კაცი გაყუეს. ორმოცდაათი ათასი კაცითა წინა მავალად ყარან და ყუბად გაგზავნეს, მას უქანით ქიშვიდ და მისი შვილი გოდერძი წაატანეს ორმოცდაათი ათასითა კაცითა. მერმე მას უქანით საამ ფალავანი წავიდა მისითა ორმოცდაათი ათასითა კაცითა, და მისი ღროშა წინა-წინ გაიძღვანა; და მათ უქანით მანუჩარ წავიდა ორმოცდაათი ათასითა კაცითა და ქაიანთა ღროშა წინა გაიძღვანა და წავიდეს. თვითოსა ყოშუმსა შუა-ზედა თითოსა დღისა სავალი იყვის. როდეს დეუნი მღერბის მოსულიყუნეს, ყათილ არაბი თანა წამოეტანა დეუთა, მას უქანით თანა იახლა გვერდსა.

დღესა ერთსა თავისა ოთღშიგან იყო ხალვითად ყათილ არაბი. და ნაღვლიანად იყო, ამისთვის რომე სრულად თემი და ქუეყანა დეუთა დაუქირაეთ და ჭერეთ მანუჩარის ხმა არა სადა გაჩნდა. და ამას იტყოდა გულშიგან, ვითა: ეგების ჩემი გაგზავნილი კაცი არა მივიდა, ეგების საამს რამე სჭირდეს და მისთვის არა გამორჩნდა მათი ამბავი. ესე საქმე მისთა ვაზირთაცა ჰკითხა ყათილ არაბმან და ასრეცა ივაზირეს, თუ: ერთი მალე ფაიქიცა გავგზავნოთ და მართალზედა ამბავიც შეიგნას და კიდეცა გვაცნობოს. და დეუთაცა უვაზირებ, ვითა: ერთი დეუი მოციქულად გაგზავნონ და საამ ფალავანი ნახოს და მათცა შეიგნან მისი ფალავნობა.

როგორაცა ესე რჩევა დაამტკიცეს, აგრე ერთი ფაიქი გაგზავნეს ყათილ არაბმან მანუჩარს წინაშე და, რაცა მოენახა დეუთაგან, ყუელია შეუთვალა. და აღდა ყათილი არაბი თუნდი დეუსა და რომინ დეუსა წინაშე მოვიდა, სალამი მოახსენა ყათილი არაბმან და ასრე მოახსენა თუნდი დეუსა და რომინ დეუსა, ვითა: თემი და ქუეყანა ყუელია დაგიჭირავს და ერთი დეუი გაგზავნეთ მანუჩარს და საამს წინაშე, და ესე შეუთვალეთ, ვითა: თემი და ქვეყანა მკვიდრად ჩვენი არის, აწე კიდეცა დაგიჭირავს და არცა დაგანებებთ!

რა ყათილი არაბისაგან დეუთა ესე ნაუბარი გაიგონეს, აგრე დაუმადლეს ყათილი არაბსა და მადლი გარდისხადეს. აგრე უნდა, რასაცა შენ ბრძანებთ. მოიყუანეს მოციქული გასაგზავნელად, ერთი დეუი პირცეცხლიანი, სახელად თალამანჯი ჰქვიან. დაწერეს წიგნი, ვითა: თემი და ქუეყანა ყუელია ჩვენი არის და ჩვენთა პაპათაგან ხელის ძალითა წაურთმევია თქვენთა პაპათა. და აწე ყუელია ჩვენ დაგიჭირავს და არა დაგანებებთ. რაცა აქამდის მოგიჰამია, მასაცა მოგვეცემთ, კარგია, თვარემ არცა ერთსა ცოცხალსა არ გაგიშვებთ! და რა გაათავეს წიგნი, მისცეს თალამანჯის და გაგზავნეს, ორმოცი დეუი სხვა წაატანეს თანა. წავიდეს მოციქული მანუჩარს წინაშე. იარეს და პირველად ყომუნი რომე იყო გაგზავნილი, ყარა... მიხედეს დეუნი მოციქულად, რომე მივიდ... ლაშქართა დეუთა უცხოფერობა ყუელია ქუეითად მოვიდოდა, და ყუელასა ზანზაკეები ება და ისეთი ჩანდრა-ბუხად მოდიოდეს. და გაიარეს ლაშქარი და ერთისა დღისა სავალი იარეს. აგრე ქიშვიდ და გოდერძის ყოშუმსა მოხვდეს. აგრე გაიარეს იგეცა ერთის დღისა სავალი გზა. აგრე საამ ფალავნისა რაზმსა მიხედეს. როგორაცა ლაშქართა შიგან შევიდეს, გაუქვირდა დეუთა მათი ლაშქართა სიყეთე და საამის სიმადლე, ზრო და სიმშვენიერე. და ასრე თქუეს: დეუთა ყუულასა მავმანსა ჩვენ ესე ღიდი კაცი გვიზამს და, ვინცა ამის ხელშიგან მშვიდობით მორჩების, მამა შვილსა ნულარას უამბობს.

ამაზედა საამცა უკუმობრუნდა და მანუჩარისაკე. მოღმა უკუმობრუნდა.

თალამანჯი დეუიკა მოვიდოდა მანუჩარს წინაშე. იარეს და, როგორცა მანუ-
ჩარს რაზმსა მიახლოედეს, საამ წინა წამოიარა თალამანჯი დეუსა, და ხელმწი-
ფესა წინა მოვიდა, დეუსისა მოციქულად მოსვლა მოახსენა, მანუჩარ ხშირ კარ-
ვები, სივანები დაადგმევინა. კარებისყენეს იქით-აქეთ მრავალი ლომ-
ვეფხი და პი..... შუაზედა მძიმე ტახტი. დაჯდა ხელმწიფე მანუჩა. ჩაშარვით
მრავალი მ...ოქროს სელნი მოართვეს და მანუჩა დასვეს... მთავითა. აგრე
მოიყუანეს თალამანჯი დეუი... უკანა მოჰყუებოდა და საამის დეუსის მეტი თა...
ნეს შეარონივს და ხელმწიფესა ათაყუანეს, დასვეს.... წიგნი მოილო და მანუ-
ჩარს მიართვა მანუჩარ ვაზ[ირს] უბოძა: ვაზირმან წაიკითხა, ეთათ: თემი და
ქვეყანა ჩვენი არის, დავეიღებთ, კარგია, თვარემ თქუენცა დაგზოც და თემსა
და ქუეყანასა დავეიკირავთ!

რა ესე საუბარი გაიგონა საამ ფალავანმან, წამოიზივნა, მოჰკრა წიგნსა
[ხელი], წიგნი შუა გახივა. და თალამანჯი დეუი წამოვარდა, საამს ხელსა შე-
ეჭედნა, საამ დაჰკრა მჯილი ყბასა და პირდაღმა დასცა. როგორცა წამოდგომასა
ლა[მოდ], აგრე ქუსლი შესცა და თავი ალაგზედა დაუქრა. მანუჩარ უყიოდა:
ნულარა უზამ. ამანუჩა მოვარდა დეუი და ჩაიბრინა ლაშქარი შუა [ყბა-გა] სი-
ვებულმან მიყვიროდა და მოვიდოდა და გაჰყუ... თანა; და წავიდეს და იარეს

და ამბავს დაუ[წ]ყეს კითხვა და თამა... აწ ასრე თავის ყბაცა უჩვენა გასიგე-
ბული და... და ივიცა უამბა საამისი ესე, ვითა: ასრე აჩხ... უბედური არის, მას-
თან მოციქულისაგან როგორ მიისვლების, ლმერთმან ჩემი ფეხი კულა ნულარა
მი... ს მასთანა. ვინცაღა წაგა, პატრონია, დიდსა მალალსა გაშმაგებულსა ხირ-
ხალიანსა უარესი არის, მართალზედა იტყოდეს, რასაცა მისთვის ამბობდეს.
და რა თუნდი დეუმან და რობინ დეუმან ესე საუბარი გაიგონა
თა... ლაქინ დეუსისაგან, აგრე მხარსა ატაცინეს და კარი გამოართონივს
და წაიყუანეს, დააწვიანეს და ასი არგანი ჰკრეს, ავეთი გაუშვეს, ვითა: ჩვენთა
ლაშქართა გულსა რა... ომ გაუტეხს. აგრე აიყარნეს მუნიაღმან და, სითაცა
მანუჩარი მოვიდოდა, მუნინი გამოემართნეს. იარეს იქით იმთ და აქეთ ამთ.
და ალაგს შეიყარნეს. რა ერთმანერთი... აგრე ერთი მძალცი გორი იყო და დეუ-
ნი მანუჩა... საქვერტლად და სასინჯავედ აგრე მოდგა ერანე... საამ შუაზედა
მალალი ქანდარი... მართა... რაზმშიგან მარჯვენა და მარცხენა გაარიგეს... ლი
და ყვირილი დეეთაგან.

აქა მანუჩარ ქელმწიფის ფალავანის საამისა და თუნდი დეუსისა ომი

აგრე პირველად საომარსა ადგილსა ფალავანმან და მიღმა-მოდმა იარე-
ბოდა, დეუთა მუქარასა სთხოვდა. [აგ]რე თუნდი დეუმან ასი დეუი გამოუზახა
და მოვიდენ და... ამ წინა პირველი, რომელიცა მოვიდეს, სტაცა და მოსწყვი-
ტა ყელი და თავი, სხვასა შესტყორცა, ჰკრა და პირ... დასცა. აგრე დაუშინა და
წამსვე ასი დახოცა... თასი დეუი გამოუძახა, მოუხდეს და დაუწყეს ბრძოლა.
აქეთ მანუჩარის რაზმი დაიძრა შავი ტევრითა.... თავსა მოიხანდა საწუთროსა
დამბად....ნა და მოდგა რაზმი რაზმზედა შ.....ლი და წამოიღეს მრავალი ქვა...
ისა და ყურილისაგან... ივლებოდა რა. მკულდრისაგან გზანი შეიკრნეს და
ს..... ფალავანი იყვის. ვერა დაუდგებოდეს წინა საღამოს და კიდეცა და-

ღამდა. უკუდგეს იმ ღამეს..... ბა და ფალანგობა ერთობ უკვირდა ღეუთა. და იმ ღამეს ორგანიზეე საომრად ემზადებოდეს.

აქა საამისა და[რობინ]ღეუისა ომი

რა გათენდა, საწუთროსა მაშვენებელმან მზემან თავი ამოყო, აგრე ჰკრეს ხმა საომარი ქოსისა, კუნესა სტვირთა სარაზმოთა და ნაღარა. აგრე საომარსა ალაგსა საამ ფალანგანი მოვიდა, საწუთროსა დამბადებლისა სახელი ახსენა, და პილო ვითა უძრავად დადგა და ღეუთა მუქარასა სთხოვდა.

რა რობინ ღეუმან საამ ფალანგისა მოედანშეგან მოსვლა შეიგნა, აგრე რობინ ღეუმან თუნდი ღეუსა თა[ვი ჩა]მოუღო და პირი მოედნისაკენ ქნა. რა საამს[მოუხდა], აგინა, შეუზახხა, ლახტი გარდმოუქენიეა. საამ ფარი[იფა]რა, ფარი დაუმსხვრიეა, ჩააცდუნეა; ღეუი ქუეითად იყო. [საამ]ცა გარდამოხდა ცხენისაგან. ცხენი გაუშეა, ლახტები [გაყა]რეს და ხელდახელ შეიპედნეს და ერთობილნი ლა[შქარნი] გარე შემოაკრფეს და გაყარეს მუზარადები, დასწყუ- [იტეს ჭა]ქუისა ლამბები და ორთავე ოფლი ღვარულებ[ჩამოსდიო]და და მუხლამდის მიწაშიგან ესობოდეს. და ასეთი სული გაუშეა ღეუმან, რომე სრულად...[საამ] საწუთროსა დამბადებლისა სახელი ახსენა, ფალანგითა ენითა ადიდა საწუთროსა დამბადებლისა [სახელი] და შეეხვეწა, ასწიენა, თავისა სწორად აიყუანა, [მოიქნიეა, მიწაზედა დას]ცა, აღმასფერითა ხანჯრითა თავი მოკუეთა ღეუსა და მიწათა ზედა უპატიოდ გაავდო.

რა თუნდი ღეუმან რობინ ღეუისა სიკუდილი შეიგნა, თვალთა დაუბნელდა და საყელონი გარდ[იხიენა]. თავსა შემოიკრა და სრულად ღეუთა გლოვა დაიდგეს. ისი ღღე გლოვითა გარდაიხადეს.

ᄃᄆᄆᄆ ᄆᄆᄆ ᄆᄆᄆᄆᄆᄆᄆ

აქა დაიწყების ჯიმშილ ჯემწითის ერანის მპყრობელისა ანბაეი¹

იყო დიდი კელმწიფე, ერანის მპყრობელი ჯიმშიტ-ჯამ, რომელსა შეიღო იყალიმი დაემორჩილებინა და იმასა მსახურებდნენ. თავსა შეიღი უთარე თაჯი ეხურა, თაქსა თითოს კუთხესა თითოს იყალიმისა სახელი ეწერა, ოთხასნი ვე-ზირნი მარჯვენას მხარეს დაუსხდებოდნენ, ოთხასნი მარცხენეს მხარეს დაუსხდებოდნენ, ოთხასნი შირაზნი, ოქროს საწერელის მქონებელნი, ხანგაწვეით თავს აღგნენ, ოთხასნი მონაჯიბნი და მარსკელაუთ მრიცხველნი ისხდიან, სამას სამოცდაექვსი კელმწიფეთა ძენი, ორას ორმოცდაოთხი სარდალნი შურასას შეიღასი სვეტიანი ჰკარავის მქონენი იყვნენ, შურასას სკამებზედ ისხდიან, ასი ათასი ყულუხჩი, ასი ათასი მოახლენი, რომელიც შენებით მთუარეს ემზგავსებოდენ, ასი ათასი დავეროსნი ახლდნენ, ასი ათასიუ ჯაეაირის საყურეების მქონენი ყულუხჩნი ახლდნენ, კემწითის ჭარხანაში სანოვაავეს ეზიდებიან. ყოველს იმის ჭარხანაში სამას სამოცი ლიტრა მარილი იხარჯებოდა.

ესრეთი მოსამართლე და მოწყალე კელმწიფე იყო, რომ ხალხთ პირველნი კემწითენი აღარ ახსოვდათ. რადგან ასეთი მოსამართლე და მოწყალე კემწიფე იყო, ყოველთვის წყეული ეშმაკი შურასძიებას ცდილობდა, მაგრამ ვერა გააწყო რა.

ჯიმშიტ კემწითესა ერთი ყაფიჩი ახლდა, სახელად რიზვან ყაფიჩს უწოდდენ, დღე და ღამე გაუყრელათ კარზედ იდგა. იმ ყაფიჩს ერთი შვილი ჰყევანდა, სახელათ ზოაქს უწოდებდენ, ჯადოჭრობაში და ეშმაკობაში დახელოვნებული იყო. ეშმაკმა, რადგან სხვა ღონისძიება ვეღარ იპოვა, მას მომართა.

¹ თხზულება, როგორც ეს თანდართულ გამოკვლევაში ვაქვს აღნიშნული, იბეჭდება ს.კ. მეც. აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ხელნაწერების (H-900, S-2393, H-605-606) მიხედვით. ლიტერი A H-900 ხელნაწერს აღნიშნავს, B—S-2393 ხელნაწერს, ხოლო C—H-605-606 ხელნაწერებს.

ტექსტი ძირითადად H-900 ხელნაწერზეა დამყარებული, S-2393 ხელნაწერი ნაკეთობა ჩანს და H-605-606 ნომრებით წარმოდგენილი ხელნაწერი, უპირაქი შეცდომების გამო, ძნელად გამოსაყენებელია, მაგრამ ჩვენს მიერ ისინიც შესწავილია და საჭირო შემთხვევაში მათი წყითხევიც გათვალისწინებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერები ამა თუ იმ სიტყვის სხვადასხვა ფორმებს გუთავაზობენ. მაგალითად, A ხელნაწერში გვხვდება სიტყვა თაღარაგვიანთაღარაგვი, B-ში კი მის ნაცვლად თაღარაგვი იკითხება, ზოგჯერ გვხვდება თაღარაგვიც, რაც უფრო ახლო დგას არაბულ-სპარსულ თაღარაგვი-თან (მოზაღება და სხვ.), ამავე დროს B ხელნაწერშიც გვხვდება თაღარაგვიანთაღარაგვი და A-შიც არაა უგულვებელყოფილი თაღარაგვი. ერთნაირ-სიტყვათა სხვადასხვა ფორმების გამოყენება (სცინობს, მცინობს, მწყრთა, წყრთა და სხვ. მისთანანი) რამდენადმე ართულებს ტექსტის დადგენის საკითხს. გამოცემაში, ძირითად, A-ში გაბატონებული წყითხევი მოვაქციეთ.

ერთს დღეს კაცის სახითა შეიკვალა, თავიანთ წინასწარმეტყველის ტანი-საპოსი ჩაიკო, თეთრი წვერი სარტყელზედ ჰსცემდა, მოვიდა და ზოაქის სამ-ყოფსა სახლსა კარსა დაურაკუნა. ზუაქმა, რა კარის რეკა გაიგონა, გამოეგება და შეძახა: ვინა ხარ, რა გინდაო. ეშმაკმა უპასუხა: სტუმარი ვარო, უცხოვო. რა ამ უმზავსომ ზოაქმა იმ მოხუცებულს შეხედა, ერთი ქოხი ხელთა ეპურა და მეორეს ხელში კრიალოსანი, ზოაქს დიდათ მოეწონა, და ესეთისა ლაპარაკით ელაპარაკა, რომ ზოაქის გონება შეიპყრა და შინ შაიპატოეა.

შევიდნენ და დასხდნენ. ზოაქმა უთხრა: ეი, მოხუცებულო კაცო, მე შენ-ზედ უკაცრავათ ვარ, რომ შენი სკადრისი არა მაქუს რაო, თუ ჩემს ცხოვრე-ბას იკითხაო, ყოველ ღამესო კემწიფილამ ერთი ხონჩა საკმელი მომივა: იმითი ცოცხალვართო. ყველანი, დიდნი და მცირენი კემწიფის მოწყალებით საესენი არიან და ჩვენზედ ასე უმოწყალო არის. უშმაკმა უპასუხა: არ იციო, რა მიზეზი არისო? ზოაქმა უპასუხა: რაც არ მოგახსენე, ამის მეტი არა ვიციო. მოხუცებულმა უთხრა: მე შენთვის მომილოცაესო, შენ გახემწიფდებიო. ჩიშმიტ კემწიფუსა ტახტიდან გადმოაგდებ და იმის ალაგს შენ მიიღებო.

რა ზოაქმა ეს სიტყვები გაიგონა, დიდათ გაუოცდა: ჩემგან რით შეიძლე-ბაო ეგაო, ჩიშმიტ კემწიფე ტახტილამ გარდავაგდო და იმისს ალაგს გავემ-წიფედო, ჩამომავლობით იმისი მონა და მონაამსახურე ვარო! ბერმა კაცმა კელი გაიბრუნა ხირლის ქუეშა და ერთი წიგნი გამოიღო, ზოაქს უთხრა: ამ წიგნს ჩახედო. ზოაქმა წიგნს ჩახედა, თავისი თავი დიღს ბედნიერობაში ნახა და ჩიშმიტ კემწიფე დამკრობილი. თითონ ჩიშმიტ კემწიფის ტახტზე მკლდმარე.

რა სრულებით გაშინჯა, დიღს მზიარულეზასა მიეცა. ზოაქმა ჰკითხა: ბერო კაცო, ეს საქმე როდის იქნებოსო და ან რას იზამსო. ბერმა კაცმა უპასუხა: თუ შენ ჩემი ცნებილამ არ გახვალო, ამ ცოტა ხანს ალგისრულდებო. ზოაქმა უპასუხა: ასეთს რას მეტყვიო, რომ არ დაგჩვირო. ბერმა კაცმა უთხრა: შენა მა-მანგინი მოპკალო, ფარდავში გახვიე, ერთს ღამეს წაიღე, ჩიშმიტ კემწიფის ტახტს ქუეშ დამარხე!

ზოაქმა ამ ბერი კაცის სიტყვები იყაბულა. ბერმა კაცმა ხირლილამ ერთი ხანჯალი გამოიღო, ზოაქს მოსცა. გამოეთხოვა და წავიდა თავის მამის სასი-კვდილოთ. კემწიფის კარზედ მივიდა, დიახ ბევრს ეცადა, რომ არამხანის კარ-ზედ მისულიყო, მაგრამ ქეშიკებს ვერ შაუვიდა. ჯაღოს მანქანებით ქეშიკის სახეთ შეიკვალა, გაიარა და, სადაც თავისი მამა იყო, იქ მივიდა, ნახა, რომ გვერდზედ წააოწოლილიყო და ეძინა. თავისი ხანჯლით მსწრაფლად თავი მოპ-კვეთა და ერთ ფარდავში გახვია, წაიღო და ჩიშმიტ კემწიფის ტახტსა საქლომსა ქუეშა დამარხა, გაპობრუნდა და თითოეულად იმ ბერ კაცს უანბო.

ბერმა კაცმა დიდათ დაუმადლა და დაარიგა: დილა რომ გათენდესო, მწუ-ხარის სახით შეიკვალე, საყელო ჩამოიხიეო, ორის ჯელით თავში ცემა დაიწყეო და მამაშენი კემწიფესა სთხოვეო. კემწიფე რა ამას სცნობს, დიდათ აჩქარდება და განრისხდებო, ამიტომ რომ იმის კემწიფობაში ამისთანა საქმე არ მომხდარ-აო.

რა ბერმა კაცმა ეს სწავლები უთხრა, ზოაქმა მადლობა უთხრა, საყელო გარდისხა და თავ-პირცემით კემწიფისაკენ წავიდა. რა სიხლოვეს მიაწივა, კემწიფემ იკითხა: რა კმიანობა არისო. მოახსენეს, რომ ზოაქ არისო. ბრძანა. რომ მოიყვანეო, და მიიყვანეს. კემწიფემ ჰკითხა, რა დაგმართებიაო, ან ვისგან ჩივო. ზოაქმა მოახსენა: ეი, შეიღის იყალიმის მპყრობელო კემწიფეო, ცალს

მხარეს ხემწიფურს მოწყალებას მიჩვენებო და ცალეს მხრილამ კი მამას მიკლამო.

ამისი გამგონე კემწიფე დიდათ განარისხდა და შემოუძახა: ეი, შენ ავს მარსკვლავზედ შობილო, სხვა კაცი ვერ იპოვე, რომ ჩემთვის ცილი არ დაგეწამებინაო ჩემის კემწიფობისათვის? ზოპაქმა მეორედ თავ-პირკემით მოახსენა. რომ მე მოწამე მყავსო, რომ მამაჩემი შენ მოკალო. კემწიფემ უბრძანა: ვინა გყავსო. ზუაქ გაბრუნდა იმის მოსაყვანათ. კემწიფის ვეზირნი და კარის კაცი დიდად დაკვირვებულნი იყენენ ამ საქმეზედ. შეხედეს, რომ ზოპაქს ერთი თეთარწვერა ბერიკაცი მოყავს, ხელში ჭოხი უჭირამს და ბრჭენით მოდის. მოვიდნენ და ხემწიფეს თაყვანი-სცეს. კემწიფემ განარისხებულმა უბრძანა: ჰეი, შენ უმსგავსო, ეგ არის შენი მოწამეო. ზოპაქმა მოახსენა: ეს არისო.

კემწიფემ ბერ კაცს შეხედა. კემწიფემ იფიქრა, რომ ეს ტყუილის ცილის წამება არისო ჩემზედაო, მაგრამ ამისთანა ღირსი და წმინდა კაცი ტყუილს როგორ იტყვისო. მისი ეშმაკობა კი არ იყოდა. რომ ეშმაკი იყო. კემწიფემ უბრძანა: ჰეი, მოხუცებულო კაცო, შენ მაგას რას ემოწმებო და ან, რაც იცი. თქვიო. თავი დაუტრა და მოახსენა: კემწიფეო, მე ამის მეტი არა ვიცი რაო. რომ ზოპაქის მამა რიზენ ყაფიჩი თქუენ მოკალითო. ამისი გამგონენი ვეზირნი და კარის კაცი დიდად განარისხდნენ და უთხრეს: ჰეი, ბერო კაცო, შვიდის იყალიმის მყარობელს ქელმწიფეს ამისთანა ცილის წამებას როგორ ჰკადრებო.

ბერი კაცი, ამისი გამგონე, გაანჩხლდა, მობრუნდა და ვეზირებს მოახსენა: ეინ გეგულემათ თქუენში სწავლული და მეცნიერი, რომ მეზაასებითო და ცრუს მეძახითო. ვეზირთ უთხრეს: თუ მაგ შენს სიტყვას გაამართლებო, ჩვენ ჯიმშიტ კემწიფისაგან ხელს ავილებთო და შენ გემსახურებითო. ბერმა კაცმა უთხრა: მაგ თქვენს სიტყვაზედ მტკიცედ ზდაგახართო თუ არაო. ყველამ ფიცით არწმუნეს: თუ შენ ჰეშმარტებით გვარწმუნებო, ჩვენც პირობას აღვისრულებთო.

განარისხებული წინ წადდა, კემწიფის ტახტის ქვეშა მოათხრევენა, რიზენ ყაფიჩის თავი მოკრილო, ფარდაგში გახეული ამოაღებინა, მოიტანა და ვეზირების წინ დასდევო. რა ვეზირებმა ესე იხილეს, იმედგარდაწყვეტილთა თავი დაბლა დაკიდეს და შეწუხებული დარჩნენ. კემწიფე თავის ტახტიდამ გადმოვიდა და თავის არამხანაში შებძანდა.

რა დაღამდა, თავისი ვეზირნი და მოხელენი შეჰყარა და გამოუცხადა: ამას წინათო რამდენჯერ რამლი ეყარეო. მაშინვე ვასკან, რომ მე ის კემწიფობასაც წაპართმედა და ყათლანს დამმართებდა! ესენი ასე გამოუცხადა, თითონ საკემწიფო ტანისამოსი გაიხადა, ძველ-ძული ტანისამოსი ჩაიციო, რადგან ქაბულის ქვეყანა მაგარი იყო, იქ წაჟიდა ჯიმშიტ.

ჯიმშიტ ხელმწიფე ამ მიმავლობაში დაუტეოთ და
რამდენიმე სიტყვა იმ წყეული ეშმაკისა
წარმოეთქუათ

იქ დღეს, ვინცა ვინ ჯიმშიტ კემწიფის მოხელენი იყენენ, თავ-თავის საღ-გომს წაჟიდა. კემწიფის სასახლე ცარიელი დარჩა. სამ დღეს კარზედ არავინ მოვიდა. მეოთხე დღეს ვეზირნი და მოხელენი ერთობით შეიყარნენ კემწიფის სასახლეში და ის მოხუცებულო კაცი იქ მოიყვანეს. ერთობით ჰკითხეს: ეს საქმე როგორ იყო, გვითხარიო.

ეშმაკმა თავისი მანქანებით ესდენი სიცრუე წარმოთქუა, ანდენის ხალხის

გული თავისაკენ მიიზიდა და უთხრა, რომ თქვენ ჩემთან პირობა გაქვთ, ეს უნდა აღმისრულოთ. ვეზირთა და მოხუცებულთ უთხრეს: ასეთს რას გვეტყვიო, რომ ჩვენ არ აღვასრულოთო. მოხუცებულმა უთხრა: ჩემი სიტყვა ეს არისო, რომ ჭიმშიტ კემშიფე ზოაქს უნდა მოსცეთო ხელშეკრულიო, თავის სასახლეშიო. ვეზირთ უპასუხეს: ჭიმშიტ კემშიფე გაქცეულაო, არ ვიცით, საით წასულაო. ბერმა კაცმა უპასუხა: რადგან ჭიმშიტ გაქცეულა, იმისი ტახტი და გვირგვინი ამას უნდა მისცეთო. ვეზირთ უპასუხეს: ზოაქ ჩვენს კემშიფობას ვერ შეძლებსო. ბერმა კაცმა უპასუხა: თქვენ კემშიფობა მიეცით, მე თავლები ვარ, რომ კარგათ იკემშიფოსო. თუ დააშაებებს რასმე, მე გარდავაწადეინებო.

ვეზირთა და მოხელეთა ყველამ იყაბულეს. ზოაქაქ აიყვანეს, და ტახტზე დასვეს და კემშიფობა მიულოცეს. ზოაქამაც თავისი მოხელენი თავ-თავის განწესებაზე დააყენა. შვიდს იყლიმსა ფარვანები მისწერა, თავის გახემშიფება გამოუცხადა, შვიდიც იყლიმი დაიპყრა, ესრეთ ძლიერი და უხვი, მოსამართლე კემშიფე შეიქნა, რომ ჭიმშიტ კელშიფე დააეიწყა ხალხსა. თავის სახემშიფოები რომ განაგო სრულებით, რამდენიმე ხანს უკან ჭიმშიტ კემშიფესა ძებნა დაუწყო-

ეს ანბავი აქა დაუტეოთ და მცირე რამ ჭიმშიტ კემშიფის ანბავი წარმოვსთქვათ

იმჟამად, რომ ჭიმშიტ კემშიფე ქაბულისკენ გაიქცა, რა ქაბულის სიახლოვეს მიაწია, იმ ქაბულში ერთი კემშიფე იჯდა, ამ ჭიმშიტ კემშიფისაგან იყო გახემშიფებულნი; რამდენსამე დღეს ჩანადირის გამოსულიყო და შეექცეოდა. მინდორსა შიგან იხილა ერთი ქვეითი კაცი მომავალი. სწორეთ გაშინჯა, იცნა, რომ შვიდის იყლიმის მპყრობელი ჭიმშიტ-შაპ იყო. მაშინვე ცხენილად გარდ-ძოხნა, პირ-მიწა-გაერთებით თავყანი-სცა, მოეხვია და ფეხთა აკოცა და მოახსენა: ჰეი, შვიდის იყლიმის მპყრობელო კემშიფეო, ეს რა დაგმართებიაო და ან რას განსაძღვლს შემთხვევიხარო. ჭიმშიტ-შამ უბრძანა: ჰეი, ქაბულის კემშიფეო, ახლა კითხვის ეამი არ არის, ჭერ მე წამიყვანე, დამმალე! მაშინვე ქაბულის კემშიფემა ფარვით წაიყვანა და არამხანაში დამალა.

რა საღამოს ეამი მოაწია, ქაბულის კემშიფე ჭიმშიტ-შასთან შევიდა და თავისი ვითარება ჰკითხა. ჭიმშიტ-შაპმა თავისი ვითარება ყველა წვრილათ უანბო. მერაბ-შამ რა ესე სიტყვები გაიგონა, დიდათ შეწუხდა და მაშინვე თავის არამხანაში, ერთს საიდუმლოს ალაგს დააყენა და თავისი ქალი მისცა, და იქ ფარულად ინახადა.

ეს ანბავი აქა დაუტეოთ და მცირე რამ ზოაქის ანბავი წარმოვსთქვათ

ერთსა დღესა მუნაჭიბნი და მერამელნი შემოჰყარა და უბძანა, რომ სტროლაბასა შიგან ჩახედეთო, ჭიმშიტ-შაპ რომელს ქუეყანას არისო. მუნაჭიბებმა სტროლაბში ჩახედეს, ნახეს, რომ ჭიმშიტ ქაბულის მერაბ-შაპთან წასულიყო და მოახსენეს.

მაშინვე ლაშქარი შემოიყარა და ქაბულისაკენ გაემართა. რა მერაბ-შას გაგზავნილთ ჯაშუშებმა ამ ლაშქრის მიმავლობა ნახეს, მაშინვე მივიდნენ და ჰერაბს-შას მოახსენეს. მერაბ-შამ ასე ჰსცნა, მოვიდა და ჭიმშიტს გამოუცხადა.

ქიმიტი რა ესე მოისმინა, დიდსა მწუხარებასა მიეცა და უთხრა მერაბ-შას: ის წყევლი მრავალს მწუხარებებს მაჩვენებსო. მე გამიშვი, სხვა ქვეყანას წავალო. გამოეთხოვა და ჩინეთის მხარეს გამგზავრდა ქიმიტი.

ეს ანბავი აქა დაუტეოთ და მცირე რამ ზოაქის ანბავი წარმოვსთქუათ

ზოაქმა ჭარი შემოიყარა და მანძილ-მანძილ ქაბულის ქუეყანასა მოვიდა. რა მერაბ-შამ ზოაქის მისვლა მსენა, დიდათ შეწუხდა, რომ ზოაქის მოპირდაპირე ჭარი არა ჰყვანდა, რომ შეებოდა. რომ ეელარა გააწყო რა, რამთენიმე საზემწიფო იარაღები აიღო, წამოვიდა და ზოაქს მოართო და ხელმოწლომით თავსა დაადგა.

რა ზოაქმ ეს დინახა, თავის ვეზირებსა ჰკითხა: ეს ვინ არისო. ვეზირებთ მოახსენეს: ეს ქაბულის ქემწიფე მერაბ-შა არისო, ეს ქიმიტი-შამ ქაბულში გაახემწიფაო. ზოაქ-შამ შემოხედა და უბრძანა: ეი, მერაბ-შაო, ქიმიტი. რა უყავო. მერაბ-შამ დიდის ფიცით მოახსენა: მართალია, აქ გახლდათო და თქუენი აქეთ წამობრძანება რომ შეიტყო, მაშინვე წავიდაო და არ ვიცი, რომელს მხარეს წავიდაო.

ზოაქმა რა ესე მოისმინა, მაშინვე მესტროლებს დაუძახა და უბრძანა, სტროლაბში ჩახედეთო: ქიმიტი-შა საით წასულაო და ან სად არისო. მაშინვე მესტროლებმა სტროლაბში ჩახედეს და შეიტყვეს, მოახსენეს: ჩინეთის ქვეყანას არისო.

ზოაქ-შამ რა ესე მოისმინა, დიდის ფიცით ბრძანა: *ჴი*, ქიმიტი-შაო, შენ თუ გინდაო ორბი შეიქნაო და ზეცაში ჰაფრინდე, თუ გინდ ვერცხლის წყალი შეიქნაო და მიწაში ჩაფრეო, მაინც გიპოვნო და ხელში ჩაგოგდებო. ეს სიტყვა ბძანა და იქილამ აიყარა და თავის სამყოფსა მოვიდა, და მომატებულის ჭარის თადარკი ნახეთო, რომ ჩინეთისაკენ უნდა წავიდეო.

ეს ანბავი აქა დაუტეოთ და მცირე რამ ქიმიტის კემწიფის ანბავი წარმოვთქუათ

ქიმიტი, თავის ბედის მომღურავი, ქუეყანასა სწყევლიდა და დავილოდა მინდორში უგზო-უკვლოთ; დავილოდა და არ იცოდა, თუ რა ქუეყანა იყო. ამა მწუხარებასა იყო. ნახა, რომ ამ პატარა მინდრის თავს ერთი პატარა გორა გამოჩნდა. და იმ გორაზედ ავიდა, დაღალული მიწვა და განსვენებას მიეცა. რა ამ დაღალულობისაგან მოიცალა, ნახა, რომ იმ გორის ძირზედ ერთი მწვანოვანი ალაგი იყო და უცხო წყარო გამოდიოდა, და უცხო შეენიერი ხეები იდგა იმ წყაროს გარეშემო და უცხო, შეენიერი მფრინველნი ისხდნენ და სხვასა და სხვასა ხმით გალობდნენ.

რა სრულებით თვალი მოავლო, ნახა, რომ იმ მწვანოვანსა ალაგს თორმეტი ათასი კაცი ჩამომხდარა, ურიცხვი კარგები დაუდგამთ, ლხინსა და ნადრობასა შიგან არიან. რა ქიმიტი-შამ ეს ესრეთ ნახა, თავისი კემწიფობა თვალწინ წამოუდგა და ღვიძლთაგან ერთი საზარლათ ამოიოხრა.

ეს ანბავი აქა დაუტევოთ და ცოტა რამ ანბავი ჩინეთის კემწიფისა წარმოეთქუათ

ჩინეთის კემწიფე იმ მწვანოვანსა ალაგსა ორმოცის დღის ნუზლოთ სანა-
ღირით მობძანებულყო და იქ ჩამომხდარიყო. იმეამდ კემწიფემა ქორი
მოუტრია ხოხობს და იმ ქორმა ჩინეთის კემწიფე, საცა ჭიმშიტ გორაზედ იქდა,
იმ გორაზედ აიყვანა. ჩინეთის კემწიფემა რა კაცი ნახა, დიდათ გაუკვირდა, მივი-
და და თვალს დააკვირე. სწორეთ გაშინჯა, ჭიმშიტ-შათ იცნა, დიდს გაოცებას
მიეცა, ამიტომ რომ ჭიმშიტ-შას ქვეყნილამ რამდენიმე წლის საუალი არისო.
რა სწორეთ გაშინჯა და იცნა, მაშინვე ჩინეთის კემწიფე ცხენილამ გარდნო-
და, მოვიდა და ჭიმშიტ-შას ფეხთ მოეხვია და მოახსენა: კემწიფეო, ეს
საქმე ცხადია თუ სიზმარიო. ჭიმშიტ-შამ უპასუხა: მე არ ვიციო, ვინა ქარო.
რმან მოახსენა: მე თქვენი მონა ფარუხ-შა გახლავარო, თქვენგან გახემწიფებუ-
ლიო. ჭიმშიტ-შამ უბძანა: აქ მასალათის დრო არ არისო, მე აქედან წამიყუა-
ნეო, ჩინეთში მიმიყვანე ერთს ხალვათს ალაგსაო და ჩემს ყოველს თავზედ გა-
დასავალს იქ გიანზობო.

რა ჭიმშიტ-შამ ეს სიტყვა დაასრულა, მაშინვე აიყარნენ და წავიდნენ. ჩინეთის
ქალაქსა მივიდნენ. ჭიმშიტ-შა შეიყვანა არამხანაში, ერთს უცხო ოთახში ჩამო-
ახდინა, დასო და თითონ ხელ-მოწოდოთ თავს დაადგა. რამდენსამე დღეს ასე
ემსახურა.

ერთს დღეს ჩინეთის კემწიფემ მოახსენა: პეი, კემწიფეო, ეს რა ამბავიო,
ან რა მოგვლიაო, რატომ არას მიბძანებო. ჭიმშიტ-შამაც თავისი თავის გარ-
დასავალი სულ თითოეულათ უანზო. რა ჩინეთის კემწიფემ ჭიმშიტისაგან თავი-
სი გარდასავალი შეიტყო, დიდს მწუხარებას მიეცა, მაშინვე ჩინეთის კემწიფემ,
ერთი ქალი ჰყვანდა მშვენიერი, მოიყვანა და ჭიმშიტ-შას შეერთო.

ეს ანბავი აქა დაუტევოთ და მცირე ამბავი ზოაქის წარმოვისთქუათ

ასი ათასი კაცი შემოიყარა და ჩინეთის მკარეს გაემართნენ. სვენებით
იარეს და მივიდნენ. ჩინეთის ალაგს გარდახდენ და კარები დასცეს და დადგნენ.
ზოაქმა რამდენიმე ელჩი გამოარჩია და ჩინეთის კემწიფესთან გაგზავნა და შე-
უთვალა. ში, ჩინეთის კემწიფეო, ჩვენ შევიტყვეთო, რამ ჭიმშიდ მანდ არისო.
ეგ ახლავ აქ უნდა გამოგზავნო, რამ ეგ ჩვენი მოსისხლება. მივიდნენ ჩინეთის
კემწიფესთან და, რაც ზოაქისაგან ან წიგნი, ან სიტყვა ჰქონდათ დაბარებული,
მოახსენეს.

რა ჩინეთის კემწიფემ ეს მოისმინა, დიდათ განრისხდა და ქალათებს უბრ-
ძანა ამათი თავების დაყრევინება. მაშინვე ქალათებმა გამოიყვანეს და თავები და-
აყრევინეს. ჩინეთის კემწიფემ მაშინვე თორმეტი ათასი კაცით გამოვიდა და ზო-
აქის პირდაპირ დადგა. შეიბნენ და რამდენსამე საათს უკან ჩინელნი დამარცხდ-
ნენ და გაიქცნენ, და ქალაქს მიმართეს და ჩინეთის კემწიფე ცოცხალი შეიპყ-
რეს და ზოაქს მიართვეს. მაშინვე უბრძანა:

ში, შე უმსავსო, ჭიმშიტ-შა სადა გყავსო, ის უნდა მოაყვანინო! ჩინეთის
კემწიფემა დიხა შორს დაიჭირა: მე არც არა მყავსო და არც არას მოვიყვანო.

და არც ჩვენთან მოსულაო. უბრძანა, რომ ამდენი სტანჯეს, რომ სიკვდილს მიეწურა, მაგრამ მაინც არა სთქო.

რა ეს ამბავი ჭიმშიტ-შამ შვიტყო, ჩინეთის კემწიფის ქალს უთხრა: მე ის უმგზავსო მომკლავსო და ცოდვა არის, რომ ჩემის გულსათვის იმისთანა კემწიფე მოკუდესო. შენ აქედამ წადი და ერთს ალაგს დაიმალო, რომ იმან ზელში ვერ ჩაგიგდოსო. მე ერთი შვილი მეყოლება, რომ ჩემს სისხლს ის ამოიღებსო ზოპაქისაგანაო, და ისეთს ალაგს წადიო, რომ მაგ ყმაწვილს არა აუტეხონ რაო. ეს ანდერძი დაასრულა, გამოვიდა და ცხენსა შექდა, ჭიმშიტ-შა და ზოპაქთან მოვიდა. რა ჭიმშიტ-შას მოსულა სცნეს, მივიდნენ და ზოპაქს მოახსენეს. მაშინვე მოაყვანინა და თავის წინ თავი გააგდებინეს.

იქამად ჩინეთის კემწიფის ქალის დრო მოახლოებულყო დაწოლისა და ჭიმშიტ-შა რომ მოჰკლეს, სამს დღეს უკან დაწეა ის ქალი და ერთი ვაჟი შობა, რომ მშვენივით მთვარეს ემზგავსებოდა და ფალავნობის ნიშანიც ეტყობოდა, დიდათ ჭიმშიტ-შასა გეანდა ის ყმაწვილი და სახელად ფრიდონ დაარქუეს. იმ ქალმა თავისი ქმრის ჭიმშიტ-შას ანდერძი მოიგონა, ადგა, მაშინვე აიყვანა და ერთის მხრისაკენ წავიდა.

ეს ანბავი აქ დაუტეოთ და ისევ ზოაქის ანბავი ვიწყოთ

ზოპაქ-შამ რა ჭიმშიტ-შა მოკლა, მას უკან მუნაჯიბნი დაიბარა და ჰკითხა, რომ ჩემი სიკვდილი ვისგან იქნებო. მუნაჯიბთ სტროლაბში ჩახედეს და მოახსენეს: ჩინეთის კემწიფის ქალს ჭიმშიტ-შასაგან ერთი ვაჟი ყოლებიო და შენი სიკვდილი იმისაგან იქნებო.

რა ზოპაქმა ეს გაიგონა მუნაჯიბთაგან, მაშინვე ქალათებს უბრძანა: წადითო და ჩინეთის კემწიფის არამხანაში, რაც ორსული დედაყავი იყოს, და ან ახალი დაბადებული ყმაწვილი იყოს, სულ გაწყვიტეთო! წაეიდნენ ქალათები და სულ ერთიანათ გაწყვიტეს. ზოპაქმა კიდევ დაიბარა მერამლეები და უბძანა: ნახეთ, კიდევ ჩემი საქმე როგორ იქნებო! მერამლეებმა სტროლაბში ჩახედეს და მოახსენეს: კემწიფეო, ის ყმაწვილი აქ აღარ არისო, სხუა ქუეყანას არის წასულიო.

ეს ანბავი აქა დაუტეოთ და კემწიფის ქალის ანბავი მოვისმინოთ

ეს ქალი, მიმავლობაში ყმაწვილი კელში ეპირა, ისე მივიდოდა გზაზედ-შეხედა, ნახა, ერთი შენობა დაინახა და იქ მივიდა ეს ქალი, და ერთი მოხუცებული ბებრისას მივიდა. ბებერი კარზედ გამოეგება, და შეიყვანა და დასეა. ასე დაღალულიყო და ასე შეწუხებულიყო ძუძუს წოვებითა, რომ ძუძუ გაშრობოდა და რძე აღარ ედგა. რა ამ ბებერმა ეს ყმაწვილი ასე შეწუხებული ნახა, დიდათ შეებრაღდა. ერთი ფური ჰყვანდა, მოიყვანა იმ დედაყავმა და ამ ქალს მოსცა: ამისი რძით შეინახეო.

ზოპაქის მერამლეთ რამლს ჩახედეს და შეიტყუეს, საითაც წასულიყო ის ყმაწვილი და ზოპაქს მოახსენეს. ზოპაქმა მაშინვე ჭარს უბძანა წადითო და, საცა იყოს, სულ ყოველგან მოძებნეთო! წაეიდნენ და, საცა ის ყმაწვილი იმყოფებოდა, იმ ქუეყანას მივიდნენ. ეს ჭარი საძებნელად მოეშზადნენ. ამ ბებერმა შეიტყო, მივიდა და იმ ქალს გამოუცხადა და უთხრა: ეს ფური შენთვის მომი-

„კა, აქედამ წადი და ფურით შეინახე ეგ ყმაწვილიო, რომ ამ ქარის კაცმა ხელში არ ჩაიგდოსო!

ქალი საჩქაროთ ერთი მხრისაკენ წავიდა. იმ ქუეყანას რომ ველარ იპოვნეს ის ყმაწვილი. მერამლეთ სტროლაბში ჩახედეს და შეიტყვეს, საითაც წასულიყო ის ქალი და ჭარით უკან გამოუდგნენ. ამ ქალმა მიმავლობაში შემოიხედა უკან. ნახა, რომ ჭარი მოსდევდა. ის ფური გაუშვა და თითონ, ერთი ტყე იყო, და იქ შევიდა. ის ფური იქ დარჩა და ხბო კი ამ ქალს უკან გამოეკიდა და ამ ქალთან მოვიდა. ჭარის კაცი მოეწია და ფური აკაფეს.

ეს ქალი ამ ტყეში შევიდა და გზა ველარ გაიგო. გამობრუნდა და ღმერთს ხელი შეჰყარა: ღმერთო, ეს ყმაწვილი ამ ურჯულს კელიდამ დაიხსენო! ამა ღმერთის ვედრებაში გზისაგან დამაშურალს ქალს მიემძინა და სიზმარში ნახა, რომ იქნენ აგრე შეწუხებული კარო, ჭე, მაგ ზღუაში შედი და მორჩებო. გამოვლევია ამ ქალს და ერთი საშინელი ზღუა გამოჩნდა, ახსენა ღმერთი და შევიდა ზღუაში და ასე მიდიოდა, როგორც ნიაქარი. ხბოც თან შეჰყავა.

ზოპაქის ჭარი მოვიდა და წინ ზღუა დახვდა. ველარ შებედეს და უკან გამობრუნდნენ, ცუდად დამაშვრალნი. ორისავე მხრის ჭარები შემოკრებენ ზოპაქთან და მოახსენეს თავიანთ გარდასავალი. მეტე ზოპაქმა ბრძანა: ერთი მარტოკა ყმაწვილი, საცა უნდა იყოსო, იმან რა უნდა მიყოსო! აიყარა, გაბრუნდა და თავის ქუეყანას—სპარსეთში მივიდა და დაჰდა.

ეს ანბავი აქა დაუტეოთ და ცოტა რა ისევე კემწიფის ქალის ანბავი წარმოვსთქუათ

ეს ქალი გაღმა გავიდა, მიწუა და მიემძინა. სიზმარში ნახა, რომ შენ აღექო და, იქ რომ გორა არის, იქ მიდიო. იქ ერთი კაცი არისო, დიხა წმინდა კაციო, სახელად სიმურღი აქიმი ჰქვიაო და იმას მიაბარეო ეგ ყმაწვილიო! გამოვლევია ქალს, აიყვანა ყმაწვილი და წავიდა იმ მთისაკენ, და მივიდა იმის სადგომის კარზედ, შევიდა და ის ყმაწვილი მიაბარა.

აქეთ მხარეს ზოპაქ კემწიფე ასეთი მოსამართლე და მოწყალე შეიქმნა, რომ მთელი ქუეყანა ღმერთსა და განცხრომასა მიეცა და მთელი ქუეყანა იმის ლოცვაში იყვნენ. ის ეშმაკი, რომ ზოპაქს ეეზირათ ახლდა, სულ მუდამ ცდილობდა, რომ თავის მახეში გაეგბა, მაგრამ, რასაც ურჩევდა ეშმაკი, აღარ მისდევდა ზოპაქ და რამდენსაც შემოეყრებოდა ნალათს ეტყოდა და ეუბნებოდა: შენ მამა მომაკვლევიწო და სისხლში გამრიეთო მე შენი სიტყვით ჩემს რჯულს არ გაუშვებ და შენ რჯულზედ არ მოვალო!

ერთს დღეს ზოპაქმა თავისი დიდებულნი შემოიყარა და სანადიროთ წაბძანდა. ნადირობისა შექცევითა ერთს ზღვისა პირსა მიადგნენ. ის ეეზირი ეშმაკის სახეთ შეიცვალა და მოვიდა, და ზოპაქს თავყანი-სცა და მოახსენა: ჭი, კმელეთის ღმერთო, დიდებული იყოს შენი ღმერთობა! ზოპაქ ამის გამგონე დიდათ განრისხდა და ქალათებს უბძანა: დაიჭირეთ ეგაო და თავი გავღებინეთო!

ეს ეშმაკი ამ ქალათებს კელიდამ დაუსხლტა და ჰაერში დადგა: კემწიფეო, ამას ხომ ჩემით არ ვიგონებო, თუნდა ასეთს მოწამეს მოგგვკრიო, რომ ის ადამიანის თესლისაგან არ იყოს, მეც სხვისგან მაქვს გაგონილიო. გამობრუნდა ის ეშმაკი და ზღუისაკენ პირი ქნა, რაღაცა შეულოცა და ზღვიდამ დიდროვანმა

თეზებმა თავები ამოყვეს და იმათაც უმოწმეს. ზოპაქმა რა ეს ასე ნახა. დიდად გამხიარულდა თავის ვუნებაში. ამობაში ნადირობაც მოიშალა, და დაბრუნდნენ და წაეიდნენ შინა და ზოპაქ თავის ტახტსა დაბანდა.

ის ეშმაკი მზარეულის სახედ შეიცვალა, მოვიდა, კემწიფე დალოცა და ქება შეასხა და კემწიფის სიხლოვეს დადგა. ზოპაქმა რა ეს გაიგონა ამისაგან, დიდათ მოეწონა, ზე აიხედა, შეხედა და უბძანა: შენი წადილი რა არისო, მითხარ, რომ აღგისრულო! ამ ეშმაკმა ზოპაქისაგან რა ეს ბრძანებული გაიგონა, დიხს დიდათ მოხარული შეიქმნა და მოახსენა: მე ამის მეტი არა მინდა რა, მე თქუენ სულ მუდამ გაუყრელათ ვახლდე და თქუენი სამსახური აღეასრულოო. ზოპაქმა ეს სიტყვა დიხს მოუწონა და უბძანა: შენ რა ხელობა გინდა, რომ იმაში გაგაწესოო.

ეშმაკმა მოახსენა: მე მზარეულობაში დიხს გამოცდილი ვახლავარო. მაშინვე ზოპაქმა თავის ქარხანაში განაწესა და მზარეულობა მისცა. ამ ეშმაკმა, თავის ქელოვნებით ასეთს საკმელს აკეთებდა და კემწიფეს მიართმევდა ხოლმე, კემწიფეს დიხს უკვირდა და მოსწონდა. და რამდენსამე წელიწადს ამგუარათ ემსახურა.

ერთს დღეს კემწიფე ცხენზედ შექდა და აბანოში წაბძანდა. ამ ეშმაკმა კემწიფის აბანოში წაბძანება შეიტყო, მაშინვე ამ ეშმაკმა ერთი ასეთი საკმელი გააკეთა, რომ იმისთანა საკმელი არც საკმელებში იყო და არც არავის გაეგონა. მოაშზადა, წაეიდა აბანოში ამდენი დააცალა, რომ კემწიფემ ტანთ გაიხადა და შიგნით აბანოში შევიდა.

ამ ეშმაკმაც აიღო ეს საკმელები და აბანოში შიგნით შეიტანა, შეიღს ალაგს თავი დაუკრა და წინ დაუწყო. კემწიფემ უბრძანა: ეს რა არისო. ეშმაკმა მოახსენა: ჭი, კემწიფო, ეს ასეთი საუცხოო საკმელი არის, რომ ეს საკმელი აბანოში უნდა მიერთოთო. კემწიფემ რა ეს გაიგონა, საკმელი წინ დაიდგა და შეექცა საკმელსა. დიხს დიდათ მოეწონა ეს საკმელი და უბძანა ზოპაქმა: შენ ჩემზედ დიხს ბევრს ირჩები და მითხარ, რა გინდაო, რომ ის აღგისრულო!

რა ეს ეშმაკმა ზოპაქისაგან გაიგონა, დიდათ იამა და მოახსენა: მე თქუენი წყალობა არ მაკლია რა, ერთი სიტყვა მაქქს მოსახსენებელი. კემწიფემ უბძანა: თქუიო! ეშმაკმა მოახსენა: მე ამის მეტი არა მინდა რა, თქვენს ორსავ მხარზედ მაკონინეთო, მე ამის მეტი თქუენი წყალობა არა მინდა რაო. კემწიფემ ნება მისცა. ეშმაკმა პირ-მიწა-გაერთებით თავყანი-სცა, მივიდა და ორსავ მხარზედ აკოცა. ეშმაკი ადგა და გარეთ გამოვიდა და უჩინო შეიქნა.

ზოპაქს ცოტა ხანს უკან ასეთი ტეხა დაუწყო ამ ორთავ მხარმა, რომ ასე ეგონა, გახურებულს შამფურებს მიყრიანო და ორსავ მკარზედ დიდროვანი გველები ამოუეიდა. ზოპაქმა რა ეს იხილა, ასე შეიგნა, რომ გული გახეთქის ულაოდდა. შიგნით ვეღარ გასძლო, ადგა და გარეთ გამოვიდა აბანოდამ. რა ამისა და დიდებულთ ეს ასე ნახეს, დიდათ გაოცდნენ და დიდს მწუხარებას მიეცნენ და მრავალს ცდილობდნენ, რომ ერთი რამ ეშველათ, მაგრამ ვერა გააწყვეს რა. და რამდენსაც იმ გველებს ძირში ჰსკრიდნენ უფრო და უფრო დიდროვანი გამოსდიოდა, და იმ ქვეყანაში, რაც ან ექიმი იყო და ან ჭარი, ბევრს გზით ეცადნენ, მაგრამ ვერა გააწყვეს რა.

ერთს დღეს ის ეშმაკი ერთი ექიმის სახედ შეიცვალა, მოვიდა და იმ დიდებულთ უთხრა: ეს მანქანება იმ წვეულისაგან არისო. ამას თუ ასე დააცალეთო.

ეს გველები ერთაანად ყურში შეუძვრებაო და ერთი მეორეშია ტვინს გამოსწო-
ვენ და მოკლავენო.

ამისი გამგონე ზოპაქ ღიღს მწუხარებას მიეცა და უთხრა: ექიმო, მაშ, ამათ
რა ეშველებო. მოახსენა: ეგ ეშმაკის მანქანება არისო, მაგათ ეს ეშველება:
ღღეში ორი კაცი უნდა მოაკვლევინო, იმათი ტვინი მაგათ აქამო და შენ აღარას
გერჩიან და, თუ ასე არა იქო, ეგენი შენ მოგკლავენო.

მაშინვე საცდელად ორი კაცი მოიყვანეს, მოკლეს. და იმათი ტვინი მიუტა-
ნეს გველებსა. მაშინვე მისცივიდნენ ეს გველები და იმ კაცების ტვინი შექა-
შეს და თავისთინ დადგნენ. იმ ეშმაკმა მოახსენა: თუ შენი თავის სიცოცხლე
გინდა, მაგ გველებს ღღეში ორი კაცის ტვინი აქამე და შენ არას გერჩიანო და,
თუ ასე არა იქ, აგენი შენ მოგკლავენო. ეშმაკს, რაც ზოპაქის შურისძიება ელუა
გულში, აღასრულა, და გამოეთხოვა და წავიდა.

მაშინვე თავისი ამაღა შემოიყარა და უბძანა: თქვენ ახლავ წადით და
ქუეყანა სულ მოიარეთ და, საცა იმისთანა კაცი ნახოთ, რომ გამოსაყენებელი
აღარ იყოს, სულ უნდა მოიყვანოთ და ჭალათებს უნდა მიაბაროთ. მაშინვე წა-
ვიდნენ. მოახსენს და ღღეში ორს კაცს მოკვლიდნენ და გველებს აკმევდნენ. რამ-
დენიმე ხანი ამ ყოფაში იყვნენ და მეტად შეწუხდნენ. მოვიდნენ იმ ქუეყნის
ხალხნი და კემწიფეს შესჩივლეს იასაულების კელისაგან. კემწიფემ უბძანა:
ნობათი მოსდევითო და ვისაც ნობათი ერგოსო, ნობათით მოიყვანეთო და ისე
დახოკეთ! რამდენიმე ხანი ამ ყოფით გაატარეს.

ერთი მკვლელი იყო, რომ იმას სახელეთ გოვი აპანგარ ერქო. იმას ცხრა
შვილი ჰყოლოდა, შვიდი გაჰოერთმევიანათ და გველებისათვის შეეკმევიანათ.
რამდენსამე ხანს უკან კიდევ შევიდნენ იასაულები და ის შვილიც მოთხოვეს,
რომ მოგვეცი ეგეცაო, რომ უნდა დაეხოკოთ და გველებს უნდა ვაქამოთო.

გოვი აპგარ, ამისი გამგონე, გულთაგან ერთი საზარლად ამოიოხრა და
ჯულსა შიგან სთქო: ამათ დახოკას, მე უწინ მოკვდე, ის მირჩევიანო. ერთი
ქულუნგი ჰქონდა, აიღო ის და, ვინც რომ შვილებს სთხოვდა, იმას ერთი ისეთი
დაქკრა, რომ თავი შუაზედ გაუხეჩა და ჯოჯოხეთს გაამგზავრა იმისი სული. სამ-
შედლოს ტყავი იქ დააგდო, ქულუნგი ხელში აიღო და გარეთ გამოვიდა და ხმა
მალლად დაიძახა: ჩვენ შვილი აღარა დაგვრჩა და ჩემგან ზოპაქის სამსახურიც
აღარ იქნებაო. ვისაც გინდათ, ახლავ წამოღით. ჭიმშიტ შაპის შვილი მოეძებნოთ
და იმას ვემსახუროთ.

ესე თქო და ქალაქს გამოვიდა. შემოიხედა, ნახა, რომ იმ ქუეყნის ხალხნი
სულ უკან მისდევდნენ. გამობრუნდა და შვილებს დაუძახა და უთხრა: ამ ჭარის
სანი ნახეთ! იმ გოვდი აგარის შვილებს ერთსა ყარუნ და მეორეს მურდაზ ერქვა.
ნახეს, თორმეტი ათასი კაცი იყო. შვილებს სარდლობა მისცა და თითონ წინ გა-
უძღვა და წავიდნენ.

რა ესე აშბავი ზოპაქმა ჰსცნო, ღიღათ განრისხდა და თორმეტს ათას კაცს
უბძანა: ახლავ წადითო და ერთს ცოცხალს ნუ გაუშვებთო. თავები დასქე-
რათ და აქ მომიტანეთო. ესენი ამ მომავლობაში იყვნენ, ყარუნმა და მურდაზ-
მა უკან მიიხედეს, ნახეს, რომ ერთი საშინელი მტვერი გამოაჩნდა. რა მტვერი
გარდაიყარა, ნახეს, რომ თორმეტი ბაირალი გამოაჩნდა. ეს იყო ნიშანი, რომ
თორმეტი ათას კაცსა ნიშნავდა. მივიდნენ და გოვი აპგარს შეატყობინეს და
უთხრეს: ჩვენ იარაღი არა გვაქვსო, როგორ იქნებაო. მაშინ გოვდი აპგარ ადგა და
ღმერთს ხელი შექყარა და ევედრებოდა. ამა ვედრებაში მიეძინა და სიზმრათ

ნახა: ნუ გეშინიან, ადექ, შენ ჭარს სულ ყველას თითო ქუა ააღებინე და ასროლინე! გამოეღვიძა და ეს ანბავი თავის ჭარს გამოუცხადა. დიდათ იამათ. ახსენეს ლმერთი და თითოს ქუას კელი წამოაღლეს და მიპართეს იმ ჭარს. იმათაც კმალს ხელი მოივლეს, შემოუტივეს, ესროლეს თითო ქუა და ღმრთის შეწევნით ამ თითოს ქვის სროლით იმ ჭარს ყათლანი დაჰართეს. მივიდნენ და იმათი იარაღი და ცხენი დაცარცვეს. შესხდნენ და გაემართნენ.

ეს ანბავი ზოპაქს მოხსენდა. ზოპაქ დიდათ განრისხდა და ოცდაოთხი ათასი კაცი გამოუყენა უკან. მოეწივნენ გოვდი აპგარს. გაპოზრუნდენ ესენიც და შეიბნენ. ცოტა ხანს უკან გოვდი ჰაგარის ჭარი გაიქცა, მინდორსა და ბეებანსა გაიფანტნენ.

რა ომი გარდასწყდა, დამარცხებული ჭარი ერთსა ალაგსა შეიყარნენ და თქვეს, რომ ჩვენ ეს ამოღენა ხანია დავდივართ, ვისაც ეცებთ, ისიც ვერსად ვიპოვნეთ და ასე დავდივართ. მოდი. ჩვენ ასე ექნათო, რომ გოვი ჰაგარ და თავისი ორი შვილი დავიჭიროთ და ზოპაქს მივართოთ და ჩვენი დანაშაული ესთხოვოთ.

ეს ამბავი გოვდი ჰაგარმა შეიტყო, ადგა და ლოცვაზედ დადგა, დაასტანმანზი აიღო და ღმერთს ევედრებოდა. ამ ლოცვასა შიგან მიეძინა და ძილს შიგან ნახა: ადექო და, შენ წინ რომ მთა არის, მაზანდარანის მთა არის, იმას შეუღდექო! იქ აღი, ფრიდონსაც იქ იპოვნით და შენი წაღილიც აღგისრულდებაო.

რა დილა გათენდა, ეს ანბავი თავის ჭარს გამოუცხადა, შესხდნენ და იმ მთისაკენ გაემართნენ. ავიდნენ, ნახეს, ერთი მღალაო გამოჩნდა, შეხედეს: იმ მღალარს პირზედ ერთი ბრწყინვალე კაცი ზის და მას თან ერთი მშვენიერი ყმაწვილი კაცი უზის.

შეატყვეს იმ ყმაწვილს, რომ კემწიფობის ნიშნებიც ჰქონდა და ჭიმშიტ კემწიფესაც გვანდა. მოვიდა გოვი ჰაგარ და მიწას დაემხო, თაყვანი-სცა და ხელმოწლომით თავს დაადგა. რა ამ ყმაწვილმა ესენი დაინახა, უთხრა: ღი, გოვი ჰაგარ, მართალია, გზაზედ ჭაფა ბეერი ნახე, მაგრამ შენი საწადელი კი ალგისრულდაო. გოვი ჰაგარმა მოახსენა: ეი, კემწიფეო, თქვენ რა იცით, რომ მე გოვი ჰაგარ მქვიანო.

ფრიდონმა უბძანა: ვინც შენ ჩემი თავი ვაცნობა, შენი სახელიც იმან მასწავლაო. რა ესე სიტყვა დაასრულა, მაშინვე გამობრუნდა იმ თავის ოსტატს, განდგომილ კაცს, დასტური სთხოვა: ახლა კი ღრო არისო ჩემი წასვლისა. იმ განდგომილმა კაცმა აბუღმა დალოცა და თავისი კელით სარტყელი შემოარტყა, და ისმიზამი შეულოცა და რამდენიმე ისმიზამის ლოცვები ასწავლა: გამობრუნდა ერთი ალვირი ჩამოიღო და მისცა: ეს ალვირი წაიღეო და ამ ჭალაში ჩაღი და მაღალის კმით დაიძახე: ღი, პირუტყვეო, მქეცო, მე მამაჩემის სისხლის ასაღებათ მოვდივარ. თუ შენც დედიშენის სისხლის აღება გინდა, გამოდიო. გამოვა ის და ნუ შეგეშინდება. ეს ალვირი მოსდე და რქები აღმასის მზგავსი აქვს და ფრჩხილები ფოლადისაო. იმაზედ შეჭეგო და წადი!

რა ესე სიტყვა დაასრულა, თავის აბუღს გამოესალმა და იმ ჭალისაკენ გაემართნენ. თავისი გოვი ჰაგარიც თან ახლავს, და დუღაბა და გამოიყვანა ის კარი, ამოსდო ალვირი გოვი ჰაგარმა და ცხრაასი ლიტრიანი გურჯი გააკეთა იმ კარის თავის მიმგზავსებული. სახელათ იმ გურჯს ამუღი გავსაარ ფრიდონი დაარქო და ფრიდონს მიართო; შეკაზმა ეს კარი, შესხდნენ და სპარსეთისაკენ გაემართნენ.

იარე და ერთს ალაგს მოვიდნენ. შეხედეს, ნახეს, ერთი ციხე დაინახეს. დაბ მავარი იყო. იმ უმსგავსო ზოპაქისაგან იყო გაკეთებული. ჯარი ერთს ალაგს ვარდაბდინა, როგორც აბუდისაგან იყო დარიგებული. თითონ ადგა, გოვი ჰავარც თან წაიყვანა, ყარუნ. მურდაზ და კარიც თან წაიყვანა და იმ ციხეს მიმართეს.

მივიდა იმ ციხესთან. თავისი ცხრაასი ლიტრიანი გურზი კელთა აიღო ფრიდონმა და ერთი ასეთი დაქკრა იმ ციხის კარებს, რომ ხაშხაშვით ხურდა ხარშირი გახადა. მეორეს მხარეს იმ ხარმა თავისის ბასრით რქებით ერთი ბურჯი გადაქცია და შიგან შევიდნენ და ზოპაქის ტახტზე დაბმანდა ფრიდონ. რა ჯიმ-შიტ-შას დანარჩომს ტახტსა მჭლომარე ნახეს, მივიდნენ და მაშინვე ფეკთა მოეხვივნენ და ზოპაქისაგან მრავალი მწუხარებები შესჩივეს.

ზოპაქს ამუამად არამხანაში ეძინა. ამ კმინაობაზედ გამოიღვიძა და ხოჯას უთხრა: გადი გარეთ, შეიტყვე, ნახე, რა კმინაობა არის! გამოვიდა, ნახა, რომ ფრიდონ ტახტსა ზის და ბანოვანი გარს ახვევიან და სამი, ფოლადით შექურვილი ფალავანიც თავს ადგანან. გამობრუნდა ხოჯა და თითოეულად ზოპაქს მოახსენა.

ამისი გამგონე ზოპაქ, დიდათ გარისხდა, ადგა გვერდთ კმალი ეღვა, კელში აიღო და გარეთ გამოვიდა და შესძახა: ჭე, შე უმგზავსო, შენ ვინა ხარო, რომ ჩემს არაშში შამოსულხარ და ჩემს ტახტზე ზიხარო! ეს სიტყვა შესძახა და კმალი მიუშარათა დასაკრავათ.

ფრიდონმა რა ეს იხილა, მაშინვე თავის ცხრაასლიტრიანს გურზს კელი წამოავლო და ესრეთ ძლიერათ დაქკრა ზოპაქს, რომ მიწასა დაეცა და უცნობო შეიქნა. ზედ მივარდა ფრიდონ, თავის ჯინჯილებით მაგრა კელი შეუქრა.

რა ცნობას მოეგო, ნახა, რომ კელები შეკრული ჰქონდა. მოზია და დაწყვიტა, და მეორეთ კმალი დასაკრავათ მოუტანა. ფრიდონმა განრისხებულმა მეორეთაც შედგრათ დაქკრა და ცნობა დაუფანტა. ფრიდონს აბუდის ლოცვა მოაგონდა. ის ლოცვა შეულოცა, კელები მაგრა შეუქრა, ზურგზედ ტყავი ააძრო და მაგრა შეკრა და ეწადა, რომ დამავანდის მთაში ჯურღმულსა დაეტუსალებინა; მაგრამ ჯადოს მანქანებით იქილამ წაუვიდათ და განთავისუფლდა და ერთის მხარისკენ წავიდა.

ეს ანბავი ყოველს მხარეს გაისმა: ფრიდონის გახეშვიფობა. დიდს სიმხიარულეს შეუდგნენ. ასრე ეგონათ, რომ აქამდის ერთს ბნელს ალაგს ტუსადათ იყვნენ, განთავისუფლდნენ. ვინცა ვინ იმ ქუეყნის ან სარდალნი იყვნენ, სარდლები მოვიდნენ სულ ერთიანათ და ფრიდონს ხეშვიფობა მიულოცეს და თავიანთ საბრძანებელში სულ ყველგან წიგნები მიწერეს და ფრიდონს კემწიფის გახელმწიფება გამოუცხადეს, შეებასა და განცხრომასა იყვნენ.

რამდენსამე ხანს უკან სამი შვილი დაებადა. ერთს თურს უწოდებდენ და მეორეს სალმ, მესამეს ირაჯ ერქვათ. რა ეს შვილები გამოიზარდნენ, თავის დიდებულთ უბმანს: მე მწადს, რომ ეს ჩემი შვილები ისევ ჩემს სიცოცხელში თითო თითო სახელმწიფოში გაეახეშვიფონ! ამათ გამოსაცდელით ჯარები მისცა და სამნივე სანადიროთ გაისტუმრა. თითონ თავის კელოვნებით ვეშაათ იქცა და იმათი გზა შეკრა. ამ კემწიფის შვილებმა რა ეს ვეშაათ დაინახეს, უფროს ძმას უთხრეს: შენ უფროსი ძმა კარ, მიდი და შენ მოგუამორე! წავიდა თური, მივიდა ამ ვეშაათან. ამ ვეშაათს ასეთი ცეცხლი შემოაყარა, რომ ამის ორთქლს ვედარ გაუძლო და გამობრუნდა. უფროსმა ძმამ რომ ეკრა დააკლო რა, მას უკან

სალმ წავიდა—შუათანა ძმა და ვერცა რა იმან დააკლო და ისიც გამობრუნდა. მას უკან უმცროსი ძმა წავიდა ირაჯ. მივიდა ვეშაბთან და უთხრა: ჩვენ აქ ჩვენს დღეში ვეშაბი არ გვინახავსო, მე ვიცი, რომ შენ ხელოვნებით ვეშაბთ გადაქცეულქარ და ჩვენ გვეჩვენები, აქედამ გაგვეცალე ვილადა ქარო! ვეშაბმა ამ ყმაწვილის სიტყვა შეისმინა და იქილამ გაეცალა.

ეს ყმაწვილები წავიდნენ, ინალირეს და გამობრუნდნენ. ფრიდონ კემწიფეს ირაჯის ტყუა და მასლათი დიდათ მოეწონა. რამდენსამე ხანს უკან ფრიდონ კემწიფემ ლაშქარი შემოიყარა და გარეთ გამობრძანდა, და სამი ისარი ამოიღო, თავისი შვილების სახელი დასწერა და თურქესტანისაკენ გასტყორცნა, და პირველს შვილს თურს ოცდაათი ათასი კაცი გაატანა და უბრძანა: წადი, საცა ეს ისარი დაესოს, იქ გახემწიფდიო. მეორე ისარი გასტყორცნა ურუმის მკარეს, სალომიც იმას გამოუყენა და უბრძანა: შენც იქ უნდა გახემწიფდეო! ესენი გაისტუმრა და მესამე ისარი აღარ ესროლა. ირაჯ თავისთან შეინახა. იყვენენ ლხინსა და შეგებასა.

რამდენსამე ხანს უკან თურმა სალმს ურუმის ქვეყანაში წიგნი მისწერა, რომ მამა ჩვენმა ფრიდონმა ჩვენ მოგვატყუვილაო და ერანის კემწიფობა ირაჯისათვის უნდაო. სალმმა თურს მოსწერა, რომ: ჰეი, ძმაო, თუ სწორეს ამბობ. ჩვენ ჯარი უნდა შემოვიყაროთ და ირანზედ წავიდეთ, ჩვენც ძმა ირაჯ უნდა მოეპყლაოთო, რომ მამა ჩვენი იმისაგან უიმელო შეიქნას და ერანის კემწიფობა ჩვენ დაგვრჩეს, ერანი შვიდა იულიმის უპირველესი ქუეყანა არისო, რომ მამა ჩვენი ირაჯისათვის ინახამს!

ერთმანეთს ამ ძმებმა წიგნი მისწერეს. ათასი კაცი ურუმიდამ შემოიყარა. თურმაც ურიცხვი ჯარი თურქესტანიდამ შემოიყარა. ეს ორივე ჯარები ხორასნის სამქლუარში მივიდნენ. ერთი წიგნი თავიანთ მამას ფრიდონს გამოუგზავნეს, რომ ჩვენ თქვენი ნახუა გვსურს, ნება მოგვეცე ხლებოთო. ფრიდონმა ბრძანა, იმათი ნახვა არ მინადა. ისევე უკან გაბრუნდნენო, თორემ ჯარს შემოვიყარი, წავალ და ორსავ მოვკლავო. ფრიდონის წიგნი რომ მოუვიდათ თურსა და სალმსა, ეს ამბავი რომ გაიგონეს, მერათ ერთი სხვა წიგნი კიდევ მისწერეს ფრიდონს: ჭეი, ჩვენმა მამაო, ჩვენი ძმის ირაჯის ნახვა მეტათ ვესურს, თუ თქვენი ნება არ იქნება, აღარ ვიახლებითო, თუ არა და ჩვენ ძმას ირაჯს დასტური დაეციოთ ჩვენთან ვიახლოსო, რომ იმისი სიყვარულით შორიდამ გხლებივართ, ჩვენ ვნახამთ და ისევე უკან გავებრუნდებით ჩვენს ქუეყანაშიო.

ეს წიგნი ფრიდონს მიართვეს, წაიკითხეს და ირაჯმა მოახსენა: ჭეი, კემწიფეო, მე დასტური მიბოძეთ, რომ წავიდე და ჩემი ძმები ვნახო! ფრიდონმა უბრძანა: ჭეი, ჩემო სიცოცხლეო, შენი იქ წასვლა არაფერი რჩევა არისო, ამიტომ რომ ისინი შენს მუხთლობაში არიანო. ირაჯმა მოახსენა: ჩემო მოწყალეო, მე მაინც დასტური მიბოძეთო. ფრიდონს რომ არ მოეშვა, ადგა და სამოცი ათასი კაცი კარგი, ჰკვირანი ვეზირები და დიდროვანი კაცები თან გაატანა და გაისტუმრა. დარჩევა: ჭეი, ჩემო ვეზირებო, დღე და ღამ ირაჯს ნუ მოშორდებითო!

აიყარა ირაჯ თავისი ვეზირებით და თავისი ძმების ჯარში მივიდნენ. რა თავის ძმებმა ირაჯი ნახეს, ოსტატობით ერთი ჯადოს ბაღე დადგეს და ირაჯ თავის კარავში მიიყვანეს და მეჭლიში გამართეს. და იმ დღეს ლხინსა და ლეინოს შეექცნენ. რა საღამო ეამი შეიქნა, ირაჯ თავის ვეზირებით თავის კარავში მივიდა. რა დილა გათენდა, თავის ვეზირებით ადგა და თავის ძმებთან მივიდა, კიდევ მეჭლიში შეიქნა, ლხინსა და ლეინოს შეექცეოდნენ. რა საღამოს ეამი შეიქნა,

ისევ თავის ვეზირებით თავის კარავში წავიდა. რა მესამე დღილა გათენდა, ისევ წავიდნენ ირაჯ თავის ძმებთან. კიდევ საღამომდინ მეჯლიში ჰქონდათ. რა საღამო შეიქნა, თავის ვეზირებს უნდოდათ, რომ ირაჯ თავის კარავში წაეყვანათ. არ იქნა, ირაჯ იმ ღამეს თავის ძმებთან დარჩა და ვეზირები თავიანთ სადგომს წავიდნენ.

ირაჯ შუალემდინ ლზინსა იყო და მას უკან დაეძინა. საღამოა თურს უთხრა: ჯარს უთხარი, რომ აიყარნენ და წავიდნენ იმ ღამეს საღამო და თურმა ბარჯი და ფეშხანა გაისტუმრეს. თითონ ორთ მშათ ჯარი ცხენს შესხტეს და ორნი ირაჯის კარავსა შევიდნენ, კმაღს კელი მოიკრეს და ირაჯს თავი მოსჭრეს, და ერთი წიგნი დასწერეს, რომ ჭეი, მამა ჩენო, ირაჯ ჩენს თავს ირჩიე და ერანი იმას შეუნახე სახემწიფოთა. კარგს კემწიფობას იქსო! ის წიგნი თავს ქვეშ ამოუღვეს, და თითონ ცხენსა შესხდნენ, და თავიანთ ჯარებს გაუძღვენ და თავის-თავის ალაგს მივიდნენ.

რა დღილა გათენდა, ირაჯის ჯარი მივიდნენ, ნახეს, რომ ირაჯ კარავში თავ-მოკრილი, სისხლში გასკრილი ძევს. მაშინვე საყულო გარდაიხივეს, თავსა და პირსა დაიშინეს, ეპეთი ტირილი და გლოვა შეექნათ, რომ ტირილი მათი მეორეთ მოხელას გუანდა. ნახეს, რომ თავქვეშ ერთი წიგნი ედვა, აიღეს და წაიკითხეს. ასე დაეწერათ: ჭეი, მამა ჩენო, რადვან ირაჯ ჩენს თავს ირჩიენო და ერანის კემწიფობა ამას მიეციო, ჩვენც ამიტომ ასე უყავითო. რა ესე ასე შეიტყვეს, ირაჯის ჯარმა საზარლათ იგლოვეს. მას უკან ირაჯის გუამი ერთს კუბოში ჩადვეს, აქლემს აკიდეს და ფრიდონს მიართვეს. [რა] ფრიდონ კემწიფემ ეს ასე ნახა, ტახტიდამ ძირა ჩამოვარდა და საყინძი ჩამოიხია და თავ-მოწა-გაერთებით იტირა, ირაჯის გუამი რომ კუბოში იდო, ის კუბო გახსნეს. რა ფრიდონ კემწიფემ ირაჯის თავი დაინახა, აიღო ხელში, პირზედ დაიდო, ამდენი იტირა, რომ ფრიდონს გულს შემოეყარა. რა ცნობას მოეგო, ის კუბო აიღეს და ერთს სხუა სახლში დადგეს, და რამდენამე დღეს უკან შავები ჩაიცივეს და დამარხეს.

ფრიდონ კემწიფე დღე და ღამე სულ ტიროდა ირაჯის საფლავზედ. ამდენი იტირა, რომ ორიე თვალებით დაბრმავდა. რამდენსაც უშლიდენ ფრიდონ კემწიფეს, რომ ნუ სტირიო, მაინც არ იშლიდა. სულ მუდამ ტიროდა.

რამდენიმე ხანს უკან ფრიდონ კემწიფეს მახარობელი მოუვიდა, რომ ირაჯის ცოლს ქალი ეყოლაო. რა ეს გაიგონა, მაშინვე კემწიფემ ბძანა: ის ახალი დაბადებული ქალი ჩემთან მოიყვანეთო. მაშინვე კემწიფეს მოჰგვარეს. ორსავე თვალებში აყოცა და გულს მიიყრა და უბძანა, რომ წაიყვანეთ და ძიძებს მიბარეთო. წაიყვანეს, ძიძებს მიბარეს და ძიძებმაც კარგათ გაზარდეს. რა თხუთმეტის წლის შეიქნა, მოიყვანა ის ქალი და თავის ძმის წულს მისცა და ქორწილი უყო. რა ცხრა თვე გავიდა, ფრიდონ კემწიფეს კიდევ მახარობელი მოუვიდა, რომ ღმერთთ ირაჯისა ქალს ერთი ვაჟი ეყოლაო. ფრიდონს დიდათ იამა და ბძანა: ისიც აქ მოვგუარეთო და მოჰგვარეს. ის ყმაწვილი მუხლზედ დაისო.

იმყამად ერთი ჩაფარი მოვიდა და ფრიდონ კემწიფეს მოახსენა, რომ მომილოცავს თქვენი ძმის წულს ნარიმანს ერთი ვაჟი ჰყავსო. ფრიდონს დიდად იამა ეს ანბავი. ნარსი დასტიშვილი ნარიმან რომ გარსაშიბის ძმა იყო, იმყამად ისიც კემწიფის სამსახურში იყო და საფალავნოს სკამზე იჯდა. ფრიდონ კემწიფემ იმ ახალი დაბადებულის ყმაწვილის მოყვანა ბძანა. მოიყვანეს ის ყმაწვილი ერთი აქეთ კალთაზედ დაიბო და მეორე იქეთ. რადვან მრავლის ტირილით თვალებში სანათლე აღარ ჰქონდა, ღმერთს ხელი შეჰყარა და ევედრა, რომ:

ღმერთო, ერთი თვალის ჭინათლე მომეც, რომ ერთი ამ ყმაწვილების სახე თვალით გავსინშჯო. რადგან ისე გულმდღუღარეთ სთხოვა, ღმერთმაც ისმინა იმისი ვედრება და თვალში ჭინათლე მიეცა, და თვალებზედ ხელი გარდაისო და ამ ყმაწვილების სახე თვალით გაიცადა. რა სრულებით გაშინჯა ამ ყმაწვილების სახე, ირაჯის შვილს ხეწიფობის სახე ეტყობოდა. ნარიმანის შვილს შეხედა და იმას ფალავნობის სააბყრანობის სახე ეღვა. ირაჯის შვილს მანუჩარ უწოდა სახელათ. ნარიმანის ძეს საამ უწოდა სახელათ, რომ უცხო შეილდოსნობა ეტყობოდა.

მანუჩარს მეტი სახელი მინაჩერ დაარქვეს, ამიტომ რომ ფრიდონს იმისი ნახვით თვალეზი აეხილა, ამისი მიზეზით. ფრიდონს კემწიფემ თავის ღიღებულთ და ვეზირთ უბძანა, რომ ეს ასე იცოდეთო, ჩემო შვილის შვილი მანუჩარ ღიას უცხო უკვირანი და მცოდნე კემწიფე იქნება და ნარიმანის შვილი საამ ამის ტახტის პირველი ფალავანი და სააბყრანი შეიქმნებაო.

ფრიდონს კემწიფე ამეების გამგონე, დიდად გამზიარულებული იყო და ამას ამბობდა, რომ თავის მამის სისხლს მანუჩარ და საამ აიღებენო. იმათ ღიას უცხო ძიძები მოჰკვარეს და ყოველს დილაზედ კემწიფე არამში შებძანდებოდა და იმათ ნახევდა ხოლმე.

რომ ჩიშვიტ კემწიფე გაუბედურდა და იავარ იქმნა, და ქაბულის ქალაქს მივიდა, მერაბ-შამ დიდის პატივით მიიღო და თავის ქალი მისცა. იმ ქალთან ერთი ვაჟი ყოლებოდა, სახელად გოვრანგ ეწოდებინათ. გოვრანგსაც თოვრანგ უწოდოდა და თოვრანგსაც ითრით და ითრითსაც გარსაშიბ, ღიას ძლიერი და ახოვანი ფალავანი იყო.

რა გარსაშიბ ათის წლის შეიქნა, ერთს დღეს, გარსაშიბის მამას ათი სპილო ყვანდა და თვალში ება, სპილოების შემნახავმა ერთს დღეს ღვინო მომატებით დააღვეინა. რომელიც უპირველესი სპილო იყო, იმან დაწყვიტა ჩინჯილები და გარეთ გამოვარდა. სიღლით ასეთი რამ იყო, რომ ერთსა მთასა ემგზავებოდა და, რომელსაც კაცსა შეხვდებოდა, მიწასთან გაასწორებდა, და ბაზრის დუქნები სულ მართლ დაამტკრია. ბაზრის ხალხი გამოირეკა და წივილ-კივილი შეიქნა.

ამ ხმინანობაზე გარსაშიბ გარეთ გამოვიდა და იკითხა: ეს რა კმინანობა არისო. მოახსენეს: მამითქვენის ამულ სპილოს ჩინჯილები დაუწყვეტია და ამ ქალაქის ხალხი სულ გაუწყვეტია. ამისი გამგონე გარსაშიბ დიდათ განჩინდა. გამოვიდა, ერთი საშინელი ნარა გასწივა. სპილომ რა ამ ნარის ხმა გაიგონა, დიდათ განცვიფრებული აქეთ-იქით ყურება დაიწყო. რა გარსაშიბ დაინახა, შეუტრია და ეწადა, რომ ხორთუმით აეყვანა და შორს გარდაეგდო და მოეკლა.

გარსაშიბ განჩინებულმა ერთი კელი ხორთუმსა სტაცა და მეორესა კელით ერთი ასეთი მუშტი დაჰკრა თავში, რომ ტვინი გარდმოადინა და მიწასა დაეცა და მოკვდა. [რა] გარსაშიბისაგან ეს ნაქნარობა ნახეს, მივიდნენ და ითრითს მოახსენეს. ითრითმა რა ეს სცნა, მაშინვე თავის სასახლიდან გარეთ გამობძანდა, ნახა, რომ გარსაშიბ სახელოვანი სასახლისაკენ მომავლობდა. ითრით ვაექანა და გარსაშიბს სამამაცოს შუბლსა აკოცა და უთხრა: ჭეი, ჩემო სიცოცხლეო. ამგუარსა საქმეს რატომ შერებო, რომ აგიტყდეს რამე. გარსაშიბმა მოახსენა: ვამე, მაგას როგორ მიბძანებ, რომ ერთის მიწის ქიისაგან არ შევშინებულვარ და ან რა უნდა ექნა? ეს ანბავი ყოველს ქუეყანას გაისმა, რომ ითრით კემწი-

ფესა ერთი შვილი გამოუვიდაო, რომ ერთის მუშტის დაკვრით ზინდა სპილო მოკლაო.

იმჟამად, ზოპაქ რომ თილისმიდამ გაიქცა, წასულა და ფარსში იყო. ამ გარსაშიბის ანბავი ზოპაქს იქ მიუვიდა და შეიტყო, რომ ქაბული მერაბ-შასა შვილებსაგან ერთი ყმაწვილი გამოსულა, რომ დიახ შშვენიერი და ძლიერებას. მქონე არის, რომ იმისთანა არა გამოსულა რაო, და ის ყმაწვილი ასე ამბობს, რომ მე ჩიმშიტის გუარისაგან ვარო, და ჩერეც ის ყმაწვილი ათი წლისა არის. და ასეთის ძლიერების მქონეა, რომ ზინდა სპილო ერთის მუშტით დაკვრით მოკლაო. მაგრამ ამას წინათ გოვრანგს ენახა, რომ მერაბ-შას კემწიფობა ჩიმშიტ-შას შვილისათვის მიეცათ და იმისგან ერთი შვილი ყოლოდა და იმას სახელად ითრით დაარქვეს, და ითრით ქაბულის ბძანება ჰქონდა და იმჟამად კემწიფობდა.

ერთს დღეს ზოპაქმა თავისი ვეზირები და დიდებულები შემოიყარა და რჩევა ჰკითხა, რომ მინდაო ითრითს წიგნი მივსწერო და ფეშქაშებიც მინდა გაუგზავნო. თითონაც და თავისი შვილი გარსაშიბიც აქ მინდა დავიბარო და რას მტყუეთო. ეს სიტყვა დიდებულთ კარგათ მოუწონეს და მოახსენეს: დიახ კარგი იქნება. მაშინვე წიგნი მისწერეს და ფეშქაშებიც გაუგზავნეს, რომ ახლავ ჩემთან უნდა მოხვიდეთო.

რა ეს ზოპაქის წიგნი ითრითს მიუვიდა, მაშინვე თავის შვილს დაუძახა და უთხრა: შვი, ჩემო საყვარელო შვილო, იმ უსჯულოს ზოპაქს შეუტყუვია შენა ჩიმშიტის შთამომავლობა და ახლა დაუბარებივართო და რას მემართლებოდი, რომ ჩიმშიტის შთამომავლობას ამბობდიო გარსაშიბმა მოახსენა: შვი, ჩემომწყალობელო მაჰაო, იმ უმგზავსოს ზოპაქს ასეთი რა ძალი აქუსო, რომ ან შენ გაწყინოს რამეო და ან მე მომკლასო. მე როგორ დავმალო ჩიმშიტის შვილის შველობა. მე იმისი შვალის შვილიც ვარ და ვერცა არას მიზამსო!

ითრითმა უპასუხა: შვი, ჩემო საყვარელო შვილო, ჩვენ იმისგან გაფრთხილება გუმართებსო, რომ ჩიმშიტ კემწიფე როგორი ძლიერი კემწიფე იყო და ის ზოპაქ იმისი ყაფიჩიბაში იყო. ჩიმშიტ-შა გარდააგდო ინდისტანს, თავი მოსპირაო. და თითონ გახემწიფდა. გარსაშიბმა უპასუხა: შვი, მოწყალეო მამაო, თქვენა იმისი ნურა გეფიქრება რა. თუ იმან ჩვენზედ ავკაცობა და შური მოინდომა, იმის სიცოცხლის ფრინველს ამ ქვეყნიდამ გავაფრენო და უბძანა, რომ თადარიგი ნახონ წასვლისაო. ითრითმა მაშინვე ქარს წასვლა უბძანა და საუცხოო ფეშქაშებიც წაიღო ზოპაქის მისართმეველ და წავიდნენ.

მევიდნენ ზოპაქის წინაშე, ითრითმა ფეშქაშები მიართო ზოპაქს. გარდაიარა და სკამზე დაჯდა. მას უკან გარსაშიბ შემოვიდა, დიდს მთასა ემზგავსებოდა, მძიმეთ თავი დაუკრა და დადგა. რა ზოპაქმა გარსაშიბს შემოხედა, დიახ დიდათ მოეწონა იმისი ფალანგობის სახე და უბძანა: შენ სწორეთ მითხარი, ვისი შთამომავლობისა ქარო! გარსაშიბმა მოახსენა: მე არ დავმალო, მე ჩიმშიტის შთამომავლობისა ვარო, შენ ამაზე ხათრიჯამი იყავი, რომ ჩიმშიტ-შას სისხლს არ ვეძებო, ამიტომა რომა იმან თავისის ნებით დავანება კემწიფობა და ჩემმა მტრებმა აუთ არ ვაგამინჯონო, თუნდა ამაზედ გულს გარწმუნებო, რომ მე არც კემწიფობა მინდოდესო და არც კემწიფობის დავასა არა ვწევდე! მე ქაბულის ქუეყანაც მეყოფაო, ვისიც თქვენ მტერი იქნებოთ, — მტერი ვიქნები და ვისიც მოყვარე, — მოყვარეო.

რა გარსაშიბისაგან ეს სიტყვა მოისმინა ზოპაქმა, დიდს სიმზიარულეს მიეცა და ტახტიდამ ძირს ჩამოვიდა და გარსაშიბს შუბლზედ აყოცა და მოსამსახურეთ ანიშნა სკამის მოღება. მაშინვე სკამი მოიტანეს, დაუდგეს. რა სკამზე დაჯდა, სკამი დაემტვრა და მეორეთ მოუტანეს სკამი. დაჯდა და კიდევ ჩაემტვრა. ამაობაში შეიღი სკამი მოუტანეს და ვერც ერთმა ვერ დაუდგნო და სულ ყველა ალაბის სარკესავით დაიმსხვრა, ძირს ჩამოცვივდა.

რა ზოპაქმა ეს ესრეთ ნახა, ასე გახდა, რომ პირს ზაფრანა წასმულს დაემსგავსა. რა გარსაშიბმა ეს შეიტყო, მუხლზედ წამოიჩოქა და იმ სახლმა ვერცხლის წყალივით რყევა დაიწყო. მარჯვენას მხარეს ექვსი ათასი მეფეთა ძენი იდგნენ და სულ შემინდნენ, რომ სახისაგან შეიშალნენ; და მეორესა მხარეს შეიღი ათას შეიღასი ფალავანნი იდგნენ და ისინიც ასე შემინდნენ. დანარჩომი ხალხნიც მეტათ შემინდნენ. რა გარსაშიბმა ზევით აიხედა და იმათი ასე შემინება იხილა კემწიფეთს მოახსენა: ჩვენი შთამომავლობა სკამზე დაჯდომას არ არის დაჩვეულიო. ასე ძირს უნდა იჯდესო. ზოპაქმა ბძანა და მეჭლიში გამართეს, მოიდეს სუფრა და უცხო და უცხო ლეინის მწდეველნი მოვიდნენ და ლეინოს უწვდიდნენ. გარსაშიბმა თორმეტი ჯამი ერთმანეთზე დალივა. ის დღე და დამე ლხინსა და განცხრომას იყენენ. ზოპაქსა ეწადა, რომ გარსაშიბისათვის მეტი ლეინო დაეღვივებინა, მაგრამ რამდენიც დააღვივინეს, გარსაშიბს ლეინის დაღვევა არ ეტყობოდა.

ამაობაში რამდენიმე ხანი ასე გაიარეს. და ერთს დღეს ზოპაქმა უბძანა გარსაშიბს: შენი ძალი უნდა მიჩვენო, რომ შენში რა ერთი ძალი ძვესო. გარსაშიბმა მოახსენა: დიახ კარგი იქნება, ერთი კელი იარალი, როგორც მე მოვახსენო, იმისთანა გამიკეთებინეთ და მას უკან ქსენობთ ჩემს ძალსა! პირველათ ერთი შუბი უნდა გამიკეთებინათ, რომ ას სამოკთ ლიტრა იყოს, ფოლადისა. მაშინვე ზოპაქმა ოსტატებს დააძახებინა და მოაყვანიდა და უბძანა: როგორც აქან გითხრასთო, ისეთი იარალი უნდა გააკეთოთ!

გარსაშიბმა ერთი ლახტი გააკეთებინა ათას ორასი ლიტრიანი, სხვა ყოველი იარალი ამისი შესაგუარი გააკეთებინა. ერთი ფოლადის სკამი გააკეთებინა, თვალით და ჭავიარით შეამკეს, გარსაშიბის საჯდომათა, მოიტანეს და ზოპაქს მოართვეს. რა ზოპაქმა ეს სკამი გაშინჯა, დიდათ გაკვირდა. მიიტანეს, საფალავნოს უპირველეს ალაგს დაუდგეს და გარსაშიბ ზედ დასვეს. ყოველს ლხინსა და მასალათში ამ სკამზედ დაჯდებოდა ხოლმე და თავის ათას ორას ლიტრიანს ლახტზედ დაეყუდებოდა ხოლმე.

ერთს დღეს თავისი ას სამოკლიტრიანი შუბი მოატანინა და ათი სპილო მოაყვანინა, დიდროვანი და ერთმანეთზედ გადააბა. ზოპაქის დადებულნი სულ ერთიანათ თამაშათ წარმოადგნენ. გარსაშიბმა შუბი კელთა აიღო. მკლავზედ დაიტრიალა და ინავარდა. იმ ათს სპილოს ასეთი აძგერა თავებში, რომ ათსავ თავები გააყრევინა, ძირს ჩამოუცვივდათ და დაიხოცნენ. ამისი მნახველნი ზოპაქ და მისნი დიდებულნი დიდს გაოცებას და გაკვირებას მიეცნენ, ქება დიდი შეასხეს და შეიღი კელი მძიმე ხალათი უბოძა ზოპაქმა და სხუთა მრავალი წყალობაები უბოძა. გარსაშიბმა მადლობა მოახსენა: კემწიფეთ კემწიფეთო, ამას რომლის ფიცითა გინდა, იმ ფიცით შემოგფიცავო, რომ არც მე და არც ჩემმა შთამომავლობამ კემწიფობის დევა არც ერთმა არ გაეწიოთო! ამაზედ კემწიფემ გული აჯერა და წიგნიც მისცეს და იმ სიტყუაზე დააწმუნდნენ.

ამ ამბავსა შიგან, გარეთ, ერთი აყალ-მაყალი შეიქმნა. ზოპაქმა უბძანა: ეს არა ამბავია, შეიტყვეთო. ნასახჩები გამოვიდნენ და ეს კაცები შეიყვანეს. თავყანის-სტეს და მოახსენეს: კემწიფეთო, ამ რამოდენსმე ხანში, სია ქუ მთას უწოდებენ, რომელიც ითარგმნების შავი მთა, იქ ერთი ვეშაბი გამოჩნდა და, რომელიც მდინარე წყალი მოდის, იმ წყალს ერთი მოსუნთქვით შესვამს და ერთის გამოსუნთქვით გამოღვრის და, ვინც იმ წყალს სმენ, ზოგნი იხოცებიან და ზოგნი აუთ ხდებიან.

ზოპაქმა ამის გამგონემ ერთი ჭამი ღვინით აავსო და ხელში დაიჭირა და თქო: მე ასეთი ფალავანი მინდა, რომ ეს ჭამი დალიოს და წავიდეს და იმ ვეშაბის კელისაგან დაგვიხსნასო. ჩემგან დიდს წყალობას მიიღებს. ამისი პასუხი ეერავინ გასცა. ეს სიტყვა მეორეთაც გასცა და უბძანა და პასუხის გაცემა ვერავინ გაბედა. რა მესამეთა ბძანა, გარსაშიბ ფალავნობის ნამუსში ჩავარდა და ზეზედ-წამოდგა, და ჭამი გამოართო და დალივა, და მოახსენა: ღმერთის წყალობით წავალ და იმ ვეშაბს თავს მოვსჭრიო, და იმას ტყავს გავხდიო და ბაირაღათ გავავეთებო! ამის გამგონე ითრით დიდს მწუხარებას მიეცა. მეტის მწუხარებით ველარა თქო რა.

რა ზოპაქ არამზანაში წაბძანდა, ითრით მივიდა და თავის შვილს უთხრა: თუ არა მოკლამო, იმ ვეშაბის საბრძოლველად არ გაგიშვებო. იმ ღამეს გათენებამდე ელაპარაკა და ვერ დაიმორჩილა. გარსაშიბმა მოახსენა:

ჴეი, ჩემო მოწყალე მამაო, ჩემი ნურა გენადღელება, ღმერთის მოწყალეობით მე იმაზედ წავალ და კიდეც მოვკლამო! რამდენიც ეხვეწა ითრით, არ მოიშალა წასვლა და უთხრა: მე, ზოპაქის მეჭლისში დიდებულები შეყრილნი იყენენ, იქ ვსთქვი და როდილა დავიშლი! თქვენ ამაზედ ხათრიჭამი იყავით, რომ თუ არ შეშეძლოს იმისი სიკვდილი, არც დავიქადებდიო, კიდეც წავალ და კიდეც მოვკლამო.

რა დღეა გათენდა, გარსაშიბ ზე ადგა და თავის სამამაცოს იარაღით შეიკაზმა. ზოპაქისა კარზედ მივიდა და მოახსენა: მე მწადს, რომ იმ ვეშაბზედ წავიდე და მოვკლა და ამდენი ხალხი დავიხსნა იმისი კელისაგანო. ზოპაქმა უბძანა: წადი, მაგრამ ყმაწვილი ხარ, შენს თავს გაუფრთხილდიო, არა აგიტეხოს რა. გარსაშიბმა მოახსენა: ღმერთის მოწყალეობით მე კიდეც წავალ და კიდეც მოვკლამო, და იმისთანა ვეშაბი მე ვერას მიზამსო! ზოპაქმა უბძანა: ჭარი წაიყვანეო და ისე წადიო, მაგრამ გარსაშიბმა არა ჰქნა. გამოვიდა და თავის სპილოსა ამხედრდა და ვეშაბისაკენ გაემართა, ითრით და სიდასტაც ამხედრდნენ და უკან გამოუდგნენ.

რა გარსაშიბმა ესენი დაინახა, ბევრს ეხვეწა, რომ თქვენ ნუ წამოხვალთო და არა ჰქნეს, არ დაბრუნდნენ. წავიდნენ და შავი მთის სიახლოვეს მივიდნენ და სრულებით გაშინეს. იმ მთის ძირს ერთი კაცი დაინახეს. მივიდნენ და იმ კაცმა დაუძახა: ჴეი, ვინა ხარო მამავალნი, აქეთ ნუ მოხვალთო, რომ ვეშაბი აქ არისო და თუნდა ასი ათასი კაცი იყოს, ერთის შესრუტვით ჩაყლაპავსო. ამათ ჰკითხეს: ის ვეშაბა საით არისო და ან რომელს მხარეს არისო. იმ კაცმა უთხრა: მარჯვენას მხარეს არისო და ერთი აღაჯი სავალი იქნება. საშუალს ალაჯი ერთი მადარო არის და იმის ალაჯი ის არისო, იქ იბუდებსო. [გარსაშიბმა] თავის მამას ითრით უთხრა და თავის ძმას სიდასტს, რომ თქვენ აქ იყავითო და მე მარტოცა წავალო! ამათ არ იყაბულეს: არა, ჩვენც უნდა წამოვიდეთო. გარსაშიბმა არა ჰქნა: თქვენ აქ იყავითო და მე წავალ, და ღმერთს მიმბარეო, თუ ჩემი აჯალი

იმისაგან არ არის, მე იმას მოვკლამო, და ვერც არას მიზამსო. ესენი ამ მალაროსთან დატოვა და უთხრა: მე წაეალ და სამს ნარას გავსწეო: ერთს პირველად რომ ენახავო, ერთს რომ შევებმი, მაშინ გავსწეო, და ერთსაც, თუ მოვეკლამო, მაშინ გავწეო და, თუ მესამე ნარის კვა ველარ გაიგონოთ, იცოდეთ, რომ მე იმისაგან მოვკვდებიო და მერე თქვენს თავს უშველეთო!

ეს სიტყვა უთხრა, და გამოესალმა ამათ და წავიდა. რა იმ მალაროს მიახლოვდა, ნახა, რომ ერთი შავი ღიღის მთის ოდენი ვეშაპი წევს, სიღიღით ღიღის მთასა გაეს. რა გარსაშიბის ზინდა სპილომ ის დაინახა, წინ ველარ წადგა, ადგა გარსაშიბ, სპილოსაგან გარდმობდა და ჭაჭვის კალთები სარტყელში ჩაირჭო და მივიდა ვეშაპის სიახლოვეს. ერთი ასეთი ნარა გასწივა, რომ იმ ნარის ხმა ოთხს ფარსანგს გაიგონებდა;

რა ვეშაპმა ამ ნარის ხმა გაიგონა, ზევით აიხედა, თავი ღიღს გუნბათს უგუნდა, და პირი მალაროს უგუნდა და კბილები ფოლალის ზინდას უგუნდა, თვალები ანთებულს საკირესავით ენთებოდა და ქარტალი დაიწყო, და გარსაშიბისაკენ წამოვიდა, პირიდან პერულს ცეცხლსა აფრქვევდა. და გარსაშიბი მისმა ცეცხლმა დიდად შეაწუხა, თავისი ფარი მოიფარა და ღმერთს ვედრება დაუწყო, რომ ამისი ქელისაგან დამხსენო.

გარსაშიბის ფარი ასეთი ვახურდა, რომ ცეცხლივით გაწითლებას ლამობდა. სხვა ღონისძიება ველარა უყო რა, ისმიზამის ლოცვა შეულოცა და შეუბერა, და ვეშაპის პირიდან გარდმოდენილი ცეცხლი განქარდა და თავიანთკენ გაიბრუნა იქ ორთქლი. იმ ორთქლმა გარსაშიბ თავისაკენ სირბილით წაიღო ჩასანთქმელად. რამდენსაც ცდილობდა გარსაშიბ ფეხების გამაგრებასა, ასეთს მიიხუნთვებდა რომ ადგილს გუთანით ვახუნენენებდა და ისე წაიღებდა თავისკენ.

ამეამად ერთი ქუა მოხვდა ფეხს ქუემ, რომ ამ ქვის სიგრძე და სიგანე ასი ადლი იყო დარჩომილი, და იმას მიაწყო ფეხები და გაიმაგრა, მაგრამ ვეშაპმა ასეთი შეისუნთქა, რომ ის ქუა მოჰკლიჯა და სულ თრევით წაიღო თავისაკენ. გარსაშიბ იმ ქელს ნაგლეჯსა ჩახლტა, შეილდ-ისარს ბელი მიჰყო, ღმერთის საბელი ახსენა და ესროლა, მარჯვენასა თელსა ჰკრა და ფრთამდინ ზედ დაასო, მეორე ისარიც შესტყორცნა და მარცხენა თელსა ჰკრა და ფრთამდინ ზედ დაასო, მოუხდა და მეორეთ საზარელი ნარა გასწივა და გურზის დაკერას ულამოდა. ვეშაპი თვალებიდან სისხლის დენამ შეაწუხა და საზარლათ განრისხდა, მოვირდა გარსაშიბს და ბოლო ასეთი მოუქირა წელზედ, რომ გარსაშიბ სიკვდილს მიეწურა. გარსაშიბმა თავის სიმხნეს მოუმატა და თავისი გურზი ასე შედგრა დაჰკრა, რომ ტენინი და ძვალი ერთმანეთში გაურჩევა და მოკლა, და თავიდან ასეთი მყრალი ხაშმა გარდმოუშვა, რომ გარსაშიბმა იმის სიმყრალეს ველარ გაუძლო, იქიდან გაიქცა და წავიდა. წაიქცა და გულს შემოეყარა და მესამე ნარა ველარ გასწივა.

რა გარსაშიბის მამამ და ძმამ და მისთ მოსამსახურეთ მესამე ნარის კვა ველარ გაიგონეს და იმისი მამუნის თავიანთი საქდომი სპილო ცარიელი მომავალი დაინახეს, სწორეთ გული დააჭერეს, რომ გარსაშიბ ვეშაპის ქელით მომკვდარა, საყელი გარდხივეს და ტირილი დაიწყეს. თქუეს, რომ მაინც ზოჰაქს გარსაშიბისაგან ეშინოდა, თორემ დაგვხოცდა. იმის დახოცას, ჩვენც მივიდეთ, ან გარსაშიბის სისხლი ავილოთ ვეშაპისაგან და ან არა, ჩვენც იქ დავიხოცნეთო.

მაშინვე შესხდნენ ცხენებსა და წავიდნენ. მივიდნენ, ნახეს, რომ გარსაშიბს ვეშაპი მოუკლავს და დიდროვანი სისხლის ღვარები მისდიოდა, და გარსაშიბაც

გულშემოყრილი ექვთ ვეღო. რა ეს ესრეთ იხილეს, დიდს მხიარულებას მიეცნენ და მაშინვე ბუშტაროს ასუნებინეს, მაშინვე მობრუნდა გარსაშიბ. ზეზეღ-წამოღდა და მიულოცეს. წავიდა და ვეშაპს ტყავი გახადა.

რა ზოპაქს ესე ანბავი მოხსენდა, დიდათ შეწუხდა და თქო, რომ მე ასე როდის მწადლაო, რომ გარსაშიბს ვეშაპი მოეკლაო. მე, მინდოდა, რომ გარსაშიბ მოეკლაო, ამიტომ, რომ გარსაშიბ ჩიმშიტ შაპის შთამომავლობის არისო. ის სულ ყოველთვინ ჩემს სიყვილს და ღალატში არის. მე დიდი შიში მძაქუს, რომ ერთ დღეს თავისი პაპისა გულისათვინ მე მომკლავსო.

გარსაშიბ რა იქილამ წამოვიდა ზოპაქისაყენ, ზოპაქ ვეშაპის სახეთ შეიცვალა, მოვიდა და გარსაშიბს გზა შეუკრა. გარსაშიბის მსახურები ორი წინ მოდიოდნენ. ნახეს, რომ ამ მინდორში ერთი ვეშაპი ერთის ქვევიდამ ამოვიდა და ნაეარღობდა. რა ეს დანახეს, მაშინვე გამოიქცნენ და მოვიდნენ. რა ესენი გამოქცეული გარსაშიბმა დინახა, შემოსძახა: რა იცით და ან რა მოგარბენინებთ. იმათ მოახსენეს: ამ ხევს ხედავ, ერთი საშინელი ვეშაპი ამოვიდა და იმისი ამრის შესატყობრათ მოვიდვიართო.

რა ეს ამბავი გარსაშიბმა გაიგონა, მაშინვე თავისი ამული—გურზი ხელთა აიღო და ვეშაპს მიმართა და გზა შეუკრა. რა ვეშაპმა გარსაშიბ დინახა, პირილამ ცეცხლის ყრა დაუწყო. გარსაშიბმა რა ეს ესრეთ იხილა, მაშინვე იგრძნა, რომ ეს ჭადო არისო, ვეშაპათ ქცეულა და მოსულა. გარსაშიბმა თავისი ამული—გურზი თავზე შემოივლო და ეწადა, რომ ვეშაპისთვის თავსა მედგრად დაეკრა. ვეშაპმან თავისი კელოვნებით შორს გაუხლტა და თავისის სახითვე შეიქმნა, მოვიდა და გარსაშიბს კელი გარდასვა, შუბლზედ აკოცა, გარსაშიბმა რა კელმწიფე დინახა. მოახსენა: ჭვი, კემწიფეო, ეს რა საქმე იყო, რომ თქვენ განიძრახებთო. კემწიფემ უბრძანა: შენ გამოსაცდელად ვქენო. მაშინვე კემწიფემ უბრძანა და გარსაშიბის კარვები დაადგეს და შიგან დასხლენ. სულრა მოიღეს, ლხინსა და ღვინის სმასა შეექცნენ და რაჲდენიმე სამსე ჭამით ღვინო დალივეს და გაზარხოშდნენ, და საქმელს შეექცნენ და ამ ლხინსა იყენენ.

რა ცოტა ხანი გამოხდა, ზოპაქ გამოეთხოვა გარსაშიბს, გამოვიდა გარეთ, ანაზღათ ერთი ჭადო ჰქნა და ყვაავთ გარდაიქცა, აღფრინდა იქილამა და თავის სასახლესა მოვიდა და თავისავე სახით შეიკუალა. და გარსაშიბის ფალავნობა და ვეშაპის მოკვლა დიდათ მოსწონდა, და დიდს ფიქრს შევიდა გარსაშიბისაგან, და ღონე ვერსით პოვა რა. ამ ფიქრსა შინა იყო. და მოაგონდა, რომ ყაფის მთაში ერთი დევი იმყოფებოდა, სახელად მინერას ეწოდა. რომ, როდესაც დასჭირდებოდა, ასი-ათასს დევს ერთათ შემოყრიდა და თითონ ასეთი ძლიერი ფალავანი იყო, რომ იმისი კელისაგან ყაფის მთის დევები შეძრწუნებული იყენეს. ზოპაქმა ბძანა: გარსაშიბს თუ უზამს რასმე, ის დევი უზამოს, ამის მეტი ღონისძიება ვერა პოვა. მაშინვე გამოვიდა გარეთ და ერთი გრძნება ჰქნა და ორბათ გარდაიქცა, ჰაერში აფრინდა და მინერას დევისაყენ გაემართა ყაფის მთაში.

რა მიახლოვდა, ჰაერით ძირს ჩამოვიდა და ანაზღათ დევის სახეთ შეიქმნა, და მინერას დევის სასახლესაყენ გაემართა. მივიდა, ნახა, რომ მინერას დევი თავისსა ტახტსა ზის და იქით და აქეთ ურიცხვი დევთა ჭარი უდგას და დიდროვანი ჩინრის ხეები ხელთა უჭირავსთ და ზედან აყუდიან. ზოპაქ წინ წადგა დეურის ენით მინერას დევს თაყვანი-სცა. მინერას დევმა უბრძანა: შენ რომლის მთის დევებისაგან ხარო. ზოპაქმა მოახსენა: მე დევი არ გახლავარ, ადამიანს

გახლავარო და წყალობას ვითხოვო, რომ ცოტა ხანს დაახალვათოთ, რომ სიტყვა მაქუს მოსახსენებელიო.

რა მინერას დევმა ესე სიტყვა ზოპაქისაგან მოისმინა, მაშინვე დაახალვათა და ზოპაქ თავისავე სახელ შეიქმნა და მინერას დევმა უთავაზა, მიესალმა და აიყვანა, ტახტზე დასვა, და ზოპაქმა გარსაშიბისაგან ერთის მუშტით სპილოს მოკვლა, და იმ ვეშაპის სიკვდილი, სულ ყველა შესჩივლა: *მეი, დევის კემწიფეო. თუ გარსაშიბის ქელისაგან დაგვიხსენი, ერანის კემწიფობას შენ მოგცემო და მე შენ გემსახურებო!*

რა ზოპაქმა ესე სიტყვა დაასრულა, მინერას დევმა იმედი აღუტყო და მაშინვე გამოეთხოვა. ზოპაქ ფრინველათ შეიცვალა, ჰაერში აღფრინდა, თავისსა სადგომსა მოვიდა, თავისა სახეთ შეიცვალა და თავისა ტახტსა დაბძანდა.

ეს ანბავი აქა დაუტეოთ და ცოტა რამ გარსაშიბის ამბავი წარმოვსთქუათ

გარსაშიბ იქილამ აიყარა და წამოვიდა ზოპაქის შესაყრელათ. რა მოახლოვდნენ, გარსაშიბ, იორთი და სიდასტ მივიდნენ, ზოპაქს მიესალმნენ და თაყვანისცეს. ზოპაქმა მიიწვია და ადგილი უჩვენა დასხდომის. დასხდნენ და მეჭლიში შექმნეს. ასეთი მეჭლიში იყო, რომ მნახავთა გაუკვირდებოდა. უცხო ლენოს მწდეველნი მოვიდნენ, რომ სახით მთვარესა ემზგავსებოდნენ და მესაკრავენი ესეთის ზმით უკრავდნენ, რომ გამგონს გონებასა მისტაცებდა. მეჭლიში გაგრძელდა და სარდალთა და ფალავანთა ლენო თავსა ეწიათ.

ამ ამბავში გარეთ ერთი ხმიანობა შეიქნა. ზოპაქმა უბძანა: *გაღით, შეიტყვეთ, ნახეთ რა ანბავია. გავიდნენ და ანაზღათ შემოვიდნენ და მოახსენეს, რომ ყაფის მთის დევების ჯამში გახლავსოთ. ზოპაქმა უბძანა: წადით, შემოიყვანეთო! გავიდნენ და ის ჯამში შემოიყვანეს და შეიდს ალავს თავი დაუქრა, ამოიღო ერთი წიგნი და კემწიფეს მიართო.*

რა ეს წიგნი წაიკითხა, ზოპაქმა ეშმაკობით და ოსტატობით თავისი თავი მწუხარებას მისცა. რა ესე კემწიფის შეწუხება მისთა დიდებულთა და სარდალთა ნახეს, ზე წამოღნენ და მოახსენეს: *კემწიფეო, თქვენი შეწუხების მიზეზი რა იყო, ჩვენც გამოგვიცხადეო. რა ზოპაქმა ამ დიდებულთაგან ესე სიტყვა მოისმინა, უბძანა, რომ იამანეთის კემწიფეს ჩემთვინ წიგნი მოუწერია, რომ ყაფის მთის მინერას დევი შენზედ ასი ათასის დევის ჯარით წამოვიდაო და ამინას რას არჩევთო. დიდებულთ მოახსენეს: *მეი, კემწიფეო, ერანი და თურანი თქვენს საბრძანებელს ქუემ არისო, ერთი დევი რა უნდა გახდესო და ან იმისგან რა ფიქრი გმართებსო. ზოპაქმა უპასუხა: *მეი, სარდალნო და ფალავანო, თქუენ მინერას დევი არ იცით, თუ როგორი ფალავანი არისო. ყაფის მთის დევები იმის ქელისაგან არიან შეწუხებულნიო.***

რა გარსაშიბმა ესე სიტყვა მოისმინა, ზეზედ წარმოდგა და ასე განრისხდა, რომ ყოველი ბეწვი შუბსავით ტანისამოსში გამოეჩარა და მოახსენა: *მეი, კემწიფეო, მინერას დევი ვილაც არის, რა უქნია, რომ ამდენს ქებასა ბძანებო. რა ზოპაქმა გარსაშიბისაგან ესე მოისმინა, ერთიორათ უფრო ძანვრასის ქება სთქო, გარსაშიბმა მოახსენა: *მეი, კემწიფეო, თუ თქვენი ნება იქნება და დასტურს მიბოძებთ, თქვენის დოვლათით წავალო და იმას კელშეკრულს მოგართმეო.**

რა გარსაშობისაგან ზოპაქმა ესე სიტყვა გაიგონა, დიდათ იაჰა და მაშინვე ბძანა, ოცი ათასი კაცი უბოძა და იმისი სპასალარობა უბოძა. და მინარეს ღვეის საომრათ გაისტუმრა გარსაშიბ კემწიფეს გამოეთხოვა, და იორით, სიდასტ და გარსაშიბ გაუძღვენ და წავიდნენ. მანძილ-მანძილ იარეს და იამანეთის ქუეყანასა მივიდნენ.

რა იამანეთის კემწიფემ გარსაშიბის მისვლა შეიტყო, მაშინვე წინ მოეგება, მიიყვანა და რამდენიმე დღე ლხინსა და განცხრომასა მიეცნენ. რა სამი დღე გამოვიდა, გარსაშიბ იამანეთის კემწიფეს გამოეთხოვა და წავიდნენ, და ყაფის მთის სიახლოვეს ჩამოსხდნენ კაის ალაგს, მწევანოვანსა და წყლიანს ალაგსა კარეები დასცეს, ლხინსა და განცხრომასა მიეცნენ.

ერთს დღეს გარსაშიბ ნადირობასა შეექცოდა. ერთას მკრიდამ ნახა, რომ ერთი საშინელი მტვერი აღდგა, ისეთი რომ მზე სრულებით დააბნელა. მეორესა მხრიდამ ქარმა შემოუბერა და მტვერი გარდაყარა. შეხედეს, ნახეს, რომ ასე დროშა გამოჩნდა. ეს იყო ნიშანი, რომ ასე ათას კაცსა ნიშანედა და მომავლობდენ. ბაირალებზედ კერაი დაეკიდნათ. იმ კერებზედაც თითო ზარი დაეკიდნათ და, როცა ქარი აღგებოდა, ბაირალები ზარს მოხედებოდნენ და ერთი საზარო ხშები გამოვიდოდა. სანამ კერაების ლოცვა იყო, ყოველს მხარეს გაიგონებდა.

რა გარსაშიბმა სწორეთ გაშინჯა ეს ჭარი, ამ ჭარში ნახა, რომ ერთი ფალავანი დღეი მოვიდოდა, რომ ასე მწყურთა სიმაღლე ჰქონდა და ოცდაათი მწყურთა სიგრეე ჰქონდა. გარსაშიბმა თავისთა მახლობელთა ჰკითხა: ეს ფალავანი ვინ უნდა იყოს? იმათ მოახსენეს: ეს ფალავანი შინჯარას დღეი არისო. გარსაშიბმა მინამდინ მოუტადა ამა ლაშქარსა. მოვიდნენ და გარდახდნენ და კარეები დასცევს და დადგნენ. ლხინსა და შევბასა მიეცნენ. და გარსაშიბც გამობრუნდა და თავის ჭარში მოვიდა, თავისსა კარავსა გარდახდა. გარსაშიბმა თავისი დიდებულნი შემოიყარა და რჩევა ჰკითხა: ამას რის გზით უნდა შევებნეთო!

ერთს ღამეს ერთი აყალ-შაყალი შეიქნა, გარსაშიბმა იკითხა: რა ამბავია, შეიტყუეთო. მოახსენეს თაფლიჯამს უკერენო, რომ სახეალიოთ საომრათ ეშზადებიანო. გარსაშიბმაც ბძანება მისცა ჭარსა ნალარახანის დაკერისა. ამათაც თაფლიჯამები სპილოებზედ გამართეს და ასეთი კმიანობა შეიქნა, რომ იმა მინდორში, საც ნადირი იყო და ან ფრინველი, სულ გარდაიხვეწნენ. სამი დღე და ღამე სულ არც დაუძინიათ და არც მოუსვენიათ, რომ იარაღების კეთებაში იყვნენ.

რა მეოთხე დილა გათენდა, და მზემან თავისი ბრწყინვალეობა გარდმოფინა, მაშინ ამხედრდა და შეიდანსა გავიდნენ. ფარეშები მივიდნენ და შეიდანსა დაგავეს, და მესაკრავენი ასეთის კმით უკრავდნენ, რომ კაცს გონებას მისტაცებდა. ესრეთ იმდურდნენ, რომ სიკვდილის კარავი შეიდანზედ დგასაო და ფალავნებს უძახდნენ გაფრთხილდითო, რომ თქვენი თავი იმ კარავში არ გააბათო. იქითისა მხარეს დევნი დასტა დაწყობით დადგნენ. და ერთ ყვითელს მარტორკაზედან მჭლამი დღეი მოედანსა გამოვიდა და შემოსძახა: ჭეი, ადამიანთა ტომნო, ჩემი შობირდამირე მეომარი უნდა გამოვიდესო. აქეთა მქარეს ერთი ფალავანი გამოვიდა, გარსაშიბს თავი დაუქრა და მოედანს იმა დევსა მიმართა. ერთმანეთსა ნავარდი შემოუღეს და რამდენიმე შუბი ერთმანეთს გააცდინეს. დღეი განრისხდა და ასეთი შუბი აძგერა, რომ ეს ფალავანი ძირს ჩამოაგდო.

გარსაშიბმა რა ესე ესრეთ იხილა, განრისხდა და ერთი ასეთი ნარა გასწივა, რომ იმისი კმა ოთხს ფარსანგს გაიგონებოდა. ამა ხმაზედ დევნი აირივნენ და

ერთმანეთს ეცნენ. მიუხედავად გარსაშიბ იმ დევსა და ერთი კმალი დაჰკრა, რომ შუაზე გააპო და მარტორქაც ორად გააპო, და ოთხათ გაკვეთილი მეიდანსა და-
ეცნენ. რა მინერას ღვემა ეს ესრეთ იხილა, თავისი ას: ათას კაცს უბანა, რომ მა-
გას ნუ გაუშვებთო. მაშინვე იმ ასი ათასმა ღვემა სათულებს კელი წამოაღეს და
გარსაშიბს შემოუტრევს. გარსაშიბმა რა ესე ესრეთ იხილა, მალისა კმითა
ღმრთისა სახელი ახსენა და თავისსა ბასრსა კმალსა კელი მოივლო, და ამ ასი
ათასს ღვეში გაერია; რომელსაცა მკარესა შეუტრედა, ერთს მეორესა ჰკრემდა,
რომელსაც მარტორქაზედ მჭდომს მოახელებდა, ოთხათ გაკვეთდა და, რომელ-
საც სპილოზედ მჭდომს მოახელებდა. იმასაც ოთხათ გაკვეთდა. მარჯვენასა მხე-
რეს მარცხენასა ჰკრემდა და მარცხენასა მარჯვენასა. ესრეთ უწყალოთა ხოცდა.

რა ამა გარსაშიბის ჯარმა ესე ნახეს, რომ გარსაშიბ თუალით ველარ დაინა-
ხეს, ჯარის შუაგულზედ შესულიყო, ამათაც კლმებს კელი გაიქრეს და შიგან
გაერივნენ და სამი ღღე და ღამე ესეთი კოცვა იყო ერთმანეთში, რომ ამითა-
ნა ხოცვა თავის ღღეში არ მომხდარიყო. ამა ომანა შიგან გარსაშიბ მინერას ღვე-
სა შეშოხვდა და დაუძახა: ეო, შენ დათვის თაო, ავს მარსკლაზედ დაბედებულო,
თუ მამაცი ხარ, მომიცადეო! კმალი ქარქაშსავე ჩააგო, წამოეწივა და ჯაქვის
კალთასა კელი ჩაუგდო, მიაწუა და უკან წაიღო, მარტორქა და ის ფაცფაციით
დაიქნია და მარტორქა დააჩოქა და ასეთ-ასეთ დაიქნედა ხოლმე, რომ გუთა-
ნივით ახენვეინებდა მიწასა.

მინერას ღვეცი ამ ყოფით უშერებოდა, ერთმანეთს ასე ერკინებოდნენ.
ესღენი იბრძოლეს ცხენზედა, რომ იმათმა საჯდომმა თითო აღლი ენა წამოყარეს
და საძრახობის ღონე აღარც ერთსა აღარ ჰქონდა. ცხენისაგან გარდახდნენ და
ქვეითად ერთმანეთს ეძგერნენ. სამი ღღე და ღამე ერთმანეთს ერკინენ, მაგრამ
ვერა რომელმან სძლივა. გარსაშიბმა ღმერთს გულმზურვალეთ სთხოვა, რომ
ამ ურწმუნოს ღვეისაგან დამიხსენიო და ამას ნუ შობრეო! ღმერთმაც იმის ვედ-
რება იამინა, გარსაშიბსა სიმხნე მისცა, მიაწუა გარსაშიბ და უკან ოთხმოცი ნა-
ბიჯი ფაცფაციით წაიყვანა და ერთი ასეთი დაიქნევა, რომ მუხლი დააკრევიანა.
ასეთი დაეცა მიწასა, რომ მიწა გუთანივით მოახენვეინა, მალისა კმითა ღმრთი-
სა სახელი ახსენა, აწიუა და მუხლებამდინ აიტანა, მეორეთაც სიმხნეს მოუმა-
ცა და სარტყლებამდის აიტანა, მესამეთ მედგრათ ასწიუა და თავის
სისწორ აიტანა, თავსა შემოივლო და მიწას დასცა ესრეთ, რომ იმისი სახე მი-
წასა ზედა გამოსახა, და სწრაფად მეკრდსა შეახტა და ბასრსა ხანჯალსა ხელი მო-
ივლო და თავის მოკრას უპირობდა. ქუეშედა მინერას ღვემა მალის კმით
ტირილი დაიწყო. გარსაშიბმა შემოუძახა და უთხრა: მუი, შენ უმზგავსო, ეგ რა
მამაციობის წესია ტირილიო! ღვემა მოახსენა: მე ღმერთთან აღთქმა მქონდა,
რომ ვინც მე მომერეოდა და ჩემს ზურგს მიწას დასცემდა, მე იმისი მონა და
მოსამსახურე უნდა შეექმნილიყავ და იმისი ერთგულობის ალყა ყურში უნდა
გამეყარაო.

რა გარსაშიბმა მინერას ღვეისაგან ესე სიტყვა მოისმინა, ზე აყენა და
შუბლზე აყოცა და იმანაც ხელსა აყოცა. მინერას ღვეი კელმწოდომით თავსა
დაადგა. და გასაყარს ნალარას ჰკრეს და ორისავე მკარის ლაშქარნი თავ-თავისად
წაეიდნენ და კარავსა გარდახდნენ.

მინერას ღვეი მივიდა და თავის კარავსა გარდახდა, თავისი სარდლები და
ფალანგები შემოიყარა და თვისი. გარსაშიბის დამონება და სამსახური გამოუტ-
ხადა, და თავის ჯარიდამ თორმეტი ათასი ღვეი აარჩივა და სხუას კი დასტური.

დასცა და შინ გაისტუმრა. და თითონ წამოვიდა და გარსაშიბს იახლა. გარსაშიბმა მეჭლიში გაპართა. სამი დღე და ღამე ლხინსა და განცხრომასა იყვნენ. გარსაშიბმა უბრძანა მინერას დევსა: ახლა კი ღრო არის, რომ შენ შენს ქუეყანაში წახვიდეო! მინერას დევმა რა ეს გაიგონა, დიახ შორს დაიქირა და მოახსენა: მე მინამ ცოცხალი ვარო, თორმეტი ათასი დევით თქვენ ვერ მოგშორდებით. გარსაშიბმა არა ჰქნა, არ მოეშუა, შინისკენ გაისტუმრა და თითონ აიყარა იქილამ და ზოპაქის მხარეს გამოემართა.

რა სამი დღის საეაღს მიახლოდნენ, გარსაშიბმა ზოპაქს წიგნი მისწერა და თავისი გარდასავალი ყოველივე მისწერა. რა ზოპაქმა ესე წიგნი წაიკითხა, გულსა შიგან დიდათ შეწუხდა და ხალხთ კი მხიარულათ ეჩვენა. გარსაშიბ აიყარა და ქალაქის სიახლოვეს მივიდა. რა ზოპაქმა გარსაშიბის მოსვლა ჰსცნა, წინ გამოეგება და ორნივე ცხენისაგან გარდახდნენ, და ზოპაქმა შუბლსა აკოცა და გარსაშიბმაც კელსა აკოცა და ბაზარში იმ დღესა და ღამეს ჩირაღდანი იყო, და დიდათ გახარებულნი იყვნენ იმ ქუეყნის ხალხი. გარსაშიბს კელი მოჰკიდა ზოპაქმა და შევიდნენ შინა. ზოპაქ ტახტსა დაბმანდა და გარსაშიბიც თავისსა ალაგსა დასვა და დასხდნენ.

გარსაშიბმა თავის გარდასავალი ზოპაქსა და მისთა დიდებულთა უამბო. ზოპაქმა უბრძანა: მინერას დევი ჩემი მტერი იყო, როგორ არ მოკალიო. ის უნდა მოგეკლა! გარსაშიბმა მოახსენა: ის დევი დამმორჩილდა და ჩემი სამხურის ალყა ყურსა გაიყარა და ვეღარ მოვეკალიო. რიგი ისეაო, რომ ფალავანს ფალავანს მოერიოს, დამორჩილდება, იმისი მოკვლა რიგი აღარ არისო. ამის გამეორენ ზოპაქმა შიშით ხმა ვეღარ გასცა რამდენსაზე დღესა ლხინსა და განცხრომას იყვნენ. და მას უკან გარსაშიბ გამოეთხოვა ზოპაქს და თვის სამყოფს ქაბულისტანს წავიდა. იქ ლხინსა და შექცევასა იყო.

ეს ანბავი აქა დაუტეოთ და ისევე ფრიდონ ჯემწითის ანბავი ვიწყოთ

იმეაჟად ფრიდონმა ფარუხ-შამ რომ თავისი შვილიშვილი მანუჩარ ერანისა ქუეყანასა ფაქემწითა, ნარიმანის ძეს საამს სახელოვანს ფალავანს წიგნი მისწერა, რომ მე მამის ჩემისა სისხლის ასადებათ თურქისტანზედ მივდივარო და შენც ურიცხვის ლაშქრით უნდა შემეყაროო. რა საამმა ესე წიგნი წაიკითხა, მაშინვე ურიცხვი ლაშქარი შემოიყარა და თურქისტანისაკენ გაემართა. აქეთს მკარეს მანუჩარ დიდის ლაშქრით თურქისტანისაკენ გაემართა და თურქისტანის სამძღვარზედ ერთათ შეიყარნენ.

აქეთსა მკარესა რა ესე ანბავი ფრიდონის ძემ თურმა შეიტყო, სწრაფლად თავის ძმასა ურუმის კემწითეს სალამს წიგნი მისწერა და ესე ანბავი აცნობა, რომ: საჩქაროდ უნდა მომეშველოო. რა სალამმა ესე ანბავი შეიტყო, დიდათ განრისხდა და სწრაფად ჭარი შემოიყარა და თურქისტანისაკენ გაემართა. მივიდნენ, გარდახდნენ, კარვები დასცეს და თავ-თავისად დადგნენ.

აქეთსა მკარეს მანუჩარ კემწითე მოვიდა, დასტა დაწყობით პირდაპირ დადგნენ, კარვები დასცეს და თაფლიჯანს ცემა დაუწყეს. ფრიდონის ძემა თურმა მოედანსა ცხენი გამოიგდო და ფალავანი გამოითხოვა. აქეთისა მკრიდამ ნარიმანის ძე საამ ფალავანი მოედანსა გამოვიდა და თურს დაუპირდაპირდა. თურმა რა ესე ნახა, თავისსა გურხსა კელი მიჰყო და საამს მომართა; და საამმაც თავი-

ნი გურზი ქელთა აილო და თურს მიპართა და რამდენიმე ერთმანეთს მედგრათ დაქერეს.

რა გურზით ვერა რომელმან სძლივა, მას უკან ხმლებს ქელი დაისევს და ერთმანეთს ამდენი დაუშინეს, რომ ალაბის სარკესავეთ ხელში დაეძსხვრათ და ძირსა გასცივდათ. საამ გარისხდა, თავისი საქლოში გააფიცბა და თურსა მიუხდა, სარტყელსა ქელი ჩაუგდო, ასწივა, ცხენილამ აილო და ასეთი დასკა მიწასა, რომ უგონო შეიქნა. სწრაფად მივარდა საამ, ქელები მავრათ შეუქრა და ისე დააგდო. ამისი მხილველნი ორისავე მკრისა ლაშქარი ერთმანეთსა შეუტრევეს და ომი ძლიერი შეიქნა. და ამა ომსა შიგან სალმ მანუჩარსა შემოხვდა. და ისიც მანუჩარმა შეიპყრა. ამისი მნახველნი თურისა და სალმისა ლაშქარი გაიქცა.

რა ომისაგან მოიცალეს, მანუჩარ კემწიფემა თურის შვილი ფეშანგ მოაყვანა და თურქისტანში გაახემწიფა და ესე უბძანა, რომ მე არც საქონლისათვის მოვსულეარო და არც ხაზინისათვისნარო, მე მამის ჩემის ირაჯის სისხლის ასალეზათ მოვსულეარო და ჩემი მოსისხლეები ქელში ჩამიგდია.

თურისა და სალმისა წარმა ამთ ველარ გაუძლო, გაიქცნენ, იმათგან ზოგნი შეიპყრეს და ზოგნი დახოცეს და ზოგნი გარდაიხვეწნენ. მანუჩარმა სალმის შვილი მოაყვანინა და ურუმის ქუეყანას გაახემწიფა და თავის მამის მოადგილობა იმას უძობა. თური და სალმი კელშეკრული წამოასხეს და ფრიდონ კემწიფეს წინაშე მოასხეს. მანუჩარ მივიდა და თავისსა საკემწიფოს ტახტსა დაბძანდა და საამც თავისსა უპირველეს საფალავნოს სკამსა დაქდა. სარდალნი და დიდებულნი თავ-თავის განწესებულს ალაგს დასხდნენ.

იქვეამდ გარსაშიბ სახელოვანი ფალავანი სისტანის ქუეყანაში იყო. ფრიდონ კემწიფემა ბძანა თურისა და სალმის კელშეკრული წინაშე მიყვანება. მსწრაფელ კელშეკრული მათსა წინაშე მიასხეს. კემწიფე ფრიდონმა უბძანა: შეი, თქვენ უმგზავსნო და უწესოს საქმისა მქნელნო, რას ემართლებოდით, რომ ჩემი შვილი უბრალო მოკალითო! თურმა და სალმა რა ასე კემწიფის მრისხანების სიტყვა გაიგონეს, თავი ძირსა დაჰკიდეს და პასუხი ვერ გასცეს. განრისხდა ფრიდონ კემწიფე, ტახტიდან ძირსა ჩამოვიდა და თავისის ქელით ორსავე თავი ტანისაგან განაშორა. მას უკან თავისი საკემწიფო გვირგვინი მოიხადა და მიწასა დაახეთქა, საყელი გარდაიხივა, მიწასა დაასქდა, და გლოვა და ტირილი დაიწყო, თურისა და სალმისა თავები ქელში აილო, პირზე წაისო და ისე ტირილი შექნა.

რა ამა მექლისში მსხდომთა დიდებულთა და სარდალთა კემწიფის მწუხარება ესრეთ იხილეს, იმათაც საყელი გარდაიხივეს, ტირილი და გლოვა შეექნათ. რა ამა ტირილისაგან მოიცალეს, მანუჩარ კემწიფემ თავის მამას ფრიდონ კემწიფეს მოახსენა: შეი, ამალღებულო კემწიფეო, თქვენ თქვენის ქელით დახოცეთო და ისევე თქვენვე ტირით და სწუხართო. ფრიდონ კემწიფემან უპასუხა: შეი, ჩემო საყვარელო შვილო მანუჩარ, რადგან ამთ თავისი ძმა ირაჯი, უბრალო სული, მოკლესო, მეც იმიტომ კემწიფობის რიგით დავხოცეო, მამა-შვილობის გული შეწვის და იმიტომ ვსტირიო. თურისა და სალმის გვაგები აილეს და სადაც ირაჯი, იმათი ძმა, ემარხა, ისიც იქ დამარხეს.

აქა იწყების მანუჩარ ხემწიფის ანბავი

ფრიდონ კემწიფემ თავისი შვილი მანუჩარ გააკემწიფა. სიქა და ნალარა მანუჩარის სასახლეზედ იცემებოდა. თითონ ფრიდონ კემწიფე შავით შეიმოსა თითო ბოლომდე და თავის შვილებს საფლავს უვლიდა. მანუჩარ კემწიფე თავის ტახტსა ბძანდებოდა და ქვეყანასა განაგებდა. და რამდენსამე ხანს უკან ფრიდონ კემწიფე ამიერ საფლით გარდაიცვალა. ასე მიუთხრობენ, რომ იმჟამად მანუჩარ კელმწიფე შამის ქალაქში კემწიფობდა. ნარიმან თავის შვილებით იქ აზლდა, ლხინსა და განცხრომასა შინა იყვნენ.

ერთს დღეს საამ ფალავანმა მანუჩარ კემწიფესა ათის დღის ვადა, სანადიროთ წასვლა სთხოვა. მანუჩარ კემწიფემ უპასუხა: *ჭეი, ჩემო საყვარელო ძმაო, ეს ხომ კარგად იცი, რომ მე და შენ ერთათ ვართ დაზრდილი და ერთათ გვიწოვია ძუძუო. მე შენი მოშორება ერთს საათსაც არ შემძლიანო. ათის დღის დასტურს კი ვერ მოგცემო და ხუთს დღეს წადი და ჩქარა ისევ მოდიო! საამ გამოეთხოვა და რამდენიმე თავისი ამალით სანადიროთ წავიდა. და ოთხფეხი, რაც იყო, და ან ფრინველი, სულ გაწყვიტეს. ამ შექცევასა და ლხინსა იყვნენ.*

ერთსა დღესა ერთი მშვენიერი ჭერანი ნახეს, რომ კაცის თვალი იმის უკეთესს ვერას ნახევდა. რა საამმა ესე ჭერანი იხილა, მასვე წამსა გამოეკიდა და ჭერანი გაიქცა. რამდენსაც საამ ამ ჭერანს მისწვდებოდა, იმდენს ასეთს ვახლტებოდა, რომ თვალთა წინა დაეკარგებოდა. ამასობაში ეს ჭერანი ერთს ბაღში შევიდა და საამ ფალავანიც თან შეყვა.

რა საამ ფალავანი იმ ბაღის შუაგულობასა მივიდა, ერთი უცხო სასახლე დახვდა. რა საამ ფალავანმა ეს ბაღი სრულებით გაშინჯა, ნახა, ერთი მშვენიერი ქალი იხილა. იმ ქალმა რა საამ დაინახა, დიდის თავაზით უთხრა: *მობრძანდიო, ჩვენ თავს ალაგი გაქსთო. რა საამმა ესე სიტყვა იმ ქალისაგან გაიგონა, მაშინვე ცხენისაგან გარდხდა და იმ ქალთან ავიდა; და ის ქალი უცხოთ დაქვდა, და მაშინვე იმ ქალმა მიიღო და საამს უთხრა: ჩემისთანა კეკელუცი ქალი შენისთანას ფალავანს ასე ასიამოვნებსო. ეს სიტყვა უთხრა და ჯამით სავსე ღვინო მისცა: ესე შესვიო. ფალავანმა ის ჯამი ჩამოართო და მაშინვე შესცა და იმა ქალმა უთხრა: ეს შენი მოსამსახურენი დაითხოვე და ჩვენთვის მარტოკა შეეეცნეთო.*

მოსამსახურენი დაითხოვა და მარტოკა დარჩნენ. რა ლხინისაგან მოიცალეს, იმ ქალმა ის სასახლე სულ ერთიანად მოიარა. საამმა ერთს აივანში ერთი ქალის სურათი იხილა, რომ ასეთი მშვენიერი რამ იყო, რომ ასის წლის მკედარს რომ ენახა, სულზედ მოიყვანდა, და თავის რჯულისაგან გადააყენებდა და ცუცხლს თავყანს აცემინებდა. ესრეთ მოეწონა ეს სახე საამსა, რომ ის სასახლეში მყოფი ქალი სულ აღარ ახსომდა და განცვიფრებული უყურებდა იმ ქალის სახესა.

იმ სახისა გვერდზედ ორი ტაეპი მწუანისა მელნით ნაწერი იხილა, ამოიკითხა და ესრეთ ეწერა: *ჭეი, აქა მოსულო ფალავანო, ამა სურათის ამბავსა თუ იკითხამ, ამ სურათის პატრონს ფერიდულხტ ჰქეიანო, ჩინეთის კემწიფის ქალი-არისო, და თუ ამის პოენა გინდოლესო, ჩინეთის ქვეყნისაგენ მოძებნე!*

რა ესე წერილი აღმოიკითხა, მასვე წამსა გარდაიქცა და გულს შემოეყარა. რა გონებას მოეგო, ნახა, რომ აღარც ის სასახლე იყო, აღარც ის სურათი და აღარც ის ქალი იყო. მოიხედა, ნახა, რომ თავისი ყურაბი თავაური თავსა ადგა. რა ესე საქმე ესრეთ განიცადა, დიდ მწუხარებას მიეცა და სულ იმ სურათის ქალის გონებაში იყო. მაშინვე თავისსა ცხენსა ამხედრდა და თავის ქარში მივიდა,

თავისი ბიძაშვილები ყალვად და ყულუშ და თავისი ბაზიერთუხუცესნი ნახა. იმათ მოახსენეს: ფალაენო, მანუჩარ კემწიფე უშენოთ ერთს საათსაც ვერა ძლებდარო, და თქვენ ხუთის დღის ვადით გამოგისტუმრეთო და ამდენი ხანია, რომ თვალი თქვენს გზახედ უჭირამსო.

რა საამა ესე სიტყვა გაიგონა, მაშინვე იმათ უპასუხა: ჩემი იქით წამოსვლა აღარ იქნება, ჩემ მაგიერათ კემწიფესა დიდებულთ სამსახური მოახსენეთო, მე ჩინეთს წაუსვლელი არ დავდგები და, რაც ენახა და თავს გარდახედოდა, ყოველივე წერილად უამბო ყალვადსა და ყულუშსა: მანუჩარ კემწიფესა და მამაჩემს ასე უნდა გამოუტყუდოთ, რომ საამს ერთი უსულო ქალის სურათი უნახამს, იმას გამოიჩნურებია და ჩინეთის მკარეს წავიდა. თუ რომ ღმერთი შემეწევა და ბედნიერობით ის ქალი კელში ჩაეიდგე, ისევე მალე თქვენს სამსახურში გაიხლები-თქო. ერთიც ესე, რომ თქვენიღამ მე უკან ნურავინ გამოძევება, თორემ მე იმას, ვინც გამოძევება, მოუკლავს არ გაუშვებ. ესე სიტყვები იმათ დააბარა, გამოტრიალდა და ერთის მხრისაკენ წავიდა. რა ერთმანეთს გაეყარნენ, ყალვადმა უთხრა ყულუშსა: შენ ჯარს გაუძებ, შინ მიიყვანეო. მე საამს გამოუდგები უკან, ეგების ერთის ოსტატობით იმას გამოუდგები, რომ იმისი მარტო-კა წასვლა სამჯობნი არ არისო!

მოკლეთ მოგახსენოთ: ეს ჯარი აიყარა და მანუჩარ კემწიფის წინაშე მოვიდნენ და საამისგან დაბარებულნი სიტყვები ყოველივე მოახსენეს. რა კემწიფემ ეს სიტყვა სრულებით მოისმინა, მაშინვე ტახტიღამ ძირს გარდმოვარდა, ტირილი და გლოვა შეეკმნათ. რა ესე ანბავი გარსაშიბ სახელოვანმა შეიტყო, იმეამად სისტანში იმყოფებოდა, მასვე წამსა გამოემართა და კემწიფის სამსახურში მოვიდა, დალოცა და ქება შეასხა. გარდავიდა და თავის საჯდომსა სკამსა დაჯდა. რა კემწიფემ ეს ესრეთ იხილა, მაშინვე ბძანა სულერის მოღება და მეჯლიში გამართეს, ღვინისა და განცხრომასა მიეცნენ.

რა კემწიფემ ნარიმან საამისაჟინ შეწუხებული იხილა, უთხრა, რომ თქვენ იმისთჳნ ნუ სწუხართო, ამისთჳინ, რომ ამისთანა საქმე მამაცთა წესითა, რომ ბევრი დავრიშათაც შეიქნებიათო თავის საყვარლის გულისთჳინათო. იმისთანა ფალაენებს ბევრი ამისთანა საქმე გარდახდებათო. თქვენ იმისთჳინ ნუ სწუხართო. ნარიმანმა მოახსენა კემწიფესა, თუ: ის ჩემი შვილი არისო, ჩინსა და მაჩინს და ხათაი-ხეთანს და ბუხარს სულ ერთიანათ დაიქერსო და ამდენი ხნის ხარაჯასაც გამოართმევსო და იქაურ კემწიფესაც დაგიმონაევბსო და ისე გაიხლებათო.

გარსაშიბმა თავის შვილის შვილს საამს ერთი წიგნი მისწერა: ამგუარო საქმე, როგორც ფალაენობის წესითა, იმგუარათ მოიქეც და ეგ ქვეყნები სულ ერთიანათ მანუჩარ კემწიფეს დაუბონე, თორემ ამდენსა გცემ ჩემის მათრახითა, რომ შენი სიცოცხლის ფრინველი შენგნითაც გაეფრინო. ესე წიგნი შეასრულა და ყულუშს მისცა და გაისტუმრა.

ეს ანბავი აქ დაუტეოთ და მცირე რამ საამ ფალაენის ანბავი წარმოეთქუათ

რა საამ ფალაენი წავიდა, იარა და ერთს მწუანოვანს ალაგს და წყაროსა გარდახდა. რა დილა გათენდა, დილის ნიაემა შემობერა, დიახ იამა, და ფერი-ღუხტ მოაგონდა და რამდენიმე სიყვარულის ლექსები წარმოსთქვა:

უნქა ხუდრა ნაფასი შად ნადიდესთ მანამ
უნქი პარგიზ ბემურადი ნარასიდესთ მანამ
უნქი საღ ჯოურ ქაშიდესთ ზა პარ ზარ უ სამი
დარ სარი ქე თუფა დარ ნაქაშიდესთ მანამ

და იმ დილის ნიავს ელაპარაკებოდა. ამა ლაპარაკსა და ტირილში იყო. მა-
შინ ნახა, ჩინეთის მხრისაკენ ერთი ცხენოსანი კაცი იხილა.

რა ახლოს მოვიდა, ნახა, რომ ყალვად იყო. მოვიდა და თაყვანი-სცა. საამმა
უთხრა: მე კი ისე დავიფიცეო, რომ ვინც მე უკან გამომყვება, იმას უსიკვლე-
ლოთ არ გაუშვებო. შენ რა გრჯიდა, რომ მოსდიოდი. ამან მოახსენა: ეგ მარათ-
ლია, მაგრამ მე თქვენზედ უწინ წამოვსულეარო. რა საამმა ეს გაიგონა, დიდათ
გაუყვირდა და უთხრა: მე აქ ხაზინა არ მომდევსო და ჭარი რას მომდგეო, მე მარ-
ტოკა უნდა წავიდე და ჩემის გულის წაღილს უნდა შევეყვარო.

ყალვადმა მოახსენა: შეი, მოწყალეო კელმწიფეო, მე ეგენი არც ერთი არ
გამივლია გუნებაში. თქვენ მარტოკა იყავით და მიტომ გიახელო. მაგ თქვენს
პურაბი თაქაურს ერთი კაცი როგორ არ უნდა ყვანდესო, რომ მოუყაროს.

რა საამმა ესე გაიგონა, აღარა უთხრა რა. შესხდნენ და ჩინეთის მხარეს
გაემართნენ. იარეს სწრაფისა სიარულით და ერთს ზღვის პირას მივიდნენ და
გარდახდნენ. საამ ფალავანი არცა სმიდა და არც სკამდა ფერიდუბტის სიყვარუ-
ლით და ამას ფიქრობდა, რომ ამ ზღუას ან რით უნდა გავიდე, და ან როგორ
გამოვიყვანოთ. ამა ფიქრსა და მწუხარებასა იყო, უცნობო შეიქნა. დაეძინა.

ამჟამად სამანდურის ზანგები იმ ზღვის პირსა ნადირობდნენ. მოვიდნენ,
ნახეს ესენი. აიყვანეს, ნაწმი ჩასხეს, იარეს და მესამეს დღეს გაღმა გავიდნენ.
სამანდურის წინაშე მისხეს. სამანდუნმა რა ესენი ნახა, დია დიდათ გაიციხა
და უთხრა: ჩემთვინ უცხო სამწუადე ბატკნები მოგისხამთო. ბძანა: ამათ
თავები დასქერიითო და მომიტანეთო. ყალვადმა მოახსენა: შეი, ზანგთა კემწი-
ფეო, ამისი ხორცი ახლა დიახ ავი საკმელი იქნება და, ვინც ახლა ამის ხორცს
სქამსო, ავთ ვახდება. თუ მიბძანებთ, ამას ორიოთ სამ დღეს მოუვლი, მოვა-
სულიერებო და ისე მაშინ დიახ გემრიელი იქნება ამისი ხორციო.

რა ყალუადისაგან ესე სიტყუა მოისმინეს, დიახ მოიწონეს. ზანგებმა წაი-
ყვანეს ერთს ზარზამინში და დააბატიმრეს, და იქ შეინახეს და, რასაც ყალუად
ეტყოდა ამ ზანგებს, ის მოქონდათ სანოვავო. რა სამი დღე გამოვიდა, საამ მობ-
რუნდა, ყალუადს უთხრა: ერთი ჭამი ღვინო მიშოვნე, რომ დიახ მისუსტებულა
ვარო. ყალუადმა უთხრა ზანგებს. წავიდნენ, სწრაფად მოუტანეს და მისცეს.
შეიტანა, საამს მისცა. ასწიუა და დალიუა. მერმე უთხრა ყალუადს: ერთი შემ-
წუარი ბატკანი უნდა მიშოვნო. გამოვიდა და უთხრა ზანგებს. წავიდნენ და
ერთი შემწუარი ბატკანი მოუტანეს. ყალვადმა წაილო და საამს მიაართო. საამ
შეეძცა იმ ბატკანს. რა ესე შექამა, მერმე ყალუადსა ჰკითხა: ეს რა ამბავიო,
და ან სადა ვართო. ყალვადმა ზახურის ენით მოახსენა: ფალავანო, ეს ადგილო
სამანდუნ ზანგის ალაგი არისო, სამი დღე ჩვენ აქ მოგვიყუანეს და დახოცას
გვიპირობდნენო, და თავისი გარდასავალი სულ ყველა უამბო.

რა ესე ამბავი შეპყრობილმა საამმა გაიგონა, მთურალსა ლომსავით მალა
ყვირილი დაიწყო და თავისი სიომარი იარალი მოიმართა, და ღვიძლთაგან ერთი
საზარელი ამოიხრა, და ერთი ნარა გასწიუა, რომ ის ხმა ოთხს ფარსანგსა გაი-
გონებდა. ამჟამად სამანდუნ ზანგი მეჭლისში იყო და სამსე ჭამი ღვინით კელთა

ეჭირა, და რა ეს საზარო კმა მიესმა, ჯამი კელთაგან გავარდა, ღვინოც დაიქცა და ჯამიც გატყდა. სამანდღუნ ზანგმა უბძანა თავისსა ზანგებსა: გადიო, შეიტყევი, ნახეთ, რა ამბავი არისო. მსწრაფლად გამოცივიდნენ, ნახეს, რომ საამ ფალაქანი თავისის იარაღით შექურვილა და განრისხებული დგას.

ზანგთა რომ ესე იხილეს, მაშინვე შემოუტივეს. საამ თავისსა ბასრსა კმაღსა კელი მოივლო და მოუბნდა. რომელსაღ თავსა დაპყრემდა, შუა გაკვეთდა და, რომელსაღ შუაზედ გამოპყრემდა, კიტრით შუა გასწყვეტდა. ამა ყოფით ოცამდის ზანგი ჯოჯოხეთს გაამგზავრა. რა ესე საქმე სამანდღუნ ზანგს მოხსენდა, მაშინვე ზეზე წაპოხტა და თავის ათაპიტრიანს და შეიღყუთხიანს ლახტს კელი წამოავლო და გარეთ გამოვიდა. საამ ფალაქანი და ყალვად თავისსა ცხენსა ამხედრდენ და შეიღლ-ისრები კელთა აიღეს და, რომელსაღ მოახვედრებდენ, როგორც რომ მკერვლის ნემსმა ატლასში ვთაროს, ისე შიგ გავარდებოდა ხოლმე.

რა სამანდღუნ ზანგმა საამ ფალაქანი ამ ყოფაში იხილა, მაშინვე თავისსა ლახტსა კელი მიჰყო და საამს დასაყრავთ მოუტანა. რა სამამა ესე იხილა, გარსაშობისეულს ფარსა ხელი მიჰყო, ის მოქნეული გურზი აიღდინა. ვანრისხებულმა საამ ფალაქანმა თავისსა ბასრს კმაღსა კელი მოივლო, ქარქაშთაგან ამოახდინა და მრისხანეთ მოუქნივა. სამანდღუნ ზანგმაღ საამის მოქნეულს კმაღსა თავისი ლახტი შეაფარა. სამამა ესრეთ მედგრათ შემოპყრა, რომ ის ლახტიც შუაზედ გაწყვიტა და ბილწი სამანდღუნც შუაზედ გაწყვიტა, და ორათ გაკვეთილი მოედანსა დაეცა.

რა ამისაგან მოიცალა, სამმ ფალაქანმა ერთი საშინელი ნარა გასწიოა და ზანგების დასტას შეუტივა და შიგან გაერივა. რომელსაღ კმაღსა თავსა სცემდა, შუა გაკვეთდა და, რომელსაღ შუაზედ შემოპყრემდა, შუა გასწყვეტდა. ვეღარ გაუძლეს ზანგებმა და გაიქცნენ; და თითო-თითოს მხარეს გარდიხვეწენ. საამ ომისაგან დამაშვრალი გამობრუნდა და სამანდღუნ ზანგის ტანტსა დაბძანდა და იმ მექლისში, რაც შემწვარი იყო, ყალვად მოუტანდა და ფალაქანს მოართმევდა. და ამ შექცევასა იყენენ სამ ღღეს და, რა მეოთხე ღღე გათენდა, იქიდან ადგენ და ჩინეთისაკენ გაემარაზნენ.

სამი ღღე და ღამე სწრაფისა სიარულითა ვლეს და ყუმისა მთაზედ ავიდნენ. რა მიმოიხედეს, ნახეს, რომ ერთი დიდი ყარაღათი დაინახეს. რა სწორეთ გაშინჯეს, ნახეს, რომ რამდენიმე კაცი. ზოგნი ქვევითნი და ზოგნი ცხენიანი, გამოსულ იყენენ ქალაქსა გარეთ და მინდორსა დადიოდნენ და შეექცეოდნენ. რა იმათ შემოხედეს და საამ ფალაქანი და ყალვად დაინახეს, მაშინვე მოვიდნენ და ფალაქანს თავი დაუტრეს და უზანგზედ აკოცეს და მოახსენეს, რომ ჩვენი ადამი ასე არისო, რომ ჩვენ ქემწიფე მოგვიკვდებაო, გამოვალთო მინდურათა და ვინც, მზე რომ ჯერ არ ამოსულიყოს, იმას ვნახამთ, ის ჩვენი ქემწიფე უნდა იყოსო! ჩვენ ხავარ ზამინის ანდერმს ვერ გავტებთო!

წაიყვანეს საამ ფალაქანი, მიიყვანეს და სახემწიფო ტახტსა დასვეს და გაახემწიფეს. ერთგულებისა სარტყელი შეირტყეს და სამხიარულოს ნაღარას ცემა დაუწყეს. საამ ფალაქანმა ქემწიფურის რიგები დიახ კარგად იცოდა. მაშინვე ვეზირები და მოხელეები თავ-თავისად განაწესა და სარღლებს ყველას სახემწიფო ხალათები უბოძა და თავ-თავის განწესებულს ალაგსა დასხა. ყველაფერი საქემწიფო გაარჩია და, როგორც იმის გუარისშვილობასა ეფერებოდა, და ან იმის ჩამომავლობას ეფერებოდა, ისე იმ რიგით სამართლობდა და განაგებდა.

და იმ ქუეყნის ხალხნი დიდათ ლოცამდნენ, დიდათ მადრიელნი იყვნენ იმჳს კემწიფობისა. რაჲდენსამე ეამმა გავლო საამისა კემწიფობამა.

ერთ დღესა სასახლისა განწესებულთ ხოჯათა ხავარ კემწიფისა ქალებსა საამ ფალავანისა ეგოღენი ქება მოახსენეს, რომ უნახავათ ის ქალები გაუარ-შოედნენ ფალავანსა. იმ ქალებს ერთსა სახელათ შამისი ხავარ ეწოდა და მეორეს ხურში[დ]ხავარ ეწოდა.

ერთსა დღესა საამ კემწიფე თავისით დიდებულეებით სანადროს წაბძანდა და ესრეთ შეექცნენ, რომ ჰაერში ფრინველი აღარ გაუშვეს და მიწაზედ ოთხფეხი. ამ შექცევასა იყვნენ. ნახეს, რომ ერთი ყმაწვილი კაცი მიმავალი დაინახეს. რა ახლობა მოვიდა, ნახეს, რომ თავს და პირსა მტვერი გარდასდიოდა. საამ ფალავანმა ჰკითხა: ვინა ხარო და ან საილამ მოხუალო. ამან მოახსენა: ჭეი, შარი-არო, მე შამის ქუეყნილამ მოვალ და ჩვენის კემწიფის შვილი წამოვიდლო ჩინეთის მხარეა. სულ მოვიარე ქუეყანა და ვერა გავიგე რა. საამ ფალავანმა უბასუხა: ჭეი. კაბუჯო, შენ კემწიფის შვილს რა ერქო? იმან მოახსენა: სახელათ საამ ერქო. საამმა ამა სიტყუაზედ გაიციინა და შუბლზედ აკოცა და უთხრა: საამ მე ვარო.

რა ყულუშმა ესე სატყუა მოისმინა, ცხენილამ გარდახდა, მივიდა, ცხენისა ავჯანდასა აკოცა და გულს შემოეყარა. საამს იმისი მოსელა დიდათ იამა. ცხენისაგან გარდახდა და ყულუშის თავი კალთაში ჩაიღო და გონებასა მოიყვანა. რა გონებასა მოეგო, ყულუშ მეტისა სიამოვნით ტირილი დაიწყო. ამასობაში თავისი ძმა ყალვად მოვიდა, მიესალმა და მანუჩარ კემწიფისა და თავის თამაშ ამბავი ჰკითხა. ყულუშმა კემწიფის ამბავი და იქაური ამბავი ყველა წვრილათ უამბო და გარსაშობის საამთან მიწერილი წიგნი ამოიღო და საამს მიართო. საამმა რა ეს წიგნი სრულებით აღმოიკითხა, ესრეთ ბძანა, თუ ღმერთსა სწადიანო, რაც პაპა ჩემს მოუწერია, სულ ყველა ისრე აღსრულდებო. ცხენსა ამხედრდნენ და ქალაქისაკენ გაემართნენ. მივიდნენ ქალაქსა და თავის ტახტსა დაბძანდა და სუფრის მიღება ბძანა. მაშინეე სუფრა მოიღეს, მეჭლიში გამართეს, ღვინსა და განცხრომასა იყვნენ.

ერთსა დღესა საამ ფალავანი არამხანის ბაღსა გაბძანდა, ყალვად და ყულუშე თან იახლა და აუზისა პირსა დასხდნენ. ღვინისა მანა მოიღეს და იმას შეექცეოდნენ. იმეამად ხავარ კემწიფის ქალები არამხანის ბაღის ოთახში იმყოფებოდნენ. ამ ქალებმა რა საამის აუზისა პირზედ ჯდომა შეიტყვეს, აივნის ფანჯრილამ ყურება დაიწყეს. საამ ფალავანსა ფერიღუხტის სიყვარული აშლოდა და უცხოხ ხმით იმღერდა:

უნქი ჩუნ ყონჩეი თაიყ მორდა დარიმ ბალ ბასი,
დალჰამ ბაღამ მურადი ნავაზიდესთ მანამ
უნქი დარ რაზიბ ვვაითუ დაჰვიდესთ ბასი
ახრი ქარ ბაჰჰაი ნარასიდესთ მანამ.

ამა ქალებსა საამის სიყვარული გულსა განეწონათ, შამისი ხავარს ერთი ვაშლი ეჭირა. საამს შეტყუოცა. საამს არ მოხვდა, ის ვაშლი ყალვადს მოხვდა. ხურშიდ ხუარსაც ერთი თურინჯი ეჭირა და ისიც საამს შემოსტყუორცა. საამს დასცდა და ყულუშს მოხვდა. ყალვადმა და ყულუშმაე შეხედეს და ის ქალები დაინახეს, და დიდათ მოეწონათ და იმათი სიყვარულის ისრები ამათაც ეწვიათ.

საამ ფალავანმა შეხედა და შესძახა: ჭეი, მნათობნო, ეს ყმაწვილები

თქვენს ზილფების ქამანდში გაახვიეთ! კაი ნადირები დაკოდეთ, ამ თქვენს დაკოდის ნადირს ნულარ გაუშვებთო! ქალბმა უპასუხეს: ჭეი, შარიალო, ჩვენ სონდულს ვესროლეთ, ტრედებისათვის არ გვისროლიათ. საამ ფალავანმა უპასუხა: ჭეი, მნათობნო, ესენი სონდულნი არიანო და მე ტრედო.

ამა ქალბმა საამის სიყვარულით ველარ გასძლეს, სასახლიდამ ძირს ჩამოვიდნენ და საამს ფეხთა მოეხევივნენ. საამ ფალავანმა დიდის თავაზით ასწილა, ზე ააყენა და ორთავ ლოყასა აკოცა და უთხრა: ჭეი, მნათობნო თქვენ ჩემის დის ადგილსა ხართო, და ეს ყმაწვილები თქვენთვის ცნობამიღებულნი არიანო და ამითი გული გაამხიარულეთო!

ეს ქალბები საამის სიყვარულის იმედგარდაწყვეტილნი შეიქნენ, მეტის მწუხარებით გულს შემოეყარათ. რა ცნობასა მოვიდნენ, ყალვადმა შეხედა შამსი ხავარსა: ჭეი, ჩემო სიციცხლო, მე ამაზედ მეტს ელარ მოვიტომნო. თუ მშვენიერების ტუჩებიდამ მონაპკევეს ცვარს არ მაკულებ, უთოთ სიკვდილს მივეცემო. ყულუმშაც ხურმედ ხუარსა ამგუარათ დაუწყო ლაპარაკი. საამ ფალავანმა ამ ქალებს თავის გარდასავალი სულ ყველა წერილად უანბო. და ამ ქალბმა, ამისი გამგონე, დაახ ბევრი იტირეს და გული დააჭერეს, რომ საამის გული სხვაგან იყო შეპყრობილი და იმისაგან უიმედონი შეიქნენ. იმეამად მეჭლოში გამართეს და ხურშიდ ხავარი ყალვადთან დასვეს და შამსი ხავარი ყულუმთან დასვეს. დასხდნენ, ლხინსა და განცხრომასა მიეცნენ.

იმ ღამესა გათენებამდენი ლხინსა და განსვენებასა იყვნენ. რა ღვინისაგან შეზარხოშდნენ, ყალვადსა და ყულუმსა ეწადათ, რომ ქალებისათვის ხელი გარდაეხეიათ და ეკოცნათ, მაგრამ საამის მორიდებით ვერა გაებედათ.

რა გათენებისა ხანა მოატანა, საამ ფალავანი თავისსა სადგომსა მოსახვენებლად წაბძანდა, ძილსა მიეცა. და ძილსა შინა ნახა, რომ ჩინეთის ბაღის სასახლეში ფერიდუხტ ნახა. მხიარულის გულითა მოვიდა და თავყანი-სცა. ფერიდუხტმა უთხრა: ჭეი, ნარიმანის ძეო, აგერ რამდენი ხანია, რომ შენ ხავარის ქალბთან — შამსი ხავართან და ხურშიდ ხავართან შეექცევიო. თუ შენ ჩემს ეზხზედ წამოსულხარ, იმათთან რაღათ შეექცევიო! ესე სიტყვა უთხრა, სალამი აღარ ჩამოართო, გაბრუნდა და წავიდა.

ამისი გამგონე საამ დიდათ გამფოთებული წამოვარდა და მაშინვე თავისთა დიდებულთა და ეეზირთა უბძანა: მე ჩინეთს მიინდა წავიდე და ჩემ მაგიერათ ყალვად დამიდგენია. ამას უნდა დაემორჩილნეთ და ამის სიტყვას არ უნდა გარდახვიდეთო, მანამ მე მოვიდე, ეს თქვენთვის ქანიშინათ დამიდგენია. დიდებულთა და ვეზირთა ესე გაიგონეს, დიდს მწუხარებასა მიეცნენ. საამმა ამა უბძანა: თუ ღმერთი შემეწყვეაო, ისევე მალე მოვალო. საამ ფალავანმა ყალვადს უთხრა: შენ ჩემ მაგიერათ გამიშვიხარო და ეს დიდებულნიც შენთვის მომზარებიაო.

საამ თავის საჯდომს ყურაბი თიქაურზედ შექდა, გამოესალმა და ჩინეთისა მხარეს წავიდა, იარა ჩქარისა სიარულითა და ერთის მთის ძირზედ მივიდა. რა მიმოიხედა, ერთი ხმანობა შემოესმა, ნახა, რომ ქარავენი ჩამომხდარიყო იმა მთის წყაროზედ და იმათ მიმართა. იმა ქარავენისა უფროსი ერთი მოხუცებულნი ბერი კაცი იყო. კარავსა იჭდა. გამოიხედა, იმ კაცმან ნახა, რომ ერთი საყვირველი ფალავანი ერთს მთის ოდენ ცხენზედ ზის და იმათკენ მივა; ფიცხლავ მოსამსახურეთა უთხრა: ნახეთ, ვინ არისო. მაშინვე გამოვიდნენ და საამ ფალავანი ქარავენის უფროსთან მიიყვანეს. და ამ სოვდაგარს სეიდ ერქო. საამ ფალა-

ვანი შევიდა და თავი დაუტყრა. ეს სიღრმე ბეზირგანი ჩინეთის კემწიფის ბეზირგანი იყო, რა ამ ხოჯამ ფალავანი დაინახა, ადგა, წინ მიეგება, მიესალმა, მიიყვანა და გვერდით დაისო და თავისი ვითარება ჰკითხა: ფალავანო, ვინა ხარო, და ან სააღამ მოხულო! საამმა მოახსენა: ბეზირგანო, მე ფალავანი არა ვარ, მე ერთი ბეზირგანი ვიყავი, ზღუაში ზომალდი წამიხდა და მე ერთს ფიტარზედ შეერჩიო, და გამოღმა გამოჰაგლო და ზღვის პირს ეს საჯლოში ვიშოვნეო, შეეჭქე და მოვდიუარო; სახელადაც უეიბადის ძე უეის მქვიანო და გზამ აქ მომიყვანა. თქვენს წინაშე. ბეზირგანმაც მოახსენა: მეც ჩინეთის კემწიფის ქალის ფერი-ლუხტის ბეზირგანი ვარ, სახელადაც ხოჯა სიღრმე მქვიანო. მას უკან სუფრა მოა-ღეს და ღვინის სმასა შეექცნენ. რა საღამო ეამი შეიქნა, ბეზირგანმა უთხრა: აკიდეთ, რომ წავიდეთო!

მაშინვე ასაკიდელნი მოახსენეს და აკიდეს და გამგზავრდნენ. რა ცოტა ალაგი გაველეს, მივიდნენ ერთს ალაგს, ორი გზა გაიყრებოდა და იქ შედგნენ. საამ ფალავანმა ჰკითხა ბეზირგანს: ეს გზები საითკენ წავაო. ბეზირგანმა უთხრა: ეს ორი გზა ჩინეთს მიდ. საამმა მოახსენა: რომელი მხარის გზა უფრო მოკლე არისო. ბეზირგანმა უპასუხა: მარჯვენე მხარე ორი მანძილით მოკლეა და შენობაც არის. და მარცხენა მხარე შორი გზაც არის და არც შენობა არისო. ჩვენ მარცხნის მხარისაკენ უნდა წავიდეთო, ამიტომა რომ მარჯვენისა მხარეს რომ წავიდეთ, იქ, იმ მთაში ერთი ზინდა ჯაღო ზის, რომ იმისი შიშით იქითკენ ვერავინ გაივლისო; რომ, ვინც იქითკენ გაივლის, სულერთიანათ დაატუსაღებს-და შეიბერობს, და საქონელსაც აიკლებს და კაცებს გამოიზოგებს, და დღეშე-ერთს მწუადად შესწომს და შესკამს. ამის მიზეზით იქითკენ ვერავინ გაივლის..

ფალავანმა რა ეს სიტყვა მოისმინა, გაიცინა და ხოჯას უთხრა: უბძანე, რომ ქარავანი მარჯვენისა მხარისაკენ წავიდესო, ზინდა ჯაღო ვინ არისო, ასეთს საქმეს უხაზო, რომ იმისი სახელი ქუეყნათ სულ აღარ იხსენებოდეს და ჩემს ძალ-გულსა და ფალავანობასა მოუთხოვდნენო.

ხოჯა სიღრმე უთხრა: ჭეი, ჩემო საყვარელო შეილო, შენ იმა ჯაღოსა ვერ-აქნობ, ამიტომ რომ შენ ჯერ ყმაწვილი ხარ და რამდენჯერ ჩინეთის კემწიფეს ხაყან ჩინს ურციხვი დევისა და ადამიანის ჯარი შემოუყრია, მოვიდა იმა ჯაღო-ზედა და ვერა უყვეს რა. იმის კელისაგან ზოგნი იავარ იქმნენ, და ზოგი გარდა-იბვეწნენ და მორჩნენ. ის ასეთი ჯაღოს მქონდა, რომ ერთ ეშმათ იქცევა-და ამდენს ცეცხლს გარდმოყრის პირიღამა, რომ ცხენი და კაცი სრულებით შესწუასო. იმითაც თუ ვერა ავნო რა, ერთს ასეთს ქარს ააქროლებს. რომ ცხენიან კაცს მოიტაცებს: თუ იმითაც ვერა ავნო რა, ერთს ასეთს თოვლს მოი-ყვანს, რომ ცხენი და კაცი სრულებით გაიყინოს, და თითონაც ასეთი ძლიერა არის, რომ ათს კაცს ერთიანათ მოხევეს კელსა და ისე შეიპყრობს და წაიყვანს.

რა საამ ფალავანმა ესე ბეზირგანისაგან მოისმინა, ჰკითხა, რომ აქედამ რი-შიტ კემწიფის თილისმით გაკეთებული ზარინ ყალა რამდენი ალაჯი იქნება. ბე-ზირგანმა მოახსენა: აქედამ ორის საათის სავალი იქნებაო. ფალავანმა რა ეთე-ზონი მინა, ბეზირგანს უპასუხა: თქვენ აქ მომიცადეთო, რადგან ასე ახლო ყო-ფილაო, ღმრთის მოწყალეობით, მე იმაზედ წავალო, თავს მოვსკრი და აქ მოვი-ტანო, და მას უკან ავიყარნეთ და წავიდეთ! ხოჯა სიღრმე მოახსენა: რადგან არ-დაიშლით იმ ჯაღოზედ წასვლას, მეც თან გიახლები და ქარავანსაც წამოვიყვანს. მივიდეთ იქა. მე იმისთვის ბევრჯელ ხარაჯა მიმიცია, თუ ძალით ვერა მოვრჩეთ. რამდენსამე ყულს მიჰსცემ და ჩვენ მშვიდობით: გავიაროთო. ნარიმანის ძის საამ

ფალავანის სიტყვით გამობრუნდნენ. ეს ქარავანი იქილამ აიყარნენ, წავიდნენ და ზარინ ყალის ძირში ჩამოხდნენ.

რა საამ ფალავანმა ის ხევი სრულებით გაშინჯა, დიდათ მოეწონა, ნახა, რომ იმ მთის წვერზედ ერთი მშვენიერი ციხე გაეკეთებინათ და იმ ციხის კედელი სრულებით ოქროს აგურით იყო ნაშენები და დიხს უცხო მშვენიერი რამ იყო ნაშენები. საამ იქილამ გამობრუნდა, კარები დასცეს, ჩამოხდნენ, სუფრა მოიღეს, ლხინსა და ლვინის სმასა შეექცნენ. რა ლვინით გაზარბოშდნენ, საამა უპასუხა: რა იქნა ის მყარალი დევიო. რატომ აქამდინ არსად გამოჩნდა?

რა ესე სიტყუა დაასრულა, შაშინვე თავისი სამამაცო იარალით შეიჭურვა და ყურაბი თიქაურსა შექდა და ისე დაღვა. ამჟამად შეხედეს, ნახეს, იმ მთისა წვერიდამ ერთი საშინელი ღრუბელი გამოჩნდა. რა ახლოს მოვიდა, ნახეს, რომ ერთი საშინელი დევი იყო. ამისი მნახველნი შექარავენნი უცნობოსავით შეიქნენ. მოვიდა ის ზინდა ჯადო და შემოსძახა მალლის ხმითა: ჭეი, ხოჯა სეილო. ჩემთვინ რამდენი კარგი ყული მოგისხამსო! ხოჯა სეილმა უპასუხა: თქვეთვინ ბევრი კარგი მსუქანი ყულები მომისხამსო. ამ ხოჯასა და ამათ მოქარავენთა ეწადათ, რომ ოცდაათი კარგი ყულები მიეცათ და თვითონ მშვილობით გაეცლოთ.

რა საამ ფალავანმა ჯადო დაინახა, ერთი საშინელის ხმით შესძახა და უთხრა: ჭეი, შე უმსგავსო, ასეთს საქმეს გიზამო, რომ შენი სახელია ქუეყანათ აღარ იხსენებოდესო! ვანრისხებული დევი, ამისი გამგონე, მოვარდა საამსა და ეწადა, რომ საამ ფალავანი შეეპყრა. ფალავანმა თავისი შუბი კელთა აილო და ესრეთ შედგრაათ აძგერა გვერდსა, რომ შეიღჯერ ყირაზედ გარდაბრუნდა ზინდა ჯადო. რა ზე წამოქდა, თავისის ჯადოს მანქანებით დიხს ბევრი ცეცხლი გამოყარა და დიდი ქარებიც ააყენა და სიცივეებიც დააყენა, მაგრამ ფალავანსა ვერა უყო რა. ამიტომ, რომ ფალავანს თეიმურაზ კემწიფისეული ბაზმანდები მკლავზედ ეკრა და ისმიაზანს ულოცავდა და იმის მიზეზით ფალავანს ვერა აენო რა. მაგრამ მოქარავენთა დიდი ძალი დაემართათ ამ ქარისა და სიცივის მიზეზით.

რა საამ ფალავანმა ეს ხალხს შეწუხება ესრეთ იხილა, შაშინვე მოუხდა და იმ მყარალს, ბილწს ზინდა ჯადოს ერთი ასეთი კმალი შემოჰკრა, რომ ის ბილწი, მყარალო ჯადო შუაზედ გაწყვიტა და ორათ გაკვეთილი შეიდანსა დააგდო და იმისი სული ჯოჯოხეთში გაამგზავრა. იმის სიკედილზედ საზარელი კმები გამოხდა და მტკერი აღგა, რომ ჰაერი სრულებით დაფარა. ამა მტერისა მიზეზითა ამ ქარავანის ხალხთ ვერა გაიგეს რა. რა მტკერი გარდაიყარა, შეხედეს, ნახეს, რომ ეს ბილწი ზინდა ჯადო შეიდანსა ორათ გაკვეთილი გდია. დიდსა სიმზიარულესა მიეცნენ. იმ ბილწმა ჯადომ შემოსძახა: ჭეი, ფალავანო, მე ასეთი ყმაწვილი კაცი და ქუეყნის გაუხარელი, როგორ მომკალიო. ფალავანმა რა ესე გაიგონა, ჰკითხა რამდენის წლისა იყავო. იმან უპასუხა: ორი ათას სამასოცდაექვსი წლისა ვიყავიო. საამ ფალავანმა რა ესე გაიგონა, ესრეთ უპასუხა: ღმერთთან ღალიან დამნაშავე ვარო, რომ შენ აგეთი ყმაწვილი კაცი და ქუეყნის გაუხარელი, როგორ მოგკალი!

ამისი მნახველნი მივიდნენ მოქარავენნი ფეხთა მოეხვივნენ. ხოჯა სეილიც მოვიდა და რამდენჯერ თავსა შემოეელო, მოეხვია და სამამაცოს შუბლზედ აკოცა.

რა ამ ბილწის დევისაგან მოიცალა, გამობრუნდა და ციხისკენ წავიდა საამ ფალავანი. მივიდა, ნახა, რომ ამ ციხის კარზედ ერთი საშინელი ლომი დგას და

ბრდღენავს. რა საამმა ესე ლომი დანახა, მაშინვე თავისი გურზი მოუქნიუა და ესრეთ შედგარად დაჰკრა, რომ იმისი ტენი თუთიასავით მიწასა გარაუა. ეს ლომი ჯაღოსა მანქანებით იყო გამარაული. რა მივიდა, ციხის კარი გააღო, და ეს ციხე შიგნით სრულებით გაშინჯა, დიდათ მოიწონა, გამობრუნდა და იმ ჯაღოს სასახლესა მიმართა. რა მივიდა, ნახა, რომ იმ სასახლეში ერთი მურასა ტახტი იდგა და იმ ტახტსა ზედან ერთი მშვენიერი ქალი იწუა და ეძინა; ოქროს ჭინჭილები ყელსა ება და ოქროს პალოებით ოთხსა ადგილას იყო დამაგრებული.

რა ფალავანმა ეს ესრეთ იხილა, იმისი ფეხის ხმაზედ გამოღვიძა იმა ქალსა. რა შემოხედა იმა ქალმა, იხილა, რომ ერთი მშვენიერი ყმაწვილი კაცი თავს ადგა. დიახ მოეწონა და ესრეთ უპასუხა: ფალავანო, ახლავ შენს თავს ერთი რამ უშველედ და ერთის მხრისაკენ წადი, თორემ ზინდა ჯაღო სანადიროთ არის წასული, ის მოვა და ერთს რასმე აგიტეხსო. საამ ფალავანმა რა ეს გაიგონა, ერთი დიდათ გაიციხა და იმ ქალსა უპასუხა: ჭეი, ბანოვანო, მომილოცავსო და მხიარულათ იყავო, რომ ზინდა ჯაღო მოვკალო!

რა ამ ქალმა ესე მოისმინა იმ ფალავანისაგან, დიდათ გაკვირდა და უთხრა: ჭეი, ფალავანო, მამაჩემი დიახ დიდი კემწიფეაო, და დიახ დიდროვანის ჯარებით მოუხდა და იმას ვერა დააქლო რაო, და მაგ სიტყუაზედ რათ გამეციხეთო, ეგ საქმე დიახ შეუძლებელი არის კაცისაგანო. ფალავანმა ფიცით არწმუნა, მივიდა და ყოვლიდამ ჭინჯილები ახსნა და პურობილობისაგან განათავისუფლა. ფალავანმა კელი მოჰკიდა, ზე ააყენა, ააყენა და ტახტზედან დასუა და ჰკითხა: თუ თქვენ ჩინეთის კემწიფის ქალი ხართ, ფერიღუბტის ერთი რამ ამბავი მიბძანეთო.

რა ამ ქალმა ესე სიტყუა გაიგონა, მოახსენა: ფალავანო, ჩვენ სამნი დანი ვართ, და ტირილი დაიწყო. მე სახელად ფერინუმ მქვიანო, ჩემზედ უმცროსს შაქარნუმ მქვიანო და სულ უმცროსს ჩვენზედა ფერიღუბტ მქვიანო. და მოახსენა: ფალავანო, ვინ გასწავლა თუ ფერიღუბტს რა ქვიანო. ფალავანმა მოახსენა: ჭეი, მნათობო, მე ერთ დღეს სანადიროსა ვიყავი და ნადირობასა შინა ერთი ჭერანი შემომხვდა და იმიო გიცანი; და თავისი გარდასავალი სულ წვრილათ უამბო. ქალმა რა ესე მოისმინა ფალავანისაგან, მოახსენა: ჭეი, ფალავანო, თქვენ მაგაზედ ნუ შეიკირებთო, როგორც თქვენი გულის წადილი არის, ისე მოვახდენ ამ საქმეს. რადგან თქვენ ამდენი ჰირნახული გასწივეთო, ამ დღეის კელიდამ დავიხსენ, რომ შვიდი წელიწადია, რომ ამ ჯაღოს ვყავარო, მეც თქვენს წადილს სასრულეს მივცემო!

ფალავანი და ფერინუმ აღგნენ და იმ დღეის სასახლეს ავიდნენ და სხჩრეკენენ და თავის გარდასავალი, მანუჩარ კემწიფის ამდენის ხნის მოშორება, და ფერიღუბტის სიყვარული, სულ ყველა უამბო ტირილითა. მივიდნენ ამა სიარულში, და ერთ ოთახში ერთი ტახტი იდგა, ნახეს, რომ ზედ ეწერა: ეს ჰიმშიტშას თილისმა არისო. ვინც ეს ჯაღო მოკლათო და აქ მოხვიდეთ, ეს ტახტი ასწივეთ და ამაში ერთ პატარა კარსა ნახავთო. იმაში შედითო და, რაცა თქვენის გულის წადილი არისო, აქედამ აღგისრულდებათო. ფალავანმა მსწრაფლათ კელი მოავლო და ის ტახტი შორს გასტყორცნა. ნახეს, ერთი კაცი გამოჩნდა, რა შიგან შევიდნენ, ერთი უცხო ოთახი გამოჩნდა. ნახეს, რომ ის ოთახი სულ თვლითა და ჭავაირით იყო ნაგები. რა თუალი მოავლეს, ნახეს, ერთსა მხარეს ერთი ძვირფასი ტახტი. იდგა. რა ახლოს მივიდნენ, იხილეს, რომ იმ ტახტსა

ზედან ერთი ძვირფასი თაჯი ილო ჯიმშიტ კემწიფისა და იმასთანაც ჯიმშიტ კემწიფის ჯამი ილგა.

ფალავანმა რა თაჯი იხილა, წინ წაღდა, და კელთა აილო და შინჯუა დაუწყო, რა სრულათ გაშინჯა, დიახ ბევრი დალოცა და ქება შესახა ჯიმშიტ კემწიფისა. გამობრუნდნენ იქილამ ფალავანი და ფერინუმ და ხოჯა სეიდისაკენ გაემართნენ. რა სიახლოვესა მივიდნენ, იმა ქუეყნისა ხალხნი სრულებით წინ მოეგებნენ, დალოცეს და თაყვანი-სცეს — „შაბაშ შენთა მკლავთა ძლიერებასა“ — გაამრავლებდნენ, რომ „არა არის თქუენისთანა ძლიერი და სრული ფალავანიო“.

რა ხოჯა სეიდმა ფერინუში დანახა, მაშინვე მოვიდა და თაყვანი-სცა, მშვიდობით მორჩენა და ჩინეთის კემწიფის ანბავი, და ფერიდუბტის ანბავი სულ ყველა წვრილათ მოახსენა. საამ ფალავანმა ხოჯა სეიდს უძძანა, რაც ამ ქარავანში ან აქლემი არის, და ან ულაყი ასაკიდებელი, სულ ერთიანათ უნდა წამოახსათ, რომ აქ ჯიმშიტ კემწიფის თილისმა გავტეხეო, და ურიცხვი თუალო და მარგალიტი და ძვირფასი საქონელი არისო. ეს უნდა გამოვიტანოთ და ჩინეთისაკენ უნდა წავილოთ. ხოჯა სეიდმა მოახსენა ფალავანსა: მე ზინდა ჯადოსან განამიგონია, რომ იმისი ჯოჯი, ჯორი და აქლემები ამ მინდორსა ძოვენ, კაცს გაეგზავნი, იმათ მოვასხმევენებ, იმათ ავკიდოთ და წაივითო! ფალავანმა მოაწონა: დიახ კარგი იქნებაო. გამობრუნდნენ და კარავსა დასხდნენ. ფერინუმ და საამ ერთათ დასხდნენ და სხუანი გარიგებით დასხდნენ. სუფრა მოიღეს და მეჯლიში, და ლეინის შექცევისა იყვნენ.

ამჟამათ ერთისა მხრილად ვეტი მაშინელი მტკერი გამოჩნდა, შეხედეს, ნახეს, რომ ორი ათასი ხუალი ღვეი მომავლობდა. ამათი უფროსი მაქუქალ ღვეი იყო. ზინდა ჯადოს ძმა. რა ციხის კართან მოვიდა და თავის ძმა მკვდარი იხილა, ერთი საზარლათ ღრიალი და თავში ცემა დაიწყო. მაშინვე მსწრაფლად გამობრუნდა და ამ ქარავანსა მოატანა. რა მოქარავნეთა ღვეი აქით მიჰყალი იხილეს, მაშინვე მივიდნენ და საამ ფალავანს აცნობეს, რომ მაქუქალ ღვეი. ზინდა ჯადოს ძმა, თავისი ძმის სიკვდილი შეუტყუია და აქეთ მოდისო, თქვენ საომრათო. საამ ფალავანი მსწრაფლად ფეხზედ წარმოხლტა და თავისი საომარი იარაღი მოიმარჯუა, თავის ყურაბი თიქაურზედ ამხდრდა და მაქუქალ ღვესა წინ მიეგება. და მაქუქალ ღვეიცა ერთი ასეთი ფინთი სანახავი იყო, რომ ერთს დიდს მთასა ჰგუნდა, ერთ დიდს ქანდრის ხეზედ ოთხა წისკვილის ქუა წამოეცვა და ის ეჭირა ლახტის მაგიერათ. რამდენჯერმე ჰაერში შეაგდო და ისევ დაიჭირა და თავსა შემოიტრიალა და ფალავანსა დასაკრავათ მოუტანა.

საამ ფალავანმა გარსაშობისეული ფარი იფარა და ისე დადგა, და იმ წყეულმა ღვემა ერთი ასეთი მედგრათ დაჰკრა, რომ იმისი ხმა ოთხსა ფარსანჯსა გაიგონებოდა და ესდენი ცეცხლი გამოსცვივდა, რომ ფალავანი ცეცხლსა შიგან დაიშალა. რა რიგი საამ ფალავანსა ერგო, თავისი ფარი თავსა გარდაივლო და გარსაშობისეულს გურჯსა ხელი მიჰყო, დასაკრავად შეუმალა. ღვემა თავისი ტალი შიმშიტი თავსა იფარა. საამ ფალავანმა მედგრად დაჰკრა. მკლავმან ვეღარ უშავრა. მარცხენასა გუერდსა ეკვეთა. მხარი დააღწეა ფალავანსა. ყურაბი თაქაურმა თავში დასწივდა და მიიღნის თავსა გავიდა.

ღვემა რა თავისი თავი ესრეთ იხილა. ფალავანსა ვეღარ მოუცადა და გაიქცა დაკოდილი. რა ფალავანმა ღვეისა გაქცევა იხილა, უკან გამოეკიდა, მიეწია და მეორეთ დაკვრასა უპირებდა. ღვეი უიშელო შეიქნა. ჯადოს მანქანებით ჰაერსა აღფრინდა და გაიქცა. რა ამ ორი ათასმა ღვემა ეს ესრეთ იხილეს, ერთობით

ფალავანსა შემოუტევეს. ფალავანმაც თვის ბასრსა ხმალსა კელი მოივლო და შიგან გაერთუა და უწყალოთ ხოცა დაუწყო. რა შიტირე ხანი გამოხდა, დევთა ესეთი თავიანთ დახოცა იხილეს, ფალავანსა ველარ გაუძლეს, იხილეს და სულ ერთიანთ გაიქცნენ.

რა საამ ფალავანმა ამათი გაქცევა იხილა, იქილამ გამობრუნდა და ხოჯა სეიდთან მოვიდა. და რა ამა მოქარავენეთა საამ ფალავანი გამარჯვებული მისული იხილეს, სულ ერთიანთ თავისთა კარათაგან გამოვიდნენ და გამარჯვებამაულოცეს, და ფებთა აკოცეს. ხოჯა სეიდც გამოვიდა, მოგება და სამამაცოს შუბლზედ აკოცა და დიდის პატივით თავიანთ ბინაზედ მოიყუანა. იმ ღამეს ლზინსა და განცბრომასა იყვნენ.

რა დილა გათენდა, ჭიმშიტ კემშიფის თაჯი და ის ჯამი და, რაც თვალი და ჯავაირი იყო იმ ციხეში, მოიყვანეს აქლემები და ჯორები, აკიდეს და ჩინეთის მხარეს გაემართნენ. საამ ფალავანმა ფერინუშისათვის ერთი საუკეთესო სპილო მოაყვანინა, ერთი კარგი ტახტი დადგეს, ფერინუშ ზედ დასვეს და ისე გაემართნენ. რამდენიმე ქვეყანა გაელეს და ჩინეთს დაუახლოვდნენ და ჩინეთის ქალაქი დაინახეს.

რა საამ ფალავანმა ქალაქი დაინახა, ესრეთ აჩქარდა, რომ როგორც ტრედის ბარტყმა ყაფაზაში ფრთხონა დაიწყოს, ისე იმრიგად ფრთხონა დაიწყო, ესწრაფოდა ჩინეთის ქალაქს მისულა. იმეაჰად ჩინეთის კემშიფესა მოხსენდა, რომ ერთი სახელოვანი ფალავანი გამოჩენილო, ზინდა ჯაღო მოუკლამსო, ჩიმშიტ-შას თილისმა დაურჩევია და ფერინუშ პყრობილებსაგან გაუთავისუფლებია და, რაც ჩიმშიტ-შას ხაზინა ყოფილა, სულ ერთიანთ მოაქვთო და აგერ სიახლოვეს მოვიდნენ, და ხოჯა სეიდც იმასთან მოვაო.

რა ქალაქისა სიახლოვესა მოვიდნენ, ხოჯა სეიდ საამ ფალავანმა კემშიფის წინაშე გაისტუმრა. ხოჯა სეიდ მივიდა, კემშიფეს თაჯი დაუკრა და ყოველივე, ფალავანსაგან ზინდა ჯაღოს სიკვდილი, მაქუქალ დევის მხრის მორტეხა და დამარცხება, და ფერინუშის გამოხსნა, სულ თვითოულად უამბო. ჩინეთის კემშიფემა ჰკითხა: ის ფალავანი ან სადაური არისო, ან ვინ არისო. ხოჯა სეიდმა მოახსენა: კემშიფეო, მე ერთი ძმა მყუანდა ერანის ქუეყანასა, ის ჩემი ძმა მომკვდარიყო და ეს დარჩომოდა, და მე თან წამოვიყვანე და ჩემის ძმისწული ვაბლავთო, და შვიორეთაიც მოახსენა: იქილამ წამოვიყუანეო, გზაზედ ზინდა ჯაღო მოკლა, მაქუქალ დევი დაამარცხა და ჩიმშიტ-შას თილისმა დაარღვია, იმისი თაჯი, ტახტი, ჯამი და ხაზინა თან წამოიღო, და ფერინუშიც გამოიხსნა, და აგერ სიახლოვესა გიახლათო. კემშიფეს მოახსენა: თქვენც რომ წინ მიეგებნეთ, დიახ კარგი იქნებაო. დიდათ მოეწონა და მაშინვე თავის საბძანებელში ბძანება გასცა, რომ სულ ყველანი დაემზადენით, რომ ფალავანს უნდა მივეგებნეთო! მაშინვე შემოკრბნენ, წავიდნენ მისაგებლათ.

რა საამ ფალავანმა ხაყან ჩინის ღროშა დაინახა, მაშინვე ცხენისაგან გარდახდა და ქვეითათ წავიდა. კემშიფემ საამ დაინახა და კემშიფეც ცხენისაგან გარდახდა და სამისაყენ წამობძანდა. საამ ფალავანს ეწადა, რომ ხაყან ჩინისათურნ ფებთა ეკოცა. ხაყან ჩინმა არ გაუშვა, კელი მოჰკიდა, ზევით ასწოუა და სამამაცოს შუბლზედ აკოცა.

რა კემშიფემ სრულებით გაშინჯა, ამისი ახოვნობა და ტანადობა იხილა, გულსა შიგან დიდი ქება დაუწყო. საამ ფალავანმა ჩიმშიტ-შას გვირგვინი მოიტანა თავისს კელთა და ხაყან ჩინს მიართო. ხაყან ჩინმა ის გვირგვინი ჩამო-

ართო, თუალსა დაიდო და თავსა დაიხურა. თავისი მურასა თაჯო მოახადა და თავისი კელით საამ ფალავანსა დაახურა. საამ ფალავანს ღიდის ევდრებით უთხრა, რომ ამოდი, ჩემს ტახტსა დავსხდეთო და ისე წავიდეთო. ფალავანი ტახტს დასუა და ამ საქმეზედ ხაყან ჩინ ღიდათ გახარებული იყო, ქალაქსა შესთვალა [და] უცხო და უცხო ჩირაღოვანი და შადლუხები გამართეს. იმჟამად ხოჯა სეიდ ქალაქსა გაისტუმრეს და ფერინუშუ თან გაატანეს.

რა მივიდნენ არამხანაში, თავისი ღები წინ მოეგებნენ, შაქარნუშ და ფერილუხტ მიესალმნენ და ჰკითხეს: შვი, ჩვენო საყვარელო დაო, იმ საპყრობილიდამ ვინ გამოვიხსნა? ფერინუშმა უპასუხა: შვი, ჩემო საყვარელო დაწო, რა გითხრა, ვინც მე გამომიხსნა, ან იმისი ტანადობა, ან იმისი ფალავანობა. იმისაგან ზინდა ქაღოს სიკვდილი, იმისაგან მაქუქალ ღვეის მხარის მოტეხა და მარტოსაგან ორი ათასის ღვეის ომი და დამარცხება, და ჯიმშიტ-შას თილისმის დარღვევა. იმისი ჯახინის გამოტანა და თან წამოღება, თუ მზესა და მთუარეს ვამზავესო, იმასთან არც ერთი არ იხსენება, ჩემის პირისაგან იმისი ქება არ ითქმის, მე იმ ბილწის კელისაგან გამომიხსნა და იმისი სული ჯოჯოხეთს ვაამგზავრა, და ჯიმშიტ-შას თილისმა დაარღვია, იმისი გვირგვანი, იმისი ჯამი და იმისი ხაზინა, რამდენიმე ხალვაიო ჯავაიო თან წამოიღო და წამოვიდა. მე იმისი ქება არ შემეძლიან რომ ვსთქო, ქალს, თუ ყვანდეს მეუღლეთ, იმისთანა მშენიერი და ძლიერი ფალავანი უნდა ჰყვანდესო. ფერილუხტს უთხრა: აქ გაშინჯე, რომ ნადირობასა შინა შენი სახე უნახამსა და ერანიდამ გამოკრილა, და ამღენი საქმეები სულ შენის გულისათვის ჩაიდინაო.

ფერილუხტმა რა ეს სიტყუა თავისი დისაგან გაიგონა, დიდსა მხიარულებასა მიეცა, რადგან თავისი მამიდის რიზუანფერისაგან საამ ფალავანის ქება უწინაც შეეტყო. უნახავთ იმისი არშოიობა გულსა შესლოდა, მაგრამ თავის დასთან დაფარა. და არ გამოაცხადა და უთხრა: შვი, ჩემო საყვარელო დაო ფერინუშ, მე შენი ანბავი ვეკითხე, მე ერანელა კაცისა რა სადაო მაქუსო და ან რას ვეცნობ, რომ იმის ამბავს მეუბნებითო. ამჟამად ფერილუხტის მოსამსახურენი მოვიდნენ და მოახსენეს: მამა თქუენი ერანიდამ მოსულის ფალავანის წინ მისაგებლათ წასულა და მოდიან, და ჩვენც დასტური გვიბოძეთო, წავიდეთ, თამაშას უყუროთ!

ფერილუხტმა რა ესე სიტყუა თავისი მოსამსახურეთაგან გაიგონა, მობრუნდა და თავისთა ღებთა უთხრა: ჯიმშიტ-შას გვირგვინი, ჯამი და ტახტი მოაქვთო და იმის სანახავათ წავიდეთო. ამა ლაპარაკსა შინა კაცი მოვიდა, რომ ხაყან ჩინ კემწიფე ციხის სიახლოვეს მოვიდნენ. მაშინვე წავიდნენ, ციხისა კართან ფარდაგები გააბნევიანეს და იქ დასხდნენ და თამაშასა ყურება დაუწყეს. ხოჯები და მოსამსახურენი თავსა დაადგნენ. იმჟამად ხაყან ჩინი და საამ ფალავანი ციხისა სიახლოვესა მოვიდნენ. ხაყან ჩინი წინ მობძანდებოდა და საამ ფალავანი უკან მოსდევდა.

რა ფერილუხტმა საამ ფალავანი დაინახა და იმისი მშენიერება განიცადა, ესრეთ მოეწონა და იმისი სიყუარულის ისრები გულსა განეწონა, მეტის სიყვარულით ოფლი დაასხა, ცნობისა მიხდასა ლამოდა. ფერინუშმა ფანჯარას კელი მოჰკიდა, გააღო და საამ ფალავანსა ერთი თურინჯი შესტყორცნა და ბეჭებსა მოახვედრა. საამ ფალავანმა რა მაღლა შეიხედა, ნახა, რომ ფერინუშ და ფერილუხტ ერთად იხსდნენ.

რა საამ ფალავანმა ფერილუხტ დაინახა, ასეთი ამოიოხრა გულთაგან, რომ

მსმენელთა შეებრალებოდათ, და უცნობოსათვით შეიქნა და ცხენისაგან გადმო-
ვარდნასა ლაშობდა. რა კემწიფემ შემოხედა, დაინახა ესე შეწუხებული, მაშინ-
ვე უბძანა: ფალავანო, რა მოხდა ან რა დაგემართაო! ფალავანმა მოახსენა:
რა მოგახსენო, ეს რამდენიმე დღეა, რომ გულის წუხილი დამჩვიდა. მაშინვე
სწრაფლად ზოჯა სეიდის სასახლისაკენ გააბრუნეს და ჩამოახდინეს.

ზოჯა სეიდმა მაშინვე ფარულად კაცი გაგზავნა და ფერიდუხტ დაიბარა. და
სწრაფლად მივიდა ქალი საამ ფალავანთან, ნაზისა ქცევითა და მოიკითხა: გზისა
სიშორისა და სიარულისაგან ხომ არ შეწუხდით? საამ ფალავანმა რა ესე ქალი-
საგან გაიგონა, მოახსენა: შვი, კეკლუტა კემწიფეო, მე, რადგან თქვენის სახის
ნახვის ნახუა შედირსა, გზისა დაღლილობა აღარ მახსოვსო.

მერე სუფრა მიიღეს, ლხინსა და ღვინის სმასა კელი მიჰყვეს. რამდენიმე
ჯამი დალივა, და ფალავანსა მოხვედრისა და კოცნისა ეამი არ შეხვდა. საამ ფალა-
ვანსა უფრო სიყვარული მოემატა. იმეამად, რომ ფალავანმა ბაღში სურათი ნა-
ხა და ახლა თითონ იხილა, ერთი ათასათ მოემატა სიყუარული. ფერიდუხტი
გამოეთხოვა ფალავანსა და ფარულად წავიდა, რომ ვერაინა ჰსცნა იმისი და
ფალავანის შეყრა. ასე რომ, ფერინუშმაც ვერა გაიგო.

რა შეღაძდა, ზოჯა სეიდმა ერთი საქემწიფო მეჭლიში გამართა, მაგრამ საამ
ფალავანი ამგვარ საქემებს არავის უმადლოდა. იმისი ფიქრი სხუა იყო. ამდენი
ხაზინა და ჭავიერი მოჰყუა, რომ თავის დღეში საყოფი იყო, მაგრამ ზოჯის გუ-
ლისათვის დასხდნენ და ლხინსა და ღვინის სმასა შეექნენ. რა ღამისა ცოტა
ხანმა განვლო, ფერიდუხტმა ერთი ზოჯა გაგზავნა: წადი და ზოჯა სეიდ აქ მომ-
გვარეო. ადგა ზოჯა სეიდ და ფერიდუხტთან მოვიდა; საცა ფერიდუხტ ბაღში იმ-
ყოფებოდა, იქ მივიდა, ფერიდუხტს თაყვანი-სცა. ფერიდუხტმა რა შემოხედა,
უბძანა: შვი, ზოჯა სეიდ, რატომა შე: რ მისწული არ მოიყვანეო! ზოჯამ მოა-
სენა: თქვენგან ბძანება არა მქონდა და ამისთვის ვერ გაახელო! საამ ფალა-
ვანი, საცა იმყოფებოდა, ფერიდუხტის ბაღის სიახლოვესა იყო და ზოჯა სეიდ-
მივიდა და ფერიდუხტის ფარდასთან დადგა. ფერიდუხტმა უბძანა: ზოჯა სეიდ,
წადი და შენი მისწული მოიყვანე!

ზოჯა სეიდ გაბრუნდა და აივნიდან ძირს ჩამოვიდა. რა ბაღის ნახევარი
განვლო, იხილა, რომ საამ ფალავანი ბაღსა სეირნობდა. მოახსენა ფალავანსა-
და ფერიდუხტისაკენ წაიყვანა, მიიყვანა და ფერიდუხტის კარზედ დააყენა.

რა ფერიდუხტმა ზოჯა სეიდ დაინახა, უთხრა: შენი მისწული რა უყავი.
რატომ არ მოიყვანეო! ზოჯა სეიდ გამობრუნდა და საამ შეიყვანა. ფალავანი წინ
წადგა და თაყვანი-სცა. ფერიდუხტმა უბასუხა: შვი, ერანელო ფალავანო, ზინდა-
ჯადო თქვენ მოკალით და ჩემი საყვარელი და ფერინუშ თქვენ გამოიხსენით
პყრობლობისაგანა. ფალავანმა მოახსენა: მამის შენის ხაყან ჩინის ბედნიერობით
ზინდა ჯადოც მე მოკვალო და თქუენი და ფერინუშიც მე გამოვიხსენო. რა ესე
ფერიდუხტმა მოისმინა, მაშინვე ბძანა, და ერთი სახემწიფო ტანისამოსი მოი-
ღეს და საამს უბოძეს. ფერიდუხტმა რა საქემწიფო ტანისამოსი ჩააცო, მაშინვე
ფერინუშ წამოადგა და ფალავანს ანიშნა, რომ დაღამდეს, ამ სასახლეში მოდიო.

ზოჯა სეიდმა წამოიყვანა ფალავანი და თავის სასახლესა მიიყვანა. აქეთ
მხარეს ფერიდუხტ თავისსა სადგომს გაბრუნდა და წავიდა, მაგრამ გული ამ
ფალავანთან დარჩა. მუდამ ეამს ფერიდუხტს ამ ფალავანის სიყვარულის ცეც-
ხლი ეკიდებოდა და სიყვარულით ერთი ასეთი ფერი ეღუა, რომ ყვითელ ზაფ-
რანასა ჰკვანდა. მუდამ სოფელს წყევლიდა და ამას ანბობდა, რომ ნახე, სო-

ფელმა რა მიყო, რომ ერთის უცხოს ქუეყნის კაცის სიყვარული გულსა განმან-
წონა და არ ვიცი, ის კაცი ვინ არის, ან ვისი შვილიაო; ესეც არ ვიცი, რომ
უცხოს ქუეყანას სახელოვანება აქუს რამეო, თუ არაო. მე ამის სიყვარულით
დატუსალებული ვარ! რა ვქნა, ან რა წამალი დავადო ჩემს თავსა, და ან იმისი
და ჩემი ერთათ შეყრა რას გზით უნდა მოხდესო. მეორე ესე, რომ იმასაც ჩემი
სურათი უნახანსო და ეს უფრო ჩემის სიყვარულით გაგიყებული არისო. ჩემი
გულისათვის რამდენს ჯადოს და რამდენ ვეშაპს შებშია, და რამდენი ჯაფა უნა-
ხამს და იმას უფრო ჩემის სიყვარულით სიოცხლე აღარა აქუს. ფერიდუხტმა
ხოჯა სეიდს უთხრა: დემრთი ისე იმისი მადრიელი იყოს, რომ როგორც ჩვენი
გული ფერინუშის გამოხსნით გამხიარულდა, მინდა მე, რომ გარჯილობის გუ-
ლისათვის იმას ძვირფასი ფეშქაშები გაუგზავნო.

ფერიდუხტის ანბავი აქ დაუტეოთ და ცოტა რამ საამ ფალავანის ანბავი წარმოეთქუათ

ერთსა ღამეს, რა შუა ღამე შეიქნა, ფალავანმა საღამური ტანისამოსით
შემოსა და ფერიდუხტისაკენ გაემართა. რა მივიდა იმა ბაღთან, თავისი აბრე-
შუმის საგდებელი შესტყორცნა და ბაღის ქონგურს მოსდო და ზედა ავიდა.
ეწადა, რომ ფალავანი ფერიდუხტს შეყროდა. დიდხანს იარა იმ ბაღსა, მაგრამ
ვერსად შეეყარა. გამობრუნდა და ისევ თავის სასახლეს მოვიდა.

ერთს დღესა ჩინეთის კემწიფემ ხაყან ჩინმა საამ ფალავანი დაპატიჟა და
მეჯლიში გამართეს, ლხინს და ღვინის სმასა შეექენენ. იმჟამად ფერიდუხტ საამ
ფალავანის სიყვარულით შეპყრობილი იყო და თავის მხლებლებთ უბძანა: წა-
ვიდეთ, ცოტა ხანს ვარდის ბაღში შევექცეთო!

წაივინენ ბაღსა შიგან მეჯლიში გამართეს. ლხინსა და ღვინის სმას შეექც-
ნენ. ხაყან ჩინის მეჯლიში მოიშალა. ფერიდუხტმა ერთს თავის მოახლეს უთხ-
რა და გაგზავნა საამ ფალავანთან: ასე უთხარი, მე რამდენსამე დღეს ამ ვარდის
ბაღში მინდა შევექცეო და, რა საღამო ეამი შეიქნას, ამ ბაღში უნდა მობძან-
დე, რომ ცოტას ხანს ლხინსა და ღვინის სმასა შევექცეთო!

რა დილა გათენდა, ხაყან ჩინმა საამ ფალავანსა შეუთუალა: მე მწადას,
რომ ათის დღის ვადით სანადიროთ წავიდეთ და შენც უნდა წამოხვიდეთ. რა
საამ ფალავანმა ესე მოისმინა, მაშინვე ზე წამოდგა, და თავის სამამაცო იარა-
ლით შეიკურვა და ყურაბი თაქაურზედ შექდა და კემწიფის სასახლისაკენ გაე-
მართა, მივიდა კემწიფის სასახლესთან დადგა. კემწიფე გამობძანდა, რა საამ
ფალავანი დაინახა, მოვიდა და სამამაცოს შუბლზედ აკოცა, დასხდნენ და ცო-
ტას ხანს ღვინო მოიღეს და ღვინის სმას შეექცნენ. რა ცოტა ხანი გამოხდა,
ადგნენ და სანადიროსა გაემართნენ: მივიდნენ მინდორსა, რაც ან ცაში ფრინ-
ველი იყო, და ან მიწაზე ოთხფეხი იყო, სულ გაწვიტეს. იმჟამად ხაყან ჩინ საამ
ფალავანისა სიახლოვესა იდგა და უყურებდა. საამ ფალავანი ესრეთ ფიცხლად
ნადირობდა, რომ ერთს საათში ურიცხვი ნადირნი დაეხოცა, რომ ჭერ კიდევ
სხუას ერთიკ ვერა მოეკლა. რა ხაყან ჩინმა საამ ფალავანის ესეთი ფიცხლად
ნადირობა და მკვირცხლობა იხილა, დიდათ მოეწონა და ქება დიდი შესახა.

ამ ნადირობისასა შიგან ერთი ხუადი ლომი ერთის ჭალიდამ გამოვარდა
და ხაყან ჩინსაკენ წამოვიდა. რა ხაყან ჩინის დიდებულთა ეს ლომი დაინახეს,
მაშინვე ყველანი თითო-თითო მხარეს გაიქცნენ. მიუხდა ლომი და, კემწიფის-

ტახტი რომ ზინდა ფილოზე იდგა, მისწუდა და ის ტახტი ძირს ჩამოაგდო და ხემწიფეს სასიკდილოთ მიმართა.

რა საამ ფალავანმა ეს ესრეთ დაინახა, მაშინვე თავის საჭდომს ყურაბი თაქურს ქვალი შემოჰკრა და იმა ლომსა მიუხდა და თავისი ას ოთხმოცილიტ-რიანთ ქვალი ესრეთ მდგრათ შემოჰკრა. რომ ლომი ორათ გაწყვიტა და მიწას დაეცა. კემწიფეს იმ ლომის შიშით გულს შემოეყარა და, რა საამ ფალავანმა კემწიფე ესრეთ იხილა, მაშინვე ცხენთაგან გარდახდა, კემწიფის თავი კალთასა ჩაღდო. პირისახილდამ მიწა მოსწმინდა და ცნობას მოიყვანა.

რა კემწიფემ საამს შეხედა, ნახა, რომ ფალავანსა ლომიც მოუკლამს და კემწიფის თავი კალთაში უძევს, ლმერთს მადლი შესწირა, შემოხედა, ნახა, რომ თავისი დიდებულნი იმა ლომისა შიშით ესრეთ გარდახვეწილან, რომ ერთი; არავე დაჩრმობიყო იმასთან. რა ცოტა ხანი გამოხდა, მაშინ შემოკრბენ და ნოვიდნენ კემწიფესთან. რა კემწიფემ თავისნი დიდებულნი იხილა, გაუწყრა და უბძანა: როგორ არა გცხვენიათ, რომ ერთი ლომისაგან სულ ერთიანათა ვაიქეთო და მე შარტოკა სასიკდილოთ დამაგდეთო! კემწიფე იქილამ აიყვანეს და თავის კარავსა მოიყუანეს. მაშინვე ბძანა სუფრის მოღება. მოიღეს, ლხინსა და ღვინის სმასა შეეკცნენ.

რა საღამოს უამი შეიქნა, საამ ფალავანს ფერიდუხტის სიყუარული მოაგონდა, იმასა ფიქრობდა, რომ სუფრიდამ რის გზით ამღგარიყო, და ფერიდუხტის პირობაზედ იმა ბაღში მისულიყო, და ცოტა ხანს იმასთან შექცეულიყო. რა ამა ფიქრსა იყო, ვერა მოხებერებინა რა ამის მეტი, რომ კემწიფეს მოახსენა: მე ერთი გულის ტკივილი ვიციო და ის დიდათ მაწუხებს, და იმისი წამალი შინ ყუთში დამჩაო. წყალობას ვითხოვ, რომ დასტური მიბოძოთ, წავიდე და ის წამალი შეეკვამო და ამ გულის ტკივილისაგან განვთავისუფლდეო. კემწიფემ დასტური დასცა და უბძანა: წადი, დიახ კარგი იქნება. დიდებულთ მოახსენეს კემწიფესა: საამ წავა და ჩვენ მეორესა სანადიროსა წავიდეთ და იქ შევეკცეთო. მაშინვე მოვიდნენ ფარეშები. კარები იღეს და მეორესა სანადიროსა წაიღეს. ესენი იქით გაეპართნენ. და საამ ფალავანი თავისსა ყურაბი თიქაურსა ამხედრდა და ფერიდუხტისაკენ გაემართა.

რა მივიდა ბალის კართან, ღამისა ცოტა რამ გამსულიყო, ბალის კარი გააღო, შევიდა შიგნით, ყურაბი თიქაური საძოვრად მიუშუა და თითონ ფერიდუხტის სასახლისაკენ გაემართა. ნახა, რომ სასახლისა კართან ერთი საზანდარი ზის და მეტის სიმთურალოთ დასძინებია და ჩონგური კელში უჭირავს. მივიდა ფალავანი, ყიასა კელი სტაცა და საწყალი სწრაფად შიადრძო, და ჩონგურსა კელი მიჰყო და უცხოსა ხმით დაუმღერა. ფერიდუხტსა იმეჰად, ვინცა ვინ მოსაკრავენი და მომღერალნი ახლდნენ ქალები, ამა ხმისა გამგონე, სულ ყველამ ჩონგურები ძირსა დააწყეს და იმას გაოცებულმა ყურება დაუწყეს. ესრეთ ტბილის ხმით უკრებდა, რომ კაცის გონებასა მისტაცებდა.

რა ფერიდუხტმა საამის სიმღერის ხმა გაიგონა, მეტის სიყუარულით ვეღარ გაუძლო, და ტირილი დაიწყო და გამობრუნდა, და თავის დას ფერიდუხტს უთხრა: შეი, ჩემო დამო, ვერ უყურებ იმ ჩვენს მესაკრავეს როგორი სიყუარულის ეშხი შესვლია და როგორ იმღერის. ფერიდუხტ საამის სიყუარულს იხე შეეშალა, რომ არ იცოდა, რა უნდა ექნა, და საწყალათა ტირილად, ესრეთ მოსთქმიდა: ღმერთო, სად არის ჩემის მზისა და მთუარისა უმჯობესი და ჩემის სულის ჩამღვპელი, რა იქნებოდა, რომ აქ ყოფილიყო და ეს ჩვენი მეჭლიში მზესავეთ გაენა-

აეზინა. რა ფერიღუბტმა ეს სიტყუა დაასრულა, იმჟამად საამ ფალაევანმა კარბიღან თავი შეყო და მოახსენა: ჭეი, ჩემო საყუარელო, ღმერთმან ისმინა თქვენ რასაც სთხოვდით, და აგერ სამსახურში ვახლავართო.

რა საამ ფალაევანი ფერიღუბტმა დაინახა, ესრეთ იამა, რომ მეტის სიამოვნოთ დილის ვარღივით გაიშლა. ფერიღუბტმა ფერინუშს უთხრა: აღეკ, აივნის კარი გააღე და აქ შემოიყვანე! ამიტომ უთხრა, რომ ფერინუშ საამის დობილი იყო. აღგა და შემოიყუანა. ფერიღუბტ მიეგება. ერთმანეთი დაკოცნეს, ავიდნენ, ტახტსა დასხდნენ, ღვინო მიიღეს, ლხინსა და შექცევასა მიეცნენ.

რა ღვინო თავსა ეწივით, მაშინ სირცხვილისა ფარდა ჩამოეხსნათ და ერთმანეთს ხვეოდნენ და კოცნიდნენ. და თავის აზღენის ხნის სიშორის ყოფნას მწუხარების ამბავს მოუთხრობდნენ. ფერიღუბტმა უთხრა: ჭეი, ჩემო საყუარელო ფალაევანო, ამაზედ ხათრიჯამი უნდა იყო, რომ მამაჩემი შენ ჩემ თავსა ნებით არ მოგცემს, ახლავ ერთის მხრისაკენ წამიყვანე და წავიდეთო. ფალაევანმა პასუხად უგო: თუ, რომ ვარდის ხილამ ერთი საკუენი რამ გამოვიდა, ისე ჩემგან ეგ საქმე არ იქნებაო. ჭეი, მნათობო, თუ მამაშენმა შენი თავი თავისი ნებით მოძია, დიახ კარგი იქნება, თუ არა და უთუოთ ტახტიდამ გადმოვადლებო. შემოიხივეწიებ და ისე გამოვართვე შენს თავსა, და უთუოთ საბაოთ ღმერთსაც ვაცნობებ, ამაზედ ხათრიჯამი იყავითო! ფერიღუბტსა დიდათ ესწრაფებოდა თავის გულის წადილის აღსრულებსა და ზშირ-ზშირად ერთმანეთს ვადახვეოდნენ და საყუარლათა კოცნიდნენ. ამ შექცევასა იყენენ.

რა დილა გათენდა, საამ ფალაევანს ეწადა, რომ წასულიყო. რამდენჯერაც საამმა წასვლა გამოუცხადა, ფერიღუბტ არ უკებდა. საამმა უპასუხა: ჭეი, ჩემო სიციოცხლო, ჩემი ყურაბი თიქაური ვარღებში დავაბიო და ვარღები არ წაახდინოხ. სამი დღე და დამე ლხინსა და განცხრომასა იყენენ. ფერიღუბტ და ფერინუშ თავისის ხოჯებით და მოსამსახურეებით საამის რაჯულზედ მოვიდნენ და საბაოთ ღმერთი იწამეს.

ამ ამბავსა იყენენ, ერთი კაცი მოვიდა და ამათ მოახსენა: რომ თქუენი მამა ხაყან ჩინ კემწიფე აგერ მობძანდება სანადიროდამაო, და ბალის სიახლოვეს მობძანდებაო. რა საამ ფალაევანმა ისე მოისმინა, მაშინვე სასახლიდამ ძირს ჩამოვიდა და თავის ყურაბი თაქურზედ შექდა, ეწადა, რომ ბალის კარზედ გამოსულიყო.

ერთი მეზალე დახულა კარებთან და არ გაუშუა. რამდენსაც ეხვეწა, კელი აიღე ჩემგანო, არ მოეშუა. მეზალესა თავისი აჯალი მოახლოებოდა. ფალაევანი მეტად განრისხდა, ყოისა კელი შესტაცა, თავი ტანთაგან განაშორა და ბალის ერთსა მხარესა გარდაავდო. ყურაბი თიქაურსა ამხედრდა და ბალის კართან გამოვიდა. იქით მკარეს ხაყან ჩინი ბალის სიახლოვესა მოვიდა. რა საამ ფალაევანმა კემწიფე დაინახა, ყურაბი თიქაურიდამ გარდახდა, თავყანი-სცა. ხაყან ჩინმა რა საამ ფალაევანი დაინახა, დიდათ იამა, ცხენსა შექდომა უბძანა, საამ თან წამოიყუანა. კემწიფე სასახლესა მობძანდა. ფალაევანი და დიდებულნი თავთავის განწესებულს ალაგსა დასხდნენ. სუფრის მოღება ბძანა. სუფრა მოიღეს, ლხინსა და ღვინის სძასა შეექცნენ.

ამა მეჯლოშსა შიგან მჯდომმა ერთმა ვეზირმა მეზალის სიკვდილი, მეჩანგურის სიკვდილი და ფერიღუბტისა და საამ ფალაევანის ანბავი სულ ყველა წერილათ უამბო კემწიფეს. კემწიფემ რა ესე მოისმინა, დიდს ფიქრსა მიეცა, გულსა შიგან ამას ამბობდა, რომ, თუ ამას ერთი რამ არ აუტეხე, და ამისი მაგიერი არ

უყო, ეს რამდენ რიგად არის ნაშსახურიო. ფერინუშ საპყრობილიდამ გამოიხსნა და მე ლომის კელიდამ სიკვდილს მომარჩინა და ჩემნი დიდებულნი, რომ სულ ჩემის წყალობითა და ჯამაგირითა ცხოვრობენ, ისინი გამეძევენ და ამ ფალავან-ვა მომარჩინა.

ამ ფიქრსა შინა იყო კემწიფე შეწუხებულნი. საამ ფალავანმა შეხედა კემწიფესა და შეწუხება შეატყო. მაშინვე იგრძნა, ეგების ჩემი ეს ამბავები შეეტყოს და იმაზედ იყოს შეწუხებულნი. სკამილამ ზე აღდა და კემწიფესა მოახსენა: სანადიროშიც მოგახსენე, მე გულის ტყვიელი დამჩემდა და იმისაგან კარგათ ვერ განვთავისუფლებულვარ, დასტურის წყალობას ვითხოვო. კემწიფე, რადგან ამაზედ იმგუარათ იყო, დასტური დასცა წასვლისა. გამობრუნდა საამ ფალავანი და დაფიქრებული ზოჯა სეიდის სასახლისაყენ გაემართა და წავიდა, თავისსა საწოლსა განისვენა.

ეს ანბავი აქა დაუტეოთ და მცირე რამ ხაყან ჩინისა და ვეზირის ამბავი წარმოეთქუათ

ხაყან ჩინმა უბძანა ვეზირს: კემწიფეები ამისთვის დააყენებენ ვეზირსა, რომ ამისთანა საქმე გამოირჩიოს და რას მეტყვიო, იმ ერანელ ფალავანსა აპისი მაგიერი მუქაფა რა უყო? ვეზირმა მოახსენა: კემწიფეო, რა გიჭირთ, ის ერანელი ხუალ მეჭლისში რომ გიახლოს, უბძანეთ და დაიჭირონ, ან მოკლან ან საპყრობილესა ჩააგდონ.

კემწიფემ რა ესე ვეზირისაგან გაიგონა, უთხრა: ვეზირო, ეგ რა სიტყუა იყო, რომ შენა სთქვიო. ეს ერანელი ფალავანი, ძლიერი და სახელოვანი ფალავანი არის, ზინდა ქალო მოუკლამს, მაქუქალ დევისათვის ერთის ლახტის დაკვრით მხარი მოუტეხია და ჯიშოტ კემწიფის თილისმა დაურღვევია, და ორი ათასი დევი დაუმარცხებიაო, და ესენი ასე გამიგონია და თუაღით კი არ მინახამაო!

ახლა ნადირობასა შინა ერთი სპილოს ოდენი ლომი მოპიხდა, ტახტიდამ ძირს გარდმომავდო და სიკვდილსა მიპირობდა: ის ირანელი ფალავანი მთვრალს ლომსავით მოუხდა და ერთი ასეთი ხმალი შემოჰკრა, რომ ლომი ორათ გაკვეთა და მე სიკვდილისაგან დამიხსნა. ის ერანელი ფალავანი ესეთი ძლიერი ფალავანი არისო, რომ თუნდა მთელი ჩინეთის ხალხი სულ აქ იყოს, იმათაც არ შეუძლიათ იმისი დაქერა. მეჭლისში მოწევეა და იმისი დაქერა როგორ ეგებაო!

ვეზირმა მოახსენა: კემწიფეო, ერთი სხუა ღონეც მიპოვნია, თქვენ ფალავანი ხუალ მეჭლისში მოიწვივეთ და როგორც კულავ თავაზით დახვედრიხარ, ისე უფრო კარგათ თავაზით დახვდითო. იმის საქმელში ბეუშტარო გაურიოთ. რა საქმელსა ჰსქამს, ტახტიდამ ძირს გადმოვარდება, მაგრა ჭინჯილებით შეკვრათ და მოკლათ, ისე სჯობს. ამიტომა რომ არ წავიდეს ერანში და არ დაიკვებოს, რომ მე წაველო, ჩინეთის კემწიფის ქალი კელთა ვიგდე და იმასთან შეევეცყოლიო, კემწიფეების წინაშე არ დაიკვებოსო!

კემწიფესა ესე ვეზირის მოხსენებული რჩეუა დიდათ მოეწონა და ერთს თავის სანდო ყულუხჩისა დაუძახა და უთხრა: ხუალ საამ ფალავანი რომ მომიუღანოთ, შენს მეტმა იმას არც არავინ საქმელი მოუტანოს და არც არავინ დეინო დააღვიწოს, შენ უნდა მიართო საქმელი და დეინოცა და ასე დაარჩევს ის ყულუხჩი.

რა დილა გათენდა, მეჭლიში გამართეს. მოვიდნენ უცხო ღვინის მწვდელნი. ნახის ქვევით ღვინოსა უწვდოდნენ, და უცხო მოძღვრალნი იყვნენ და უცხოთა ხმით იმღერდნენ. ერთი საკემწიფო ტანისამოსი მოატანინა კემწიფემა და ერთს ყულუხჩს უბოძა და უთხრა: ეს ტანისამოსი წაიღე და საამ ფალავანს მიართვი და მეჭლისში მოიწვიეთო. ყულუხჩმან კემწიფესა თავი დაუქრა და საამისაკენ წავიდა.

რა სასახლისა სიახლოვესა მივიდა, ზოჯა სეიდის ყულუხჩებმა რა კემწიფის ყულუხჩი დაინახეს მიმავალი, შევიდნენ და საამს აცნობეს. საამ დიდსა ფიქრსა და მწუხარებასა მისცემოდა თავის საქმესა, რა კემწიფის ყულუხჩი საამთან შევიდა, ხალათი მიართო და მოახსენა: კემწიფემ მეჭლისში დაგიწვიაო. საამმა რა ესე სიტყუა მოისმინა, დიდსა სიმხიარულესა მიეცა, ადგა, მაშინვე კემწიფის წინაშე მივიდა, კემწიფეს შეიღს ალაგს თაყვანი-სცა, გარდავიდა და კემწიფის პირდაპირ კელმოწოდებით დადგა. კემწიფემა მარჯვენასა მხარეს მიიწვია და პირველსა ალაგსა დასვა, უბძანა მეღვინეთა ღვინის მიერთმევა და ღვინოსა არიგებდნენ. ერთი საკვირველი ღვინი შეექნათ.

რა ღვინოში შევიდნენ, ვეზირმა იმ დარიგებულს ყულუხჩს ანიშნა, მივიდა ის ყულუხჩი, საამს წინ დაუჩოქა და რამდენიმე ჩამიბეუშტარო გარეული ღვინო დაალევიდა, რა ხანმა განვლო, მეჭლიში მოიშალა, მარცხნივ და მარჯვნივ დიდებულნი წარმოდგნენ, კემწიფესა თავი დაუქრეს და თავ-თავისად წავიდნენ. საამ ფალავანსა რა ბეუშტარო თავსა ეწვია, ეწადა, რომ ამდგარიყო და თავის სად-ფლამს წასულიყო. ადგა, წასავლელათ დაემზადა, ზე აიწიუა, თავი ველარ შეიმაგრა, ტახტიდამ ძირს ჩამოვარდა და უცნობით მიწასა ზედან დაეცა.

რა ამ უწყალომ ვეზირმა ეს ესრეთ იხილა, ადგა და კემწიფეს მოახსენა: უბძანეთ ჭალათებს, რომ თავი ტანისაგან განაშორონ, რომ ამისაგან დამწუხარი გული გამოინელდესო. შენ ამისთანა სირცხვილი მოგაყენა და მეთავილეზო, რომ შენ სხუა კემწიფეებთან ავით არ იხსენებოდეთ! კემწიფემა რა ესე სიტყუა ვეზირისაგან მოისმინა, ესრეთ უპასუხა: ვეზირო, ერთი კაცი ერანის ქუეყნიდამ გამოჰკრილა და ამდენი სახელოვანი საქმეები ქნა, ბოლოს მეც უწყალოს ღვინის ქელიდამ სიკვდილს დამიხსნა, და ამისთანა ფალავანი ასე ღალატობით როგორ უნდა მოვკლათო, და ან რა ნამუსი იქნება. ვეზირმა რამდენიც საამის სიკვდილი მოახსენა, კემწიფემ არ იყაბულა. მაშინვე ჭინჭილები მოატანინა, საამს შავრა ხელ-ფეხი შეუქრეს და საპყრობილესა შიბარეს.

ესე ამ საპყრობილესა დაუტყვით და მცირე რამ სეილი ჯანსუზისა ანბავი წარმოეთქუათ

სეილი ჭანსუზმა რა ეს უწყალობა კემწიფისა და ვეზირისაგან ნახა. დიდათ შეწუხდა; ადგა მეჭლიშიდამ და თავის სასახლესა წავიდა. სეილი ჭანსუზს ერთი ქალი ჰყვანდა, სახელათ სამანრუხ ერქუა. რა ამა ქალმა თავისი მამა მიმბალო იხილა, წინ გამოეგება და შინ შეუძღლუა და შეიყვანა. რა ამ ქალმა თვისსა მამას პირზედან შეხედა, ნახა, რომ დიხ მწუხნებული იყო. ჰკითხა: შეი, მამაო, რატომ ხარ მწუხნებულო. სეილი ჭანსუზს თავისი ქალის სამანრუხის კეუა დიხ მიეწონა და მეტის სიყვარულით ველარ დაუმალა და ამა მეჭლისში რაც მომხდარიყო, სულ ყველა თითოეულად გამოუცხადა.

სამანრუხმა რა ესე საამის ანბავი შეიტყო, ერთი საზარლათ ამოიოხრა ღვი-

ბლთაგან. ამიტომ რომ კემწიფე სანადიროთ რომ წაბძანებულყო, იმეამდ იმათ კარზედან გაეცლო, სამანრუხს საამ ფალავნის სახე ენახა და გაარშოყებოდა. ამ საქმეზედ დიდათ წუხდა. ასე რომ, არ იცოდა, რა ექნა.

სამანრუხმა თავისსა მამასა მოახსენა: იმ ფალავანს გაუშვებენ, თუ რას უზმენო. სეილი ჭანსუზმა უთხრა: შვი, ჩემო საყვარელო შვილო, რამდენსამე ღღეს ასე შეინახვენ და მერე მოკვლენო. სამანრუხმა რა ესე ამბავი თავის მამასა გამოჰკითხა. თავის მამასა გამოეთხოვა და თავისსა ოთახსა მოვიდა. ის ღამე მწუხარებით გაათენა.

რა დილა გათენდა, კაცის ტანისამოსი ჩაიკუა და სამამაცოს იარაღით შეიკურა და იმა საპყრობილისაყენ გაემართა. რა სიხლოვესა მივიდა, ნახა, რომ ოთხსაე მხარესა ქეშოკები უღდანან. ამ ქალმა, რამდენსაც ვარს უარა, ვერა გააწყუო რა, რომ იმ ქეშოკებს შესვლოდა. აჰეამდ ქეშოკებმა ერთს კაცს ფული მისცეს და ღვინის სასყიდლათ გაისტუმრეს. ეს ბიჭი რა ქეშოკებს მოშორდა, ის ქალი უკან გაეკიდა, მივიდა ერთს ალაგს, ერთი ასეთი ხმალი შემოჰკრა. რომ თავა ტანისაგან განაშორა და იმისი ლეში ერთს ფარულს ალაგს გარდაადგო. აილო ის ღვინის კურკელი და თავისა სასახლესა შევიდა, ის კურკელი ღვინით აავსო და შიგ ბეუშტარო გაურიუა და იმ ბიჭის ტანისამოსი ზეიდამ ჩაიკვა, აილო ის ღვინო და ქეშოკებს მიუტანა და თითონ ერთს ფარულს ალაგს დაჭდა და ყურება დაუწყო.

ამ ქეშოკი რა ღვინის სმა დაიწყეს, ბეუშტარო მოეკიდათ და ერთობით უცნობო შეიქნენ. ქალი მოვარდა, ხანჭალი დაასუა საპყრობილის თავსა, აბრეშუმის ქამანდი მოაბა და შიგან ჩაეშუა. მივიდა, ფალავანს თავი დაუქრა და დადგა ფალავნის წინაშე. ფალავანმა სალაში ჩამოართო და მეგობრობის სიტყვით უთხრა: შვი, ძმაო, შენ რომლის ქუეყნის კეკლუცი ხარ, და ან რომლის ბაღისა ვარდი, და ან რომლისა სადაფისა მარგალიტო. სამანრუხმა მოახსენა: მე თქვენი მხევალი, სეილ ჭანსუზის ქალი, სამანრუხ ვახლავარო. საამ ფალავანმა უპასუხა: შვი, მნათობო, შენ ან ვინ მოგიყვანა აქა, და ან რა გინდა? სამანრუხმა, რაც მომხდარიყო, სულ ყველა თითოეულად მოახსენა, ქალმა მოახსენა: ფალავანო, ჯერ მუსაიფობის დრო არა არისო. ჯერ ამ ჩალიდამ ავიდეთო და მერე სულ ყველას გაეცნობო. ფალავანი ამ ქალის სიტყუასა ზედან ნამუსსა ჩავარდა, წამოიჩოქა და ასეთი იგასწივა ამ ჭინჭილებს, რომ ბამბის ძაფით ლუქმა-ლუქმა დაწვეცდა. ადგა, ჯერეთ ქალი ამოგზავნა ზევითა და მას უკან თითონ მოეკიდა, და აპოვიდა ზევითა. სამანრუხმა ფალავანი წამოიყვანა და ერთსა ხალვითსა ოთახსა შეიყვანა და დასუა, და თითონ კელმოწლომით თავსა დაადგა.

ფალავანმა რა სრულებით გაშინჯა იმისი სახე, დიდათ მოეწონა და უთხრა: შვი, მნათობო, ჩემგან რა სიკეთე მოგავგონდაო, რომ ესდენი ჯათა გასწივე და განსაცდელისაგან და პყრობილობისაგან დამიხსენო! ამ ქალმა თავის ყოველივე გარდასავალი გამოუცხადა. საამ ფალავანმა ჰსენა, რომ ეს ქალი გაარშოყებოდა და უთხრა, რომ მე ერთი მწუხარება მაქუსო. თუ ესთქო, მრცხვენიან, და თუ არა, — ის მწუხარება ქუეყანასა დასწომსო. მნათობო, მე დმერთთან აღთქმა მაქუსო, რომ მე ფერიღუხტის მეტს ხელს ეერავის შეუახებო.

ქალმა რა ესე გაიგონა დიდათ შეწუხდა, დაკმუნდა. ფალავანმა რა შეხედა, ქალს შეწუხება შეატყო, ესრეთ უთხრა: ნუ შესწუხდები, შენ ასეთსა კაცს მიგცემო, რომ ბევრათ ტანათაც მკობდესო, თუალათაც და მამაცობითაცაო, ამა-

ზედ სარწმუნო იყავო. ქალმა რა ესე გაიგონა, დიდათ იამა, მოვიდა და ქელსა აყოცა. ფალავანმა უთხრა: დღეს იქით შენ ჩემი საყუარელი და ხარო!

ეს ანბავი აქა დაუტეოთ და მცირე რამ ფერიღუხტის ანბავი წარმოეთქუათ

რა საამ ფალავანის ველარა გაიგო რა და ფალავანმა დაიგვიანა, დიდ მწუხარებასა იყო, და თული გზაზედ ექირა, და მოელოდა ფალავანსა. ამქამად ხოჯა სვილმა რიზუანფერი დაიბარა, ერთი წიგნი დასწერა, მისცა და ფერიღუხტთან გაისტუმრა.

ფერიღუხტმა რა წიგნი წაიკითხა, ერთი საზარლათ ამოიოხრა, მიწასა გარდაიქცა და გულსა შემოეყარა; რიზუანფერი მივიდა და უთხრა: ეგ როგორ ვეკადრებაო, რომ შენ მაგას შერებო. განა, შენს მეტი არაეინ ყოფილა მიწნუ-რიო?

ამისთანა სიტყვებით ძლივ მოაბრუნა. ფერიღუხტმა უთხრა: ჭეი. ჩემო საყვარელო მამიდაო, აბა რას მიპირობო და ან ჩემს გულს რის გზით მისცემ სიმხიარულეს? რიზუან ფერიმ მოახსენა: ჭეი, მნათობო, ჩვენ ჩვენს რჯულზედ ქელი ავიღოთ და საამ ფალავანის რჯულზედ მოვიდეთ, შენ ამაზედ სარწმუნო უნდა იყო, რომ ღმერთი ჩვენ უნუგეშოს არ დაგვაგდებსო!

ეს სიტყუა აქა დაუტეოთ და რამდენიმე სამანრუხის ანბავი წარმოეთქუათ

იმქამად სამანრუხს ერთი მძა ჰყენდა. მოვიდა და ფერიღუხტს საამ ფალავანის და სამანრუხის ანბავი თვითოეულად უამბო. რა ფერიღუხტმა ეს ანბავი სცნა, რიზუანფერის უთხრა: არ გიკვირსო, რომ საამ ფალავანი სამანრუხს გააზრევიებია და იმისი სიყვარული გულსა დაუნერგავსო. იმასთან ლხინსა და შექცევასა შინა არის და ჩვენზედ ქელი აუღია. მერწმუნე, რახან იმას ჩვენზედ ქელი აუღია, მეც საუტუნოდ ქელი ამიღა.

საამ ფალავანი სამ დღეს სამანრუხთან შეექცა. რა მეოთხე დღე გათენდა, სამანრუხ ფალავანის წინაშე იდგა. ფალავანმა შეხედა და ფერიღუხტის სიყვარული მოაგონდა. ფალავანმა უპასუხა: ჭეი, მნათობო, მეტათ ვიშიშვი, რომ ეს ჩვენი ამბავი ხაყან ჩინმა არ შერტყოს და ჩემი გულისათეინ შენ ერთი რამ არა გაწყენინოს რა. ახლა დასტური მომეც, ჩემს სადგომს წავალო. სამანრუხმა რა ეს გაიგონა, დიდათ ეწყინა და მუხლმორთხებით ევედრებოდა, რომ ნუ წაბძანდებოთ, აქ განისვენეთო!

რა მეხუთე დილა გათენდა, საამ ფალავანი გამოეთხოვა: ახლა კი წავალო ჩემ სადგომსა. ადგა, გამოესალმა ქალსა. ქალმა ტირილით უთხრა: მე შენი მოახლე ვარო, ნუ დამივიწყებ! ადგა ფალავანი და ფერიღუხტისაკენ გაემართა. ამქამად ფერიღუხტს მოსამსახურენი გაეგზავნა: წადით, ნახეთ საამ ფალავანი და სამანრუხ რას იქმნენ. გამობრუნებული იყუნენ და ამბავი მოეტანათ, რომ აგერ სამი დღეა, რომ საამ და სამანრუხ ერთათ შეექცევიანო. ამისი გამგონე ფერიღუხტ დიდათ შეიჭირვებდა.

იმქამად საამ ფალავანი ფერიღუხტის სასახლისა კართან მოვიდა, შევიდა და სალამი მისცა. ფერიღუხტ, რადგან ემდუროდა, სალამი აღარ ჩამოართო. საამ

ფალავანსა დიღათ გაუკვირდა და მოახსენა: *ჭეი, მნათობო, დანაშაული რა მაქუსო. რომ სალამი აღარ ჩამომართვი? ფერიღუხტმა უთხრა: ჭეი, შენ ერანელო. უპირო. შენ ჩემთან საქმე აღარა გაქუს, საითაც გინდა, იქით წადიო! საამმა უპასუხა: მე აგერ რამდენი ხანია, რომ სეილი ჭანსუზის პყრობილათა ვყუანდი, ღმრათის მოწყალებით მოვრჩიო და სამსახურში გიახელ, მაგისტოინ რას მიწყყრებო. ფერიღუხტმა ტირილი ამოუშუა და უთხრა: შენ, აგერ ოთხი დღე არის, რომ პყრობილობისაგან განთავისუფლდი და ახლა მხოულო! წადი, ისევე იყავ, სამანრუხთან შეეკეც, ჩემთან რა საქმე გაქუსო!*

რამდენსაც ფალავანი ეხვეწა შერიგებასა, ქალმა არ შეიწყნარა. ფალავანმა შეკითხვა დიდის ფიცითა, რომ მე იმისთვინ დობა მითქომსო და, როგორც დამბობის რიგი არის, ისე ვიყავი იმასთანო. მე სხუა შექცევა არა მქონია რა. რადგან ამან პყრობილობისაგან განმთავისუფლა, იმისი გულისთვინ ოთხ დღეს იმასთან დაძმურათ შეეკაცეოდი. ფერიღუხტმა უთხრა: შენ ჩემთან საქმე აღარა გაქუსო და ხათრიჭამი იყო, რომ მე და შენი ერთობა აღარ იქნებაო!

რა ფალავანმა ესე მოისპინა, დიღათ ეწყინა, გამობრუნდა, თავის ყურაბი თიქაურზედ შეჭდა, ბებანისაკენ გაემართა და წაიღა. ერთი ასეთი ავდარი და თოვლი დაუდგა, რომ კაცი ვერ გაივლიდა. ფერიღუხტმა რა ფალავანი უიმედოთ გაბრუნებული იხილა, დიღათ შეწუხდა და იწანდა. თავის დას ფერინუმს ევედრებოდა: ვიშველე რამეო, ეგების ერთი ასეთი სიტყუა უთხრა რამეო, რომ გამოაბრუნო. ფერინუმმა უთხრა: ის ფალავანი შენის გულისათვის ერანდა წამოსულა, და თავისი ქუეყანა გაუშვია და აქ მოსულა; გზაზედ ზინდა ქადო მოკლა და მე იქილამ გამომიხსნა და რამდენი მილოინი თულა და ჯავაირო ჩვენს ქუეყანას შემომატა და შენ იმისთანა გულით დახვდი. თუ კი მიჭნური ხარ, შენ გამოუღეყო და დააბრუნე! იმან ესოდენი ჭაფა გასწიუა ჩვენის გულისათვინ და მამაშენმა მუხთლობით შეიპყრა და დაატუსაღა. სეილი ჭანსუზის ქალმა გამოიხსნა და რამდენიმე დღე იმასთან დაძმურათ იყო და ფიცითაცა გარწმუნა და არა დაიჯერე! ახლა შენ იცი და იმან.

ფერიღუხტმა საწყლათ ტირილი დაიწყო და ამბობდა: ეს რა უყავ ჩემს თავსა, რომ ამდენი ჭაფა გასწიუა და ესე უპასუხოთ გავისტუმრე ჩემი საყუარელი. მსვენ წამს სამხედრო იარაღი შეპოირტყა, ნიღაბი ჩამოიფარა, ცხენსა შეჭდა და საამ ფალავანისა კულსა გამოუდგა. მივიღოდა შეწუხებული და ესეთი თოვლიანი დღე იყო, რომ კაცსა უინამდა. რა ცოტა ხანი წარვლო, ერთი მთის წვერზედ შეხვდა, ქარვასლა გამოჩნდა: ნახა, რომ ყურაბი თიქაური დაინახა. საამ ფალავანიც ერას ქარუასლის ბურჯზედ ასულა და ზედან ზის; თავი დაბლა დაეკიდა და ფიქრსა შინა იყო. იმეამდ ფერიღუხტ შორილამ უყურებდა და თავისსა გულსა შინა თქო, წავალ და იმ ფალავანს გამოვცდიო. ენახოთ, რის ძალის მქონებული არისო. ვაშინვე ცხენსა ქუსლი შემოპყრა და საამს შეუტრია და შესძახა: *ჭეი, კაცო, ჩინეთის კემწიფემ რამდენიმე სარდლები ჭარით გამოგიყენა და შენ აქა ზიხარ?*

საამ ფალავანმა შემოსძახა: *ჭეი. ყმაწვილო კაცო, მე ომის თავი არა მაქუს. თავიღამ გამშორდი! ფერიღუხტმა შესძახა: აქედან ადექ, თორემ კელებს შეგიკრამ და კემწიფის წინაშე მიგიყენაო. საამ ფალავანმა კიდევ მშვიდობიანაა „უთხრა: ღმერთი იწამე, გამშორდი, მე შენი თავი არა მაქუს! ფერიღუხტმა თავისა შუბი კელთა აიღო, თავს შემოიტრიალა და მკერდს ესრეთ აძგერა, რომ საამ ფალავანი დიღათ შეაწუხა. საამ ფალავანი ამ საქმეზედ დიღათ განრისხდა,*

ქისწულა და შუბი კელთაგან წაართო, გვერდსა აძგერა ისეთი, რომ ფერიღუხტ ცხენისაგან ძირს გარდაავდო. ესრეთ დაეცა, რომ იმისი სახე მიწასა დააჩნდა. ზედან მივარდა, თეიმურაზისეული ხანჯალი ამოიღო და თავსა ტანიდამ განშორებდას უღამოდა. რა ფერიღუხტმა ესე ნახა, მაშინვე პირის ნიღაბი ჩამოიხსნა და სიყუარულით შესცინა და უთხრა: ფალავანო, მე ვარ ჩინეთის კემწიფის ქალი ფერიღუხტი. ფალავანმა რა ესე გაიგონა, მაშინვე კელთაგან ხანჯალი დაავდო, მოეხვია, პირი პირს დაადვა და გულსა შემოეყარა. ფერიღუხტმა რა ესე ნახა, ანაზღად წყალი მოიღო და გულსა აკურა და ცნობასა მოიყვანა. რა ცნობასა მოეგო, ერთმანეთს საყუარლათ გარდაეხვიენენ და მუსაიფობა დაიწყეს. ფერიღუხტს იმეამად ღვინო წამოელი. დასხდნენ და ლხინსა და ღვინოსა შეექცნენ.

რა ამა ამბავსა იყვნენ, შეხედეს, ერთი მხრიდამ თორმეტი ღროშა გამოჩნდება. ეს იყო ნიშანი, რომ თორმეტი ათას კაცსა ნიშნავდა. საამ ფალავანმა ფერიღუხტს უთხრა: ჭეი, ჩემო სიკოცხლო, ეს რა ლაშქარია? ფერიღუხტმა უპასუხა: მე ასე მგონია, რომ მამაჩემს ხაყან ჩინს ჩემს უკან ჯარი გამოეისოსო. ფალავანო, ამა ტყისა პირსა ერთი საკერპო ბოშონია, მამის ჩემისაგან გაკეთებული, იქ მცველებიც არიან, იქ მივიღეთო და ის ლაშქარი ველარას გვავენებნო.

მაშინვე ცხენსა შესხდნენ და იმ კერპებისაკენ გაემართნენ. რა მიახლოვდნენ, კერპები წინ გამოეგებნენ და ციხესა შეუძღვნენ და შეასხეს. მივიდნენ. ერთი აივანი იყო და იმას ავიდნენ და იქილამ ყურება დაუწყეს. რა ციხისა სიახლოვესა მოვიდნენ ის ლაშქარი, ფალავანმა თული დააკვირუა, იცნა, რომ იმ ჯარის სარდლები ყალვად და ყულუშ იყვნენ, დიდათ იამა და ფერიღუხტს უთხრა: მერწმუნე, ის ლაშქარი ჩემია, ერთილამ მოდიანო. ფერიღუხტმა გაიცინა და უთხრა: მე რათა მცდიო, შენ ჯარი ან საილამ მოგვიოდა, ან ვინ მოგცა? საამ ფალავანმა მაშინვე გარსაშობისაყელსა ქარკაშს ხილთვას კელი მიჰყო და ასეთი მოსწივა, რომ გოზა გოზას მიაწვდინა და ლაშქრისაკენ შესტყორცნა. მივიდა ის ისარი და ჯარის სიახლოვესა ერთსა დიდს ქუასა მოხულა და ფრთამდინ შიგან დაესუა. ფერიღუხტ იმეამად იმა ლაშქარსა უყურებდა. ნახა, რომ იმა ლაშქრიდამ ორი ყმაწვილი კაცი მოვიდა და ისარი ამოაძრეს და ზედ ეწერა, იმ ისარის პირზედ, საამისა სახელი. ყალუადმა რა საამის ისარი ჰსცნა, დიდს სიმხიარულეს მიეცა და თვალბეზსა დაიღო, მას უკან ყულუშს მისცა და იმანაც ვერეთ ქნა.

საამ ფალავანმა მალის ხმით დაუძახა: ეგ ლაშქარი მანდ გარდაახდინეთო და თქუენ აქ წამოდიეთო! ლაშქარი გარდაახდინეს და თითონ საამ ფალავანისაკენ გაემართნენ. რა მიახლოვდნენ, საამ და ფერიღუხტ გარეთ გამოეგებნენ. რა საამ დაინახეს, ყალვადმა და ყულუშმა თავი დაუკრეს, მივიდნენ და საამს ფეხთა მოეხვიენენ. ფალავანმა ასწივა, საამაცოს შუბლსა აკოცა და საყუარლად მიესალმნენ; წამოვიდნენ, მოვიდნენ ლაშქარში, ფერიღუხტისათვის ერთი სხუა კარავი დადგეს ცალკე. თითონ მივიდნენ, თავისსა კარავში გარდახდნენ, სუფრა მოიღეს, ლხინსა და ღვინოს სმასა შეექცნენ. აქეთსა მხარეს მოახლეთა ფერიღუხტთან მეჭლიში გამართეს, ლხინსა და ღვინოს სმასა შეექცნენ. რა ღვინისაგან შეზარხოშდნენ, ყველანი თავ-თავისსა კარავსა წავიდნენ, საამ ფალავანი ფერიღუხტთან მივიდა, რამდენიმე ჯამი იქაც დალიუა. მას უკან მეჭლიში მოიშალა, ძილსა და განსვენებასა მიეცნენ.

რა დილა გათენდა, საამ ფალავანი სანადიროთ წაბძანდა და ურიცხვი ფრინველი და ოთხფეხი ინადირეს. ამა ნადირობასა შინა ორმოციოდე კაცი ერთის მხრიდამ საამისა სიახლოვესა მოვიდნენ. ფალავანმა შეხელა, ნახა, ერთი უმაწვილი კაცი მოუძღვის წინა, მივიდნენ და ფალავანის სიახლოვეს საფ-გაწე-ვით დადგნენ. აქეთსა მხარესაც საამის ხალხნიც დადგნენ და ერთმანეთს ლაპა-რაკი დაუწყეს. საამმა შეუძახა: ჭეი, აქა მოსულო ფალავანო, შენ ვინ ხარო! იმა უმაწვილმა უპასუხა: ხაყან ჩინის დისწული ვარ, ფერიდუხტ ჩემი ბიძაშვილი არისო. მე სახელად სეილი ჭანსუხ მქვიანო.

— შენ, ვითარ იყადრე ფერიდუხტის მოტაცებაო. მომიცადე, თუ მამაც-ხარო! საამ განრისხდა, და ცხენიდან გადახდნენ და შეიჭიდნენ. მცირესა ხანსა ივიდავეს. ფალავანმა სარტყელსა კელი ჩაუგდო, თავისსა სისწორ აიყვანა, ეწადა, რომ მიწასა დაეცა. სეილი ჭანსუხმა უთხრა: ფალავანო, ეგ რიგი არ არსო, რომ ფალავანმა თავისი შეპყრობილი მიწასა დასცეს. მეც შენი შონა და მოსამსახურე ვახლავარო! ფალავანმა ძირსა დასუა, მოვიდა სეილი ჭანსუხ და ფეხთა მოეხვივა! და საამ ფალავანისა ერთგულობისა ალყა ყურსა გაიყარა. საამ ფალავანმა სეილი ჭანსუხს და იპასთან მყოფს ხალხს თავისა რჯულზედ მო-სულა დაპატეა. მსწრაფლ ნება დართეს და საბაოთ ღმერთი იწამეს. მოვიდნენ. სეილი ჭანსუხის ლაშქარი უკან ყოლიყო დაყენებული, თორმეტი ათასი კაცი ყოლოდა; მოვიდნენ სულ და საამ ფალავანის ლაშქარში გაერივნენ და დადგნენ- იმ ღამეს განისვენეს.

რა დილა გათენდა, შეხედეს, ნახეს, რომ ერთი საშინელი მტვერი გამო-ხნდა. რა მტვერი გადაიყარა, ნახეს, რომ ოცდაათი დროშა გამოჩნდა. ეს იყო. ნიშანი, რომ ოცდაათიათასს კაცსა ნიშნავდა. მოვიდნენ, საამ ფალავანის ლაშ-ქრას პირდაპირ კარავები დასცეს და დადგნენ.

საამ ფალავანთან ერთი კაცი გამოგზავნა. და შემოსთულა, რომ მე ხაყან: ჩინის ძმისწული შეფურ ვარო. მე გამოიგონია, რომ ფერიდუხტ შენ გყავსო და იმის გულისათენ მრავალი ჭაფაც გარდაგებდი. მე ბიძაჩემმა შენს საომრათ გა-ზომგზავნა: თუ, რომ შენ მომერევიო, შენი ერთგულობის ალყას ყურში გაიყ-რა და შენს რჯულზედაც მოვალ, და ფერიდუხტიც შენი იქნება და, თუ მე-ზოგერივე, ჩემი ერთგულების ალყაც ყურში უნდა გაიყარო და ჩემს რჯულ-ზედ უნდა მოხვიდე! მაინც ფერიდუხტს შენ მოგცემო. თუ ლაშქარით შევიბმით, ლაშქარი გაწყდება, ეს სარგებელი არ არის. ფალავანმა რა იმა ელჩისაგან ეს სარტყუა გაიგონა, იმანაც იყაბულა და იმ ელჩს მძიმე ხალათი უბოძა და გაის-ტუმრა.

რა დილა გათენდა, ორსავე მხრის ლაშქარნიც ცხენსა ამხედრდნენ საფ-გაწე-ვით დადგნენ. აქეთა მხრიდამ საამ ფალავანი ცხენისაგან გარდახდა და მოედანსა გამოვიდა. იქით მხრიდამ შეფურც მოედანსა გამოვიდა, ერთმანეთსა ნავარდი შემოუელეს და იძგერნენ მედგრათ. იმ დღეს საღამომდინ იბრძოლეს. რა საღა-მრო ეამი შეიქნა, მაშხალები აანთეს და იმის სინათლეზედ იბრძოდნენ. ის ღამე გათენებამდინ იბრძოლეს.

რა დილა გათენდა, საამ ფალავანმა თავის სალოცავისაყენ პირი ქნა და ღმერთს ევედრა, რომ ღმერთო, ჭერ ჩემთენი ფალავანი არ მოგირევი და ნურც ამ ფალავანს მომრეო. რა ესე ევედრება დაასრულა, მაშინვე მიუარდა, ერთი ხელი სარტყელსა ჩაუგდო და მეორე კისერსა მედგრად ასწიუა და თავის სისწორ ააყუანა, თავისა რამდენჭერ შემოივლო და ეწადა, რომ ფალავანსა მიწა-

სა დაეცა. შაფურმა უთხრა: შაბაშ, შენთა მკლავთა ძლიერებასა! ფალავანთა წესთა, რომ თავის შეპყრობილს კაცს არას აენებენ. ფალავანმა რა ესე სიტყუა მოისმინა, მაშინვე ძირსა დასუა და შუბლზედ აკოცა, შაფურმაჲ საამ ფალავანს კელსა აკოცა, საამის სარწმუნოებასა მოვიდა და საბაოთ ღმერთი იწამა და მოახსენა: სანამ ცოცხალი ვარ, თქუენი მონა და ერთგული გახლავარო! თქუენ ფერინუშ რომ გამოიხსენით, იმისი სიყუარული მაქვსო. ამაზედ მე და ბიძა ჩემს ხაყან ჩინს დიდი მტერობა გუაქვს ერთმანეთშია. გვედრებდი, რომ, როცა თქვენ ფერიდუბტან იქორწილოთ, მას უკან ჩემის გულის წადილიც აღმისრულოთ!

ფალავანმა დიდის ფიცით უთხრა: მინამ შენი გულის წადილს არ აღუასრულებო, მინამ მე ფერიდუბტან არ ვიქორწილებო. შაფურ ფალავანი მაშინვე გამობრუნდა, და თავისსა ლაშქარში მოვიდა და საამ ფალავანის სარწმუნოებაზედ მოაქციუა.

მოვიდნენ ეს ლაშქარი სულ ერთობითა და საამ ფალავანის ლაშქარში გამოვიდნენ. მაშინ საამ ფალავანს ორმოცდათორმეტი ათასი მეომარი შემოყარა. კარეები დასცეს მინდორსა და განწესებით დადგნენ, მერე მოვიდნენ ოთხნა სარდლები: შაფურ გულოვანი, სეილი ჭანსუზ და ყალვად და ყულუშ საამ ფალავანთან და თავის-თავის განწესებულს ალაგს დასხდნენ. მაშინ საამ ფალავანმა ბძანა სუფრის მოღება. მოიღეს სუფრა, ლხინსა და ღვინის სმასა შეექცნენ. რა ღვინისაგან შეზარბოშუნენ საამ ფალავანა და მეჭლისში მსხდომნი სარდლები, მაშინ საამ ფალავანმა ერთს მირზას უბძანა: ერთი წიგნი უნდა მისწერო ხაყან ჩინს კემწიფესა. პირველად ყოვლისა შემოქმედისა ღმრთისა სახელი დასწერე, მერევე წინასწარმეტყველთა, მერევე ჩემი ვითარება გამოუცხადე, რომ ნარიმან ფალავანის შვილი საამ ვარო და მანუჩარ კემწიფის მონაო. შვი, მაღალო ხემწიფეო, მე უბრალო ვინმე ნუ გგონივარო, დიდროვანი კემწიფეები ცდილობენ ჩემს მეგობრობასა. მეც ჯომიტ კემწიფის ჩამოშავლობისაგან ვარო. თუ აქამდინ ვერ მიცნობდი, ახლა სცანი, რომ მე ამას შემძლებელი ვარ, შოველ და ზინდა ჯადო მოვკალო, ჯომიტ-შას თილისმა დავარღვიე და, რაც იქ ზახინა იყო, ჩინეთში მოვიტანეო. ეს ფერანუშიც გამოვიხსენ და მოგვევარეო. ახლა ორმოცდათოთხმეტი ათასი მეომარი კაცი მყავს, შაფურ გულოვანი, სეილი ჭანსუზ, ყალვად და ყულუშ თავიანთის სარდლებითა და ფალავანებითა ჩემთან იმყოფებიან. შვი, კემწიფე, მერწმუნე ამაზედა, რომ მე ერანის ქუეყანას ფერიდუბტანის სურათი ენახე და მიჭნური შევიქენ. და ამის გულისათვიან მანუჩარ კემწიფე, ნარიმან და გარსაშიბ ფალავანი დაეტყვე და აქეთყენ ამის საქმენელათ წამოველო! ამის ეყუხე კემწიფის ბაღში შესაქცეულად შეველო და ჩემს მტრებმა სხუარიგათ გაგასინჯათო, დაგაბეზღათო ჩემი თავი. თქუენც ეს საქმე გიმძიმდათ, ბეულტარო შემოშატყუეთ მუხხლობით და შეშინაყართ და დამატყუსაღეთ. იქიდან, ღმრთის მოწყალებით, ჩემი თავი მოუარჩინე და გამოვედი. ფერიდუბტიც თავისი ფეხით ჩემთან მოვიდა და ჩემთან არისო. ამასაც ასე ნებავეს ჩემი ცოლქმრობა და მეც გვედრებდი, რომ თქვენს მოსამსახურეთა და მონებში აღმრიცხათ. თუ ამას ასე ინებებთ, ერანის დიდებულნი თქუენი მეგობრობისა მონაწილე იქნებიან და, თუ არა, მერევე მე და შენში რომ სამღურავი მოხდეს, მე ნურას დამაბრალებო! მე ამ საქმეზედ კელის ანულები არა ვარ და ახლა ნება გაქვსთო. ჩემი სრული სიტყუა ეს არის, თუ ამას ასე არა იქმთო, ჩინეთის მიწასაც ერანში მივიტანო, ამაზედ მეტი მოხსენება ჩემგან არ გუადრებათ.

ესე წიგნი ერთსა თავისსა ფალავანსა მისცა და ჩინეთისაკენ გაისტუმრა.

ამა ფალავანმა სწრაფისა სიარულითა იარა და ჩინეთსა მივიდა. მსწრაფლად ცხენისაგან გარდახდა, შევიდა კემწიფესთან, თავი დაუკრა და წიგნი მიართო. კემწიფემ წაიკითხა და თავის ვეზირს მისცა და უთხრა: ამ წიგნის სიტყუაზედ დიდი ფქრა და გამორჩევა გუმართებსო! იმ უმსგავსო ვეზირი საამ ფალავანის დიდი მტერი იყო ამ მიზეზისათვის, რომ საამ ფალავანი საბაოთ ღმერთს ესევდა და ის კერპის თაყუანისმცემელი იყო. კემწიფეს მოახსენა: ჩვენ ამის მტტი რჩევა არ გვიჯობს. იმ ფალავანს წიგნი უნდა მისწეროთ და აქ უნდა დაიბაროთ და აღუთქვათ ფერიღუბტის მოცემათ! აქ რომ მოვიდეს, ასე უნდა უთხრაოთ, რომ ფერიღუბტ ნაპანგალ დეეს შეყვარებია და იმისგან სულ მუდამ შიშსა და მწუხარებას მოველით. შენ წადი, ნაპანგალ დევი ან მოკალ და თავი მოსკერ და აქ მოგვართანე, და ან შეიძყარ და კელშეკრული აქ ჩემთან მოიყვანე და მაშინ ფერიღუბტ შენთვის მოგვიცია, და არც არავინ მოდავე გვეყოლება.

კემწიფეს ესე ვეზირის რჩევა ღიდათ იამა და მოეწონა. თავისსა მირზასა უბძანა: საამ ფალავანს ერთი წიგნი მისწერე, რომ შენ ერთი ნამუსიანი კაცი ხარ, ფერიღუბტ თავისის მოახლეებით ჩემს არამხანაში გამოისტუმრე ფარულათ და თქვენც აქ მოდიოთ და, როგორც რიგია ან ჩვენგან და ან, როგორც თქვენ გუარისშვილობას ეკადრებოდეს, იმ რიგათ ქორწილი გადავიხადოთ. ეს ხმა არ გამოვიდეს, რომ ფერიღუბტ თავისის არამხანიდგან ღამე ფალავანთან გაიპარა და მივიდაო. ამისთანა საქმე სასიკცხეო არისო.

ეს წიგნი შეასრულა, მისცა იმავ ელჩსა და გაისტუმრა ფალავანისაკენ. ჩქარასა სიარულითა იარა და საამ ფალავანთან მივიდა, წიგნი მიართო; რა წიგნი წაიკითხა, თავისთა სარდალთა უბძანა: ამა წიგნისას რას იტყვიოთო. იმათ მოახსენეს: ჩვენი რჩევა ეს არის, ღმერთს თქვენი გულის წადილი აღუსრულებია და ამას ნუ იქ, რომ ფერიღუბტ ისევე ხაყან ჩინის კელში ჩააგდო. იმას ასე სწადაან, რომ ერთი ეშპაკობა მოახდინოს რამე. ფალავანმა უბასუხა: მე ასე მწადიან, რომ ფერიღუბტ ქეჯაოში ჩავსო და გავისტუმრო და მეც კემწიფის სამსახურში მინდა მივიდეთ. ამის მტტი ღონე და ილაჯი არ არის. რაც ღმერთს ეწადოს, ის ქნას. ფალავანმა რიგიანის საქმით ამისთანა საქმე უნდა მოახდინოს. თუ ამაში ერთი ურიგობა მოვახდინე, გარსაშიბ თავის მათრახის ქუეშ მომკლავსო. ჩვენი გუარი ურიგო საქმეს ვერ იკადრებს. მამაჩემმა ნარჩიმანმა რა ერთი ჭათა ნახა და ხაყან ჩინის უმფროსი ქალი კელთა იგდო და ისევე თავის მამას ხაყან ჩინს გაუტზავნა. იმ საქმემ აქამდინ მიაწია, რომ მინამ ერთი შაპარი ზარინის ქალაქი არ გააქეთა მაჰაჩემმა, მანამ არ მისცა ქალი. ფალავანმა ამგულათ უნდა მოახდინოს თავისი საქმე. ხუალ და ზეგ კემწიფესთან პირ-სიკცხვილეული არ დარჩესო. ასე არა თქონ, საამ ფალავანი წავიდა, ჩინეთის კემწიფეს ქალი მოსტაცა და წამოიყვანაო და ერანის ქუეყანას მიიყვანაო.

ამ ლაპარაკსა იყვენ. ერთი კაცი შემოვიდა, თავი დაუკრა და მოახსენა: ერთი საშინელი დევი მოვიდაო. ამას სიტყუასა თქმაზედ დევი შემოვიდა, ფალავანს თავი დაუკრა და თაყუანის-სცა, რუასი ლიტრიანი კეტი რკინისა კელთა უწყრია, სამოცი მწყრთის სიმადლის მქონებელი იყო და სხუა დევებსავით რქებო არ ესახა და სახე უმფრო აღამიანს მიემზგავსებოდა. ფალავანმა უბასუხა: ჭეი. ძმაო, შენ ვინა ხარო! დევმა გაიციან და მოახსენა: მე შენი მონა გახლავარ, თქვენს სამსახურსა გაიხელო!

დევი მოვიდა, ფალავანსა კელსა აკოცა, ფალავანიც მისწედა და შუბლს აკოცა და უბძანა: სახელათ რა გქვიან, გამომიცხადეო! დევმა მოახსენა: მე

ფრანგი დივზადა მკვიანო, მინარას დევის შვილი გახლავარო! მამაჩემი გარსა-
შობის მონა და მოსამსახურე გახლათო. თქვენ რომ აქეთ წამოხდნით, მა-
შინ მამაჩემმა თქუენი ქირი წაილო და იმეჲად მე ქაბულისტანს მანუჩარ
კემწიფესთან და გარსაშობთან გიახელ და რა ვიხილე ისინი დიდათ შეწუხებულ-
ნი იყუნენ თქვენს საქმეზედა, მე მოვახსენე, თუ დასტურს მიბოძებთ, მე წავალ
და საამის ამბავს მოგიტანო. ნარიმანმა, მანუჩარ კემწიფეჲა და გარსაშობმა
თქუენსა წინაშე გამოგზავნეს და წიგნებიც მოგწერეს.

პირველად კემწიფის წიგნი აპოილო და საამ ფალავანს მიაართო. ფალავანმა
აკოცა და თავსა დაიდო. გახსნა და ესრეთ ეწერა: *შეი, ჩემო საყუარელო ძმარო*
საამ, შენ ხუთის დღის ეადით სანადიროთ დაგვეთხოვე და ახლა ხუთი წელი-
წადი შესრულდა, რომ შენ წასულხარ და შენი ამბავი არ ვიცი, სადა ხარო
და ან რომელს ქვეყანას იმყოფებიო. ახლა, თუ ჩვენზედ საუკუნოთ კელი არ
აგილია, შენი საქმე სულ ყველა უნდა გარდაწყვიტო და საჩქაროთ წამოხვიდე,
რომ უშენოდ ჩვენი სიცოცხლე დიახ ძნელი არისო. მას უკან ნარიმანის წიგნი
მიართო და იმაშიც ესრეთ ეწერა. მას უკან გარსაშობის წიგნი ამოილო და მიარ-
თო. გახსნა, ესრეთ ეწერა: შეი, ჩემო საყუარელო შვილო საამ, მღვიძარეთ იყარო
და ურიგო საქმე არ დაიჭირო, და ერანისაკენ რომ წამოხვიდე, ჩემს მთარას
ქუემ არ მოგკლა. მამაციისა წესი ესრეთ არის: უცხოს ქუეყანასა რომ წავა,
თავისი საყუარელი თავისის ხმლით უნდა იშოვნოს, რადგან მეგ ქუეყანასა
მისულხარ, ჭერ ეგ ხაყან ჩინი შენს რჯულზედ მოიყუანო და მას უკან მაგისა
ქალი ითხოვე. თუ ასე არ დაგმორჩილდეს, თავი ტანისაგან განაშორე და ფერი-
დუბტთან მას უკან ისე იქორწინე და, თუ დაგმორჩილდეს და საბაოთ ღმერთი
იწამოს, მანუჩარ კემწიფეს დაამორჩილე და რამდენი წლისაც ხარაჯა დარჩომი-
ლი იყოს და ან ჩვენი მხლებელი და ყული ედუასთ, ესენი სულ გამოართვი,
და ერანს ისე წამოილე და მოდი.

რა ესე წიგნი დაასრულა თვისთა დიდებულთა უბძანა: *პაპაჩემს გარსა-*
შობს სულ ყველა სწორეთ უბძანებია და ასე უნდა აღუასრულოთ! ადგა და
ფერიდუბტის კარავსა შევიდა და დაჯდა. ამოილო წიგნები და წაიკითხა და უთ-
ხრა: მე მწადსო, რომ შენ მამაშენს ხაყან ჩინთან გაგისტუმრო! ხაყან ჩინის მო-
წერილი წიგნიც ამოილო და ფერიდუბტს წააკითხა. ფერიდუბტმა რა თავისი მა-
მის მოწერილი წიგნი წაიკითხა, ლეიძლთაგან ერთი სახარლათ ამოიხრა და
უთხრა: *შეი, ჩემო სიცოცხლე, ფალავანო, ამას ნუ იქ, რომ მე კიდევ მამაჩემის*
კელში ჩამადლო! ის დიდი მტყუანი და პირობის გამტეხო არის, რომ თავის დლე-
ში ერთ პირზედ არ დადგება და, თუ გამგზავნი, შენს დლეში მე თულაით ველარ
მიხილავ! ფალავანმა უპასუხა: *შეი, ჩემო საყუარელო, შენ მაგაზედ ნუ შეიჭირ-*
ვებო, შინამ მე ცოცხალი ვარ, შენი ერთი თმის შეშლას ვერავინ შეიძლებს!
ფერიდუბტმა მოახსენა: მე მზათ აქ გახლავარ და რაზედ იჭირებე საქმესა. ფა-
ლავანმა უპასუხა: ჩემთვის დიახ დიდი სირცხვილი არის, რომ შენისთანა დიდი
კემწიფის ქალი ქორდსავით მოვიპარო და ერანში წაიყვანო! მამაშენი, თუ სა-
ბაოთ ღმერთს იწამებს და მანუჩარ კემწიფეს დაემორჩილება, და იმის ხარაჯაჲ
კისერზედ აიღებს, და შენს თავსაც მე მომცემსო, ხომ დიახ კარგია და, თუ
ამეებს ასე არა იქს, ღმერთს ეფიცამ, რომ ტახტს საკაცეთ შეუცკო და მას უკან
სულ ყველა ჩემ კელთ იქნებაო და, რასაც მინდა, იმას ვიქო. შენ ამაზედ ნუ შე-
წუხებულხარ, ერანში მანუჩარ კემწიფე ასეთ ქორწილს გეიხამს, რომ თავის
დლეში არაეისტვინ ექნათო! თვისთა მოსამსახურეთა უბძანა: საკემწიფო ქეჯარო

მოამზადეს და ფერილუხტ შიგან ჩასვეს თავისის შოახლებით და დიდის ყოფით ხაყან ჩინისაკენ გაისტუმრეს.

თითონ თავისი ლაშქარი შეფურს, სეილი ჯანსუხს და ყალვადს მიიბარა და საამ ასის კაცით ადგა და ხაყან ჩინს იახლა. შევიდა, თაყვანი-სცა ფალავანმა, კემწიფეცა წინ მოეგება, შუბლსა აკოცა, გარდაიწვია და პირეელს საფალავნოს სკამსა დასუა. საამ ფალავანთან ყულუშ და, ვინცა ვინ ფალავნები მოყვნენ, ვარდავიდნენ, დასხდნენ. კემწიფემ სუფრის მოღება ბძანა. სუფრა მოიღეს. მოვიდნენ უცხო ღვინის მწღელნი და უცხო მოპლერალნი. მეჭლიში გამართეს, ლხინსა და ღვინის სმასა შეეკენენ. რა ღვინისაგან შეზარხოზდნენ, ყულუშმა საამისა და ფერილუხტის ამბავი წარმოხატეა. მეჭლიშსა შიგან ხაყან ჩინმა ეეზირას ანიშნა პასუხისა მიცემა.

ვეზირმა ყულუშს უპასუხა: *ჭეი, ერანელო ქაბუეო, შენ მაგ სიტყუასა რომ იტყვი, ეგ ჩვენგან შეუძლებელი არისო. ფერილუხტ დიდი ხანია, რომ ნაჰანგალდევს მივეციოთ. ისიც დიახ ძლიერი და სახელოვანი დევი არის და ოცდაათი ათასი ხუადის დევის მპყრობელი არის. ამავე ჩინეთის ზღვის კუნძულსა იმყოფება. ამა ამბავსა რომ შეიტყობს, წამოუა და ჩინეთის მიწასაც აღარ გაუშვება. მოუთხრელსაო. ჩვენ არავინ გუეგულება არც ჩინეთშია და არც სხუავან, რომ იმას ომი გაუსწოროს და ახლა ნება თქვენიო!*

საამ ფალავანი ამა ვეზირის სიტყვებზედ დიდად განრისხდა, წამოდგა, კემწიფის წინაშე თავი დაუტყრა, დადგა და მოახსენა: *თქვენი ვეზირი ერთ ბილწ დევს რომ ესდენს აქებს, თუ დასტურს მიზოძებთ, მე წავალ იმ დევზედ და იმის სახელს ქუეყნიდამ აღმოვხვო! თქუენ, მინამ მე მოვიდოდე, ჩემი ქორწილის თავდარიკი ნახეთ! კემწიფემ რა ესე სიტყუა გაიგონა, ფალავანსა უბძანა: რადგან შენ წახვალ იმა დევზედა და იმას მოკლავო, ფერილუხტს შენ მოგცემო და არც დაგიქერო, რომ ფერილუხტი შენი არის.*

რა ფალავანმა ესე სიტყუა კემწიფისაგან გაიგონა, მოახსენა: *ჭეი, კემწიფეო, მე მუნათი მგონია იმაზედ წასვლა და ამ სამსახურს ღმრთის მოწყალეებით აღუასრულებო! ამ მიზეზსაც მოგიკლამ, მაგრამ მეშინიან, რომ ნაჰანგალ დევიც რომ მოკვლა, მერე ერთი სხუა მიზეზიც მომიგონო რამეო! კემწიფემ უბძანა: მე ამდენ დიდებულთან პირობა დამიდვია, რომ შენ ის დევი მოკლა და მოხვიდე, ფერილუხტ მაშინვე შენ მოგცეო. საამ ფალავანმა მოახსენა: *ჭეი, კემწიფეო, მე ხომ იციოთ, რომ ერთი ყარიბი უცხო კაცი გახლავარო. ამ წყალობას ვითხოვ, რომ რამდენსამე კაცს უბძანოთ, ჩემთან წავიდნენო, ამხანაცობა და გზა მასწავლოს, რომ ეგების კემწიფის ბედნიერებით, ნაჰანგალ დევი კელთა ვიგდო! ხაყან ჩინმა უბძანა: ფალავანო, მე შენ ნაჰანგალ დევზედ ულაშქროთ როდის გაგზავნი! მაშინვე ბძანა: ახლავ ოცდაათი ათასი კაცის თადარიკი ნახეთო, რომ ხელ ფალავანს თან უნდა იახლოს! ამა მეჭლისში, ვინცა ვინ საამ ფალავანის მეგობარი და ერაჯული იყვნენ, ადგნენ, გამოვიდნენ და მზადება დაიწყეს ფალავანთან თანხლებისა.**

რა დილა გათენდა, ლაშქარი დამზადდა. მოვიდნენ ფალავანთან და წასვლის თადარიკში იყუნენ. მოვიდნენ კემწიფესთან და ფალავანმა მოახსენა: *მე ვითხოვო, რომ თქუენის გულიდამ არ გადამიგდოთო და თქვენ ბედნიერსა ლოცვაში არ დამივიწყეთ. კემწიფემ დალოცა და უბძანა: იმაზედ, თუ მხნეთ მოიქცევი და იმ დევს კელემეკრულს მომგერი, შენს ყოველს საქმეს სისრულეს მიცემო. კემწიფე დალოცა და გამოეთხოვა. ჯერეთ ლაშქარი მეწინავენი გაისტუმრა და*

შას უკან თითონ ჩინეთის ზღვის კუნძულისაკენ გაემართნენ. ვეზირმა კემშიფეს მოახსენა: ერთი წიგნი ნაპანგალ ღვესაჲ მისწერეთ: ეს კაცი რომ მოვიდეს, მაშაჲკურათ დახვდეს და ამის თავს მოგუაზროს. თუ ვერ შეიძლოს, ბეუშტარო გაუგზავნოთ, საამ ფალაევანი თავის შეითან ჰაივანში დაპატიოვს, ღვინოში გაუ-რიოს, საამ ფალაევანი და თავისი სარღლები შეიპყრას და ძელზედ ჩამოკიდოს, ფერიღუხტ მაჩინის ქუეყანას, თქუენ ღისწულს თემურთაშთან გავისტუმროთ! კემშიფეს ეს სიტყუა ვეზირისაგან ღიღათ მოეწონა და უბძანა ნაპანგალთან წიგნის მიწერა. ესრეთ მისწერეს, რომ საამ ფალაევანმა შენი ძმა ზინდა ჭადო მოკლა და ახლა შენზედ წამოვიდა. შენი ძმის სისხლი ახლა უნდა აიღო და, თუ არადა ერთის ოსტატობით უნდა მიიწვიოთ და უნდა აუტეხო რაჲყო. ეს წიგნი შეასრულეს და ორი სარღალი მოამზადეს და ასი კაცით საამზადი გაუგზავნეს ნაპანგალს, რომ აპით უნდა დახვდეთო! ესენი გაისტუმრეს და წავიდნენ და ნაპანგალს იახლნენ.

რა ნაპანგალმა ესენი ნახა, ამით ამბავი იკითხა. იპათაჲ, რაც დაბარებული ჰქონდათ და ან წიგნი, სულ ყველა ნაპანგალს გამოუცხადეს. ნაპანგალ ამ საქ-მეზედ ღიღათ განრისხდა და ესრეთ თქვა: საამ ფალაევანი ვინ არისო, იმის სა-ხელს ქუეყანიღამ აეხოცათ! ამით მოახსენეს: ზინდა ჭადომ ვერ გაუძლო და შენ-მა ძმამ მატუქალ ღვეჰაჲ აჲ ადამიანისგუარ კაცს პირღაპირი ვერ უყო და გა-რქა.

რა ეს ამბავი მოისმინა, ერთ ნარა ღვეს უბძანა: შენ წადი და იმ გორაზედ იყარაულე, რომ რაჲაჲ უამს ადამიანის მონათესავენი ზომალღებში ჩასხდნენ და ზღუასა შემოვიდნენ, მაშინვე მაცოღინეო. ღვემა თავი დაუქრა და საყარაუ-ლოსა წავიდა და საამ ფალაევანის ჭარსა ყარაულობდა.

ესე ანბავი აქა დაუტეოთ და ცოტა რამ ფერიღუხტის ანბავი წარმოვთქუათ

ფერიღუხტმა რა ესე ამბავი ჰსცნა, რომ საამ ფალაევანი ნაპანგალ ღვეის საომრათ გაისტუმრესო და მეც მაჩინის ქუეყანას ჩემს ბიძაშვილს თემურთაშ-თან მისტუმრებენო; აჲ საქმეზედ თავსა წაიშინა, პირღახე ჩამოიხია და ღიღს მწუხარებას მიეცა. ფერიღუხტ ესრეთ მღუღარისა გუღით ტიროდა, რომ ცრემლის აღგიღს სისხლი სწვეთდა, თავის თავისაგან უიშეღობას მოსთქუამდა, რომ მე ეს-ეს არის, რომ საამ ფალაევანს ვეღარა ვნახამო.

იშეამად საამ ფალაევანი ზღვისა პირსა შეეკეოდა და ფერიღუხტს იგონებ-და. შეწუხებული შორეღამ იმას უაღერსებდა და ფიქრობდა. იქითსა მხარეს ნაპანგალის გამოგზავნილი ნარა ღვეი მითსა წუერზედ იღვა და ფალაევანის ჭარსა ყარაულობდა. რა სრულებით გაშინჯა, მსწრაფღად გაბრუნდა და ნაპან-გალს ღვეს აცოღინა. ნაპანგალმა რა ესე ამბავი ჰსცნა, მაშინვე თითონაჲ ჭარის თადარიგში შევიდა. აქეთსა მხარეს საამ ფალაევანმა საამ ღღეს გემები დაამზადა, და საამ ღღეს უკან ჩასხდნენ და ზღუაში შევიდნენ. რამღენიმე ღღეს შიგან შეეკენენ. უცხო და უცხო ნიანგები, უცხო და უცხო სანახავები ნახეს და შეეკ-ენენ, და ფერიღუხტს იგონებდა. აჲ ამბავსა იყენენ.

რამდენიმე სიტყუა ნაჰანგალ დევისა მოისმინეთ

ნაჰანგალმა თავისი ჭარი შემოიყარა, წამოვიდა და ზღუაში შემოვიდნენ. ზღვის წყალი იმათ მკერდაჲდინ სწულდებოდა. კელს ჩაუყოფდნენ, ორმოც ლიტრიანს და სამოც ლიტრიანს თევზს იჭერდნენ და ისე ჟმსა სჰამდნენ. ამა შექცევათ და ნადირობით მივიდოდნენ. საამ ფალავანის ჭარი დასტა-დასტა დაწყობით მოვიდოდნენ. დევები ფანულათ მიეპარნენ და რამდენიმე ფალავანის ჭარის გემები დალუპეს. გემების დანთქმა საამ ფალავანს მოხსენდა. რა ესე ამბავი ფალავანმა შეიტყო, მაშინვე ფრანგ დივზადას ჰკითხა: ეს რა ამბავიაო და ან ეს ამბავი ვისგან მოხდაო! ფრანგმა მოახსენა: ჭეი, ფალავანო, ეს საქმე ფარხალ დევისს საქმეა, რომ ნაჰანგალ დევს ორი ათასის ნარა დევით გამოუგზავნია თქვენზედა.

რა ესე მოისმინა, მაშინვე ფალავანმა, რომელსაც გემსა იჭდა, ის გემი წინ გააწვეინა და ერთი საშინელი ნარა გასწიუა. ერთი ისარი ააგო მშვილდსა და მედგრათ მოსწიუა და ფარხალ დევს შესტყორცნა, გულს მოახვედრა და ბუკებში გაუარა და სული ჯოჯოხეთს გაამგზავრა. რა ამა დევთა ფარხალის სიკვდილი იხილეს, მაშინვე ჩინარის სიგარძე რკინის კეტებს კელი წამოაოვლეს და ერთობით ფალავანსა შემოუტივეს და შემოსძახეს: ჭეი, ნარიმანის შვილო, ჩვენის კელისაგან საღ გარდაჩრებიო.

საამ ფალავანმა რა ესე ესრეთ შემოტეევა იხილა, მაშინვე თავისი გემები ერთათ შემოკრიბა და თითონ წინ წარდგა და თავისსა ბასრსა ჯმალსა კელი მოივლო და დევთა შიგან გაერიუა, რომელსაც დევსა თავსა დაჰკრემდა, სარტყლამდინ შუა გაკვეთდა და, რომელსაც შუაზედ შემოჰკრემდა შუა გასწყვეტდა. ფრანგ დივზადაც თავისის დასტა ჩუბით შიგან გაერიუა და, ვისაც დაჰკრემდა, მიწასთან გაასწორებდა. რამდენიმე საათი იბრძოლეს. რა დევთა თავიანთ თავზედ ესეთი საქმე მოსული იხილეს, სულ ერთიანათ გაიქცნენ, ზოგნი ჰაერში აფრინდნენ, ზოგნი ზღუაში დაიძალნენ და ზოგნი ხმელზედ ბეებანსა გაიქცნენ.

იმჟამად აფყან დევი თორმეტი ათასის ნარა დევით წამოვიდა და ამ გაქცეულთ დევებს შემოსძახა: გამობრუნდით, მოვედი აფყან დევი. აღამიანთაგან ნულარ იშიშვითო! და ერთობით შემოუტივეს და ომი ძლიერი შეექმნათ. აფყან დევმა შეხედა, ნახა, რომ ორი ათასი ნარა დევი იარალის ყრით ზღვის ნაპირს მირბიან. რა ესენი დაინახა, მეორეთაც შემოსძახა: ჭეი, დევნო, რა დაგემართათო, რომ მირბიხართო. იმათ შემოსძახეს: ჭეი, დევების სარდალო, ნარიმანის შვილმა ერთის ისრის კერით ფარხალი დევი მოკლა, იმისთანა ლომი ფალავანი არავინ გვიინახამსო. ვისაც თავის თავზედ კელი აუღია, იმის ომს გაბედავსო. რა ესე სიტყუა აფყან დევმა მოისმინა ესრეთ განრისხდა, რომ ცეცხლებრ აენთო, დევებთა შესძახა: ჭეი, თქუენ უმსგავსნო, რა მიგარბენინებთო.

რა ამა დევთა აფყან დევი ასე განრისხებულნი იხილეს, გული გაიმაგრეს და ესენიც გამობრუნდნენ და შემოუტივეს და ერთმანეთში გაერივნენ. ასეთი ომი შეექნათ, რომ იმათის ისრისა და შუბის ნალეწით ზღუა აღარა ჩნდა და იმათ ხმიანობაზედ, რაც ზღუაში ნადირი და ნიანგნი იყვნენ, ხმელზე გამოკვივნასა ლამობდნენ საამ ფალავანმა ხმალი ქარქაშსა მიაქცია და საგდებელ კელთა მისცა. რომელსაც დევსა შესტყორცნიდა, შეიპყრობდა და ისე ხოცდა. და ესრეთ დიდხანს იომეს, და ორისაგ მხრის ლაშქარი ესრეთ დაიღალა, რომ საძრავის ღონე არც ერთს აღარა ჰქონდა. იმჟამად საამის ერთი გემი დანთქეს.

რომ შიგ ხუთი ათასი კაცი იყო. ცოტა ხანი გამოხდა, ერთი გემი კიდევ დანთქეს: ათი ათასი კაცი დანთქა საამის ჭარიდამ. რა ესე საქმე საამის ჭარიდამ იხილეს, გასაქცევით დაემზადნენ.

საამ ფალავანი ამა საქმეზედ დიდათ აჩქარდა და თვალი მოავლო და ვერა ნახა რა, თუ რისგან ილუპებოდა ეს გემები. ფრანგ დივზადამ შეხედა, ნახა, რომ დეენი ზღუასა ჩასული იყვნენ და გემებს ქუემ შეხსდომოდნენ და ისინი აბრუნებდნენ. ფრანგმა რა ესე ესრეთ იხილა, მშვივე ხომალდიდამ ზღუასა გარდაუარდა და ნიანგივით ძირსა წავიდა. რა საამა და იმისჲა ჭარმა ფრანგ ზღუაში გარდაუარდნილი იხილეს, დიდს განკვირვებასა მიეცნენ და ამბობდნენ: ფრანგს რა დაემართათ. რა სრულებით თუალი დააკვირვის, იხილეს. რომ ფრანგ ორ დეეს მედგრად ებრძვის. ფალავანმა და იმისთა ლაშქართა იგრძნეს, რომ ხომალდების დამლუპავი ის დეეები იყვნენ. რა ფალავანმა ესენი იხილა, ფრანგს დაუძახა: ამდენი ქენი, რომ მაგათი საყულო ჩემს კელში ჩაადლო. ფრანგმა მოახსენა: ფალავანო, ორი ნარა დევი მინადირნია და მომყავსო.

აფყან დევმა რა ფრანგისაგან ესე დეეები შეპყრობილი იხილა, განრისხდა და თავისთა ლაშქართა უბძანა: ახლავ მიდითო და, რაც ხომალდებია, სულ დანთქევითო. საამ ფალავანმა რა ესე მოისმინა, დიდათ შეწუხდა და ღმერთს კელი შეპყარა და ევედრა: ჩვენ ადამიანნი შენი მონანი გახლავართო და ესენი დეენი. მათთან ზღუაში ომი რის გზით გაეწყუთ. იქით მხარესა ათი ხუალი დევი ზღუაში გარდმოკვიდნენ და ძირისაკენ წავიდნენ, ეწადათ, რომ ფრანგ დევისაგან ეს დეეები მოურჩინათ და ხომალდები დაენთქათ. რა ფრანგ დევმა ამა დეეებისა მიმავლობა სცნა, ესრეთ განრისხდა, რომ არ იცოდა, რა უნდა ექნა. მაშინვე თავისსა ბასრსა ხანჯალსა კელი მოივლო და ის დეეები დახოცა და იმათ მიმართა. იმათგან სამი დეეიც მოკლა. ამას ანბავში ერთი ხომალდი კიდევ დანთქეს.

ამისი მხილველნი საამ ფალავანის ლაშქარნი დიდათ შეშინდნენ და არ იცოდნენ, თუ რა უნდა ექნათ! მაშინ ფალავანმა მეხომალდეთა უბძანა: ჩემი ზომალდი აფყან დევის სიახლოვეს მიიტანეთო. იმეამად მაშინვე ხომალდები აფყან დევის სიახლოვეს მიიტანეს. საამ ფალავანმა ერთი საშინელი ნარა გასწოთა. რა აფყან დევმა საამ თავისზედ მისული იხილა, თავის ათას ლიტრიანს გურზს კელი მიპყო და საამს დასაკრავათ მოუქნიოთ. ფალავანმა თავისი ფარი თავსა იფარა და ის გურზი ფარსა დასცდა და ხომალდის გევრდს ღუზას მოხვდა და მოსტეხა. საამ ფალავანმა რა ესე ესრეთ იხილა, ესრეთ განრისხდა, რომ სიკვდილსა ინატრიდა. მსწრაფლად შეხტა თავის ხომალდიდამ და აფყან დევის ხომალდში ჩახტა, თეიმურაზ კემჭიფისეულს ხანჯალს კელი მოივლო, აფყან დევს ესრეთ დასცა გულსა, რომ იქით გააყოფინა წვერი.

საამის ფალავანთა რა ესე საქმე საამისაგან იხილეს, ნამუსსა ჩავარდნენ, გააქანეს ხომალდი, მივიდნენ და საამ ფალავანთან გარდახდნენ. იმა ხომალდსა მსხდომნი დეენი ცურუაში მეტათ დახელოვნებული იყვნენ და ეწადათ, რომ ფალავანი ზღუაში ჩაეგდოთ, მაგრამ ფალავანმა ისინი სრულათ გაწყვიტა, ფრანგ დივზადი განრისხდა დიდათ, და ზღუაში ჩავიდა და დეეების ხომალდსა შეუჭდა ქუემ და ოთხი ხომალდი დალუპა დეეებისა. რომელიც დევი თავსა ამოყოფდა, საამ ფალავანი ისრითა ხოცდა. დევთა რა ესე სცნეს, რომ აფყან დევი საამის კელით მოკედა, და თავის უიმედონი შეიქნენ, ერთობით იხილეს. და გაიქცნენ. საამ ფალავანმა მეხომალდეთა უბძანა: ჩქარისა სიარულით გა-

მოკიდდნითო. მეხომაღლეთა საჩქაროთ გააქანეს საამ ფალავანი და თავისნი დიდებულნი. მიეწივნენ და ისრით მრავალი დახოცეს. მინამ ზღვის პირს მივიდოდნენ. ესრეთ ხოცვით მიყვნენ. აფყან დევისა და ფარხალ დევისა ოცდაოთხი ათასის კაცისაგან ოთხი ათასი ძლივ გარდაჩომოდათ. ესრეთ გაწყვიტეს.

რა საღამოს ეპი შეიქანა, საამ ფალავანი და თავისი ქარი ზღვიდამ ხმელზედ ვაკიდნენ და ერთ მწუხაროვან, წყლიან ადგილას კარვები დასცეს და დადგნენ. საამ ფალავანის ქარი ოცდახუთი ათასის კაციდამ თორმეტი ათასი ძლივ დარჩომოდა. ზოგნი ზღუაში დანთქმულიყვნენ და ზოგნი გაემში დახოცილიყვნენ. საამ ფალავანმა ფრანგ დივზადას უბძანა: ჭეი, ჩემო საყუარელო, ამადამ უნდა გეყარაულო, რომ ეს ადგილი სხუა ადგილს არა ჰგავსო. ეს ადგილი სულ დევითა სავსე არისო და აქ სიფრთხილვ გუმართებსო.

ფრანგ დივზადამ თაყვანი-სცა და მოახსენა: ფალავანო, შეც მაგ ფიქრსა ვეყო, რომ ამადამ მეყარაულნაო და სხვის იმედით არ გამეშვიო. მაშინვე ორი ათასი კაცი გამოარჩილა და იმ დამეს სულ ოთხთავ მხარეს უარა, რომ ვინიცოდა არის დევის ქარი არ მოდიოდეს და ერთი ზიანი არა მისცესო. ამის მიზნისათვის უფრო ფრთხილობდა, რომ ის გაქცეულნი დევნი მივიდნენ და ნაპანგალს აცნობეს, რაც მომხდარიყო. სეილი ჟანსუზმა მოახსენა: ფალავანო, ამადამ სიფრთხილვ გუმართებსო, რომ იმ ბილწთ დევთა ერთი ზიანი არ მოგუტენო.

ფალავანმა უპასუხა: შენ მაგაზედ ნუ შეიჭირვებო, რომ ისინი მაგას ვერ იკადრებენო. ისინი ჩვენის ბასრის კმალის ნადირნი არიან, ამიტომა რომ ჩვენ საბაოთ ღმრთის მოსავენი ვართ და ისინი კერპის თაყუანისმცემელები არიან და, თუ გამაჯავრებენ, ასეთი საქმეს უზამო, რომ იმათი სახსენებელი ქუეყნიდამ აღეხოცო. იმ დამეს ფრანგ დევი, რომ გეზმა ქეშოცი იყო, შეხედა, ნახა, რომ შთის წვერზედ ერთი ყარალათი დაინახა, მაშინვე თავის ჭარისაყენ გამობრუნდა და უთხრა: ფრთხილათ იყავითო, რომ ამადამ სისხლის დაღვრის დამე არისო, მთიდამ რაღაც ხშიანობა მოდისო. ამათ რა ესე მოისმინეს, მაშინვე დაემზადნენ და სამაჰაცო იარაღთ შეიკურვნენ და დადგნენ, და თავისთა ლაშქართაცა აცნობეს: ფრთხილათ იყავითო, ძილის დრო არ არის, ქარი მოდის და თავს დასხმას გეიხირბეთნო.

რა ეს ანბავი ლაშქართა მსცენს, მაშინვე ზე წარმოდგნენ, ცხენები დაკაზმეს და მზათ დადგნენ. ფრანგ დივზადამ ერთის მხრიდამ დაიწყო სიარული და წაეიდა. იმათენ მოვიდა, ნახა, რომ ურიცხვი ლაშქარი მოდის, ზოგნი ქვევითად მოდიან, და ზოგნი სპილოსა და მარტორქასა სხედან და ისე მოდიან გაჩუმებით და აპბობენ: რა ჭარსა მიახლოვდეთ, ოთხათ გავიყვენეთო და ისე შეუტითო და სულ ერთიანათ გაეწყვიტეთო! ამა სიტყუაზედ დაასკვნენ რჩეუა და მაშინვე ოთხათ გავიყვნენ. ათი ათასი კვალი დევი იყო.

ფრანგ დივზადამ რა ესენი ესრეთ იხილა, მაშინვე სწრაფლათ გამობრუნდა და თავის ქარში მოვიდა. ნახა, რომ ესენიც მზათ დგანან, იარაღი შემოურტყამთ და თულა გზაზედ უჭირამსთ. ფრანგ მოვიდა, იმათი ანბავი გამოუცხადა.

საამ ფალავანმა რა ესე მოისმინა, მაშინვე ბძანება გასცა, რომ ჭარის ოთხსავ მხარეს მაშალები აანთეთო! უზბაშები და მინბაშები განაწესეთო და სიფრთხილთ იყავითო! საამ ფალავანმა ოთხსავ მხარეს ოთხ-ოთხი ათასი სარდლები განაწესა და დააყენა, რომ თქვენ ომი აუტეხოთო. რა ესენი დევებმა იხილეს, მაშინვე შემოუტრეეს. ამათ შესძახეს: ჭეი დევნო, ამადამ თქვენ წერას აუტანისხარო და აქ მოუყუანისხარო! მაგრამ საამ ფალავანი იმ დამეს ასეთი გა-

ჯერებული იყო, რომ ლომს იმისი პირისპირ დგომა არ შეეძლო; ერთი საშინელი ნარა გასწივა და ხმალს კელი მიჰყო და იმ ოთხი ათას ნარა დევს შეუტრია და შიგან გაერია, რომელიც იმის პირდაპირ მოსულიყვნენ, უწყალოთ ზოცა დაუწყო; სეილი ჯანსუფ, ყალუად და ყულუშ და ჩინეთის სახელოუანი ფალავნები საამის ზურგი შეენახათ და მედგრათ იბრძოდნენ. მეორესა მხარეს ფრანგ დივზადი, სხუა სახელოუანი ფალავნები ქვის სროლითა და ჩუბ დასტითა ესრეთ მედგრათ იბრძოდნენ, რომ იმას ლამეს საამისი ხუადი დევი მოკლეს და ამ ყოფით ოთხსავე მხარეს ესრეთ მედგრად იბრძოდნენ; მაგრამ დევები ბევრნი იყვნენ და ფალავნის ჯარი ცოტანი იყვნენ. დევები სიმრავლით ძალს ატანდნენ, ესენიც, რომელსაც მხარეს ძალს დაატანდნენ, სარდლები და ფალავნები, იქით შეუტრეოდნენ და იმ ლამეს ისეთი ძლიერი ომი ჰქონდათ, რომ ზღუაში ნიანგნი გაშტერებული იყუნენ იმათ ხმაზედ.

საამ ფალავანმა თავისის მხრის ლაშქარი ორს ალაჯს გააქციუა და იქილამ ათასი ხვადი დევი მოყლა, და დანარჩომნი დევნი იარაღის ყრით გზა-გზა მიბრძოდნენ. გამობრუნდა იქილამ და მეორეს მხარესა შეუტრია. რა დევთა ესე საქმე იხილეს, დიდათ გაუცვირდათ და ხეს ფურცელივით თრთოლა დაიწყეს და სულ ერთიანათ გაიქცნენ.

იმეჟამათ დილა გათენდა, ფალავანმა თავისსა სარდლებს და ფალავნებს შემოსძახა: დღეს ვაეკაცობის ნიშანი არისო, რომ მამაცურად მოვიქცეთ და იმ უსჯულოებს ერთს ცოცხალს ნუ გაუშვებთო! რა ამა ლაშქართა საამისაგან ესე სიტყუა მოისმინეს, გული გაიმაგრეს და ერთიანათ შეუტრევს და შიგან გაერთნენ და ზოცა დაუწყეს. გაიქცა დღვის ჯარი, რა ამთი ასეთი სიმხნე ნახეს, ათს ალაჯას უკან ზოციო მიუვენენ, ნაჰანგალ დღვის ბრძანებით იმეჟამათ რომ ათი ათასი ხუადი ნარა დევი მოვიდნენ და საამ ფალავანს შემოებნენ, იმა ჯარილამ ათი ათასი ხუადი დღვისაგან ორი ათასი ძლიე გადაჩრა, და გაიქცნენ და წავიდნენ.

ფალავანმა რა ამათგან მოიცალა, მაშინვე გამობრუნდა თავისის სარდლებით და სახელოუანი ფალავნებით, მოვიდნენ და იმა დევთა იარაღი და ტანისამოსი აიკლეს. ერთი ზაათის სავალზედ წავიდნენ, კარეები დასცეს და დასხდნენ, კარეებისა კალთები ასწივეს და ოთხსავე მხარეს ყურება დაიწყეს.

საამ ფალავანმა ერთი მთა დაინახა, ის მთა ჩინეთის მხარეს იყო. ესეთი ძალალი იყო ის მთა, რომ თავი ცისათვის მიებჯინა. საამ ფალავანმა რა ესე მთა იხილა, იმისი სიმაღლე უკვირდა. ფრანგს უბძანა: ჭეი, დივზადო, საყურველი დიდი მთა არისო. ფრანგმა მოახსენა: ჭეი, ფალავანო, იმ მთაზედ თავის დღეში არც დევი და არც აღამიანი არ ასულა. ფალავანმა უბძანა: რისაგან არისო. ფრანგმა მოახსენა: ამას წინათ შეშიტყვია და მიზეზი კი არ ვიცი, ალბათ, ან გზა არა აქუს, ან ჯადო არის ვინმეო და ან ასეთი საშინელი ვეშაპები და მზეცნი არიან იმ მთაზედა, რომ ვერავინ ასულაო.

საამ ფალავანი და ფრანგ ამა ლაპარაკსა იყვნენ, მაშინ სეილი ჯანსუფმა მოახსენა: ამ მთას ბევრი როგი სანახაეები აქუსო. თუ კაცმა თავის თუალით არა ნახა, ენით არავისაგან დაიჭერებაო, ამა მთაში ასეთი ბალახები არის, რომ თითო ღა თითო სენის წამალი არისო, და ჩინეთის კემწიფეს დიდად უნდა იმ მთის ნახება, მაგრამ ვერ შეემთხუა იმ მთის ნახუას, მაშინ რომ ნაჰანგალი დღეს და ჩინეთის კემწიფეს ხაყან ჩინს, რომ შერიგება მოუხდათ, კემწიფემ მრავალი ფეშქაშები გამოუგზავნა და იმ ბალახებისა სთხოუა. ამნაც დიან მცირელი გაუგზავ-

ნა და ის ბალახები ასეთი რამ არის, რომ კემწიფემ ხაზინაში შეინახა და იმის ხაზინასა თითქმის უდრის ის ბალახები.

საამ ფალავანმა რა ესღენი ქება მოისმინა, დიდათ გაკვირდა და სეილი-ჯანსუხს უთხრა: შვი, ჩემო ძმაო, მე ამაზედ სარწმუნო ვარ, რომ ჩინეთის კემწიფეს გული ჩემზედ სწორეთ არა აქუსო და ის ქალს მე არ მომცემსო. იმისაგან ესეთი ბძანებები და საქმის მიზეზი ეს არის, რომ ამათგან ერთ-ერთის კელიდამ მე ამიტყდეს რამე. ხაყან ჩინმა ნახა, რომ სულ ყველგან გამარჯვებული და სახელოვანი მოველო და ახლაც ნაპანგალის საომრათ გამომისტუმრა. უნდა, რომ ამის კელიდამ ერთი რამ ამიტყდესო, მაგრამ ღმრთის მადლით, აქაც ჩემის ნებისამებრ აღუასრულებო. ღმრთის მადლი ჩემზედ მოსული არის. ღმრთით ამ დღეის სიკვდილი ჩემის კელიდამ მოხდება და მიწასთან გავასწორებო, და იმის მანქანების ხესა იმის ბალიდამ მოველჯო და იმას ასეთ საქმეებსაც მიუაყენებო. სეილი ჯანსუხმა მოახსენა: ფალავანო, თუ ხანყან ჩინმა შენი წადილი და პირობა არ აღვისრულაო, ჩვენც იმის ბატონმობაზედ კელს ავიღებთო, და შენ სამსახურზედ სისხლს დაეაქევეთო. და ეს საქმე დღეზედ უფრო ნათელი არის, რომ ხაყან ჩინს შენზედ სწორე გული არა აქუსო, ამა საქმეებში ეტყობაო.

იმჟამად ის გაქცეულნი დევები მივიდნენ ნაპანგალის წინაშე და ფალავანისაგან შესჩივლეს და მოახსენეს: ეს ფალავანი ესეთი ძლიერი რამ არის, რომ ჩვენს დღეში ამისთანა არ გვინახამს რაო, ჯარი სულ გაწყვიტა და სიხალოვესა არის მოწყვენილი. და ასე ეტყობა, რომ იქაც მოვიდეს.

რა ნაპანგალმა ესე მოისმინა, დიდათ გაკვირდა და გულსა შინა დიდათ შეშინდა და ესრეთ თქო, ჩინეთის კემწიფემ ეს რა მიყო, რომ ამისთანა ფალავანი გამომისია. ამისთანა სისხლისმსმელი თეიმურაზ კემწიფისა, გარსაშიბისა და ნარიმანის ჩამომავლობისა არისო. ამათი ჩამომავლობა ესეთი ძლიერი არიან, რომ ვერც ჯადო, ვერც ვეშაბი და ვერც ლომი იმათ პირდაპირ ვერ დაუდგებიან, და ამისთანა კაცს მე რა უნდა უყო, და ან ჩემი დასასრული როგორ მოხდება. ამ მიზეზისათვის, რომ თეიმურაზ-შას ჩამომავლობა ვისაც ქუეყანას მივლენ, მოუკლავი და აუოხრებელი არ დარჩებათ და ვერავინ გაუსწორებთ ომსა. ვერც დევი და ვერც ადამიანი იმათ ვერ მოუცდიანო. ეს მრული წუთის სოფელი ვასაც მრუდეთ შეხედამს, იმათ გუარს კაცს გარდევითება მტრათა. რომელსაც ქუეყანას უბედურება ეწევა, იმათი ცხენის ფეხი დალახამსო. მინერას დევი რომ ყოველ დევებზედ უძლიერესი და უწარჩინებულესი იყო, გარსაშიბმა ზოპაქის ბძანებით ის დაუმორჩილაო. ნარიმანმაც მალრამ ზამინში აფრაქ დევი მიწასთან გააწორა, ახლა მე ამათ ჩამომავლობასთან რა საქმე გამეწყობა, და ან რა ილაჯი უყო ჩემს თავსა. თავისსა გულსა შიგან განიზრახვიდა და ასრეთ ამბობდა, რომ შენს თავს შეწუხებულს ნუ აჩვენებო, რომ დევი არ შეშინდნენ და საამ ფალავანის ომი ველარ გაბედონ. ამას განიზრახავდა და თვისთა დევთა შემოსძახა: შვი, თქვენ უმსგავსო, ზაბულული საამ ფალავანი ვინ არისო, რომ ან აქ მოვიდესო. და ან ჩვენში ომი გაბედოს. ალბათ თავის აჯალს საყელოში კელი ჩაუვლია და თრევით ჩემთან მოყავსო.

იმჟვე წამს ოქმები გაგზავნა და დევთა ლაშქარი დაიბარა. მასვე წაშსა ათსასი ნარა დევი შემოიყარა და ერთი საშინელი ნარა. გასწილა და შესძახა: შვი, თქვენ უკზავსნო, დღეუანდლამდინ ასეთი ფალავანები იყავით, რომ ადამიანის-ხორცი შემამულეთო და ახლა რა დაგემართათო, რომ ერთის მიწის ნაშობისა-

გან ასე სჩივითო! ჩემი სალოცავის მადლმა, რომ იმათ სულ ერთიანათ შევიპყრობ, შამფურებზედ მწუადათ ავაგებო და იმათ ხორცზედ შევექცევიო. ადგა და ერთ საშინელ სპილოზედ შექდა და საამ ფალავნის საომრათ გაემართა.

ესენი აქ დაუტეოთ და საამ ფალავნის ანბაევი წარმოვთქუათ

ფალავანი იქილამ აიყარა, იარეს და ერთს უცხო მწუანოვანს და წყლიან ადვილს გარდახდნენ, ოთხსავე კუთხეს ყარაულნი გაისტუმრა და დეთა მოელოდნენ. რა ცოტა ხანი გამოსდა, შეხედეს, ნახეს, რომ ერთი საშინელი მტვერი გამოჩნდა. რა მტვერი გარდაიყარა, ნახეს, რომ ასი დროშა გამოჩნდა. ეს იყო ნიშანი. ასი ათას ხუდად დევს ნიშნავდა, დასტა-დასტა დაეწყეთ და ისე მოდიოდნენ. რა შეხედეს, იხილეს ამ ყარაულთ, რომ ამ ქარში, ერთ მთისოდენ სპილოზედ, ერთი მთისოდენი დევი ზის, ოთხმოცდაათი მწყრთა სიმადლე აქუს და ოცდაათი მწყრთა სივრცე. რა ესე იხილეს ამა ყარაულთა, დიდათ შეშინდნენ და ერთიმეორეს მოუთხრობდნენ, რომ საამ ფალავანსა ამისი ომი არ შეუძლიან. მაშინვე სწრაფად გამობრუნდნენ და ფალავანთან მოვიდნენ, თავი დაუკრეს და თაყუანი-სცეს. მოახსენეს: ამა სიახლოვეს ურიცხვი ლაშქარი მოდისო, ასი დროშა გამოჩნდა, რომ ასი ათას კაცსა ნიშნავს. იმ ლაშქარისა საშუალასა ერთი მთისოდენი დევი მოუა, ერთ მთისოდენს სპილოზედ ზის, ოთხმოცდაათი მწყრთა სიმადლე აქუს, ოცდაათი მწყრთა სივრცე, თავზედ ორი რქა აბია, რომ დიდროვან ჩინრებსა გავსო. ორისავე რქის წვერებზედ ასი ადლი ოქროს ჭინჯილი აბია. ჭინჯილის საშუალს ერთი კერპის სახე არის მოკიდებული და იმ კერპის სახილამ ერთი საშინელი ხმა გამოდის, რომ ზეცას სწვდებო.

რა ფალავანმა ყარაულთაგან ესე მოისმინა, თავისთა დიდებულთა მოუწოდა და უთხრა: ლაშქარი მოჩანს ურიცხვიო და ესრეთ ვგონებ, რომ ნაჰანგალც ამათში მოდიოდეს. თავისთა დიდებულთა მოახსენეს: ჭეი, ფალავანო, თქუენ მაგაზედ ნუ შეიპირებთ, ჩვენ მინამ ცოცხალი გახლავართ, თქუენ წინ დაელურით სისხლსაო. რა ფალავანმა იმათგან ესე სიტყუა მოისმინა, დიდათ იამა და უცხო, მძიმე ხალათები უბოძა და ნალარახანის ამაღა დაიბარა და უბრძანა: საომარი ნალარა დაუქართო!

მაშინვე თაფლიჯანგები სპილოებზედ გაამარგეს და მოემზადნენ. შემდგომად ფალავანნი თავისის სამამაცოს იარალით შეიკაზმნენ. საამ ფალავანმა ნარამანისეული კმალი წელთა შეირტყა, თორმეტი ბურთიანი ფარი მხარასა გარდოიკიდა, ხეთანში გაკეთებული შუბი კელთა მიიცა, ცხრაასლიტრიანი გურზი კელთა იპყრა, ყურაბი თაქაურსა აშხედრდა, თავისის ლაშქართა გემართა და ერთის მთის ძირზედ გარდახდნენ და დადგნენ.

იქითისა მხრილამ ერთი საშინელი ხმიანობა მოესმა, ფალავანმა იკითხა: ეს რა ხმიანობა არისო თავისთა დიდებულთა და სარდალთა მოახსენეს: ეს ხმა დეთაგან მოდისო. ისინი, როცა საომრათ მოემზადებინ, ერთი ქანარსავით რალაცა აქუსთ, იმას დაუეკრენ და გავს, რომ ომს გვიპირობენ. ფალავანმა ბძანა, ჩვენც საომარი ნალარა დავიბაროთო. მაშინვე დაიბარეს მოთაფლიჯანგები და უბძანეს, საომარს ნალარასა ჰკართო. მსწრაფლად საომარის ნალარისა კურასა კელი მიპყვეს. ეს ორი ზღვის ოდენი ლაშქარი ერთმანეთს დაუპირდაპირდნენ და ერთმანეთს წვიმსავით ისარი დაასხეს.

საამ ფალავანმა თავისი ყურაბი თიქაური მოითხოვა და ზედან ამხედრდა, მეიდანსა გამოიგდო. შუბი მკლავსა გარდაიბრიალა, ნავარდობა დაიწყო და ფალავანი მეიდანსა გამოითხოვა. იქითისა მხრიდამ ნაპანგალის ვეზირმა გურდან დევმა სპილო მოითხოვა და თქო: ეს ვინ არისო, რომ ამას ნაპანგალის სახელი არ შეუტყვიანო და აქ მოსულა და მეიდანზედ ფალავანს ითხოვსო! ეს როგორ არ იცის, რომ თუნდა ზღვისოდენი ლაშქარი ჰყვანდეს, ერთიეც ცოცხალი არ გადაურჩება ნაპანგალსა. ეს სიტყუა თქუა და მარტორქა მოედანსა გამოიგდო. რა საამ ფალავანსა დაუსისწორდა, იხილა, რომ ერთი ახალი მოწიფული ყმაწვილი კაცი, ორმოცდა ათის მწყართის სიმადლის მქონებელი და თხუთმეტის მწყართის სივრცის მქონებელი, უცხო, მშენიერი ფალავანი მთურალს ლომივით მოედანსა დგას. გულსა შიგან დიდათ მოეწონა და შემოსძახა: ჭეი, ფალავანო, შენ ნაპანგალის კაბუკობა არ შეგიტყვია რომ საომრათ მოსულხარ! დამიჯერე, შენ წადი, და ნაპანგალს დაემორჩილე, შენს დანაშაულს გაპატიეებს, საბოთ ღმერთი ჰგმე და ბუთს თაყვანი ეციო და მას უკან ერთ ქუეყნის კემწიფობას დაგირიგებ და იქ იცხოვრე.

რა ფალავანმა დევისაგან ესე სიტყუა მოისმინა, კელი კელსა შეიტყუბა და ხმამაღლით გაიციხა და შეუძახა: ჭეი, წყუეულო დეეო, ჩემში რა ზაბუნობა ნახე, რომ შენის სიტყვით საბოთ ღმერთი ეგმო და ბუთს თაყუანი ეციო. ამგუარი ლაპარაკი მამაცთა წესი არ არის! მამაცნი ამისთანა ალაგს სიტყუას შეიმოკლებენ და ძლიერებას მოუმატებენ, ჭერ შენი ძლიერება მაჩვენე და მასუკან ბუთს ისე მაქციონე თაყუანო.

რა გურდან ვეზირმა ფალავანისაგან ესე სიტყუა მოისმინა, დიდათ განრისხდა და თავისა შუბსა კელი მიჰყო და ფალავანს გულსა საძგერათ მოუტანა. ფალავანმა შუბი კელთაგან წაართო, გარსაშობისეულს. გურზსა კელი მიჰყო, ესრეთ მედგრათ დაჰკრა თავსა, რომ ძუალი და რბილი ერთმანეთში გაურჩიუა, და გარდმოვარდა და მოკვდა. მას უკან ერთი სხუა დეეიც გამოვიდა, ისიეც იპის კუალს გაისტუმრა. ამა ყოფაქცევით თერთმეტი დეეი მოკლა.

ნაპანგალ დევმა რა თავისის ვეზირის გურდან დევის სიკვდილი იხილა, თავისი ყვითელი სპილო მოითხოვა, ზედან ამხედრდა, ერთი დიდის ჩინრან ოდენი რყინის კეტი კელთა იჰყრა და შვიდი დიდი წისქვილის ქუა შიგან გაუყარა და ხმლის ჰაგურათ სამოცი ლიტრიანი სათული წელთა ერთყა. დეუნი საფ-გაწვევით იდგნენ. რა ფალავანს დაუსისწორდა, საამისა სარდალთა და ფალავანთა რა ესე იხილეს, დიდათ შემინდნენ და ერთიმეორეს მოუთბრობდა, რომ საამ ფალავანს ამისი პირდაპირი არ შეუძლიან და ამა საქმეზედ დიდათა წუხდნენ.

ეს ორნი ფალავანნი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და რამდენიმე შუბი ერთმანეთს გააცდინეს. რა შუბებით ერთმანეთს ვერა ავენეს რა, შუბებზედ კელი აილეს და გურზებს კელი მიჰყვეს. ნაპანგალ დეეი მოუხდა ფალავანსა და თავისი წისქვილის ქუები რამდენჯერმე თავსა შემოივლო და ორსაეც აბჯანდაზედ დადგა, თავსა დასაკრავათ მოუტანა. ფალავანმა თავისი ფარი იფარა. დევმა ესრეთ მედგრათ დაჰკრა, რომ იმისი ხმა ოთხსაეც მხარეს გაიგონებოდა, ყურაბი თიქაურის ფეხის მტეერმა ფალავანი დაფარა. ესეთი ძალი დაადგა, რომ კოქებამდინ მიწასა დაიფლა. რა საამის ლაშქართა ფალავანი მოედანსა ველარ იხილეს, დიდი ტირილი და გლოუა შეექმნათ. საამ ფალავანმა სიმხნესა ძალი მის-

ცა, ყურები თიქაურს ქუსლი შემოჰკრა და შემოუძახა და შეიდანსა გაიხლტუნა; დევმა რა შემოხედა, ფალავანი ფეხზედღე იხილა, განრისხებულმა მეორეა ძლიერი დაჰკრა.

მოკლეთ მოგახსენოთ: ამა ბილწმა კევმა სამი ძლიერათ დაჰკრა და ფალავანი უვნებლად გარდაურჩა. რა რიგი საამ ფალავანს ერგო, ამანაც სამი მდგრათ დაჰკრა და ის უმზავესო დევი უვნებლად გადურჩა. რა ამ გურჯისა ცემით ვერა უყვეს რა ერთმანეთსა, ნაჰანგალ დევი განრისხდა, გურჯი შორს გასტყორცნა და თავისსა სათულსა კელი მოივლო, ფალავანსა დასაკრავათ მოუტანა. ფალავანმა თავისი ფარი ბექსა გარდაიგდო, ერთი საშინელი ნარა გასწოა. მოქნეულსა სათულს კელი მიაშველა, მაქასა კელი სტაცა, სათული ჭელითგან წაართო და შორს ფასტყორცნა. სარტყელსა კელი ჩაავლო, დევიც განრისხდა და მანაც სარტყელსა კელი ჩაუვდო, და ერთმანეთს ერკინებოდნენ. ესდენი იბრძოლეს, რომ ამათ საჭდომებს ილაჯი აღარ ჰქონდათ და თითო აღლი ენები წინ წამოყარეს. გარდახდნენ საჭდომთაგან და ქუეთები ერთმანეთს ერკინებოდნენ. დევი განრისხდა. ფალავანს თავი გულსა მიაყრდნო, მდგრად მიაწუა და რამდენიმე ნაბიჯი უკან წაიღო. მას უკან დაიქნია და მუხლები ესრეთ დააკვრეინა, რომ მიწა გასკდა და გუთნის ნახნავით მოახნეინა. საამ ფალავანი ჩვეულებისამებრ ღმერთსა ევედრა: ჭერ ჩემი მეომარი არ მოვირევი და ნურცა ამ ბილწ დევის მომრეო! ერთი საშინელი ნარა გასწიუა, თავი მკერდსა მიაყრდნო, მიაწუა და ფეცფაცით უკან წაიღო, დაიქნია მდგრათ და მუხლები ესრეთ დააკვრეინა, რომ მიწა გასკდა და შვიან დაეფლა, ცალი კელი რქაში სტაცა და მეორე კელი ლაქებში სტაცა და მდგრათ ასწიუა, ღმრთისა სახელი ახსენა და მიწისაგან ავლიჯა, მუხლებამდინ აიტანა, სიმხნესა ძალი მისცა, შეორეთაც მდგრათ ასწიუა და სარტყლებამდინ აიტანა. ოთხმოცდაათის წყრთის სიმალის მქონებელი დევი მესამეთაც მდგრათ ასწიუა და თავის სისწორ აიტანა, რამდენჯერმე თავსა შემოივლო და მიწასა ასეთი დასცა, რომ იმისი სახე მიწასა გაჰოსახა. ფალავანი ვეფხისა მსგავსად მსწრაფლად მკერდსა შეახლტა და გარსაშობისეულს ხანგალს კელი მოივლო და თავის მოკვეთას ლაშობდა. დევმა რა ესე საქმე თავის თავზედ იხილა, მოახსენა: ფალავანო, მე აღთქმა მქონდა ღმერთთან, ვინც მე მომერეოდა, იმას ვეყმობოდი და იმის სამსახურის ალყას ყურში გავიყრიდი. საამ ფალავანმა რა ესე მოისმინა, მაშინვე ააყენა და შუბლზე აყოცა და თქო: პაპჩემმა გარსაშობამაც მინერას დევი შეიწყალა და აღარ მოკლა. და ისიც ერთგულათ ემსახურებოდა და მეც აღარ მოკვლამო. გამობრუნდა, თავისსა კარავსა მოვიდა, საომარი იარაღი მოიხსნა. სუფრა მოიღეს. ლხინსა და ღვინის სმასა შეექცნენ.

რა ლხინისაგან მოიცალეს, დილა გათენდა; საამ ფალავნის საჩრდალნი და დიდებულნი ფალავანთან შემოკრბნენ, თავ-თავის ალაგა დასხდნენ. ნაჰანგალ დევიც მოვიდა, ფალავანს თაყუანი სცა და დადგა. ფალავანმა უთავაზა და დაჯდომა უბძანა. რა მცირემან ხანმა განვლო, დევი ფეხზედ წამოდგა და მოახსენა: ფალავანო, თავი დაიმდაბლეთ და რამდენიმე დღე ჩემს სამყოფს წამობძანდით და იქ შევექცეთ! საამ ფალავანმა რა ესე მოისმინა, უთხრა: შენ წადი, მოემზადე და მეც გეწევი შეითან აივანშიაო. დევმა რა ესე გაიგონა, მაშინვე გამობრუნდა და ხაყან ჩინის ვეზირებს ესე ამბავი გამოუცხადა. ვეზირებთ დიდათ იამათ ესე ანბავი, რადგან მუხლთობა ედუათ გულში. აქეთსა მხარეს საამ

ფალავანი, სეილი ჯანსუზ, ყალვად და ყულუმ ორმოცდაათის დიდებულთ
აიყარნენ და ნაპანგალს შეითან ჰაივანში ეწვივნენ.

საამ ფალავანმა იმა სასახლეს ჩხრეკა დაუწყო. დიახ უცხოს მწუანოვანს
და წყლიანს ალაგს იყო ნაშენები და იმის კედლები სრულათ უცხოს აყიყის
ქვითა და ზურმუხტით იყო ნაშენები და უცხოს საკელმწიფოს ორხუებით იყო
მოფენილი და ესრეთ მოუთხრობენ, რომ ის ჰაივანი ადამს უწინ ყოფილა აშე-
ნებული ეშააკებისაგან. იმ ჰაივანის სიგრძე ერთი ალაჯი იყო, და იმ ჰაივანის სა-
შუალოს ალაგს ერთი საუცხოვო ზურმუხტის ტახტი იდგა. იმ ჰაივანს ასი ხა-
ლუათი ხანა ჰქონდა, რომ იმ ხალუათხანის კარები სულ იმ ჰაივანში გამოვიდო-
და, და დიახ საუცხოვოთ იყო ნაშენები.

საამ ფალავანი ტახტზე დაბძანდა და თავისთა დიდებულთაჲც იმა უცხოს
ჯავართ მოფენილს საფენზედ დაჯდომა უბძანა. მერე სუფრა მოიღეს, შაქალმა
და ღვინო მოიტანეს, ლხინსა და განცხრომასა მიეცნენ. რა საღამო ეამი შეიქნა,
მაშხალეზი აანთეს, ხაყან ჩინის ვეზირებმა მოსამსახურენი და ღვინის მწვედენი
დაარიგეს, და ყოველ საკმელში და ღვინოში ბეუშტარო შეურივეს და საამ ფა-
ლავანსა და იმის დიდებულთ სულ ყველას ბეუშტარო შეაპარეს. საამ ფალავანი
ამ საქმის უტოდინარი იყო. რა დრო მოუვიდათ, საამ ფალავანსა და მის დიდ-
ებულთ ბეუშტარო მოერივათ და უცნობო შეიქნენ. მოვიდნენ, სულ ყველას
ქელა და ფეხი შეუკრეს და ერთს ტუსაღანაში დაატუსაღეს. მაშინვე ნაპანგალ
დევმა ხაყან ჩინს ერთი წიგნი მისწერა, რომ საამ ფალავანს და მისი სარდლები
და ფალავნები სულ ერთიანათ დეჟატუსაღეთო, ხუალ სულ ერთიანათ დავხოცო.
რაც ამათგან მწუხარებები გინახამსთ, ახლა ლხინათ შეგვეცლებათო! იმ ღამესვე
ერთ დევს მისცა ის წიგნი და ჩინეთს გაისტუმრა. ხაყან ჩინის ვეზირებმა და
ნაპანგალ დევმა ბძანება მისცეს, რომ საამ ფალავანის ლაშქრის პირდაპირ დი-
დი ძელი ამართეთო, რომ საამ ფალავანი იმაზედ უნდა ჩამოვიკიდოთ და ისრით
უნდა დავხვრიტოთ.

აქეთსა მხარეს ფრანგ დივზადი ფალავანს მოელოდა: როდის მოუა თავის
დადებულებით და თავის ლაშქარს მოეპატრონებათო. რა შუაღამე შეიქნა და
ფალავანი არ მოვიდა, ამა საქმეზედ ფრანგ დივზადი დიდათ შეშფოთდა,
მსწრაფლათ ადგა და შეითან ჰაივანისაკენ გაემართა. რა მთის სიახლოვეს მივიდა,
ერთი ყაყანი და ყრიალი მოესმა. რა ახლოს მოვიდა, ნახა, რომ დევნი დიდოვან
ძელებს ამართუას უპირობდნენ. რა ესენი ესრეთ იხილა, იმათა ჰკითხა, ეს რა
ამბავი გაქუსთო? იმათ უთხრეს, არ ვიცი, რომ ჩვენმა ბატონმა ნაპანგალ დევმა
ხაყან ჩინის ვეზირების მანქანებით საამ ფალავანი და თავისნი დიდებულნი
შეიპყრეს და დაატუსაღეს, ხუალ ამხედ უნდა ჩამოვიკიდოთ და დავხოცოთო!
ფრანგ დივზადმა ესე ამბავი მოისმინა, დიდს მწუხარებასა მიეცა. მაშინვე გამობ-
რუნდა და საამ ფალავანის ურდოში მოვიდა და, ვინცა ვინ იქ იყვნენ დარჩომი-
ლი, ესე ამბავი იმათ აცოდინა. რა ესე ამბავი საამ ფალავანის დიდებულთა შეიტ-
ყვეს, დიდს მწუხარებასა მიეცნენ. აქეთსა მხარეს ნაპანგალ დევმა თორმეტ
ათას ნარა დევს უბძანა: თქუენ მოემზადენით მშვილდ-ისრითა და იმ ძელის
ძირში დადექითო. და ოთხი ათას დევსაც უბძანა თქუენც მთის ძირში დადე-
ქითო, რომ საამ ფალავანს ამა ძელის ძირში მოვიყვანათო.

აქეთს მხარეს საამ ფალავანის სარდლები ამხედრდნენ და გაემართნენ.
მოვიდნენ და იმა მთისა ძირში ერთს ალაგს დაიბაღნენ და საამ ფალავანის გა-
მოყვანას ელოდნენ, რომ როცა იმ ხის ძირში მოეყუანათ, იმას მიშველებოდ-

ნენ და განეთავისუფლებინათ. იმეამად ნაპანგალ დევი და ხაყან ჩინის ვეზირე-ბი ასის თავიანთ დიდებულებით შეითან ჰაიუანში ისხდნენ. ბძანება ვასცეს. საამ ფალავანი და თავისი სარდლები წაასხით და იმ ძელზედ ჩამოკიდეთ და ის-რები დაუშინეთ და ისე დახრიტეთო!

იმეამად საამ ფალავანი და თავისი დიდებულნი რომ საპყრობილესა იყუ-ნენ, გათუნების ეამშა მოატანა, რომ საამ ფალავანი ცნობასა მოეგო. რა თავის შეკრულობა იხილა, თავისთა სარდალთა უთხრა: ვერ ხედამთ, ჩემთვის კელ-ფეხი შეუკრამთო. ამათ მოახსენეს: ჩვენც სულ ყველას კელ-ფეხი შეკრული გუპქესო. ეს იმ წყეულის, ბილწის დევის საქმეაო და ამ ლაპარაკსა იყენენ. მა-შინ ჩამდენიმე დევი შევიდნენ და უთხრეს საამ ფალავანსა: ადექ, წამოდი, რომ ძელზედ უნდა ჩამოგვიდოთო და იმაზედ თირა ბარანი უნდა გიყვითო! ააყუ-ნეს საამ ფალავანი, თავის სარდლებით მიიყუანეს ძელზედ ჩამოსაკიდებლად.

იქითსა მხარეს რა ესე საამ ფალავნის შეპყრობა იხილეს, ფრანგ დივზადმა და საამის სარდალთა, სულ ერთიანათ შემოუტივეს იქ მყოფნთა დევთა, და ში-გან გაერივნენ და ერთი მეორეს უთხრობდნენ: ჰკარ, მოჰკალ, შეიპყარ, შეჰკარ, ცოცხალს ნუ გაუშვებოთ! ფრანგ დივზადი განრისხებული თავის ჩუბდასტს, რომელსაც დევს დაჰკრამდა, მიწასთან გაასწორებდა, და მთურალ ლომსაივით ბრდღენიამდა და ეწადა, რომ ფალავნის სიახლოვესა მიეწია და ფალავნის ჭა-რიც, ზოგნი ხმლით, ზოგნი ისრით, ესენიც უწყალოთ ხოცდნენ დევთა. ამეამად ფრანგ დივზადმა ერთი კაცი გაგზავნა შაფურ შირდილთან და ესე ამბავი აცო-დინა. მაშინვე შაფურ შირდილი ოცდაათი ათასი კაცით მოვიდა და შიგან გაე-რივა, და უწყალოთ ხოცა დაუწყეს დევებსა.

იმეამად, რომ ნაპანგალ დევი და ხაყან ჩინის ვეზირები ორასის კაცით შეი-თან ჰაივანში ისხდნენ, ეს ანბავი შეიტყუეს, რომ საამ ფალავნის მოსარჩენათ ჭა-რი მიშველებოდა და დევებს უწყალოთ ხოცენ. მაშინვე ადგა ნაპანგალ დევი და მოვიდა იმ ხის ძირში. ფრანგ დივზადმა სეილი ჭანსუზის ჭარსაც აცნობა და ისინიც მსწრაფლად მიეშველნენ და შიგან გაერივნენ, და საკვირველი ომა შეექმნათ და სისხლის ღურაში შევიდნენ.

ამეამად ნაპანგალ დევიც იმ ხის სიახლოვეს მოვიდა. რა ფრანგ დივზადმა ის დაინახა, დიდთ შეშინდა და ცდილობდა, რომ იმ ძელის სიახლოვეს მისუ-ლიყო, მაგრამ დევებს შეზღუდვილი ჰქონდათ და ვერა გააწყო რა. მაშინ ფრანგ დივზადმა შესძახა საამ ფალავანს: ჭეი, ფალავანო, აგრე როგორ შევიპყრო მაგ ბეუშტარომა, რომ გონს ვეღარ მოხველო! ეს ხომ იცი, რომ ახლავ ისრით დაგ-ხვრეტენ და მოგკლავენო, ახლავ გამოფხიზლდი! მაგრამ საამ ფალავანსა და თა-ვის დიდებულთა ბეუშტარო ისევე თავში ჰქონდათ, ძელზედ თავდაღმა ჩამოკი-დებულნი, შებნედილნი იყუნენ.

ფრანგ დივზადმა შეხედა და ნაპანგალ დევი დაინახა, რომ იმ ძელის საბ-ლოვეს მისულიყო. თავისა გულსა შიგან თქო: ნაპანგალ თუ იმათთან მივიდა, იმათ დახოცო. ფრანგმა ვეღარ მოითმინა და ერთი ხვა მალლათ შეუძახა: ჰეი, ფალავანო, რაღა დროს გონებაზედ მოუსვლელობა არისო, თავი ნუ მიგიცია ბეუშტაროსათინა. გონებას მოდი, რომ შენი სახელი წახდა და ერანი დიქცა! ფალავანს ეს ხმა მიესმა, მაშინვე თულეები გაახილა და იხილა, რომ ფრანგ მთურალსა ლომივით გარეულა ამა ლაშქარში, დასტი ჩუბი კელთა უპირავს და უწყალოთა ხოცს დევებს.

რა ნაპანგალ დევმა ფრანგისაგან ესე საქმე იხილა, მაშინვე მიუხდა ფრანგსა,

დასტი ჩუბი კელთაგან წაართო და შორს გასტყორცნა, სარტყელსა კელი ჩაუგ-
დო. ფრანგმაჲ სარტყელსა კელი ჩაუგდო და მედგრათ ერკინენ ერთმანეთსა. ამ-
ჟამად საამ ფალაენამა შეხედა, ნაბა, რომ ნაპანგალ დევმა ფრანგ ადგილიდამ
აიყუანა და თავსა შემოივლო და მიწასა დაცემასა უპირებდა. თავის გულსა
შინა თქო: ფრანგ დიუზადი ძმაზედაც უფრო საყურელი არის და რამდენჯერ
ერთგულათ უმსახურნია ჩემთვისა, და მინერას დევის სამაგიეროთაც ეს დარ-
ჩა. მაშინ მამაცობისა სისხლი აუღულდა და ესრეთ მედგრად მოსწია იმ ქინჯი-
ლებსა, რომ სულ ერთიანათ დაწყვიტა და ძელიდამ ძირსა ჩამოსხლტა და ერთი
ასეთი შევკვირა, რომ იმისი ხმა ოთხსავე მხარეს გაიგონებოდა. მთებმა და დედა-
მიწამ სულ ზანზარი დაიწყო.

ამჟამად ნაპანგალს ფრანგ დიუზადი რომ შევკრობილი ჰყუნდა, რა ესე ხმა
შემოესმა დიდს განკვირებებასა მიეცა და, ვინცა ვინ საამის სიახლოვეს დევები
იდგნენ, სულ ყველანი აქეთ-იქით გაიფანტნენ და დიდათ უკვირდათ ფალაენის
ძლიერება, რომ როგორ დაწყვიტა ეს ქინჯილებით. ერთი მეორესა მოუთხრობ-
დნენ. ფალაენამა ნაპანგალს მიმართა. ნაპანგალ დევი თავისა გულსა განიზრახვი-
და: საამ ფალაენი რა ახლოსა მოვა, ფრანგს ისეთსა ვესერით, რომ ორნივე დაი-
ხოცნენ. საამ ფალაენამა შეუძახა ნაპანგალსა: ჭეი, ბილწო, გამიფრთხილდი,
მოვალ შენი სულის ამომხდელი და შევარდენივით ფიცხლად შეუტრია.

ნაპანგალმა რა საამ ფალაენი თავზედ მისული იხილა, ფრანგ დიუზადი რომ
ხელთა ეპყრა, ფალაენსა მედგრად შემოსყორცნა. ფალაენამა სწრაფლად
კელი მიაშველა და ფრანგ კელში დაიჭირა, ფრანგს შუბლსა აკოცა და მიწასა
დასვა და ნაპანგალს შესძახა: ჭეი, შენ მყარალო, მოვედი შენი სულთა მხუთა-
ვიო. ნაპანგალ ამისი გამგონე დიდათ შეშინდა და გატკევესა ლამობდა. იფიქ-
რა: ფალაენი ხომ ტიტველა არის და თავისი სამამაცო იარაღი არა აქუს და
ჩემის ბასრის ფრჩხილებით ასე დაეხეო, რომ თავისი სიცოცხლე დავამწარო.

ესე განიზრახა და ფალაენსა მივარდა და ეწადა, რომ თავისის ბასრი
ფრჩხილებით ფალაენი დაეხიუა. საამა ორსავე კელებში კელი სტაცა და მაგრა
დაუჭირა. ნაპანგალ დევი ბევრს ეცადა, რომ საამისაგან კელი დაეძვრინა, მაგრამ
არა გაეწყო რა. საამ ფალაენი თავის გულსა შიგან განიზრახვიდა, თუ ეს
კელები გაუშვა და სხუაგან დაუჭირო და ის შევიპყრა, სულ დამხვეს ფრჩხი-
ლებითა და იყო ამა ფიქრსა. წამოიყუანა ფაცფაციო თავისსა ქარისაგან და
ერთი ისეთი მუშტი დაჰკრა კისერში, რომ რამდენჯერმა დაატრიალა და მიწასა
დაეცა ესრეთ, რომ იმისი სახე მიწასა გამოესახა, ვეფხსავით მსწრაფლად
მკერდსა შეახლტა და ფრანგს დაუძახა: ჩქარა მოიტანე ქინჯილები, რომ ეს
ბილწი დევი შევკრო!

იმჟამად ფრანგ დიუზადს სხუანი ფალაენი განეთავისუფლებინა და საამი-
სა ხმა რომ გაიგონა, მაშინვე თავისის რკინის კეტით მოუხდა ნაპანგალსა და
ერთი ასეთი დაჰკრა თავსა, რომ ტვინი გადმოადინა ცხვირიდამ და პირიდამ და
შოჰკლა. საამ ფალაენსა ესა საქმე დიდათ ეწყინა და შემოსძახა: რატომ ქვინიო.
ის დევი მინდა შევკვირა და ერთში წამეყუანა. ფრანგმა მოახსენა: ფალაენო.
თუ ამისთვინ ასე არ მექნა, ბაზაზის ხამსავით დაგიხვედა ტანსაო. თუ აგრე ვინ-
და, გვატყაოთ და საითაც მიბძანებ, წავიღებო.

იმჟამად საამ ფალაენის სარდალთა და ფალაენთა დევთა ლაშქართა შეუ-
ტრეეს, ზოგნი ხმლით, ზოგნი ლახტით მედგრათ იბრძოდნენ და უწყალოთ ხოც-
დნენ. რა დევთა თავისი ბატონი ნაპანგალ დევი მკუდარი იხილეს, მაშინვე სულ

ერთიანთ გაიქცნენ, ტყესა და ბებებანსა გარდაცივიდნენ. საამ ფალავანსა თა-
ვისა ყურაბი თიქაური მოგუარეს და ზედან ამხედრდა და ნარიჰანისეულს ქმალ-
სა ქელი მოივლო და დევთა გამოეკიდა და ერთსა აღაქსა ხოცითა მიჰყუა. რა
გული ისრულა დევთა ხოცისაგან, ყურაბი თიქაურს ქილაეი გამოუბრუნა და
ქარსაც მობრუნება უბძანა. ლაშქარი გამობრუნდა და სარდალსი და ფალავან-
ნი შემოკრბნენ, მოვიდნენ, ფალავანსა ფეხსა აკოცეს და გამარჯვება მიულოცეს.
ხაყან ჩინის ვეზირები მაშინვე ფალავანთან ხელშეკრულნი მოასხეს. ფალავანმა
უბძანა: ეგენი დახოცეთო, გაატყავეთ და ბზით გატენეთო! მაშინვე ვეზირები
სულ ერთიანთ დახოცეს და ბზით გატენეს. ფალავანი და თავისნი დიდებულნი
იქილამ წავიდნენ და შეითან ჰაივანში მივიდნენ. საამ ფალავანი ტახტსა დაბ-
ძანდა, სარდალნი და ფალავანნი განწყესებით თაე-თავის ალავს დასხდნენ. ფა-
ლავანმა იქ, რაც ხაყან ჩინის გამოეგზავნა ხაზინა და ან, რაც იმ დევთა ქქონდათ,
სულ ერთიანთ შემოკრიბა. მას უკან დასხდნენ, სუფრა მოიღეს, ლხინსა და გან-
ცხრომასა მიეცნენ. იმ ღამესა მოისვენეს.

რა დილა გათენდა, რაც იმ ზღუაში ხომალდები იყო ან თავისი მოტანილი
და ან ხაყან ჩინის ვეზირების მოტანილი, სულ ერთიანთ შემოყარა და, რაც
ხაზინა იყო, სულ შიგ შეიტანეს და თითონაც შიგ ჩასხდნენ. იალქნები აუშვეს
და გაეპართნენ. რამდენიმე დღე იარეს, გავიდნენ გაღმა, გადახდნენ და კარვები
დასცეს და დადგნენ. ნაჰანგალის ტყავი ფრანგ დივზადმა საამის ბძანებით
გახადა, ბზით გატენა და ურემს აუღო. იმ დღეს საამ ფალავანმა თავისსა კარავ-
სა მექლოში გამართა და თავისი სარდლები და დიდებულნი ლხინსა და განც-
ხრომასა მიეცნენ.

იმჟამად ერთი ქვევითი კაცი, მტვერისაგან გასვრილი, შემოვიდა და საამ
ფალავანს თავი დაუყრა. რა საამ ფალავანმა შეხედა, ნახა, რომ ფერიდუხტის
ჰაიარი იყო, იცნა და ჰკითხა: საილამ მოხულო და ან რა ამბავი იცით. ჰაიარმა
ამოიღო ფერიდუხტის წოგნი და ფალავანს მიართო. საამ ფალავანმა რა მთუა-
როსა მსგავსის ფერიდუხტის მოწერილი წიგნი გახსნა, ესრეთ ეწერა: ფალავანო.
მე მამაჩემმა თეიმურთაშთან გამგზავნა მაჩინის ქუეყანასა. და ჭერ ჩინეთის ქუე-
ყნილამ ორს მანძილზედა ვართ, და აქედამ მოგწყვიე ეს წიგნიო, მინამ მე თეი-
მურთაშთან მივაწევდე, თუ შეგეძლოს. რამე მიშველო! თეიმურთაშს თავის-
თვინ უნდითუარ, თუ ის კელში ჩაჰიგდებს, შენი ამდენი გარჯილობა სულ ცუ-
დათ ჩაგივლისო და მეც ჩემს თავს არ ვაცოცხლებო. საწამლაუე შევქვამ რასმე
და თავს მოვიკლამო. ჩემი მოხსენება ეს არის და ახლა ნება თქუენი არისო!

რა საამ ფალავანმა ეს წიგნი აღმოიკითხა, ესრეთ ეგონა, შევიდოე ცა თავსა
დაეცაო. ფალავანმა ფრანგს უბძანა: დღეს არის მამაცობის გამოჩენა. ფერი-
დუხტის სიტყუა მართლდება. ის რამლენსაც გვეუბნებოდა, რომ ჩემს თავს მა-
მაჩემს ნუ მისიეგმო; იმის სიტყუა არ დავიჭერე, და ვერ ხედამ, რას ოსტატობას
გვიშერებინა? მე იმისი სიტყუა არ დავიჭერე, და მივეც თავის მამასა. და იმას
თავის ძმისწულს თეიმურთაშთან გაუსტუმრებია. ჭეი, ჩემო საყუარელო
ფრანგ, შენ ახლავ უნდა წახვიდე მაჩინისაკენ და ჩინეთის ლაშქართა ფერიდუხტ
უნდა წაართო, და მეც მსწარულითა სიარულითა მოგწვიე!

ფრანგმა რა ესე მოისმინა, მაშინვე ფალავანსა ქელსა აკოცა და სარდალთა
და დიდებულთ გამოესალმა და შავის ღრუბელივით მაჩინის მხარესა გაემართა.
საამ ფალავანმა თავისთა სარდალთა და დიდებულთა უთხრა: თქუენ აქ, რაც ან
ხაზინა არის, ან სამძიმარი ბარგი არისო და ნაჰანგალის ტყავი, ის უნდა წაიღო-

თო, და ჩინეთს მიხვიდეთო და იმ მთის ძირში ერთი სიმაგრე გააკეთეთო! მინამ მეც, ღმრთის მოწყალებით, თქუენთან მშვიდობით მოვილოდეო! ეს სარდლები და ფალავნები ჩინეთისაკენ გაამგზავრა და თითონ ყურაბი თიქაურზედ ამხედრდა და ფრანგ დივზადს უკან გამოუდგა.

ფრანგმა დღე და ღამე გასწორებით ვლო და რამდენსამე დღეზედ მაჩინისა ქალაქსა შვიდა. ნახა, ციხის კარზედ ერთი კაცი იდგა. ფრანგმა შეატყუო, რომ ის კაცი ქეშიცი იყო. ფრანგ წინ წარდგა და იმ კაცს უთხრა: მე შენ ერთს სიტყუას კითხამო, თუ სწორეთ არ მითხარ, ასეთ დაჯკრამო ამ ჩემს დასტი ჩუბსა, რომ მიწასთან გასწორდე! მისწუდა, საყელოსა კელი ჩაავლო. ის მეკარე დიდათ შეშინდა და ნაპანგალ დევი ეგონა. უთხრა: შეი, ნაპანგალ, მე ნუ მოძქვამო! შენ ღვინოსა და საქმელს გიშოვნო და შეგაქცეო! იმან უთხრა: მე შენი ლაპარაკისა არ ვიცი, ხანყან ჩინის ქალი ფერიღუხტ როდის მოიყვანეს აქაო და ან საღჟყავეთო. ამ კაცმა უპასუხა: დღეს მოიყუანესო, ქალაქის ზეით მხარეს ერთი საქეშვიფო ბალი არის, ქეშვიფის არამიცი იქ არის და ფერიღუხტ იქ მიიყუანეს. ასე ამბობენ, რომ ამაღამ იმ ქალს თეიმურაზთაშსთან მიიყუანებენო და ქორწილსაც ვარდაიხდიანო. ფრანგ დივზადმა ის კაცი კელიდამ გაუშუა და იმ ბალისაკენ გაეპარათა. მივიდა ბალთან, ბალის კედელზედ ვადევიდა და შიგან შევიდა. ფრანგ დივზადმა რა ბალი ვანელო და სასახლის სიახლოვესა მივიდა, და ხოჭებმა ფრანგ დაინახეს, დიდად შეშინდნენ და სულ ერთიანათ სასახლისკენ გაიქცნენ.

იმეამად ფერიღუხტ სასახლეს იმყოფებოდა. ბანოვანნი მოსულ იყუნენ. და უნდოდათ, რომ საქორწილოთ მოერთოთ, მაგრამ ფერიღუხტ მეტათ სწუხდა. და არ მორჩილდებოდა და ტიროდა. იმეამად თეიმურთაშის დედა მოვიდა და უთხრა ფერიღუხტსა: შეი, ჩემო საყუარელო, ათასიმცა ჩემისთანა შენ ჳირს შეეყაროსო. შენ რომ ავრე სტირი და სწუხარ, ჩემი შვილი თავის ხლმით თავს იკლამსო! ფერიღუხტმა უპასუხა: ჩემი სიკვდილი იქნება და თეიმურთაშის ცოლქმრობა არ იქნებაო! მამაჩემა ხაყან ჩინმა ერთხელ ერანის ქეშვიფის შვილს საამ ფალავანს მიმცა და დამნიშნა. მე იმისი დათქმული ვარო. მამაჩემმა საამ ფალავანი ნაპანგალ დევის საბრძოლათ გაისტუმრა და მე აქეთ გამომისტუმრა. ეს როგორ იქნება, რომ ქალს ორი ქმარი ყუანდესო.

ამა ლაპარაკსა იყუნენ, რომ ფრანგ იმ ოთახსა შევიდა. რა ბანოვანთა შემოხედეს, დიდათ შეშინდნენ და ფანჯარებიდან აქათ-იქით გაიქცნენ. ფრანგმა შეხედა, იცნა ფერიღუხტ და მოახსენა: შეი, მნათობო, ნუ შეწუხებულხარ, ავერ საამ ფალავანი აქ მოუა, ამ ცოტას ხანშიაო. ფერიღუხტმა რა ფრანგის ხმა გაიგონა და იცნა, დიდსა მხიარულებასა მიეცა და უპასუხა: შეი, ჩემო საყუარელო ფრანგ, საამ ფალავანი ან სად არის, და ან სად იმყოფება? ფრანგ დივზადმა მოახსენა: შეი, მნათობო, ფალავანმა ესე ამბავი რომ ჳსცნა, მე გამომისტუმრა თქუენს მოსაშველებლათა და ისიც ცოტა ხანში მოუა. ფერიღუხტმა რა ესე ამბავი მოისმინა, დიდსა მხიარულებასა მიეცა. ფრანგმა მოახსენა: მობძანდი, მხარზედ შემაჩქე, წაგიყუანო! ფრანგმა ფერიღუხტ მხარზე შეისუა და ბალიდამ გარეუ გამოიყუანა და ერთის მხარისაკენ გაემართა.

რა ეს ამბავი თეიმურთაშს მოხსენდა, ერთი ძაზარლათ ამოიოხრა ღვიძლთაგან და თქო, რომ ეს საქმე ნაპანგალს როგორ შეუარჩინო, რომ ჩემის არამხანიდამ ცოლი მომტაცოსო! ადგა მაშინვე და თორმეტი ათასი ლაშქარი შემოიყარა, ქალაქიდან ვარეთ გამოვიდა და ფრანგს გამოუდგნენ.

იმეამად ფრანგმა იარა სწრაფის სიარულითა და თორმეტი ალაჯი გაიარა,

შვიდა იმა ბებანსა და ერთი ძველი ქარუსლა დახვდა. ფრანგმა ფერილუბტ მიიყუანა და ერთს ოთახს დასუა. თითონ გამობრუნდა და სანადიროთ წაიდა. ანაზღათ რამდენიმე ჯერანი შეიპყრა და ფერილუბტის წინაშე მოიტანა. მწუაღები ააგო, შეწუა და ფერილუბტს მიართო. ფერილუბტ წუადასა შეექცა. მერე ფრანგმა მოახსენა: ახლა კი დრო არის, რომ წავიდეთო, რომ ვინციკობა არის, ჯარი არ მოგვეწიოს. ფერილუბტმა უპასუხა: ფალავანის თავსა ვაფიცებ, რომ რამდენიმე ღამე არის ჩემს თუალს ძილი არ მოსვლია და ამდღამ დამაყადე, პატარა მოვისვენო, და მას უკან წავიდეთო. ფრანგმა მოახსენა: ნება თქუენი არის, მოისვენეთო! ფერილუბტმა მიიძინა და ფრანგმაც ფერილუბტის ფეხქვეშ დაიძინა.

რა დილა გათენდა, ფრანგმა შეხედა, მაჩინის მხრისაკენ ერთი მტვერი გამოჩნდა. ნახა, რომ თეიმურთაშ თორმეტი ათასის ლაშქრით ამათქენ მოუა. ფრანგმა რა ესე ნახა, მაშინვე თავისი ჩუბი დასტი ზელთა აიღო და ლაშქარისა მიეგება. რა თეიმურთაშმა დევი დაინახა, შემოსახა: ჭეი, შენ წყეულო, ნაპანგალ, რა ძალლი ხარო, რომ ჩემი საყუარელი ბალიდამ მომტაცე და ამისთანა უკადრისი საქმე გაბედო! ასეთს საქმეს გიზამ. რომ ყუაუმა და ყორანმა შენს ლეშზედან ისეირონო! ფრანგმა უპასუხა: ჭეი, ფალავანო, მე ნაპანგალ არა ვარ. ნაპანგალ დევი შეითან აიჯანში ნარიმანის ძის საამის კელისაგან მოკვდარო. მე ფრანგ დივზალი მქეიანო, საამ ფალავანის მონა ვარ. ფერილუბტ საამ ფალავანს დანიშნული არის. აგერ რამდენი ხანოა, რომ საამ ფალავანი და ის ერთათ შეექცევიან. ერთს დღეს ხაყან ჩინმა ნაპანგალის მწუხარებანი ჩამოაგლო საამ ფალავანთან, რომ ჩემი ქალი ფერინუშ რამდენიმე ხანი ზინდა ჯდოს პყრობილთა მყუანდა. ვერას შეწყენით ვერ მოვეხმარენითო, ახლა თქვენის შეწყენით გამოვიხსენო და ახლა ფერილუბტ ნაპანგალ დევის ნათხოვი არის. მერჰე საამ ფალავანმა მოახსენა: მე წავალ და იმის საქმეს კაის გზას მიეცემო. ფალავანმა ლაშქარი შემოყარა და ნაპანგალის საბრძოლათ წაიდა და ხაყან ჩინმა ფერილუბტ შენ გამოგიგზავნარო და ახლა არ გეკადრება, რომ საამ ფალავანს თავისი დათქმული საყუარელზედ შეეცილო!

რა თეიმურთაშმა ესე სიტყუა მოისმინა ფრანგ დივზალისაგან, უპასუხა: ჰეი, დევის ნაშობო, საამ ფალავანი ამ ხანში სად იმყოფებო. ფრანგმა მოახსენა: ჰეი, ფალავანო, მე ასე მგონია, რომ ამ ყამებში აქ მოაწიოს სადმეო. თეიმურთაშმა ფრანგს უპასუხა: რადგან საამ ფალავანი აქ მოუა, მე შენ აღარ შეგებმო, მე საამ ნარიმანის ძეს პირდაპირი მინდა უყო. ბიძაჩემს, ხანყან ჩინს რიას ნაკლებულობა მოსვლია, რომ რადგან ფერილუბტ საამის დათქმული იყო. მე რაღათ გამოგიგზავნა. რადგან ეს საქმე ასე მოხდა, მე ჩემს ფალავანობას ამას არა ვკადრებო, რომ საამ ფალავანის ომის გაუსწორებლივ მე ფერილუბტ შეუაწუხო.

ფრანგმა რა ესე მოისმინა, თეიმურთაშს მადლობა და ქება დიდი შეასხა: ფალავანო, როგორც ფალავანობის წესია, ისე მოიქეცო! მაშინვე თეიმურთაშმა თავისთა ფარეშთა უბძანა, კარეები დაეციოთ და ნაზირს უბძანა, რომ სადლი მოგვიმზადეთო. იმჟამად საამ ფალავანი ერთისა მხრიდამ გამოჩნდა. რა ფრანგმა ფალავანის მომავლობა სცნა, ფერილუბტ გამოადვიდა ძილისაგან და ფალავანის მომავლობა აცნობა. რა ფერილუბტმა თუალი აახუნა და საამ ფალავანი მომავალი თვალით განიცადა, დიდათ იამა და ფრანგს უბძანა: ჭეი, ფრანგ

მდლობა ღმერთსა, რომ ფალავნის მოსვლით განენათლდით. ფრანგ ღივზალა ფალავანს წინ მიეგება. წამოუძღუა, ფერიღუხტთან მოიყუანა.

რა ფალავანმა და ფერიღუხტმა ერთმანეთი დაინახეს, ადგა ფერიღუხტ და ფეხთა მოეხვია და უთხრა: ფალავანო, იქნება, რომ ჩემი თავი კიდევ იმ უსჯულს მამის ჩემის ხაყან-ჩინის კელში ჩააგდო. ფალავანმა ფერიღუხტ ზე ააყენა, მიესალმა და ამა საქმეზედა ხათრიჳამი გახდა. შეიხელა ფალავანმა თეიმურთაშის მხრისაკენ და მრავალი კარგები დაინახა. ფრანგ ღივზალა ჰკითხა: ეს რა ყრილობა არის და ვინ არიანო! ფრანგმა მოახსენა ის თეიმურთაში არისო და როგორც ფრანგისა და იმის საქმე მომხდარიყო, სულ ყველა წერილათ უამბო და მრავალი ქებაები წარმოსთქუა. ფალავანს ეს ამბავი დიდათ იამა და თემურთაშს მრავალი ქება შეასხა. იქითის მხრილამ თეიმურთაშ თავის კარგილამ გამოვიდა და ფალავანთან მოვიდა და უთხრა: ფერიღუხტ, ჩემი დის მსგავსად ყოფილა ჩემთანა. ბიძაჩემს ხაყან ჩინს ეს დიახ ურიგოთ მოსვლია, რომ, რადგან შერი დათქმული ყოფილა ფერიღუხტ და ჩემთან გამოისტუმრა. ამ საქმეზედ დიახ ვემდურეი, მაგრამ ფალავანო, მე შენ შეგეკიდები. თუ მე მოგერევი, ფერიღუხტსაც ისევე შენ მოგეცემო, და ჩემი მონა უნდა შეიქნა და, თუ შენ მომერევი. მე ჩემს დღეში შენი მონა და მოსამსახურე შევიქნებიო, მაგრამ მე ახლა არ დაგეკიდები, ამისთვის, რომ შენ დიახ დალაღული ხარ, დღე და ღამე გაგიტენია. მე ნება მომიცია თქუენთვის და ბიძის ჩემის ასულის ფერიღუხტისათვის ამა დაშქარის მოშორებით კარავი დადგან, იქ მიბძანდითო. და რამდენიმე ხანი იქ მოისვენეთ და მას უკან დაგეკიდებიო.

თეიმურთაშმა კარავი უცხოთ მოათენინა და ფალავანი საამ, ფერიღუხტ და ფრანგ მივიდნენ, გადახდნენ კარავსა. თეიმურთაშმა უცხო და უცხო კი საქმელები და სასმელი მიართო. შეექცნენ და განსვენებასა მიეცნენ. საამ ფალავანსა და ფერიღუხტსა დიდათ მოეწონათ იმისი ქქუეუა-ყოფა და ფალავანმა უთხრა ფერიღუხტს: ფალავანობისა და მამალობისა ნიშანი სულ ამაში დასრულდებაო. თეიმურთაშმა კიდევ მეორეთ შექალამა მოართო, იმას შეექცნენ და განსვენებას მიეცნენ.

რა იმ ღამემან განვლო და დილა გათენდა, საამ ფალავანმა რამდენიმე ჯამო ღერო შესუა და მოედანსა გამოვიდა. იქითსა მზარესა თეიმურთაშსაც აცნობეს საამის გამოსვლა. ისიც სწრაფად ადგა და მოედანსა გამოვიდა. მივიდნენ, ერთმანეთს ჯავვისა კალთას კელი ჩიუგდეს და მედგრათ ივიდავეს. ხან ერთმანეთსა მუშტითა სცემდნენ და ხან ისე კიდაობდნენ. სალაპომდინ ესრეთ ივიდავეს და დიდათ დაილაღნენ. რა მზე ჩავიდა, თეიმურთაშმა უთხრა: ფალავანო, ღმერთს საომრათ დღე გაუჩენია და ახლა დაღამდა, წავიდეთო, ჩვენ კარავსა გარდავხედეთ და რამდენიმე ჯამი ღვინო დავლიოთ და შევექცეთო! ფალავანმა უპასუხა: თქუენ, რასაც საქმელებსა ბძანებთ, უბძანეთ, აქ მოიტანონ და აქ შევექცეთ. თეიმურთაშმა მაშინვე თავისთა მოსამსახურეთა უბძანა მაშხალებს დაუკიდეთო და, რაც ჩვენი ვახშამი იყოს, აქ მოგვიტანეთ. მაშინვე მაშხალებს დაუკიდეს და სურებით ღვინო და რამდენიმე შემწუარი ბატკანი მოუტანეს და ფალავანთა მორათვეს. ფალავანნი შეიღნის საშუალს ალაგსა დასხდნენ და იმა საქმელსა შეექცნენ. ამ ამბავში ფრანგმაც ერთი გარეული თხა შემწუარი მოართვა და იმასაც შეექცნენ. მას უკან ადგნენ და კიდაობა დაიწყეს, მინამდინ გათენდებოდა.

რა გათენდა, საამ ფალავანმა ჩვეულებისამებრ ღმერთს კელი შეჰყარა და ევეღრა: ღმერთო, ამ ფალავანს ნუ მოშრეო და ჩემს საყუარელს ფერიღუხტთან

ნუ შემარცხვენ! ასეთი ძალი მომეც, რომ ეს ფალავანი და ამისი ჯარი შენს სარწმუნოებასა ზედა მივაქციო. ამჟამად ფერიღუბტ თავის კარვიდამ გამოსულიყო და ამით უყურებდა. ფალავანმა რა ლოცვა დაასრულა, თეიმურთაშს კელები მაგრა დაუჭირა, თავი მკერდსა მიაყრდნო, მიაწუა და დიდი ადგილი უკან გაატარა, ძირსა დაიქნო და მუხლები ასეთი დააკრევეინა მიწასა, რომ დღდამაწა გასქდა და გუთანის მოხსნულს დაამჯავსა. ფალავანი თავს დააწუა და დიდი ხანი ისე ამყოფა. თეიმურთაშმა სიმხნესა ძალი მისცა, ასწოლა და გაიმართა წელში. ფალავანი განრისხდა, მიუხდა, თეიმურთაში მიწისაგან მოგლიჯა და თავის სისწორ იაყუნა და რამდენჯერმე თავსა შემოივლო. ეწადა, რომ მიწისათვის დაეპე. მაშინ თეიმურთაშმა ფალავანსა მოახსენა: ფალავანო, კელი შეინახე, რომ მე მინამ ცოცხალი ვარ, შენი მონა და მოსაძსახურე ეიქნები! ასე გუაქვს პირობაო.

საამ ფალავანმა იმისი ვერდება მოისმინა და ძირს დასვა. თეიმურთაშ მოვიდა და ფალავანს ფეხთა აყოცა და იმის მონობის ალყა ყურსა გაიყარა, უბი-დამ კერპის სახე ამოიღო და მიწასა დაახალა და საბაოთ ღმერთი იწამა. ამისი მნახველნი იმისმა ჯარმა კერპის სახეები გარდაყარეს და საბაოთ ღმერთი იწამეს. მას უკან თეიმურთაშმან მოახსენა: ფალავანო, რამდენიმე დღე აქ შევექცეთ და მას უკან მაჩინის ქალაქსა წაეიდეთო, რომ მაჩინისა ქალაქი ჩინეთის ქალაქზედ ნაკლები ნუ გგონია! რამდენიმე დღე იქაც შევექცეთ და მას უკან ლაშქარი შემოვიყაროთო და ხაყან ჩინზედ წავიდეთო!

ფალავანსა ამისი სიტყვა დიდათ მოეწონა. თეიმურთაშ წინ გამოუძღვლა, მოიყვანა თავისსა სასახლესა, ფალავანი ტახტზე დაბძანდა. თეიმურთაშ კელმოწლოვით თავსა დაადგა. საამ ფალავანმა უბძანა: მე ლაშქარს ვერ მოუტდრო ამ მიზეზისათვისა, რომ ჩემი ლაშქარი და იმდენი ურიცხვი ხაზინა და ნაპანგალის ტყავი იქ გამოიშვია, და მე და ფრანგ აქეთ წამოვედითო. ამ საქმეზედ მე ხაყან ჩინისაგან ხათრიჯამი არა ვარ. ვაი თუ მე იქ ველარ მნახოს და იმათ ერთი რამ ზიანი მისცეს და მე საჩქაროთ წასვლა მმართებს ჩემს ლაშქარშია. მაშინვე სუფრა მოიღეს და მეჭლოში გამართეს. რა სუფრა აიღეს, ფალავანმა უბძანა: ძმაო, თეიმურთაშ, მე ახლა წასვლა მმართებსო. თეიმურთაშმაც მოახსენა: კარგი იქნება, თქვენ წაბძანდეთ და მეც ლაშქარის თავდარიც ვნახამო. და მეც მალე ვიახლები! საამ ფალავანი იქილამ წამობძანდა და თავისსა კარავს მობძანდა ფერიღუბტთან და უთხრა ფერიღუბტს: თეიმურთაშიც ჩვენსა სარწმუნოებაზედ მოვიყუანე და საბაოთ ღმერთი ვაცნობეო. ახლა ჩვენ გვმართებს, რომ ჩინეთის მხარეს გავემართნეთ და თეიმურთაშიც თავის თავდარიც ნახამს და ისიც ჩვენთან წამოვყო.

თეიმურთაშმა ერთი უცხო ცხენი და ერთი სამამაცო ტანისამოსი და იარაღი ფერიღუბტს მიაართა. ფერიღუბტი იმა ცხენსა აშხედრდა, პირსა ნილები ჩამოიფარა: საამ ფალავანიც თავის ყურაბსა თიქაურზედ ამხედრდა და ფრანგ დიუხადი წინ გაუძღვლა და ჩინეთისა მხარეს გავემართნე. იმჟამად ხაყან ჩინმა რა მსცნა, რომ საამ ფალავანის ლაშქარი მოსულა და ჩინეთის მთის ძირში გარდახდა, და ურიცხვი ხაზინანი და ნაპანგალის ტყავი მიუტანიათ, ბზით გატენილი. და იქ აქეთ, მაშინვე თავისთა ფალავანთა და სარდალთა უბძანა, საამ ფალავანი მაჩინისაკენ წასულაო და იქილამ ცოცხალი ველარ მოუა, ამისთვინ, რომ თეიმურთაშს ის ცოცხალი არ გარდურჩება. ახლა ჩვენ ლაშქარი შემოვიყაროთ და საამ ფალავანის ჯარს მიუხდეთ, და იმდენი ნაპანგალ დევის ხაზინა და იმისა

ტყავი წავართოთ, და სრულებით გავწყვიტოთ იმისი დღეებულნი და სარდალნიო. მაშინვე საამ ფალაენის სარდლებს ერთი წიგნი მისწერა ხაყან ჩინმა: ჭეი, სარდლებო, ახლავ ნაპანგალის ხაზინანი და ნაპანგალის ტყავი მე უნდა გამომიგზავნოთ და თქვენც ჩემთან მოხვიდეთ და ჩემი მონანი უნდა შეიქნეთ ამისთვის, რომ, რაც საამ ფალაენისაგან ჯამაგირი გეძლევათ, მე ორს იზოდენას ჯამაგირს მოგცემო და, როდესაც ერთნაწილად წასვლას მოინდომებთ, მე დიდის პატივით გავისტუმრებთ. და ესეც ასე ირწმუნეთ, რომ საამ ფალაენი მარტოკა მაჩინისაყენ წასულა. თუნდაც საამ ფალაენს ასი სული ეგოს, თეიმურთაშისაგან ერთიც არ შეჩრება. თუ ჩემს რჩევას დაიჭერებთ, დიახ კარგიაო, თუ არადა, ახლა თქვენ იცით.

რა ესე წიგნი შეასრულა, მაშინვე ათი ათასსა ლაშქარსა უბძანა და საამის ფალაენებთან ვაისტუმრა. იმ საამის ფალაენთა ჰსცენეს, რომ ხაყან ჩინისაგან ელჩნი მოდიანო; მაშინვე ფალაენთა რა ესე ამბავი ჰსცენეს, საამ ფალაენის ტახტი თავისსა ალაგსა გაპართეს და თითონ წესისამებრ საფალაენოს სკაპებსა დასხდნენ და მოეშადნენ. მოვიდნენ ხაყან ჩინის ელჩნი, ფალაენთა წიგნი მოართვეს და თითონ ხელმოწდომილნი თავსა დაადგნენ. ისა წიგნი ყალუადს მისცეს. ყალუადმა წაიკითხა. რა იმ წიგნისა ვითარება შეიტყუეს, ფალაენთა ერთმანეთსა ყურება დაუწყეს, დიდათ განრისხდნენ და უწუდათ, რომ ის ელჩები სულ გაეწყვიტათ, მაგრამ იფიქრეს ისევ, რომ ელჩის სიკვდილი დიახ ურიგო არისო და აღარ დახოცეს. წიგნის პასუხი ესრეთ მისწერეს: ჭეი, ხაყან ჩინო, ჩვენ საამის მონანი ვართ, საამ ფალაენი ორმოცს დღეზედ მოუა, ჩვენგან იმისი ღალატი არ იქნება.

ესე წიგნი შეასრულეს, ელჩებს მისცეს და ხაყან ჩინის წინაშე ვაისტუმრეს. იმეამად ყალუადმა და ყულუშმა და სეილი ჯანსუშმა ჯარი ერთს ალაგს მოაგროვეს, და თითონ დასხდნენ და რჩეუა შეეკმნათ. აღდგნენ, ნაპანგალის ხაზინანი და ნაპანგალის ტყავი ამა მთის წვერზედ აიტანეს და იქ გაამაგრეს, და კარები დასცეს და იმრგვლივ ერთი ხანდაგი შემოივლეს, რომ ორმოცი ადლი სიღრმე ჰქონდა და ოცი ადლი სიგანე. ასეთი სიმაგრე გაკეთდა, რომ ქუეყნის ლაშქარი მოსულიყო, მაშინაც იმას ფიქრი არა ჰქონდათ. რა ორმოცმა დღემან განულო, ფალაენთა საამის მოსულისა ვერა სცნეს რა.

ეს ანბავი აქა დაუტეოთ და მცირე ანბავი ხაყან ჩინის ელჩებისა წარმოვთქუათ

ეს ელჩები იქილამ წამოვიდნენ, მანძილ-მანძილ იარეს, მივიდნენ ჩინეთსა და ის წიგნი ხაყან ჩინს მიართვეს. ხაყან ჩინმა რა წიგნი აღმოიკითხა, დიდათ დაფიქრდა და საგონებელსა მიეცა და თავისთა ვეზირთა უბძანა: ამ ერთნელთ ფალაენებს რას გზით უნდა მოუხერხოთ. ვეზირთ მოახსენეს: ჩვენ ისინი მრავალჯერ გვეჩინახსთ, დიახ ძლოერნი ფალაენნი არიან. თუ შეიძლებს იმათ პირდაპირს, მაქუქალ დევი შეიძლებს, თორემ ჩვენ იმათი პირდაპირი არ შეგვიძლიან. ხაყან ჩინმა რა ესე სიტყუა ვეზირთაგან მოისმინა, მაშინვე ერთი წიგნი მისწერეს მაქუქალ დევსა: ჭეი, ჩემო მეგობარო, ესრეთ გუეწყოს, რომ საამ სახელოვანი ფალაენი რომ არის, იმან შენი ძმა ნაპანგალ დევი მოჰკლა და იმისი ტყავი ტანთაგან გახადა, სრულათ იმისი ხაზინა წამოიღო და ქუეყანა

ააობრა და აქ ჩინეთსა მოიტანა და, ახლა გთხოვ, რასაც წამს ეს ჩემი წიგნი მო-
გვიდღეს, მაშინვე ჩვენად შემწედ უნდა წამოხვიდეთ.

რა ესე წიგნი მიიტანეს, დეეს მიაართეს. მაქუქალმა, რა ესე წიგნი აღმო-
იკითხა და საამ ფალავნის სახელი გაიგონა, ასე შეშინდა, რომ პირსა ფერი ეც-
ვალა, რადგან იმისი ძალ-გული და ომი გადაეხადა. დიდათ იშიშორდა საამისაგან.
იმ ელჩსა ჰკითხა: საამ ფალავანი ახლა სად იმყოფება? ელჩმა მოახსენა: ფალა-
ვანი ფერიდუხტს უკან გამოუდგა და მაჩინის ქუეყანასა წავიდაო, და ასი სული
რომ ედგას, თემურთაშისაგან ერთიე არ მორჩებო. მაქუქალ დევმა რა ესე ამ-
ბავი მოისმინა, დიდათ იამა და მაშინვე ბქანება გასცა. და ორასი ათასი ნარა
დვეი შემოიყარა და ჩინეთის მხარეს გაემართნენ. რა ხაყან ჩინმა მაქუქალის
მისულა ჰსცნა, მაშინვე მიიწვია თავის სასახლესა და რამდენიმე დღე ლხინითა
შეაქციუა, და ესე ამბავი სულ ყველა გამოუცხადა. ხაყან ჩინმა ცათვისი ლაშქა-
რი შემოიყარა, მივიდნენ და ფალავნების სიახლოვესა გარდახდნენ და რამდენი-
მე დღე იქ განისვენეს. ფალავანთა შეხედეს, ნახეს, რომ დევების მხარეს საო-
მარსა ნადარას უკრავდნენ და საომართ ეშხადებიან. აქეთსა მხარესა სარდალთა
და ფალავანთა თავისთა მენადარეთა მოუწოდეს, ძურფანი ხალათები უბოძეს და
საომარს თათლიქანეს ცემა დაუწყეს. ორასე მხარისა ლაშქარსა დროები აღ-
მართეს, ერთმანეთსა დაუპირდაპირდნენ და საომრათ მოეშხადნენ. აქეთსა მხა-
რეს ყალულადმა თავისი ჭარი მოამზადა და საქლომი შეიდანსა გამოიგდო და ფა-
ლავანი გამოითხოუა.

მაქუქალმა რა ესე ნახა, ერა დეეს უბქანა გადიო, ეს აღმოიანი შეიპყარ
და აქ მომგუარე! ამა დევმა მაქუქალს თავი დაუკრა და შეიდანს გამოვიდა. რა
ყალულადმა ესე დვეი დაინახა, ცხენი მიავლო და ესრეთ შესძახა: ჰეი, დვეო, შენს
წერას მოუყვანიხარ აქა. რა ყალულადისაგან ესე სიტყუა დევმა მოისმინა, დიდათ
განრიხდა, თავისი შუბი გულსა საძვერათ მოუტანა, ყალულად მისწუდა და შუ-
ბი კელთაგან წაართო და შორსა გაატყორცნა. თავისი შუბსა კელი მიპყო და
დევსა გულსა აძვერა და იქით გაყოფინა წვერი და მოჰკლა. მოკლეთ მოგახსენ-
ნოთ: იმ დღეს ცხრაშეტი ნარა დვეი ყალულადის კელისაგან დაიხოცნენ. რა ეს-
რეთ ძლიერება მაქუქალ დევმა ყალულადისაგან ნახა, თავისსა ორასი ათასი ნარა
დევსა შეტევება უბქანა, იმათ სულ ერთიანათ შემოუტრავეს და ყალულადს გარს
შემოერტყნენ. რა სარდალთა და ფალავანთა ყალულადი ესრეთ შეგდებული იხი-
ლეს, ერთი საზარლათ ამოიხრება და ხმალსა კელი მოივლეს, და სულ ერთობით
შემოუტრევს და შიგან დაერივნენ, ერთი მეორესს უთხრობდენ: ჰეარ, მოჰკალ,
შეიპყარ და ერთსა ცოცხალსა ნუ გარდაარჩენო, უწყალოთა ხოცდნენ.

სამს დღესა და ღამეს ესრეთ მედგრათ იბრძოლეს, რომ არავის ენახა ასეთი
ძლიერი ომი. მაქუქალ დევის ლაშქარი იძლიუა და გაიქცნენ. რა მაქუქალ დევმა
ესე საქმე იხილა, დიდათ განრიხდა და გზასა ზედან დადგა და ფალავანნი აღარ
მიუშუა. ფალავანნიც გამობრუნდნენ და თავისსა სახგარსა შემოვიდნენ,
შვილდ-ისარსა კელი მიპყვეს და წვიმსავით დაასხეს, და მედგრათ იბრძოლეს.
რა დევთა ისრით ძალა დაადგა, სხუა ღონისძიების ვერას მიეცნენ. იმათაც დიდ-
როვანი ლოდები დაუშინეს. მაქუქალმა თავისი ლაშქარი მთისა ძირსა გაუშუა
და თითონ მარტორქისა ფარი იფარა და წავიდა. ზოგნი ასე ამბობდნენ, რომ
მაქუქალ დვეი მათრახი არის აგებულიო, და ეს კი ტყუილი არის, მაგრამ
ქადოს მანქანებათ ასე რიგათ ჰქონდა ტანი აგებული, რომ ვერას იარაღი ვერ
მოეკიდებოდა. ეს უმსგავსო ხანდავისა სიახლოვესა მივიდა, სარდალთა და.

ფალავანთა ისარი დაუშინეს, მაგრამ ვერა დააკლეს რა. ორი ათასმა ხელადმა დევებმა ისრეთ განიზრახეს. ჰაერსა აღვიღეთ და იქილამ ქუა დაუშინოთ. დევნი ჰაერში აღფრინდნენ და ქუა დაუშინეს. ფალავანთა, რა ესე საქმე იხილეს. ღმერთსა კელი შეჰყარეს: ღმერთო. ამა დევთა ნუ მოგვრეო და საამ ფალავანი მოგვევლინე. ამას ნუ გვიზამ, რომ საამ ფალავანი ამ ჩვენს გაპირებებაში არ მოგვევლინო.

ღმერთსაც ამა ერანელთა ვერდება შეისმინა და ოვრანგის მინდორსა ერთი მტვერი გამოჩნდა. რა მტვერი ვადაიყარა, ფალავანთა შეხედეს, ნახეს, რომ საამ ფალავანი თავისსა ყურაბი თიქაურსა ზედა ზის, ფერიღუბტც ერთსა უცხოს მოსიარულეს ცხენსა ზის, პირნიღაბი აფარია და წინ ფრანგ დივზადა, თავის ჩუბ-დასტი კელთა უჰყარია, და ესრეთ მოდიან, საამ ფალავანთა რა ამათ სიახლოვესა მოვიდა, შეხედა. ნახა, რომ ერანელთა და დევთა ძლიერი ომი აქუსთ. რა სრულებით გაშინჯა, ერანელი ერთსა მთასა ზედან ასულან და ხან-დაგი შემოუვლიათ. დევნიც მიხდომიან იმა თხრილსა პირსა და მიუწურათ. ერანელნი დიდსა შექირევებასა არიან. საამმა ერთი ასეთი ნარა გასწივა, რომ იმა მთებმა, სრულებით ზანზარი დაიწყეს, დევთა ლაშქარი ერთმანეთში აირივნენ ამა ხმის სმენაზედან, და მრავალი დევნიც ცხენიღამ გარდმოცივდნენ და ესრეთ შეშინდნენ, რომ ზოგნი ცასა უყურებდნენ და ზოგნი მიწასა. გარსამიბისეულს ასოთხმოკლიტრიანს ხმალს კელი მოივლო, და დევთა შეუტივა და უწყალოთ ზოცა დაუწყუო. ფერიღუბტმაც ხმალსა კელი მოივლო და ისიც უწყალოთ ხოცდა. ფრანგცა თავისის ჩუბ-დასტით ურიცხესა დევსა ხოცდა.

რა ხაყან-ჩინის ლაშქართა ესე ესრეთ იხილეს, გზა უყვეს მთისა და სულ ერთიანათ გაიქცნენ. რა მაქუქალს მოხსენდა რომ ორნი ცხენიანი ფალავანი და ერთი ქვევითი ფალავანი ხანან ჩინის ლაშქარსა მიესივნენ და სრულებითა გაწყვიტეს, თავისსა ლაშქარსა მიხედა, იხილა, რომ საამ ფალავანი დევთა ლაშქართა მისევია და უწყალოთ ხოცს. ამისი მხილველი მაქუქალ დევი დიდათ გან-რისხდა, თავისი იარაღი მოიმარჯვა და საამ ფალავანს მიმართა. საამ ფალავანმა ფრანგ დივზადას უბძანა: ტეი, ჩემო საყვარელო ძმაო, ფერიღუბტ ერანისა ლაშქარსა მიიყვანე! ფრანგ მსწრაფლად წინ წაუძლუა და ერანისავე წაიყვანა. რომელიც დევი წინ შემოყროდა, უწყალოდ ხოცდა. ფრანგ ამა ყოფით ხანდაკის პირს მივიდა. რა ერანის ლაშქართა და ფალავანთა ესე იხილეს, დიდსა მხიარულებასა მიეცნენ, ერთობით გარეთ გამოვიდნენ და დევთა ლაშქარს მიესივნენ და უწყალოთ ხოცა დაუწყეს. ფრანგმა ფერიღუბტ სანგარში შეიყვანა, საამ ფალავანის კარავს მიიყვანა და იქ დასო, თავისი მოახლენი და ბოჯანი განწყესებისამებრ მიუჩინა და თითონ გამობრუნდა, ლაშქარს მიმართა, თავისსა ჩუბ-დასტსა. რომელსაც დევსა თავსა დაჰკრავდა, მიწასთან გაასწორებდა. ხაყან ჩინის ბაი-რახტარს მიმართა. ესრეტ მედგრათ თავსა ჰკრა თავისი ჩუბ-დასტი, რომ კაცი და ცხენი მიწასთან გაასწორა და დროშა ორათ გატეხა.

ხაყან ჩინის ლაშქართა და დევთა ერანელთაგან თავისი უწყალოდ ხოცა იხილეს, ომი ველარ ვაბედეს, ერთობით გაბრუნდნენ და გაიქცნენ. ამჟამათ მაქუქალ დევი საამ ფალავანსა მიუხდა, თავისი ორი ათას ლიტრიანი კეტი რამდენჯერმე თავსა შემოივლო დასაკრავათ. საამ ფალავანმა რა ესე იხილა, გარსამიბისეული ფარი იფარა, ესრეთ ეკვეთა, იმ ფარსა ესდენი ცეცხლი გამოხდა, რომ მთა-ბარი ცეცხლმა მოიციო. რა რიგი საამ ფალავანს ერგო, თავისი ფარი

მხარსა გარდაიდრო გარსაშობისეულს გურზს კელი მიჰყო, რამდენჯერმე თავსა შემოიელო, ყურაბი თიქაური გააფიცხა, დევსა თავსა ჰსცა. იმ წყევულს დევს ასე ეგონა, შეიდი ყაფის მთა თავსა დაეცაო, და მშვილდურებ ორათ მოიხარა და მიწასა დაეცა, და თავისი ბილწი სული ჯოჯობეთს მიაბარა.

რა დევთა მაქუქალ დევის სიკვდილი იხილეს, ერთობით გაიქცნენ. საამ ფალავანმა თავის ხმალს კელი მიჰყო და დევთ ლაშქარში გაერია და უწყალოდ ხოცა დაუწყუო. აქეთის მხრიდამ ერანელთ ლაშქარნი: ყალულად და ყულულუმ, შაფურ ლომგული ოცდაათი ათათის მეომართ და სვილი ჭანსუზ თორმეტის ათათის მეომართ, ესენი ერთობით ხაყან ჩინის და დევას ლაშქართ მიესივნენ და ხოცა დაუწყეს. ერთს ალაჯზე ხაყან ჩინის და დევის ლაშქართ ხოცით მიჰყვნენ. დევნი თითო-თითო ბეებანს გარდაცივდნენ და ხაყან ჩინის ლაშქარი ჩინეთის ქალაქს მივიდნენ დამარცხებულნი. და ციხის კარები დაკეტეს, ხანდაკში წყალი მიუგდეს და ბურჯები გაამაგრეს. საამ ფალავანი ერთს ალაჯზე ხოცით მიჰყუა.

რა გამომბრუნდნენ, გასაყარს ნადარას ჰკრეს, ლაშქარნი ერთობით შემოკრბნენ. საამ ფალავანი თავის კარავსა მობძანდა. ყურაბი თიქაურიდამ გარდახდა, ფრანგმა ჩამოართო და ამილახვარს მიაბარა. სხვანი ფალავანი და სარდალნი მოვიდნენ და საამ ფალავანს გამარჯვება მიულოცეს და ქელს აკოცეს. ფალავანმა ყარაულნი და ქეშიკნი განაწესნა და თვითონ თავის ტახტს დაბძანდა, სარდალნი და ფალავანი თავ-თავის ალაგს დასხდნენ. საამ ფალავანმა თავისი გარდასავალი, ფრანგ დიეზადის და თეიმურათაშის ნაქმარნი საქმენი სარდალთა და ფალავანთა თვითოეულად უამბო. თეიმურათაშის ნაქმარი საქმენი ფალავანთ დიდათ მოეწონათ და ქება შეასხეს. საამ ფალავანმა უბძანა: რსიცა ამ ცოტას ხანში ჩვენთან მოვა თავისის ლაშქართა ჩვენს შემწეთ.

სარდალთა და ფალავანთა დიხ იამთ თეიმურათაშის მოსვლა. ფერიდუხტ თავისსა კარავსა ბძანდებოდა, თავისი მოახლებით შეექცეოდა. საამ ფალავანმა მეჯლიშის მოღება ბძანა. მოიღეს და ლხინსა და განცხრომაში მიეცნენ. რა სარდალნი და ფალავანი ღვინოში შეზარხოზდნენ, ყალვადმა და ყულულუმმა საამ ფალავანს მოახსენეს: თქვენ რომ ნაჰანგალ დევის საბრძოლათ წაბძანდით, ხაყან ჩინს ჩვენთენი წიგნი მოეწერა თავისთან მივეწვიენით და თავისა სარწმუნოებასა დაეპატივა, ჩვენ დიად გვეუცხოვა და თავისი საკადრისი პასუხი მოვახსენეთ. და ყოველი თავისი გადასავალი საამ ფალავანს მოახსენეს. საამ ფალავანს დიდათ იამა და მადლობა მოახსენა. იმ დამეს ლხინითა და განცხრომით გაათენეს.

რა დილა გათენდა, ბძანება გასცა: რაც რომ ხაყან ჩინის ნაშოვარი იყო, თავისსა ლაშქარსა გაუყო. ესრეთ გამხიარულდნენ ეს ლაშქარნი, რომ თავიანთ თავს საამ ფალავანისათვის სასიკვდილოდ ადვილად გამოიშეტბდნენ. რამდენსამე დღესა მოსვენებაში იყვნენ და ღმერთს აღიღებდნენ.

ერთსა დღესა საამ ფალავანმა სანადიროთ წაბძანება ინება, და ყოველნი სარდალნი და ფალავანი თან იახლნენ, და წავიდნენ სანადიროსა. რა სანადიროსა მიაწიეს, ზოგნი შევარდნითა ნადირობდნენ და შეექცეოდნენ, ზოგნი ქორითა, ზოგნი სხუასა და სხუასა ნადირსა სერიდნენ. საამ ფალავანი სანადიროსა საკრავს აკერევიებდა და იმითი მფრინველსა აფრთხოდა და ქორითა ნადირობასა შეექცეოდა. სხვანი სარდალნი და ფალავანი ცალკე ნადირობდნენ, ამიტომ რომ საამ ფალავანი და ფერიდუხტი ერთათ ნადირობდნენ. იმ დამეს იმ სანადიროს ალაგს განისვენეს.

რა დილა გათენდა, საამ ფალავანი და სხვანი დიდებულნი შესხდნენ და თავის ურღოსა დაემგზავრნენ. საამ ფალავანმა თავისთა დიდებულთა უბძანა: თქვენ ჩვენის ლაშქრისაკენ დამგზავრდით და ჩვენც შექცევაზე შორი-ახლო მოგვევით ! ისინი ლაშქრისაკენ დამგზავრდნენ. საამ ფალავანი და ფერილუხტ ნაღირობითა და შექცევითა დიდებულთა სიახლოვესა მისდევდნენ. ამჟამად ერთი დიახ მშვენიერი და ლამაზი შორათული ჭერანი შემოეყარათ. საამ ფალავანმა რა ესე იხილა, ჭერანსა შეუტია. ჭერანი გაიქცა და საამ ფალავანი გემოეკიდა, გამობრუნდა და ფერილუხტს დაუბძანა: მე ნუ მომშორდები, საითაც მე წავიდე, შენც იქით გამოიყე! ორნივე ამ ჭერანს გამოუდგნენ და დიახ დიდი ალავი გაატარეს. საამ ფალავანმა რა მოიხედა, ერთი საუცხოო ბალი ამ მინდვრისა საშუალს ალავს იხილა. ჭერანი ამ ბალსა შიგან შევიდა. საამ ფალავანი და ფერილუხტ თან შეყვნენ. რა ბალის საშუალსა მივიდნენ, ჭერანი უჩინო შეიქნა. საამ ფალავანსა ერთი საზარელი ხმა მოესმა. ფალავანმა მიმოიხედა. ნახა, რომ ბალის საშუალს ერთი სასახლე დგას, იმა სასახლისა აივანსა ერთი მშვენიერი მნათობი ქალი იდგა, შვენებით მთუარეს ემგზავესობდა. საამ ფალავანსა თავი დაუკრა და სიყვარულით მოიკითხა. რა ფერილუხტმა შეხედა, მსწრაფლად ჰსცნა, რომ თავისი მამიდა რიზვანფერი იყო. იმ ქალმა ფალავანს მოახსენა: მობძანდი, აქ ჰაივანში განისვენეთო, ჩვენს თავს ალავი გაქვსო.

საამ ფალავანი და ფერილუხტ ცხენებიდამ გარდახდნენ და იმ ჰაივანსა ავიდნენ, ფერილუხტმა მოახსენა: ჰეი, ჩემო საყვარელო ფალავანო, ეს ჩემი დედა რიზვანფერი არისო, დიდი ჯადოქარი არის, და ჩვენცა თავის თილისმანში გავება, ამას სხუა არა გაეწყობა რა, ჩვენ ან ასეთი საქმე უნდა მოუხებროთ, რომ ქელში ვიგდოთ და ან ამისი ნება აღვასრულოთ, ამიტომ რომ ის დიდი ხანია შენი სიყვარულის ბადეში გაბმულა.

ფალავანი და ფერილუხტი რა ზევით ავიდნენ, სიყვარულით მოიკითხა. რიზვანფერიმ, მსწრაფლად სუფრა მოიღო და რამდენიმე ჯამი ღვინო საამ ფალავანს და ფერილუხტს დაღვივინა. რა ღვინის სმით შეზარხოშდნენ, რიზვანფერიმ საამ ფალავანს შეხედა და მოახსენა: ჰეი, ჩემო საყვარელო სახელგანთქმულო ფალავანო, დიდი ხანია, რომ შენი სიყვარული ჩემს გულში დაინერგა. მაშინაც, რომ ერანის ქუეყანაში ნადირობდი, ნადირობაში რომ ჭერანი აღვიჩნდა და ბაღში მოგიყვანა და იქ ფერილუხტის სურათი იხილე, მას უკან ჩინეთის ქუეყანას წამოხვედი, მისი მიზეზიც მე ვიყავე, ესენი ყველანი მე მოგარჩენე. ამდენი ხანია მე შენი სიყვარული მაქვს და შენ ფერილუხტთან შექცევი, ამიტომ კი არ მოგიყვანე შენ, რომ ფერილუხტ შეგეყვარებინა და მე კი არ გენდომებინე. თუ შენ ჩემის გულის წადილს და ნებას აღასრულებ, ქვეყნის ხაზინასაც შენ მოგცემ და ფერილუხტსაც შენ გაგირიგებ, და ასე გაგიტუმრებ ერანის ქუეყანაშია, და ამას ვითხოვ შენგან, რომ დაუევიწყარი ვიყო, და ამას ასე არ აღასრულებ, აღმასის და ფოლადის თილისმანი შენთვის განზადებული არის. საამ ფალავანმა უბასუხა: ჰეი, რიზვანფერი, მე თემურას, ჭიმშიტ-მასი და გარსაშობის ჩამომავლობისაგანი ვარ, რაც ჩემ მამა-პაპათ არ უქნიათ, ვერც მე იმგუარს-უნწსოსი საქმეს ვერ დავიკვრა. თუ შენ სწორეს მეუბნები და მე გიყვარვარ, მაშ, შენ საბაოთ ღმერთი იწამე და ჯადოს მანქანებაზედ კაც ათლე! ჭერ ერთი, ფერილუხტზედ ვიქორწინებ და მერმე, შენს წადილს აღვასრულებ! რიზვანფერიმ უბასუხა: ფალავანო, ეს ალავი აღმასის თილისმის არის. თუ ჩემს ნებას არ აღასრულებ, აქილამ შენი გამოხსნა საუკუნოდ აღარ იქნება! ამისი გამგონე საამ

ფალავანი დიდათ გარისხდა და თავისსა ბასრსა ხმაულსა კელი მიჰყო და რიზვან ფერის შუაზედ გაკვეთას ლამობდა. და რიზვანფერი მსწრაფლად მფრინველისა სახედ შეიცვალა და ჰაერში აღფრინდა, და ჰაერიდამ ქუე ჩამოსძახა: შენ მანდ იყავ საუკუნოთაო, და შიმშილითა და ტანჯვითა შენი ცხოვრება მანდ აღასრულო. საამ ფალავანმა უპასუხა, რომ: ჩემი დამზადებელი დამიფარავს ყოელის განსაცდელისაგან.

რა მცირემან ემან განვლო, ჯადოს მანქანებითა თავისი თავი ყურაბი თიქაურსა მჯდომი იხილა. და იმ სახლის ძარს არხი გასლიოდა, იმის ნაპირსა მივიდა. ჰაერიდამ ერთი ქელი მოჰკიდა, ბექსა ასეთი დაჰკრა, რომ იმ არხში ჩაავადო. და საამ ფალავანსა ასეთი იარაღები ჰქონდა, რომ ჯადოს მანქანები ვერას უზამდა. მსწრაფლად იმ არხს ფავიდა, იხილა, რომ აღარც ბალი იყო და აღარც ფერიდუხტი, და არც წყალი იყო. რა მოიოხებდა, ამა მინდორში ერთა მინარა ამართული იყო და იქილამ ფერიდუხტის მწუხარების ხმა ესმა. და ჯადოს მანქანებითა თავისი თავი ერთს მალალსა მთაზედ იხილა, არსით გზა არ ჩანდა. და იმ მთის ზომალღე ხუთასი აღლი იყო და იმ მთის წინ იყო ის მინარა აღმართული, არსით გზა არ აისვლებოდა. რა სრულებით გაშინჯა, ნახა, რომ ჯადოს მანქანებით უსაბლოთ იყო თავქეე ჩამოკიდებული ფერიდუხტი, საზარლისა ხმითა მოსთქვამდა და სტიროდა და ფალავანს ეხვეწებოდა: შემიწყალე და ამ ჯადოს ნება აღასრულე, და გამოიხსენ ამ ჯადოს მანქანებისაგან. საამ ფალავანმა უპასუხა: კეი, ჩემო სიცოცხლეო ფერიდუხტი, ნუ შესწუხებულხარ, თუ აღმერთი შემეწყევა, მალე გაგანთავისუფლებ, ღმერთი შეწუხებულთ შემეწე არის, ამისი შემძლე არის, რომ შენის მთის ერთი ბეწვიც არ მოგაკლდესო, არამც თუ სხუა რამე საქმე მოგადგესო.

რამდენსაც ფერიდუხტი ევეღრა და ეხვეწა, ფალავანმა არ შესიმინა ფერიდუხტის ვედრება და რიზვანფერის არ დამორჩილდა. რიზვანფერი არწივის სახეთ შეიცვალა, ჰაერში ნავარდობა დაიწყო, ფალავანსა ჩამოსძახა: ფალავანო, უთუოთ ფერიდუხტს სიკვდილს მიეცემო, თუ ჩემს ნებას არ აღასრულებ, და, თუ ჩემს გულის წადილს აღასრულებო შენცა და ფერიდუხტსაც ამა თალისშიდამ გაანთავისუფლებო. ფალავანი დიდათ განრისხდა და თავისსა შეილდსა და ისარსა კელი მიჰყო, დიხ მრისხანეთ შესტყორცნა. რიზვანფერიმ ფალავანის ნასროლი ისარი აიციდინა, და დიდათ შეშინდა და ჰაერში აღფრინდა, ესრეთ მალლად ავიდა, ფალავანის თვალიდამ მიეფარა და უჩინო შეიქნა. რა დაღამდა, ფალავანი დაღალული მიწუა და თავისი ფარი თავს ქეეშ დაიდო და დაიძინა. რიზვანფერი ვეშაისა სახედ შეიცვალა, რამდენჯერმე მოუხდა, ეწადა, რომ ფალავანისათვის ეენო რამე, მაგრამ საამისა შიშითა სიახლოვეს ვერ იკადრა მისვლა. ეს ღამე ამ ყოფით გაათენეს.

რა დილა გათენდა, და საამ ფალავანი ზე ადგა, მაგრამ შიმშილს ასე შეეწუხებინა, რომ საძრაობის ღონე არა ჰქონდა, და სიმხნითა და მამაცობით ითმენდა. რიზვანფერი მოვიდა და საამ ფალავანს შემოსძახა: ფალავანო, ფერიდუხტს ასეთს ალაგს საპყრობილეში ჩავაგდებო, რომ მეორედ მოსვლამდინ ვერა ნახო! საამ ფალავანმა უპასუხა: ფერიდუხტი ღმერთისათვის მიმიბარებია, შენი ეშმაკური მანქანები იმას ვერას აენებსო. რიზვანფერიმ მეორედ შემოსძახა: ფერიდუხტს ზანდუქში ჩავსვამო და ზღვაში გადავადგებო! საამ ფალავანმა უპასუხა: ზღვაში არა თუ გინდ კლდეზედ გადავადგო, მაინც შენ წადილს არ აღვასრულებო. განრისხებულმან რიზვანფერიმ მინარაზედ დაკიდებული ფერიდუხტი

ახსნა, ერთსა ყუთსა ჩასვა და ზღვაში გადააგდო. საამ ფალავანი მწუხარე იღგა და ლმერთს ევედრებოდა, და წყაროსაებრ თელთავან ცრემლსა აღენდა, მაგრამ ის წყეული რიზვანფერი ჰაერში ფრინველა ფრინველის სახედ და გულსა შინა განიზრახავდა: ჩემგან ეს როგორი სიყვარული არის ფალავანისა, რომ შშიერს კელამო. მსწრაფლად წაივინდა და სანოვაგე და ერთი მათარა წყალი მოუტანა, და ფარულად წინ დაუდგა. თითონ ჰაერში აღფრინდა და უჩინო შეიქნა.

საამ ფალავანმა რა ესე იხილა, დიდსა მზიარულეზასა მიეცა და მცირეს რასა-ჰე სანოვაგეს შეექცა და ლმერთს მადლობა შესწირა. რიზვანფერი ფალავნისა ლაშქარსა წაივინდა, ჯადოს მანქანებით ყალვად, ყულუმ, შაფური შირილი და სელი ჯანსუზ შეიპყრა და წამოიყვანა მინარასთან, და მინარას წვერილამ დაკი-და. და ესე ფალავანნი დღათ სწუხდნენ, ტიროდნენ და მოთქმოდნენ თავიანთ თავზე. ესეთსა მოულოდნელს განსაცდელზედა რიზვანფერი ფალავნისა ლაშქარს მიუხდა, ფრანგ დივზადას შეპყრობასა სცილობდა, მაგრამ ვერასადა პოვა.

იქვამად, რომ საამ ფალავანი სანადიროსა უჩინო იქმნა, ფრანგ დივზადაც ფალავანს გამოეციდა და ოთხსა მხარეს ეძებდა, ყოველს სამ დღეს ეძებდა და ისევე ლაშქარსა მოვიდოდა სადამოზებდა. მეოთხესა დღესა რა დილა გათენდა, ფრანგ დივზად ზე ადგა და სარდალთა და ფალავანთა ევედრა, რომ ფალავანისა საძებნელად მივიდო და ამ ლაშქარსა გაუფრთხილდითო. ღმრთისა სახელი ახსენა, გამოზრუნდა. რა მცირე წავლო, საამ ფალავნისა კუალსა შეხედა, დღით იამა და მსწრაფლისა სიარულით გაემართა. რა იმ ჯადოსა მინარისა ერთსა აღაქსა სიახლოვესი მიაწია, ესრეთ მოსწყურდა, რომ ცნობა მიეღო და სიარულისა ღონე აღარ ჰქონდა. და ჯადოს მანქანებითა ესრეთ გაცხელებული იყო ალაგი, რომ სადაც ფეხს დაადგამდა, მეტისა სიციხსავან ტყავი გასძვრებოდა. სიარული ვედარა შესძლო, წაიქცა და უცნობო შეიქნა: ერთი ცხენოსანი თეთრწვერა კაცი ბრწყინვალის ტანისამოსით მოსილი მოვიდა და ცხენილამ გარდახდა, ფრანგის თავი კალთაში ჩაიღვა და რამდენჯერმე პირზედ ქელი გარდაუსვა და უთხრა, რომ: ფრანგო, შენ ნუ შესწუხებულხარ, ადექი წადიო, ფალავანი ჯადოს თილისმით არისო გამბულიო, და ფერიდუხტასაცა ერთი ფალავნის მეგობართა-განი გამოიხსნისო და თქვენთა ლაშქართა მოიყვანსო. შენ აქ ნულარ სწუხარ, აღევ წადიო, მსწრაფლისა სიარულითა იარე, რასაც ალაგსა შენი ჩრდილი აღარ დადგესო, იქა ხანჯლის წვერით მოთხარე მიწა, ერთს ყუთს იპოვი, ის ამოიღე და მსწრაფლად საამ ფალავანს მოუტანე. რა მაგ თილისმის ფიცარს მიიტან, მაშინე ის ჯადოს მანქანება სულ განქარდება და თავისსა ფალავნებსაც გამოიხსნისო. დაუყოვნებლივ ფალავანნი წამოიყვანოს და თავისა ლაშქარსა მოვიდეს. ფრანგ დივზადამ მოახსენა: შენა ვინა ბრძანდები, რომ მაგდენი მოწყალე-ბა მოიღე ჩემზედა. ბერმა კაცმა უპასუხა, რომ მე აღამ ვარო და საამ ფალავანს უთხარ ჩემ მაგიერთა, ნუ შესწუხებულხარ, ღმერთი მოწყალეებითა არის შენზე-და. ესე სიტყუა უთხრა და უჩინო შეიქნა. ფრანგმა მეტის მზიარულეებითა ძილისავან განიფრთხო და წამოქადა. რა თავისი თავი სიმრთელით იხილა, დიდსა მზიარულეზასა მიეცა, სწრაფლად ზე ადგა, და გზასა გაემართა და თავისაა ჩრდილსა უყურებდა.

რა იმ ალაგსა მიაწია, თავისი აჩრდილი აღარ დადგა, მსწრაფლად ის ალაგი მოთხარა და ერთი ოქროს ყუთი გამოჩნდა, გასაღები ზედ ეკიდა, გახსნა და იმ ყუთში ერთი ფიცარი იღო, და რამდენიმე ტრიქონი მწვანისა მელნითა ეწერა.

აიღო ეს ფიცარი და მსწრაფლსა სიარულითა დამგზავრდა, იმ ალაგსა მიაწია, სადაც რომ ყურაბი თიქაური იდგა, და იხილა, რომ ერთი მალალი მთა ამართული იყო, და იმ მთის გვერდზედ ერთი დიდი საზარელი მინარა იდგა. მთისა წვერზედ ნახა, რომ საამ ფალავეანი იჭდა შეწუხებული და ფიქრობდა. ფრანგ დივზადამ მალლის ხმით შესძახა: *შეი*, ფალავეანო, ნულარ სწუხ, მაილოცავს, რომ თლისმის ფიცარი მოგტანე. საამ ფალავეანმა რა ფრანგის ხმა გაიგონა, ფიქრისაგან განიფრთხო და შემოხედა. ფრანგ გაქანდა და ფალავეანსა ფიცარი გადაუგდო. ფალავეანმა კელი მიაშველა და დაიჭირა და ზედა წერილი აღმოიკითხა, ეწერა: *შეი*, აქა მოსულო ფალავეანო, თუ შეძლებული ხარ, ეს ფიცარი დღიას ქუეშ დაიჭირე, მიდი, ამა მინარასა ორი კელი მაგრა მოხვიე, მედგარად მოსწიე, და მოგლოჩე და ერთის მხრისაკენ გასტყორცნე. იმის ძირსა ერთი ზარზამინი აღმოჩნდება, იქ ჩადი, ჯადოს იხილამ და მსწრაფლად მოქალ.

საამმა რა ესე აღმოიკითხა, ღმერთს მადლობა ჰქსნირა, მივიდა მსწრაფლად, მოსწია, მოგლიჯა და ერთის მხრისაკენ გასტყორცნა მინარა. ზარზამინში ჩავიდა, ნახა, ერთი ჯადო ზის, წინ წიგნი უძეეს და კითხულობს. ფალავეანმა რა ჯადო იხილა, ესრეთ მედგრათ შემოჰკრა ხმალი, რომ შუაზედ გაწვევტა. ამ ჯადოსა სიკვდილზედ ერთი საზარელი მტკვერი აღსდგა. რა მტკვერი განქარდა, ფალავეანმა თავისი თავი ერთსა გალავეანსა შიგან იხილა. ის გალავეანი ოქროს აგურით იყო აშენებული. შიგა უცხო და უცხო სასახლენი იყო აშენებული. ერთსა სასახლესი ნახა, ერთი ოთახი იყო დაკეტილი, კლოტე გატეხა და შიგან შევიდა. იხილა, რომ ერთი კაცი თავკვედაკიდული იყო. ერთი არაბი თავსა აღვა და ორის კელით უწყალოდ მსცემდა ფეხში ჯობით. იმ ჯადომ რა საამ ფალავეანი იხილა, შეგვეწუა, რომ: ფალავეანო, დამიხსენ ამ არაბის ტანჯვიდამ. ფალავეანმა რა სიტყვა გაიგონა, ფიცარსა დახედა და ესრე ეწერა: *შეი*, გულოვანო, ეგ ბერიკაცი ჯადო არის, მაგას ცოცხალს ნუ გაუშვებ! ფალავეანმა თავისსა ბასრსა ხმალსა კელი მიჰყო. ესრე მედგრათ შემოჰკრა, რომ შუაზედ გასწვევტა. იმ ბილწსა ჯადოს სიკვდილზედ ისეთი სიწყარალის სუნე და მტკვერი გამოხდა, რომ კაცს სულს მისტაცებდა. და ეს შავი არაბი ქალაღლდაგან იყო შექმნილი.

ფალავეანი გარეთ გამოვიდა და თილისმის გალავეანი დაარღვია, და თავისი ფალავეანები ჰოვა. იქილამ გამოზრუნდა, სასახლესა დავილოდა და სჩრეკდა. ერთსა ოთახსა იხილა ერთი თეთრ წვერა ტახტსა მქდომი. ბერმა კაცმა რა საამ ფალავეანი იხილა, ტახტიდამ ჩამოვიდა, გარდაეხვია და სამამაცო შუბლისა აკოცა და უთხრა: ფალავეანო, მომილოცამს თილისმის დარღვევა. ფალავეანმა მადლობა მოახსენა და ევედრა: *შეი*, შარიახო, ვითხოვ, რომ ამათი თილისმის იარაღები ჩემს ლაშქარში მომიტანო. მოხუტებულმა უპასუხა: ფალავეანო, მანამდისინ რიზვანფერს არ მოკლამო, მანამდისინ ეს სამსახური ჩემგან შეუძლებელი არის. ფალავეანმა იკითხა: ის წყეული რიზვანფერი საით იმყოფება? მოხუტებულმა უპასუხა: ამა მთისა კალთასა აქუს სასახლე და იქ მკვიდრობს, და ფრიცხვი ხაზინა შეუკრებიო, რაც პირუტყვი საქონელი ჰყავს, ან ჯორი, ან აქლემო, ან ცხენი სულ იმ მთის კალთაში უდგას.

საამ ფალავეანი დაეთხოვა მოხუტებულსა, თავის ფალავეანებით რიზვანფერის მიმართა. რა მთისა სიახლოვეს მივიდა, ერთი უცხო, მშვენიერი ბაღი აღუჩნდა. იმა ბაღსა უცხო, მშვენიერი სასახლეები იდგა. რა ბაღისა სიახლოვეს მიაწიეს, იხილეს, რომ რიზვანფერი უცხოსა, მშვენიერისა სახითა შეცვლილა და ერთსა მარტორქასა ზის, გველი მათრახათ უქირამს და ოთხნი თავისნი ჯადონი გვერდთ

ახლავან და მოდიან. რიზვანფერიმ თავისი მარტორქა ერთსა გორაზე ჰაიგდო და საამ ფალავანს შემოსძახა: *ჭეი, ერანელო, ამა თილისმიდამ როგორ გამოიხსენ ან შენი თავი, და ან შენ ეგ ფალავნები როგორ განათავისუფლეო.* საამ ფალავანმა შემოსძახა: *ჭეი, რიზვანფერი, რომელსაც ღმერთს ვესაგ, იმან გამოიხსნა.* ახლა ხომ მსცან. რომ ჰეშმარიტი ღმერთი არის, მოდი ჩემს სარწმუნოებაზედ, თუ შენას თავის სიტოცხლე გინდა. ამიტომ გირჩევ ამას, რომ შენგან ბეერი სიკეთე მომაგონდეს. რიზვანფერიმ უპასუხა: *ფალავანო, ეგ ჩემგან დიდათ შეუძლებელი არის, რომ უხილავს ღმერთს თავყვანი ვსცეო.* რიზვანფერიმ თავის ჭადოებს უბძანა, რომ ფალავნებსა ერთსაც ცოცხალს ნუ გაუშვებთო. მსწრაფლად შემოუტყვეს.

რა საამ ფალავანმა ჭადოებისაგან თავისი შემოტევა იხილა, დიდად ითაკილა და ვანრისხდა. მშვილდ-ისარსა კელი მიპუო და თავისსა ფალავნებსა უბძანა, *მე მომყევითო, ნუ მოშორდებით.* მიესიენენ და უწყალოთ სრუა დაუწყეს. ეს ფალავნები ერთს ჭადოს დაიჭერდნენ და მეორეს შემოსტყორცნიდნენ და ორსავ მიწასთან გაასწორებდნენ და ამ ყოფითა გაუქობხავათ ხოცდნენ. მაგრამ საამ ფალავანს თვალი რიზვანფერი ჭადოზედ ეჭირა. ვანრისხებულმა საამ ფალავანმა თავისი შვილი ქარქაშთაგან ამოიღო და ისარი საბელთა განაწონა და ჭადოს ბიარახტარსა დაუსისწორდა და ესრეთ მრისხანეთ მოზიდა, რომ გონა გონასა დაუსისწორა. მაგრამ ცალი თვალი რიზვან ჭადოსაკენ ეჭირა. რა რიზვანფერიმ იქით მიიხედა, და ფალავანმა მსწრაფლად გამობრუნდა და რიზვანფერის შესტყორცნა, ისარი მკერდს ეკვეთა და ბეჭთა გავარდა. რიზვან ჭადოს სპილოდამ გადმოვარდა და მიწაზედ დაეცა და ერთის საზარლის ხმითა შემოსძახა: *ჭეი, ერანელო, შენ ისეთი რამ მოჰკალ დღესა, რომ ქვეყანაზედ ჩემისთანა ჭადო არ იპოვებოდა და სახელადაც გეყოფისო.*

რა ესე ამ ჭადოს ლაშქართა იხილეს, ერთობით გაიქცნენ. მანამ რიზვან ჭადო მოჰკვდებოდა, უცხოს სახით იყენენ ეს ლაშქარნი. რა რიზვან მოკვდა, ორათ წელში მოხრილნი ბებრათ შეიცვალნენ და ფალავნებს ევედრებოდნენ: *შეგვიწყალენ, ნულარ აღვგხოცთო.* საამ ფალავანმა უბძანა: *თუ ჩვენს სარწმუნოებაზედ მოხვალთ და საბაოთ ღმერთსა იწამებთ, აღარ დავგხოცთ!* ერთობით ცხენილამ ვადმოცივიდნენ, და კისერზედ ხლმები დაიკიდეს და ფალავანის სარწმუნოება აღიარეს, და თავიანთ ჳერამი შეურაცხყვეს, ფალავანსა წინა გაუძღვენენ და რიზვან ჭადოს სასახლეს მოიყვანეს, და სასახლენი სრულებით დაატარეს. შემდგომად ხაზინის ოთახის კარი გააღეს, და ეს ამღერი ჭავიარი და ხაზინა შეაკრიბა, რომ რიცხვი არ ეგებოდა. იმა ხაზინის საშუალ ალაგსა ერთი მურასა ტახტი იდგა და ერთი მშვენიერი ქალი იჯდა, მშვენებით მთუარესა ემგზავსებოდა. იმ ტახტსა იჯდა, ყელზე ერთი ოქროს ჭაჭვი ება. რა საამ ფალავანი იხილა, ქალმა სიყვარულით მოიკითხა. საამა მოკითხვის მადლობა მოახსენა და ჰკითხა: *შნათობო, ვინ ბძანდებო, ქალმა მოახსენა: მე რიზვანფერის და გახლავარ და საბაოთ ღმერთს ვესაგ, და სახელად შივანფერი მქვიან, ჩემი და რიზვანფერი დიდა ჭადოქარი იყო. ამჟამად რომ თავისსა თილისმამში გავაბა, ის მე დიან უწყვიდ და უთხარა: ნარამანის ძე საამ როგორ შეიბყარ ჭადოთი! ხაყან ჩინი მრავალს ეცადა იმის წინააღმდეგობას, ვერ შეძლო. შენ რით შეიძლებ იმის წინააღმდეგობას! ამ სიტყვაზედ დიდათ გამირისხდა და მითხრა: შე, თმა ასაკვეცო, შენ როგორ გამიბედე მაგ სიტყვების თქმა. ჰვავს, რომ საამ ფალავანს გაარშიყებინარ, და იმიტომ ამბობ მაგისთანა სიტყვებს. შემიბყრა და აქ დამატუსილა.*

ფალავანი მსწრაფლად წინ წაადგა და საპყრობილიდან განათავისუფლა. და რიზვანფერის სასახლენი და ხაზინანი იმას უბოძა, და იქა მყოფნი ხალხნიცა. ფალავანმა უბძანა, რომ ჩინეთის კემწიფეს უთხარი, მე რომ თილისმის იარაღები ჩინეთის ქუეყანას გამოგვიგზავნე და შენც შეუთვალე, რომ მსწრაფლად გამოგზავნოს. შივანფერომ მოახსენა: მაშაჲმსა ჩალიან ჳინი ჳკვიან, ჳინების კემწიფე არის, ვეტყვი, რომ მსწრაფლად მოგართოს. შივანფერი გამოუძღუა ფალავანსა, თავის მამის სასახლეში მიიყვანა. ჩალიან ჳინმა რა ფალავანი იხილა, ტახტიდამ ძირს ჩამოვიდა, შოგებია და სამამაცოს შებღსა აკოცა, ტახტსა აიყვანა, დასო და სიყუარულით მოიკითხა და გამარჯვება მიულოცა, და მოახსენა: ფალავანო, რიზვანფერი ჩემი ასული იყო და მისი ერთარება როგორ მოხდა, მიბძანეთ! ის დიდი ჳადო და თილისმის მკოდნე იყო, რომ ქვეყანაზედ ამხანაგი არა ჳყვანდა, თილისმის ხელოვნებითა. ვისზედაც გულძვირათ იქნებოდა, თავისსა თილისმში გააბამდა, იმისი ხსნა არ იქნებოდა საუკუნოთა. ჩვენც ამ საქმეზე დიდათ ვიშიშოდით და ბეზარს ვიყავით. ამისი კელისაგან მოსულნი. ჳგი, შარიარო, ახლა, რადგანაც ის მოჳკალი და დავვისხენ იმისი კელისაგან, დიდი მოხარულნი ვართ ამ საქმეზედ. ფალავანო, ახლა თქვენ ლაშქარში წაბძანდით, და მე იმის თილისმის იარაღებს და ხაზინას და ფეშქაშებს იქ მოგართმევ! ამ საქმეზე დიდი მადლობა მოახსენა, მაგრამ ფერიდუხტისათვის დიდათ მწუხარე იყო და თავისთა ლაშქართა გაემართა.

იმეამად, რომ რიზვანფერომ ფერიდუხტ შეიპყრა და ზანდუქსა ჩასო, და ჩინეთის ზღუეში გარდაეგო, ის ზანდუკი ესრეთ იყო შექმნილი, რომ წყალი არსით არ შეეცვლებოდა. ეს ზანდუკი სამი დღე შიგ ატრიალა ზღუამ. დმრთის განგებოსაგან იქნა ეს საქმე, რამთენიმე ბეზირგანი ზომალდსა ისხდნენ და ჩინეთისაკენ მოდიოდნენ. რა ზღვისა საშუალსა მოაწივეს, ერთი ყუთი აღუჩნდა. მსწრაფლად ცურვის მკოდნენი გარდაცვიდნენ, და ის ყუთი დაიჭირეს და ბერზიგანს შიართვეს. ბერზიგანთა რა ეს ყუთი გახსნეს, იხილეს, რომ ერთი დიახ უცხო, მშვენიერი ქალი ზის. სამი დღის მშეირი ფერიდუხტ შეწუნებული იყო შიმშილით. ფერიდუხტ რა ზანდუკიდამ ამოიყვანეს და ესე მოქარავენნი იხილა, უთხრა, რომ სამი დღე არის მშეირი ვარ, და შიმშილმა შემაწუნა, მცირე რამ საქმელი მომიტანეთ! ყულუხნთა მსწრაფლად რამდენიმე ჳამი ღვინო მოუტანეს საყუთოთ და ფერიდუხტს შიართვეს. ფერიდუხტ რა ღვინო შესვა, გონებას მოეგო შემდგომად უცხო და უცხო საქმელები შიართვეს და შეექცა. იქიდან ზღვისა ნაპირას გამოვიდნენ, და კარავი დასცეს და დადგნენ. სოვდაგარნი და მენხომალდენი ფერიდუხტზედ ცილობდენ და ერთმანეთს სასიკვილილოთ არა ზოგამდნენ. ერთიმეორეს ასე ეუბნებოდნენ: არა ჩემია ფერიდუხტ, არა ჩემიაო. და მენხომალდეები ეუბნებოდნენ, თუ ჩვენ არ გამოგვეყვანა, თქუენ როგორ გამოიყვანდით!

ამა ლაპარაკსა და ცილობაში იყვნენ, მაჩინის მხრიდამ ერთი მტვერი აღდგა. რა ნიავმა შემოჳკრა და მტვერი გარდაყარა, თორმეტი დროშა გამოჩნდა. რომელიც რომ თორმეტი ათასს კაცს ნიშნავდა. და ამ ლაშქრისა საშუალსა ერთსა მარტორჳაზედ მქდომი ყმაწვილი კაცი მოევა, ესეთი მშვენიერია და ფალავანობის სახე აძევს, რომ მნახავთათვის დიდათ სასიამოვნო არის. მოვიდა და ამ ქარაენისა სიახლოვესა გარდახდა. კარვები დასცეს და დადგნენ. აქეთ მხარესა ერთი ხმინაობა და აყალ-მაყალი შეიქნა, ერთი მეორეზედ ხლმით და ხანჭლებით წვედნენ და ფერიდუხტზედ ცილობდენ. ამეამად ამ ქარაენისა უფროსი ზოჳა

ფუფუ ფერიდუხტთან მოვიდა და მოახსენა: *ჭეი, მნათობო, ამ ლაშქართა მოსული ფალავანი, ესრეთ ვგონებ, რომ ხაყან ჩინის ძმისწული თეიმურთაში იყოს. თქუენც გვეედრები, რომ გამომიცხადოთ, რომლისა მადნისა იაგუნდი ხარო, ან რომლისა სადაფისა მარგალიტი ხარ, დიდის ჩამომავლობის ხარო. ფერიდუხტმა უპასუხა: მე ხაყან ჩინის ასული ვარ, რიზვანფერი ჩემი დეიდა არის, ის წყუელი დიდი ჯადოქარი არის, შემიპყრა, და ყუთში ჩამსო და ზღუაში გადამაგდო. ზოჯა ფუფუ ბერზიგანმა თაყვანი-სცა და გამობრუნდა, და თავის ქარავანში მოვიდა და მოქარავენთ ხალხთ უთხრა: თქუენ ტყუელიათა შფოთამთ და ერთმანეთს ხოცთ. ესე ბანოვანი ხაყან-ჩინის ქალი არის, აღრევე შეგვიტყვიათ ამისი მშვენიერებისა და ქებისა ანბაგი, ამისი სახის სურათი ყოველს ქუეყანას არის გაფენილი და იმაზე შეექცევიან, ფერიდუხტის დეიდას რიზვანფერს გადაუგდია. ამისი გამგონი ქარავნისა ხალხნი დიდათ შეშინდნენ და თავ-თავის სადგომს წაიღნენ.*

ფერიდუხტმა თეიმურთაშის მოსვლა ჰსცნა. დიდსა მწუხარებასა მიეცა და გულსა შინა თავისსა განიზრახვიდა: ვაი, თუ ამან შური იძიოს და ამიტეხოს რამე, ამისთენა რომ მამაჩემმა იმას მიმცა. თეიმურთაშმა, რომ საამ ფალავანს დაანება ჩემი თავი, ან შიშით იყო, ან თავაზითა. ვაი, თუ ახლა ამ მოქარავენების ქელში მნახოს და ამიტეხოს რამე, წამიყვანოს და ამიტეხოს გზაზედ რამე, ეწადა, რომ მოქარავენებისათენ შეეთვალა, რომ ჩემი სახელი თეიმურთაშთან არ გაამეღვენათ, დაპიკევით! მაგრამ ამისა შეთვლამდინ მოქარავენნი შეშინდნენ, თეიმურთაშთან მოვიდნენ, თავყანი-სცეს და ფერიდუხტის ვითარება ყოველი მოახსენეს. აკეთ მხარეს ფერიდუხტს თქვრსა და მწუხარებასა იყო. თეიმურთაშმა რა ფერიდუხტის ვითარება ჰსცნა, ადგა და ფერიდუხტის კარავთან მივიდა, და სიყვარულით მოიკითხა და უთხრა: *ჭეი, ბიძის, ჩემის ასულო, რამდენიმე სიტყუა მაქუს საკითხაგი და ის უნდა გამომიცხადო! ფერიდუხტ დიდის კრძალვით წამოდგა, და თაყვანი-სცა და მოკითხვის მადლობა მოახსენა. თეიმურთაშმა სიცილით ჰკითხა, რომ ჩემი კემწიფე საამ ფალავანი სად იმყოფება და ან თქვენ რის მიზეზით მოშორვებინარ? ფერიდუხტმა მოახსენა: ფალავანმა სანადიროთ წაბძანება ინება და იმ ნადირობაშია. რიზვანფერიმ მე და ფალავანი აღმასისა თილისმაში გაგვაბა. თურმე რიზვანფერი ფალავანს გააჩმიყებოდა და უთხრა: ფალავანო, თუ ან შენი და ან ფერიდუხტის ფანთავისუფლება გინდა, ჩემის გულის წადილი აღასრულე! ფალავანმა დიხ იწყინა და შორს დაუქირა და აიე უპასუხა, რომ ეგ ჩემგან შეუძლებელი არის, რაც ჩემს მამა-პაპას არ უქნია, ვერც მე ვიქ! ჩემგან შეუძლებელი არის ჯადოებთან და თილისმასთან შეერთება და, თუ შენ ჩემს საჩქმუნოებას აღასრულებ და ჯადოს თილისმებზედ კელს აიღებ, შენის გულის წადილს აღასრულებ! ესე სიტყუა რიზვანფერიმ დიდათ იწყინა, მოვიდა, აღმიტაცა და ჰაერში, ერთსა კოლოფში ჩამსო და ზღუაში გადამაგდო. მე ამ მეხომალღებს შევხვდი და გამომიყვანეს, და მე ჩემი ვითარება მკითხეს და მეცა ჩემი ვითარობა ვაცნობე. ღმერთმან. დაუმადლოსთ, დიდათ მსახურეს და მაამეს. ამას გარდა, სხვა საამ ფალავნის არა ვიცი რა. თეიმურთაშმა უპასუხა: *ჭეი, ბიძისა ჩემისა ასულო, ნულარა სწუხარ, მომილოცამს, საამ ფალავანმა თილისმა დაარღვია, რიზვან ჯადოც მოჰკლა, და სხვანი ჯადოებიც სულ აწყვიტა და იმათა ხაზინა წამოიღო. და ესრეთ ვგონებ, რომ აქამდინ თავის ლაშქარში მოვიდოდაო. მე, რადგანაც საამ ფალავანთან მივიდოდი, ჩემი არამხანაც თან წამოვიყვანე. ახლა თქვენც მობძანდით, წყნარა სიარულით.**

თქვენ რძალთან—საამ ფალავანთან წავიდეთო. რადგან მეც აქ მოვედი, თქვენ ნუ შესწუხდებით, ჩემს არამში წავიდეთ და იქილამ ღმრთის მოწყალებით საამ ფალავანს ადრე შეგყრი! ფერილუხტ დიდათ იზიშოდა და გულსა შინა განიზრახვიდა: ვაი, თუ მატყუილებსო, და გზაზედ ამიტეხოს რამე. თეიმურთაშმა რა ესე ჰსენა, ფერილუხტს მოახსენა: პეი, მნათობო, შენ ნუ იზიშვი, მე საამ ფალავანის შონა ვარ და იმისი ერთგულობისა ალყა ყურსა მაქუს გაყრილიო. მე საუკუნოდ იმის შონა და მოსამსახურე ვარ, და შენც მინდა გამსახურო და გაამო. ამიტომ რომ ჩემის ბატონის საყვარელი ხარ. პეი, მნათობო, მე საამ ფალავანი სიზმარში ვნახე. ერთს ღამესა ცხენით მოვიდოდა და ერთი მშვენიერი ქალ გვერდით მოსდევდა. რა ის ქალი ვიხილე, ესრეთ შემიყვარადა, რომ ცნობა მიშელო. საამ ფალავანსა ვთხოვე. ფალავანმა მიპასუხა: როცა მე ფერილუხტთან ეიქორწინებო, მაშინ შენ მოგცემო და შენცა ჩემი საყვარელი ძმა ხარო. ფერილუხტმა რა ესე სიტყვა გაიგონა, თეიმურთაშისაგან დიდათ იამა და მადლობა მოახსენა. თეიმურთაშისა არამხანილამ ხოჯები მოვიდნენ და დიდის თევაზით წაიყვანეს თავისთან. და უცხო საკემწიფო ქეჭაო მოუშადას.

მეორეს დღეს აიყარნენ და წყნარისა სიარულითა ჩინეთსა წავიდნენ. ჩინეთისა სიახლევს მივიდნენ. იქით მხარეს, რომ საამ ფალავანმა რა ჯდოს მანქანება დააქცია, თავისისა ლაშქრისაკენ დამგზავრდა და ფერილუხტს იგონებდა. და იმისის მოშორებისათვის დიდათ სწუხდა და ტიროდა, და თავისისა ლაშქრისაკენ წავიდა. ფრანგ დივზად იმედს აძლევდა და ნუგეშს მოახსენებდა. საამ უპასუხებდა: პეი, ჩემო საყვარელო ძმაო ფრანგო, ის წყველი რიზვან ჯადო მუღამ ამას შეუბნებოდა, რომ ფერილუხტს ზღუაში გადავავლებო. ვაი, თუ იმ წყველმა მართლა ზღუაში გადავადო, იქ აუტეხა რამეო. ფრანგმა მოახსენა: ფალავანო, აკი კვლავად მოგახსენე, ადამმა რომ თილისმის ფიცარი მომცა. მაშინ მითხრა, რომ ფალავანს მოახსენე, რომ ფერილუხტისათვის ნუ შესწუხდებო. თეიმურთაშ გამოიხსნის იმასო და თქვენსა ლაშქარსა მოაყვანსო.

ფალავანი ამაზედ დიდად გაზნარულდა და თავისსა ლაშქარისაკენ წამოვიდა. რა სიახლოვეს მიაწიეს, იხილეს. რომ ხაყან-ჩინი ერანელთ ებრძვის ჯადიდასა გაკირეებაში მიწვენილან ერანელნი. ფალავანმა მარჯვენა კელი მარცხენას გვერდსა და მარცხენა მარჯვენასა გვერდსა შემოიხვია და მადლის ხმით ღმერთის სახელი ახსენა და თავისსა ბასრსა ხმალსა კელი მიჰყო, და ესრეთ განრისხდა, რომ ცეცხლისმფრქვეველს ვეშაპსა დაემგზავსა, და ხაყან ჩინის ლაშქარსა გაერია და უწყალოდ ხოცა დაუწყო. რა ერანის ლაშქართა ფალავანი საამ თავისა შემწედ იხილეს, ცეცხლისმფრქვეველს ვეშაპსავით განრისხდნენ. და ჩინეთისა ლაშქართა შეუტოვეს. და უწყალოდ ხოცა დაუწყეს და ერთი მეორეს უძახდა: ჰყარ, მოჰკალ, შეჰყარ და ერთსაც ცოცხალს ნუ გაუშვებო!

ხაყან ჩინის დროშის მტვირთველი მოჰკლეს და დროშა ორათ გატეხეს, და სრულად გაიქცნენ და ჩინეთს მიმართეს. საამ ფალავანი ხანდაკისა პირსა მიბძანდა და უბძანა: გასაყარ ნაღარას ჰყარითო! რა ერანისა ლაშქართა ნაღარისა ხმა გაიგონეს, ერთობით გამობრუნდნენ, საამ ფალავანთან მივიდნენ, თაყვანისცხეს და გამარჯვება მიულოცეს. ფალავანი თავისსა კარავსა გადაბდა, სარდალნი და ფალავანნი მივიდნენ და თავ-თავის განწესებულს ალაგს დასხდნენ. მექლიში მოიღეს, და ლხინსა და განცხრომაში იყენენ. საამ ფალავანმა ბძანა, რამდენიმე ქეშიკნი გაგზავნეთო. ამაღამ იყარაულონ, და თითონ შუალამედინ ლხინსა და განცხრომაში იყენენ. ის ღამე ისე გაათენეს.

ესე ანბავი აქა დაუტეოთ და მცირე რამ ხაყან ჩინის ამბავი წარმოეთქუათ

რა საამ ფალენისაგან იძლია, მივიდა და თავის არამხანაში ჩამოხდა, და მწუხარეკმნილი სამი დღე სასამართლოსა სახლსა აღარ გამობძანდა. წასულსა ეამებში სარდალნი და ფალავანი და დიდებულნი ყოველთვის ხაყან ჩინის ურჩევდნენ და მოახსენებდნენ, რომ შენი ქალი ფერიდუხტ საამ ფალავანს მიეცი და ამდენი ხალხი მწუხარებისაგან განათავისუფლო, მაგრამ ის წყეული ხაყან ჩინის ვეზირი ყოველთვის ამა დიდებულთა რჩევას მოშლიდა და ხაყან ჩინის ნებას არ მიაცემინებდა. ამეამად ხაყან ჩინის ბარგი, კარავნი და ხაზინანი და სხუა საქონელი ოთხფეხი ქალაქისა გარეთა ქქონდათ. იმეამად ფრანგ დიეზადა წარაულად დავიდოდა მცირისა ლაშქრითა, ხაყან ჩინისა კარავსა და ხაზინასა შეხვდა და სრულებით აიკლო, და საამ ფალავნის წინაშე მოილო. საამ ფალავანმა ყოველი ნივთი თავისთა სარდალთა და ფალავანთა და ლაშქართა გაუყო. ესდენი თვალ-მარგალიტი და ოქრო იყო, რომ რიცხვი არ ეგებოდა. იმ ლაშქრისა ხალხნი დიხ მდარიელნი იყვნენ საამ ფალავნისა.

ამეამად ერთის მხარისაგან საზარელი მტვერი აღდგა. რა ქარმა შეებრა და მტვერი გადაყარა, თორმეტი დროშა გამოჩნდა, რომელიც ნიშნავდა თორმეტი ათას კაცსა. ერთი ახალმოწიფული ფალავანი ამ ლაშქართა წინ მოვიდოდა. რა საამისა სიახლოვეს მოვიდა, ცხენილამ გარდახდა და საამისაგან წამოვიდა. ფალავანმა რა თეიმურთაშის მოსვლა ჰსენა, საამ ფალავანი წინ მოეგება. თეიმურთაშს ეწადა, რომ ფალავნისათვის ფებსა ეკოცა. საამ ფალავანი მსწრაფლად მისწვდა, ზე ააყენა და სამამაცოს შუბლსა აკოცა. ხოჯებმა თეიმურთაშისა არამხანა და ფერიდუხტ საამისა ლაშქარსა მოიყვანეს. ფალავანმა რა ესე იხილა, მსწრაფლად თეიმურთაშსა ფერიდუხტის ანბავი ჰკითხა. თეიმურთაშმა მოახსენა: ჩინეთისა ზღვისა პირსა მოვიდოდი და იქა მოქარავნენი შემომხედნენ, მოვაყვანიხე და ანბავი ვკითხე. რა მიხილეს, მსწრაფლად მიცნეს და მითხრეს. რომ ხაყან ჩინის ასული ფერიდუხტ ვილასაც ერთსა ყუთსა ჩაესო და ზღვაში გადაეგდო. ჩვენ ზღვაში მოვიდოდით ხომალდითა. რა ზღვისა საშუალს მოვადწიეთ, ის ყუთი შეგვხვდა, დავიჭირეთ და ნაპირს გამოვიყვანეთ. ახლა ფერიდუხტ აქ გახლავსო და როგორ ბძანებთ.

რა ესე ანბავი გავიგონე, დიდსა მხიარულებასა მივეცი, მსწრაფლად ხოჯანი ვახელ და ჩემსა არამხანაში მოვაყვანიხე და ახლა აქ გახლავს, თან მოვიყვანე, და დიდათ მწუხარებს თქვენი ამდენის ხნის უნახაობისათვის. თეიმურთაშ გაბრუნდა, ფერიდუხტთან მოვიდა და თავისის თორმეტისა მოახლითა ფერიდუხტ საამ ფალავნისა კარავში მოიყვანეს. საამ ფალავანი მიბძანდა ფერიდუხტისა კარავში. რა ფერიდუხტ იხილა, ამდენი ხნის ფერიდუხტის უნახავი საამ ფალავანი ფერიდუხტის სიყვარულმან გონება მისტაცა, მაღლის ხმით ერთი ამოიოხრა, დაეცა მიწასა და გულს შემოეყარა.

რა ფერიდუხტმა საამ ფალავანი ესრეთ იხილა, ამანაც ერთის მაღლის ხმით შეკვილა და უცნობო შეიქმნა. ესენი ორნივე აშიყ-მაშიყნი ერთმანეთისა მომატებულის სიყვარულით და აშიყობითა რამდენსამე საათს პირისპირ ბედნიერნი მიწასა ეყარნენ. რა ცნობასა მოვიდნენ, საამ ფალავანი წამოდგა და ფერიდუხტს მოეხვია და საზარლათ ამოიოხრა და უთხრა: ჭეი, ჩემო სიცოცხლე, არ ვეცი, ეს საქმე სიზმარია თუ ცხადად ვხედავო. ეს ორნივე ქალ-ყმანი

ერთმანეთს გარდაეხვივნენ და ესრეთ ეგონათ, აქამდისინ ჭოჯობეთში ვიყავით და ახლა სასუფეველში ვართო. როგორც რომ წყლისა დამამერალნი უცხოსა წყაროსა შესმით განისვენებენ, ისე ამათ ერთმანეთისა ბილეთა განისვენენ. ფერიდუხტ რა სრულსა გონებასა მოეგო, ფალავანსა მოახსენა: ჭეი, ჩემო სიცოცხლეო, მე შენის საყვარულით მთვრალი ვარ, თუ რომ ნაკლებობა მაძიხდა რამე, ამაზედ ნუ დამგმობ, ყოველი მთვრალი ადამიანი შეუუტომელი არ დარჩება, დღეის იქით ნულარაზედ შეიკირვებ, თუ შენი საყვარელი მე ვარ, ვმადლობ ღმერთსა, რომ ამდენის ხნის დაშორებულნი აწ სიახლოვეს მივეცეთ და შენის გულის საყვარელი ვარდი დილის ნიავემ მოგიძღვნო. ამ გყარისა უცხო სიტყვითა ერთმანეთი შეაქციეს.

საამ ფალავანმა მოახლეთა უბძანა მეჭლიშისა მოღება. მეჭლიში გამართეს. ფალავანმა და ფერიდუხტმა ღვინის სმისა ჰელჭყვეს და უცხოთა შეექცეოდნენ. აქეთ მხარესა თეიმურთაშმა თავის ლაშქართა უბძანა: ერთსა მხარესა გარდახედით! მსწრაფლად გარდახდნენ, კარები დასკეს და თავ-თავის განწესებულს აღვიღს დადგნენ. თეიმურთაში თავის არამხანაში მივიდა, მეჭლიში გამართა, ღვინისა და განცხრომაში მიეცა.

რა დილა გათენდა, საამ ფალავანი თავის კარავსა დაბძანდა, სარდალნი და ფალავანი მოვიდნენ, თაყვანი-სცეს და თავ-თავის განწესებულს ალაგს დასხდნენ. საამ ფალავანმა თეიმურთაშს კაცი გაუგზავნა და მოიწვია. თეიმურთაშ მოვიდა და ფალავანს თავი დაუყრა. ერთი მურასა სკამი მარჯვენესა მხარეს დაუდგს და დასვეს. ფალავანმა მეჭლიშისა მოღება ბძანა. მეჭლიში მოიღეს და ღვინისა და განცხრომაში იყვნენ. რა მეჭლიში გაიყარა, საამ ფალავანი ამხედრდა, სარდლებითა და ფალავნებითა სანადიროთ წაბძანდა. იმ დღეს უცხოს ნადირობით შეექცა და ისევ მობძანდა. იმ ღამეს განისვენეს.

რა დილა გათენდა, საამ ფალავანი თავის კარავსა დაბძანდა, სარდალნი და ფალავანი თავ-თავის განწესებულს ალაგს დასხდნენ. ერთი ყაფრითავანი შემოვიდა და საამ ფალავანს თაყვანი-სცა და მოახსენა: ხაყინ ჩინს ელჩი უახლებია და რასა ბძანებთ? უბძანა, რომ მოიყვანეთ. ელჩი შემოვიდა და ფალავანს თაყვანი სცა და მოახსენა: ხაყინ ჩინმა წიგნი გაახლო. ჩამოართვეს და ფალავანს მიართვეს. ფალავანმა ყალადსა უბძანა წიგნისა წაიკითხვა.

ყალად ზე აღდა და ფალავანისა წინ წადდა, და მალისა ხმით წაიკითხა. ესრეთ ეწერა იმა წიგნსა შინა: ვმადლობ ღმერთსა, რომ დამადგინა ჰელმწიფედ ჩინეთისა, მაჩინისა, ბალხისა, ბუხარისა, ხათანისა და ხუთანისა და თურქისტანის მელიქად; მოგიწერ შენ, თეიმურაზ დივბანდის, ჯიმშიტას, გარსაშიბისა და ნარიმანის ძეს საამ ფალავანს, სახელოვანს ესრეთ, რომ ჩემი ქალი ფერიდუხტ იმჟამად მაჩინისა ქვეყანას გავისტუმრე, შენ უკან გამოდგომიხარ და ფერიდუხტ აქ მოგიყვანია, ჩემს ძმისწულს თეიმურთაშს ფერიდუხტ შენთვის მოუცია და თითონაც მანდ გხლებია. ახლა ამაზედ სარწმუნო უნდა იყოთ, რომ თეიმურთაშ ფერიდუხტზედ ხელაღებული არის, და ნაპანგალ დღეიც შენის ჳელით აღსრულდა. ახლა ჩვენ ამ საქმეზედ სარწმუნო ვართ. ახლა სჯობს, რომ თქუენსა და ჩვენში ერთობა იყოს და თქვენის სარდლებით და ფალავნებით ჩინეთის ქალაქში მობძანდეთ. შენ, რადგან ჯიმშიდას ჩამომავლობისაგანი ხარ, ერანისა დიდებულთა, სარდალთა და ფალავანთა ესე პირობა დამიღვია, რომ რასაც დღესა ჩინეთის ქალაქში მობძანდებით. მეორესა დღესა ფერიდუხტთან დაგაქორწინებო, რაც შენი გულის წადილი არის, აღვისრულებო.

რა ესე წიგნი დაასრულეს, საამ ფალავანი დიდათ გამხიარულდა და ხაყან ჩინის ელჩსა მძიმე ხალათი ჩააცო. საამ ფალავანმა თავისთა დიდებულთა უბძანა, ხაყან ჩინისა მტერობისა კარაგი დაუცია და ერთობის კარაგი დაუდგამს. საჭირო არის, რომ ჩვენ წავიდეთ და საბაოთ ღმერთი ვაცნობოთ. ყალვადმა და ყულუშმა მოახსენეს: ფალავანო, ამაზედ სარწმუნო ბძანდებოდეთ, რომ ის წყეული გვატყუებსო, და თავის ეშმაკურს მანქანებას არ დაიშლის. საამ ფალავანმა უპასუხა: თქვენ სარწმუნო იყავით, რომ ის ეშმაკური მანქანებით ვერ მომაცდუნებს და არც ფერიღუბტს ჰელში ჩაუგდებო. საამ ფალავანმა თეიმურაზთაშს უბძანა: ხაყან ჩინი ვიცი. რომ ჩვენ სარწმუნოებაზედ არ მოვა, მაგრამ მაინც სჯობს ჩვენი იმასთან მისვლა. ფალავანმა თეიმურაზთაშს ჰკითხა: თქვენც წამოხვალთ თუ არა? თეიმურაზთაშმა მოახსენა. ფალავანო, სწორე არ ვიცი ჩემი წამოსვლა. საამმა ბძანა: მაშ, მე ჩემის ლაშქართი წავალ. საამ ფალავანმა თავისი ურდო თეიმურაზთაშსა, შაფური შირდილს და სეილი ჭანსუხს მიბძარა და თითონ ყალვად და ყულუშთან იახლა, და ექვსი ათასისა მამაციასა ლაშქართა ჩინეთისაკენ წაბძანდა.

რა ჩინეთისა ქალაქს მივიდნენ, კემწიფისა სასახლისა კარზედ გარდახდნენ. საამ ფალავანი, ყალვადი და ყულუში, და ფრანგ დივზადი და რამდენიმე ფალავანი ხემწიფისა სასახლესა შევიდნენ. ხაყან ჩინს თაყვანი-სცეს. რა ხაყან ჩინმა საამ ფალავანი იხილა, ტახტიდამ ძირს ჩამობძანდა. საამ ფალავანს გარდახვდა და სამამაცოსა შუბლსა აკოცა და უბძანა: ფალავანო, ახლა ვიცი. რომ საბაოთ ღმერთი ჰეშმარიტი ყოფილა. ხაყან ჩინი ეშმაკურთა მანქანებით მოიქცა ფალავანისა სარწმუნოებაზედ. მეჭლოში გამართეს და რამდენჯერაც საამ ფალავანს ღვინო მიართვეს, დაღევა არ ინება. და ხაყან ჩინის ვეზირმა მოახსენა ფალავანსა: ახლა ვიციანთ, რომ საბაოთ ღმერთი ჰეშმარიტი ყოფილა და ფერიღუბტზედაც ახლა დაგაქორწინებთ, მაგრამ ერთი კვირა უნდა დაგვაცადო. რომ ქორწილისა თავდარიცი ვნახოთ და ისე მოგაბაროთ ფერიღუბტ. მას უკან შენი ნება არის, თუ გინდა, ისეც ერანში წაიყვანე და, თუ გინდა, აქ ამყოფე. ამდენი ეშმაკური სიტყვები და სიცრუეები წარმოსთქვეს, რომ საამ ფალავანს დააჯერეს. ფალავანი ზე აღვა, ხაყან ჩინს გამოეთხოვა, ამხედრდა და ისეც თავის ურდოში წარვიდა. თავის კარავში შევიდა და ტახტსა დაბძანდა. დიდებულნი თავ-თავის განწესებულს ალაგს დასხდნენ, საამ ფალავანმა ხაყან ჩინის ნაქმნარი საქმენი და სიტყვანი თითოეულად უანბო. დიდებულთ მოახსენეს: დიხ კარგი საქმე მომხდარა, რომ შენს სარწმუნოებაზედ მოსულა. ფრანგ დივზადამ მოახსენა: ფალავანო, ღმერთსა ვფიცამო, რომ არასდროსა არა მჯერა, რომ ისინი თქვენს სარწმუნოებაზედ მოსულიყვენენ, შიშთა და ეშმაკობითა მოიქცენენო. ფალავანმა უპასუხა: ჭეი, ჩემო საყვარელო ძმაო ფრანგ, მერწმუნე, რომ, რაც იმათ ჩემთვის სწადიან, საბაოთ ღმერთი ისეც იმათ დაუბრუნებსო.

რა ერთმა კვირამ განვლო, ერთს დღეს საამ ფალავანი მეჭლოშსა ბძანდებოდა. ფრანგ დივზადა შემოვიდა, ფალავანსა თაყვანი-სცა და მოახსენა: ჩინეთის ჰემწიფის ვეზირი ურიცხვისა ფეშქაშებითა გზლებიანო. საამ ფალავანმა დიდებულნი მიაკვება და დიდის თავაზით მიიყვანეს ფალავანის წინაშე, და ფეშქაშები ფალავანს მიართო. რამდენიმე უცხოდ მორთულნი ყულუხჩინი და რამდენიმე უცხოდ მორთულნი მოახლენი, და ურიცხვნი თვალ-მარგალიტნი მოართვეს. ფალავანმა გულსა შინა განიზრახა: ესე არას კაცისაგან არ შეიძ-

ლებმა, რომ ესდენი ურიცხვნი ხაზინანი სიკრუეზედ გარდაავოსო. ჰგავს, რომ ხაყან ჩინი, რასაც გვეუბნება, მართალი არის. ფალავანმა ხაყან ჩინზედ გული დააქერა, ხაყან ჩინის ვეზირთა წიგნი ამოიღეს და ფალავანს მიართვეს. ფალავანმა განსნა და წაიკითხა. ესრეთ ეწერა იმ წიგნსა შინა: ფალავანო, რასაც წამს ეს წიგნი წაიკითხო, მაშინვე შენის ქორწილის თავდარიკი ნახე, მეც ყოველი თავდარიკი მზათა მაქვს, ამალამ შენს ქორწილს გარდავიხდო.

საამ ფალავანს ესე ანბავი დიდათ იამა. მიზეზი უფრო ეს იყო სიხარული-სა, რომ ფალავანს დიდათ ესწრაფებოდა ერანისა ქუეყანაში წასვლა. საამ ფალავანმა უბძანა: ჭეი, ასაფ ვეზირო, ფერიდუხტ რომ აქ არის, ჩემთანა, რას მეტყვი. ვეზირმა მოახსენა: ფალავანო, ფერიდუხტ მე უნდა მომბარო, არამხანასა მივიყვან. მას უკან შენ მომბანდებო არამხანაში და ფერიდუხტს მოგაბარებ. ერთათ დასხდებით, ლხინსა და განცხრომაში იქნებით, შუალამედინ ერთათ იქნებით. შუალამეს უკან ფერიდუხტს არამხანაში შევიყვანთ და მოვრთამთ. თქვენა ისევ თქვენს ურდოზედ მიბძანდით და ქორწილისა ორს საათს უწინ ფერიდუხტს წესისამებრ თავისისა მოახლებით შენს ურდოსა მოვიყვანთ და მოგაბარებთ. ჩვენში განწესება ასე არის, რადგან კემშიფის ასული არის, და შენსა ჩამომავლობასაც ასე ფერობს, რომ ამა პატივით მიიღოთ.

საამ ფალავანი ამა წყეულის ვეზირისაგან მოტყუედა, ეშმაკურის მანქანებითა. ფალავანმა ნება დართო და მძიმე ხალათები უბოძა, და უბძანა: რომ თქუენ წადით და მეცა ფერიდუხტს მსწრაფლის სიარულითა წამოვიყვან და კემშიფის არამხანაში მოვიყვან. ვეზირი გაისტუმრა და თითონ ფერიდუხტის კარავში მომბანდა, რაც ვეზირის და ფალავანის შუასიტყვას გაეცლო, ყოველივე ფერიდუხტს გამოუცხადა, და ფერიდუხტმა რა ესე გაიგონა, დიდათ შეწუხდა და ფალავანს მოახსენა: ეგ რა საქნარია, რომ შენ გიფიქრია, ეგების კიდევ იმ წყეულების ქელში ჩამადგო, ღმერთს გაფიცებ, რომ იმ ეშმაკების მახეში ნუ გამახვევ! რა ესე სიტყვა სთქვეს, ერთმანეთს გარდახევივნენ და საყვარლად კოცნიდნენ. ფერიდუხტ დიდათ სწუხდა, ტიროდა და ვევეღრებოდა: ნულარ დამატყვევებ იმ წყეულებშია.

ამჟამად ფრანგ დივხადა არამხანაში შემოვიდა, ფალავანს თაყვანი-სცა და მოახსენა: ჩინეთის ქალაქში დიდროვანი მამხალანი და ჩირალდნები გამართეს, ფალავანო, გაფრთხილდი, შენ ფერიდუხტს ნუ შეიყვან ქალაქში. ჩვენ წავიდეთ, მექლიშა მივიდეთ, თუ მართლა ფერიდუხტს გვაძლევენ, იმ მექლიშა დაწინდებისა ლოცვანი წაიკითხო, მერმე გამოვბრუნდები, დიდის დიდებით მოვიყვან ფერიდუხტს მექლიშა და იქ ლოცვები წაიკითხეთ, და მერმე ისევ ჩვენს ურდოში კაცს გავგზავნი და ურდოს გავმართათ, ჩირალდვანს და ცეცხლის სათამაშოს გავაწყობთ და ისე მივიყვანთ დიდებითა ჩვენს ურდოშია. ფალავანო, მე გული არ მაწევეს, რომ ფერიდუხტ ჩინეთისა ქალაქს მივიყვანო. ფალავანმა უპასუხა: ჩვენ ხომ უწესო საქმეს ვერ დავიპყერთ, რიგი ასრე არის, რომ ქალი თავისის მამის სახლში იყოს და ისე წამოვიყვანო!

ფერიდუხტ მოამზადეს და პირსა ნილაბი ჩამოაფარეს, ამხედრდნენ და ვეზირის სასახლეს მიიყვანეს. ფალავანი რომ გამომგზავრდა, ფრანგ დივხადამ თავიანთი ურდო მოამზადეს და უცხოთ და ყოვლისა დიდებულისა კარავსა წინა მამხალანი და ჩირალდოვანი გააწყო, საამ ფალავანი ფერიდუხტით და თავისი მოახლებებით ვეზირის არამხანაში ლხინსა და განცხრომასა იყვნენ. რა შუალამე შეიქნა, ფალავანმა ფრანგს უბძანა: ფერიდუხტ ქეჯაოში ჩასვი და კემშიფის

არამხანაში მიიყვანეთ. ფერიდუხტ ქეჩაოში ჩასვეს და არამხანის კარავში მი-
აყვანეს. რა არამხანისასასახლეში შევიდნენ, ხაყან ჩინისა ქალები შაქარულს და
ფერინულს თავის დას ფერიდუხტს წინ მიეგებნენ, გარდაეხვივნენ და საყვარ-
ლათ მიესალმნენ, და საამ ფალავანს თაყვანი-სცეს და სიყვარულით მოიკით-
ხეს, და ტახტზედ მიიწვიეს, დასხდნენ და მეჯლიში გამართეს. ვეზირმა ხაყან-
ჩინი მიიყვანა მეჯლისში. საამ ფალავანი წინ მიეგება და თაყვანი-სცა. ხაყან-
ჩინი გადაეხვია და სამამაცოს შუბლსა აკოცა და სიყვარულით მოიკითხა. ხა-
ყან ჩინი და ვეზირი ერთს საათსა დასხდნენ მეჯლიშში, ლხინსა და განცხრომა-
ში იყვნენ. რა ერთმა საათმა განვლო, ვეზირმა მოახსენა საამ ფალავანსა: ეამი
არის, რომ სხუასასასახლეში მობძანდეთ, ცოტა ხანს მოისვენოთ. საამ ფალავა-
ნი ფერიდუხტს გარდაეხვია, აკოცა. ხაყან ჩინი და ფალავანი აღგნენ და სხვას
სასახლეში გამოვიდნენ. თავის არამხანაში წაბძანდა.

იმჟამად გათენებისა ხანი მოაწია, ვეზირი ზე აღგა და გარეთ გამოვიდა,
მცირე მიმოვლო და ისევ ფალავანთან შემოვიდა, ფალავანს მოახსენა: ფერა-
დუხტ მოურთამთ და მოუმზადებიათ, ახლა ეამია, რომ თქუენ წაბძანდეთ,
თქვენსა ლაშქარსა მიბძანდეთ და ფერიდუხტს წამოვიყვან, ღიდის ღი-
დებით თქვენს კარავსა მოვიყვან. ფალავანმა ვეზირს მადლობა მოახ-
სენა, ზე აღგა, და ფრანგ დივზადა გვერთა იახლა, და თავის ურდოსა მობძანდა.
ის წყეული ვეზირი გამობრუნდა და ხაყან ჩინის არამხანაში მოვიდა, ფერი-
დუხტს ჳელი მოჰკიდა და თავისასასახლისავე წაიყვანა. ფერიდუხტ რამდენს
ჰკითხა: სად მიყავარ, ვეზირი პასუხს არ უგებდა, და იმა წყეულმა თავის
სასახლესა მიიყვანა, ზარზამინში ჩაიყვანა, ერთი საზარელი ხარო იყო მოთხრი-
ლი და იმაში დაატუსადა.

რა დილა გათენდა, ერთსა მოახლესა ფერიდუხტის ტანისამოსი ჩააცვეს
და სასახლიდამ ძირს გადმოაგდეს. ის საწყალობელი მოახლე დაეცა კლდესა
და ტვინი განსთხია, კისერი მოსტყდა და ძვლები დაემტვრა; მაგრამ ფერი-
დუხტის ღებმა და მოახლეთა ფერიდუხტის დატუსაღება ხაყან ჩინისაგან ვერა
სცნეს, ვეზირისა მოსამსახურეთა ვერა სცნეს ესე საქმენი. რა ხაყან ჩინის არამ-
ხანას ესე ხმა გაისმა: ფერიდუხტ ჩარდახილამ გადმოვარდა და მოკედა, ერთო-
ბით სასახლისა მხვევალნი გამოსცვიდნენ და გარეს შემოეხვივნენ, დახედეს,
რომ თავი შუაზედ გაეპო კლდესა, და სისხლი და ტვინი პირსახეზედ გარდმოს-
დიოდა და ძვლები სულ მთლიანად დალეწოდა. პირის სახე აღარ იცნობოდა.
რა ფერიდუხტის ტანისამოსი იცნეს, გული დააჭერეს, რომ ფერიდუხტ არისო.
იმ წყეულმა ვეზირმა უბძანა მოახლეთა: წამოიღევით და არამხანაში მოიტა-
ნეთ. მხლებელთა თავ-პირ-ცემით აიღეს და აივნის საშუალოს მოიტანეს და
დადვეს. ხაყან ჩინმა საყელო გარდხივია, თავ-პირ-ცემით მოვიდა და მადლის
ხმით ტირილი დაიწყო. ფერიდუხტისა დანი სხვასა ოთახსა შექცეოდნენ. რა
ტირილისა და ვაების ხმა გაივონეს, ღიდათ განკვირდნენ და გარეთ გამოსცივი-
დნენ და თავისთა მოახლეთ ჰკითხეს: ეს რა ანბავი არის?! ყოველივე მოახსე-
ნეს. რა ფერიდუხტისა სიყვდილი ჰსცნეს, ლეჩაქები მოიგლიჯეს, შორს გას-
ტყორცნეს და მადლისა ხმით შექვივლეს, ზილფებისა და კაეებისა გლეჯით
ჰაივანს შესცივდნენ, ცხედარსა გარდაეხვივნენ, ტირილი და თავში ცემა შექ-
ნეს, ესრეთი ტირილი და გლოვა შეექნათ, რომ მეორეთ მოსვლას ემგზავებო-
და. ყოვლისა მხრიდამ ამ ხმაზე მოვიდნენ და ამბავსა კითხულობდნენ, რომ რა
ამბავი არისო, და ესრეთ გამოუტხადებდნენ, რომ ფერიდუხტ ჰაივნიდამ გადა-

ვარდა და მოკვდა. ეს ხალხნი ესრეთ მწუხარებას და ტირილს მიეცნენ, რომ მეორეთ მოსვლას ემსგავსებოდა. ხაყან ჩინმა და ყოველთა დიდებულთა შა-ვი ჩაიციეს და გაუყრელათ ჭემწიფეს ახლდნენ.

იქით მხარესა საამ ფალავანი, ფერიდუხტის სიყვარულით მთერალი, თავისსა ტანტსა ბძანდებოდა და გათენების ეამსა ელოდა. რა გათენდება, ხაყან ჩინის ვეზირი ჩემს საყვარელს ფერიდუხტს მოიყვანს, და ამ საქმისა იმედელუ-ლი, საამ ფალავანი გათენებასა ელოდა. ფრანგ დიუზაღამ თავისისა ლაშქარისა მცველნი დაარჩია, რომ ჩინეთის ჭემწიფის ვეზირი რა ლაშქარისა სიახლო-ვეს მოვიდეს, ჩვენ გვაცნობეთ. ეს ლაშქარი ფალავნისა ქორწილისა მოლოდი-ნე იყენენ.

რა დილა გათენდა, ვეზირმა დაიგვიანა და არსად გამოჩნდა, საამ ფალავან-სა იმქამად ეძინა და დიახ ავი სიზმარი ნახა. მსწრაფლად ზე ადგა გაშფოთებუ-ლი და კარავ გარეთ გამოვიდა, ფრანგ დიუზაღას უბძანა: შეი, ჩემო საყვარე-ლო მძაო ფრანგ, ვეზირმა რატომ ასე დაიგვიანა, და ან ხომ არსად მოჩანს? ფრანგმა მოახსენა: მეც გაკვირებული ვარ იმათ ესდენსა დაგვიანებასა. ფა-ლავანმა უბძანა: წადი და იქაური ანბავი მსწრაფლად მომიტანე! ფრანგმა თავი დაუკრა და ჩინეთისაკენ გაემართა, რა ქალაქისა სიახლოვეს მიიწია, ერთი საზარი მწუხარებისა და ტირილისა და ვაებისა ხმა მოესმა. ფრანგ დიდათ გან-კვირდა და მსწრაფლისა სიარულითა ქალაქისა კართა მივიდა; იქა ერთი ქვეითი კაცი შემოეყარა, ფრანგმა ჰკითხა: მძაო, ეს რა ტირილისა და მწუხარე-ბის ხმა არის, ან რა მომხდარა? იმ კაცმა უპასუხა: მძაო, ხაყან ჩინის ქალი ფე-რიდუხტი სასახლიდამ ძირს გადმოვარდა და მოკვდა, ეს ტირილის და მწუხარე-ბის ხმა იმაზედ არის. ფრანგმა რა ესე შესაწუხებელი ანბავი ჰსცნა, ლეიძლთა-გან საზარელი ამოიხსრა, გამობრუნდა თავ-პირ-ცემით საამის წინაშე მივიდა და ყოველივე ანბავი თითოეულად მოახსენა. ფალავანო, შე ესრეთ მგონია, რომ ეშმაკობა და მოჩვენება იყოს, ხაყან ჩინის ვეზირმა ეშმაკობა მოგვჩვენა.

საამ ფალავანმა რა ესე ჰსცნა, ამხედრდა თავის დიდებულებითა, სარდლებითა და ფალავნებითა ჩინეთისა ქალაქს მიბძანდა. რა ჭემწიფისა სასახლესთან მივიდ-ნენ, გარდახდნენ და სასახლეში შევიდნენ, იხილეს, რომ ჭემწიფისა კარი დიდათ არეული იყო და მოშლილი. რა ხაყან ჩინთან შევიდნენ, იხილეს, რომ ჭემწიფე და დიდებულნი სამგლოვიარისა სამოსლითა შემოსილნი იყვნენ, საყველო გარდა-ეხიათ და თავ-პირ-ცემით მალლის ხმით მოსთქმიდენ და ტიროდნენ. ხაყან ჩინ-მა რა საამ ფალავანი იხილა, ზე ადგა, გადაეხვია და შუბლსა აკოცა, ეშმაკო-ბითა და ოსტატობით მალლის ხმით ტირილი დაიწყო და საამ ფალავანსა უთხ-რა: შეი, ჩემო საყვარელო შეილო, საამ, ეს როგორა ჰქენ, რომ ფერიდუხტ აქ დააგდე და თან ლაშქარში არ წაიყვანე, რომ ამისთანა განსაცდელი მაშველი-ნა. ვეზირმა საამ ფალავანს მოახსენა, რა თქვენ ლაშქარსა წაბძანდით, ფერი-დუხტ მეტის თქვენის მომატებულის სიყვარულითა ველარ მოითმინა, და ჰაივ-ნის ფანჯრიდამ გაიყურებოდა, იქიდან უეცრად გადმოვარდა და ამისთანა მოუ-ლოდნელს განსაცდელს მივეციით. ამა ანბის გამგონე საამ ფალავანმა საყველო გარდინია, ტახტიდამ ძირს გარდმოვარდა, თავსა მიწა გარდიყარა. თეიმურთაშ-მა, ყალვადმა და ყულუშმა, ჟანსუშმა. შაფური შირდილმა და სხვათა სარდალ-თა და ფალავანთა საყველო გარდინიეს და მალლის ხმით ტირილი და გლოვა დაიწყეს, და თავს მიწა გადიყარეს. შემდგომად საამ ფალავანი ცხედართან წაი-ყვანეს.

რა ახლო მივიდა და ფერიდუხტის ტანისამოსი: იხილა, უწყალოდ თავსა და პირსა იცემდა და მოსთქმინდა. გამობრუნდა და ცხედრისა პირის სახეზედ დახედა, რადგან სისხლისაგან შესვრილი იყო სახე, ვეღარ გააჩრჩია, ერთისა საზარელისა ხმით ამოიხსრა, მიწასა დაეცა და უცნობო შეიქმნა. რა ცნობასა მოვიდა. ესრეთ მოსთქმინდა და ტიროდა. რომ იმისი ხმა ზეცად აღიწეოდა. ხაყან ჩინი მობძანდა ფალავანთან, მწუხარებისა და გლოვისა სახე აჩვენა.

მცხედარი კუბოსა ჩაასვენეს, საამ ფალავანი კუბოსა შეუჯდა და თავისსა სასაფლაოსა მიიტანეს და მიწასა მიაბარეს. საამ ფალავანი მოუთმენლის მწუხარებით ტიროდა და მოსთქვამდა. სარდალნი დ ფალავანი მრავალს ევედრებოდნენ და ნუგეშიანს სიტყვებს მოახსენებდნენ: ფალავანო, სოფლის განსაცდელს რა გაეწეობა! თურმე ასე იყო მოსასვლელი, მეტისა მწუხარებით და ტირილით რაღას გააწყობდა საამ ფალავანი იმა სასაფლაოდამ გარეთ გამოიყვანეს.

ხაყან ჩინი თავის ღიდებულებით თავის სასახლეს მობძანდა და საამ ფალავანი თავის სარდლებითა და ფალავნებითა ტირილითა და თავში ცემით თავის ლაშქრისაკენ წავიდა, სარდალთა და ღიდებულთა შავები ჩაიკვეს და ფალავანთან მივიდნენ და თავ-თავის განწყესებულს ალაგს დასხდნენ. ყულუხჩთა სუფრა მოიღეს, შარბათი და შაქალამა მოართვეს. ფალავანმა არაფერი არა მიიღო რა. სხვათა სარდალთა და ფალავანთა მცირე რამ სანოვავე მიიღეს და მსწრაფლ სუფრა აიღეს, ფრანგ და სხვანი ფალავანი მოახსენებდნენ ნუგეშიანანს სიტყვასა: ისინი ღიდათ ეშმაკურისა და ჯადოს მანქანებით საცხე არიან. იქნება, რომ მოახლე მოართეს ვინმეო და ის გადმოაგდეს და მოკლეს, ფერიდუხტის მაგიერათ ის მოგვაჩვენეს და ფერიდუხტ საპყრობილეში ჰყვანდეს. იმათგან ღიდათ შესაძლებელია ამგვარი ეშმაკური მანქანები: ჭეი, შარიარო, მოთმინება გმართებსო, ვნახოთო ამ საქმისა დასასრული როგორ იქნების!

ამგვარსა ნუგეშიანს სიტყვებს მოახსენებდნენ, მაგრამ ფალავანი საამ პასუხს არ უკვებდა, ფერიდუხტისა გონებასა იყო, საწყლად მოსთქმინდა და ტიროდა. რა შუალამე შეიქმნა, სარდალნი და ფალავანი თავ-თავისა კარავში წავიდნენ და მოსვენებაში მიეცნენ. საამ ფალავანი გულსა შინა განიზრახვიდა: ნახე, სოფლის სიმუხთლესა, რომ ჩემს საყვარელს, მთვარის მგზავს ფერიდუხტს გაუხარელად მოეშორდი. რა ყულუხჩთა მოსწყინდათ ფეხზე დგომა, თავ-თავის ბინაზედ წავიდნენ და დაიძინეს. საამ ფალავანი ზე ადგა, ყურაბი თიქაურზედ ამხედრდა, და თავისი ლაშქარი ფარულად განვლო, და ერთს ბეიბანს — მინდორს გაემართა. გათენებამდის ჩქარისა სიარულით ელო, და რა დილა გათენდა, ერთის მალლის მთის ძირს მოვიდა, ერთი საუცხოო წყარო გამოსდენდა ამა მთასა და მწევანოვანი უცხო ალაგი იყო. და ამა მთისა გზა ღიდათ ვიწრო და კლდოვანი გზა იყო. საამ ფალავანი იმა წყაროსთან გარდახდა, ყურაბი თიქაური იქ გაუშვა და თითონა იმა მთის წვერს ავიდა. რა ყურაბი თიქაურმა ფალავანი მთაზედ ასული იხილა, თითონაც ეწადა ფალავანთან ასვლა, მაგრამ გზისა სივიწროვისაგან ვეღარ ავიდა, უიმედო გამობრუნდა და იმა წყაროსა პირსა დაიბანა და ფალავანისა ჩამოსკლას ელოდა.

აქეთ მხარესა ფალავანისა სარდალთა და ფალავანთა რა გამოიღვიძეს, საამისა კარავს მოვიდნენ და ფალავანი ვერ იხილეს, დიდსა მწუხარებასა მიეცნენ, და ოთხსავე მხარეს მოსძებნეს და ვერა სცნეს რა ფალავანისა. თეიმურთაშმა ფრანგსა შემოხედა და უბძანა: წადიო, და ფალავანისა ეგების, შენც არის,

ასცნა რამე. ფრანგმა თავყვანოსცა და მსწრაფლ წამოვიდა, და ოთხსაე მხარესა ბევრო იარა და ფალავნისა ვერა გაიგო რა. გამობრუნდა მწუხარე და ლაშქარში მოვიდა. ესე ლაშქარნი დიდათ შესწუხდნენ და თავ-თავის ქვეყანას წასცლას აპირობდნენ. თემურთაშმა სარდალთა და ფალავანთა უთხრა: *ჴეი, გულოვანო ფალავანო, სჯობს, რომ ფალავანს მოუცადოთ, მე წუხელის სიხმარში ვნახე ფალავანი და ასე მიბძანა: თქვენ ჩვენთვის ნუ სწუხართო. მე დღას მალე მოვალ თქვენთანა. ვადა დამიღო, უთუოთ ფალავანი იმა ვადაზე მოვადა, ვნახოთ, ღმერთი რას ინებებს ჩვენთვისა. ფალავანო, თქვენ ლაშქრობისაგან მოღალულნი ხართ, თუ გინდათ, თქვენ-თქვენს საყოფს წადით, მე და ყალვად და ყულუშ და ფრანგ დივზადა საამ ფალავანსა აქვე მოუცადით. სარდალთა და ფალავანთა უპასუხეს: *ჴეი, ჩვენი საყვარელო ძმაო, ჩვენ, ჩვენი თავი საამ ფალავანისა ჳირის სანაცვლოდ გვინდაო, თუ თქვენ აქ მოიცდითო. ჩვენ ვილასთან უნდა წავიდეთ?**

ამჳამად სამმა თემე განვლო. საამ ფალავანისა წასვლამ ყველა შეაწუხა. ფალავანთა მწუხარებისა ფარდა ჩამოუშვეს და დიდათ მწუხარე იყვნენ ფალავანისა დაშორებისათვის. ყოველსა მხარეს კაცნი გაგზავნეს ფალავანისაგან ანბის საცობლათ.

ეს ანბავი აქ დაუტეოთ და მცირე რამ ფერიღუსტისა დებისა ფერიღუშისა და შაქარნუშისა და ვეზირის შვილის შამსალ მულუქისა მოვიხსენიოთ

აქეთ მხარესა ფერიღუსტისა დებმა ფერიღუსტისა ვითარება არა იცოდნენ, დღე და ღამე განუწყვეტლივ არამხანაში ტიროდნენ და მოსთქმოდნენ. იმ წყეული ხაყან ჩინის გული ამ ქალებისა მოუწყვეტლივმა ტირილმა მოაღბა და ფერიღუშისა უბძანა: ესდენსა რათა სტირიოთ, მერწმუნეთ, რომ ფერიღუსტს არა სჯირს რა და ცოცხალია. ქალებმა რა ესე სიტყვა გაიგონეს, წამწიფეს ფეხზედ მოეხვივნენ და ევედრნენ: გვიბძანეთ, ჩვენი ჳა ფერიღუსტ საით იმყოფება? ხაყან ჩინმა თავისსა ვეზირსა შეუთვალა: შეპი სასანლე დაახალვათებინე, ჩემის ქალების საცოდლობამ ლამის მომკლას, შწადს, რომ ფერიღუსტ ვაჩვენო. ვეზირმა მსწრაფლად მსახურები სულ დაითხოვა და თავ-თავისთენ წავიდნენ.

ამ ვეზირსა ერთი შვილი ჳყავდა, უცხო, მშვენიერი სახისა, ძალგულოვნობის და ფალავანობის მქონე იყო. ასაკითა თერამეტისა წლისა იყო. და ვეზირსა ერთი უცხო ბალი აეშენებინა. და იმ ბალსა უცხო სასახლე იყო და იქ ერთი ოთახი იყო. იქ იდგა ის ყმაწვილი. ვეზირი რომ თავის ყულუხჩითა და მოსამსახურეთა ითხოვდა, ყაყანის ხმა შეესმა იმა ყმაწვილსა. ერთსა მონათავანსა ჳკითხა, ეს რა ხმიანობა არისო. ყულუხჩმა მოახსენა: მამა თქვენმა ასათ-ვეზირმა თავის მოსამსახურენი სრულეზით დაითხოვა და სხვა სასახლეში გაისტუმრა. და ამდღამა ახალვათებს ამა სასახლესა.

რა ვეზირისა შვილმა შამსალ მულუქმა ესე ანბავი მოიხმინა, წავიდა და ერთის ფარულისა ალაგიდამ თავის მამას ყურება დაუწყო: ვნახოთ, მამაჩემო რას განზრახვაში არისო; იხილა, რომ რამდენიმე ბანოვანი, უცხოსა შვენებისა მქონენი, ამა სასახლესა შემოვიდნენ. და წინ რამდენიმე მაშხალანი მოუძღვის. და იმ ხალვათსა ჳაივანსა შეეიდნენ. შამსალ მულუქი რადგან თავისი სასახლისა

გზები კარგათ იცოდა. ამა ჰაივანსა ერთსა ხალვათსა გზიდამ მოუარა და ფანჯ-
რიდამ ყურება დაუწყო. და პირდაპირ იხილა, რომ ერთი საუცხოვო ტახტი
დაედგათ. ის ტახტი აიღეს და საფენი სრულებით აკრიფეს და იმა ტახტისა ძირ-
სა ერთი ზარზამინი გამოჩნდა. და ვეზირი წამოდგა და ხაყან ჩინის ქალებს
მოახსენა. რომ თქვენი და ფერიდუხტ ამ ზარზამინში იმყოფება. შეაქარნუშმა
და ფერიდუხტმა ერთი მუახლე ჩაგზავნეს ფერიდუხტ ჩვენთან ამოიყვანეთ. ვე-
ზირმა მოახსენა. ჭეი, მნათობო, ხეშეფისა ბძანება ასე არის, რომ თქვენ ფე-
რიდუხტთან უნდა ჩახვიდეთ და იქ ღეინოს სმით უნდა შეაქციოთ. ფერიდუხტმა
მსწრაფლად ჩადრი მოიხსნა და ორმოს პირსა მივიდა.

რა ვეზირის შეილმა ფერიდუხტის პირი იხილა, ესრეთისა სიყვარულისა ისა-
რი ეცა გულსა, რომ გონება დაეფანტა და არ იცოდა, რა ექნა. ფერიდუხტისა
ღები თავის მოახლეებით იმა ზარზამინსა ჩავიდნენ. ვეზირმა უცხო-უცხო სანო-
ეაგე მიართო და იმა ზარზამინს თავსა დახურა, და ისევ ზევიდამ იმა ოთახისა
საფენები დაფინა, და ვეზირისა ტახტი ზევიდამ დაადგეს. და ვეზირისა შეილსა
შამსალ მულუქს ფერიდუხტის ესეთი სიყვარული შესლოდა გულსა, რომ მუდამ
საათსა იმისი სიყვარულით ცეცხლი გულსა ეღებოდა. რა დილა გათენდა, შამ-
სალ მულუქ თავის მამასა ასაფ-ვეზირთან მოვიდა და ხაყან ჩინის ქალის ფე-
რინუხტის სიყვარული გამოუტყბადა.

რა ვეზირმა ესე სიტყვა მოისმინა, დიდათ განრისხდა და შემოუძახა: ჭეი,
შე უმგზავსო, ეგ როგორ გაბედე, შენა, თუ ეგ სიტყვა კიდევა სიტყვი, უთუოდ
სიკედლის მიეცემი. ყმაწვილმა ტირილი დაიწყო და უთხრა: არასგზით არ იქ-
ნება, თუ კემწიფის ქალს არ მითხოვი! ვეზირი განრისხდა და თავისი შეილი
შამსალ მულუქ დააქერინა, მალე ჩამოკიდა და საამასი მათრახი დააქერევი-
ნა. ვეზირისა შეილი დიდათ განრისხდა და გულსა შინა თავისსა განიზრახვიდა:
მე ვიცი, რომ მამიჩემისაგან ჩემს დაკოდის გულს კურნება არ მიეცემა, სჯობს.
რომ წავიდე ყოვლის გაქირებულის შემწეს საამ ფალავანს სახელოვანთან,
ფერიდუხტის ანბავი მოვახსენო, ხაყან ჩინის და მამიჩემის ასაფ-ვეზირის ეშმა-
კური ყოფაქცევანი. ქეშმართებით ვიცი, რომ ფალავანს რა ამ სასიამოვნო ან-
ბავსა ვიხარებ, უეჭველად თავისსა საყვარელს ფალავანებში აღმრიცხავს და
ჩემსა ვითარებასაც იმას მოვახსენებ. ფალავანი ამგუარ საქმეებში დიხს გამოც-
დილია, შემინწყალებს და ჩემი გულის წადილს აღმისრულებს.

რა შუალამე შეიქნა, უცხოთა ტანისამოსით შეიმოსა და საამამაცო იარაღით
შეიკურვა, და უცხოთა ცხენსა ამხედრდა და საამ ფალავანისა ლაშქრისაკენ გაე-
მართა, რა ლაშქართა ყარაულსა მიეახლა, იმა ყარაულთა უფროსი თემურთა-
შის ფალავანთავანი, ბეგუმთაშ წოდებული, ამა ექუსი ათასისა ყარაულისა უფ-
როსი იყო, ვეზირის შეილი დაიჭირეს და მასთან მიიყვანეს. ყარაულთა უხუ-
ცესმა ანბავი ჰკითხა. ვეზირისა შეილმა უპასუხა: მინამდისინ საამ ფალავანს არ
შევეყრები, ჩემის გულის ანბავს ვერაგის გამოუცხადებ. მსწრაფლად ლაშქარ-
ში მოიყვანეს. ყალვადმა და ყულუშმა ანბავი ჰკითხეს. ვეზირის შეილმა მოახ-
სენა: მე, საამ ფალავანისა მახარობელი ვარო, მესწრაფების ფალავანისა ნახე.
ყალვადმა უპასუხა: ჭეი, ახალმოწიფულო ყმაწვილო, გამოგვიცხადე ჩვენ ეგ
ანბავი, რაზედ გარჯილობარ? ფალავანო, მანამდინ საამ ფალავანს არა ვნახამ,
ამა ანბავს ვერაგის გამოუცხადებ. ფალავანთა უპასუხეს: საამ ფალავანი ამჟა-
მად აქ არ იმყოფების, ჩვენ გამოგვიცხადე ეგ ანბავი! ვეზირისა შეილმა მოახსე-
ნა: ფალავანო, მეც ერთი მწუხარება მაქვს გულშია, ვიცი, რომ საამ ფალა-

ნის მეტი იმ საქმეს ვერავინ შეიძლებს, მეც იმისი სასიამოვნო საქმე ვიცი და იმას მოვასხენებ! შემდგომად თეიმურთაშმა უბძანა: ყმაწვილო. ჩვენც საამ ფალავენისა ერთგულნი მონანი ვართ, რა იქნება, ჩვენც მოგვახსენოთ, თუ ფალავენისა სასიამოვნო ანბავი იცით. ვეზირისა შვილმა მოახსენა ფალავანთა: ფერიდუხტისთვინ დღეის იქით ნულარ იწუხებს. ფერიდუხტი ცოცხლებით იმყოფება. ფალავანთ უპასუხეს: სად იმყოფება, გამოგვიცხადე! ვეზირისა შვილმა მოახსენა: დიდათ რომ გესწრაფებოდა ფერიდუხტის ანბავი, იმიტომ მოგახსენე, ახლა მანამდინ საამ ფალავანს არ ვნახამ, ფერიდუხტ სადაც იმყოფება, ვერ გამოგვიცხადებ, როცა ფალავენისა ნახვა შედრისება, იმას მოვასხენებ და თქვენც მაშინ ჰსცანით. ჩემი წადილი ეს არის, რომ ფალავანი ვნახო და პირობა გამოვართო, რომ ჩემის გულის წადილი აღასრულოს და მეც იმისი სამსახური და იმისი ნება აღვასრულო.

რა ესე ანბავი ფალავანთა ჰსცნეს, დიდსა მხიარულებასა მიეცნენ და ესრეთ არჩიეს, რომ სჯობს, ესე ლაშქარნი შაფური შირდილს მივებაროთ და ჩვენ საამ-ფალავანი მოექებნოთ, მოემზადნენ და სამამაცო იარაღისა შეიკაზმნენ, ლაშქარი შაფური შირდილს მიაბარეს და თითონ ფალავენისა საქებნელად გაემართნენ.

ესრეთ მოუთხრობენ: იქამად რომ საამ ფალავანი თავის ლაშქარსა გაეყარა, შუალამიდამ განთიადის ყამამდინ ოცდახუთი ალაჯი გაეულო და ერთსა უცხოსა წყაროსთან მისულიყო, და იმა მალასა მთისა ასულიყო და იქ იმყოფებოდა. და მიწდერის მხეცნი და ნადირნი საამ ფალავანსა ესრეთ შემოსჩვეოდნენ, რომ აღარ ერიდებოდნენ, და ფალავენისა ტირილისა და ოგერისათვის ყური შეეჩვიათ, და ფალავენისა პირისპირ ზოგნი სძოვდნენ, ზოგი იწვენენ და ზოგთა ეძინათ, და ფალავენისაგან აღარ ეშინოდათ. აქეთ მხარეს თემურთაშ და სხვანი ფალავანნი სამი დღე და ღამე ფალავანსა ეძებდნენ. მეოთხესა დღესა იმა მალისა მთისა ძირსა მიაწიეს, იხილეს, რომ ერთი პირეული ცხვარი სძოვს; იმა ცხვრისა სიახლოვეს მივიდნენ და მცხვარესა საამისა ვიარება ჰკითხეს: მეცხვარემ მოახსენა: მე თვალთ კი არ მიწახამს, მაგრამ ამა მთისა წვერიდამა ერთისა ტირილისა და მწუხარების ხმას გაეიგონებ ხოლმე, და იმა მთისა ძირს ერთი უცხო წყარო გამოსდნენ, და იქ ერთი შეკაზმული შავი ცხენი სძოვს, არა სულდგმულს იმისი სიახლოვეს მისელა არ შეუძლია. ფრანგ დივზადამ რა ესე გაიგონა, მსწრაფლად წავაჰდა და ყურაბი თიქაურთან მივიდა, ორი კელე კისერულ გარდახვია, შუბლსა აკოცა და უთხრა: ჩვენი მოწყალე საამ ფალავანი რა უყავ, და ან სად იმყოფება? რა ყურაბი თიქაურმა ფრანგ დივზადა იხილა, თვალთაგან წყაროსაებრ ცრემლი განუტრევა და გაბრუნდა და პირი მთისაკენ მიიბრუნა, შექიხვინა. ფალავანნი იმა მეცხვარეს ანბავსა ჰკითხავდნენ, რომ შენ ცხვარს აქ აძოვებ და იმა ფალავანისა ანბავი გეცოდინება, გვითხარ! მეცხვარემ უპასუხა: სამი თვე არის, რომ ამ ცხვარს აქ ვაძოვებ. ერთს დღესა იმა მთისა ძირს ცხვარს ვაძოვებდი, ერთი საზარელი ტირილისა და მწუხარების ხმა გვესმა, და იმის საცოდაობის ხმაზედ ამა ცხვართ ძოვნა გაუშვეს, და იმ საცოდაობის ხმასა ყური მიუპყრეს და ყურება დაუწყეს, სამი დღე და ღამე ცხვარსა იქ ვატრიალებდი და არას სძოვდნენ, მრავალს ვეცადე, მენახა და გამეგო რამე, მაგრამ ვერაფერი ვერა ვსცან რა. იმა მწუხარებისა ხმამა რომ მეტათ შემაწუხა, ცხვარი წამოვასხი და აქ მოველ. იმა ლაპარაკსა იყვნენ. ფრანგ დივზადამ ყურა-

ბი თიქაური ფალავენბთან მოიყვანა და უთხრა: ფალავენო, უეკველად საამ ფალაენი იმა მთაში იმყოფებაო.

გამობრუნდნენ და იმა მთისაკენ წამოვიდნენ, იმა მთისა ძირსა წყაროსთან მოვიდნენ, და მთისა წვერსა ავიდნენ, შეხედეს, ნახეს, რომ საამ ფალაენი მთისა წვერსა ზის თავმოხდილი და მწუხარებასა მიცემია. რა საამისა სიახლოვესა მივიდნენ, იხილეს, რომ სახე ზაფრანისფრად შეცვლოდა, და თავისა ბალანი თვალბზუნდ დაფარებოდა, და მინდვრისა მხეცნი გარს შემოხვეოდნენ და ფალაენისაგან აღარ იმშობდნენ. რა ესრეთ იხილეს, მსწრაფლ ფალაენისაკენ გაქანდნენ, და ყველას ფრანგმა მიასწრო, ფალაენსა მუხლსა მოეხვია, და აკოცა და მოახსენა: ფალაენო, ათასი ჩემისთანა შენი ჰირის სანაცვლო იყოს, მომილოცავს, ფერიღუბტ ცოცხლებით იმყოფება. ფალაენნიც მოვიდნენ, და ფალაენს მოულოცეს და მუხლს აკოცეს.

ფრანგ დივზადამ მოახსენა: ფალაენო, იმ წყეულს ხაყან ჩინსა და იმ ეშნაკს ვეზირსა ფერიღუბტ საპყრობილესა დაუტუსაღებიათ და ეშნაკურის მანქანებით ფერიღუბტისა ტანისამოსი ერთას მოახლისათვის ჩაუცემვიათ, ჩარდახილად გადმოუდგიათ და მოუკლამთ და იმ ეშნაკურის მანქანებით მოგვაჩვენეს. ისინი ამგვარს მანქანებში არიან, და შენ აქ წამოსულხარ და ამ მხეცებთან თავს იკლამო მწუხარებითა! რამდენსაც ფრანგ მოახსენებდა, ფალაენი ყურთ არ უდგებდა და არას შეისმენდა ფრანგის მოხსენებულსა. შემდგომად თემურთამ შენ წამოვლდა და მოახსენა: ღმერთმან ნუ მოგცეს მწუხარება, იმ წყეულს ხაყან ჩინის ფერიღუბტ ფარულად ჰყავს. ეს ანბავი სწორეთ და ქეშმარიტად ვიციოთ. რამდენსაც ფალაენნი სიტყვას მოახსენებდნენ, საამ ფალაენს არა შეესმოდა რა და არც არა პასუხსა უგებდა. თემურთამემა ვეზირისა შეილსა ანიშნა. ყმაწვილი წინ წამოვლდა, ფალაენს თაყვანი-სცა და მოახსენა: ჭეი, შაჰიარო, მამოლოცამს, ეს ანბავი, რომელიც ფალაენთ მოგახსენეს, მე მოვიტანე და ფალაენთა მე მოგახსენე. ჭეი, ფალაენო, საბაოთ ღმერთს ვფიცამ, რომ ხაყან ჩინმა და იმ წყეულმა ვეზირმა მოგაცდუნესო, ფერიღუბტ ზარზამინში დაგიმალეს, და ფერიღუბტის ტანისამოსი ერთსა მოახლესა ჩააცვს, და ფერიღუბტის მავიერთა ეს საწყალი გადაადგეს ჩარდახილამ და მოკლეს, იმ მოახლის მცხედარი თქუენთვის უჩვენებიათ და თქუენ ფერიღუბტ გგონებიათ. დღეს მეექვსე დღე არის, რომ ჩემის თვალით მინახამს. ფერიღუბტისა დანი მოვიდნენ იმ საპყრობილესა, საფენი აკრიფეს და ზარზამინისა პირსა ახადეს. ქალები ფერიღუბტთან ჩაეიდნენ. ფალაენო, მე ის ადგილი ვიცი, საცა რომ ფერიღუბტ იმყოფება ტუსაღათა, ფალაენო, ხაყან ჩინის ასული ფერინუშ რა იმა ზარზამინისა პირსა ვიხილე, იმისი შეენებისა ისარი გულსა მეცა, თუ ამა წყალობასა მოიღებ და ფერინუშს მე მიბოძებ, მეცა, საღაცა ფერიღუბტ პყრობილათ იმყოფება, იქ მიგიყუანო.

საამ ფალაენმა რა ესე გაიგონა, ცნობასა მოვიდა და უბძანა: ჭეი, აქა მოსულა, ახალმოწიფულო ყმაწვილო, თუ ეს ანბავი მართალი არის და ფერიღუბტ საღაც იმყოფება, იქ მიმიყვან, საბაოთ ღმერთს ვფიცავო, რომე მაშინვე იმ წყეულსა ხაყან ჩინსაც მოკვლამ და ფერინუშსაც შენ გიბოძებ. შამსალ მულუქმა მოახსენა: ფალაენო, მაშაჩემმა ასაფ-ვეზირმა თავის სასახლისა ნაპირსა ერთი ოთახი ააშენა და თავის კერპსა ილოცამს ხოლმე. იქ ერთი ზარზამინი არის და ფერიღუბტ იქ ჰყავს პყრობილათაო, და თავის დებიც ფერიღუბტთან შეექცევიან. დიდმა ხანმა განელო, რომ ფერიღუბტ მარტო იმყოფებოდა საპყ-

რობილემოა. და მამაჩემი ვეზირი სანოვაგეს ფრუულად უგზავნიდა. და მე ვერა გავიგე რა. ხაყან ჩინის ქალები ფერიდუბტისათვის დღე და ღამე მოუწყვეტილად ტიროდნენ. იმ წყევლის ხაყან ჩინის გული მოლბა, და თავისი ქალები შეებრალდა და ფერიდუბტთან გამოსიტუმრა, მე ჩემსა სასასლესა გახლდი, ხაყან ჩინისა ქალები რამდენის მოახლეებით, მაშხალებით წინ მოუძლოდნენ და მოდიოდნენ. რა ზარზამინისა პირსა მოაღწიეს, იმქამად ფანჯრიდამ უყურებდი. რა ფერიდუბტმა ჩადრი მოიხსნა და ზარზამინის პირსა წარდგა, ესეთისა შევნებისა სხივი გამოკრთა, რომ ის არენი სულ განანათლა. იმისა შევნებასა კელარ გაუძელ. მაშინვე ცნობა მიმელო.

რა ვეზირისა შვილმა ესე სიტყვანი დაასრულა, საამ ფალავანი მთერალს ლომსავით განრისხდა და ფრანგს უბძანა: ყურაბი თიქაური მომგვარე! ფრანგმა მსწრაფლად მოიყვანა, ფალავანი ზე ადგა და ამხედრდა. საამ ფალავანი და ფრანგ დიეზადა და შამსალ მულუქე ჩინეთისაკენ გაემართნენ. არას ალაგს აღარ შეისვენეს და ჩინეთის ქალაქს მივიდნენ. ფრანგ დიეზადამ საგდებელი შესტყორცნა და ბურჯისა ერთს ქონგურს მოსდო. მსწრაფლად ავიდა, ვალავანსა გადავიდა, კარები გააღო. ფალავანი საამ და ვეზირის შვილი ქალაქში შევიდნენ. და ვეზირის შვილი წინ წაუძღვა და თავისის სასახლისაკენ წაიყვანა, კარსა მიასხა. ფრანგ კედელსა გადავიდა და სასახლისა კარი გააღო, და შიგნით შევიდნენ და ვეზირის შვილი წინ წაუძღვა და იმა საყერპოსა ოთახთან მოასხა. იმა ოთახისა კარი დაკეტილი დახვდა. და კლიტე მსწრაფლად გატეხეს და შორს გასტყორცნეს. შამსალ მულუქმა მოახსენა: ფალავანო, ფერიდუბტ აქ იმყოფებიანო. ოთახსა შველიდნენ, ტახტი აიღეს, საფენი აკრიფეს. ჭურღმულისა ბანი გამოჩნდა. შამსალ მულუქმა მოახსენა: ფალავანო. ხაყან ჩინის ასულნი აქ იმყოფებიან. მე ხომ ვერ ჩავალ. ფრანგმა სანთელი აანთო. წარდგა და ჭურღმულსა ჩავიდა, იხილა: ერთი ფარდა გაებათ. ფრანგმა ასწია, ნახა, რომ ფერიდუბტ და თავისი დები ერთთა მსხდომარენია.

საამ ფალავანი ფრანგს უკან მიჰყვა და ფარდას უკან დადგა. რადგან ფერიდუბტისა და საამის ერთთა შეყრისა ეამი მოახლოებულყო, ფერიდუბტისა გულსა ფალავანისა სიყვარული მიმატებოდა და იკონებდა. რამდენსაც რომ თავისი დანი ევედრებოდნენ, თავს ნუ მოიკლამ, მცირე რამ საქმელი მიიღე რამე, ფერიდუბტ არას შეისმენდა და არც არასა სევამდა, არც არასა სჭამდა და უპასუხებდა, რომ მე უფალავანთ სიციოცხლე რათ მინდა. დანი ნუგეშს აძლევდნენ, რომ ამაზე სარწმუნო იყავ, საამ ფალავანი საყერობილიდამ განგათავისუფლებსო. ამა ლაპარაკსა იყენენ. ფრანგმა ფარდას ასწია და ქალებსა თაყვანი-სცა. ქალებმა რა ესე იხილეს, ფრანგისაგან დიდათ შეშინდნენ. ფრანგმა მოახსენა: შვი, მნათობნო, საამ ფალავანი გიანჯლათ და აწ აქ იმყოფება. რა ფერიდუბტმა ესე გაიგონა, გამობრუნდა და ფრანგსა უპასუხა: შვი, კარგისა ამბისა მომტანო. ჩემი თავი შენის ბატონის ჰირის სანაცვალო იყოსო. ამა სიტყვის თქმაზედა საამ ფალავანი შევიდა. რადგან ფალავანსა მინდორში სიარულითა პირისახე შვშოლოდა ავის ავდრისაგან, ფერიდუბტმა კელარ იცნა და ფალავანსა უთხრა: შენ ასე არ მითხარი ფალავანო, საამ მოვიყვანეო. იმის მაგერათ სხვა მოგიყვანია ვილაცა. საამ ფალავანმა უპასუხა: შვი, ჩემო სიციოცხლე ფერიდუბტ, სხვა უცხო ეინა გგონივარ, მე ვარ შენი საყვარელი და შენის ცეცხლისაგან დამწვარი საამ ფალავანი.

რა ფერიდუბტმა საამისა ხმა გაიგონა, ხმასა ზედა იცნა ფალავანი. ფერი-

დუბტ ზე ადგა და ფეხზედ მოეხეია, ფალავანმა ჯელი მიაშველა, ააყენა, მადლა აიყენა და გულზედ მიიკრა, ესაყვარლა და ისევ ძირს დასო. ფერინუშმა ერთო ჯამი ღვინო მიაართო, ფალავანმა ჩამოართო და შესო. ერთი ჯამი ღვინო შაქარნუშმა მიაართო და შესო. ფერიდუხტმა მოახსენა: ჭეი, ჩემო სიცოცხლის მიზეზო და ჩემო სატრფიალო, აქა შექტევის ეპი არ არის, წავიდეთ ჩვენსა ლაშქარში, ამდენის ხნის მწუხარებამ ღონე მომტაცა. შეძლება არა მაქვს, პატარას მოსვენებასა მივეცე. ფალავანო, ღიღი ხანია ამა საპყრობილეში ვიძყოფები ტანჯვითა. ფალავანმა ფრანგსა უბძანა: ფერიდუხტ მადლა აიყვანე, ჩვენს ლაშქარში წავიდეთო. შაქარნუშმა და ფერინუშმა მოახსენეს: ფალავანო, ჩვენც თქვენს ლაშქარსა წავგიყვანეთ, თორემ მამაჩვენი ხაყან ჩინი არც ერთს ცოცხალს არ გაგვიშვებს. ფალავანსა ღიღათ იამა, ადგნენ და ზევით ამოვიდნენ ჭურღმულიდამ. ფრანგს და შამსალ მულუქს უბძანა: წადით და ვეზირის თავლიდამ თოთხმეტი შეკაზმული ცხენი გამოიყვანეთ. წავიდნენ, სწრაფლად დაკაზმეს უცხოს უნაგრებითა და რახტებით და ფალავანთან მოახსეს. ფალავანმა ქალები თავისის მოახლეებით შესხა და თავის ლაშქარისაკენ გაემართნენ. შამსალ მულუქმა მოახსენა, თუ თქვენი ნება იქნება, წავალ და მამაჩემს ვეზირს დაენეღამ. ფალავანმა ნება დართო. ყმაწვილმა ფრანგ თან წაიყვანა და თავის მამის ოთახში შეიყვანა. იხილეს, რომ ვეზირსა სძინამს. ფრანგ წინ წარსდგა, ვეზირსა პირი აუბღუჭა. ილიაში ამოიჩარა და მსწრაფლისა სიარულითა ფალავანთან მოვიდნენ.

ამჟამად საამ ფალავანი ქალაქსა გარეთ გამოსულყო. რა ფალავანმა ფრანგს შემოხედა. იხილა, რომ ვეზირი კატის კნუტივით ილიაში ამოუჩრია და საწყლად სტირის. ფალავანმა მრისხანის თვალთ შემოხედა და შეუძახა: ჭეი, შე უსჯულო და ეშმაკობით საესეო, ფერიდუხტმა აგეთი რა გაწყენინა, რომ ესდენსა ეპსა ჭურღმულსა სტანჯე, ჭეი, შენ უსჯულო, არ იცოდი, რომ ჩემი დამბადებელი ჩემს საწყადელს აღმისრულებდა და შენს თავს ჯელში ჩამიგდებდა? უმსგავსმა ვეზირმა პასუხი ვეღარ შებედა და თავი დაბლა დაჰკიცა საამ ფალავანი თავის ფალავანებითა თავისსა ლაშქარსა მიბძანდა.

რა ლაშქრისა დიდებულთა სარდალთა და ფალავანთა საამ ფალავანისა თავისსა ლაშქარში მობძანება მსცნეს, ერთობით მოვიდნენ და თავყანი-სცეს. აყანდსა აკოცეს, დალოცეს და ქება შეასხეს. ფალავანი თავის კარავსა გარდახდა, სარდალნი და ფალავანნი თავ-თავის განწესებულს ალაგსა დასხდნენ. თემურთამ წინ წადგა და ფალავანს მოახსენა: სჯობს, რომ ბძანება მისცეთ და ჩვენსა ლაშქართა ესე ამბავი ვაცნობოთ, გათენებისა ეპი არისო, სიფრთხილითა იყვენენ, რომ წყეული ხაყან ჩინი უეცრათ არ მოგვიხდეს და ზიანი არ მოსცესო ჩვენსა ლაშქარსო. ფალავანმა ბძანება მისცა და შეატყობინა ლაშქარსა. ყოველნი სულნი ამა საქმეს დიახ მხიარულებასა მიეცნენ და საომართა იარაღითა აეკაზმნენ, ფალავანისა კარავსა შემოკრბენ და თავყანი-სცეს და ფეხსააკოცეს. ფრანგ დივზადამ ბძანება გასცა: ამა ლაშქარსა შუა ერთი მაღალი ძელი ამართეთო.

მსწრაფლად ერთი მაღალი ძელი ამართეს ამა ლაშქარისა საშუალსა ადგილსა, ნალარახანისა აშალს მოუწოდეს და უცხოსა ხმითა ნალარახანი დაუკრეს და ერთობით ლაშქარსა მოუწოდეს, დასტა-დასტა დაწყობითა ოთხსაე მხარეს განაწესეს და ის საწყალობელი ვეზირი ძელისა ძირსა ამოიყვანეს. ფრანგ დივზადამ წინ წადგა და ასაფ-ვეზირსა უთხრა, რომ მცირესა ხანსა აქა ცალისა

ქელთ უნდა ჩამოეცილო და, თქვენც გემო ნახეთ, როგორი გემო აქვს ტანჯვასა და პყრობილობასა. ამისი გამგონე ვეზირი საწყლად სტიროდა და ფრანგს ევედრებოდა, მაგრამ ფრანგ არ შეისმენდა ლაყაფსა. გაატიტვლა და ცალი ქელთ ძელზედ ჩამოჰკიდა, და ლაშქარსა უთხრა: ერთიანათ არ ესროლოთ ისარი, თითო-თითო დაუშინეთ, რომ ეგ ეშმაკი წეალებითა და ტანჯვითა მოველათ. საამს დღეს იმ ტანჯვაში ჰყვანდათ და შესამეს დღეს თავისი ძალი სული ჯოჯოხეთსა შიაბარა.

საამ ფალავანმა ვეზირის შვილს შამსალ მულუქს ფერინუშ უბოძა და იმისი უფროსი და შაქარნუშ შაფური შირდილის უბოძა და უბძანა, რომ დღეს იქით თქუნესა საწყლად მიეცენითო. ვეზირისა შვილმა ფალავანსა მუხლსა აკოცა და მადლობა მოახსენა. ფალავანმა უცხო კარაენი დაადგმევინა. შამსალ მულუქ და ფერინუშ იმ კარავსა შევიდნენ და ერთმანეთსა სიყვარულითა და აღერსითა შეაქცევდნენ. შაფური შირდილმა შაქარნუშ თავისის მოახლეებითა თავისსა კარავსა მიიყვანა და ისინიც ისე შეექცეოდნენ. ფერიდუხტ თავისსა არამხანაში ბძანდებოდა და საამ ფალავანი ხშირად შევიდოდა, და მცირესა ხანსა ფერიდუხტთან შეექცეოდა, ისევე თავისსა კარავსა საგარეოს დიდებულთან მოვიდოდა.

იქით მხარესა ხაყან ჩინსა მოხსენდა, რომ საამ ფალავანი და ფრანგ დიუზადა მოსულან, ვეზირისა შვილი შამსალ მულუქ მოსძლოლია, ფერიდუხტ თავისის ღებითა საპყრობილისაგან განუთავისუფლებია და ასაფ-ვეზირი პყრობილათ წაუყვანიათ, და თავისა ლაშქარსა წასულან, ვეზირი ძელზედ ჩამოუციდებიათ და ისე ისრის სროლითა სატანჯველით მოუკლავთ. ხაყან ჩინმა რა ესე გაიგონა, საზარლად ამოიხზრა და დიდათ განრისხდა, და ბძანება გამოსცა: ქანარები გასწიეთო და ლაშქართა მოუწოდეთ, ხაყან ჩინი ქალაქსა გარეთ გამობძანდა თავისისა დიდებულებითა, სარდლებითა, სულთნებითა და ფალავნებითა. წეიდნისა პირსა კარაენი დასცეს, ტახტსა დაბძანდა, დროშანი გამალეს და სხვანი სარდლები და დიდებულნი თავ-თავის განწესებულს ალაგს დასხდნენ.

რა საამ ფალავანმა ხაყან ჩინის ლაშქარი იხილა, თავისისა ლაშქარის სანი აილო და რიცხვით ორმოცდათხუთმეტი ათასი კაცი მეომარნი იყვნენ. იქით მხარესა ხაყან ჩინმა თავის საბძანებელში წიგნები გაგზავნა და ლაშქარი მოიწვია. ერთი წიგნი ქეივან დევსა მისწერა, რომელიც რომა ბარაინის ქალასა მკვიდრობდა. ის წყეული ნაპანგალ დევის ძმა იყო და შემწედ მოიწვია. ხაყან ჩინსა ლაშქარნი ყოვლისა მხრიდამ შემოაკრბენ, სანი ნახეს და რიცხვით ოცდაათი ათასნი მეომარნი იყვნენ, და თავ-თავის განწესებულს ალაგს კარები დასცეს და დადგნენ.

რამდენსამე დღესა უკან ქეივან დევის ელჩი იახლა, თავიანი-სცა და მოახსენა: ქეივან დევი ხუთი ათასის ცეცბლისმფრქვეველის ხვადის დევითა თქვენს შესაწვენელად მოვა. ხაყან ჩინმა ბძანა: სამხიარულო ნაღარა დაუკარითო. აქეთს მხარესა ამათის ნაღარის ხმა საამ ფალავანსა და დიდებულთა მიესმათ, ფალავანმა იკითხა, ეს რა ამბავი არისო. მოახსენეს: ფალავანო, ქეივან დევი ხაყან ჩინის შემწედ მოდის და იმის სიხარულის ნაღარას ჰკრესო.

საამ ფალავანმა რა ესე გაიგონა, არაფრათ მიიჩნია: იმისმა ძმამ ნაპანგალ დევმა რა მიყო, რომ მაგან რა ქნას. თუ ჩემი დამბადებელი ჩემ კერძო არს, მე შავისთანა დევნი ვერას მიზმენო. ნაპანგალ დევი სიმაღლითა დიდს მიწარას

პკვანდა, მკლავები დიდის ჩინრის ტოლები ჰქონდა, იმან რომ ვერა მძლია, ეგ რას დამაკლებს, და ან ხაყან ჩინს რას შემწეობას უზამს. შამსალ მულუქს შეხედა და უბძანა: შენი ჩინეთის ქალაქში გაქელმწიფების ეამი მოახლოებულა. შამსალ მულუქმა თაყვანი-სცა. და ლოცვა და მადლობა მოახსენა და მუხლსა აყოცა. ფალავანმა უბძანა, ლაშქარი ამხედრეთო, თითონაც სამამაცოსა იარაღითა შეიკაზმა, ყურანი თიქაურსა ამხედრდა. თავისისა ლაშქართა ხაყან ჩინის-ლაშქრისა პირისპირ დასტა-დასტა საფ-გაწვეით თავ-თავის განწესებულს ალაგს დასდგნენ, და გარსაშობისეული დროშა გაშალეს. ის დროშა ვეშაისა ტყავისა იყო, საამ ფალავანის გვერდით დაიჭირეს. აქეთ მხარესა ხაყან ჩინისა ლაშქარნი ამხედრდენ და გარიგებით თავ-თავის განწესებულს ადგილს დადგნენ. ხაყან ჩინმა სპილოზე საწვლმწიფო ტახტი დაადგმევინა, და ზედ დაბძანდა და თავისი მგლის ტყავის დროშა გააშლევინა. ორისევ მხრისა ლაშქართა თვალი მეიდანსა ეჭირათ: ვნახოთ, დღესა ვინ გამოვა მეიდანსა, ანუ ვისი ცხენი უპატრონოთ გამობრუნდებო. ამჟამად ერთისა მხრისაკენ დიდი მტვერი აღდგა. რა მტვერი გარდაიყრა, დევისა ლაშქარი გამოჩნდა, და ერთი დევი წინ მოუძღოდა. სამოცდაათის მწყურთის სიმაღლისა შქონე იყო, რკინისა კეტი მხარზედ გაედო და განრისხებული მოვიდოდა. ხაყან ჩინის პირისპირ მოვიდა, თაყვანი-სცა და მოახსენა: ვინ არის შენი წინა აღმდგომიო, მითხარ, რომ იმისი სახსენებელი ქვეყნიდამ აღვხოცო. ხაყან ჩინმა უპასუხა: დროშასთან რომ შავი ცხენოსანი კაცი დგას, საამ ის არის.

ქეივან დევმა თავი დაუქრა და მეიდანსა გამოვიდა და საამ ფალავანს შემოსძახა: შეი, აღამიანთა მონათესავეო, ჩემსა საომრათ მეიდანს გამოდი, რომ შენი სახელი ქვეყნიდამ აღვხოცო. საამ ფალავანმა რა ესე გაიგონა, გამობრუნდა და თავისი დროშა და ლაშქარი თეიმურაზთაშსა მიაბარა, და თითონ განრისხებული გამობრუნდა და გარსაშობისეულს ას ოთხმოცისა წყურთისა ფოლადისა შუბსა კელი მიჰყო, და ორისა თითის ტრიალით განრისხებულსა დევსა მიმართა და შეუძახა: გამიფრთხილდი, მოველ შენი სულთა მხდელი. ქეივან დევი ამა სიტყვაზედ განრისხდა და შემოსძახა: შეი, უმგზავსო, როგორ გაბედე შენა ჩემი ომი. მე საამისა საომრად მოველი, შენ ვინა ხარო. საამმა განრისხებული ხმა შემოსძახა: შეი, შე უმგზავსო, ბილწო, მე ვარ ნარიმანისა ძე საამ. ქეივან დევმა შემოსძახა: ჩემნი ძმანი ნაპანგალ დევი და მაქუქალ დევი, ზინდა ჯაღო შენ დახოცე? ფალავანმა უპასუხა: მე დაეხოცე და ვაპირობ, რომ ღმრთის შეწევნითა შენც იმათსა კვალსა გაგიყენო! დევი განრისხდა და მალისა ხმითა დაიძახა: წყეული იყოს იმათი სახსენებელი, რომ შენისთანას უმგზავსოსა ქელითა დახოცენენ. ესე სიტყვა სთქვა და თავის რკინის კეტს კელი მიჰყო, რომელსაც რომ შვიდი წისქვილის ქუა ჰქონდა დამაგრებული. განრისხებულმა რამდენჯერმე თავსა შემოივლო, საამ ფალავანსა მოუხდა და დასაკრავათ მოუქნივა.

საამ ფალავანმა რა ესე იხილა, გარსაშობისასეული ფარი ცალისა კელითა თავსა დაიფარა და სამამაცოთ დადგა. ამ წყეულისა რკინისა კეტი საამისა ფარსა ესრეთ ეკვეთა, რომ თუმცა იალბუზის მთისათვის დაეკრა, იმასაც დაარღვევდა, მაგრამ ფალავანსა მკლავიც ვეღარ მოუღრიკა. და იმ წყეულს ესრეთ ეგონა, რომ მიწასთან გავასწორეო. გაბრუნდა და ხაყან ჩინსა თაყვანი-სცა და მოახსენა: მომილოცამს, რომ საამ ფალავანი ერთის კეტის დაკვრით მიწასთან გავასწორეო. საამ ფალავანმა ისეთისა მალისა ხმით გაიციხა, რომ ორსავ მხრი-

სა ლაშქართა გაიგონეს. საამ ფალავანმა თავისი ფარი ბექსა გარდვლო და მალ-
ლისა ხმით შესძახა: ჭეი, შენ წყეულო, დევთა ნაშობო, რა მამაკობა ჰქენ, რომ
ამდენსა სტრაბახობ და მხიარულობ! საამ ფალავანი უნაგირსა გამაგრდა, და
გარსაშობისეულს ხარის თავის სახეს, ფოლადის ცხრაასლიტრიანს გურზსა
ქელი მიჰყო და მალლისა ხმითა შესძახა: ჭეი, შე წყეულო, მოველ შენთა სულ-
თამხდელი, ჩემისა გურზისა ძლიერებას მოუცადე!

დევმა, რა ესე ფაგონა, თავისი კეტი რკინისა ორისა ქელითა ფარისა მა-
გიერთთა თავისა დაითვარა, მიუხდა და თავსა დაქრა. იმა გურზისა ძლიერებისა-
გან ისეთი ძალა დაადგა, რომ შეილდურათ წელში ორად მოიხარა. საამ ფალა-
ვანსა ყურაბი თავაურმა თავში გასწივა და მეიდნის თავსა გაიყვანა. ფალავანსა
ყურაბა თავაური გამოიბრუნა, მოვიდა და შემოსძახა: ახლა რიგი შენი არის!
დევმა თავისი რკინის კეტი საამ ფალავანსა მოუქნია. ვალავანმა ფარსა აატანი-
ნა. საამ ფალავანმა მეორედ, თავისი გურზი რამდენჯერმე თავსა შემოივლო.
ლამოდა დევისა დაკვრასა. დევმა გულსა შინა თავისსა განიზრახა: მე ამ გურ-
ზისა ძალასა ვეღარ გაუძლებო, გაქანდა და ფალავანსა ორისა ქელითა მარჯვე-
ნასა ქელსა ქელი შესტაცა. ფალავანმა გურზი შორს გასტყორცნა, დევსა ცა-
ლი ქელი საყელოს ჩაავლო და მეორე ქელი სარტყელში გაუყარა, დვეივ მის-
წიდა და ერთმანეთს მედგრად ერკინენ და შეიქედნენ. დიდხანს იქიდავეს, საამ
ფალავანმა სიმხნესა ძალი მისცა, მალლისა ხმითა ღმრთის სახელი ახსენა, დაიქ-
ნივა დვეი, მედგრად ასწია, თავისა სისწორ აიყვანა, რამდენჯერმე თავსა შე-
მოივლო, ესრეთ მედგრათ დასცა მიწასა, რომ იმისი ტანის სახე მიწასა ზედა
გამოისახა, მსწრაფლად მკერდსა შეახტა ესე თავი ტანთაგან განაშორა და, რო-
გორც აღუთქუა, ისეთ თავის ძმის კვალსა შეაყენა, და იმისი ბილწი სული ჯო-
ჯობეთს მიაბარა.

დევთა რა ესე იხილეს, ერთობით საამ ფალავანს შემოუტივეს. საამ ფალა-
ვანი თავისისა ყურაბი თიჭურსა ამხედრდა და თავისის ას ოთხმოციტრიანს
ქმალს ქელი მიჰყო და დევთა ლაშქარში გაერია, რომელსაც დევს თავსა დაქე-
რემდა, სარტყელმდინ გააპობდა და. რომელსაც წელზედ შემოჰკრემდა, შუა-
ზედ გაწყვეტდა. საამისა ლაშქრიდამ თემურთამ სახელოვანმა. შაფური შირ-
დილმა სეილი ჯანსუზმა, ყალვადმა და ყულუშმა თავისის ლაშქართა დევთა
ლაშქართა მიესივნენ და უწყალოდ სერა დაუწყეს, და ერთი მეორესა უძახდა:
ჰკარ, მოჰკალ, შეიჰყარ, და ნურც ერთსა ცოცხალსა ნუ განუტევებო. საამ ფა-
ლავანი ბაირახტარს შემოხვდა და ესეთი ქმალი შემოჰკრა, რომ ბაირახტარი და
ბაირალი ოთხათ გაკეთა. თურქისტნის ლაშქართა ერანელთ ომი ვეღარ გა-
ბედეს, სადავე გაიბრუნეს გასაქცევათ. თემურთამ თავისის ლაშქრითა უწყა-
ლოდ ხოცდა თურქთა ლაშქართა. იქითის მხრილად ხაყან ჩინი მედგრად იბრძო-
და და თემურთამის ლაშქართა უწყალოდ ხოცდა. მეორეს მხრილად ხაყან ჩი-
ნის ომი ევლარაინ გაბედა და გასაქცევად სადავე გამოიბრუნეს.

რა თემურთაშმა ესე იხილა, თავის ბიძას ხაყან ჩინს შეუტრევა და ცხენ-
მიივლო. ხაყან ჩინმა ხმალი დასაქრავად მიუტანა. თემურთაშმა მოქნეულსა
ხმალს ფარი მიაგება, ხმალი ფარსა ეკვეთა და ხმლისა შაშარი თემურთაშსა
წარბსა ეკვეთა და არა მცირედ დაკოდა. თემურთამ მთერალს ლომსაგით გან-
რისხნდა, თავისსა ბასრსა ქმალსა ქელი მიჰყო, ესრეთი მედგრად შემოჰკრა წელ-
სა, რომ შუაზედ გაკვეთა და ორათ გაკვეთილი ძირსა დაეცა. თემურთამ გა-
მობრუნდა და საამ ფალავანის დროშასთან მივიდა. დადგა. ხაყან ჩინის ლაშქარ-

მი გაიქცნენ, ზოგნი ბებანსა გარდაიხვეწნენ, ზოგნი ქალაქში შევიდნენ და ზოგნი ომსა შინა დაიხოცნენ და ზოგნი ცოცხალი შეიპყრეს, ერანის ლაშქართა ხაყან ჩინისა ხაზინანი და კარაენი იავარპყვეს.

საამ ფალავანმა გასაყარისა ნალარისა დაკერა უბძანა და თითონ ერთსა გორასა აბძანდა, და ლაშქარნი იქა შემოკრბენ და ფალავანსა გამარჯვება მიულოცეს. წამობძანდა და თავისსა ურდოსა მობძანდა, და გარდახდა და თავისსა კარავსა ტახტზე დაბძანდა, ლაშქარნი თავ-თავის განწესებულს ალაგს დადგნენ, სარდალნი და დიდებულნი ფალავანს იახლნენ და თავ-თავის განწესებულს ალაგს დასხდნენ. თემურთაშ და ფრანგ დიუზადა დაკოდილნი საამ ფალავანთან მოიყვანეს. ფალავანი ზე აღდა, თემურთაშს გარდაეხვია და პირსა აკოცა, და ხაყან ჩინის ვითარება ჰკითხა. თემურთაშმა მოახსენა: ფალავანო, ხაყან ჩინსა ომსა შინა შევხვდი და ხმალი შემომპყრა და წარბსა დამოცდა, ჩემი მოქნეული ხმალი წელსა ეკვეთა და შუაზედ გავკვეთე. საამ ფალავანმა უბძანა, კემწიფეს როგორ კადრე სიკვდილიო. თემურთაშმა მოახსენა: თუ იმას არ გამოვეძებტე სასიკვდილოთა, არც მე გამოვიმეტებდი. საამ ფალავანმა ფრანგს უბძანა: შენ წადი და ნაომარსა ალაგსა ხაყან ჩინის გვამი იპოვე და აქ მოიღე. ფრანგ მსწრათლად წავიდა მცირისა ლაშქრითა, ხაყან ჩინის გვამი იპოვა ორათ გავკეთილი, და ფალავანისა წინაშე მოიღო.

საამ ფალავანმა კემწიფურისა დიდებით ხაყან ჩინი დამარხა და სამ დღეს იგლოვა. მეოთხეს დღეს საამ ფალავანი ფერიდლუბტისა კარავსა მიბძანდა და შაქარ და ფერინუშ ფერიდლუბტისა კარავსა იმყოფებოდნენ, და თავიანთ მამას ხაყან ჩინს იგლოვდნენ. ფალავანმა დიდის თავაზით და ვედრებით შავი გახადა. თალბობილამ გამოიყვანა, საამ ფალავანმა თავისი ლაშქარი ფალავანთა მიიბარა და თითონ ქალებითა ჩინეთისა ქალაქს წაბძანდა, და ხაყან ჩინის ქალაქსა და სასახლესა მიბძანდა. დასხდნენ და მექლიში გამართა. ლხინითა და ღვინის სმით შეექცეოდნენ.

მეორესა დღესა საამ ფალავანი გარეთ გამობძანდა, შამსალ მულუქს ფერინუშ უბოძა და შაქარნუშ შაფური შირდილს უბოძა. მძიმე ქორწილი გარდაიხადა. შაფური შირდილმა შაქარნუშ თავისსა სასახლეს მიიყვანა. შამსალ მულუქ და ფერინუშ არამხანისა ერთსა ოთახსა მიიყვანეს და იმ დამესა თავისსა საწადასა ეწივნენ.

მეორესა დღესა საამ ფალავანმა შამსალ მულუქს ჩინეთისა კემწიფობა უბოძა და საკემწიფო გვირგვინი თავსა დაადგა, აიყვანა და ტახტსა დასვა, და ფრანგ დიუზადას უბძანა: ჩვენი ბძანება გამოუცხადე, რომ აქაური თეთრი შამსალ მულუქის სახელზედ მოსჭრან! გაისტუმრა. შემდგომად საამ ფალავანმა ფრანგსა უბძანა: ხაზინანი გაახვენ და ერთობით ლაშქართა კმასაყოფლად განუწილე; და შემდგომად ფრანგსა უბრძანა, რომ ესამი არს ჩვენი ერანის ქუეყანას წასვლისა. გემები მოამზადებინე, აქაური ხაზინანი და ნაჰანგალის დევის ხაზინანი, და ნაჰანგალ დევისა ბალახითა გატენილი ტყავი, და ზინდა ჯადოს ხაზინანი, და მაქუქალ დევის ხაზინანი და რიზვანფურის აღმასისა თილისმილამ გამოტანილი ხაზინანი, და ხაყან ჩინის თავი, ჯიმშილ შაჰის ნაქონი თავი, რომელიც რომ ხაყან ჩინის მივართვით, ხაზინანი სრულებით გემებსა ჩააწყვე და მეწინავეს სარდალთა გამოუცხადე, რომ ერანისაკენ გაემართნენ, და ჩვენც, ჩვენის ლაშქრითა და არამხანითა წამოვალთ.

ფრანგ დიუზადამ ფალავანისა ბძანებისამებრ აღასრულა, და შემდგომად

საამ ფალავანმა შაფური შირდილსა და სეილი ჯანსუზსა უბძანა: თქვენ, როგორც თქვენს ფალავნობას მართებდა, ისე მამეთ და მემსახურეთ, და ამის მუქაფათა ჩინეთისა საჯემწიფოში აღირჩიეთ, და იქ გაგაქემწიფებთ, და შამსალ მულუქთან ერთობა და სიყვარული გქონდესთ და, თუ მტერი აღვიჩნდეს საითმე, სამნივ ერთად შეკრებოდეთ და ავთ მოყარობოდეთ! და შემდგომად თემურშას უბძანა: შენ მაჩინისა კემწიფე ბძანდები და იქაურსა საქმეს განაგებდე, მოსვენებასა და შექცევისა იყავ!

ფალავანთა რა ესე გაიგონეს, დიდათ ეწყინათ და მოახსენეს, შვი, სახელგანთქმულო ფალავანო, ჩვენსა სიცოცხლესა თქვენსა სამსახურში ადვასარულებთ, საითაც თქვენ წაბძანდებით, ჩვეც თან უნდა გიხსლოთ, უშენოთ ჩვენი სიცოცხლე ღიბს გამწარებული იქნების. საამ ფალავანმა რა ესე სიტყვანი მოისპინა, დიდათ იამა და მადლობა მოახსენა, გარდებვია და სამთავ შუბლზედ აკოცა და უბასუხა: თქვენგან მე რომ ესდენი სიკეთეები და სიყვარული მამაგონდეს, საბაოთ ღმერთს ვფიცამ, რომ უთქვენოთ ჩემი ყოველი დიდება და პატივი და სიმზიარულე ჩემთვის გამწარებული იქნება, ღმერთმან შემძღობინოს თქვენი მაგიერი სამსახური.

იმ დღეს იქ განისვენეს. მეორესა დღესა თავისისა ლაშქართა, ფალავნებთა და სარდლებითა ერანისაყენ გაემართნენ: და ფრანგ დივზადასა უბძანა: შენ მანუჩარ კემწიფესთან უნდა გავისტუმრო და ჩვენი ვითარება უნდა შეატყობინოთ! წიგნები დასწერეს და ფრანგს მოსცეს. ფალავანმა უბძანა: შვი, ჩემო საყვარელო ძმომ ფრანგ, სწრაფისა სიარულითა უნდა მიხვიდე მანუჩარ კემწიფესთან და წიგნები თავ-თავის პატრონს მოსცეს! ყოველი ჩემი ანბავი წერილათ მაინობე და იქაური ანბავი მალე მოგვიტანე. ფრანგმა თაყვანი-სცა, და გამოესალმა და ერანისაყენ გაემართა, დილის ნიავსავით სწრაფლად წაიდა და ერანისა სამძღვარსა მიაწია.

ესე ანბავი აქა დაუტეოთ და მცირე რამ დასაველეთის კემწიფის ანბავი წარმოეთქუათ

ამჟამად დასაველეთისა კემწიფე აღის ძე შადადი კემწიფე კემწიფობდა, და იგი წყეული თავისა თვისისა ღმრთად ხადოდა. სასუფეველი და ქოქობეთი გაეკეთებინა და იმისა ტახტისა პირველნი ფალავანნი ორნი იმყოფებოდნენ. ერთსა სახელად ეწოდა შიმუდად და მეორესა აღიშიმუდად. ორნივე დიდის ძლიერების მქონე იყვნენ. შადად კემწიფე სამოცის ათასის მეომრისა ლაშქრითა ერანისა მხარეს დასალაშქრავთ გაისტუმრა და უბძანა, რომა ერანისა ქალაქსა ხარაჯი უნდა აკრიფოთ.

რა ესე ანბავი მანუჩარ კემწიფისა ჩაშუშთა ჰსცნეს, მსწრაფლად მოვიდნენ და მანუჩარ კემწიფესა მოახსენეს. მანუჩარ კემწიფემ მსწრაფლად წიგნები გაგზავნა და თავის საბრძანებელში ლაშქარსა მოუწოდა. ამ ამბავსა იყენდა რომ ფრანგ დივზადა მანუჩარ კემწიფესთან შევიდა, თაყვანი-სცა და საამ ფალავანისა მშვიდობა ახარა, ამოიღო საამ ფალავანისა არზა და მანუჩარ კემწიფეს მიართო. მანუჩარ კემწიფემ აიღო და საამ ფალავანისა ბეჭედსა დახედა, აკოცა, თვალბეზედ მოისუვა. შემდგომად სხვა წიგნი მიართო, რომელშიაც საამ ფალავანისა გარდასაველი თვითეულად ეწერა. კემწიფემაც თვითეულად აღმოიკითხა. მანუჩარ კემწიფე დიდათ გამზიარულდა და საამ ფალავანის ერანისაყენ წამოსვლაზედ ერთი წიგნი ფრანგმა საამ ფალავანისა მამასა ნარიმანს მი-

რთო; და მეორე წიგნიც ამოიღო საამ ფალავნისაგან, თავისსა პაპას გარსაშიბს დიდის პატვიით მიწერალი წიგნი მიართო.

გარსაშიბ დიდათ მოხუცებული იყო, და წელში ორად იყო მოხრილი. რა საამ ფალავნისა წერილი იხილა, დიდსა მზიარულებასა მიეცა და ღმერთს მადლობა შესწირა. შემდგომად ფრანგ საამისა დედას უმონ ხანუმთან მივიდა და თაყვანი-სცა, და საამ ფალავნის წიგნი მიართო. რა საამისა წიგნი უმონ ხანუმა აღმოიკითხა, დიდსა მზიარულებასა მიეცა და ფრანგს უბძანა: ჭვი, ჩემო საყვარელო ძმავო ფრანგ, რადგან ესდენი სიკეთენი გიქნია საამ ფალავნისთვინა. ჩვენზედაც ესდენი სიკეთე უნდა ჰქნა, რომ მსწრაფლად უნდა წახვიდე და საამ ფალავანი მოიყვანო, რომ თორმეტი წელიწადი შესრულდა, ფალავანი საამ ღლარ მინახამს, მე ამაზე მეტს მწუხარებას ვეღარ გაუძლებო. მანუჩარ ჯემში-ფემა ფრანგს უბძანა: შენ უნდა წახვიდე მსწრაფლისა სიარულითა და სააჟ ფალავანი მოიყვანო, რომ შადად ჯემშიფისა ლაშქარი მოეა ჩვენსა სამტეროთა. წიგნები დაწერა და ფრანგს მისცეს.

ფრანგმა თაყვანი-სცა, გამოვიდა და მსწრაფლისა სიარულითა დღე და დღე ვლო, და ბაღისა ქვეყანასა მივიდა. საამ ფალავნისა ლაშქარი იქა ჰპოვა. მსწრაფლ მივიდა, ფალავანსა თაყვანი-სცა და მანუჩარ ჯემშიფისა წიგნები მიართო. რა ფალავანმა საამ მანუჩარ ჯემშიფის წიგნები წაიკითხა, ამდენის ხნის დაშორებისათვის მრავალნი მწუხარებანი მიეწერა, საამ ფალავანმა რა ესე სრულიად აღმოიკითხა, დიდსა მწუხარებას მიეცა და ტირილი დაიწყო. საამ ფალავანმა მსწრაფლად ბძანა, ასაყარს ნალარას დამკარითო. მსწრაფლად ლაშქარი აიყარა და ერანისაკენ წავიდა. ფერიღუხტ თავის მოახლეებითა ქეჯოში დარჩა, და შაქარნუმ, ხაყან ჩინის ასული, შაფური შირდილის მეუღლე იყო. ესეც თავისის მოახლეებით ქეჯოში ჩასხეს. რადგან ფრანგ დიუზადამ შადადის ლაშქარის ანბავი საამ ფალავანს მოახსენა, ფალავანი დიდათ ისწრაფდა და ჩქარისა სიარულითა პვლიდა, და შამისა ქალაქისა სიახლოვესა მივიდნენ. იქ ერთს უცხოსა პაეროვანსა და მწვანოვანსა ალაგს გარდახდა, და კარავნი დასცეს და თავ-თავის განწესებულს ალაგს დასხდნენ.

ის ალაგი უცხო შესაქცევი და სანადირო ადგილი იყო. საამ ფალავანმა ბძანა: ლაშქარმა რამდენსამე დღეს აჟ განისვენოს, მე ცოტას ხანს ნადირობითა შევექცევი. თითონ მტენსა ამხედრდა, ფერიღუხტ თავისის მოახლეებით თან წაიყვანა, ფრანგ და რამდენიმე თავისი მოსამსახურეები თან წაიყვანა, სარდალნი და ფალავანი ლაშქარში შეექცეოდნენ.

საამ ფალავანი უცხოთ შეექცა ნადირობას და ურიცხვნი მფრინველნი, ოთხფეხი ინადირა. ფრანგმა იმა სანადიროს მწვანოვანს ერთსა ალაგს კარავი დადგა. საამ ფალავანი და ფერიღუხტ შევიდნენ, დაბძანდნენ, სუფრა მოილეს, ლხინსა და შექცევასა იყენენ. რა მრავალი სეეს, ფალავანს ღვირო დიახ მოეკიდა და სუფრა აიღეს. ფალავანი მუთაჟახედ მიწვა და მიიძინა. ფერიღუხტ მივიდა, პირი პირს დაადგა და იმანაც დაიძინა. ფრანგ და სხვანი მოახლეები ამათხედ შორს იყენენ და თავისად შეექცეოდნენ.

იმჟამად პაერიდამ ერთი ჯელი გამოჩნდა, ფერიღუხტს საყელოში ჩაავლო და პაერში აღიტაცა. რა ფერიღუხტ ძილისაგან განიფრთხო და თავისი თავი პაერში იხილა, საამ ფალავანს შემოსძახა, ფალავანო, მიშველე, დევმა მომიტაცა! საამ ფალავანმა რა ესე ხმა გაიგონა, მსწრაფლად ზე ადგა და ფერიღუხტ ვეღარ ჰპოვა, შეშფოთებული კარავსა გამოვიდა და ოთხივე მხარეს თვალი

მოავლო, და ვერა სადა იხილა. რა ჰაერსა აიხედა, იხილა, ერთი შავი ღრუბელი მოვიდა. იქიდან ერთი ხმა მოესმა: *შეი, ფალავანო, მე ვარ აბრაჰი დევი, ნაპანგალის ქმა, ფერიდუხტ მე მოვიტაცე და ზუნგაბარის მთისაკენ წაიყვანე. თუ მაჩადი ხარ, და ან მამაკობის დავასა სწეო, იქით წამოდი და შემები, ფერიდუხტ ჩემის საპურობილიდამ განათავისუფლე, და ასეთი წყლული დამისომს შენს გულზედ, რომ მეორეთ მოსვლამდინ არ გაგიმრთელდება!*

ესე სიტყვა თქუა და ჰაერსა უჩინო შეიქმნა. ამისა მხილველმა საამ ფალავანმა მალის ხმით ასეთი ამოიოხრა, რომ ის ხმა ოთხსაე ფარსანგსა გაიგონებოდა, და გველსაგით წელში იკლავებოდა და საწყლად სტიროდა. ფრანგმა რა ესე ჰსცნო, მოსამსახურენი და მოახლებენი საამ ფალავანთან მოვიდნენ, და ამას ამბობდა: *მეც ამ წყუელს უკან გამოვეკიდები, ფანან დარისაკენ წაველ, იმ დევსა მოვეკლამ და ფერიდუხტს გამოვიხსნი. ფრანგმა მოახსენა: საამ ფალავანო. ჟერ გმართებს, რომ ერანს მანუჩარ კემშიფესა მკვეშელოთ, ამიტომ რომ შადად კემშიფეს აღიშუშულ ფალავანი და შიმულად ფალავანი სამოცი ათასისა მეომრისა ლაშქართა მანუჩარ კემშიფეზედ გამოუსევიათ სამტეროთ.*

საამ ფალავანი, ფერიდუხტისათვის მწუხარეკმნილი, ამზერდა და თავისსა ლაშქარსა წაბძანდა. რა სარდალთა და ფალავანთა ეს ანბავი ჰსცნეს, დიდსა მწუხარებასა მიეცნენ. საამ ფალავანი დიდსა მოუთმენელსა მწუხარებასა იყო მიცემული. თემურთაშმა მოახსენა: *ფალავანო, იგი წყუელი დევი დიდსა მთასა ჰგავს, ორასი მწყურთა სიმაღლე აქვს, ისი აღამიანსა არა ჰგავსო. ფერიდუხტისათვის ნუ შესწუხდებით, ვერასფერს ვერას აწყენს, კარგათ და სიძრთელით შეინახამს. ფალავანო, რადგან სამისა დღისა აჯელს მივედით შამისა ქალაქსა, სჯობს, რომ მანუჩარ კემშიფესთან მივიდეთ, და იმისი სამსახური აღვასრულოთ და მტერი დაუმონავოთ. და შემდგომად მანუჩარ კემშიფეს გამოვეთხოვოთ და დასავლეთისკენ წაივდეთ და შადადის ლაშქრისა ყრილობა მოვეშალოთ. საამ ფალავანმა უპასუხა: თუ ფანან დალი დასავლეთის მხარეს არის, დიან კარგი რჩევა არის. თემურთაშმა მოახსენა: ფანან დალი დასავლეთსა მხარესა არის. საამ ფალავანსა დიდათ იამა და ბძანა: ასაყარსა ნადარსა დაქაართო. მსწრაფლად ლაშქარი აიყარა და შამის ქალაქისაკენ გემართნენ.*

საამ ფალავანი თავისის ფალავანებითა ისევე თავის კარავსა ბძანდებოდა. ერთი უცხო მშვენიერების სახისა მქონე ქალი საამ ფალავანისა კარავსა შემოვიდა, მძიმედ თაყვანი-სცა. ფალავანმა რა იხილა, ჰკითხა: *შეი, მნათობო, ვინ ბძანდები? შივანფერიმ სიცილით მოახსენა: ფალავანო, მე ვერ მიცნობ? თქუენი მხეველთაგანი შივანფერი გახლავარ, ფერიდუხტისა დეიდაშვილი გახლავარ, ვახსომთ, თქვენ რიზვანფერის თილისმის პურობილობისაგან გამანათვისუფლე? მე ფერის ჩამომავლობილდამ ვარ, ფერიდუხტის დედაც ფერის ჩამომავლობისაგან არის, ხაყან ჩინს გაუამიყდა ბაღში, სეირნობაში და ხაყან ჩინმა ცოლად შეირთო, და ფერიდუხტ ჩემს დედიდას ეყოლა. საამ ფალავანმა უბძანა: *შეი, ჩემო საყვარელო დამ შივანფერი, შენ უნდა წახედა ფანან ქუისა მთაში, ფერიდუხტ იქ დევს პურობილათ ჰყავს, იმისი ვითარება მაცოლინე. შივანფერიმ თაყვანი-სცა და მოახსენა: ჩემგან დიან შესაძლებელი არის ეგ საქმე.**

საამ ფალავანმა ფერიდუხტს წიგნი მისწერა: *შეი, ჩემო სიცილსევე ფერიდუხტ, შენ ჩემის გულისათვის დიან მრავალი სატარჯველი გამოიარე, ახლაც მოითმინე და მწუხარებას ნუ დააჩნე შენს გულსა, თუ ღმერთი შემეწევა, მე ახლაც მსწრაფლად მოვალ და განგათავისუფლებთ პურობილობისაგან, გარსა-*

წიბისეულის ქმლით მაგ წყეულს ორათ გაცკეეთ და მაგასაც თავის ძმებთან-
დაეამგზავრებ. შენცა გონებას მოეგე, და მანამდინ მეც მოვიდოდე, მანდ ოს-
ტატობითა და ტუბილის ლაპარაკითა მაგ დევს შეაქცევდე ხოლმე, რომ მეტი სა-
ტანჯველი და მწუხარება არ მოგაყენოს. ამაზედ სარწმუნო იყავ, რომ მე დიახ-
მსწრაფლად მოვალ და განათათვისუფლებ. ეგ წყეული თავის ძმას ნაპანგალ-
ზედ მეტისა შემძლებელი ხომ არ არის, როგორც იმისი სახელი ქუეყნით აღე-
ხოცე, მაგის სახელსაც ისე აღვხოცი საამ ფალაენამა წიგნი დაასრულა, დაბეკ-
და და შივანფერის მისცა, შივანფერიმ ჩამოართო, ჯელსა აკოცა, კარავსა გა-
რეთ გამოვიდა, ფრთა ფრთასა შემოპკრა, პაერში აღფრინდა და მსწრაფლისა
ფრენითა წავიდა დასავლეთის მხარესა.

იმჟამად აბრაჰი დევმა ფერიდუხტ რომ მოიტაცა, და თავისა სამყოფსა-
წაიყვანა, მსწრაფლისა სიარულითა იარა და შეითან ჰაივანში გარდახდა, და
ფერიდუხტს უთხრა: შენ ჩემის ძმის ნაპანგალის ნათხოვნი იყავ, რადგან საამ
ფალაენამა ჩემი ძმა ნაპანგალ მოკლა, მეც მეწადა, რომ შური მეძიებინა და
საამ ფალაენის სიცოცხლე მიმელო, და თავი ტანთაგან განმეშორებინა. რა მო-
ველ და შენ გიხილე, შენის სიყვარულის ცეცხლი გულსა დამეგრძნა, მოგიტაცე
და ჩემსა სამყოფს სასახლეს მოგიყვანე. წავიდეთ ამ ბაღსა და სასახლესა ვი-
ართ და შევექცეთ, რომ საამ ფალაენის სიყვარული გულიდამ გარდაგივიარდეს.
ამა ბაღსა შინა მრავალი სხვადასხვა საუცხოო ხილი იპოება, და ესე სასახლე
დიახ უცხოთა მძიმისა ფარხით არის მოფენილი და იმა ჰაიენის ფანჯარანი უფა-
სოსა ჯავიართა არის შემკობილი. მე ამ ქვეყნისა კემშიფე ვარ და, რომელიც
შენ გულს საწოვავე იამებოდეს, იმას უბძანებდე ხოლმე ქარხანაში და აყე-
თებინებდეთ. ესდენი ხაზინანი მაქვს, რომ რიცხვი არ ეგების, ესენი ყოველნი
შენთვის მინდა. ფერიდუხტ უილაჯოქმნილი ითმენდა ამა ლაპარაკსა და გულ-
სა შინა განიზრახვიდა: ესეთის ყოფით უნდა მოვიქცე, რომ სათნობით ეს
წყეული მოვალდრო, რომ ერთი მწუხარება და განსაცდელი არა მომაყენოსა-
რა. ამის მეტი ღონისძიება არ ეგების, ვნახოთ, დმერთი ბოლოს როგორ მოი-
ყვანს ჩემს საქმესა. მაგრამ მუდამ ეამსა საამ ფალაენის საგონებელში იყო,
წარსულს დღეებსა იგონებდა და საწყლად იტანჯებოდა გულსა შინა, მაგრამ
პირად ვერ აცხადებდა და თავის ბედსა სწყველიდა, და სოფელს ემდუროდ-
და ესრეთ ეტყოდა: ამისთანა რა შეგცოდე, რომ ყოველთვის ამისთანა მწუხა-
რებაში და მახეში გამაბამ ხოლმე. ხან რიზვან-ჯადოს ზღუაში გადამაგდებინე
და ხან სიჩალის ჭურღმულსა დამატუსალებ ხოლმე. და იმ უცხოთა და სახელ-
განთქმულსა და ჯელმწიფედ ჩამომავლობის, საამ ფალაენისა უცხოთ, მშვენიე-
რის სახესა და ფალაენის განმეშორებ და ამისთანას უწყალოს აბრაჰი დევს მიმ-
ცემო! ამას განიზრახვიდა გულსა შინა და წუხდა, მაგრამ იმ ბილწსა დევსა-
მხიარულად ეჩვენებოდა.

ფერიდუხტ წაიყვანა დევმა და თავისი სალაროსი კარი განუხენა და ხაზი-
ნანი უჩვენა. ესდენი ურიცხენი თვალ-მარგალიტი ჰქონდა, და ოქროსა და ვერ-
ცლისა სუფრისა იარალი, რომ ფერიდუხტ განკვირებდასა მიეცა და გულსა
შინა განიზრახვიდა: ამ წყეულსა ესდენი ხაზინანი სად შეუტრები. იქილამ გა-
მობრუნდნენ, ბაღსა და ბაღასა შემოვიდნენ და ესდენი ხეხილი და უცხო ყვა-
ვილები იხილეს, რომ კაცის თვალი უკეთეს ვერას ნახამდა. მოვიდნენ თავისსა
სასახლესა და იქ შეექცეოდნენ. იგი წყეული დევი სანადიროსა წავიდოდის,

ფერიდუბტსა იმა ტახტსა დასვემდის, და კისერზედ ჭინჭილსა მოაბამდის და ორსავე მხარეს მაგრა დააბამდის, რომ გამოხსნის ღონისძიება არ ეგებოდა.

ამჟამად შივანფერი ფარულად მოვიდა, წყნარისა ყოფა-ქცევითა და იმასასახლისა ბანზედა პაერთ ძირს ჩამოხდა. ამჟამად აბრაჰი დევი იმ სასახლესა არ იყო. შივან-ფერიმ ფანჯრილად შემოხედა, ნახა, რომ ფერიდუბტს ტახტსაზედა სძინამს, ფანჯარა გაარღვია და სასახლესა შევიდა, ფერიდუბტ გამოაღვიძო. რა ფერიდუბტმა თვალა აახვნა და შივანფერი იცნა, საზარლად ამოიოხრა და ტირილი დაიწყო. შივანფერიმ საამ ფალავანისა წიგნი ამოიღო და ფერიდუბტს მოსცა. ფერიდუბტმა ჩამოართო, აყოცა და თვალზედ მოისვა, წიგნი გახსნა და წაითხა. ფერიდუბტმა რა წიგნი დაასრულა, შივანფერის უთხრა: გვედრები, რომ ფალავანსა შემახვეწო, რომ ამ წყეულის დევის საბრძოლად არ წამოვიდეს, და ამის ჭელისაგან არა ეენოს რა. კაცთაგან ამა წყეულისა ომი შეუძლებელი არის. თუ მოვა და ამ წყეულისაგან აუტუდება რამე, მეც ჩემს ჭელით ჩემს თავს მოვიკლამ, რადგან ის ცოცხალი შეყოლება, მეც ყოველი მწუხარება დავიწყებელი შექნება. და ამგვარი მრავალი სიტყვები დააბარა საამ ფალავანთან და დავედრა, რომ ნუ დამივიწყებ, ხშირად მიხვილოდე ხოლმე და საამ ფალავანის ანბავს მომიტანდე, რომ იმისის მშვიდობისა ანბისა სმენითა ყოველი ჩემი მწუხარებანი დაუტეო. და ერთი წიგნიც საამ ფალავანს მისწერა: ჭეი, ჩემო სიოცხლე და ჩემო გულის კემწიფე, მე შენის სახისა მშვენიერებას მოვშორდი, მაშინ მოკვდი მე შენთვინა, რადგან შენ, შენ საწადა ვერ ეწიე და ასე დაგშორდი. თურმე ჩვენზედ ეს განსაცდელი ასე მოსასელელი იყო. ახლა სჯობს, რომ შენთვის სხვა საყვარელი მოსძებნო და მე დამიტეო ამიტომ, რომ ამა წყეულსა ომი კაცთაგან შეუძლებელი არის. შენ ამისგან აგეტყდება რამე და მეც ჩემს თავს აღარ ვაცოცხლებ. შენ ღიდროვანი ჭემწიფენი და ღიდებულნი შენ მოყვრათ არ დაგივიწყებენ, მაგრამ შენს მშვიდობის ანბავს ნუ დაგვაკლებ, შეიადინებდე და შივანფერისა გამოგზავნიდე ხოლმე, ამიტომ, რომ უტხო ვარ და უტხოს ქვეყანას დავეტყვედი. წიგნი დაასრულა და შივანფერის მოსცა, შივანფერი იმ ღამეს ფერიდუბტთან შექცა.

რა დილა გათენდა და დევისა მოსვლისა ეამი მოახლოვდა, შივანფერიმ ფერიდუბტს მოახსენა: ნუ შესწუხდები და ნუცა რას იკისრებ, ღმრთის მოწყალებით საამ ფალავანი ამ ცოტას ხანში აქ მოვა და უმგზავსო დევს მოკლავს და შენ პყრობილობილად განვათავისუფლებს, ღონისა და განცხრომაში ნუ მოეშლები, უბრალოდ შენს თავს ნუ სტანჯაო, მხიარულად იყავ! ფერიდუბტს გამოესალმა და საამ ფალავანისავე გამოემართა.

აქეთ მხარეს საამ ფალავანი მეორესა დღესა აიყარა, თავისისა ლაშქრითა შამის ქალაქისაკენ წაბმანდა. იარეს ჩქარის სიარულითა და ქალაქისა სიახლოვეს მივიდნენ. იხილეს, რომ მანუჩარ ჭემწიფე თავისის ლაშქრითა ქალაქს გარეთ გამოსულა, და ურიცხვნი აკრავნი დაუდგამს და ამხედრებულან და დასტადანსტა დაუწყევითა და დგანან. აქეთს მხარეს შიმუდადის ლაშქარნი პირდაპირ უდგანან და საომარი ნალარა იცემება, მაგრამ მანუჩარ ჭემწიფის ლაშქარნი არა მკირესა მწუხარებას და შიშსა იყენენ მიცემულნი. შიმუდად ფალავანი შეიდანს გამოსულიყო და მანუჩარ ჭემწიფისა ლაშქარიდამა მეომარს ფალავანს ითხოვდა.

ამჟამად საამ ფალავანი და ფრანგ დივზადა თავისსა ლაშქარსა წინ მოუძღვებოდნენ. რა საამ ფალავანმა ესე ლაშქარნი იხილა, განარისხებულმა მარჯ-

ვენა ჯელი მარცხენასა გვერდსა შემოივლო და მარცხენა—მარჯვენასა. ესეთი-
სა საზარელისა ხმითა შესძახა, რომ ოთხსავე მხარეს, ოთხს აღაჯზედ მთამ და
კელმა ზრიალი შექმნეს. და ამ ლაშქართა მეორეთ მოსულა ეგონათ. ზოგი უც-
ნობით შეიქმნა და ზოგნი ცხენთაგან გარდაცვიდნენ. შადადისა ლაშქარნი დი-
დათ შეშინდნენ. ფალავანმა საამ თავის ბასრსა ხმალსა კელი მიჰყო და, ვითა
შეუარდენი ტრედის გუნდსა გაერიოს, საამ ფალავანი ისე ამ ლაშქარის შუა
შევიდა და, რომელსაც ხმალსა თავსა ჰსცემდა, სარტყლამდინ შუა გაკვეთდა
და. რომელსაც წელში შემოჰკრებდა, შუა გაკვეთდა. მეორეს მხრიდამ ფრანგ
ლიჯზად თავის რიგის კეტითა უწყალოდ ხოცდა. საამ ფალავანისა სარდალ-
ნი და ფალავანნი ორმოცდაათათისისა ლაშქართა მიეცივნენ. ზოგნი ლახტითა.
ზოგნი შუბითა, ზოგნი ხლშითა და ზოგნი შვილდ-ისრითა გაუეთხბავით უწყალოთ
სოცდნენ. და ამა ომსა შიგან საამ ფალავანი ერთსა ახოვანსა ფალავანსა შე-
ნოხედა, სახელად შიმულად ეწოდა, ხმალსა კელი მიჰყო და საამ ფალავანს მო-
ბართა და შემოსძახა. საამ ფალავანმა რა ესე იხილა, თავისი ყურაბი თიქაური
გააფიცხა. შიმულად მიუხდა საამ ფალავანსა და ხმალი მოუქნივა. საამ ფალავან-
მა გარსაშიბისიეული ფარი მიაგება, ხმალი ფარსა მოხედა და ორათ გარდაიმტე-
რა. რა რიგი საამფალავანსა ერგო, შემოსძახა და თავისსა ხმალს კელი მიჰყო
და წელსა ესრეთ მედგრათ შემოჰკრა, რომ შუა გაკვეთა. აღი შიშულდმა რა თა-
ვისის შვილის შიმულადის სიკვდილი იხილა, განრისხებულმა სადავე გამოიბ-
რუნა და ფალავანს შემოუტრია. რა საამ ფალავანმა იხილა, დიდათ გაუყვირა
იზის ახოვნება, ოცდაათი აღლი სიმაღლე ჰქონდა, საამ ფალავანმა შესძახა: ტვი,
შენ უმსგავსო, საბოთ ღმერთი იცან და თაყვანი-ეც, რომელიც ცისა და ქუე-
ყანის შემოქმედი არის, და იმ წყეულის შადადისაგან კელი აიღე, რომ ისიც
შენსავით უსჯულო არისო. ის წყეული დიდათ განრისხდა საამისა სიტყვაზედა.
და მკვეთელი შუბითა მომართა. ფალავანი საამ წინ წაეგება, შუბსა კელი წას-
ტაცა. ფალავანმა შუბი დაიტრიალა და იმ წყეულსა ესრეთ მრისხანედ აძგერა
მკერდასა. რომ ბექსა გაავლო, ცხენისაგან აიყვანა და შორს გასტყორცნა, და
იმ ბილწისა სული ჯოჯოხეთს მიაბარა.

იმეამდ თემურთამ ბაირახტარს შემოხუდა, ესეთი ხმალი შემოჰკრა, რომ
ბაირახტარ და ბაირალი ოთხათ გაჰკვეთა. ამა შადადისა ლაშქართა რა ესე
იხილეს, სადავე გაიბრუნეს და გაიქცნენ, ზოგნი გარდაიხვეწნენ, ზოგნი შეიპყ-
რეს, და ზოგნი დახოცეს და საწყალოდ იხეწებოდნენ: ნულარ დაგვხოცათო. რა
საამ ფალავანმა ამათი საცოდაობის ხმა გაიგონა, სადავე გამოიბრუნა და გასა-
ყარს ნალარასა ჰკრეს და, ლაშქარი გამოიბრუნდა. საამ ფალავანი თავისასა ფა-
ლავანებითა გამოიბრუნდა მანუჩარ ჯემშიფისაყენ და სხვანი ლაშქარნი შადადის
ლაშქარს მისდედნენ და უწყალოთ ხოცდნენ. მანუჩარ ჯემშიფემ თავისსა
შვილსა ნოვზარ შარიარს უბძანა, სამი ათათისა კაცითა აღი-შიშულდის ურდოსა-
ყენ წადიო, და ჩვენს ლაშქარი გამოაბრუნე და იმათი საქნელი განუყავ. ნო-
ვზარ შარიარმა თაყვანი-სცა და მსწრაფლად წავიდა, ლაშქარი შემოყარა, შიმუ-
ლის ხაზინანი და ბარგი ლაშქართა განუწილა.

საამ ფალავანი თავისის ფალავანებითა მოვიდა, მანუჩარ ჯემშიფის დროშის
სიახლოვეს ცხენიდად გარდახდნენ და ჯემშიფისაყენ წავიდნენ. მანუჩარ ჯემში-
ფემ რა საამ ფალავანი იხილა, ცხენიდად გარდახდა, საამ ფალავანი გაქანდა.
მანუჩარ ჯემშიფის წინ დაემხო და ფეხზედ კოცნას ლამობდა. ჯემშიფემ არ
ინება. ზე ააყენა, გარდუხვია და სამამაცოსა შუბლსა აკოცა, და უბძანა: ტვი,

ჩემო საყვარელო ძმაო საამ, მე და შენ ერთთა ვართ დაზარდილნი, თორმეტრ წელიწადია, რომ მე მარტო დამიტყვე და ჩინეთისა ქუეყანასა იმყოფები. ახლა ვმადლობ ღმერთსა, რომ ამისთანა გაჭირვებაში მომისწარო. ჯელი ჯელსა მისცეს და ისე დადგენ. შემდგომად თემურთაშ, შაფური შირდილი, სელო ჩანსუზ. ყალვად და ყულუშ მივიდნენ, ჯემშიფესა თაყვანი-სცეს და ხელზედ აკოცეს. მანუჩარ ჯემშიფემ სიყვარულით მოიციტხა და დიდათ პატივი მსცა.

ჯემშიფე თავისსა სსახლესა მიბძანდა, სარდალნი და დიდებულნი თავის განწესებულს ალაგს დასხდნენ, სუფრა მოიღეს, მეჭლიში გამართა, უცხო მომღერალნი და მოსაკრავენი მოიყვანეს და უცხოს ხმითა იმღეროდნენ, ღვინის სმასა ჯელი მიჰყვეს, ლხინსა და განცხრომასა მიეცნენ. აღიშმიქდისა ხაზინილამ რაც ჯემშიფის საყადრისი ნივთები იყო, ჯემშიფის წინ მოიღეს და შოართვეს. მოანბენი ესრეთ მოღობრობდენ: შიმულად შაჰადადის ბძანებით ერანის მხრიდამ რამდენიმე ქალნი და ყმაწვილი კაცნი დასაველეთის ჯემშიფეს შადადთან უნდა მიეყვანათ, ამა მიზეზისათვის, რომ ის წყევული ღმერთობასა ჩემობდა, სამოთხე და ჯოჯოხეთი გაეკეთებინა და ეს ქალ-ყმანი ანგელოზის საზაგიეროთ იქ სამყოფათ უნდოდათ, ამ ბალის სიდიდე და სიკეთე ესრეთ შოგბსენდესთ, რომ ოთხი ალაგის სიმგრგვე ჰქონდა და იმა სამოთხისა ბალისა გალავანი ოქროსა აგურითა იყო ნაგები, მრავალი უცხო სსახლენი იდგა, ოქროსა ვარაყითა და უცხოს ლაქვარლითა იყო ნაგები, მრავალი საუცხოვო წყარონი გამოსდინდა. და ოთხი დიდროვანი რუ იყო გამოტანილი და საუცხონი ხენი იდგა ოქროსა და ვერცხლისანი, ფოთლისა სამაგიეროსა მწვანე ზურმუხტნი ესხნენ, ხილისა მაგიერათ უცხო და უცხო იაგუნდნი და ლალი ძვირფასნი, სხვადასხვა ფერნი ესხნენ. ამას გარდა სხვადასხვა საუცხოვო ხილნი ესხდნენ. რომ კაცისა თვალი უკეთეს ვერას ნახამდა. იმა ბალისა ლიატაკი საუცხოოსა და ძვირფასისა ჯავიერიითა იყო მოკირწყლული. რა მზე მიაღებოდა, კაცი თვალს ველარ გაუმართამდის. და ამა ბალისა კაცისა ენა უმეტესსა ველარას იტყვის და ვერცა თვალი უკეთესსა ვერას ნახამდა.

იმჟამად მანუჩარ ჯემშიფესა მოახსენეს ერანის ჯეყენილამ ათი ათასი კაცი ახალმოწიფული ყმაწვილი და ექვსი ათასი უცხოსა სახისა მქონე ქალი ამა ურდოსა შინა ვპოვეთ, დასაველეთის ჯემშიფის შადადის ბძანებით დაეტუსალე ბინათ და სამოთხისა ბალსა ანგელოზთ განწესებათ სდომოდათ, და აწ ამა ურდოთა შინა ვპოვეთ. მანუჩარ ჯემშიფემ რა ესე მოისმინა, უბძანა, რომ მსწრაფლად აქ მოიყვანეთო. მაშინვე მოიყვანეს და იმა მომყვანთა მძიმე ხალათები უბოძა, და ბძანება გამოსცა: ესენი წაიყვანეთ თავ-თავის სამყოფსა და თავთავის დედ-მამას მიაბარეთო და ბარათი გამოართვით და მომიტანეთო.

შემდგომად საამ ფალავანმა შადად ჯემშიფის ლაშქრის ხაზინანი მანუჩარ ჯემშიფის ლაშქართ უბოძა. ამა ლაშქართა დალოცეს და მალდობა მოახსენეს. საამ ფალავანმა ჩინეთის ქუეყანასა ნაშოვარი ხაზინანი მანუჩარ ჯემშიფეს მოართო, მანუჩარ ჯემშიფემ დიდათ შორს დაიჭირა და უბძანა: არც ერთისა ნივთისა მიღება არ იქნება ჩემგანა. და ამ ნაჰანგალ დევის ტყავს კი ჩემს ხაზინაში დაედებო. რამდენსამე ათასს აქლემს და ჯორს აჰკიდეს ეს ხაზინანი და გარსაშობსა და ნარიმანს სისტანში გაუგზავნეს.

შემდგომად ნაჰანგალ დევისა ტყავი მოატანინა მანუჩარ ჯემშიფემ. და დიდებულთა რა ესე სრულებით გამინჯეს, დიდათ განკვირდნენ და იტყოდნენ. ვითარ ეგების ერთისა კაცისაგან ამისთანა მხეცის შეპყრობა და სიყვდილო.

დიდათ უკვირდათ საამის ძალგული და ფალაენობა, და ქებასა შეასხმიდიან— მანუჩარ კემწიფემ ნაპანგალისა ტუავი თავისსა ხაზინასა გაგზავნა და შეანახი-
ნა. შემდგომად თავისი ხაზინანი გახსნა და საამ ფალაენის ფალაენთა: თემურ-
თაშა, შაფური შირდილსა, სეილი ჯანსუზსა, ყელვადსა და ყულუშსა ურიცხვი-
ხაზინანი უბოძა, და მძიმე საჭემწიფო ხალათები ჩააცო. ჯელმწიფე დალოცეს
და მადლობა მოახსენეს. იმეამად გარსაშიბ და ნარიმან სისტანსა იმყოფებოდ-
ნენ. საამ ფალაენამა და სხვათა ლაშქართა რა ლაშქრობისა და ომისა დაღალი-
საგან განისვენეს, საამ ფალაენამა მანუჩარ კემწიფეს თაყვანი-სცა და მოახსენ-
ნა: კემწიფეო, რა შადად კემწიფე თავისისა ლაშქრისა დამარცხებასა და აწყვე-
ტასა სცნობს, სხვას ფიქრსა და აზრებში მევია, სჯობს, რომ მე დასავლეთისაკენ
გამისტუმროთ ჩემის ლაშქრითა, რომ იქაური საქმე თქუენის წადლისამებრ
განვაგო. მანუჩარ კემწიფემ ნება დართო და დალოცა საამ ფალაენი, თავის-
გამწესებული ჯამაგირი მისცეს, მოეგზადნენ და შამის ქალაქილამ მეწინავე
დასტები გამოვიდნენ.

მეორესა დღესა საამ ფალაენი ამხედრდა. თემურთაშ, შაფური შირდი-
ლი, სეილი ჯანსუზ, ყალვად და ყულუშ თან იახლნენ. ფრანგ დივზადა წინ გა-
უძღვა და დასავლეთის ქვეყნისაკენ გამგზავრდნენ, ლხინითა და შექცევითა მო-
ვილოდნენ. საამ ფალაენამა უბძანა ფრანგ დივზადას: შენ უნდა მსწრაფლად
წახვიდე, შადად კემწიფის ანბავი მოგეიტანო. ფრანგმა თაყვანი-სცა, მუხლსა-
აქოცა, მსწრაფლად გამობრუნდა და წავიდა. რამდენსამე დღესა უკან გამობ-
რუნდა და საამს იახლა. თაყვანი-სცა და მოახსენა: ფალაენო, ესრეთ მოგხსენ-
დესთ: აღიშმიულ და შიშულად რა იმეამად დამარცხდნენ, იმათის დახოცის და
ლაშქრისა აწყვეტისა ამბავი შადად კემწიფისათვის მოგხსენებინათ, შადად ამ
საქმეზედ დიდათ განრისხებულყო და თავისი შვილი შადიდ, ასი ათასისა ლა-
შქართა ერანისაკენ გამოუსტუმრებია: მანუჩარ კემწიფე ტახტილამ გადმოაგ-
დე, საამ ფალაენი თავისისა ფალაენებითა ცოცხალი შეიძყარ, და ერანის ქვე-
ყანა სრულებით გააოხრე, და შადიდ ცხეთის ამაყობით და ქადრიით წამოსუ-
ლა, რომ არც მანუჩარ კემწიფეს, არც საამ ფალაენს და არც ნარიმანს არც:
ერთს ცოცხალს არ გაუშვებ, და ერანის ქვეყანასაც სრულებით აღვაოხრებ!

საამ ფალაენამა რა ესე მოისმინა, ფრანგს უბძანა: შენ მაჯაზედ ნუ შეს-
წუხლებდი, იმათ საქმეს ღმერთი გაარიგებს. იქილამ აიყარნენ, რამდენიმე დღისა-
სავალი წარვლეს, და ერთსა ალაგსა გარდახდნენ და განისვენეს. ფრანგ დივ-
ზადა გაისტუმრეს ანბის საცნობად. და მცირე ალაგი წარვლო, შადადის ლაშ-
ქარი იხილა, მსწრაფლ გამობრუნდა, საამ ფალაენთან მოვიდა, თაყვანი-სცა
და მოახსენა: ფალაენო, შადადის ლაშქარმა სიახლოვეს მოაწია, უბძანეთ,
რომ ლაშქარი ამხედრდეს. საამ ფალაენამა უბძანა: მსწრაფლად ასაყარსა ნა-
ღარასა ჰკარითო. ლაშქარი ამხედრდა. ფრანგ დივზადამ მოახსენა: ფალაენო,
სჯობს, რომ ეს ლაშქარი ოთხ დასტათ გავყოთ. თითო დასტათ თხუთმეტი ათა-
სი კაცი განაწესოთ და პირველნი ფალაენები მიუჩინოთ, და ოთხსავ მხარესა
დავემალნეთ. რა შადადისა ლაშქარი ჩვენსა საშუალსა შემოვიდეს, ოთხსავ
მხრილამ მივესივნეთ და სრულებით ავწყვიტოთ! საამ ფალაენამა უბძანა თე-
მურთაშსა: თხუთმეტი ათასის კაცითა მარჯვენასა მხარესა დასტა დაწყობით-
წადი! ყალვადსა და ყულუშს უბძანა: თხუთმეტი ათასის ლაშქართა თქვენ
მარცხენასა მხარეს წამოღოთ დასტა დაწყობით!

იქილამ აიყარნენ და ერთი მანძილი გაიარეს, და მწევანოვანს ალაგს თავ-

თავის ალაგსა გარდახდნენ, კარავნი დასცეს. თემურთაშ მარჯვენას მხარეს გარდახდა, ყალვად და ყულუშ მარცხენას მხარეს გარდახდნენ. საამ ფალავანი, შაფური შირდილ, სეილი ჭანსუზ ერთად იმყოფებოდნენ. ოთხთავ მხარეს ყარაულნი გაისტუმრეს ამბის საცნობელად. შუადამის ეამსა ყარაულნი მოვიდნენ. საამ ფალავანსა მოახსენეს: შადადისა ლაშქარნი ერთისა საათისა საველსა მოაწიეს. საამ ფალავანი თავისისა სამამაცოსა იარაღითა შეიჭრა და შაფური შირდილსა ოცი ათასი კაცი დაუგდო: შენ ამ ურდოსა შიგან მომიცადე. სეილი ჭანსუზს ათი ათასი კაცი უბოძა: შენ შორი-ახლოს მაძეყო, და ათი ათასი კაცით თითონ საამ ფალავანი წავიდა შადადის ლაშქრისაკენ.

რა მცირე წარვლეს, შადადისა შვილი, შადიდის დროშა და ლაშქარნი გამოჩნდნენ. საამ ფალავანმა მარჯვენა კელი მარცხენას გვერდსა მოიხვია და მარცხენა — მარჯვენასა, და ასეთის მალის ხმითა ღმრთისა სახელი ახსენა და შესძახა, რომ ოთხსავე მათა და ველთა ზანზარი დაიწყეს, და შადადისა ლაშქრისა ცხენნი დაფრთხნენ და შრავალნი ცხენთაგან გარდაცვიდნენ, და შადად გაშტერებული მალსა ზეცას უყურებდა. საამ ფალავანმა თავისსა ას ოთხმოციტრიანს ბასრსა ხმალსა კელი მიჰყო და ათი ათასის მეომრის ლაშქარით შეუტრია და მალისა ხმით შესძახა: ვინც რომ არ მიცნობთ, ახლა მიცანით. მე ვარ საამ ქუეყნის ფალავანი, ზინდა ჭადოს მკვლელი, ნაპანგალისა, მაქუქალისა, ქეივანისა მკვლელი, აღმასის თილისმისა დამრღვევი, რიზვანფერის ჭადოს მკვლელი. ზაყან ჩინისა, ჩინეთისა, მაჩინისა, ზვარასნისა, ბალხისა, ბუზარისა, თურქისტანისა აღმაოხრებელი და დამმარცხებელი, და ამწყვეტელი შიმუღადისა და ადი შიმუღისა ლაშქრისა, მკვლელი შიმუღადისა და იმისის შვილისა, სად გადაურჩებთ ხმლისა ჩემისა ნაკვეთსა!

ესე სიტყვანი დაასრულნა და ათი ათასისა მეომრითა შადადისა ლაშქრისა საშუალსა შევიდა და უწყალოდ ხოცდა. რა საამისა ფალავანთა ფალავანისა ხმა მიესმათ, თემურთაშ თხუთმეტისა ათასისა მეომრითა მარჯვენისა მხრიდამ შეუტრია, ყალვადმა და ყულუშმა ეგრეთვე მარცხენისა მხრიდამ შეუტრია, სეილი ჭანსუზმა ათი ათასისა მეომრითა უკანისა მხრიდამ შემოუტრია, ოთხსავე მხრიდამ ერანისა ლაშქარნი შადადისა ლაშქართა უწყალოდ და გაუკითხავად ხოცდნენ და ერთი მეორესა უყიოდ: ჰკარ, მოკვალ, შეკვარ, შეიპყარ და ნურცა ერთსა ცოცხალს ნუ გაუშვებთო.

რა შადადისა ლაშქართა თავიანთი ესე უწყალოდ და გაუკითხავად განწყვეტა იხილეს, არა მცირედსა შიშსა მიეცნენ და გაქცევასა ლამობდნენ. შადადმა რა თავისისა ლაშქრისა ესეთი ყოფა იხილა, თავისსა სამოცდაათლიტრიანს ხმალს კელი მიჰყო და საამისა ლაშქართა შემოუტრია, და შადადის ომი ველარავინ გაბედა და გაექცნენ. რა საამ ფალავანმა ესე იხილა, ყურაბი თიქაური გააფიცხა და შადიდს მომართა და დაუპირდაპირდა. შადიდმა რა საამ ფალავანი თავის თავზედ მისული იხილა, განრისხებულმა თავისი სამოცდაათლიტრიანი ხმალი საამს მოუქნია, საამმა თავისი ფარი მიაგება, ხმალი ფარსა ეკვეთა და შადიდისა ხმალი სამად გატყდა და ძირს ჩამოცვედა. რამდენიმე იარაღი ერთმანეთზე იხმარეს. შადიდ თავისმა აიარა სხუა უკვეთესი ხმალი მოართო, განრისხებულმა საამ ფალავანს მომართა, ხმალი მოუქნია, საამმა თავისი ფარი მიაგება, ხმალი ფარსა ეკვეთა, ესეთი ცეცხლი გამოხდა, რომ საამ ფალავანი ცეცხლმა დაფარა. შადიდ ცხენმა გაიტაცა, მეიდანსა თავსა გა-

ვიდა. შადიდ განრისხებული გამობრუნდა და სააშს მოუხდა და მესამედ მრისხანედ ხმალი მოუქნია.

საამმა ფარი მიაგება, ხმალი ფარსა ეკვეთა და საამად გატეხილი მიწასა იამოკვივდა. რა რიგი სააშს ერგო, თავისსა ცეცხლისმფრქვეველსა ბასრსა ხმალსა ჭელი მიჰყო და შადიდს მრისხანედ მოუქნივა. შადიდმა თავისი ფარი თავსა იფარა, საამისა ხმალი ფარსა ეკვეთა, ფარი ორათ გაკვეთა, თავსა მოხუდა და სარტყლამდის ორათ გააპო, ცხენილამ ძირს გადმოეარდა. თემურთაშინ რა ესე იხილა, ღმერთს მადლობა შესწირა და საამ ფალავანს ქება შეასხა. აქეთს მხარეს ფრანგ დიუხადა დროშის მტერთველსა შემოხვდა და თავისი შვილას ლიტრიანი რკინის კეტი ესრეთ დაჰკრა, რომ ძვალი და რბილი ერთად აურია, და დროშა ორათ გატეხა. ფრანგ გაქანდა და ერთსა გორასა ავიდა, და შადიდისა ლაშქართა შემოსძახა: შვი, თქვენი უბედურნი, თქვენის კემწიფის შადიდისა შვილი შადიდ საამ ფალავანის ჭელით აღსრულდა და თქვენ ვილასის გულისათვის იხოცებით, თქვენ საწყლებო! რა ესე შადიდისა ლაშქართა გაიგონეს, შიშისა ზარი დაეცათ და ერთობით სადავე გამოიბრუნეს და გაიქცნენ. ერანელნი გამოეკიდნენ და უწყალოდ ზოცდნენ.

რა გათენდა და ქუეყნისა მაშეენებელმა მზემა თავისი სხივი მოჰფინა. რამდენსამე საათსა ერანელნი უწყალოდ ზოციტ მიყვნენ. შემდგომად გასაყარსა ხალარასა ჰკრეს და ერანელნი გამობრუნდნენ, საამ ფალავანთან მოვიდნენ და გამარჯვება მოულოცეს. საამ ფალავანმა ბძანა, ამათი ხაზინანი და ბარგნი ჩვენსა ურდოსა მოიტანეთ! ფრანგმა სრულებით ერთად შემოკრიბა და საამისა წინაშე მოილო. საამ ფალავანმა უბძანა, სრულებით ლაშქართა განუწილოთ და შადიდის შვილის შადიდის ხაზინანი და კარავნი საამ ფალავანმა მიირთო. საამ შადიდისა კარავნი დაადგმევინა, თავისისა დიდებულებით მიბძანდა და თავისსა საჯდომსა სკამსა დაბძანდა და სხვანი თავ-თავის განწესებულს ალაგს დასხდნენ. საამ ფალავანმა თავისი ვითარება მანუჩარ კემწიფეს მისწერა. ერთსა შათირსა უბოძა და გაისტუმრა. და სუფრის მოღება ბძანა, მეჭლიში გამართეს. უცხო მომღერალნი და მოსაყარავენი მოიყვანეს, ლხინსა და განცხრომას მიეცნენ.

იქამად დასავლეთის ქუეყანასა შადიდის დამარცხებულნი ლაშქარნი ექვსნი ათასნი გარდაჩომოდნენ ომსა შინა. შადიდისა ლაშქარში მივიდნენ. რა შადიდს ესე ამბავი მოხსენდა, იმა ლაშქართავანი რამდენიმე თავისთან მოაყვანინა და ვითარება ჰკითხა. იმათ მოახსენეს: კემწიფეო, რა თქვენი შვილი შადიდ იქილამ გაისტუმრეთ, რამდენიმე დღე ვლეთ და ერთსა დღესა ერანისა ლაშქართა შევხდით, და ფიცხელი ომი მოგვიხდა. ომსა შიგან თქუენი შვილი შადიდ და ნარიმანის ძე საამ ფალავანი ერთმანეთს შემოხვდნენ, და ფიცხელი ომი გარდაიხადეს. საამ ფალავანმა სძლივა და ესეთი ხმალი შემოჰკრა, რომ ორათ გაკვეთა და მოჰკლა, და თქუენი შვილის შადიდის გუამი აქ მოვიტანეთ და სხვანი დიდებულნი, ვინც იმა ომსა შინა დაიხოცნენ, იმათი გვამებიც მოვიტანეთ. შადიდმა ესენი ერთსა ალაგსა დაამარხვინა და ესრეთ დაიქადა, ჩვენი დღესასწაული რომ მოვა, ამათა დავაცოცხლებო. იგი წყუელი, რადგან ღმერთობას ჩემობდა, ხალხისა გული ამა სიტყვითა დაარწმუნა და თქვა: ერთს დამესა ღვინისაგან დიდათ მთვრალი ვიყავ და საამ მაშინ დავბადე და ესდენი ძლიერება მივეცი. ესე საქმე ღვინის ძლიერებისაგან მომივიდა. იქა მყოფნი ხალხნი რწმუნებულ იყვნენ, და ღმერთად სახოდნენ და წყუელისა შადიდისა

სიტყვასა ამტკიცებდნენ აქეთ მხარეს საამ ფალავანმა. რაც სამძიმარი, ხაზინანი და ბარჯნი ამა ლაშქართაგან ეშოვნა, სულ მანუხარ კემწიფესთან გაისტუმრა, და თითონ აიყარა თავისის ლაშქარით და დასავლეთისაკენ გაემარსა. ლხინთა და შექცევითა იარეს და შადიდის ქლაქის სიახლოვეს მიაწივეს, ერთსა მწვანოვანსა ალაგსა გარდახდნენ, კარავნი დასცეს და თავ-თავის მხარეს დადგნენ.

ესე ანბავი შადიდსა მოხსენდა. შადიდმა მსწრაფლად თავისი სპასალარი ზალილი ზარჯინხან მოაყვანიდა და თავისი ჯელი ბეჟსა გარდახვია და უბძანა: შენთვის წინასწარმეტყველება მიბოძებია, დღეის იქით ნულარაზედ იმიშვი. ესე ზალილი ზარჯინხან დიახ ძლიერი ფალავანი იყო, სამოცისა მწყართისა სიმალისა მქონე იყო. შადიდმა სამოცისა ათასისა მეომრითა საამის მოპირდაპირეთ გამოისტუმრა და საამისა ლაშქრისა სიახლოვეს მოვიდა. გარდახდნენ, კარავნი დასცეს და დადგნენ. შადიდმა მეორეს დღესა თავისი მეორე სარდალი გურაზდანდან მოაყვანიდა: შენთვის ეშმაკი მიწოდებია, დღეის იქით შენ ჩემი ერთგული უნდა იყო. და საამისა ფალავნები შენ უნდა შეიპყრო, ვნახოთ, რა გვარნი კაცნი არიან და ან როგორი ფალავნები. მე ისინი სიმთვრალეში დაეზადე და აღარ მახსოვს, როგორნი კაცნი არიან და ან რის სახისანი არიან. ეს გურაზდანდან სამოცისა ათასისა ლაშქარით გაისტუმრა.

საამ ფალავანსა ეს ანბავი მოხსენდა: შადიდმა თავისი ეშმაკი გურაზდანდან სამოცის ათასის ლაშქარითა ზალილი ზანჯირხანის შემწედ გამოუსტუმრებია. ამჟამად საამ ფალავანმა ბძანება გამოსცა, საომარი ნალარა დაუქართო. რა იქითა მხარისა ლაშქართა ესე ხმა გაიგონეს, იმათაც საომარს ნალარასა დაქრეს.

აქა ომი ზალილი ზარჯინხანისა და გურაზდანდანისა ერთნელთა ზედა და საამისაგან დამარცხება

რა დილა გათენდა, ორისავ მხარისა ლაშქარნი ამხედრდნენ, ერთმანერთს დაუპირისპირდნენ. იმათსა დასავლეთისა ხალხსა აღიან ეწოდა, რომელიც ითარგმანების კერბთ მსახურათ. აღიანისა ლაშქრიდამ ზალილი ზარჯინხან შეიდანსა გამოვიდა, და საამ ფალავანსა ლაშქარსა დაუპირდაპირდა, და ფალავანი გამოითხოვა დ შემოსძახა: ჩემმა ღმერთმა შადიდმა ყოვლისა თვისისა დაბადებულისა უპირველესობა მე მომცა და გამომისტუმრა თქვენთანა. თუ დამიჯერებთ და შადიდსა ღმერთად აღიარებთ, თქვენსა დანაშაულს მე ვიპატივებ და ცოცხლებით გამოყოფებთო და, თუ არა დამიჯერებთ, არც ერთს ცოცხალს არ გაგიშვებთო, ბძანებული ესე მაქუსო ჩემის ღმრთის შადიდისაგან. რა საამ ფალავანმა ზალილი ზანჯირხანისაგან ესე სიტყვანი გაიგონა. განრისხებულ-ლი მივიდანსა გამოვიდა და შემოსძახა: ჭეი, შენ ბილწო და კაცისა არა მგზავსო, ის ურჯულო და წყეული შადიდ ღმერთი რათ იქნება, და ან ხალხს როგორ დაბადებდა. წყეული იყავ შენც და იმისი ღმრთად აღმსარებელიც. ისიცა შენისთანა უმსგავსო და ბილწი არის. თუ ღმრთის ცნობა გინდა, რომელსაც ღმერთს მე ვესაუ, შენც იმას თაყვანი-ეც! ჩვენი დამბადებელი საბოთ ღმერთი არისო. თუ არ დამიჯერებთ, ასეთს საქმეს გიზამ, რომ ეს სოფელიც დაქარგო და იმ სოფელსაც წარსწყდებიო და ჯოჯოხეთის კერძი შეიქნებიო.

იმ წყეულმა უპასუხა: ჭეი, საამ მე ჩემმა ღმერთმა ასე მითხრა, რომ საამ

ფალავანი სიმთვრალეში დავბადეო და ის ძალგული მე მიეცეო, შენ იმისი გეშინოდეს, თორემ შავ ქუთ ვაღაგაქცევსო. საამმა უპასუხა: წყეული იყოს შენი ღმერთი შადად, მე იმას შეილი მოუკალ. თუ კი ღმერთი იყოს, მე ვითარ შევიძლებდი ამა საქმესა. ზალილხან საამის თქმულსა სიტყვებზედ განრისხდა, თავისსა შუბსა კელი მიჰყო და საამ ფალავანს შემოუტრია. და საამმაც შუბითა შეუტრია და ერთმანეთს რამდენჯერმე შუბი გააცდინეს. ზალილხანმა მეორეთ შუბი დარტრიალა და საამს მომართა, საამმა თავისი შუბი ქვევიდამ ამოჰკრა და ზალილხანის შუბი თავსა გარდაიციდინა. ზალილხან განრისხდა, და ხმლით წეუტრია და საამსა მოუქნივა. საამმა კელი მიაგება, მაქას შესტაცა და მოქნეული ხმალი კელიდამ წაართო და თავისისა ლაშქარისავედ გასტყორცნა. ზალილხანმა ხმლისა წართმევა ითავილა, თავისსა გურზსა კელი მიჰყო და საამსა მომართა. საამმა რა ესე იხილა, დიდათ განრისხდა გასააზიბისეულსა ასოთხმოცლიტრიანს ხმალსა კელი მიჰყო და ესრეთ მედგრათ შემოჰკრა, რომ იგი წყეული ზალილხან ორათ გაკვეთა და ცხენილამ ძირს გადმოაგდო და მოკვდა.

რა ამა ლაშქართა ზალილხანისა სიკვდილი იხილეს, ერთობით შემოუტრიავეს, საამ ფალავანს გარს შემოერტყნენ და შუაში მოიმწყვდიეს. ფალავანი განრისხებულნი, რომელსაც მხარეს შეუტრევდა, ესდენსა დახოცდა, რომ დიდროვანსა გორასა ემგზავსებოდა კაცისა ნახოცი. რა ესე ფალავანმა იხილა, თავისთა ფალავანთა და ლაშქართა ანიშნა, და ერთობით შადადისა ლაშქართა შემოუტრია და ესეთი საზარელი ომი შეექმნათ, რომ მეორეთ მოსელას ემგზავსებოდა და მზის ჩასვლამდინ ორისავე მხარისა ლაშქარნი უწყვალოსა სისხლისა ღურასა იყვნენ. და დაღამდა, გასაყარსა ნაღარასა ჰკრეს, ორისავე მხრითა ლაშქარნი გამობრუნდნენ და თავ-თავის კარავსა მოვიდნენ. მცირეს ბანს უკან დასავლეთის მხრიდამ ერთი საშინელი მტვერი აღსდგა. რა ქარმა შემობერა, მტვერი გარდაიყარა, სამოცი დროშა გამოჩნდა, რომელიც სამოცი ათას კაცს ნიშნავდა. მოვიდნენ და ზალილ ზანჯირხანის მხარეს გარდახდნენ, კარავნი დასცეს და დადგნენ. ლხინსა და განცხრომას მიეცნენ და ოთხსავე მხარესა ყარაულები გაისტუმრეს, და თითონ განსვენებას მიეცნენ და ზალილხანის სიკვდილისა ანბავი შადადად აცნობეს. შადად ამ საქმეზედ დიდად შეწუხდა და შეშინდა. გამობრუნდა და თავისსა ვეზირს უბძანა: ერთი წიგნი მისწერეთ ოჯიბნი უნუყეს და დაიბარე. მე ის ამიტომ დავბადე და ზღუათ ქემწიფობა მიეცეო, რომ საამ ფალავანი შეიპყრას და ჩემ წინ მოიყვანოს. თუ ამას შეიძლებს, ხომ სასუფეველში ალაგს მივცემო, თუ არადა, ჯოჯოხეთის ნაწილი შეიქნება.

წიგნი შეასრულეს და ოჯიბნი უნუყეს გაუგზავნეს. და ოთხსავე მხარეს ფალავანებს წიგნები მისწერეს და შემწეობა სთხოვა. ამჟამად შადადს მოახსენეს: ზირბადის მხრიდამ ერთი ფალავანი თორმეტი ათასის კაცითა თქვენსა შემწედ მოდის, რომელსაც სახელად ეწოდების განჯურ შურთულაბ. შადადმა უპასუხა: ექვსი დღე არის, რომ მე ეგ განმზრახვამს, ჩემსა შესასწევნელად უნდა მოსულიყო, და მსწრაფლად ჩვენნი წინააღმდეგი ერანის ლაშქარნი დაეამონაოს.

შეორესა დღესა ის ფალავანი თავისის ლაშქრითა შადადთან მოვიდა. შადად თავისის ფალავნებითა და ლაშქრითა ქალაქსა გამოვიდა და საამ ფალავანის პირდაპირ გარდახდა. შადადის ლაშქარნი წინ მოეგებნენ, თავიანი-სცეს და კარავსა გარდაახდინეს. იმჟამად საამ ფალავანი თავისისა ლაშქრითა ამხედრდა და შეიდანს გამოვიდა და შადადისა ლაშქართა თამაშას უყურებდა. რა შადადისა ლაშქარნი თავ-თავის კარავს გარდახდნენ, ლხინსა და განცხრომას

შეიცნენ. საამ ფალავანი გაბრუნდა და თავისსა კარავსა გარდახდა. საამ ფალავანმა თავისი დიდებულნი მოიხმო და უბძანა: ჩემგან ამაზედ მეტი დაგვიანება არ იქნება, ხვალ ამათი საქმე გარდავწყვიტოთ, სრულებით აღვხოცოთ და დასაველეთისა ქალაქი და ქვეყანა დავიპყროთ, რომ ფერიდუხტის მწუხარება და ცუცხლი ჩემსა გულსა შიგან ეგზების. ამა სიტყვისა თქმანზედ შივანფერი ჰაერით ძირს ჩამოხდა, კარავსა შევიდა, საამ ფალავანსა თაყვანი-სცა და ფერიდუხტის წიგნი მიართო. ფალავანმა რა ესე იხილა, დიდსა მხიარულებასა მიეცა, ფერიდუხტის ბეჭედსა დახედა, აკოცა და თვალებსა მოისო, წიგნი გახსნა და წაიკითხა, ამოიოხრა საზარლად, თვალთგან ცრემლი განუტევა. ფალავანმა შივანფერისა ფერიდუხტის ანბავი ჰკითხა. შივანფერიმ მოახსენა: ფალავანო, ის წყუელი დევი ფერიდუხტს გაარშიყვებია და თავისსა სასახლესა ჰყავს. ფერიდუხტმა ვედრებით მოგახსენათ: თქუენი ფანან დაღისაკენ წამოსვლა არასოდეს არ იქნების, არამც. ამ წყუელმა დევმა აგიტეხოს რამე. ფალავანმა უპასუხა: მე აღთქმა მაქვს, მანამდინ ფერიდუხტს პერობილობილად არ გამოვიხსნი. მე ჩემს თავს მოსვენებას არ მიცემებ.

ერთი სხვა ქვეყითი კაცი მოვიდა, ფალავანსა თაყვანი-სცა და წიგნი მართო. რა ბეჭედსა დახედა ჰსცნო, რომ მანუჩარ ჯემშიფის წიგნი იყო. ერთი სინი ოქროსა მოატანინა და იმ კაცს თავს გარდააყარა. რა წიგნი გახსნა, ესრეთ ეწერა წიგნსა შინა: ჭეი, ჩემო საყვარელო ძმაო, სახელგანთქმულო ფალავანო საამ, ჩემი შვილი ნოჯარ შარარი, სამოციის ათასისა მხედართა, თქვენთა შესაწევნელად გამოვიხტუმრე. როგორათაუ თქვენის მამაკობისაგან ვიციოდე, იმგვარად შევებითო დასაველეთის კემშიფეს შადადს, და ასი ათასისა აქლემის საპალნე სანოვაგეც გამოვიხტუმრე და ისიც მოგერთმევით, საამ ფალავანი დიდსა მხიარულებასა მიეცა და თავისნი სარდალნი და ფალავანნი თორმეტის ათასის კაცით ნოჯარ შაჰს მიეგება.

რა სიხლოვესა მოაწიეს, საამ ფალავანი ამხედრდა და ნოჯარ შაჰს მიეგება, მიესალმა, მოიყვანა და თავის კარავსა გარდაახდინა. იმ დღეს საამ ფალავანმა უმასპინძლა და საქემშიფო მექლიში გარდაიხადეს. რა შეუღამე შეიქნა. საამ ფალავანმა უბძანა, საომარსა ნალარასა დაჰკარითო. რა იქით მხრისა ლაშქართა გაიგონეს, იმათაც საომარი ნალარა დაუქრეს და ორსავე მხრის ლაშქარნი ხუალისა ომსა ეშზადებოდნენ.

რა დილა გათენდა, შადადის საქემშიფო ტახტი — ოთახი სპილოსა ზედან გაამაგრეს. შადად ტახტსა დაბძანდა, თავისსა ღროშასთან დადგა. აქეთ მხარეს საამ ფალავანი გარსაშობისეულის ემშის ტყავისა ღროშასთან დადგა. შადადისა ლაშქარი რიცხვით ორასი ათასი მეომარი იყო და ას სამოცი ათასი ერანელთა იყო. ორისავე მხრისა ლაშქარნი გარიგებით თავ-თავის ალაგს დადგნენ და უყურებდნენ დღეს მოიდანზედ რომელი ფალავანი გამოევა. შადადის მხრილად გურაზ-დანად მოვიდა, შადადსა თაყვანი-სცა, ომისა დასტურსა ეაჯა. შადადმა თავისთან მიიყვანა, რალაც რამ შეულოცა, შეჰბერა და შენერწყვა და უთხრა, რომ ნულარასაგან იშიშვი, ჭეი, ჩემო ეშმაკო, და ვერც არაეინ გავნებს რასმე.

შადადსა თაყვანი-სცა და ასის წყრთის მქონე გურაზ-დანად მოედანსა გამოვიდა და ფალავანი გამოითხოვა. აქეთს მხარეს ფრანგ დივზადა მოვიდა. საამ ფალავანს და ნოჯარ შაჰს თაყვანი-სცა და გურაზ-დანადანის ომსა ეაჯანება მისცეს; ფრანგმა თავისი შვიდასლიტრიანი რკინის კეტი მხარსა გაიღო და

მოედანსა გამოვიდა. და შადადსა მრავალი ავინა, გურაზ დანდანმა შემოავინა და უთხრა: ჭეი, შენ ღმრთის უარისყოფელი, შენ როგორ ვაბედე შეიდანზე გამოსვლა, მე ასეთი ფალავანი მინდა. რომ ჩემი ომი შეეძლოს. ფრანგმა უახსუხა: ჭეი, შე წყეულო, შენ რატომ მწუნობ. რაგვართაც გინდა იმგვარად შევიბნეთ! გურაზ-დანდანმა განრისხებულმა თავისი ექვსასლიტრიანი გურაზ-მოუქნივა, ფრანგმა თავისი რკინის კეტი მიაგება, და მოქნიული გურაზი აიკლინა. რა რიგი ფრანგსა ერგო, თავისი შვიდასლიტრიანი რკინის კეტი მოუქნივა, გურაზ-დანდანმა თავისი ფარი მიაგება. კეტი ესრეთ მდგრათ ნიხვდა, ესრეთ ეგონა, რომ დიდი იალბუზის მთა თავსა დამეცაო, ესრეთ ძალა დაადგა, წელში მშლილდურებ ორათ მოიხარა. ფრანგმა შესძახა: ჭეი, გურაზ-დანდან, ახლა რიგი შენია, გურაზ-დანდანმა ხმალსა ჴელი მიჰყო და ცხენია ფრანგზედ მიაგდო. ფრანგ ევექცა და გურაზ-დანდან გამოეკიდა. ფრანგმა მოხელა და უბილამ ერთი გათლილი ქვა ამოიღო. შემოსტყორცნა და გურაზ-დანდანისა საჭლომსა ცხენსა თავსა ესრეთ ეკვეთა, რომ ძვალი და ტვინი ერთმანეთში აურივა, ცხენი დაკაცი ორნივ მიწასა დაეცნენ. გურაზ-დანდან მსწრაფლ ზე აღგა და ფრანგსა ქვევითი გამოეკიდა, ფრანგმა მოხვდა, უბილამ მეორე ქუა ამოიღო, გურაზ-დანდანს შესტყორცნა; ქუა თავსა ეკვეთა, გურაზ-დანდან მიწასა დაეცა, ფრანგ მსწრაფლად მივიარდა, მკერდსა შეახლტა, თავი ტანთაგან განაშორა.

რა შადადმა ესე იხილა, საზარლად ამოიხზრა და გურაზ-დანდანის დასტახა ერთი სხვა ფალავანი მიუჩინა და უბძანა, რომ შეუტრეეთ და ფრანგ ცოცხალი დივიჩრეთ! სამოცი ათასმა კაცმა შემოუტრევეს. ფრანგმა რა ესე იხილა, გურაზ-დანდანის თავი კალთაში გამოიხვია და სარტყელსა გაიმპგრა და თავისსა შვიდასლიტრიანს რკინის კეტს ჴელი მიჰყო, ამა ლაშქარს შეუტრევა: რომელსაც დაჰკრემდა, მიწასთან გაასწორებდა. საამ ფალავანმა თემურთაშს ანიშხა ფრანგის მიშველება. თემურთაშმა ოცდაათი ათასის მძიმისა გურაზისა მქონისა მეომრითა შადადისა ლაშქართა შეუტრევა. იქით მხარესა შადადმა თავისსა სარდალს ანიშხა და ოცი ათასი კაცი მოაშველა. შემოუტრევეს და ერანისა ლაშქარი გამოატრიალეს და ხოციით მოსდევდნენ. რა საამმა ესე იხილა, შაფური ოირდილსა ანიშხა და თხუთმეტის ათასის მეომრით თემურთაშს მიაშველა. რა შაფური ოირდილმა მიაწივა, ვითა შევარდენმა ტრედისა გუნდი დაფანტოს, ეგრეთ შადადისა ლაშქარნი დაფანტა.

რა შადადმა თავისისა ლაშქრისა გაქცევა იხილა, თავისსა სარდალსა უბძანა. ათი ათასის კაცით მოაშველა; რა შადადისა ლაშქართა თავისი შემწეობა იხილეს, სიმხნესა ძალა მისცეს და ერანისა ლაშქარნი გამოაბრუნეს, აქეთ მხარეს საამ ფალავანმა რა ერანისა ლაშქრისა გამოაბრუნება იხილა, ყალვად და ყულუშ ათი ათასის მეომრით მიაშველა. შადადისა ლაშქარნი გაატრიალეს და დაფანტეს, და უწყალოდ ხოციით მისდევდნენ. რა წყეულმა შადადმა ესე იხილა, თავისა სარდალსა განჭურ შურთურლამს ოცდაათი ათასისა ლაშქრითა თავისი ლაშქრისა მიშველება უბძანა. შადადსა თაყვანი-სცა, გამოაბრუნდა და ერანისა ლაშქართა შემოუტრევა. რა ერანისა ლაშქართა ესე იხილეს. შემინდნენ და გამოიქცნენ.

ამისი მხილველი საამ ფალავანი დიდათ განრისხდა, თავისი ვეშაპის ტყავი — დროშა სეილი ჩანსუხსა მიაბარა და თვიღონ ოცი ათასისა მეომრითა შადადისა ლაშქართა შემოუტრევა, ნარიმანისეულს ბასრსა ხმალსა ჴელი მიჰყო და ლაშქარსა გაერია, რომელსაც თავსა დაჰკრემდა, სარტყელამდინ შუა გა-

აპობდა, რომელსაც წელსა შემოკრებდა, შუა გასწვევტდა და ესრეთ უწყა-
ლოდ ხოცდა შადადისა ლაშქართა და, რომელსაც მიმართემდის, გაექცეოლიან.
და პირისპირს ვერაიენ გაბედადმდის. შადადმა რა ესე იხილა, უბძანა და გასა-
ყარსა ნაღარასა დაჰკრეს. აქეთ მხარეს ნოვზარ შარიარმა უბძანა და გასაყარსა
ნაღარას დაჰკრეს და ორისავე მხრისა ლაშქართა გულოვანთა სადავე გამოიბ-
რუნეს, და თავისსა სადგომსა დაემგზაურნენ. ნოვზარ შარიარ თავისსა კარაუსა
მიბძანდა, საამ ფალავანი სანგარის პირთან დადგა, და სხვანი სარდალნი და
ფალავანნი ყოველსავე მხრიდამ საამ ფალავანთან შემოკრებენ და გამარჯვება
მიულოცეს. საამ ფალავანი წინ წამოუძღვა და ნოვზარ შარიართან მოვიდნენ,
ცხენთაგან გარდახდნენ და შევიდნენ; თაყვანი-სცეს. ჴელსა აკოცეს და გამარ-
ჯვება მოულოცეს; ნოვზარ შარიარ საამ ფალავანისა და სხვათა ფალავანთა გუ-
ლოვნებისა მაქებელმა სიყვარულით მოიკითხა და მადლობა უბძანა, საამ ფა-
ლავანსა უთავაზა, გარდაეხვია და შუბლსა აკოცა. ნოვზარ-შამ თავისსა ტახტსა
დაბძანდა, საამ ფალავანი და სხვანი სარდალნი და ფალავანნი თავ-თავის გან-
წესებულ ალაგს დასხდნენ. იმ ღამესა ყარაულად სეილი ჴანსუზ დააყენეს, რამ-
დენიმე ათასის კაცით გაისტუმრეს, თითონ ლხინსა და განცხრომას მიეცნენ.
მეორესა დღესა არც ერთისა მხრის ლაშქრისა მხრიდამ ომი აღარ ინებეს. და
კაცნი გაისტუმრეს და წინა დღისა ომში დახოცილნი კაცნი მოაგროვეს და მი-
წას მიიბარეს. ერანისა ლაშქარსა სამოცდაათი კაცი დაჰკლებოდა და შადადის
ლაშქრიდამ ოთხი ათასი კაცი დაჰკლებოდა.

რა მზემან მოვლო, შადადისა ლაშქრისა შინა სამხიარულოსა ნაღარის და-
კურა გაახშირეს. სეილი ჴანსუზმა რა სამხიარულოს ნაღარის ხმა გაიგონა,
ერთსა აიარსა უბძანა, მსწრაფლად წადი და ესე ამბავი თვითეულად ჰსცან.
წავიდა და შადადისა ლაშქარსა ფარულად დაზვერა და იქაური ანბავი ყველა
ჰსცნო. მსწრაფლად გამობრუნდა და სეილი ჴანსუზს თვითეულად მოახსენა.
სეილი ჴანსუზმა მსწრაფლად ნოვზარ-შასთან გამოსტუმრა. იმჟამად ნოვზარ-
შამ მექლიშზე ბძანდებოდა. აიარი მოვიდა და თაყვანი-სცა. ნოვზარ-შამ ჰკითხა.
აიარი თაყვანი-სცა და მოახსენა: ჴემწიფეო, დღეს, რა მზემ მოვლო. შადადი-
სა ლაშქრიდამ სამხიარულოს ნაღარის ხმა მოგვესმა, სეილი ჴანსუზმა ანბასა
საცნობლად გამგზავნა. რა შადადისა ლაშქართა მიველ, ოჯუბნი უნუყის ანბა-
ვი მოხსენდა, თქუნესა შემწედ მოვაო. ამ საქმეზედ დიდსა მხიარულებას მიეც-
ნენ. და ესე ანბავი სრულებით ესცან და აქ გაიხელ. ახლა ნება თქვენი უმაღ-
ლესობისა არის!

ამა ანბისა მსმენელნი სარდალნი და ფალავანნი დიდსა შიშსა და მწუხარე-
ბასა მიეცნენ. ოჯუბნი უნუყ ესეთი ძლიერი ფალავანი არის, რომ იმისი მგზაუ-
სი ძლიერი ფალავანი არ ნახულოყო, სიმაღლით შეიდასის მწყრთის მქონე იყო.
საამ ფალავანმა ამ ფალავანების შეშინებაზე დიდათ გაიციონა და უთხრა: თქვენ
ნუ სწუხართ, ხვალ მე გავალ მეიდანზედ და იმის სიცოცხლის მფრინველს იმ-
საგან გავაფრენო. ნოვზარ შარიარმა საამ ფალავანს ქება შეასხა და სიტყვისათ-
ვისა და უბძანა: დიდი ქება გაიბიჯონია ოჯუბნი უნუყისა ფალავანობისა: როცა მო-
შივდებდისა ზღვაში ჴელს ჩაყოფს, თევზს დაიჭერს და მზეს მიუშვერს, შესწომს
და ისე შესკამს. სხვა საქმელი ვერა გააძღობს რა, არა თუ იმისთანა დიდრო-
ვანი ზღვის თევზი. საამ ფალავანმა მოახსენა, რომ ჩვენ თეიმურაზ ჴემწიფისა
და ჴიმშიტ-შასი და გარსაშიბისა ჩამომავლობისანი ვართო. ჩვენ გულში შიში
არ შევა. ღმერთს არ უბძანებია, რომ ჩვენს გულში ამგვარის ფალავანების

წილი შევიდეს. ამ ლაპარაკზედან ფრანგ დიუზალი შემოვიდა და ფალავანს მოახსენა: გარეთ გამობრძანდით, ოჯახი უნუყს თამაშა უყურეთ. ჭეშქიფე და ფალავანი გარეთ გამოვიდნენ და ოჯახი უნუყს მომავლობასა უყურებდნენ.

რა შადადისა სიახლოვესა მოვიდა, იხილეს, რომ ერთის მინარისოდენი იყო და თითოს შეიღნის ოდენს გააბიჯებდა. შადადმა დიდებულნი მიაგება. დიდებულთ შადადის კარავსა მოიყვანეს. კარავი დიდათ შადალი იყო, მაგრამ ოჯახი უნუყ კარავსა დაქდა, და იმისი თავი კარავსა ხვდებოდა. შადადს იმისი ხილვა დიდათ იამა და დიდსა მხიარულებასა მიეცა. სუფრა შიიღნეს და მეჯლიში გამართეს. იმ ღამეს ესეოდენი საქმელი ჰსჯამა, რომ, რაც იმ ღამეს იმოდენს ლაშქარს ხორავი მოუწოდებოდა, მარტოკა იმან შესჯამა. ამ საქმეზედ შადად დიდად მხიარულობდა. და იმ ღამეს იმა მეჯლიშში ომის საქმესა და სწავლებას ასწავლიდა შადად და უბძანა: მე შენ იმისთვიან დაგბადე, რომ, ვინც ჩემი მტერი და წინააღმდეგი იყოს, იმათ უნდა მომარჩინო და იმათი სახსენებელი ქვეყანით უნდა ახოცო. ოჯახი უნუყმა მოახსენა: მიბძანეთ, თქვენი წინააღმდეგები ვინ არისო. შადადმა უბძანა, იმას საამ ჰქვიან, ის ფალავანთ და მეომართ დაგბადე და ამას ვითხოვ შენგანა, რომ ის ხვალ შეიპყრა და ჩემთან მოიყვანო, რომ იმისი მტერობისაგან მოვრჩეთო. ოჯახი უნუყმა მოახსენა. ხვალ შეიღნულად გამოვალ და საამ ფალავანი მე მაჩვენეთო და თქვენი ძალით მე იმას შევიპყრობ და თქვენი სამსახურში მოვიყვან!

საომარსა ნღარასა დაჰკრეს. აქეთსა მხარეს რა ნღარისა ხმა მოესმათ. საამ ფალავანმაც უბძანა, საომარს ნღარას დაჰკარითო. ორისავე მხრიდამ საომარისა ნღარისა ცემა შეიქნა, მაგრამ ერთი ფალავანი და სარდალი ოჯახი უნუყისაგან არა მცირედსა შიშსა მიცემულ იყვნენ, ერთი მეორესა ფარულად ელაპარაკებოდნენ. საამ ფალავანმა რა ესე ესრეთ იხილა, შადლისა ხმითა შემოსძახა: შეი, ფალავანო და სარდალო, თქვენ ნურაზედ იშიშვით ოჯახი უნუყისაგან, თუ ღმერთი ჩემი შემწე იქნება, იმის სახსენებელს ქუეყნიდამ ავხოც, მე ჩემი თავი ღმრთისათვის მიმიღწევია. თუ ღმერთს ნებავეს ჩემი სიკვდილი, რა გაეწყობა! თუ არა, უთუოთ ცოცხალს არ გაუშვებ. იმამად ნეჯლიში შეეჭმნათ და შუალამედინ ღვინის სმას და ლხინსა იყვენენ.

რა მეჯლიში მოიშალა, სარდალი და ფალავანი თავის ხალვათსა კარავსა შევიდა და თავმოხდილი ღმერთსა ევედრებოდა: ღმერთო, თუ შენი მოწყალეობა იქნება და ესე ფერიღუხტანთ გაუხარალოთ ნუ მომკლამ, კიდევ მიჩვენე იმისი სახე, და ის წყველი დევი შემაპყრობინე, თუ არა შენის მოწყალეობითა. მე არც ერთის ბუზის გაფრენაც არ შემოძლიან. თუ მე ან ფალავანობა მიქნია და ან სახელი მიქნია, სულ თქვენის ძალით მიქნია, და ახლაც გვედრებები, რომ ეს ვედრება შეისმინო, და ჩემი წადილი აღმისრულო. შენ შამოურდომილი არავინ დაგიცია და მეც გვედრებები, რომ ამ შეწუხებისაგან მომარჩინო! გათენებამდინ თვალკრემლიანი ესრეთ ილოცვიდა.

რა გათენებისა ეამი მოახლოვდა, ფალავანი ძილმა მოიპარა, თვალი მიეტუქა და მიეძინა. ძილსა შიგან ერთი ხმა მოესმა: ფალავანო საამ, შენ ნუ რაზედ შეიჭირებ, ღმერთმა შენი ვედრება შეისმინა, შადადსაც შენ დაამარცხებ და იმის ხაზინასა და ქუეყანასაც შენ დაიპყრობ. საამ ფალავანსა რა ესე ხმა მოესმა, ძილისაგან განიფრთხო და დიდსა მხიარულებას მიეცა და თავის სალოცავის კარვიდამ გარეთ გამოვიდა, და იხილა, ორისავე მხარისა ლაშქარნი ამხედრებულან და თავ-თავის განწესებულს ალაგსა დგანან, და ფალავანი

ერთიმეორესა უყურებენ და გულსა შინა განიზრახვიან, დღეს მეიდანზედ ან ვინ გამოვა, ან ვისი ხმალი უქულმა ჩაეგება, ან ვისი იარაღი უპატრონო შეიქნება, ან ვისი გვირგვინი მიწასთან გასწორდება, ან უკანასკნელი შესამოსლითა ვინ შეიმოსების, ან ვისი ცხენი უპატრონოთ გაბრუნდება. შადადისა მხრივად ოჯიბნი უნუყ მეიდანსა გამოვიდა. შადადმა ერთსა თავისსა ყულუხჩსა უბძანა: შენ წინ წადე და ოჯიბნი უნუყს საამ ფალავანი აცნობე.

ოჯიბნი უნუყ საზარელი სანახავი იყო. სიმაღლით ერთს ღიღს შინარასა ჰგავანდა და იმის გულის სიგრეც ღიღის მეიღის ოღენი იყო. რა საამ ფალავანისა ბაიარალსა დაუბირდაპირდა. ამისი მხილველი ვრანენლი დიდად განკვირდნენ. აქეთსა მხარეს საამ ფალავანმა რა ოჯიბნი უნუყ მეიდანსა გამოსული იხილა, მარჯვენა კელი მარცხენასა გვერდსა შემოიხვია და მარცხენა — მარჯვენასა და მალისა ხმითა ღმრთისა სახელი ასსენა და ნარა გასწივა, რომ ოთხსაე მხარეს ოთხს ალაჯზედ მთამა და ვეღმა ზრიალი დაიწყეს. ორისაე მხრის ცხენები დაფრთხნენ და ზედ მჯღომნი პატრონები გარდმოყარეს. შადად ხან იყასა უყურებდა და ხან მიწასა, თურმე, ცა და ქვეყნის დაქვევა ჰგონებოდა და გაოცებული ამ ხმის ანბაეასა იკითხებდა. მოახსენეს: ეს ხმა საამ ფალავანის ხმა არის, ასე იცის, რაოცა საომრათ მოემზადება, თავის მეომარს ასე შემოსძახებს და გულსა შინა შიშსა ჩაუგდებს, მაგრამ ოჯიბნი უნუყს საამის ხმა დიხ მკერედ შეესმა, ესეთი მაღალი იყო, რომ არვისი ლაპარაკი არ ესმოდა. ვისიეც ლაპარაკი უნდოდა, თავს დაბლა დაიდებდა და ისე გელაპარაკებოდა. და თავისთან მიჩენილს ყულუხჩსა ჰკითხა: ეს რა ხმიანობა იყო, რომ შემომემსა. იმან მოახსენა ის ჩვენის კემწიფის წინააღმდეგი საამ ფალავანის ხმა იყოო.

საამ ფალავანმა თავისა ყურაბი თიქაურს ერთი მათრახი შემოჰკრა, რომ იქ მყოფთ ლაშქართა ყოველმან შეიტყუეს და თავის ასოთხმოციტრიანს შუბსა კელი მიჰყო და ოჯიბნი უნუყს მიმართა და შუბი ბარკალსა აძგერა, ოც ადღამდისნი დაასვა, მაგრამ შუბისა წვერმა იქით ვერ გაატანა და ოჯიბნი უნუყმა ერთი საზარლად დაიღრაოლა, შუბისა საშუალასა კელი შესტაოცა და გამოძრობასა ლამობდა. საამ ფალავანი სწრაფად უყუხტა და თავისი ბასრი ხმალი მოუქნივა და ხელში მოახვედრა, და თითები დააყრევიანა, მაგრამ ამ წყეულმა შუბი გამოიძრო და შორს გარდაავდო, და კელი პირში ჩაიღო და თავის სისხლისა წოენა დაუწყო: საამ ფალავანმა ცხენი გამოიბრუნა და ნავარდი დაიწყო. ოჯიბნი უნუყს, შადადის ყულუხჩი რომ მხარზედ აჯდა საამისა საცნობლად. იმან უთხრა, საამ ფალავანი ის არისო, რომ მეიდანზედ ცხენი გაიბრუნა. ოჯიბნი უნუყმა კელი წაავლო, ეწადა, რომ საამ ფალავანი შეეპყრა. საამ ფალავანმა განარისხებულმა თავისსა გარსაშიბისეულს ას ოთხმოციტრიანს ბასრსა ხმალსა კელი მიჰყო და ესრეთ დაჰკრა კისერშია, რომ კისრიდამ ათი ლიტრა ხორცი მოავდებინა, და მიწასა დაეცა. ოჯიბნი უნუყმა იმეამად მეორესა ქელით თავისსა წყულულებზედ კელი მოისო. ფრანგ დიეზალი მივიდა, სწრაფად. ოჯიბნი უნუყმა რომ ფალავანის შუბი გარდაავდო, ის აიღო და ფალავანს მიართო. საამ ფალავანმა შუბი გამოართო. და გაასწორა და ოჯიბნი უნუყის საძგერებლად მიიტანა.

ოჯიბნი უნუყმა რა საამ ფალავანი სიახლოვეს მისული იხილა, ფეხი აიღო და საამ ფალავანს თავში დაკერასა უბირობდა და მიწასთან გასწორებას უბირობდა. საამმა რა ესე იხილა, ლაჯებში შეუძქრა და თავისი შუბი საიხრცხოსთან ესრეთ აძგერა, რომ ათი ადლი დაასო. ოჯიბნი უნუყს დიდათ ემწევა და ფინ-

თათ ღრიალი დაიწყო. ათასის ცდით ეცადა და ის შუბი გამოიძრო და ეწადა, რომ შორს გარდაეგდო. საამ ფალავანმა თავისი ხმალი მოუქნივა და შუა თითი გააგდებინა. ოეჯიბნი უნუე დაქრილებმა მეტათ შეაწუხა, რომ არ იცოდა, თუ რა უნდა ექნა. მხარზედ შადადისა ყულუხჩი აჯდა, აიყვანა და შორს გასტყორცნა. და დაქრილებიდან ესდენმა სისხლმა დენა დაუწყო, რომ დიდროვანი ღვარები აღსდგა. საამ ფალავანმა თავისსა საქრომსა ჭილაეი ასწივა და დააყენა, შვილდ-ისარსა ჳელი მიჰყო, მედგრათ მოსწივა და ოეჯიბნი უნუეს შესტყორცნა. ოეჯიბნი უნუეს მუცელსა ეცა და ფრთემდისინ ჳედან დაესვა. ოეჯიბნი უნუემა საამისა ომი ველარ გაბედა, და დაქრილობამაც ისე შეაწუხა, რომ სიკედლის ლამობდა, გამობრუნდა და შაეის ღრუბელიეით ერთის მხრისაეენ გაიქცა, ესრეთ ჩჳარა გაიქცა, რომ თითოს ფეხის გადადგმით, თითო აღაჯს გაივლიდა. რა ერანისა ხალხთა ეს იხილეს, დიდსა მხიარულებასა მიეცნენ და სამხიარულოს თაფლიჯანგს ცემა დაუწყეს, რა შადადმა და იმისმა ლაშჳართა ოეჯიბნი უნუეის გაქცევა შეიტყვეს, ესრეთ შეწუხდნენ, რომ მეორეთ მოსვლა ეგონათ. შადადმა თავს მიწა გარდაიყარა და შეწუხებულმა ბძანა. ომის გასაყარსა ნაღარასა ჳკართო. ომის გასაყარსა ნაღარასა ჳკრეს, შადად სწრათად გაბრუნდა და წაეიდა.

აჳეთსა მხარეს გამარჯვებული საამ ფალავანი გამობრუნდა და ვეშის ტყავის ბაირალთან მოვიდა და ნოვზარ-შას გამარჯვება მიულოცა. ნოვზარ-შა ტახტიდამ ძირს ჩამოვიდა და საამ ფალავანსა სამამაცოსა შუბლსა აეოცა, და სიყვარულით მოიკითხა, გამარჯვებისა და ომის მაღლობა უბძანა: ფალავანო. დღეს ესრეთ აღიდე ერანი და ასეთი საქმე ჳქენო, რომ ყარამანისაგანაც არ გავონილა რა ამისთანა საქმე და ძლიერება.

შემდგომად სარდალნი და ფალავანი მოვიდნენ, ფალავანს გამარჯვება მიულოცეს და ჳება დიდი შეასხეს; ფალავანმა უპასუხა: ჳეი, ჩემო საყვარელნო ძმანო, მე ვინა ვარო და ან რა შემიძლიან, რომ მაგისთანას სიტყვებსა ბძანებთ. ეს საქმე საბათო ღმრთის შემწეობით და მანუჩარ ჳემწიფის ბედნიერებით მოხდა, თორემ მე ერთი ჳიის გაქყულეტაც არ შემიძლიან. ნოვზარ-შამ საამ ფალავანსა საქმეწიფო ხალათები უბოძა და მრავალი ოქრო და ვერცხლი თავს გარდააყარეს, და სამხიარულოსა ნაღარასა დაუტყრეს, ნოვზარ-შა და სხვა სარდალები ომიდგან გამობრუნებულნი თავ-თავის ალაგს მოვიდნენ. და ამა ლაშჳარის ხალხნი მოვიდნენ და საამ ფალავანსა ჳელს კოცნიდნენ და მიულოცედნენ გამარჯვებასა. ნოვზარ-შამ თავისსა კარავსა ჩამოხდა და სახემწიფოსა ტახტსა დაბძანდა, საამ ფალავანი გარსაშობისა-სეულსა სკამსა დაჯდა და სხვანი სარდალნი და ფალავანი თავ-თავის განწესებულსა ალაგსა დასხდნენ. იმ დღისა საამ ფალავანისა და ოეჯიბნი უნუეის ომსა ჳედა შეექცეოდნენ და მხიარულობდნენ. სუფრა მოიღეს და მეჭლიში გამართეს, ლხინსა და განცხრომასა მიეცნენ.

ესე ანბაეი აჳა დაუტეოთ და მცირე რამ შადადის ქალისა თუთისა ანბაეი წარმოეთჳათ

ამჳამად საამ ფალავანი და ოეჯიბნი უნუე რომ მედგრათ იბრძოდნენ, შადადისა ქალი თუთი ნიღამ-ჩამოფარებული დროშისა ძირსა თურმე იდგა. ესეთისა შვენებისა და ჳდილობისა ქვევისა იყო, რომ ფერიღუხტისთანა რამდე-

ნომე მოახლეთა ფერობდა. იმ დღისა საამ ფალავნისა მშვენიერებისა ახოვნებო-
სა და ფალავნობისა და ფიცხელისა ომისათვისა ფარულად ეყურებინა, და საამ
ფალავნისა სიყვარულისა ისარი გულსა სცემოდა, ესეთი სიყვარული ჩავარდ-
ნოდა გულსა შიგან, რომე აღარ იცოდა, რა უნდა ექნა, მაგრამ მეტის ზრდი-
ლობით ფარავდა. მეორესა დღესა ორისავე მხრის ლაშქარნი გამოვიდნენ მე-
იდანსა და თავ-თავის განწესებულს ადგილსა დადგნენ. ორისავე მხრიდამ უყუ-
რებდნენ, ენახოთ, ვინ გამოვა მეიდანზედ. იქითის მხრიდამ შადადის ასული
თუთი გამოვიდა მეიდანზედ და ნავარი დაიწყო. და ერანისა მხრიდამ ფალა-
ვისნი გამოიხოვა. აქეთისა მხრიდამ თემურთაშ მოვიდა, და საამ ფალავანსა თა-
ვი დაუტრა, და მეიდანს გამოვიდა.

რა ნილაბ-დარმა თემურთაშ თავზედ მისული იხილა, თავისი შუბი ილლი-
ასა განიწონა და თემურთაშს შემოუტრია. თემურთაშმაც თავისსა შუბსა ჯელი
მიჰყო და მესისხლეთ შეუტრია. და ცამეტჯერ ერთმანეთს შუბები გააცდინეს
და ერთმა მეორესა ვერა აენეს რა. ყოველივე იარაღი იხმარეს ერთმანეთზედა.
ერთმანეთსა ვერა აენეს რა. შშიმესა გურზსა ჯელი მიჰყვეს და უწყალოთ ერთ-
მანეთსა ჰსცემდიან. ვერცა რა იმით აენეს ერთმანეთსა. ნილაბ-დარმა თავისი
საჭლომი გააფიცვა, ცალსა მხარესა გაიგდო, მშვილდ-ისარსა ჯელი მიჰყო და
ესრეთ შედგრათ მოსწივა, რომ გოზა გოზასთან მოიტანა და თემურთაშს შეს-
ტყორცნა. თემურთაშმა რა ესე იხილა, ეწადა, რომ თავისისა ფართა აეცილე-
ბინა, მაგრამ ველარ მოასწრო, ისარი მარჯვენასა მკლავსა დაესო, რომა ერთი
მტკაველი შიგნით დასმოდა. თემურთაშმა ღვიძლთაგან ერთი საზარლათ ამოი-
ოხრა. ამისი მხილველი საამ ფალავანი ღიდათ შეწუხდა და თავისი ყურაბი თი-
ქაური მეიდანსა გამოავდო და ნილაბ-დარსა დაუპირდაპირდა და ერთმანეთსა
ნავარი შემოუელეს. რა საამ ფალავანმა ნილაბ-დარის ტანადობა, იმისი ყო-
ფაქცევა ნახა, იმისი სიყვარული დაინერგა ფალავნისა გულსა. შადადის ქალმა
თუთმა ნილაბ-დარმა რა საამ ფალავანი თავზედ მისული იხილა, თავისი შუბი
გვერდსა განიწონა და საამ ფალავანსა მიმართა ფალავანმაც თავისსა შუბსა ჯე-
ლი მიჰყო და რამდენჯერმე ერთმანეთს გააცდინეს.

ფრანგ მივიდა და თემურთაშ ნოეზარ-შაპის წინა მიიყვანა. თემურთაშს მკლა-
ვიდამ ისარი ამოათრივეს, და მალამო დაადგეს და წყლული მაგრა შეუხვიეს. სა-
ამ ფალავანმა თავისი შუბი მიწასა დაურპო და ნილაბ-დარის შუბსა ჯელი მიჰყო,
და გამოსწივა ჯელთაგან, შუბი წაართო და შორს გასტყორცნა, ჭაჭვისა კალ-
თასა ჯელი ჩაავლო, უნაგირისაგან აგლიჯა, ქალსა პირის საფარებელი მოეშალა.
ფალავანმა შეხედა, ნახა, რომ ერთი მშვენიერი ქალი იყო, აიყვანა და ნოეზარ
შაპის წინაშე მიიყვანა და მიწასა დასვა. ქალმა საამ ფალავანსა შემოხედა და
შემოსცინა და მოახსენა: ჰეი, ჩემო კემწიფეო, მე ერთი თქვენი მხვეალთაგანი
ვარ. ფალავანმა უპასუხა: ჭეი, მნათობო, შენ ვინა ხარ, და ან ვისი ჩამომავლობი-
სა ხარ? თუთი მოახსენა: ჰეი, სახლოვანო ფალავანო, მე შადადის ასული
თუთი ვაბლავარ. გუშინ რომ თქვენ და ოვჯიბნი უნუე იბრძოდით, იქ შემოგზე-
დეთ და შენი სიყვარულის ეშვი გულსა განმეწონა. საამ ფალავანმა უპასუხა:
ჭეი, კეკლუტთა კემწიფეო, რომელიც შენის გულის წადილი არის, მე იმას
აღვასრულებ, მაგრამ შენ მამაშენი შადად უნდა გმო და საბაოთ ღმერთი იწა-
მო. ქალმა მაშინვე ნება დაართო. შემდგომად საამ ფალავანმა უბძანა: ჭეი, მნა-
თობო, შენ უნდა წახვიდე მამის შენის ლაშქარშია და რამდენიმე დღე უნდა მოი-
ცადო, მინამ მამის შენის საქმეს გარდავწყვეტდე და მას უკან შენი გულის წა-

დღის აღვასრულებ! ქალმა თავყანი-სცა და გამობრუნდა. და გულსა შინა განიზრახებოდა: ნეტავი ეს შემატყობინა, საამ ფალავანს ჩემი სიყვარული აქვს თუ არა. ცხენსა ამხედრდა. გააჴეხა და თავის მამის ჯარში მივიდა. შადად განიზრახებოდა, მინამ თუთი მივიდოდა, ესრეთ ამბობდა: მე ჩემის სასწაულით ჩემს ქალს თუთის საამის საპყრობილობისაგან გამოვიხსნი და ჩემთან მოვიყვანო. იხილეს ამა ლაპარაკსა ზედან თუთი შემოვიდა და შადადს კელზედ აკოცა. შადადმა უბძანა: ჭეი, ჩემო საყვარელო თუთი. მე ექვს თვეს უწინ განვიზრახე, ჩემგან დაბადებულს მონას საამს შენ უნდა შეეპყარ შეიღანზედ და მას უკან ისევ ჩემის სასწაულით ჩემს წინ უნდა გამოესტუმრე! შადად ესრეთ უსჯულო იყო, რომ რამდენიმე ჯადუბაზები ახლდნენ. რასაც მონიღომებდა, იმათის მანქანებით იქმოდა და თითონ დაიბრალებდა, ღმერთობას რომ ჴემობდა: ეს მე ქვენი, იმ ხალხს ესრეთ მოაძღუნებდა, რომ ესა და ეს ქვეყანა გაეაჩინე და ამდენი ხალხი დავბადე. იმისი ქვეყნის ხალხი ესეთი ვირი და ბრიყვი იყვნენ, რომ, რასაც ამბობდა, ისინიც იჯერებდნენ. რამდენჯერმე უბძანა შადადმა თავისსა ჯადოქარებს, რომ წადით და საამ ფალავანსა და იმის ჯარსა ერთი რამ ჯადოქრობა უყავითო, მაგრამ ამ ჯადოქარებმა რამდენჯერმე მონიღომეს, რომ ერთი რამ ჴიანი მიეცათ.

ფალავანსა საამს შვიდი მარცვალი ლალი ჰქონდა, თეიმურაზ კემშიფის საქონი, მკლავზედ ეკერა და იმისის ძალით, არც საამ ფალავანს და არც იმის ჯარსა და იმათ ცხენსა, არას ჯადოსი მანქანება არ მოეკიდებოდა და ვერცა რას უზემდა. და ფალავანმა ისმიაზამის ლოცვა იცოდა; როცა იმას ილოცებდა, ჯადოს მანქანება ვერას უზემდა. და შადად ამ საქმეზედ დიდად შევიწროვებდა და ვერა გაეგო რა, თუ რისა გზით არის ეს საქმეო. იმჴამად გასაყარ ნალარას ჰკრეს ორისაგ მხარიდამ და თავ-თავის სადგომსა წაივინენ.

რა შუალამე შეიქნა, ორისაგ მხრიდამ საომარი ნალარა დაუკრეს. ორისაგე მხრიდამ ფალავანნი საომრად მოემზადნენ, მაგრამ საამ ფალავანს ფერიღუბტის სიყვარულით ძილი არ მოსდიოდა, და გაათენებისა ეამსა ადგა და დავიდოდა, და სიარულსა შიგან ფერიღუბტს იგონებდა და დილის ნიაგსა ევედრებოდა ფერიღუბტთან შუამავლობასა და თავისა ანბავის მიტანასა. ამა სიარულსა შინა იხილა, ერთი შავათ მოსილი ნილაბ-დარი, მოვიდა და ფალავანს თავყანისცა. საამ ფალავანმა ჰკითხა, შენ ვინა ხარო. ნილაბ-დარმა პირთავან ნილაბი აიხადა და მოახსენა: ჰეი, ფალავანო, მე თქვენი მხეველთაგანი თუთი ვახლავარო. მივიდა და ფალავანს შუბლსა აკოცა. ფალავანიც გარდებვია სიყვარულით და პირსა აკოცა. მივიდნენ, ტახტსა დასხდნენ და ღვინის სმასა შეექცნენ. რამდენსაც ეს ქალი ევედრა ფალავანსა თავისი გულის წადილის აღსრულებას, ვერ დაიმორჩილა. ფალავანმა უპასუხა: მე აღთქმა მაქვს, მინამ ფერიღუბტს არ შევეყრები, მე სხვის გულის წადილს ვერ აღვასრულებო.

ქალმა რა ეს სიტყვა მოისმინა, ტირილი დაიწყო და უთხრა: მაშ, ჩემის გულის წადილს არ აღვასრულებ? ფალავანმა უპასუხა: ჰეი, ჩემო კეკლუტო. კემშიფეო, მე შენი სიყვარულით სიცოცხლე აღარ მაქვს, მაგრამ ფალავანის წესისა, რომ ერთ სიტყვაზედ და ერთ პირზედ იდგეს. თორმეტი წელიწადია, რომ თურქისტანის ქუეყანაში ზაყან ჩინის ქალის ფერიღუბტისათვის ხმალს ვიქნევ და ძლივ ქელში ჩავიგდე, და აქეთ წამოვიყვანე, და ერთმა წყეულმა დევმა მომტაცა და წაიყვანა. ქალმა უპასუხა: რადგან ასე არის, კვლავ რომ შევიყარნეთ, მაშინ უნდა ჩემის გულის წადილი აღვასრულო. ფალავანი გარდებ-

ვია და რამდენიმე აკოცა, და რამდენსაც ღვინოსა შესვამდენ, იმდენსა ერთ--მანეთს აკოცებდნენ და გათენებისა ჟამამდინ ესთესა ლხინსა და შექცევასა იყვნენ.

რა გათენებამა მოაწივა, თუთი ზე ადგა, ფალავანსა მოახსენა: მანაჩემმა. ოცდაათი ათასი კაცი და ურიცხვი ხაზინანი მამპარა და, თუ მიბძანებ, სულ ერთიანათ მოვართმევ. ფალავანმა უპასუხა: ჰეი, მნათობო. შენ რამდენიმე დღე დამაძალე, მე რომ ჩინეთილად მოვიდოდი ერანის მხარესა, აბრაი დევმა ფერილუხტ მომპარა და წაიყვანა, და ახლა მე იქ, ქუი ფანას მთაშია უნდა წავიდდე და ფერილუხტ იმისი კელიდამ დაეიხსნა. იქილამ მოვიდდე, და მამაშენი შადად თავისი ლაშქარით ჩემს სარწმუნოებაზედ უნდა მოვიყვანო და საბაოთ ლმერთი ვაცნობო, მაშინ შენი გულის წადილს აღეასრულებ. თუთიმ რა ესენი მოისმინა, მაშინვე სწრაფად გაბრუნდა და თავისა ლაშქარში მივიდა, რომ იმისი მისვლა ვერაინა ჰსენა.

რა დილა გათენდა და ქუეყნის მაშენებელმა მზემან თავი ამოყო, ორისავე მხრის ლაშქარი ამხედრდნენ და თავ-თავის განწესებულს ალაგსა დადგნენ. ნოვზარ-შა და საამ ფალავანი ამხედრდნენ. ნოვზარ-შას ერთი საუცხოვო სპილო მოგვარეს, იმაზედ ამხედრდა და მეიდანზედ გამობძანდა. საამ ფალავანიც თავისსა საქდომსა ამხედრდა და გარსაშიბისეულს ვეშპის ტყავის დრონისთან დადგა და ფალავანთა თვალი მეიდანზედ ეჭირათ. რომ დღეს რომელი ფალავანი გამოვად და რომლის ცხენი ცარიელო გაბრუნდება. იქითისა მხრილამ თუთი თავისის ოცდაათი ათასის ლაშქრით ცალს მხარესა გამოვიდა და თავისი ლაშქარი ერთსა მხარესა დააყენა. და თუთიმ თავის საქდომსა ქუსლი ჰკრა, მეიდანსა გამოიგდო და შადადისა მხრილამ ფალავანი გამოითხოვა. ერთი სახელოვანი ფალავანი გამოვიდა შადადისა მხრილამა. და თუთმა ერთის შუბის ძვერებით მოჰკლა.

მოკლეთ მოგახსენოთ, შადადის მხრილამ რაც ფალავანი გამოვიდნენ, სულ ამ თუთის კელისაგან დაიხოცნენ. შადად ამ საქმის მხილველი დიდათ განარისხდა და თავისსა ლაშქართა ერთობით შეტევა უბძანა: ლაშქართა სულ ერთობით შემოუტევეს. აქეთისა მხრილამ და ფალავანთა ესე იხილეს, საამ ფალავანი, ყალვად და ყულუშ, სეილი ჭანსუზ, შაფური შირილი, თემურთამ თავისის ლაშქართა შეუტევეს შადადისა ლაშქარსა და ფიცხელი ომი შეექმნათ. ფრანგ საამს განუშორებლად თან ახლდა და თავის რკინის კეტს, რომელსაც დაჰკრებდა, მიწასთან გაასწორებდა. ერანელნი ფალავანი მედგრათ იბრძოდნენ და უწყალოთა ხოცდნენ, მაგრამ საამ ფალავანი შადადის ლაშქრის საშუალს შევიდა და ესდენი დახოცა, რომ ფეხი აღარ აეჭეოდა. და იმეამად საამ ფალავანმა შადადის დროშის მტვირთველთან მიაწივა, თავისი ას ოთხმოცლიტრიანი მძალი ესრეთ მედგრათ შემოჰკრა, რომ დროშა და ის ოთხად გაკვეთა.

რა ესე საქმე შადადისა ლაშქართა იხილეს, სამოცი ათასი კაცი ესრეთ შეშინდნენ, რომ სადავეები გაიბრუნეს და გაქცევა დააპირეს. შადადმა, რა ესე იხილა, დიდას მწუხარებასა მიეცა, დიდათ განარისხდა და საამსა მომართა. საამმა რა შადად დაინახა, თავისი ყურაბი თიქურსა ქუსლი დაჰკრა და შადადსა მიუხდა. შადადმა თავისსა ხმალსა კელი მიჰყო და საამ ფალავანს მოუჭნივა. საამმა თავისი ფარი მიაგება, მოქნეული ხმალი ფარსა მოხვდა, სამათ გატყვდა და ძირსა ჩამოცვივდა. შადადმა განარისხებულმა ხმლისა ნატეხი ფალავანსა შემოსტყორცნა, ფალავანმა აიცილნა. რა რიგი საამ ფალავანსა ერგო, თავისსა.

ბასრსა ხმალსა ჳელი მიჳყო და შადადს მოუქნიეა. შადადმა თავისი ფარი თავ-
სა იფარა, ხმალი ფარსა მოხვდა, ფარი შუა ვაკვეთა და თავში მძიმეთ დაქრა
და ცხენილამ ძირს ჩამოვარდა. საამ ფალავანსა თავისმა ყურაბი თიქაურმა თავ-
სა გასწიეა და მეიდანის თავსა ვაიყვანა. მანამდინ ფალავანი ჳილავსა გამოიბ-
რუნებდა და შადადთან მივიდოდა, მისცივიდნენ შადადისა ლაშქარნი, მოიტა-
ცეს და თავისსა ლაშქარში მიიყვანეს.

შადადისა ლაშქართა რა თავისი ბაირახტარი მკედარი იქილეს, და შადად: ჳ
მძიმეთ დაქრილი, სულ ერთობით ჳილავი გაიბრუნეს და გაიქცნენ. საამ ფა-
ლავანმა შეხვდა, ნახა, რომ შადად თავისი საჯღომის ადგილილამ გარდახდა და
ერთს საუცხოვოს ცხენზედ შემოქდარა და მირბის. ფალავანი მაშინვე გამობრუნ-
და და თავისთა ლაშქართა შემოქდახა: თორმეტი ათასი კაცი უნდა გამომყვეთ!
და მაშინვე თავისსა საჯღომსა ქუსლი ჳკრა და შადადს გამოუდგა. თემურთაშ,
შაფური შირილი, სეილი ჳანსუზ, ყალვად და ყულუშ მაშინვე უკან გამოუდგ-
ნენ და შადადის ლაშქართა უწყალოთ ხოკით მისდედნენ. ამა ყოფაქციეითა
სამი აღაჳი სდივეს, და ერთისა მთის ძირსა მივიდნენ, მაგრამ ის მთა ესრეთი:
მალალი იყო, რომ თავი ცისათვის მიებრჯინა, და იმა მთის ძირსა დიახ უცხო
წყლები გამოსდიოდა და უცხო მწვანოვანი და აეროვანი ადგილი იყო. იმა
წყაროსთან ერთი საუცხოვო ბალი იყო, და იმა ბალში ერთი მალარო იყო, და
ის წყეული შადად თავისის მოსამსახურეებით იმაში შევიდა და უჩინო იქმნა.
საამ ფალავანი თავისის ფალავნებით მივიდა იმა მალაროსა პირსა და დადგა.
შეხედეს, ნახეს, რომ ერთი საშინელი ვეშაპი წევს იმა მალაროსა პირთან. საამ
ფალავანმა ბძანა: არას გზით ჩემგან არ იქნება, ახლავ შეეალ ამა მალაროსა
და იმა წყეულს იქილამ გამოვიყვან! ამა სიტყვისა თქმაზედა შადადის ქალი
თუთი მოესწრო. თავყანი-სცა და მოახსენა: ჳეი, ჩემო საყვარელო, ჳერ ჩვენ
დაგვხოცე, მერმე ეგ საქმე ინებე! მაგ საქმეზედ ჳელი აილე, თორემ, თუ შენ
იმა მალაროსა შეხვალ, საუკუნოთ შენი იქილამ გამოხსნა არ იქნება, და შენი
აღსასრულიც იქ იქნება! საამ ფალავანმა შემოხვდა და იხილა: თუთი თავისის
აუცდაათი ათასის კაცით მოსულ იყო. ფალავანმა თქუა, რომ: თუ ეს აქელამ
არ გამოვიყვანე, ისეე გამოვა და თავისის მანქანებით ქუეყანაზედ კიდევ ილ-
ჳერთებს.

ამ სიტყვაზედ იმ ბალში გარდახდნენ. და ერთის ხის ძირსა დადგა და
ღმერთს ევედრებოდა, შადადის შემყრობასა. და ერთი ხმა შემოესმა ფალავან-
სა ყურში: ჳეი, ფალავანო, შენ მაგ საქმეზედ კელი აილე, ეგ თილისმა სხვის
სახელზედ არის ვაკეთებულო, შენის შვილის შვილი ერთი ფალავანი გამო-
ვა, თილისმასაც ის დაარღვეეს და შადადსაც ის მოჳკლავს, შენ მაგას დაეხსენ,
შენგან მაგისი სიკვდილი არ იქნება, შენ მაგისი ხაზინა და ოქრო აილეე და
მოიხმარე! საამ ფალავანმა რა ესე ვაიგონა, გამობრუნდა და ფალავანთა ესე
ანბავი უამბო. ფალავანი მაშინვე ამხედრდნენ და ნოვზარ შაჳისაკენ ვამართ-
ნენ. რა ნოვზარ-შასთან მივიდნენ ფალავანი, ნოვზარ-შა წინა მიეგება, ვამარჯ-
ვება მიულოცა. და საამ ფალავანმა თავყანი-სცა და მადლობა მოახსენა, ნოვზარ-
შამ შადადისა ანბავი ჳკითხა. ფალავანმა მოახსენა: შადად რომ აქელამ ვამექცა,
უკან ვავეკიდე, მივიდა, ერთ თილისმის მალაროში შემვივარდა, მივედი, მეწადა,
რომ შევსულიყავ და ვამომეყვანა და მომეკლა, მაგრამ ნილაბ-ღარმა თუთიმ არ
გამიშო, შენი მანდ შესვლა არ იქნებაო, თუ მანდ შეხველ, საუკუნოთ შენი მან-
დილამ გამოხსნა აღარ იქნებაო. ვამოვბრუნდი იქილამ და ერთს წყაროს პირთან

ელოცამდი და ერთი ხმა შემომესმა: ოჲი, ფალავანო, შენ შადადისაგან კელი აღიევი, რომ ამ თილისმის დარღვევა შენგან არ იქნება და არც შადადის სიკვდილი შენგან არ იქნება. ეს თილისმა, შენი შვილის შვილი ერთი ფალავანი გამოვო, იმის სახელზე არის გაკეთებული, ამ თილისმას ის დაარღვევს და შადადსაც ის მოჰკლამსო: რა ესე შევიტყვე, კელი ავიღე და აქ გაიხელ. ის ღამე ლხინითა განისვენეს.

რა დილა გათენდა, დასაღვთისა მხრიდამ შადადისა დიდებულნი და ხალხნი მოვიდნენ, ნოზარ შაჰს თავყვანი-სცეს, და ამთ სარწმუნოებაზედ მოვიდნენ და საბათო ღმერთი იწამეს. მეორესა დღესა საამ ფალავანსა შადადის დიდებულნი გაუძღვეს და შადადისაგან გაკეთებულს სამოთხის ბაღსა მიიყვანეს. შადადს იმა ბაღში ხუთასი ნარა დევი განეწესებინა, იმა ბაღისა მცველათა. მეორესა მხარესაც ერთი იმისთანა ბაღი ჯოჯობეთად გაეკეთებინა. და ხუთასი ნარა დევი სულ ყოველ დღე შეშას ეზიდებოდნენ. ფალავანმა რა ესენი იხილა, მაშინვე სულ ერთიანად მოახსნევინა და სულ ყველას დასტური უბოძა. იმათ ერთიანათა თავყვანი-სცეს და დალოცეს. ფალავანმა იმ სათომხის ბაღის ნახვა მოინდომა. მივიდნენ, ნახეს, რომ ეს ბაღი დიახ უცხო სანახავი და უცხოთ ნაშენები იყო, რომ კაცის თვალი იმის უკეთეს ველარას იხილამდა. იმ ბაღის სიგრძე სამოცი ალაჯი იყო და განიცი სამოცი ალაჯი იყო. იმა ბაღში დიახ უცხო ოქროთი და ვერცხლით ხეები გაეკეთებინათ, და იმ ბაღში ოთხი არხი შეეტანათ დიდროვანი და იმა არხის პირზედ აქეთა და იქითა დიახ უცხო ჭავარიითა და იაგუნდით იყო მოკირწყლული. იმა ბაღში ხილის მაგიერათ დიახ უცხო და უცხო იაგუნდი, ლალი, აღმასი და ჭავარნი ესხნენ. იმა ბაღისა ალაჯი დიახ უცხოთ მუშკითა, ამბრითა და ზაფრანით იყო მოლესილი. საამა რა ესე ბაღი სრულებით დაიარა და გაშინჯა, ნახა. რომ იმა ბაღისა კედლები სულ უცხოთ იაგუნდითა და ლალით იყო ნაშენები. ფალავანმა რა ესენი იხილა, თავისსა გულსა განიზრახა: იმა წყეულს ესე ამდენი ხაზინანი გაუფუჭებია, მე ამას აქ არას გაუშვებ. სულ ერთიანათ დავაქცეო და ერთნი წავიღებ. და თავისთა ლაშქართაცა გამოუცხადა. მათაც ნება დართვეს.

ამა ლაპარაკსა შინა იყვნენ, ნახეს, ეს ბაღი უჩინო შეიქმნა. დიდათ განკვირდნენ. ბევრი აქეთ-იქეთ მიიხედეს, მაგრამ ველარა დაინახეს რა. ერთი საუცხოო მდინარე მოდიოდა. მივიდნენ და იმა წყლის პირსა გარდახდნენ ფალავანნი და თავისი ლაშქარიც. საამ ლოცვასა მოყვა და ესრეთ ევედრებოდა: ჰეი. ჩვენო დამბადებელო, არა არსისაგან არსის მომყვანებელო, შენის შეწევნით ესდენი ქვეყანა დავიპყარ, და ეს უწყალო შადადიც დავაშარცხე, და მრავალი ლაშქარი ამოუწყვიტე და თითონ შადადც მძიმეთ დაეკოდე და თილისმის ჯურღმულში დამეშალა, თქვენ ყოველი უწყით, რომ როგორი თქუენი წინააღმდეგი იყო შადად და თქუენის წინააღმდეგობით ღმერთობა დაირქო, სასუფეველი და ჯოჯობეთი გაეკეთებინა და ხალხს იმითი აცდუნებდა, მე შენის მოწყალებით და შეწევნით ამისი ჯოჯობეთი მოვშალე და სამოთხის ბაღის მოშალაც მინდოდა, მაგრამ უჩინო შემექნა.

ამა ლაპარაკსა და ღმრთის ევედრებასა იყო, ძილი მოერივა და დაეძინა. ძილსა შინა ჭიმშიდ შაჰი მოვიდა და უთხრა: ოჲი, ჩემო საყვარელო შვილო საამ, მაგ ბაღსა დიდ ქამმდინ ვერაფერ იხილამს, მას უკან ერთი ჭაბუკი გამოვა და ის იხილამს, იმის სახელზედ არის გაკეთებული, შენ ადექ. შადადის ხაზინა და დაფნა, რაც რამე ჰქონდეს, ეგენი სულ ერთიანათ ერთში გაგზავნე, და შენ

აბრაი დევზედ წადი და ფერიდუხტ გამოიხსენ იმის კელიდამ, ღმრთის ნებაჲ: ასრე არის. ის აბრაი დევი შენის კელით უნდა აღსრულდეს და, რომელიც შენის გულის წადილი არის, ისიც აღგისრულდესო. ესე სიტყვა დაასრულა და მიეფარა.

საამ რა ესე იხილა, მაშინვე ძილისაგან განიფრთხო; ადგა თავისსა ლაშქარსა მოვიდა, ამხედრდა და ნოვზარ-შაისაკენ გაემართნენ. მოვიდნენ ნოვზარ-შაჰს: თაყვანი-სცეს და თავ-თავის განწესებულს ალაგსა დასხდნენ. საამ ფალავანი ზეზე წამოდგა, ნოვზარ-შა დალოცა და მოახსენა: ჭეი, შაჰრიარო, თქვენ, აჲ, რაც შადადის ხაზინანი არის, სულ თან უნდა წაიღოთ და ერანს, მანუჩარ კემწიფეს კემწიფესთან უნდა წაბძანდეთ და ერანის დიდებულთა და მანუჩარ კემწიფეს უნდა შემახვეწოთ, რომ თავის ლოცვასა შინა მომიხსენებდეთ, და მეც ფერიდუხტის გამოსახსნელად უნდა წავიდე, ეგების იმ წყულის აბრაი დევის კელისაგან გამოვიხსნა. ნოვზარ-შამ უპასუხა: ფალავანო, რა იქნება, ჩვენც შენთან წამოვალთ. საამ ფალავანმა არ ინება: თქვენ, დიდი ხანი არის, რომ აჲ ბძანდებით. თქვენ, მამა თქუენ მანუჩარ კემწიფესთან წაბძანდი და ეს საქმე მარტო. ნემზედ არის მოსული, მე უნდა წავიდე და იმ უწყალოს დევს შევება და ფერიდუხტ უნდა გამოვიხსნა.

ფრანგ დივხადა, შაფური შირდილ; თემურთაშ, სეილი ჭანსუზ, ყალეად და ყულუშ ესენი ფეხზედ წამოდგნენ და ფალავანს მოახსენეს: თუ ჩვენ დაგვხოცამ, თორემ ჩვენ უსიკვდილოთ შენ არ მოგშორდებით. მეორესა დღესა ნოვზარ-შამ შადადისა, რაც რამ ხაზინა იყო, სულ ერთიანათ მოაგროვა და ერანისაკენ წაიღო და წავიდა. საამ ფალავანმა თუთს უთხრა: შენც ნოვზარ-შას არამხანაში მიდი და ერანში თან წაჰყე! თუთმა დიახ შორს დაიჭირა და მოახსენა: მე შენი მოშორება არ შემიძლიან და ვერც უშენოთ გავძლებ, და ამ გზებზედ ბეერს ჯაღოს მანქანებას შეხედებით და მე იჲ ბეერს ალაგს გამოვადგებო.

აქა იწყების საამ ფალავანისაგან ქუიფან მთისაკენ წასვლა,
აბრაი დევის სიკვდილი, ფერიდუხტის გამოხსნა
და ერანის ქუეყანაში მოყუანა

მეორესა დღესა საამ ფალავანი იქიდაჲ. აიყარა თავისის დიდებულებითა და ქუიფან მთისაკენ გაემართა, და სწრაფისა სიარულითა იარეს. ზღვისა პირსა გარდახდნენ. ფალავანმა გემისა უფროსნი მოაყვანინა და უბძანა, რომ გემები მოამზადეთო, და მე აჲ დიდხანს არა მცალიან სადგომათა. შეგემეთ მოახსენეს უბძანეთო, რომ ორმოცის დღის ნუზლი მოამზადონ. ფალავანმა ბძანება მისცა. მსწრაფლად მოამზადეს და ხომალდსა შიგან ჩააწყვეს. და მეორესა დღესა ლაშქარნი ხომალდსა ჩასხდნენ და გაემართნენ, და ღმრთის მოწყალებით, დიახ კარგი ტაროსი დაუდგათ. და იარეს და ორმოც დღეს ზღვის ნაპირს გავიდნენ მშვიდობით. საამ ფალავანმა ღმერთს მადლობა შესწირა და ხმელეთზედ გავიდნენ, და კარაენი დასცეს და დადგნენ, მეხომაღლენი მოვიდნენ და ფალავანსა თაყვანი-სცეს და მოახსენეს: ამას იქით რომ ხმელზე წავალთ, ეს ალაგი ქაჯთ სამყოფი არის, და, რა ქაჯთ სამყოფს გასცილდებით, მის უკან შავი დევის სამყოფი არის. ის შავი დევი დიახ ძლიერების მქონე არის და, რა იმის სამყოფელს გასცილდებით, მას უკან ქუიფან მთის შუაგულში შეხვალთ, რომელშიაც აბრაჰი დევი მკვიდრობს. ფალავანმა მადლობა უბძანა.

მეორესა დღესა აიყარნენ, იარეს და ჭინების სამყოფს ქალაქისა კართას გარდახდნენ. თუთიმ მოახსენა: უბძანეთ, რომ ლაშქარნი აქ გარდახდნენ და თქვენ ჭინების კემწიფესთან წაბძანდით. ფალავანმა ბძანება მისცა, ლაშქარნი თავ-თავის მხარეს გარდახდნენ. საამ ფალავანი ქაჭთ კემწიფისაკენ გაემართა. რა საამ ფალავანისა მიმავლობა ქაჭებმა იხილეს, მივიდნენ და თავიანთს კემწიფეს აცნობეს საამ ფალავანის მიმავლობა. მაშინვე ქაჭთ კემწიფე თავისის დიდებულებით ფალავანს წინ მოეგება. რა საამ ფალავანმა ქაჭთ ხემწიფე იხილა, თავისის დიდებულებით, მსწრაფლად ცხენილად გარდახდა. აქეთ მხარეს ქაჭთ კემწიფეტ ცხენილად გარდახდა; მოვიდნენ, ერთმანეთს მიესალმნენ, ფალავანი თავის ქალაქს შეიყვანა, სასახლესა მივიდნენ. საამისთვის უცხო მურასა სკამი დადგეს და სხვანი დიდებულნი თავ-თავის განწესებულს ალაგს დასხდნენ, და მოილეს უცხონი შაქალამა და შარბათები და შეექცეოდნენ. საამ ფალავანმა ყოველი თავისი გარდასაეალი ქაჭთ კემწიფეს მოახსენა. ქაჭთ კემწიფემ ფალავანს უპასუხა: ჭეი, ფალავანო, თქვენი ანბავი ყოველი შეტყობილი მაქვს. მომილოცამს, რომ ღმრთის წყალობა შენზედ არის და აბრაჰი დევი შენის კელისგან აღსრულდება, და ყოველი ამისა ხაზინანი და დიდება შენ დავარჩება.

საამ ფალავანმა მადლობა მოახსენა და თავისი ანბავი ჰკითხა ქაჭთ კემწიფესა. ქაჭთ კემწიფემ უპასუხა: ჩვენ ოთხნი ძმანი ვართ და ოთხსავე მხარეს ქუეყანაზედ ვხემწიფობთ. მე სახელად ჭალისაი-ჩინი მქვიან და აქა ემკვიდრობ. მეორე ჩემი ძმა აღმოსავლეთის მხარესა მკვიდრობს და სახელად ჭალიან-ჩინი მქვიან. მესამე ძმა სამხრეთისაკენ მკვიდრობს და მეოთხე ძმა ჩრდილოეთისაკენ მკვიდრობს. და მე, როცა წაბძანდებით, ესდენს საგზალსა გაგატან, რომ შავის დევისა სამყოფსა მიხვალთ, გეყოსთ და, რა იქ მიხვალთ, და შავს დეეს დაიმონავებთ, ის დევი ბევრს სამსახურებს დაგანახებს. ფალავანმა მადლობა მოახსენა. შემდგომად ფალავანმა თუთისა უბძანა: ჭეი, ჩემო საყვარელო, მე ასე მნებაეს, რომ შენ აქ მომიცადო, ამას იქით დიახ ავი და სიცხიანი გზები არის. ვაი, თუ სიცხემ შეგაწუხოს. თუთიმ მოახსენა: ფალავანო, ჩემგან უსიკვდილოთ შენი მოშორება არ ეგების, ჩემი პირის სახე შენის პირის სახეს არ სჯობს, რამდენსაც ფალავანი ევედრა თუთისა, თუთიმ არ ინება, ფალავანი ზე აღდა, ქაჭთ კემწიფეს გამოეთხოვა, თავის სადგომსა წავიდა.

მეორესა დღესა ფალავანი აიყარა თავისი ლაშქარითა და გაემგზავრა. რამდენიმე დღე ჰვლეს და ერთსა მადლისა მთისა სიახლოვესა მიაწიეს. წამსა მთისა ძირსა ერთი დიახ უცხო წყარო ჰსდენდა და უცხო მწუნანოვანი და პეროვანი ალაგი იყო. დიდათ მოეწონა. ლაშქართ გარდახდომა უბძანა. გარდახდნენ, კარავნი დასცეს და ყველანი თავ-თავის განწესებულს ალაგს დასდგნენ. საამ ფალავანმა ერთი დიახ უცხო მშვენიერი ხე იხილა. ფალავანთა უბძანა, რომ იმ ხესთან მივიდეთ. მივიდნენ, იხილეს იმა ხისა ძირსა ერთი უცხო აუზი იყო და შადრევანი აღმოსდენდა, აუზისა პირსა მარმარილოს ტახტი იყო შეკრული და შაბაქა იყო ზედ მოჭრილი, ზედ ლომისა და ვეფხვისა ტყავით იყო მოფენილი. ზედ ორი სუფრა იყო ჩამოკიდებული. ფალავანმა იმ სუფრების ჩამოღება ბძანა. მოილეს, გაშალეს, ნახეს, რომ დიახ უცხო მფრინველის ხორცი, უცხო და უცხო პურები. საამ ფალავანმა უბძანა თავისსა ფალავანთა: მოდით, შევექცეთო, ეს კაი ნიშანი არისო. ღმრთის მოწყალებით ყოველი საქმე ასრე წაგვემართებაო.

ფალავანი მოვიდნენ, შეეკცნენ. ღმერთსა მადლობა შესწირეს. აიღეს სუფრე-
ნი, თავის ალაგს დაჰკიდეს, და თითონ ლხინსა და შექცევამი მიეცნენ.

ამა ყოფასა იყვნენ. ერთისა მხრიდამ ერთი საზარო ხმა გაიგონეს. ფალა-
ვანთა რა ესე მოესმათ, ოთხსავე მხარესა თვალი მოავლეს, იხილეს, რომ ერთის
მხრიდამ ერთ შე დევს რკინის კეტი მხარზედ გაუდვია და ამათვენ მოვა.
ფრანგმა მოახსენა: ფალავანო, მოდის ის უწყალო შავი დევი, მოემზადე! საამ
ფალავანმა მიუგო: ღმერთის მოწყალებით იმისი საქმე დიახ ადვილი არის. ეს
შავი დევი რა ფალავანის სიახლოვეს მივიდა, რამდენჯერმე თავისი რკინის კეტი
თავსა შემოივლო და ფალავანსა დასაკრავათ მიუხდა. საამმა რა ესე იხილა,
მსწრაფლად ტახტიდამ ძირს ვადმოხდა, მარცხენისა ჯელითა მარჯვენა ჯელი
შესტაცა, ესრეთ დაიქნევა, რომ ორნივე მუხლები მიწასა დააყრდევინა, მარჯვე-
ნისა ჯელითა ყვრიმალსა ესეთი სილა შემოჰკრა, რომ უცნობო შეიქმნა. რამ-
დენსამე ხანს უკან დევი ზე ადგა, დაეცა და მუხლს მოხებია და მოახსენა: ფა-
ლავანო, მე აღრევე ვიცი, რომ ადამიანთა მონათესავე აქეთსა მხარესა მო-
დიოდა, ჭეიფანს მთაში აბრაჰის დევის საბრძოლათ. რა შენ გიხილე, ესცან, რომ
ეს შენ იქნებოდი, მე აქ ვიახელ და ერთი მონათა შენთაგანი მამყოფე. საამ
ფალავანსა დიდათ იამა, ააყენა და მადლობა უბძანა. შავი დევი გაბრუნდა,
თავისი თორმეტი ათასი ნარა დევი მოიყვანა და საამ ფალავანსა დაამონავა. და
იმა დევთა საამ ფალავანის სარწმუნოება აცნობა, მოიქცნენ და საბაოთ ღმერთს
თაყვანი-სცეს. საამ ფალავანმა შავს დევს უბძანა: შეიძლება, რომ ჩვენი სა-
ყოფი სანოვავე იშოვნო შენს ქვეყანაში? შავმა დევმა მოახსენა: რამდენიც მო-
ვიდესთ, იშოვება.

მაშინვე თავისი თორმეტი ათასი დევი გაგზავნა. ესდენი სანოვავე მოიტა-
ნეს, რომ ორს იმოდენს ლაშქარს ეყოფოდა. შავმა დევმა მოახსენა: ფალავანო,
თქვენნი ლაშქარნი დიდათ დამამერალნი არიან გზისაგან. აქ რამდენსამე დღეს
განისვენეთ. ლხინსა და განცხრომაში მიეცენით. ცხენიც განისვენებს და მერმე
რამდენსამე დღეს წავიდეთ! საამ ფალავანმა ნება დართო და რამდენსამე დღეს
განისვენეს, ლხინსა და განცხრომაში იყვნენ, მაგრამ საამ ფალავანის გულსა მა-
რადის ფერიღუბტ განუშორებელი იყო და თავისისა ფალავანებისა თავაზით არ
იჩნდა. საამ ფალავანმა რამდენსამე დღეს უკან წასვლა ინება. შავმა დევმა
მოახსენა: ფალავანო, აქედამ ორმოცდაათი აღაჯი არის, გზაზედ ბევრს ჯაფას
ნახამთ. საამ ფალავანმა მიუგო: მე ვიცი, რასაც ანობო, ჩემი იქ წაუსვლელობა
არ იქნება, მე იმისაგან ასეთი დაღი მაზის გულზედ, რომ მანამდინ მე აბრაჰი
დევს ჯელთ არ ვიგდებ და იმის სიციოტლეს არ აღებოც, ჩემი სიციოტლე არ
იქნება. შავმა დევმა, რა ქეშმარტებათ ჰსენა საამ ფალავანისა წასვლა, მოახსენ-
ა: ფალავანო, ცოტას ხანს შემეცადეთ და მას უკან წაბძანდით. დევი მობრუნ-
და, რამდენიმე ათასი დევი თან წაიყვანა და მინდორსა შინა ურიცხვი წამლის
ბალახი დააყრდევინა, დევთა ავიდა, მოიტანა და საამ ფალავანის წინ დაყარეს.
შავმა დევმა მოახსენა: ფალავანო, ლაშქართ უბძანე, რომ ყველამ ტანზედ წაის-
ვან და ეგრეთვე თქუტენც წაისვით, თორემ ამა მინდორში გასვლა არ ეგებოს.
მოახსენა: მე სოლომონ ბრძენის კარაივი მაქუს, დღისით იმას დაიდგამდეთ
ხოლმე, და ლაშქარნი განისვენებდნენ, და ღამე ავიღებდეთ და გზასა ელი-
დეთო.

აიყარა ლაშქარი. ამა ყოფით ჰვლეს და რამდენსამე თვეს ერთისა მადლის
ნთის ძირს შიაწიეს. ის მთა ესეთი მაღალი იყო, რომ სიდიდით იმისთანა მთა

არ ნახულ იყო. და იმა მთისა ძირსა პრავალი უცხო წყარონი გამოსდებდა და უცხომწვანოვანი და პაეროვანი ალაგი იყო, და მრავალნი უცხო ხენი იღვებ და თავნი ერთმანეთისთჳნი მიეყარდნოთ. იმა ხეებისა ძირს წყაროსა პირს მრავალი ტახტი იყო შეკრული, უცხოს ჭავიარის თვალებით შემკული. იმა წყაროს პირსა უცხოს ზურმუხტის, იაგუნდისა, ზურმუხტისა და ლალებისა ჭამები იღვა. შავი დევი მოვიდა და საამ ფალავანს მოახსენა: აქედამ ქუიფანის მთა ექვსი ალაჯი სავალი არის. და ჭარიც ამ მგზავრობით დიდით დაღალულნი გახლავან, და უბძანეთ, ჭარი აქ გადახდეს, ამაღამ აქ შევისვენოთ და ხვალ დილაზედ წავიდეთო. ფალავანმაც ნება დართო და ჭარს გარდახდომა უბძანა. ლაშქარნი მაშინვე გარდახდნენ, კარები დასცეს და დადგნენ. საამ ფალავანისთვის გარსაშობისეული მწვანე კარავი დადგეს. ფალავანი კარავსა გარდახდა და თავის საჭლომსა ტახტსა დაბძანდა, და სარდალნი და ფალავანი თავ-თავის განწესებულს ალაგს დახსდნენ. ფალავანმა შავი დევი მოიკითხა. მაშინვე შავი დევი მოვიდა. თაყვანი-სცა. ფალავანმაც უთავაზა და მოიკითხა. შავმა დევმა თავისი ქარხანა მოატანინა, სულ ყველა მზათა კქონდათ. მოიღეს დიახ უცხო და უცხო საკმელები, სუფრა მიირთვეს და მეჭლიში გამართეს. შავი დევი დიახ დიდი კაცი იყო, და იმ ქუეყნის ბატონი იყო, და უცხოდ დაუხვდა ფალავანსა. შუალამედონ დიახ უცხოს ლხინში იყვნენ.

რა მეჭლიში განიყარა, ყარაულები დააყენეს. იმემაღ აბრაჰი დევის ყარაულები, მონადირენი დევები პაერით მომავლობდნენ. რა საამ ფალავანი იქ მისული იხილეს, მსწრაფლ მივიდნენ, ჰერით ძირს გარდახდნენ და მოახსენეს: ქემწიფეო, საამ ფალავანი მოსულა, შავი დევი შეუპყრია, დაუმონავებია, თავის რჯულზედ მოუქცევია და აწ ახლა თქვენზედ მომავლობენ. საამ ფალავანი-საგან სიფრთხილედ გამართებს. ხვალ უთუთოთ თქუენზედ მოვა. რა აბრაჰი დევმა ესე სიტყვა მოისმინა, მაშინვე თავის ჭარს მოუწოდა. შემოიყარა, შეითან ჰაივნიდამ ძირს ჩამოვიდა და თავისსა ბაღსა კარავი დაადგმევინა და იქ დაღვა.

რა დიღო გათენდა, საამ ფალავანი თავისის ლომგულის ფალავნებით ამხედრდა და შუადღისას ქუიფან მთის ძირში მივიდნენ. რა იმა მთაზედა ავიდნენ, იხილეს, უცხო მინდორი იყო და იმა მინდორსა საშუალსა ალაგსა ერთი უცხო სასახლე გამოჩნდა. და იმა სასახლეს წინ ერთი საუცხოო ბაღი იყო. და იმა ბაღში ერთი კარავი იღვა, კარავსა აბრაჰი დევი იმყოფებოდა და ურიცხო დევთა ლაშქარი ეხვია. და ერთი საშინელი ყრიალი ისმოდა. რა საამ ფალავანმა ესე იხილა, თავისსა ლაშქარსა უბძანა საომრათ მომზადება. ესენი სწრაფად მგომრათ მოეშადნენ, გარსაშობისეული ვეშაპის ტყავის დროშა გაშალეს, საამ ფალავანთან დაიჭირეს და საფ-გაწევით დადგნენ, და საომრათ თაფლიკანგს ცემა დაუწყეს. იქითისა მხრიდამაც აბრაჰი დევი თავისის ლაშქრით გამოვიდა და ერთმანეთს დაუპირდაპირდნენ. აქეთისა მხრიდამ საამ ფალავანმა თავისი საჭლომი ყურაბი თიქაური გააფიცხა, მეიდანსა გამოვიდა და ფალავანი გამოი-თხოვა. იქითისა მხრიდამ ერთი წარა დევი გამოვიდა მეიდანსა და საამ ფალავანს შემოუტყია. საამ ფალავანმა აღარ დააცალა, თავისსა ბასრსა ხმალსა ჳელი მოივლო, ესრეთ მედგრათ შემოკჭრა, რომ ის დევი შუა გაკვეთა.

მეორე დევი გამოვიდა მეიდანზედ და ფალავანს მომართა და შემოუძახა: ჰეი, შე ადამიანთა მონათესავე, გამიფრთხილდი, რომ შენ მე ცოცხალი ვერ გარდამირჩები! საამ ფალავანმა თავისსა გულსა შინა განიზრახა: მე თუ ეს დევები არ შევაშინე, ესენი ამგვარ ლაყაფზედან ჳელს არ აიღებენ. ამა დევსა

ერთი რკინის კეტი ეჭირა ჯელში და შვიდი ღიდროვანი წისქვილის ქუა წამო-
ეცა, და ფალავანს დაკვრას უპირობდა. ფალავანმა თავისი ყურაბი თავაურსა
ქუსლი შემოჰკრა, მიუხდა, ის კეტი ჯელითგან წაართო. შორს გასტყორცნა
და თავისი ბასრი ხმალი ესრეთ მდგრათ შემოჰკრა, რომ ის წყეული შუაზედ
გაკვეთა, და იმისი სული ჯოჯობხეთსა გაამგზავრა.

მოკლეთ მოგახსენიოთ: იმ დღეს საღამომდინ ფალავანმა სამოცდათხუთმე-
ტი ნარა დევი დახოცნა. საღამოსა ეამსა ორისაე მხრიდამ გასაყარს ნაღარას
ჰკრეს და ორისაე მხრის ლაშქარნი ერთმანეთსა გაეყარნენ. ფალავანი მოვიდა
თავს ფალავნებთანა, გამარჯვება მიულოცეს. თუთი მოეგება, ჯელთა და ფეხთა
მოეხვია და დიდათ უყვირდა ფალავნის ესრეთი ძლიერება. მივიდნენ, გარდახ-
დნენ. კარავსა სუფრა მოიღეს და მეჭლიში გამართეს ლხინსა და განცხრომასა
მიეცნენ. რა ღვინისაგან შეზარხოშდნენ, შავი დევი წამოდგა. ფალავანი დალო-
ცა და მოახსენა: ფალავანო, ამაღამ მე დასტური მიბოძეთ, მე ჩემის ლაშქარით
წავალ, აბრაჰი დევის ლაშქარს თავს დავესხმი და აღვბოც. საამ ფალავანმა
დიახ შორს დაუქირა: შეი, ჩემო საყვარელო ძმაო. შაო დეო, ეგ საქმე არასგზით
არ იქნება. ახლა ეგ საქმე რომ აგრე ექნა, ერანში ესე იტყვიან, რომ საამ ფა-
ლავანი აბრაი დევეს ვერ მოკრივია. ღამით თავს დაესხაო და ისე დაიჭირაო. ეგ
ჩემგან არ იქნება, შენ წადი ამაღამ და კარგათ იყარაულე!

შავმა დევმა თავი დაუტყრა, გამობრუნდა თავის ლაშქრით და სიფრთხილით
იქეშოკა. რა დილა გათენდა, ორისაე მხრისა ლაშქარი ერთმანეთს დაუპირის-
პირდნენ. იქითისა მხრიდამ აბრაჰი დევი შეიდანს გამოვიდა, ერთი რკინის
კეტი ეპყრა ჯელთა და შვიდი ღიდროვანი წისქვილის ქეები გაემგარებინა ზე-
და, და სიმძიმით ორი ათასის ლიტრის სიმძიმე ჰქონდათ. მხარეზედ გაედგა,
მეიღნისა საშუალსა მოვიდა და დადგა და შემოსძახა. შეი, ადამიანის მონათე-
სავე, შენ რომ ჩემი ძმები, ზინდა ჯადო, მაქუქალ დევი და ნაჰანგალ დევი,
ესენი დახოცე, იმათ სისხლს შენ გაზღვევიანებ!

საამ ფალავანმა რა ესე გაიგონა, მაშინვე თავის ფალავნებს გამოეთხოვა და
მეიდანსა გამოვიდა. რა აბრაჰი დევმა საამ ფალავანი მეიდანსა გამოსული იხი-
ლა, მაღლისა ხმითა შემოსძახა: შეი, შე უმგზავსო, ჩემი მეომარი საამ ნარიმა-
ნის ძე არისო, შენ ვინ ხარ! საამ ფალავანმა უპასუხა: შეი, აბრაჰი დევო, საამ
ნარიმანის ძე მე ვარ. აბრაჰი დევმა მიუგო: შენ მოჰკალ ჩემი ძმა ნაჰანგალ, მა-
ქუქალ, ზინდა ჯადო და რიზვან-ფერი და ქვიეან დევი? საამმა უპასუხა: მე
დავბოცე. დევმა უპასუხა: ის წყეულები დახოცილნი იყვნენ, რომ შენისთანა
უმგზავსომ ისინი დახოცა! დევი გამობრუნდა და უთხრა: თუ შენ ამ ჩემი ერ-
თი კეტის დაკვრას გაუძლებ და არ მოკედები, მაშინ დავიჭერებ და ვირწმუნებ,
რომ შენი საბაოთ ღმერთი სწორეა და შენ სარწმუნოებაზედ მოვალ. საამ ფა-
ლავანი, ამისი გამგონე, თავისი გარსაშიბისეული ფარი თავსა იფარა, განრისხე-
ბული ყურაბი თავაურიდამ ძირს ჩამოხდა და ეგრე დადგა. აბრაჰი დევმა თა-
ვისი რკინის კეტი რამდენიმეჯერ თავსა შემოივლო, მდგრათ ფალავანსა დაჰკ-
რა და ესრეთი ხმა გამოხდა, რომ ოთხსაე მხარეს გაიგონებოდა. შვიდი იგო
წისქვილის ქუა, რომ რკინის კეტზედ იყო ჩამოცმული, ისინი სულ დაიმტვრა
და ძირსა ჩამოკვივდა. საამ ფალავანსა ესეთი ძალა დაადგა, რომ მუხლებამ-
დინ მიწასა დაეცა, მაგრამ ფალავანმა არათ შეიმჩნია, ფარი მხარსა გადაიგლო.
მარჯვენა ჯელი მარცხენას მხარესა მოიხვია და მარცხენა—მარჯვენასა, ესეთი
ხმით შესძახა, რომ იმის ხმა ოთხსა ფარსანგსა გაიგონებოდა. ამა დევთა [ცა]

და ქვეყნის დაცემის ხმა ეგონათ. აბრაჰი დევი ესრეთ გაშტერდა ამა ხმის სმე-
ნითა, რომ ხან ცას უყურებდა, ხან ქვეყანასა.

საამ ფალავანი გამობრუნდა, ყურაბი თიქაურზედან შეჯდა და ნარიმახი-
ნელუს გურზსა კელი მოივლო და მალღის ხმით შეუძახა: ჭეი, შე უმგზავსო,
მაგდენს რომ იკეცხოდი, აბა რა მიყავ! აბა, თუ შენ შეგიძლია, ჩემს გურზს
მოუტადე! თავისი მძიმე გურზი თავსა რამდენჯერმე შემოივლო, დასაკრავათ
მიუტანა; დევმა თავისი რკინის კეტი შეუფარა. ფალავანმა თავისი გურზი ესრეთ
მედგრათ დაჰკრა, რომ დევი მშვილდურად ორათ მოხარა და ორისავე მუხლით
მიწასა დააჩოქა. დევსა ძლიერება დაადგა, რომ ესრეთ ეგონა, შეიღი კეცი ცა
თავსა დამეცაო. ფალავანმა შეუძახა: ჰეი, შე უმგზავსო, ახლა, რიგი შენი არის,
მოდდი და, რაც ძალი გქონდეს, რაც გინდა, ის ქენი! დევი ესრეთ: შეშინებული
იყო, რომ შემოდგომის ფურცელსავეთ თართოდა. შეშინებულმა თავისი რკინის
კეტი ფალავანსა კიდევ მეორეთ მოუქნივა, ფალავანმა ის მოქნიული კეტი ფარ-
სა აატანინა და ვახვახით სიცილი დაიწყო. ფალავანმა, ვითა არა ცემოდა, ეგრეთ
არა მიიჩნევა. რა ფალავანმა თავისსა გურზსა კელი მოივლო და მედგრად დევ-
სა მოუქნივა, დევმა თავისსა გულსა განიზრახა: ფალავანს თუ გურზი არ დაუ-
ქირე, მე ამ ნაკრავს ვერ გადურჩები! დევი მისწვდა და მოქნიული გურზი დაუ-
ქირა. ფალავანმა გურზი კელთაგან გაუშვა და საყელოსა მისწვდა. ერთი კელით
საყელი დაუქირა და მეორე კელით სარტყელი, ცხენთაგან გარდახდა და მე-
დგრათ იძგერანს. ეს ორნი ვეშპის მსგავსნი ერთმანეთის ურკინებოდნენ. ამა
დევმა ფალავანს თავი გულსა მიაყრდნო, მედგრათ მიაწვა. უკან-უკან წაიყუ-
ნა და მედგრათ დაიქნივა. ფალავანსა ორივე მუხლები მიწასა ესრეთ დააკერ-
ვინა, რომ მიწა ვახეთქა და შიგან ჩაასო. ეგრეთვე ფალავანმა. ამგვარებით
ერთმანეთს ებრძოდნენ, დილით საღამომდინ ესრეთ მედგრათ ირკინენ.

რა საღამო უამი შეიქნა, დევმა უთხრა: ბარაქალა შენს მამაცობასა, რომ
მაგისთანა ფალავანი ყოფილხარ! სხვა ადამიანის ნათესავი ჩემს შემოხედვასაც
ვერ გაუძლებდნენ ხოლმე და შენ ომიც გამოიწორე, ამაღამ წავიღეთ, მოვის-
ვენოთ, ზვალ რომ გათენდეს, გამოვიდეთ და ისევ შევიბნათ. აბრაჰი დევი ეს-
რეთ განიზრახვიდა გულში: თუ ამ ვეშპას ქელიდამ გადაურჩი, ამაღამ ფერი-
ლუხტს ავიყვან და ინდოეთის მხარეს წავიყვან. ფალავანმა იგრძლო, რომ ეს დე-
ვი ეშმაკობით ეუბნებოდა. ფალავანმა შეუძახა: ჰეი, შენ წყელო, მინამ შენ
არ შეგიპყრობ და არ დაგაბოროლებ, სად გაგიშვებ! დევმა უთხრა: ძრიელ დაბ-
ნელდა და რა ექნათ! ფალავანმა უბასუხა: მაგისი წამალი მე ვიცი. ფრანგს შეუ-
ძახა: ჰეი, ჩემო საყვარელო ფრანგ, მაშხალები მოიტანე და ანთე, რომ ისევ
ვიბრძოლოთ!

ფრანგმა და შავმა დევმა სწრაფად მოიტანეს მაშხალები და აანთეს. რა
მაშხალები დაინახა, დევმა ფალავანს უთხრა: მე ძალიან მშვიერი ვარ. საამმა უბა-
სუხა: უთხარი შენს დევებს, რომ შენი საკმელი აქ მოიტანონ. აბრაჰი დევმა
სცნა, რომ ამგვარის ოსტატობით ვერა გააწყო რა და არც საამ ფალავანი იმის
ომს გადაუხდელი და ომგაღუწვეტელი არ დადგება. ომობის მეტი ღონე არ
იყო, თავისსა დევთა შეუძახა: საკმელი მომიტანეთ! ამათ სწრაფათ ოცდაათი
დიდროვანი თევზი, რამდენიმე რუმბი ღვინო და რამდენიმე შემწეარი თხა-
ესენი მოუტანეს და წინ დაუწყვეს. ესრეთ შექამა და ის ღვინო დალია, რომ

აღარა დარჩა რა. აქეთა მხარეს ფარანგმა ფალავანს რამდენიმე გარეულთა კან-
ჯარი შემწვარი და ერთი თუნგი ღვინო მოუტანა, და ფალავანს მიართვა. იქ
წვადსა შეეპცა, ის ღვინო ასწივა, ერთიანათ დალივა, მთერალს ლომს დაემგ-
ზავსა. მას უკან წამოდგნენ ეს ორნი ვეშაანი და ერთმანეთს ერკინენ. ამა კი-
დაობაში გაუთენდათ.

რა ღილა გათენდა, საამ ფალავანმა ღმერთს ვედრება დაუწყო და თქვა:
ღმერთო, შენი მოწყალება მოჰფინე ჩემზედ, რომ ჩემის საყვარლისაგან უხუ-
გემო არ დავრჩე და იმასთან არ შევრცხვე. ფერიღუბტის ხილვა კიდევ მაღირ-
სე! ფალავანი საამ ესრეთ გულმხუტვალედ ვედრა ღმერთსა, რომ იმისმა ვედ-
რებამ ღმერთთან მიაწია. ღმერთმა ესეთი მოწყალება მოილო, რომე, რაც ძლი-
ერება ჰქონდა საამს, ერთი ორათ მოემტა. ღმრთისა სახელი ახსენა და მეხი-
ვით ეკვეთა. ცალი ჰელი საყელოსა ჩაავლო და ცალი ჰელი ლაქებსა გაავლო,
მედგრათ ასწივა, თავის სისწორ აიყვანა, ესრეთ დასცა, რომ მისი სახე მიწა-
სა გამოსახა და ვეფხესავით მკერდსა შეახტა. და ფრანგ დივზადას ანიშნა.
ფრანგმა მსწრაფლად დიდროვანი ჭინჭილი—დადიანური მოიტანა, და მაგრად
ჰელი და ფეხი შეუტარეს და ერთი გრძელი რკინისა ჭინჭილი რქაზედ მოაბეს.
ფრანგმა თრევით წაილო და შავის ღვეის ბაიარახთან მიიტანა, ესე ოდენი მსცა
რკინის კეტითა, რომ იგი ბილწი ღვეი სიკვიდისა მიეწურა.

ამისი მხილველნი აბრაჰი ღვეის ლაშქარნი დიდსა მწუხარებასა მიეცნენ.
და სამოცი ათასმა ღვემა საამისა ლაშქართა ერთობით შეუტრევეს. და საამისა
ლაშქართა რა მათი შემოტრევება იხილეს, ამათც ერთობით შეუტრევეს და
შშვილდსა და ისარსა ჰელი მიჰყვეს და, რომელსაცა დევსა შესტყორცნიდეს,
შვიგან გაავლებდეს და მსწრაფლად მოჰკლემდეს. შავი ღვეის ლაშქარნიც სა-
ამისა ლაშქართა მიეშეველენ და აბრაჰი ღვეის ლაშქართა უწყალოდ სერა დაუ-
წყვეს. საამ ფალავანი თავისისა ყურაბი თაქურსა ამხედრდა და გარსაშობისეულ-
სა ოთხმოცის ლიტრის ხმალსა ჰელი მიჰყო და, ვითა ცეცხლისა ალი, ღვეთა
ლაშქართა ეგრეთ ეკვეთა. ეგრეთვე თემურთამ სახელოვანი, შაფურ ლომგული,
სეილი ჯანსუზ—ქუეყნის დამწველი, ყალვად და ყულუშმაც ხლმებს კელი დაის-
ვეს და ღვეთა ლაშქარში დავრიგნენ, უწყალოდ ხოცდნენ და ერთი მეორესა
უყირენ! ჰკარ, მოჰკალ, შეჰკარ, შეიჰყარ, ნურც ერთსა ცოცხალსა ნუ გარდა-
არჩენ! ფრანგ დივზადა წინარე წარდგა, ღვეთა ლაშქართა დაუძახა: ჰეი, თქუენ
უგუნურნო, აბრაჰი დვეი ხომ საამ ფალავანმა შეიჰყარა, თქვენ რათ იხოცებით
და ან ვისის გულისათვის იჭირებითო. მოდიოთ, საამ ფალავანს დაემონეთ, რომ
ღღვის იქით შავისა ღვეის მონანი უნდა შეიქნათ!

საამ ფალავანი აბრაჰი ღვეის ბალის კართან მოვიდა. რა ღვეთა იხილეს,
ერთობით მოვიდნენ, დაემონეს და ფეხსა აკოცეს. საამმა მაშინვე გასაყარსა ნა-
ლარასა დააკრევირა. საამ ფალავანი თავისისა ფალავნებით მას ბალსა შებძან-
და. ესრეთ მოეწონა, რომ ღღეთა თავისთა მისთანა ბალი არ ენახა და ვერცა
მის ბალისა ქებასა წარმოიტყოდა. საამ ფალავანმა ღვეთა უბძანა: უნდა, რომ
აბრაჰი ღვეის სასახლესა და შეითან ჰაივანსა ჩემის ფალავნებით მიმიყვანოთ!
ღვენი მსწრაფლად წინ გაუძღვენ და მის სახლს და სასახლესა მიიყვანეს. იხი-
ლეს, რომ იგი სასახლე სრულიად ოქროს აგურით იყო ნაგები და უცხოთ შემ-
კობილი.

საამ ფალავანმა იგი სასახლე სრულიად დაიარა და ფერიღუბტისა ვერა
გაიგო რა. შერამეთ ღვეთა ჰკითხა: ფერიღუბტისა ხომ არა იცით რა. მათ მოახ-

სენეს. შვი, ფალავანო, იბრაჰი დევი ჩვენი კემწიფე იყო და ჩვენ ხომ არ შეგვეძლო, რომ ამა სასახლესა შემოვსულვიყავით. ეს ენახეთ, რომ გუშინ ამ პალატაში ბძანდებოდა და ერთს მშვენიერს ქალთან შეეპყროდა, და ღვინოსა სვემდა. თქვენი ანბავი რომ მოუვიდა, ის ქალი, არ ვიცით. საღ დამალა, და თვითონ ჩვენთან გამოვიდა. საამ ფალავანმა რა ამა დევთაგან ფერიღუბტისა ეერა გაიგო რა, გამობრუნდა და ოთახებში ძებნა დაუწყო. იხილა ერთსა ოთახსა შინა რამდენიმე პურობილი. ფალავანმა მათ ვითარება ჰკითხა. მათ მოახსენეს: ფალავანო, ჩვენ სოვდაგრები ვახლავართ, სავაპროთ მივიღოდით გზაზედ და დაგვიხვდა, რაც რამ სავაპრო, ან თვალი, ან მარგალიტი გვექონდა. სულ წაგვარათო და აქ მოიტანა, და ჩვენც შეგვიპყრა და აქ მოგვასხა, და ზეჲლ დახოცან ვიპირობდა და შექმას.

ფალავანი გამობრუნდა, სხვასა ოთახსა შევიდა და მრავალი თვალი, ოქრო და მარგალიტი იხილა, მრავალი უცხო და უცხო ოქროს სუფრის იარაღები იხილა, ურიცხვი მძიმე ფარჩები იხილა. ის ოთახები დიახ უცხოთა და უცხოთა თვალითა და ჭავიარის ქუდებით იყო ნაშენები. ეს სასახლე ეშმაკთაგან იყო ნაშენები და აბრაი დევისათვის მიეცათ. მრავალი უცხო სახეები იყო იმა ოთახშია, რომ კაცის თვალი იმის უკეთესს ეერას ნახებდა. მრავალი ჩარა ფალავანმა იმა სასახლესა და ფერიღუბტისა ეერა გაიგო რა. შეწუხებული გამობრუნდა და თავისსა ლაშქარში მივიდა. იხილა, რომ შავ დევს აბრაჰი დევისათვის ორი ათასი ლიტრიანი ღაღიანური კისერზედ დაედვა და სამი ათასის კაცით აბრაჰი დევს უქვემოვებდა, იშოშოდა დევთაგან აბრაჰის მოტაცებისა.

რა ფალავანმა ესე იხილა, მაშინვე აბრაჰი დევთან მივიდა ფალავანი და ფერიღუბტის ანბავი კითხა. აბრაჰი დევმა უპასუხა: მე ის დავკალ. შევწვი და შეეკამე. რა ფალავანმა ესე სიტყვა მოისმინა, ღიდათ ვანჩისხდა და ფრანგ დივხდას და შავ დევს უბძანა: ამას დიახ ბევრი სცემეთ! ფრანგმა თავისსა შეიდასლიტრიანს კეტსა ჯელი მიპყო. ეგრეთვე შავმა დევმა თავისის კეტით ეგოდენი ჰსცეს, რომ ძვალი და რბილი ერთმანეთში გაურჩეს, მაგრამ არც მაშინა სთქო სწორე. რაც წინასწარ ეთქო, ისე იმას ანბობდა. რომ შეეწვი და შეეკამეო. ფალავანი ღიდათ ვანჩისხდა და თავს ჯელით თავის თავის სიკვდილი დააპირა. შავი დევი წამოდგა, თაყვანი-სცა და მოახსენა: ფალავანო, როგორ შეეძლო ამას, რომ ფერიღუბტ გამოემეტებინა და მოეკლა. ეს ხომ იცით, რომ ეს წყეული ფერიღუბტის არსი იყო. შავმა დევმა მოახსენა: ფალავანო.. მე იმას წინათ ბაღსა შინა ვმკვიდრობდი და ეს წყეული აბრაჰი დევი, რასაც ან თვალს, ან მარგალიტს, რასაც ამისთანას იშოვნოდა რასმე, მოიტანდა და ამა ბაღსა შინა დამალამდა ზოღმე. იქნება, რომ ფერიღუბტი იმა ზაზინასა შინა ჰყვანდეს პურობილათა.

საამ ფალავანმა თუთი წაიყვანა. ის ბალი სულ მოიარეს და ეერა გაიგეს რა. ერთს ჩინარისა ძირსა მივიდნენ, ნახეს, რომ საუცხო წყარო გამოდიოდა. და იმა წყაროსთან ერთი უცხო ტახტი იდგა და ზედან სახემწიფო საფენები ეფინა. მწუხარა-ქმნილი საამ ფალავანი, თუთი და ფალავნები მივიდნენ და იმა ტახტსა ზედან დასხდნენ. საამ ფალავანი შეწუხებული წამოწვა და თავისი ფარი თავს ქვეშ დადო. რა მკირე ხანმა განვლო, ფალავანს ერთი ხმა მოესმა. მწუხარის ხმით იძახდა: ღმერთო, შენ მომხედ, შენის მოწყალეობითა და ამ პურობილობისაგან გამოიმხსენე! ფალავანი საამ ზეზე წამოხტა, ფალავნებს უთხრა: საბაოთ ღმერთს ვფიცავ, რომ ფერიღუბტის ხმა მომესმა. თემურთაშას.

და სხვა ფალავენებს უბძანა: ფერიდუხტის ხმა თქვენ ვერ გაიგონეთ? ფალა-
ვანთა მოახსენეს: არ გავგვიგონია. საამ ფალავანმა უბძანა: ფერიდუხტის ხმა
ესე მომესმა, ღმრთის სახელს ახსენებდა და ღმერთს ეხვეწებოდა: ფერიდუხტ
უთუოთ პყრობილათ არის. მცირესა ხანსა უკან ფერიდუხტის ხმა კიდევ მოეს-
მა ფალავანსა. ფერიდუხტ ღმერთს ევედრებოდა: შენ გამომიხსენ ამ პყრობი-
ლობისაგან, რომ შიმშილისაგან სიკვდილს არ მივეცე.

წყუელსა აბრაჰი დევსა თავის ხაზინისა ჟურღმულსა ჩაეყვანა ფერიდუხტ
და იქ დაემალა. ერთი ღღის სანოვავო მიეცა, სამი ღღე და ღამე გამოსულიყო,
რომ ფერიდუხტს არა ეკვამა რა; და შიმშილს ღღათ შეეწუხებინა და უცნობო
შეჰმნიღ იყო. მცირე ხანს უკან ფერიდუხტის მწუხარების ხმა კიდევ მოესმა.
მსწრაფლად ზე ადგა ფალავანი და თავის ბასრსა ხმალსა ჴელი მიჰყო და იმა
ხესა შემოჰკრა, შუაზედ გაწვეცა. ის ხე შუაზედ ამოხვრეტილი იყო. ჩახელა
შიგან, ერთი ჟურღმული იხილა, მსწრაფლად შიგან ჩაეიდა. რა წინა წადგა,
ერთი რკინის კარები იხილა, ღღის კლიტით დაკეტილი. კლიტესა ჴელი მიჰ-
ყო. კლიტე სრულებით დაღუწა, კარები შეაღო, შიგან შევიდა. ოთახსა შიგან
იხილა, რომ ოთხი ძვირფასი შემკობილი ტახტი იდგა.

ფალავანმა რა მიმოიხედა, იხილა, რომ სულთა მხდელი ფერიდუხტი
გულშემოყრილი ტახტზედა წევს, ოქროს ჳინჯილი ყელზედა აბია, და ოთხსავე
მხარეს ოთხის პალოებით არის დამავრებული. ფალავანი მივიდა, თავი კალ-
თაში ჩაიღვა, თვალსა და პირზედან ჴელი გარდაუსვა. ფერიდუხტმა რა თვალ-
აახილა. საამ ფალავანი იხილა, საზარლად ამოიოხრა და თქუა: ნეტარ სიზმარ-
ში გხედავ თუ ცხადათაო. საამ ფალავანმა პირი პირს დაადგა და უთხრა: ჴეი,
ჩემო სიოცხლე, ღღეის იქით ნულარ იშიშვი, ცხადად მხედამ. ფალავანმა
პყრობილობისაგან განათავისუფლა. რა ფერიდუხტმა თავის პყრობილობისა-
გან განთავისუფლება დაიდასტურა, ღმერთს მადლობა შესწირა, ერთმანეთსა
საყვარლად გარდებვივნენ და ურიცხვი აკოცეს. მეტისა სიმხიარულესაგან მრავ-
ალი იტირეს. ფერიდუხტს საამის ხილვამ პყრობილობა და შიმშილი დაავიწყა.
საამ ფალავანმა ფრანგსა სანოვავისა მოღება უბძანა. ფრანგმა მსწრაფლ უცხო
შარბათი და სანოვავე მოიღო და ფერიდუხტს მოართო. ფერიდუხტმა ღიახ
გაფრთხილებით შესვა შარბათი და ცნობასა მოეგო ფერიდუხტ. მას უკან ღღე-
ნის სმასა შევიდნენ.

შემდგომად საამ ფალავანი ზე ადგა, ფერიდუხტ გარეთ გამოიყვანა და იმა
ჩინარის ძირს რომ ტახტი იდგა, აიყვანა და დასტნენ. სხვანი ფალავანნი თავისსა
კარავსა წასული იყვნენ, და თუთი იქვე იყო. ფერიდუხტმა რა თუთი
იხილა, ფალავანსა მოახსენა: ღიახ საუცხოვო და შენი საყადრისი საყვარელი
გიშოვნია. ფალავანმა უპასუხა, რომ მერწმუნე, ამას ჩემის შემწეობის და სამ-
სახურის მეტი სხვა არაფერი არა დაუშავებია რა. ბევრი მსახურა შენს ძებნა-
ზედ. რა თუთიმ ფერიდუხტი იხილა, წინ წარდგა და მოიკითხა. ფერიდუხტმა
მადლობა უთხრა: რადგან ფალავნის ნახვა მეღირსა, ჩემი მწუხარება აღარ
მახსოვს.

საამ ფალავანს ორნივე ღღათ უყვარდა. ფერიდუხტს უთხრა: ჴეი, ჩემო
სიოცხლე, ეს მნათობი შადადის ასული არის, ღღის ჴემწიფის შვილი, სახე-
ლათ თუთი ეწოდების. ღღეის იქით ერთმანეთი უნდა შეიტკბოთ და თქუენი
ცხოვრება სიხარულით უნდა გაატაროთ! საამ ფალავანმა თავისსა სარღლებსა
უბძანა: ფალავანო, ეს სამყოფი ღიახ უცხო სავანე არის, და იმ წყუელთ დევთ

დაუპყრიათ, მრავალი საუცხოო ნაღირნი არიან ამა მინდორსა. რამდენსაჲ დღეს აჲ შევექცეთ, გზისაგან დამაშვრალნი ვართ, აჲ განვიცენოთ.

თავისის ლაშქრისათვის ურჩიხვი სანოვაგო ჰქონდათ და, როცა მოუნდებოდათ ხოლმე, დევნი მსწრაფლად მოართმევდნენ ხოლმე. საამ ფალავანი, ფერიდუხტ და თუთი იმა ბაღსა შეექცეოდნენ; ლხინსა და განცხრომისა იყვნენ და, როცა დაღამდის, ფალავანი შუაზედ დაწებობდა და ამა ორს მნათობს აქეთ-იქით მოიწვევდა, და შუაზედ ხმალს დაიდებდა და იმ ქალთ ასე ეტყოდა, რომ მანუჩარ ჭემოიფესთან უნდა მივიდე და ქორწილი იქ გარდავიხალოთ, ერანის ქვეყანას. ის ორნი მნათობნი, ჩადგან საამ ფალავანის არმიყნი იყვნენ, იმასთან აღერსით ითმენდნენ. ამა ყოფითა და ქცევით ორმოც დღეს დაყვეს და ორმოც დღეს უკან ერანისაკენ წასასვლელად მოემზადნენ. ის სამყოფი ესრეთ უცხო რამ იყო, რომ ხმელეთზედ იმისთანა სამყოფი არ იპოვებოდა. ყოვლის სიკეთით სრული იყო, მაგრამ თავიანთი სამყოფი მოავონდა.

საამ ფალავანმა ფრანგს უბძანა აბრაჰის დევის ხაზინისა გამოტანა. ფრანგმა სწრაფლად ერთათ შემოკრიბა. აქლემებსა და ჯარებსა აყიდეს და ერანისაკენ გაისტუმრეს. აბრაჰი დევი ფრანგსა და შავს დევის ებარათ და ბძანება ჰქონდათ, რომ ყოველს დღეს თავიანთის კეტებით ესდენსა სცემდინან, რომ ტანიდამ დიდის მდინარის ოდენს სისხლსა ადენდნენ ხოლმე. საამ ფალავანი, ფერიდუხტ და თუთი შეითან აიენიდამ გამოვიდნენ და გარსამიბისეულსა კარავსა დასხდნენ. თავისი სარდალნი და დიდებულნი მოიწვია და შავი დევი მოაყვანინა და აბრაჰი დევის სამყოფი იმას უბოძა და გაახემწიფა. შავმა დევმა მადლობა მოახსენა, თაყვანი-სცა და მუხლსა აყოცა, თავისსა ალაგს დადგა და მოახსენა: ფალავანო, ერანის ქვეყანაში მეც გიახლები, მიტომა რომ რომელსაჲ გზაზედ მოვედით, რქით ევლარ წავალთ, დიახ ავი გზა არის. მე სხვა გზა ვიცი, მცირეს ჯაფას ნახამთ! რამდენიმე ასი დევი პირველათ გავისტუმროთ ზღვის პირზედ. რამდენიც გემი მოგვირინდება მზათ დაგვახვედროს! საამ ფალავანმა დიდათ დაუმადლა ზღვით წასვლა. შავი დევი გამობრუნდა და დევი გაისტუმრა და უბძანა: მანამდის ჩვენ მოვიდოდეთ, გემები მზათ დაგვახვედრეთ.

ქუთფრიდან ფალავანი აიყარა და ერანისაკენ გაემართნენ. რა ზღვისა პირსა მივიდნენ, დევი გემები მზათ დაახვედრეს. საამ ფალავანი, ფერიდუხტი და თუთი ერთსა ხომალდსა ჩასხდნენ. სარდალნი და ფალავანნი თავ-თავისათ ჩასხდნენ. ხაზინა და სანოვაგე ხომალდებსა ჩააწყვეს. შავმა დევმა თავისსა დევებით აბრაჰი დევი ერთს ხომალდსა ჩასვა, მძიმის ჭინჭილებით შებორკილი. მუდამ დღე მძიმისა რკინის კეტითა სცემდნენ.

მეხომალდეთა აფრები აღუშვებს და ერანისაკენ გაემართნენ. ამა ყოფაქცევითა ორმოცი დღე იარეს ზღვითა. ორმოც დღეს უკან მეხომალდენი მოვიდნენ და საამ ფალავანს ახარეს, რომ ხომალდები ზღვისა კუნძულსა გავიდნენ. საამ ფალავანი ზე ადგა, ხომალდიდამა შეხელდა და ზღვისა კუნძული ვერ დინახა. მეხომალდეთა უბძანა, მე რატომ ვერა ვხედავ ზღვისა კუნძულსა. იმათ მოახსენეს: ერთი დღისა და ღამის სავალი კიდევა გვაქვს. ფრინველები დავინახეთ და იმითი ვიცი, რომ ნაპირს მივასლოვდით და იმისთვის მოგახსენეთ. ერთი დღე და ღამე იარეს და ნაპირზედ გავიდნენ. საამ ფალავანი, ფერიდუხტი, თუთი და ფრანგ დიეზადი ხომალდიდამ გამოვიდნენ და ხმელეთზედ დადგნენ. ფალავანნი და სარდალნი თავ-თავის განწესებულს ალაგსა დადგნენ. შავმა დევმა თავისის დევებით აბრაჰი დევი გამოიყვანა ხომალდიდამ. ხმელეთზედ კარ-

ვეები დასცეს და, საცა ნოვზარ-შა გაეყარა ფალავანს, იმ ადგილს განწესებით დადგნენ. საამ ფალავანმა შვე დევს მადლობა უბძანა, რომ იმ ბეიბანის გზისაკენ არ წამოგვიყვანე და ამ კანის გზით წამოგვიყვანე მოსვენებითა. ამის მაგერს სიკეთეს მეც ვადაგვიხილი. შავმა დევმა მადლობა მოახსენა, მაშინ რომ იმ ძნელს გზისაკენ წავედით, თქვენი საყვარელი ფერიდუხტ. პერობილათ გეგულეზოდით, მოგვჩქარებოდით და იმისთვის იმ გზაზედ წავედით. ახლა ღმრთის მოწყალებით მივედით იქა და თქვენი გულის წადილი აღვისრულდით, იმისთვის ამ გზაზედ წამოვედით. საამ ფალავანმა ამა სიტყვებისთვის მადლი უბძანა შვე დევსა.

ფალავანი თავის ფალავნებით მალრიბშაპარის სიახლოვეს რამდენიმე დღე ლხინსა და განცხრომასა იყვნენ. შავი დევიც ამ ფალავნებთან შეექცეოდა. აბრაჰი დევი რომ შავს დევს ებარა, და თავისი განწესება ყოველ დღე რომ რამდენიმე კეტს დაკრემდნენ, ამ ლხინსა და შექცევასა შინა სამი დღე გავიდა. რომ აბრაჰი დევს თავისი განწესება აღარ გარდაახდევინეს. ამოაბაში საამ ფალავანს თავის ტახტსა ზედა ეძინა და ერთი შეშფოთებული სიზმარი ნახა. ზეზე წამოვდა მაშინვე და ფერიდუხტ გამოადვიდა: ჭეი, ქვეყნისა კეკლუცო, მე სიზმარში ვნახე, რომ ჩვენს ქარში ერთი საშინელი ცეცხლი გაჩნდა და შვე დევს ცალს მკლავზედ მოეკიდა. სწორეთ ის წყვეული აბრაჰი დევი თავის ჭინჭილებს დაწვევებდა, აეშვებოდა და იმისთვის ეს სიზმარი საზარელი ენახე. მაშინვე წამოვდა, ფრანგ დივზადის კარავთან მივიდა. შვე დევს და ფრანგ დივზადის. სამი დღე და ღამე ლხინსა და განცხრომასა რომ იყვნენ, აბრაჰი დევისთვის თავისი განწესება, რომელიც რომ რკინის კეტითა სცემდნენ ისინი, არც ერთი ექნათ. და დევებსაც აბრაჰი დევისთვის საკმელი მომეტებით მიეცათ და ღონეზედ მოსულიყო.

ერთ ღამეს დევს დრო დაეცა, ჭინჭილები, რითაც იყო შეკრული, სულ ერთიანათ დაეგლიჯა, ამდგარიყო, გარეთ გამოსულიყო და შავი დევის რკინის კეტი აეღო და დევებსა დახოცასა უპირებდა. აყალ-მაყალში შავი დევი და ფრანგ დივზადა ძილისაგან განიფრთხნენ და ზეზე წამოცვიდნენ, და იმისაკენ გაემართნენ. აბრაჰიმ შემოხედა, შავი დევი დაინახა და დაუძახა: ჭეი, შე უმზგავსო, შენ რომ მუდამ დღე იმდენსა მცემდი, ახლა მიყურე, შენ რა გიყო. შავმა დევმა რა ესე გაიგონა, მაშინვე ფრანგის კეტს კელი წამოავლო, დასაყრავათ მოუქნივა. აბრაჰი დევმა კელი მიაშველა, კეტი კელიდამ წაართო და შვე დევს მელგრად დაჰკრა, მხარი დაუღუნა. უცნობო შეიქნა და მიწასა გარდაიქცა.

რა ფრანგმა შავი დევი ესე იხილა, თავისი რკინის კეტი ესრეთ მელგრათ დაჰკრეს ბეჰსა და ბეჰს შუა, რომ აბრაჰი დევი ორათ მოიხარა, დიდათ გაწყრა. კელი მიაშველა, კეტი კელიდან წაართო, შორს გასტყორცნა. კელი მიპყო, ერთი კელი საყელოსა ჩაუგლო აბრაჰი დევმა და მეორე სარტყელსა, ეწადა, რომ მიწასა დაეცა და მიწასთან გაეწფორებინა. იმეამად ფალავანმა მიატანა და საზარელად შესძახა. აბრაჰი დევმა რა ფალავანი დაინახა. აიყვანა ფრანგ დივზადა და ფალავანს შესტყორცნა. ფალავანმა კელი მიაშველა და მალლა დაიჭირა ფრანგ, და ძირს დასვა, და დევს მიმართა. აბრაჰი დევმა შემოხედა, ნახა, ფალავანი უიარაღოთ, ფაღარათათ ავის, თავის გულსა განიზრახა: ეს დიახ კარავათ იქნა, რომ საამ ფალავანს იარაღი არა აქვს, ახლავ ჩემის ფრჩხილებით ასე ბაზაზის და ბოზაზის ხამვივით ფარა-ფარა დაეხეო. ფალავანსა მიმართა. ფალავანმა სწრაფად ორსავ მაქასა კელი შესტაცა და ორივე კელები:

მაგრა დაუჭირა, დევი დიდათ შეაწუხა. დევი, რამდენსაც ეცადა, ვერ დააძრო კელები. ფალავანმა მკლავები გარდაუგრიხა და კისერსა ერთი ასეთი ძლიერი მუშტი დაჰკრა, რომ ცნობა დაეფანტა. ლაჭებმა კელი გაუგდო, ასწივა აბრაჰი დევი, აიყვანა. ასეთი დასცა მიწასა, რომ უცნობო შეიქნა. ფალავანი მკერდსა შეახტა და ფრანგს დაუძახა: გარსაშიბისეული ქამანი მოიტანე! ფრანგმა სწრაფად ქამანი მოიტანა. ფალავანმა ორივე მარჯები მაგრა შეუქრა, და კისერზედ მძიმე ჭინჭილები დაადევს. ფრანგ დიეზადმა თავისი დევეები მოიყვანა. ფეხები მალა გაუკრეს აბრაჰი დევსა და მიდგნენ, ამდენი სცემეს, რომ სიყვდილათ მიეწურა. მერე კიდევ რაჰდენიმე მძიმე ჭინჭილები კისერზედ დაადევს და ისე დააგდეს. მავი დევი რომ უცნობო იყო, ის ცნობას მოიყვანეს, აიყვანეს და თავისსა სადგომსა მიიყვანეს და, მკლავი რომ მოტეხილი ჰქონდა, საუცხოო აქიმები დააყენეს და რამდენიმე დღეზედ მოარჩინეს. შემდგომად იქილამ აიყარნენ და ერანი-საკენ გაემართნენ.

რამდენიმე დღე ვლეს და ერანისა ქალაქსა მივიდნენ. მანუჩარ კემწიფე წინ მოეგება, ფალავანს მიესალმა. ფალავანი თავისსა სადგომსა შეიყვანა და ფერიდუხტ და თუთი არამში გააბტუმრა. იქამად მანუჩარ კემწიფე თავისის სასახლის ფანჯრილად საამის არამსა და ხაზინასა უყურებდა. ესენი რომ გამოატარეს, იმას უკან ერთი, მთის ოღენი, საშინელი, მძიმეთ შებორკილებული დევი გამოატარეს. ვინც, რომა ის დევი ნახა, ფალავანს დიდი ქება დაუწყეს და ღმერთს მადლობასა შესწირვიდნენ, რომ ერთის აღამიანისთვის ესდენი ღონე და ფალავნობა მიგიცია, რომ ამისთანა ეეშაბი შეუპყრია და ასე შეკრული დაჰყავს. ზოგნი ასე ფიქრობდნენ, რომ საამ ფალავანი ამისთანა ძლიერსა და ამისთანა ეეშაბის მზავესსა ფხიზელს ვერ შეიპყრობდა, ეს ეგების ძილში შეუპყრია, რომ ამისი შეპყრობა ფხიზელ დროს კაცისაგან არ შეიძლება, არც იქნება. იქამად კემწიფე გამობრუნდა ფალავანს თან იახლნენ. კემწიფე თავის ტახტზედან დაბძანდა. ფალავანი თავ-თავის განწესებულს ალაგს დასხლნენ. სუფრა მოიღეს და მეჭლიში გამართეს, ლხინსა და განცხრომას მიეცნენ. კემწიფემ საამ ფალავანს უბძანა: ახლა დრო არის, რომ არამხანაში შევიდეთ. ფალავანმა ნება დართო.

კემწიფე და საამ ფალავანი არამხანასა შევიდნენ. რა ფერიდუხტმა და თუთიმ კემწიფე მისული იხილეს, მაშინვე ფეხზედ წამოდგნენ და თავვანი-სცეს. კემწიფემაც სიყვარულით მოიკითხა და უბძანა: დღეს იქით ნუღარას ინაღლით. ახლა თქვენ სახლში მოსულხართ, თუმცა მწუხარება ბევრი გადაგხდათ. ღმერთის მოწყალებით ამას იქით ლხინათ გადაგვეცვლებათ. კემწიფემ თუთის თავის სარწმუნოებაზედ მოსვლა დააბტუა. თუთიმ მაშინვე ნება მისცა. მას უკან კემწიფემ ფერიდუხტს ერთი უცხო სასახლე გაუკეთებინა, ცალკე, თავისის განწყობილობით, მოსაფენით, მოსამსახურეებით, მოახლეებით და თავის ყოვლისფრით. ეგრეთვე თუთის გაუკეთებინა სასახლე, თავის ყოვლისფრით განწყობილი და შიგან დააყენა.

რამდენსამე დღეს უკან კემწიფემ საამის ქორწილი მოამზადა, ქალაქის ხალხთ მრავალი ცეცხლის სათამაშოები მოემზალებინა და სხვა სათამაშო მრავალი რიგი. შვიდი დღე და ღამე ლხინსა და განცხრომასა იყვნენ, და შვიდ დღეს უკან ფერიდუხტ საამ ფალავანს მიაბარეს და ეს ორნი აზიყ-მამიყნი თავისსა საწაღსა ეწივნენ. შვიდ დღეს უკან თუთის ქორწილი უყვეს. შვიდ დღეს ქორწი-

ლი იყო და მას უკან თუთიყ საამ ფალავანს მიაბარეს და თავისსა საწაღსა ეწიგ-
ნენ ეს ორნი საყვარელნი.

რამდენმა ხანმა გაიარა. ერთ ღღეს მანუჩარ კემწიფე თავისსა ტახტსა ზედან
ბძანდებოდა. შავი ღღევი შამოვიდა, მოახსენა: აბრაჰი ღღეს რას უპირობთო.
საამ ფალავანმა მანუჩარ კემწიფეს მოახსენა: მე მწაღს, რომ აბრაჰი ღღევი მინდა
გაუშვაო, განვათავისუფლო. მანუჩარ კემწიფემ დიღათ გაიკვირვა და ფალავანსა
უბძანა: ფალავანო, იმისი გაშვება როგორ იქნება! ფალავანი ადგა და საპყრო-
ბილისაკენ გაემართა და ღღეებთან მივიდა. და ღღეებს უბძანა: მე მწაღს, რომ
აბრაჰი ღღევი განვათავისუფლო. რა ესე სიტყვა აბრაჰი ღღემ გაიგონა, დიღს
სიმხიარულეს მიეცა და მის მცველთა უბძანა: ამას ორმოც ღღეს პატივით
მიაპყარით, რომ ისევე თავისი ღღეზედ მოვიღეს, ამას თავის სატანჯველს წერას
მიაპყრობთ. მანუჩარ კემწიფემ უბძანა საამ ფალავანს: მიზეზი რა არის ამ ღღე-
ვის განთავისუფლებისა. ფალავანმა მოახსენა: მე ერთი მიზეზი მაქვს გულშია
და იმ საქმეს ამ ორმოც ღღეს უკან სცნობთ.

აბრაჰი ღღევის მცველთა საამ ფალავანის ბრძანებისამებრ აბრაჰი ღღეს
კელი შეუწყვეს, საქმელი და სანოვავო მოუმატეს და კელი შეუწყვეს. რამდენ-
მა ხანმა განელო. მანუჩარ კემწიფემ თავისი სარდალნი და ფალავანნი შემოყ-
რიბნა და მეჭლიში გამართეს, ლხინსა და განცხრომას მიეცნენ. საამ ფალავანმა
შავ ღღესა და ფრანგს აბრაჰი ღღევის მეჭლიშა შინა მოყვანა უბძანა. მსწრაფ-
ლათ მეჭლიშა მოიყვანეს. მანუჩარ კემწიფეს თაყვანი-სცა და დადგა. საამ ფა-
ლავანი ზე წამოადგა და აბრაჰი ღღევი პყრობილობისაგან განათავისუფლა. საამ
ფალავანს ნაჰანგალის თავისი სარქველი უცხოთ მურასათა მოაპყიდინა და იმი-
თომღა ღღინოსა. და ყულუხჩსა უბძანა: მაგით სამი ზედიზედ დაალევინე ღღე-
ნიო. აბრაჰი ღღევი ღღინისა სმაში იყო, რომ საამ ფალავანი ერთსა აღაგსა მოე-
ფარა და ყურება დაუწყო. ღღემა რა ღღინო შესვა, იფიქრა და თქო: ეს ღღე-
ნის სასმელი უთუთო ჩემი ძმის ნაჰანგალის თავისი სარქველი არის. ფრანგმა
შეუძახა: ჭეი, შენ უწყალო, მართალსა იტყვიო.

აბრაჰი ღღემა განრისხებულმა ოთხსავე მხარესა მიმოიხედა და საამ ფალა-
ვანი ვერსად ნახა. მრისხანეთ დაიძახა და ფრანგს მივარდა, და საყვლოსა კელი
ჩაუგდო, მიწისაგან მოგლიჯა და ძირს დაცემას უპირობდა. ამა მეჭლიშა შინა
მსხდომნი ფალავანნი და სარდალნი ესრეთ შეშინდნენ, რომ შემოდგომის ფურ-
ცილივით თრთოლა დაიწყეს. აბრაჰი ღღემა შეუძახა ფრანგსა: ჭეი, შე უმსგავ-
სო, ამდენი ხანი რომ მტანჯე და მუღამ დღე მცემდი, ახლა სად გადაარჩენ შენს
სიცოცხლეს ჩემი კელიდამა. ასე შესძახა, აიყვანა ფრანგ და ეწადა, რომ შავი
ღღევისათვის მიერტყა, და ორნივე მიწასთან გაეცწორებინა. საამ ფალავანი იმ
აღაგსა ფარულად იდგა და უყურებდა. რა ფრანგ ესრეთ იხილა, გამოვიდა საამ
და აბრაჰი ღღესა მომართა და შეუძახა: ჭეი, შე უწყალო, შენ ჩემ მოსამსახურე
ფრანგთან რა კელი გაქვს და ან რას უპირობ. აბრაჰი ღღემა რა საამ დაინახა,
დიღათ გაწყრა, მობრუნდა და ფრანგ განრისხებულმა საამს შესტყორცნა.
ფალავანმა კელი მიაშველა, ფრანგ მალა დაიპირა და ძირს დასვა. და აბრაჰი
ღღემა მალის ხმით შემოსძახა: მე ამდენს ჩემს ტანჯვასა და ჩემს სახემწი-
ფოს გაოხრებას, და ჩემს ბიბარუობას როდი შეგარჩენ! ახლავ შენც მოგვლავ,
გავბრუნდები და ერანს სრულიად აღვაოხრებ! მივარდა საამ ფალავანსა და ერ-
თი კელი სარტყელს ჩაუგდო და მეორე საყვლოსა, ეწადა, რომ ფალავანი მიწის-
გან აეყვანა, მაგრამ რამდენსაც ეცადა, საამ ადგილიდამ ვერ დასძრა. ფალავანმა

ცალი კელი სარტყელსა ჩაავლო და მედგრათ იჩინებოდნენ. ამოღაში ყულუხჩთ-სუფრა აიღეს და ამა მეჭლისსა შინა მსხდომნი ფალავანი ამა ორთა ლომგულს ფალავნებს თამაშას უყურებდნენ და ქებას შეასხმოდნენ. იმ დღეს დილით სა-ღამომდინ, მზის ჩასვლამდინ მედგრათ იბრძოლეს.

რა საღამო ესამი შეიქნა, საამ ფალავანმა ღმრთის სახელი ახსენა, ესრეთ მედგრათ შესძახა, რომ ოთხმავ მხარემ რხევა დაიწყო და აბრაჰი დევი, ამა ხმისა გამგონი, დიდათ შეშინდა, ველარა გაეგებოდა რა. საამ ფალავანმა ორჯელ მედ-გრად ასწივა და ვერ აიყვანა, მესამედ მედგრად ასწივა, თავის სისწორ აიყვანა, თავს შემოივლო და მიწასა ესრეთ მედგრად დასცა, რომ ჭიმშიტ კემშიფის სა-სახლემ სრულიად ზანზარი დაიწყო, გარასმობისეულის ქამანდით გადაუგრიხა კელეზი, მაგრა შეუტრა, დიდროვანი ჩინჯილები მოატანინა, მაგრად დააბორკილა-შავი დევი და ფრანგს მისცა, და რკინის კეტით ემოღენი სცეს, რომ სიკვდი-ლათ შიავდეს. წაიყვანეს და ტუსადანაში ჩაავდეს. საამ ფალავანი გამობრუნდა და ფალავანთა უპასუხა: ჭეი, ფალავანო, მე აბრაჰი დევი ძილში არ შემოიპყრია, ასე შემოიპყრია, როგორც ახლა თქვენმა თვალმა იხილა.

მანუჩარ კემშიფემა საამ ფალავანის მკლავსა და ძლიერებას დიდი ქება შეას-ხა, ეგრეთვე ფალავანთა და სარდალთა დიდი ქება შეასხეს, თავ-თავის ალაგს დასხდნენ და ერთმანეთსა ტკბილისა საუბრითა მიმოუბნობდნენ და შეექცეოდ-ნენ. მანუჩარ კემშიფემა იმ დღეისა სიკვდილი ბძანა. საამ ფალავანმა არ ინება. ფალავანმა ბძანა, აბრაჰი დევის სიღრმე ერთი ორმო მოახტრევიანა, და ის დევი მიიყვანეს და შიგან ჩაავდეს და მიწა მიაყარეს, და ყულამდინ შიგან ჩაფლეს, პირი გაუხსნეს და სამოცდაათი თუნგი ღვინო პირში ჩაასხეს. ის ბილწი დევი თავის სიკვდილის შიშითა ესრეთ მედგრათ ამოიწივა, რომ იმ ორმოდამ მალა ამოვიდა. განრისხებულმა ესრეთ მედგრათ გაექანა, რომ თავი ერთ ქუასა დააძ-გერა. თავი შუაზედ გაუსქდა, მიწაა გადაიქცა და სული ჯოჯოხეთს მიაბარა.

რამდენიმე ხანი საამ ფალავანი მანუჩარ კემშიფესთან ღვინითა შეექცეოდა. მას უკან საამ ფალავანმა მანუჩარ კელმშიფეს დასტური სთხოვა, რომ ფერიღუხტ და თუთი ქაბულისტანს მინდა გავისტუმრო. მანუჩარ კემშიფემაც დასტური-უბოძა: დიან კარგი იქნება. ურიცხვი ხაზინანი და მძიმე ფარჩანი უბოძა კემ-შიფემა ფერიღუხტსა. ოთხნი ათასნი ყულუხჩნი და მოახლენი და მოსამსახურენი ახლდნენ, თუთის თორმეტი ათასნი თავისთან მოყვანილნი მოსამსახურენი ახლ-დნენ. ოთხი ათასი მოამზადა თავისი მოსამსახურენი თან წასაყვანათ და რვა ათასი მეომარი საამ ფალავანთან დაუტევა. თითონ მნათობნი დიდის დიდებით მოემზადნენ, ქეჯოში ჩასხეს და ქაბულისტანისაკენ გაემართნენ. თემურთაშის არამზანაც ფერიღუხტთან გამგზავრდნენ. საამ ფალავანმა თავისი არამზანა და ხაზინანი თემურთაშს ჩააბარა და სისტანისაკენ გაისტუმრა. რამდენსავე დღესა ვლეს და სისტანსა მიაწივეს, საამის დედასთან უმაინ ხანუშთან. იქეთსა მხარესა სია დღეს ქუთიფანის კემშიფობა მისცეს, მძიმე ხალათები ჩააცვეს და თავისის დღეისა ლაშქართი ქუთიფანისაკენ გაისტუმრეს. იმაჟად ყალვად და ყულუშ ხავარ ზამინის ქალაქს რომ დააქორწილა, იმათი არამზანა, შუფური შირდლისა და სეილი ქანსუზისა და ფრანგისა, ამათი არამზანაც სისტანს იყო გასტუმრებუ-ლი. რადგან დიდს ხანს გაველო, რომ ამათ თავისი არამზანა არ ენახათ, ერთ დღეს საამ ფალავანმა მეჭლისსა შინა მანუჩარ კემშიფეს დასტური სთხოვა სის-ტანისავე წასვლისა.

ამა სიტყვისა მოხსენებასა ზედან ერთი არეულობა და ხმიანობა შეიქნა

კარზედ. კემწიფემ უბძანა ქეშვი-ალას: ეს რა ხმიანობა არის, ვადი, ვინც იყვენენ, აქ გამოიყვანეთ. სწრაფლათ კემწიფისა წინაშე "ემოიყვანენს, ხემწიფეს თაყვანი-სცა. კემწიფემ უბძანა: სადაური ხარ და ან რა ანბავი იცი? იმან მოახსენა: თუსის ქალაქილამ გაიხლები; კემწიფეო. ერთი ვეშაპი აღმოჩნდა ერთ მთის კალთამია, რომელიც ჩვენ ქვეყანას წყალი მომდინარეობს, იმა მთის კალთილამ გამოსდნენ. ყოველ დღე მოვა ის წყეული ვეშაპი და იმა მდინარესა დაეწაფება. ერთის შესუნთქვით შთანთქავს და ისევ პირილამ განუტევებს. ჩვენის ქალაქის ხალხნი, ვინცა ვინ იმა წყლისას დაღევს, სიკედილსა მიეცემიან ხოლმე. და იმის მეტი დასაღევი წყალი იმ ახლო-მახლოში არ იშოვება. და იმ ვეშაპის შიშით კარში კაცი ვერ გამოსულა, და ვერც ცხენი და ვერც საქონელი. ვერაფერი ვერ გავციშვია იმ ვეშაპის შიშით კარში და ამაზე კემწიფე უნდა მოგვეხმაროს, თუ არა. მეორეთ მოსვლას კემწიფე მოვალე შეიქნება იმ ხალხისა. კემწიფემ თავისთა სარდალთა და ფალავანთა უბძანა: ამისთანა საქმე ჩვენი ვალი არის, ამაზედ უნდა შევეწივნეთ. თუ ამაზედ არ შევეწივნეთ, მეორეთ მოსვლას ამათი მოვალე შევიქნებით და, თუ ამაზედ შევეწივენით, მეორეთ მოსვლას განსვენება გვექნება. მაშინეე ყულუხჩს უბძანა: ერთი ჭამი სავსე ღვინო მომეციოთ. მაშინვე ერთი ჭამი ღვინო აამსეს და კემწიფეს მიართვეს. კემწიფემ ჭამი კელში დაიჭირა და თავისთა ფალავანთა უბძანა: მე ასეთი ფალავანი მინდა, რომ ეს ჭამი შესვას და იმ ვეშაპის ომი კისერზედ აღოს. ვერა რომელმან გაბედა სიტყვის მოხსენება. ასწივა კემწიფემ ის ჭამით უღინო. თითონ შესო. მეორეთაც შეავსებინა ის ჭამი ღვინითა და კიდევ ისე უბძანა ფალავანთა, და ვერაჲინ გაბედა კიდევ სიტყვის მოხსენება. ასწივა და ზეორეთ თითონ შესვა ის ღვინო. მესამეთ კიდევ შეავსებინა ის ჭამი ღვინითა და უბძანა: ეს მესამედ იბძანებ და, თუ ვერაჲინ ბედავთ იქით წაქვლასა, სწორეთ მე წავალ!

კემწიფისა სიტყვას ზედან საამ ფალავანი ზე წამოდგა, კელმწიფეს ჭამი ჩამოართო და ფალავანმა შესვა. კემწიფემ უბძანა: ტეი, ჩემო ძმაო, საამ ფალავანო. მე შეწადა, რომ სხვანი წასულიყვენენ ვინმე, რომ შენ ამდენი ხანია ჯაფაში და აისხლის ღვრაში იყავ, და ორიოთ დღე არის, რომ დაღალული მოსულხარ. საამ ფალავანმა მოახსენა: სულ ყოველთვიან ჩვენი ჩამომავლობა კემწიფის ერთგულობაზედ ჯინჯილით შებორკილებული ყოფილან. და მუდამ ამისთანა გაცირვებულს საქმეზედ თქუენის ბედნიერებით წარუშმარტოვია და მეც თქუენი მონა და მოსამსახურე ვახლავარ, და, ჩემს მამა-პაპათ რაც უმსახურნიათ. მეც იმედი მაქვს, რომ იმათ ზედმეტი გამსახურო. ფალავანი გამობრუნდა და იმ კაცთა ჰკითხა: ის ვეშაპი რომელს მხარეს არისო. იმ კაცთა მოახსენეს: ფალავანო, ქალაქის სიახლოვესა ერთი მთა არის და იქ იმყოფება. ფალავანმა უპასუხა: ღმრთის მოწყალეებით, მე თქვენთან წამოვალ და იმის შეჭირებებისაგან გამოვიხსენითო.

ამ დღეს თავისი სამძიმო ბარჯი გაისტუმრა და მეორესა დღესა შაფური შირილი, სეილი ჯანსუზ, ყალვად და ყულუშ და ფრანგ დიჯადი სისტანისაკენ იყვენენ მომზადებულნი. შესხდნენ და ზორასნისაკენ, თუსის ქალაქისაკენ გაემართნენ. ჩქარისა სიარულითა ჰელეს და თუსის ქალაქისა სიახლოვესა მივიდნენ. თუსის ქალაქსა მჯდომი კემწიფე ფალავანს გამოეგება. დიდის თავაზით შეიყარნენ და ქალაქისაკენ გაემართნენ. და კემწიფემ თავისა სასახლესა მიიყვანა და დიდის თავაზით მოექცა, და იმ ქვეყნის ხალხნი მოვიდნენ და დიდი პატივი მიამ-

ურეს და ლოცამდნენ და ქებას შესახმოდნენ. მეორესა დღესა, საამ ფალავანი თავისი ფალავნებით, იმა მთის ზღის მკოდნენი წინ გაიმძღვარა, იმა მთაზელან ავიდნენ. იქილამ თავისსა ფალავნებსა გამოვსალმა და თავისსა ყურაბი თაქაურ-ზედა ამხედრდა, და იმა ვეშაისკენ გაემართა.

აქა საამისა და ვეშაის ომი, საამისაგან დამარცხება და მოკვლა

რა მცირე ხანი წარვლო, ყურაბი თაქაური აღარ დაიძრა. რამდენსაც ეცადა, ყურაბი თაქაური აღგილიდამ ვეღარ დაიძრა. ცხენისაგან ძირსა ჩამოხდა და ყურაბი თაქაური მაგრა დააბა, და თითონ ვეშაისკენ გაემართა. და იმა მთასა მიმართა. შეხედა, ნახა, ერთ ადგილს ვეშაი შწოლიარე იხილა. ფალავანმა მაშინვე მარჯვენა კელი მარცხენასა მხარეს შემოივლო და მარცხენა—მარჯვენასა. ღმრთის სახელი ასხენა, და ერთი საზარელი შესძახა ასეთი, რომ ოთხსავე მხარეს ოთხ ფარსანგსა გაიგონებოდა. რა ვეშაის ეს ხმა ესმა, წამოიხედა. რა საამ ფალავანი დაინახა, განარისხებული, ყურები დაილურსა, და ფალავნისაგან გაემართა და ფალავანს ცეცხლი შეაყარა. ფალავანმა გარსაშობისეული ფარი იფარა. ფალავანს ეგოდენი ცეცხლი შეაყარა, რომ ფარი ისე გაცხელდა, რომ კელს ვეღარ დაიჭირა. ფალავანმა მაშინვე ისმიაზამი შეულოცა და იმისი ცეცხლი მაშინვე განჯარდა. მაგრამ იმ ვეშაამა ესეთი შესუნთქა, რომ ფალავანი თავისაკენ ფაცვადით წაიღო. ფალავანს ესრეთ ეგონა. რომ ორმოცი საგდებელი კისერზედ გარდამაცეცისო და ისე მიპათრევენო. ფალავანი რამდენსაც ეცადა, ფეხი ვეღარ შოიკიდა. საამ ფალავანმა ერთი მადლის ხმით ნარა კიდევ გასწივა. შაფური შირდილმა და სხვათა ფალავანთა მაშინვე, რა მეორე ნარის ხმა გაიგონეს, იგრძნეს, რომ ფალავანი ვეშაის ებრძვის და ღმერთს ევედრებოდნენ საამისაგან ვეშაის ძლევას.

ვეშაამა ესრეთ მედგრათ შეისუნთქა, რომ ფალავანი თავის სიახლოვეს მიიზიდა. ფალავანმა ღმრთის სახელი ასხენა, ორივე ფეხები გაიმადგრა და გარსაშობისეული გურზი რამდენჯერმე თავსა შემოივლო, და ვეშაის ესრეთ მედგრათ დაქარა თავსა, რომ თავი შუაზედ გაუხეთქა და ტვინი გადმოადინა, და ერთი გურზის დაკერით ვეშაი მოკვლა და იმისი სული ჯოჯოხეთს გაამგზავრა. იმისი თავილამ ესრეთი სიმყარალის სული გამოხდა, რომ ფალავანს იმისმა სიმყარალემ ცნობა მიფანტა და მიწასა გადაიქცა. და ყურაბი თაქაური უკან გამობრუნდა, გამოიქცა და ფალავანებთან მოვიდა.

რა ფალავანთა ყურაბი თაქაური ასე ნახეს, მაშინვე თქვეს, საამ ფალავანი-სათვის ალბათ, იმა ვეშაის უწყენია, რომე ყურაბი თაქაური ასე მოვიდა. ახლავ ჩვენც წავიღეთ და იმა ვეშაითან მივიღეთ, ან ის ვეშაი მოკვლათ და, ან ჩვენც საამ ფალავანთან დავიხოცნეთ. მაშინვე ცხენსა ამხედრდნენ და სწრაფათ ვეშაისთან მივიდნენ. ნახეს, რომ ფალავანი გულშემოყრილი იხილეს, და ვეშაის თავი შუაზედ გახეთქილი, და თავილამ ტვინი გადმოადინილი. რასაც ალაგს ის მყარალი ტვინი მოხვედრია, მოწა გაუხეთქია და შიგან ჩასულა. გამობრუნდნენ და საამ ფალავანთან მივიდნენ. მაშინვე სპილოზედ ერთი ტახტი გააკეთეს და ფალავანი მასზედან დასვეს, ურდოსა მიიტანეს და მრავალი უცხო და უცხო სასუნებლებისათვის ასუნებინეს და გონებასა მოიყვანეს.

რა ფალავანმა თვალი აახუნა და თავისი ფალავნები დაინახა, ღმერთს მადლობა შესწირა და ფრანგს უბძანა: წადი შენ და ის ვეშაი გაატყავე და აქ

მოიტანე. მაშინვე ფრანგ წავიდა და ის ვეშაპი გაატყავა, ბალახით გატენა და ფალავანთან მოიტანა. საამ ფალავანი იმა ვეშაპის სიმყარაღეს დიდათ შეეწუხებოდა. ფალავანთა საამ აიყვანეს და თუისის ქალაქსა მოიყვანეს. მაშინვე თუისის ქვეშეთი წინ გამოეგება და დიდის პატივით თავისი სასახლეს მიიყვანა. რამდენიმე დღე ლხინსა და განცხრომასა მიეცნენ. მას უკან ფალავანმა ის ვეშაპის ტყავი რამდენსამე თუისის დიდებულთა გააცნა, და მანუჩარ კემშიფეს გაუგზავნა და თითონ თავისის ფალავანებით მოემზადა და სისტანის მხრისაკენ გაემართნენ.

რამდენიმე დღე ჰვლეს და სისტანის ქალაქისა სიახლოვეს მივიდნენ, და პემურთაშს წიგნი მისწერეს და თავისი მოსვლა აცნობეს. თეიმურთაშმა სისტანის ხალხნი შემოიყარა და საამ ფალავანს წინ მიეგებნენ, ფალავანს წინ წაუძღვენ და სისტანის ქალაქსა შემოიყვანეს, და გარსაშიბის სახლსა ჩამოახდინეს. ფალავანი ტახტსა დაბძანდა. ფალავანნი და სარდალნი თავ-თავის განწყობებულს ალაგს დასხდნენ. მაშინვე სუფრა მოიღეს, ლხინსა და განცხრომასა მიეცნენ. ფრანგ დიუზადმა თავისსა ლაშქარსა ულუფა განუწესა და თავ-თავისად განაწესა სხუანი სარდალნი და ფალავანნი. მუდამ ლხინსა და განცხრომასა იყვნენ.

შუალამემდინ საამ ფალავანი თავისის ფალავანებით ლხინსა და განცხრომასა იყვნენ. რა შუალამე შეიქნა, მეჭლოში მოიშალა; თავ-თავისად წავიდნენ. ფალავანი ადგა და არამხანას შებძანდა და თავისი დედა უშაინ იხილა, ფერიდუხტ და თუთი. რა უშაინ ხანუმმა თავისი შვილი საამ ნახა, თორმეტი წლის უნახავი, ღმერთს მადლობა შესწირა. იმ დამეს თავის არამხანასა მოისვენა. რა დილა გათენდა, გარსაშიბის სასახლესა გამობძანდა და თავისსა ტახტსა დაბძანდა, სარდალნი და ფალავანნი მოვიდნენ და თავის-თავის განწყობებულსა ალაგს დასხდნენ. ხაზინანი გახსნა და ურიცხვი ფალავანებსა და ლაშქართა უშომა. თავისსა სარდალთა და ფალავანთა ყველას საუცხოვეო ხალათები უშომა და ყველანი, ამდენი ხნის ჰირგარდახდომი, მოსვენებასა მიეცნენ და განცხრომასა იყვნენ მუდამ.

აქა ზაალის დაბადების ანბავი

იმჟამად საამ ფალავანი შეუძლოთ იყო. არამხანაში ფერიდუხტ დაწვა და ზაალ ეყოლა. იმ ყმაწვილსა თავის თმა, წარბი და წამწამი სულ თეთრი ჰქონდა. საამ ფალავანმა ზაალის დაბადება ჰცნო. ფალავანი მაშინვე არამში შავიდა და ის ყმაწვილი გაშინჯა. რა ნახა ის ყმაწვილი, დიდათ შეწუხდა და თქო: რათ მინდაო მე ამისთანა შვილი. ყალვადსა და ყულუშს უბძანა: ეს წაიყვანეთ, ერთ ადგილას გაუშვით სადმე. მაშინვე ის ყმაწვილი აიყვანეს, წაიყვანეს და ერთ მთის ძირზედ დასვეს და თითონ გამობრუნდნენ, და მოვიდნენ ფალავანთან.

რამდენსამე დღეს უკან თუთი დაწვა და ერთი მშვენიერი ქალი ეყოლა. საამ ფალავანი იმ ყმაწვილისა ჯავრით ავით გახდა და შვიდი წელიწადი ქვეშაგებში ჩავარდა, და ისე იყო, და ესრეთ დასუსტებული იყო, რომ ენებზედ ადგომის ილაჩი არა ჰქონდა. ერთს დამეცა ფერიდუხტ ფალავანთან მივიდა. ფალავანმა რა ფერიდუხტ იხილა, უთხრა: ტვი, ჩემო საყვარელო, რა არის, რომ ასე დამშორდი, რომ ერთხელ ჩემთან აღარ გაიარე. ფერიდუხტმა პასუხი მიუგო: ფალავანო, მე დიდათ ვწუხვარ თქუენს ავითყოფობას, მაგრამ რა ვქნა, ამდენი ხნის ავადყოფობის მიზეზით ასეთი სული გდის, რომ ერთს საათს კაცი შენს სიმყარაღეს ვერ გაუძლებს, და იმისთვის ვერ მოვიდვარ. ამისმა გამგონე საამ.

ფალავანმა თვალთაგან ცრემლი გადმოადინა, და ფერილუხტ კარსა გამოვიდა და თავისა სადგომსა შევიდა.

საამ ფალავანი მწუხარე-ქმნილი დიდათ ტიროდა და ღმერთს ევედრებოდა თავის მორჩენასა: ესდენი იტირა, რომ ტირილში ძილი მოუვიდა. ღმერთმა საამისა ვედრება შეისმინა. ძილსა შინა იხილა ერთი წითელცხენა კაცი, თეთრი წვერა აქვს და პირსა ნიღაბი აფარა, და წინ ერთი მწვანის პირის სახის მქონე, უცხოთ მორთული შათირი მოუძღვის. მოვიდა საამ ფალავანსა ფეხზედ ქელი დაავლო და ზეზედ წამოაყა და უთხრა: არ იცი, შენ რის მიზეზით ხარ ავით? შენ ღმერთმა ერთი შვილი მოგცა და შენ დაუნაშავებლივ სად გადაავდე! ახლა, თუ შენ იმას შეინანებ და პირობას დასდებ, რომ იმას არა ერჩოლო რა, შენ მორჩები. და ახლავე აღეკ და წადი, და მთასა იალბუზისასა უნდა მიხვიდე, და იქ სიმურღთან, შენი შვილი იმას ჰყავს, ღმრთის ბძანებით იმას აუყვანია და ისი ზღის. შვილი გამოართვი და მოიყვანე, რომ შენი მემკვიდრე ის არის. ის ისეთი ახოვანი და ძლიერი გამოვა, რომ იმისთანა არავინ იყოს, და იმისგანაც ერთი ძლიერი ფალავანი გამოვა, რომ იმისთანა სულ არა ყოფილიყოს რა. მრავალს ქვეყნებს დაიპყრობს, მრავალს ფალავნებს დაიშინავებს, მრავალს ღვევებს დახოცს და მრავალს თილისმებს დაარღვევს! საამ ფალავანმა უპასუხა: მე რომ შკითხოვნ, ვინ განგათავისუფლო მაგ სნეულებისაგან, რა უთხრა, ვისი სახელი უთხრა, თქუენ ვინ ბრძანდებით? იმან მოახსენა: მე ზეგარდმოთი მეძმანა შენი განთავისუფლება. შენ, თუ შენის თავის მორჩენა გინდა, ახლავ ადევ და შენა შვილი მოიყვანე, შენ იმაზედ ნუ სწუხარ, ის ღმრთის ბძანებით დაიბადა თმათერთი. ესე სიტყვა დაასრულა და უჩინო იქმნა.

საამ ფალავანსა გამოვლიძა და ერთის მადლის ხმით ღმრთის სახელი ახსენა და მადლობა შესწირა თავის განთავისუფლებისთვის. ფერილუხტმა რა საამისა ხმა გაიგონა, მაშინვე ზეზე წამოიქრა და ესრეთ ეგონა, საამის უქანასკნელი ხმა არის. მაშინვე ფალავანთან შევიდა, ნახა ფალავანი ფეხზედ მდგომარე და პირველზედ უფრო შენოდა და ესრეთი სურნელებისა სული იდგა, რომ ფერილუხტს გონება მოსტაცა. ამის მხილველი ფერილუხტი დიდსა მხიარულებასა მიეცა და ფალავანს ჰკითხა: რომლისა მიზეზით მოხდა შენი გათავისუფლება. ფალავანმა ყოველი თავისი გარდასავალი უამბო. ფერილუხტმა უპასუხა: ჩემი შვილი სად არისო, რომ იმის მოსაყვანათ მიხვალო. ფალავანმა უპასუხა: მაშინ, რომ დიბადა, მე გადავაგდებდნეთ, თეთრი თმა რომ ჰქონდა, იმის მიზეზით, და ახლა სიმურღთან აუყვანია ღმრთის ბძანებითა და თავის ბარტყებთან გაუზრდილი; და ახლა მინდა წავიდე და მოვიყვანო. ფერილუხტ დიდსა მხიარულებასა მიეცა ამა ანბის სმენითა და ღმერთს მადლობა შესწირა, მაშინვე ფალავანმა ბძანა, სამხიარულოს ნაღარასა შეჰბერეთო. სწრაფათ სამხიარულოს ნაღარასა ცემასა ქელი მიჰყევს.

რა ესე ხმა სარდალთა და ფალავანთა გაიგონეს, დიდსა გაოცებასა მიეცნენ და მაშინვე ერთობით საამ ფალავანთან შემოკრბნენ. რა ფალავანი იხილეს, ნახეს, რომ ბევრით უწინდელზედ ახლა უფრო შენოდა და ფალავანობისა სახეც უფროთ მომატებოდა. დიდს განკვირებასა მიეცნენ და ფალავანს მოახსენეს: თქვენი მორჩენა რის მიზეზით იყო. ფალავანმა თავის გარდასავალი ყველა წვრილათ უამბო და უთხრა: ჩემი შვილი სიმურღს აუყვანია და ღმრთის ბრძანებით თავის ბარტყებთან გაუზრდილი, და ახლა მე მინდა წავიდე და ჩემი შვილი მოვიყვანო. და იმ ჩემ შვილსაც ერთი ძლიერი შვილი ეყოლება, რომ ხმელეთს სრუ-

ლებით დაიპყრობს. და მრავალსა ჯაღოს დაარღვევსო, და მრავალი ფალაგანი და ქვეყნის ღვენი იმის კელითა გაფუქლებიან. და მაშინვე ბძანება გასცა, რომ მოემზადნით, რომ: მე სიმურღთან მინდა წაივდე და ჩემი შვილი ზაალ მოვიყვანო! ამა ამბისა სმენითა ფერიღუხტი და თუთი და იმისნი მოსამსახურენი ღოდსა სიზხიარულესა მიეცნენ და ფალაგანნი და სარღალნი დიდს გაკვირებას იყვნენ, და ღმერთს მადლობასა შესწირვიდნენ.

მაშინვე ფალაგანნი და სარღალნი აღდგნენ და კარშა გამოვიდნენ, მოემზადნენ. ცხენებზედ შესხდნენ და საამ ფალაგანის კართან მივიდნენ და დადგნენ. საამ ფალაგანმა ფრანგს უბძანა ცხენის მომზადება. მაშინვე ფრანგმა ყურაბი თაქაური შეკაზმა და მოამზადა. ფალაგანმა ქანარის გაწევა უბძანა. მაშინვე ქანარები გასწივეს, მრავალი ხაზინანი გარსაშაბის ხაზინიღამ აიღეს და ათი ათასი კაცითა აიყარნენ და სიმურღისაკენ გაემართნენ. რამდენიმე დღესა ჰვლეს და იაღბუზის მთის სიახლოვესა მიაწივეს. რა მთასა შეხედეს, ნახეს, რომ ესეთი დიდი მთა იყო, რომ თავი ცისათვის მიებჯინა. ფალაგანმა უბძანა გარსაშიბისეული კარავი დადგითო, მაშინვე კარავი დასცეს და ლაშქართაც კარავები თავთავისად დაჰსცეს და განწესებით დადგნენ.

საამ ფალაგანი კარავსა დაბძანდა. იმა მთასა ზედა ერთი ხე იდგა. ასეთი მალალი იყო, რომ ერთი აღაქის სავალის სიმალღე იყო და სიმურღი იმ ხეზედან ბუღობდა თავისის ბარტყებით, საამის ძე ზაალ იქა ჰყვანდა. და სიმურღმა თავისი მენცნიერებით შეიტყო, რომ საამ ფალაგანი თავისის ძის ზაალის წასაყვანათ მოსულა. და ესე ანბავი სიმურღმა ზაალს უანბო, რომ: მამაშენი საამ შენს წასაყვანათ მოსულა. ზაალმა დიახ შორს დაიჭირა და უთხრა: მე შენს მეტი არც მამა მყავს და არც არავის გაყვები. მე შენი ნაჭირნახულევი ვარ და შენი გაზღილი. სიმურღმა უპასულა: მართალია, შვილო ზაალ, ადამიანის ნათესავი მუხთალი იქნება, მაგრამ თუ მამაშენმა დააშავა რამე შენზედ, ღმერთმა მაგერი იმასაც მიუგო და გადაახადევიანა. შვიდი წელიწადი ასეთი ავით იყო, რომ ვერა ადამიანი ვერ მიუღდა. დღე და ღამე ისე მარტოკა იყო და ახლა ღმრთის ბძანებით იმას ანგელოზი გამოეცხადა ძილში და ესენი ყველა უანბო, და შეინანა. და პირობაც გამოართო, რომ შენ თავის დღეში არას გერჩის და მაგაზედ ნუ სწუხარ! ახლა შენ გაჰყევი, არა გაგიჭირდება რა. ადამიანთ საყოფი დიახ უცხო განსასვენებელი ალაგი არის, დიახ ბევრი უცხო რიგი საქმელები იციან და, ღმრთის მადლით, ქუეყანა სულ თქვენ საბძანებელს ქვეშე იქნებიან და თქვენ არავისთან გექნებათ შესახვეწარი. და ახლა მე წავალო და შენს ანბავს ვაცნობებო, რომ ზაალ ჩემთან არის.

სიმურღი ბუღიღამ აღფრინდა და საამის კარავის სიახლოვეს ჩამოხდა. ფალაგანიც ამა ფიქრსა შინა იყო, რომ რის გზით უნდა ენახო ფაშქუნჯი. კარვიღამ გარეთ გაოზბძანდა. რა მალლა აიხედა, ნახა, რომ ფაშქუნჯი კარვისა სიახლოვესა ჩამოხდა. დიდათ იამა. მაშინვე სიმურღისაკენ წავიდა. რა მიახლოვდა, კელები გულზედ დაიწყო, მოვიდა და ფეხზედ აყოცა, და ქელ-მოქდომით თავსა დაადგა. მერე ფაშქუნჯმა მოიკითხა და უთხრა: ვეკობ, თქუენი შვილის ზაალის წასაყვანათ გარჯილხართ, მაგრამ თქუენი შვილი ზაალ თქუენ დიახ გემღურისთ: მე მამაჩემის პირს აღარ ენახამ, ამისთვის რომ მე პატარა შვილი დედასა მომამოორკა და მინდორში გადამაგდო დაუნაშავებლივ. საამ ფალაგანმა ამა ფაშქუნჯის სიტყვაზედან დიახ ბევრი იტირა და სიმურღს მოახსენა, რაც ზაალს უთქომს,

სულ მართალი მოუხსენებია. სიმურღმა უპასუხა: დღეის იქით აღთქმა უნდა დასდო, რომ თქვენს შვილს აღარა აწყინო რა. საამ ფალავანმა პირობა დაუდო.

ფაშქუნჯი აღფრინდა და თავისსა ბუღესა გაემართა. მივიდა, ზაალ აიყვანა და ფალავანთან მოიყვანა ზაალ. საამ ფალავანმა რა თავისი შვილი ზაალ დაინახა, ესეთი ტანადი და ახოვანი და ესეთი მშვენიერი რამ იყო, რომ თხუთმეტის დღის მთვარეს ჰგუნდა. რა ესე ასეთი რამ იხილა, დიდს მზიარულებას მიეცა და ღმერთს მადლობა შესწირა. ზაალმა რა საამ დაინახა, თავიანი-სცა და მოახსენა: შენ როგორი მამა ხარ, რომ საპის დღისა დედას მომამორე და მინდორში გადამგადე! საამმა უპასუხა: შენ რომ დაიბადე და თეთრის თმით გნახე, მე ის ეიფიქრე გულშია, რომ ჩვენს გვარში თავის დღეში ამისთანა თეთრი თმანი უმწვეილი არ დაბადებულა, და ამისთვის გაგვზავე მინდორშია, სიმურღის სამყოფისაკენა. მას უკან მეც ბევრი ვინანე და კიდევ გადამხდა, და ახლა უნდა მომიტეო ჩემი დანაშაული. ზაალმა უპასუხა: დღევანდლამდინ რაც მომხდარა, ამისი დანაშაული მომიტეებია. დღეის იქით თქვენ უნდა ერთი პირობის წიგნი მომცეთ, თქვენის სარდლებით და ფალავანების პირობითა, რომ: თუ მაწყენინო რამე, საითაც მინდა, იქით წავიდე. საამ ფალავანმა მაშინვე ერთი პირობის წიგნი დაუწერა, ფალავანთა და სარდალთა დაამტკიცებინა და ზაალს მისცა. და სიმურღმაც მრავალ რიგათ დაარიგა ფალავანი საამ, რომ შენ შვილს ზაალს არა აწყინო რა. და ზაალს, თავისი ფრთა გამოიძრო, და მისცა და უთხრა: თუ მამა შენმა გაწყინოს რამე, ეს ჩემი ფრთა ცეცხლში პატარა დასწვი და მე მაშინვე შენთან მოვალ, და ისევე ჩემსა სამყოფსა წამოგიყვანო. ზაალმა საამის წიგნის მოცემა იყაბულა. ფალავანმა საამმა ზაალს შუბლსა აკოცა, და ფაშქუნჯიც გამოესალმა იმათ და თავის სადგომს წავიდა.

საამ ფალავანმა ზაალ აიყვანა და თავის კარავსა მოიყვანა. ფალავანნი და სარდალნი შემოკრბენ და თავ-თავის განწესებულს ალაგსა დასხდნენ. რა ზაალმა თავისი ბიძაშვილი და ნათესავენი იხილა, დიდათ იამა, და დიდს სიმზიარულესა მიეცა და ღმერთს მადლობა შესწირა. სუფრა მოიდეს და მეჭლიში გამართეს. მრავალნი უცხონი მოსაკრავენი მოიყვანეს და ღვინის სმისა კელი მიპყვეს. საამ დღე და ღამე ღვინისა და შექცევასა იყენენ. მეოთხესა დღესა იქილამ აიყარნენ. საამ ფალავანი დიდის სიმზიარულის გულითა, და ბალხისაკენ გაემართნენ, ღვინითა და შექცევითა. ბალხის ერთ აღაჯზედ ჩამოხდნენ.

რა მანუჩარ კემჭიფემ საამის მოსვლა ჰსცნო, მაშინვე თავისთა ფალავანთა და სარდალთა უბძანა: მოემზადენით, რომ საამ ფალავანს უნდა მიეგებნეთ! მაშინვე მანუჩარ კემჭიფე კემჭიფურის რიგით ცხენსა ამხედრდა და ფალავანის წინ მისაგებლად გაემართა. რა მიახლოვდნენ, იმა ქალაქისა ხალხთა ესრეთ ეგონათ, რომ ზაალს ფრინვა ეცოდინება, სიმურღის ვაზრილია. ზოგნი რას ამბობდა და ზოგნი რასა ზაალისასა. საამ ფალავანი და ზაალ ცხენსა ამხედრდნენ და კემჭიფისაკენ გაემართნენ. ზაალ ფალავანსა მარჯვნივ მოსდევდა და ესრეთ შეენოდა, რომ ზაალის სხივი იქაურობას ანათებდა, და გულრანგ ცხენზედანი იჯდა. აქეთსა მხარეს მანუჩარ კემჭიფეს თავისი ტახტი სპილოზედ დაადგმევინებინა. კემჭიფე ტახტზედა ბძანდებოდა და ისე დიდის ყოფით მობძანდებოდა, თავზედანი საკემჭიფო ქოლგა ედგა.

რა საამ ფალავანმა კემჭიფეს სიახლოვესა მიაწია, ზაალ ცხენისაგან გარდახდა, მივიდა და კემჭიფეს უზანგსა აკოცა. კემჭიფემ დიხს სიყვარულით მოიკითხა და საამს უბძანა: შენი შვილი ზაალ ეს არისო? საამა მოახსენა: ეგ გახლავსთ,

თქუენი მონათავანი. საამ ფალავანმა მოახსენა: მე რომ თქუენ გამოგეთხოვე და ქაბულასაკენ წავედი, მაშინ ღმერთმა მიბოძა. რა ახალი დაბადებული ვნახე ეს ყმაწვილი, სრულათ თეთრი თჳა ჰქონდა, და დიდათ შეეწუხდი და ვთქვი: ამისთანა რამ ბაიყუში იქნება მეთქი. მაშინვე უბძანე და მინდორში გადავაგდეზინე. იალბუზის მთის კალთებში სიმურღი მკვიდრობდა, იმას აეყვანა, ღმრთის განგებით წაეყვანა და თავის ბუდეზედ მიეყვანა, და რამდენიმე წელიწადი იმას ჰყვანდა, და იმას გაეზარდა. კემწიფეო, ამის მიზუზის გულისათვის შეიღი წელაწადი დიდათ ავათ გავხდი, რომ ლამის სიკვიდის მიეწუწუე. ერო ღამეს ღმრთის განგებით ერთი თეთრწვერა კაცი მოვიდა და მითხრა: შენ ღმრთის მოცემული შვილი რათ დაიწუნე და გადააგდე, ის ღმერთმა გიწყინა და იმისი გულისათვის ღმერთმა მაგ შეპირებამაში იმისთვის ჩაგაგდო. ახლავ აღექ. შენი შვილი იალბუზის მთაში სიმურღს ჰყავს, გამოართვი და წამოიყვანე. რა ესე შევიტყუე. მაშინვე ავღექ, წავედი სიმურღთან და ეს არის, რომ თქვენს წინაშე შემოვიყვანე.

მანუჩარ კემწიფე ზაალის ნახვანზედ დიდს მხიარულებას მიეცა, აიყვანა ზაალ კემწიფემა და შებუზზედა აკოცა, და საამ ფალავანს უბძანა კემწიფემა: ზაალს შენ ასწავლე, რომ ჩვენ ასე ზდილობით მოგვექცეო და მოგვესალმა? ფალავანმა მოახსენა: მე არა მისწავლებია რა, და ვერც მაგისთანას საქმეს გაუბედავ. რომ ჰეშინიან არ შემომწყურეს, და ერთის მხრისაკენ არ წაივლეს. კემწიფემ საამ ფალავანს ცხენს შეჯდომა უბძანა. ფალავანი თავის ცხენსა ამხედრდა. მანუჩარ კემწიფემაც თავისსა ტახტსა დაბძანდა და ქალაქისაკენ გაემართნენ. ზაალ კემწიფეს ქუეთითა წინ წაუძღვა. რამდენიმე მანძილი ისე იარეს. მერე კემწიფემ ზაალს ცხენსა შეჯდომა უბძანა. მაშინვე ზაალმა თაყვანი-სცა. გაობრუნდა და თავის საჯდომს ამხედრდა, და კემწიფეს იახლა. ქალაქს შევიდნენ, ცხენთაგან გარდახდნენ, და კემწიფე თავისსა სასახლესა დაბძანდა. ფალავანი თავ-თავის ალაგსა განწყესებით დასხდნენ. ზაალს სკამი მოუტანეს, და კემწიფემ სახელმწიფო სამოსელი უბოძა ზაალს და თაჯი თავსა დაახურა და ტახტსა დასვა. საამ ფალავანი ზე ადგა და კემწიფეს მოახსენა: არას გზით ჩვენი ჩამომავლობა ტახტზედ ჯდომის აზრში არც ყოფილა და არც იქნება. კემწიფემ უბძანა: ფალავანო, მე ჩემის კემწიფობის ძალით ზაალ სახემწიფოს ტახტსა დაპისომს, მაგრამ ამ პირობითა, რომ ზაალმა კემწიფობა კი გულში არ გაიტაროს. რამდენსამე ხანსა კემწიფე იმათთან ღმრთისა შეექცა. კემწიფე მუღამ ცდილობდა, რომ ზაალის ერთი რამ ზნეობა ენახა, მაგრამ ზაალს ვერც ღმრთის სმაში. ვერც ქტევაში ვერც ლაპარაკში ვერაფერი უზნეობა ვერ უპოვნა ამისთვის, რომ სიმურღს დიდი დეაწლი დაედვა და ყოვლისფრით უტხოს ზნეობით გაეზარდა, რომ მეტი არ იქნებოდა. და რამდენსამე დღეს ღმრთისა და განსვენებასა იყვნენ.

მერემ საამ ფალავანი მანუჩარ კემწიფესა გამოეთხოვა, თავისის სარდლებით და ფალავანებთა აიყარნენ, ღმრთითა და შექტევითა ქაბულისტანის სიახლოვესა მივიდნენ. რა ქაბულის სარდალთა და ფალავანთა საამის და ზაალის მოსვლა მსტნეს. მაშინვე წინ გაეგებნენ ფალავანსა და ზაალს კელსა აკოცეს, გამოუძღვენ და დიდს დიდებით ქალაქს შეუძღვენ და შეიყვანეს. რა სასახლისა სიახლოვესა მივიდნენ, ფალავანმა ხოჯებს უბძანა: ზაალ არამხანაში შეიყვანეთ, თავის დედას აჩვენეთო. რა არამხანასა შეიყვანეს, ფერიღუბტმა ზაალ დაინახა, ღიღის მხიარულებასა მიეცა. და ღმრთის მადლობა შესწირა. საყვარლათ

ვარდებივინენ ერთმანეთსა, დიდ ხანობამდინ ერთმანეთს ეხვიენენ. ის დღე და ღამე ზაალ ფერიდუხტთან არამხანაში იყო. მეორესა დღესა ზაალ საამ ფალავანთან გამოვიდა, სასახლესა დაბძანდა ფალავანთან. ფალავანმა სუფრის მოღება უბძანა; მაშინვე სუფრა მოიღეს. მექლიში გამართეს, ღვინის სმასა კელი მიჰყუეს, უცხო და უცხო მომღერალნი მოიხმეს და უცხოს ხმით იმღეროდნენ და უცხოვ. შეექცეოდნენ ფალავნები, და საკვირველი ცეცხლის სათამაშოები გამოართეს, და ჩირაღოვანი გახადეს იმ დღეს ქალაქი და იმრიგათ შეექცნენ. მეორესა დღესა საამ ფალავანმა არამხანისა ბაღსა შინა ერთი აივანი გააკეთებინა. რომ შეყრილი სამი ათასი კაცი დაეტეოდა. იმა აივანსა შინა სულ მღუღამ ღვინსა და განცხრომასა შინა იყენენ. ამ ყოფით ერთმა წელიწადმა განვლო.

ერთსა დღესა საამ ფალავანი თავისის სარდლებით და ფალავნებით იმა აივანსა შინა იხსდნენ, ღვინსა და განცხრომასა იყენენ. ერთი კაცი შემოვიდა იმა მექლისში, თავპირზედ მტვერი გადასდიოდა, და მანუჩარ კემჭიფის წიგნი ამოიღო და საამ ფალავანსა მიართო. საამ ფალავანმა რა ვახსნა, ნახა. რომ კემჭიფეს თავისის კელით დაეწერა. ესრეთ მოეწერა: *ჭეი, ჩემო ძმაო, სახელოვანო საამ ფალავანო, ჩვენ ყარაული მოგვივიდა ქილიმ გუშების კემჭიფეს გუშობნი-გუშოცდაათი ათასის ქილიმ გუშების ლაშქრითა ასტარხნის მხრიდამ ჩვენსა საომართა წამოსულაო. ახლავ შენ თორმეტის ათასის კაცით ბაღისაყენ უნდა გაილაშქრო და ჩვენგნითაც რა ერთიც ლაშქარი გინდა, შეგვაცუობინე და აქედამ მოგამეუბნე და იმათ უნდა შეება.*

რა ეს წიგნი დაასრულა, ადგა და მაშინვე მოეზადა, და თავის შვილსა ზაალსა უბძანა: *შენ თორმეტი ათასის გარსამიბის მოსამსახურეებით აქედამ სუსად წახვალ, აქ. ამ მთებში ინადიღე და შეექვე! მე ჩემის ლაშქრით კემჭიფეს დაუბარებევარო და იქ მიინდა წავიდე, ჩემს მოსვლამდინ ღვინსა და განცხრომას იყავ! ზაალ მაშინვე თორმეტის ათასის ლაშქრით სანადიროსა წაბძანდა, ყალვად და ყულუშუც ზაალს თან იახლენ, ნადირობასა და შექცევასა იყენენ. საამ ფალავანი და თეიმურთაშ თავისის ლაშქრითა აიყარნენ და კემჭიფისაყენ გაემართნენ. დღე და ღამე ვლეს და ბაღის სიახლოვესა მივიდნენ. მანუჩარ კემჭიფე წინ გამოეგება. ფალავანი მოიკითხა და ქალაქისაყენ გაემართნენ. ქალაქსა შევიდნენ, სასახლესა დაბძანდა კემჭიფე. სარდალნი და ფალავანი თავის განწესებულს ალაგსა დასდნენ. მაშინვე კემჭიფემ სუფრის მოღება ბძანა. სუფრა მოიღეს, ღვინსა და განცხრომასა მიეცნენ. საამ ფალავანი რამდენსამე დღესა მანუჩარ კემჭიფესთან შეექცეოდა. მას უკან ფალავანი სამოციის ათასის კაცით მაზანდარანისაყენ გაემართნენ. მივიდნენ, მაზანდარისა და ასტარხნისა სამზღუაურსა გარდახდნენ. რა გუშობნის ყარაულთა ესე ნახეს, მაშინვე მივიდნენ და გუშობნი-გუშის მოახსენეს, რომ საამ ფალავანი მოვიდა და სამოცი ათასის კაცით და მაზანდარანის სამზღუაურზედ გარდახდნენ. რა ესე შეიტყო, მაშინვე გუშობნი-გუშმა ოთხმოცი ათასი ქილიმ გუშების ლაშქარი შემოიყარა და ფალავანის ლაშქრის სიახლოვესა გარდახდნენ.*

რა იმ დამემან განვლო და დილა გათენდა, ორივე მხრიდან საომარს ნადარას ჰკრეს. ლაშქარი ერთმანეთს დაუპირდაპირდნენ და თვალი მეიდანზედ ეჭირათ. რომ დღეს რომელი ფალავანი გამოვიდა და ვისი ცხენი ცარიელი გაბრუნდება. პირველად ქილიმ გუშ მეიდანზედ გამოვიდა და ფალავანი გამოითხოვა. რა ფრანგმა ესე დაინახა, მაშინვე თავისი შეიდასლიტრიაინი რკინის კეტი კელთა აიღო და მეიდანსა გამოვიდა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და ფრანგს დასაყ-

რავათ შეუმაღლა და მედგრათ მოუქნია. ფრანგმაც თავისი რკინის კეტი მედგრათ მოუქნია. და ეს მოქნეული რკინის კეტები ერთმანეთს მოხვდა. ქილიმ გუშის რკინის კეტი ორათ და სამათ გატყდა და ძირს ჩამოცვივდა. ქილიმ გუში ამაზედ დიდათ განრისხდა, და ფრანგს მარჯვენა კელი სტაცა, რკინის კეტი კელთა დაიჭირა, მედგრათ გამოსწივა, კეტი კელთაგან წაართო და შორს გასტყორცნა. ცალის კელით საყულოსა მოეკიდა და ცალის კელით სარტყელსა მედგრათ ასწივა, და თავის სისწორ აყუენა, თავსა შემოივლო და მიწასა დაცემასა უპირებდა. საამ ფალავანი იმ ხანათ თამაშას უყურებდა. შეხედა, ნახა, რომ ფრანგ კელთა ეპყრა ქილიმ გუშს და მიწაზედ დაცემას უპირობს. რა ესე ნახა ფალავანმა, მაშინვე თავისი საჭლომი მოითხოვა, ზედან ამხედრდა და ქილიმ გუშისაყენ გაეპართა განრისხებული და ერთი საშინელი შესძახა. რა ქილიმ გუშმა ფალავანი დანახა, ფრანგ კელთა ეპყრა და ფალავანს შესტყორცნა. ფალავანმა კელი შიაშველა და ფრანგ მალა დაიჭირა ემაწვილსავეთ და ძირსა დასო. ფალავანმა ქილიმ გუშს მიმართა. ქილიმ გუშმა ფრანგის რკინის კეტი ხელთა აიღო და ფალავანს დასაკრავათ შეუმაღლა. ფალავანმა ფარი შიაშველა და ის მოქნეული რკინის კეტი ფარსა აატანინა, განრისხებულმა თავისსა ბასრსა ხმალსა კელი მოივლო და მედგრათ მოუქნია, ქილიმ გუშსა ესრეთ მედგრათ დაჰკრა, რომ ქილიმ გუშ შეაზედ გააპო. იმისთა მხილველთა ქილიმ გუშის ლაშქართა რა ესე ნახეს, მაშინვე ერთობით შემოუტრევეს ფალავანსა. ფალავანიც გულუშშირად ფრანგ გაერივა და უწყალოთ ხოცა დაუწყო. აქეთის მხრიდამ თემურთამ და შეიანგ დიეზადი სამოცილი ათასის კაცით ფალავანს მიეშველნენ, ლაშქართა შიგან გაერივნენ და უწყალოთ ხოცა დაუწყეს ქილიმ გუშის ლაშქართა. რა ესე საქმე ქილიმ გუშის კემწიფემან გუშიბნი-გუშმა იხილა, მაშინვე თავისის ათას-სამასლიტრიანს ლახტსა კელი მიჰყო, საამ ფალავანს შემოუტრევა. ფალავანმა რა გუშიბნი-გუშ თავზედ მიმავალი იხილა, გარსაშიბისეულს ფარსა კელი მიჰყო და იმ მოქნეულს ლახტსა მიაგება. გუშიბნი გუშმა თავისი ლახტი რამდენჯერ-მე თავსა შემოივლო და ფალავანს ასეთი დაჰკრა, რომ იმისმა ძლიერებამ ფალავანს ძარღვებში დაუარა და დიდათაც შეაწუხა, მეტის სიძნით უვნებლად გადაუტრია. ფალავანმა თავისსა გარსაშიბისეულს შეიდასლიტრიანს გურზსა კელი მიჰყო და მედგრათ დასაკრავათ გუშიბნი გუშს მოუქნია. გუშიბნი გუშმა თავისი ფარი იფარა. ფალავანმა ესრეთ მედგრათ დაჰკრა, რომ გუშიბნი-გუშმა ფარი კელარ შეიმავრა, ლახტი ფარსა ეცა, კისერი უღამსა ჩაუძვრა და თავისი სული ჯოჯობეთს გაამგზავრა.

ქილიმ გუშებმა რა თავისის კემწიფის სიკვდილი იხილეს, ერთობით გაიქცნენ, თემურთამი ალამდარსა მიეწივა და ესრეთ მედგრათ შემოჰკრა ხმალი, რომ ალაჰიც და თითონაც ორათ გაჰკვეთა. ქილიმ გუშისა ლაშქარნი თითოს მხრისკენ გარდისხვეწნენ და იმათი ბარგი-ბარხანა და ხაზინა სულ ერთობით ფალავანის ლაშქართა დარჩათ. რა ლაშქარნი დაბინავდნენ, ფალავანმა გუშიბნი-გუშის ხაზინანი სრულებით ლაშქართა განუყო. და მანუჩარ კემწიფეს თავისი საყადრისი არზა მიართო: ჩვენი საქმე ასე მოხდა და როგორ გვიბძანებთ, ლაშქართ მანდ გაიხლოთ. თუ აქვე ვიყენეთ, როგორ ინებებთ, გვიბძანოს. ფალავანმა ეს არზა ეთეს კაცს უბოძა და კემწიფესთან გაისტუმრა. რა ესე წიგნი მანუჩარ კემწიფესა მიერთო და ეს ამბავი შეიტყო. დიდს მხიარულებასა ნიყუა და ღმერთს მადლობა შესწირა. და ფალავანს ერთი წიგნი მისწერა: ჭეი, ჩემო ძმავო, საამ ფალავანო, ღმერთმა მრავალჯერ ასე გაგვამარჯვებინოსთ შენცა და შენს.

ფალავენებსაც. რამდენიმე ხანი შენის ლაშქრით მანდ მოიკადღეთ, რომ ვინციკობა არის, რომ მეორეთ ქილიმ გუშების ლაშქარი არ მოვიდეს და მანდაურობა არ ააოხრონ. რა მანუჩარ ქემშიფის წიგნი ფალავენსა მიუეიდა, წიგსა აკოცა და თავსა დაიდვა, წაიკითხა, აღასრულა და იმა ალაგსა დადგნენ.

აქეთსა მხარესა ზალუზარ, თემურთამ, სეილი ჟანსუზ, ყალვად და ყულუმ მტირესა ლაშქრითა ნადირობდნენ. ამა ნადირობასა შინა ვარდისა ბაღსა მიახლოვდნენ. რა ეს ბაღი სრულებით გაშინჯეს, დიდათ მოეწონათ ამ ბაღის ნაშენობა და რამდენსამე ხანს იქ გარდახდნენ, და იმა ბაღსა შინა შეეკეტნენ. იმა ქაბულისა ქემშიფე მერაბ-შა ზუაქის ჩამოპაელობისა იყო. მერაბ-შა და იმა ქალაქისა ხალხნი კერპთმსახურნი იყვნენ. რა ზაალისა იქ მისვლა მერაბ-შასა მოხსენდა, დიდს მწუხარებასა და შიშსა მიეცა. მერაბ-შამ თავისსა დიდებულთა მოუხმო და უბძანა: ზალუზარ ვარდისა ბაღსა მოსულა, თავისის ფალავენებით იქ ნადირობს და შეეკეტევა. ახლავ უნდა წაეიდეთ და იმას ვიახლნეთ, სხვა არა გაგვეწყობა რა.

მერაბ-შამ სუცხოვო ფეშქაშები მოამზადა. შესხდნენ და ზაალუზარს იახლნენ. რა ზაალუზარმა მერაბ-შას მისვლა ჰსცნა, მაშინვე მივიდნენ, ერთმანეთს მიესალმნენ და ერთათ დახხდნენ. მოიტანეს ფეშქაშები და ზაალს მიართვეს. ზაალმა მადლობა უთხრა. ყალვადმა და ყულუმმა მოახსენეს: მერაბ-შა კერპთმსახური არის. მერე სუფრა მოიღეს. სამი დღე და ღამე ლხინსა და განცხრომასა იყვნენ. რა ზაალმა მერაბ-შას კერპთმსახურობა ჰსცნა, ამ სამ დღესა შინა ზაალმა ამდენ რიგათ ელაპარაკა და ურჩია, რომ მერაბ-შა თავისის ლაშქრით თავის საარწმუნოებაზედ მოიყვანა. რა ზაალმა ამათი საბაოთ ღმრთის თაყუანისცემა ჰსცნა, დიდსა მხიარულებასა მიეცა და საქემშიფო ფეშქაშები უძღვნა. მერაბ-შაც დიდათ გაეწყო ზაალსა. მუდამ დღე ქალაქიღამ იახლებოდა, იმა ბაღში ლხინსა და შეკეტევისა იყვნენ. ზაალსა პატრესა ჰსცემდა.

ერთსა დღესა მერაბ-შამ ზაალ თავისის დიდებულებით თავის ქალაქსა მიიწვია და უცხო მეჭლიში გადაიხანდა. რა ლეინითა შეზარხოშდნენ, ზაალის ერთი ყულუბჩი მოვიდა და ზაალს მოახსენა: მერაბ-შას ერთი ქალი ჰყოლია, სახელათ რუდაბას უწოდებენ, ესრეთი მშვენიებისა მქონე არის, რომ შვიდი იყალიმი რა დაიაროთ, იმის ამხანაგს ვერა ნახამთ. ზაალმა რა ესდენი ქება გაიგონა, ზაალ უნახავათ არშიყი გაუხბდა იმა ქალსა და თავისსა გულსა განიზრახვიდა: რის გზით უნდა ჩაევიგლო მე ის ქალი ხელში.

რა მეჭლიში გარდასწყდა, მერაბ-შა თავისსა არამხანასა შებძანდა. ზაალისა მრავალი ქებანი წარმოსთქვა. უცხო ტანადი, და უცხო ფალავენი და უცხო მეცნიერი არის, და ჩვენც უცხო საქმეზედ დაგვაყენა, კერპის თაყუანისცემისაგან გამოვიყვანა და საბაოთ ღმერთი გვაცნობა. საამ უსწორო ფალავენის შვილი არის, უცხო ახოვანი და მშვენიერი ფალავენი არის. ესდენი ქება წარმოსთქვა მერაბ-შამ, რომ უნახავათ რუდაბა ზაალის არშიყი შეიქნა. მერაბ-შა თავისსა საგარეოსა გამობძანდა.

რუდაბამ თავისი ძიძა იხმო, ზაალსა ერთი წიგნი მისწერა: შეი, ჩემო სოცოცხლე, დღეს მამაჩემი მერაბ-შა არამხანაში შემობძანდა და თქუენი ფალავენობისა და მშვენიერობისა ესდენი ქება წარმოსთქვა, რომ მე შენი უნახავი არშიყი შევიქენ, და შენი სიყვარული ჩემს გულში დაინერგა. ერთი კონა ვარდისა შეკრა, თავისსა ძიძასა მისცა, ოთხი მოახლე თან ვაატანა და ზაალთან გაისტუმრა.

იქვამად ზაალუზარ ვარდისა ბაღსა იმყოფებოდა. რუდაბასა ძიძა ოთხისა მოახლოთა მივიდა და ვარდს კრეფა დაუწყეს. ზაალ ფალავანმა თვალი შეასწრო. ნახა, რომ ამა ბაღსა შინა ოთხნი ბანოვანი დადიან და ვარდსა კრეფენ. ზაალმა თავისსა ერთსა მონათავანსა უბძანა: წადი და შეიტყუე, ის ბანოვანნი ვინ არიან! მივიდა ყულუხჩი და ჰკითხა: თქუენ ვინა ხართ და ან რომლისა მხრის ვარკველავნი ხართ? ბანოვანთა უპასუხეს: ჩვენ სანადიროთა ვართ მოსული. ყმაწვილმა მიუგო: ამა ბაღსა შინა ნადირი რათ იქნება და ან რას ინადირებთ. იმათ უპასუხეს: აქ საამ ფალავანის ძე ზაალ რომ არის, ის უნდა ვინადიროთ. ყმაწვილმა რა ესე იმათგან მოისმინა, მაშინვე გამობრუნდა და ზაალს იმათგან თქმული მოახსენა.

რა ზაალმა ეს სიტყვა მოისმინა, მაშინვე ზე ადგა და იმ ბანოვანებთან მოვიდა. ბანოვანთა რა ზაალ დაინახეს, მაშინვე სალაში მიართვეს. ზაალმა სალაში ჩამოართო და ჰკითხა: ვინ ხართ და ან საილამ მოხვალთ? ბანოვანთა მოახსენეს: თქუენ გიპაწილთ. ჩვენ მერაბ-შას არამხანილამ ვართ, რუდაბას გამოგზავნილი. აპოილეს ვარდის კონა და წიგნი ზაალს მიართვეს. ზაალმა თავაზით ჩამოართვა, წაიკითხა და თვალზედ დაიდვა. და ძიძა წარდგა და ზაალს მოახსენა: თუ ამელამ გარჯებით და მობძანდებით, ჩვენს გალავნის თავზედ მაშხალას ავანთებთ, და იმის სინათლეზედ მობძანდით. ზაალმა რა ესე მოისმინა, დიდათ იამა, ძიძასა და იმა მოახლეთა მრაველი საჩუქრები უბოძა, და რუდაბასაც დიახ უცხო ფარჩები გაუვზავნა, და წიგნიც მისწერა და გაისტუმრა. რა ძიძა მივიდა, ზაალის წიგნი მიართო და საჩუქარი, თავაზით ჩამოართო, წაიკითხა და თვალზედ დაიდვა და დიდსა მხიარულებასა მიეცა. შეხედა, ძიძასა და მოახლეთა დიახ უცხო ხალათები ეცათ, და რუდაბასთინაც დიახ უცხო ფეშქაშები გამოგზავნა. რა ესე ნახა, მეტისა სიხარულითა ტირილი დაიწყო, თუალთაგან წყაროსაებრ ცრემლი გარდმოსდიოდა და თავისის საყვარლის ზაალის ნახვა ესწრაფებოდა.

რა დაღამადა, აქეთსა მხარესა ზაალმა თავისი ფალავნები რა დააძინა, თვით ღამისა სამოსლითა შეიმოსა და რუდაბასაკენ გამოემართა. ესრეთ ბნელოდა, რომ დიდათ უჭირდა გზის პოვნა. რა რუდაბისა ბაღისა სიახლოვესა მივიდა, ბაღისა გალავანსა მაშხალა დაენთოთ. ზაალ მაშხალის სინათლეზედ ბაღის ძირსა მივიდა, და იმა ბაღისა კედლებზე რუდაბაც გაღმომდგარიყო. რა ზაალმა რუდაბა იხილა, ესრეთ ეგონა თხუთმეტის დღის მთუარე აღმოსულია. დიდათ უკვირდა იმისა სილაპაზე და განცვიფრებული იყო. რუდაბამ რა ზაალ გალავნის ძირსა მისული იხილა, თავისი თმის ერთი ნაწნავი გადუშვა გალაუანსა. რა ზაალმა ესე იხილა, კელი მოჰკიდა, აკოცა და თუალზედ დაიდვა, ზაალ მსწრაფლად მოეკიდა იმა ნაწნავსა და ავიდა გალავანსა.

რა ზაალმა და რუდაბამ ერთმანეთი იხილეს, დიდხანს ერთმანეთს ესალმებოდნენ, და კელი გარდახვიეს და ერთმანეთს აკოცეს. რუდაბამ კელი მოჰკიდა და თავისსა სასახლესა მიიყუანა. დასხდნენ, სუფრა მოილეს, ლხინსა და განცხრომისა მიეცნენ. მობრუნდა რუდაბა და ზაალს მოახსენა: ფალავანო, ეს პირობა უნდა მომცეთ, რომ ეს ხუაშიადი არ გაგვიცხადდეს და არ გამცემთ, რომ მეშინიან მანუჩარ კემწიფემა და საამ ნარიმანის ძემ შამჩემის სახემწიფო არ ააოხრონ. ზაალმა უპასუხა რუდაბასა: მიზეზი რა არის? რუდაბამ უპასუხა: ამიტომ რომ თქუენ ჰომიტიის გუარისაგან ხართ და ჩუენ ზუაქ მარანის ჩამოამელობისაგანა ვართ, დიდხინის მტერობაა ერთმანეთშია. ზაალმა უპასუხა: მაგაზე ნუ სწუხარ, მე ამ პირობას მოგცემ, რომ მე შენს მეტი ცოლი არ შევიერთო.

მაშინვე საწერ-კალამი მოიხმეს და ერთმანეთს პირობისა და ცოლ-ქმრობისა წიგნი მისცეს. ერთი პირობაც სთხოვა: ეგების საამ ფალავანმა ჩემი შენი ცოლობა არ ინებოს, და მამაჩემს აუტეხოს რამე და ეს ქუეყანა ააოხროს. შენ არ გაუშვა. ზაალმაც მაშინვე ერთი წიგნი კიდევ დაუწერა და მისცა: თუ ან მანუ-ჩარ კემწიფემა და ან საამ ფალავანმა ან მამიშენის სიკვდილი და თქვენი ქუეყნის აოხრება მოინდომოს, ჩემ სიცოცხლეს დაედებ და არ გაუშვებ. ესე წიგნი დაუბეჭდა, მისცა. ორნივე ხათრიჯამი შეიქმნენ და გათენებამდინ ერთმანეთს ეხვეოდნენ და კოცნიდნენ.

რა გათენება მოახლოვდა, ზაალ ზე ადგა, გამოესალმა, გალავნისა კარსა გამოვიდა და თავის ბაღისაკენ გაემართა. რა მივიდა, დილა გათენდა. ზაალ თავისსა ტახტსა დაბძანდა, ფალავანნი და დიდებულნი მოვიდნენ და თავისსა აღაგსა დასხდნენ და შეექცეოდნენ. მერაბ-შაც ზაალთან მივიდა. ზაალმა რა დაინახა, ადგა, მაშინვე უთავაზა და თავისთან დასო, და იმ დღეს უფრო პატივი მისცა და თავაზით ექცეოდა. იმ დღეს უცხო ღზინი გარდაიხადეს. რა საღამოს ესე მოახლოვდა, ადგა მერაბ-შა, ზაალს გამოეთხოვა, წამოვიდა და თავისსა არამხანასა შებძანდა და კიდევ ზაალის მრავალი ქება წარმოსთქუა რუდაბასთანა. რუდაბამ პასუხი არა მოახსენა რა.

აქეთსა მხარეს ზაალმა თავის ფალავნებთან შუალამემდინ შეექცა. რა მექლიში დიშალა და ფალავნები თავ-თავის სადგომსა წავიდნენ, ზაალ წამოადგა და რუდაბისაკენ გაემართა, რუდაბას სასახლესა ავიდა და გათენებამდინ რუდაბასთან შეექცა.

გაანგონებო

ამბავი ბაამან ჯელმწიფისა

აქა ლულისაგან ფეროზ ტუსის შვილისა შეპყრობა

...გარდამოუგლია. აწი გულიმცა ჩემი თქვენ დაგემონება, და აგრევე სკვათა მისცეს და არავინ დაუღონდა.

ერთი ფალავანი ტუსის შვილი ფეროზ იყო. მის მეტი ვერავინ მოექმარა. ფიცით მან აგრე თქვა: მე ბაამანს არაოდეს არ უღალატებო და არცა ნასყიდსა მონასა ვეყმობი, და თვალი ეგრე მე მომიგვით! ოქროს ტაბაქსა ფერკი დაკრა და ორთავე პირთა შეაყარა. გარეთ კართა რომე გაემართა, ვითა ლომი ველთა, დაიჭირეს ფეროზ და სიმრავლითა მოერივნეს, ბორკალითა დაჭედეს და იგი სანდალშიგან ჩააგდეს. ნადიმცა მოიშალა და პურობითაც აიყარნეს.

ჯელმწიფისა ესე გააპირეს: რა რომე მოვიდეს, უღალატო. და ესე თქვეს, რომე შარიერი მოვაო. დარბაზისა კაზმა დაიწვევეს. წინა ლულე გაეგება და აზპის ჭარი სრულად მას მიყეებოდა. შარიარს უსალამეს და ჯელმწიფემან მდაბლა მადლი გარდაიკადა, შევიდა და ქეთონ ნაქა, მისთვის ცნობასა მიქდილი. ლტინი გააქშირეს და ძილირამდინ ჩანგსა და ნობათსა კვრიდეს, და ქეთონ ესე უთქრა: მასპინძლობასა ხვალთგან ლულე იქს. და ჯელმწიფემან მადლი უბძანა, და ესე არა იცოდა, თუ ღალატობასა ბედვენ.

რა გათენდა და საწუთრო განათლდა, ბაამან ჯელმწიფესა ლულე საკლი მოუკაზმა, არა სალტინო,—საღალატო, და ძვირფასისა შემკობილი ოქროს ტაქტი შიგან დაუღდვს. და დარბაზს შესავალი საკლისა სამი კარი იყო და ჯელმწიფისა საღალატო სამ ათასი კაცი იყო, სამთავე კართა ლომგულნი და მკლავმაგარნი.

აქა ფარსი სითმე მოვიდა და წელმორტყმით ქვაზედა უეუქდა, და გასინჯა და ასრე თქვა: ესე რა საქმე არისო.

ქალმან მას ვაქსა კენჭი კრა და საუბარი რამე უთხრა, და მართ თვალი სითმე მოკიდა ფარსი და ეგრე უთხრა: ვაჟო, გარე გამოდიო. და რა ესე საქმე ნაჭა ფარსი, ვაჟი წინა მოიყენა და [ეგრე უთხრა]: ისი ქალი შენ რას გეტყოდა, მართლად მითხარ! ვაჟი სირცხვილითა შედრკა და ფარსის ველარა მოაქსენა. და ფიცით უთხრა: თავსა მოგვეთ, რომ ქალმან ველარა გიშეელოს. ვაქმან ეგრე უთხრა: აწი ანბავი გვადრო, რადგან მიბმანე. ქალსა აღრიდგანე მე უყვარეარ და მე, გლაქ, იმისთვის ვკვდები, და ქეთონის ერთგული არის და, რაცა გულსა სდებია, იცის, და ესე თქვა, თუ: ბაამანს უღალატებენო, რატომ არ გაფრთხილდების? ფარსი უთხრა, თუ: ვერ შექვალ, სადა ზის შარიარი? მან ეგრე მოაქსენა: პურის! მწლე ვარ და ჩემი მცირე არავინ არის. ჯელმწიფისა შაქრის პური მე.

მზარია. და ფარსიმ უთხრა: იმ ქალის საწერელი მომიტანე! ერთი შაქრისა პური მიართვა და ფარსი ზედა დაწერა: უცილოდ ესე დასტური არის, როვე კელმწიფეო ბაამან. გილაატებენ! საქმე ჩანს ეშმაკეული. აღეგ და გარე შარდსა გამოეტყუე! შე ცხენსა დაგაკვედრებ და წავიდეთ. რომე წაქდე, რა მამაკური საქმე იქნების!

ესე პური მიართო ვაქმან, სადაც კელმწიფე იქდა. რა ბაამან ესე წიგნი წაკითხა. შეიტყო, დია შეეზარნეს. ორი ცხენი და ფარკმალი იქ მოიყვანა, სადაცა ფარსის იამებოდა.

პალვით, მასვე წამსა ფარსი რჩეული აბჯარი ტანს ჩაიცვა, კელფიცხლად საომარი დაშნა და ქანჭალი შემოირტყა, ზროჯისა საქე მძიმე ლაქტი წელთა ჩაირჭო, სადა შარიარი იქდა, კეაღსა ლომსა ვითა ჟუმშირად თავსა წაადგა.

აქა ფარსის შესვლა ილათითა, გამოსვლა ბაამანისა და
გამოპარება, ბაამანისა უკან მოწევნა და დიდნი ომნი
ბაამან კელმწიფისა და ერანელთა

რა ფარსი შინა შესული ნაქეს, ერანელთა გარდაიწვიეს და კელმწიფემან დაულოა. კელთა დოსტაქანი ქონდა. ფარსი შესვა და ნებსა ზედა დაიკრა და ასრე თქვა, თუ: ასემცა თავი თქვენსა მტერსა. და მათ თავადთა, ავისა მქნელთა, პირისა ფერი შეკრათა.

კელმწიფისა რა ესე ესმა, აღარც ქდომა სწადდა. წინა მდგომელთა სასმელად დაიწვიეს და იმათ მაქე მოუდგა. მისთვის ფარსი ასრე უთხრა: გვარად ასრე სპირს, რომე ორჯელ გავლენ და რა მესამედ შემოვლენ, ვინ უზრაკავს ამათ ლხინსა! რა რომ მესამედ შემოვლენ, ამათ გვართა ლხინით ვინ სჯობს!

კელმწიფე გაემართა და მწდენი აღარა იჭირვიდეს. სამ ათასი კაცი რომე სალაატლო უდგა სამთა კართა, როინ შუა კაცთა სცვიდა და თავი იგი იყო იმა ქართა. ფარსი [უთხრა] როინს: კელმწიფე მოვალს და კარი გაულეო, და მან აგრე უთხრა: ლულეს მტერნი ღმერთმან კელმწიფე ნუ ყოს!

ფარსის რა ესე ესმა, მძიმე ლაქტი თავს დაკრა და ტეინი დაუმსკერია, და სხვისა ორინა კარისა კლიტე დალენწა და ორნივე უზიანოთ კარს გამოვიდნეს და, ფარსის სადაცა ეთქვა, კაცი და ცქენი იქ დაქვდა ფარკლმითა, და მას წამსა შესვლეს და მალეითა სიარულითა გაემართნეს.

დაულამდათ და დიდისა ღვართა წვიმა მოუვიდათ, და ღამემან ერთმანერთი გაყარა და თვალთა ველარას კედვიდეს. ფარსი სკვასა გზასა წავიდა და კელმწიფესა ველარა ხედვიდა, და კელმწიფე თვით მარტო მივა. სულთქმა აქეს, კენესა და ნაღველი. მცირესა რასმე ველსა მიჭვდა, და მუნ დიდნი ჭანდარნი იღგეს და იმა კეთა ძირსა მოსასვენებად გარდაცდა და დიდისა მზესა ამოელოდა.

ძალსა შიგან სიზმარი რამე ეზმანა, ვითა: მთა დაიწია! და ბაამან ქვე მოიწყვიდა, რომე ველარა აულდგებოდა. ერთი თეთრი მფრინველი გამოჩნდა, რომე ანასდელულად მოფრინდა. და მან ჭანგითა უქუავდო და მით ბაამან მოარჩინა.

რა გაილვიდა, მოვიდა, ზედა ლულეს ლაშქარი დაესხა. და მათი თავადი ბეჟანის შვილი არდაშერ იყო. და ესე საუბარი ლულეს და ქეთეჟანს მათთვის ეთქვა: ბაამან ან აქა მომგვარეთ, და ან მკვდარი იქ დააგდეთ.

1 დაიწვა.

ბაბან რა ნაკა ლაშქარი, აბჯრითა და კლბითა ცხენსა შეჯდა და არღაშერა უთხრა: რად მაგკლავ, ჩემგან ზიანი რა ნაკე, გოდერძიანი მუდამ ქელმწიფეთ ერთგულნი ყოფილან და ერთსა ომსა შიგან სამოცი ქიშვადიანი მომკვლარან. პაპა თქვენმან გივმან რა ქნა, და ჯარგსა ყმასა ესრე მართებს, მოკლად თავუ არ ღაფასა, ქაიკოსროს საძებნელად ყოველსა გზასა ასე ძებნა, რომე სისხლის ძებნა არა შურდეს, მოიყვანა, და ტაქტი და გვირგვინი მისცა, და ერანს ქელმწიფეთ დასვა. და რა ქაიკოსრო გაბრწყინებულნი სამოთხეს წაიღო, და უქანოდ მოძლებული ესე სოფელი გააგდო, გვირგვინი და ამაღლებული ტაქტი პაპა ჩემსა მისცა, ბუეან და მისნი კლებულნი ყველანი მას მსაქურებდეს. განა იცით, თქვენც გასმიათ, ჩემი სიტყვა მართალია, და სულბრწყინელად მამა თქვენი ბუეანც თანა იაკლა თვისითა ნებითა, არავინ წაიტანა, და ერანელნი ბუერნი აკლდეს. მთაში თოვლი მოსლოდა, დაეკოცა. და მათ ყმობა კარგისა თანა ქნეს. ქაიკოსროს საუკუნოს რას პასუხს გასცემთ! ესე თქვა: და შენსა გვართა ქიშვადითა რას ეტყვი, რომე ლულე ქიშვარს ნასყიდი არის და მისისა ყმობისათვის ბაბან რად მოკლაო, ამისთვის, რომე ოციოდე მარგალიტი ქრთამად აიღეო, და აწე იმისი მოცემა ყოლე არა საკვირველი არის, და ამა მინდორში ნუ მაგკლავ და სულღამული გამიშვი! ღმერთსა ვფიცავ, რომე მრავალი მოგეცე ციხე, ქალაქი და საქონელი, შენთა დღეთა შიგან არ დაგელიოს და გაეცემა არ მოგეწყინოს.

აწე მას არღაშერა შეუხაჯნა: შე, ბედ-მლაშეო ბაბან, შენის ცოლის საუბრითა ტაქტი და გვირგვინი დაკარგე, შენისა ნებითა სპანი ლულეს მიეცე, აწე მე რაღას მაბრალე, ლაყაფი აღარას გარგებს და ტაქტისა სანაცლოდ მიწანა გაგრევე! ბაბანს რა ესე უთხრა, ფიცხლავ ცხენი შეუტივა, მიუქდა და ქელმწიფესა არყისა ისარი კრა ფარსა, და იქით და აქით მოაკრფეს და ყოველგნთ ომი შეიქმნა, და ვითამცა შემოკლესა მონასა, ისრე მათსა ქელმწიფესა სცემდეს. მათსა შარიარსა რასა უზმენ! რა მუხთალი არის სოფელი! ბაბან შვილდი ვატევა, ლაქტის ტარი და შუბი, ცხენიცა მოუკლეს და ქანდრისა ძირი ფარად მონაკა, ზურგი მიაყრა და, ვითა პალო მთვრალი, კმალა იქნევს და იბრძვის.

აქა ფარსის მოსწრება და ბაბანის შეველა და მორჩენა, და სიზმრის აქსნა

ღმერთი კაცსა არ გასწირავს და კეთილსა გზასა უზამს. გაიქედეს მინდორსა შინა და ფარსი მათკენ მოვიდოდა შექურელი, მფასა გვანდა და შავსა ცხენსა მოაკურედა. რა ბაბანის ცხენი მკვლარი ნაკა, ასეთა შეშვექნა, რომე ცასა გვანდა და, ვითა ღრუბელმან წვიმა, ეგეთი ისარი დააყარა ლაშქარსა. ყველამან ფარსის შეუტიეს და ბაბანს ერთი აღარავინ სცილა. ყველა ფარსის ზედა შეიყარა და გარე შემოეხვიუნეს, და ერთსა კაცსა ზედა მისი მსგზავსი ომი არავის აქსოეს. საწუთროსა დაჰბადებელმან ღმერთმან ქნა და ლულეს ლაშქარი დაღალული გააქცია. ფარსი აღარა სდივა, ამაღ რომე ქელმწიფისათვის გული სტეიოდა, მოვიდა და შარიარი ნაკა, კისა ძირსა ქვეშე იჯდა, სისხლის ცრემლითა ატირდა და მისთვის გული დაეწვა, ფარსი ტირის და მოსთქვამს და იტყვის: აპა. ვაიმე ქელმწიფეო, მიკვირს თქვენზედა ეგზომი დიდი სიმუქთლე თუ ეინ იკადრა, ამა უქანოსა სოფლისაგან მგონია აუ დლე მასცა მიქედეს, ჩამოქდა და მუკლთა ზედა მისი თავი შემოიღვა.

რა ბაამან ქუთასა მოვიდა, თავი ფარსის კალთაშიც ეღვია. ღმერთსა ღუდებ-
პ-სა და შემოქმედსა მადლი კადრა. ფიცხლავ ადგა ფარსი და მუზარადითა.
წყალი მოუტანა, კელმწიფესა გულზედ დაასქა, და კიდევცა დალია, ბაამან პირი
ღაობანა და დაკოდლიცა შეიკვია და, რაცა სჯობდა, ნაომარზედა ცხენი და
აბჯარი დაარჩიეს. წამოვიდეს ბალაქმისა მინდორთა შიგან და მისრეთს მივიდა.

აქა ბაამანისაგან მისრეთს მისვლა

რა მისრეთს მივიდა, მორკმული და დიდებული მეფე იჯდა და მას ერთი
ქალი ყვა. ომაიდ ერქვა. და იგი ქალი მზისა¹ დადარებული იყო, ტანად აზატსა
საროსა გვენდა და სითფრითა ბრწყინვალესა ბროლსა, მკერდი ბროლისა ფი-
ქალსა უგვანდა, კბილნი დაცმულსა მარგალიტსა უგვანდა და ყელი ბროლისა
კომესა, თვალნი მელნისა ტბასა დადარებული ქონდა. და მისი მკვრეტელი გაკ-
ვირდებოდა. წარბი აჭისა მშვილდსა, გოზა რომე მალა დაედრიკოს, და თმანი
გიშრისა საგდებელსა მრავალეცესა. და იგი ქალი ვინცა ნაცის, ეგრე თქვის,
რომე სამოთხისა ყვაილი არისო, სადავეთა მქონებულთა, კარგად ზრდილი ქალი
არის. და მან ქალმან კარგად გამოცდილი მობურთალი კაცი გაიჭუფთის, იბურთის
და ყველასა გამოცდილსა კაცსა ქალმან აჯობის და სძლივის, და კვლავე ორასსა
უბრძანის, თუ მე რაცა ვქნა, და იგი თქვენა ქნათ, აბჯარნი ჩაიციენით და ქელთა
შუბები აიღეთო, გულ-მართლად შემებენით და ჩემსა მზესა ზედა დამესკენით!
და ა. შეება ქალი და აჯობა. რალა ვთქვა, ენითა მისი ქება.

ბაამანს რა ესე ესმა, ქალისა ქებასა გაკვირდა. ფარსის ეგრე უთხრა: თუ
ჩემი დღეცა გარდავდებოდეს, მე შეეებშიო. ფარსიმ მოაქსენა: ჩვენ ლარიბნი
ვართ და ეგე ჩვენგან არ მოვდების. თუ მოკლა, არა საკელი არის და თუ მოგ-
კლავს, საქმე წაგაქდების. რა მოკვლავს, ერანელთა სფაადართა ანბავი მიესმის,
ან პილოტანი როსტომ რას იტყვის, ქალისაგან ვით მოკვდაო. საუკუნოს შენთა
გვართა თანა რა მოკვალ, რას ეტყვი, და ანუ მომე ვით თქვენსა სპანდიერს რას პა-
სუქს გასცემ, ანუ სკვათა შარიართა მოკვავ, ცოცხალნი ველარ წავალთ. კვლავე
ესე ზიანი მოგვივა.

ბაამან ასე ბძანა: არა მგამა, ყოფა აღვიანი მაქვსო. ჰკვიანი და გამორ-
ჩეული კაცი გაგზავნა მისრელს წინა: მე ლარიბი და გზიანი შენსა ქალსა შეეებ-
შიო. მისრელმან ბაამანს საუბრისა მადლი უბრძანა და ქალსა ესე შეუთვალა:
ლარიბი ბაამან შენი მუქარა არის. და ომაიდ ქვალისა საომარსა კაზმა დაიწყო-

რა საწუთროსა განმანათლებელმან შხემან თავი ამოყო, მას წამსა ბურთაო-
ბა დაიწყეს და მუნ დამკვდარისა ჰკრეტა კამდა. რა ბურთაობა რომ გააქშირეს,
ბაამანს მოეწყინა, ფიცხლად ცხენი ააჩქარა და წინა წაურბინა ქალსა, ბურთსა
როგანი მოუქვედრა და, ვინცა უქვრეტდა, ერთობ გაუკვირდათ, და სადღეოფ-
ლოსა დარბაზსა იქით, დედოფალთა წინა დასცა. და ესე ნაქმარი ქალსა ერთობ
უმძიმდა, და რასათვისცა იამებოდა. და რა ცოტა მოისვენეს, აბჯრითა შეეკაზმ-
ნეს, შუბები დააღეწეს და კლმები, და ერთმანერთსა ლაქტითა სცემდეს. მერმე
ლაქტები დაუარეს და ცხენზედ შეიჭიდნეს, სავსე ჰირთა და ნადვლითა ლულე-
საგან ბაამან აწყდა, გაფიცდა, მედგრად აზიდა ქალსა და უნაგირისაგან მოქადა.

გმარისაგან კმარაყო ესე ნაქმარი, რომე მუწასა დასცა და დაბნიდა პირთაგან
შინათობი ქალი. ჩამოქდა და ზე აიყვანა.

მერჲე ესე საქმე მისრელს მეტად ეწყინა და დაუძმძიდა. ბაამან კელწიფე
და ფარსი აღგეს და წავეღეს, და იქი დგომა აღარა კლებოდა. მერჲე ქალი
მამასა მიუღდა და გაშვებასა შეეკეწეწა. და მამამან ქალსა გაშვებისა ნება დართო
და ფარმანი. და მეტად იამა და ესე თქვა, თუ: თავსა მოვსჯირო და ანუ მქარსა
შეუქრაო. და ამა ორში ერთსა გაუპირდა და მერჲე, რომელოცა უფრო ეკეთებო-
და, ლაშქარი დაარჩია.

ფარსი და ბაამან შორით დანიაკეს, რომ მიხლორით მტკერა გამოჩნდა და
რა ესე ცნეს, რომე ლაშქარი მიეწია. ერაობ დაუძმძიდათ და კიდეც შეერთეს.
და მერჲე ფარსი ჰოაკსენა და დააბრალა, მაშინც კვადრე, თუ: ქალის ომსა ნუ
ეცდებიო, აუგითა ყოფასა ორსავ სოფელსა ვერა ასკილდო. და ბაამან ეგრე
უთხრა: დაებრუნდები და ვსცნობ, თუ ვინ არიან, და თუ იგივე ქალი არის, მენ
იბისთვის ნუ დაშვებდები, და თუ იგი არ იქნებოს, უცილოდ არის, მოღალა-
ტეთა გვანან და განგებასა. რაცა სწაღიან, ჩემსა თავსა იგი შოვა. ფარსი თქვა,
თუ: მე დაებრუნდე, სჯობს, და მათი ანბავი მოგართვა.

არ დაიშალა და თვითვან ბაამან დაბრუნდა და ავსა ანბავსა არა შექდა.
კიდეც ფარსი კადრა: სჯობს. მე დაებრუნდე და შეეგნა, თუ ვინ არიან. და ბაამან
თვით უკუბრუნდა და ფარსის აღარა მოუსმინა. ფარსი შორით უკანა მისდევს,
და ბაამან წინა მივა და ეგრე შეუზაქნა: ამა უკაცურთა მინდორსა შიგან რისა
მქონენი კართ! ფარსი შორს უკანა მისდევს და ბაამანს ზედა თვალი აქვს. და ბა-
ამან ლაშქართა უყივლა: თქვით მართალი, თუ სადა მისდითო. მათ ესე კადრეს:
მისრეთისა ქალია თქვენი მდეველი. და მან ქალმან უთხრა, თუ: გუშინ მაშე-
რალი და ნაბურთალი დალატად რად მომქალო. დღეს შევიბნეთ ლაქტითა და
შუბითა და ომი ვქნათ გაფიცებულნი. და ბაამან ესრე უთხრა: ურიცხვი და ქე-
ბული სპათა ჯარი გაკლავსო, ლაშქარი უკუდგნენ და თავდათავ გარდაცსწყვი-
ტოთ, და ესე ჩემი მოხსენებული ქენი! და მან სების პირმან რა ესე გაიგონა,
ულაშქროდ ფიცხლად ზედა მოუქდა და აქათ ბაამანცა ფიცხლადვე წინა მიეგე-
ბა. ქალმან შუბი დააციდინა. კრა ბაამან შუბი და ჩამოაგდო; ვითა ელვა, ხანჯალ
მოწყდით ჩამოიჭრა და ქალსა ყელზედან დააბრჭინა. ქალი მეტად შეშინდა და
შეგეკეწეწა, თუ: ნუ მამკლო. ბაამანს ეგრე ეუბნების: ნუ, აგრე უწყალოდ მამკ-
ლავ, თავდებად დმერთსა მოგცემ, რომ, რაცა ვითხრა, არ გაგიმტყუვნდების, რო-
ნი ქვეყნად ანგელოზიცა გამოჩნდეს, შენს მეტს ქმარსა არ შეეერთავ. ააყენა და
დმერთსა მადლი მისცა და აღარა მოკლა. აბჯარი გაუქსნა ქალსა და ქებული
მკერდი უნაჯა შუბისგან დალიბრებული, ცოტას ალაგსა ლურჯად აჩნდა. და სა-
ომრად გაფიცებულნი ქალის ლაშქარი მოვიდეს საშველად. და მერჲე საკლ-
ვად გამეკებულნი ფარსიცა მედგრად მოუქდა. და ქალი ლაშქართა ეუბნებოდა,
რაცა მათ პირობა დაედვა, და ფარსიცა ის უთხრა ბაამან, რაც ეწყინებოდა,
და ფარსი ესე თქვა: ღვითთა ჩემს საქმესა ბოლო მოედების. და
ყველაყენი ერთად წამოვიდეს. და მათი გაყრა აღარა კლებოდა. და მერჲე ქალ-
მან ეს უთხრა: ამას გეტყვი, რადგან ჩემად ქრმად ჩანჯარ, მე მკერდ-მკლავი.

თვალადობა და სიტურთე დია მამწონს და მეკეთების, და შენ კელწიფესა გაე-
ხარ და ესე ბრძანე, თუ ვინ კარ გვარად? და ბაამან სკვა არა უთხრა რა, ოდენ
წყნარად ღიმილი გასცა. მერჲე ფარსიმ ყველა მოაკსენა, მათ რაცა იამების,

და ერანისა შარიარობა. ქალსა მეტად გაეპარნეს, მათი პირი სიკარულითა ვარდისა ფერად აუყვავდა, და იმავ წამს წინ კაცი გაგზავნა და, რაცა კვდებოდა, შეუთვალა. ესე, რომ ღარიბი მოსულა, ერანის შარიარი არის, მე თავი ჭუფთად მივეც და სხვა ქმარი არა მინდა. და შენ დიდი კელმწიფე კარ და, რაცა გეფერებოდეს. იგი ქენი! და მისრელმან კელმწიფემან, რა ესე ნაქმარი ისმინა, ერთობ გაჰკიარულდა და, ვითა ეფერებოდა, საქორწილოდ დაემზადა და, რაცა კვდებოდა. ბარგი და კარვები, კუდი და გვირგვინი გაუგზავნა და, რომელიცა უფრო ეკეთებოდა, მუტრიბნი და მომღერალნი, და ესე შესთვალა: ერთს კვირასა მანდა წაართეთ და, რაცა გიამებოდესთ, იგი ქენით! ვითა მისრელი გაარიგა, ენითა ქება არა ითქმოდა, და კაცი გაგზავნა საწვეველი და ესე შეუთვალა: კელმწიფეო, შინა ბრძანეთ და ტაგრუცთა სანაცლოდ ღმერთმან ამ სოფლის ლხინი თქვენ მოგცა, ბედნიერნო და პირად მზენო, მოღით და ტაქტზედ დასკედით!

რა მოციქული მოვიდა და, რაცა იამებოდა, იგი კადრა და, თუ სთქო, სიკარულითა მათი პირი აუყვავებულყო. და არიარ, მისრელისა შვილი, მათ წინა ჰეგება და ორნივე ტკბილად დალოცა და ავსა რადმცა ემართლებოდა. მერმე მეფე და მისრელნი ლაშქარნი მიეგებნეს, და იზისნი იგი სასურველნი დიდად ტკბილად მოიკითხა და საკელმწიფოსა დარბაზსა შიგან კაცთაგან სანატრელნი ტაქტნი იღგნეს და იგი ორნივე კელმწიფენი მისრელმან ზედა დასკნა, ვითა მართებდა, ნადიმი და სიკარული გაადიდეს და კოშკვარსა ღუჯოსა სმიდეს იაგუნდისა კოყებითა. მომღერალნი და მუტრიბნი ჩანგსა კვირიდიან და ტკბილითა კმითა იმღერდიან. ორსა კვირასა შიგან ასრე ზმიდეს და ლხინსა გარდიკიდიდეს, და მესაქესა კვირასა შიგან გააღებინა ძველისა სალაროსა კარი და ერათობრლთა სპათა განძი უბოძა, ვითა ეფერებოდა. ფარსი სრულად ტანსა შემოსა და პირთაჲდინ აავსო. და მერმე ბაამან კელმწიფისა საშველად ერანელთა მიმართა, და მიკლდომა გააპირა და სპათა სიმრავლე ვითამცა არა დაითვლებოდა.

აქა შეყრა მისრელთა და ერანისაკენ წასვლა,
და დიდნი ომნი ერანელთა და მისრელთა საჭეოდებულთა,
ლულეს ჳელთშეპყრობა და ბაამანის ჳელმწიფობა

რა დილასა საწუთროსა განმანათლებელმან მზემან შუქნი მოფინა და ქვეყანა გაანათლა, და მისრელთა ლაშქარი რომე შეიყარა, ანგარიში არ იქნებოდა, და სრულად დაერთო. ამაზედან მრავალნი დღენი გამოვიდეს. ომაიდ ბაამანს ეგრე უთხრა: ხელმწიფეო, ვინათგან საწუთრო გაურჩეულად არავეს მიტკვლების, თქვენ მარტონი ღარიბულად ამღონსა ქანსა გაისარჩენით ერთობ ცუდისა მონისა კელითა, ღმერთმან გიქსნა მათისა დალატისაგან. აწ შენისა სიყეთისა მსგზავნად შენი დატვანჭული საქმე შენვე გამოაგე, მას ლულესთანა წიგნი დასწერე და კაცი გაგზავნე, შეიგენ, თუ იგი რას იტყვის, ანუ ლაშქარნი რას მოგახსენებენ. თუ მასვე უსამართლოებასა ზედა იყენენ, მძლე ლაშქარნი წაასქენ და ზედა მიუტკვლით და, ვეჰობ, მოსამართლოსა წმინდისაგან! გამარჯვება შენ მოჰქვდეს. ბაამან და ფარსიმ დია დაუმაღლეს და ესე მოაქსენეს: რომელმან შენს თავსა მაღირსა, მისგანვე იმედი მაქვს, რომე ქეთევანს და ლულეს ჩემი სისკლი არ

¹ წისკან.

შერჩეს, საწუთროსა დამბადებელმან გამიგონოს, ჩემი გული დღისით და ღამითა მათისა ჯავრითა ენთების.

აქა ბაამან ჯელმწიფემან ლულეს და ქეთევანს წიგნი მიუწერა

მერე მოაყვანიან გონიერი მწიგნობარი და წიგნისა მიწერა უბრძანა ლულესთანა: ქაჩისა ნაშობო, ავგეარო და სიბიწნითა საესეო, ლეთისაგან შეჩვენებულო, შენზედა მე ავი რა ვქენი, საურ კელმწიფისაგან ქიშვარს ნასყიდი მონა იყავ, და მაგა გველისა ნაშობისა სიტყვითა ტაქტზედან დაგსვი, და, ესე, ვითა ვთქვა, რომე ენათა არა დაითულება ქეთეონისა სიბიწნე, სიავითა აგზებულსა გაენისა ცეცხლთა¹ გავს. მაგისითა სიყვარულითა შენზედა ეგე ნაქმარს საქმე ვქენი, გვერდს ლაშქარნი მოგიყენენ, ტახტზედა ჩემითა ნებითა დაგსვი, ჩემებრ კელმწიფედ იქე და ჩემად შედეგად გამყოფე და ეგე ზოპითა კარგის სანაცვლოდ.

აქა ლულე და ქეთეონისაგან ჰასუქის მიწერა ბაამანთანა

შენ უღირსო ხელმწიფეო, თუმცა ხოსროვანთა ნათესავი და ლეთისაგან საფარველიანი იყავ, თავისაგან ლეთისა საფარველიანსა გვირგვინსა არ მოიკდიდი და მე არ დამტყურედი, და საკელმწიფოს ტაქტზედა არ დამსმდი. მაგრამ თურმე ეზომ უღირსი იყავ კელმწიფობისა, ვითა გაჩნია. კაცი ასრე უნდა მონებისაგან კელმწიფედ გაქდეს და საკელმწიფო გვირგვინი...

აქა მისრელთა და ერანელთა ფალავანთა ომი

თქვენი ასეთი მემუქარე ვინ გავგზავნოთ, რომე იმათის ფალავანისა კმაღსა ცეცხლი მოუღვას. კელმწიფემან იპირიანა და ფალავანმან არიან ფარმანი იხიოვა. კელმწიფემან დალოცა, მადლი უბრძანა და არიარ შეეკაზმა ამაქრითა და ჯავშნათა, დემან ვითა დიდსა ცხენსა შექდა, ფარი კელთა დაიჭირა და, დემან ვითა: ვინ გამოკვალთ ჩემი მეომარი. რომე ჩემი ნაკრავი გამოსცადოთ. კელმწიფენი შეეპტვივნეთ ჩვენსა თამაშობასა, დაუწყო თხოვნა მუქარასა.

გამოვიდიან, რომელსაცა ლულესაგან საბოძვარი აელო, ჯან ორი და ზან თითო შეიბზიან და ყოველთა მისრელისა შვილი მიერვივის. მას დღესა, ვირემ მზე საწუთროსა დაემალვოდა, ათასი მემუქარისა თავი ერანელთაგან მამისა წინა მოიღო და ამას იქადოდა: საწუთროსა დამბადებელი მოწმად მყოფის, რომე ჯერეთ ომითა არ გამძლარ ვარ, თუმცა დამე არ მამსწრებოდა, სამასსა სხვასა მოკვლევდი.

დილასა, რა მზე გუმბათსა ზედა შემოდგა, შეპირებულმან ლულე ბეჟანის შვილი არდაშერ იქმო და ეგრე უთხრა: ნიადგ გოდერძიანთა გვარი გულღვნობა და რაზმისა ომი ყოფილა, აწე ამა დაჭირებისა ეამსა შენ საქელისა ამალღება გმართებს, მისრელისა შვილსა არიარს გუშინ ფალავანთა სისქლითა მინდორი მოუტრწყამს, აწ შენ, დასტურად ვიცი, რომე მისრელი კელმწიფე დღეს შენგან ატირდების. შენ მის გულოვნის გივის შვილის შვილი კარ,

¹ ცეცხლთა.

რომლისა საკელი ერანელსა შიგან ცამდისინ ამალღებულა. დღეს მიდი და იმა ღვეისა ნაშობისა თაე მომართვი, და ჩვენთა ფალავანთა სისკლი აილე! არდაშერ თაე ჩამოილო, ეგრე მოაქსენა: იმასა ომისა არა შეუზარდები და დამბადღებლისა შეწვეწინთა თქვენი ბრძანება გავათავო. გამოვიდა და კარგითა აბჭრითა შეეკაზმა და ასეთსა ბარგისტინანსა ცხენსა შექდა, რომე მაზანდარელსა თეთრსა ღვესა დაეშგავსა, და მისრელთა რაზმსა მომართა და აკლოს მოვიდა. არიარს დაუზანა: დიდის შარიარის შვილო, გუშინ რომე მეომარნი დაჯოცენ, იგი ჩემსა წინა თავსა ეერ იქსენებდეს. აწ მე მოვსრულ ვარ თქვენი შემბმელი, ჩვენთა ფალავანთა სისკლას საქებრად. ნუთუ შენისა აეკაცობისა მეუქათა შენცა მოგკედეს! არარა რა ესე გაიგონა, არა დაიყოვნა, თიცხლავ წამოვიდა. მერმე ბაამან კელმწიფეს მოაქსენა, ვითა: არიარს¹ მისწიეთ კაცი და დააბრუნეთ! ისი არდაშერ არის, ბეჟანის შვილი, რომე მაზანდარელთ ამოწყვეტა შეუძლია. იმის ნაქრავსა ეერ გაუძღებსო.

ამაზედან კაცი გაუგზავნა, ესე შესთვალა: შვილო საყვარელო, გამორჩეულო, კარგ ყმობისა მინდობა ნიადაგ არა კამს. ამალ რომე საწუთროსა დაუშკობელი არავინ დაურჩების. გუშინ რომ შენ გამარჯვება მოგკედა, და ეზომთა ფალავანთა ხისხლი დაღვარე, იგი საკელი ღია გეყოფის. ევე ბეჟანის შვილი არს. რომე მისათა შიშითა ლომნი შამბთა შიგან კატა ვითა იმაღებიან, მომისმინე და დაბრუნდი! უსმენარი კაცი გონიერთაგან კაცად არ იქსენებღს. მობრუნდი, რომე მეცა ვეშაბისა პირსა არ ჩამაგდო შენითა დაზიანებითა. რომე მიეწია და მამისა შეთელილობასა ყური არ მიუგდო და, არცა რა გაუგონა, მართლა უთქვამს გონიერსა, ვითა: ურჩობა სიკვდილსა და ფათერაქსა მისწურავს. რა მას კაცსა არ მოუსმინა ბაამან კელმწიფემან, სქევა კაცი მისწია და ესე შესთვალა: მობრუნდი, ღია კმა არის ჩემთვის ეზომი კარგი ქნანი, რომე გუშინდელი ომი დილითი საღამომდის დიდსა ფალავანსა როსტომსაც გაუჭირდების, და კარგ მამაცობისა მტვერი კათამდისინ ამალღე, მტერთა და მეომართა სისკლითა სიომარი მინდორი წითლად შეღებე, ანუ შემობრუნდი, რომე კელმწიფე მამა შენი დაუესებელითა ცეცხლითა არ დასწო. აიარ ესე მოახსენა: ბაამან კელმწიფეო, მე აქა საომრად მოვსულ ვარ, არა თავის დაწყალობებისა ეამი არის, აგრე მოებრუნდე. გულოვანი ხელმწიფენი, ფალავანნი ჩემსა საკელსა ვინღა აქსენებ! რა მამაცობა იქნების. არდაშარისაგან შეშინებული შემოებრუნდე.

აღარა დაიშალა. ქარი ვითა წაყიდა. რა არდაშერისა სიაკლოვესა მივიდა, არდაშერ ეგრე უთხრა: შენ თუ კელმწიფის შვილი კარ, ეგრე თავგაწირვით მემუქარეთ რას იარები! ღია შენებრივსა უნაკავსა საწუთროსა მაწასა თანა გაუსწორებია. ანუ ერანელთა ზედა აგრე გულმესისკლედ რად იომევი, რომე არ იქმარე ის ყველა სისკლის დაღვრა. იგი შენზედაცა მოდგა. რაცა შენ გუშინ ჩვენთა ფალავანთა უყავ.

აქა მისრელ კელმწიფის შვილის არიერისა და ბეჟანის შვილის არდაშერის ომი

არიარ ეგრე უთხრა: შენ თუ გოდერძიანთა ნათესავი კარ. ის ყველა კელმწიფეთა ღალატ რა შენი შესაფერი იყო, მართალი არის შენისთანას ავის მოკმე-

¹ არ არის.

ღისა სისხლისა დაღვრა. არდაშერ ასეთნი შეუზაქნა, რომე მიწა შეიძრა და კმაღ გამოწვდელი გრიგალი ვითა ზედა მოუქდა, ქლმითა კვადნი ლომნი; ვითა შეიბნეს და დაღეწეს. მერმე მძიმე ლაქტები დაიწვადეს და მით სცეს ერთმანეთსა. და უდრკათ ლაქტისა ტარები. მერმე ჭაჭურის მშვილდებითა დაუშინეს ისარი, მერმე ცხენსა ზედა კელდაქელ შეიკადნეს, წამოზიდნეს და აეკანდრასა ღვედუბა დაწყურეს. მერმე რკინობად გარდაქდეს მთერალნი სპილონი ვითა.

აიარს ბედი გაუმლაშდა და ძარღვი დაუღბა, მკლავთა და მუხლთა ძალი მოაკლდა, და უთეძოვნა, წამოზიდნა და პირალმან მიწასა ზედან დასცა, აღმასისა თევი კანჭალი გამოიწოდა და პირითა პერეულსა ყრიდა, ძალითა დამამერალითა თავი მოკვეთა, აბჯარი აქადა და შეჯდა. და ლულეს წინ მოიღო. ასრე გაეზარნეს. ვითომცა ბაამანის თავი და აბჯარი მეღო. დიადი მისცა და მაღლი გარდაიქადა.

რა მისრელსა კელმწიფეგსა ესმა, მისი გული ლერწამი ვითა აენტო. ტახტი-საგან თავი ჩამოიქცია, თმასა და წვერსა გაყრიდა, საყელონი გარდაიქვნა, პირი დაიფრიწა, სისკლნი და ცრემლნი ჩამოსდიოდა. საბრალოს მოთქმით ტიროდა, გული არდაშერისა ჭყერითა აევსო. და მისრელმან კელმწიფემან არდაშერს გაუზგზვნა კაცი და ესრე შესთვალა: რადგან ჩემი საწუთრო დაახნეულ, ჩემისა შერილისა თავი გამომიგზავნე, თქვენთვის უქმარი არის და მე, ვირე ეცოცხალ ვარ, სატირლად და სატიკერად მეყოფის. არდაშერ ეგრე შესთვალა: ნუ ყოს ღმერთმან. რომე შენისა გულისა წადილი აღვასრულო. თავი მუნამდის შეინაქე, ვირე ტანსა ზედან გეზას, თვარა უტანოსა რაღასა კელსა ყრი. ამან თავმან ჩვენთა ფალავანთა ტანები უთაოდ გაქადა და ისრე გულშისისკლედ იბრძოდა და კოცდა. აწ მოსაპართლემან მასცა მიავო მისისა აკვაცობისა მუქაფა. ეტლი ნიადაგ ერთსა ფიქალსა ზედა არა ბრუნავს.

რა ნისრელს ესე მოციქულობა უამბეს. აბედი ვითა აენტო. თაქსა კელი შემოიკრა. მწარედ ატარდა. ამაზედა ბაამან მოუმტყივნა და გული დაუღდა.

აქა ბაამან ხელმწიფისაგა ერანელთა ფალავანთა ბირება

მერმე მწიგნობარი უქმო და ერანელთა ფალავანთა წიგნისა დაწერა უბრძანა. პირველ საკელი ღეთისა აქსენა, მინდობილობა და მერმე ესე დააწერინა: მე, რაცა მპირს და დამემართა ჩემითა ავით ქნითა, ყველა გაუგონლობითა წამეკიდა, რომე ქიშმარით შარიარისაგან ერთისა ნასყიდის ქვეშო მონისა შეილი. ქეთევანისათვის ზითუად წამოტანებული, იმა საზომსა გავიყვანე და საკელმწიფოსა ტაქტსა ზედა დავსვი, გვირგვინითა, ხოსროულითა ტანისამოსითა შემოსილი, საკელმწიფო საჭურჭლეთა კლიტენი წინა დაუსხენ. იმა გრძნეულისა დიაცისა სიყვარულითა სიტყვითა ვქენ. ჩემის გონებისა თვალნი დამეყვენეს. ესე ყოველი პირი და მიპირებუა ყველა ჩემზედა მოდგა, რომე ჩვენნი ერთგულნი და მისანდონი ყვანი მილაღატებდეს და მომკლევდეს, ამისთვის რომე ჩემნი საგანძურნი ავის მოქმედმან დიაცმან და ლულემ მათ გაუყო. აწე, ვითა თქვენ უბრალო კართ ამა საქმისაგან, საწუთროსა დამბადებელსა ამისად თავდებად მოგცემ, რომე თქვენ არავის რა გაბრალო და დიადი მოგცე. მე თვით ჩემი ნაქმარი შემინანია და თქვენ უფროსი პატივი და დიდება მოგიმატო. მე ეს მიყავით, რომე მაგა უსჯულოსა, დევისა ნაშობსა ლულეს უღალატეთ და ღმერთი ბრალად არას მოგცემსთ, აჰად რომე არა სჯულ წმინდა არის, და თქვენ ეზომსა საქონელსა მოგცემ, რომე ღლეთა შენთა შიგა არ დაგელოოსთ.

ესე წიგნი დაწერეს. ერთსა ფაიქსა მისცეს და გაგზავნეს. რა ფალავანთა თანა მივიდა, ერთად შეიყარნეს და წიგნი წაიკითხეს, და ესრე შერცხვენდათ, რომე აღარა აქედვა აუვათ უჩნდათ. ესე ერთგან შეყრილი ოცდაჩვიდმეტი გამოჩენილი, საწუთროსა შიგან მოწონებულნი ფალავანნი იყვნენ. ასრე თქვეს: აუგანსა სიცოცხლესა სიკვდილი გვიჯობსო, რომე ღიდისა გვარჯიანისა შარჯიანათვის სწორულად და უსირცხვილოდ პირი მიგვიპყრია, მას ვებრძვით. ამას თუ არ შევიწინებთ, ნუთუ წმინდასა მოსამართლესა ეწყვინოს და ჩვენისა აკაცობისა მუქათა დაპირებისა ეამსა მოგვაგოს, ვინათგან მასცა შეუნანია, და ღიღი რამე დავაკლოთ ქეთევანისა მიზეზითა ჩვენსა პატივისა; აწე მივიღეთ და პირი წინაშე გავეართოთ.

აქა ერანელთა პასუხი მისწერეს ბაამანს

მოიყვანეს მწიგნობარი. ესე ანბავი პირველად კორშევედს შევედრეს, დამბადებლისა საკელი აქსენეს და დასწერეს. მერმე ესე, რომე: ერანისა შარიგრო, ბაამან კელმწიფეთ, ღიდისა ფალავანისა არსტომოხაგან. საკელმწიფოთა საფალავნოთა ზნით შემკობილო, უღირსთა და შემცოდეთა მოქსენებულთ, სიმდაბლითა მოიკსენე, მზისა და მთოვარისა საწუთროსა პატრონი ამისად მოწმად გვეყოფის, რომე სირცხვილითა ჩვენი გული ლერწამი ვითა¹ ენთების. აწე, რომლითა შეცოდებითა პირითა გნახოთ, თქვენივე ბედნიერობა, ანუ პირი თქვენი ჩვენგან ნაკვისა სანატრელი, ანუ რომელითა სასმენელითა მოვისმინოთ ტყბილ საუბარი და ბრძანება თქვენი. აწე, რადგან შეგიწყალბეივართ და შეცოდებისა ფარმანი გიბოძებიათ, ჩვენ განალამცა² მორჩილი და მონანი ვიყვენთ ბრძანებისა თქვენისა და ამას ლამე გამოვემართოთ, აბჯარსა ტანსა ჩავეცვათ, ბარგისტანიანსა ცხენსა შევსკდებით. თუ მდევარი და მებრძოლი წამოგვიდგების. ნუთუ მათი თავები მიწასა ზედან დაეყაროთ.

აქა ერანელთა ფალავნები ლულეს წაუვიდენ და ბაამანთან მივიდნენ

რა ესე წიგნი დაბეჭდეს და ფაიქს მისცეს, ბაამანს წინაშე მოიტანა და იმათი პასუხიცა მოაქსენა. ბაამან კელმწიფემან წაიკითხა და მერმე გაეზარნეს, რომე პირი წითლისა სამოთხისა ვარდსა დაემსგზავნა, და საწუთროსა დამბადებელსა მადლი შესწირა და ესე ბრძანა, ვითა: ბედდაქარგულსა ლულესა ქარის მეტო არა დარჩების.

ფიცხლავ კაცი გაგზავნა და მისრელი კელმწიფე აქმოხინა და იგი წიგნი წაუკითხა, და ასრე მოაქსენა: თქვენ წადით, გზაზედა დაქვლით! და გამოვიდა, მასვე წაჰსა მისითა თავადებითა წავიდა.

იქით ერანელნი ფალავნები მოვიდეს. რა კელმწიფეს თვალი მოვიდეს, ჩაბოვიდენ, ესალამნეს და ეთაყვანეს, მოიკითხეს. ბაამანისაყენ წამოვიდეს და ბაამან შორს წინა მიეგება. ფალავანნი შორს ჩამოტდეს და პირითა მიწასა ემთხვეოდეს და შენდობასა ითხოვდენ შეცოდებისათვის.

კელმწიფემან მადლი გარდაიქადა. იმედი უბრძანა. მასვე წაჰსა მოლარე

¹ ლერწმითა. ² ვალანამცა.

გაგზავნა, ყველასათვის ტანისამოსი მოალებინა და ყველა კარგი ტანისამოსითა დამოსა. თვითოსა თვითო ოქროთ აკაზმული ცხენი მისცა და ეგრე სადგომისაკენ წაიღინეს და ნადიმი დაიდევს. მაშინ უბოძნა თვითო იაშანა წაუღლი და სქეაცა დიდი საბოძვარი და ხარჯი.

რა ლულე ფალავანთა წასვლა შეიგნა, ესრე ეწყინა, თუ სთქვა, ტანსა ეკალი გამოესხა. მერმე ქეთევან შეიგნა ლულესი ეგრე გაწყენა. მას წინა შევიდა და ეგრე უთხრა: ეგე აუფი უნიეთოთ ნე შენთვის არ მიჩანს, რომე ოცუაჩვიდმეტისა კაცის წასვლისათვის ეგრე გასრულქარ, რომე უსულოსა გაქვარ, რად უნდა ეგრე შევირეება, კუათა გარდასვლა, და ნუ ლაშქართა გულსა რად გაუტენ!

ამა საუბარსა შიგან ლულესა წინ ბეჟანის შვილი არდაშერ შევიდა და ტაქტისა წინა პირი მიწასა დასდვა და ეგრე მოაქსენა: მაღალო კელმწიფეო, იმაცათა წასვლისათვის თქვენ ნურას შეიჭირებ, ძალითა და შეწყენითა საწუთროსა დამბადებელისათა მათა ფალავნებსა ყველასა მქარდაკრულთა თქვენს წინაშე მოვასხამ. აწ ფარმანი მიბოძეთ, რომე თქვენისა ბრძანებისა ურჩი ჩემითა მძიმითა ლახტითა შეევანანო და საგდებელითა შეკრულნი მოვასკნე.

ლულე მადლი გარდაიკადა, და ერთი ქალაქი მისცა და ხოსროულთა შესამოსლითა შემოსა. და გამოვიდა არდაშერ, გულმესისხლედ აბჯარი ჩაიცივა და ბარგისტანიანსა მთისა ოდენსა ცხენსა შეჭდა, გურზი კელთა დაიჭირა და ბაამანის ლაშქართა აქლო მიუდგა, და ესრეთი დაიძახნა, რომე ლომსა მელისა გული ჩაედვა და ეგრე უყივლა: ბაამან. კელმწიფობისა უღირსო, გყავს ეინმე, რომე ერთსა წამსა ჩემსა მძიმესა ლაქტსა დაუდგინეს? ამას ზედა ბერი!, ასის წლას კელმწიფე აჩქარდა და აბჯარსა იცმიდა, და შავი ცხენი შავითა ჭავშნითა შეაკაზმინა, შავი აბჯარი ჩაიცივა, შავის სისკლისა საზღუდად არდაშერისა საომრად გაემართა, ზუფინი აიღო. ბაამან შეიგნა და გაევირეებით შეიქნა. ერთთ თავადნი გაუგზავნა და ესე მოაქსენა: კელმწიფისაგან არა წესია მემუქრისათვის ომად გასვლა, ლაშქართა პირის წყალსა დაშავებამან. ეამსა შიგა ამისთანა ფალავანი არცა ერანს არის და არცა თურანს. თქვენგან მისი ომი არ მოკლებინს. ჩემი მოკსენებული დაიჭერე და მობრუნდით! გონიერი უნდა, რომ თავისა საზომი იცოდეს.

მის კელმწიფისა გული ჭავრითა სავესე იყო და თავგანწირვით საომარსა ადგილსა მივიდოდა, და არდაშერს დია უყვირდა ეზომ ბერი კაცისა გული და საომრად მისვლა, და ეგრე უყივლა: ბერიო კაცო, შენ მრავალთა დღეთა გამოსულსა, შენთვის კუთანი დაუკლიან, თვარა შენ ვინ და მემუქარის ომი ვინ! და გიჯობს, რომე შენთა საგებელთა ზედა აღესრულო, შენი დღე და სულნი ღვთისა და საწუთროსა დამბადებელსა შევედრე, მომისმინე, რომე აუგითა და შენითა ბრალითა არა ამავსო, ამად რომე ეგე ბერისა კელმწიფისა სისხლა დაუღვარო, აუგად დამეთვლებინს. თუ ზურგი შემოგაქციო, გოდერძის და გიქა ეარცხვენ. აწე მომისმინე და გარე შეიქეც.

მისრის კელმწიფემ ეგრე უყივლა: გოდერძის, გივსა და სხვათა მათ საბატოთა გოდერძინთა გვარი და ნათესავი ქარ, შენი საკელი არ მაშინე დაკარგე, ოდეს ბაამან კელმწიფესა უღალატე და მოსამართლედ მოსაკლავად.

გამართე კელი! აწ ნუთუ წმიდამან მოსამართლემან შენისა უსამართლოებისა ნუქაჟა შენცა მოგებლოს!

აქა ფეროზ ტუსის შვილისა და არდეშირისა ომი

ტუსის შვილი ფეროზ მისისა სიტყვისათვის არმოსმენისა, ლულეს რომე ხელთა შეაპყრობინეს, საკანში ჩაასმევიინეს, იგი ერთსა ქეთეონისა სეფე ქალსა ამოუყვანა, მისთვის ცოლად შერთვისა იმედი დაედვა და იღუმალ გაუშვა. წასულყო, ყველასთანანისა სამართა შეკაზმული იყო, დიდსა ბარგისტანიანსა შეკაზმულსა ცხენსა შეჯდომილ იყო. ეგეთცა პირი ბაამანისაკენ ექნა, ერანელთა სადგომისაკენ აუარა მქარი. ოდეს გარე მოიარა, არდაშერ მარტო ნახა მინდორში და მისი გული აბედი ვითა ენთებოდა არდეშირის ჭაერითა. პირი მისკენ დაამყარა. და არდაშერ კითხა: რა კაცი მოკვალ ჩემს წინა სასიკვილიოდ და ეგზომ თავგაწირვით. მგონი ვარ, ავატირო შენი დედა შენზედ.

გურზი გამოიწოდა, მოუქდა, ფეროზ თავსა ფარი დაიდვა. არდაშერ კმალი ვარდაკარა. რომე ქვეა ორთავე ლაშქართა შინა კმა ვაგიდა, მაგრამ ფეროზს ვერა აენო რა. ბაამანის ლაშქართაკენ გარიდნა. არდაშერს ეგრე ეგონა, ვითა ჩემსა ნაკრავსა ვერა დაუდგნო და გამექცაო. უკან მოსძაქდა: ჩემის ჭანგისაგან ვერ წახვიდეო მშვიდობითაო. მან გონიერად ნაწვართმან საგდებელი შეიქსნა და მოიბარჯვა. რა სიაკლოვესა მოეწურა, მოუბრუნდა, ფეროზ საგდებელი გარდაცდო. არდაშერს წელთა მოაბა, ბარკალთ ქვეშე გამოივლო, ცხენსა დეზი შემოსცა. ცხენიდალმან ჩამოაგდო, დაათრია. მერმე ჩამოკდა, მაგრად მქარნი შეუკრნა და ეგრეთა კელმწიფის ბაამანის წინ მოიყვანა და ეგრე მოაქსენა: ბედნიერო კელმწიფეო, ამან ჩემთვის ორმო თხარა და აწ მოსამართლისა საწუთროსა დამბადებლისა მოსამართლობითა თავ-ჩაქცევით ესევე ჩავარდა. ამისისა ავკაცობის მუქაჟა თქვენ აზღვევიინეთ.

მისრელსა კელმწიფესა მისი მოწონებელი, მოწიფული ჯომარდი შვილი მოეგონა. გული აღუღლდა, თვალნი სისკლისა ცრემლითა აევსნეს, კმაღამოწვილი ზედ მოუქდა, მისითა სისკლითა მიწასა ლალის ფერად შეღებდასა ლამოდა. ბაამანს ეწყინა და არა მოუშვა, ეგრე მოაქსენა: ღმერთმან აშოროს, ეგელა ვაჰ მოვაკვლეინო, რადგან მშვიდობით დარჩა. კელმწიფეთა და მთავართაგან დიდსა უნდა დათმობა და შენდობა.

არდაშერ სირცხვილითა პირსა ველარა შეხედვიდა. ეგრე მოაქსენა: ყოვლისა ქვეყანისა შარიელო, ესრე შემცოდემა, სირცხვილეულმა თქვენსა ბედნიერსა! პირსა ვითა უპკრიტო. ნეტამცა მომკლა და [ა]მა აუგსა და სირცხვილსა ჩამამქსნა.

ლულე არდაშერის შეპყრობა შეიგნა, საწუთრო თვალთა წინა დაუღამდა და თვალთაგან სისხლისა ცრემლთა აღენდა, და მისისა სიცოცხლისა იმედსა აღარას მოელოდა.

აქა ხორაშევადისა და ფეროზის ომი

ამა ზედა კორმედ შემოვიდა და ლულესა წინა ფეროზის შესაბმელად ფარმანი ითხოვა. ეგრე მოაქსენა: თქვენ ნუ შესწუხლებით, მე წაველ და არდაშე-

1 ბედნიერა.

რისა შემპყრობელისა თავსა თქვენსა წინაშე მოვიღებ. ამა წამსა იმათსა ლაშქართა ორ ნაწილი დაუღდა და მადლი გარღაიკადა. და დიდი საბოძეარი უბოძა და ფარმან- მისცა.

გამოვიდა, აბჯარი ჩაიკვა, შეკაზმულსა ცხენსა შეჭდა და ბაამანისა რაზმსა წინა მიუღდა, ღვემან ვითა დაიზაქნა, ვითა: დიდის სფადრის შველო, თუ ომი გწადიან. გამოდი, მე გასწაველი, არდაშერის ღალატულ შეპყრობისათვის თავრნუ მოგეწონებინ! ამაზედა ფეროზ გაგულისდა, თუ სთქვა, ტანსა ცეცხლი მოედვა. აბჯარი ითხოვა. რა შეეკაზმა, თუ სთქვა, თერთი დევი იყო. ჭავშინთა შეკაზმულსა ცხენსა შეჭდა მოკლტომით. კორშედმან რა აბჯარ ნაკლულად ნაკა. გაუჟვირდა და ეგრე უყვილა: ეგრე ქელი და უქკუო მეომარი ნუმცა არსო და. თუ იყოს. აღრე განქარებინ! თუ კორციასა და სისკლისა კარ, ეგრე მოსვლა ვის ასმია!

ამაზედან კორშედმან ცხენი შეუტია, კელთა ბასრი ავთი აქენდა, თავსა გარდაქრა, ფარი და მუზარადი გაუტეკა, თავსაცა დაასო. რა ფეროზ ომითა გაძლა, ლაშქართაყენ წაივიდა. ამაზედან ბაამანის გამზრდელი ფარსი ფალავანი გაგულისდა და ეგრე მოაკუნა: შარიარო, ჩვენთა ფალავანთა ქელი შემოკლდა და ფეროზცა კორშეჟარდის ომით გაძლა, აწე მე წავალ და კორშეჟადს ომითა გაეაძღებ. კელმწიფემან დაუმადლა.

აქა კორშეჟარდისა და ფარსის ომი

ფარსი მივიდა საომარსა აღვილსა. ესეთნი დაიზაქნა, თუ სთქო, საწუთრო დეეებითა აივსო. იქით კორშად აჩქარდა და ცხენი შეუტევა. ჭაჭური მშვილდი ამოიღო, ერთი არყის ისარი შეუღდა, ფარსის შესტყორცა, ესეთი კრა. რომ ფარი და აბჯარი გაუტეკა, მარჯვენისა მქარასა შიგან გაავლო და ფრთამდის მიწასა ზედან დაასო. ფარსის ქელითა კვალი გაეარდა, მობრუნდა და ლაშქართაყენ წამოვიდა პირგაყვითლებული. აუგითა საეჟე. ამაზედა ბაამან კელმწიფემან აბჯარი ითხოვა, გაგულისდა და ჩაიკვა. საომართა ნაღარასა კრეს და ორგინთვე ლაშქარნი შეიძრნეს. ქოსთა და ნაღარათა კვა ცამდისინ გაიწეოდა. შეიქნა ფალავანთაგან რბევა, კმა გაქშირდა: შეიპყარ. ჩამოაგდე, შეკარ, მოკალ! შავისა მტვერისაგან საწუთრო დაბნელდა და მათსა მესისკლობისა კარი გაელო და სისკლისა ღვარნი აღინეს. მრავალთა საკელდებულთა თავი უპატიოთ მიწასა ზედან გორედა. მანდორსა შიგან მოკლულისა კაცისაგან აღარ ივლებოდა.

მას ღღესა საღამომდინ ომი იყო, ფალავანთა ზაქილი და აქტათა კვივილი. საწუთრო შავსა ზანგსა დაემსგზავნა. სითაცა კორშედ მიმართის, მინდორი უთათა ტანითა აივსის და რაზმსა ფრეწდის მარჯვნივ და მარცხნივ. მერმე ღამისა შემოსწრებამან გაყარნა. და მერმე მედარნი დათვალნეს. ექვს და ექვსი ათასი კაცი ბაამანისა ლაშქართაგან დაქოცილიყო და ათი ათასი ლულეს ლაშქართაგან დაქოცილიყო.

აქა ბაამან ხორშედს წიგნი მიუწერა

მწიგნობარსა უბრძანა. ვითა: ჯომარდო მოწონებულო, ყმაწვილო ფალავანო, ეგოდენნი საკელოვანნი საქმენი ლულესთვის გიქმნიან, ეგე საკელად და მამაცობად გვეოფის. აწ ამით ისახელე თავი, რომ ჩემსა წინა მოკვიდე და მოსა-

შართელ ღმერთი დაგიმადლებს და უკეთ გაგემარჯვების. და მე ლაშქართა თავადობასა მოგცემ და სფაღრობისა ქვეყანათა და ეზომთა საქონელთა მოგცემ, რომე დღეთა შენთა შიგან არ დაგელიოს.

ფაიქი გაგზავნეს. რა ესე წიგნი მიუვიდა, პირსა და თავსა დაიდვა კორშად და ეგრე მიუწერა: შარიართა თავო, დიდო საქელის მძებნელო, კელმწიფეთა თვალო ბაამან, რა თქვენი წიგნი ვნაქე, საწუთროსა დამბადებელსა მოწმად მოგცემ, რომ თქვენისა სამსახურისაგან გული გაფიქვდა, და მაგრამ გონიერთა ბასთანელთაგან არაკი მასშია: პაერისაცა კეთილი სქამო და მისთვის აესა იგონებ და ნუცა ურიისაცა აქსენებ. აწე, ვინათგან შეგაწყალეზივარ და უღარსი ღირსეულად შეგიქნივარ, აწ ამას ვიქ, რომე არცალა თქვენთა ლაშქართა ომად მოვაქ და ვერცალა თქვენსა ბედნიერსა პირსა ვნაქავ სირცხვილითა. ოდეს მას ვიავ, რაცა ამას წინათა შემიტოდებია, იგი შემინდევ. რა კელმწიფეშან წიგნი წაიკითხა, დია მოეწონა მისი ნათქვამი, მერმე ხოჯორსა გვარისა ღვინოსა ბროლისა ქიქითა სპითა სეველა-შევირება გაიქარვის.

აქა ბაამანისა და ლულეს ომი რაზმად

დილასა რა მზემან საწუთრო დააშვენა, ლაშქართა საომრად კაზმა დააწვეეს, და შეიქნა ორთა სფაღართა შიგან ქოსთა და ყვიროს-სტვირთა კმა. შესქედეს და ლაშქარნი ერთმანერთსა დაესპირისპირნეს შუბებისა კელთა შქონებელნი, ჯაეშნოსანისა ბარგისტანიანისა ცხენებითა. მათითა სიმრავლითა საწუთრო შევა ღრუბელსა დაემსგზავსა. მათი მტვერნი ორგნითვე ცამდისი ამალდალისარა გაზაფხულისა წვიმა ვითა მოდოდა. აბჯრითა, კლშითა ელვა კაცთა ავალთა დაუყოფდა. მტემართა ზაქილი, ცხენთა ქვივილი ცამდისი გაისმოდა. შეიქნა დიდი ომი, რომე სისხლისა ღვარნი აღინეს. და მრავალთა თავადთა თავი სისხლის ღვარსა მოაქენდა, და ტანი ბედითად და მიწათა და ტალატთა შიგან დაჟერილი იყვის, და მიწათა ფერი აყიყისა ფერად შექმნილი იყვის. დაქოცილისა ცხენათგან სარბიელი გზა შეიკრა. საღამომდის ძღაერი და მოუსვენებელი ომი იყო. რა მზემან მისნი მწვერვალნი დამალა, ორნივე სპანი ომითა დამამლარნი ერთმანერთსა უკუეყარნეს. მას ღაშესა მოისვენეს. დილასა რა მზემან მნათობმან საწუთრო დააშვენა, ორთავე ლაშქართა შიგან ქოსთა და ტაბლაკთა კმა გაქმირდა, საქელდებულნი ფალავანნი საომრად მინდორსა შიგან ჩამოვიდნეს, გულოვანნი თავადნი გულმესისკლედ შეიბნეს, და მათსა ომსა შიგან ლაშქარნი რა შეიძრნეს, არცა ვის სისკლი აუღულდა.

ბაამან საბაჯრე ტანისამოსი ჩაიცვა, ზუფინი აიღო კელთა, ერთსა ბარგისტანითა შეკაზმულსა ცხენსა შეჯდა, სამოცი ლიტრა გურზი წელთა ჩაიპყრა, ოქროს ფარი ჩამოიკიდა და ეგრეთი მოედანსა შიგან მივიდა, მუზარადი მოიკადა, უნაგირისა ტაქტასა ზედან ჩამოირქვა და ერანელთა რაზმსა მიუდგა. და ესრე დაიზაქნა: გულოვანო თავადნო და საქელოვანო მეომარნო, მე ვარ საწუთროსა შქონებელი, სპანდიატისა შვილი, შარიართა თავი. მე თქვენგან ნაწყენი არა მამეგონების და არცა ჩემზედა ავი გიქნიათ. მე ლულეს უსამართლოებითა გულჯავრანად გავსარულვარ. აწ, რადგან ლულეს ჩემი მეფობა და ტაქტი უნდა და მე მესწორების, ამა უბრალოთა ლაშქართა ერთმანერთსა შექოცა და სისკლისა დაღვრა არა სარგებელია. მე და ლულე შევიბნეთ და ენაქოთ, ეტლი უკუ-

ღმა ვის დაუბრუნდების. ერთმანერთი მაკვილითა, კმლითა, მძიმითა ლაქტითა და ბასრის შუბითა გამოვცადოთ, სპანა ვის ზედან ატარდებთან.

ერანელთა ბაამის ნათქვამი მოისმინეს: საკელდებულნი ერანელნი ერთგან შეიყარნეს და ბაამანის ნაბრძანები ამართლეს. და ეგრე თქვეს, თუ: ლულეს ერანისა შარილობა უნდა, ამის მეტი არა ჩქნებოს, რასაცა კელმწიფე ბრძანებს. თავადთა თავგარდაუწყვეტონ ომითა ერთმანერთსა და მერმე რომელიცა გამარჯვებული დარჩეს, ტაქტოსნობა მას დარჩეს. და ომი და შფოთი დაწყებარდეს, ქვეყანა მოსივენებს და ეზომი უბრალო სისხლი ნულარა დაიღვრების. რა ლულე ფალავანთაგან ესეთნი ნათქვამნი გაიგონა, მის მეტი ღონე აღარა იყო რა, თავისა თვისისა იმედი გარდაიწყვიტა, შეეკაზმა საომრად. და ოთხი ტანი აბჯარი ჩაიცვა და ზედა თეთრი ქაინური სარტყელი შემოარტყა, გზა წმინდისა მოსამართლისა, ერაჯისსეული,¹ რომელ მამასა მისთვის შეექნევიდა. მას ეამად ლულე მისნი წვირლნი წელნი მით მოიმაგრანა, მის ფალავანთა თავადისსეული აბჯარი ტანსა ჩაიცვა, რომე საამსაცა ხუროდა, ბერძნული მუზარადი თავსა დაიჭურა და ცხენსა ლუარსაბისეულსა შეჭდა, ქაიქოსროსსეული ოქროს ფარი დაიჭირა, გოსტასაბ კელმწიფისა კმალი შემოარტყა, ბარამან გულოვანისეული მშვილდი დაიჭირა, რომე მას მშვილდსა საფანა ფარისი უძაქდენ, შეჭდა გამორჩეულსა მას ბარკისტანიანსა ცხენსა. მისი ერთგულნი და ნასყიდნი ყმანი თანა წაიტანა, ეგრე ბაამან კელმწიფისაყენ საოჰარსა ადგილსა მივალა.

აქა კელმწიფის ბაამანისა და ლულის ომი და ლულის შეპყრობა

ლულემან რა კელმწიფე ბაამან თვალითა ნაქა. თვალთა დაუბნელდა, შეკურვილი რომე გასინჯა, მი და მო ვითა გული კრთებოდა, ჩამოქდა და თავყანის-სცა, და პირი მიწაზედან დაადვა და ესრე მოახსენა: მე ერთი მონა ვარ და თქვენსა ომსა ვითა ღირს ვარ. ბაამან ლულეს წყრომით ესე საუბარი უბრძანა: სპათა ჩვენისა ბედითა უბრალოდ სისკლის ღვარი ჰდის. ცუდიდა სათქმელი რალა სასაუბრო არის, და აკლოს გამოდგე, რომე კმალი და საომარი მოიკმარე. ლულემ კადრა: სიცოცხლემცა ნუ შექნების, თუ მე ეგე ექნა. თქვენ კელმწიფე ქართ და მე ერთი მონა, მოგიქდე არა მოკდების.

შარიერსა გაეცინა და მისი ნათქვამი გაუკვირდა. შევითა ცხენითა შეუტრია და ასეთი მტვერი აღინა, რომე თვალთა არცა ერთიდა ჩნდა. და მას წამსა ზედან მიუქდა და ლულეს ფარზედა ასეთი ლაქტი კრა, ორთავე ლაშქართა შინა საკვირველი კმა ისმა. ლულეს თვალნი სისკლითა აევსნეს და კელი არა შეუღრკა. და მერმე ბაამან უბრძანა: შენგან მოველი აწლა კვრასა.

აკლადგან ლულეცა გაგულოვანდა, მიუქდა და მანცა ლაქტი კრა და ეერა აენო. და საკვირველი ბრძოლა ქონდათ და სადამდისინ შეეძლებოდა, ერთმანერთსა რიგ-რიგითა კრიან, რაცა ოდენ მათგან კვდებოდა, გულმესისკლედ იბრძოლეს. ცხენებიცა დაშვრა და კაცნიცა. ასრე რომე ტანსა შიგან ძალი არა ქონდათ და ეგზომი ერთი გაძლებდა ლულესაგან ლაშქართა ერთობ ეკვირებოდა.

შეიკიდნეს კვლავე ცხენზედა და დიდი, ძნელი ომი ქონდათ. ლულეს ცხენმან მუქლი დაკრა და ბედი შავად გარდაუბრუნდა, და შარიერმან შერცხვენილა

¹ ერაჯის სული.

ლაშქართა შიგან მიათრია. აწუ ამაზუდა შეიტყობოდა. რომ ერანელნი ომსა ბედევდეს ერანელთაგან.

რა ჭურშედ ესე შეიტყო, ესრე უთხრა: ორთა მეომართა შველა არა მოკლეების და აქვე იყვენით. ამითა ჭურშედ ერანელნი დააწყნარნა და შველა ველარაინ შემართა ლულესი. რა მოყვინებული ლულე ლაშქართა შიგან მიათრია. საკელდებული მისრელის მეფე ნასრა წინა მიეგება და ლულეს საყელოსა კელისტაცა და შეჭირვებული, შავბედი ბორკილითა დაქედა. და საკელდებული კელმწიფე ბაამან საათა დალოცეს და ქება შეასკეს.

რა ქეთონ ესე შეიტყო, გული ცეცხლივითა აენათ. რაცა მისგან კდებოდა. გაპარვასა ეცდებოდა. მერმე ჭურშედმე მცველად ზედა ოცი კაცი დააყენა. წამოვიდა. შარიარსა წინა მოვიდა. რა შარიარს წინა მიდგა, უბრძანა: მომგვარე ქეთონ. მისი ბარგი და პილო.

პილოსა კუბო დააქრეს და პირდაყვითლებული შიგან შესევს, და პირბზე პარგაყვითლებული შარიარს წინ მიიყვანეს. და ამას ეტლისაგან ქეთონ არა მოელოდა. და სოფელმან ავად გაუგო, გულისა ნებასა მიყვა და გულის ნებისა მყოლითა ნაკეთ რა უყო თავსა და მას ბაამან ეგრე უთხრა: დევ-ქაჭო და დედათა აუგო, ჩემ ზედან რომე შენ ქენი, სხვამან ცოლმან ვითა უყო კელმწიფესა ესე. აწუ პასუჯი გასცა და გულისა მოსაფტანსა სიტყვასა იტყვის: ჩემსა ამა ყოველსა ქანსა, რაცა მეწადა, ყველაი ვქენი. ჩამომარჩხო თუ ანუ მამკლავ, შესაგვანსა და კარგსა მიზამ, და ზენაარსა ყოლე აღარა ვითხოვ.

არცა თავსა და არცა ტანსა ყოლე რიდი აღარა ქონდა და არცა სირცხვილი შექნოდა. უამად, რაცა იამებოდა, იგი უპირისწყულო, მას უბრძობდა. ლაშქარნი სულად დამამტერნა. ესე ვისცა ესმოდის, გაკვირდის: კელმწიფესა პირდაპირ ესე ვითა ეუბნებოდა. და მერმე ერთმან კელმწიფისა ნასყიდმან მონამან ზროკისა ტყავი მოილო. კელმწიფემან ასე უბრძანა: ქეთონ ასრე შიგან წააკვიეთ, რომე თავი უჩნდეს გულისა ნებისა მყოვენლსა, რომე ავი სასაქელი მიკედეს. ზავი არა გაუპირა და ორთა რემათა მოსხმა ბრძანა, და ერთი თმა ერთსა მოაბა ძუაზედ, გრძელისა საბლისა წვერითა, და ერთი ცხენოსნად დასაქერი მკედარი რემასა შესვა, ქვიშიგან არბევდა და ახეთქევდა და მისი შესაფერი მიკვდა, სულად დაწყვიტა ქეთონ, ასრე რომე ქარდაქარ მონამტვერად გაქდა. თეთრნი კორცნი ქეთონისანი ძაღლთა საჭმელად ველთა ეყარა.

ბრძენთა უთქვამს: ზოგათა დედათა ჳირი უნდა მიკვდეს ძნელია. არა გასრნჯვენ და თავსა იქმონენ, თუ ბოლო ძნელად მოვაო. ავისა ქნითა აქა შერცხვენდების და საუკუნოსა პირბნელად ჩანს. და ესე საუბარი ბასანელთა გონიერთა მართლად უთქვამს: დედათაგან ავ ნაქმარი საქმე ბევრგნით გვესმისო. არა უნდოდა ღმერთსა ორნი თვალნი მოსახმარებლად მიეცნეს. აწ ტახტისა და თავისა მუქაფად ქეთონ ზროკისა ტყავი შეიმოსნა და აწუ ესე გასინჯეთ, რომე ავისა ქნასა კაცის მეტი არაეინ მოიღებს. სხვა არა ავი თქვა რიღუბა, მეტისმეტი ბრძენი იყო: დედათა მოყვარულნი მუდამ ნუ ქაართ, შენამქვრეტნი. რამინისიცა მოიგონეთ მეტისმეტი ავი საქმე. უძიროსა საქმესა ვინცა იქს, მას აღრე წაუტდება ძირი. თუ მაგრად არ იღგეს, მოაწყდებნს და განქარდების, და ყოვლისა ავისა მქნელი წაქდების და აოკრდების. ღმერთსა და კაცსა, გულისა მართლითა უცილო არის, რომე ყველაქასა მოსძულდება.

და მერმე მორკმულსა კელმწიფესა და გადიდებულსა გვერდსა სპანი იაქლნეს. არამნდი შაზამს წადი და ლულე მოიყვანე, და ნათრევით მონაყვანსა.

ქელ-ფეკსა ბორკილი ეყარა, მძიმენი ჯაქენი ებნეს ყელსა და ქელმწიფე გზიან-
ეგრე უპკრეტს.

რა გასინჯეს სფაადართა შეპირებულნი ლულე. ადგეს და ქელმწიფესა თაყ-
ვანის-სკეს და ესე კადრეს: *ჲ, ქელმწიფეო, მორკმულო და დავლასთვიანო, ორ-
გულიმცა ეგე თქვენი ეგრემცა შეპირებებით აქმნების. გვანძინე აჲა მოქსენებუ-
ლი, პატივი გვეც და ლულეს ნუ მოკლავ და, რაცა შეეოღება ქონდეს, შეუნ-
დევ! გინდა ძალი მოკლა და გინდა ეგე, ძალოსა! დარად გვიანს და, თუ შა-
რიაირნი კარგსა მოწყალებასა კაცზედა იქმენ, ვისცა მიესმის, ყოველი კაცი ქე-
ბასა დაგიწყებს. ჭიმაზისა ქებასა გყადრებთ, რომე კარგისა ქინთა კაცი გავეთ-
დებათ. და სფაადართა ნებასა მიყვა, ლულე აღარ მოკლა და გაუშვა. მერმე მა-
ჰულიცა მისცა მათისა სასაკლისაგან შორსა აღაგსა და ესე უბრძანა: დევისა
ნაშობსა სიტყვითა მართლისა გზისაგან გარდაქედ. ღვთისაგან შეჩვენებულთ,
ყოველმან კაცმან სიამითა გაძაგოს, თვალად ავი ქარ და ნერგად, და გულიცა ავი
გაქვს ეშმაკისა მიყოლითა.*

აწუა ამასა ზედა ლულეს საქმე გარდაუშვეს. სისტანასა გზასა ზედა შეე-
დეს და შორს ჯარი გამოჩნდა. ლაშქარნი ქელმწიფესა ამას ეუბნებოდეს, თუ:
იგინი ვინ არიანო. ჭიმაზი იყო და სფაადარი ფაშოთან, ორმოცი კაცი თანა იაქლა.

აჲა სისტანით მოსვლა ჯამაზისა და ფაშოთანის და როსტომის სიკედილი

მტერთა ზედა მორკმული და გამარჯვებული ქელმწიფე ბაამან ნადომად
იქდა, ბროლისა ჩარდაკი ჰარმალილოსა კოშკზედა აგებული იყო და შარიარი
მას შიგან იქდა, და იამანური ქებული ქიქითა ქელთა დენო ქონდა და საწუთ-
როსა ღმერთსა აღადებდა. და ესრე გალაღებული მორკმით ზის. მონა უღვა
ქელმწიფესა წინა ოქროსა სარტყლოსანი და მას უბრძანა: ნაჲე, იგი ცხენოსანნი,
აუ ვინ არიან.

ფიცხლად მალისა სიარულითა წაჰოვიდა, და ჯამაზ ჰკვიანი და ბრძენი
და გულოვანი თვით ფაშოთან ქელმწიფესა ბიძა არის.

მონამან ორთავე ქელთა აყოცა და მაჯარობლად წაჰოვიდა, ქელმწიფისა
წინა შემოვიდა და მათი მოსვლა მოაქსენა. ბაამან და სრულად ერთობილთა
თავადთა ღმერთსა მადლი შესწირეს, სიქარული გაადიდა, ქელმწიფე ერთობით
გამკიარულდა. ამა მიზეზითა ყოფილიყო სისტანს მათი წასვლა: სპანი ლულეს
მისცნა. ბაამან ეგრე თქვა, თუ: ჩემებარ აწ ამას ყმეთო. ფაშოთან და ჯიმაზ ამ-
ზედან შემოსწყარნეს და პილოტანსა როსტომთან მივიდნეს. არა გესმინა, რა-
ცა ვთქვითო, და შემომწყარლნი მუნით მოვიდნეს, სადა მკლავმაგარი როსტომ.
ბაამან მას გაეზარდა და შემომწყარლნი მისგან იყვნეს.

..აწუ ფაშოთან და ჯიმაზ ყველა კადრეს აენაქმარი, რაცა ენახა, და პილო-
ტანი² ჯავრისაგან, ვითა მთვრალი, ეგრე გასრულიყო. და მერმე დარბაზს წასუ-
ლა გააპირა, ამაღ რომე სტუმართა მოსვლა იამა. მკიარულმან უმამსინძლა და
წართვა გააგრძელა.

სოფლისა საქმე მუქთალი არას და ეტლი ზოგჯერ დაბრუნდების. გააქარეა.
ამ სოფლით გმირი როსტომ და, ვაი, სათქმელადცა მეძნელების. ლულე ქელ-

1 ძალისა.

2 პილტონი.

მწიფება რაცა საქმე უყო. ყველა ასმოდა. ლაშქარნი შეყარნეს და რაზმი გაეპარათა. ფეროზ და ფარსი ოდენ ყმობენო. ერთგული სქეა აღარავინ ყავსო და, თუმცა ღღესა ეცლევინა. ბაჰანის შველა სწაღდა. და მაქარობელი კელმწიფემან საბოძროთა აავსო. თვით მიეგება და ესე უბძანა, ქოსთა და ნაღარათა კართოთ. ლალთა წყნართა ქცევითა ერთმანერთსა სალამი მისცეს. მათ ტუბილითა საუბრითა ერთ-ერთნი მოიციოხნეს. კელმწიფესა თაყვანი-სცეს. და შარიარიცა ჩამოქდა ტაქტიდამა და ოქროს სკამითა გვერდსა დისუა. თვით ბიძა იყო ფაშოთან და ანბავი და საუბარი კელმწიფემან ჭიმაზს კადრა: როგორ არის ზაალ და როსტომ, და ან ვინცა მათი არის.

მერმე ჭიმაზ მოაქსენა ანბავი; ბრძნად უამბო, რაცა ასმოდა, მაგრამ ეამად ვერა უამბო, თუ გმირი როსტომ საღ იყო. შარიარი ქამად დაქდა და მითთა ნაკვითა ერთობ გაჰკიარულდა. მეჩანგენი, მომღერალნი აქმობინა და იგი მუტრიბნი კელმწიფისასა და ლულეს ომსა წარმოიტყოდეს. მას ღაშესა ლალის ფერსა ღეინოსა სპიდეს და ამოდ წართვეს, და დია საბოძვარი გასცა, და თავადებიცა გამოვიდეს. და კელმწიფესა ბაჰანს წინა ფაშოთან და ჭიმაზ კიდევ შემოვიდეს და კელმწიფემან კითხა ჭიმაზს: როსტომისთვის ოკერით გნაკეო თქვენ და გეთნივე, და აღარაცა გკითხე და აღარაცა ზე ვჟე. პილოტანი და გმირთა საქე, მართლად მითჟარ, თუ როგორ არის?

თავმოკლილი ჭიმაზ და მოვეგლაკე აწლა უამბობს და ეგრე მოაქსენა: ქვეყანაზედა გმირი როსტომ აღარ არის, მისი ფალავნობა და საომარი გაუტუღდა, და ვითა დედისაგან აღარა შობილიყო. რა ესე ჭიმაზისაგან მოისმინა, შარიარი მწარითა გულითა, ვითა დევი, ყვიროდა. მისგან ზრდილნი მოიგონნა და კარგ ნაქმარი საჰსაქურო.

ჭიმაზს უთხრა: სპათა უბრძანე, კელმწიფესა ესე სწადიან, შეიდსა დღესა ყოველნი როსტომისათვის ჭირისუფლად დასქდენ. ჭიმაზ უტმნა და ყველანი ყოველგნათ მოვიდეს დიდებულნი და, ვითა მართებდა კელმწიფისა სიდიდესა, ტიროდეს და მოსთქმიდეს და თავმოკლითა, წელთა მან სარტყელი და საომარნი შემოიკსნნა. დასქდიან, ტიროდიან და გლოვა და ზარი იყვის.

ბალტო ქალაქსაცა კმა დავარდა, და თუ გმირი როსტომ აღარ იყო და, ვისცა ესპოღის, მოსთქმიდის, ტიროდეს და ზარი დაეცის. კელმწიფე ბაჰან ეგრე ტიროდა: ვაი, გმირი ქებული მოკვდაო, დეე-ვეშაბათა მყოცი და ნიადავ მტერთა ზედა გამარჯვებული, ქალღღუზედა ქებასა ვერ დავტევი, იყო მთისა შესწორებული, ფარმანისა დადარებული. ტბაცა იყოსმელანი, მისა ქებისა წერითა ველარა გასწვდების. და მერმე, მერვესა დღესა სპათა საგლოველისა აღება იაქეს. კელმწიფესა უმძიმდა და არა უქაროდა, ეგრე იქდა ტაქტზედა. საუბრისა ბრძნად მოქმელი ფაშოთან და ჭიმაზ იტმნა, უბრძანა: ჩვენისა ტაქტისა ზარისა და დაცემა რამ ქნა და რამ უყო? ჭიმაზ ეგრე კადრა: შარიარი მორტქმითამცა ტაქტზედა ზეჟარათ. გმირი, მკლავმაგარი როსტომ თუ როგორ მოკვდა, ყველაი წვრილად გაკარო. მეჩანგესთანა ზაალს ერთი შვილი ყვანდა, შუყაფ ერქევა. იგი მოიწიფა და თამთამისთვის ავი იყო. წყუელი, კრულმცა არის. კელმწიფესა ქვაბულისასა თვით ქალი ყვანდა და მისისა ქალისა შესართავად შუყაფ ზაალს სიძედ სიხოვა. და ზაალს შორსა ერჩივნა შუყაფ დასანაქავად უნდოდა და მისთა ეჭიბთა შორითგანვე მისი საქმე ავად ეთქვა.

ზაალმან ქვაბულელსა შუყაფი სიძედ მისცა და მას ერთობ გაეჟარნეს: შეყაფ ზნათა სავსე არის, მართ გმირსა როსტომს დაედარება. ზოგჯერ ქვაბუ-

ლისტანს არის და ზოგჯერ მათვე იაყლებოდის. როსტომს ისი ეწყინებოდის, შეუყაფს როსტომიანთა გვართა ქვაბულელთა კელმწიფეთა ქარაჯა ეღვის. ინდოუ-რიოთა ოქროსა ხარისა ტყაიი აავისის, ხარაჯა სკვასა ბეერი მისცეს. როცა ნაუ-როზობა მოვიდეს, შუყაფს ეგრე ეწყინის, მისი გული, ვითა ცეცხლითა, დაუ-ვეებოდა. და როდეს რომე შუყაფ მოიწიფა, ჭაერისაგან აენთებოდა და თაუა-ამას ეტყოდის: მე არა პატივი მეღება, როსტომისაგან ჩემსა სიმამრსა მისი ბე-გარა აძეს და არაოდეს ასცილდება, და თუ ასეთსა არას მოვიგონებ და არა ექ-რომე ჩამოგქსნა, არ მოკვდების.

შუყაფ როსტომთან მიდგა და საეშმაკო ენა დაძრა: წავალ და ჩემსა სიმამრ-სა ბეგარასა ეთხოვ და თქვენ მოგართმევე. როსტომ უთხრა: აგრე ქენი, წად-, სთხოვე და მოიტანე. და ჩვენცა ქვაბულისა სამძღვრისაკენ სანადირით მოვალთ.

შუყაფ მოვიდა და სამსა დღესა სპისაგან არა მოისვენა. მეოთხესა დღესა არჩიევს. რაცა მათისა ქუისაგან კვდებოდა. შუყაფ ეგრე თქვა: მე პილოტანსა როსტომისაგან ხარაჯისა სათხოვნელად მოვსრულ ვარ და, თუ დამიჭერებთ. ასეთსა რასმე ვიქ, რომ ამ ბეგარისაგან დაეიხსნეთ. ქვაბულელმან ეგრე უთხრა. თუ: გმირსა როსტომს, ჩვენ მავას, ვითა შევებუთავითო. და ასრე მოაქსენა შუყაფ: ქვალე სადილზედა გაგიწყრები, და შენგან დიდად მოჩივარი მივალ და მწყარალი და პილოტანთანა დავასმენ. და თუ ჩემსა დაიჭერებთ, იგი ქენით, რაცა რომე მე გითხრა. სადა საარბევსა მარალ ქვიან, მუნ ეიწრო ველი არის, და იქა პირფარ-თო და ღრმა და ბნელი ორმოები უთხარეთ.

ამისა მქნელმან შუყაფ რაცა უთხრა, ქვაბულელმან უსმინა და ორმოსა შიგან ლაქვრები ამართა როსტომისთვის მოსაქალად. და ესე ძნელი საქმე მან არა იცოდა, და ესეცა უთხრა: ვიცი, რომე რა შეგასმენ, გულმესისკლედ პილო-ტანი გაგიწყრება, და მასვე წამსა მთვრალი პილო ვითა ზედა მოგაკვდების და. შენა, ვითა შეპცოდესა მართებდეს, მანდილ მობოთ შეეხვეწე. და შეცოდე-ბულსა მალე შეგინდობს, შინა აწვიე აწე სამასპინძლოდ. არას დაგერიდების და მოკა.

და რა შუყაფ როსტომთანა მივა, ქვაბულელი დააბეზდა და ესე მოაქსენა: შენცა გავიანა და მეცა ბეერი მაგინა, და არცა ბეგარა მოგართო.

როსტომ, ვითა ცეცხლი, ჭაერისაგან აენთო და არცა სპანი იქმნა. თვით ლაშქრად წამოვიდა ქვაბულს. და თურმე ღმერთსა შენთვის ავი უნდოდა. ქვა-ბულელსა შეუთვალა: აწე გეე სამეფო დამიგდე. თუ არა. შენ აქა მოდი! ქვაბუ-ლელსა არა დია შეეშინდა, ამად რომე სხეასა ეშმაკობასა დალატსა ბედავდა. ყელსა მანდილი მოიკვიდა და როსტომს წიხა ისრე მიდგა. გრძელნი მანდილნი ყელსა ებნეს, მუხლმოყრილი, ვითა შეპცოდესა მართებდა, ეგრე შეეხვეწა და ასრე კადრა: ლომგულო და პილოტანო, რაცა ეთქვი, ყოელისა შფოთისა მქნელი ღვინო არის. მეცა სიმთვრალითა შმაგი ვიყავ და ქელი. ესევე მაქსენა, რომელ-ცა შეინანებს, ღმერთიცა შეუნდობს კაცსა შეცოდებულსა. მეცა ამას ველი, რა-ცა სიმთვრალითა შემეცოდებინოს, რომე შეშინდოთ.

როსტომ ყველა შეუნდო, რაცა ეთქვა. და ქვაბულ ზე ადგა. და მერმე ქვა-ბული მეორესა დღესა ეკვეწების გმირსა როსტომს: გიმასპინძლებ და განად-რებ, რაცა კვდება და ჩემსა ბრძანეთ. და მერმე როსტომ წაყვა, ინადირა და ეგ-ზომი დაქოცა, რომე ანგარიში არ იქნებოდა.

და ესე საქმე რადად ვაგრძელოთ, რომე სადა ორმოსა ვერ დასცილებოდა. იმა ადვილსა მოიყვანა. რა რომე ჭოჯი მოდიოდა, როსტომ რაში გაათიცხა და

კოცდა. რა რამდენ ორმოსა პირსა ფერკი დაკრა, აღარა რბოდა. როსტომ რაშსა ეგრე ეტყოდა, ვითა: რატომ დასდევო. შათრაკი დაკრა, სამსა ორმოსა გარდაქ-
ლტა და ბოლოდ მეოთხესა შიგან ჩაქლტა. ორმოსა შიგან მესისკლურად მაქ-
ვილი ლაქვრები იყო. ერთი ლაქვარი რაშსა აეჩარა და როსტომს გულზედან
დაესო. და მერმე როსტომ ღმერთსა შეეხვეწა: ღე, ღმერთო, ყოვლისა დამბადე-
ბელო. ბედი ჩემი სრულად გარღმობრუნდა, რომე ეშმაკურითა საქმეთა მოე-
კალ, და ჩემი სული მართლისა კვალსა შეივედრე.

და მერმე მივიდა შუყაფ და ეგრე უთხრა: ვაიმე, ეგე რა მოკდა. და თავი
უბერტულად დადვა. როსტომ უთხრა: კედავ, რომე წაქე და ფათერაკი მწარე
მომცედა, ნულარა სდგეკარ! აწეე ფიცხლად წადი, ზაალსა და ფარემუზს შეეყა-
რე. წაიარე და ესე უამბე, რომე საკელმწიფო გაამაგრე-თქო. და კიდევ ესე ჩემ-
გან დაიბარე, რომე ვინცა მომკლა, ნუ შეარჩენ-თქო.

შუყაფ მისისა სიკვამლითა საზარელად რამე უთხრა და მას როსტომ ესე უთ-
ხრა: კანჭართა ვსდევდი და ესე მისსა ღვენასა ზედა მწარესა ფათერაკსა ვეწიე
და ჩემად მკვლელად ისი გაჩნდა. ის ჩემი მშვილდი და ისარი კელთა ერთხელ
კოდევ მამეც, კანჭართა ვესვრი. ეგების კკრა და მოვკლა, და იმისი ჭავრი ეგე-
ბის გულსა აღარა ჩამყევს. და შუყაფ მშვილდსა, კილო ისრისა და თვით უზაბა-
რეე ჩაუგდებს. ღმერთმან შუყაფს კკუანი შეუცვალნა, რომე როსტომს
მშვილდ-ისარი მისცა. ძლიერებითა და სიჰქნითა როსტომ თავი და მკარი ზე
ამოყო და შუყაფს ნულზაქნა. თუ: სადა წამიკვალ, ესე ნაქმარი შენგან არის.
და შუყაფ შეშინებული გაიქცა და დიდთა კეთა დაეფარა. როსტომ გაფიციკებუ-
ლი ისარი ისროლა და კეთა კრა, კეთა გავლო და შუყაფს კრა და მუნვე
მკვლრად დადვა, და ასრე თქვა პილოტანმან¹: ამისგან უყეთესი და სასიამოვნო
ჩემს გულს არა აამებია რა, ამაღ რომე ჩემი მკვლელი და მესისკლე ჩემის კე-
ლით მოვკალ და გაეაქარე. ახლა ჰიკვდილი სანატრელია ჩემთვის. და მერმე
საკვლდებული გმირი როსტომცა გარდაქდა ამ სოფლით.

აქა პილოტანი როსტომ ამ სოფლით გარდაიცვალა

ჯამაზ, რაცა იცოდა, ბაამანს უამბო ცნობითა წყნარითა. მწარითა გულითა
ზაალს და ფარემუზს როსტომ ფალაყანი მოეთქვა და მერმე ჭავრიანითა გული-
თა ქვაბულისტანელსა მიუქედეს, რაცა ქონდა, დაუფორიაქეს, მოკლეს და გვარა-
თა ამოსწყვიტეს. ესე ნაქმარი ყველა წეროლად კითხა ბაამან ჯამაზს და მერმე
კელმწიფემან ბევრჯელ სულთქნა როსტომისთვის და სოფლისათვის მომღურა-
ვი არის. და მერმე ესე კადრეს: კელმწიფე, დღეგრძელადმცა სუფევთ და მისიცა
სული ნათლად არის, და მოაკსენეს: პატივ გეც და შეგვიწყალე, რომე კელმწი-
ფეთა გლოვა არა კლდება და აწლა გლოვა ნულარა არის. და მათ თავადთა და
სფადართა ესე კადრა ბაამან: რაცა თქვენ მითხრათ, განალამცა ექნა. მერმე
საგლოვარი აიღო და სპანი დასკნა, წართო ლკინი ასრე როჰე ლხინთა ქება აღა-
რა ითქმის და ფაშოთანს და ჯამაზს ესე უთხრა: მეც, რაცა ებრძანო, თქვენც იგი
ქნით. სულად ლაშქარნი შეყარენით და ყველგან წიგნი მისწერეთ! ფაშოთან
და ჯამაზ ეგრე კადრეს და მოაკსენეს: თქვენი ურჩი არავინ არის, შარიარსა გექ-
ცეწებით, რომე ესე გეიბრძანოთ, თუ სად ილაშქრებთ. ბაამან ესე თქვა: ჩემს

¹ პილოტანმან.

ტახტსა როსტომ შარიარად ყვანდა და. რაცა მამაჩემსა დაემართა, ყველა იმისი ბრალი არის და, რაცა უყვეს, ყველა ზაალ ქნა, ბერმან მისითა გრძნებითა. და მძორისა შკამელი ფასკუნჯი მან გრძნებითა მოიყვანა. აწყა ჩვენ იმრსთვის უწყყრებით, რომე მან გმირი მამა მომიკლა და სადამდისინ გვართა არ გავს-წყვეტ, მანამდისინ არ დავედგები. ფაშოთან და ჭიმაზ ეს კადრეს: ღღეს შარიარ-თა თავი თქვენ კართ, ანუ, რაცა გეარქასპის ექნას, ან ნარიმანს და საამს და პისთა გვართა და ანუ ნამსაკური მოაგონე. თუ აქამდინ როსტომ მწუვართაო, ეინ მოგიწონებს იმათსა ბრძოლასა, რომე შარიერი იმათგან კართ. და მათ გონიერთა ეაზირთა დაშაშლელი საუბარი ბევრი კადრეს. მერმე ბაამან მათ ესე უთხრა: არა დაეიშლი, რომე ზეცითაცა ეინმე მოავლინოს, და ჩემი ერცა არის, მიკმეთ.

და მერმე მოუწერეს ყველგან საკომბარი წიგნი და, რა გაზაფქული მოვიდა, სპათა ჭარი მოდგა და, თუ სთქო, აბჯროსნითა ლაშქართა აცავსილ იყო მთაცა, ბარიცა. საწუთრო დროშითა და შუბითა წითელ-ყვითლად ჩანდა. და კელმწიფემან ბაამან როსაბს უბრძანა: ესე ლაშქარი ათვალე და მან თვალა და ასი ათასჭერ ათასი მკლავმაგარი და ლომგული იყო. უქუტესნი და თავადნი კაცნი ზოგნი ცალკერძ გააყენა. იგი სპანი დარჩეული გულოვანი იყო ას ოთხმოცი ათასი, ცხენსა ბარგისტანი ება და სპანი აბჯრითა მოსილნი იყენეს. საბოძეართა აავსო და სხუანიცა მოიმაღლნა. და რა იგი ღღე გათენდა, ინლოურთა ყვიროსტიერთა კრეს, უამესი რამცა გაიგონებოდა, რომე კაცთა ქუჟაა შეუცვლიდა. და კელმწიფემან კაცნი უქმნა, და თავნი კაცნი დაარჩივნა და წამოვიღეს. და თვითო-თვითოსა რომე სპანი იაქლნეს, ბრძენი კაცი ვერა დასთვლიდა.

აქა ბაამანისაგან პირველი შეყრა ლაშქართა და სისტანისაგან წასვლა ზაალსა და ფარემუზსა ზედან სამტეროთ და მამის სისქლის ასაღებად

ბრძენთა და მეცნიერთა კაცთა არავის აკსოვდა ეგზომი ერთი ლაშქარისა შეყ-რა, რომე უმრავლესი სპათა ჭარი აწყა შეიყარა. მათ ლაშქართა სიღიღემან მთა და ბარი სრულად დაფარა, თუ სთქო, ცასა შიგან ვარსკვლავი აღარ არის და ლაშქართა უქუტესად სფაადარი ფაშოთან არის. და ათი ათასითა კაცითა ფაშო-თანევე წინ შავლად უძღოდა, სინათლითა მზისა დარი ვეშაისა საკე დროშა აქენდა. მას უკან ტუსისა შვილი ფეროზ გადგა, პილოთა, ქოსითა და ნადარითა სპათა ჭარი თანა გაყვა. მზის საკე დროშა ქონდა და თორმეტი ათასი მეომარი კაცი გვერდსა იაქლა. მერმე ლომგული და მკლავმაგარი ბეჟანის შვილი არდა-შერ გადგა. არავისგან დაითვლებოდა, რომე მეომარი კაცი იაქლა. პილოს საკე დროშა ქონდა და გვერდსა სპათა ჭარი იაქლა, და თვით ბაამანსაცა ეიმედა, ეს საუბარი მისთვის, და აწყა კელმწიფეთა გვარად არდაშერ და მას ეგრე უბრძანა: რა საწუთრო გამითადღეს, შარიარი შენ იყო. აწე კვლავე ლომგული და გულო-ვანი საომრად გამოვიდა. ერთობ კარგი ფალავანი არის და მისგან კელმწიფესა დიდი იმედად აქეს. შექისა მსგავსი სპანი იაქლნეს და ტანსა კუფთანი ეცვა. და მას უკანა შირინ გამოვიდა კვარაშანი კელთა ქონდა. კვლავე გამოვიდა მტერთა მეკით ხურმედემ, მოემნისა შვილი, მგლისა საკე დროშა აქეს და სპათა ჭარი გვერდსა აქლავს, მთისა დადარებული, ბარგისტნითა შეკაზმული შავი ცხენი ყვანდა. და აწე, დიდი ყოველთა კელმწიფე ბაამან ნაქეთ, თვით გვერდსა აქლავს მისრისა კელმწიფე, ბევრი სხუაცა საკელდებული, კვლავე შინაური მონები,

ყველაწი მისთვის საკელისა თაედებულნი იყენეს და, მერმე ყოვლისა საკელ-
მწიფოსა ბარგი აქეს და ცათა შესწორებული დროშა, მორკმული და საკელგა-
ღაღებული. ეგრე ლაშქართა წინა მოუძღვება.

რა ფარემუზ ესე გაიგონა. პირისა საკე მოშალა, მივიდა და ფალავანსა ზალ-
დასტანს მოაკსენა: გასმია, რომე¹ დღეისა სახე ბაამან გვიწყარების, მამისა საქმე
მოუგონებია და ზედა ლაშქართა მოგვიკლებია. და რა ფარემუზ ზაალს ესე საუ-
ბარი უთხრა, რაცა მეოპარი ყუა, ფიცხლად ლაშქარი შეყარა. მერმე ლომგული
და მკლავმაგარი არმანდისა წყალსა იქით დაღვა და სევილით საცემან ესე თქვა:
ესელა საწუთრო გამოსვენებით ცოტას ხანსა მაქეს. და სპათა აჰას ეუბნების ფა-
ლავანი ზაალ, და ბაამან კიდევე გვიშლისო. ვინ იცის, თუ ეტლი რასა იქს და
აწუ ლეთისაგან რა მოკლებდის. ბელკანისათ დადრკა ბერი და საგონებელითა
აიფსო და ფარემუზს ამას ეუბნების: რაცა ღმერთსა სწადიან, ვერ აცილებდები-
თო და ესრე თქვა: ასრე ყოფილა, რომე ეტლი განგებისაგან შექნილა, ლეთისა-
გან კაცსა ზოგჯერ ლხინი აქეს და სიკარული, ზოგჯერ ჰირი, და თუ აღარა—მან
სული სიბილწითა აავსოს, და ჩემისა ჰკუისაგან ერთსა ბერულსა საწუთროსა
კიდევე ვკადრებ, ქებულსა თვალსა და მარგალიტსა და ოქროსა ბევრსა უძღვნი,
და მერმე შეეკვეწევი და თაედადებულსა სიტყვებსა შეუთული, და თუ აღარა
მომისმენს, საომრად გაფიცებულსა გამსინჯავს, ნიადაგ გამარჯვებულსა საამის
ლატსა ავიღებ, ეტლი და განგება რას მოიღებს, ორთავე სცნათ. ერთქელ კი-
დევე საომრად გაფიცებული სიბერის ეჰს გამსინჯეთ, რომე ყოველსა დაბა-
დებულსა ჩემგან იადგრად აქსოედეს და, ვინცა ჩვენი იყოს, მოიქმეთ, რომე იმა
მოყინებულსა მზასა დაგვკვდეთ და, სანამდის გავონებულსა ამბავსა ვიამბობ,
და თუ ქელმწიფესა შეეძართო, ტახტსა ზედან არა იქნების. სპათაგანცა ტახტს
პატივი უნდა, თუ ქელმწიფე ჰკუითა მოეგების. და თუ კაცი ცოტაზედა ჩქა-
რობს, შფოთი აღრე იქნება და, რა რომე ლაშქართა დაუტოცენ, ტაქტი აღარა
იქნების.

აქა ერთისადა დღისა სავალი არის, რომე შარიარი მოეწურა. ესე, რაცა
ფარემუზ დადრეჭილი კართა გამოვიდა, მისი ვინცა იყო, აკმობინა და ყველგან
კაცი გაგზავნა და მკლავმაგარი მეომარი იმათაცა ბევრი შეეყარა და მათ შა-
უს უბრძანეს, სპათა ჯარი ათვალეს, და ლაშქართა სპასალარი შენ იყავ! თვალეს
და სამოცდაათი ათასი მეომარი კაცი თქვეს. ყველაქაი აბჯარი ჩაცმული, მკლავ-
მაგარი მეომარი იყო. ქელმწიფე და შარიარი ბაამანცა აქლოს მოვიდა. თვით
ფარემუზს რაცა ასმოდა, ზაალს ამას ეუბნებოდა, ასრე დიდნი არიანო, რომე
მათისა სიმრავლისაგან ანგარიში არა იქნების. მერმე ზაალ საჭურჭლე გაქსნა,
რაცა კარგი ეკადრებოდა, და საამისაგან დიდებულსა საჭურჭლეთა თვით იგი-
ვე გაკვირდა, და მერე ბევრი რჩეული თვალი. მარგალიტი გაუგზავნა, ათი
ტვირთი აქლემი და ასი მზისა დადარებული პირმთეარე ქალი, მრავალი ტურფა
და კარგი ტაიჭი, ერთობ ქებული და სების პირი.

აქა ზაალისაგან წიგნის მიწერა ბაამანთანა

და მერმე წიგნი ქელმწიფისა საქებელი და საკვეწარი საუბარი. პირველად
ღმერთი ყოვლისა სულიერისა და მბაადებელი და საწუთროსა განმანათლებელი,

¹ რამე.

და მერმე ზაალისებრი ლმობიერი სიტყვები: სულბრწყინვალე შარიერი ტახტზედაჰყა მორქმით ზიხარო, ხელმწიფე მოსამართლე, გულოვანი და მკლავმაგარი, და საწუთრო შენითამა ბედნიერობით იქარებს. ერთგულიმცა თქვენი კარგად გეყვანან და თქვენიმცა ბედი წმინდა არის.

ხელმწიფეო, ესე თქვენცა იცით, ესე სოფელი და საწუთრო მოკლე არის. ღმერთი კაცსა მაშინ შეუნდობს, რომე საქმე კარგ ნაქმარი ქნას. ძველისა მტერობისა დაქსოენა შარიართაგან გულსა შინა სადებლად არა ხდების. ვითარცა ღმერთი შეუნდობს კაცთა შეცოდებასა, ეგრე შარიართაგან კამს შენდობა და არა ქსოენა. და ქელმწიფე აჟა ჩემისა საუბრისაგან გულსა შინა ნუ გაწყენდების, უბრალო ვართ, იცით თქვენცა. თუ აქასა ჩვენსა მოგვისმენთ. გასმიალა თქვენთა ვაზირთა მეცნიერთაგან, რასა ოდესაცა ექვეყნით სულბრწყინვალესა და კურთხეულსა მამასა თქვენსა, და ამას ბრძანებდის. თუ როსტომს მკართა შეუკრაო და შეკრულსა ისრე ჩემსა წაიყენანო. და მან ზენაარი არა გვართვა და არცა აქასა ჩვენსა უსმინა. და აწე იგი ორნივე სამოთხეს მართალსა ზხას წაიედეს და, თუ კაცი კჳუსასა და გონებასა მიკვდება, ჩვენცა ყოველნივე გარდავკლებით. თუ ქელმწიფე სამართალსა ჩაუშვებს და, ანუ ჩვენსა საუბარსა ყურად იღებს, მართ ღვთისაყენ მიიკვდეთ, თუ რამდენჯერ თქვენთვის შევებულვართ.

აქა ზაალისაგან ქელმწიფე ბაანანის წინაშე წიგნის მიწერა და ჴვეწნა

გექვეწებით ქელმწიფეო, რომე ჩვენთა გვართა ნამსაკური მოიგონოთ, თუ რამდენჯერ მოვხმარებოვართ ომსა შიგან თქვენთა სფაადართა, და თქვენთვის, რაცა გვიმსაკურებია, ამისი ქსოენა მართებს შარიერთა. და გექვეწებით, გულდამწვართა ნუ გვიწყრებით და ნულარცა ავკმლით. კიდევ გეაჭებით, რომე ღმერთი მოიაჭოვოთ და ჩვენთვის აღარა წყრებოდეთ. თქვენს ძღვენი ყოვლისა თანა საკელმწიფეო გამოგზავნე და თუ გული თქვენი მენუკვის, კვლავე უფროსსა მოგაქსენებ, და მეცა თქვენს კარსა ვიღვე. თუ თქვენი ბრძანება არის, ფარემუზცა შენს წინ მოკედეს და თქვენსა კარსა არ გაეყარო. თუ სიბერე არ მომერიოს, შარიერსა მეც წინა გიღვე, ყოველი კაცი მოგიწონებს, ვისცა ესმის, ამა ნაქმარსა.

და ზაალ ესე წიგნი შაუს მისცა და ტბილსა საუბარსა ედრებს. აწე ამასა ზედა ავიდა და ბერი შაუ მოციქულად წამოვიდა. გაუკვირდა და შეზარდა შაუ, რა იგი სპანი სრულად ნახა, და ესე მასვე წამსა ქელმწიფესა მოაქსენეს, შაუ რა მოციქულად მივიდა დიდისა ძღვენითა, აქა ზაალისაგან გამოგზავნილი არისო. ფიცხლად ფაშოთან და ჴიმაზ იკმნა და ბაანან ამას ეუბნება: ხლაითთა სასე ზაალისებრ კორციელი კაცი ვინა იქნების, ამას ლამის, რომე საქონლითა მამა დაესთმო, მაგრამ არა ეგების. მოვიყვანოთ და შაუს კვითხოთ, თუ რას მამბობს. ერთობ მეკვირვება!

შაუ იკმეს და შარიარსა წინა სპასალარი ფაშოთან შეუძღვა, თაყვანის-სცა, და ქება შეასცა და შარიარი დალოცა. დიდ ხანს დაჯდა და არა თქვა რა. მერმე ქელმწიფემან კითხა, თუ: რასათვის მოსრულ კარ. და ქელმწიფესა წიგნი მისცა და საუბარი სხვა არა თქვა რა. ქელმწიფემან იგი წიგნი წაიკითხა, ერთობ გაუკვირდა. გული ჴავრით ეგრე საესე ქონდა, თუ სთქვა. ცეცხლი ეღებისო. და

ამას გეტყვი. ჩამოკესენ, მამა დასთმეო, და ნულარა უწყრებიო. და თუ მამასა ჩემსა დაესთმობ. მრთული ვინცა იქნების, რას მეტყვის. იტყვიან, თუ: მამა გაყიდაო და ფასი აიღო. ბრძენთაგან არა გასმია, სისკლისა აღება ძნელი არისო. განკიჯხვის ეპსა ლეთისა წინა რა სათქმელი ვთქო, და მას საუკუნოსა გვართ წინა პირბნელად გამოსჩნდები. ესე ჩემი გული მანამდის წვისაგან არ მოისვენებს. ამა ჩემისა კლმისაგან სადამდისი ბერსა მგელსა არ შევავიწრებ, ზაალს. ფარემუხს და ვინცა მათი არის, საგდებლითა არა დაეკრავ. ამის მეტსა რასაცა წევეჯრდე. ღვთისაგანცა შეჩვენებული ვიქმნები. რა სრულად თავადთა დაუტოც. ბერი მელი ქელთა მეყოლების, რაც მისი საქონელი არის, ყოველი ქელთა დამრჩებოს და მერმე წაეღო და მეკლართა დაუწვაე. თვით საშინელი ესე უყო, მათი ყველაჟი ამოვაგლო და ერთიცა მთელი არ დაევაგლო. საშინელსა კვამლსა აუშვებ და ოთხსავე ტანსა დაესწვაე: გვარჯასისა და ნარიმანისა, საამ და პილოტანსა როსტომს და, ვინცა და ვინცა გვეწყეს, მას უკანის მათსამცა სულსა ზედა იქნება.

აწე რა ესე ესმა. ღონე აღარა ქონდა და შუა საუბარი კადრა: აგრე წყრომით საუბრისა ბრძანება შარიართა არა მართებს. ნეტარ ფალავანთა და უზუბართა მეკლართა რაღა შეუცოდებია, და მე აწად გჯადრებ საუბართა, რომე სიციოცხლითა გამაძლარი ვარ. აწე ზაალს ძღვენი გამოუღეთ და გულდამწვართა ნულარა დასწვაეთ. მერე შარიარი მას დღესა მოღმობიერდა. წართო და ლხინი შექნა.

და რა გათენდა და საწუთრო განათლდა. ბერი შუა და ეაზირი ჭამაზ და ფაშოთან კარზედა უდგნეს. და შარიარმან ფაშოთანს და ჭამაზს აგრე უბრძანა: მეკვირება, რომე ამას ცდილობს ბერი მგელი, ილათითა დამაბრუნოს. აწე ესე იცოდეთ. თუ მამისა სისკლსა გარდაუშვებ, თხისაგანცა უქრლოვისი ვიქნები. არცა მისითა ლაყფითა მოვტყუდები და არცა მისისა საქონლითა. სანამდისინ ამა სოფლისაგან ზაალს არა გაეაქარებ და ანუ სისტანსა არ გარდაესწვაე, ჩემი გული ცეცხლებრ ჭაერისაგან იწვების და ნაღვლითა საესე არის. და ჭიმაზ ამას მოაკსენებს: ქელმწიფეე, ეგრე ნუ გამწყრალ კარ და აგრე ბეთილად ზაალს ნუ შკრეტო. მისებრი ლომგული და დაცდილი ფალავანი ვინდა იქნება, სპილოსაგანცა უმქნესი არის და ვერცა ნიანგნი მოურჩების. და რა შეყვირებს, მისითა შიშითა დევსაცა ვახეთქს და დიდთა ლაშქართა დარად გამოჩნდების; აქამდისინ ზალ ტაქტისა ზურგი იყო და შარიართა ნამსაკური. სკობს, რომე დამრუნდეთ და აღარა უწყრებოდეთ. ამისი მოსმენა კამს შარიართაგან და მერმე მეომართა ქელმწიფეთაგან მეკლართა დაწვა! მათგან გქონებია. ხელმწიფეო, გულ-მზრდელობა. როსტომისაგან მოიგო[ნ]ე, რაზმთა წყობა მან გასწავლა, და ქელმწიფობა მათგან გქონდა. რაზმცა ფალავნობა ქონდა, იგი მამასა თქვენსა არა მოკლევდა. სიკვდილისამდი ქელმწიფობა გოსტასაბს ეწადა. თეთრ მისი ბრალი არის. რა ლომგულმან მამათქვენმან მამასა ტახტი სთხოვა. მართ გოსტასაბ ერთი ბერული ქლათი მოუგონა, თუ, ვითა: როსტომ მქაჩმეკრული მამგვარეო, და თუ სხვა ჩემ კამთი ვინ არი, ტაქტსა რად მოგცემო. ამას ზედა გაგულისდა პილოტანი მამა თქვენი. დიდითა ლაშქრითა, ვითა ცეცხლი, იგი როსტომს ზედა მიუქლდა. მართალზედა ესე გასინჯე, მისისა სიკვდილსა ვის აბრალებ! ქელმწიფემან ესე გასინჯოს, და უბრალთა კაცთა წყენა ღვთისა დიდი შეცოდება არის.

მამა თქვენმან მოციქულად როსტომთანა თქვენ გაგზავნა. როსტომ ნადირობას იყო და სრულად სპათა ჭარნი გვერდს იაკლენს. სულბრწყინვალემან

მამამან თქვენმან სპანდიატ ერთი დიდი მთას ოდენი ლოდი დაუგორკვა და გულ-სა შიგან მისი მოკვლა ეღდა. ღმერთმან იმ ლოდისაგან იქსნა და წყალობითა შე-ნაკა.

მერმე შაუპ კადრა: პირველად შულლი, კელმწიფეო, შენ გაბედე. აწე კ-დევე შარიარო და პირად მზეო, შენვე ბედავ. ბეერითა აჭითა როსტომ მამასა თქვენსა ბევრა ეტყეწა და შეტყეწება არა უსმინა. და მერმე პილოტანი როსტომ-ცა ომაღ გაყვა. შაუ ესე პასუხი უთხრა და საუბარი სრულად დაეთქვა. მერმე კელმწიფემან დიდნი სულთქნა და, თუ სიტქეო, მართალ გული მოუკვდა. და ესე უბრძანა: ფარზან. იმ ავჯვარისა კაციისაგან თქმული არა გესმის? მერმე კელმწ-ფემან ესე უბრძანა, თუ მოციქული არ იყო, უსათუოდ თავსა მოგკვეთ. ფარზან უთხრა: შარიარო და პირად მზეე კელმწიფეო, თქვენგან მიკვირს, რომე ეგრე ბრძანებთ მისისა წიგნის პასუქსა. ესეთი თქვენცა გაუგზავნეთ. და მაშინ კელ-წიფემან უბრძანა მწიგნობარსა: ერთი მწარე და მკეახე წიგნი მოუწერე.

...ქა: კელმწიფის ბაამისაგან ზაალს წინაშე წიგნის პასუქი

მისწერა: ეშმაკისაგან ცთომილო, შენ ბერო მგელო¹, ღვთისაგან შეჩვენე-ბულო, სიბილწითა სავსეო, შვიდასისა წლისაო კაცი კარო, ცისა განგებისაგან თუ აღარაოს მოკვდი, აჰა, შენთვის მოვიდა ეჰმი, რომე ჩემისა კლმითა გაგწყე-ტო. შენცა წაეგე და საწუთრო შენისა ნათესაისაგან განწმდეს, და შენ ჩემისა კელისაგან ვერა იქსნები, და არცა სისხლისა ფასსა გამოგიღებ. მძიმე საკელისა სპანდიერის სანაცლოდ შენსა და შენისა გვარისათა ამოვსწყევტ და დიადსა სის-ქლისა ღვართა ავაღენ, და ამის მეტრცა გულისა ნება ნუ მოგკედებთ. ნუცამცა ჩვენისა კლმისაგან იქსნებით. შენისა წიგნისა პასუქი მაქვილი ქმალი, მძამე ლაქტი, მკვეთი ზუფინი და ისარი არს.

ესე დაწერა და შაუს მისცა. და ფიცკლად ქარივითა წაიღა და ზაალს წინა მივიდა და იგი წოგნი მისცნა. რა ზაალ ისეთი მწარე წიგნი წაიკითხა, ფიცხლად მისნი თავადნი უქმნა. და რა მოვიდეს, ყველა წერილად გააგონა, რაცა წიგნსა შიგან ეწერა, და შაუსთვის ზეპირ რაცა დაებარა, ყველა მისთა სთჳადართა და თავადთა გააგონა.

აღგეს და ისრე მოაკსენეს, ვითა: თუმცა ესე ჩვენ შეგვეგნეს, არცა ერთსა გაეაგზავნიებდით. აწე საწუთროსა დამბადებელმან ესე კარგად მოგვივილინოს. რომე ჩვენი განძი კიდევე მოგვივიდა. ამისი ქნა ჩვენ არა ვიცოდით და ყველა შენზედა მოვადგეთ, ამაღ რომ ასრე ვთქვიით: ზაალ მონაქული კაცი არისო. აწე. რადგან ესე ყველა საქონელი კიდევე გამოუგზავნია და არა ზენაარი გამოუღია. აწე შეწვევითა საწუთროსა დამბადებლისათა გენაქენ, თუ რაგვარ მოვიჭირეთ და მისნი. სპანი დავაზიანეთ. თავი და სული თქვენთვის გვირდა, ერთობილთა ჩვენნი სულნი თქვენთვის ფარად შეეკმნათ და თქვენითა ბედნიერებითა ჩვენი ზედა ავი და გატყევა არაოდეს მოსულა. აწცა ეეცადნეთ და ვებრძოლოთ, სადამ-დის ჩვენი სული ჩვენსა გვამსა და ტანშიგან იყოს. თუ ყოელისა ქვეყანისა ლაშ-ქარი ჩვენზედა მოვიდეს, ჩვენ გამოვაჩინოთ მძიმითა ლაქტითა, რაგვარაცა როს-

¹ გულო.

ტომ მახანდარს გაჰოაჩინა ლაქტისა სიმძიმე და მისი საკელი ცათამდისა აამალ-
ლა.

რა მისთა სპათა და თავადთაგან ესეთი საუბარი გაიგონა, ზაალს ერთობ ია-
ჰა და გაიცინა და ასრე უთხრა: ლეთისამცა წყალობა არის თქვენზედა და თქვე-
ნიცა სული სამოთხისა ნაწილი არის. მერმე მოიღო იგი განძი და სკვაცა ღიღი
თავადთა და ლაშქართა ზედა ღიადი განძი გასცა და დაამკიარულნა და ამოდ
კამოუსვენა, და ტუბილითა საუბრითა ყველასა თავის თავისა გამოუსვენა და
უწაღერსა, და გული დაუამა. მას ლამესა ასრე გამოისვენეს.

ღილასა რა საწუთროსა განჰანათლებლმან შუქნი მოფინნა, ღიღნი ლამ-
ქარნი შეიყარნეს და მოედანსა გავიდეს. მათისა ქოსისა და ტაბლაქისა კმა შეიდ-
ფარსანგამდისინ მიიწეოდა. აქათ ბაამან კელმწიფის ლაშქართა ასაყრელსა კრეს
და სისტან ქალაქსა მომართეს. ზაალმან ლაშქარი ქალაქადე შეასკნა და კარნი
გააპაგრნეს. მოვიდა ბაამან კელმწიფე და მისნი სფაადრნი და გარე მოადგეს და
ყოველგანით მრგვლივ.

რა ზაალმან ესე ნაჯა ნაღელიანად შეიქნა, არცა ვის გარეთ გამოუსებდის-
და არცა ვის შუუსებდის. და ბაამანის ლაშქართა შიგანმცა მცველნი დარაჯა-
ნი დააყენნეს და, ბალქის გზისაკენ რომე კარნი იყვნეს, მუნ კელმწიფისათვის
ტაქტი და საჯლომი დაუდგეს. ამას შიგან ხუთი თვე გამოვიდა, რომე ქალაქით
თავი არავის გამოუყვია. მერმე კელმწიფემან ჩამაზს ასე უბრძანა: წავიდეთ იღუ-
შალ და ქალაქისა ზღუდეთა გარე შეშოვლოთ და ესე გავიცადოთ, თუ ესე საომარ-
ი აღგილი სით უფრო მარჯვედ არის. წავიდეს ურუმად. და ფაშოთან მათკენ
ცალქე წავიდა. ქალაქისა ღიღთა კართაკენ აქედნა და ზაალ ზღუდესა ზედა წა-
მოდგომილ იყო. ფაშოთან, რა იცნა, ფიცხლად ცხენისაგან ჩამოკდა, ეთაყვნა
და ქება შეასჯა და ესე მოახსენა, ვითა: მაღალო თავადთა თაო, სიტყვა გამკვეთო-
ესე საწუთ[რ]ოსა დამბადებლმან იცის, რომე ჩვენ რაზომცა ვეუბენით შარი-
არსა, ნუთუ ვითა დაბრუნდეს და მისნი სპანი მოაშორნეს ამა ქალაქსა და სათე-
მოსა, მაგრამ შარიდამან ჩენნი შეგონება არად შეიწირა: რაზომცა მოვიტყირეთ
და მოვაკსენეთ, არა დაგვიერა, ამისთვის აღარა მოვაკსენეთ. ამას გვიბრძანებს,
ერთა: შენ და ჯიმაზ ნიადაგ იმა საკლისა მოყვარენი კართ და შინაურნი, და ყვე-
ლა იცით, სითაც სჯობს, წაგვიძღვით და სისტანს შეგვასკენითო.

მერმე ზაალმან ასრე უთხრა, ვითა: ფალავანთა თაო და გულნათელო, გაი-
გონე და ჩემი ნათქვამი მამისმინე. მეცა კარგა ვიცი, რომე საწუთროსა კელმწი-
ფე მეცნიერთა კაცთა შეგონებასა არას შეიწირავს და, რაცა არა სწადიან, ვე-
რას აწენეს საუბარი. მწვავე ბუნება ცეცელი კელმწიფე არის. საველოვანო სფა-
ადარო, ამას გენუცი, რომე კელმწიფესა შემაკვეფო, აქა გაისარჯოს, მოვიდეს,
ჩემი საგონებელი შევამოკლო და, რაცა გულსა მიც, ყველა პირდაპირ მოვაკსე-
ნო. ნუთუ ღმერთი მოიაკლოოს და ჩვენი ზრდილობა მოიგონოს და გული მო-
აღმოპიეროს, და ესე საქმე გარდაუშვას.

რა ზაალმან ესე საუბარი გაათავა, ფაშოთან ნაჯა. ასე უბრძანა, ვითა: სადა
იყავ, რომე ასრე გვიანად მოკველ. ზაალ გინაკავს და სიაკლე თურე გაგიგია. რა-
ფაშოთან კელმწიფისა ნაბრძანები მოისმინა, ასრე მოაკსენა, ვითა: კელმწიფეო-
ვერა დაგიმაღავ რა დაქემართა. ქალაქისა კართან წავედ და ზაალ მუნ დამკვდა,
ზღუდუზედა წამოდგომილიყო და ასრე მითხრა, ვითა: საწუთროსა კელმწიფესა
შემაკვეფე. მოწყალებსა და გულნათელსა, აქა მოსვლითა შემიწყალოს, რომე მათო

ბედნიერი პირი ენაკო. აწე შეიწყალე, გასინჯეთ და წავიდეთ. შეიგენით, თუ რა გაუგია, რას მოგახსენებს.

შარიარი დამორჩილდა და აგრე უთხრა: არამცა იყო, რომე ღალატა რასმე ეცადა მისითა თოიჯობითა და ავის მოქმედობითა. ფაშოთან მოაქსენა: აბჭროთა შეევეჯახმოთ და მივიდეთ. აქლოს ნუ ვენდობით. კელმწიფემან აბჭარი ითჯოვა. ჩაიკვა და მივიდეს, ზაალის პარისპირ მიუდღეს.

აქა ბაამანისაგან ზღუდეთა მიდგომა და ზაალის შექვეწნა

რა კელმწიფემან დაინაქა ზაალ, ეთაყვანა და მიწასა აყოცა და კელმწიფე დალოცა. ქება შეასხა და ეგრე მოახსენა: ცათა სწორა, მაღალო შარიარო, გარჯილხარ გრძელთა გზათაგან. მიბრძანეთ, რა გეპრიანების, თქვენი გულისა ნება რა არის, საწუთროსა შიგან თქვენისა ბრძანებისა შემცილე ვინ არის. ბაამან ეგრე უთხრა: კუუანი დაგფანტიან. დამბადებელსა თვალნი დაუბნელებიან და ზურგი მოგდრეკიან, ვითა არა შეგიგნია, თუ შენზედა რა მოწევნულა. აწ ჩემი ვარჯა და გზა რაზომი და სისკლთა დაღვრა არის შენი და შენთა ნათესაეთა, რომე შენ მოკალ დიდი თავადი. საკელგანთქმული მამა ჩემი და მე დამაობლე. არა შენ მოიგონე შენითა გრძნებითა ყოველი ქერკი¹ და ილათი, და ფასკუენჯი შენის მძორისმკამელი იყო, და აწ ისეთისა ქებულისა და საკელგანთქმულისა სისხლსა შენდა შენისა სახლისა და შენთა მოდგომთა სპათა გაზღვევა და სისხლისა რუსა ვადენ ჩემითა კელითა.

რა ზაალ შოისმინა, ეგრე უთხრა: მაღალთა შარიაართა თაო, ჩვენცა რაზომი ევხვეწენით, ზენაარობით და ფიცითა ბევრი მოვაწიეეთ, ნუთუ არა შეგვებმოდა და არა დაგვიჭერა და არა ზენაარი გამოგვილო. აწ შენთვის შემოვკვეწილ ვართო, ზენაარი გამოგვიღე და ძველებულისა და გასრულისა საქმესა ნულარა მოაგონებთ. მეცა დია მონანული ეყოფილვარ ამა საქმის. მაგრა აღარას მარგებს დაძველებულისა საქმისა სინანული, აწ შემინანიან ბრუნავისა ეტლისაგან. ნუთუ სხვა რა ავი იქნას ფათერაქად ჩემითა კელითა. აწ გვიბაქჩე ჩვენი სისკლი, შეიწყალე ჩემი სიბერე და მოღრეკილობა ზურგისა, დაკვირობა ზურგთა და ღაწვთა. ვე დღენი ჩემნი ეგრეც აღმისრულებიან, ცუდად ნულარა იყისრებ ჩემთა სისკლთა. ცოტა კანი სხვა მყალე. ნუთუ მოსამართლემან საწუთროსა შარიარმან გული ჩემდა წყალობად მოაბრუნოს, ეზომი სახელმწიფო მალი და განძი მოვახსენო, რომე მის უფროსი აღარა ეგებოდეს, რაცა საკელმწიფო მაქვს, ყველასა გამოვიღებ კელმწიფისა და მისსა სფადართათეის, ბეერსა ოქროსა და თვალმარგალიტსა, ყველასა ჩემსა მონაგებსა ჟორ-აქლემებსა აეკიდებ და ბალკეთ საკელმწიფოთა სალაროსა შიგან წავაღებინებ, და ფარემუხსა წელმერტყმულნი გაუყრელად კელმწიფისა კარსა ზედან გიდგენ და, თუ თქვენ ამისა აქა არ გამოგვილოთ და არ იპრიანოთ, თქვენსა და ჩვენსა² შუა მოსამართლე დამემოქმედი იყოს ამისა მოწაბე ბქე.

რა კელმწიფემან ესე გაიგონა, კელთა ბასრი ზუფინი ქონდა, აყვანდასა ზედა აემართა და გულჯავრიანად ბერსა ზაალსა შესტუროცნა. რა ბერმან ფალავანმან გამალებული ზუფინი მისკენ მიმავალი ნაქა, ორითა თითითა დაიკვირა და

¹ ჯარკი. ² თქვენსა.

• იოსა ზედან აბრუნეა. რა კელმწიფემან ძალიანად შეტყორცნილი ზუფინი რბილის ტარის წკნელი ბრუნეთა ადვილად დაჭერილი ნაჭა, გაუკვირდა და კიდეც ეწყინა. ჯამასას და ფაშოთანს ეგრე უთხრა: არა გიკვირსთ იმა ბერისა ბებლისაგან. როგორი კერკი და სიყისისე იქმარა? ჩემსა შეტყორცნილსა ზუფინსა ქვიტკირი ვერ დაუდგამს, რომე შიგან არ გაეარდეს, და იმან ისრე კისისად დაიწირა. ოცდაათისა წლისა ახალ მოწიკულმან ვითა ორითა თითითა ადვილად დააპურა. ზაალ ეგრე მოაკსენა: აწე ნაქეთ, ამ ბერისა კაცისა ნაქმარი. მე არცა ნალკითა გამოვადგებ და არცა ლალატად. აბჯარი იქმარეთ, და ფარი იფარეთ და გაფრთქილდით!

აქათგან ზაალისაგან ფეროზის მოკვლა ზღუდით დაღმა ზუფინით

რა ფარები ჩამოიგდეს, ამან ზუფინი ესროლა და კელმწიფესა ეგრე მოაქსენა: ეგზომ კაცნი ჩემსა ნაქრავსა ვერ დაუდგამენ. ზაალის ზუფინისაგან ფეროზის კერძი მზე დაბნელდა. რა კელთაგან წავიდა, ცხენით ჩამოიჭრა და კანდაქსა შიგან ჩავარდა, თუ სთქვა, ცოცხალი არაოდეს ყოფილიყო. კელმწიფესა დია დაუმძიმდა.

აქა დიდნი ომნი ბაამან კელმწიფისაგან და ზალდასტანის პირველი ომი

მერმე ზაალ მძიმეს ლაქტსა კელი მიყო. მქარსა შეიღვა და კართა გამოვიდა და ლომმან ვითა დაიყვირნა, და შაეი ღავლა ვითა პირსა პერულს ყრიდა. თანა გამოყენეს თავადნი და ფალაენანი და შემოუზაქნეს. მოუქდა ზაალ ფეროზისა პილოსა, ერთი ლაქტი დაქრა, ასეთი რომე თავი დააფრიწა, კბილები ჩააყრევიანა და პილო დასცა. რა ზაალისაგან ასეთი ნაქმარი ნახეს, კელმწიფემან იგი ადგილი დაავგო და ლაშქართაყენ წავიდა. და დავარდა ლაშქართა კმა, ზოგნი აბჯარსა იცეამდეს და ზოგსა ტანსა ეცვის. ზაალ მძიმე ლაქტი მქარსავე შეიღვა და ლაშქართაყენ მიმართა და, ლომმან კანჭრისა ქოგი ვითა, დაფრიწნა და დაფანტა. სითაცა სჯაადარმან რაზმსა მიმართის, ადგილი დაუგდლიან და გარიდნიან.

გაქვირდა ომი. ქალაქის კარი განაქვენეს და გამოვიდეს სჯაადარნი ზაულელნი. შეიქნა ზაქილი და გულოვანთა! კმალთა ქნევა: მოკალ, ჩამოაგდე, შეკარ. შეიპყარ და ნუ გაუშეებ. და სითაც მიუქდის გულოვანი, მონაქული, გამოცდილი ზაალ, მემომართა თავი ტანისაგან გააშორის. ასეთი მტვერი [ა]ყენეს, რომე თვალთა წინა გზა აღარსით არა ჩნდა. ერთყენ ფარემუზ მოუქდა ლაშქართა წაყრინათა გულითა და ლომმან ვითა დააწყვიტა რაზმი, დაფრიწა და დიდთა ფალაენთა და თავადთა თავი მიწათა თანა გაასწორა. მათითა ძლიერად ცეპითა და კმალთა ეღვიოთ, თუ სთქვა, ცით მექსა სწვიმდა. და ერთ კერძ ფარემუზ და სრულნი ლაშქარნი ასრე გატეკეს და დაიფორაქეს, არცა თავი შეეტყობოდნა და არცა ბოლო, და არცა თავი იცნობებოდნა და არცა მონა, და ველარა დაუდგნეს ბაამანის ლაშქართა. კანჭრისა ქოგი ვითა წინა გაიქცნეს, სღვენეს, დაქოცეა და სისქლის ღვარსა ადენდეს.

1 გულოვანთა.

ასეთნი გაქეულნი, კელმწიფესა ზედა შელენონი, წყეულნი, უთავბო-
ლონი, უფროსნი დაკოდილნი და დაქვეითებულნი და იმედგარდაწვეტილნი,
დადგომილნი. და შეგებისა ნაცვალად ცხენ აბჯრისა მათისა თავისა და ბარგ კარვე-
ბისა დაყრა, და მიჭირებებისა დადგომილ. დაღალულთა, დაქვეითებულთა ლაშ-
ქართა მათთა ლაშქრითა უქანს მისდევდეს გულშეპარულნი, მტერთა ზედა გა-
მარჯვებულნი, გულოვნად სისხლსა მიაქცევდეს. მრავალნი ტანი უთაოდ იღვოს
და თავი უტანოდ. ამა წესითა ზუთსა დღესა და ღამესა მისდევდეს.

მეექვსესა დღესა, რა საწუთროსა განმანათლებელმან პირი ვარდის წყლითა
დაიბანა და საწუთრო ლალისფერად დააშენა, ზაალ და ფარემუზ და მათნი
ლაშქარნი მობრუნდეს და სიქარულითა ნაკვერცხალივითა ბრწყინვიდეს. აგრე
გულშეპარულნი მოვიდეს, ბაჰანის ნასადგომეკსა ზედა მოიარეს და აზომი
საქონელი ცხენი და აბჯარი იშოვეს, რომე ერთობილნი ლაშქარნი პირთამდი-
სინ აივსენეს. მერმე ფარემუზ ლაშქარისათვის კელი გასაცემად გაქსნა და მისთა
დიდთა და წვრილთა ზედა დიდი საქონელი გასცა. და ყველანი პირთამდისინ
აავსო და მით განძითა მრავალნი სკვანი სთაადარნი მოიძღვნა და პირთამდისინ
სავსენა, გამარჯვებულნი სისტან ქალაქად შევიდეს გულშეპარულად. და მბრუნ-
ვი ეტლა მათის ბედისად იქეოდა. მოქალაქეთა დალოცეს და გამარჯვებისათ-
ვის ლმერთსა მადლი მისცეს და ფალავანსა ზაალს და ფარემუზს ქებასა შეას-
კმიდიან. და ყოველთა დღეთა და ღამეთა ნადიმობდეს, სმიდეს და კამდეს, და
ეგრე გამოისვენებდეს ცათამდის თავ-ამალლებულნი, ბურობდეს და ნადირობ-
დეს.

აქათ საწუთროსა კელმწიფე ბაჰანს მივიდა გაქეული. ერთობ ყოფა სა-
წუთროში მისთვის გამწარებული. მისნი დაკოდილნი და ნალელიანნი, დაქვეითე-
ბულნი, ცხენდადგომილნი, დამაშვრალნი, ფერწასულნი. და მრავალი შვილა
უშმაჟოდ მტაულიყო და მამა—უშვილოდ. მათ ზედა ეტლსა უკუღმა ებრუნა და
მარიკსა მესისკლობისა კარი გაეღო. და მას ომში ერანელნი დაქოცილიყვნენ
ორმოცი ათასი და დაკოდილიყვნენ ოცი ათასი.

აქა ბაჰმან კელმწიფისაგან მეორედ ლაშქართა წმობა და ზაულისტანს მისვლა

ამ შეჭირებებასა შიგან რა ცოტა კანი გამოვიდა, კელმწიფესა მათი ჯაერი
მოაგონდა და ასრე გაგულისდა. რომე მისი გული მისსა ტანშიგან აღარა ეტე-
ოდა. და მისნი ფალავანნი და თავადნი უქმნა და ასრე უბრძანა: ვინათგან მტერ-
სა პირისპირ ვერ დაუდგებთ, თქვენ ოჰსა შიგანცა არა გმართებს შესვლა და
არცა რაზმისა ომი. დღისითგან თუ არა შემოიქცევით და ომად არ გაქვალთ,
ერთი კაცი ასე სთვალეთ, ვითამცა ჩამოვარდნილი ცეცხლი არის ანუ კლდე-
რაგვარ, თუ ამან სრულმან ლაშქარმან ერთსა კაცსა ვერ დაუდგენია და გაიქე-
ციო, ფარემუზ არცა ცეცხლი იყო და არცა უჩინარი დევი! რაგვარ, თუ მას
კაცი ვერა ებრძოდეს. იგინიცა ჩვენებრვე კორციელნი და კაცნი არიან, არა
რკითანნი, რომე ტყვიელი არა შეესმოდეს. და არცა ოსბანია და არცა შავი ქვა
არის იგი ბერი მგელი, რომე კმალმან და ისარმან ვერა ავნოს რაჟე. კელმწიფე-
მან უბრძანა თვეადთა და ფალავანთა, ვითა: დაეშაადენით რაზმისა ომად, რომე
სისქლი ავიზლოთ და ზაალის თავი ფერქთა ქვეშე მოვიქციოთ.

მეიყარნეს ლაშქარნი, სამასი ათასი კაცი მეომარი შემბმელი. მერმე ძველ-

თა სალაროთა კარნი გააღებინა კელმწიფემან და მეტად ურიცხვი საქონელი და აბჯარი გასცა ლაშქართა ზედა. მერმე ჭიმაზს უბრძანა, ვითა: ამა საქმესა საღაპლის დამალავ და არას იტყვი. დაქედენ ეტლისა გუმბადსა. ჭიმაზ კითხა რაჰლსა და კარგად გაიყადა და კელმწიფესა მოაქსენა, ვითა: მართალსა მოგახსენებ და ნუ გაშაწყრები, ისრე ჩანს, რომე ამა ომისაგან თქვენთა ლაშქართა დიდი ზიანი დაეპართების, და მბრუნავი ეტლი ფარემუზისაჲს არის და აწ, თუ კელმწიფე ჩემსა მოქსენებასა მოისმენს, და გაიგონებს და დაიწყებებს, სისკლივარდაუშვას. კელმწიფემან უბრძანა ჭიმაზს: სადამდის ერთხელ საწუთროსა. შევევიწროებ იმა ავეგარსა ზედა, მუნამდის არა დავდგები. ჭიმაზ მოაქსენა: მაღალო, საწუთროსა შარიარო, ამა ომსა შიგან სამცერ თქვენი ლაშქარნი დაზიანდებიან და მესამესა ომსა ზედა ცოტად თქვენცა განაწყენდებით. და თქვენიცა შეშინიან, რომე ავი რამე წაგვეკილოს. მეოთხესა ზედან რა შეიბმიო, თქვენი მტერი ვატყუდების და შენითა კლმითა დაიკოცებიან და, რაცა ოდენ მათგან ნაწყენი მოგაგონდების, ყველასა შენ გარდააქედენებ და მტერთა თქვენთა ფერკთა ქვეშე მოიქცევთ. და ყოველი პირი მიწისა თქვენსა ნებასა ზედა იქნების და თქვენისა ბრძანებისა მორჩილნი არიან.

რა კელმწიფემან ესე მოისმინა, ესე თქვა: პირველსა და გარდასრულსა აღარა ქსნა უნდა, რადგან აგრე გრძელი და ბოლო მოუღებელი მითხარ. და ვინათგან ჩემი საქმე ჩემისა ნებისად იქნების, და ოქროსა ტახტსა თავი ჩემივე საჭრომელ იქნების, ნავროზობა და [ა]ხალის წელიწდის თავი გარდავიქალოთ და ამოდ გამოვიყენეთ. მას უჟანით რა ნავროზი გამოვიდეს, უქმნათ და შევიყაროთ დიდი ლაშქარნი.

და გაემართა. სფადარი ფაშოთან კარგითა გულოვანითა დიდითა ლაშქრითა წინა მავლად გაგზავნა და თვით უკან წაუღდა ასრე დიდითა ლაშქრითა, რომე ზღვისა ღელვასა გვანდა. რა ესე ამბავი ბერსა ზაალს მიესმა, ვითა: ბაამან კელმწიფე ურიცხვითა ლაშქრითა ზედა მოგვლამის, ფალავანი ფარემუზ უქმოდა თავადნი გვერდსა დაისვა, და აღლუმი ქნეს და თვალუს, სამოცი ათასი მეომარი შემბმული კაცი იყო. და მერე დიდი განძი და საქონელი გაუყო და ყველა მოიმაღლა. და მასვე წაშსა გასაბმელი ფარდავი მინდორად გააღებინა და ბარჯკარები დაადგმევინა.

და ორნი როსტომის ასულნი იყვნეს, მამისა მსგავსად შემძლებელნი: ბანგაჩას გულოვანი და ზარბანუქ ლოჰნი, მოვიდნეს ზალდასტანს წინაშე და სამოძარი მამაცობისა სარტყელი შემოირტყეს, და სამი დღე და ღამე დასტანს წინაშე დაყვეს. და მეოთხესა დღესა ერთი ფიცხლად მავალი ფაიკი მოვიდა ქარი ვითა და ზაალს მოაქსენა, ვითა: მოვიდა ბაამან კელმწიფე ლაშქრითა ურიცხვითა, დიდითა და ძამისა დღისა სავალი სკვა უც, რომე აქა მოვა.

მერმე მაღალმან ზაალ ფარემუზს უბრძანა, ვითა: შესკით ლაშქარი, აღარა დგომისა ეამი არის და ერმანის ზღვის პირამდის მიდით. და მუნ დადევით და იქით სქევან ნურსად წახელო. და ზაალ სისტანისაჲს კიდევ მიბრუნდა. ფარემუზს ეგრე უთხრა: მე ქალაქისაჲს მივბრუნდები, წავალ, არცა მიყო იმა ავეგარმან. კაცმან, რომე ლაშქარნი შეყრილნი ქალაქისა კაროანისა დასაპირავად გაგზავნეს. შენ დამბადებლისა მინდობილი იყავ და, რაცა მოვიდეს შენ ზედა ავი თუ უნდო, კარგი, ყველასა ზედა-ზედა მაცნობებდი. მე ვიცი, რომ ღეოისა წყალობითა ვერაჲ გვიზმენ. და ზაალ ამას ზედა სისტანისაჲს წავიდა. და ფარემუზ ლაშქრითა წავიდა, ერმანისა პირსა დაღდა.

ამაშიგან რა ბაამან კელმწიფემან შორით ლაშქარნი დაინაგნა, განაწყენდა. და მასვე წამს ფაშოთან მეტად დიღითა ლაშქართა კელმწიფისა წინაშე მივიდა და ზაალის კარებესა და ფარდაგებსა უჩვენებდეს. და ერთსა კვირასა ბაამანის ლაშქართა ერთად ყრა დაიწყეს და საომრად აბჯარსა კაზმიდეს. იქით-აქით თავადთა ფალავანთა კარები დადგეს და საშუალო ბაამან კელმწიფისა სრა ფარდაგი დაუდგეს. შარიათი კარავსა შიგან შევიდა, ფაშოთანს უკმო. კელმწიფემან უბძანა: ზაალ არისცა, იქი ლაშქართა შიგან იყო. ლაშქარნი ფარემუხს უბძანა. ესე საკვირველი საქმე მე ესე გამეგო, რომე ლაშქარნი სისტანს გამე-ვზაენნეს ქალაქის კართა და გზათა დასაქირავად და შესაქირავად. და იმა თოჯამან და გარნეულმან ზაალ შეიგნა და გაფრაზილდა. და მერმე ფაშოთან მოახსენა: მაღალო და საქელვანთქმულო კელმწიფეო, ზაალს თქვენ ცოტათი თვალითა ნუ სკვრეტო, საქელოვანი და ჰკვიანი კაცი არის, და თათბირი და გამორჩევა ყველა კარგად იცის. კუთის საქელმწიფოს გაგება შეუძლია. რაზმისა ეამსა მთერალი სპილო ვითა გაგულოვანდების, ოდეს შექურცილი იქნების. თქვენ ასრე გგონია, ვითა სნეულსა და ავადყოფსა ვითა ჰკუანი წასვლიანო. მამაცობასა და სიძველენეს ველარას იხმარებსო. ტუსის შვილი ფარემუხ ისრე ადვილად მოკლა და არგანით სპილო დასცა და კბილები ჩააყრევირა.

აქა ბაამანისაგან ფალავანის ფარემუხ თანა წიგნისა მიწერა

მერმე კელმწიფემან ბაამან ბრძანა: ღია ვიცი. და ღნიოში წიგნი მიუწერა. ვითა: ავძალო და ავთესლო, შენ ასრე გეგონა, ვითა: ჩემთა ლაშქართა გატეხა შენგან იყო, ესე ნიჭი ზეცით რომე მოგეცა. აწითგან შეყარენ და მოკაზმენ შენნი ლაშქარნი და წინა დამიდგე, და ასრე იცოდე. თუ ღმერთი ერთხელ შენ ზედა საწუთროსა შევაიწროვებ და გარდავაგულენ, შენ ესე გგონია, ვითა: ზელმწიფე ბაამან გარდაიკვეწა და გარდაიკარგაო, ველარა შემამებმისო. ღმერთმან შენი საეჭვი შენ დაგიბრუნოს! ნუ ოდეს ყოს, შენი თავიმცა მტვერითა საესე არის და გული შექირავებითა და ნაღვლითა. ესე დაწერა და გაუგზავნა. რა ფარემუხს ესე წიგნი მიართვეს და წაიკითხა, ასრე თქვა, ვითა: ბაამანის ნიადაგმცა გული ნაღვლითა და სევდითა საესე არის. მას ღამესა დაემზადნეს ლაშქარნი.

დილასა რა საწუთროსა დამაშვენებელმან მნათობნი შუქნი მოფინა, ორგნითვე ლაშქართა შიგან ქოსთა და ტაბლაკთა კმა შეიქნა, და დაეკაზმნეს და შესკდეს, ამართეს დროშები და შუბებისა პირები ცამდის აამაღლეს. ერთვე ფარემუხ გავიდა და კარგად დაკაზმულნი ლაშქარნი გაასკნა. და ფალავანი ზავარ მარჯვენათ გულოვანითა დიღითა სპითა ლაშქართა, და მარცხნივ მკარსა ფალავანი მარჯუბან მოვიდა. იქით ფაშოთან საომარსა მოედანსა შიგან. ფარემუხ ეგრე თქვა: იგი ფაშოთან არის, ერთობილნი ერანელნი სფაადარნი არიან და კვლავი ფაშოთან მათი ზურგი ასეთი საქელოვანი ფალავანი არის, რომე მოედანსა შიგან იპისებრთ ცხენის ზურგსა არეინ ჭდომილა. რა ფარემუხისაგან ფაშოთანის ისეთი ქება გაიგონა, შვილი შეეკვეწა მამასა და ასრე მოაქსენა: ბრძენო და ჰკვიანიო ფალავანო, თქვენსა მზესა და როსტომ ფალავანის სულსა, დასტური მიბოძე, რომე მიუქდე ფაშოთანს და ენახო მისი მეომრობა. ფარემუხ რა ესეთი მძიმე ფიცი გაიგონა, სულისა დაღების მეტი არა ღონე ქონდა. ნაღვლიანად შეიქნა და გული დაეწვა, და თავისი ცხენ-აბჯარი შეილსა ჩააცვა. და ბარჯისტინანსა ცხენსა შეჭდა, მძიმე ლაქტი, ფარი, ზუფინი და ერთი მშვილდი ქარქამ-

სა ჩაიღვა, კანის საგდებელი საკრტილსა გამოება და ფაშოთანს ზედა მიუქდა-
ვეშაპივითა.

რა შარიარმან ბაამან ნახა, ჩიმაზს უბრძანა: ისი ვინ არის, რომე მოედანსა
შვიან საომრად მოვიდა. მოაკსენა: კელმწიფეო, ფალაენის ფარემუზის უქუცესი-
შეალი საამ არის, ძლიერი ფალაენი და გულოვანი, რომე ლომსა მისითა შიში-
თა კანგნი წასკვივიან.

აქა ფარემუზის შვილის საამისა და ფაშოთანის ომი

რა საამ ფაშოთანის სიაკლოვეს მივიდა, ასრე უთხრა: საკელოვანო, ვინ
ქარ, მითხარ, ან ვისისა გვარისა ქარ, აგრე ჩქარად მოსრული. საამ ეგრე უთხრა:
მე ვარ საამ საამის გვარისა და ნარიმანის ნათესავი, როსტომის შვილის შვილი,
ფარემუზის ზურგისაგან, რომე ყოველსა დაბადებულსა მისგან ეშინიან, და
თქვენ ზედა მოიჩქმა და ამალდა. და ჩემი საკელი ზეცას მისწვდა, მე იგი ვარ,
რომე ჩემითა კმითა ზღვა აღუღდების, და ჩემი სავარდე შეიდნისა მტვერი არის,
და ჩემი ღვინო—ფალაევანთა სისხლი. აწ შენი მითხარ, თუ ვისი გვარისა ქარ. შე-
ნი საკე და სახელი მიწისა პირსა ნუმცა არის. ფაშოთან ეგრე უთხრა: აგვეარო, მე
მაამან ჩემმან ფაშოთან დამარქო, თავადთა ზურგი და კელმწიფეთა ნაშობი ვარ.
ტუმბოთა ზავის შვილისა შვილი ვარ. თუ ფერკთათა მძიმენი ბორკილნი შემო-
ჯარნენ, ქაიანურითა შეკრულნი, მათ გავსწყვეტ და, თუ დიდთა ფალაევანთანა
წინა შავსა მიწისა სისკლითა შევლდება!

რა ერთმანერთსა ესე საწყინარნი სიტყვანი უთხრეს, საამ მიუქდა ფაშო-
თანს და ბასრი ზუფინი შემოსტურცა. რა ფაშოთანსა სიახლოესა ზუფინი მო-
ვიდა, ფიცხლად ცხენისაგან ჩამოკლტა, და ზუფინმან გარდაუარა და მიწისა
შვიან დაიმალა. ფიცხლად ცხენსავე მოაკლტა და წნორის ფურცელივითა ათრ-
თოლდა.

საამ ფაშოთანის ეგეთი კერტი და სიკისკასე ნაქა, დია გაუკვირდა და კელი
მძიმესა ლაქტსა მიყო და, ვითა მეომარი ვეფტი, აგრე გაფიცხდა და ზედა მიუქ-
და, კრა ლაქტი და ფაშოთანს მკლავი ვერც კი შეუღრიკა. კვლავე გაიყენეს ცხე-
ნი, ორთავე მეომართა გულოვანთა შეუტრევეს ერთმანერთსა. ომისა მძებნელმან
ფაშოთან გაგულსებულმან ლომმან ვითა აღმასისა ფერი კმალი საამის თავსა
გარდაკრა და ვერა ავნო. მერმე საამ მოუქნივა კმალი და ფაშოთან თავი მო-
არიდა, ჩამოკრა ცხენსა და თავი გაუგდებინა. ფაშოთან გარდაკლტა და ქაქვისა
კალთა სარტყელსა ჩაიპყრა და ქვეითი რაზმად დადგა. რა ფაშოთანის თავადთა-
ნაქეს, ფიცხლად უშველეს, და ცხენსა შესვეს და ბაამან კელმწიფისაკენ მიბ-
რუნდენ. რა ბაამან ნაქა, დია განაწყენდა და ჯამაზს ეგრე უთხრა, ვითა: ესე
საქმე ავისა მოსაწყვერისაგან არის, რომე მეომარი ცხენი მოუკლეს.

რა ქვეითი ფაშოთან ბაამანს წინაშე მივიდა, კელმწიფემან მოიკითხა:
ვით ხარ დღევანდლის გარჯისაგან და ომისა. დმერთმან ჩვენნი ლაშქარნი უშე-
ნოდ ნუ ქნას! ფაშოთან მოაკსენა: მე, კელმწიფეო, დღეთა ჩემთა შვიან არა
მინაკვენ ამისთანა ცხენოსანი. ელვა ვითა მასვე წამსა ზედა მომიკდა, თვალნი
გამირეტდეს მისითა კვრეტითა.

აქა შამის კელმწიფისა და ფარემუზის შვილისა საამის ომი

ამას შიგან, საამ ჭერეთ საომარა მოედანსა შიგავე იღვა, შამის კელმწიფე ნასრა არის, გაგულისდა და პილო ვითა მიუქდა, არაბულსა ცხენსა ჭდა, ერთი ბასრი შუბი ქონდა და ლაშობდა, რომე საამს შუბითა სული გააშროოს.

რა საამ ვერე ნახა, ინდოური კმალი მოიწოდა, წინა მიეგება. ნასრა შუბის შესაცემლად ჰიემარჩვა. საამ ქარმან ვითა ვარე შემოუარა, შუბი დაიკლუნვა და მქარსა მწოვე კმალი შემოკრა, პილორტიკი რკინანი დააწყვეტინა. ჭაპკი გააკვეთინა და მქარსა დიდი შეკვეთა. ნასრამ რა ესე შეიტყო. რომ საამ მოერეოდა და ვერა გაუძღებდა, ზურგი აქცია და ლაშქართა შიგან მოვიდა, და ბაამან ნუნაშე შევიდა. ბაამან ესე უპასუქა, ვითა: მათთა თესლთა რას უქერეტ. მათ გესლიანთა და ჭანგმაკვილთა მათ კაცთა მეცნიერო, შენ ასეთთა თესლთა ზედა მიუქე, რომე ერთმანერთსა უარე არიან ძალითა და ეშმაკობითა. და ღმერთსა მზისაგან გული უქცევი.

კრეს ბუქსა და ტაბლასა. და მას დღესა ომისაგან დაბრუნდეს დია გულ-მტკაენეული და დადრეჯილნი. სამსა დღესა და ღამესა გლოვასა და ტაროლსა შიგა იყვნეს.

აქა კელმწიფისაგან ფარემუზის თავადებთა ბირება და მათგან ღალატი

მეზუთესა დღესა რა საწუთროსა მანვენებელმან შენი პერანგნი გარდაიკუნა და ლაქვარდის გუმბათისაგან თავი ამოყო და ქვეყანა განაათლა, ბაამან კელმწიფემან ჯიმაზს უბძანა: ამათითა ასრე შეიკრებებითა და ყოფითა დია გავსინჯე. აწ ესე მომიგონია, რომე ერთსა წიგნსა დავსწერ, ვითა სამოთხესა შეეამკობ ყოვლითა სულნელებითა და ტკბილთა იმედითა და გუარითა. ამას ღამე ფარემუზის ფალავანთა გაუგზავნნი. რა იგი ფალავანნი ჩემსა ფარმანსა ქვეშე მოვლენ, მე გულისა ნებასა მიკვდები: თუ ესე ჩემი დაპირებული გამითადების, ჩემნი მტერნი და წინააღმდეგომნი უძლურად და უსუსურად გაკვდებიან. ჯიმაზ ასე მოაკენა: მუ, ბრძენო და კარგ ბედო კელმწიფეო, ჩენი შეიკრება ეს არის და ეგე დღე სკვა არს.

მერამე კელმწიფემან გონიერი მწიგნობარი იკმო და და[ა]წერიდა სურნელობითა შემოკობილივითა საწუთრო ნაკულთა ფარემუზის გულოვანთა ფალავანთა და თავადთა წინაშე: ესე ჩემგან იცოდით, რომე ველსა ომისა და შემბმისაგან არა დავაკრობ, სადამდის ზაალ ჩემსა კელსა არა ჩამოვარდების და ფარემუზს საგდებლთა არ შევკრავ. და მე თქვენი ზიანი და ავი არ მინდა, და დარჩეთ ჩემითა ბრძანებითა უწყენლად და ამოდ. და რა ესე შეიგნათ, რომე ჩემი გული თქვენზედა წყალობით იყოს, თქვენცა ამას გენუკვი, რომე აღარათ მომინდურეთ. აწ თქვენთვის მომიკსენებია თვითოსა ფალავანისათვის ორ-ოლი გუარი, თვალ, გუარი, იაგუნდი. მწიგნობრისა კაცისა ქვეითისა კელითა ამის უფროსსა ეელარას მოგაკსენებდით. სამცროსათვის ნუ გამიწყურებთ და ოდესცა ჩემსა წინაშე მოკვალთ, თვითოსა კაცისა თავსა საკლსა, განძსა მოგცემ და თვითოსა თემსა მამულად. და რაცა თქვენ მანდა დავრჩების, ერთისათვის სანაცვლოდ ასსა მოგცემ.

ესე წიგნი გაათავა, დაბეჭდა, ფაიქი მოიყვანა, ათასი დრაკანნი უბოძა და წიგნი მისცა. და დიდი იმედი და წყალობა უბძანა, ვითა: თუ კარგად ეცდები-

და ფალავანთა აქა მომისკამ, აზომსა საქონელსა მოგვემ, რომე ვირე ცოცხალ იყო. არა დაგელიოს, გუარი რაზომიცა დაეშადა, თვალი თვითოსა კვერცხისა ოღენი იყო, და ბნელსა ღამესა ნაკვერცხალივითა ბრწყინვიდეს, და ერთი საკელმწიფო ოქრო, ოქრო-ქსოვილი შესამოსელი ფალავანთა თავადთა ფარშევიდს გაუგზავნა ვითა: ესე ჩემ მაგიერ მიართვი, და ფარშევიდისა მართალი ანბავი მომართვა.

წავიდა ფაიქი და ბნელსა ღამესა და უკუნსა ფარშევიდის კარავსა შიგან მივიდა. ეთაყვანა, კელმწიფესა მაგიერ მოიკითხა, წიგნი ამოიღო და მოაკსენა, შესაპოსელი და გუარი წინა დაუღვა. ფარშევიდ წიგნსა აკოცა და თავსა დაიდვა, წაიკითხა. ფაიქი ახლოს დაისვა კელმწიფისა. მისი ტბილი ბრძანება ყველა გაიკონა. მერმე მისნი თარბნო გულოვანნი ფალავანნი აკომბინა. თერამეტი ფალავანნი ფარშევიდის შეფიცულნი იყვნენ და ბაამანისგან მოწერილი წიგნი მათსა წინა წაიკითხა და, რაცა ზეპირ შემოეთვალა, იგიცა უანბო. ქანარგა ფალავან-ქან მოაკსენა, ვითა: ბაამან კელმწიფე თუ შეგვიკვეცივებს და ზენაარსა გამოგვართმევს. მათ წინაშე მისვლა ღია პირიანია ჩვენგან და, რაცა უბრძანებია, მისი მოსმენა მართალია.

რა კვიანმან ფარშევიდ ფალავანთაგან პირობა შეიგნა, მორღო იგი გუარი და ყველასა გაუყო და ესე თქვა, ვითა: კარგი არაკი უთქვამს პირველსა ბრძენთა, ვითარ: დღი საკელმწიფულთა და ფალავანთა თავი წაუტღენია და შეუქამია გუარსა და ოქროსა და სიქარბესა. ვიმორჩეული გუარი კარგია, მაგრამ კაცისა მადლოებელი და მტერია. თუ კაცი მან საწუთროსა ერთობ უღონო არ იყოს, და მით არ დაჰაბუნდეს, მტერისა სიმდიდრისათვის შევირევაბა არა მართებს. ბოლოდ მდიდარი და ვლავა სწორად გარდატღებიან. მეტსა სიმდიდრესა წესიარად ყოფა სჯობს და კარგბუნებობა.

რა ფარშევიდ ესე შეიგნა, რომე ფალავანთა კელმწიფის ბაამანის ერთგულობასა მიმართეს, კელმწიფესა ესე მიუწერა: მუ, დიდო, თავამადლებულო, საკელოვანო შარიარო, ჩვენ თქვენისა ბრძანებისა მორჩილნი ვართ და თქვენნი მონანი და, რასაცა არა გვიბძანებთ, ჩვენ მის მეტსა ვერასა ვიკეთ. ხვალ, რა თქვენ რაზმი გამართოთ და დროშები აამაღლოთ, თქვენ ფარემუზს მუქარასთხოვეთ და, რა ფარემუზ თქვენ ზედა გამოემართვის, ჩვენ ყველა უკან წამოუდგებით და თუ მრგვლივ თუნდ კლდეცა იყოს, ჩვენ ცამეტი ფალავანი ზედა დავეციემით და თავსა ფერკთა თანა მოუქციეთ და თქვენსა გულსა შევირევიბისაგან დავსცლით, და ჩვენსა თავსა და სულსა თქვენითა ერთგულად სამსაქურითა გავანათლებთ.

ესე წიგნი ბაამან კელმწიფის წინაშე მოიღეს ფაიქმან. მწიგნობარი უქმეს და წიგნი წაიკითხეს. და შარიარისა გული სიქარულითა აივსო და, თუ სთქვა, ცად აფრინდა. მერმე კვამიად დაშოთანს უბრძანა, ვითა: ამას ღამე ლაშქარნი ერთობილნი აბჯრითა დაკაზმენ. და ესემცა არა იყო, რომე ფარემუზს ვინმე აცნობა. და ფარემუზის ჭაშუმი მუნ იყო, მისგან გამოგზავნილი იდუმალ და, რა აბჯრისა ცმა შეიგნა, ფიცხლავ გაიპარა და, რაცა იცოდა, ფარემუზს მოაკსენა. ფიკვლად ყოველთაგან ლაშქართა საკომბელად კაცები გავგზავნა. და მასვე წამსა აბჯრითა დაკაზმულნი ლაშქარნი ფარემუზს წინაშე შეიყარნეს მზად და რაზმად დადგეს. და რა მას ღამესა ორგნითვე ლაშქარნი დაკაზმულნი მღვიძარედ იყო, უგულოთა და გულოვანთა გული, ვითა მკვდარი, შეიქნა. თუცა ჭერეთ ერთმანერთისაგან შორს იყვნეს და ამბვის უმეცარნი, და ამას იტყოდეს:

ნეტარ რა ანბავია, რომე ამას ღამე ლაშქართა არა სძინავს და მღვიძარედ არიან. ხონად წავლად წავლენ, ამა ბნელსა ღამესა ზედა დაესკმიან, ქვეყანა სისკლოთა აივსების და ლაშქართა აღსასრული იქნების. ერთი აბჯარსა იცემდის, მეორე იძალეოდის და გარდაიქვეწებოდის.

რა სინათლემან სიბნელისა პერანგი დაქივა და ქვეყნად შუქნი მოფინა. ორნივე ლაშქარნი მყარსა კლდესა გვანდეს, ერთმანერთასა პირისპირ რაზმდაწყობილნი დგეს. ფარეშუზის ლაშქართა ხუთი რაზმი იყო, კმალი და ლაქტი მოწვილილი აქვნდა. აგრეთვე ბაამან კელმწიფისა ათი რაზმი ეწყო და თვითო-თვითო ოცდაათი ათასი მეომარი კაცი იყო. ამას შიგან ზაალ ზედან მოესწრა და ფარეშუზს ეგრე უთხრა: მამისა სიოცხლეო და სულთა მდგომელო, დღეს რაზმისა ომსა ისწრაფი და არა მწადიან მე დღეს ლაშქართა შებმა და ომი. წუქელის სარმარა ვნაჲე და გული სევდითა ამევისო.

აქა ზაალისაგან სიზმრის ნახვა ფარეშუზისათვის

შვილო, წუხელის ესე სიზმარი ვნახე, რომე შენთა ლაშქართაგან ძლიერი ცეცხლი შენზე ცვიოდა და გედებოდა. და ეგე შენი სების პირი, ტანი ცოტად იწებოდა. მე რა ესე ვნაჲე, გული დამეწვა და ამიჩქარდა, და შენკენ წამოველ. ამისთვის არა მწადიან შენი და ბაამანის ლაშქართა შებმა. და ჩემისა გულისათვის დღეს ომი დაშალე! ნუთუ ამა ავისა სიზმრისა საათმან გარდათაროს და შენთა მტერთა ზედა მივიდეს ავი ყველა. ფარეშუზ მოაქსენა: ჭე. კარგსაჲელო მაჰაო, თავისა მტერთა მომეაღლისაგან გავიღებთ და ვერსადა წაუვალთ განგებასა. შენმან მზემან და ფალავანის როსტომის სულმან, ამას ღამე მეცა იგრე სიზმარი ვინაკავს, მაგრამ ვინათგან მტერსა ჩემთვის შექარა უთხოვნია და სფაადარნი გაუფიცებოიან, აწე, თუ მე მათგან პირსა ვაქევე, ამას იტყვიან, თუ: უღონიოდ ფარეშუზ შეშინდაო და გარდაიქვეწაო. ესე სიზმარი რომე შენ ვინაკავს, ფარეშუზი და ჩქარი იგი ცეცხლი მე ექნები, რომე მათ ზედ დავეცემი და ყველას დავსწვავ და ავანთებ.

ამა საუბრითა ზაალს გული ერთობ დაუამა. ფარეშუზ მძიმე ლაქტი მკარსა შეიღვა, ვითა მთერალსა სპილოსა, პირსა პერეული სციოდა და თავის ლაშქართა ქებას შეასხმიდა და გულსა უდებდა. რაზმი სრულად მოიარა, ნაპირად გავიდა და იგი ცამეტი ფალავანი რომე ბაამან კელმწიფესა დაპირებოდეს, ერთსა კვირასა ერთგან იღგეს, ვითა მარიკი მესისკლე ეტლი ცასა შიგან ბრწყინვიდა, აგრევე ფალავანის ფარეშუზის სისკლის დასაღერელად მზანი იყვნეს. ფარეშუზ რა ეგრე უთხრა: გულოვანნო თავადნო, რად კიდურისაჲენ ქართ ერთგან შეყრიოთ. ფარეშუვად ფალავანმან ეგრე მოაქსენა: ლაშქართათვის კარგო და თავადთა თავო, აქა რომე ლაშქართა გუშინ ლომი ფალავანი მოუქდა ამ რაზმსა, ვითა მფრეწელი ლომი, ნუთუ დღეს აგრეთვე ჩვენ მოგვიცდეს და მეცა უგრძნობლად წინა მიეეგებო და არა მოეეშო, რომე ესე რაზმი გატეკოს და არცა ესე შეიგნას, თუ აქა ვინ დგას. ფარეშუზ დაუმაღლა და მოაქსენა, ვითა: ფალავანო, ნიდაგმეცა გულწმინდა და საკელოვანნი ქართ. მუნით წავიდა და ლაშქარნი მოაფრთხილნა.

საწუთროსა მძებნელმან ბაამან ჭიმაზს უბრძანა. ვითა: ერთი ვინმე მემუქარე გაგზავნე, გამორჩეული ფალავანი და ფარეშუზს მუქარა სთქოვოს და მისო

საყვარელი სული პირიდალმე გააყრევინოს. ჭამაზ ეგრე მოაქსენა: მუ, კელმწიფეო, ჩვენთა ლაშქართა შიგან არავის ვიცნობ, რომე ეგე შეეძლოს. საკელდებულა ფალავანი ბალათარ არის აქა და ანუ საკელოვანი საყალ კელმწიფე საპერძნეთისა. თუ მათ არ შეუძლია, სხვა უფრო არა ვიცი.

რა ესე ფალავანმან რუამ გაიგონა, ლაშქართაგან გამოვიდა და მეომარმან ხედმან ლომმან ვითა დაიყვირნა, ვითა: მე ვარ რუამ, გოდერძის შვილი, საკელოვანი გივი ჩემი ძმა არის და აღთქმისა ქვეყანა, ჩემი მამულია. ოცდაათი ათასი მეომარი კაცი მაკლავს.

ფარემუზ¹ ამა საუბრითა ზაალს სადავენი კიდევე გააშვებინა. რა ფარემუზ რუამის სიკლოვეს მივიდა, თუ სთქვა, ორთავე ფერქთა ბადესა ჩაიჭრაო, რუამა ეგრე უყილა: ფალავანო, მითხარ, ბაამანს შენთვის რა კარგი უყოფია, რომე ჩემად შემუქარედ გამოსულქარ და თავე გაგიწირავს. თქვენზედა ეზომთა როსტომის კარგთა ერთსაცა არას მოიგონებთ და გულშიგან სამართალსა არ შეუშვებთ. როსტომმან შენი ძმა დევთაგან დაიქსნა და გივის შვილი ბეჟანაც დია ღრმისა და ვაწროსა ორქოსაგან ამოიქსნა და მოიყვანა დია ბნელსა ღამესა. და მარტომან აფრასიობ და მისნი ლაშქარნი გააქცია. და მათ ზედა ისი ყველაზე კარნაქულია. აწ მისად სამუქფოდ შენ ჩემთვის მუქარა გითკოვინია, ღვთისაგან რას კარგსა მოელი? დმერთმან ნურკა არა კარგი მოგცეს, პირველად ჩემად შებმულად შენ გამოსჩნდი. მერმე ამა ყოველსა ლაშქარსა შიგან ჩემი საკელი ოდენ პოვე! რუამ² ეგრე უთქრა: სიტყვა შეამოკლე და ბაამანს ზენარობით შეეკვეწე, თვარემ მე და შენ საომარსა აღგილსა მივიდეთ და ენაქოთ, თუ ლაშქარნი ვის ზედა ატირდენ. ესე უთქრა და ზედა მოუქდა და მძიმე ლაქტი ესეთი დაქრა, რომე ცისა ქვეასა გვანდა. ფარემუზ არცა რიდე უთხრა. რა კელი მისსა მძიქესა ლაქტსა მიყო, წონითა ას სამოცი ლიტრა იყო.

აქა ფარემუზისა და რუას ომი, ფარემუზის ღალატი და ზაალისაგან მიშველეზა

რა ფალავანმა მისი მძიმე ლაქტი შეიძალდა, ვეშაივითა როამსა ზედა მიუქდა. როამს ღალისფერი პირი უფერულად შეექმნა, ცხენი მოიბრუნევა და გარჩინა. ფარემუზ უკანა გაეკიდნა, იგი ცამეტნი ფალავანნი თურმე ბაამანს დაპირებოდა, და იგინი უკანა წაუდგენეს. მათ ავის მგონებელთა მექთა ვითა ცემა და ომი ფიცხალი დაუწყვეს. მოუბრუნდა გულჭავჭავიანად საკელოვანი ფარემუზ, შეება და მისსა ნაკრავსა ვერავინ დაუდგმიდა.

რა ზაალ საკელოვანი შვილი ფარემუზ ფალავანთაგან შუა შემწყედელი ნაკა, ქუტილივითა იქეკა და ლაშქარნიცა შეუზაქნა და ეტლი ვითა ზედა მიუქდა. სფადარმან ფაშოთან ლაშქარი შეძრა, ორგნითვე ლაშქარნი ზღვის ღელვანი ვითარ აირივნეს და შავი მტვერი ცათამდის აამალღეს. ფალავანთა შემოქვილისაგან კაცისა ყურნი გაიქედებოდეს. აბქართა და კმალთა ელვა კაცთა თვალთა დაუყოფდა. მრავალთა მეომართა თავე ცხენთა ტერფითა იზილვოდა, იგუ მინდორი არღავინსფერად შეღებულ იყო, ამას გვანდა, თუ სთქვა, ზუფინი, შუბი და კმალი, ისარი ჰაერთა წვიმსო. მთვარე და ვარსკვლავნი მათის მტვერი-

¹ ზარემუზ.

² რამე.

საგან გაუჩინარებულ იყო. ყოველგან სისკლისა ღვარი აღინდა. და იზაქენს: შეიპყარ, მოკალ, კარ, ჩამოავდე!

ფარემუზ და მათ გულოვანთა ფალავანთა ეზომი იბრძოლეს, რომე ცამეტისაგან რვა დაკოცილიყო და ქუთნა დაკოდილნი გარდაიქვეწნეს ბამანისაკენ. და ფარემუზ, ზაალ, ქალები ბანგიქასპი და საამ იარებოდენ და რაზმსა და რაზმსა ფრეწდენ. მათგან დაკოცილნი და დაკოდილნი ანგარიშს ვინ იღებდა. ფარემუზსა ცა მიუქდის, ფალავანნი გაექცივიან და ერთის კვრით ორი და სამი თან გაატანინის. ასე გაფიტებული დავიდოდს, ვითა მთიბავე ცელით, ისე სთიბდა, თავსა, ტანსა, ცხენსა. და ფარემუზ მრავალგან დაკოდილ იყო, სისკლის დენისაგან გასუსტებულ იყო, ცხენსა ზედა ჯდომა აღარ შეეძლო. მიბრუნდა თავის ჯარში და მიწასა ზედა ჩამოიქრა. მისი სპილთსა შესავესი ტანი მიწასა ზედა გორვიდა. ორგანითვე ერთობილნი ლაშქარნი შეჭირვებულ იყვნეს. ფარემუზს ზედან მისნი ლაშქარნი შეჭირვებულ იყვნეს, ზედ მოკრფეს და სხვანიც, ომითა დამამძღარნი, უყუეყარნეს. დაკოცილისა კაცისაგან საეალი გზა შეკრულ იყო. მოვიდა ზაალ, ფარემუზს ზედა ღვიძლწაყრილა, გულდაღალული, ფარემუზის ტანი სისკლითა შეღებულ იყო.

რა ნაჭა, ცხენისაგან ჩამოიქრა ქაფურითა თმა გათეთრებული, თმა და წვერი იგლიჯა, სისკლითა შესვარული პირი მოკოცა, საფალავნოსა ფარდაგსა ზედა შეაწინა, ქვეშე კაცნი შეუყენნა და მოფარდაგულსა კარავსა შიგან შეიყვანნა. შეჭირვებულ ლაშქარი დასტიროდეს ზედა. გულდამწვარმან, გაუსუსტებულმან ფარემუზ თვალნი ააქვნა და ზაალს მოაქსენა: ფალავანთა თავო, თუ მტერთა შეშინება გინდა, ფარდაგები აალებინეთ და ქალაქად შემოიყვანეთ! დღემანდლის რაზმისა და ომისაგან დიდი სასაჭლო მოგვეკვდა და მრავალი ამოსწყდა მათი და ჩვენი. ერთი ღონე სკვა მოვიგონოთ, თუ დამბადლებელი შეგვეწვიოს, მტერთა ზედან მას უკანით, რაცა ღმერთმან გააგოს, იგი იქნას. რა შეღამდეს, ავიყარნეთ, მას ბნელსა ღამესა ქალაქად შევიდეთ.

აქა თათბირი ზალდასტანისა და მოღორება ბაამანისი

აკიდეს ბარგი და ქალაქად შევიდეს. დილასა ბაამანს უამბეს, ვითა: ზაალის ლაშქარნი აყრილან. ასე გამკიარულდენ, რომე ჭირი და შეჭირვება ყველა დაავიწყდა. ასრე ეგონა, ვითა: ფარემუზ მის დაკოდილობისაგან მომკვდარაო. უბრძანა: ასაყრელსა კარითო, ავიდეთ და ქალაქისაკენ წავიდეთო.

აიყარნეს და სისტანის გზანი, კაროვანნი ყველგან დაიჭირნეს. ქალაქისა კაროვანნი ყველა ზედა დაყრილნი იყო. საომარნი ადგილნი მომპარებულნი და მომზადებულნი და შიგნით მყოფმან ერთმაცა კაცმან თავი ზღუდით დაღმა არ გარდმოყო და არცა ვინ რას იტყოდა. მეოთხესა დღესა ქალაქსა შიგან დიდი ტირილი და ზრიალი შეიქნა და მისი კმა დაადდეს, ვითა: დაკოდილობისაგან ფალავანი ფარემუზ მოკვდა, და მამანი და დედანი მოსთქმიდეს და ტიროდეს. და იპარსნეს და ყოველმან სამგლოვიარო ტანისამოსი: ჩაიცვეს, თავსა მიწასა და მტვერსა იყრიდეს.

რა ბაამან ქალაქსა შიგან ისეთი ტირილი და ზრიალი და მოთქმა გაიგონა, ერთი მოამბე გაგზავნა და ასრე უბრძანა: წადი და ამბავი ყველა წვრილად შეიგენ. მივიდა და ქალაქის კართა ანბავი იკითხა, მოვიდა შარიარსა წინაშე და, რაცა იცოდა, მოაქსენა, ვითა: ნიადაგმცა ქელმწითე მორკმით და გამარჯვებით

არის მისთა მტერთა ზედა. ფარემუზ დავოდლობისაგან მამკედარა და სულ სისტანი დიდსა ტირილისა და შეკირეებასა შიგან არის, რომე ქალაქი ატალახე-ბულია ცრემლითა. უბანსა და შუქასა შინა მოთქმისა მეტსა არას იქმენ.

კელმწიფემან ესე გაიგონა, პირი წითლისა ვარდის ფერად აუელვარდა და მართალი არა იყოდა. ფარემუზ გამთელებულ იყო და გამოსვენებად წალკოტ-სა შიგან ჯდა. და მამანი და ღედანი შავითა დამოსილნი ლაშქარნი აღარა ფრთხილობდენ.

შეორესა ღღესა სხვა უარესი ტირილი და მოსაწევარი შეიქნა. კელმწიფემან სკვა მოამბე გაგზავნა. და ქალაქისა კართა მივიდა. ანბავე უამბეს. მობრუნდა და ბაამან კელმწიფესა მოაკსენა, ვითა: რა საამ მამა მომკედარი უნაქავს, გულსა ხანჯალი დაუცემია და მამასა ზედა დაკდომია. კელმწიფესა ასრე გაექარნეს, ვითამცა მაშინვე სისტანი აელო. ჭამასს ეგრე უბრძანა: იქნა ესე საქმე, რომე მტერნი დაიკოცნეს. დილასა სისტანს შევიდეთ. თუ ღმერთსაცა უნდეს, ზაალს ზედა საწუთრო შევაიწროთ. ჭამასს ეგრე მოაკსენა: შე, კარგსაქელო და კარგ-რატელო კელმწიფეო, კარგად გამისინჯეთ ესე, რომ თქვენ მოგხსენებია და მართალი გგონია. ყოველი ილაით და ღორება არის ჩვენისა მოკსენებისათვის და შოლორებისა იქნა, და ღონეთა მოედებიან. ბაამან უბრძანა: ჭკვიანო ვაზირო, ავისა მისნობა რა მეცნიერობა გგონია, რა მეცნიერისა კაცისა კელია. ჭამასს ესრე მოაკსენა: კელმწიფეო, თქვენ აღრე დაიჭერებთ, ეგე საქმე თქვენი გასატეკელი იქნების. ფარემუზ და საამ ორნივე ცოცხალნი არიან. სხვა თქვენცა იცით, მე მოკსენებასა არა დავშლი.

იმას შიგან ერთი კვირა გამოვიდა, ასრე რომე ქალაქით არავინ გამოვიდა და არცა ვინ ზღუდეთა ზედა გარდმოდგა. მერვესა ღღესა საწუთრო ნაქული ბერი შავო და ერთი საწუთრო ნაქული მწიგნობარი გარდმოდგეს. და ორთავე შავი ტანსა ეცვათ. თმა, წვერი დაეგლიჯათ, პირი და მკერდი დაეკოჭათ და ტანისამოსი სისხლითა დასვრილნი ეცვათ. ბაამან კელმწიფისა ლაშქართა ნაქეს, სფააღარსა ფაშოთანს მოაკსენეს. იგი მიდგა და კითხა: რა იცითო. მათ მოაკსენეს: საკელოვანთა თაო, გოისარჯე და კელმწიფესა მოაკსენე, ვითა: ჩვენ შენნი მონანი ვართ და ბრძანებისა მორჩილნი. თუ ამას წინათ შემოგებენით და შეგცოდეთ, რა საკვირველია, რაცა ჩვენთა პატრონთა ნამსახური გვიქნია. აწ უნდა, რომე კელმწიფე არა გაგვირისკდეს. აწ ასრე მართებს, რომე ნაწყენი და ზადი არა იქსოვოს და არცა გულსა შიგან დაიჭიროს. ვინათგან საკელოვანი ფარემუზ მოკვდა და მისი სეფეს პირი და ტანი მიწასა შიგან გაიროა, იგი რა მისმან შეილმან საამ ნაქა, თავე ზედან დააკლა და მათი ბედი უკუელმა დაბრუნდა. მერმე რა ბერმან ზაალ ნაქა, ტირილითა და სეფლითა იგიცა გაშმაგდა. ღომი საამ და შვილის შეილნი ორნივე წინა უწევა და მისი შიშველი თავე კლდესა ზედა დაეხეთქა და საწუთროსა გამოესალმა, ომითა და რაზმითა გაამძლარი. აწე ჩვენ დავრჩით უპატრონო. დაღონებულნი ამას შემოვქევეწივართ, რომე კელმწიფემან შეგვიწყალოს და შეგვიკვეწიოს. ქალაქი და საჭურჭლენი, საღარონი ყველაი მისი არის და ჩვენ ჩვენი საკლო ღედაწულნი გვიყოფიან. და ჩვენსა საკლსა და მამულსა შიგან გეამყოფნეს. ღმერთმან ორსავე ცხოვრებასა შეზღოს და ჩვენ აწვე მონობისა და ერთგულებისა სარტყელი შემოგვიტყამს, მათსა საფარველსა ქვეშე ჩვენცა დავრჩეთ. კვლავ თუ ჩვენი ყოფა არ ეპრიანების, სადაცა კელმწიფე გვიბრძანებს, იქ წარვიდეთ.

ფაშოთან წავიდა და კელმწიფეს ბაამანს მოაკსენეს. მისი პირი წითელსა ეარღსა დაემსგზავნა. კელმწიფემან ფაშოთან გაგზავნა და ეგრე უბრძანა: ფალავანო შავო, რაცა გეტქვა, ყველა გავიგონეთ. დილასა ქალაქისა კარნი გააქმეინა და ჩემსა ფარმანსა შიგა იყვნენ მოქალაქენი. ბერთა და ყმაწვილთა შინა-ურულად ენაკნე. ჩემთა ერთგულთა ლაშქართა ოდნავ დავიჭირავ, თავის-თავის წესისად სარჩოსა ზედან ვამყოფებ. რომელთაცა ჯამაგირად ვერცხლი ქონებია. მისდა სანაღლოდ ოქროსა მიესცემ. რაცა ვის უკეთ მოუქდების, მას მიეყვები. მათისა სიტყვისაგან არა გარდაეალ. თუ ვის რა ჩემთვის შეუტოლებია, არას ვიკსოვნი, ყველასა შეუწდობ. შენ ბერი საბატიოში, შენ ღია დიდსა კარგსა გიზამ და მეტად კარგა ვამყოფებ. აწ შენ მოდი, ლაშქართა შიგან, შენებურად ტყბილთა ენითა ჩემ შაგიერად იმედი დაუდე, მოლაშქრე, მოქალაქენი. დიდი და წერილი, ყველანი ამოდ იყვნენ მათსა საკლასა და საქონებელსა ზედა. ქეალე, რა შენ ჩემსა წინაშე მოქვალ, ეზომსა მოგცემ, რომე შენვე სთქვა, ესე თუ მე-ცოფისო. ფაშოთან წავიდა და ესე ყველაი კელმწიფის შაგიერი შოის გააგონა. რა ესე კელმწიფისა ნაუბარი გაიგონა, ღია გაუყვირა და ფაშოთანს მოაკსენა: მე წავალ და, რაცა კელმწიფესა უბრძანებია. ლაშქართა და მოქალაქეთა ყველასა გავაგონებ და, რასაცა იგინი პასუხს მომტევენ. დილასა თქვენსა წინაშე მოვალ და დილასავე აქვე მნაკეთ, ნუთუ საწუთროსა დაძაბდებელმან იპრიანოს და კარგი რამ მოგვივლინოს. წავიდა ფაშოთან და ბაამანს მოაკსენა: იქით შოი მოვიდა, რაცა ექნა და გაეგონა, ყველა ზაალს და ფარემუხს მოაკსენა. მათცა ღია გაუყვირა.

დილასა რა მზემან თავი ამოყო, იგივე ბერი შოი მასვე ადგილსა მოვიდა. იქით ფაშოთან მოვიდა, კითხა შოის, რა იცითო. მას მოაკსენა: საცელოვანო ფალავანო, ასრე იცოდეთ, რომე კელნი, ფერკნი შეკრულნი დღეს თქვენნი ტყეენი ვართ, შენ ამა ქამსა დაგეკედენ და კელმწიფე ამას ზედან შემოიფიცენ, რომე სულთა ზენაარი გამოგვიდოს უწყენლობისა, თუ არა, ჩვენგან კელმწიფის ნაკვა არ იქნების. თქვენ კელმწიფისა გული ავი და კარგი ყველა იცით. მერმე ამას უკანით თქვენ და კელმწიფე, და სკვანი თავდანი ქალაქად შემოდით. ნაკეთ და მოიარეთ სალარონი და საქურუქლენი მოითვალენით. და მოეინაკოთ ჩვენცა კელმწიფის წყალობა და გული მერმე სამსაქურითა ჩვენცა მოვიგოთ. თუ კელმწიფე თავისა სჯულსა ზედა მტკიცედ დადგავს და ზენაარი გამოგვიდოს, მერმე ქალაქსა შემოსელისა საქმე შევამკოთ და, რაცა ჩვენგან საქმე ეპრიანების, იგი ვქნათ.

აღდა ფაშოთან და რბევითა წავიდა და ყველაი კელმწიფესა მოაკსენა შოის ნათქვამი. მასვე წამსა წავიდა, გაგზავნა და ესე დავედრა, რაცა გითქვამს, ყველასა გამთავებელი ვართ. თუ იტყვი, მე შეეკლები და ქალაქისა ნაკვად წამოვალ და, რაცა ვისთვის პირი მომიკსენებია, ყველასა გავითავებ. მერმე ფაშოთანს და ჯამასპის უბრძანა: ამას თქვენ ორთავ არა დაგიშალავ, და ქალაქსა შევალ, კლმისა, ლაქტისა და ზუფინის მეტს ჩემგან არას პოებენ. და იმა ავეგარს, საკელოვანსა დარბაზოვანსა მოვაოკრებ. რა მუნით მოვიცილი, მათსა სასაფლავისა ზედან მოვალ და მკედართა დავსთხრი და როსტომის გეარსა სულა დავსწვავ, რომე ჩემი ნათქვამი გამართლდეს და ჩემი ნაქმარი ყოველმან ქვეყანამან შე[ი]გნას.

რა კვიანმან ჯამასპ კელმწიფისა ნათქომი მოისმინა, იღუმალ იციროდა და ეკვირებოდა და ეგრე მოაკსენა: საწუთროსა შარიარო, ეგე საქმე რომ თქვენ

გაგიგია. უამად დღესა არა მოკლების. და მოვა ესეთი ჟამი, რომე თქვენისა გულისა ნება გათავდეს. აწ ამა საქმესა ნუ სჯერკართ და ნუ გაყეებით, რომე ფათერაკსა არა შეემთხვიენეთ. ამას ზედა კელმწიფე გაგულისდა და აგრე უბრძანა: მე შენსა მეცნიერობასა ზედა გაკვირებულ ვარ. აწე ორი კვირა არის, რომე ჩემი მტერი მამკვდარა და ერთობილნი სისტანნი ზრიალსა და მოსაწვეარსა შეიგან არის, და თავადნი კაცი გარდმოდგომილან, ყველანი გვეკვეწებთან და შენ ამას იტყვი. თუ გვალორებენო, მე უმეტრად შევქნილ ვარ და შენი მეცნიერობა ამით უფრო მეკვირვების! რა ქალაქად შევალ, ჩემი უმეტრება მაშინ შეგაგებინო.

ჩამასს წყენისაგან პირსა ფერი წაუვიდა და ნალვლიანად შეიქნა. კელმწიფესა კელარა მოაკსენა. რაცა ეთქვა, იგიცა შეინანა და ასრე თქვა, ვითა: ჩემისა ოსტატისაგან ნათქვამი არის, და ასრე მასშია, ჭერეთ ჩემსა გულსა შიგან არის. ამას იტყოდა, ვითა: რაზომცა კაცმან დიდი იცოდეს, მოკლე საუბარი სჯობს და, თუ ვინმე მოკლესა გრძელად იტყვის, იგი სირეკვენი იქნებისო. რა მართალი იყოს, მისი თქმა მოკლედ სჯობს და, ვინცა იტყვის, ტყუელითა თქმასა დაექირვის, მას ჭოჭობთი მიუჩანს და საიქიოდ კაცთა თანა გაწბილდების.

ამაზედა ბაამან კელმწიფე საგონებელსა ჰაეარდა და უწინვე ბარბარისტანელისა კელმწიფისათვის საწვეველი წიგნი მოაკსენა. რა სალიმანს ბაამან კელმწიფის წიგნი მისლრდა, ფიცხლავ ლაშქარნი შეეყარნეს და წამოსულიყო ათი ათასითა რჩეულითა მეოპართა. ბაამანს მოაკსენეს მისი მოსვლა. მას დია გაეხარნეს. ფაშოთან და სკვანი თავადნი წინა გააგებნა და კელმწიფესა მარჯვენით დაუდგეს კარავი. და მას დღესა ბარგისტანელს სალიმანს კელმწიფეს წინაშე მოაკსენეს. რა მოვიდა, კელმწიფე წინა გაეგება. ერთმანერთი კელმწიფურად მოიკითხეს, მერმე შემოვიდეს საკელმწიფოთა კარავთა შიგან და ერთგან ჰამად დასკდეს. სალამომდის ამოდ გამოსივენეს და ბაამან მკიარული უალერსებდა, დილასა ქალაქსა შესვლა ეგონა და ესე არა იცოდა, თუ შიგნით რა გაეგო.

რა შელამდა, სალამანს ცხენი მოგვარეს და მისსა სადგომსა წავიდა. ჩამასს გონიერმან მას ლამესა ფაშოთანს ეგრე მოაკსენა: კელმწიფესა ჩვენგან არა მოკსენების, რაცა მომხსენებია, არას დამიჯერებს. დილასა ფიცხლად და ჰკვირანად თქვენ ყველანი აბჯარცმულნი წადით ქალაქისაკენ და ლაშქარნიცა აბჯარცმულნი დაყარენით. თათბირისა მძებნელნი ფათერაკსა არ შეგვაშთქვიან. მე მოუტსენელობასა ვერ დავშლი, თუმცა კელმწიფე დილასა ავად დამკვდა და დამითხოვა, ასრე ზიანსა და ავსა კვედავ, ვერ დავსთმობ, რომე არა ვსთქვა.

ფაშოთან მალდი მოაკსენა, გაუგონა და დაუჯერა, და მასვე ლამესა ლაშქართა შიგან კაცი მოავლო და ესე დავედრა: გათენდეს, ყველამან აბჯარი ჩაიციეთ და მზად დაღეგით, ცხენები გვერთა მოიყენეთ.

რა გათენდა, კელმწიფე გაემართა და ლაშქარნი დაკახმულნი უკან მიყვებოდეს, ბარგი ავიდეს, და წყალსა გავიდეს და ქალაქისა სიახლოვესა დადგეს.

აქა შოისაგან ბაამანის მოლორება და ლალატი და დიდი ომი ფარემუზისა და არდაშერისა

დილასა რა საწუთროსა განწანათლებელმან მზემან შავი პერანგი დაქია და თავი გუმბათისაგან ამოყო, ფაშოთან წინა-წინ გაეგზავნა, ცხენსა შექდა და

კოტათი კაცთა წაივდა. და ლაშქარნი უკან წაუდგეს. რა ფაშოთან ქალაქის კართა მივიდა, შოვ მუნ დაქვდა. სალამი მოაქსენა და ესე, ვითა: რა კელმწიფე მოვა, მოვაგებებ. ფაშოთან ეგრე უთხრა: კელმწიფეცა აქლო მოვა და ეამია, რომე გამოასკნე მოქალაქენი. შაომ ასრე უთხრა: მე ქალაქსა შევალ და გამოვასკნამ. კელმწიფე მოვიდეს. ფაშოთან დაბრუნდა, ვითა: აჰა, მე წაველ და კელმწიფესა წამოვიყვან.

რა ცოტა წაიარა, ათითა ოდენ კაცითა ბაამან წინა შემოეყარა. შავო კარზედანვე იდგა. ბაამან დაინაკა, რომე ცოტათი კაცითა მოვა და შევ შევიდა. ხალდასტანს და ფარემუზს მოაქსენა, ვითა: კელმწიფე ბაამან მოვა ცოტათა ლაშქრითა ქალაქსა შემოსასვლელად. ფაშოთან მე გამომგზავნა, ვითა: ქალაქი მოაგებე წინაო. ამახელა ორნი გულოვანნი, როსტომისა ასულნი და შვიდნი ფალავანნი მზად იყენეს ათი ათასითა მეომართა კაცითა, ჯავშან ბარგისტანისა დაქაზმულნი და, სადაცა მართებდა, აგრე დაეყენნეს შოას საომარსა აღგოლსა. მოქალაქეთა ესე უთხრა: კართა გარეთ წინა გაეგებენით და შემოუძლით და შემოასხენით.

შეიყარნეს მოქალაქენი, ცხენქვეითად გავიდეს, მივიდეს და კელმწიფესა ეთაყვანნეს, დალოცეს, ფალაურითა ენითა და კობბოი შეასხეს. აგრე ქალაქისაკენ წამოუძღვეს. ბერი შაუ მალვით სალორებელსა კედსა უგდებდა კელმწიფესა და ფაშოთანს და სფადართა ბეყანის შვილს არდაშერს, სამთა გულლომს. ფაშოთან ბიძა იყო კელმწიფისა და არდაშერ გოდერძიანთაგან იადგრად დარჩომილი.

რა მოქალაქენი შევიდეს და იგი ორნი ფალავანნი უკანა შეეყეს, რა ქალაქისა ზღულისა კარნი შეიარნეს და მეომართა კართა შედგეს, და აბჯარ-ჯავშნოსანნი კაცები ნაკეს, ფაშოთან უემობრუნდა და კელმწიფესა მოაქსენა ფარემუზისა მძიმითა ლაქტითა დგომა და ლაშქართა დაქაზმულობა. გამართლდა ჰკუიანისა ჯამაზის ნათქვამი. კელმწიფე ფიცხლად მობრუნდა და ლაშქართაგენ წავიდა. ფაშოთან კელმწიფისა ზურგისა შესანაჯავად დადგა ლაშქრითა. ფარემუზ. რა შათგან დაბრუნება შეიგნა, ცხენსა შეჯდა და მძიმისა ლახტისა მქონებელი, არდაშერს გამოეკიდა. გამოიარნა არდაშერ ორნი კარნი და ხანდაკისა კიდსა ზედა დადგა. და ფაშოთანცა მას მიეშველა. და ფარემუზ და არდაშერ შეიბნეს. მძიმითა ლახტითა დიდსა ხანსა ერთმანერთსა სცეს და მათი ლახტისა ტარები ჯაჭური მშვილდივითა დადრიკა და მუზარადები რკინისა გრდემლსა დაემსგზავსნეს. მერმე ლაქტები დაყარეს, აღმასფერნი კლმები დაიწვადნეს, მით შეიბნეს. არდაშერს კიდი ველარა დაავადებინეს.

მერე ფარემუზ არდაშერის ცხენსა კმალი შემოკრა და თავი გაუგდებინა. ცხენი კიდსა გარდაიჭრა, არდაშერ თან გარდაიჭანა, ქვეშ დაიმწყვდია და ბარკალი მოსტება. მას ლომ-კაცსა გამორჩეულსა აღარა შეეძლო. იგი დაავადეს გაოხრებული. ფეკმორტეკილი. ფარემუზ წავიდა და შვიდნი ფალავანნი და ნიმრუზელნი ლაშქარნი თანა წაიტანა. ესეთი ომი გაქშირდა, რომე მტკვერისაგან მზისა პირი დაიფარა და სისკლისა ღვარნი აღინნეს, ასეთი რომე ცხენსა და კაცსა იტანდა. მზესა შაეი ღრუბელი მოეფარა. დილით საღამომდის ომი იყო, რომე მამასა შეილისათვის არა სცალოდა და ძმასა ძმისათვის. ესრეთ გულმეისსკლედ და მოუსვენებლად იბრძოლეს.

მერმე შავისა ღრუბლისაგან სისტანით ძლიერი ქარი ადგა. ერანელთა

პირსა ცემა დაუწყო და თვალნი და პირნი ყველასა მიწითა და მტერითა გამო-
უტენა. ერანელთა ეტლი დაბრუნდა. ნაკეს ზაალისა გურზი და საგდებლისა სრო-
ლა და ერანელთა თევადთა და ფალავანთა მოტაცება და მიწათა შიგან გასწო-
რება. ცნეს ფალავანის ფარემუზისა და ლომისა ბანგიჩასპის და ზრბანუქის მე-
ოპრობა, და ინდოურთა კმალთა ქნევა მოინაქეს და ასეთისა ქარისა ადგომა.
რომე თვალთა აღარა უჩნდათ. ფაშოთან ბაამან კელმწიფესა მოაკსენა არდაშე-
რისა და სხვათა მრავალთა ერანელთა მიწათა შიგან გარეუა და გაუჩინარება. ესე
განგებისაგან იქნა და იგი დევისა ნაშობნი არ დაშერეს და ომსა არა მოეშენეს.
ამისი ღონე არა არის და ანუ ამ ომსა არა ბოლო მოეღებინ. ჩვენთვის ქარსა და,
მტვერსა თვალნი დაუყოფიან და მტერზედან კელნი შეგვემოკლებიან. კმალსა
ველარა ვიქნევთ. აწ უკუვეყარნეთ. წყალსა გავიდეთ, ამას ღამესა ომიცა შევე-
მოკლოთ. დილასა ნუთუ საწუთროსა დამბადებელისა ძალით რაზმი დავაწყუოთ.
კელმწიფემან მოუსმინა, უკუსაყრელსა ქორგსა კრეს, მიბრუნდეს და წყალსა
გავიდეს და დადგეს.

აქათ ზაალდასტან და ფარემუზ დადგეს. ერთმანერთისა პირისპირ. ორთავე
ღარაქანი წამოაყენეს. მასვე ღამესა ქარი დადგა. დაკოცილთა და დაკოდილთათ-
ვის შეიჭირვებდეს და, თუ ვის რა ქონდა, ქამეს თავის. თავისა. და კელმწიფესა
ბაამანს ცოტად მიეძინა და უცხოფერი რამ სიზმარი ეზმანა. გაეღვიძნეს და აღარა
აქსოვდა. მასვე წამსა ჯამაზ მოაყუანინა და მას უამბო; ვითარ საკვირველი და
საშინელი სიზმარი ენაქე და აღარა მაქსოეს. მას აქათ არა დამძინებია. ჯამაზ
მოაკსენა: კელმწიფეო. ჩვენსა მოკსენებაა ქარსა უკან-უკან განანქრევთ. აწე
მრავლითა ანბითა აღარას გაწყენ და გარდასრულსა საქმესა აღარა ვაბრალებ.
ეგე სიზმარი ღვთისაგან თქვენისა ფათერაქისა და ღალატისა ჩამოქსნისა და შე-
ნაკვისათვის უჩვენებია, რომე დიღსა ფათერაქსა ჩამოექსენ და კელი ველარა
მოკვადეს მტერთა. აწ წავიდეთ და ამა ერთსა წელიწადსა უკანთ შევიყარნეთ.
ლაშქარნი. მოვიდეთ და საქმე თქვენისა ნებისად მოკლებინ და ვაგემარჩვების,
ველარაგინ დაგიდგაჰს. ყოველნი კელმწიფენი თქვენსა ბრძანებასა დაემორჩი-
ლებიან.

შეიგნა კელმწიფემან ბაამან, რომ აღარა მოეგვარებოდა, და ლაშქარნი და-
უმცირდეს. დიადი სახელდებული ფალავანი დააკლდა და მოკლულისა
ანგარაში აღარა იქნებოდა, და სხვანი უფროსნი დაკოდილნი და დალაღლნი
იყვნენ. ფაშოთანს და ჯიმაზს უბრძანა; ვითა: უმართლუა ჯიმაზ, რაცა ამას წი-
ნათ მიიხრა, ყველა აგრე იქნა. აწე, ვინათგან გამარჩევა ჩვენ მოგვეკვდების
და მბრუნავი ეტლი ჩვენკენ დაბრუნდების, აწინდელსა გარდასრულსა საქმესა.
აღარა მოეგვარების და განგებასა ვერა შევეცილებით. ესე საწუთრო ასრე იქნე-
ბის, ზოგჯერ მოგება არის და ზოგჯერ წაგება. აწ, ვისცა რა დაგაკლდესთ, მის-
თვის ნულარასა შეიჭირვებთ. საწუთროსა დამბადებლისა შეწვენითა აქავე სის-
ტანს დაგვეკვდების და ათსა ეგზომსა მოგიმატებ, რაცა ვის დაგაკლდების.

აკიდეს, მასვე ღამესა ბალხეთს წავიდეს, და კარეები და მძიმე ბარგი და-
მრავალი საჭურჭლე დარჩათ. და წავიდნენ გაპარვით. მას დღეს ომში მოკვდა.
ერანელნი რვა ათასი, დაკოდილნი ორასი ათასი თან წაიტანეს.

დილა რა გათენდა, ნაკეს ბაამან ხელმწიფე თავის ლაშქრით აყრილა და
ბალქეთისაკენ უვლია. მივიდნენ, ნაკეს ბარგ-კარავი, ქონება, კახინა დარჩომიათ.

დაატან ზოგი წარს გაუყო და ზოგი თვით წამოიღეს ლხინითა და სიბარულთა. სისტანს მოვიდნეს.

ამას შიგან რა ერთი წელიწადი გამოვიდა, საწუთროსა განმანათლებელმან შარიარმან, დიდმან კელმწიფემან თავის სპასალარო ფაშოთან და ვაზირი ჩამაზ. იქმნა და სკვანი ფალავანნი სახელდებულნი გვერდსა დაისკნა და ეგრე უბრძანა: ჭე, ფალავანო, საკელდებულნო, როჟელთა რაზმისა ომი, მძიმე ლაქტი, მაკეილი კმალი და ბასრი შუბი და ფალავანთა ომი სავარდესა შიგან პირ-მთვარეთა თანა ნაღიმად ჯდომა და მეიდანსა შიგან ბურთობად გჩანსთ, ესე ეითა შეეფერების ცამდი აჰაღლებულისა საკელსა და ფალავანობასა თქვენსა, რომე ერთმან გრძნეულმან ბებლმან ზაალმან ესე ყველა ქნა და მისგან ჩვენ ესე ყველა ჯავრი დავსთმოთ. რა თავადთა ფალავანთა კელმწიფისა ბრძანება მოისმინეს, აღვეს და ერთობილთა პირი მიწასა თანა გააერთეს და ეგრე მოაქსენეს, ვითა: კელმწიფეთა ყოველთა და შარიელთა თავადო, თქვენითმცა იჯარებს ტაქტი და გვირგვინი. ვითა მოსამართლესა ღმერთსა, ცხადისა და იღუმალისა მკედველსა, თქვენთვის ყოვლისა ქვეყანისა მპყრობელობა მოუქსენებია. აგრემცა ნუ ვინ იქნების ბრძანებისა თქვენისა შემცილე და წინა აღმდგომი და. ვინცა იკადროს, შეწევნითა დიდისა მოსამართლესათა, ვითა ცვილი ცეცხლმან, ეგრე დეუადნოთ. და იაუარ ვყოთ საქსენებელი მისი.

რა კელმწიფემან მოისმინა, თავადთაგან ესე საუბარი გაიგონა და დია ომა, და ეგრე უბრძანა: ნიადაგ კარგად იტყვიოთ და გააგებთ. კარგემცა ეტლი არის. თქვენი წინამძღვარი. აწე მე ამას მოგაკსენებ: გონიერი მწიგნობარი უტემთ და ლაშქართა საკომბელი წიგნი მიუწერეთ და შეეყაროთ ყოვლიანა ქვეყანისა ლაშქარი, და მივიღეთ ისტანს და ბერთა ზაალს და მათსა სახსენებელთა ჯვარი ამოვადლოთ, რომე სადამდის კაცნი იყვნენ. ესე იადგრად დარჩეს ჩვენი საკელი. მათ ეგრე მოაქსენეს: კელმწიფისა ჩვენ ბრძანებისა მონანი ვართ.

მასე წამსა უტემს მწიგნობარი. დაწერეს. ყოვლისა ქვეყანისა ლაშქარი და კელმწიფე საწუთროსა მკირავი ბაამან ნაღიმად დაჯდა. ცოტათა ოდენ თავადთა და ვაზირთა და ერთსა კვირასა ერთი ნაღიმი ეღვა, რომე ჩანგთა და ბარბითთა კმა ცამდის გაიწეოდა.

ამას შიგან რა გამოკდეს დღენი მცირენი, დაიწყო ლაშქარმან ყოვლსა ქვეყანისამან მოსვლა. და აივსო ლაშქრითა ქალაქი, მინდორნი, ტყენი, ველნი, მთანი და მიწისა პირი შუესა კუპრსა დაემსგზავესა ლაშქართა სიმრავლითა. კელმწიფემან უტმო ფაშოთან და ძველთა სალაროთა კარი გააღებინა, ეზომი საკუთრულე გასცა თავადთა ზედა: თვალი, მარგალიტი, ოქრო, ლარი, სტავრა, ძვირფასისა მრავალი უტხოფერი მძიმე განძი, რომე ანგარიში არ იქნებოდა. მერმე ავილაქვართა უბრძანა და მოაღებინა ჯოგი და შესაფერად ასრე გასცა, რომე პირამდის ააესნა იგი ლაშქარი. მერმე უბრძანა კარავანთა გაქმა. და გაიქნეს მინდორად და დადგეს.

სამსა დღესა კელმწიფისა კარზედა შეიქნა ქოსთა და ნალარათა. ყვიროსტიკრითა, ძროხა-კუდთა სპილენძჭურთა, ბუქთა და ტაბლაქთა ტერციალი და კენესა. მათითა ძაქილითა, თუ სთქვა, ცა და ქვეყანა იქეოდა და დაკაზმულნი ფალავანნი და სფაადარნი კელმწიფისა კართა ზედა მოდგეს. შეჯდა საწუთროსა. მპყრობელი შარიერი კელმწიფე ბაამან და გაემართნეს საკელსა ზედა ღვთისასა, და უბრძანა ფაშოთანს ლაშქართა ათელა. და ათვალის რეაასი ათასი მეომარი.

რკინითა შეკაზმული ბარგისტრითა ცხენებიათა, კმლის მქნეველი ესეთი კაცი, რომე მათგანსა ათი ათასისა ღვეისა შებმა შეეძლოთ. და წავიდეს ერთობლინი და მათითა სიდიდითა მიწა იძროდა და ჰაერი გაუჩინარდა. მიეჭარნეს, ასრე რომე საზიას დღისა სავალი სქვა ედვა.

დასტანის ჭაშუში იყო ბაამანის ლაშქარშიგან. გამოეყარა და ზა[ა]ლს და ფარემუზს უამბო. კითხა ზაალს: აწ ამა საქმისა ღონე არა არის, მართალი მითქარ. დასტან ეგრე უბრძანა: რაზმისა და ომის მეტი ღონე არა ვიცი, დამცაიწვების ესე ეამი და სოფელი. მერმე ფარემუზ ეს მოაქსენა: ზე, საკელოვანო მამაო, მე ღონესა რასმე მოვნჯავ და შენ ნუ დაძეცილები. შენ ლაშქარი შეყარე ერმანდასა ზღვის პირსა და ბაამან კელმწიფესა თქვენებური ტუბილი წიგნი მიუწერე და ესე შეუთვალეთ, ვითა: თქვენ საკელოვანი კელმწიფე და მეტად დიდითა ლაშქრითა, და ჩვენ დია ცოტათი და უნივთოთა. ესე იქნების, რომე ერთი ასსა შეებასა აწ ჩვენ აჯა გამოგვართვით და გავგიგონეთ, და მერმე რაზმისა ლაშქარნი მოიწყენ, მაშინ ანუ მოვეწყვენთ, ანუ შევიბნეთ. სადამდის ამა წიგნისა პასუჯი მოგვივიდეს, შენთა ლაშქართაგან კარგსა შერჩეულსა მამაცსა კაცსა გამოვარჩევ, ათი ათასსა გულსრულსა ცხენოსანსა და რა წაშს გამოვარჩევ ლაშქართა, აღარა ვიქნები, მოგშორდები და ერთკენ გავალ. ვაზირთა გამოარჩივს და ესე პირი დაამტკიცეს.

აიყარნეს და ყველანი რაზმისა ომისათვის დაეკაზმნეს და აბჯარი ჩაიკვეს და. ვითა გუმბათმან შავი ლელვა და საწუთრომან შავი ქული დაირქვა, ფალანანი ფარემუზ ფიცხლავ შემბმელითა ლაშქრითა გავიდა იღუმალ ბნელსა უკუნისა დაძესა. წალკოტი, სავარდენი და თავის მამული ყველა გაუშვა. მივიდა და ამა ათი ათასისა კაცითა ერთი კლდისა ნაპრალი მონჯა და შიგან შევიდა, ასრე რომე იმა ადგილსა ვერცა დევი შევიდოდა და ვერცა შიშისაგან ვეფტი მიაკლდებოდა. საწუთრო-ნაკულმან დასტან ლაშქარი შეყარა.

მეორესა დღესა რა დღია გათენდა, აქათ ფაშოთან მოვიდა, ვითა მავალა ზღვა. მას უკან ყოშუნ-ყოშუნად და ურციხეი ლაშქარი, ათისა დღისა სავალსა ლაშქარი იდგა, თუ სთქვა, ზღვისა ღელვასა გვანდა. მეორესა დღესა თვით კელმწიფე ბაამან მოუდგა და მოვიდა. საწუთრო ლაშქართა ფერკთა მტერისაგან გაუჩინარდა. რა ბაამან და ფაშოთან ერთად შეიყარნეს, ბაამან კითხა ანბავი ზაალისა და ფარემუზისა და მათთა ლაშქართა. ფაშოთან მოაქსენა: საკელოვანო კელმწიფეო, ფარემუზ ლაშქართა შიგან ვერა მინჯავს. ესე მესმა, ვითა: ქვაბულისტანს, ქალაქსა შიგან მისულა და მუნ სავარდესა შიგან გამოსვენებად არს. მერმე კელმწიფემან ბაამან ჭიმაზს უბრძანა: ესე რა სიტყვა არს, ჩაქედენ საეტლოსა შიგან და რაქლოსა კარ, თუ რას გეტყვის და ანუ დღეისა საკე სად არის. ჭიმაზ საეტლოსა ჩაქედა და რამლსა კრა, ფარემუზის ნიშანი ვერა პოვა. კელმწიფესა მოაქსენა, ვითა: ფარემუზ ლაშქართაგან არა არს და ამა ჩვენისა რაზმისაგან შორს არის. მერმე კელმწიფემან უბრძანა ჭიმაზს: შენ კვლავე ჩაქედენ საეტლოსა შიგან და ნაქენ, თუ ჩვენ ზედა და ჩვენთა ლაშქართა ზედა კარგი მოვა თუ ავი. ჭიმაზ ეგრე მოაქსენა: კელმწიფეო საკელდებულო, ჩემგან თქვენი მოქსენება არა ეგების, ამა რაზმისა ომსა შიგან რომე დაგიპირებია, სხვა რამე საქმე იქნების, ფარემუზისაგან იადგარი საუკუნოდ ასეთი საკელი დარჩეს, რომე ქაარამოზის კელმწიფის ეამთა აქეთ ასეთი რაზმის ომი არავის აკსოვდეს. დიაღო მემომართა თავი მოედანსა შიგან დაეცემის და მეტად დიდისა სის-

კლისა რუ ადგების. მერმე თქვენთა საქელღებულთა სპათა ლაშქართაგან ერთი ფალაენი ცხენოსანი გამოჩნდების. და იგი მოედანსა შიგან შევა და იგი ფალაენი დიდსა საქელღებულსა ფალაენსა ცხენისაგან ჩამოავდებს, და დიადისა ფალაენისა თავსა ფერკთა ქვეშე მოიქცეს. მისისა კლმისა კმისაგან დიადი ფალაენი ათრთოლდებიან. მერმე სრულად ფარემუზის სპათა შეეშინდების. მერმე ამა ომსა უკანით იმა ფალაენისა საქმე ზაალის კელით დასრულდების და მისითა კელითა მოიკვლის. უკანის თქვენი ლაშქარი კიდევ გატყუდების და ნეტარძი იმა კაცსა, ვინცა ამა რაზმისაგან მშვიდობით მოჩრჩეს. ამა საუბრისაგან კელმწიფე ერთობ დანაღვლიანდა და სეედიანად შეიქნა. ჯამაზს ევრე უბრძანა: რაჟა ლეთისაგან ეტლსა გაუვია, მისგან თავსა ევრსად გაიღებს. მერმე უბრძანა, ვითა: ლაშქართა გამოარჩიეთ მეომარი კაცი. ესე უბრძანა ლაშქართა, ეცადნეთ ნუთუ ფარემუზის ანბავი შეიტყოთ რა, და ვერა შეიგნეს.

საწუთროსა კელმწიფე ერთობ გაცვირდა და ჯიმაზ თავის წინ იქმო და ესე უბრძანა, ვითა: შენ იტყვი, ფარემუზ ქალაქსა შიგან არა არს და არცა ზაალიო. ვინათგან აგრე არის, ქალაქი სპათაგან სრულად ცარიელი იქნების. აწე ჩვენ ესე ექნათ, რომე ფიცხლად ქალაქს ლაშქარი გაეგზავნოთ, ნუთუ ღმერთმან ჩვენისა გულისა ნება აღგვისრულოს და ჩვენსა წაღილსა მიეკვდეთ. თუ სისტან ქალაქი ვიშოვოთ, მათ ქალაქთა რაღა საქმე უც და ანუ მინდორსა და ქალაქსა პირად რაგვარ დაგვიდგებიან და, თუ სადა ქალაქისა კართა გარეთ მოვიკვლნეთ, ასრე დავკონეთ, რომე სრულად ამოვსწყვიტნეთ. მერმე კელმწიფესა ჯამაზ ევრე მოაკესნა: ჭე, ქვეიანო, გულწმინდო კელმწიფეო, ვინ იცის, ამა საქმისა თუ რაგვარ იქნების, ერთმან ღმერთმან იცის და შენ უკეთ იცი. რომე კელმწიფეთ კარ და ევრე ქვეიანი, მეცნიერებითა და სიბრძნითა ჩვენგან უგონიერეო და უმაღლე კარ. მერმე კელმწიფემან ფაშოთან იქმო თავის წინა და ევრე უბრძანა, ვითა: შენ ჩემი კორცი, სისკლი და ჩემი მევეისი კარ. აწე გამოირჩიე ჩემთა ლაშქართაგან თორმეტი ათასი კაცი სპა და ამას ღამე, ბნელსა ღამესა დაეკაზმენით და ქალაქსა მიუტედიეთ. და ქალაქში ლაშქარი არა იპოების, ცარიელი არის და ასრე ცოტა გზა მოვა, რომე ერთობ აკლო მოკვალ. მერმე ოდესცა ჩვენ ზაალს შევებნეთ, შენ ეცადე, რომე ქალაქსა ვითა შეკვიდე ლაშქრითა. რა ფაშოთან კელმწიფისაგან ნაბრძანები მოისმინა, ფიცხლად გამოვიდა ფაშოთან და კაზმა დაიწყო და გამოარჩიეა მეომარი ლაშქარი, და ბნელსა ღამესა ლაშქართა გამოეყარა და წამოვიდა.

მასვე წაშსა დასტრისა ჯამუში მოვიდა ბაამანის ლაშქართა შიგან და ანბავი შეიგნა. და მასვე წაშსა ზაალის წინაშე მივიდა და ამბავი მიაერთვა. რა დასტან ესე ამბავი მოიკესნა და ფაშოთანის წასვლა შეიგნა, ფიცხლად ერთი ცხენოსანი უქმო და ერთი მალაკოტისა კისა [მისცა] და ასრე უბრძანა: კარგ საქელოვანო. ესე კისა ფიცხლად ქალაქამდის მოიღე და, რაჟა ამა კისასა შიგან ძეს, მისგან ორნი ნაწილნი ქალაქისა შიგან ზღუდეშდის მოაბნიე, სქვა, რაჟა მოგჩრჩეს, ციხისა გზანა და ზღუდისა ძირსა მოყარე ისი. რომე კისასა შიგან იღვა. ზაალს რკინისა ოთხეური ბირკი შეექნევიან და იგი მოაყრევიან და ესერა არცა ვის აქსოვდა. მას ბირკისა რა დაავდებდენ, მას ერთი თავი შუბისა პირივითა და მკვეილი თავი აღმა აემართებოდა. რა იგი ბირკი იმა კაცმან ყოველსა აღვილსა მოაბნიეა, დაბრუნდა, ფიცხლად ზაალს წინაშე მოვიდა.

მერმე, მასვე ღამესა მოვიდა ბაამანისა ლაშქარი, სპა შავი ღრუბელი ვითა

და მეტი ვითა. კმალი, ლაქტი და აბჯარი ელვარობდა. მასვე წამსა ორთავე ლაშქართა რაზმი დაიწყეს. ვითა სპილო მბრუნეი, კლდე მავალი ერანელთა ლაშქართაგან ორპოცდაათი ყოშუმი გააჩინეს. ყველა კმალ-ამოწვდილი და ქელთა მძიჱე ლაქტი, ზუფინი და შუბი ქონდა. თეითო ყოშუნი ათი ათასი კაცი იყო, ყველაი გამორჩეული, ჭანგ-მაკვილი და კლმისა მკერელი.

იქით დასტან გამოვიდა, რომე გამოცდილნი და მისნი სპანი ყველანი ერთგან შეყრილნი ზაალ განაჩინნა. თითო ყოშუმნი ათას-ათასი კაცი გამორჩეული მისი იყო. მერმე, საწუთრო-ნაკულმან დასტან რა ნაკა, ასრე თქვა: არა ვიცი, თუ მბრუნავი ეტლი რას გვიზამს. მასვე წამსა შეჭდა მისსა ცხენსა კუნესსა და წამოვიდა მოედანსა შიგან და თავისსა ლაშქართა ყველასა გარე შემოუელო. მერმე ლაშქართა ეგრე უთხრა. ჭე, თავდადებულნო სპანო, ამისთანა დღე არავის აქსოვს და ვერავენ მოგვეცემს ამისთანასა დღესა ნიშანსა. ყველამან მამაცობისა სარტყელი ვიშოვოთ და მტერთა თავები ფერკთა ქვეშე მოვიქციოთ. ლაშქართა სიმრაველსა ნუ შეუშინდებით, ყოვლისა შემძლებელი დიდი ღმერთი ჩვენი არის. ბაამან მისთა დღეთა შიგან ავის მეტსა არას იტყვის და ჩვენგან უსამართლოსა სისკლსა და მტერობასა ეძებს ნიადაგ. მნაკეთ, თუ ამ ბერმან და მიდღეენებულმან, ჟამნაკულმან კაცმან რა მამაცობა ვქნა. მერმე ლაშქართა დასტანს მიულოცეს და დიდი მადლი მოაკსენეს: ჭე, საკელოვანო და ერთობილისა პირისა მიწისა ფალავანო, თქვენთვის თავი და სული დაგიეც და შენთვის დავიკოცებით. მოვიპირვოთ ყველამან, რაცა ჩვენგან ეგებვის. მერმე, მასვე წამსა ერთი ცხენოსანი გამოვიდა ბაამანის ლაშქართაგან, პირსა დუფი მისლიოდა, ერთობ მავალსა და მფრინველსა ცხენსა ჭდა, თეთრი ვერცხლისა მუზარადი თავსა ერქვა, ცხენი სრულად ბაქთრითა შეკაზმული იყო და ტანი რკინითა, მადალი კლდე ვითა შექედლი იყო. გულოვანმან კელმწიფემან ბაამან კითხა ჟამაზს, თუ: ეგე ცხენოსანი კაცი ვინ არის, რომე მფრეწელსა ლომსა გავს. ჟამაზ ეგრე მოაკსენა: ესე ფეროზ არის, არეშისა გვარისა. გვარად, კაცად და მამაცად არეშისა უკეთესი კაცი არა ყოფილა, ოდეს შესტყორცნა და ჭუენანს მიაცდუნვა. ამისთანასა ესე შეილი მამასა თუ არა სჯობს, არა უარეა, გულოვანი და კარგი ცხენოსანი და ყოველითა სამამაცოთა ზნითა საესე.

მასვე წამსა ესე საკელოვანი ფეროზ შეჭდა ცხენსა და მოედანსა შიგან ჩამოვიდა და მისი მზე ვითა ბრწყინვალე პირი მტვერითა აევსო. აქათ დასტანის ლაშქართაგან გამოვიდა ერთი საკელდებული ცხენოსანი, აბრაშსა ცხენსა ჭდა. ცხესა სრულად ბაქთრითა შეეკაზმა და აბჯარი ჩაეცვა. რა მტერმან შექედნა, თვალნი გაუტყდეს. სრულად თავით ფერკამდი რკინითა შექედლი იყო, ფეროზ ეგრე უთხრა: ფალავანო, მითქარ შენი საკელი რა არის, რომლისა გვარისა ქარ, და ანუ შენისა დედისა და მამისა საკელი რა არის, რომე შენისა სულისაგან მტვერი ავადინო. ოდეს ესე მექნას, არავის უთხრა, თუ ვინ ჩამომიგდიო ომსა შიგან. სკვამან კაცმან ესე უთხრა, ჭე, ფიცხელო და კარგო მამაცო. რა იცი, თუ შენითა კელითა მოვიკვლი, თუ არა მე როსტომთანა გაზრდილი ვარ, რომე მისთანა ფალავანი ცხენსა ზურგთა ზედა არა ჯდომილა. ჩემი საკელი ლავი არის და ღვარ ქალაქი ჩემი არი. მაულად გულითა გულოვანი ვარ, მკერდითა და მკრითა ქვისა მსგავსი მაგარე. მერმე ფეროზ ეგრე უთხრა: მე ვარ არეშის შვილი ფეროზ, ცეცხლივითა ფიცხელი და გამზიდავი.

აქა ლავის მოკვლა არეშის შვილის ფეროზის ქელითა

მერმე ფალავანმან ლავი არყისა ისარი ამოიღო, და მშვილდსა ჩაუგდო და შემოსტყორცნა. რა ფეროზ ისარი დაინაქა, ფარი იფარა. ისარმან გარდაიარა და ცხენისა ბექ[თ]არსა ეცა და ვერა ავნო რა. ფეროზ მისგან შემორტყორცილი ისარი ნაქა. მანცა ამოიწოდა ისარი და შემოსტყორცნა, ვითა მეცი. რა მისი ისარი პირი ბექთარსა ეცა, ბექთარი გაიარა და ზურგსა შიგან გაავლო, ლავი ცხენისაგან ჩამოიჭრა. რა მეომრისა ეციისა ქელითა ტანი მიწასა შიგან გაერია, მისთა სპათა ლაშქართა ერთობილთა ტანისამოსი დაიკიევეს. მერმე კვლავე ფეროზ ფალავანმან და რაზუნაქულმან და გამოცდილმან მოედანსა შიგან შემოვიდა. როსტომის ასულმან ბანგიქასპ ესე საქმე მოინაქა და ლავი ფალავანი მოკლული ნაქა, მისი აპქარი და ბექთარი, ყველა, ხალასსა ოქროსა ვითა წითელი იყო. მისი გული ბაამან კელმწიფისაგან, მისთა სპათაგან ერთობ გულმტკიენული იყო. მისთა მანდატურთა დიდი საქონელი მისცა და ერთსა მესაწოლესა უბრძანა: შენ მიდი დასტანს, საამის შვილსა, წინაშე და ჩემსა საქელსა ნუ აქსენებ, ასე მოაქსენე. ვითა: ერთი საქელდებული ცხენოსანი არის, რომე შენთა ლაშქართა შიგან მისთანა საქელდებული ფალავანი არა არის და ამას მოგაქსენებთ, თუ საქელდებული დასტან ფარმანსა და დასტურსა მიბრძანებ, ჩვენსა მტერსა ფეროზსა ამ წაშლა სულსა ამოვართმევთ. რა მესაწოლემან ესე დასტანს მოაქსენა, მასვე წაშლა წამოვიდა, ბანგიქასპის საქელი არა აქსენა ყოლე და ესე მოაქსენა, ვითა: თავისა თავი იმა ფალავნისაგან შეინაქე და შენი მისგან უკეთესი ნუ გგონია. თუ მამსკობითა საქმე კარგი არაოს იქნება და მეომრობითა დაშავდების ყოველი საქმე.

ბანგიქასპ რა ესე საქმე გაიგონა, თავისა მანდილი და თავსაყრაი ყველა მუზარადსა ქეეშე დამალა, შექადა ცხენსა და მოედანსა შიგან შემოვიდა. მერმე ფეროზ ეგრე უთხრა: შენ ვინ კარ, ანუ შენი საქელი რა არის. ბანგიქასპ ეგრე უთხრა: მუ. საქელოვანო, ჩემსა გვარსა და საქელსა რას იკითხამ, ანუ რა საქმე გიც. აწუ მნაკო, თუ მე რას ექვ, მიწა შენითა სისქლითა ეარდისფერად გაქაქალო.

რა ბაამან კელმწიფემან ესე ქალი დაინაქა, და გაუკვირდა მისი ცხენოსნობა, ჯამაზ ეგრე მოაქსენა: მუ, შარიერო, ამა ცხენოსანსა რომე ქედავ და აქებ, როსტომის ასული ქალი არის. არა მინაქავს ერთი მისთანა ცხენოსანი, იმის უჩაღხესი და თავგანწირული, და ისრე საყვარელი. თავი და სული გაუწირავს.

რა ბაამან ქიმაზისაგან ესე საუბარი გაიგონა, გაუკვირდა და აღარცა რა შეუზაქნა.

აქა ბანგიქასპისაგან ფეროზის შეპყრობა და ზაალს წინაშე მიყვანა

რა ფეროზ იმა ქალისა სიაცლოვესა მივიდა, ამოიღო ისარი და მშვილდი, და შესტყორცნა და დააცდუნა. მერმე ქალმან ნაქა ფეროზ ისრე შეშინებული. ლაქტი წელთა ჩაიპყრა, მიუქდა და ქელი სარტყელსა შიგან ჩაუგდო, ამოზიდნა და უნაგირისაგან აგლიქნა და ქარივითა წავიდა და ფიცხლად ზაალს წინაშე მიყვანა.

რა ბანგიქასპმან ფეროზ დასტანს წინაშე მიყვანა, ცხენისაგან აიყვანა და მიწასა ზედან დასცა, ერთობილმან ლაშქარმან მიულოცა და ქება შეასაქა. მერმე

მოვიდეს ლავის ლაშქარნი, ყველანი კმალდაწვდილნი და ყველამან ტირილი და ძაქილი დაიწვეეს და ფეროზ მოკლეს.

ბაამან კელმწიფემან რა ფეროზის ტანი მოკლული ნაქა, ერთობ დანადგლიანდა. მერმე ფალავანმან ფარუქ ფიცხლად ცხენი შეუტრია და ქალსა ზედა მიუქდა. ესე ფარუქ აქიმი ჭამაზის შვილი იყო, და საკელოვანი ფალავანი და საკელგანთქმული იყო. დიადჯერ მიუტდეს ერთმანერთსა. ცხენის ტერფისაგან მიწა იძროდა.

ბოლოდ, ბანგიჯასპმან, გულოვანმან ქალმან, შემოუვლო ნავარდი, ვითა მბრუნავმან ლომმან, მიუქდა, დაკრა კმალი და ნაკევაი მუზარადი ნაკევაი თავითურთ ჩაქვეთა ღ გულსა დაასო. ბაამან კელმწიფემან და ჭიმაზ რა ესე მოინაკეს, ერთობ დანადგლიანდეს და გული სევდითა აევსოთ. ცოტას ჯანსა იტირებს და იგლოვებს. და ჭიმაზ შვილისათვის საყულო გარდიფრიწა, წერტი და თეთრი თმა იგლოჯა, და მიწათა ზედა გარდმოვარდა და მიწასა და ნაცარსა იყრიდა. მერმე კელმწიფემან ჭიმაზს დიდად შეეკეწა, დააყენა და გული დაუშა.

ჭიმაზის შვილსა ფარუქს შვილი ყვანდა, სიმამაციითა და გულოვნობითა კელი მარიქსა ზედა ეტლსა უმაღლე ედგა. რა მამა მისი ფარუქ მოკლული ნაქა, სისხლსა და მიწასა შიგან გარეული, ჭავრითა ქალსა ზედა მიუქდა. რა სიაკლოვესა მიეწურა და დაიძაქნა, ვითა კვადმან ლომმან, და ქალსა ასრე უთხრა, ვითა: ჭე, ავგეარო და აეთესლო, ამა რაზმსა შიგან მბრუნავსა ეტლსა, რაცა სთხოვე, მოგცა და ჩვენგან ორი საწუთროსა მძებნელი ფალავანნი დაჯოცენ, რომე ერთობილსა ნიბრუზის მამულსა სჯობდეს. მერმე ქალმან ასრე უთხრა, თუ რაზმისა ომად მოსულქარ, რაზმი შეეაზმე, ამა წამსა შენცა მართლ მათ გვერდსავე გაგზავნი. მე ვიცი, რაგვარ მოუთმენ, რა გესმა მათი სიკვდილი, უღონოდ გეწყინა.

და გაგულისდა ამისსა თქმასა შიგან, ფიცხლად ფარუქის შვილი ქალს ზედა მოუქდა და კმალი თავსა გარდაკრა. ქალმან ფარი თავსა იფარა და პირი აქცია, ვითარცა გარდაქვეწოდა. ვაჟი უქანა მისდევდა. ბანგიჯასპ მოუბრუნდა, კელი გაიშვირა და ერთითა კელითა ცხენისა ძუასა მოეკიდა და ცხენი თავისა წინა მოიზიდა და მეორისა კელითა საყულოსა შეეკიდა და უნაგრისაგან აიყვანა, და მასვე წამსა ზალდასტანს წინაშე მიიყვანა. რა ზაალს წინაშე მიიყვანა, კითხა. ზაალმან, თუ: რომლისა გვარისა კარ? მან მოაქსენა: ჭე, საკელოვანო ფალავანო, ჩემი მამა იყო ფალავანი ფარუქ და ამა რაზმსა შიგან მოიკლა, და ჩემი იმედი ერთობით ამოსწყდა. ასრე მინდოდა, რომე მამისა ჩემისა სისკლი არ მეძებნა და დამეკარგა. ბოლოდ, მეცა ფალავანისა ქალისა კელითა ფათერაქსა ჩავები. ასრე გეკვეწები, რომე ბერისა ჭიმაზისა გულსა ჩემზედ ნულარ დასწავე და ერთხელად მისსა ბედისა თვალსა ნუ აუბამ. ჭიმაზის გულისათვის ზაალ ერთობ განაწყენდა და პირი ყვითლად შეექმნა. მერმე ზაალ ვაჟსა ეგრე უთხრა: ჭიმაზ ჩემი მოყვარე არის და ნიადგ მოყვარული ყოფილა. ნეტამცა მისი საყვარელი შვილი სისკლსა და მიწასა შიგან არ გარეულიყო. აწ მე შენ ზენაარი გამოგართვი, გეგონოს ვითამცა დედისაგან დღეს აქლად შობილქარ.

ფალავანმან დასტან ცხენსა შესვა და ტანსა შემოსა. ერთი უკეთესი კაცი მისთა ლაშქართაგან თან წაატანა და ესე უბრძანა, ვითა: ამა ლაშქართაგან მშვიდობით გავიდეს.

ბაამან კელმწიფემან, ვითა დაინაქა, ღმერთსა მაღლი მისცა და ერთობ გაი-

ქარა. ვაჟი ბაამანს წინაშე მოვიდა. კელმწიფემან უბრძანა, თუ: ვინ იყო იგი მეორე ფალავანი. მერმე ვაჟმან ესე მოაკსენა, ჭე, კელმწიფეთ, იმასა რომე იქით-ხამ, ისი ფალავანი ვინ არის, რომე ამა ყველასა კერტიანობასა იკმარებს, ისი ქალი ფალავანთავან პარსა არა იქცეეს და არცა დაემალვის, საკელოვანისა როსტომის ასული არის. მისისა ნათქვამისაგან ერთობ დანაღვლიანდა და ღმერთსა მადლი მოაკსენა და ამას იტყოდა: ჭე, ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, დაძაღვებელო, რა თესლია ესე თესლი არაწმინდა, რომე მათნი დედანი მამათა უძლიერეს არიან, ომსა და ბრძოლასა შიგან უმგულვარე არიან. როსტომისაგან ევრა ვნაჟეთ ესე ყველა კერტიანობა, ნუმცა არის მათი. აჲ ერთი საკელდებული მინდა მისი საფერი, რომე ამავე წამსა მისი თავი ჩემსა წინა მოიღოს და, ვინცა მისსა თავსა მაპართვამს, მას ყოვლისა კაცისაგან ერთობ უმდიდრე და უკეთ ვაჟყოფებ, და მისსა ჭაჭეისა კალთასა ოქროთა შეკვანძავ.

მერმე, მასვე წამსა ფალავანი რუამ გამოვიდა, წადგა კელმწიფისა წინაშე და თავისა ქება მოაკსენა ესე: თუ შარიერი ფარმანს მიბოძებს, ამა ჭირისა წაწალი მე ვიქნები. კელმწიფესა გაეპარნეს და ესე უბრძანა, ვითა: ფალავანო, ეგე შენი საქმე არისო.

გამოვიდა რუამ ვეფტი ვითა და ბანგიჯასპ შეუზაქნა და უთხრა, ვითა: მურალო დიდაცო, შენი თესლი ქაჭთა აფსლისა არის, შენ ვინა და გულოვანთა მეომართა ომი და ანუ შენი რა საქმე არის, ამ წამსავე შეგიპყრობ და მკარშეკრულსა ბაამან კელმწიფისა წინაშე გამგზავნი. მასვე წამსა აზორსა, ლალთა და ქარბანდათა მიგაცემინებ, თუ მუნამდის ცოცხალი ქარ. მერმე ფალავანმან ქალმან რუამს შეუზაქნა და ესე უთხრა: ჭე, დეო ავგვარო, ნუცა შენ ქარ და ნუმცა შენი ბაამან და მისნი ლაშქარნი. და ნიადაგ თქვენნი მტერნი თქვენზედა მორკმით და გამარჯვებით არიან. მე ვარ საწუთროსა ფალავანისა როსტომის ასული, ნიადაგმცა ძალდნი მოვკამენ წელთა და ნაწლევთა, მე შენ ღვთისაგან მინდოდი მუდართა და შემოკვეწითა, ამაღ გეუბნებოდო.

რა ესე უთხრა, ცეცხლმან ვითა შეუტევა და მიწისა პირი მტერთა გააუჩინარა. ერთმანერთსა გარდაევიდნეს და ცემა დაუწყვეს. და აბჯარი არცა ერთისა გატყდა. ბოლოდ, ბანგიჯასპ ცხენოსანმან მოიწოდა მისი გესლიანი კმალი, კრა რუამის ცხენსა და ოთხნივე ფერკნი ლურწამივითა გააყრევინა.

აქა ბანგიჯასპისაგან რუამის ჩამოგდება ცხენისაგან

ჩამოვარდა რუამ ბელმავი და ბედნაკრული და ქალი ფიცხლად ზედა მიუტკდა, კრა კმალი და რუამს წინა ორი თითი მოკვეთა.

რა ბაამან კელმწიფემან ესე საქმე მოინაჟა, რუა ისრე ჩამოგდებული ნაჟა. შეუზაქნა ლაშქართა და ესე უბრძანა: უშველეთ და რუამ იმა ქალისა კელისაგან იქსენით. ლაშქართაგან წამოვიდა ათასი ოდენ კაცი და ყველაი იმა ქალსა ზედა მიუტკდა და ომი დაუწყვეს. რუამ შეპოვიდა ლაშქართა შიგან, ქვეითი შემოიბრა.

რა ლაშქართა ნაკეს, რომე რუამ წავიდა, ყველანი დაბრუნდეს და გაიქცნეს. მიყუბ ბანგიჯასპი კოცით ლაშქარმდინ და ორასი კაცი მოკლა, და დაბრუნდა ბანგიჯასპცა და მოედანში შემოვიდა გულოვანი. და დაიძახნა, ვითა: ვინ ქართ ჩემნი შემბმელნი, გამოდით.

ერთი ცხენოსანი გამოვიდა, შეება და წამსავე მოკლა. მერმე მეორე სკვა გა-

მოვიდა. შეება და შეიპყრა და მჭარი შეუქრნა. მერმე სკეანი გამოვიდეს. კუთნი
კაცნი. და ივინიცა დახოცნა. მერმე ოთხნი სხვანი გამოვიდეს, ივინიცა ცოცხალ-
ნი შეიპყრნეს. შეეკვეწნეს, იგი ორნი გაუშვა.

ფალანგანმან დასტან ერთობ ქება შეასკნა და ჭრეთ იმედი ქონდა გუარისა
და მისისა რჯულისა. ყველასა უკვირდა, თუ ვინ არის. სადამდის მზე არ ჩასვენ-
და. იგი მათსა ომსა არა მოეშალა.

შარიერის თვალი გზისაკენ იყო, ნუთუ ფაშოთანის ცხენოსანი ვინმე გა-
მოჩნდესო. ანაზღადთ ერთი ცხენოსანი შორით დაინახა. მოვიდა კელმწიფესა წი-
ნაშე და ესე მოაკსენა, ვითა: ფაშოთანის ერთი ცხენოსანი მოვა თქვენსა წინაშე
სამაკარობლოდ. ვითა სისტანი ქალაქი ფაშოთან დაიჭირა, თქვენ სიკარული
გმართებს და ზაალს გლოვა. ამა საუბარსა უკან ფაშოთან მოვიდა ბაამანს წინა-
შე ქვეათი. ფერტთა და წვივთა სისტკლი მისლიოდა და გარდმოქვეწილიყო. მოვი-
და. ვით შავი გაზაფხულისა ღრუბელი.

რა კელმწიფისა სიაცლოვესა მოვიდა, იმა ყველასა ცხენოსნისა სკეისა ლაშ-
ქრისაგან ერთისა ცხენის მეთი არ მოყვა. კელმწიფემან ჩიმაზს კითხა, ფაშოთანს
და იმა ერთსა ცხენოსანსა, ვითა: ესე ლაშქარნი ვინ დააქვეითა. ფაშოთან მოაქ-
სენა კელმწიფეს: ცხენები ყველასა დაგვიცივდა. რაზომსაცა მათრავსა ვკრე-
დით, ვერცა ქვე დავეძრვდით. დაცემითა ცხენებსა ბარკალსა ტყავი ზე დასც-
ვივდა. დაეცემოდან და ძლივ კიდევ ავაღვინით. და ოდესცა წავლისა ღონესა
ვეცდებოდით, წადგიან ფერტი და კიდევ წაიქციაბ. რაცა ცხენები და ჯოგი
გწყვა, ყველაი დაგვიცივდა. აგეთი ღონემოშლილნი, დაქვეითებულნი დაერ-
ჩით. ღონე ამის მეთი ვერა მოვიწაქეთ, რომე ყველამან ცხენები დაეყარეთ და
ქვეითნი წამოვედით. ზოგი მართალსა გზასა წავედით და ზოგი უგზოსა და მინ-
დორსა უკაცურთა და ქვეთა შიგან ჩავცივდით. რა ერთმანერთი დაეინაქით,
ერთმანერთსა მიემართით. სითქენცა გავიქციით და გავიბრძინით, ბირკი თავმწ-
ვეტი ქელსა და ფექსა დაგვერკმოდის და ადგილობრი წაიქცივით. მას ღამესა
იქივე ღგომის მეთი ვერა მოვიწაქეთ. სანამდის არ გავივითენდა, ადგილიდამ ვე-
ლარ დავიძრვინით.

ფაშოთანს იმა ბირკისა თანა წაეტანა. იგი კელმწიფესა უჩვენა და ესე მოაქ-
სენა, ვითა: ერთობილი მინდორი ამისთანათა ბირკითა საჯსე იყო. ამას გვანდა,
რომე ჩვენთვის საუბედუროდ, დასაკოცლად ცით ეწვიმა. რა კელმწიფემან ბირ-
კი ნაქა, შეექმნა კენესა და გულისთქმა, თუ სთქვა, გულისაგან შავი კვამლი
ამოსდოდა და ესე უბძანა: თუ უქნია, ესე ზაალს უქნია და მისი ნაქმარი
არის, და ამა დღისათვის მოუგონია. ამისთანა სიბრძნით საესე კაცს რა მოუგეა-
როთ, ანუ რით ღონით შევება, რომელმან ესე ყველა კიბალი და თოჯობა იცის.
კელმწიფისა ლაშქართა აიღეს ისი ბირკი და ნაქვა დაუწყეს და, რაზომთაცა
ნაქეს. ყველასა უკვირდა. და დარჩა ისი ბირკი ზაალისათვის სახსენებლად და
ღღესამდის მისი იადგარი იქსენების. და დადამდა იგი ღღე და ლაშქარი გაიყა-
რა. და თავის-თავისას წავიდეს სმად და გამოსვენებად და ნადიმად.

მეორესა დღესა რა გათენდა, შეიქნა ზაცილი და ორდარგნითვე ლაშქარი
გამოჩნდეს. რაზმი დააწყვეს და კმალი ამოიწოდეს და მძიმე ლახტი ქელთ აი-
ღეს. მერმე კელმწიფემან ბაამან ქამაზს კითხა, თუ: საეტლოსა ჩაქედენ, რასა
გეტყვის, ჩვენთვის საკეთოსა მისჩანს რა, თუ დაეზიანდებით. ქამაზ მოაკსენა:
ღღეს შუადღემდის ღმერთი და ეტლი გამარჯვებასა შენ მოგცემს და ძლევა

შენიკენ დარჩების, და შენნი მტერნი შენისად ნებისად გახდებიან, და შენითა წყალობითა შენნი ლაშქარნი და სპანი პირსა წყლიანად და გამარჯვებთ იქნებიან

აქა სალიმანისა და ბანგიჯასპის ომი

ამაზედან ბანგიჯასპ მოედანსა შიგან შემოვიდა. აქათ სალიმან გამოვიდა. სალიმან ბანგიჯასპს ასრე უთხრა, ვითა: მე ქალსა თანა მტერობა არა მაქვს და არცა შევებმი, ამად რომე ქალსა კერაცა ეწყინების და შეცემაცა. მერმე ბანგიჯასპ ეგრე უთხრა: დედათა ომითა აღრე გასძღები, ნაკო დედათა ნაკრავი, რომე თვალთა შიგან შუბი შემოგცე. მერმე სალიმან ეგრე უთხრა: დიდსა ცუდსა ნუ უბნობ. შენ წადი და ერთი სხვა, ვინ გინდა იყოს, საქელისა მძებნელი მოვიდეს. რა სალიმან და ბანგიჯასპი ერთმანერთისა საუბრითა დაძღეს და მათი საუბარი გაგრძელდა, ბაჰმან კელმწიფემან ამბის შესატყობრად ერთი ცხენოსანი გაგზავნა და ესე შეუთვალა სალიმანს, თუ: ესე ყველა ყოვნება რა არის. მართლა შემომითვალე. სალიმ ესე შეუთვალა, ვითა: ესე ქალი არის. ჩემი შემბმელი საკელოვანი თვადი კაცი მინდა, რომე შემებას, იმა ლაშქართავანი. მერმე კელმწიფემან მასვე წამსა ესე უბრძანა, ვითა: თუ შემბმელი ჯარ და შებმა გაგიგია, ესე არა მიზეზია, თუ ეგე ქალი როსტომის ასული არის. ორთავე ლაშქართა შიგან მისი სწორი და საკელისმძებნელი ფალავანი ცოტა არის, ეზომი საკელდებული ჩემთა ლაშქართავან კლმითა დაუქოცია და ლაქტი არა ჩამოუყრიან და, შენ, თუ მაგა ქალსა ჩემსა წინა ტყვეთ მოიყვან, შენსა საკელსა საწუთროსა შიგან იადგარად დივადებ და, თუ შენითა კელითა მოიკლას, ერთი ოქროსა გვირგვინი დაგარქვა თავსა.

კელმწიფისა გაგზავნილი ცხენოსანი დაბრუნდა და ესე მოაკსენა კელმწიფესა ნაბრძანები: გვირგვინი, ვითა თავსა დაგარქვა. რა ბანგიჯასპ მისსა სიახლოვესა მისული ნაბა, შეუტივა და კვამლივითა ზედა მიუქდა, ლაქტი ამოიღო და მიუქნია. და მან ფარი იფარა, კრა ფარსა და ვერა ავნო. მერმე მეომარსა სალიმანს გული აუჩქარდა და ელვა-ქუტილივითა იგრგვინვა და უკანით მოუქლო, და შუბი შესცა და წელთა კრა ქალსა, ტანვეცქლის ფერსა. ქალი შეკრთა და პირსა შიგან კმა გაუწყდა და ცხენისაგან ჩამოვეარდა, მაგრამ იოტის წონა არა ევენო რა. მასვე წამსა ფეკსა ზედან აეპართა და კმალი მოიწოდა. მერმე სალიმან ეგრე უთხრა, ვითა: აუგია მამაციასა კაცისაგან დიაცსა ზედა შუბისა მოქნევა და შეცემა.

რა ზეარ დაინაქა, რომე ქალი ცხენისაგან ჩამოვარდა, ფიცხლად ცხენი გამოაქენა და ქალსა წინა მოვიდა და ეგრე უთხრა: შეჯე ცხენსა და წადი, შენ აქა ნულარა დასდგები! რა ქალსა ზეარ ესე უთხრა. ქალი წვიდა. მერმე ზეარ დაიძაქნა და შავი ღრუბელი ვითა ფალავანსა სალამანს ზედა მიუქდა, და ერთმანერთსა დაეძგერნენ, და შავი მტვერი ერთმანერთისაგან ამოადინეს. შავის მტვერისაგან ორნივე გაუჩინარდეს.

აქა ზავარისა და სალამანის ომი

რა ერთმანერთი დაინაქეს, ასეთი მტვერი აღგა. რომე ორთავე ლაშქართა დიდხან უქპირიტეს და ვერცა ერთი და[ო]ნაქეს. რა ცოტა კანი გამოქდა და

ნტვერი დაწყნარდა, სალამან მტვერისაგან მინდორად გამოვიდა და ზავარის თავი კელთა ქონდა. და ფიცხლავ ზალის ლაშქართავე წავიდა და ზავარის თავი ლაშქარშიგან შესტყორცნა და გააგდო.

რა ლაშქართა ზავარის თავი ნაქეს, შავი მიწა ვითა შეიქნეს ყველანი ლაშქარნი. რა ზალმან ნაქა, კკუა წაუვიდა და უქკოდ გაქდა. და ლაშქართა შიგან ჰაქილი და ტირილი შეიქნა. იქით სალამან მიედანსა შიგავე მოვიდა და ლაშქართა გაეჩვენებოდა.

აქა ფარემუზის შვილის საამისა და სალამანის ომი

ფალავანმან საამ დაინაზა სალამან და მოედანსა შიგან ჩავიდა და ფიცხლავ ლახტი მოიწოდა, და წაშსავე სალამს ზედა მიუქდა ლომივითა გაგულისებული, თავისა საქელი ახსენა. რა საამ სალამანისა სიაკლოვესა მივიდა, ფიცხლავ სალამან ლაქტი მოუქნია და საამს კელსა და ცხენის თავსა უქრა და კელი ასრე მოსტეკა, რომე საამ ცხენისაგან ჩამოვარდა და მიწასა ზედა დაეცა და დაბნდა. ცოტად მოიჭობინა, აემართა და ლაშქართავე წავიდა, და ფარი მაგრად ზურგა დაეკრა. ფარემუზის ლაშქართა შიგან.

ცხენისაგან ჩამოაგდო. აგრევე თეთრი ვით ლაშქართა შიგან მოიღო და ზავარის ყმათა შევედრა. მოვიდეს ზავარის ორნივე შვილნი, მოიწოდეს კლმები და ფალავანი სალამან მოკლეს და მამისა სისხლი აიზღვეს, თუ სიკვდილა კარგია. მუ, ახალმოწიფულო, ნუ მოკლავ, რომე დარჩეს შენი სული ტანისაგან. ეინათვან მოკლავ, მოიკელი შენცა მტერთა კელისაგან. თუ ავსა იქ, ნაცვალი იგივე ავი შენ წაგევიდების.

რა დასტან ლაშქართაგან წავიდა, მოედანსა შიგან მოვიდნენ, ფიცხლავ ორნივე ლაშქართა შიგან სალიმანის ცხენი დაინაქა, ქარივითა იქით წავიდა და იგი ცხენი წამოიყვანა და თავის ლაშქართა შიგან მოიყვანა. წაუდგეს, აღარა ქონდა ფალავანსა თმობა. ცხენსა მათრაკი იქრა და ფიცხლავ შეუტია. საგლებელი შეიქსნა და შესტყორცა და წელთა მოაბა.

რა ბაამან კელმწიფემან ესე ნახა, ლაშქართა შეუზაქნა და ასე უბრძანა: კრულმცა ქართ, ერთი ბერი თოიჯი და თქვენ გეგ ყველა სპანი ლაშქარნი, მაგრამ ღვთისაგან არა გეშინიანთ და კაცთაგან არა გრცხვენინანთ? განა, მისი ტანი ტინისა კლდისაგან არის, ერთი კაცი ერმენ-ღვეის მსგზავსი.

აქა ზაალსა ლაშქარნი მოუქდეს და ხუთთავე ფალავანთა და ქალთაცა უშველეს და დიდნი ომნი გარდაიქადეს

რა ბაამისაგან ლაშქართა გაიგონეს, ყველასა გული აუღულდა და გულოვანთა ერთობილთა ძახილი შექმნეს. და იმა ურიცხვისა ლაშქარისაგან ათი ათასი გამორჩეული მეთმარი, საკელდებული კაცი გამოვიდა, ყოველი ომისათვის მოსურებული. ზაალსა და ხუთთა ფალავანთა საომრად ზედა მიუქდეს. ლომის მსგავსად გაგულისებულმან დასტან, ომგამოცდილმან შეძრა გმირი და ფალავანი სპერის ტანი და შეპოუტრია დიდთა ლაშქართა. და სადაცა მან ცხენი შეუტრის, ყველასა ფალავანსა ტანი მიწასა შიგან გაუტრის და ერთის კვრით ოთხი და ხუთი დასცის ცხენი და კაცი.

რა ბანგიჯას გულოვანმან ესე ნაქა, რომე ლაშქარნი დასტანს ფალავანსა გარე შემოერტყა, თვით ბანგიჯას და მისი და მარზუბან, თოხარ და ზაყარისა შვილნი მოიწვადეს ალმასი კლემები და მოვიდეს ლაშქარითა შიგან საომრად. ლაშქარნი უკანა წაუდგეს, ვითა მავალნი კლდე, შეიძრნეს. და აქათ ბაამანის ერანელნი ლაშქარნი რაზომნიცა იყვნეს, გამოაქვენეს ცხენები კვამლი ვითა. შეიქნა ფალავანთა კმა და ძაქილი. წვიმასავით ისარსა და ლაქტსა ისროლეს. შუბებისა და კლემებისა სიმრავლისაგან კაცისა თვალი დაბრმებოდა.

ანასდუელად რა ომი გამოჩნდა, საკელად ყაბილ ერქვა, ქვაბულელი ქალაქისა იყო, მასვე წამსა აბჯარჩაცემული ლაშქართაგან წაშოვიდა და, სადაცა ფალავანი როსტომი ომსა შიგან შეიბის, ნიადაგ იმის შუბი ამა ყაბილს ექირის, ერთობ გულოვანი იყო და კარგი ცხენოსანი ლომივითა და სანიადგოდ მისი ქელი შებმა და ომი იყო. ამა ომში დასტანისა ფალავანთაგან მოიკლა ათასი კაცი. ახლა ყაბილ მოვიდა ჰოედანს.

აქა სხვა ფალავანი სალამანის და ყაბილას ომი

რა ერთმანერთისა სიაკლოვესა მივიდეს, ერთმანერთსა შეუტივეს. სალამან ფიცხლავ კმალე კრა და ფალავანსა ყაბილს თავი მოკვეთა. მერმე ხუთი ფალავანი ქვაბულელთაგან გამოვიდა და მათგანცა ორნი მოკლა და სამნი ცოცხალნი გარდაეკვეწნეს. მერმე ოთხნი ფალავანნი სკვა გამოვიდა. იგინიცა შუბითა სისკლისაგან შეისვარნეს. ყველა დაიკოდა და გარდაიკვეწნეს და ფათერაკსა ბადესა შიგან არა ჩააცივდეს. ერთობილნი ზაალის ლაშქარნი გულსა თრთოლა შეექმნათ და ზენარსა ითხოვდეს ამა საკელდებულის სალიმანისაგან. აზომი ღონე აღარავის ქონდა, რომემცა ერთი კაცი გამოსულიყო მისად შესაბმელად, კაცისა ჰკუთ ფათერაკისა ისარსა შიგან რაგვარად შემართებდა.

ბაამან კელმწიფისა გული ერთობ გამკიარულდა და ყველამან ქება შეასკეს. რა როსტომის მეორემან ასულმან ნეჭიქ ესე მოინაქა, რომე მისთა ლაშქართაგან სალიმანის შემბმელი აღარავინ გამოჩნდა, მასვე წაშა თვით იგი მესამე ქალი გამოვიდა, ჩამოვიდა ქვემო და რაზმი დააწყო. დასტან ეგრე უთხრა: ქალო, საკელდებულისაგან დღე, ესე შენი საქმე არა არის და აქა იყავ. მე წავალ და შენ თვალნი მიგე, ჩემნი ლაშქარნი მტერთაგან შეინაქე და ერთობ ფრთხილად და კარგად იყავ. ზაყარის სიყვდილითა მე ერთობ გული სისკლით ამევსო და ცეცხლი მედება. ნუთუ ღმერთმან ნებასა მაწიოს და გული გამიმკიარულდეს და ესრეთსა ჰირსა შიგან მიშეელოს. ფიცხლა ცხენსა მათრავი კრა და კვამლივითა სალამანის სიაკლოვესა მოვიდა.

ჯიმაზ კელმწიფისა ეგრე მოაქსენა: შარიარო, მოვიდა ეამი ფალავანისა საკელდებულისა სალამანის მოკვლისა. დღეს ისი გულოვანი კაცი რომე მოედანსა შიგან მოვიდა, სალამან ფალავანი მისის კელით მოიკვლის და მისსა სულსა ტანისაგან ქარი ვითა ამოიღებს.

აქა სალიმანის სიკვდილი დასტანის ხელითა

რა დასტან სალიმანისა სიაკლოვესა მოვიდა, იქრა კელი და კმალი ამოიწოდა, აგრგვინდა, ვითა ცა. დასტან ესე უთხრა: ტე, უქმარო ძაღლო, შენ ჩემსა ნაკრავსა დაუდგენ, ვინათგან აქალმოწიფულთა რაზმი აჩენეთ, ნაქე აწ რაზმნა-

ქულისა ბერისა კაცისა რაზმი. რა სალამან ესე გაიგონა. ფიცხლად ქელი მოიკრა. კმალი მოიწოდა. მისი კმალი შავი ღრუბელი ვითა ცისა სარტყელი. აგრე ბრწყინებდა. რა ზაალმან კმალი მოუქნივა, უკრა ფარსა სალამანს და კმალი ფეტვის მარცვლივითა დაეფშენიდა. რა დასტან კმალი გატეკილი ნახა, ერთობ ეწულებნა და განაწყენდა, ამისთვის, რომე ამაღ ესეთი საქელოვანი კმალი დაეღუნა და მეორედ ამისთვის, რომე იხეთი საქელოვანი ფალავანი სალამან მას წინაშე საომრად იდგა. მერმე სალამან მოუქნივა კმალი დასტანს. მანცა ფარი იფარა. კრა და ფარი თავსა ზედან ორად გაუკვეთა. სალამან ერთობ ვაგულიანდა. დასტან ლომმან ვითა მოიჭირვა, რომემცა კიდევ ეწყინა და სალამან დაეკოდა. მაგრამ იქნებოდა, რას წამს გარე შემოუვლიდა, სალამანის ცხენი უსწრობდა. რასაც ოღენ ეცდებოდა, მისსა ცხენსა ვერ მისწვდებოდა რა სალამანის და, ოღესცა დასტან დაბრუნდებოდა, სალამან ფიცხლად მავალითა ცხენითა უკან მოიწეოდა. რა დასტან უკომბრუნდის, სალამან კიდევ წაუვლიდეს. დასტან თავის თავსა ეგრე უთხრა: რასაც კერკიანობასა ეცდების, იმა ცქენისა ზურგისა წყალობითა.

იომეს, და სიფიცხითა ცეცხლსა გავს, და მორბევე ამისთანა ცხენი არვის აქაოს. მის მეტი ღონე არა გამოიგონია. რითაცა ფერთა მოღორღებოდეს, მოვლორვო ვითა, მერმე სალამან ქარმან ვითა კიდევე შემოუტრია, კრა და ზაალის ბექთარისა ზორტებისა ყველაი გაუკვეთა, ბექთარიცა გაუკვეთა და ქელი დაუკოდა. და დადრკა დასტან ცხენისაგან, სულთქნა და მათრაკი იკრა და, ვითამცა გარდაიკვეწებოდა ზაალ, სალამან უკან მისდგედა და რა ზაალის სიაკლოვესა შივიდა, ზაალმან ცხენი მოიბრუნა და საგდებელი შესტყორცა, და შეიპყრა და მოიზიდნა.....

გაქშირდა, ერანელთა ფარემუზ ზედა მიუტდა, ჰაერი შუბისა სიმრავლისაგან ტუესა დაემსგავსა. ფალავანთა სპათა გული დიდსა საგონებელსა და საეჭოსა შიგან იყო. იგი მინდორი სისკლისა სიმრავლისაგან ყაყაჩოს ფერად შეიღება.

აქა დამალულის ფარემუზისა ერანელთა დასქმა და დიდი ომი

მეორესა დღესა რა მზემან შავისა გუმბათისაგან თავი ამოყო, და დაცხა, აარე რომე აბჯარი და ბექთარი კაცსა ტანსა დასწვიდა, ერანელთა ლაშქართა შიგან ძახილი შეიქნა. ანასდელუთ ზეცით შავი მტვერი იდგა, ასეთი რომე სრულად ღრუბელი და მიწისა პირი დაფარა. ფარემუზ მისითა ლაშქრითა სისკლისა მძებნელად მოვიდა, ლაშქართა შიგან ეგრე იმღერდის და შემოერი, ლომი, ვითა კანჯარსა, აგრევე ლაშქართა შიგან გაერია და ყველამან მძიმე ლაქტი და კმალი მოიწოდეს და შეიბნეს.

რა ერანელთა ესე ნაკეს, ყველა დაღონდა. კელმწიფე ბაამან ვაგულისდა, ლაშქართა შეუძაქნა და ჭამაზცა ვაგულისდა. ბაამან უბრძანა: ასე უზომო დიდნი ლაშქარნი კართ, თქვენ ყველა საქელოვანი და გამორჩინებულნი კაცნი კართ, რა მოგეწიათ, რომე უზომისა კაცისაგან ასრე ვასრულ კართ, ვითა მჭენარი ვარდი. და ანუ შტომოტეხილი ყვაილი. მოიჭირეთ და მამაცობისა სარტყელი იშოეთ, და მტერთა თავები ფერკთა ქვეშე მოიქციეთ. აქათ ბალზ ქალაქამდის დიდი გზა მივა, გარდაკვეწილი კაცი გზასა შიგან მოიკვლის და, თუ პირსა აქცევთ, არა კარგაკობისა საქელი არის. და თუ ქალაქისაგან დაბრუნდებით, ქა-

ლაქისა დედანი და მამანი უბანსა შიგან გაიცინებენ ჩვენ ზედა და შურსა მოიგებენ, და ამას იტყვიან, თუ: ჩვენნი ლაშქარნი კიდევ გარდმოკვენილან და გამოქვეულან, ყველანი დაკოცილნი და დაკოდილნი ლაშქართა.

რა კელმწიფისაგან ესეთი საუბარი გაიგონეს, შეიქნა ლაშქართა შიგან ძახილი. ორთავე მოიწვადეს ერთმანერთსა ზედა მტერობისა კმალი და ისარი. მრავალი ფალავანთა ტანი მიწასა ზედა დაეცა, ჰაერი მტვერისაგან დაბნულდა და მიწა ლილისფერად სისკლისაგან. ცხენის მტვერისა ტერფთა ცასა მიწასა გარდაყრიდა. ჰაერთათ მფრინველთათ ფრთებისაგან კაცისა კორცსა და მძორსა ჰამდეს, სრულად შეეკრა დიდისა ფერხსა უქელოსაგან, უფერკოსაგან, თუ სთქვა, ისეთისა დიდისა რაზმისაგან ერთი კაცი არა დარჩომილა. დაკოცილისა ტანისა და გვამისაგან, ადგილსა და უადგილოსა, ყველგან კაცისა გორა აგებულ იყო. სისკლისა რუსაგან ერთობილი მინდორი, ქვეყანა და ზღვა შეღებულ იყო. სამსა დღესა და ღამესა მათი ომი არ გაწყდა და ომსა შიგან იყვნეს, ისრე დაწყურებულნი.

მემოთხესა დღესა რა გათენდა, ასეთი ერთი ქარი ადგა შუაღლე ქალაქით, იმა ქარსა არაბულითა ენითა დაბურობით უქმობენ. იმა ქარსა ლაშქარმან ყოლეცა ვერ დაუდგნა, ესე სასტრეი ქარი ეცა ერანელთა ლაშქართა. მათ გული, ისარი და კმალი ყველა დაბლაგვა. მიწისაგან მტვერსა და ქვიშასა აიღებდა, ყველასა თვალი და პირი მტერთა აეცსო და ერთობილნი ლაშქარნი და ცხენები ადგილობადვე დარჩეს, ასრე რომე დღისით, რომე კაცსა თვალნი დაუდგიან და დაბრმეს, აგრე ყველა ბრმა ვითა შეიქნა. ყველამან ორთავე თვალთა კელი დაისკნეს. ყველა ქარისაგან მთერალსა ვითა გვანდეს. ლაშქარნი და ცხენები ყველა მტვერითა აივსნეს. მათი პირი და მუცელი ყველა გაყვითლებულიყო და გული ჰირითა და ნალვლითა ავსილ იყო.

მერმე ფარემუზ მისმან დამან ნექიჯ ეგრე უთხრა: მაღლი ღმერთსა. ყოვლისა კეთილისა მომცემელსა. მან მოგცა ესეთი გამარჯვება, თვარე ვისგან ეგებოდა ამისთანასა ქარისა აღგომა და ამისთანისა მოსაწყევარისა მოწყენა. თუ არ ღეთისა განგება იყო.

ფარემუზ და საამ და მისნი ფალავანნი გულოვანნი, მამაცი და შერჩეულნი, ვინცა იყვნეს, ერთგელ კვლა მიუტდეს და ლაშქართა ზედა დაესკნეს, ვითა მთვრალნი პილონი, გაგულისებულნი. აგრე ეძგერნეს და შიგან გაერივნეს და ლაშქართა შიგან დიდნი საკელოვანნი ფალავანნი დაკოცნეს, და აწყვიტეს ერანელნი, რომ ასისაგან ერთი დარჩა და კელმწიფისაგან ლამოდენ წასკლასა. რა ქიანურსა დროშასა ახლოს მიეწურნეს, ფარემუზ მოიწოდა კმალი, კრა დროშასა ლალისფერსა და ისფერსა და მიწასა შიგან გარივა და მედროშესა კელი მოკვეთა. ამისთანა გულოვანი და მეომარი საწუთროსა შიგან სქვა არავეც ყოფილა. ლაშქართა რა ესე ნაქეს, გზა მონაქეს და ზურგი ქარსა შეაქციეს. ყველანი მამერალნი და დაწყლულებულნი ცხენზედა ჯდომათა გარდაიკვევებოდეს და დაცივიწული იყვნეს მიწასა ზედა. ფარემუზ და მისნი მიყვარენი და ლაშქარნი უკანა წაუდგეს და კელნი საკლავად წააქალისეს.

ორსა დღესა და ღამესა უკანა სდევდეს და ვერა მიეწივნეს. ამა ორისა დღისა სავალსა ეზომი დაკოცეს, რომე, თუ სთქვა, ეტლსა კელთა მაკვილი აქვს და იგი კოცსო. რომ ათასილამ ერთი თუ დარჩა, იმათთვის ღეთის წყალობა იყო, გაიქცნენ. ამოსწყვიდეს, დაკოდეს, ჩამოყარეს და, ვინცა წავიდა, ისიც შიშით

გახეთქილი და, ვინცა ბაღისა ქალაქისაკენ წავიდა, ღონე მის მეტი არა ქონდა, რომეცა დაქოცილსა კაცსა ზედა არა ელონ. ფხა არსით იყო.

ქესამესა დღესა დაბრუნდა ფარემუზ, დია მჭიარული და ეტლისაგან მადრიელი. რაცა ღვთისაგან ითხოვა, ყველა მისცა. რა ნასადგომარსა და რაზმისა სააკლოვესა მოვიდა, მალანდა, სადაცა ბაამან კელმწიფე გაეტეხა, მუნ დელამისა კელმწიფე ბანაროზ ნაკა. მისითა ლაშქრითა, და სიამარად¹, გელანისა დროშისა ხელმწიფე. ივრცა მას იაკლა. მისნი ლაშქარნი სპანი მეომარნი იყვნეს და ქვეითად რაზმისა ომსა შიგან იარებოდეს. მათი ფარები ყველა წითელ-ყვითლითა და ისფრითა ნაკერი იყო. ორმოცდაათი ათასი ქვეითი კაცი, ყველა ქლმითა და ზუფინითა. ფარემუზ ევრე უთხრა, ვითა: თქვენი აქა დგომა რა არის, კელმწიფე და თქვენი შარიარი გარდაქვეწილი წავიდა. თქვენ ავრე უსირცხვილოდ რატომ სდგაკართ? ბანაროზ და სიამარად ევრე უთხრეს: თუ ჩვენი კელმწიფე და ერანელნი წავიდეს, ჩვენ არა წავედით. აქა ვდგათ, რაცა დმერთსა ეპრიანების, მის მეტი არა იქნების. ფარემუზ ევრე უთხრა: ჩემი ესე გაიგონეთ, თქვენ იმა კელმწიფისა დია მოყვარენი იყვენით, თუცა კელმწიფე დია შაგარი და თქვენი ზურგო იყო. ისრე ურცხვი და უთვალავი ლაშქარი, ვითა გატყდა და გარდაიქვეწა. აწე, რომე ევე დია უნფეთონი და ცოტანი კაცნი დარჩომილქართ, ეგზომი ერთითა კაციითა რა მოაწიეთ, ანუცა რა კარგი ქენით.

ბანაროზ დია ჰკვიანი კაცი იყო. მასვე წამსა ფარემუზს წინა მივიდა და ფალავანი დალოცა და ქება შეასქა, და ესე მოაკენა: ჩვენ აქა ომისა და საკელისა საძებნელად დავდევით. შენ რომე სპათა ლაშქართა თავადი ქარ, კარგად შეატყუებ ქვეითისა კაცისა ქნასა, თუ რა ომი იქნების. მასვე წამსა რა ლაშქარი გატყუდბის, ქვეითი ყველა ფერქთა ქვეშე წაეგების. ბედისა და ამა ეამისაგან შევემინა, რომე ცხენოსანთა ფერქთა ქვეშე მივიქეცით. ჩვენ ერთსა კიდურსა აჰად გავედით, ამა შაგარსა ადგილსა მეომარნი ლაშქარნი ვითა შევიქენით.

ფარემუზ წამოუდგა და ყელსა მოეხვია, დალოცა და მანცა ქება შეასქა. და ესე უთხრა: დია თქვენებური საქმე გოქნია, ჰკვიანად და კარგად ცდილ ხარ, ჭე. ლომო, ჰკვიანო საკელდებულო ფალავანო.

იქილამან აიყარნეს და, სადაცა ბაამანის ლაშქარი გატეკა და გაექცია, ნაოპარსა ადგილსა ჩაჰოქდეს ის ღამე მუნ დაყვეს. და დიადი სასმელი და საკმელი მუნ გაუგზავნა და საგებელი.

ღილასა ადგა ბანაროზ ცოტათა შერჩეულითა კაცითა და სიამარად გულოვანი კელმწიფე წავილეს ფარემუზთანა და ფარემუზმან შინა იწვიენა, მოიკითხნა და კარგად უსაყვარლნა. ერთი კელმწიფე ერთკენ დაისევა, ერთი—ერთკენ. დაყვეს ფარემუზისასა ექესა დღე. მეექვსე დღესა ცხენსა შესქნა, ტანსა ჩააცვა და დიდძალი ოქრო და საბოძვარი მიართო.

რა ძილისაგან ადგეს, ფარემუზს კაცი გაუგზავნეს, დასტური ითხოვეს და ესეცა მოაკენეს: ვინათგან ფალავანმან სული შეგვარჩინა და არა გვაწყინა რა და ასრე ჰოგვიძაღლნა, ამისა ნებასა და საწადელსაცა გვადირსეს, რომე ბალქო ქალაქისაკენ გაგვიშვენ. ჩვენი საკლი, მამული და საქონელი ბაღნი ქალაქსა შიგან და ბაამანის კელთა შიგან არა იქნებოდან. თქვენსა კარსა ზედან სარტყელსა წვეირტყმდეთ და ბაამანის პირსა აღარა ოდენ ვნაკვიდით, შაგრა თქვენ ყველასა კარგად შეიტყობთ და იცნობთ, თუ რაგვარი არის შარიარი, რის მქნელი

¹ ჰ: სიამარად.

არის. ფარემუზ ეგრე უთხრა: მე კარგად ვიცი და კარგად შემიგნია, რომე ბაპან კელმწიფე დია თქვენი მტერი არის. ყველასა პირსა აკოცა და უბრძანა მოურავთა იპათი საქმე, შეუქაზმეთ და გაისტუმრენით, რომე წავიდენ სიამოვნითა. და ერთობ კარგა გაისტუმრნა და წავიდეს.

ორსა თვესა გზასა ზედა იარებოდეს. რა კელმწიფესა მათი ანბავი მიესმა. შანშაურის ტახტისაგან ჩამოკდა, საწუთროსა დამბადებელსა მადლი მისცა. ჭიმაზ წინა მისაგებავად გაგზავნა მისნი მეყვირნი კაცი. რა ჭიმაზ და ბანაროზ ერთმანერთი ნაკეს, მოიკითხეს და ყელსა მოებვივნეს. შესკვდეს ცხენებსა და კელმწიფისაყენ წავიდეს და გაემართნეს. რა კელმწიფისა სიაკლოვესა მივიდეს ტახტსა ბანაროზ და სიმარად, რა კელმწიფემან დაინახა, დიდად გაეკარნეს და გაქჳარულდა, დია სიყვარულითა და ტებრად მოიკითხა და ერთი კოსაროული ტანისამოსი შემოსი.

რა შუადღისა ეამი გარდაქდა, ფარემუზ, ზაალ და მათი ლაშქარნი წავიდეს, დია მკარულნი და გამარჯვებულნი. ნიმრუზის ქალაქსა შევედეს და მუნ დასკვდეს ნადიშად და გამოსყენებად. ღამით ჭამასა და ნადიმსა გარდოკიდეს და დღისით ავაზითა ნადირობდეს. და ომის საქმეს და გამარჯვებას იქაღდეს, რომე ერანელი მოჰყვადარიყო იმ საფარსა და ომებში ასი ათასი მეომარი დარჩეული კაცი და დიდი გამარჯვებები დარჩათ. იადგარად არცა ვის აქსოვდეს და არცა ვის გაეგონოს. ნარიმანის შვილნი და შვილის შვილნი, დიდნი ლომნი და ახოვანნი და ქაბუკობისა იადგარნი, ქალ-კაცით რჩეულნი და ზურგნი კელმწიფის ტაქტისანი, მესამე რაზმი გარდაიკაღეს და მოვიდა იგი ეამი, რომე საწუთრო ფარემუზს ზედა შემოავიწრონ. ერთი დასტანისა მაქსოეს, რომე მას შიგან ერთი სიტყვა ზერერე ქვე არა არის. ესე მესმა. რომე ერთსა დღესა გათენებითგან კავარ ქალაქით ერთი ფიციელი და ძლიერი ქარი მოვიდა და, თუ სთქვა, საწუთრო ერთმანერთსა შიგან ამოურთვა. სიცივითა ყოველთა გული სევდითა აევსო. საწუთრო ერთობილი კუპრისა მსგზავსად გაშავდა. მთისა ღრუბელი, ცა და ჰერი ქუქილითა და ელვითა სავსე იყო და მიწისა პირი წამსა და წამსა აღდუღდებოდა. ქვეყანა და ღრუბელი შავსა ფარდაგსა დაემსგზავსა. ზოგჯერ ცეცხლსა წვიმდა და ზოგჯერ შავსა წყალსა.

რა ლაშქარი ბაქისა ქალაქსა შეიყარა, ერანელთა თავადთა გული აღდუღდა. ექესსა წელიწადსა რაზმისა ომისათვის ლაშქართა კაზმიდა. მერმე გაგზავნა ყოველგან და ლაშქარნი აკმობინნა. ბაქთარ ქალაქით და კავარით მიწორი ორმოცდაათსა საეალსა ფარსანგსა სავსე იყო ლაშქრითა. მერმე ათეულს ლაშქარი, ორ რიგად დააყენნა. შვიდა და ათი ათასი ერთი ყოშუნი იყო და შვიდას და ათი ათასი მეორე ყოშუნი იყო. ბაქე ქალაქი ასრე აივსო ლაშქრითა, რომე ყველასა სიცოცხლე გაუმწარდა. ბაპან კელმწიფემან რა ლაშქართა სიმრავლე შეიგნა, გული სიკარულითა აევსო, საკურქლისა კარი გააღებინა და მეტად დიდი განძი და საქონელი გასცა და დიდი, საკვლდებუი ბედური რემა გაუყო ლაშქართა. კარვისა კართა გამოვიდა და მეტად კარგი სანადირო ველი ენანაკვინა და გამოსვენებად დაქდა და ეზომი სანუკვარი და ნადირი მოაღებინა, რომე თავი ცასა მისწედებოდა. თავად თავადი ყველა აკმობინა და ყველა საბოძვრითა აავსო. ერთსა კვირასა ჩანვისა და ფერად-ფერადისა წინწილისა და ქნარისა კმა არა გაწყდა, და საკვლდებულთა შვიდსა დღესა შიგან ყოლე ძილი არა მოუვიდა. ათასსა გამორჩეულსა კაცსა ტანსა ჩააცვა ტანისამოსი, ცხენ-

ბი უნაგრებითა და აკაზმულობითა და ქუდები თავით ფეკამდისი ყველა ტანსა-
დაპოსა. ასრე კარგი, რომ პატრონმან ლაშქართა საბოძვარი უბოძოა ჯა ლაშ-
ქარნი მოიმადლნეს.

რა კელმწიფემან ლაშქარნი სრულად მოიმადლნა და თვე¹ ერთი გამოვიდა,
ლაშქართა კელმწიფე ერთობ მოიმადლეს. კელმწიფემან ჯიმაზს კითხა: ჩაქე-
დენ საეტლოს შიგან, ნაქე, თუ ჩვენთვის რას გამოაჩენს ღმერთი. ჩვენთუ¹-
ჯარგია. თუ რა მოკდების, ანუ რას გვიზამს. ყველა მართებულად მითქარ. გი-
მაზ მოაკსენა კელმწიფესა: შენთვის ამას წინათუ მომიკსენებია, საწუთროსა
საქმე თქვენთვის არა დამიმალავს. რა მეოთხესა რაზმსა და შემბასა მალალი ეტ-
ლნი შენნი მტერნი და წინა აღმდგომნი ყველანი გატყდებიან და გაწბილდებიან,
მაგრამ ამა მეოთხესა რაზმსა შიგან ერთი საქმე ასეთი მოვა შენზედა, რომე ერ-
თობ შეშინდები და ამას მოელოდე, რომე ამ წამსა შემოპყრობენ და.
მაკვლენო. მერმე მას უჯანის თქვენ მოირკმოთ და თქვენთა მტერთა გასტებთ.
მათი სიყვდილი ამა ომთა შიგან იქნების.

რა ჯამაზის საუბარი გაიგონა, კელმწიფემან ღმერთსა დიდი მადლი მისცა.
აკალი თვის თავი რომე დადგა, სტირისა და ნაფირისა ფერად-ფერადისა კმა.
აკოვიდა. ამირ-სასალარი ფაშოთან დროშითა და ლაშქრითა გაემართა, ორმოც-
დაათი ათასი გამორჩეული თვალი, კლმისა მკერელი კაცი იაკლა. მას უჯან
ქაყან ჩინელი კელმწიფე ერთობილთა თურანელთა ლაშქრითა, ხაყანს უჯანა
საბერძნეთისა მეფე საყალ, მისითა გამორჩეულითა ლაშქრითა. მას უჯან გე-
ნალელი ხელმწიფე სიამარად, მისითა ერთობილითა ლაშქრითა, სრულად არდაე-
ლის ქვეყანა და მარუ ქალაქი მისი იყო. მერმე მას უჯან გამოვიდეს ფალავანნი,
მყარის კლდისა მსგავსნი, შემბმელნი კაცნი, აღმასნი ვითა ფალავანნი. ფარშა-
დაც წაივდა ფიცხლად, შემბმელთა კაცითა და ლაშქრითა. მას უჯან ბარანოზ
კელმწიფე მაზანდარელი, მისითა ერთობილითა ლაშქრითა, ვითა შაეი ღრუბე-
ლა. მას უჯან კვასრო ხვარასნელი, ლაშქრითა ერთობილითა და ომგამოცილ-
თა. მას უჯან ფალავანი კვარშედ, მისითა სპითა ლაშქრითა, და გაემართეს.
ბოლუქ-ბოლუქად. ვითა ზღვისა ღელვა, ეგრე მიდიოდეს. ამას უჯან გამოვიდა.
ჟალავანი და კელმწიფე საყა-შა, რომე იმისი ლაშქრისაგან ქვეყანა მტვერისა-
გან დაბნელდა, გულოვანი და კლმისა მკერელი ასი ათასი კაცი, ყველასა ტაყვი
ყელსა ეცვა, ყურსა საყურნი ეყარნეს უცხო, ძვირფასისა. ასრე მორკმულნი
ჯა გულმქიარულნი მიდიოდეს.

ამას შიგან ფარემუზის გამოგზავნილი ჯაშუში მივიდეს და ესე მოაკსენეს,
ვითა: ლაშქარი და სპანი, რომე მინდორი და ქვეყანა მათისა ცხენისა ტერფისა-
გან პაერი ერთობილი დაბნელდა, პაერთა შიგან მფრინველი აღარა დარჩა და.
არცა მიწისა პირი, ერთობილი მთა რკინისა ფერად შეიქნა ერანელთა და თურა-
ნელთა ცხენებზეა ფერკისისაგან და მტერისა ქვეყანა გაუჩინარდა.

აქა ფარემუზისაგან ანბისა ცნობა,
ბაამანის ლაშქართა მისვლა და ფარემუზისა ლაშქართა გატეხა,
მეოთხედ მისვლა, ვაი, უჯანო სოფელი

რა ესე ანბავი ექმა ფარემუზსა, მასვე წამსა ზაალს წინაშე შევიდა და ესე
მოაკსენა. ვითა: ბაამან ავისმოქმედი კვლავე ჩვენ ზედა ლაშქარი მოუსქამს,

¹ თ.

რომე მისთა ლაშქართა და სპათა უმრავლესი არაეის უნაჯავს და არცა ახსოვს. დიდი ლაშქარი და სპანი მანაჯავს ინლოეს და ქელმწიფეთა წინაშე და არა დამინაჯავს ეზომი ერთსა ლაშქართა სიმრავლე და არცა ბაამანისებრი ვეშპის ნაშობი მეგრერე კაცი. ეზომი ჭირი რომე ჩვენ ენაქეთ, და დავკოცეთ შვიდას და ათი ათასი კაცი და მას არა დააკლდების და, არცა იზა ყველასა გაქცევისაგან, ყოლე არ შერცხუენდების, სიყმაწვილესა შიგან ძალის რძე უწოენიან, ჭირის და სიმძიმისა მეტი არა დაშევენდების. მერმე ზაღმან ეგრე უთხრა: მართალი მოგახსენო, ჩვენისა წაქცევისა ეამი არის. მე ზურგი დამისუსტდა და სიმამაცეა დამაკლდა. ქებულიანსა კმალსა ველარა მოვიქნევე, შენ იცი, რასაცა ღონესა მოინაჯავ. ამა საქმისათვის ნულარც არას შემომიძრაქავ, მბრუნავმან ეტლმან სრულად ქუეთანი წაპილო, ნულთ ღმერთმან კარგი რამე მოგივლინოს. აწე ესე სჯობს და უპირიანეა, ჰე, კვეიანო, რომე ლაშქარნი მოკახმენ ერმანდისა ზღვის პირამდის და სამსა ფარსანგსა ქალაქით იქით მიეგებე მტერთა და ბაამანს პირისპირ მიუღეგ. რომე ესე არა თქვას. ის კაცი შეშინებულად და ანუ მისისა ომისაგან მრავალნი ჭირნი უნაჯავან. ფარემუზ ეგრე მოაქსენა: რაც თქვენ გეპირიანების და მიბრძანოთ, ვაღანამცა იგი ვქნა. ბრძენთა ბრძენო, ქუეთთა და რჩეეთთა იადგარო, რომე თქვენნი საჯელი განთქმულია კიღის-კიღემდის. მე ამასლამ ყოველგნით მათვენ წაუალ, ამა საწუთროსა შიგან აუღეთთა არაეინ მოკედების და, ვინცა დელითვან იშობების, ცოცხალი არაეინ მორჩების ჯა ბოლოდ მოკედების.

გამოვიდა ვარეთ და ლაშქარი ათვალა. თვლით ორმოცე ათასი კაცე გამოვიდა და ოცი ათასი რაზმსა და ბრძოლაშიგან დაქოცოდა ბაამანისაგან. გამოვიდა, მერმე ლაშქართა დიდი ცხენი, აბჯარი, თვალ-მარგალიტი და საქონელი გაუყო. რა საქონელი გაუყო, ლაშქართა ერთობ დაუმაღლეს და დიდი მადლი მოაქსენეს ღიღთა და მცირეთა. სფაღარმან ფარემუზ ოთხი ფარსანგი გზა წაიარა. შავარისა მინდორისაკენ მოვიდა, კარეები და ფარდაგები მოაკახმინა. ყოველგნით დროშები ამართეს. თუ ზღვასა შიგან გუარი¹ არ იყოს, რა სარგებელია, თუ ჭერეთ მცურავი ზღვის შიგან ჩაეიდეს და გუარი არ პოოს, რა ერგებინა: თუ ლაშქარნი არ გუყვანან. დროშათა და საჩხოთა ამართვა არას გარგებს. წითელ-ყვითელი და ისფერი კარეები და ფარდაგები რას მოგეკმარების. ელაშქროთ, ზე, კვეიანო, ომისა ქნა, რათ ეგების. სფაღარო, და, თუ სიკვდილის მეტე: ღონე არა გექნების, ტანსა სულსა რას აქნეე. რა სული და ტანი ერთგან იყოს. ნახე, თუ რაგვარ დიდი შეუძლია. ლაშქარი ლაშქარსა თავადითა გაუშავრღებია, ზურგი და სფაღარი ლაშქართა იქნების საკელოვანი.

რა მბრუნავმან ეტლმან ყვითელი ფარდაგი ჩამოუშვას, ასრე რომე ოქროსა ნაკეთი ერთი ნალაყუარდას ზედა დასწევთდეს, ერანელთა ლაშქართა წინა შავალი ფარემუზ სიაკლოვესა მივიდა. მას დამესა ლაშქარნი ყოველგნე მოვიდეს. ბნელი დამე იყო და შუბებისა პირი ცუცხლიეთა ბრწყინვიდა. ოქროს ფარები გავსილი მთვარე ვითა ელვიდა, ცხენებისა ქვიეილისა და ძახოლსაგან, თუ სთქვა, საწუთრო მეორედ განათლდა.

რა მზე გამობრწყინდა, ქვეყანასა ზედა სინათლისა შუქი მოეფინა. ფარემუზ ცოტათა კაცითა შეჭდა და ქელთა ერთისა ძროხისა ოდენა მძიმე ლაქტი აიღო. ერთისა მთისა წვევრსა გავიდა, ნახა და საწუთრო აღელვებულსა ზღვიან.

¹ გურიი.

მსგზავაად დაინაქა. ქვეყანა უნაგრისა ქაქვისა და აბჯრისაგან ფერად-ფერადად ჩანდა მინდორი ყველა. მინდორი ღვარი ვითა იძროდა, შუბებისა სიმრავლისაგან მარისა პირი არა ჩნდა. ქარისა და ზაქილისაგან ყურთა კმა არ იმოდო. ერთსა თვისა ლაშქარი ძლივ მოგროვდა და ერთად შეიყარა.

რა იგი თვე გათავდა და ახალი თვე დადგა, თვით აქალი კელმწიფე ბაამან მოვიდა და ფაშოთანს კითხა: რა ანბავია. ანბავი მან მოაქსენა: კელმწიფეო, ბედნიერო. უქო და გამკემო. ფარემუზ ასერ აკლოს მოსულა, რომე კვლა ლაშქარი კლენბია. აწ უფროსი აკლავს. კელმწიფემან ფაშოთანს ეგრე უბრძანა: აწ გამოჩნდა დასტურ ჩიმაზის ნათქვამი, აქა დღემან და ბედმან მოიყვანა. მერე ეკარავსა შევიდა და ფარემუზის ლაშქართა შიგან ჩაშუში გაგზავნა და ესე უბრძანა: წადით და შევიგნით მათი კვაშიადი და ნაქეთ ფალავანნი და თავადნი ვინ არიან და ლაშქართა უტუკესი ვინ არის. მოვიდეს ჩაშუში და ნაქეს. წამოვიდეს კელმწიფისა წინაშე და ანბავი მოართვეს და ესე მოაქსენეს, ვითა: მათნი ექვსნი ფალავანნი არიან, თვითო-თვითონი ტრინისა კლდესა მსგზავსნი. პირველი არის ჟუქარ, საამ. ბანგიჩასპი, ზარბანუქ, ნექიქ და მარზუბან, ცხენისა შექდობისა ეამსა ხვადნი ლოჷნი ვითა მოაქლტებიან.

კელმწიფემან რა ესე მოისმინა გულსა შიგან იზრატანა და გააგო, რომე ისი ექვსნი კაცნი ვითა იშოვნო. და რა იგინი ვიხელთნო, მერმე მამინ რა ფარემუზის და რა ერთი მჯღღეი მიწა. მერმე ლაშქართაგან თავად-თავადნი კაცნი იქმნა და ბნელესა ლამესა ქამად და ხადიმად დასკდეს. გაგზავნა და ფალავანნი მოვიდეს.

აქა ბაამანისაგან ფალავანთა გაჩენა ფარემუზისათვის საომრად

ფარშანდანგ აღმას ფალავანი, მეომარნი მოვიდეს კელმწიფესა წინაშე. მათ უბრძანა. ვითა: საამს თქვენ შეებენით, და გურდავარს ლომსა და ფეშანგისა შვილსა ესე უბრძანა: ჭე, საქელოვანნო მეომარნო, თქვენ ბანგიჩასპს რაზმისა ომსა შეებენით და ჩემსა წინა ჩაქრულნი მოიყვანეთ ცხენზედა. ორსა მეომარსა ფალავანსა უბრძანა, ვითა: თქვენ მარზუბანს შეებენით. რა ომანგ ფალავანი და საქელოვანი ბატამირი მოვიდეს, მათ ესე უბრძანა, ვითა: თქვენ ზარბანუქს. ლომის შემპყრობსა, შეებენით. რა ჩიპარ, ქამასპ და ფალავანი ბურდასპ მოვიდეს, მათ უბრძანა, ვითა: თქვენ თუქარს შეებენით. ერთი სკვა საქელოვანი ფალავანი იყო, საქელად რაზმია ერქვა, მათ უბრძანა, ვითა: ნექიქს თქვენ შეებენით! და კელმწიფემან ესენი გააჩინა და ესე ფალავანნი ეშუშისა პირსა ჩაყარა, ესე თორმეტნი რაზმისა გამტეხელნი, საქელოვანნი. უბრძანა, ვითა: თქვენ წადით და ორსა დიაცსა, ოთხსა კაცსა შეებენით.

ფარემუზის გამოგზავნილი ერთი ჩაშუში კაცი ბაამანის ლაშქართა შიგან იყო და, რაცა იმათ დააპირეს, ყველა მოისმინა. მივიდა და ფარემუზს მოაქსენა. მასვე ლამესა ფარემუზ იგი ექვსნი ფალავანნი იქმნნა და ამბავი ყველაი უამბო. ომისა საქმე, რაზმისა მოწყობა. ყველა შვილსა შევედრა და ბნელსა, უქუნსა ლამესა ფარემუზ გათენების ეამამდის ღმერთსა შესტიროდა და ეხვეწებოდა. ოქროსა კიქისაგან ყვითელი ქარვა გარდასცვიოდა და ზამრუქსა გაერია.

ერანელთა კელმწიფე ბაამან შავსა ცხენსა შექდა, მარჯვენა მჯარი და მარცხენა ყველა ლაშქრითა მოკაზმა. ფაშოთან ორმოცდარვა ყოშუში შერჩე-

ული მოკაზმა. ათვალა და თითო ყოშუმი ორმოცდაათი ათასი კაცი იყო. სფა-
ადარმან ფარემუზ ნაქა, რომე ერანელთა ლაშქარი შესვლდეს, მანცა ლაშქართა
შესვლდომა უბრძანა. ერთი ყოშუმი ფარემუზის ლაშქართაგან წინა-წინ წამო-
ვიდა. რა ფარემუზ ჯელმწიფისა ბაამანისი და ერანელთა ლაშქარი ისრე ური-
ცხეი დაინაქა, პირი გაუყეითლდა და გული დაუწყულულდა. ანასდეთულათ ორ-
თავე ლაშქართა ასეთი ძახილი და კმა შეიქნა, რომე ცისა გრვეინებასა გვანდა.
ჯელმწიფისა ლაშქართა ჯლმები და შუბები ამოიწოდეს და წინა მიეგებნეს.

პირველად მოედანსა შიგან საამ გულოვანი შემოვიდა და. ჯელმწიფესა
რომე საამის შესაბმელად ოთხნი ფალავანნი აერჩიენეს, იგინი ზედა მოუქდეს.
ფალავანი საამ მთვრალი პილო ვითა წინა მოეგება. შემოუხეივნეს ესე ოთხნი
ფალავანნი. ზოგჯერ მარჯვენა მჯარი დაუქირიან და ზოგჯერ მარცხენა. ამა
ოთხთა ფალავანთაგან საამ ორნი დაკოცნა და ორნი გადაეცევენეს. აგეთო
გამარჯვებული საამ მამას წინ მოვიდა. ლაშქართა თავადმან. ფარემუზ მამამან.
შვილი მოიქმო, ყელსა მოეჭევა და გარდაკოცნა. მერმე. ორნი ფალავანნი სხე-
ანი. რომე ბანგიჯასპისათვის ნაჩენნი იყენენ. შესაბმელად იგინი მოვიდეს. რა
ბანგიჯასპ იგი ორნივე ფალავანი ნახნა, გაიკრა ჰელი და ქმალი მოიწოდა. მიუქ-
და და ორთაგან ერთი მოკლა. მეორენ რა ნაქა, გარდაიქვეწა. ბანგიჯასპ თავის დი-
საყენ წამოვიდა და დაუძახა, ვითა: მე ჩემი მიქნია და გაუთავე. იმედი მაქვს.
რომე შენცა შენი ნება გაათაო; რა ზარბანუქ მისსა ლისა ქმა გაიგონა. იკრა მანცა
ქელი კმალსა. ამოილო. ერთსა კრა და დაკოდა. მეორემან რა დაინაქა. ახლოს
ალარა მივიდა. ამა ლომისა დიასისაგან ასრე გარდაიქვეწნეს. მერმე ფალავანმან
თუქარცა დია მოიჭირვა იმა ორთა ფალავანთა ზედა. წამსა და წამსა ზედა მიუ-
ქლიან. ფალავანნი თუქარ ორნივე დაკოცნა. რა ნექიქ ესე ნაქა. მოვიდა ფალა-
ვანსა მია და რაზმიას წინა. დიდკანს მოედანსა შიგან იდგეს და იბრძოდეს, ბო-
ლოდ, ნექინჯამან კრა და ორთაგან ერთი მოკლა და ერთი დაკოდა. მერმე იგი
დაკოდილი კაცი შეიპყრა და ორნივე ქელნი შეუტრნა. ორთაგანვე ლაშქართა
უქვრეტდეს. იმა თორმეტის ფალავანისაგან ექესი კაცი მოიკლა და პირი მიწითა
და სისვლითა აეესო და ისი ექვსნი, დარჩომილნი კაცნი, იგიცა დაკოდილნი
იყვნეს.

ამაზედან შარიარი ერთობ გაგულსიდა და განაწყენდა. მასვე წამსა კიდევ
დაბრუნდა და ორთავე რაზმთა შუა ქმა შეიქნა, ვითა ეზომნი ფალავანნი დარ-
ჯოცნეს. ჯელმწიფე კარავსა შიგან ჩამოქდა, და ლაშქართაგან ერთობ ნაწყე-
ნად შეიქნა და ნიადაგ კირსა და შეჭირვებასა შიგან იყო. ბაგენი დასჯენობო-
დეს და არა გაიცინებდა. მერმე ორთავე ლაშქართაგან ქმა ამოვიდა. რაზმი-
სა ჯელგა შექნეს. ბაამან ლაშქართა შიგან დაიძქნა, ვითა: ღე. საქელოვანო ფა-
ლავანო და მამაცო, ვინ არის, რომ დღეს ომი გარდაიჯალოს და მეომრისა საამის
თავი მამართოს. ეზომი განძი და საქონელი მიეცე, რომე დღეთა შიგან აღარა
შეჭირდებოდეს და ჩემი ქული მას ფალავანსა დაეარქვა. ამისთანა ქული არა
რომელსა ჯელმწიფესა რქმია, წითლისა ოქროსაგან, მინა-ვარდითა შექმნილი
არის. და წითლისა იაგუნდისა კუბო არის ზედა, რომე მისისა სიმშენიერისა-
გან ბაამანს პირი გაუწათლდების. მის იაგუნდისა ფერისაგან მზისა სინათლე
დაეჭირვოდა. დამე ბნელი მთვარიანისა ლამისაგან უფრო განათლდებოდა.

აქა ქოიალის და საამის ომი და სიკვდილი საამისა

რა კელმწიფისა ნაბრძანები ფალავანმან ქოიალ გაიგონა, შარიარსა მოაქ-
სენა. ვითა: ესე საამ ვინ არის, არა მიბრძანებდა, რომე ამა საწუთროსა კელმ-
წიფენი მას აქებენ ყოველნი და მას აწსენებენ. აწე მისი თავი თქვენსა წინა
პოვილო და მისითა სიკვდილითა მისსა მამასა მას ზედა გული დაესწვა.

და ესე მოაქსენა, და ფიცხლად შეეკაზმა და გარეთ გამოვიდა, ასრე რომე,
ვითა ლომი ნადირისათვის აკლდეს, აგრე წამსა აკლტა და ცხენისაკენ წავიდა.
ზედა მთქლტომით შეჭდა და მივიდა ნიმრუზის ლაშქართა შიგან და დაიძაჰნა:
უთხარით, რომე საამ ომგამოცდილი ჩემსა წინა მოვიდეს. მოედანსა შიგან მე.
მისად ომად მოვსრულ ვარ, ჩემის კელმწიფის გულისათვის მას შევებმი.

რა გულოვანმან საამ ესე გაიგონა, მოიკრა კელი და მძიმე ლაქტი აიღო,
მასვე წამსა ქოიალს წინა მოვიდა და ორთა სპილოსა ვითა მეომართა ერთმან-
ნერთს შეუტრევეს მანვეილითა, ჯლმითა, მძიმითა ლაქტითა და საგდებლითა.
დიდქანს იბრძოდეს და ერთმანეთსა ვერა აენეს რა. დაილაღნეს და ცხენნიცა
დაელაღნეს. ცოტად უკუდგეს, ცხენთა მოუსვენნეს. მტვერითა ამოვსებული
პირი ამოირღნეს და ქვეითად ერთმანერთსა შეეკიღნეს. ზიღვიდეს, იბრძოდეს
და მორევენა არა რომლისაგან ჩნდა. გაიყარნეს. ორთავე წყურვილითა ოფლი
ჩამოსდიოდდა, მთვრალთა აქლებთა ვითა პირსა ლოშქარი მოსდიოდა. და ცხენ-
თავე შესჯდენ და ერთმანერთსა სარტყელსა ჯელი ჩაუდგეს, ძლიერად წა-
მოხვიდეთანა ფალავანსა საამს მუზარადი წაელვარა. ქოიალ ჯალი ამოიწორდა და
კისერსა დაქრა, თავი ტანისაგან მოაშორვა. აიღო თავი, კელმწიფის ბაამანის
წინაშე გაგზავნა. კელმწიფე და მისნი ლაშქარნი ერთობ დამჯიარულდეს.

და რა ფარემუზ მისი ფალავანი შეილი საამ მოკლული ნაქა, ცხენისაგან
ჩამოიქრა, ტანისამოსი გარდაიჭივა და თავსა მიწა გარდაიყარა, ღვიძლდამწევა-
რმან თრთოლა დაიწყო და უქკოდ გაქდა. მისთა ლაშქართა შიგან ზარი და ტი-
რილი შეიქნა და, რა ფარემუზ ჰკუთათა მოვიდა, ამას მოსთქმიდა: ჭე, მამისა
სულო და გულო, თვალთა სინათლეო, რა ნადიმად სჯდი ლაშქართა შიგან, ვი-
თა გავსილი მთვარე, ეგრე სჩანდი და ომსა შიგან მთვრალსა პილოსა გვანდი,
ვინ მოვთხარა მძიმე კლდე თავის ადგილისაგან და ვინ დაგცა მთვრალი პილო
ფერქთავთა. აწ ვისთვის მოვიჭირავო ომსა შიგან და ან ვისთვისდა მინდოდეს
სიცოცხლე ქვეყანასა ზედა. ნეტამცა მე შენგან უწინ მოვეკალ, ნუთუმცა ამა
ქირსა და ჯავრსა ჩამოვქსნოდი და აწე შენი სული წმინდათა თანა წაეიდა სა-
ძოთხესა შინა, კარგის მოქმედთა თანა იქარებს. ასრე მოსთქმიდა, ტირილდა
ერთობილნი სპანი და ლაშქარნი. მიწათა შინა არეულიყვენეს და მძიმე გლოვა
დაიდევს, ტანისამოსი და გული დაიფრინეს. აგრე გულდამწევარნი ზევე უკუბ-
რუნდენ, თავსა მიწა უკუყრილნი გლოვად დასჯდენ.

ქოიალ გამარჯვებული კელმწიფის წინაშე მივიდა და კელმწიფემ ეგრე
უთხრა: ჭე, ლომო საქელოვანო, ამა საქმესა, რომ შენ ქენ, ფასი არ დაედების.
ნუთუ დემართმან შემოგზლოს. მოიჭადა ჭაიანური ქუდი და მძიმე რომ იაგუნ-
დისა კუბო ჯდა, სამოც ათას დრაკანად დაფასებული იყო, ხოსროულისა ტანი-
სამოსითა შემოსა და კარგი აბჯარი და ოქროს აკაზმულობანი, ცხენი და სქვაცა,
ღია საქონელი მისცა. და ნადიმად დასჯდეს, მერმე ოქროს ტაბაკი მოაღებინა
და საამის თავი მის ზედა დადვა, ფარემუზს გაუგზავნა. რა ფარემუზ საამის

თავი ნაჭა, სისხლისა ცრემლითა ატირდა და გულწყულულსა თვალთაგან ცრემლი რუ ვითა სდიოდეს.

მას ღამესა ტირილსა და მოთქმის მეტი არა იყო რა და მასვე ღამესა საამის თავი ქალაქისაკენ გაგზავნა, რა ზაალმან ნაჭა და ფარემუზის და საამის ცოლშვილთა, დღე და ღამე ყოველ ტირილითა, ზარითა და მოთქმითა ტირილდეს.

მერმე ფარემუზ ერთსა კვირასა გლოვად იჯდა და არცა დაიძინებდა და არცა რას სჯამდა. მერვესა დღესა ერთობ ნაღვლიანად შეიქნა, და მალვით აღგა მარტო და ცხენსა შეჭდა, და ღამით კარვიდალმან გამოვიდა, ტანისამოსი და ცხენის სამოსი, დასაჭურავა, ყველა შავად შეაღებინა. ტირალითა წამოვიდა. ღაშქართა გარე შემოუარა მარტომან, გულწყულულმან ცისა პირი მიწასა მიაპყრა, თვალთაგან პირსა ცრემლი ჩამოსდიოდა და ამას იტყოდა: *მე. ღმერთო, ყოვლისა შემოქმედო და ყოვლისა მკედველო, დამბადებელო, შენ უწყი და შენ ჰედავ რაგვარ დამწვარი ვარ და ცეცხლი ვულსა მწეავს, და მას ვიჯ შენთა წყალობათაგან, რომე ამას ღამე ქოიალ ცხენოსანი, ანუ ჰკვეითი წინა შემყარო და ჩემი გული ამა წვისა და ტკივილისაგან დააცრო, და ჩემი შვილი ჩემგან მადრიალი შეიქნას, და ჩემთა უფროსთა და მეყვისთა სული გაუშვიარულდეს. წყალობით ჩემზედა მოიჭილე. ასრე სულითა და ჯორცითა ვიწვები. ამას ღამე ერთი ჩემი გულისა ნება ამისრულე, ასრე დამაჩნდების, ვითამცა ჩემსა შვილსა საამს ცოცხალსა წამოიყენებ. შენთა უკვეთა წყალობათაგან ყველა იღვილად იქნების. ღამე ორსულად არის და ენაქოთ, ჩემზე რასა შობს.*

მივიდოდა მტირალი და ცხენსა ფიცხლად მოარბევდა, ორთავე თვალითა სისქლისა ცრემლითა ტიროდა. რა ერანელთა ღაშქართა სიახლოვესა მივიდა, ანასდევულად შექედნა და რაზომნიმე ფალავანნი მსქლომნი დაინაჯნა და ერთი საქელდებული ფალავანი ყველასა ზევით იჯდა. ქუდი მზისა შუქსა უგვანდა და უნათობდა და წინა მეჩანგენი უდგეს და დიდსა ინდოურსა, უცხო სურნელსა უკმევდეს და წინა უძღვნიდეს, ძველსა, ფეროვანსა ღვინოსა სმიდეს, ერთობ მკიარულად ისვდეს გამოსვენებით. ამ საუბარსა უბნობდეს, რომე ფარემუზის ზურგი და დასტანისა და საამისა შენ შესდრიკე. *მე, ფალავანო, კარგსაქელოვანო ქოიალ, შენ აამალღე ჩვენისა კელმწიფისა თავი და საქელი თქვენ იყვენით. ღაშქართა ჩვენთა თავი შენ ასაქელენ.*

აქა ფარემუზისაგან ქოილის მოკვლა და სქვათა ფალავანთა

რა სფადარმან ფარემუზ შეიგნა, რომ ქოილანი ის არის, გაემზადა საომრად. რომე ჩემი მესისქლე ქოიალ, მე ვეკობ. ღვითთა უღონოდ ესე იქნების, ჩამოჭდა ცხენისაგან, ლოცვად დადგა და პირსა მიწასა ზედა ათრევდა და ამას იტყოდა: *მე, გულთმეცნიერო, ყოვლისა საიდუმლოსა და ხეაშიადისა შენ უწყი და შენ ჰარ, რომელი დღისითა და ღამე არა დაიძინებ და დაღონებულთა ლოცვასა გაიგონებ! ამას ღამე აღმისრულე ჩემი გულისა საწაადელი. ასრე დამაჩნდების, ვითამცა ჩემი საამ მიბოძო. თავი მიწისაგან აიღო და წინარე წადგა, ვითა ლომმან, კანჯრისა ჯოგსა შეუტოოს. მათ კაცთა დაინაჯეს, მას ბნელსა ღამესა და უკუნსა, კაცი მოვიდოდა. კაციცა შავად შეღებული, არწივის ფრთა ვითა, და კიდევცა გაუკვირდათ, ვითარ რაგვარ წამოგვადგა კანდერად. ასრე ეგონათ, ვითა: ესე ერანელთა ღაშქართაგანი არის, და ყველამან ას-*

რე უთხრა: ჭე, საქელოვანო. ამა შემგროსა ღეინისაგან ერთი პირი შესეი.. სფადარი მასვე ადგილსა მუქლთა ზედა დგა, წელმორტუმული მგარად და ჰელნი გულზედა დაეკრნეს. მერმე მწდემან ერთი მწდე ღეინითა აავსო და ფალავანსა ფარემუზს წინაზე მიიღო. მან ფიცხლად მწდესა აგრე უთხრა: წადი, აგრე უთხარ თქვენსა უქუცესსა, თქვენი საწესო რა არის. მწდემან ეგრე მოაქსენა: მე მიყურე. დიდი ჰელმწიფე...

მისგან თაფლსა ნუ ემებთ. რა ქელი მიართვეს, ჰელმწიფესა და ლაშქართა ერთობ გაუკვირდა, და მესამესა დღესა ნადირობას წავიდეს. კარგთა სანადიროთა შინა გარდაერწუვენეს. იქით ფარემუზ გამოვიდა მისითა ლაშქრითა.. ყოველგნით ნადირს მიუქდენ. დანიფანტნეს ნადირთა სროლითა და დვენითა.

აქა ბაამისაგან ირმისა ნაქვა და მისი საუბარი

[ბაამან ირემი ნახა.] მისი გავა ფარშამანგისა ფრთასა გვანდა და შევნოლა.. ასრე შევნოლა, თუ სთქვა, პირთ უციხოლა. ჰელმწიფე უკან მისდევდა. მის ნადირისა სიმშვენიერემან ჰელმწიფის გული გაამქიარულა. უკან მისდევდა. რაზომცა მიეწურის, ირემი კიდევე წაუვიდის. რა ბაამან ჰელმწიფე უკუდგებოდა. ირემიცა ერთსა ადგილსა დადგებოდა. ჰელმწიფე მერად ცხენისა რბევისაგან უქკოდ გაქდა. ირემი დაკარგა. ანასდევულად ერთსა ადგილსა მოლობილივითა იყო. მივიდა ირემი და იქ შეემწყყლია. ჟანდარი ჰელმწიფე ბაამან აქლოს მიეწურა და ვერა დანიწა. ბაამან წინა უკანა მოიქედნა და ვერა სულდგმული ვერა ნაქა და სეფის პირი გაუჩინარდა. მერმე თავის თვისა ეგრე ეტყობა: ამის უსაკვირველესი იქნებისცა? მერმე სამოთხე ვითა ევლი დანიწა, მისი სული მუშკივით ეფინებოდა და მისი მიწა ოქრო იყო. მისი ნაქატი ყველა ტურფად ნაქრელები იყო. მას შიგან ერთი მაღალი ტაქტი იდგა, ლარითა და თვალმარგალიტითა სავსე იყო. შორით ქალი ჯდა, გვერდსა ბერი კაცი უქდა. ჰელმწიფესა გაუკვირდა: გულის წამლები ვინ არის. მერმე მან ეგრე მოაქსენა ბაამანს: ჩემი სახელი ასალარ არის. ერთობილისა საქაჩეთისა ჰელმწიფე ვარ, ამა ქალსა რომ ჰელამ, გულისა წამლებსა, ჩემი ასული არის და შენი პირი უნაწავს, შენზედა გამიჯნურებულა და გაშმაგებულა. შენსა სიტურფესა და თვალტანად სიყვითესა მოულორებია. აწ შეიგნა, რომე შენ ნადირობას გამოსულ კარ. მოვიდა შენსა სიაქლოვესა და ირმის საქედ გეჩვენა. ბოლოდ, შენ გიწოვა და აქა მოგიყვანა და, თუ ესე ჩემი ასული შენც გინდა, მთხოვე შენ, რომე თქვენსა შუა უნდა რომე ცოდვა არა იყოს.

მერმე ჰელმწიფემან ბაამან ბერსა კაცსა სთხოვა მინდაურისა წესითა და მისცა. ჰამეს პური და ჰელნი დიბანნეს. ჰელმწიფე ტაქტსა წინა დაქდა და ეზომი თვალი და მარგალიტი აუწყო და მოართვა, რომე ასული გაკვირდა, ერთობ შემკირნელ გაქდა. მერმე ჰელმწიფემან ბაამანს მოაქსენა: შენ აქა ნუ დიყოვნი, რომე შენნი ლაშქარნი არ აიშალნენ. მასვე წამსა ჰელმწიფე ცხენსა შექდა და ქალი ფერკთა ზედა აემართა და ეგრე მოაქსენა, ვითა: მე შენთან წამოვალ და უშენოდ ვერ დავსდგები.

მერმე ჰელმწიფემან ქალი უკანა ცხენსა შემოისევა და გაზაფქულისა ქარი ვითა შავი ცხენი გააქენა. ანასდევულად მომავალსა ჰელმწიფესა ფარემუზ წინ შემოეყარა და ბაამანს ეგრე მოაქსენა: ჭე, ბაამან აერჯულო, შენითა ფერკითა აქა ბადესა ჩაები. რა ჰელმწიფემან ფარემუზ მინდორსა ისრე ნაქა, ენა-პირი

გაუქმა, ვერცა გარდასაქვეწარი გზა იპოვა და ვერცა იქი დადგებოდა. ტანი წნორისა ფურცელივითა აუთოთოლდა და გულთი ზენაარსა შეეხევეწა. არას ეტყოდა და ვერცა იგი გარდაეკვეწებოდა. მასევე წამსა ფარემუხ მშვილდსა საბელი გაარდააცა.

რა ქალმან ესე ნაჟა, რომე ჳელმწიფე ისრე უიმედოდ გასული იყო. ცხენით ჩამოიჭრა და ფარემუხს პირსა შიგან ჩაუქდა. ფარემუხ მინდორსა შიგან იარებოდა და ქალი არ გაეყრებოდა. ჳელმწიფემან რა ესე ნაჟა, ფიცხლად ცხენისა თავი გაუშვა და თავისსა ლაშქართა შიგან მოვიდა და, რაცა მისსა თაჟსა გარდასარულ იყო, ყველა ჳიმაზს უამბო. ჳიმაზ მოაქსენა: *ჴე*. ჳელმწიფეო, ეტლი მბრუნავი შენს ბედსა ჳედა იარების. მე ესე ანბავი მაშინეე მოგაკსენე. აწე ვინათგან ვეშისსა პირსა ჩამოეკსენ, ამას იქით შენნი მტერნი შენთა ჳელთაგან ვერ წაელენ. მე იმისი მეშინოდა, რომე აწ შენ ფათერაქსა ჩამოეკსენ. აწ ამა საწუთროსა შიგან ამას უჯანით აღარა გეშინოდეს. სიხარული და სიმჯიარული აღარა დაგეღევის და შენნი მტერნი შენთა ფერჯთა ქვეშე მოიქცევიან.

ფარემუხ ლაშქართა შიგან მივიდა და მისთა ლაშქართა თავისი ანბავი უანბო, ვითა: თქვენზედა თქვენთვის და ჩემთვის ავი ნიშანი მოვიდა. ყველამან თავი სიკვდილად დადევით და ვინათგან მფრანველი ანუ ქათამი რომე ერთველ მონადირესა წაუფიღეს, კელა ველარა შეიპყრობს. ინანდა და არას არგებდა, რომე მაშინეე ჳელმწიფესა არა დააჩნია და ვერა დაკოდა. მერმე ლაშქართა ეგრე მოაქსენეს: *ჴე*, ფალავანო, შენთვის დადევით თავი და სული და ტანი საკლავად მივეცი. საწუთროსა შიგან ორჯელ არაიენ მოკვდების. ორთავე ლაშქარს რაზმი მოაწყვეს და ჳანგთა ვითა ბასრთა პერული მოსდიოდა.

მერმე ფარემუხ მისთა ლაშქართა ეგრე უთხრა: მე ჩემი თავი და ტანი საკლავად დამიც, თქვენ დღეს ნუ გამეყრებით უღონობობით. დღეს ბაამანის ლაშქართა დავეცემი, ნუთუ ღმერთმან ქნას, ბაამან ჳელმწიფესა გარდაევიდო და მისი პირი ვნაჯო და, თუ მას ვერა ვნაჯავ, მისთა ლაშქართა შევეებმი.

ღაიწვადეს ჳლმები და, ვითა მეომარნი პილონი, ერთმანერთსა შიგან აერვიენეს. დიადი თავი ტანისაგან გააშორეს, დიადი კაცი დაჯოცეს და კიდევ დაბრუნდეს და მათ ჳიანი არა დაემართა. მერმე კელა შემოუტის ლაშქართა და ჳელმწიფისა ლაშქართაგან დიდი ფალავანი მეომარი კაცი დაჯოცეს. მერმე ჳელმწიფემან ბაამან ჳევიანსა ჳიმაზს ეგრე უბრძანა: ჩემი გული სევიდითა და ნალელითა სავსე არის, თუ სთქვა, საწუთროსა ჩემი ჳელი შეუტრავს. ერთხელ კარგმან ქარმან ჩვენეკენ არ მობერა და ჩემთა მტერთა გულისა ნებასა აუსრულებს და ჩემთა ლაშქართა ნიდაგ მტერთა ჳელითა დაჯოცილთა.

მერმე გონიერმან ჳიმაზ ჳელმწიფესა გული ერთობ დაუთამა და ეგრე მოაქსენა: *ჴე*, ჳელმწიფეო, პირველ მზეო, შენი საწადელი ასრულდების, შენნი მტერნი ყველანი წახდებიან და მბრუნავი ეტლი მათ ააოხრებს. მერმე ჳელმწიფემან ლაშქართა ეგრე უბრძანა: ხვალე დილეულად ჳედა მიუქედით, მოიქირავით და ყველა შუა შემოიმწყვდიეთ და ჳელთა დაიპყრებით, ნუთუ თქვენ არა დაზიანდეთ.

რა საწუთროსა დღემან ოქროსა ფერი შეიმოსა, ორგნითეე ლაშქარნი შესჯდეს და ერთმანერთსა შიგან გაერიენენ, ვითა მყარი კლდე რომე დიძრას, ფარემუხ და კუთნი ფალავანნი სხვანი ერთველად ჳედა მიუქედეს. რა ლაშქართა შეიგნეს ფარემუხ და თავადნი კუთნი იგინი არიან, გარე შემოერტყენეს ყველგნით და შუა შეიმწყვდიეს. ფარემუხ მეომარი პილო ვითა ჳედა, წინა-უჯანა.

ყოველგნით იქნებოდა და, სადაცა მიჰქედებოდა, ყოველგან ჯოცდა, ასრე რომე თავის ადგილი შევიწროებოდა. ერთობილთა ლაშქართათვის სიმგულვანე და მამაცობა უჩვენა, გამოვიდა ლაშქართაგან და თავის ლაშქართა შიგან წამოვიდა. ორსა დღესა და ღამესა იომოდეს. გზა დაჯოცილისა და დაკოდინისაგან შევიწროებულ იყო, თუ სთქვა, ჰაერი ეშმაკისა ბადე არის და ქვეყანა, და მიწისა შიშისაგან აბჯარსა ჩაიცივამს, ერთობილი მინდორი ფეჭი. ჰელი და თავი იყო და კაცისა ტანითა საესე იყო. და გულოვანთა სისჯლითა მიწა და ქვეყანისა იატაკი ჩამძვრალ იყო. დაჯოცილთა კაცთაგან ქვეყანა აღარა ჩანდა. მრავალი ჰელი უფეჭოთ გასულიყო და ფერჯი—უქელოდ. წვიმასა ვითა აღმასსა ჰმალსა აწვიმებდეს და ღრუბელი რომე ელეა ქუქალითა წვიმდეს, ეგრე სისხლისა წვიმა წვიმდა. ყველა ღია გულის მკვლელი რად შეიქნებოდა და ისრის წვიმა ფალავანთა თვალთა დაუყენებდა. და შათისა მოწვდილისა კლმისაგან აბჯარი და ბექთარი შეიწვებოდა. საჯელოვანთა და გმირთა თავები ცხენებისა ტერფთა ქვეშე ეყარა, დაკოდინთა და ჩამოყრითა ყველასა, გველსა ვითა ენა წამოეგდო. მესამესა დღესა ბალქ ქალაქისაყენ ძლიერ ქარი ადგა, ეცა ორივე თვალთა ფარემუხს და მისთა მკლებელთა. რა მათ ესე ძლიერი და საშინელი ქარი ნავეს, ზურგი ქარსა აქციეს. ასე გაძრიელდა ქარი ომისა დღესა, რომე კაცსა უნაგრისაგან აიტაცებდა და უნაგრისა ცხენისაგან აგლეჯდა.

რა ბაამან ჰელმწიფემან ესე ნაჯა, ფიცხლად ცხენი შეუტრია და მისნი ლაშქარნი წამოუდგეს, მტერობისა ჰმალი ამოაწოდეს და საჯელოვანთა თავები მიწასა შიგან გარივეს. ფარემუხის ლაშქართა რა ესე მოინაჯეს, ყველანი გაიქცნეს და უფროსნიცა დაჯოცნეს, და რაზმსა შიგან კარგსაჯელი ნექინჯაცა მოიკლა. ფარემუხის ლაშქართა ღია ცოტას მეტი ცოცხალი აღარ დარჩა, რომე არა ყველა დაიჯოცა. რა იგი დღე დაღამდა, ლაშქარნი გაიყარა და თავისთავისად წავიდეს. და ფარემუხ მისთა მოყვისთა და მოაჯლითა ყველანი ქვაბულისტანს წავიდეს. ფარემუხ გარდაიჭვეწა ბაამანისაგან და მისთა ლაშქართაგან. ამა რაზმში ფარემუხის კაცი მოკვდა ოცი ათასი და ბაამანისა მოკვდა ოთხმოცი ათასი კაცი რჩეული.

აქა ფარემუხის გარდაქვეწა ბაამანისაგან და ქვაბულისტანს მისვლა

ფარემუხისა და მისთა ლაშქართა ბარგი, კარავი და სამძიმარი ყველა ნასადგომეხსა დარჩა. სირბილითა და ფიცხლა რბენითა ქვაბულ ქალაქსა მივიდენ. ესე ომისა საქმე, ზოგჯერ პატრონი ჰელმწიფე მტერთა მოერევის, ასრე რომე ბაამან ჰელმწიფემან გატეჯა. მერმე საწუთროსა ჰელმწიფემან ბაამან გატეჯა.

მერმე ბაამან ჰიმაზს ეგრე უბრძანა: იმა ფარემუხისა საჯელოვანთა ლაშქართა საქმესა ზედა ერთობ ვაეკვირდით, ამა ძლიერისა ქარისაგან და მკვეთისა ჰმლისაგან გარდასაქვეწელი გზა და კვალი ვერა შევიგენით, თუ სთქვა, ეშმაკთა და თვალთმაქცთა გვანდეს. არცა კლმისაგან ეშინიან და არცა მტერისაგან. მერმე ჰიმაზ ჰკვიანმან ეგრე მოაქსენა: ჰელმწიფეო, იმა ლაშქართა, რომე თქვენ აქებთ, ხვალე ველარც ერთსა ნაჯავო.

ერთობილი მთისა წვერები ვერცხლის ფერად და წეროს ფერად შეიქნა, ანასდუღლად ჰელმწიფესა ბაამანის წინაშე ერთი ცხენოსანი მოვიდა და ესე

მოაქვნა: მე სამაჯარობლო მიბოძე, ფარემუზის როსტომისეულსა რასქისა ცქენისა უფალი გარდივეწა, ასრე რომე მისთა ლაშქართაგან ველარცა ერთსა კაცსა პოებ და ვერცა ვაჟსა. რა კელმწიფემან ესე მოისმინა. ფიცხლა მიწისაგან ზე აქლტა, სამანდსა ცხენსა შექდა და ყველგნით ლაშქარნი გაგზავნა და ესე უბრძანა: წადით, მინდორი ტყე და ღრე ყველა მოიარეთ და მოჩქიკეთ. ესემცა არა იქნას, რომე რაგვარად კვლა დაულონებიართ, აწცა ეგრევე არა დგავტყუვოს.

გაგზავნილი ლაშქარი წაიღეს, მინდორი ტყე და ღრე ყველა მონაქეს და ვერაიენ პოვეს. მერმე იგი გაგზავნილი კაცნი მოვიდეს მაშინდა ჭელი მიყვეს ლაშქართა ფარემუზისა და მისთა ლაშქართა ბარგსა და სამძიმარსა, რაცა უკეთესი ფარემუზისა იყო, ტაქტი ანუ სალარო, თუ სრა-ფარდაგი, იგი ჭელმწიფემან თავისთვის დაიჭირა. სხუა ლაშქართა გაუყო. ალაფი გაყვეს.

მერმე ბაამან ჭელმწიფემან ინება და ფარემუზისეულს ოქროს ტაქტსა ზედან დაქდა და სიჭარულითა სამსა დღესა და ღამესა ლაშქართა სიმღერისა და თამაშობისაგან არა მოუსვენა. სმა და კამა და გამოსვენება, და ფერად-ფერადი-სა-ჩანგისა და სტეირისა კვრა იყო. და ყველანი ჭელმწიფესა ბაამანს ქებასა შეესკმიდიან. მეოთხესა დღესა რა გათენდა, ყველგნით ლაშქარნი იქმნა და ესე უბრძანა: ჩვენ პირველ სისტანისაყენ გვინდა წასვლა, რომე მალორებელსა ზაალს ძალი და ძარღვი მოედოს. მასვე წამსა აიყარა ლაშქარი, შეიქნ[ა] ბუკისა, ქოსისა ცემა და ნალარისა და ფერად-ფერადისა გვარისა ქმა. რომე ყურთა არა ესმოდა. და მასვე წამსა ცხენსა შესქდეს და სისტანისაყენ წამოვიდეს. და დასტანს საამის შვილსა ესე ანბავი ესმა, რომე მტერთა ჰათ ზედა გაიჭარნეს და მოერივნეს. ამას ზედა გულოვანნი ლომი ფარემუზ ტყისაგან გაიგდეს და გარდივეწა. და მართ ციხესა მომართეს და დღე და ღამე იომოდეს და იბრძოდეს.

აქა ხელმწიფის ბაამანისაგან სისტანისაყენ წასვლა ქალაქის გარე მოდგომა

შიდსა თვესა ქალაქსა გარე ადგეს და ერთსაცა დღესა ომისაგან არ მოისვენებდეს. და ჭელმწიფისა ლაშქარნი ერთობ მოიღალნეს. ყველამან ჭაჭვი და მუზარადი აიჭადეს და ამა შვიდსა თვესა ომითა ქალაქსა ვერა დააკლეს რა. სთველნი მოვიდეს და ჭეთაგან ფურცელმან ცვიენა დაიწყო, ქალაქსა შიგან სასმელ-საკმელი ერთობ დაძვირდა და შიმშილითა პირი ყველას გაუყუთოლდა.

რა ბოსტანსა შიგან საროსა ხესა წყალი დააკლდების, ულონიოდ გაქდების. და კაცსა პირსა ფერი და ძალი ჭამისაგან ექნების. ცერიელი მუცელი ცეცხლივითა გახურდების.

მოქალაქესა და დარბაზის ერსა, ყველასა ზაალის ლაშქართა შიმშილითა პირი გაყუთოლბოდა და ყველასა მუცლის მეტისა მეტი არა შეშქირდებოდა რა. მასვე წამსა დასტან ორმო მოაქდევინა ქრთილისა. ყველა ერსა და ქალბსა გაუყო. სრულსა ქალაქსა ხუთის თვისა საზრდელი მისცა. ლაშქარმან, მოქალაქემან ყველამან დაუმადლა და მაღლი მოაქსენეს.

რა ერთი წელიწადი გამოვიდა და ქრთილიცა დაელოა. ყველა შშვივრად და უიმედოდ დაქდეს. მაშინ ჭელი პირუტყვისა მიყო. რა ჯორცსა სჭამდეს. ყველანი მთვრალნი ვითა დაქდებოდეს. ძროჯა, ცხვარი. ცხენი და ვირი არა შერ-

ჩათ. რომე ყველა არ დაქამეს. ორი საქელოვანი, ძვირფასი ცხენი დასტანს ღარჩა და სკვა არავეის რა სულიერი. იმა ორთა ცხენთა თვალითა ვერავენ დაინჯვიდა. ამად რომე დასტან დაპირებისათვის საიმედოდ ინაწვიდა. მერმე, ვითამცა სკვა ღონე აღარა ქონდა, ძაღლსა და კატასა მიყვეს ჯელი და მას სკვამდეს. ხუთსა თვესა მით გარდავლეს, ასრე რომე სხეასა საქმელსა ვერასა პოვბდეს. მფრინველი და სკვა იძვრისი არა იშოებოდა. მერმე მის ქალაქისა ერი და ქალაბი კვლავე შეიყარნეს და ტირილით დასტანს წინაშე მივიდეს. ყველა პირკაყვითლებული და მუცელგაგრილებული და ასრე მოაქსენეს, ვითა: ქალაქის ერი და ქალაბი ყველაი შიმშილითა შიგან იტოცების, რაცა ვის პირუტყვი გვედგა. ყველა დავქამეთ. აწ ჩვენი საქმე ამა საზომსა მიიყარა. რომე ერთმანურთსა ვერა ვნაწავთ. რა დასტანს ტირილისა ხმა ესმა და მწუჭარებისა და ქალაქის გაჭირება, ერთი სავლი ქრთილი სკვა ედგა, იგიცა გაუყო ყველასა. ცხრა დღე მით გარდავლეს და იგი კამეს. მეათესა დღესა კვლავე მივიდეს და ტირილი ამოუშეს.

აქა კორშევიად, როსტომის ასული, ბაამანის ჯოგის წამოსქმა მოინდომა

მასვე წამსა ერთი პირმთვარე მქედარი, ჰვარშედ ერქვა, ფიცხლად კარგსა მავალსა ცხენსა შეჭდა, სულისა წამლები შუბი ველთა დაიჭირა და, ვითა მთვარელი სპილო, ქალაქისა კართა გამოვიდა. ბაამანის მეჭოგეთაქენ წავიდა, შეუტივა და ფიცხლად ქმალი ამოიწოდა, რემაშიგან გაერია, მოუარა და ჯოგი წამოსაქა, წინა წამოიქცია, ფიცხლად მოვიდოდა. ზედათ ერთმან ჯელმწიფის მეთვალემან ყარაულმან დაინახა, დაიძახა: ზე, ჯელმწიფის საქელოვანო, მიდით და ხიდისა გზა შეინახეთ, რომე სისტანით ცხენოსანი გამოვიდა. ამას ცდილობს, რომ ჯოგი მოიტაცოს და ქალაქსა შეიღოს.

ჯელმწიფის ათი ათასმან ფალავანმან შეუტევა. მერმე ომნაჭულმან ფალავანმან ჰვარშედ დაიძახა ქალაქისაკენ: გამოდით ყველა და ამა ჯოგსა უშველეთ და ქალაქსა შეასჯით. მეცა აქა დავდგები და თქვენდა საწყენად არავეის მოუშვებ. ქალაქის კართა ერი გამოვიდა ყველა ტირილითა, შეიტყვეს და, რასაცა ვინ იშოებდეს, ყველამან თავის-თავისად წეასქეს. ფალავანი ჰვარშედ ჯიდსა ზედა დადგა და მშვილდსა ისარი ჩაუღვია. რა ლაშქართა დაინახეს ლაშქარი, ადგილობან დადგეს. ეზომი ერთი ზუფინი ესროლეს, რომე ანგარიში არ იქნებოდა, და აბჯარი ვერა გაუტეხეს. მერმე, რა ჰვარშედ შეიგნა, რომე ჯოგი სრულიად ქალაქსა შეასქეს, ცეცხლმან ვითა ლაშქართა შეუტივა და ლაშქართა უქურდინეს.

მერმე ჰვარშედ ქალაქისაკენვე წავიდა. რა ქალაქსა შევიდა, ჯოგი ყველა ერსა და მოქალაქესა გაუყო. სიჭარულითა ყველასა ვარდივითა პირი შეექნა. ერთი კვირა მით გარდავლეს და იმა ჯოგისაგან ერთიცა არა ღარჩა, რომ იყო საპოცი ათასი ცხენი.

რა კვირა გათავდა, ქალაქისა ერი კვლავე მივიდა დასტანს წინაშე. ყველანი მთვარელი ვითა იძაქდეს და ესე მოაქსენეს; თუ: შენ ქალაქსა შიგან ყოფა გიამების, ჩვენი საქელოვანი ყველა ცეცხლითა იწვების, ყველანი სიკვდილად მიეწურვილ ვართ. უბანი და ფოლორცი ყველა მკვდრითა საესე არის. ჩვენ ზედა ძაღლსა ნუ იქ. თუ პური არა გიც, ვისცა პური არა ეღვას, არავენ მისსა

ბრძანებასა დამორჩილების, დაგვექსენ, რომე ქალაქი ჯელმწიფესა ბაამანს მივსცეთ.

რა დასტან ესე საუბარი გაიგონა, დიადი იტირა. მერმე დადუმდა და დიადსა ბერსა კაცსა დასტანის ტირილსა ზედა გული აუღულდა და ატირდეს. მერმე ლაშქართა ესე უთხრა: *ჴე*. საქელოვანნო ფალავანნო, ამისთანა დღე კვლავ გინაქავსცა. ოდეს ქვეყანასა ზედა დიადი საქმე მიქნია და დიდი ანბაგი გარდასრულია და სიკეთისა თესლი ნიადაგ ყველგან დამიბნევიდა. ჩემნი გვარნი ნარიმან და საამ იყვნეს და მათი შვილი ვარ, რომე მათგან ქვეყანა ერთობილი გამოსვენებით იყო, და ნიადაგ ჯელმწიფეთა წინაშე სარტყელშემორტყმული. და ომისა ეამსა მიწასა ჰაერსა დააბნელებდეს და. ვინცა ღეთისა წინაშე მისსა ლოცვასა ისმენს და მისსა საწადელსა ასარულებს, მე ჩემი ბედი მას უკან უკულმა მამექცა, რომე ჳოსრო ჯელმწიფემან ქული და გვირგვინი ლუარსაბს მისცა. ლაშქართა შიგან ჳაერთა მე მაშინ მიწასა ეშჳამდი, როსტომის ქელთა შეპყრობაცა მაშინდელი ბუჳარი იყო. აჴ. რაცა ლმერთმან იპრიანოს, იგი იქნას.

აქა ზაალის სიზმრის ზმანება და ნაქვა

ბალიშა ზედა მიწვა და დაიძინა. ნაქა ერთი კაცი, რომე მას წინა მოვიდა, თუ სთქვა, ერთსა საქლსა შიგან არ ეტეოდა, სიმაღლითა თავი ცათა მისდგომოდა. ამან კაცმან ზაალს მოაქსენა: *ჴე*, შვილო, საქმელისათვის ჳრუნავ, შენ ამა ყველასა შეჳირქებას შიგან ნუ ჳარ. შენთა ჩამომჳელოთა ჩემი საქელი გვარჯას ღამარქვეს. აქა რომე შენი მაღალი დარბაზი არის, მის დარბაზისა სიმაღლე სამოცი საზომი არაბული საგდებელი არის, და მანდა და მას დარბაზსა შიგან დიდი ორმო არის. ცული და ბარი ათხოვნიენ და ორმოსა თავი მოანაკენენ და მისგან სპათა და ლაშქართა გაცემა დაიწყე.

მასეე წამსა დასტან ძილისაგან გაიღვიძა და ერთობ გაეხარნეს. თავსა ეგარე უთხრა: ნუთუ ესე ჩვენება ეშჳაქისაგან არის ანუ ჳაქისაგან. ეშჳაქი და ჳაქი ნიადაგ კაცისა მტერი არის და, ვინცა ეშჳაქისასა მოისმენს, ანუ მისსა გზასა წაევა, იგი ღეთისა გზისაგან შორსა არის. ჳორის მტეი აქა არა დარჩებრს. ნეტარძი, ვინცა ეშჳაქთა დაეჳსენის. და კვლავე თავისსა თავსა ზაალ გულსა დაუდებდა და ამას იტყოდ, ვითა: გვარჯასპის სიტყვა რაგვარ ცუდად დაეიჳირო, გამოვესცადო, თუ რაგვარ მოქდების. უბრძანა: ცული და წერაქეი და ბარი მოიღვეთ და ორმოსა თავი მოაქდვეინა. და ნაქეს ორმო, რომ თავი ცასა მისდგომოდა. ნაქა, შიგან იფქლითა გამოტენილი იყო. ერთი ფიცარი ლაქეარდითა შეღებული თავსა ერქვა და ესე ეწერა, ვითა: ესე გვარჯასპისაგან ნაქმარი არის, და ვიცოდი და კიდეცა მოვა ეამი ესე, რომე სავსე ხეარბლითა. ვიცი, რომე დღესა ერთსა ესე ხეარბალი მოგეხმარებრს და თვითო მარცვალი აჴ თვითოსა თვალსა და მარგალიტსა სჯობს.

მერმე ფალავანმან დასტან ჳალაქსა შიგან დააძახა, ვითა: ბერთა საუბართა უქმად ნუ დაიჳერთ, მოდი და ჩემისა დარბაზისაგან იფქლისა მარცვალი აიწყეთ. ერთობილი ჳალაქი ამა დარბაზისა მისელისათვის სათქმელი შექნეს და დასტანისასა მივიდეს ხეარბლისა სათხოვრად.

არაკად იტყვიან, ვითა: კბილისაგან გამოკრტნილი ჳორცი კაცსა რასამცა ხანსა ეყო. გამოქდა ცოტა ჳანი და იგი პურიცა შექამეს. ლაშქარმან ყველამან აბჯარი ჩააცვა, ერთი ლომი ვითა მოეკაზმა და სჯვა ვეფქი ვითა მოვიდეს ანას-

დეულად. ასრე რომე ვერცა ვინ შეიგნა. ქალაქისა კარი გააღეს და გამოვიდეს. ყველასა კეფა გაეხმო და გული დაეცალა. ყველამან ერთ პირად ბაამანს ჯელმწიფესა პირი მიაპყრეს. ბაამანს კელა არცა ერთი აწსოვდა. რა დასტან ესე ნაქა. ერთობ გაკვირდა. მასვე წამსა ფალაეანი საქელდებული ხვარშედ ჩამოიბურნა და ეგრე უბრძანა, ვითა: აესა იქმან წასვლასა. შენ წადი და კიდი შეინაქე. მათ უსირცხველობითა თავი ჰირსა მისცეს. ერთი საქელდებული აბჯარი ჩაიცი. ვიცი, რომე ერთი რაზომი მოგეგებების და კარგად, მამსუჲრად შეებო.

მერმე პირმთვარე ხვარშედ წავიდა, ჯიღისა გასაეალი შეინაქა. ლაშქართა შიგან ძახილი და აშლილობა შეიქნა, ვითა ფოლორცთა შიგან მშობარნი კაცნი ჩამოცივიუნულან. მერმე, ამა დამშეულთა კაცთა ლაქტა. ჯვლი და შუბები დაიწვადეს, ჯელმწიფესა დგომისა ღონე აღარა ქონდა, საჭდომი და ღარბაზი დააგლო და მთისაკენ წავიდა. ლაშქარი ყველა მის წინაშე მივიდა და დადგეს მთისა თავსა დამშეულთა კაცთა უქერეტდეს. მერმე დამშეულთა კაცთა რაზომაცა უნდოდეს, ჰამეს და დაძღნენ და, რაცა შეეძლოთ, ზურგთა აიკიდეს და ქალაქისაკენ წამოვიდეს. ზაალმან ფალაეანსა ხვარშადს კითხა, ვითა ჯარ ფალაეანო ამ სასაქელისაგან, ჩემო ჯელთა გამმართაო, შენ იყავ ამა რაზმსა შიგან ჩემი ღონე და პირის წყლისა მქებნელი და ქალაქი სრულად შენთა წყალობითა დარჩა. მერმე ჯვარშედ ეგრე მოაქსენა: ჭე, გმირო, დამშეული ლაშქარი უპუროდ რაგვარ გასძღნებს.

მერმე ჯელმწიფემან განკვირებულმან ჯიმაზს უბრძანა: ეგების ესე საქმე არა გიკვირდეს. მე იმა ერთისა ცხენოსანისა საქმე მიკვირს, რაგვარ მოიქირვა და რაზომ ჯერჯიანობა იქმარა. ხიღისთავი დაიჰირა და შუბი ჯელთა ქონდა, ვითა ეზომი ჩვენთა ფალაეანთაგან დაჯოცა ღომმან ვითა კანჯარი, აგრევე მან ჩვენი ლაშქარი. ვითა ლაშქართა შეუტივეს და ამოსწყვიტეს, რომე, თუ სთქვა, ერთი ბიჯი თავის აღგიღისაგან არ დაძრა. აწ, თუ მე იმას ვიშოვებ, ჩამოვაგდებ და ორთავე თვალთა სისქლსა წავადენ. მერმე აქიმმან ჯიმაზ ეგრე მოაქსენა, ვითა: ჯელმწიფეო, არა კარგად გამოარჩიე, მშვიერი მუცელი არას არ დაირიდებს, თუნდ სიკვდილსაცა მოელოდეს, შიგან შევეარდების და მოიქირეების. მეტი ღონე არა აქვს. ისეთი დამშეული ლაშქარი გამოვიდა და ისეთი საქელდებული ფალაეანი მათ შიგან იყოს, რასათვის გაუწყრებით და გულსა შიგან იქსოვნი. ეგე არა ჯელმწიფისა ჯელით იქნების და არცა სამართალია. თქვენებურთა ჯელმწიფესა წინაშე იმისთანა ერთი ფალაეანი საქელდებული, დიდთა სპათა ლაშქართა რომე არა მოგეხმარებოდეს, ყველასა ისი სჯობს. აწე მე ერთსა ბადისა მაქვსა დაუდგამ, რომე თქვენსა ნებასა ეწიოს.

გავზავნა ბნელსა უქუხსა დამესა და ბაზრეულნი აწმობინნა და მათ ესე უთხრა, ვითა: ჯვალე დილეულად აღეგით და ჯელბაქოეანნი მოკაზმეთ, თევზისა მწერისა, ხიღისა და ბროწყელისა და ყოვლისა ფერად-ფერადისა საქმლისა და სანუკვარისა და თაფლისაგან. მერმე ბაამან ჯელმწიფემან გილანისა ჯელმწიფესა ეგრე უთხრა: თქვენ ათი ათასთა მეომრითა კაცითა ბაზრისა კარებთა შიგან დამიბლენით და მერმე სკვანი ლაშქარნი გზის მცველნი აჩინენ, და ესე დავედრა: თქვენ წადით და გზანი შეინაქეთ და, თუ რა გარდმოქვევილნი კაცნი შემოგყაროსთ, თქვენ შეიბყარით და ნუ გაუშვებთ.

რა გათენდა, ორნივე ლაშქარნი ბაზარსა შიგან მოვიდეს და ნაქეს, რომე ჯელბაქი და ფოლორცი ისრე მოკაზმული იყვენენ და სურნელი სული სისტან

ქალაქსა ასე ეცემოდა, რომე კაცსა დაბნელდა. მასვე წამსა ქალაქისა კარნი გა-
აღეს და დასტანს მოაწესნეს, ვითა: ლაშქარი ქალაქისა კართა კიდევე გავიდა.
ფიცხლავ ზაალმან ლაშქართა მოციქული მიუგზავნა და ესე შეუთვალა, ვითა
მელი ნიადაგ მაქვსა დაუგებს, ვერა პოებს იმა ღმერთსა, რომელსა დევი სძულს.
ეგრე, რომე იმა კაცთა დაუშნადებია, ეშმაკობითა უქნიან და მოუგონიათ და
მოგადაფლუმენ. მას ნუ იქთ, რომე მტერთა კელსა შიგან დავიკოცნეთ.

მისი ნათქვამი ლაშქარმან არა გაუგონა და არცა დაუჭერეს და ესე ვერა
შეიგნეს, რომე ბერისა კაცისა საუბარი ყველა თვითო მცნება არის და ეამ-
ნაქულისა კაცისა დაჭერება უნდა. საუკეთოსა ყველასა გამორჩევა უნდა და
შენახვა, ავსა ყოლეცა გაგონება არა უნდა. თვითო სიტყვა იქნების, რომე თვალ-
სა პატროსანსა უკეთესი იყოს, მეცნიერი ყველასა შეატყობს და ესეცა იცოდო,
რომე კაცსა რა შეაგონებდეს, თუ გაგიგონოს და დავიჭეროს, უთხარ და შეა-
გონე და, თუ არა მოგისმინოს, ცულად დაქარგავ. კაცსა რომე კეთა ტერინისაგან
ცარიელი ეღვას, იგი ორისავე ჰკვისსაგან ცარიელი იქნების და უმეცარი.

რა ლაშქართა ზაალისა ნათქომი არა დაიჭერეს, მერმე ზაალ ხვარშედს
უბრძანა: რაზომცა გაირჩები, შენ კიდევე წადი და ჭიდისა თავსა გზა შეინაწე-
მივიდა ჳვარშედ და მასვე ალაგსა ზედან დადგა. მერმე დამშეულთა ლაშქართა
შეუტრევის და ბაზრისა ქულბაქოვანსა შიგან შეკვივდეს. ქალაქსა შიგან აღა-
რაიენ დარჩა, არცა ბერი და არცა ყმაწვილი. ყველა ბაზარსა შიგან მოვიდეს
და ჳამეს და ფორაქსა შეეჭკეს და, რასაცა ერთ მოერეოდეს და აკვიდებდეს,
ყველასა უკითხავად აკვიდებდეს. მერმე ბაზრეულნი ამაყნი და უსირცხვილო-
ნი ასრე ეტყოდეს¹: ჭე, უპირისწყლონო, აზომი ერთი აიღეთ, რომე თქვენ
გასძღეთ. ბარემ ნამეტნავსა ნუ აიღებთ. მერმე სიამარად, გაგულსებულით
ლაშქრითა რომე დამალულნი იყვნეს. ყველანი გამოვიდეს და ზაალის ლაშქარ-
თა მოეჭვივნეს და ჳლუმები მოიწოდეს. რაცა ცხენოსანი და ჳვეითი იყო. ჳელთა
დაიპყრეს და უფროსც ერთი დაკოდეს ასრე რომ, იმ ყველასა ლაშქრისაგან
ეერცაღა ერთი კაცი. მერმე ერთობილნი ლაშქარნი ჳვარშედს მოაქრეს. ერთ-
მანერთსა გაერივნეს, მტვერი და მიწა აღგა ასეთი, რომე ლაშქართა თვალთა
უყენებდა. ჳვარშედ საწელოვანმან ფერჯი მაგრად პირისპირ მიადგა ასრე რომ,
ადგილსა ზედან დაეკრებულსა გვანდა. ორასნი კაცნი ჳელმწიფისა ლაშქარ-
თაგან მოკლა. მერმე ბოლოდ ფალავანი ჳვარშედ დაი მწარედ დაკოდეს და
ომსა არა მოეშალა. მერმე ცხენსა უკრეს და მოუკლეს. მერმე ჳვარშედ სარტ-
ყელი მაგრად შემოირტყა, და დადგა და ლაშქართა ისარსა ესროდა თვით და
ზაალისაგან მოვიდოდა. რა მტერი მოუჭდის, ისარსავე შესტყორცნიდა და
თვით ქალაქისაგან შეიხეწებოდა. და ლაშქარნი ცხენითა უკანა მისდევდეს და
თვით ჳვარშედ ფალავანი ჳვეითი ქალაქად შევიდა, ფიცხლად კარები დაუგლო.

ზაალს მიესმა და შეიგნა, რომე მისნი ლაშქარნი დაჭოცნეს და ბაამან მის-
ლის მეტო სტევა მათი საქმე არა იყო და კელსა ვერცხლისა მსგავსისა გულსა და
მკერდას იცემდეს. ესე მათისა გარდასავალი ამბად ასრე მიესმა. და დიადი წე-
ლიწადია, რომე ამა საქმესა ზედა გარდასრულა.

აწ ფარემუზისაგან მოვიცალეთ და ქიშპარის საქმე ვიწყეთ. და ვინცა დას-
ტანისა ფიგონა, მას ბაამანის წავერთა და მტერობითა გული აევსებინა, ასრე
უთქვამსთ პირველთა კვიანთა მამათა სუბარო, რაზომიცა გესმას, კარგად
გულსა შიგან დამიჭერე, გაიგონებდით.

აქა ბაამან კელმწიფისაგან ინდოეთს გამართვა და ასულთ ძებნა

რა ბაამან იმა ფარემუზისა საკელოვნისა ფალანისა საქმისაგან მოიცილა
და მისი საგონებელი გულისაგან გააგდო, ერთსა კვირასა საეარდესა შიგან ქა-
მად, სუმად და გამოსვენებად დაქდა და მისთა ლაშქართა და სრულად ქალაქსა
უქმანსპინძლა. იგი საეარდე სამოთხესა გვიანდა და დამსგავსებოდა. დია სების
პირი მიწა და ადგილი იყო. ამა ნაღმითა და გამოსვენებითა ხანი რაზომიმე და-
ყო. მერმე, ერთსა დღესა იფიქრა, ვაზირთა და მოურაუსა ჩიმაზს ეგრე უბრძანა:
რაზომისა სოფელი ჩვენსა ნებასა ზედა არის და მორქმით არის, და ვართ ლაშ-
ქარნი, რომე ერთხელ ინდოეთისა კარისაკენ წავიდეთ, ვითა მდინარე ღვარა.
მიუტკდეთ და ქალნი ვიშოვნეთ. ჩემგან აქა დგომისა და კარგი წალკოტი და
კარგი საეარდე და თვით გამოსასვენო და სანაღმობა, მაგრამ ჩემი გული ცეცხ-
ლითა სავსე არის. მე ასრე მმართებ, რომე სანაღმობად გამოსვენებასა და სიქა-
რულში ვიყო, მაგრამ ესე არის, რომე გზა წინა გვიცს და ვერა მოვიცალი.

მერმე ჩიმაზ ესე მოაქსენა: რაცა მიბრძანე, ყველასა წინაშე ვარ. მერმე ჩი-
მაზ თავისა თავსა ფაეზრადა და ასრე თქვა: შენ ამა კელმწიფისა თვით რჩეულო-
ბა და უცილობს ნაქე, ორთა დედათა გულისათვის ესე ყველა სსაქელი რად
უნდა და ცუდად ამა გრძელსა გზასა სიარული რა არის. და ამას შიგან საცილო-
ბელი არა არის, რომე ჩვენსა ამა გზასა შიგან კარგსა ვერას ვნაჯავთ დიადისა სსა-
ქელისა მეტსა. და დიადი რაზომიცა კვიიანი და ბრძენი იყოს, მისგან კელმწი-
ფობისა ქნა როგორა იქნების, ანუ რით ღონითა მოტკდების! მაგრამ რა ქნა.
რომე წყალი ჩემსა რუსა შიგან ჩემისად ნებისად არა დის და კელმწიფისა დაწ-
ლა ჩემგან არა ეგებინა. აწ რა სარგებელია, რომე ესე უთხრა, ვითა: წახვალ
და, თუ ესე უთხრა, ვითა: ნუ წახვალ, ორისაგან არამადრიელობა. არცა ამა

აქმასა ღმერთი დამიპაღლებს. ათვალეს ლაშქარი და სამასი ათასი დაკლებო-
ლა ფარემუზის ომსა შიგან.

გათენებისა ეპისა რა განათლდა. შეიქნა ქოსისა კმა და ლაშქარი ყველა
შეკლა. და ლაშქარნი ამას იტყოდეს: ასრე დილეულად შესკდომა რა სიტყვა
არის. ანუ საღ წაუა. მერმე ჯიმაზ თავისა გულსა შიგან ამას იტყოდა: შე. შარ-
არო, ამა ყველასა ჭირსა გამლევა შენგან რა არის, ანუ რას მოგეკმარების. მი-
სანი სპანი ამას იტყოდეს, რომე კაცმან თვითოსა კაცსა ასა განძი მისცეს, ვითა:
ამა გრძელსა გზასა წაიდო. ამა ყველასა სასჯელსა არა ღირს. ორმოცი წელიწა-
ლია, რომე უნაგრისა ზურგსა ზედა ვყოფილვართ, არცა დაგვიძინებია, არცა მი-
წასა ზედა ვსკდომილ ვართ. აწ ვინათგან ფარემუზ ძელსა ზედა ჩამოკიდეს და
ჩვენი კელმწიფე მისსა ნებასა მიკვდა. აწ კელმწიფემან: მისთა მტერთა არა
ოცის. თუ ის ქალნი სადა არიან. პირი ინდოეთისაყენ უქნია. ბოლუქ-ბოლუქად¹
მიდიოდეს ლაშქარნი. მერმე საურ კელმწიფემან შეიგნა, რომე ბაამან მას ზე-
დან მივა და მამისაგან ერთობ გულ-ნამტკივები იყო, მისსა ასულისა ქეთონის-
თვის, რომე ბაამანს მოეკლა. გული ცეცხლითა საესე ეღვა და პირი ლერწამსა-
კით გაყვიოლებოდა. და რა ბაამანს ოცი ქალი მოეკლა, ინდოეთისა ხელმწიფე-
სა სეველისა და შეჰირვებისაგან არა მოესვენა ამისთვის, ვითა: ბაამან ჩემსა
ასულსა ესე რადვარ უყო, რომ ასული მამიკლა. ბოლოდ, როსტომისა ორნივე
ასულნი ბაამანის მტერნი იყვნეს. მასეე წამსა ინდოეთისა კელმწიფისა საურს
წინ მივიდნენ.

აქა ინდოეთისა კელმწიფისა საურს წინაშე როსტომის ასულთა მისვლა

რა კელმწიფემან საურ როსტომის ასულთა მისვლა შეიგნა მას წინაშენ.
ფრცხლად შექდა და მისითა ლაშქრითა წინა მიეგება. ერთსა ფარსანგსა უფრო
იარა და მეტად დიღითა პატვიითა ქოსითა, ნალარითა. და სტვირითა ქალაქსა
შემოასკნა.

ორნი თავდანი სპასალარნი იყვნეს მისსა ლაშქარსა შიგან. რომე კელმწი-
ფისა შამულისა და თეპისა შენობა რამე ამა ორთა კაცთაგან, და ორნივე ძმანი
იყვნეს და ინდოეთისა ქვეყანასა შიგან ერთობ გამოჩენილნი და საბატონი იყ-
ვნეს. უფროსა ძმასა საკველად ათიან ერქვა, დღე და ღამე ნადირობა და ომი
იყო მისი საქმე. და უმრწემესსა ძმასა ბაპაურ ერქვა, მადრიელი და სებისპირი.
ფარემუზ შურის მეძიებელმან, რომე სრულნი ინდოეთნი დაიჭირნა, ესე ორნი
ფალავანნი ძმანი ცეცხლისაგა იქსნნა და ორთავე გული გაამქიარულა.

მერმე ორნივე მივიდეს როსტომის ასულთა წინაშე, და პირი მიწასა დას-
ღვეს და ესე მოაქსენეს, ვითა: ჩვენ თქვენნი ყმანი ვართ. თუ თქვენ მტერნი
გაპოგიჩნდნენ და დაგესხნენ, ჩვენ ომითა თავი და სული თქვენთვის დავდეთ.
შევიბნეთ, სისხლისა რუისაგან მისისა პირი მარჯნის ფერად შევლებოთ. რა ბან-
გიჯას და სხვათა გამოზიდეთა ერთმანერთსა წინაშე დაყუდეს და გამოისვენეს.
მერმე კელმწიფემან საურ ბაამანის ლაშქართა შიგან ჩამუშნი გაგზავნა მარტო
რეა გრძელთა და სამიშსა გზასა შიგან, რომე დასტურ-შეიგნა თუ ბაამან სადა
არის, და შეიგნე, თუ მისსა გულსა რა არას, ანუ სადა მივა...

¹ ქობულ-ბოლუქად.

ქაშუში მივიდა და ნახა ურიცხვი ლაშქარი მდინარე ლეჩი ვითა, რომე ინდოეთისაკენ ქალაქად მიდიოდა. მასვე წაშა, ვითა მშვილდისაგან ისარა გაუშვა, ისრე დაბრუნდა და საურ კელმწიფესა წინაშე მივიდა და მოაკსენა. ვითა: ბაამან კელმწიფე შენზედა ილაშქრების და შენზედა მოეა და, სადაცა მისი ლაშქარი მივა, ქალაქი და ქვეყანა მათითა მტვერითა გაუჩინარდებოს. რა კაცი იმა ლაშქართა შექედეს, თვალნი დაურეტდებოან. ვარსკვლავი მათ ლაშქართა სიმრავლისაგან დაბნელდებოდა. ათის ღღრსა სავალს ადგილს მოღრან და კელში უქირაესთ.

რა კელმწიფემან საურ შეიგნა, მისი ვაზირი ბააურ თავისა წინა იქმო და ეგრე უბრძანა, ვითა: ისი ბაამან დევისა ნაშობი, ისრე უსირცხვილოდ პირი ჩეგენ მონუპყრა და ზედა მოგვლამის. გაღო და უთხარ, რომე კარები ღა ფარდაგები მინდორად გაიღონ. ლაშქარნი და სპანი სულად მინდორად გავიდენ. ქაშმარ ქალაქით გულოვანნი ორას საჰოცდაათი ათასი გამორჩეული და კმლისა მკერელი ცხენოსანი კაცი ათვალეს და ასორმოდდათი სპილო. ძესპილო, ვითა შემოპარი. გამოვიდა. მავალი, ვითა ქარი და მძიმე, ვითა კლდე. ყველასა კბილი ნიანგსა უგვანდა, ომისა ეშსა ყველაი შემოპარსა ვეფხსა გვანდა. ათი ოდენ თალაქანი პილოსა ზედან შესქედენ. ყველაი მფრეწელსა ლომსა გვანდეს. და კელმწიფესა ისი თერთმეტი მაღალი სპილო მოყვანდა, რომე ერთობილი ინდოეთი მისსა იმედსა იყო. სირბილისა ეშსა ქარი ვითა რბოდა და ტალაქსა და წვიმიანობასა ჰაერსა შიგან იარებოდა. წყალსა შიგან თევზი ვითა იყო და კლდესა შიგან მფრინველითა ფრინვიდა. მისთა კბილთა სიმწვავე ქვესქელსა შიგან მიწასა გაეკეთდა. მისსა კორთუმსა ცა იზიდიდა. ომისა ეშსა მისი შეტევება ორასსა ცხენოსანსა პირისპირ უზემდა. მრსა ზურგსა ზედა ოქროს ტაქტი ღადგეს, თვალ-მარგალიტითა მოკაზმული. ქატაურითა ქაშქითა და ღერად-ფერადითა ქაშქითა და სტევერითა მოკაზმეს.

კელმწიფე საურ და ათი შერპარი ტაქტსა ზედა დასქედეს. ყველასა კმალი, ლახტი და სრული აპყარი ტანსა ეცვა, თუ სთქვა, ჰაერი მტვერსა წვიმდა და მიწასა ცივსა რკინასა. შთა და მინდორი და დელე ყველა რკინითა შემოსილთა კაცითა საესე იყო. შთა და მინდორი ცხეხონებითა დულდა, რა ტყისაგან გამოვიდეს, და წყალისა პარსა სიახლოვესა მივიდეს და ჩაჰოკდეს.

აქა ბაამანისაგან წიგნისა მიწერა კელმწიფესა საურს წინაშე

ერთი წიგნი მიუწერა ბაამან კელმწიფემან ინდოეთისა კელმწიფესა საურს და ესე: საქელათა ღვთისათა, მზისა და მთოვარისა დამბადებლისათა. ჩვენ ყველა ნება და საწაღელი მისგან მოგვკვდა, და ჩემი მტერი და შემცოდე თავდაღმა ბელსა ზედა ჩამოვკიდე. რაზომიმე გვევრო მას უწმინდურისა თესლისაგან ამა ქვეყანასა ზედა ნუმცა არის. მისი ქვაბულისტანით ბნელსა დამესა გარდამაქვეწენეს, ფათერაქისა მაქე და ბადე დამედგა და შიგან არა ჩაუცივდეს, წამამივილეს ისი ავგარნი და აუთესლნი, შენსა წინა მოვიდეს. და ჩემნი მტერნი შენსა საფარველსა ქვეშე არიან და ზურგად შენ მიანიქარ, და სანიადაგოდ შენსა წინა არიან. შენ რად გმართებს ჩემი მტერობა და ამავე წაშა, რომე ჩემი წიგნი მოგივიდეს და წაიკითხო, დაუყოვნებლად იგინი აქა გამომიგზავნენ. შენც იყო, რომე ფიცის გატება არა წესია. მე და შენ ერთმანერთისა ვართ. შთა ავინა გვარისა თანა ნუ უყურებ. შენი ლაშქარი და მამული შეიწყალე. შენ ასე გმარ-

იებს, რომე ჩემისა მტერისა მტერი იყო. მერმე მეცა შენთვის კარგის მდომი ვიქმნებო.

რა კელმწიფემან საურ ბაამანის წიგნი წაიკითხა, მერმე ჰკევანმან კელმწიფემან საურ ეგრე უბრძანა, ვითა: ჩვენ შარიერისა ბაამანის გვერდითა ფექს ვერა გავიწვდით. ბანგიჯასპ ეგრე მოაკსენა: ვინ იცის, თუ მბრუნავი ეტლი რაგვარ მოგვეპყრობის და ანუ საწუთრო რას გვიზამს. და ანუ ამა ორთა ლაშქართაგან ლმერთი რომელსა შეიწყალებს. თქვენ ჩვენთვის დიადი კარგი გიქნია და გიყოფია. აწ შავი ღრუბელივითა, შავი ზღვა ვითა მტერი მოვიდა და ჩვენ კელმწიფისა განაწყენება არა გვინდა. თუ გვიბრძანებ, თქვენი თავე ბრძანებითა თქვენი მამულით პირსა სხვაგნით ვაქცევთ და სხვაგან წავალთ და ასრე გარდაევებით, რომე დღეთა მისთა შიგან, რომე ერანელთა ჩვენი გზა და კვალი ვერ შეიგნან. რა ჩვენ აქათ წასულნი ვიქმნებით, თქვენსა მამულსა მოწყინარი აღარავინ მოვა. მერმე რომე თქვენ ესე დაიფიცეთ, რომე აქა აღარ არიანო. მასვე წამსა რა თქვენი აქა მოსვლა შეიგნეს, კანი აღარა დაყვეს-თქო, ფიცხლავ წაიღეს-თქო.

რა კელმწიფემან საურ ბანგიჯასპისაგან ეს მოისმინა, გული სევდითა აეცსო და ერთობ დანაღვლიანდა, და დიდად შეეკვეწუნა და იმედი დაუდგა, ვითა: ნუ წაქვალთ, აქა იყევნით და მე თავსა და საქონელსა არა დავიწყალობებ და მოვიტყრებ. რაცა ჩემგან ეგების, ღვთისა შეწვევითა, მათითა სპათა და ლაშქართა სულსა ამოვართმევ.

აქა საურისაგან ბაამანის წინაშე წიგნის მიწერა

საურ კელმწიფემან მწიგნობარი აქმობინა და უბრძანა წიგნისა დაწერა. ბაამანს წინაშე დაწერა წიგნი და ესე შესთვალა, ვითა: მამაცი იგი არის, რომე თავსა მამაკობასა არა იკვეტდეს და არცა თავსა იქებდეს. და ვინცა თავსა იქებს და იკვების, მისი სიქადული და კვეცნა აღრე გაუღდების და ეგებოს. თუ შენ ერპსა კაცსა ზედა მოირტყმენ და მოკალ, ნიდაღ ღმერთი გამარჯვებასა შენ არა მოგცემ[ს]. შენ, რომე მიყავ, შვილი მომიკალ, მე იგი ჰირი არა მეყოფისა და ასრე დამწვი. მაგრამ მე ჩემითა ჰკუთითა თავი შევიანაჲ და ჩემისა საყვარელისა შვილისა სისქლი შენგან არა ვძებნე. ესე ორნი, სამნი მეყვისნი, რომე ჩემსა არიან, ასრე იცოდე, რომე ჩემნი პატრონი და ჩემნი შვილი არიან. ასრე მიპირებულნი და გარჯილნი ჩემსა მოვიდეს და მესტუმრნეს. შენ ამას მიბრძანებ, ვითა კელთა დამათვალენო. აწე ესე არა კელმწიფეთა წესია. ღმერთმან ნუცა თავი მამცეს, ნუცა კელი და ფერქი, თუ ესე ოთხნი მეყვისნი. რომე ჩემსა წინა მოსულან და ზენაართა შემამკვეწიან, ივინი შენ მოგანებე. შენ ამა საკელოვანთა დიდი ძალი და უსამართლო უყავ. შენ ესე გინდა, რომე ესენი საჭსენებლით ამოყარო. აწ მოსრულკარ, რომე რაზმი მოკაზმო. მე მაგისთანა ანბავი დიადი გამოვიცდია და გამიცილია ბევრი რაზმი. აწ ვამოვსცადოთ, ჩვენი სიმამაცე ფალავანთა უჩვენოთ. მე ღვთისა დამბადებლისაგან იმედი მაქვს, რომე უსამართლასა კელმწიფესა და ავსა, გინდა მძლავრსა, არა უშველოს, და ფარეშუნი-სა და სკევათა ფალავანთა სისქლი შენგან ვიძიო ღვთითა და არა შეგარჩინო. და საწუთროსა შიგან ესე საქმე იადგარად დაეავდო.

რა საურ კელმწიფემან ბაამან კელმწიფესა ამა გვარისა წიგნი მიუწერა და ფალავანთა საკელი აქსენა, შეკეცა წიგნი და დაბეჭდა და ბაამანის მწიგნობარსა მისცა და ფიცხლად გავზავნა. ფალავანთა ქალსა გული სისქლითა

აეცსო და გამჭიარულდეს. ორთავე კელმწიფესა საურს დიდი ქება შეასკეს და ესე მოაკსენეს: ნუმცა საწუთრო და სოფელი უშენოდ, ჩვენ დალონებულთა და ზურგ-მოტეკილთა იმედ-გარდაწყვეტილთა ზურგად გამოგვიჩნდი. აწ ჩვენთა მტერთა თავი და პირი შენთა ფერკთა ქვეშე მოვაქციოთ.

რა შვიგნობართა წიგნი ბაამან კელმწიფესა წინაშე მიიღეს და წაიკითხნა, გაიცინა და საურ კელმწიფესა ზედა ქირდი დაიწყო და ესე თქვა: ნაკეთ, თუ რა მოუწერიათ. რა მთისა მწვერულან თეთრი მანდილი თავსა მოიკვია, მზე ამოვიდა. ბნელსა ღამესა აბჯარი ტანსა ჩაიცივეს და ორგნითვე ლაშქარი შესკდეს. აეთსა მოქმედთა პირი შემცოდეთა პირსა დაემსგავსებდა. ორგნითვე ლაშქართა რაზმი დააწყვეს და თავსა მუზარდები დაირქვეს. ერანელთა ლაშქართა შიგან დიდი ძაქილი შეიქნა. ქიშმარის მინდორი ერთობილი დევითა აივსა, ასეთითა დევითა, რომე ბორკილითა და საპყრობილითა ქსნილი იყოს, ასრე რომე ამა ქალაქსა შინა ზარისაგან მიწა ძრულ იყო. მარჯვენა და მარტებენა ყველანი მოკაზმეს და ყველგან დროშები ამართეს. საწუთროსა მჭირავი ბაამან ლაშქართა შუა იდგა და ამას გეანდა, რომე ვარსკვლავთა შუა მთვარე ჩნდეს და ჭდეს.

აქა ბაამან კელმწიფისა და საურ კელმწიფისა ომი

ბაამან კელმწიფისა კატაური დროშა ამართეს, თუ სთქვა, საწუთრო დროშისაგან ელევდა, ისფრად შეღებილი იყო. აქათსა მკარსა ქიშმარისა კელმწიფე საურ, თეთრსა სპილოსა ზედან ტაქტი ედგა, და შეჯდომილ იყო ზედა. თავადნი გვერდსა იაკლნეს და დროშანი ამართნა. ერთობილი უფლისწულნი და თავადისა შვილები წინა უდგეს, ასრე რომე მთოვარე კირჩხიბსა შეეპყრას და ვარსკვლავი ჩნდეს, აგრე კელმწიფე საურ ლაშქართა შიგან ჩნდა.

მერმე კელმწიფემან ბაამან ჩიმაზს უყვილა, ვითა: ლაშქართაგან შერჩეულნი კაცნი გამოგვიგზავნენ შესაბმელად. ყველა ცხენოსანი და გულოვანი, რომე მამაცობა და კარგი საკელი აჩვენოს. ერთი ცხენოსანი გამოჩნდა საკელად შერაზ ერქვა, ფალავნისა გვარისა იყო. ლაშქართაგან გამოვიდა, ოქრო ნაკაზმითა აბჯართა სრულად შეკაზმული იყო. ცხენი და კაცი აბჯარსა შიგან დამალულიყო. კრა ცხენსა მათრაკი და მოედანს შიგან შემოვიდა. ერთი ცხენოსანი საურისა ლაშქართაგან გამოვიდა თავ-მაღალი ფალავნობითა და კარგი მოწიფული სიჩქარითა საკელ-ამაღლებული. საკელად ჩანდილ ერქვა. კმლისა და ლატისა უფალი და ფიცხელსა ცხენსა მკომი ესრე მოედანსა შიგან მოვიდა, ფიცხლად შეუტივა, ერთმანერთსა აგინეს. მერმე ჩანდილ ზუფინი შესტყორცა. მან ფალავანმან ფარი იფარა და ვერა ავნო. მერმე შერზად კმალი მოუქნიეა და კისერსა კრა და, თუ სთქვა, ჩანდილ დედასა არ ეშობა, წამსვე მუომარისა ჩანდილის ტანი მიწასა შიგან გაერია. ქიშმარის კელმწიფესა საურს გული ერთობ შეუეწიროვდა.

ჩანდილს ერთი კარგი მოწიფული შვილი ედგა, ერთობ ჰკვიანი და მიმკდომი იყო. ომისა ეამსა ერთობ გულოვანი იყო, საკელად თანგ ერქვა. რა მისი მამა მომკედარი ნაკა, იკრა ცხენსა მათრაკი და წამოვიდა, ვითა შემწველი ცეცხლი. ქარივითა მოვიდა მოედანსა შიგან და კმალი მოიწოდა. შეზარ ფარი თავსა დაიდვა, თანგის ნაკრავმან ვერ ავნო. მერმე მან ზუფინი შესტყორცა და ცხენსა მკედრსა უკრა და მასვე წამსა ცხენისაგან ჩამოაგდო. მერმე კმალი კრა და თავი მოკვეთა. მერმე ერანელთა ლაშქართა ზაკილი შექნეს. მერმე საურ კელმწიფისა

სფაღარი იყო. საკელად ათიამ ერქვა. რა ესე ნაქა ფიცკლად, მთერალმან სპი-
ლომან ვითა. შეუტრია. კელთა ინდოური კმალი ქონდა, შერზადს ზედა მუქ-
და და შეუზაქნა და ესე უთხრა: ჩვენგან ორნი ფალაევანი სახელოვანი დაქო-
ცენ. რომე ერანელთა ვიანხედაცა მზე დადგომია. მერმე შეზარდ ეგრე უთხრა:
შენის თავისა ინალვლე და შეიჭირვე, რომე მათ ორთავე გვერდით მარსა ზედა-
შენცა არა მისწვე.

რა ესე უთხრა. ფიცხლად შერზაედ ზედა მიუქდა, მოუქნივა და ვერა ავნო..
მერმე ათიამ ზუფინი კრა და ცხენისაგან ჩამოაგდო. ჩაპოქდა და დაშნითა თავი
მოკვეთა და მიწასა შიგან გარია, თუ სთქვა, შერზად დედასა არა ეშობა. მერმე
თავი აიღო და ერანელთა ლაშქართა შიგან გარდაუფგო. ინდოელთა და ლამ-
ქართა გული დია გაუმკიარულდა. მერმე ერანელთა ლაშქართაგან ერთი ფალა-
ვანი სკვა გამოვიდა, აზღაჩირ ერქვა, ტანად საროსა მსგზავსი იყო და დიდთა
საბატონოთა გუარისა, სფაღარი, და ათიამს მუქარა სთხოვა. მერმე ათიამს შეუ-
ტრია და ასრე ზედან მიუქდა, რომე სადავენი კელთაგან დასცივიდეს, კრა ზუ-
ფინი აზღაჩირს და იგიცა, ჩამოაგდო და მოკვდა. კელმწიფესა ბაამანს ერთობ
ეწეინა და დანაღვლიანდა. მერმე აზღაჩირს შვილი ედგა, გევან ერქვა. მამისა
ჯავრითა გამოიქრა და ათიამს ზედა მიუქდა. და ათამ იგიცა მოკლა. ბოლოდ,
რვა კაცი ერანელთა ლაშქართაგან მისითა კელითა მოკვდა.

საურ კელმწიფემ ათამის ნაქმართაგან გამკიარულდა. იგი დღე დაღამდა.
ათამ მობრუნდა და ლაშქართა შიგან მოვიდა. მათი გაყრელი ღამე იყო. ორთა-
ვე ლაშქართაგან ყარაულნი გამოვიდეს.

აქა ბანგიჯასპისაგან ერანელთა ყარაულთა ომი

ერთი თავადი კაცი იყო, ქათან-შერ ერქო, გელანელი. ერანელთაგან გამო-
ვიდა და ინდოელთაგან ბანგიჯასპ გამოვიდა, მფრეწელი ლომი ვითა წამოვიდა
და ერთსა წამსა ლაშქართა გარე შემოუარა. შუალამემდის იარეზოდა, მერმე
ლაშქართა ეგრე უთხრა: თავანდო და გულოვანსო მკედარნო და კარგ სახელო-
ვანსო. ესე უბრაანია, რომე გათენებამდისინ მოვიჭირვოთ და ფრთხილად ვიყე-
ნეთ. მე მივალ, ერანელთა ლაშქართა შიგან დაჯედავ და შევიგნებ, რომე ერან-
ელთა ლაშქართა ვინ ინაქავს. მერმე წამოვიდა გულოვანი ცხენოსანი და ქა-
თან-შერ ყარაული ნაქა ორი ათასითა კაცითა ყველა აბჭრითა ჩამოსდგომოდეს.
ბანგიჯასპ შემოუზაქნა ყარაულთა და მისისა კმისაგან ერანელნი ყარაულნი უქ-
კოდ და უცნობოდ გაქდეს და, ვისცა როსტომის კმა ასმოდა, ასრე ეგონათ, თუ
როსტომ გატოცხლებულა და მისი კმა არისო. და ინდოეთისა ლაშქარნი მის-
გან სიოცხლემან აყარაულნა. ეცა თვით მარტო ერანელთა ყარაულსა, დიაღი
ჰათგანი კაცი მოკლა, ხუთასი ოღენ დაქოცა მარტომან, მერმე შუბითა და კლმი-
თა მიუქდა, დიაღი კაცი სკვაც მოსწევიტა.

რა ერანელთა ლაშქართა ესე ნაქეს, ზურგი აღრიყეს და დაბრუნდეს და
ამას იტყოდეს, ვითა: უღონიოდ ესე როსტომ არის. ამისთვის მისი ნაქრავი მა-
გარი არის.

აქა ქათა-შერისა და ბანგიჯასპის ომი

ქათა-შერ რა ეს ნახა, ქარი ვითა წამოვიდა და ბანგიჯასპს ეგრე უთხრა: ოჲ,
ავძარღვო და ავეჯარო, შენ ვინ კარ, რომე ჩემთა ლაშქართა დაესკი და ბნელსა

ლამესა სრულად ლაშქარნი აგვშალენ. ბანგაქას ეგრე უთხრა: მე ვარ ზღვა ფრცხელი, მღელვარე. აჰას ღამე გიჩვენო შენი აღსაარული. ქანთან-შერ ესე ნაქა და ჰოისმინა. ფიქლად ლაქტი შემოსტყორცა. მან ფარი თავსა ზედან და-
ოდვა და ყოლე ვერა ავნო ქათან-შერს. ვარდაურა და გარდაეკეცნა. მიეწია საკელოვანი ქალი და ფიქლად კელი სარტყელსა შიგან ჩაუგდო. აზიღნა და უნაგრისაგან აიღო და მიწასა ზედან დასა. ჩამოქდა ცხენისაგან და თავი მოკ-
ვეთა და საკრტილსა ჩამოიბა და წამოვიდა.

რა ქათან-შერის ლაშქართა ესე ნაქეს. ყველამან ადგალი დაადგეს და გარდაიკეცნეს, და ბაამანს წინაშე მივიღეს. ესე, რაცა ქალისაგან მოინახეს, ყველა მოაქსენეს. ბაამან ჩაერთა თითნი კბილთა ჰოიჯანა.

იქით ბანგაქასის სპანი ლაშქარნი მკობრულნი იდგეს, და კელმწიფესა საურს წინაშე კაცი გაგზავნეს და ყარაულთა გარეკა შესთვალეს. სიჯარულთა საურ კელმწიფე ვეღარა იდგა, კელთა იტყველდა. მას ღამესა ლაშქართა ერთობ კარგი პური შეუქაზმა და ამოდ გაპოუსეენა და სიჯარულთა თავი ცასა მიაწე-
ღინა.

რა წანგის თერმან ქლემან პირი გამოაჩინა და მისგან ოქროსა ქარი გამო-
ვიდა და გაფრინდა, და იგი ცისკარი განათლდა. ქოსისა და სტიერისა კმა შეიქნა, თუ სთქვა, მიწა, ჰაერი ერთობილი შეიძრა. შუბებისა სიმრავლისაგან ჰაერი ტყესა დაემზგზავსა. მიწისა პირი ორთავე კელმწიფეთა ლაშქართაგან აივსო. კელავცა ათიამ საწუთრო-ნაქულმან და ომგარდაკლილმან მოედანსა შიგან შეპოვიდა და დაიზაქნა, ეთა: შე. გულოვანნი ძმანო, თქვენსა ვის უღელს გული, მეოპარსა ბერსა სპილოსა შეებას. რა ფ. ლავანთა ესე გაიგონეს. ერთობ დანაღვლიანდენ და გაგულისდეს. და კრდალთა კაცთა პირი უფერულოდ გაუქ-
და. რა რუამ, გოდერძის შვილმან, ეს გაიგონა და ნაქა, ჩაერთა ცხენისა თავი ჩაუშვა და ქარივითა წამოვიდა და ნიანგივითა ზედა მოუტდა. მერმე ათიამ მოუქნივა ინდოური კმალი რუამს და ეერა ავნო. მერმე რუამ მოუქნივა კმალი, კრა ათაშს და თავი მოკვეთა. შირა ცხენი გარდაიკეცნა და ინდოელთა ლაშქართა შიგან მივიდა.

რა კელმწიფემან საურ შეიგნა. ერთობ დანაღვლიანდა. რა ათაშის შვილმან თოქრამ მამისა ცხენი ნაქა. თავი მიწასა შიგან გარივა, მასევე წამსა შექდა ცხენ-
სა და ლოპივითა რუამს მოუტდა. რა რუამ ათაშის შვილი ნახა, ფარი თავსა დაიდვა. სამჯერ ერთმანერთსა შეუტრეეს და ზედა მოუტდეს და არცა რა ერთ-
სა არა ეენო. მეოთხედ რუამ რაზმ-ნაქულმან იქრა ცხენსა მათრახი და ქარივი-
თა ზედამ მიუტდა. კრა კმალი ორთავე მკართა შუა. და მასევე წამსა თოქრამ ცხენისაგან ჩამოვარდა და მოკვედა. ინდოელთა ლაშქართაგან ძახილი და ტირი-
ლი შეიქნა და ერთობილნი სპანი შეშინდეს, და გული აუთრთოლდა და სევილი-
თა აევსო, და პირისა საკე ზაფრანისა ფერად შეექნათ. ლაშქართა ეგრე უბრძა-
ნა: ჩვენ ერანელთა რაზმისა ომითა შებმა არ გემართებს. ჩემთა ლაშქართა ორი აქალმორიფული და მეომარი აღარა იპოვების. ერანელთაგან ერთი აქალმორი-
ფული მეომარი გამოვიდა და ჩემთა ლაშქართა სული ამოუღო.

აქა ბანგიჯასისა და რუამის ომი

რა ბანგიჯას კელმწიფე ისრე განაღვლიანებული ნაქა, პირი ქარვისფრად ვასლოდა. აგრე მოაქსენა: შე, კელმწიფეო, სჯულთანო და მოსამართლეო. რა
ჩქნა ეგეთი, რომე თქვენ აგრე დაღრევა გმართებდეს. მე ერანელნი ქებაულის-

ტანს ასრე დავკადენ, რომე სთველთა შიგან ძლიერმან ქარმან კეთაგან ფურ-
კელი ჩაშოყაროს, აგრე ჩამოყყარენ. თქვენ სევედა გულისაგან მოიშორვეთ და
ამა ომსა შიგან ერთი ომი მაყალე, ჩემსა და მათ შიგან დიდი საქმე მოდგომ-
ლა.

მასვე წამსა ბანგიჯასპ ცხენსა შეჯდა და წამოვიდა, ლოპი მფრეწელი ვითა-
რუაშ ზედა შოუქდა. რა ორნივე გამზიდვარნი ერთმანერთსა გარდაეკიდნეს,
მერმე საწუთროსა მძებნელმან კელმწიფემან ბაამან ჭიმაზს ეგრე უბრძანა:
ჩაკედენ და ნაკენ, თუ ეტლი რას გვეტყვის. ქალისა და რუაშის შებმას შიგან ვინ
აჯობებს. ჭიმაზ ეგრე შოქსენა: კელმწიფეო, ეტლი ამას იტყვის, ვინცა ამა ქალსა
შეებმის, მისისა შემბმელისა თავსა ფერქთა ქვეშე მოიკეცეს. რა ესე საუბარი
გაათავეს, შეიბნეს ბანგიჯასპი და რუაშ. ზოგჯერ ქალი აჯობებდა და ზოგჯერ-
რუაშ. მესამესა შებმასა ზედა გულოვანმან ბანგიჯასპიმ შემოვიდა მოედანსა
შიგან და, ლომმან ვითა დანიზკნა, კრა კმალი რუაშს და მუზარადი გაუქვე-
თა, და რუაშ[მ]ცა გაკვეთა ნახა მუზარადისა, პირი აქცია და გაექცა. ქალ შუ-
რის მძიებელი უკანა გამოუდგა.

აქა ბანგიჯასპისა და ფაშოთანისა ომი სფაადარისა

რა ფაშოთან ქალისა ნაქმარი ნაჯა, მასვე წამსა მოედანს ჩამოვიდა. ეეშაბი-
ვთა ლომ-კაცი სპილოსავით ცხენსა შეჯდომილი იყო. ოქროსა ფარი კელთა-
ქალსა. შემოსტყორცა ქალსა, ლაქტი კრა ბექთარსა და ქალსა ვერ ავნო. მერმე
ქალმან შეუტივა და მძიმე ლაქტი ამოიღო. ფაშოთან ფარსა ქვეშე დაიმაღრა და
ერთი კელი სარტყელსა შიგან ჩაიპყრა. ქალმან ფარსა ზედან უკრა ლაქტი და
ფაშოთანს ვერა ავნო და ზედან გარდაუარა. მერმე ფაშოთან გაგულისდა და
ისარი მშვილდსა შიგან ჩადვა, შემოსტყორცა ქალსა და მკლავი დაუყოდა, ასრე.
რომე ბექთარსა შიგან სისხლი ამოედინა. ოქროს ფარი კელთაგან დაეარდა,
ქალმან ყოლეცა ზედა არა შეიდევა თავსა და არცა შეშინდა. ფაშოთან, რა ქალი
სისკლითა დასერილი ნაჯა, კვლავე შეუტივა. ქალმან რა ნაჯა, რომ ერთობ შე-
მოკალისდა და ჩქარად მოუქდა, თავი არა გაიტეკა და კეუთათვე მოეგო, შეჯდა
ცხენსა და მაგრად დადგა. მერმე იყრა ცხენსა მათრახი და ზედან მიუქდა. მოი-
წოდა კმალი და ელვა-ქუტილი ვითა უელვიდა, დაყრა, ცხენსა თავი გაუგდებინა.
და ფაშოთან ცხენისაგან ჩამოყარდა, და ფიცხლად ფერქთა ზედან აეშართა.
ქალმან კელისა ტყვიელისაგან ვეღარა დაიდგნა. დაბრუნდა და ლაშქართა შიგან
წამოვიდა, და მკლავი შეაკვრეინა. საურ კელმწიფემან და ერთობილთა.
სპათა ქება შეასქეს და ესე მოაქყენეს, ვითა: უშენოდმცა ნუ ვინ ნაქავს რაზმისა
ომსა.

მერმე საკულოვანი ზარბანუქ მოედანსა შიგან საომრად წამოვიდა. ბაამან.
რა ქალი დაინაჯა, ერთობ დანადგლიანდა. გულოვანთა წაეკიდა და ესე უბრძანა,
ვითა: ესე ყოველი ომი და სისკლისა ღვრა, და ყოვლისა თემისა და ქვეყანისა.
შუდლი და ომი. მე ამის მერტი ფალავანი და გულოვანი კაცი არა მყავს, და ასეთს
დღესა შიგან ომად იგი შევიდა მარტო. თქვენ შორს დასდგომილკართ და
უქვრეტთ. ჩემნი მტერნი იგი ორნი ქალნი არიან და მათი მოჩვენა და მოკვლა
არ შეგიძლიათ. აწ, ვინცა იმა ქალთა შეებმით, ძალითა და შეძლებითა და თათ-
ბირითა შათი თავი ფერქთა ქვეშე მიწასა შიგან გარითო, ეზომი ერთი დიდება
და საქონელი მოგკეთ, რომე ამა სოფელსა და საწუთროსა არა დაელიოს და.

ერთობილთა ფალაევანთა ზედა იგი გასაკელო. მათ ლაშქართაგან პასუქი კერა-
ვინ მოაკსენა, ერანელთა ერთობილთა ენა შეეკრათ.

აქა ზარბანუქისა და სიამარად გილანელისა ომი

მერმე კელმწიფემან ლაშქართა კვლავე უბრძანა. მერმე სიამარად გამოე-
და შვიი ღრუბლეოვითა. იყრა ცხენსა მათრაქი და წამოვიდა, და შემოვიდა მოე-
დანსა შიგან და საქელოვანსა ქალსა ზედა მიუქდა, ვითა მთავარი შევარდენი, ვი-
თა წეროსა და ანუ კაკები შეიპყრას, აგრე ერთმანერთსა შეეკედნეს. თუ ღმერთ-
მან კაკაბსა კარგი ბედი და ეამი [მისცა], გულოვანსა არწივსა ჩამოიღებს. ფა-
ლავანმან სიამარად ზომისაგან მეტად მოიჭირვა და ქალმანცა დია მოიჭირვა და
იბრძოდეს. და არცა ერთი მოღალფდა. ერთმანერთსა სარტყელსა შიგან ქე-
ლი ჩაუგდეს და ორთავე უნაგრისა ტაქტასაზედან თავი დადევს. ბოლოდ, ლომ-
კაციისა შავმან ცხენმან იბორკილნა და წაიქცა. რა ქალმან ნაქა, აზიღნა და ერთი
ქათამი ვითა სიამარად უნაგრისაგან აიღო, წაიყვანა ლაშქარშიგან მისსა, დასა
შევეღრა და ასე უთხრა, ვითა: ესე ცოტა კაცი არ არის, ერთობ კარგად შეინაქე,
ესე მინდა, რომე ამაზედ ავი არა მოვიდეს და გაისარჩოს, რომე ესე ფალავანი
საქელოვანი კაცი არის. იქ გაუშვა სიამარად. მიბრუნდა და მოადანსავე ჩამოქდა,
აღრავინ გაშრინდა ბაამანის ლაშქართა შიგან მისა შემბმელი. კელმწიფე ბაამან
ჩვერითა ასრე დასევიღანდა და, თუ სქევა, გვამისაგან სული ამოუვიღოდა. სა-
ლამომდისი მოედანსა შიგან დადგა და მისი შეომაძი არავინ გამოჩნდა. საღამოს
ქოქსა კრეს და საქელოვანი ქალი კარავსა შიგან მივიდა, და ინდოელთა ლაშქართა
შიგან დიდი სიქარული შეიქნა და მის ქალის ქების მეტსა არას იტყოდეს. მას
ბნელსა და უქუნსა ღამესა ქიშმარისა კელმწიფემან საურ ერთი ნადიმი გამარ-
თა, რომე კაცთა ქსოვ[ნ]ასა არავის უნაქავს. ერთობილნი ფალავანნი და საქე-
ლოვანნი იქმნნა, სიამარად ფალავანი ქალმან დაბაზს თანა ჩაიტანა. დიადისა
ღვინისა სმისაგან ეყვა ერთობილთა აუღულდა და ყველას სიმთვრალითა ქეუა
შეეკვალა. კელმწიფესა საქელოვანმან ქალმან ეგრე მოაკსენა: კელმწიფეო,
ამან ფალავანმან, რომე აწ თქვენსა წინა მომიყვანია, ერთხელ ამან შეგვიკვეწნა,
ჩვენ სულითა ზენაარი გამოგვართვა მაშინ, რომე ქებაულისტანით რომ გალმო-
ვიკვეწენით, ბნელსა უქუნსა ღამესა ცხენსა ვარბევდით. მას ღამესა ყარაულნი
და გზის მცველნი ესე კარკისა მგონებელისა ფალავანი იყო და ამას რომე ლაშ-
ქარი იაქლა, ჩემგან რა შეეგების თუ რაზმი იყო, ჩვენ ყოლვეცა უკადრისი და ავი
სიტყვა არა გვითხრა და არცა შემოგვიმღერვა და გზა მოგვცა, რომე მას ღამესა
დავექოცენით, უღონო ჰელისა ნაცულად სული არის, გულმართლისა კაცისათ-
ვის სულსა უნდა წაგება.

მერმე კელმწიფემან საურ ფალავანი სიამარად გვერდსა დაისვა და მეტად
ამოად უსაყვარლა. მერმე იმედი დაუდგა და აგრე უბრძანა: შენ მოაქელ და ნუ-
ღარა წახვალო, და ჩემთა სპათა და ლაშქარა უტყუესობბასა შენ მოგცემ. სიამა-
რად აემბროლა, და პირი მიწასა გაავართა, და ზეღან დასდგა და მიწასა აყოცა და
კელმწიფე დალოცა და ქება შესქა, და ესე მოაკსენა: საწუთროსა კელმწიფეო,
საწუთრო ნიადამცა შენითა იქარებს. თქვენიცა სული და ქორცი ჭოჯობეთისა
სატანჯველისაგან ქსნილი არი. ჩემი მამული, საკლი და საცხოვრებელი ქიშმა-
რის ბაამანის მამულსა შიგან არის, და თუცა იგი თქვენი მტერი არის, თუ შე
აქა თქვენსა წინაშე დავდგები, ჩემი თავისა და საკლისა აუგის საქმე იქმნების.

ჩემთა მეყვისთა და გვარისა კაცთა ყველასა შეიპყრობს და ჩემსა შვილსა კოცხალსა ძელსა ზედა ჩაპოკიდებს. მისსა ნაუბარსა ყველასა ბანგიჯასპ დაე-
მოწმა.

მახეე ლამესა ტანსა შემოსა. და ცხენსა შესვა და ერთი ცხენოსანი თან
წაატანა და გაგზავნა. რომე გზასა ლაშქართა არა აწყყინონ. მერმე იქით ბაამან
ჯამაზს უბრძანა: დღეს ერთობ გაკვირვებულ ვარ. ნახე, თუ იმა ნაშობმან ვეშაპი-
საგან ქალმან რა ქნა. მეომართა შამათა ფალავანთაგან მტვერი ამოაღინა ჩემთა
ლაშქართა. სხვა ამა სამთა ცხენოსანთა უკეთესი, მათი სწორი მეომარი და ცხე-
ნოსანი აღარა იყო და ჩემთა სპათა შიგან, თუ სთქვა, ყველათა უფრო საკელო-
განნი იყვნეს. ხვალე უბრძანე ჩემთა ლაშქართა, რომე ყველა ერთკელად შეებას
იმა ლაშქარსა. თავდათავ შებმით ვერა ამოუელენ. დიდი კლდე ვითა ერთკელად
ზედა დაეცნეთ, ნუთუ ინდოელნი ლაშქარნი დაეაზიანოთ. თუ ერთკელ ინდო-
ელთა ლაშქართა თესსა ავართმევთ და ზურგსა გვადრეკენ, სხვანი წერილმანი
ლაშქარნი წინა ველარა დაგვიღებთან. ჭიმაზ ეგრე მოაკსენა: დილასა, რაგვარა-
ცა თქვენ გეპრანებთ. აგრე ვქნათ და მინდორი სისკლისა ღვართა ავაესოთ.

აქა ბაამანისა და საურის პირისპირ რომ და ინდოელთ გაქცევა ბაამისაგან

ინდოელთაგან გაგზავნილი ჯაშუში ერანელთა შიგან იყო. წამსვე ქარი ვითა
ბანგიჯასპს წინა მოვიდა და ასრე მოახსენა, ვითა: დასტურად იცოდეთ, რომე
კვალე ერანელნი ლაშქარნი ერთკელად ზედა დაგვეესქმიან. მერმე ბანგიჯასპ მის-
ნი მეყვისნი იქმნა და უთხრა: თუ ხვალე ერანელნი ლაშქარნი ერთკელად შემო-
გებნენ. ინდოელნი ლაშქარნი მათ ვერა დაუდგმენ და ვერცა შეებმან. და
ჩვენ ოთხნივე ერთსა ადგილსა ვიყვხეთ და ნუ გავიყრებით, დავხედოთ, თუ დამ-
ბადებელი რას გვიზამს. თუ ინდოელთა ლაშქართა ზურგი აღრიკონ და გატყდენ,
ჩვენგან ქალაქსა შესვლა აღარ ვარგა. თუ კელმწიფესა საურს ქალაქსა შეამწყ-
ველენ და გარე მოადგებთან, ჩვენ კელთა მიგვეცემენ. რა სნეულმან სიმართელი-
საყენ პირი ქნას, აქიმი რა თავით უჯღეს, უღონო მის საკლისა კართაკენ იქს
პირსა. ბალკი ქალაქისაყენ ვქნათ პირი. ესე ქალისა დანაპირები მისთა მოყვას-
თა მოეწონა, დაუმაღლეს და დააპირნეს.

აქა დიდი რომი ერანელთა და ინდოელთა და გაქცევა საურისა და ციხეში შესვლა

რა გათენდა, ორგნითვე ზღვანი ვითა ლაშქარნი გამოვიდეს, ქოსისა და ხა-
ლარისა და სტვირისა კმა შეიქნა, თუ ჰაერთა შიგან გრგვინვა იყო. და მიწისა
პირი იძროდა და ჰაერი მიწისა ფრად გასულიყო. შუბისა სიმრავლითა მინდორი
ტყესა ღაემსგზავსა. ერთსა კაცსა გული სისკლით აევსო ჭავრისაგან და მეორესა
თვალსა ამაზედა ქონდა, სითკენ გარდავიკვეწო. ფალავანმან ქალმან საურს ეგრე
მოაკსენა, ვითა: ჭე, საკელოვანო და ნათლად მავალო კელმწიფეო, მაგა პილო-
საგან ჩამოკე და ერთსა ძლიერსა და მალედ მორბედსა ცხენსა შეეკედ. დღეს დია
საკვირველი ომი იქნება. დაგვედნეთ, თუ ეტლი და ბედი რას მოგვივლენს. კელ-
მწიფე მასვე წამსა ჩამოკდა და ერთსა საკელოვანსა, ქარსავით მორბედსა ცხენსა
შეეკდა. კელმწიფე და ბანგიჯასპ და სამნი მეყვისნი ლაშქართა შიგან მივიდეს.

რომისა უამსა მეომართა პილოთა დაემსგზავნეს, და მძიმე ლაქტები მკარსა შეიღვეს და თვალები ერანელთა ზედა ქონდა, მომშეულთა და მონადირეთა ლომთა ვითა¹.

აქეთ ერანელთა კელმწიფემან დაიწყო რაზმი. მარჯვენა და მარცხენა აღმასის ფერთა კლმითა ელვისაგან კაცთა თვალთა ნათელი დაეფაროდა, ფალავანთა ზაკილთა, ახტთა კვივილითა, თუ სთქვა, ჰაერი გრგვინვიდა. ფერსა მტვერისაგან ჰაერი და ცა ერთობილი გაშავდა. ერთმანერთსა ლაქტსა და ზუფინსა ესროდიან, ელვა-ქუტილისა მსგზავსად ქუქდა. სისკლისაგან მიწისა პირი მარჯნისა ფერად შეიღება და ოპი ერთობ გაქშირდა. კელმწიფემან ბაამან შუბი ითხოვა, აღმასის ფერი შუბი აიღო. ერთობილ ლაშქართა იცნეს, რომე კელმწიფე არის, აღმასის ფერთა შუბითა და ხანჭლოთა. ერთობილთა პირი მისკენ ქნეს და თვალნი მის ზედა ქონდათ. ანასდეულად მისსა შავსა ცხენსა მათრაკი იკრა. ერთობილთა ლაშქართა იზრიალეს, შეუტრევეს და ზარი დასცეს, წვიმა ვითა ისარი დაესქა. კლმითა და ლაქტითა ცემისაგან ლაშქართა შიგან შეკვივთა ცეცქლი ცვიოდა, დაქოცილი, სისკლითა შეღებულნი, თუ სთქვა, ყვითელსა ქარვასა ზედან სინგური არის გარდასკმული, მინდორი და დელენი დაქოცილთა მკედრითა აივსნეს და სისკლითა საომარნი მინდორნი შეიღებნეს.

კელმწიფემან ბაამან ლაშქართა კაცი გაუგზავნა და ეგრე შესთვალნა: ერანელნო, საკელოვანნო ფალავანნო, ამას გენუკვი, რომე ინდოელთა ერთობრად ეცნეთ და ლომურად ექნეთ. მერმე ინდოელნი მესპილოენი დაიძრნეს. ერთმანერთსა შიგან შეიქნა ჭაქა-ჭუტი და ჭაქა-ჭუტი პალოთა ფერისაგან მიწისა პირი კენესოდა. დაქოცილთაგან ქვეყანა აივსო და ქიშმარისა მინდორი მთა ვითა აივო მას რაზმსა შიგან. გულოვანმან რუამ დაინაქა, შეუტრევა და მბრდღვი-ნავი ლომივითა შევიდა. ინდოთა კელმწიფისა დროშა დაინაქა, ცხენსა მათრაკი იკრა, მიუქდა, კმალი შემოკრა და დროშა ორად გაკეთა. მერმე საურს მიმართა. კელმწიფემან რა დროშა გაკვეთილი ნაქა, დაიკედნა და თავსა წინა თვისსა აღმასფერი. სისკლისა მღვრელი მკვეთი კმალი ნაქა. პირი აქცია და გარდაიკვეწა. იკრა ჭელმწიფემან საურ მათრაკი და დეზი, და მფრინველი ვითა ცხენი ვააფრინა და გაიქცა. და აგრევე მისთა სპათა რა კელმწიფე გაქცეული ნაქეს. აგრევე მისნი სპანი წამოუდგეს. ასრე დაიფანტეს, ყველა ყოველგნით დაიბნოეს.

ფალავანმან ბანგიჯასპ მწველ მოიჭირვა, რომ მისნი სპანი არ დაფანტოდეს, არ გაიქცენო. მაგრამ ერთობილთა ლაშქართა გული გარდასაკვეწლად გამართეს, თუ სთქვა, ორთავე ლაშქართა შიგან აღსასრული შეიქნა. რაზმგამოდელი ზავარის შეილი თუქარ ერთსა ადგილსა კარგად დადგეს. მერმე დიდის რაზმისა და ჭარისაგან ამა ოთხთა გარდმოკვეწილთა ფალავანთაგან ორნი დაინარჩუნეს. მარზუბანს ცხენი ბარკალსა შიგან გამოუკლეს, ჩამოაგდეს, შეიპყრეს, და თუქარცა შეიპყრეს და ფიცხლავ ბაამან კელმწიფის წინა მიასკეს. კელმწიფემან მისი გამზრდელი როსტომის ნაკლი ფარსი იქმო. ეს ორნი ზაალის წინ მიასკნეს. რა იგი ორნივე დასტან ნახა, კელნი კბილითა მოიჭამნა და მას მოსთქმიდა: ვაი, ჩემო და წაქცეული და უკულმა წარსრულო საკელო, ერთკელ პირი მომიქციო და ჩემნი სულნი ამოიკვენ და ჩემნი სისხლი დაღვარენ. და ამას იქით არ ვიცი, თუ შენგან რა უარესი წამეკიდების. ნუთუ ღმერთმა მამკლას და შემიწყალოს. რომე ამა საწუთროსაგან მოვრჩე.

¹ თავითა.

აქა ბაამან ჯელმწიფთისაგან ინდოთ ჯელმწიფთის საურის გაქცევა და ქიშმარ ქალაქად შესვლა და ბაამანისაგან გარს მოდგომა მაზუბარდ და თუქარის ჯელთ დარჩენა და ბანგიჯასპისა და ზარბანუქის ბალხ ქალაქს შესვლა და გარდაწვეწა.

რა იგი რაზმი გაიყარა, ორნი ქალი ბალკი ქალაქსა შევიდეს. საურ ჯელმწიფე გარდაქვეწილი ქიშმარ ქალაქად შევიდა და ლაშქარნი, ვინცა შერჩომოდეს. შორეულნი და ახლოულნი, ყველა შეეყარა. ქიშმარისა ქალაქისაებრი ცასა ქვეშე არა ნაკულა: დიდსა ვაქესა მინდორსა შიგან დიდი მთა არის ამართული, სიმაღლესა, თუ სთქვა, ცათა მისწუთებისო, არის ქალაქი თორმეტი ფარსანგი და მისსა სიმაღლესა არწივი ვერ გაფრინდების. შისისა შუქი სიმაღლესა არა ნათობს. თორმეტი კარი აბია და ესე მასშია, ვითა: ათი ათასი სპილო შევა და ვერა მტერსა ვერ აულია იგი ქალაქი.

ერთხელ ქაიკოსრო ჯელმწიფთის ეამსა შიგან დიდმან საკელოვანმან ფალავანმან როსტომ დიდითა ლაშქრითა ფალავანი ფარემუზ გაგზავნა, და დიდითა მოკირვებითა მაშინ ძლივ მან აილო და დაიჭირა. ამა ომსა უკანით ბაამან ჯელმწიფე მივიდა და გარე შემოულარა ქალაქსა ყოველგნით და შესვლის ღონე ვერსით პოვა. ამას ზედან ლაშქარნი ერთობ დანადგვანდეს და ჯელმწიფე ერთობ შეწყენით შეიქნა. ქალაქისა მარჯვენითა და მარცხენითა და ყველგნით მოიარეს, და ვერცა სით გზა იპოვეს და არცა მოდგომისა ღონე იყო, ვითა ყაფარსა კლდესა, ეგრე შეებმოდეს და შევიდოდეს, ვინმე შეუალი იყო.

აქა ნასიასაგან საურ ინდოთ მეფისა და მის ბატონისა დალატი და ბაამანის ჯელთა მიცემა

საურ ჯელმწიფე დია უშიშრად ქალაქსა შიგან გამოისვენებდა და დღე დაღამე იყო. ერთი გამოცდილი, საწუთრონახული კეკიანი და თათბირიანი ვაზირი იყო, საკელად ნასია ერქვა. იგი გვარისა გვარეულად ვაზირი იყო და თავისსა მაჰულზედა ჯდა, და ჯელმწიფთისა ყველა ჯელთა მისთა იყო და მას ეკითვოდა. მან ბაამან ჯელმწიფესა წიგნი მიუწერა, ვითა: თუ ბაამან ჯელმწიფე მე დიდებასა მომიმატებ, და პორფირი გვირგვინსა და ტახტსა მომცემ და ამის ფიცსა და პირსა, რომე შენთა თავადთა და ვაზირთა შიგან ჩემს უკეთ არავინ დაიჭიროთ და შენთა თავადთა უკუცესობასა მამცემ, მე საურს ჯელმწიფესა შენსა წინაშე გამოვგზავნი და თქვენსა საქმესა ყველასა თქვენად საპირიანოდ ვიქ და, თუ თქვენ ამისსა პირსა და ფიცსა არა გამიტკეთ და გამითავებთ, ასრე იცოდეთ, რომე შენთა დღეთა შიგან ქირთა და სასჯელთა დალიოთ, ამა ქალაქსა ძალით ვერ აიღებთ.

ნასია ვეზირმან იგი წიგნი წააქვია, და ისარსა ზედან დააკრა და გასტყორცნა და ბაამანის ლაშქართა შიგან ჩაადრო. აიღეს და ბაამან ჯელმწიფესა წინა მოილეს, ბაამან ვაზირსა ჭიმაზს წააკითხა. ქალვათად ჯელმწიფემან ჭიმაზს ეგრე უბრძანა: ამა წამს ამისი პასუჯი მიუწერე, ვითა: სჯულის თავადო და წინამძღვარო, ღმერთმან ყოველი ავი შენსა სულსა მოაშორვოს. ესე, რაცა მოგწერა, ამისსა ყოველსა ფიცითა გამთავებელი ვარ. დააწერინა ფიცისა წიგნი და აგრევე ისარსა გამოაბა და ნასიას შესტორცეს. და ქალაქსა შიგან ნასიამ აილო და.

წიკითხა. რაცა ამას ამისი იმედი უნდოდა, ყველა ეწერა, მოეწონა და გაეკარ-
ნეს. მას ღამესა იგი წიგნი შეანაჯა.

მას ღილასა კელმწიფისა საურ[ი]ს კაცი მოუვიდა, დარბაზს იქმეს. ადგა
ფიცკლად და საურს წინაშე მივიდა. დასკდეს კელმწიფე და ნასია. ვაზრობა
გამართეს. მერმე ჰამაშიგან დასკდენ, მტად კარგი ნაღიმი გამართეს. შუადღემ-
დის სმად ისკდეს. ნასია საურს ეგრე მოაქსენა: ნაჟე, ზვალე ბაამანის ლაშქარი
არცა ერთი იყოს. საურ კელმწიფემან რა ესე გაიგონა, გული სიქარულოთა აევ-
სო და ნასიას უბრძანა: ღვინო შესვი ჩემსა გვერდსა. მან აავსებინა ოქროს თასი,
ადგა და კელმწიფესა წინა შესვა. იგივე თასი აავსებინა, კელმწიფესა წინა და-
უდგა მთვრალსა. მერმე ამოიღო მოსაწამლაი წამალი და თასსა შიგან ჩაყარა.
ორივე კელთა ჰონდა. ეგრე მოაქსენა: ჩემო კელმწიფეო, შესვი თქვენის კელისა
მილითა, მუქლსა ზედან მოჭდა, საურს მიუშვირა. და მან გამოულო, სიმთვრე-
ლითა ვერა შეუტყო. რა მან გამოულო, ასრე შესვა, რომე არცა ერთი ცუარი
გაუშვა. ჰკუთთა გარდაქდა და აღარა შეესმოდა. ნასიამ სუფრა აღებინა და დარ-
ბაზი ქალგათად დარჩა. მოიღო ფარდაგი და საურ კელმწიფე შიგან გააქვი,
ვისსა ყმასა ზურგსა აკიდა. მან უსირკვეილომან და ავის მოქმედმან არცა ღვთი-
სა შიში მოიგონა, არცა ეისგან შერკვენდა. შეკარესა დავედრა, ვითა: შინა ნუ
ვის შემოლუშვებ. გამოვიდა, კარნი გააკმევინა და მისი კელმწიფე და პატრონი
ბაამანს წინაშე გაგზავნა.

რა კელმწიფემან ბაამან საურ კელმწიფე ფიქესა შიგან წაქვეული ნაჟა და
ეგრე გასრული ნაჟა, კბილთა და ბაგეთა იკბინა და ჰამას ეგრე მოაქსენა: *შე*,
თავმალალო შარიარო, ნაჟეთ, თუ იმან აემან ძაღლმან თავის კელმწიფესა და
პატრონსა რა უყო. ვინცა თავის პატრონსა ასრე შეაქცევს, შესაფერი არ იყოს
და არა ღირსა იგი კარგსა ყოველსა, მაგრამე ავის მოქმედისა ფერკნი სანიადა-
გოდ ბორკილსა შიგან იქნებინა.

აქა ბაამან ხელმწიფისაგან საურ მეფისთვის
ნოშოდორის შესმა
და წამლის განქარეუბა და ქიშმარ ქალაქსა შესვლა
ბაამანისაგან

ბაამან მასვე წამსა ნოშოდორ¹ წამალი მოაღებინა, ორთავე ყურთა ჩაასკმე-
ვინა. რას წამს იგი წამალი ჩაუშვეს, ნოშორ მძივის ნალესი, საურ კელმწიფე
მაშინვე ჰკუაზედ მოვიდა და მოიღვინა. რაცა ავი წამალი თავსა შესვლოდა, ნო-
შორ მძივმან ყველა გააქარვა და საურ არ იცოდა სად იყო, ანუ თუ რა გარდა-
სავალი წაკიდებია თავსა. ამას გვანდა, თუ მკვდარი გაყოცხლებულა. რა ჰკუა-
თა მოვიდა, მოიკედნა მარცხნით და მარჯვნით და რა თავისა ადგილი ვერ იცნა,
სავგონებელსა ჩავარდა, და იგი ღვინისა შესმა მოიგონა და ასრე თქვა: ესე ყველა
ნასიასაგან მჭირსო და შეიგნა, რომე კარავთა შიგან იწუა. და მას ღამესა თეზი-
ვითა ფანცქალებდა.

რა ჩინისფერმან ზღვამან ქანგისფერი კაბა ჩაიცვა, ერანელნი შესკდეს და
ქიშმარ ქალაქისაკენ წავიდეს, და გაემართნეს და წაივდეს. კელმწიფემან ბაამან
ნასიას კაცი გაუგზავნა და ეგრე შესთვალა: *შე*, ტურთუაო, სანაჯაო და როჟიკი-
ნო მამაცო, ასეთი საქმე სხვასა არავის უქნია, რომე შენა ქენი, ჩემსა მტერსა

¹ ნოშოდორ.

ნტვერი ამოადინე. ანუ ქალაქსა შემოვალ, როგორცა გმართებდეს, ისრე მომე-
კებე წინა. ნასია მას მოციქულსა დიადი მისცა. მერმე, რაცა კელმწიფესა წინა
მისაგებლად უნდოდა, ყველაი წინა მიაგება, დაამზადა. დია მკიარული წინა მიე-
გება და. რა კელმწიფესა სიაკლოვესა მოვიდა, ჩამოქდა და პირი მიწასა დასდვა.
აემართა და კელმწიფე დალოცა. და კელმწიფემან დია ტბილად მოიკითხა და
აგრე უბრძანა: არავის უქნია, რაცა შენ ჩემზედ ქენ; აწ მეცა კარგად შემოგზადე.
რაცა შენსა სამსაქურსა მართებს, შენსა საქმესა ისრე შეეკაზმავ. ამა გრძნულ-
მან ნასიამ ვეზირმან ბაამან კელმწიფე ქალაქად შეიყვანა და საურ კელმწიფისა
ღარბაზოვანად ჩამოსვა. ესეთსა რომე სამოთხესა გვანდა. იატაკი, ყორენი, ყდა
და ქერნი ყველანი ოქროთა და ლაქვარდითა დაქატული და ნაქრელუბი იყო.
ღალ-ფეროზი და ზურმუქტი ზედა მოსკმული იყო, სტავრითა და ოქსინითა
მოფარდული და ერთი მქარისა ოქროს ტატი იდგა მას ღარბაზსა შიგან, მოთ-
ვალ-მარგალიტული. საწუთროსა მკირაი კელმწიფე მას ტახტსა ზედა ჯდა.
ავრჯული ნასია წინა მიუქდა და ეგრე მოაქსენა: მუნ ეტიკი მოვამაჯთო ქალაქსა
შიგან. გაგზანეს კაცი და ეგრე აყვირეს: ყოველმან იცოდეთ, ქალაქი ბაამან
კელმწიფისა არის და უსამართლობა ნუ ვისგანცა რა იკადრების, და ვისგანცა
რა გამოჩნდების, მისი თავი მიწათა შიგან გაერევის. ამა კმისაგან ერთობილნი
მოქალაქენი, დიდი და წერილი ყველა ღარბაზის კარსა მოდგა, ჯმა მალღად კელ-
მწიფე დალოცეს და ტახტონობა შეასკეს და თავადთა ოქრო და მარგალიტი
გარდაყარეს. მერმე, ნასია საურ კელმწიფისა საღაროსა კლიტენი შარიარსა ბა-
ამანს წინა მორათო და მძიმენი საქურჯლენი, და აგრე მოაქსენა: ყოვლისა ქვე-
ყანისა შარიარო, ამას გენუკვი, რომე თქვენი ბედნიერი ფეკი თქვენსა საწუთ-
როსა ჩემსა საქლშიგან შემოსდგათ, და თავი დაიმდაბლეთ და იმით პატივი
დამკვათ. კელმწიფემან უბრძანა: დია წინაშე ვართ, დილასა შენსა ვარ, ვინცა
შენ გეპრიანების, მათ გვერდს ნადიმსა დავიდეთ. ნასია მიწასა აკოცა და პირი
მიწასა დასდვა და სიმკიარულითა გული აევსო.

მერმე კელმწიფემან ჯიმაზს უბრძანა, ვითა¹: რა უყო ამა ავისა მგონებელსა
კაცსა, ასრე უმღოთსა და ავრჯულსა, ჯამასკ აგრე მოაქსენა: როგორცა თქვენსა
კელმწიფობასა შეეფერებოდეს, იგი უყავით. მერმე კელმწიფემან ბაამან საურ-
კელმწიფე მას თანა მოაყვანინა. მას ღამესა გვერდსა დაისვა და პატივითა დია
უსაყვარლა და ფიცითა ასრე მოაქსენა: შენ მამისა ჩემისა სწორად, საბატიოდ
შეგინაჯვე, შენისავე დიდებისა ტახტისა და გვირგვინისა პატრონად გამყოფებ.
საგონებელი და შექირვება გაიმორვე. ეინცა შენზედა ავი ქნა, მე მისსა თავსა
მოვაშორებ.

რა კელმწიფემან საურ ესე გაიგონა, გული სიმკიარულითა აევსო და სიკე-
დილისაგან სიოცხლისა იმედი დაედვა, აემართა და კელმწიფესა ბაამანს
წინაშე მიწასა აკოცა და აგრე მოაქსენა: ჭე, კელმწიფეო, ბედნიერო და კარგისა
მგონებელო, მე მკედარსა სული ჩამედგა და გამაცოცხლე, და შექირვებასა
დამკსენ. ფეროზისა ტახტიმცა არის შენი საჯდომი. თქვენისა მტერისა თავი
მიწათამცა ქვეშე არის. დაეჯდები, თქვენი მლოცველი და თქვენის ბრძანებისა
..... ან ჩემი მამული და ქალაქი შენდა არის და კარგად მოკაზმული და, რაცა
თქვენ გეპრიანებოდეს, ჩემთა ღამქართა და საბრძანებელსა უბრძანებდეთ და
აქნევირებდეთ. და თუ ვინ თქვენი მძებნელი და ანუ თქვენი მტერი აქა მოვი-

¹ თვითა.

დეს, ყველასა პასუხსა გავსცემ და კიდევ შევებში. რა კელმწიფისაგან ასრე ტკბილად მოკითხვა და დიდი იმედი ესმათ, ქალთა თაჲი უნაგრის ტაქტსა ზედან დადევს და დიდი მადლი მოაქსენა. მერმე კელმწიფისა დარბაზსა შიგან მოვიდეს და სმასა და გამოსვენებასა შეექცნეს.

აქათ საწუთროსა კელმწიფემან ბაამან ჩიმაზს უბრძანა: მუ, საქელოვანო, მთავართა და კელმწიფეთაგან დაფარულთა საგანძურთა კარი გააღებინე და სპანი ერთობილნი თქროთა და თეთრითა გააძღენ, ას სამოცსა სპილოსა ყველა აბჯარი აკიდებინე. მოკაზმული სპილოები ლალისა მთა ვითა, კელმწიფენი და ლაშქარნი ერთობილნი მიწოდრად გადგეს, ბარგითა და კარვებითა, ქოსითა და ნადართა. მერმე ლაშქართა ათელასა დაენუქვა. ათვალეს და სამასი ათასი კაცი შემბმელი და მეომარი იყო. გაემართნეს, ბალახი[ს]ა ხელმწიფისა სათემოსაკენ წავიდეს. მთა და მიწდორი ერთობილი ბაამანის ლაშქართა ფერხთაგან თრთოდა. საურ კელმწიფე ბაამან კელმწიფესა ორსა ფარსანგსა თანა წაყვა. ერთობ სიხარულითა და გამოსვენებითა იარებოდეს. მერმე კელმწიფემან ბაამან დაბრუნდა, დაპატოჲა და ესეცა მოაქსენა: შენთა ლაშქართაგან რაზომიცა იქნებოდეს, მერჩეული მეომარი გამოარჩიე და ამა გზასა ჩემთა ლაშქართა წინა წაუძღვანე, ამა ერისა ანბავი თქვენთა კაცთა უკეთ იციან და შენ უკანით გზა შეგვინაქე, მთვრალნი და ფიცხელნი ერთობ ფიცხლად და მღვიძრად იყვენით. შეგონებდა ესე გეუოფის, რაცა ნაჲისაგან მოინახე.

მერმე კელმწიფემან საურ მისთა ლაშქართაგან ათასი შემბმელი და საქელოვანი მეომარი კაცი გამოარჩიე, კელმწიფისა ბაამანის ლაშქართა გზის მასწავლეთა წინა წაუძღვანა. და თვით კელმწიფე საურ გამოეჲალმა ბაამანს და წამოვიდა. რა კელმწიფე ბაამან ბათელ კელმწიფისა სათემოსა სიაცლოვესა მივიდა, საწუთრო ერთობილ ზაცილითა და ქმითა აივსო. რა თე ანბავი ბათელ კელმწიფესა მოესმა, და მისსა მამულსა ქვეყანასა შიგან ლაშქრითა შევიდა, მის მამულისა კაცები ყველაი ბათელს წინაშე საჩივრად მოვიდოდეს, ვითა: ჩვენი მამული, ყველასა ცეცხლი მოუდევს და ცეცხლსა შიგან სიცოცხლე აღარავისგან იქნების. ლამით ბაამანის შიშითა ვერ დავიძინებთ და ვერცა დავიმალეთ.

რა ბათიელს ესე ანბავი ესმა, ერთობ დანადგლიანდა. მისისა პირისა ფერი ერთობ უფერულად შეიქნა, მისთა ლაშქართაგან თავად-თავადნი კაცნი აკმოზინნა და ესრე უბრძანა: დია ძნელი საქმე მოდგომილა ჩვენზედა, ასრე რომე კაცსა ასო სტკიოდეს და წყლულად ედგას, და მას წყლულსა ზედა სხვა წყლული დაერთოს. აგრე ჩვენ დაგვემართა. ორნი ქალნი დია საბატონი და დიდისა თესლისა და გვარისანი და ჩვენ მოგვემართეს, და შემოგვეხიზნეს და ზურგად აგვიდეს. და მათ უკანა დიდი და ძლიერი ზღვა ვითა მტერნი მოვიდეს. სპანი დია ძველმტერნი და მათი ტვინი ჩ[ა]ვრითა სავსე არის. აწ თქვენ გამოარჩიეთ და მითხარით, თუ რაგვარ გვიკობს, შევებნეთ თუ რაგვარ ვქნათ? ვაზირნი ფიცხლავ ზე აღდგნეს და ესე მოაქსენეს, ვითა: ჩვენ ფალავანთა ქალთა გულისათვის თავსა და სულსა რად გავსწირავთ და ვენაცვლებთ. ფალავანი ფარემუზ ჩვენთვის დია კარგი იყო, და დედისა და მამისაგან მისი გული უფრო გვევალების.

ბათიელ კელმწიფესა ერთი ფალავანი ედგა. ფარემუზ და ზაალ ენაქნეს. ერანელი იყო და საქელად არივარ ერქვა. ერთობილი მისი საბრძანებელი ამა ფალავანისა ფარმანს ქვეშ იყვნეს. მას ფალავანსა სამნი უმრწემესნი ძმანი ედგ-

ნეს, ასეთნი რომე მათნი სწორნი შამაცნი და ფალავანნი არა ეგებოდა. ერთსა სახელად მუტაფარ ერქვა, მეორესა ნავშალურ და მესამესა აზაარ ქაშასა.

ფარემუზ მისსა სიცოცხლესა შიგან ბეთალ ქალაქი დაიჭირა და კიდევ ემისცა. მას ღამესა კელმწიფემან მისთა ოთხთა ვაზირთა კითხა: ჩემსა საქმესა დამიკედენით, რა ღონე მოვინახოთ, რომე ბაამან მისითა ლაშქრითა ფიცხელი ქარი ვითა მოგვიტდა. მოურავთა ესე მოაქსენეს: ამა ამბისაგან თქვენ რა მიგ-ქირდა, ანუ რად დანაღვლდი. ამა საწუთროსა შიგან ვინ არ შებმულა და ომი ვის არ გამოუცდია, მტერთა კელისაგან ორნი საჭელოვანნი ფალავანნი ქალნი დიდისა და საბატოსა გვარისანი მოვიდეს და შენ მოგმართეს და ზურგად შენ ავიდეს. ოღონ მათი მტერისაგან შენახვა გმართებს, სპანი გუვანან და დიდი საქონელი გიცს შენ და მრავალი ცოცხალი და მთვრალი სპილო გყავს. ესე უპროინა, რომე ჩვენ სიკვდილად მივეცნეთ, ამაღ რომე შენთა შემოკვეწილთა ქალთა მტერთა ქელთა შიგან მიცემასა.

რა ვაზირთაგან კელმწიფემან ბათილ ესე საუბარი გაიგონა, ერთობ გაფიცხდა და გაგულოვანდა. უბრძანა: ლაშქარნი ათვალეთ. ათვალეს და სამასი ათასი კაცი მფრეწელი ღონი ვითა შემბმელი იყო. ძველისა სალაროებისა კარები გაღებინა და ლაშქარი ოქროთა და თვალითა პირამდისინ აავსებინა. ასსამოცსა სპილოსა ჯაჭვი და აბჯარი ააკიდებინა. გავიდა ქალაქით პილოებითა, ქოსითა, ნადართა და სტვირითა. მას დღესა იარა და ერთსა სამოთხისა მსგავსსა მიწდორსა ჩამოვიდა. ცივი წყარო და ფერად-ფერადითა ყვავილითა სავსე იყო. ყარაულნი ვაგზავნან და ტალა ამართეს. და თვით კელმწიფე ბათიელ სმასა და გამოსვენებასა შიგან იჯდა.

რა იგი კვირა გამოქდა, ბაამან კელმწიფე იქი მივიდა, გაქედნა და ურიცხვნი ლაშქარნი დაინაქნა და დაიდი, ფერად-ფერადი წითელი, ისფერი, ლურჯი და მწვანე კარები ყველა მთა ვითა მოკაზმული პილოები და ლაშქარი ბოლუქ-ბოლუქად, რომე ლაშქართა კმა კუთისა ფარსანგისა სიშორესა ისმოდა. საწუთროსა გამომცდელსა და მნაქაქსა კელმწიფესა ბაამანს თვალთა ნამი, ვითა ტენი, შოეკიდა და გაევირდა მათსა ლაშქართა და პილოთა და კარების მოკაზმულობასა ზედა. და ესე ბრძანა, ვითა: ჩემნო სპანო, არა გიკვირს ინდოელთა ასრე მოკაზმულობა? ჭიმაზს ეგრე უბრძანა: ნაქე ისი ლაშქარი, არა კელმწიფე ამა მოკაზმულობითა არა მინაქავს. ინდოელთა მამაცთა ჯაჭვი და აბჯარი კარგი იქნების. მერმე ჭიმაზ კელმწიფესა ეგრე მოაქსენა: მე მოგაკსენებ, თუ ამათი ვინ იქნევს. ასრე იცოდო, რომე ამა აბჯარსა და მოკაზმულობასა კელად, ერთი კაცი ერანელთაგან აღრევე წასული, კარგი და საველოვანი მამაცი, ყველა აქაზმულობა მას უქნევია. რაზმის ომსა შიგან მბრუნავი ვეშაბივითა არის. ისი კაცი, რომე მოგაკსენე, პირველ ფარემუზისა იყო. ბათიელ კელმწიფემან ნაქა მის კაცისა ქერკიანობა და ფალავნობა, და ფარემუზს მისსა თავსა დაენუქეა და სთხოვა და ფარემუზ არა დაუწყალობა და ფიცხლა მისცა. აწ ბათიელის სპანი და ფალავანნი, და მისი ყოველივე იგი არის და ლაშქარი ყველა მას მოუქაზმავს. სამნი ძმაცა უდგან მისნი სწორნი და დია კარგნი. და ფარემუზის სისქლისა ასახლევად მოკაზმულან. ადგა კელმწიფე და კარავსა შიგან შევიდა. ერთი მწიგნობარი უქმო და უბრძანა: დაჯეო და ბათიელ კელმწიფესა ერთი წიგნი მიუწერეთ.

დაქდა მწიგნობარი და უბრძანა ერთობ მკვაქისა და საწყრომელისა წიგნისა

მიწერა ბათილ კელმწიფესა წინაშე ბაამანისაგან კელმწიფესა გამზიდვართა თა-
ვადისაგან: ასპანდიერისა შვილი ბაამან მოგაკსენებ. პაპათა და მამათა და გე-
რეულად შარიარი კარ, და მეცა თვით შარიარი, უფროსი ყოველთა კელმწიფე-
თა და საწუთროსა მჭირავთა და ერთობილთა რაზმნაქულთა ფალავანთა თაე-
დი და უფროსი, და ლეთისა მოსავი ვარ და მისი შონა. და მისი ბრძანებისა გზი-
სა მასწავლელი ლაშქართა, გოსტასაბისაგან ტანტი და გვირგვინი ჩემზედა იად-
გარი და ანდერძი. ქიშმართა ქალაქით მე მისთვის წამოველ, რომე ჩემნი მტერ-
ნი ქვეყანისა და მიწისა პირსაგან ამომიყვანიან და შენ ჩემთა მტერთა დამიმა-
ლავ. თუ გინდა, რომე შენ ზედა ქირი და პატრეი არა მოვიდეს, და შენი კელმწი-
ფობა და პატრონობა შენ დაგჩეხს, და შენი განძი და სალარო შენვე შეგჩეხს,
და შენი მამული არ ამოწყდეს, და შენსა პირსა სირცხვილი და წამოყიენება
არა მოვიდეს, ვგ ორნი შემომარნი ქალნი მე გამომიგზავნენ. მათისა გვარისა და
თესლოსაგან ნუმცა ქალი ღარჩების და ნუმცა ვაჟი. დიდისა ავისა საუბრისაგან
ნუ დაუჭერებ შენისა ქუელსა ეამსა, და ცუდსა საუბარსა ნუ მიაყოლებ, და დი-
დისა და მღელვარისა ზღვისა ომსა ნუ ეცდები. საურ კელმწიფე თვითონ ლაშ-
ქრითა, საქონლითა ჭოგითა და მამულითა შენსა არა უარეა. არცა ქიშმარი ქა-
ლაქი ბილა ქალაქსა უარეა. ნაკე, თუ მას რა დაემართა და მისსა მამულსა რა
წაეციდა, და ანუ მისმან ყმამან და ვაზირმან ნასია იმა საურის რა უყო. ჩემი
ბედი ასეთია, რომე მისითა ყველათა ლაშქრითა და საქონლითა იგიცა ჩემსა წინა
მოიყვანას. და მე მისი ქალაქი, ტაქტი და გვირგვინი, და საქონელი. და კელმწი-
ფობა მივეც და მისნი ლაშქარნიცა დავანებენ. აწე შენ, თუ გეპრიანების, შენისა
გულისა საწადელსა ყველასა გაიგთავებ, ინდოეთისა კელმწიფობასა და ბატო-
ნობასთა შენ მოგცემ. შენ რომე მამული და თემი გაქვს, ორსა ეზომსა მოგცემ,
ტაქტსა და გვირგვინსა მოგცემ და ამა შენსა მამულსა შიგან ყოლუცა არა დაე-
დგები. კარგაკობა იქმარო, პაერთა და ცასა ქვეშე მოვიქცევ და, თუ შენსა
ქუელსა სიზმარსა გაყოლებ, ტალახითა შვისა შუქთა ამოვადლებ, და ავისა კაცი-
სა ნათქვამსა დაიჭრებ, და ცუდსა საუბარსა ყველასა გაიგონებ, ღმერთმან
იცი, თუ შენზედა ეამსა ვიშობებ და ღმერთი გამარჯვებას მომცემს, შენსა სი-
ხლსა წამსავე ქვეყანასა ზედან მოვადენ. და შენთა თავადთა უთაოდ გავქლი-
ასე იცოდე, რომე თავსა ზედა ვარდაგაყრი და შენსა დარბაზსა და საქლომსა
ცეცხლსა მოუღებ, რომე, რაცა მანდა ჩემი წინა აღმდგომნი და მტერი არის,
ყველამან კელი მოიტეკოს და დამმორჩილდეს. ესე ყველაი მომიტისენებია, სკვა-
სა საუბარსა ვერა ვაგრძელებ. ორი საქმე არის ჩვენსა შუა, ანუ ჩემნ მტერნი
გამომიგზავნენ და ანუ შევიბნეთ.

რა საუბარი შეუმოკლა და სული დაიღო, ფიცხლად, სასწრაფოდ ელჩი გაგ-
ზავნა. მივიდა ბათიელ კელმწიფესა წინაშე და წიგნი კელთა მისცა. კელმწიფე-
მან წაიკითხა ზეით-ქვემდო, საუბარსა შეუმოკლა.

აქა კელმწიფის ბათიელისაგან ბაამანის ელჩსა თანა საუბარი

გამოგზავნილსა ელჩსა ეგრე უთხრა კელმწიფემან ბათიელ: ეპა, საქელისა
მქებნელი, დაბრუნდი შენ და საწუთროსა მჭირავსა კელმწიფესა ეგრე მოაქ-
სენე: წიგნისა მოწერასა შიგან ასრე ამაყობა და სიფიცხე რად უნდა, თუ ვირი
ვირისაგან უარ იყოს, კულისა მოკვეთა უნდა. თუ შენ ფეიზელი კარ, მე არა
მძინავს. თუ არა მე ლეთის წინაშე აღმიტყავს და შემეფიცავს, რომე მე ჩემითა

ნებითა და გამორჩევითა არავის მივანებნე სააოდ. აწე მე წავალ, ერთი დაყუ-
ღებული ბერიკაცი არის ქვაბს შიგან, რომე მისნი დღენი მას შიგან დაუყოფიან
და, რასაცა იგი მიბძანებს, მას ვიქ და მისსა შეგონებისა და ბრძანებისათვის.
სულსა-წავაგებ. მერმე ელჩსა საბოძვარი უბოძა და გაისტუმრა. და თვით კელ-
მწიფე შექდა და დაყუღებულთან წაეიდა. ისი დაყუღებული ერთი ბერიკაცი
იყო, ოთხასისა წლისა, გამქმარსა ლერწამსა გვანდა. არცა ტანსა ჩაიკეამდა და
არცა რასა ქვეშე დაიგებდა, ვიხათვან კაცისა დღენი ამას შინა გარდადიან. სა-
წუთროსა ავი და კარგი რა იქნების, განკითხვისა ესა კაცი ტვირთ სუბუქ
სჯობს. ტვირთ სუბუქი კაცი აღრე დაეკსნების.

რა კელმწიფე ბათიელ დაყუღებულსა წინაშე მივიდა, მიწასა აკოცა და სა-
ლამი მისცა. მერმე აგრე მოაქსენა: *ჲე, მოკუცებულო, ლეთისა მოსავო, ასეთი
მოდგომილია ჩემზედა, ორნი ქალნი დიდისა ფალაენისაგან წელთაგან გამოს-
რული, ერთგან ჩემს წინა მოვიდეს ბაამანისგან გარდმოკვეწილნი და ერთნელთა-
გან შემომეკვეწნეს. აქამდისნი შევიწაქენ, ერთსაცა დღესა არსად გაუშვენი და არ-
ცა რა შევაწყინე. აწე ბაამან კელმწიფე ჩემზედა გამოლაშქრულა და ჩემსა წი-
ნა ამისთანა წიგნი მოუწერია. აწე მე თქვენსა წინა მოვსულეარ და გამამანდვე-
თუ ეტლსა და ესა ჩემთვის რა გაუგია, ანუ რა დამემართების, ანუ შენი რა
გეპრიანების, ყველა მიბრძანე.*

რა დაყუღებულმან ბაამანის კვა გაიგონა, კელმწიფესა ბათელს ეგრე მოაქ-
სენა: *ავად გიქნიან, რომე ქალნი შენს წინაშენ მოგიშვიან, და თუ შენი ბაამანს.
ჩამოევიდები და ანუ მისსა შებმასა ეცდები, შენზედა დიდი ავი მოვა. ესე უბრი-
ანია, რომე მისნი მტერნი მას დაათვალნე. ნუთუ ღმერთმან ქნას და დაბრუნდეს
ესე, რომე არა შემოგებას.*

რა კელმწიფემან ბათელ დაყუღებულისაგან ესე გაიგონა, წამსავე ღომი-
ვითა მისთა ლაშქართა შიგან მოვიდა, და თავისნი მოურავნი და ვაზირნი იკმნა.
და წინა დაისქნა და, რაცა დაყუღებულსა მისთვის შეეგონებინა, ყველა მათ
უამბო. მერმე ვაზირთა კელმწიფესა ეგრე მოაქსენეს: *ჲე, შარიელო, ჩვენ ბაა-
მანის ომი არა გვინდოდა, რადგან დაყუღებულსაცა თქვენთვის აგრე მოუქსენე-
ბია. ესე საუბარი ჩვენცა დაევიამათეთ და, თუ შენი მისი რაზმისა ომი არ შე-
გიძლია, მისი ომითა საუბრითა მომადრიელება და სულისა დაღება იქნების.
ჭერეთ შენი მისთვის არა შეგიცოდებია რა ეგეთი, რომე არა მიგინდოს. მისისა
ლაშქრისშვან ჭერეთ არცა ერთი მკედარი მოგიკლავს, და არცა შენითა ნაქრთა-
მითა და ნათქომითა იგი გაგიგულისებია. გვიბრძანე ჩვენ, ვისილასიც გეპრიანე-
ბის, რომე მივიდეთ მის წინაშენ სიამოვნითა გული გამოულოთ და დავაწყნა-
როთ. რას წამს ჩვენ მის წინაშე მივიდეთ და გვანაკავს, დია დაგვიმადლებს.
ჩვენ ჩვენი მოვაქსენოთ და მისი საუბარიცა გავიგონოთ, და მისთა ვაზირთა და-
ჯიმაზის საუბარიცა გავიგონოთ. და მათსა სიტყვასა დავენუქნეთ და ჩვენ ესე
მოვაქსენოთ, ვითა: თქვენ ერთი გულითადი კაცი, ცხენოსანნი წამოგვატანე და
შენთა მტერთა მკარშეკრულთა კელთა დაგათვლით.*

რა იგი დღე დაღამდა, ორთავე ლაშქართაგან ყარაულნი გამოვიდეს და მა-
თისა თათბირისაგან არავის სცალდა. მერმე კელმწიფემან ბათიელ მისი ვეზირი
ათითა კაცითა გაგზავნა.

აქა ბათიელ კელმწიფისაგან ვაზირისა გამოგზავნა
ბაამანს წინაშე ფალავანთა ქალთა მიცემისა
დაპირება

რა კელმწიფესა ბაამანს წინაშე მოვიდეს მოციქულნი, კელმწიფე დალოცეს და ბათიელისა მოციქულობა მოაქსენეს, და ესე, ვითა: ნიადამცა კელმწიფე ტაქტსა ზედა ზის, სადამდისცა საწუთრო და სოფელი არის, თქვენცა კელმწიფედ ქართ. მე როსტომის გულისათვის კელმწიფე რადმცა მოვიმდურვე. თუმცა მკვდარსა დაეწყება არა უნდა, მაგრამ ცოცხალსა შეპყრობა და შესაძოვარი უფრო უნდა. თუ იგი ფალავანი იყო სპათა წინაშე, შენ საწუთროსა კელმწიფე და აგრე ჰკვიანი, პატრონი ჩვენი. დაუღებულსა გამოვკითხე და მან ეგრე მოაქსენა: თუ კელმწიფემან ბაამან ქალნი გზოვნეს, მიეცინო და თავისა თავსა დააპაღლე. აწე კელმწიფესა წინაშე ამას ვიაჟ, რომე ჩვენ შეცოდება შეგეინდოს და ნურას გვიწყებოს. და, თუ კელმწიფე ჩვენსა საწყენსა არას იცნონის, მე მისსა ბრძანებასა არას შევეცილები და რასაცარას მიბრძანებს, მას თიქ. აწ ერთი მათი ვაზირი მიბოძოს, რომე მისნი მტერნი ვიშოვნო და მათი თავები საგდებლთა შევიყვარა, და კელმწიფის ბრძანება მათ წინაშე გავგზავნო, და დიდასა ოქროსა ვაჩუქებ.

რა კელმწიფემან ბაამან ესე გაიგონა, გაიცივნა და ასრე ბრძანდა, ვითა: მეცნიერთა სიტყვასა დამალვა არა უნდა და იმა ბერსა, ჰკვიანსა კაცსა თქვენთვის ესე არ ექნევიან და არა ეთქვა, ასრე გავკდილი ქიშვარისა თემსა და ქალაქსა და ზალსს, ვითა ქალაქი, რომე დიდსა ძრეასა შიგან ჩამძვრალიყოსო. თქვენ დაბრუნდით უშიშად და შეუჭირვებლად. ხვალე უბრძოლველად მე კაცსა გამოგზავნი და ამას ნუ იქთ, რომე თქვენთა ლაშქართ შეაგებინოთ.

ბათიელის ვაზირნი გაისტუმრნა და მას ლაშქარსა კელმწიფემან ბაამან არა დაიძინა, და დიდსა საგონებელსა შიგან იყო. რა იგი ღამე გათენდა, საწუთროსა მძებნელმან კელმწიფემან ჩიმაზს უქმო და ერთობილნი თავადნი წინა მიასქნა და, რაცა ბათიელის ვაზირისა მოციქულობა მოეღო, ყველა უთხრა. მათი გულა შეჭირვებასა დაექნა და გამჟიარულდეს. კვლავე მოაქსენეს: მე, შარიარო, შენგანცა იპარებს საწუთრო. და ესე ეამი არამცა იყო, რომე გილაატონ და ბადესა შიგან ჩაგებად და სპანი და ლაშქარნი ერთობილნი დავნაღვლიანდეთ. მერმე ფალავანი ფაშოთან აიმართა: ლეთითა, ამა საქმესა მე გავივლენ, წაუალ, შევიგებ, თუ გულმართლად გვეუბნებიან. მე ვერას დამიმალვენ. მერმე ჩიმაზ ფალავანსა ეგრე უთხრა: მე, ჰკვიანო ფაშოთან, კაბათა ქვეშე ჯაჭვი ჩაიცივი. მასვე წამსა შიგან აღგა ფაშოთან და კაბათა ქვეშე აბჯარი ჩაიცივა, და ერთი აღმასა დაშნა კაბათა ქვეშე დამალა და ინდაური კმალი წელთა შემოირტყა, გამოვიდა რაზომითამე შერჩეულთა კაცითა და წავიდა.

ერთობ დილელულად კელმწიფისა ბათიელისა კარავისა კარსა მივიდა. კაცი შევიდა კელმწიფისა წინაშე და ფაშოთანის მისვლა მოაქსენა. წამსავე ფარდაგსა აზიდნეს და შიგნით შეიყვანეს. ბათიელ დია ტკბილად მოიკითხა და ახლოს წინა მიისვია, ასრე რომე მუქლი მუქლსა ზედან შემოიღვა.

რა იგი ღამე დაღამდა, სადამოსა პურისა მოღება უბრძანა. მოიღეს პური მათი საკადრისი და ერთობილნი თავადნი ახმობინნა. შეიქნა სმა დიდი და ნადეპობა და, რა პურობა გაიყარა, მოიქალვათეს და დასქდეს. კიდევე შეექმნეს. რა ტვინი ღვინისაგან გაძღა, მეტი საუბარი დაიწყეს. ასრე იცოდით, რომე დიდისა

ღვინისა სმა კაცსა გარეგნებს და ჰკუთათაგან გარდაიყვანს. კაცსა უნდა, რომე ღვინისაგან ეშინოდეს და ჰკლმწიფისა და კაცთაგან რცხვენოდეს. ღვინო ყველასაგან მოშლის კაცსა და საუკუნოს ცოდვასა შინა ჩაადგებს. თუ ცოტასა ვითა სვამ და ჰკვიანადა, თვით სვი კიდევე, თვარე მეტსა და სიმთვრალითა ნუ სვამ. თუ შეგიძლია, ასრე სვი, ღმერთმან შეგარგოს და, თუ ღვინო შენ მოგერევა, საუკუნოდ წაგწყმენდს.

რა იგი ნადიმი გარდაიკადეს, ვაზირობა გამართეს, თუ იგი ქალნი რით ღონათა დაიბუკენით. ერთმან გამოარჩივა, რომე დილისა ბინდისა უამსა ყოველგნით გზანი შეუტრნეთ, რომე კართა ვერსით გამოგვივიდნენ. ერთმან სკვამან ასრე თქვა, რომე გზა მართლად შინა მივიდეთ და ზედა დავესკნეთ, ერლო და კარი შეუტრატოთ, რომე თავი ველარა გამოყოან. ოღონ მაშინ შეგივიპყრიან სახლსა შიგან და თავსა მოგვანებებენ. შესამემან ასრე თქვა, თუ: მივიდეთ და მასთან სიაკლოვება ყველგან დავიმალნეთ, დაგზვეროთ და, თუ გამოვიდენ, კელთა დავიბუკნეთ, რომე არცა ომი იქნების და არცა ფათურაკი. მეოთხემან ასრე თქვა და, ვითა: სახლსა ცეცხლი მოუღვათ, რომე შიგან დაიწვენენ და ამათ ძირი და საძირკველი ქვეყანი ამოვთხაროთ. ამისთანასა საუბარსა და გამოარჩევასა შიგან იყენეს და უბნობდეს. მერმე ბათიელ ეგრე უბრძანა მოუარავთა, თუ: ესე გამოარჩევა არ არის, რასაცა თქვენ არჩევთ, მათი ომითა შეპყრობა ვის შეუძლია. ნუთუ სუფრასა ზედა დაითვრნენ, და ძილი მოუვიდესთ და დაიძინონ. და მაშინ მათსა შეპყრობასა ვეცადნეთ. და ესე უბრძანია, რომე საკელოვანად პური შევაკაზმინო და იგინი ჰამად ვაქმობინენ და ღვინო დავაპატიეებინოთ, რა გამზიდვართა ფლავანთა ღვინო დასჭარბდეს და დაითვრნენ, ოღონ ღვინო მისრავს. და დიდი საუბარი და ზაქილი შეიქნების და შლილობა, მერმე ღვინისა შიგან ჰკუთათა გარდასაყვანელი წამალი გაუროთ და შევსავთ, დაუღონ გულისა ტკივილსა შიგან. მაშინ დაეუსხათ მერმე და შეეკრათ მაგრა და დაქერილნი ფაშოთანს მივთვალთ. კელმწიფე ბაამანთან წაასკას და ბაამან ჩვენ დიდად დაგვიმადლებს. სიამოვნითა მისისა ადგილისაგან დაიძვრის და თავის ქვეყნისაკენ წავა. მისი ურჩება და ამათი მიუტემლობა ჩვენთვის არად არ ვარგა. კელმწიფისა ნათქვამი გმირთა დიად მოეწონათ და დააპირეს.

რა დაღამდა და მოწვევა შეიქნა, და მას ჰამასა ზედა ვერ მოაგვარეს, და ვერცა უღალატეს. მას ღამესა გაიყარნეს. მეორესა დღესა კელმწიფემან ეგრევე გარდასცა და ქალთა კაცი გაუგზავნა და შესთვალა: მუ, საკელოვანო, თქვენი სევდიანად ჩავრსა ესე უბრძანია, რომე ორნივე ცხენს შესკდეთ და გაისარქნეთ. მერმე ბანგიჯასპიმ: კელმწიფისა წინაშე მოვალთ და მისსა ნებასა ვათავებთ. შესკდეს და კელმწიფესა წინაშე მივიდეს. მასვე წამსა დარბაზით მსახურმან ეგრე უთხრა: მე ფარემუზის ნახლი ვარ და თქვენი ერთგული. და ბათიელ კელმწიფემ ჩემი თავი გამოსთხოვა ფარემუზს და იმანაც დაგვთმო. ოთხნი ძმანი ვართ ფალავანნი. ერთი მათგანნი მიეგება ქალებსა მალვით და ეგრე უთხრა: ეგრე სეფეს დაუკაზმავნი სად მიკვალთ. ვფიცავ, რომე კელმწიფე ფიცსა უარ იქს, ფიცსა და სჯულსა გასტყეს. რას წამს მიკვალთ, დაგვიპყრობთ და ბაამან კელმწიფესა მიგათვლიან, რა რომე შეუკაზმავსა თქვენთვის დარბაზი, რომე შეგამწყვდიონ შიგან. მე ამისათვის გაცნობეთ, რომე ფაშოთან ბაამან კელმწიფესა თქვენთვის შესაპყრობლად გამოუგზავნია და ბათიელს წინაშე ამად სხე-

ნან. აწ თქვენ თავსა ეწიენით და გზისაგან უგზოდ გარდაიქვეწენით. გიჯობსთ გარდაიქვეწნა, ამად რომე კელმწიფესა წინაშე მიკვიდეთ.

რა ქალთა ესე გაიგონეს, არღენისა ფერი პირი კომშისა ფერად შეექნა. ბანგიჯას მისსა დასა ეგრე უთხრა: ჟამთა სიავისაგან ჩვენ ზედ ორი საქმე მოდგომილა. ვინათგან კელმწიფემან და სპათა პირი და ფიცი გაგვიტეპეს და უაელასა გარდავიდეს, მივიდეთ და კელმწიფე ერთხელ ვნაჯოთ. მერმე დამან ეგრე მოაკსენა: თუ მივალთ, მასე წამსა კელთა დაგვიპყრობენ და დაგვიჩან, და მერმე უსათუოდ ბაამან კელმწიფესა დაგვათვლიან და, თუ ჩვენ ორნივე ერთად გარდაიქვეწებით, აქათ უკუნისამდისინ ჩვენთვის ილღი აუგია არის. მერმე ბანგიჯას ეგრე უთხრა: შე, სახელოვანო, ამას საქმისა არა ღონეა ამის მეტი. ჩაჰვი კაბათა ქვეშე ჩავიცვათ და ქვეშე კლმები ამოვიფაროთ და ამა უბედურსა კელმწიფესა თანა ერთი საქმე ექნათ, რომე საწუთროსა შიგან ჩვენგან იადგარად დარჩეს. მეორემან დამან ეგრე უთხრა: მივიდეთ და პური ესჭამოთ და ერთი მტვერი მუნით ამოვადინოთ, და რაზმისა ომი გავმართოთ, რომელ მანცა შეიგნას, რომე ფიცისა გატეკვა არა კაცთა კელია.

მასე წამსა კაბათა ქვეშე ჩაჰვი ჩავიცვეს, და ინდოური კმალი მკარ-ილღივ წელთა შეირტყეს და ცხენსა შესკდეს. და მასე წამსა კელმწიფისა კარავისა კარსა მიდგეს და, ვითა ბრწყინვალე ცეცხლო კვამლსა შიგან, აგრევე ბრწყინვიდეს. რა ბათიელ და მისთა თვავლთა შორის დაინაქეს, ფიცხლად წინა გამოევიბნეს, დარბაზს შიგან მეტად საბატიოდ შემოასქენს და პური მოაღებინა. და გენცა მას პურობასა შიგან ნაწვევნი იყენეს, ყველანი მალეით რაზმისა ომისათვის მოკაზმულნი იყენეს. ფაშოთან, რა იგი ფალავანი დაინაქნა, ღია დაუმადლა და მადლი მოაკსენა. ორთავე ვერცხლისა ბარქაში დაუდგეს, წინა ნაპირი ყველაი თვალთა და მარგალიტთა და ოქროთა მოკაზმული იყო. მრავალფერი სანუკვარი იდვა ზედა. ფაშოთან ქიან კელმწიფისა ნაშობი გვარისა უფლისწული იყო. ქალთა ეგრე მოაკსენა: შე, ფალავნისა ნაშობნო, საქმელსა კელსა რატომ არ მიყოფთ. პურისა კამასა შიგან აგრე სხდომა თქვენგან რა პირიანია. კამასა ზედან შუღლი და ომი არა წესია. რა ბანგიჯას ფაშოთანისაგან ესე საუბარი გაიგონა, ერთობ გაგულისდა და მრუდელ შექენდა და ამის მეტი არა უთხრა რა. რა რომე წარბნი დაინასქენა, იკრა კელი და კმალი მოიწოდა. თვავლთა რა ბანგიჯას დაინაქეს, დაფრთქვეს და გული, გონება სკვაფერად ექცათ.

აქა ფაშოთანის სიკვდილი როსტომის ასულის ბანგიჯასპის ქელითა

ბანგიჯას ფაშოთანს ეგრე უთხრა: შე, აქაღლო და აენაშობო, აწ ვნახო გამზიდვართა დაკოდლობა. ჩემი ძმა მიწათა ქვეშე იყოს და შენ, ნადიმსა და გამოსვენებასა შიგან იყო და საკელმწიფო თასი კელთა გქონდეს, კრა კმალი და თავი სუფრასა ზედან გაადგდებინა. ბათიელ, რა იგი ნაქა, პურობისაგან აიშალნეს და ყოველგნით დაითანტნეს. რა ბანგიჯასპისა დამან მისი კმალი მოწვედილი დაინაქა, მანცა მოიწოდა, ვითა ბნელისა ღრუბლისაგან ელვა-ქუკილივითა მოვიდა და რაოდენი ოდენ კაცნი თვავლთაგან მან დაკოცა და მიწისა ქვეშე მოაქცივა. რა მათისა ომისაგან მოიცალეს, პირი ბათიელისაქენ ქნეს. რა ბათიელ ქალნი მისკენ მიმავალნი დაინაქნა, ფიცხლავ ადგა და გარდაიქვეწა. ქალნიცა ცხენსა შესკდეს და, ვითა მფრინველი ქარი და, ვითა მდინარე ღვაჩი, ყუწყო ქალაქისა-

ენ წავიდეს. დღე და ღამე მოუღალავად იარებოდეს. ფაშოთანს რაზომიცა ცხენოსანი იახლა. ფიცხლად ბაამანს წინა მივიდეს და, რაცა მათსა თავსა და ფაშოთანის თავსა გარდასლოდა, ყველა ბაამანს მოაკსენეს. კელმწიფემან ესე გაიგონა, თავსა მიწა გარდაიყარა და კნარცივი ითხარა და შიგან ჩაქდა. და ორთავე კელთა მუკლთა ზედან იცემდა. მისთა სპათა ერთობილთა ტანისამოსი დაიკიევეს ქვემოძღისი. ქუდისა ნაცულად ყველამან თავსა მიწა გარდაიყარეს. მას ღამესა ყველა ტიროდეს და იგლოვდეს. მერმე, ვინათგან ღმერთმა განმანათლებელმან განათლა და წყალობით მოიკედნა და გათენდა, ლაშქარნი და სპანი ერთობილნი უქმნა და [უთხრა]: ესე ნაკეთცა, თუ ამა ძალმან რა მიყო. გულის ტკივილითა ამავსო და პირი გამიყვითლა. ერთი ბადე დამირწყა. ესე არა ვიცი, თუ ესე წყეული გული ჩემი რით დაეცხრო და განეკურნო. და ამის მეტი ღონე ვერა მომიგონია, რომე მტერობისა სარტყელი შემოვირტყა, და ესე ინდონი დავკოცნო.

ესე თქვა და ლაშქართა შესკდომა უბრძანა, და საწუთრო ინდოთა ზედა შეევიწრო, ქარივითა ლაშქარაშიგან შევარდა და ვარღვითა ქარსა შიგან გარჩენა. შემოტევებულთა აგეთსა ბაკათისარ ჩამოუღდა და ბათიელს წინაშე ღოძივითა მიუქდა, მოუქნივა კმალი და ცხენისა თავი მოუკვეთა. მასვე წამსა უსამართლო ბათიელ ცხენისაგან ჩამოვარდა, ფიცხლად საგდებელი გარდაავლო და შეკრა და ბაამანს წინაშე მოიყვანა. მერმე ბაამან ეგრე უთხრა: ავეგვრო და ავძარღვო, რად გამიცულე ტაქტი და გვირგვინი. შენ ჩემგან რა ავი ნაკე ისეთი. რომ ფაშოთან მოაკვლევინე. მასვე წამსა კმალი მოიწოდა და თავი მანვე მოკვეთა ბაამან თავის კელითა. მართლად უთქვამსთ ბრძენთა და მეცნიერთა: თავისა წესითა და ზომითა მოთქარე კნარცივი და კმა. და ფიცისა გატეკასა ეკრძაღდე. და ფიცისა გამტეკსა კაცსა ნუ ეზიარები და აეთა კაცთა გვერდით ნუ დასჯდები. არამცა იყოს, რომე მათმან ავმან ნაქმარმან რა არა შენცა დაგაბრალოს. იმა საჯელდებულისა ბილა ლაშქრისაეკნ ერთი ფათერაკი დაემართა, რომე ერთი სულდგმული ცოცხალი არა დარჩა. მასვე წამსა ადგა ბაამან და ბილა ქალაქსა შიგან შევიდა. სრული ბილა ამოსწყვიტა. და დიადისა კაცისა და დიაცისა ამოწყვიტისა და დაფორაქებისაგან ძაქილი ზეცას ისმოდა. და მერმე ქალაქსა ცეცხლი მოუღდევს და სრულსა ქალაქსა შიგან ერთი საკლი დაუწვავი არ დარჩა. მერმე გამოვიდა ბილა ქალაქით და ყუნჯო ქალაქისაეკნ წავიდა.

აქა კელმწიფის ბაამანისაგან ყუნჯო ქალაქსა და ლაშქართა გაგზავნა

იქით როსტომის ასულნი დია ნაღვლიანნი და შეკირვებულნი მივიდეს, და თუნდუბარს ყუნჯო კელმწიფესა წინაშე კაცი გაგზავნეს [ს] და ესე შესთვალეს, ვითა: ჩვენი ანბავი, მგონია, კელმწიფესა მოკსენებოდეს, რომე ჩვენი მამული, ტახტი და ღიდება, ჩვენ აღარ შეგვარჩა. რა მოეინაქეთ ჩვენისა უბედურისა ბედისაგან, ჩვენ ორთა მეტი ჩვენისა გვარისაგან აღარავინ დარჩომილა. ასრე გარდაგვარმო გარდვიქვეწნებით და მტერი უკანა დაგვდევს. ჩვენი საკელმწიფო ამოვარდა. და მამა და ძმა ჩვენი შოკლა. აწ, თუ კელმწიფე შემოგვიცავს და ამას დაგვპირდების, რომე ღვთისა შიშსა ქვეშე გვიახლოს და შეგვინაქოს, რომე ბათიელისებრ მტერთა კელთა შიგან არა მიგვენეს, თავიცა მოიკლა და ჩვენ ამა

ჭირსა შიგან, რომე ასრე დაგკადანა, ჩვენ ფიცითა მიგვიყვანა და მიგინდენა და მტერთა შიგან მიგვენა. და ნაქე, თუ ღმერთმან მათცა რა უყო.

რა კელმწიფემან გაიგონა ასრე უბრძანა და იმელი დაუღვა, ვითა: ესე მეცა შემიგნია, რომე ფალანისა ასულნი არიან და უფლისწულნი მით მოუბრათებიან. და ქალაქსა შემოვიდეს კელმწიფობა მოსამართლედ დაბადებულთა. თუ ბაამან კელმწიფე აქა მოვა თქვენად საძებრად და ძღვენიელად, მე უკანა წაუღვე, მიუტდე და თქვენი შური მე ავიზო მისგან. ჩემი განძი, საქონელი და ქმალი თქვენთვის მოვიქმარო და, თუ ოპითა ვერა მოუგვარო ასრე, ვითა მღელვარესა ღვარსა წინა ვერაინ დაუღვეს. მე ვერა დაუღვენ. თქვენ გაცნობო და თქვენს თავს ეწინით და გალით.

მოციქული მოვიდა და ქალთა მოციქულობა მოაქსენა. ქალთა მისი საუბარი ერთობ მოეწონათ, აღვეს და მასვე წამსა ქალნი, ორნივე დანი, სევიდანი და შექირებულნი. ქალაქსა შევიდეს და ფიცხლა კელმწიფისა წინაშე, ერთსა წალკოტსა შიგან საღვთო გუჩინეს და იგი წალკოტი ნარგისითა, ვარდითა და ყაყაჩოთა სავეს იყო. მერმე კელმწიფემან მისი ასული მათ წინა გაგზავნა და ესე უთხრა, ვითა: დღე და ღამე მათ იახელ და ნუ გაეყრები. მეტად საბატოდ შეინაჯა, დიდი საჩუქარი გაუგზავნა და ესე მოაქსენა, ვითა: ესე იცოდეთ, რომე საწუთრო და სოფელი გამოუტყდელსა არავის გაუშვებს და არცა ვის გაუთავდების. ზოგჯერ სიკარულითა აავსებს და ზოგჯერ ჭირითა, და ზოგჯერ ცამდის ამალღებს და ზოგჯერ თხოვისა კართა გაადღებს. ბოლოდ, გაუქარებულნი და საკიცხელნი დავრჩებით. სიკედილსა ეამსა კელმწიფე და გლაკი და მთხოველი სწორად გარდაქდებიან.

მეორესა კვირისა, ეამსა ყანის მყისასა ბაამანის ლაშქარი მიუტდა, ასრე რომე მის ლაშქარსა მტერისაგან საწუთრო ერთობლნი დაბნელდა. მასვე წამსა კელმწიფემან მისი ვაზირი უხმო და ესე უბრძანა, ვითა: რა მოუგვაროთ იმა ავგვარსა ბაამანს. მერმე ვაზირმან ეგრე მოაქსენა: თუ არა გამოიწყრებით, მართალს მოგაკსენებთ: თქვენცა ასე გიჯობსთ, რომე, რაცა თქვენ უკეთ მოგიტდებოდეს, მართლად იგი მოგახანეთ. ცუდად იგი კელმწიფე, ავი კაცი, რათ შემოიბტრე. სულიცა დაიწვი და საკელიც ამოიწყვიტე. ისეთი შარბარი ვრანისა ქეყანასა შიგან არა ყოფილა, და არცა ისეთი მოსამართლე და რჯული არა დაბადებულა. და ვინცა მას ჩამოეკიდების, მბრუნავმან ეტლმან მისთა ჩამოკიდეთა კვამლი ამოაღინა და, ვინცა მის წინაშე თავსა დაიმდაბლებს, იგი სჯობს. მისი ლაშქარის აბჯარისაგან არ იკვირტვის ჰაერი და მიწა. რა მისთა ლაშქართა შეხედავს, ესე ეგონების, თუ მთა და ერთობილი მიწისა პირი და აბჯრითა ლაშქრითა სავეს არის. შენ მისთანას კელმწიფეს საქონლითა და ლაშქრითა ოდეს ამოუტვეალ, ანუ რაგვარ მოერევი. ცუდად ლაშქართა ნუ ამოსწყვეტ, გამგზავნე მე, რაზომითა თქვენითა საბატროთ კაცითა გეპროანების, მთვალ ომისა მძებნელსა კელმწიფესა წინაშე, აგრე შევეკაზმავ და როცა მისსა გულსა შიგან ყველასა შევანდობინებ. მერმე კელმწიფემან ვეზირსა ერთობ დაუმაღლა, და დალოცა და ესრე უბრძანა, ვითა: ნიადამცა შენი წმინდა სული შენსა ქუასა თანამცა შენსა ნებასა ზედა არის, მაგრამ მე ესე კარგად შემიგნია, რომე კელმწიფე ამა ქალთა თხოვნასა დამიწყებს. თუ ესე საუბარი კელმწიფისა ბაამანისაგან შენ გაიგონო, შენ მის საუბრისაგან ყოლე ნებასა შენ ნუ დაუღვე. მე ვერას ღონითა მას ვერა ვიქ, რომე ჩემი ფიცი გავტებო და ესე ქალნი მივანებნე და ღვთისა წინაშე

მერცხვენოს და ანუ კაცთაგან მოვიყინდე. თუ კელმწიფემან ამისთანისა საქმისა-
რამ მოიგონოს, შენ აგრე მოაკსენე: კელმწიფეო, ფიცისა გატეკა რა სჯულისა და
მამაცისა კაცისა წესია და, ვინცა შემოგეტყველოს და ზენაარი გთხოვოს, თუ ფიცსა-
გაუტეპო და უტრუებო, მოვიყინების მეტი არა იქნების. ამა ერთსა საქმესა ნუ
მიბრძანებ და ნუცა ქალთა მოცემასა მენუჯები. და სხვასა ყველასა, რასაცა
ნიბრძანებ, ყველასა წინაშე ვარ და ერთგულობისა სარტყელსა შემოვირტყამ,
და ჩემსა განმსა და საქონელსა თქვენსა წინაშე მოვიღებ, და დიადსა სახელო-
ვანსა ცხენსა და აბჯარსა მოვიღებ თქვენსა წინაშე.

აღგა ვაზირი და ბაამანს წინაშე მოვიდა და, რა ბაამან ესე ტბილი მოციქუ-
ლობა გაიგონა, მანცა დიდი ამო და ტბილი პასუქი უბრძანა ვაზირსა: მიდი და
კელმწიფესა მოაკსენე, თუ ამა საქმესა შიგან თქვენი საუკეთესო სახელი მოგ-
ხვდების, ვასპია, რომე კელმწიფესა საურს რა უყავ და ბათილ ძუტუსა და ზრდალ-
სა, თუ რა უყავ. კელმწიფემან საურ ჩემგან კარგის ბეტი არა ნაქა რა. დია
ქვეინანდ და კარგად მაშეპყრა და ავი არა დაემართა. აწე შენცა ქუეითა საქმე
ქენი და თავი ცუდისა ფათერაკისაგან შეინაქე, შეიწყალე და ქალაქი და ლაშქა-
რი. ქვეინანს ესე მართებს, რომე სადამდის მისი საგებელი იყოს, ფერკი მანამ-
დის ჩაიწვადოს. ქალთა საქმისათვის გებრძანა და ესე, ვითა: ჩემგან ქალთა გა-
ცემა არ ეგების. თქვენი საუბარი და მოციქულობა ერთობ მომეწონა. აწე ისი
ქალნი შენსა წინაშე თუ არიან, ნურც შენს წინაშე ამყოფებ. მერამე მალვით მე
კაცი გამოვიგზავნე და მაცნობე, რომე ქვე-ქვე, რომე ფიცი არა გაგეტეხოს. რა
ჩემი მტერი შენს წინ არა იყოს და წასულ იყოს. შენ შენის ფიცის გატეხასა
შორს იქნები.

ესე მოციქულობა უბრძანა ვაზირსა და ათი ჩინური სტავრა უბოძა. აღგა
ვაზირი, ეთაყვანა და გამოვიდა. მისსა კელმწიფესა წინაშე მივიდა და ბაამან
კელმწიფისა მოციქულობა იღუმალ კელმწიფესა მოაკსენა.

რა კელმწიფემან ესე მოისმინა, გაიცინნა და ვეზირსა ეგრე უბრძანა: თუ ამა
საქმესა მე ვიქ, ღვთის ზემცოდე მე ვიქნები. ასრე დამიჭირვე, ვითამცა იღუმა-
ლი ეგე საქმე ვინ ღვთისა წინაშე ოდეს დაიშალვის. ბნელსა უკუნსა ღამეცა
ჰინკველი არ დაემალვის, რომე არ ნახოს. რაზომცა კაცმან თავის იღუმალი
ღმერთსა დაუმალოს, იგი გულთა მეცნიერია და ყოველსა შეიგებს, მფრინველ-
თა და იძვრისთა ენასა შეიგებს, რაგვარ მისგან დაბადებულნი არიან. მერამე გაგ-
ზავნა კაცი და ქალნი მას წინაშე აქმობინა. მისთა ლაშქართა და სპათაგან ვე-
რაგინ შეიგნა, რაცა ბაამანს შემოეთვალა.

აქა თუნდურ კელმწიფისაგან ფალავანთა ქალთა გაშვება

იგი ყოველი ლაშქართა გამოანდო და ეგრე უბრძანა: მუ, საკელოვანნო, მე
ესე საქმე მიც და ამა შეჭირვებისაგან დღე და ღამე ჩემთა თვალთა შიგან ძილი
არა მოსულა. აწ ჩემგან თქვენ რა გეშველებსით. უფლოს წუთლო ქალნო, აწ თქვენ
თავსა ეწიენით. მე ამა ერთსა დღესა ბაამანს ამოდ საუბრითა შევაქცეე თქვენს
სიმაგტრესა მოედნით და წასვლა ვერა შეიგნას. ამა საუბრითა ნუ მოგვეტუდნე-
ბით და ნუ გამიწყრებით. ჩემთა თვალთა სინათლენი კართ. ამას ეუბნებოდა,
თვალთაგან ცრემლი სდიოდა. ამისთვის ნუ შეგძულდებით, გული სევდითა და
ნადვლითა შემპირნე გექნების.

ბანგიჯას რჩეულმან ეგრე მოაკსენა: მრავალი ამისთანა დღე გარდასრულა

ჩვენსა თავსა ზედან. ღმერთმან ყოველთა დაზღვებულმან შენი თავი შეუშლევ--
ლად და შეუჭირველად ამყოფოს. რაცა ბრძანება იყოს ღვთისა, დაღამდების.
მივენდნეთ ღმერთსა, გავემართნეთ და წავიდეთ.

მერმე კელმწიფემან თუნდღუბარ ბაამანს წინაშე კაცი გაგზავნა და ესე შესთ-
ვალა, ვითა: ამას ნუ მიბრძანებ, რომე შენ ამა ქალთა გზა მასწავლეო, ღვთის
წინაშე დიდი ცოდვა არის. და რა მოციქული მოვიდა, ბაამან ეგრე უბრძანა: დია
მართლა გიბრძანებია.

რა იგი დღე დაღამდა, ბაამან სიამარად გილანელი იქმო და ეგრე უბრძანა,
ვითა: ამას ღამე მიზეზი ქალთა არის, და წადი ერთობილითა ლაშქართა და გზა-
ნი შეუკრენით და დაიცვენით. უღონობით ამას ღამე გაიპარვიან. მასვე წამსა
სიამარად ათი ათასითა მეომართა კაცითა და ერთი ყოშუში ლაშქარნი სხვა იახ-
ლა, ყველაი შუბითა, ლაქტითა და კლმითა. მერმე ჯანგალს თავადი და ათი ათასი
კაცი სქვა შერჩეული მას წაატანა. ესე ორნივე ლაშქართა თავადნი მძანი იყენეს.
ორნივე მეომარსა ლომსა გვანდეს. სამნი გულოვანნი თავადნი კაცნი წავიდეს
გზათა მტველად, ოცდაათასი გულოვანი მეომარი კაცი. ახლა ძილპირი შეიქნა,
ასე დაბნელდა, რომე ყვავის ნაყრტენსა გვანდა. მზე ქვეყანისა იატაკსა ქვეშე
მოეფარა.

გავემართნეს ორნივე ფალავანნი, მზისა შუქისა მსგზავსნი ქალნი. ისეთს
უკუნსა ღამესა შესკდეს ცხენთა და მტირალნი კელმწიფესა გამოესალმნეს.
ყუნჯო ქალაქისაგან გამოვიდეს შიშითა, უტყვენი და მუნჯივითა მივიდოდეს.

აქა როსტომის ასულთაგან ირანელთა დიდი ომი და ქელთა დარჩენა

პირი ბახთარ ქალაქსა მიიპყრეს. ანაზღელულად ცხენებისაგან კმა და აბჯრისა-
ელვა და ჩკარი შეესმათ. დაღონდეს და აღგილობან დადგეს. ლაშქართა ქალთა
ცხენისა ფერკისა კმა შეესმათ. შესკდეს ლაშქარნი კმაღ-მოწვილინი და ქალთა
მიმართეს, დაუზანეს ფალავანთა, ვითა: ეინ კართ, რომე მუნჯნი ვითა პირ-შეკ-
რულნი ბნელსა და უკუნსა ღამესა შიგან იარებით. კმა არა გასცეს. მთვრალნი
ლომნი ვითა გზა მართალთა მიდიოდეს.

რა ირანელთა ფალავანთა პასუქი და კმა ვერა გაიგონეს, საომრად გავ-
მართნეს და შეუტივეს. მერმე ბანგიჯასპ დასა ეგრე უთხრა: მოსართავი მაგრად
მოურთე, მამაცობისა და სიკვდილისა ჟამი აწ არის და მისი ჟამი, რომე ჩვენი
სული სამოთხესა გავგზავნოთ. ესე ლაშქარი ერთობ ურიცხვი და დიდი არის,
და ყველა შერჩეული და საკელოვანნი არიან. ბაამან უსჯულოსა და მესისკლესა
გამოუგზავნია. შეიბნეს. თვითოსა შებმასა ას-ასსა კაცსა ჩამოყრიდეს.

რა ლაშქართა ქალთა ამისთანა მამაცობა ნაჯეს და ძლიერი ომი, პირი აქცი-
ეს და გარდაიკვეწნეს. და სიამარადს წინა მივიდეს და მოაქსენეს: შე, ფალავა-
ნი საკელოვანო, ამა გზასა ორნი ცხენოსანნი მკედარნი მოვიდეს, ელვა ვითა-
ბრწყინვიდეს. რაზომცა ჩვენ შეუზანეთ და საუბარი დაუწყეთ, მათ არა შე-
მოგ[ვ]ინზრაკნეს და არცა რა პასუქი გამოგვეცეს. მუნჯნი ვითა შემოგვებნეს და
ჩვენგან დიდი ლაშქარნი დაკოცეს. ათასი კაცი მეომარი, ლომთა მსგზავსი მოკ-
ლეს და ჩვენ გარდმოვეკვეწენით.

რა სიამარად ესე გაიგონა, ორნივე კელნი გულსა იკრნა, ქარი ვითა ცხენსა-
შეჯდა და გამოფრინდა. ლაშქართა ეგრე უთხრა: შე, საკელოვანო, ისი ორნი

ცხენოსანნი არიან. რომე ჩვენ მათსა ფათერაკსა შიგან ვართ ასრე გასულნი. ღლე და ღამე მათთვის საძებნელათ ვიარებით. ამას ღამე ბერმან და ყმაწვილ- მან ყველამან მოიპირით. ნუთუ ის ორნი ქალნი დაეკოცნეთ. ლაშქარმან ყველამან შეუტივა, ყველამან შუბი დაიჭირა კელთა და კლმები დაიწვადეს, ვითა ზღვა რომე ღამით ღელვიდეს. აგრე ლაშქარნი ბოლუქ-ბოლუქად მისდედეს. და აღმასთა კლმითა ელვა მზისა შუქი ვითა ელვიდა, თუ სთქვა. ჰაერი და ცა იწებოდა.

რა ბანგიჯასს ისი სპანი დაინაჱნა, მოიკრა კელი, ლაქტი ამოიღო და ორთავე დათა შეუტივეს. შეიქნა მძიმისა ლაქტისა კვრა და საწუთრო გაუჩინარდა. მათისა ნაკოცისაგან ერთობილი მიწისა პირი გორა და გორა შექნილიყო.

რა ცსკარი შეიქნა, ფალავანთა ერთობილთა თვალნი ააქვნეს და ნახეს, რომე ღელე და მინდორი ერთობილთა დაკოცილთა კაცითა და ცხენითა საესე იყო. გაკვირდენ. ფარემუზის რაზმშიაც არ დააკოცებოდა კოლმე ამდონი, როცა ჯარით შეიბმოლა, რომ ამ ორთა ქალთა ეკოცათ იმ ღამეს.

მერმე გულოვანთა ფალავანთა აუგისაგან შერცხვენდთ და კიდევ შეუტი- კეს. და ფალავანმან ჯანგასს ომნაკულმან. თუ სთქვა, ცეცხლი ვითა მიწისაგან ამოვიდა. შეუზაქნა ლაშქართა და ლომმან ვითა შეუტივა. მერმე მისსა ძმასა ევარდაქას ეგრე უთხრა: ჭე, ძმავ, ნუ სდგაქარ. მე ერთსა ქალსა შევეებმი და შენ მეორესა. გაერივნეს ერთმანერთსა შიგან და ვარდის ფურცლის სისკლისა- გან დიდი ტალაქი დაზილეს. სიამარად ლაშქართა კიდურსა დგა. ჯანგასს შორით დაინაჱა და უყვილა, ვითა: ჭე, საკელოვანო და გულოვანო, რასა სდგა ერთსა ადგილსა: მამაცობითა შენი საკელი კელმწიფეთა წინაშე განთქმულა. და ქალუბსა ეგრე უთხრა: არწივმან მართევმან მართლისა გზისაგან გული ნუ შემი- კირნე. გექმნებთს შენ სიამოვნითა ფრინვილი და ნუ ტვირთი აიკიდე, ამა კირი, თუ საომარად მოსულქარ, რაცა გედებოდეს, მოიჭირე, თუ არა, მამაჯაცობისა აბჯარსა ნუ ჩაიცვამ.

ამა საუბრისაგან სიამარდს ერთობ შერცხვინდა, მოიწვდა აღმასის მსგზავ- სი კმალი. რა ბანგიჯასს მუზარდისა ზედა დაქრა და გაუტეკა, თავი წერილად დაუჩეხა. მერმე ზარბანუქ რა ისი დაინახა, შემოვიდა მოედანსა შიგან, ამოიღო მძიმე ლაქტი, დაქრა გურდასს ზურგსა ზედა და ცხენსა ზედა, წელი მოსტეკა. და ის ორნი გულოვანნი ფალავანნი ორნივე დაიკოცნეს.

რა ორთა დათა ისი ორნი ძმანი დაკოცილნი ნაქეს, ერთობ გაიქარ- ნეს და გაგულისდეს. ლაქტები დაყარეს და ელვარე კლმები მოიწოდეს და სა- კელდდებულთა ლაშქართაგან შეუტივეს. და მერად ურთიხეი ერანელთა ლაშ- ქართაგან დაკოცეს, იმ ღლე და ღამე ოთხი ათასი გულოვანი კაცი მოკლეს იმ ორთა დათა. და კიდევ ერთკელად შეუტივეს. მიუქდეს ქალნი, გმირნი ვითა გააგეს რაზმი, ერანელთა შიგან გაერივნეს.

სიამარად, რა დაინაჱა ქალნი კმალ მოწვდილნი, უკანა დაედევნა და, სადაცა უკან მოეწეოდა, შეებმოდა. ერთობილი მთა და მინდორი და ღელე დაკოცილთა მკვდრითა აივსო. საღამომდის კიდევ ისრე ერთმანერთსა ეომნეს. მას ღამეცა ყოლე არა მოისვენეს ლაშქართა და ქალთა. მერმე გარემო შემოერტყნეს.

რა იგაც ღამე გათენდა, კვლავე შეიბნეს და შუალამმდისი ასრე იომეს, რომე სიცოცხლისაგან ყველასა პირი ყალივითა გაუქდა. ყველასა თვალთაგან წყარო ვითა ცრემლი სდიოდა. და მძიმისა მუზარდისა და ჯაჭვისაგან და ბეგთა-

რისაგან ქალთა გზა დაეკარგეს და ლაშქართა შუა შემოიძწყედეს. ეტლმან და ეამმან წესითა გამოზარდნა და საბოლოოთ, ყაყარონ[ი]ვითა, მიწასა დაანთქა და მათსა კელსა შიგან აღარა იყო. და მოიღალოდეს, ცხენისაგან ჩამოკდეს და ტალატთა შიგან ერთეცნ გავიდეს და ერთმანერთსა ზურგი მიაკრეს, და ძლიერი მშვილდი აღმოიღეს და დაიწყეს ისრისა სროლა. და ქალნი მრავალსა ადგილსა დაკოდნეს. მათი საროსა მსგზავსი ტანი მიწასა ზედან დაეცა და თავით ფერკამდისინ სისხლითა შესვარული იყვნენ, ასრე რომე ბროლისა ჳიქასა შიგან წითელი ღვინო ჩაასკას, ისრე შედებულ იყვნეს, და ძალი აღარა ქონდათ. სულლებით და უჩუპრად ერთსა ადგილსა ჩასკდეს. მერმე თავსა ეგრე უთხრეს: *მე, უკუღმართო ეტლო და ბედო, რაცა შენგან მომავალია, კაცი ვერსად წავივა. მერმე სიამარად და ერანელნი ფალავანნი ყველანი დაქვეითდეს და ქალთა წინაშე მოვიდეს. და თავი მიწასა დასდევს და მიწასა აკოცეს. მერმე ლაშქართა უკუტეცსმან ამირსპასალარმან სიამარად და ლაშქართა ქალთა ეგრე მოაკენეს: ესე საქმე თქვენ ნუ გეწყინების და ჩვენგან საწყინარსა და წყენასა გულსა შიგან ნუ ჩაითხრობთ. ესე საქმე სატელისა მძებნელსა ყველასა მიკედების, სოფელი არავის გასთავებია.*

მერმე ცხენნი მოუყვანნეს და ორნივე ცხენსა ზედა შესკნეს და წამსავე კელმწიფესა წინაშე მაკარბელი გაგზავნეს და ესე მოაკსენნეს, ვითა: *თქვენნი მტერნი რაგვარ თქვენ გეპრიანების, აგრე შევიპყრებით და ავსა ბედსა შეესწრნეს. მაგრამ ჩვენთა ლაშქართაგან დიდნი ფალავანნი და სატელდებულნი კაცი დაკოცნეს და სულ ავ-კარგად ექვსასი ათასი კაცი მოგვიკლეს ამ ორთა ქალთა დია დაშვრენე და დაიღლენე. შიმშილმან და წყურვილმან ძალა უყუთა. სამი დღე და დამე მოუესვენებლივ უღომათ. მეტად მიშვირდათ და იარაღი აღარა შერჩათ რა, თვარამ ჰაგათა შეპყრობა და მორევენა მთერალთა ბაბრთაც არა შეეძლოთ და მრავალს ალაგსაც დაიკოდნენ.*

რა კელმწიფემან ბაამან მათი შეპყრობა გაიგონა, დაბადებულმან დამბადებელსა მადლო მოაკსენა და პირი მიწასა დასდვა. წამსავე სიამარად ფალავანსა წინაშე კაცი გაგზავნა და ესე შესთვალა: *ფალავანო, მანდავე იყავ. სადამდის ჩემი გამზარდელი ფარსი მოვიდოდეს თქვენსა წინაშე. მერმე უმიზეზოდ ქალნი ამას დაათვალენ. მერმე ფარსი თიცხლად მწიგნობარსა უკანა წაუყენა და ათასი კაცი თანა წაატანა და ესე უბრძანა: რას წამს მიკვიდე, დაიპყრნენ ქალნი და ამა წამსა აქა მომგვარენ.*

მივიდა ფარსი, მასვე წამსა დაიპყრნა ქალნი და ორთავე ბორკილნი შეუყარნა ბროლის მსგზავსთა ფერქთა და თიცხლად ბაამანს წინაშე მისკნა ეგვთნინი. რა ზალომან დანიანა, ზე აღვა და ორნივე კელნი თავსა იყრნა და ამას მოსთქმიდა: *მე, ბედ-უბედურო, ბერო დასტან, რომე შენ ზედა ესე ყველა უბედურობა მომავალი იყო და ავი საქმე. შვილისა სიკვდილისა სიმწარე ისი ყველაი დავლიე და ის ყველა ავი ეამი მოვიწაქე. მე, დამბადებელო ცათა და ქვეყანისაო, შემიწყალე და შემიბრალე, და ჩემი სული მიითვალე. მას აქათ, რომე ჩემთა ფალავანთა და გულოვანთა სიკვდილი მოვიწახე, მას აქათ მე საცოცხლეოდ აღარა ვარგი ვარ. და დიდსა ტირილისა და მოთქმისაგან რომე ზაალ ტიროდა, ერთობილთა ლაშქართა შიგან ტირილი და ზაკილი შეიქნა. რა ესე ტირილი და ზაკილი ყუნჯის კელმწიფემან თუნდუბარ გაიგონა. ტირილისა და თავსა ცემისაგან საწუთრო, ტახტი და დიდება მისსა თეაღსა შიგან აღარ მოსწონდა, მოსთქ-*

შიდა და ორნივე თვალნი გაზაფხულისა ღრუბელთა წვიმითა სავსესა დაემსგზავსა. მეორესა დღესა შეეკაზმა კელმწიფე თუნდუბარ და საწუთროსა კელმწიფესა ბაამანს წინაშე მივიდა. მერმე კელმწიფემან ბაამან ჯიმაზს ეგრე უბრძანა: ადგე და საბატოთა ლაშქართა ყანუჩისა კელმწიფესა მიეგებე. მერმე შანშე ო[ქ]როსა ტაქტსა ზედან დაჭდა და პირი ელვა ვითა უბრწყინვიდა. და ოქროს სარტყლოსნითა რაზმი დააწყვეს და ქუდი და ტანისამოსი ყველასა ოქროსა მოეკაზმა.

რა ყანოჩისა კელმწიფე ბაამანისა ტაქტისა სიახლოესა მივიდა, სამჯერ ეთაყვანა და მიწასა აყოცა. მერმე კელმწიფემან ბაამან ტახტისაგან ადგა, და ჩამოვიდა და ყანუჩისა კელმწიფესა კელსა მოეკიდა, ტაქტსა ზედა წინა დაისვა. მერმე კელმწიფემან თუნდუბარ ორი პატარა წითელი იაგუნი ამოიღო და ბაამან კელმწიფის წინ დადვა, თუ სთქვა, მზისა შუქმან ვითა საწუთრო გაანათლა. მერმე საწუთროსა კელმწიფესა ეგრე მოაკსენა: შე, შარიარო, ვინთაგან მტერთა ნებასა ეწივე და ყოველი მიწისა პირი თქვენისად ნებისად იქმნა, ამა მინდორსა შიგან რადლა ზიკარ, ერთხელ ჩემი ქალაქი გაახარე, ორსაოდენ კვირასა თქვენსა წინაშე მიუძღვე და ერთგან გამოვიხვენოთ. ეგების თქვენი თა წყალობითა და მანდა მოსვლითა ჩემი ქალაქი აშენდეს.

აქა ყანუჩის კელმწიფის თუნდუბარისაგან ბაამანისა წვევა და პირმთვარისა ასულისა შერთვა და ქორწილი

ხელმწიფემან რა მისი გული შეიგნა, დაუჯერა და გაეპართა და ყანუჩ ქალაქსა წავიდა. რა ქალაქად შევიდა, კელმწიფეს ერთობ მოეწონა და ესე ბრძანა: არა მინაკავს ამისთანა მკიარული გამოსასვენო ქალაქი. ვრცელი იყო და სამოთხისა მსგზავსი, სავსე ვარდითა და წალკოტეებითა, შეენიერითა წყაროებითა. ასეთი დარბაზოვანი ედგა, რომე თავი ცასა მოსდგომოდა სიმაღლითა. დარბაზთა შუა ერთი ოქროსა ტაქტი იდგა, ფერად-ფერადითა პატროსნითა თვალითა და მარგალიტითა მოკაზმული. მივიდა კელმწიფე ბაამან და მას ტაქტსა ზედან დაჭდა. მასვე წამსა თუნდუბარ კელმწიფისა ასული დარბაზისა კართა შევიდა. სიარულითა კაკაბსა ტევანდა და ტანითა საროსა მსგზავსი იყო. ორისავ პირის ყვრიმალი კაბისა სისხლითა შეღებულსა უგვანდა. ისი მისი დარბაზი მისისა სიმშვენიერითა და მისისა სიკეთითა განათლებულ იყო და ორთა თორიქისა მსგზავსთა თვალთაგან ერთობილი ასრე დაშვენებულ იყო. ოქრო ქსოვილისა, სტავრისა და ტანისამოსისაგან ერთობილი მისი ტანი, თუ სთქვა, ოქროსა გვანდა. ერთობილი თავსახურავი და შუბლის საკრავი თვალმარგალიტითა მოკაზმული იყო, ერთობილი მისი ტანი შავისა ამბრისა ფერთა შემოსილი იყო. ათი სეფე ქალი, მისი საკადრისი, უკან მოყვებოდა. მოვიდა კელმწიფესა ბაამანს წინაშე, მიწასა აყოცა.

რა ბაამან კელმწიფემან ქალისა ისეთი საროსა მსგზავსი ტანი, გიშრისა ფერთა თმითა შემოსილი ნაქა, კუუთაგან გარდაჭდა და უცნობლად შეიქნა, რა ქალისა პირისა სიტურფე და თვალთა და წამწამთა სიმშვენიერე ნაქა, მისისა გულისა ცეცხლი, თუ სთქვა, თავისა თხემსა გაუვიდა. მასვე წამსა პურისა მიღება უბრძანა. რაგვარიც მას ეკადრებოდა, ეგეთი პური მიიღეს. მერმე მეღვი-

ნეთა ღვინისა მიღება უბრძანა. მეღვინეთა ღვინო მიაყარეს, ლაშქარნი აღგეს და გაიყარნეს.

შერამე თვით კელმწიფე ბაამან და კელმწიფე თუნდუბარ მარტონი დარჩეს და ქალი მათ წინაშე. და მომღერალნი და მეჩანგენი წინა მოისკნეს. თუ კაცსა ნადიმი და ღვინის სმა უნდოდეს, აგრე სვან, რომე მათ სვეს, თვარა ესე უპირიანი, რომე არა სვან. კაცსა კჳუასა ღვინისა სმა შეუცვლის და მოკლავს.

რა ღვინისა სმა განმრავლდა და დათვრნეს, სირცხვილისა ფარდაგნი კელმწიფემან ბაამან პირისაგან მოიქადა. შერამე თუნდუბარ კელმწიფესა ეგრე მოაქსენა: ჩემსა გულსა ესე შენი ასული უნდა. მე მაძეც შენი ასული...

არაგის მოუსვენებ, მანამდის როსტომის სამკვიდრებელსა და სამანდურ ქალაქსა არ მივალ, მათსა სამაროვანსა არ დაეწეავ, და თქვენცა ამასა გნუჟავ, რომე გაისარჩნეთ და წამოკვიდეთ, გზა და ასრე ყველა უკეთ იცით.

რა თუნდაბურ კელმწიფემან გაიგონა, დია დანაღვლიანდა და ეწყინა. შერამე ეგრე მოაქსენა: ჭე, საკელოვანო კელმწიფეო, თუ ამა გზასა წაქვალთ, ლაშქარნი დაზიანდებიან და დაგეკოცებიან. შენთა მტერთა მორავეიქარ, თქვენსა საქმე თქვენად ნებისად ქნია, თქვენ ამა გზასა წასვლა რაღდა გმართებს. ამა გზისა ამბავსა და ნიშანსა მე მოგაკსენებთ. კუთითა ფარსანგითა რა ამა გზასა გავეშორებით და სამოცი ფარსანგი ასეთი გზა არის, რომე ყველა უკაცური არის და უდაბნო ურწყული და ქვიშნარიანი. წყალი არ იპოების და არცა საძოვარი და, თუ ამას მშვიდობით გარდავიართ, შერამე ძნელი კლდენი დაგეიკვდებიან. რა მათთა ზედა მზე შემოდგების, ვითა ცეცხლი, გაჭურდების და, რაცა მფრინველი მას დროსა გარდაიფრენს, მასვე წამსა დაიწევის და ჩამოვარდების. და თუ მას მშვიდობით გარდავალთ, სხვა მთა არის, დიდროვანთა ვუტკრითა და ბზიკითა სავსე. და ძირსა ოთხი მილიონი ლელე არის, ყველაი თაფლითა სავსე. და თუ სადმე სპილონი და ლომნი მივლენ, მასვე წამსა წააქცევენ ბზიკნი და მოკვლენ. და რა ამას გარდავიართ, ზღვა დაგვეკვდების. ისი ასრე აღუდგების, რომე დიდროვანთა მალღათა მათთა გარდაღინების. იგი სავსე არის ნიანგითა, ვეშაპითა და მეომართა ყოვლისთანითა თევზითა. რა ორსა დღესა კომადლსა აღვა-მალღებთ, ზღვა ასეთსა ოხვრასა შეიქს, რომე ასეთი კმა გამოვა, კაცსა კჳუანი წაუქვლენ.

რა მას გავიართ, ერთსა მათსა ასეთსა ვნაქავთ, ყოვლისა თანითა კილნარითა სავსე არის და მას შინა თაფალნი კაცნი სხენან. ტანი კაცისა აქეს, პირი ძაღლისა. ასრე მალენი არიან, რომე ქარი ვითა მიეწევის კაცსა. რა მასცა გარდავიართ, ერთისა თვისა სავალსა წყლიანთა ლელეთა უნდა სიარული. შერამე მას იქით ერთი მთა არის, ასეთი რომე სიმაღლითა თავი ღრუბელთა მიუწვდების. მას გარემო ასეთნი მაცთურნი და გრძნეულნი სხენან, რომე ზღვასა ამოაშრობენ და კჳელსა სულითა ცეცხლებარ დასწვენ და ზაფქულსა, როდესაცა ურჩევნია, თოვლსა მოიყვანენ და ურჩევიან, კაცსა სიცივითა დასწვენ. და ლომსა და პილოსა მოსწამლენ და ასეთსა რასმე შეულოცვენ, რომე ჰანგსა წაყრდინებენ. არჩევსა ჰაერთა ჩამოიყვანენ და ერთმანერთსა მქნელობასა და კელოვნებასა უჩვენებენ. მათგანი მკედარი არაგის უნაქავს. ზოგი თავსა ვეფჯად და ლომად შეიქს, და ზოგი ვეშაად და ნიანგად და პილოდ ეჩვენების კაცთა ცეცხლად. და ამ მილიონსა მშვიდობით გარდავიართ, ერთი ქალაქი დაგვეკვდების. მას შინა ასეთნი კაცნი არიან, რომე ყველასა პირი ღვედისა აქეს, ერთობ გულოვანნი და

შეძლებულნი არიან. ომისა ეჰმსა ცასა ქვეყანასა ზედა დასცემენ და ზღვათა ზედა, ვითა ქმელთა, რბიან და არცა ფერკი დაუსოლდების. ტანისამოსსა არა ჩაიკენ, ლახტისა და შუბისაგან არა შეშინდებიან და, თუმცა მათ ქმელეთი იცოდენ, მათ არა ადგილი დაურჩების, რომე ყოველგან არ მივიდენ. მათ ესე არა გონია, ქვეყანა და სოფელი მათის სამეფოს მეტი არა არის. და კაცნი პირ-პეტყველნი მათი მეტნი არა დაუბადებია.

რა მას გარდავიართ,¹ სხვას სათემოჲსა მიკვალთ, ასეთსა რომე მას ქალაქსა შიგან ასეთი კაცნი დაგვედებიან, რომე მამათა და დედათა ყველასა ყურნი ორ-ხუას უგავსთ და, რა ამა ქვეყანისა კაცთა ნაქვენ, უკკოდ და უცნობოდ დაქდებიან კაცნი. რა მოგაკენო, საქელოვანო კელმწიფეო, ოდეს დაწვეებიან, ერთსა ყურსა ქვეშ ვაიშლიან და ერთსა ზედა დაიბურვენ. მათ ყურის მეტი ტანისამოსი არა აცვიათ. ომისა ეჰმსა მათ წინა არავინ დაუდგების. რა მათ გარდავილით, როსტომის საფლავამდის ხუთი ფარსანგი სხვა ძეს. კელმწიფეო, ვაი, თუ ჭირნი ცუდად წაქდენ.

მერმე სახელოვანმან კელმწიფემან ბაამან ეგრე მოაკსენა: მაგისთანას საქმისათვის ნუ შეიჭირებთ. თუ თქვენ წამოსვლა არ გწადიან, ამა ჩემთა ლაშქართა გულსა ნუ გაუტეკ, საწუთროსა დამბადებელი ღმერთი ჩემი არის.

მერმე ჩამასპს უბრძანა: ამა ჩემთა ლაშქართა შერჩეული ფალავნები გამო-არჩიე. მასვე წამსა გიმაზ ორმოცი ათასი საქელოვანი მეომარი გამოარჩიე და სხვა ლაშქარი ყანუჩ ქალაქსა დაყარა; ოცდაათსა ათასსა აქლემსა სასმელ-საქმელი და ნუზლი აკიდეს და ორნივე კელმწიფენი ქალაქით გამოვიდეს, სამი ფარსანგი იარეს.

აქა ბარზინით ზღვით გამოსვლა და ბაამან კელმწიფისაგან მოლორება და ჯელთა შეპყრობა

ბარზინის საქმე მოგაკსენოთ. მაშინ როდეს ზაალს და ფარემუზს ებრძოდა, მაშინ ფარემუზს სიზმარი ეზმანა და შეიგნა, რომე მათი საქმე ავად მოქდებოდა და მათი საჯლი ამოსწყდებოდა. ერთი ლომგული პილოტანი ვაჟი ყვანდა. იგი ვაჟი გამზრდელისა კელითა ზღვასა იქით ვაგზავენა და აქამდის იქ იყო და იზრდებოდა. მამისა და პაპისა ამბავსა იკითხევდა. რაგვარაა ცა მოიწიფა, ნავში ჩაქდა და ზღვაში შემოვიდა. თუ ვინმე შემოეყარის, მამისა ანბავსა და ლაშქარსა იკითხებდა.

მაშინ ოდეს ყუნჯი ქალაქიდაღმან ბაამან წავიდა როსტომისა სასაფლაოსა ზედა, და ზღვისა პირსა მივიდეს, და ორნი ღიდროანნი ნავნი ნაქნეს მიმავალნი. ერანელთა კელმწიფემან აზვა-ფაროზი ახმობინა, რომე მონაქული და ილათიანი კაცი იყო, უბრძანა: წადი და შეიგენ, ვინ არიან, სად მიდიან. აზვა-ფარამან ორნი ტიკნი წაიტანა, შექდა ცხენსა და წავიდა. რა სიაკლოვეს მივიდა, ცხენისაგან ჩამოქდა და ტიკნი დაბერნა და საგდებლითა ერთგან შეკრნა, და შუა ჩაქდა და ფრთოსანი ვითა წავიდა. რა ახლოს მივიდა, ორნივე ნავნი კაცითა და საქონლითა საცხე იყო. მას შიგან ერთი აქალი მოწიფული, ფალავანი პილოტანი, დაწვევარდ ვაჟი იქდა მას ნავსა შიგან და ლაშქარნი რაზმად წინ უდგეს. და მენავეთა კითხა: ისი მალალი თავადი ვინ არის. მენავემ ეგრე უთხრა: ის ფალავნისა

¹ გარდოსათ.

ფარემუზის შვილი არის, ფალავანი ბარზინ, რომელსა არა ცეცხლისაგან ეშინიან და არცა ზღვისაგან [და არცა] უბედურისა ბაამისაგან, ლაშქრითა მისსა მამასა ზედან მისელად და მისსა საშველლად მივა. რა მან კლათიანმან კაცმან მენავისაგან ესე გაიგონა, გულსა შიგან ვითა მოკვდა, თვით თავადსა ბარზინს წინაშე მივიდა, შიშითა სული უთრთოდა, ესეთი კლათი და ილათი მოიგონა, წადგა და ბარზინ დალოცა. ეგრე მოაქსენა: ჭე, ფალავანო და ფალავნისა ნაშობო, ღმერთმან შენ დღეს დიდი დოვლათი მოგცა და გამარჯვება. მე სამახარობლო მიბოძე, ფალავანი მამა თქვენი მტერთა შოგერია და მოსწყვიტნა. აწე საკელოვანი, გამარჯვებული მისთა ფალავანთა გვერდსა ზის. ღმერთმან შენ საწადელი აღგისრულა, ადრე მამისა ნაკეასა ელიოსე. მაღალმან ზღადარმან გაიგონა. ღმერთსა დიდი მადლი მოაქსენა. ეზომი ხანი არის, მას ევებებ. ესე შესმა, ვითა: ფარემუზ გარდმოკვეწილი იარებისო. მას ეაჰსა გაეკარნეს ბარზინს და გული დაედგა და მას კაცსა დიდი საბოძეარი უბოძა. და კარგი ტანისამოსითა და ქუდიითა შემოსა. მან კაცმან ასრე მოაქსენა, ვითა: იქით ნუ დაიძვრით. მე გავალ და მამასა თქვენსა ეახარებ და მისგანცა სამაქარობლოს ავიღებ. თქვენსა ნიშანსა მოვაქსენებ. და მას მართალი ეგონა. მაღორებელმან¹ მათვე ტრეთა შუა ჩაქდა, ქარი ვითა წამოვიდა და იგი ფალავანი ტყუელითა მოაღორკვა. უნდოდა ყველაი მართლისა მსგზავსად მოაქსენა. მრავალი კაცი სიცრუეთ და ტყუელით ადრე მოღორკდების. ყოვლისა ცოდვისა თავი ტყუელი არის.

რა ესე მაღორებელი კაცი ბაამანს წინაშე მოვიდა, გაიცინა და კელმწიფესა ქება შეასტა, ვითა: საწყურთო ნიადაგმცა შენსა ნებასა ზედან არის. შენთამცა მტერთა თავი და ტანი ნიადაგ თქვენთა ფერკთა ქვეშე არი. ზღვასა შიგან ერთი ნიანგისა მსგზავსი გამოჩენილა. შეგვედენ და პირისა საკე შემეცეალა. ნიშანი ესე არის, რომე საკელად ბარზინ ქვიან და ერთი აშო ანბავი მოგაქსენო. თუ იგი კაცი კმელთა ზედა გამოვიდოდა, შენთა სპათა ვეშაპივითა შთანთქმიდა. ფარემუზის შვილი არის. ბედნიერი შვილი მამისა აშბისა შესაგებლად და საშველლად მოსულა². ასმია, რომე თქვენგან გარდაკვეწილა. ერთი ბადე ასეთი დაუდგი, რომე უკერკიანესი არა ეგებოდა. დიადი ამო და ტბილი საუბარი მრავალი მოვაქსენე და ესეცა მოვაქსენე, ვითა: ესე ურიცხვი ლაშქარი საკელოვანისა ფარემუზისა არის და შენ, აქვე დადგე, მოვალ მამისა შენისა წინაშე და სამახარობლოსა ვთხოვ. ასრე ვერა გიჩვენებ, რომე მამამან შენმან არა მომცეს რა. მასვე წამსა კელმწიფემან კიდევე დააბრუნე და ესე უბრძანა: წადი, ნოაქსენე, ვითა: ჭე, სახელოვანო მეომარო. რა შენი ანბავი მიესსა მამასა შენსა ფარემუზს, ბაგეთა გაიკარნეს და გ[ა]იციუნეს და, თუ სთქვა, მკვლარი გამოცოცხლდა.

რა ესე მოციქულობა უამბო და უბრძანა კელმწიფემან, მერმე ესე უბრძანა: ესეცა მოაქსენე, რა შენი საკელი მოესმა, ცეცხლი ვითა აკლტა, კელთა ღვინო ევირა, ცხენსა შეჭდომას ლამოდა, შექცდა და ერთობილინი ერანელინი სპანი ლაშქარნი მას თანა შესტდეს და შენისა მისვლისათჳთ თვალი გზაზე აქუს.

აღგა მოციქული და ფარემუზისა შვილთანა მივიდა წინაშე და ესე მოციქულობა მოაქსენა ყველა მისებრად. რა აჰა მაღორებელისა კაცისაგან ესე ანბავი გაიგონა, ასრე გაქდა, რომე მისსა გულსა შიგან დღომისა ღონე აღარ იყო. ზღვისაგან კმელად გამოვიდა. მასვე წამსა ბაამანის ლაშქარი და ფალავნები გარე

¹ მაღორებელმან. ² მოსულა.

შემოერთყა. მერმე ფარემუზისა შეილმან მალორებელსა კაცსა აგრე უთხრა — ამან ლაშქართა უთხრა, რომე ერთკენ გარდადგეს—მე მამაჩემი არა მინაკავს, შვიილე და კელს ვაკოცო. მიჩვენენ ამა ლაშქართა შიგან მამაჩემი რომელი არის, კვლა არა მინაკავს და ცნობა არა მაქვს.

მერმე მალორებელმან ლაშქარი ერთკენ დააყენა და თითითა კელმწიფე უჩვენა, ვითა: ეგე არის ფარემუზ და კელთა ღვინისა ჭიქა აქვს, რომე შავს რასხსა ცხენსა ზის. მერმე კელმწიფემან ბაამან შორით ფალავანსა შეხედნა, შეეშინა, რომე მისი სახე და ტანისამოსი და სიმაღლე დაინახა, ათრთოლდა გაზაფხულისა ყვავილი ვითა და ესე ბრძანა, თუ ესე მამისა თანა გაზრდილიყო, ჰომელიცა სპა და ან ფალავანი დაუდგებოდა წინა. რა უფრო აკლოს მოვიდა ვაჟი და ცხენისაგან ჩაპოკდა, რომე მამისა წინა მიწასა აყოცა და დადრკა, ფიცხლავ კელთა შეიპყრეს. რა ბარზინ სცნა, რომ ღალატი იყო, მოკრა ლაქტს კელი, ათასი მემარ[ი] გულოვან[ი] ფალავანი კაცი მოკლა. კელმწიფემ ცხენი გარდოქლტუნა და დაიძაჭა: დაჭირების დღე ეს არისო, ეგე დაიჭირეთ და ქაზინას თქვენთვის კარს ღიას შეეიქო. რაც ლაშქარი იყო, მთლივ ზედ მიდგა. მანამ ლაქტი არ გაუტყდა, კი ვერ შეიპყრეს და რა ლახტი გაუტყდა, მისცივიდენ მგლებივით და შეიპყრეს. მაგრა საგდებლით დაიჭირეს.

აქა ბარზინისა შეპყრობა ბაამანისაგან ღალატად

რა დიდის მოჭირვებით და ომით წელი საგდებლითა შეუპყრეს, დასცეს ფერქთაგან მალალი სარო და ორნივე მქარნიც შეუპყრეს მაგრად. ჭკვიანთა ნათქომი არის: თევზი ვითა მეჩვენების გული წყალთა შიგან და, იგავსა შიგან იტყვის: ერთი გულოვანი ლომი წალკოტსა შიგან იყო. ერთსა დღესა ნადირისათვის მივიდოდა. ანასდელულად მელი შემოეყარა. დიდსა კანსა ლომსა წინა გორვიდა. მერმე ლომსა ეგრე უთხრა: მე, გულოვანო, შარიარო, მე შენთვის ერთი ნადირი შევიპყარ, კარგი და მსუქანი, უძველო კურდღელი, მისთვის რომე საჭმელსა უკანით გვარიშითა და საწებლითა გექამა. ფური ლომი შემომეყარა. იგი კურდღელი კელითა წამართვა. დიადჭერ შევტირე და ასრე მოვაქსენე, ვითა: ესე კელმწიფისათვის საძლნოდ მინდა და მისი ჰაკადრისი; და ნუ წამიღებ. შენცა ბევრი გაგინა და მეც დიდად გამიწყრა. და ტიროდა მელი. მერმე კიდევ მელმა მოაქსენა: მე, გულოვანო, მე იმა ფურისა ლომისაგან ერთობ შემეშინა. აწ შენ მქართა შიგან დამიჭირე და მივიდეთ, იმა ლომისა ბუდეთა სამყოფთა მე გიჩვენებ. მელისა საუბარსა ზედან ლომი დია გამქიარულდა და დაუმაღლა. აიყვანა მელი, კისერზე შეისო, და მელმან ლომი წაიყვანა და ერთისა ჭისა პირსა წააყენა, უკბინა მელმან კისერსა ზედა, ლომი წაქლტა და ჭასა შოგან ჩავარდა და ნადირნი შექმისაგან მოარჩინა. აწე ბარზუსა¹ ისრე უყო მალორებელმან კაცმან და ბორკილში ჩააგდო. და ბაამან კელმწიფე მისის კელით მოარჩინა და იგი ჭირსა და შეჭირვებასა ჩააგდო, და ლაშქარნი დაიცივნა უფალმან მისის კელისაგან.

¹ ტექსტში ბარზინის ნაცულად ზოგჯერ ბარზუ იკითხება. იგი ბარზინის შეკვეცილი ფორმაა.

აქა კელმწიფისა ბაამანისაგან როსტომის საფლაგზე წასვლა

ბაამან ზალდასტანისა საკლისა და ნათესავისა საქმე დაასრულა. როსტომის საფლაგსა ზედან მისვლა მოიგონა, მისთა საფლაგთა დაწვა. დღესა ერთსა ჟიმაზსა კითხა და ყანუჩისა კელმწიფისა თუნდურს, ვითა: აწ ესე მინდა, როსტომის საფლაგსა ზედა მივიდე, და მისი დაწვა და აოხრება მინდა. და აწე ესე მოთხარით, თუ რომლით გზით წავიდეთ და გვემართნეთ.

ჟიმაზ ეგრე მოაქენა, ვითა: ერთი მოკლე გზა არის, მაგრამ იმა გზით არა წაისვლებს, რომე ზაალმან რომე ზაულისტანსა გარე ბირკი მოუყარია, ფაშოთანის ლაშქარი ამოსწყეიტა, მისთანავე ბირკი მოუყარათა მას გზასა. ასრე კშირად, რომე არსით არ შეისვლებს და სრულად ლაშქარი ამოსწყეიდეს. სკვა გზა არის, ერთობ გრძელი და საქირო და უცხო თესლნი ქვეყანანი საეალნი მკეცთა და ბზიკთა. მათკენ ბრძანა კელმწიფემ ბაამან, მუნით ბრძანა ვატანა ბარგისა და ჯამძიმრისა. მინდორად გაიღეს.

დილასა კრეს ქოსსა და ნალარასა და გაეპართნეს. ერთსა უკაცურსა, მალნარსა მთისა ძირსა მივიდეს, რომე გველთა და მკეცთაგან არა გაივლებოდა. კელმწიფემან ეგრე მოაქენა ჟიმაზს: თუ რა ღონე მოუგეაროთ. ჟიმაზ ეგრე მოაქენა: ამის ღონესა მოვაგეარებ. გამოვიდა და, რაც ლაშქართა ქორგი, ნალარა. ყვიროსტიერი, ძროხაკული და სპილენძქური იყო, ყველა კელმწიფისა წინა მოაღებინა. მეორესა დღესა ესე ყველა საკრავი წინა გაიმძღვანეს, მოვიდეს მის შთისა ძირსა და ასეთი ქოსისა კმა შეიქნა, რომე ყურთა არა ისმოდა რა. ერთი ასეთი კმა ისმოდა, მკეცთა ყველამან ზურგი აქციეს. და გაიარეს იგი მინდორი მალნარი და სხვასა უდაბურისა შთისა ძირსა მივიდეს, ასეთსა რომე ფუტკრითა და ბზიკთაგან არა შეისვლებოდა. მას მთასა ცეცხლი მოუღვეს და ასეთი თაფლისა წყალი გაეიდა, რომე მის თაფლისაგან სრული მინდორი ზღვა ვითა დღევინდა და ბზიკი და ფუტკარი გაეცალა. და იგი მთა ამა წესითა გარდაიარეს. მერმე ერთსა უცხოსა ქვეყანასა მივიდეს, რომე უცხონი კაცნი იყენეს და ღვედკაცობით უქმობდეს. მათნი უქუცენსი შეიყარნეს და ვიწროსა ადგილსა გარდაუდგეს. კელმწიფემან კაცნი მიაყვანინა, რომე მათი ენა ესმოდა. და იგი კაცი გაუგზავნა და ესე შეუთვალა, ვითა: თქვენი მანუყინარი არა ვარ, მას ადგილსა მივალ. მრავალი განძი და საქონელი გაუგზავნა. მათ გზა მისცეს და გაიარნეს.

ერთსა სხვასა ადგილსა მივიდეს, რომე უცხო თესლნი კაცნი იყენეს. ყურნი ორხუასავით ესხნეს, ასეთი რომე კოჭთამდის ჩასწვდებოდის. მათი კელმწიფე ერთობ დიდი ძალითა ლაშქრითა იყო. იგი შეიყარა და წინა დაუდგა. ერთი კაცი იყო, რომ მას მათი ენა ესმოდა. იგი გაგზავნა და ტყბილი საუბარი შეუთვალა, და ესე შესთვალა: თქვენად საწყენრად არ მოვსულვართ და არცარას თქვენთა თემთა და ქვეყანათა საწყენლად მოვალ. ჩემის მტრისა საფლაგზედ მივალ, ჩემგან განძი და საქონელი მიიართეთ და გზა მოგვეც და გავგიშვი, და ჩვენსა შეა მოყრობისა ზავი შევსენათ. ამა საუბრითა მოიღმობიერა და ერთობ კარგი საუბარი შეუთვალა, ბაამან კელმწიფემან გაუგზავნა ასი აქლემი საქონელი, ორმოცდაათი გარზანდუკი სტავრითა და ტანისამოსითა, და სკვა ფლურითა და თვალ-მარგალიტითა.

მერმე ლაშქართა გზა მისცეს და გაიარეს. ერთობილი მათი ჭალაბი ლაშქართა სანაჭავად გამოვიდეს, უქვრეტდეს. კელმწიფემან რა ისი ჭალაბი დაინაქა, ვაუკვირდა და თითი კბილთა შიგან დაიჩარა და ამას იტყოდა: *ჴე, წმინდაო*

დაშბადებელი, შენ ქარ დაშბადებელი ამა ყოველთა საკვირველთა სანაჯავთა და ყოველთა ფერად-ფერადთა ენათა შენ მისცემ, შენგან მადრიელი ვარ და შენ გმადლობ. რომე ესე უცხო თესლნი დამიმორჩილენ. კაცისაგან რომე მუშაკი-შვიტების, ამა მის თანა ერთი ყარყუმი მიართვეს, მერმე აღგნეს და გაემართნეს. და ორი დღე სხვა იარეს. ზღვასა შიგან და კმელსა შიგან გავიდეს. და ზღვისა პირსა კარვები დაადგეს. ხუთსა დღესა ნადიმად და გამოსვენებად დაყვეს.

მერმე ყანუჩისა კელმწიფესა კითხა: თუ აქათ როსტომის საფლავამდინ რა ზომისა დღისა საეალი არის. მან ეგრე მოაქსენა: სამი ფარსანგი საეალი სკვა არის, და ტალაქი, მინდორი და წყალი არის.

აქა კელმწიფე ბაამანისაგან სიზმრის ნახვა და შეშინება

ხელმწიფემან ბაამან დაიძინა და ქათმის ყიულისა ეამსა ანასდელულად სიზმარი ნაჯა და დაიძახა ერთობ მალლად. ჯიმაზ გაიგონა და ფიცხლად ახლტა და კელმწიფისა წინაშე მივიდა და ესრე მოაქსენა: შე, კელმწიფეო, რა იყო, რა გეზმანა. კელმწიფემან ეგრე უბძანა: შე, ყოველისა გზისა მეცნიერო, ერთი დიასაშინელი სიზმარი ვნაქე, საკვირველია თუ ჩემი რაგვარ არ იქცევის. სიზმარსა შიგან სამნი კელმწიფენი ვნაქეთ: ფრიდონ, ქაიგოსრო და სიაოშ, თვითოს-თვითოს ღვინისა კივა ეპირათ კელთა. სამთავე ერთო და დიდად მკიარულად იყვენეს და გზასა ზედა მიდიოდეს. მე ესე მოვაქსენე, თუ: სადა მიკვალო. მათ ეგრე მიითხრეს, ვითა: მეხუთისა სამოთხესა შიგან მივიდეთ. მე ეგრე მოვაქსენე: მეცათქვენთანა წამოვალ. მათ ეგრე მიპასუქეს, ვითა: უღლოთა ღვთისა სამოთხესა შიგან რა საქმე უც. შენ ამას ლამი, რომე მიკვიდე და მკედართა ძვლები დაწვა, ისეთთა რომე ძვალნი ჩვენთა სამსახურთა ქვეშე დაღწილნი აქვსთ და ჩვენსა სამსაქურსა ქვეშე დატოცილან. მერმე სიაოშ ეგრე მიითხრა, ვითა: იციო, და ერთი ძალიანი ლაქტი დამკრა თავში და აგრე მითქრა: არა შეკადრო რა მათსა სამარტოს, თვარემ ასეთსა ჩისკვასა მოგივლენს ღმერთი, რომე კანის მსგზავსად ძრწოლით იარო ქვეყანასა ზედა. ზალდასტანც შეიწყალე და მისი ნათესაენიც. თვარემ არცა შენ მოგასვენებენ და არც თვითონ. და იმ დაკვრას ზედა ესე სიტყვა რომ მიითხრა, თითო ლაქტი კიდევ მცეს სამთავე და იმ ნაკარვისაგან მე ესრე დავიკოდე.

ჯიმაზ ეგრე მოაქსენა: კელმწიფეო, დიადი გიშალე და არ მოიშალე. კელმწიფეო, ესე საქმე ბედნიერთა კელმწიფეთა საქმე არის, რომე ისეთთა ფალანთა და კელმწიფეთა ნამსახურისა ძვლები დაწვა. მე მოვაქსენე და არ დამიჭერე. აწე კელმწიფეო, ძილსა შიგან გეჩვენნეს და ამათ მოვაქსენეს. აწე თუ მე დამიჭერებ, ესე უპრიანიია, რომე დაბრუნდეთ და ამა საქმესა ჩამოეკსნათ. იყო, რომე ღმერთმან შეგინდოს და ავი აღარა გიყოს. მერმე კელმწიფემან ეგრე უბრძანა: ღმერთი მყავს მოწამედ ჩემზედა, და ყოველისა სულიერისა პატრონი და დამბადებელი, მე იმა მკედართა ძვლები აღარ დავსწვა. აწ მივალ და მათსა სამარტოსა ვემოხვევი და დიდსა ლოცვისა გარდავიკდი.

ჯიმაზ კელმწიფე დალოცა და ესე მოაქსენა: შე, მაღალო შარიერო, წმინდისა სულისა მკველო. ადგეს და მუნით როსტომის სამარტო დაინაქეს. რა სიაკლოესა მივიდეს, კელმწიფე და მისნი ლაშქარნი ჩამოკდეს. ერთი სამარტო ნაქეს საწუთროსა კელმწიფემან, რომე არაეის უნაქაქს იმათთან ნაქმარი, და სიტურ-

ფე და წალკოტითა და ფერად-ფერადითა ქეთა და ყველითა მშვენიერობა. გუმბათთა და კედელთა ნაშენები ყველაი სრულად მარმარილოთა იყო გაკეთებული.

აქა ჭელმწიფის ბაამანისაგან როსტომის სამარკოსა ზედან მისელა და მისი სინანული

ორი ფარსანგი როსტომის სამარკოსა სიფართე იყო და ათისა შუბისა სი-
მალუნეი კარნი ებნეს, შექნილი ბასრისა რკინისანი. ერთი მურასა ოქროსაგან
შექნილი ცხენი კარსა ზედან ება. ერთი გამოქატული კაციისა საყე მას ცხენსა
ზედა იქდა, კელთა მშვილი ქონდა და წელთა ისარნი ერტყნეს და, ეინცა იმა
კარისა სიაკლოვესა მივიდოდა, იგი ტილისმისა შექნილი ცხენი და კაცი ისარსა
შესტყორციდა და კაცსა მოკლევდა. ჭელმწიფემან ბაამან ყანუზისა ჭელმწიფესა
კითხა: ესე, რომე ჩანს, რა არის, ანუ ისა კაცი ვინ არის. მან ეგრე მოაქცენა:
შე, შარბარო, ამა კარის კლბე ისი კაცი არის, რომე ჩანს. ჩვენ მივიდეთ და ისი
კაცი ჩამოვადლოთ, და ოღესაც იმა კაცსა ჩამოვადებთ, ჩვენი მეომარი და მაწ-
ყინარი აღარავინ იქნების.

ერთსა დღესა ლაშქარი ყველაი შესკდა და მივიდეს. და ყველაჲან ქეთა ამა
ტილისმასა დაუშინეს და ჩამოვადეს ცხენიცა და ტილისმაცა. მას წამსა წერი-
ლად დაიღწეა. მერმე იგი იკითხა: რად ვის უქნია, რომე ასეთსა სეების პირსა
საკლსა მოკაზმულსა შიგან მიწა უყრია...

აქა გვარქასპის უფრო ფალავანი და ქვეიანი კაცი არა იყო, იგი რად მოშვე-
ლებია. მასევე წამსა ერთი მჭილეი მის მიწასა თანა აიღო, უალი მუშკი იყო,
სულ-წასული. მერმე ჩიმაზ შეკედნა, ერთი ტაქტი იღგა, მუშკითა საყე. მან
ტახტსა წინა მიდგა. ორი მეომარი ლომი იწეა ზედა, თვითო-თვითო ჭანდარათა
ქეთა ოღენი. ჭელმწიფემან ბაამან ფერტი წადგა ზედა. თუნდუბარ და ჩიმაზ
გვერდსა იახლნეს. პირველსა მკედარსა წინა რომე მივიდეს, პირსა საზურაენი
აქადნეს. ნახეს, ერთი ჭანდარიეთა მკედარი იწეა. თავმარგვალი, თეთრი, ორტყუ-
ბი წვერი, წელწერილი და მკერდფართო. თავსა ქეთი ერთი დაწერილი ფიცა-
რი ეღვა. აიღო და წაიკითხა და ზედან ეწერა: შე, სანდიერის შვილი ბაამან,
შე ესე შენი საქმე მაშინვე ვიცოდი, რა ჩვენი სანუფქო იყო ესე შენი საქმე.
თავსა გაუფრთხილდი, რომე საწუთროჲან არ მოგადლორს. სამოლოოდ სამყოფი
ადგილი ეს არის. მე შეიდას ოცდაათისა წლისა კაცი ვიყავ, ჩემი საკელი ჩემი
ქმალი, ლაქტი და შუბი იყო. საბერძნეთს როდესაც შევები, ჩემზედა შეიდასი
ათასი მეომარი კაცი მოვიდა. შევები და ყველა ერთმირად ამოვსწუვიტე და
გარდაეკეეწე და გაეკციენ. მათნი ცოლნი და დედაწულნი დაყარნეს და
აგეთნი გარდაიკეეწნეს. მერმე, სარანდილ ქალაქით რომე ლაშქარი მოვიდა ჩემ-
ზედა, ეზომი იყო, რომე მინდორსა შიგან ტევენა არ იყო, ათასჯერ ათასი კაცი
უფრო იყო. თორმეტი ათასი მეომარი სპილო იაკლა. რაზმისა ეამსა მფრინველი
ვითა ფრინვიდეს. რა სამასისა ლიტრისა ლაქტი კელთა ავიღე, და ჩემი ცხენი
გავაქენე და ლაქტი მოუქნიე, სრული ლაშქარი გარდაიკეეწა. აწ მნაკე, რაგვარ
ულეაწად ვგდოვარ და უკაცურად. აწ მაგა ჭელმწიფობასა რომე ეგე ცოტანი
ლაშქარნი გაკლავან, ამა სოფელსა ნუ ენდობი. რამცა ეგე დაგემართა, რომე
ამა უქანომან სოფელმან მოგადლორა, აწ სასთუნელსა ქვეშეთ ხელი შემოყავ, ჩე-

მისა საჭურჭლისაგან თქვენ რომე აქა გარჯილ კართ, თქვენი ფერკთა ფასი აიღეთ.

ქელმწიფემან კელი მიყო და ორი მძიმე აღმასი გამოიღო, ასეთი რომე ვინცა ნაქა, ყველა გაევირდა. და თუ ვინ სასწოროთა ასწონა, ოთხი ლიტრა უფრო იყო. იგი ფალავანი მკედარი გეარჯასპი იყო. რომე მისისა შიშისაგან კვადნი ლომნი ტყესა გააგდებდა.

აქა ნარიმანისა ტაგრუცზედ მისვლა ბაამან ქელმწიფისაგან

პირველისა ტაქტისაგან მეორესა ტაქტსა ზედა მოვიდეს და პირსა აქადეს. და იმას ქვეშეთ ერთისა კაცისა მკედარი გვაში იღვდა. საწუთროსა მისი შავი თმა გაეთეთრა და ერთობით სოფლისაგან იმედ-გარდაწყვეტილი იყო. ერთსა ფიცარსა ზედა მუშკითა ეწერა, ვითა: ჭე, შარიარო, ტაქტისა და გვირგვინისა პატრონო, სადამდის სოფელსა შიგან კარ, მართალი მოსამართლე იყავ და მნაქე. და აგრე შენი მოიგონე, ფრიდონისა ზურგი და მწე მე ვიყავ. სულისაგან ცოდვა მე გავწმინდე. მათუსალა, დასავლეთს რომე ქაჭნი შეყრილიყვნეს, მე მარტო მიუქე, სრულად დევი მამიჯდა და შემემა და მოვკალ. მერმე ერთი დევი სხვა იყო, დაეზოში ერქვა და შემემა. ომისა ეამსა ძალითა ცაშა მიწასა ზედა დაცაყრიდა და, ვინცა მას შეემა, ცეცხლსა გარდააყრიდა. და ასრე მოვკალ, რომე ჭირი არა ენაქე. და ჰქვა ლაშქარნი, ხვადნი ქაჭნი, ყველანი გარდაეკვეწუნე. მე ოთხას ოთხმოცის წლისა კანი დავყავ სოფელსა შინა და, სადამდის ცოცხალ ვიყავ, ჩემი საქმე ესე იყო. ჩემმან ტანმან აბჯრისა და ბექარიისაგან ერთსა წამსა არა შეისვენა. მნაქე, ქელმწიფეო, თუ რაგვარად ვგდივარ, თუ გეგონოს, ვითამცა ჩემთა დღეთა შიგან არა დავბადებულ ვარ და არცა სოფელსა შიგან ვყოფილვარ. საბოლოოდ ჩემი მოქცევა ამა მიწათა ქვეშეთ არის. ამა ჩემსა სასათულსა ქვეშე კელი შემოყავ, და თქვენი ფერკთა გარჯის ფასი არის და გამოიღე. შეყო კელი და სამი პატიოსანი იაგუნდი გამოიღო. რა კელთა დაიჭირა, ერთობილი საქლი გაანათლა. ესე ფალავანი ნარიმან იყო მკედარი.

აქა საამის ტაგრუცზედა მისვლა სცანით ბაამან ქელმწიფისაგან

მეორისა ტახტისაგან მესამესა ტახტსა ზედან მოვიდეს ქელმწიფე ბაამან და მისნი მოაქლენი. მივიდეს და პირსა აქადეს. ერთი გვაში ნახეს, დიდისა მთისა ოდენი. მკერდ-დიდი და სქელი, და თმა-წვერ-თეთრი. სულ წასული იყო, გვაში მიწასა შიგან დარჩომილ იყო.

მერმე ქელმწიფემან ბაამან იკითხა, თუ: ესე კაცი ვინ არის და ანუ ვისი გვარია. მისსა თაქსა ქვეშეთ ერთი ფიცარი იღვდა და მას ზედან ეწერა: საწუთროსა შიგან შარიარობასა და ქელმწიფობასა ნუ მიენდობი, თუ შენი ქელმწიფობა კან-გრძლად იყოს. მე სამას ოთხმოცი წელიწადი დავყავ სოფელსა შიგან და ჩემი საქმე მძიმე ლაქტისა ქნევა იყო. მამაცობითა და ძალითა ჩემსა სიცოცხლესა შიგან ჩემი სწორი არავინ იყო. ერთი რკინისა შუბი მქონდა. ტარიცა რკინა იყო, რომე თავი ცაშა მისწვდებოდა. ას სამოცი ადლი სიგრძე ქონდა. საწუთროსა შიგან მისი სწორი შუბი არავის ქონია. დასავლეთისა ქვეყანასა ერთი

ციხე იყო და იმ ქალაქისა სახელი აიტოო იყო. მიუხე და მოკვალ აღის შვილის
შეილი. ერთობ კარგი რაზმი მოეკაზმა. იგი კაცი სიმაღლითა ოთხმოცი აღლი
იყო და ოცდაცამეტი სიფართო ქონდა. ას სამოცი აღლი შუბი ეჭირა. მას კაცსა
შევეც შუბი წელთა შიგან და მისი ტაქტი და დიდება მისგან უკაცურად გაე-
ქადე. ხუთასი ათასი საკელოვანი მეომარი, საქელდებული კაცი იაქლა. ერთი
კაცი ვერა ვნაქე, რომე მომეაქლა. შადიდის ასული ტყვედ მივიყვანე და იგი
ქალი ცოლად შევიერთე. აწე, რომე ბედი მექცა და დღენი აღმისრულდეს, ქარა-
სა მეტი კელთა არა დაპრჩა. და აწ ასრე რაგვარცა შექდაე, აგრე ვგდივარ საბ-
რალოდ. ესე საქმე შენხელდაე მოიწვევის. კელმწიფეო, ვინათგან ასრე გასული
მნახე, კელი შემოყაე ჩემსა სასთაულსა ქეეშე და შენი გარჯის ფერქთა ფასი
აილო. ნუთუ იყოს და შენი გული საქონლითა გაძღეს.

ორმოცისა საგანძურისა კლიტე თავით ეღვა. შეყო კელი და იგი კლიტე
და ნაწერი იგი [აილო], და იგი საქონელი და განძი ყველაი სისტანისა ქვეყა-
ნასა ეფლა მიწასა შიგან. ესე საამ ფალავანი იყო.

აქა როსტომის ტაგრუცსა ზედა მისელა სცანით ბაამან ჯელმწიფისაგან

მკლებელთა მისთა მივიდეს და საბურველი აზიდნეს პირისაგან. ერთი გვაჰი
ნახეს, დიდისა მთისა ოდენი. კელმწიფემან მწარედ სულთქნა და ვაგლაზი დაი-
ყარა.

რა მის გმირისა პირსა შექედნა, პირი წითლისა ლალისებრ უელვიდა და
უბრწყინვიდა. დიდი და ქშირი თმა წინა ეყარა, მკერდი და გული მისი დიდისა
კლდისა ოდენი. უღვაში კისერსა ზედა უქანით გამოენასკევა. მკედარსა არა გვან-
და. კაცსა რომე აქურვებდეს და ანუ აცხელებდეს, მისსა მსგზავსად იწეა. მასევე
წამსა კელმწიფემან შეიგნა და ბრძანა: თუ არის ფალავნისა როსტომის გვაში,
ისი არს. მისთანა მეომარი საწუთროსა შიგან არა ყოფილა და არცა იქნების.
კელმწიფე და ჯიმაზ ატირდეს და, ვითა ცეცხლისაგან შემწეარნი, ეგრე დაიწვენეს.
მოსთქვიდეს და ამას იტყოდეს: მე, თამთან, რად შორს ქარ შენთა ლაშქართა-
გან, რად ეგრე გაგიშუდა ტანისა ახოვნება უებროდ. სად არის შენი მამაცობისა
ძალი, სად არის შენის შუბისა პირი და ლაბტი. სად არიან შენი ლომისა
მსგზავსი მქარი და თვალნი.

მერმე, ჯიმაზ ფიცარი გამოილო თავიდან, წაიკითხა: ესე ეწერა: მე.
კარგსა შენსა ტანსა და სულსა ცეცხლსა შიგან რად დასწევავ, გაიცადე შენი
სიციცხლე, და სოფელი არაეის გაუთავების. მე შენი საქმე მაშინვე ვიცოდი,
და შენი სიტყვისა მოუშმინობა და ურჩობა მაშინვე შევიტყვეე, რაცა შენ ზედა
ქირნი ვნაქენ, ყველა დაგავიწყდა. ჩემი განძი და საქონელი, ყველა ქარსა და
წიავსა შიგან გასცხე და გააზნე, და ჩემსა სიკვდილის უქანით ჩემი მამული
და საკლი აოკრე. და ჩემი გმირი და ფალავანი შეილი ფარემუზ მოკალ, და
მამაჩემი აზომი კანაი ბოკილთა შიგან პატიმრად გიზის და, ვინცა ჩემი და
ჩემისა გვარისა იყო, ყველა დაკოცე და ამოსწყვიდე. რა ჩემისა სიკეთისა სა-
მუფუკო მიყავ, რაცა შენსა მჭირს, შენგან საბოლოოდ ღმერთი შენ ეგრეცა
გკითხავს და შენი ნაქმარი შენ მოგექვევის. თუმცა კარგსა იქსოვდი, ამას
არცა ერთსა იქმოდი. აწე ეგრეცა მოიგონე ჩემი სიკეთე და ნამსაქური. მე ოთხას
ოთხმოცისა წლისა კაცი ვიყავ და მამაცობისა სარტყელი მერტყა. ტუმანისა და

ქაიუბათისა ეამსა აქეთ დღესამდისინ მე ვყოფილვარ, კელმწიფეთა და თავადთა-
წინა მამაკობისა სარტყელი შერტყა. მას აქეთ რომე ჯაჭვი და აბჯარი ჩამიცივამს,
ერთსა დღესა არა მამისენინა და არცა აბჯარი ამიკლია. და ერანელთა ფარი და-
ზურგი ვყოფილვარ, მაშინ რომე თოიჯი და ეშმაკი აფრასიობ მოვიდა, და მე
ვაფი ვიყავ და შავისა მიწისაგან სისკლისა ტალაკი შევქენ. შეიდასი ათასი ცხე-
ნოსანი უფრო იყო ყველა. აბჯარ-ჩაცმულმან მივმართე მდინარემან ზღვამან
ვითა და აფრასიობს წელთა შევეკიდე. ბექთარიითა, ლაქტიითა და სრულითა
აბჯრითა ქარმან ვითა ცხენისა უნავირისაგან მოვიტაცე.

და რა მაზანდარას საომრად მიველ, მათი ჩისხლი წყალი ვითა დაეღვარე,
მას დევსა რომე ყოველი ქვეყანა და მიწისა პირი დაემონა, მოვიდა, დიდისა-
მთისა ოდენი. მთა და მინდორი და ქვეყანა ყველა დევებითა ავსილიყო. ერთი-
თა ჩემითა ნაჯრავითა მას დევსა კვამლი ვითა სული ამოვადინე. ქაოზს რომე
ზავის სიციცხლისა იმედი გარდაეწყვიტა, იგი თეთრის დღეისაგან ვიქსენ.

მისრის ქვეყანასა შიგან არაბთა ლაშქარი ეზომ დიდძალი გავტეხე. მერმე
კვლავე არაბთა რაზმი დააწყვეს, მათრაკი ავიღე და ცხენსა შემოვკარ და ჩემი-
სა შიშისაგან ნაქვეარი არაბთა ლაშქარი ზღვასა შიგან ჩაცვიდა. ასრე დავკო-
ცენ, რომე მათმან ლაშქარმან გზა ველარა შეიგნეს. და ზღვა ისრე მძორავითა
აავსო, რომე იზომსა წელიწადსა თევზნი მით იზრდებოდეს.

მაშინ ისეთი კაცი ვიყავ და აწ ასრე გავხე, რომე შენ მკედავ. თუცა სო-
ფელი და საწუთრო ვრცელია, მაგრამ ეტლმან და ეამმან ჩვენზედა ასრე შემო-
ავიწროვა. თუცა ესე სოფელი კაცსა მოალორებეს და შეიტყუებს, ბოლოს უც-
რუეებს და არავის გაუთავდებოს. ამ ხუთსა დღესა რომე სოფელსა შიგან ქარ,
კარგი ქენ და სულსა ნუ წაიწყმენდ. ამა შენისა ბერი გამზრდელისა კარგისათ-
ვის, რომე შენზედა ჰირნი მინაკავენ, აწ შენცა მისი სამუფქო კარგი ქენ! აწ
ჩემსა ჰასათულსა ქვეშე ასეთი რამ ძეს, რომ შენ შენთა დღეთა შიგან არა გინა-
ქავს. ხელი შემოყავ და თავით ერთი გუარი ძეს და ქაიკოსროსეული თასი დგას
საღვინე, წითლისა იავუნდისა, ასეთი რომე ოდესცა შიგან ჩაქედავ, ყოველ-
სოფელი შიგან გამოჩნდებოს. და იგი აიღე, თანა წაიტანე და მიბრუნდი. ჩვენსა-
სამარხოსა ნუ დასწევე. შენ რომე ფალავანთა და საკელდებულთა გეამნი გინა-
ქავს, მათნი ძვალნი თქვენისა ტაქტისა სიპაგრესა და სამსაქურსა შიგან დაღეწი-
ლან. აწე ჩვენ სამარკოსა ნურას აწყენ, თვარა დიდსა განკითხვისა დღესა
ღვთისა წინა ჩვენ დიდად შეგარცხენთ, მით რომე ჩვენთა ნამსახურთა სამუფ-
ქოდ შენ ავის ქნასა არ გვემართლები. სიკვდილი მოიგონე და ესეცა, რომე ხან-
გრძლად არავინ დარჩების და არცაეინ დარჩომილა.

კელმწიფემან ყანუჩისა კელმწიფესა და ჯიმაზს ეგრე უბძანა, ვითა: ამა
საკელდებულთა ფალავანთა ჩენნი საქმე და აქა მოსვლა აღრევე სცოდნიათ.
აწე ჩვენგან ესე კამს, რომე ამ ფალავანთა სამარკოსა ავის საწუფქოთ კარგი
უყოთ.

მთ კელმწიფესა ერთობ დაუმადლეს, ესე საუბარი დია მოუწონეს. ამა-
ზედა კელმწიფემან იგი სამარკო გასინჯა და, სადაცა დაბერებული იყო, ყველა
გააკლა. ბალი, ვარდი და კილნარი, სადაცა დაბერებულ იყო, ყველა აქალი
ჩაყარა. ასრე მოკაზმა, რომე აკლა აშენებულს დაემსგზავსა და, რაცა მის სამარ-
ხოსა სამსახურად სოფელნი იყენეს მიცემულნი, იგინი ახლად კიდევ გავ-
ჩინნა და დაუმტკიცო.

რა ბაამან კელმწიფემან ამა ყოვლისა საქმისაგან მოიკალა და თავის ტაქტ-სა ზედან დაჯდა, ჭიმაზ და კელმწიფემან ფარდაგი ზედან წახურა, და ერთი ახალი ოქრო-ქსოვილი ოქსინო სკვა წაბურა. გუმბათსა, თუ რაჟე მოიხრებული და მოშლილი იყო, იგი მოაშენებინა და სხვაცა მრავალი შეუმატა. შიგან მცველნი კაცნი დაუყენნა და მათ დიდი საქონელი და საქმარი კურქელი, რაცა მოუნდებოდა, მისცა. ესე დავედრა: ამა წალკოტსა რწყევდით და მოაშენებდით და თქვენსა საზრდოსა მოიყვანდით.

ყანუჩისა კელმწიფესა დავედრა: მეკუთესა წელსა ამთ სარჩოსა გამოუგზავნიდე. ხარაჯასა ნუ დააკლებთ. იგი დაპირდა გათავებასა. საფლავსა ზედა ოქრო და მარგალიტი გარდააყარეს. და ყველაი კარგად გაუჩინა მათ მცველთა კაცთა და იქ მდგომთა ტაგრუსისა მცველთა.

აქა ბაამან კელმწიფისაგან როსტომის სასათუღაოდამ ინდოეფთსავე მიბრუნება იქილამე და ქალაქს მისულა

დილასა შესვლა და წამოვიდეს. ზღვა და ყოველი საქირო გზად შექნა და გაიადვილა ბაამან კელმწიფემან. ყოველი კაცა გააკვირვა მისმან მოქმედებამან. სადაცა მივიდინან, ყოველი შარიაჩი წინ მოეგებებოდიან. აგეთნი ყანუჩ ქალაქსა მივიდნენ. ლაშქარნი და მოქალაქენი გამოეგებნენ. კელმწიფემან ერთობილნი ტბილად მოიკითხნა. ერთი კვირა მუნ დაყო. თუნდუბრის წინა გამოისვენა. ლაშქართაყა გამოუსვენა.

მერვესა დღესა კრეს ქოსთა და ნალარათა ყანუჩა ქალაქით გამოვიდნენ და ინდოეთით გაემართნენ. და სამისა დღისა სავალსა კელმწიფე თან გაყვა. თვით კელმწიფე თვით ფერკამდისნი, თუნდუბარ, საქელმწიფოთა ტანისამოსითა შემოსა და მისსა საჯდომსა ცხენსა შესვა და ბალქი ქალაქი ერთობილი დაუშკვიდრა. და აგრე მიაბრუნა. წაივდა.

რა ბაამან ქიშმარ ქალაქს მიეწურნეს, საურ კელმწიფესა რა მიესმა, ლაშქრითა, დროშითა და ნალარითა წინა მოეგება. ერთმანერთი მოიკითხეს და აგრე ქალაქად შევიდეს. ათსა დღესა იქ გამოისვენა და ლაშქართაყა მოუსვენა.

რა გაჰოემართნეს სრულ ოს მოკაზმული მეომარი, მისი სპილო ინდოურითა აბჯრითა კიდებული, ბაამან საურ საქელმწიფოთა ტანისამოსითა შემოსა და სხვა დიადი ოქრო და თვალ-მარგალიტი მისცა და მამული მოუმატა. ბაამან სის-ქანისაყენ გაემართა. რა მივიდა, ერმანდისა წყალსა ზედა დადგა. მუნ სმასა და ჭამასა შეექცა და გამოსვენებასა. მერმე ჭიმაზ ლაშქარი ათვალა. უბრძანა. მოილეს პირველთა ლაშქართა ანაწერი და მწიგნობარნი მას უკითხავდეს. დასთვალეს, დაიდვეს, იანგარიშეს.

აქა ბაამან კელმწიფისაგან სისქანის ისრეჲ აშენება და ქალაქის ისევე საბატიოდ გამდიდრება

სპანდიერს სისხლისა ძებნას უკან, ფალავანთ ქალების დევნაში, ფარეშუზს გარდა, ქალების მიზეზით დააკლდა მეომარი კაცი. მოკლეს ექვსასი ათასი მეომარი და სამასი ჩინებული ფალავანი კიდევ სხვა მოეკლათ. და ასრე ყველა მოაკსენეს კელმწიფეს ბაამანს. ჯამასს უბრძანა ამ დევის ნაშობნი ქალნი და კაცნი ასრე ძლიერნი როგორ არიან, რომე ერანი სრულად ამოგვიწყვიტეს. ახლა

მე მწაფიან, ჯამასს უბძანა, ვითა: სისტან ქალაქი ისრევე ავაშენებინო. დასკდეს და დასწერეს. ყოვლის ქვეყანისა კაცები და თვითო-თვითო ქალაქითა ოცდაათი ხელოვანი მოასკმევიანა. დასკდეს და სისტანი ისრევე ააშენეს. დარბაზოვანითა და საკლი ბანის-ბანითა, ქულბათოვანითა და ბალწალკოტიანითა, როგორცა პირველ ყოფილიყო საამისა და ზაალისა, დიდისა ფალავნისა თამთან როსტონისა საქელმწიფო დარბაზნი და სამყოფნი, მისგან უკეთ უბრძანა მოკაზმა საფენლოთა, აბრეშუმის ორკუთხეებითა, სტავრისა და ოქსინოს ფარდაგებითა, საქურჭლითა და საფარაშოთა ყოვლისთანითა მოკაზმულობითა მოკაზმინა და მოაშენებინა ერთსა წელსა შიგან.

ჯამასპ ეგრე მოაქსენა: კელმწიფეო, ეს კი კარგათ და უკეთ აშენდა და შეიქმო შენობითა, ბაზროთა, ქუჩითა, მოედნითა, ბალითა და კაცითა, მაგრამ, ჯიმაზ მოაქსენა, კელმწიფეო, მისთვის რასა ბრძანებ, ოცდათორმეტი საკლი ასეთი იყო, რომე თვალ-მარგალიტითა, ოქროთა, ვერცხლითა სტავრითა და საქურჭლითა სავე იყო, რომე არცა ბრძენსა და მეცნიერსა მისი ფასი და ანგარიში არ შეეძლო. აწე სით მოვიდოთ ამდენი საქონელი, რომე ესრე ავაესოთ და ანუ ვის შეუძლია მის თანა წესითა მოკაზმა. ოცდათორმეტსა სახლსა ცხრა უჯრა სხვადასხვა ქონდა, ყოვლისფერთა საქონლითა გამოტენილი იყო. სრულა ყველა ამას საკელოვანსა სალაროსა ოთხ-ოთხისა საგდებლისა სიმაღლე და სიგრძე ქონდის, და სამ-სამისა საგდებელისა სიფართე. რამანცა კაცმან ნაქის, ყველასა გაუყვირდის.

ბაამან ეგრე უბძანა: კარგო საკელოვანო, მე საამისა სასთუმლითა ორმოცდაათისა საგანძურის კლიტე წამოვიღია და ანაწერი. და იგი წაიკითხეთ, და შეიგნეთ სადაცა იყოს, და მოიღეთ. ჯამასპ წააკითხეინა და პოეს იგი საგანძური. მიყვეს კელი და უწყვეს ზიდვა და დაღვენა არა ქონდა. და მზიდავთა ზიდვა მოეწყინა და მწიგნობართა წერა. და ყოველსა სალაროსა და საქურჭლესა შიგან ზიდვეს. იმა ახალსა აშენებულს საკელოვანსა შიგან დააწყობდეს ფერად-ფერადსა საქონელსა ყოვლისთანასა და, სადაცა ვინ წასულიყო, ყველამან მომართეს მოქალაქეთა და ლაშქართა. ზალდასტანისა სეფე-ქალთა ერთობილნი მოვიდეს, დასკდეს და ქალაქი აშენდა. და ბაამან ეაქართა ყველათა ზედა საქონელი და სათაფრო გასცა. ეს საგანძური ის იყო, რომ ლევენა არა ქონდა და ორმოცდათორმეტი სალარო ისევე აავსნეს, ჰისტანს. საამ რომ ორმოცდაათის საუნჯის კლიტე რომ გამოადებინა თავიდამ და ნუსქა, რომ, საცა მიწაში ეფლა, ის წიგნით პოეს. ამოიღეს უღვეველი ამაზედა.

რა წელიწადისა თავი მოვიდა, უბრძანა ბაამან: მანუჩარ კელმწიფისეული ბარგი ყველა გაღმა გააღებინეთ. ორისა ფარსანგისა ზომა ბარგი საბერძნული სტავრითა მოკაზმული, და სვეტები ყველა ოქროსა და ვერცხლისა იყო, ყველა მოთვალმარგალიტული. მას ბარგსა შიგან ტაქტი დაადგმევიანა, დიდი და ტურულად მოკაზმული და საქელმწიფო თავული დაადგმევიანა, კარგითა თვალ-მარგალიტითა მოკაზმინა და მას ტაქტსა ზედა ერთი მომცრო ტახტი სკვა დაადგმევიანა, ყვითლისა იაგუნდისა და მისის პირისპირ ერთი ლაყვარლითა ტახტი დაადგმევიანა და სხვა ოქროსა და ვერცხლისა სკამები ათას კუთასი მოთვალმარგალიტული: ესე ყველა საამისა და ზალდასტანისა საგანძურსა შიგან დაქვდა. იგი სკამები ყველა ტაქტსა გარეშემო დაადგმევიანა თავადთათვის სასკდომლად. გავიღეს და დასკდეს. და ორსა ფარსანგსა უფრო მონათა რაზმი იღვა. ყველასა

კმალი ერთყა, და ლახტი და კიშტი კელთა ქონდა და სამასი ათასი მეომარი კაცი. ცხენითა იღვა რაზმად. ორასი შეკაზმული სპილო მეომარი მას სადგომსა შიგახ იყო, თუ სთქვა, მინდორი და ადგილი ყველა კაცი იყო. და მას მოედანსა. შიგან ხუთი მაღალი ჩანგალი და ძელი ამართვინა და ქვეშეთ შავი ქვეშა დაუყარა, როგორცა მეობრეთა და აეის მოქმედთათვის.

რა ლაშქართა იგი ნაქეს ყველაი შეშინდა და ეგრე თქვეს: ნეტარ ვისი რა მოეგონებისო ნაწყენი, ისი რომე ამართვინა.

აქა ზალდასტანისა და ტყვეთა მოსხმა ბრძანა და ნაწვეა სისტანისა და მათის მამულისა მიცემა

მერმე კელმწიფემან ჯამას იქმო და ეგრე უბრძანა: წადი და ლაშქარნი წაიტანენ და, რაცა ფარსის ტყვე ყავს კელთა, აქა მამისქი! ჯამასმ წავიდა და კელმწიფისა ხელითა და ბეკდითა დაბეჭდული წიგნი მიართვა ფარსისა. და ფარსი ზაალისათვის კუბო შეაქნევინა და ზაალ შიგან შესევს. და ასი კაცი ქვეშე შეუყენეს.

აგრევე სხვანი ტყვენი, ფარემუზის შვილი ბარზინ წინა წამოიგდეს, ბანგიჯასპ, ზარბანუქ, ვაზირის შვილი, მარზუბან და თუქარ, ყველა ჯაჭვითა შეკრულნი მოყუანდენ. და წავიდა ჯიმაზ და იგი ტყვენი კელმწიფესა წინაშე მოასკნა. ზაალ ეგრე თქვა, თუ: საკელდებულოვანო ფალავანო, ამა საწუთროსა შიგან მეტითა შეჭირვებითა მარტისა ცივისა ქარისაგან რად თქვენი წითელი ვარდი ყვითელი ვარდივითა შექენით. თუ თქვენი სული მოკვდავისა გუამისაგან განვიდეს, ჯაჭვითა შეკრულსა, ჯაჭვითა სიცოცხლესა იგი სიკვდილი სჯობს, კელმწიფისა წინაშე ტყვენი, ღეთისა შემცოდენი ვითა იღგეს.

მერმე კელმწიფემან ზაალს შეკედნა და ეგრე უთხრა: შე, ავგვარო და ავძარლო, შენ ჩემისა დაშნისაგან რა ნიშანი გაქვს; სად არიან იგი საკელოვანნი ფალავანნი ზეარ, ფარემუზ და მკედარი საამ, ეტლმან და ეამან რაგვარ დაჯოცნა იგინი. შენსა მამულსა და სასაქლესა რაგვარ ცეცხლი მოუდევ, და ისრე აშენებული ქალაქი რაგვარ დავსწვი. ინდოეთს რომ ლაშქარი შევგზავნე, ზღვანაა შიგან და ქაჯთა სამყოფსა შიგან, რაგვარად გარდვიარე ისი ყველაი კაცი და ღვედ-ფერკნისა კაცებისა სამყოფი. რაგვარად გავიარე ისეთსა საბატონოსა სამარქოსა, რაგვარ გავიარე და ისი ყველა თვალი პატიოსანი, მარგალიტი და საჭურჭლე გამოვიდევ. აწ შენ მოინაქე, თუ რაზომ ფერთა ჯავრიანითა, სატანჯველითა მოკვლავ, სისკლითა არღვენის ფერად შეგლებავ.

მერმე იმ ბერსა საბრალოსა მიუქდა. და ლაშქართა ერთობილთა პირი მოიმცოვეს, თუ სთქვა, პაერი და ცა ატირდა. მზისა შუქი ბრალისაგან შეიწეა.

რა ბარზინ ფალავანმან იგი მოინაქა, ეგრე თქვა: შარიარო, შენ ამისთანა საბრალოებსა საქმესა რაგვარ ითავსებ. ცუდად ამისთანასა სისკლისა ქნა არას სარგებელსა გიზამს. ერთისა ბერისა კაცისა სისკლისაგან შენ რა შეგეძინების დიდისა ბრალისა და ცოდვის მერტი. შეიწყალე და მისთა სისკლთა ნუ დაღვრი, აწ მისისა სიკვდილისა ეამი, ეგრეცა ბერი კაცია და მოკედების.

შარიარმან ეგრე ბრძანა: ამ ბერსა თოიჯს სულსა ოღონ ამოვართმევ, და თქვენ ცოცხალთა ჩანგალთა ზედა ჩამოგვიდებ და თქვენის გვარისაგან ცოცხალსა არცა ერთსა გაუშვებ.

მერმე დასტან ეგრე მოაქსენა: შარიილო, ნუ გაგულისებულ ქარ და გულო-

ვიდულს, და უმაღლოს ტანისამოსსა ნუ ჩაიცვამ. თუ მათ რასმე აწყენ, მათ ნუ უზამ, მაღალო შარიარო, შემოვხვეწივარ, მე მიყავ. ივინი ვაენი და საწუთრო-გამაუცდელნი არიან. მე დღენი გარდმივლია და სიკედილსა მივსწურვილ ვარ, და დიდი ჭირი და ლხინი მინაჯავს საწუთროსა შიგან. აწ, თუ ამათი სისხლი რე მინაბშო და არა დაკოცენ, მე ჩემი სისხლი შენ გიალლო. მას საუკუნესა აღარას გესარჩლო ეზომსა ჩენსა სისკლსა.

აქა ბაამანისაგან ზაალისა და როსტომის ასულთ ტვეობით ამოშვება

ბერმან დასტან ესე საუბარი ჩამოთქვა, ლაშქარი ყველა ატირდა და პირსა წყარო ვითა ცრემლისა რუ ჩამოსდიოდათ. მერმე კელმწიფემან რა ზაალისაგან ესე მწარე საუბარი მოისმინა, კმალი შორს გააგდო და ზაალს ყელსა მოექცია და დიადი თვალთა აკოცა, და დიდად ტკბილი საუბარი დაუწყო და ჩინისა ფერისა ლარისა ტანისამოსითა შემოსა. მეტად დიდი იმედი დაუდღვა. მერმე კელმწიფემან ბაამან ბრძანა, ვითა: ეგრე პურობილნი გაუშვებით და კელ-ფერკისა ბორკილნი გაუქსენით, ბარზინის მეტსა ყველასა. მერმე ფარსის უბრძანა: გაიყვანე ბარზინ და შეინაქენ ჭერ აგრე.

და გაიყვანენ ბარზინ და მძიმენი ბორკილნი შეუყარენ, სამას სამოცისა ლიტრისა რკინანი კელ-ფერკსა და ყელისა ბორკილნი შეაქნევიენ. მერმე კელმწიფემან ზაალს ეგრე უბრძანა: შენ სისტანისაკენ წადი და მეცა აღრე წამოვალ შენდა სანაჯავად.

ზაალმან გაიცინა და კელმწიფესა მოაქსენა: შარიარო, ვაი, მაღორებ. აწ ცამეტი წელიწადია, რომე სისტანი აოხრებულა. მას შიგან აღარა იპოების, ჩემი დარბაზოვანი ყველაი ყანად მოკნულა. ვარდისა, ფერად-ფერადისა ყვავილისა ნაცვლად ყანა, ასკილი, მყავალი და ძეძვი დგას შიგან. მერმე კელმწიფემან ეგრე უბრძანა: შენი სიტყვანი მართალია. პირველ რომე შენ გინაჯავს, აწ დია ჯგობს და დიდი უფრო შენად არის. ყოვლისა ქვეყანასა საბატო კაცი და ვაჭარნი შიგან არიან. აწ მიდი შენ და ნაქე ღეთისა ჰამოთხე, ვენაქითა, დარბაზითა და სამუშაოთა სავსე.

მეორესა დღესა დასტან და მისნი მეყვისნი ყველანი გაემართნეს და სისტან ქალაქისაკენ წავიდეს. და ჯიმაზ და ვაზირნი, ერთობილნი და ლაშქართა თავადნი წინა წაუძღვეს და ქალაქსა მოიყვანეს. რა ქალაქისა სიაკლოვესა მივიდეს, გაგზანეს ქალაქსა კაცი და მის ქალაქისა უფროსნი და მამასაკლოსნი წინა მოეგებნეს. ყველასა ოქროსა, გუარსა გარდააყრიდეს.

რა დასტან ქალაქად შევიდა, ფოლორკი გაიარა, მისი ნაღვლიანი და სევიდიანი გული გამკიარულდა, სიკარულითა აევსო. მივიდა თვისსა დარბაზსა შიგან და აგრევე, რა გვარადაც დაეგდო, დია უკეთ მოკაზმული დაქვდა, თუ სთქვა, იოტისა წონა არა აკლდა. მერმე გავიდა და სქვა საქელოვანი მოიარნა და ყველა ეგრე მოშენებული დაქვდა. მერმე შოვიდა, მისსა დიდსა ტაქტსა ზედან დაჯდა, და მერმე აღვა და ზეცას კელნი აღიპყრნა და ესე თქვა: მე, დამბადებელი, კურთხეულ კარ შენ, რომელმან მე და ჩემნი შვილნი მპურობილობისა ბორკილსა და ვეშაპისა პირისაგან გვისხნენ. ვაი, მულაბანა, ფარეშუზისი, რომე ისი ყველაი ჭირნი ნაქა. ბოლოდ მიწათა ქვეშე მოიქცა სქვანსა დღესა კელმწიფე.

ერთსა დღესა კელმწიფე მოვიდა ზაალის სანაქავად და მის ქალაქისა თავადნი ერთობილინ ზაალს წინაშე შეიყარნეს. კელმწიფემან ერთობ ტყბილად ზაალ მოიკითხა და ესე მოაქსენა: ვითარ ქარ ბორკილისა სსაქელისაგან. ზაალ ეგრე მოაქსენა: *მე, შარიარო, ვინცა შენგან ჰირნი მოითმინის, იგი ჰირი არა იქნების, იგი განძი იქნების.* აწ ერთი აჟა მაქვს კელმწიფისა წინაშე. კელმწიფემან მოაქსენა: მიბრძანე, რა გვპრიანების და ყველასა შენსა საწადელსა აღეასრულებ.

კელმწიფესა და ერთობილთა ლაშქართა ესე ეგონა, თუ უღონოდ ბარზინსა ითხოვსო. ზაალმან ეგრე მოაქსენა: *მე, კელმწიფეო, წმინდავ სულო და მოსამართლეო, აწ ცამეტი წელიწადია, რომე მე ბორკილთა და პატიმრობისა სატანჯველსა შიგან ვიყავ. აწ, ვინათგან შემიწყალე და კელმწიფემან ჩემი შეცოდება შემინდო.*

აქა ზაალისაგან დაპატიჟება ბაამან კელმწიფისა და დიდი ლხინი

აწუ მასმია, რომე კელმწიფე სპარსეთისა ქვეყნისაგან გაემართვის. ღმერთმან ქნას, და თქვენ თქვენსა ნებასა ზედა გამარჯვებით მობრუნდეთ. მე ავად მეშინიან ჩემთა ცოდვათაგან, ბერიკაცი ვარ, რომე თქვენსა ნაბეჯას ველარ ველირსო. აწ ესე მინდა, რომე კელმწიფემ ჩემად წყალობად გაისარჯოს და მესტუმროს. აწ მისითა ბედნიერათა პირითა და ფერკითა ჩემი დარბაზი დააშვენოს. ნუთუ ღმერთმან მალირსოს და ერთხელ კვლა კელმწიფესა წინაშე ღვინისა სმასა ველირსო. მერმე კელმწიფემან მოაქსენა: ბერო, ბედნიერო ზაალ, ხუთსა დღესა შენი სტუმარი ვიქნებო და სმასა და გამოსვენებასა არა დაელებ!

აქა ბარზინის დაჯედა და ციხეში გაგზავნა

კელმწიფემ მესაპყრობილეთა უქუცესსა უბრძანა, ვითა: შენ ბარზინ წაიყვანე და ერთობ ფრთხილად და მაგრად შეინაქე. მერმე ბარზინ მესაპყრობილეთა უქუცესსა კითხა: კელმწიფე ასრე სასწრაფოთ სად წავიდა. ფარსი ეგრე უთხრა: ფალავანო ბარზინ, კელმწიფე მისითა გამორჩეულითა ლაშქრითა სინატანს დასტანისა სანაქავად წავიდა. აწ დასტან ყოველთაგან საყვარელია და კელმწიფე დია მისი მოყვარული არს. აწ მე ამას ვეკობ, რომე კელმწიფემან შეიწყალოს და შენც გაგიშვას.

წავიდა კელმწიფე ბაამან, ზაალ და ლაშქარნი და ფიცხლად უსტუნ ქალაქსა მივიდეს. რა უსტუნ ქალაქის კელმწიფესა მიესმა, ადგა, ფიცხლად წინა მიეგება და ორნივე ქალაქს შემოასხნა. მასე წამსა ნადიმად დასხდეს და მეტად ამოსმა და ჰამა გამართეს.

რა ფალავანი დათვრინეს, ადგილობითვე დაიძინეს. ოდესცა გაეღვიძნეს, დასტდეს და ვაზირობა დაიწყვეს. დიადი თათბირი გამოარჩიეს. შინდროით და მითი ყოველგნით ლაშქარნი მონაქეს და ყველა უქმეს. მერმე უსტუნ და ვაზიროთა ეგრე მოაქსენეს: არამცა იყო სადამდის შენ სალამომდის ლაშქართა შეყრა და დამზადება გაეგოს, შენმან მტერმან შუადღემდის შეყაროს და ზედა მოგიტდეს.

რა ესე ვაზირობა თქვეს, მერმე უბრძანა და პური მოაღებინა. და ღვინო ოროლ, სამ-სამი შესევს. იქით ბაამან კელმწიფე ზაალმან შინა იქმო, პური მოაღე-

ბინა და ჭამა და სმა გამართეს. დაითურნეს. მერმე კელმწიფემან ჭიქა ააცხებინა, უბრძანა მელეინესა: მიიღე ფარსის წინაშე და მას შესავი. მიაართეს ღვინო ფარსის წინა და მან შესვა ზაალის წინაშე, ასრე რომე ორნივე კელნი ღლიასა დაისკნა და ეგრე შესვა. კელმწიფემან ნაქა, გაუკვირდა, გააცივნა, რომე ისრე საკვირველი ნაქნა. მერმე მელეინემან აავსო იგივე ჭიქა და ზაალის წინაშე მიიღო, დაუდგა და ლალობით ესრე მოაქსენა: *მე, ფალავანო, ისრე ღვინია შესმა უნდა, რომე ფარსი შესვა. ვის შეუძლია და შენცა ჭერეთ ახალ-მოწიფული ქარ და ღვინის სმა შეგიძლია. მერმე კელმწიფემან ზაალს შეკედნა და ესრე მოაქსენა, ვითა: ფალავანო, რა გინდა ჩემგან სათხოვარი, მთხოვე, მოგაქსენო და შენი ნება აღვასრულო.*

მერმე ზაალ ეგრე მოაქსენა: *კელმწიფეო, სათხოელისა ეამი აწ არ არის და ოღესცა ეამი იყოს, მაშინ ვთხოვო.*

მერმე კელმწიფემან ერთი ჭიქა სხვა აავსებინა და ზაალს წინაშე შესვა. მწუდემან აავსო ჭიქა და ზაალს წინაშე მიიღო. გამოართვა, კელმწიფე დალოცა და შესვა. მერმე კელმწიფესა ეგრე მოაქსენა: *მე, საწუთროსა შარიარო, ერთი ბერი, საწუთროს-ნაქული კაცი ვარ. ნიადაგ თქვენისა ყმობისა და ერთგულობისა სარტყელი შემომირტყამს. ქაიხოსროს ჩაჟულ-წმინდისა ეამთა აქათ ერანისა ქვეყანასა ჭირნი მინახვან და ფალავნობა გარდამიქდიან. ლუარსაბ კელმწიფისათვის მიმსახურებია და გოსტასაბ კელმწიფისა გვირგვინისათვის, და კელმწიფე სპანდიერ უბეთა და ღლიათა ქვეშე გამიზრდია და აწ კელმწიფესა წინაშე, ვითა ერთი ყმა, ედგავარ. თუ თქვენ რასმე დაგვენუქო, ღია მართალია.*

კელმწიფემან მოაქსენა: *მთხოვე, რასაცა მთხოვ და მოგახსენებ, კვლაცა მოაქსენა: ჩემისა სათხოერისა ეამი აწ არ არის. მერმე კელმწიფემან ერთი ჭიქა სქვა აავსებინა და რუაჰს წინაშე მიღებინა. ჭიქა გამოართო და ზე ადგა, სიბერისაგან ტანი ლერწამივითა შექნოდა. კელმწიფესა ეგრე მოაქსენა: *მე, ყოელისა მიწისა პირისა შარიერო, ერანისა, ინდოეთისა და ჩინეთისა უფალო, ღმერთმან საწუთრო თქვენსა ნებასა ზედა ქნას. თუ კელმწიფემან, უქვად მიმნი-ქებელმან იპრიანოს და მე ბერსა გული გამიმზიარულოს, და აწ არა საკვირველია, თუ ჩემი ერთი ნება ასრულოს. კელმწიფემან მოაქსენა: ბრძანე, რასა მენუკვი და მთხოვე, რომე მოგაქსენო.**

მერმე რუამ ესე მოაქსენა: *მე არა ვიტყვი, სადამდისინ ზაალ და ჭიმაზ არ მოგაქსენებზე. შესვა ღვინო და თავისავე ადგილსა დაქდა. მერმე ბანაროზ ფერკთა ზედან აემართა და კელმწიფე დალოცა და ეგრე მოაქსენა: ნიადაგმცა კელმწიფე მათსა ნებასა ზედან არის. თქვენთა ლაშქართა შიგან ერთი მოსამსაქურე მონა ვარ, ღიადი ჭირნი მინაკავნ კელმწიფისა ერთგულობისთვის. აწ, თუ შემიწყალებს და ერთსა ჩემსა ნებასა ასრულებს. მერმე კელმწიფემან უბრძანა: მთხოვე, რაცა გეპირიანების. ბანა[რ]ოზ ღვინო შესვა კელმწიფესა წინაშე.*

აქა თავადთაგან შექვეწნა ბარზინის გაშვებისათვის კელმწიფის წინაშე

მერმე ბანგიჩასა აემართა და ჭიქა აავსებინა, და კელთა დაიჭირა; კელმწიფისა წინაშე შესვა და კელმწიფე დალოცა ეგრე და მოაქსენა: *სადამდის საწუთროსა და სოფელსა შიგან იყო, ავსამცა ნურას მონაკვე. ვინცა ღიდი და ანუ მცირე თქვენი ერთგული იყოს, ნუცა იგინი მოინაკვენ. მე ერთი მკვეალთაგანი*

იქვეალი ვარ და მოსამსაკურე, აწ კელმწიფესა წინაშე ერთსა შევმართებ, ასეთსა რომე ამა ყველამან ფალავანმან ლეინო შესევს და ვერ შემოგმართეს. კელმწიფეო, ყოვლისა მიწისა პირისაო, ვინათგან ჩვენი შეცოდება შეგვინდევ, თუმცა ჩვენ შემცოდენი ვიყვენით და ააშაატურისაგან პირი ვაქციეთ, ჩვენთა ნაქმართაგან სანუფქო მოგვეგო. აწ ერთი კარგი სკვა გვინდა რომე გვიყო. თუ ჩვენ პატრონსა შევსცოდებთ, ბარზინ კელმწიფისაგან შეუყოღარი არი და ვი-აჯებით, რომე ბარზინს ბორკალნი გამოუყარნეთ და გაუშვას. მან მონებისა სარტყელი შემოირტყას.

რა ლაშქართა ბანგიქაპის საუბარი გაიგონეს, ყველასა გაუკერდა, თუ რა-გვარ შემართა კელმწიფესა. და ერთობილთა მოეწონა, და ღაუმაღლეს და ქალსა ქება შეასკეს. და ერთობილნი თავადნი ადგეს და კელმწიფისა წინაშე მიწასა თავები დასდვეს.

მერმე კელმწიფემან გულოვანთა ფალავანთა უბრძანა: დღეს სმისა და ნადი-მისა, გამოსვენებისა ეამია. ხვალე რომე ტაქტსა ზედა დაჯღე, რაცა თქვენნი ნება არის და გეპრიანების, თქვენსა საწადელსა ავასრულებ. თავადთა ერთო-ბილთა დაეკარნეს, დაითურნეს.

მას დღესა ყველა თავ-თავისად სადგომსა შიგან წავიდეს. მეორესა დღესა კელმწიფე ტაქტსა ზედან დაქდა და ერთობილნი ლაშქარნი კელმწიფესა წინა-შე შეიყარნეს. საწუთრო-ნაქული დასტან და ქალნი, თოქარ და მარზუბან და სკვანი თავადნი, კელმწიფისა წინაშე მივიდეს სამსაკურისათვის. ყველასა სარტყელი შემოერტყა. კელმწიფესა წინაშე სიარტხელისა იკიდდეს, ვითა: გუშინ ვიაჯენით.

მერმე გამორჩეულმან ზაალმან მოაკსენა: კელმწიფეო, გუშინ იმედი და წყალობა გვიბრძანე. ერთობილნი ლაშქარნი დამოწმნეს. მერმე კელმწიფემან [ბრძანა], ვითა: რა გითხარ, გუშინ მთერალი ვიყავ და არა მაქსოვს. მთერალისა კაცისა საუბარი და ქარი სწორი არის და არა საყერებელი სიტყვა. მერმე სა-წუთრო-ნაქულმან დასტან ბარზინის საკელი კიდევ აქსენა და მოაგონა და მო-აკსენა: თუ კელმწიფემან შეიწყალოს და ბარზინის შეცოდება შეუნდოს და ბორკილნი გამოუყარნეს, მან მონობისა და მოყრობისა სარტყელი ერთგულად შემოირტყას და გმსაკუროს. მერმე კელმწიფემან ეგრე უბრძანა: ფალავანო დას-ტან, ამისთანასა სიტყვასა და საუბარსა ნულარა მიამბობ, აწ შენ ამას მენუქვი, ვითა: ძლიერი და შეძლებული ლომი ბორკილისაგან გაუშვიო. ოღონ შენ ასე გეპრიანების, რომე ჩემი საქმე ზერე-ქვერე და სკვაფერად იყოს. რა მე ბარზინს ბორკილნი გამოუყარნე, ანასდელულად მას მამა მოეგონოს და მისსა სისხლსა დამესარჩლოს და დაწყნარებული ქვეყანა კიდევე აშალოს, და ახლავე ჩვენ ჴუავე მტერობა შეიქნას. აწ მამაო, თუ შენ გეპრიანების და მიბრძანებ და გაუ-შვებ და არა შეგეცილები.

მერმე დასტან ეგრე მოაკსენა: კელმწიფეო, თუ შენ არ გეპრიანების, თქვენსა უპირულსა მე არას მოგაკსენებ. ზაალ ამის მეტი სკვა არა აწყინა. პური მოაღებინა და ქამა შეიქნა და ბარზინის საქმე გაუშვეს. და ქუთსა დღესა ნადი-მი და გამოსვენებად ისხდეს. მერმე შეჯდა და თვისსა ტაქტსა წავიდა, და სპარ-სეთს წასვლას აპირობდა.

აქა როსტომ-თურის გამოჩენა და ბარზინის შევლა და გამოქსნა და მათგან დიდი ომი ბარზინისა და როსტომ-თურისაგან ბაამზედა

ერთი ფალავანი ინდოეთისა ქვეყანასა გაიზარდა, ზურაბ როსტომის შვილისაგან შექნილი იყო. როსტომს რომ შვილი შემოაყვდა, მისგან. ამა ფალავანსა როსტომის საკლისა ბრძოლა და ამოწყვეტა სმენოდა. პაპის, შვილებისა და დატყვევება ქალთა, ფარემუზისა, საამისა, ზავარისა, და ნეკიქისა და ზაალისა. ზოგის ტყეობა და ზოგის დაკოცა. და სისტანისა აოქრება და მათსა სამარკოსა ზედან მისელა და, რაცა მათსა ზედა გარდასლოდა, ყველა ამა ფალავანსა წერილად ასმოდა.

დღესა ერთსა თავისა სამყოფსა შიგან იყო, იჭდა და თავი დაკიდა და ამა საქმესა იგონებდა. და გული დაეწევა და კიშტი აიღო, და ფიცქლავ ადგა და აბჯარი ჩაიკვა: მისთანასა ფალავანისა საქმე ესე იყო, ერთი ფარი, ერთი აღმასისა აროზი. ადგა, მასვე წამსა წამოვიდა, მოვიდა და ერთს ტყეში დაიმალა.

რა იგი ვაჭარნი ქალაქსა შიგან მიმავალი ნატა, ერთი კიშტი შემოსტყორცა და ადგილობით იგი ვაჭარი მოკლა. მას უკანის კელმწიფისა შიშითა ტყიდამ აღარ გამოვიდა. და ტყე ზურგად აიღო. და რაზომიცა ქარავანი შეივლოდა და ანუ ჩამოვილიდა, ყველასა გასცა[ა]რციდა და დაიფორიაქებდა.

აქა ჯიმაზის შევილისა და როსტომ-თურისა ომი

მერმე ფალავანი ჯიმაზის შვილი წამოვიდა და მარტო ტყესა შიგან შევიდა. ანაზდელულად როსტომ-თური წინ შემოეყარა. ვაჟმან ეგრე უთხრა: ფალავანო, საკმელი თუ რამ გეშოებოდეს, მამართვი. როსტომ-თურ სუფრა გაუშალა და, თუ რა პური ეღვა, ყველა მოართვა.

დასკდეს და პური ქამეს. მერე როსტომ-თურ ეგრე უთხრა: ფალავანო, ვინ ქარ, შენი საკელი რა არის, ანუ სით მოკვალ. ვაჟმან უთხრა: მე კელმწიფისა ბაამანის ლაშქართაგანი ვარ, ჩემსა გვერდით დიდნი ლაშქარნი არიან, მარტო მე არა ვარ. კელმწიფემან ბაამან ფალავანი ბარზინ დაჰქედა და მე მიბოძა საპყრობილესა შიგან. პატიმარი პილოსაგან არა გამოვა. მერმე როსტომ-თურ ესრე კითხა: ბაამან კელმწიფეს ბარზინისაგან რა მოეგონებოდა. მერმე ვაჟმან ეგრე მოაკსენა, ვითა: კელმწიფემან ბაამან ერთობ უსამართლო უყო, და დიდი ძალი ქვაბულისტანს ფალავანი ფარემუზ მოაკვლევინა, ამა ფალავანისა ზურგი და იმედი მამა მისი იყო, და ფარემუზისა ზურგი და მაგარი ზღუდე მამა მისი როსტომ იყო და ერთობილთა ლაშქართა. აწე ცამეტი წელიწადია, რომე ესე ფალავანი ბარზინ ტყვედ არის და ბორკილთა შიგან ტანი გასწლობია და დალულა. აწე კვლავე საპყრობილესა და საყანსა შიგან გზავნის.

რა როსტომ-თურ ესე გაიგონა, ერთობ განაწყენდა და ჭავრითა ასრე გახდა, რომე პირისა საკე ზაფრანის ფერად შეიქნა. მერმე გაგულსებულმან ესრე თქვა: ესე რაგვარ იქნების, და ანუ ჩემი გამოსვენება რაგვარადლა მოკდების, რომე ჩემისა სეკნისა შვილი მოკლული არის და მისისა შვილისა აკლად ორმოსა პატიმრობისა და პატიესა შიგან მე ვიგონებდგი, ძმასა და ბიძის ჩემისა შვილსა. ესე ჩემგან არა ეგების და არათ ღონითა არა მოითმინების. ამას შიგან ერთი დღე არა გამოვიდა, რომე ლაშქარი მოვიდა და პილოები ვეშაპი ვითა.

რა როსტომ-თურ ლაშქარი დაინაქა, ფიცხლად ადგა და კელთა ზუფინი დაი-
ქირა და წინა გარდაუდგა გაგულისებული. და ერთხელ ლაშქართა შეუზაქა,
თუ სთქვა, გაზაფხულისა ქუტილსა გვანდა. ლაშქარი შეკრთა და ადგილობიდან
დადგეს. და უფროსნიცა ლაშქარნი დაფრთხეს და ლაშქართა თავადსა მოაქსე-
ნეს. მასვე წამსა ეტლი ვითა აიჭრა და ფიცხელი ქარი ვითა როსტომს-თურს
წინა მივიდა და ეგრე უთხრა: *შე, ღვთისა ნაშობო, კელმწიფესა შენი ანავე*
ასმი, მეკობრობა და ქურდობა. ისი არა გეყოფოდა, რომე აქამდის ქარაევანსა
სცარცივდი და კაცებსა კოცდი. აწე კელმწიფისა ლაშქართა დაესკმი, აწ
წამოლი, რომე შენ კელმწიფესა ბაამანს წინაშე მიგიყვანო და შენი საქმე მას
წინაშე შეგვაზმო. ქალაქი და მამული, დიადი საქონელი მოვატეშინო, და მეკობ-
რობასა და ქურდობასა ჩამოეკსენ, და დღე და ღამე სიარულსა ტყესა შიგან.

რა ლაშქართა თავადისაგან როსტომ-თურ ესე მოისმინა, დიდნი გაიცივნა
და ესე უთხრა: *ნუმცა შენ კარ და ნუმცა შენი ბაამან, ავისა მოქმედი. აწ, თუ*
გეპრიანების რომე შენ და შენი ლაშქარნი მშვიდობით გაგიშენე, ბარზინ ბორ-
კილთაგან გამოუშვი და ჩამოეკსენ და აგრე მშვიდობით წადით შენ და შენნი
ლაშქარნი.

ლაშქართა თავადსა რა ესე ესმა, ერთობ გაგულისდა, ღვთისა საცელი აქსე-
ნა და შეუტრია. და მოწამლული ზუფინი თავსა გარდაცრა. როსტომ-თურ შეი-
გნა და თავი მოარიდა. მერმე როსტომ-თურ შეუზაქნა და ესრე უთხრა: *შე,*
ძაღლო, ავგულო, აწ მოინაქო მეომართა ომი და შებმისა ეამი. შე გასწავლო
ზუფინისა მოქნევა და ნახო, რაგვარი გულსა და მკერდსა დაეკრა. მასვე წამსა
შეუტრია, კრა ზუფინი ლაშქართა უტყუესსა. და მან აღმასისა ფარი თავსა იფარა.
გაუტრეკა ფარი და მკერდიდამან ზურგსა გაავლო და კესა ზედან დააქრა.

მისთა ლაშქართა მას ზედან გული დაეწეა. რა ლაშქართა მათი პატრონი
მოკლული ნაქეს, ყველა გარდაიქვეწა. და ჭიმაზის¹ შეილი მოკლული ნაქეს,
ბარზინ და პილო ადგილობან გაუშეეს და დარჩათ.

აქა როსტომ-თურისაგან ბარზინის შეელა და გამოქსნა

რა როსტომ-თურ მეორისა პილოსაკენ წავიდა და მიმართა, კლავ პილო არ
ენაქა, დაკრთა როსტომ-თურ, და მერმე შეუტრია და ნაქა, რომე ერთი დიდი
რამ პირუტყვი და სურიელი ტყესა შიგან არ ეტეოდა. ორნი კბილნი ორთა
ლახვართა გვანდეს. მას ორთა კბილთა წვერი რკინითა მოქვიდლნი იყენეს.
თუ კბილთა ცასა მოკვრიდა, დაღეწდა ცასა და ჩამოყრიდა.

რა შორით დაინაქა, მას პილოსა უკვრეტდა და შეშინდა. და ახლოს აღარა
მოუდგებოდა და დაღონებული იყო, თუ რა მოუგვაროს. და ამას იტყოდა. ვითა:
ჩემი ზუფინი მას შიგან რაგვარ გაივლის. ბარზინ პილოსა ზედან ჩაქრული იყო,
აიზიდნა და მართლად დაჭდა.

მერმე როსტომ-თურს ეგრე უთხრა: *შე, ფალავანო, გიკვირს რომე კელავ*
არ გინაქავს. აწ შენ ცოტა მანდ ზუფინ-მოწვედილი დადევ და მე პილოსაგან
ჩამოვალ. მთვრალი პილო ვითა ჩამოიჭრა და ორნივე კელნი მიწსა ზედან დას-
ცნა.

რა როსტომ-თურ ბარზინის ბეჭნი და მქარნი და სიმაღლე დაინაქა და მისი

¹ ზიმის.

ისეთი ფალაუნობა გაიცადა, ჩამოკლა და თავი მიწასაზედან დასდვა და მიწასა აყოცა. მერმე როსტომ-თურ ბარზინს ეგრე მოაკსენა: ფალაუნო, ეგე შენი ასაკი და ტანისა სიძალლე საკელმწიფო არის. შენ კელმწიფე იყავ და მე შენი ყმა ვიქნები. ბარზინ ეგრე მოაკსენა: ფალაუნო, მე ბრაკილმან და საკანმან გამქადა ასრე და დამადნო. შენ აწ მით შემიწყალე, რომე ჩემნი ფერკნი ბორაკილისაგან იქსნენ. როსტომ-თურს გაეკარნეს. მასვე წამსა გაიქცა და ორნი ღიდროვანნი ქვანი მოიქვენა. ერთი ქვეშ დადვა და მეორე კელთა დაიჭირა. კრა და მასვე წამსა ბორაკილი დალევნა ფეკსა რომე ება. და კელისა და ყელისა ვერ დალევნა და ვერცარა ღონე მოუგვარა, რომე დალევნოს.

მერმე ბარზინ ეგრე მოაკსენა: შე, კარგსაქელო და კარგო მოყვასო, წადი სოფელსა და ერთი მქედელი მოიყვანე, კელისა და ყელისა ბორაკილი გამოუყაროს. მასვე წამსა მქედელი მოიყვანა, კელისა და ყელისა ბორაკილი გამოუყარა. მერმე ფალაუნისა ნაშობმან ბარზინ ეგრე მოაკსენა: შე, გულოვანო, მე ესე მიპრიანების. რომე აქა არა დაედგეთ. არამცა იყო, რომე იმა ლაშქართა თავადისა მამამან ჭიმაზ შეიგნას მისისა შვილისა სიკედელი და გაგულისებული ზედან მოგვიქედეს საოჰრად. თუ ჩვენ ორთავე გვიქელთებს და დაგვიპყრობს, მასვე წამსა ბაამანს წინაშე მოგვასქამს. შე, კარგსაქელო, მამაცო და ჩემო ღონეო და იხედო, თუ მოგვკვდებიან, ჩემი საქმე დია ავად იქნების, ფარემუ-ზივითა ძელსა ზედა ჩამამკიდებს.

მერმე როსტომ-თურს ბარზინ ეგრე მოაკსენა: შენ ჭიმაზისა და მისთა ლაშქართაგან ნუ გეშინიან და სევედიანად ნუ ქარ. თუ ლაშქარი მოვიდეს, შენ ნურა გაგვა რა. შენ შენთვის ერთი მაგარი კის ძირი მონაქე და შენ მას შიგან მაგრად დაქედ და მოისვენე. და ჩემი მკლავმაგრობა და ჩემი კიშტის მქრელობა და ჩემი აფთი კმარეართ, შენმან მზემან, მათგან ერთსა ცოცხალსა არა გაუშვებ.

ცოტასა ქანსა, ერთობ ცოტასა ხანსა, სევედიან-ნალვლიანად ერთად დაყვეს. წამსა და წამსა როსტომ-თურ კაცსა გაგზავნიდა და სოფლით საქმელსა მოადენინებდა. რაცა ბარზინს თავსა გარდაქდოდა, იგი ყველასა უამბობდა. რაცა მამასა მისისა ფარემუზს და ანუ მას გარდაქდოდა, ყველასა მოაკსენებდა. სისტანის დაწვასა, ამოწვევტასა და ლაშქართა დაქოცასა, ყველასა უამბობდა და ზაალის ანზავსა. რომე გალიასა შიგან, თუ რაზომსა ქანსა უქდა. ზავარისა, და საამისა და ნეჭიჭის სიკედელი და იმა საქელოვანთა ქალთა ამბავსა, რაცა გარდაქდა და დაბნეულ იყვნეს, ყველა უამბო. და რაცა თვით მას გარდაქდოდა, ბორაკილთაგან კელისა, ფეკისა და ყელისა დაჰედა და თავისაგან უიმედოდ გაქდა, ყველა უკლებლად უამბო. და ამას ვიგონებდი, თუ ოდეს მომკვლენო და ჩემთა მეყვანათაგან შიშითა აქლოს ვერცა ერთი კაცი ვერ მომიღგებოდა. ორი ჰური ყოველთა დღეთა იჯარად მქონდა.

ამა ამბავსა შიგან გარდაქვეწილი ლაშქარნი ჭიმაზს წინა მივიდეს და მისისა შვილისა სიკედელი მოაკსენეს. მოედვა ცეცხლი და თავსა შავი მიწა გარდაიყარა და ტანისამოსი გარდაიქვა. ყველა ტიროდა მწარედ და იგლოვდა. მერმე სარა ქალაქისა თავადსა ეგრე უთხრა: ესე ჭირი შენგან მოვიდა ჩემზედა. შენითა ვაზირობითა და სიტყვითა ვერ ვეწიე ნებასა და, რასალა ეაგრძელებდე, ვინათგან ნადირი ბადესა შიგან არა ჩამივარდა.

მერმე ლაშქართა შესჯდომა უბრძანა. წამოვიდეს, ტყესა შიგან ბარზინს და როსტომ-თურს ეძებდეს. ანასდევლად ლაშქართაგან ერთმან კაცმან ბარ-

ზინ დანინაჲ და როსტომ-თურ გვერდას უჯდა. ორნივე ერთგან ოსკდეს. მასვე წამსა გამოიქცა იგი კაცი, მოვიდა ჯიმაზს წინაშე და მოაქსენა, ვითა: ბარზონ და როსტომ-თურ აგერა ერთგან სკენან. ჯიმაზს მეტად იამა და გაეკარნეს. და ლაშქართა ესე უბრძანა, ვითა: ჰაი, ჩემნი მტერნი აგერა მარტო არიან, ტყვისა შიგან სკენან და მოიჭირეთ, რომე ორნივე მქარდაკრულნი კელმწიფესა წინა-სე მივასხნეთ.

ამაზუნდა ლაშქართა ერთობილთა შეუტრევეს. როსტომ-თურ შეიგნა, ფიცხლად წაშოკლტა და ბარზონს ეგრე მოაქსენა: შენ უბაჯრო კარ და სიმაგრესა უქუდღე, და მათი საქმე ჩემზუნდა მოაგდე. ფიცხლად ჯიმაზს და მისთა ლაშქართა წინა მოეგება და ასეთნი შემოუზაქნა, რომე ცისა ქვეასა გვენდა. ზუფინი შემოსტორცა, ჯიმაზს კრა და მიწასა ზედან თაუდაღმა დაეცა, მოკვდა.

რაგვეარადაც ჯიმაზის სიკვდილი ნაქეს, ზურგი აქციეს და გარდაიქვეწნეს და კელმწიფესა წინაშე მივიდეს. ჯიმაზისა და მისისა შვილოსა სიკვდილი უამბეს და ბარზონის კსნა, და ბორკილთა დაღუწვა და გააზატება და როსტომ-თურის, ზურაბის შვილისაგან, შველა და მისი კლება.

აქა კელმწიფის ბაამანისაგან ბარზონის აშეების ცნობა და მისგან დიდი წყენა

რა კელმწიფესა ესე ანბავი მიესმა, ერთობ ეწყინა და ნაღვლიანად შეიქნა. დასტანს ესე უბრძანა: ეშმაკისა მკითა ესე რა გაგება იყო, რომე ბარზონ აქსნილა და ბორკილნი დაუღუწიან და ჩვენნი ლაშქარნი დაუქოცნი. დასტან კელმწიფესა ბაამანს ეგრე მოაქსენა: კაცთა ორგულთა ბედი აღრე წაქდების, თქვენ შემოწყალეთ და ყოვლისა ქვეყანისა საბატობა და უფროსობა მიბოძეთ, მე თქვენი წყენა რად მმართებდა. მიწასა აკოცა და გარეთ გამოვიდა. ერთობ განაწყენდა. ფიცხლად ესე ანბავი ბარზონს მიესმა, რაცა კელმწიფესა ზაალისთვის ეთქვა. ყველა სმენოდა. გაგულსებულებიყო და ერთობ მწარედ სულთეთქენეს და ნარგისისა ფერიითა თვალითა ეარტისა ფერსა პირსა ზედან ცრემლსა აღენდა. მერმე ბარზონ როსტომ-თურს ეგრე უთხრა: აწ შენ იო. თუ ამა საქმესა რაგვეარ გამართავ. წიგნები მისწერე, ყველგნით კაცი გაგზაუნენ და ლაშქარნი იკმენ და, ვინცა არა მოვიდეს და არა დაგემორჩილდენ, ჩვენ მათ ზედან ვილაშქროთ.

მასვე წამსა მწიგნობარი უქმეს და ყველგან წიგნი დაწერეს და ესე. ვითა: ბედნიერისა ბარზონისაგან და საწუთროსა ფალავნისა შვილის შვილის შვილი და კელმწიფის ბაამანისაგან ძალ-დამართებული. აწ, ვინცა ჩემი წიგნი წაიკითხოთ, ყველა დაუყონებლად და ლაშქართა შემოგვეყარებით, რომე მალალი ღმერთი ჩემი შემწე არის. აწ ეამი არის, რომე ღმერთმან ჩვენ ზედან წყალობით მოგექედოს და, ვინცა არა დამმორჩილდები და არა მოქვალთ, მას კაცსა მიწისა პირსა ზედან აღარა ვამყოფებთ. მასვე წამსა აღვა მწიგნობარი და გაემართა.

სრა ქალაქსა ურატხვი ლაშქარი შეიყარა. ყველასა უწინ გელანელნი ქვეითნი ლაშქარნი მოვიდეს, შემოეყარნეს. მერმე თვით გელანისა კელმწიფე ზილ გულოვანი მოვიდა და შემოეყარა. მერმე რაის კელმწიფე მოვიდა მისითა ლაშქართა და შემოეყარა. მთისაკენ ეზომი ლაშქარი ჩამოვიდა, რომე ერთობილი ლაშქარმან მინდორი აავსეს. მერმე უსტუნ კელმწიფესა უბრძანა: შენ ლაშქართა წინა წაუძედ და გაასკი, რომე ლაშქართა აღლუმი ვნაცოთ. მერმე აღ-

გეს ბარზინ და როსტომ-თურ და ლაშქართა გამოვიდეს ქალაქით. რა გამოვი-
დეს, ათეალებს ლაშქარი და ოცდაორი ათასი კაცი შეყრილიყო. ფალანისა გუ-
ლი ერთობ გამოვიარულდა და ეზომი განძი და საქონელი გასცა, რომე სრულნი
ლაშქარნი პირაპდინ აავსნა. მერმე გაემართნეს და ბალქი ქალაქისაკენ წავიდნენ.

აქა ბაამანისაგან ცნობა ბარზუს ჯარის შეყრა და განმრავლება ლაშქრისა

რა კელმწიფესა ბაამანს ბარზინის ლაშქართა გამართვა და განმრავლება
მიესმა, ერთობ დანაღვლიანდა და კელითა ზურგსა იკოქდა. მერმე ჭიმაზ ეგრე
მოაკსენა: ჭე, ჭკვიანო კელმწიფეო, მე არა გამოვიგონე და არცა დამიჭერე, დია
შემოგეხვეწნით და გეაჯენით და ბარზინ ვთხოვეთ. ერთი მოკვიანიშნე ბანგიჯასპ
იყო, რომე მისი უსაბატოსნე და უთავადესი მიწისა პირსა არ არის. თქვენსა
წინაშე ფერკთა აემართა და ისეთი საზარო დიდი ღვინისა თასი თქვენსა წინა
შესვა. თქვენ ესე გმართებდა, რომე ბარზინ მისთვის გებოძა და აქლად ფალან-
ნად ისი გეთაყვანა. აწ ღმერთმან ყოვლისა კარგისა მოქმედმან შენთა კელთა და
ბორკილთაგან უმადლოდ იქსნა. აწე ამას ვეკობ, რომე მისგან ჩვენ ზედა დიდი
სიმწარე მოვიდეს. მერმე კელმწიფემან ჭიმაზს უძმანა, ვითა: ერთი ღონე მომინა-
ქე, რომე ნუთუ ვითა ერთხელ კელა ჩემთა კელთა შიგან ჩამოვიგდო. ჭიმაზ
ეგრე მოატყენა: ჭე, კელმწიფეო, გამზიდავთა თავადო, მფრინველი რა ერთხელ
მაქვას დაეკნებნის, კელა აღარა ჩაებმის. სხვასა უქეთესსა ღონესა უნდა მონა-
კვა. დასტანს ერთი წიგნი მიუწერე და ტყბილი მოციქულობა შესთვალე, რომე
მან ბარზინს წიგნი მიუწეროს და შეავგონოს.

აქა ბაამანისაგან ზაალის წინაშე წიგნის მიწერა, ბარზინისაგან ჩივილი

მასვე წამსა ჭიმაზს წიგნი მიაწერინა და ესე, ვითა: საწუთროსა კელმწიფე-
სა ბაამანისაგან ბედნიერსა და ჭკვიანსა დასტანს წინაშე:
იყოლი, ბედნიერო მამაო, რომე შეღმართი და დაღმართი ყველა გარდავა-
თუმცა ქანგრძლად გაიზიდავს, ბოლოდ ეგრეცა გარდაქდების. კაცი თავისა აეთა
ნაქმართა შეინანებს, სიტყვით ნათქვამსა და საქმით ქნასა, ყველასა შეინანებს.
აწ მე ამა ყველასა უბრალოსა სისხლისა დაღვრასა, ვითა მმართვეს, აგრე ვინა-
ნი ტყვეობასა და დაფორაქებასა. თუ დღე და ღამე ღმერთსა წინაშე თავი და
პირი მიწასა შიგან გავროო და ვილოცო, ძლივ შემინდობს, მაგრამ შენცა იცი,
რომ ბოლოს ეამ შენ რა გიყავ, და მაგა ქალთა რა უყავ, და გულოვანთა მარ-
ზუბანს და თუქარს რა უყავ, და სისტანი ქალაქი რავგარ ავაშენე. და შენთა
მოყვარეთა გული გაეამკიარულე და შენი საქურტულე და სალარო ყველა კიდევ
ავავსე. ამის მეტი ავი არა გიყავ რა, რომე არა დაგიჭერე და ბარზინ არ გაუშე-
ვი. ეშმაქმან მამალორა და ავსციდი. და ასრე ვსციდი და ასრე ვთქვი მე, რომემ-
ცა კიდევ ეწევართა. მერმე ფალანობა და ლაშქართა თავადობა მიმეცა და ფა-
ლანად მეთაყვანა. და იგი შეიგებდა, რომე თავადობა მიმეცა და ჩემი პატივის-
მცემელი და მოპატივე ყოფილიყო. თუ კელმწიფე თავის ტაქტისა და დიდებისა-
გან ჩამოვარდეს და დაეცეს, და თავისი ტაქტი და გვირგვინი მოეგონოს, ასრე
რომე მფრინველსა მქარნი მოეშალნენ და ვეღარ ფრინველდეს, მაშინლა შეიგებს-

რომე მისი დიდება ფრთა არის. თქვენ გასმია, რომე ბოჩკილნი დაუღუწნიან და ტანი ცეცხლსა შიგან ჩაუგდია. აწ მისი საქმე თქვენთვის მოძიქსენებია და თქვენ, რაგვარაცა გამართებდეს, აგეთი წოღნი მიუწერეთ და ჰქვიანათ შეაგონეთ და ესე შესთვალე, თუ შენ კელმწიფისაგან პირსა იქცეე და თავსა მისისა ემობისაგან გამოიღებ, რაცა შენზედა ავი მოვიდეს, ყველა შენგან უცოდეთოსა მეკობრისა სიტყუეთა ნუ მოსცდები და ნუცა მოლორდები. არცა საკლი აქეს და არცა სამყოფი. და ესემცა არა ქენი, რომე არა დამპოჩილდე. თუ არა. შენზედა დიდი ავი საქმე მოიწვევის. წადი და აგრევე ტყესა შიგან იყენით. შენ ზალდასტან ნახე, თუ ჩემგან რაზომი ქირი და განსაცდელი და პატივი მოვიდა შენზედა. რაზომცა ზლეა დასცხრეს და არა ლელიდეს, ნუ მიყევი და უფროდ ნუ არონინებ.

მასვე წამსა წიგნი ფაიქს მისცა და ზაალს წინაშე გაგზავნა. რა ფაიქი ზაალს წინაშე მივიდა და წიგნი მისცა, მასვე წამსა წიგნსა კითხვა დაუწყო. რა წაიკითხა. ბანგიჩასას შექედნა, ეგრე უთხრა: ჩვენ ახალი საქმე მოგვივიდა და კელმწიფე ჩვენ კიდევ რასმე დაგვექედების და ესე გონია, თუ ბარზინ მე კიდევ რასმე გამოგონებს და ანუ დამიჭერებს, და ესე არ იცის, რომე იგი მისთანა დევი არ არის, რომე ლეთისა სახელსა გარდაეხვეწოს და არცა მისთანა ხილი, რომე აღვიღალ. ქვისისა შეტყორცითა ხისაგან ჩამოეარდეს.

აქა ბარზინის წინაშე ზაალის წიგნის მიწერა

რა კელმწიფისა წიგნი ზაალმან წაიკითხა, ფიცხლად ბარზინს წიგნი მიუწერა და დიდად ტყბილი და მწარე სიტყვა დაწერა წიგნსა შიგან. და თავი წიგნისა ასრე დაწერა, ვითა: ბერისა, ძველისა და საწუთროსაგან დიადისა სიტხისა და სიცივისა ნაქმისაგან, ასრე იცოდო, ბედნიერო შეილო, რომე კელმწიფე თავისა აესა ნაქმართა ერთობ ინანის და აღარას შეგცოდებს. აწ ჩვენთვის ასრე ტყბილი და თავისა საბრალისი წიგნი მოუწერა. აწ, შეილო საყვარელო, შამის თვალთა სინათლეო, თქვენსა გულსა შიგან ჭავრისა ნერგსა ნუ ჩასთესავ და ნუცა ემაწვილობის ქარსა აყევი. კოცასა და ტყეობასა ჩამოეკსენ, რომე ეს შეგეძლოს, ერანი და თურანი სრულად ამოსწყვიტო, და მამა თქვენი ფარემუზ განკითხვამდის აღარც ეგრე გატოცხლები. აწ კელმწიფისაგან წიგნი და პირი იქვედრე და შემეწყევე. ესე წიგნი ფაიქსა მისცა და ბარზინს წინაშე გაგზავნა.

რა ფაიქმან წიგნი ბარზინს მიართვა, ბარზინ წაიკითხა, მოწიგნარის ფაიქს ეგრე უბრძანა, ვითა: შენ ამას მეუბნები შენითა სიტყუითა, რომე აწ თუმცა არა ისეთისა გამზიდვარისა და საეკლდებულისა გულოვანსა არა გამოეგზავნე, ამა წიგნსა, შენსა თავსა, შენის ტანისაგან მოეაშორებდი, შენზედა საწუთროსა შეევიწროებდი. დიდი ჭავრი მომეგონებო შენგან. ჰქვიანათ ნათქომი არის, რომე კოქისაგან მის მტერი არა წამოედინებდის, რაცა კოქასა შიგან არა დგას.

ფაიქსა პირი ნაცრისა ფერად შექენა და თავი მიწასა შიგან გარია, მერმე ფალავანსა ეგრე მოაქსენა: საეკლდებულო ფალავანო, კელმწიფისა ბრძანებასა შეცილებასა ვინ იკადრებს. კელმწიფემან მიბრძანა, ვითა: ასრე უთხარ. აწ მე აქა თქვენსა წინაშე ვდგავარ და, რაცა გეპოიანების, იგი მიყავ. მერმე ფალავანმან წიგნი გამოართვა და წაიკითხა და ორთავე თვალთაგან მარგალიტი—ტყემლი აღინა და ერთობ გაგულოსდა. შამისა საეკლდელი მოეგონა და შეყვისთა პირი

და პატივი. და ფაიქსა ეგრე უთხრა: *შე, ბელ-მლაშეო, მფრინველი ანუ ლომი, რომე ერთხელ მაქესა დაბმოდეს და აქსნილ იყოს, კვლავა ჩაებმისცა, ანუ ჩა-ვარდების-ლა.*

აქა ბარზინისაგან ზაალთან წიგნის პასუჯის მიწერა

მასვე წამსა წიგნისა პასუჯი დაუწერა და ფაიქსა მისცა. და ეგრე უთხრა: *წადი, კელმწიფესა ეგრე უთქარ, ვითა: შე, ბაამან ეშმაკეულო, შენსა და ჩემსა შუა მკვეთისა კლმის მეტი აღარა იქნების. სიკვდილამდის ჩვენი რაზმისა ომი არა დაილევის. ფაიკი დია საბატოთა ლარითა ტანსა შემოსა და წავეიდა.*

რა ბაამანს წინაშე მივიდა, წიგნი მიართვა. კელმწიფემან წიგნი წაიკითხა, კისა ფურცელი ვითა ათროლოდა. მერმე ჭიმაზს ეგრე უბრძანა: *ნახეთ, თუ იმა ძაღლსა და ვეშაპ-პირსა რა მოუწერია, კარგითა თვალითა და ანუ მშვიდობისა სულითა ჩვენ არა გაგვიშვებს. რა ღონე მოვინაქოთ, რომე იგი ავეგვარი, ვითა ვიკილოთ. მერმე ჭიმაზ ეგრე მოაკსენა: აწ ერთი წიგნი ბაგნიქასპს მიუწერეთ და მისი საკადრისი გეარგვინი და განძი, ბედაური ძღვნად გაუგზავნოთ, და თქვენსა წინა იკმეთ იგი და მისნი დანი. მარზუბან და თუქარ. და რა ეამს მოვი-ღენ ოთხნივე, აკოცენ და მერმე ყველანი პირთამდის აავსე და დიდი უბოძე და რაზომნიც საკელღებული მეომარი ფალავანი გეშოებოდეს, იგი ყველანი თან წაიტანენ. მივიღენ იგინი ბარზინს წინაშე და ეუბნენ: ნახოს, თუ დამორჩილდეს და თავი ჩამოიღოს. მოეწყოების და არას წამოვა. თუ არა დაუჭეროს, ლაშქრითა იებმითა გარდაუწყუვტონ.*

ამა საუბარსა ზედან კელმწიფე ერთობ გამეჩიარულდა. და მოლარესა უბ-რძანა: *დიდი თვალი პატიოსანი და მარგალიტი და ოქრო მომართვი. მოაღებინა დიადი და მეტად საბატოოდ და საკელღებული ბედაურები, უნაგრები და თვალ-მარგალიტი და ბელაქი ძღვნად გაუგზავნა. ვაზირსა ერთი საბატოოდ და ლაყბია-ნი წიგნი: შე, ჩემთვის კარგისა მდომო.*

აქა წიგნის ბაამანისაგან ბანგიჯასპთან მიწერა და კმობა

ესე წიგნი მიუწერა მოსამართლისა და მოწყალისა კელმწიფისაგან კარგსა-კელსა ქალსა წინაშე: *აწ ნულრას დაიყოვნით, ფიცხლა წამოღით. თქვენსა წინა-შე ერთობ საკულისო საქმე მიც.*

მასვე წამსა ფაიკი წავედა ბანგიჯასპს წინაშე. წაიკითხა და ფიცხლად ზაალს წინაშე მიიღო. ზალდასტანცა წაიკითხა. მერმე ბანგიჯასპს უთხრა: *ღონე წასვლის მეტი არა გვაქვს რა. მიდი, ნაკე და, რაცა ეპრიანების, გიბრძანოს, და-მორჩილდი და ნურცარას შეეცილები. ადგა ბანგიჯასპ და ნიმრუზის ლაშქარი თან წაიტანა და კელმწიფესა წინაშე მივიდა. დღე და ღამე სწორად იარა. კელ-მწიფესა ბანგიჯასპის მისვლა მოაკსენა. მერმე ბალს ქალაქსა რა შევიდა, შარიარს წინა მივიდა, კელმწიფემან შექედნა და ერთობ იამა და გაეკარნეს. მერმე ფალა-ვანშა ქალმან პირი აიღო და კელმწიფე დალოცა და ესე მოაკსენა: ნიადამცა შენი ბელი წაღმაცა არის და შენი ტაქტი და გვირგვინი შენითამცა იკარებს და საწყუთრო შენსამცა ბრძანებასა ქვეშე არის. თქვენითა ბრძანებითა სარტყე-ლი შემომირტყვას. აწე კელმწიფესა ესე რა ეპრიანების, ანუ რას მიბრძანებს.*

კელმწიფე მასვე წამსა ხელსა მოეკიდა, და გაიყვანა და ტაქტზედა წინა დღისეა, საწუთროსა საქმე, კეაშიადი შენგან არა დიმილვის. ესე შენცა ვასმია. რომე ბარზინს ბოაკილნი დაულეწიან და რას სარგებლისა იქნების. ბერმან. ბედნიერმან ზაალმან მიუწერა წიგნი. მას პასუჯი შემოეთვალა. რომე მე არა მეკადრებოდა. მე ესე შევთვალე, ვითა: ვიცი განძა და ვითა შენსა საკადრისსა საქონელსა მოგცემ და პირთამდინ აგავსებ და ჩემთა ლაშქართა თაეადობასა მოგცემ, და არა დამიჭერა. აწე შენ ამისთვის გაცნობე, ვაისარჯო და ერთხელ მის წინა მიკვიდე, თქვენებურად, კარგად და ტუბილად ეუბნათ. ნუთუ შენითა კარგა მქნელობითა მოალბო. რაცა ეგებოდეს, ლბილად და ლმობიერად ეუბენ და სიამოვნისა და მოწყალებისა საქმესა ეცადე. ჰკვიანი და მეციერი კაცი ამოთა და ტუბილითა სიტყვითა გველსა კერელით ამოიყვანს. რაცა მე მოგაკსენო, ყველა კარგათ და კერკიანათ მოაკსენე და ესეცა უთხარ, ვითა: კელმწიფესა ზედა ამაყობასა და თავკედლობასა ნუ იქმარებ, ცუდად გველისა კუდსა ვალაქავ, არ ვარგა. თუ კაცისა გული ქვა იყოს, ტუბილითა და ამოთა საუბრითა მოალმობიეროს, დარცხვენდების. კაცისა საყარჯაკო სიმდაბლე არის და, რაგინდა რა ქირი და მოჭირებება იყოს, ბოლოდ მოწყობავე სჯობს და უპრიანობა არის. მოუწყობლობისაგან დიდად საქმე წაქდების და დაშავდების. თუცა ცეცხლი შემწველი და ფიცხელი, ბოლოდ რბილი მიწა მიქედების, დაავსებს. აწ შენ ამას გენუკვი, რომე შემომფიკო, რაზომცა ბარზინს წინა მიკვიდეთ. ჩემთვის გულმქიარულად იუბნო, რომე მას ერთგულადვე მოყვარულად არა შეეყარო და არა შეეწინარო და, არცა მისი მოყრობა და შეყვისობა გამოარჩინო და. თუ ომი და წაიკლება გაეგოს, შენ უწინ შეება და არა ათნიო. რაზომცა გილნა, ლაშქართა მოგცემ.

აქა ბანგიჯასისაგან და მისთა დებთა ფიცვი და ბარზინთან გაგზავნა

მერმე ბანგიჯასს და სამთა სხვათა შეფიცეს. მერმე კელმწიფემან დიადი რამე სწავლა უთხრა და ესეცა, ვითა: ვინცა ფიცსა ვასტეკს, ბედნიერად არ მოუქდების და მეტადრე, რომე კელმწიფესა ფიცვი გაუტეკოს, იგი უარ მოქდების და მეტადრე.

მერმე კელმწიფემან, გურგო ერქო კაცსა. იგი მოიკმო და დილსა რასმე ეუბნა. ესე გურგო ჩირჩისა კელმწიფე იყო, ომისა ქამსა ლომისა მსგზავსი იყო. როსტომისეული ქაიანური სარტყელი მას ერტყა მამაკობისა. მიწისა პირსა მისი მსგზავსნი არავენ იყო. ასეთი ცხენოსანი იყო, რომე ომის ქამსა ზღვისაგან შავსა მტვერსა ამოაღენდა. ორმოცი ათასი მეომარი კაცი მას შევედრა და მათვალა, ყველა შერჩეული კაცი და საყელდებული მეომარი. ყველასა ცხენი და აბჯარი გაუყო. მერმე ლაშქართა ეგრე უბრძანა, ვითა: ბანგიჯასისა სიტყვასა ნუ ვინ გარდაქვალთ და მისსა სიტყვასა მომსმინონი იყვენით, თუ გინდათ რომე თქვენთვის კარგი იყოს, მას ნუ ვინ შეეცილებით, ვითა ერთგულნი მონანი იყვენით, თუ მიკვალთ მას წინა და შე და მას ტუბილად ვერ შეგვეაწრობთ, მერმე ყველანი აგრევე მშვიდობით და მეომრად მობრუნდით. ოდესცა მობრუნდეთ, ფერქთა ფასსა ყველასა თითოსა განძა მოგცემ. მიღით და, რაცა ეგებოდეს, ტუბილად და კარგა ეუბენით. თუ მოგვეწყოს, თქვენცა მოეწვეეთ და, თუ აღარა. — აქა გამოგართვას, და აღარ ეპრიანებოდეს, მოიწვა-

ღეთ შიშიმე ლაქტი და მტერობისა სარტყელი შემოირტყით. ცხენი და საქონელი მე არა მშურს და თქვენ ომსა ნუ მოღალღებდით და, ვითა ჩემთა ერთგულთა გმართებს, აგრე მოიპირვეთ.

ლაშქართა და თავადთა მეომართა დიდი საქონელი გაუყო, დიდი საბატო-სტავრა და არაბული ცხენი. და ერთობ საბატოდ ლაშქარნი გაკაზმნა. გელანელი ლაშქარნი ქვეითად გაგზავნა. სიამარად მათთა თავადად აჩინა. ომისა ეამსა ქვეითი უკეთ შეიბმის და მტერსა სულსა ამოართვამს.

რა იგი დილა გათენდა და საწუთრომან ოქროსა ფარი თაჟსა დაირქვა, მიწისა პირი ფერად-ფერადად შეიღება, ლაშქარი ერთობილი გაემართა და წავიდა. სარა ქალაქისაკენ საომრად. ერთობილი მიწდარი და ღელე ლაშქრითა მტერისაგან ასრე შეიქნა, რომე ჰაერი გაუჩინარდა, დაბნელდა.

ანასდელულათა ბარზინს მიესმა, რომე ლაშქარი მოვიდოდა და სარა ქალაქსა მოუწუროა ახლოსაო. ქაოზს უბრძანა, ვითა: ლაშქარნი მოკაზმეთ, იმა თემსა შიგან იმისი უთავადესი კაცი არ იყო. გავიდა და მანცა გელანისა ლაშქართაგან თვამეტი ათასი მეომარი, ქვეითი კაცი გამოასხა.

აქა ბარზინისა, როსტომ-თურისა საომრად გამოსვლა ლაშქრითა

მერმე თვით ბარზინ სარა ქალაქით გამოვიდა და მთისა ძირსა კარავი დაიღვა. იქით კელმწიფისა ლაშქარნი წყლის პირსა მოდგეს. ორნი ლაშქარნი ერთმანერთსა დაეპირასპირნეს.

რა დაღამდა, ორთავე ლაშქართაგან ყარაულინი გამოვიდეს, გათენებამდისინ ლაშქართა ვარეშემო იარებოდეს. მერმე ბანგიჯასპ გურგოს ეგრე უთხრა: ამას ღამე ყოთე ცხენისა ზურგსა ზედან იყავ და ნუ ჩამოკლები, ლაშქარნი შეინაქენ. მე ბარზინს წინაშე მივალ, კელმწიფისა მოციქულობასა მოვაცსენებ და, რაცა შესაგონებელი კელმწიფემან მიბრძანა, ყველა შევაგონო. თუ შევიგონოს თვით, კარგია, თუ არა, ზვალე დილეულად მე კიდევე მოვალ.

წავიდეს ზარბანუქ და მისი და და მისნი მეყვისნი თანა წაყვეს. მერმე ბანგიჯასპ ბარზუბანს ეგრე უთხრა: შენ, წინ წადი და ბარზინს მოაკსენე, ვითა: ბანგიჯასპ, ზრიბანუქ და თუხარ თქვენად სანაკავად მოვლენ. ადგა ბარზუბან და გაემართა. ბარზინის ყარაული მას ღამესა როსტომ-თურ იყო და გზასა იგი სცვიდა. ანასდელულად ბნელსა ღამესა შეხედნა და ერთი ცხენოსანი დაინაქნა. როსტომ-თურ შეუტრია და ზედან მიუტკდა, შემოხაქნა და ეგრე უთხრა: ვინ კარ, რომე ასეთსა ბნელსა ღამესა მუნჯივით მოკვალ. ბარზუბან პასუჯი არ გასცა.

აქა როსტომ-თურისა და ბარზუბანის ღამით შეყრა და ომი

როსტომ-თურ შეუტრია და აქედამ ქალმა. ერთმანერთსა მიუტკდენ და მრავალი ლაქტი ერთმანერთსა სცეს. ლახტები დაყარეს და კლმები მოიწვადეს ბნელსა ღამესა. კაცს ეგონებოდა, რომ საკმილი ანთიაო. ერთმანერთის კლმის ცეპითა და მუზარადების ლეწვითა კლმებიც დაეღწათ. მიყვეს შუბებს კელი. როსტომ-თურ მოუტკდა, მასვე წამსა ყურის ძირსა შესცა, თუ სთქვა, მასვე წამსა სულნი წასძერნეს. ფიცხლად ჩამოვარდა ცხენისაგან, და ჩამოკდა, მკარნი შეუტრნა, დაშნა ამოიღო, რომ თავი მოკვეთოს. მერმე ბარზუბან ეგრე უთხრა:

მე შენსა პატრონსა წინა მოვალ. და მას გვერდით დაისეა და ეგეთი ქვეითი მოიყვანა.

რა როსტომ-თურ ლაშქარშიგან მივიდა, ლაშქართა ეძინა. ბარზინის კარავსა შიგან, ფარდასა უკანით ეძინა. წამოიყვანა და თავისა კარავსა შიგან მოიყვანა და კელ-ფერქთა შიგან ბორკილი შეუყარა და ერთსა ადგილსა დააგდო. იგი წამოვიდა და მასვე ადგილსა სცვიდა.

აქა ამავე ღამეს როსტომ-თურისა და ბანგიჯასპის შეყრა და ლაპარაკი

სამნი ცხენოსანნი სხვანი ნაქნა. მერმე როსტომ-თურ ლომმან ვითა შეუზაქნა და ეგრე უთხრა, ვითა: ვინ კართ, სით მოსდით, ანუ სადა მივალთ ასეთსა ბნელსა ღამესა! მერმე ბანგიჯასპ ეგრე უთხრა: შე, ცხენოსანო, ჩვენ კელმწიფისაგან გამოგზავნილნი ვართ, ბარზინის წინაშე მოციქულობა ვიცით და ასეთსა უკუნსა ბნელსა ღამესა მის მეტი ზაქმე არა გვიც. მერმე როსტომ-თურ ეგრე უთხრა: ასეთსა ბნელსა ღამესა ვინცა იარების, ამა ეამსა შიგან, ასეთსა გზასა შიგან, კარგისა მოქმელი კაცი არ იარებს ამა ეამსა შიგან.

რა ბანგიჯასპ როსტომ-თურისაგან ერთგულობა შეიგნა, გაიცინნა და ცხენი მისკენ გაქუსლა, როსტომ-თურ მისისა სიცილისაგან დია გაგულისდა, შეუტრია კელმან ლომმან ვითა, მოკრა კელი და აფთი მოიწოდა. რა ბანგიჯასპ როსტომ-თურ ისრე გაგულისებული ნაქა, ეგრე უთხრა: შე, მოწიფულო, ნუ გაგულისებულკარ, დასწყენარდი, სიჩქარითა და ჭავრითა ცასა მიწასა ზედან ნუ დაკრავ. თუ შენ ხვადი ლომი კარ, არცა მეღნი ჩვენა ვართ. ერთმანერთის ძალნი და კერქიანობა კარგად ვიცით. კარგი თქვი და კარგი გაიგონე და ასრე იცოდე, რომე შენი კელმწიფე და ჩვენ ერთის გვარისანი ვართ, ერთისა ნათესავისაგან ვართ, ვეველანი იმისნი მოყვასნი ვართ. აწე ამათ შიგან, რომე შენ გკველავ. უცხო არავინ ვართ. იარებოდე, რომე სფაადარსა წინაშე მივიდეთ, ვეუბნათ და მისი ნათქვამნიცა გავიგონოთ.

